ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

XI
ტომი

გამომცემლობა „საარი"
თბილისი 2021

UDC (უაკ) 908(479.22)
ა-659

იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 აკადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების

განგრენით. 1986-1987 წლებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები. 1987-1990 წლებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი. 1990-1992 წლებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში. 1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი: 9 წელიწადი და 3 თვე; სულ 111 თვე, ანუ 476 კვირა, ანუ 3333 დღე.

ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასხმა მოეწყო:

1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა. მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.

15-მდე ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო

6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში. 1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ.

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, 2021

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-493-45-4

ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის იდეის ავტორია გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი არის ჯუმბერ ლეჟავა. აკადემია მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს მუშაობას, გამოდის ჟურნალი „ათინათი“ კვარტალში ერთხელ და „ანთოლოგია“ წელიწადში ერთხელ. მისი დაბადების 80 წლის იუბილეს მიეძღვნა „ანთოლოგიის“ სპეციალური ტომი, სადაც შესულია ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ და მოაგონებები ბატონ ჯუმბერიზე.

გარდაიცვალა 2014 წლის 25 ივლისს. ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე ფიცი დავდოთ და ვიშრომოთ მის უკ-ვდავსაყოფად.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

ძლეთის წმინდა გიორგი
ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი**

ღვთისმშობელი
ხატმწერი: **ანამარია ლილურაშვილი**

წმ. ნიკოლოზი
ხატმწერი: **ანამარია ლილურაშვილი**

მამა გაბრიელი

ერთ წამსაც არ მსურს იმ მადლს დავშორდე,
მამა გაბრიელ, შენ რომ მომეცი.
ჯობია უკვე ცრემლებს ვაშრობდე,
რწმენით ავდექი, როცა დავეცი.
სულის ლექსები შემომეფეთა,
მე მოვესწარი მეორედ მოსვლას,
გულიც სულ თოთო კვირტივით ფეთქავს,
ტანსაც სიკეთის სამოსი მმოსავს.

გულნაზ ხარაიშვილი

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

***

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი



***

უწმინდესი მყავს, რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და ერის საჩინო,
დარდების დროსაც უნდა ვგალობდე,
იქნებ სიცოცხლე გადავარჩინო...

გულნაზ ხარაიშვილი

პოეზია

ვაჟა ებრისელი
კოლხური ფსალმუნები
100-ტომეული



ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იმალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართული და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“



ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინათ ვწერდი: „რუსთველს, აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებ ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტ-გვერდიანი „ბაჯაღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული რომ წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი... დაბოლოს: „აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

P. S.

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა პოეზიის ასი ტომი საჩუქრად გადმოსცა აკადემიას.

გულნაზ ხარაიშვილი

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

ვაჟა ეგრისელი

სასჯელი

სასჯელი!
მაგრამ, აი, ასეთი?!
კვლავ ვიმეორებ ნათქვამს
ათასჯერ! –
კორინთოს დიდი მეფე, სიზიფე,
ღმერთებმა რომ ასე
დასაჯეს!!!
ნეტავ, ასეთი რა დააშავა?!

2005

* * *

ომზე და ომის სისასტიკეზე,
ყველა თქმულება –
არის ნამდვილი,
რომლებიც ახლა ლეგენდებს ერთვის,
ყორნისფერია დედის
მანდილი,
ალბათ ოდესღაც თოვლივით
თეთრი.

1989

იოანეს სახარება

„პირველთაგან იყო სიტყვა“, –
ირწმუნეთ! –
თქვენს გახარებას.
და „ის სიტყვა იყო ღმერთი“,
ურწმუნოებს შეახსენებს,
იოანეს სახარება.

1958

ისტროსის და ნილოსის

ფაზისმა და ხობოსმა,
რადგან მოგილოგინეს,
კოლხეთზე მით ილოცეს...
შენც, ვით ფსევდოლონგინეს,
წყურვილი გკლავს
„რენოსის,
ისტროსის და ნილოსის“.

1970

ბატების გადაფრენა

ჟამს ცისკრისას მთვლემარე
ვარსკვლავები აყარეს,
როცა მათი საყანე,
ცის მინდვრები
ბატებმა
ჩუმად გადიყაყანეს.

1968

ხე

ჩემი ხეც, ვითა დავითის,
დახუნძლულია ნაყოფით,
მაგრამ ზედ ყველა
ვერ ავა! –
ტანმაღალიდა სქელი აქვს.
თუ უფლის მადლიც
არყოფნის,
„დასარხეველად“ ძნელია.

2020

ოდისევსივით

ყოფნას,
არყოფნა მუდამ თან ახლავს,
ისე, ვითარცა ოდით
მზეს სხივი.
თიბე დღეები, ვითა ბალახი,
სიკვდილის,
ვით კიკლოპს
გამოეპარე
ოდისევსივით.

1971

მეგრულ-სვანურ-ლაზური

ქართლს და კახეთს
აურჟოლეგს
წარსულიდან მდინარე
ხმა დაფდაფის და ზურნის
მაგრამ უკან აბრუნებს –
ხმალთა ელვა ზღვისკარად,
მეგრულ –
სვანურ – ლაზურის.

1984

ორფეოსი

სისპეტაკეს ცა რომ ბარდნის,
სხვა ჟინით და
ხალისით.
ფიფქებიდან, დედამიწის
პირველ ბარდის[1].
დიდი კოლხი ორფეოსის
ხმა ისმის.

1969

ტყაში მაფა, ოჩო კოჩი

არა, სადღაც ჰიმალაის
დიდი მთები,
არც ანდები –
სადაც ტყეებია ნორჩი.
აგე,
მტკვრისპირს
მელანდება
ტყაში მაფა[2] და ოჩო კოჩი[3].

1964

მყინვარწვერი – შენი ძეგლია

ოქრო მრგვალი დიდი კოლხეთის[4]
ლაჟვარდოვანი ზეცა გეხურა!
შენ სხვა დიდება რ გიძებნია...
კავკასიონის დიდი მთები –
გესაფეხურა
და... მყირნვარწვერი შენი ძეგლია!

1908

---

[1] ბარდი (კელტ.) – სახალხო მგოსანი – მომღერალი
[2,3] ტყის დედოფალი და ტყის მეფე.
[4] «Колхида – древнее название Кавказа».

«Легенды Крыма» (изд. «Крым», Симферополь, 1968,)

კორსიკაში

შუბლშეკრული იმზირება
მაღალი ცა კორსიკის!
თითქოს ამბობს:
ეგონაო ბონაპარტეს –
„დამარცხება“,
სადღაც შორეთს,
მზის და მთვარის
ბორცვს იქით...

1983

მარტი, აპრილი

„კაფე – თესეო“ – კივის გუგული
და მარტი ეზო-ზეო
თოხს არიგებს...
აპრილი უგულოდ,
ალუჩების თეთრონს,
სოფელ-სოფელ
დაათოხარიკებს.

1964

ერთი ვარსკვლავი

ადამის ძეთა უქრობ იმედად,
მირიად ელვით გაუნასკვავი,
ცაში მეგულვის –
ერთი ვარსკვლავი,
რომელთან მთვარე მოჩანს
მძიმედ, და
მზე კი – წერტილად.

1979

ცოდნა

„მე, ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“.
სოკრატე

ადამიანის ჯუნგლის კანონი,
მე, კარგად ვიცი,
ვით იურისტმა.
და, ისიც ვუწყი ვარსკვლავები –
უსახლკარონი,
ცამ ელვის ძაფით –
წყვდიადში რომ
ჩააგვირისტა.

1980

თქვენი პოეტი

„კვლავ თქვენთანაა თქვენი პოეტი“.
ალიო მირცხულავა /მაშაშვილი/

შორორ წარსულიდან გადმონაფრენი,
ვით ალბატროსის,
ცის მფარავი ფრთებით –
ქართულით, –
„მოვლო სამშობლო და
ინდოეთი“
და აი, ახლა, მახვილივით
ჩანგ-შემართული
„კვლავ თქვენთანაა,
თქვენი პოეტი!“

1970

აბელის სული

გამთენიისას მამლების ყივილით
იაიებმა საქართველოს
ცას რომ შეაბოლეს,
სულია ალბათ,
კაენისგან
მოკლული –
აბელის.

1969

შავლეგო

(მერაბ კოსტავას)

შავი ჩოხა სისხლში ბევრჯერ გაახამე,
მაცხოვარმა რადგან ასე ინება.
შავლეგ, ბიჭო!
ტანთ გაცვია ქართვლის ღამე,
ვარსკვლავები შიგ გიწყვია ქილებად.

როგორ გშვენის შავ ჩოხაზე ყაწიმი,
ობლად გაზრდილს გმირობა დაგებედა.
მხარზე გაზის გამარჯვების არწივი,
და გიშვილა თქმულებამ და ლეგენდამ.

შავლეგ!
მტერი დაჯეგე და დარაგვე,
შენი სული უკვდავებას შეერთე.
შენ უძღოდი, ბიჭო! სამას არაგველს
ხმალაწვდილი გმირი სამასმეერთე,

როცა მტერმა ჩვენი მზერა დანისლა,
კახთ-ბატონის მზე რომ ჩაქრა კრწანისთან.
უფრო ადრე, ქართლის დროშა მიგქონდა,
დავითს ახლდი დიდ ბრძოლაში დიდგორთან.

მერე ისევ!
ურჯულოებს შამქორთან
მიკაფავდი და სვრელივით გაგქონდა.
სისხლისა და ცრემლის ზღვაში ნავლებო,
შავლეგ ბიჭო!
შავლეგო!
როს მშობელი მიწის ტრფობა გაგიგეს,
ცა – განახეს ყინვით გადაბელილი.

განშორების ტკივილებს კი – ტაიგებს
და ცივ ტუნდრებს შეყმუოდა მგელივით.
გითხრეს: შენს ცას თვალს ვერ შემოავლებო,
შავლეგ ბიჭო! შავლეგო!

საქართველოს სიყვარულში
ვერ გაჯობა ვერავინ.
შავლეგ ბიჭო!
დაჭიხვინებს –
მხედარს უხმობს მერანი.
როგორც ზღაპრად, ანდა როგორც არაკად,
შენს სამშობლოს შეეწირე ზვარაკად.

შენ უტაცე დრო-ჟამს ხელი აღვირზე
და დამსხვრევა მოინდომე ბორკილის.
მძინარეებს კვლავ ანჯღრევს და აღვიძებს, –
შენი ხსოვნა მოგვძახის და მოგვკივის...

ბრძოლის ველზე ვეცემით და არ ვკვდებით,
შიდა ქართლში, აფხაზეთს თუ თრიალეთს –
სისხლიანი შენი ჩოხის კალთები,
შავლეგ ბიჭო!
დროშად ავაფრიალეთ!

“მოძმე” მტერი ისევ გვებრძვის ტიალი...
აღარ გვინდა სხვათა გამოსარჩლება!
შენი სული ამ ბრძოლაში ტრიალებს,
გამარჯვება ჩვენ –
ქართველებს დაგვრჩება!...

1989

მაყვალა გონაშვილი

და წვიმა ყველა ნაკვალევს წაშლის

***

ამაოდ ცდილობ ჩემს დავიწყებას,
ვიცი, დღეს გსურვარ, თვალს ნუ მარიდებ.
ნუ გამიწყრები, რა ვუყოთ მერე,
თუ ვგავარ მარტის სულელ ამინდებს,
მოდი, გავუყვეთ ამ მტვრიან ბილიკს,
ნუ გაქვს ეგ გული ამაყი ბავშვის,
წამოდი, თორემ ხვალე იწვიმებს
და წვიმა ყველა ნაკვალევს წაშლის.

***

მოდიხარ ჩემთან მოზომილი ნაბიჯით, სიტყვით,
თითქოს სხვისია ეს ქალაქი, მიწაც და ცაიც,
გამესაუბრე, რაზეც გსურდეს, გემუდარები,
წიგნში წაკითხულს რომ არ ჰგავდეს ცოტათი
მაინც.
ნეტავ რად გინდა ჩემთან ასე ენამჭევრობა?
რად მიშლი ფერხთით ვნებებს, როგორც
ქაღალდის იებს?
შენ მოგწონს ჩემი სილაღე და დაუდევრობა,
რომელსაც, ვიცი, ხვალ არასგზით არ მაპატიებ.

* * *

ვბერდები მგონი,
რა ადვილად მერევა ცრემლი,
ვბერდები მგონი,
დედაჩემი მიცქერს სარკიდან,
ვბერდები მგონი,
გზა-გზა მხვდება ძვირფასი მკვდრები,
პოეტის ასაკს გადავცილდი,
მეტი რა მინდა?
ვბერდები მგონი,
წიგნისათვის ძველ სურათს ვირჩევ,
ვბერდები მგონი,
რა ჯიქურად ვხვდები ტკივილებს,
ვბერდები მგონი,
მივუტევე ყველას შეცდომა,
ჩემო მტანჯველო წარსულებო,
თქვენი ჭირიმე.
ვბერდები მგონი,
მაგრამ ზოგჯერ კვლავ ვხდები ბავშვი,
როცა სოფლიდან მესტუმრება
დედა – ჭაღარა,
ათას საფიქრალს შევატოვებ,
ათას საზრუნავს,
არ იმჩნევს დედა,
სოფლის საქმემ როგორ დაღალა.
მიუგურგურებს შვილიშვილებს,
თავს შემოავლებს,
თან მტუქსავს,
ყოფა არ ღირს, შვილო, ამდენ წვალებად,
ვის არ ვიგონებთ,
მაგრამ სიტყვა რაა, სიტყვითაც
ის არ ახსენებს
მამაჩემის გარდაცვალებას.
მიწა თავისას მოითხოვდა,
მოითხოვს ახლაც,
ვინ გამოსტაცა უკვდავება
წამებს ცოდვიანს,
მე რომ მეგონა ყოვლისმცოდნე
თავი ამქვეყნად
ახლაღა ვხვდები,
არაფერი არა მცოდნია.

აღსარება

ვერც კი მიცანით,
მე კი მეგონა,
თუმცა, მე რაღა
აღარ მეგონა,
ათასგვარ სურვილს
ვანდობდი დღიურს,
ჩემს კეთილსა და
ერთგულ მეგობარს.
სანამდის უნდა ვიდგე ხესავით,
სანამდის უნდა
მწეწონ ქარებმა?
რამდენჯერ უნდა გავიმეორო
ამ თეთრ ფურცელთან
მე აღსარება?
ერთხელ მოვსულვართ
ამ ქვეყანაზე,
ღმერთმა გვიბოძა
გზა ერთი ციდა,
წამი არ გვრჩება
სიყვარულისთვის,
სიძულვილისთვის,
რამდენიც გინდათ,
ამ შეშლილ დროში
როგორ ვიცვლებით,
ვერც კი გვამჩნევენ
ჩვენი დედები,
უცებ ვიზრდებით,
თვალს და ხელს შუა,
უცებ ვიცლებით,
უცებ ვბერდებით.
მხოლოდ წამით თუ
ვიხსენებთ წარსულს,
მომავალს რწმენით
როდი გავყურებთ,
ისე ადვილად
ვკარგავთ ერთმანეთს,
ვით ალერსისას
ვერცხლის საყურეს.
რამ დაგვაბრმავა,
რატომ ვერ ვხედავთ,
ერთურთის თვალებს
და გულის წადილს?
გზა ამერია;
რად გეღიმებათ?
თქვენ საკუთარი
ბილიკით წადით.

გაუცხოება

მიჯაჭვული ვარ შენით მიწაზე,
დახურულია ზეცის კარედი,
რატომ მეგონა, რომ შენთან მაინც,
რომ შენთან მაინც გავიხარებდი?!
მე ვარ ცის შვილი, ვარსკვლავთა ნაცვლად,
დამეჭორფლება ლექსებით სახე,
უძრახ მდინარეს გავატან დილით
თავდავიწყებას, სიზმრად რომ ვნახე.
შენ ისევ ბრაზობ? რა მოხდა მერე,
სადაფის ღილი თუ შესწყდა ხალათს,
ვიცი, შენ ჩემი აღარა გჯერა,
გაუცხოებას ეძახი ღალატს.
მეკი, მე რა ვქნა? ათასჯერ თქმული
მეტაფორების ტკბილ-მწარე კვამლით
მევსება თვალი, ვერაფერს ვხედავ,
დაკარგულია ზეცამდე კვალი.
ნეტავ მხევალის ბედსა და იღბალს
ასე სანამდე ველოლიავო,
დამტოვე, წადი, ხვალიდან ისევ
უნდა ფიქრივით მარტომ ვიარო.
მარტო გავუყვე ისევ რძის ბილიკს,
მარტომ შევაღო ზეცის კარედი.
რატომ მეგონა, რომ შენთან მაინც,
რომ შენთან მაინც გავიხარებდი?

დიდებას ეძებ?

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინღა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სიწმინდეს
ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თეთრად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი
და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე — დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა — რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნებიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა „სანამდის?“
გულზე გვაწევს, მძიმე ლოდივით
როს ერის მამას ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღაღადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინღა შემრისხავს?!

ის, ვინც შენ გსურდა

არ უწერიათ დამშვიდება შეშლილ ქალაქებს,
არც შეშფოთებულ პოლიტიკოსებს,
არჩევნების წინ ხალხზე მზრუნველებს,
მშვიდობისათვის დაწყებულ ომებს,
სხვათა ომებში დაღუპულ გმირებს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
არ უწერიათ დამშვიდება დაცლილ სოფლებს
და
დამშრალ წყაროებს, დამშრალ ცრემლებს,
სიმწრისაგან გამშრალ ბაგეებს,
მათ ვისაც ომმა ჩამოუჭკნო ბავშვობის ია,
მამებს, რომლებიც უმწეობით დაპატარავდნენ,
დედებს, რომლებსაც რძე დაუშრათ, მკნავანა
შვილებს
აწოვეს ბოღმა, უნანავეს ,,შურისძიება“!
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება
საშოვარზე გაქცეულ ქალებს
ცოლის იმედად დარჩენილ კაცებს,
კომპიუტერში დაკარგულ შვილებს,
რწმენადაკარგულ თაობებს და უთაო ლიდერს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
ეს ვინ გამოჩნდა, ვინ ამაღლდა
ზეცის თავანზე?
ანგელოზია? სატანუსია?
ან იქნებ სულაც
სხვა პლანეტის მოქალაქეა?
ის არის, ვისაც შენ ელოდი,
ის, ვინც შენ გსურდა,
რადგან ცხოვრება იმას გვაძლევს,
რასაც ვეძებდით,
რადგან სამყარო ისეთია,
როგორსაც ვხედავთ!

სიტყვის „საწოვარა“

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო
და არც „ჯორჯია“
ჩემი სამშობლო, ჩემი
მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი
ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს ზღვა კი არა
ჩემი გულია.
და რახანია შეხსნილი მაქვს
მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ
ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა –
დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი
ნარდით ერთობა.
და პირდაფჩენილ ხალხის მასას,
ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი“,
„ხალხთა ერთობა“,
„ადამიანთა უფლებები“,
„დემოკრატია“
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა
ათი პარტია.
მთავარ როლისთვის ლიდერები
შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს
გმირის მანტიას.
ტირის ქალწული
ქორწილამდე დაქვრივებული
ბავშვებს აცვიათ
მეორადი ტანზე ჭინჭები.
და ვირტუალურ სამყაროში
სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ
ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ,
ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი
სუნი აქვს შმორის.
ვდგევარ დაღლილი სიმართლის და
სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და
სიცოცხლეს შორის
ღმერთო, შენ მიხსნი,
კიდევ... ჩემი ძველი ფესვები
მე რა გამტეხავს
სანამ ჩემი ზეცა მახურავს.
როგორ ვასმინო მე სიმღერა
ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას გადაქცეულს
ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა
ოღონდ ამშორდეს მგელობა!“



ამირან ამირანაშვილი



სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ, დიდო მაესტრო,
შენს ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას.
უზომოდ მინდა შენს სიმფონიას დიდ ხანს დავესწრო,
„მარადისობას“ უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადიროჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოზები გიშლიან ფრთებით.
„მარადიული უკვდავების“ ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით ვივსებით ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონილულად ერწყმის „შესაქმეს“,
შემდეგ გაისმის წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს.
მაჟორ ტონებში მზე დაადგრა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე კრძალულად ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს.
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისიმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადასდო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით.
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით...
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი.
მუქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს.
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს აღმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრში სევდამ.
მაესტრო ითხოვს სრულ პიანოს, ოპერაციას.
სევდის მოტივი მიმოფანტა მხიარულ ევამ.
დადგა მუსიკის აპოთეოზი, ზემხიარული.
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს.
ცაში ფრინველთა, მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს, ტრუბებს ტრამბონებს.
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად.
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა.
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის.
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,
მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან.

ევროპაში კი, ერთხმად მღერიან ტაშით „happy Birthday“-ს.
ჩვენს ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის სიმფონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება.
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის.
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფიერების მელოდიაა მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი.
აწ და მარადის იგუგუნებს „სიმფონიები“,
იდირიჟორებს კვერთხით ხელში ღმერთი უფალი!

დროებითი რომანტიკა

ჩემს აივანზე დილის ნიავი მესალმუნება,
მორცხვი ალერსით ცდილობს როგორმე მასიამოვნოს.
ზღვიდან აკრიფა იოდიანი სუფთა ჟანგბადი,
შემომაგრილა და ეს ჰაერი ძალიან მომწონს.
როგორ სიმშვიდის მომგვრელია აქ ყოველივე,
ძალიან მინდა ეს მყუდროება არ დავარღვიო.
ეხლა ჩვენი ზღვა კამკამაა წყნარი და მშვიდი,
ნეტავ ქვეყანაც დავამშვიდოთ, არ ავამღვიროთ.
მაგრამ ვინ გაცდის, დროებითია ეს რომანტიკა.
მალე მეჩეთში აგუგუნდება არაბთა ლოცვა,
„ღამენათევი მასაჟისტები“ გახსნიან ბორდელს.
თურქებს სავაჭრო ცენტრებში ხომ არა აქვთ მოცლა.
დაემსგავსება ჩემი ბათუმი სტამბულის ბაზარს,
პირახვეული არაბები გუნდ-გუნდად დადის.
მკაცრად იცავენ თავიანთ წესებს, თავიანთ ადათს.
ზღვაზე არიან მაგრამ ზღვაში არავინ ჩადის.
ქობულეთი ხომ „მიაგირავეს“ ჩვენ მოძმე სომხებს,
მათი ბიზნესი განთქმულია მთელ მსოფლიოში.
ქობულეთლებმა მიაშურეს მეზობელ სოფლებს,
„ყაიმაღები“ გადაცვალეს პარკ ლობიოში.
ისევ მიბერავს დამორცხვებული, შერყვნილი სიო,
უკვე თურქული ყავის სურნელით გაჯერებული.
ყველა ფუსფუსებს, ჩვენ კი შევყურებთ ამ ორომტრიალს,
მხოლოდ ქართველი, ქართველები ვართ გაშტერებული.

დილა ზაფხულში

ვარვარა მზე შემოსკუპდა
ნაძვის წვერზე,
ჩარჩოობა გაუწია ფანჯარამ.
საოცრება იყო დილის პეიზაჟი,
სიურპრიზი მომიმზადა აჭარამ.

სიხარულის განცდა მქონდა მცირედი,
შავი ნისლი შემოიჭრა სურათში.
წაიშალა ჩახჩახა მზე ოქროსფერი,
მეც ჩავეშვი წარსულ ფიქრთა ბურანში.

სად ხართ ძმებო, რად დატოვეთ აჭარა,
თქვენ ბათუმი ჩემზე მეტად გიყვარდათ.
მოგვეშველეთ, დაგვიფაროს უფალმა,
მტერი ლამის სახლში შემოგვივარდა.

16.08.2019 წ.

ღმერთო გვიშველე

გამიგონია დიდი „რუმბები“
სახლშიდაც გვქონდა ღვინის „ტიკები“
მაგრამ არავინ არ გამაგონოთ,
ბავშვების მკვლელი ნარკოტიკები...
ნოედან იწყო კაცმა დათრობა,
და სამასპინძლოდ ხმარობდნენ ღვინოს.
თვითონ იესოს ქორწილში სთხოვეს,
მან სუფთა წყალი აქცია ღვინოდ.
საკუთარ სისხლად აკურთხა ღვინო,
ხორცად ნარკუთხი გატეხა პური.
განსაწმენელად ქრისტიანისთვის,
კაცთა ცოდვების მიტევებისთვის.
ღვინო არა კლავს კაცში კაცობას,
თუ ზომაზე ვსვავთ გვეძლევა ძალა,
ნარკოტიკი კი კაცს ანადგურებს,
სიცოცხლეშივე აუბედურებს.
არც ცოლი უნდათ და აღარც შვილი,
ცოფიანდება, ხდება შეშლილი,
სიყვარულს კარგავს, იპყრობს სატანა,
აღარაფრის სურს გეჩავს ატანა.
მცირე ერების გადაშენება,
ასე ინებეს გლობალისტებმა,
კორონებით და ნარკოტიკებით,
ხალხი გაჟლიტეს ამ სატანებმა.
ისევ უფალი თუ დაგვიფარავს,
კაცობრიობას სჭირდება მხსნელი,
გონს მოდით ხალხო, სამყაროს ვკარგავთ,
გვიახლოვდება ცოცხლებს ქვესკნელი.

სიტყვა

ძვირად ფასობდა კაცური სიტყვა,
კაცის ნათქვამი არ გატყდებოდა,
თუ, კი შემთხვევით რამე ხდებოდა,
სიკვდილ-სიცოცხლის ბედი წყდებოდა.
ეხლა სიტყვები გაუფასურდა,
სიცრუის მთქმელთა ჯარმა იმატა,
ყველა ერთმანეთს ატყუებს, „აგდებს“
მიცემულ სიტყვას არაფრად აგდებს.
ამას მოყვება ხოცვა და ჟლეტვა,
ქურდულ ბაზარში სამის გარჩევა.
დაუნდობლობა, ტყვია თუ დანა,
ბოინად იქცა მთელი ქვეყანა.
ამდენი სისხლი არ იღვრებოდა,
მცირე ომები რომ იწყებოდა,
სამართალს ვერსად პოულობს კაცი,
ყველას გონია თავი მამაცი.
სიტყვის გატეხვას, გაგიტყდეს თავი,
სახელსაც არცხვენ, სახლსაც, ოჯახსაც,
გაზომე სიტყვა, სანამ აღმოთქვამთ,
თორემ მიწაში მატლი აღმოგფხრავთ.

ვედრება

ო, ჯოჯოხეთო, გსურს გადაბუგო,
ააოხრო და დაწვა სამყარო,
ქვესკნელი ზემოთ ამოანთხიო,
კაცობრიობა ცეცხლში ჩაგვყარო.
საბრალო, ძმებო, როგორ ვიქნებით,
ყველა შიშველი, ქედდადრეკილი,
ვეღარ დაგვფარავს ცოდვის სამოსი,
სამოთხიდან ვართ გამორეკილი.
ვეღარ გვიშველის ოქრო და ვერცხლი,
საკუთარ თავზე წარმოდგენები,
თავი, რომ მეფე გგვონია ყველას,
წაგდებული გვაქვს გრძელი ენები.
სადღა არიან ჩვენიბრძენები,
კრიტიკოსები და მწიგნობრები,
თეოლოგები, საბრალო მღვდლები,
ჯოჯოხეთის კარს ახლო მდგომები.
მოვედით ღმერთო, შენი შვილები,
მუხლმოდრეკილნი გემუდარებით,
ღირსებს გვაღირსე სასუფეველი,
ფართოდ გაგვიღე შენი კარები.
შეწყვიტე ელვა, ჭექა- ქუხილი,
მუხის დაცემა, ცეცხლის ალები,
ძალა მოგვეცი შენი დიდების,
და აგვიხილე რწმენით თვალები.

უფალი მეფობს

სვეტიცხოველში გამოგირიეს,
არქიმანდრიტი გახდი მეუფე,
თავზე გვირგვინით და ხელში კვერთხით,
ერთ ეპარქიას შენც დაეუფლე.
ყველა პატივი მოგაგო ხალხმა,
ღმერთმა ისმინა ხალხის ვედრება.
უფალთან დადე მრავალგზის ფიცი,
აღსრულებაში ვინ შეგედრება.
კოხტად მოირგე მეფის სამოსი,
ტახტზე დაბრძანდი შენ დიდებულად.
კვერთხზე დაეყრდენ ბრძანებელივით,
და კუთხეები იწყე მეფურად.
და გადმოხედე, ზემოდან სამწყოსს,
ხელზე გემთხვევა ხალხი მილეთი,
„დიდო მეუფევ“ მოგმართავს მრევლი
და ყოველივეს დასცქერის ღმერთი.

რა ხდება?!

დედა ენის ძეგლი გვიდგას,
გვერდით უდგას მინარეთი,
გუშინ დიდგორს ვზეიმობდით...
ხუთგზის გვრგვინავდა მეჩეთი.
სად ვარ კაცი დავიბენი,
ვინ ვართ ძმებო ამიხსენით?!
ერთი სცადეთ და თურქეთში,
ეკლესია გამიხსენით.
ნანგრევებს არ გვაკარებენ,
ლოცვა გამორიცხულია,
კაბით გავლა თუ გაბედე
ჟანდარმები ჩართულია.
თუ ქვეყანას ვეღარ ვუვლით,
დაგვანებეთ შვილო თავი,
რაღად გვინდა ძალოვნები,
თუ ვართ სხვების სამართავი.
ქვეყანას თუ გავასხივებთ,
ენას მხოლოდ ძეგლში ვხედავთ,
სარწმუნოებას თუ დავგმობთ,
წინაპრებს როგორ შევხედავთ.
რას იცავენ დამცველები,
გველების და მგლების ჯიშებს,
ხალხნო, ჩვენ შვილებს მივხედოთ,
სანამ არ გადაგვაჯიშეს!!!

რა მოგდით ხალხნო! თქვენ ძმას აღმერთებთ?
ასე მგონია მე დაგავიწყდით.
მსურს შეგახსენო ძვირფასს მეუფესს,
შენ შემომიდექ „ბერობის“ ფიცით.
სად არის შენი „უპოვარობა“
„მღვიძარება“ და „უწყვეტი“ ლოცვა,
არა განკითხვა ძმისა თვისისა,
მოთბინება და მრევლის დალოცვა!
მშიერი ვიყავ და მოგაკითხე,
მწყურვალი ვიყავ, არ მასვი წყალი,
დღეს არ გეცალა, ისვენებ, გძინავს,
გამომისტუმრე მწირი, საწყალი.
„უფალი მეფობს“ გაიგეთ ძმებო!
სანამ მე ვმეფობ, ნუ შექმნით კერპებს!
ისიც მონაა, თქვენებ ცოდვილი,
და მონას ღთისას, ნუ გააღმერთებთ!

გამოცანა

ადამიანს ხშირად ავნებს,
ბევრჯერ ჭკუას აკარგინებს,
ხან ახარებს, ხან აშინებს,
აუხსნელი გამოცანა,
ჯერ პასუხი არ არსებობს.
ადამ და ევა დაიღუპა...
არ დაინდობს ბაბუს, ბებოს!
მან არ იცის არც ასაკი,
არც ჯიში და არც ჯილაგი.
არ აბრკოლებს არც საზღვრები,
არა აქვს ზუსტი მარაგი.
სახელი აქვს საოცარი,
ეწოდება „სიყვარული“.
ადამიანს ემტერება,
ვისაც ააქვს მკერდში გული!
ჯერ გულს იბყრობს, მერე პატრონს.
ჭკუა-გონებას აირევს.
თუ მშვიდად არ დამორჩილდა,
პარტნიორსაც გადაურევს.
შეეწირა დეზდემონა,
რომეო და ჯულიეტა.
ზოგიგააბედნიერა,
ზოგიც მსხვერპლად გაიმეტა.

ვახტანგ გოგრაჭაძე

დაკეტეთ ფანჯრები

ვინ არის პოეტი
და ნეტავ, რა უნდა,
ბინადრობს აზრებში,
რაღაცის თქმა უნდა.
სულით მოთარეშე,
მეუფე სიტყვების,
მწყემსი და ფერმწერი
ციური ფიქრების.
რაზე წუხს, რა სტკივა,
ნეტავ, რა აცინებს?
რა ხდება ისეთი,
რომ აღარ აძინებს!
ამბობენ გიჟია,
ხანდახან ვერ არის,
ირგვლივ ბრბო ხარხარებს,
ვერ ამჩნევს ვერავის.
ბრბო მაინც ბრბო არის
და მიეთ-მოეთი...
პოეტი ღმერთია,
დაფრინავს პოეტი.
პოეტი ბავშვია,
დასკვნებს ვერ აკეთებს,
დაკეტეთ ფანჯრები,
ფანჯრები დაკეტეთ!..

ასეა ეს

ლექსის დაწერა მინდა და
თავს ვეღარ ვუყრი სტრიქონებს,
ასე მგონია დაწერილს
არავინ არ მომიწონებს.
პოეტი უბრად ვინ ნახა,
მუზა მეწვია ამ დილით,
ამიფრიალა ცის თაღმა
ღრუბლის ქათქათა მანდილი.
ხან ერთი აზრი ჩამივლის,
ხან კი სხვა ჩამომიქროლებს,
საწუთროს უკუღმართობა
სათქმელს ორმაგად მიგროვებს.
მოდი, გავბედავ და ვიტყვი,
გონებას რაც მოადგება,
ვინ იცის, იქნებ ვიღაცას
რამეში გამოადგება.

ჯინსის შარვალი

ცასა და ხმელეთს შორის,
სიკვდილის ჰქროდა ქარი.
დედა სტიროდა მამას,
ფერმიხდილი და მკრთალი.

ცეცხლი ეკიდა სულზე,
გული გრდემლივით ცემდა,
გოლგოთას მაღალ მთაზე
უნდა იაროს ერთმა.

როგორ დაიწყო მარტომ
ცხოვრების კალოს ლეწვა,
კაცის შარვალი დედას,
მთელი ცხოვრება ეცვა.

ჩემო სამშობლოვ

ეჰ, ხელში როგორ მადნები,
ნისლში ირევა გზა-კვალი,
მალულად შემოგეზარდა
მტერი უჩინო, მზაკვარი.

აღარც დედლები დედლობენ,
აგვიკლო მამლის კრიახმა,
პურს ვეღარ აცხობს ხაბაზი,
გემო დაკარგა ხმიადმა.

დაცლილ, მდუმარე სოფლებში,
ვერ აღვწერ, რა წუხილი ძევს,
არვინ ახსენებს არაგველთ,
ცხრა ძმას და ანწუხელიძეს.

დღესაც ამაყი ავხედავ
გელათს, გრემსაც და ურბნისსაც...
იმ „ჩაკრულოსი“ ქირიმე,
კოსმოსს რომ გადაუფრინა.

თუ მდიდარი ვარ, შენით ვარ,
ჩემია ცხრა მთა, ცხრა წყარო,
ცხრა და, ცხრა ძმა და ცხრა მუხა,
მამულო, ღვთის წილნაყარო.

სად ვპოვებ სხვაგან საგანძურს,
ასე მდიდარს და ღირებულს,
განა ქვეყნისთვის რა მოაქვს
კულტურას იმპორტირებულს.

მეჩვენება თუ ასეა -
მშობლიურ სივრცეს ვშორდებით?!..
ფეისბუქ-ინსტაგრამები,
ყოველდღიური ჭორები...

ვინ რას გაიგებს რა ხდება?
ვისა აქვს დიდი აიქი,
ვინმე ამიხსნის რატომ აქვს
სისულელეებს ლაიქი.

ალბათ მზეც გაგიჟდება და
დასავლეთიდან ამოვა,
მარსზე თუ ვაზი იხარებს
აქაც რაღაცა გამოვა.

ღმერთო, გაზარდე თაობა,
აქართველოს და ამშობლოს,
თითო-ოროლა, რაცა გვყავს
გვირგვინს დაადგამს სამშობლოს.

მოლოდინი

სარკმლის ძირას იხარჯება წუთები,
ყველა წამი მოლოდინით მძიმდება,
დედის გულში აბობოქრდა ავდარი,
ხან მზეა და ხანაც ისევ წვიმდება.

ეს ლოდინი, ლოდინია მარადი,
- შვილი სახლში როდის დამიბრუნდება,
დედაჩემის მანდილია ძვირფასი,
დრო გადის და არაფრით არ ხუნდება.

შვილიც მუდამ დაღლილი და მშიერი,
შეჰპარვია მასაც უკვე ქაღარა,
ვერ გაზარდა დედამ შვილი ვერაფრით,
დარჩა ღლაპი, ისევ ისე პატარა.

ცას ღმერთი და მიწას დედა ამშვენებს,
არსებობა მისი არვის სადარი,
დედის სითბო, ალერსი და ფერება,
ასე თბილი საოცარი რად არი.

აივნიდან მარადიულ ლოდინში,
არემარეს ეფერება ევლება,
და იმაზე საამური რა არის,
თმა ქაღარა დედა თავს რომ გევლება.

და თუ მეორედ გავჩნდი

ასეთი არის წესი,
რა შეკითხვაა - რატომ?
ჩემი კუთვნილი ტვირთი,
უნდა ვატარო მარტომ.

როდი ვემდური იღბალს,
როდი გავურბი დაღლას,
ჩემი ხარვეზი - ჩემთან,
მას თან სიკეთეც ახლავს.

დარჩეს როგორიც არის
ჩემი ღამეც და დღეცა,
გზა მინათებდეს მთვარე,
ცისკარს ამოსულს ზეცას.

როგორც ვარ, თვითონ ხედავთ,
თქვენთან, მეზობლად ვსახლობ,
ამ ცხოვრებაში ეს ვარ,
სხვა ცხოვრებაში? - ვნახოთ!

და თუ მეორედ გავჩნდი, -
ჩემს თხოვნას უსმენს ღმერთი,
ჩემი იქნება ტაო,
კლარჯეთი, აფხაზეთი.

ფერეიდანი თუ დუმს,
არ იფიქრო, რომ ვერ ცნობს,
თავის სისხლსა და ჯილაგს,
სხვის და საკუთარ ეზოს.

დაე, თუნდ მიწად გავჩნდე
და დაკარგული ვიყო,
ვივლი, მოგძებნი მაინც,
გიპოვი ჩემო ფიქრო!..

ასეთი არის წესი,
რა შეკითხვაა - რატომ?
ჩემი კუთვნილი ტვირთი,
უნდა ვატარო მარტომ.

დაწუნებული ენა ქართული

„ექთივითი“ და „ლაიქი“
„შოპინგები“ და „შეარი“,
ენას ვამდიდრებთ, აბა რა,
ღამე არის თუ დღე არის.

და რას მიქვია ღიმილი,
„სმაილი“ ბევრი მაყარე,
„ლენგვიჯში“ უცხო „ვორდები“,
ამივსე, შემომაყარე.

ო, ეს ნანატრი „ვიქენდი“,
„ივენთები“ და „სთორები“,
უცხო სიტყვები გავხადეთ
ქართულის თანასწორები.

„ფეშენვიკები“, “ლაიქი“,
„ქულ“, „მემორები“, „ფეიჯი“,
„სერჩი“, „ოკეი“, „ჰელოუ“,
და ქორიკანა „ფეისი“.

არ მეტყვით, რატომ გავხადეთ
„ენთრი“ - დარბაზის სადარი?
საბას ლექსიკონს მტვერი აქვს,
აზრზე არა ვართ, სად არის.

უკვე ფრანგული ვამზევეთ,
რუსულს სასახლე ავუგეთ,
ინგლისურს ვიშინაურებთ,
ქართულზე უფრო გავუგეთ.

გაფიცებთ, ვინმემ მითხარით,
ენას ასე რად ვიწუნებთ,
როდესაც წყალი გვეღვრება,
მერე მოვთქვამთ და ვწუწუნებთ.

ბრავო! - ეს არის გმირობა,
„დისლაიქია“ ქართული,
ენას ვკარგავთ და ვერ ვამჩნევთ,
სიცილ-ხარხარში გართულნი.

მიტოვებული

ვინმე ხართ აქა,
რომ დამეხმაროთ?!
მომიტანეთ ყველაზე დიდი საშლელი,
ჩემი ცხოვრებიდან
უნდა წავშალო,
მისკენ მიმართული ოცნება
ხუხულასავით დავშალო.

და მერე? და მერე
ხელები გავშალო,
ცისკენ ავხედო და...
ფრთები ისევ ავშალო.
მან მე სიკვდილი გამომიწერა,
ასე მითხრა, ეს არის
შენი ბედისწერაო.

ისე წავიდა, უკანაც არ მოიხედა.
ვეტირები... ბავშვივით ვეტირები...
მის წასვლას ვეწირები.
მაწყენინა, უმიზეზოდ მაწყენინა.
თავი შემაცოდა,
გაჩენის დღე მაწყევლინა.

მაგრამ, არა! გზა ცხოვრების
არასოდეს ყოფილა იოლი,
და ვარიანტი არის
მხოლოდ ორი.
ან ეგუები, -
ან თვითმკვლელი ხდები.

მაგრამ სიკვდილი
ვერაფერი ბედენაა.
ამიტომ გთხოვთ,
მომიტანეთ ყველაზე
დიდი საშლელი, რომ
ჩემი ცხოვრებიდან
სამუდამოდ წავშალო.

ხელები გავშალო!
ცისკენ
ავხედო და
ფრთები ავშალო.
გთხოვთ, ვინმე ხართ აქ?
დამეხმარეთ, რათა
გადავრჩე და
გრძნობები ავშალო!!!

გივი ბერიკაშვილს

კახეთის ველზე გამომცხვარო ტკბილო სიცილო,
რაინდი რომ ხარ, არ სჭირდება იწილ-ბიწილო,
ქართველო კაცო, კოლორიტო, კეთილმთოველო,
დღეს, ზეციური საქართველოს მანათობელო.

ყოველთა გულის დამპყრობელო, შებუჯრებულო,
და ერთნაირი სიყვარულით ასე ქებულო,
დიდი გენის და იუმორის დიდო კრებულო,
სამარადჟამოდ ალექსილო, ამღერებულო.

ქართული სცენის მეჩუქურთმეე, სიტყვავ ქარგულო,
ბუმბერაზ სულში მცირე ტანით ჩამაგრებულო,
ბულიკავ, კოსტავ, ფაღლაურავ, ლონდრეე, ფირუზავ,
აწ მიწისაგან აღმსდგარო და ამაღლებულო.

ეთერი ქელიძე

ვინ ისურვებს!

მზის ბილიკზე, მზის ქოლგის ქვეშ
გზას მივყვები ცისკენ...
ვინ შეიძლებს, ვინ გაბედავს,
დამემგზავროს მზისკენ,
ვინ ისურვებს, შავი თალხის
გადაწიოს ფარდა,
ნისლის ცური ჩამოწუროს
თუნდ ტკივილის დარად....
მთას ჯიხვების ჯარი შეკრას,
შემორაგოს ირგვლივ,
მწვერვალებზე არწივების
ფრთის ქვეშ გაცრას ბინდი,
ვინ შეიძლებს დამემგზავროს
ძილგატეხილ ცისკენ?!
საცალფეხო ბილიკებით
მთისკენ, მხოლოდ მზისკენ!

***

ვერც ნაკვალევი წავშალე და
ვერც მე წავიშალე შენიდან!
ისევ ნასაკირალ დღეებს მივაფიცხე,
კლდეზე შერჩენილი შუნი ვარ...
ყოფა ვიგუე და ვეღარ შევამჩნიე,
ირგვლივ სინანულის სუნია,
კლდიდან მოწანწკარე, პეშვში მოხითხითე
წყაროს სიანკარე მწყურია!

შენთან ახლოს...

ახლოს ცასთან, ცასთან ახლოს
ახლოს მზესთან, მთასთან ახლოს,
ახლოს გულთან, სულთან ახლოს
შენთან ღმერთო! შენთან ახლოს...
ვარსკვლავების ზღვასთან ახლოს
ნაკადულის ცრემლში ვსახლობ.
ვარსკვლავებო, ცისარტყელას
მდელოს იქნებ დამასახლოთ!
ახლოს ცასთან, მზესთან ახლოს
ქერუბიმთა ფრთებზე ვსახლობ
გულთან ახლოს, შენთან ახლოს
სიყვარულთან უფრო ახლოს…
ცაო ჩემო, მზეო ჩემო,
შენთან მინდა, შენთან ახლოს,
მყინვარებზე ქრიზანთემის
მდელოს იქნებ დამასახლოთ.
ახლოს ცასთან, მზესთან ახლოს,
სიყვარულო, შენთან ახლოს...

***

სილაზე შენ სახელს წერენ
თოვლით დაბურულ მინაზეც...
მზე კი, აფერადებს მზე,
წარწერებს ვიღაცის ჯინაზე...
ფიქრებიც ყვავილებს გვანან
იშლებიან და ქკნებიან,
ისე ვით, სილაზე ,მინაზეც,
ბავშვობის დღეები ქრებიან...
ბავშვობის დღეები ჩნდებიან
შესავსებ ფურცლებზე ტიტრებად,
მისტირი სახელებს წაშლილს და
კვლავ წერის სურვილი გიჩნდება!
სურვილი გიჩნდება სიანცეს
ერთი დღით რომ დაემგზავრო,
და შენში დარჩენილ პატარას
თუნდ ერთი დღით დაემსგავსო!...
სურვილი, უწყალოდ აჩეხილ
ხეებს შეუდგე მხარში,
ერთხელაც აახმიანო
შენში რომ ცხოვრობს ბავშვი...

შენ, ქართველო!..

დედამიწა მოჰგავს დარდის ნასუფრალს,
ყოფა თითქოს მოქცეულა მუჭში.
დავიჯერო? მზეც კი ისე გახუნდა,
ქართულ ცაზე დამკვიდრება უჭირს...
მაშ, ვინ მზაობს, მაშინაც და ამჯერად
ვინ გაუძლოს ამდენ წყლულს და წუხილს,
მიერთგულებს ნეტავ ვინმე? არ მჯერა!
ვინ მომიკლავს გადარჩენის წყურვილს?
ვინ დაიდგამს ქართველობის გვირგვინს,
ან ვინ შეჰკრებს საქართველოს სპას.
შეაჩერებს ჩემს მიწა-წყალს შესეულ
მატლს, რომელიც დაუნდობლად ხრავს.
ვინ გაბედავს, ერს მოუხსნას ბორკილი,
მოშუღლენი მოიყვანოს გონს,
შეეჭიდოს საზღაურად სიცოცხლის,
ფერდობიდან დაქანებულ ლოდს?
ვინ? ვინ შეძლებს, თუნდაც იყოს შემდეგი
დაწყლულებულს უმკურნალოს ერს,
ბოხჩა-ბოხჩა გაყიდული მიწები
ჩააბაროს მხოლოდ ერთგულ მწყემსს.
ვინ, ვინ შეძლებს გახლეჩილი სათემო
შეარიგოს მომდურებულ ძმას,
მწუხრის ხნულში მუხლმოყრილმა საერომ
მოუსმინოს გადრჩენის ხმას?
შენ, ქართველო! შენ ატარებ ბოლომდი
ქართველობის გაუსაძლის ჯვარს!
შენ გარგუნეს მზე, ბაჯაღლოს ბეჭედი
და, შენშია საქართველოს ხსნა!

უფალო ჩემო!

ვეძებ სიმშვიდეს დილის ცვარ-ნამში,
ცისკრის ფიალას ვავსებ გზა და გზა,
წიგნი გავშალე ქვეყნის ვარამი
გულზე ომებმა გადამიარა...
გულზე ღალატმა გადამიარა...
და როცა მტერი, კარზე მომდგარი,
მზაკვრული ხრიკით ძალ-ღონეს გვაცლის,
დგას ღვთისმშობელი, მავედრებელი,
და მოთმინების ფიალას გაწვდის...
გმირი ჰყოლია მრავალი ქართველს,
მკლავი რაინდის მართავდა მახვილს,
წმინდა გიორგი უძღოდა ლაშქარს
და ამხნევებდა ბრძოლაში დაღლილთ...
თუმც გადაჯეგეს მრავალჯერ კერა,
რამდენჯერ მუხას შეუნთეს ნაღმი,
ვერ შესწვდა მტერი დიდების მწვერვალს
და ვერ წაბილწა ღვთისმშობლის სახლი.
ეს არის ჩემი სადროშე მიწა,
ჩემი ქვეყანა, მაცხოვრის ჰიმნი...
ნიკოფსიიდან, დარუბანდამდე,
ნინო ვაზის ჯვრით კვლავ ჩამოივლის
შევდგები მერე ნაცისკრალ დილას,
იმედის სხივი ქვეყნად ციალებს,
უფალო ჩემო! ნუ მიმატოვებ,
ჩემი სამშობლო გაამთლიანე!.

***

წუხელ ქარმა დარაბები შემოლეწა,
ღამისთევვით დაღლილ ფიქრებს დაერია...
სიყვარულის ჩანჩქერები მიმაშხეფა,
გაცოფებულს თითქოს თავ-გზა აერია!
ჯანყი ჰქონდა ხეებს უხმოდ მოტირალებს,
დედამიწა გაათეთრა კვირტთა თრთოლვამ.
უსიზმრებო განთიადმა საცეცებით
სიწრფელე და სისადავე გადათოვლა!
შეერია მერე ქუჩებს ამტვერებულს,
გრძნობის ქოხში, როცა ვეღარ დაივანა,
ღრუბლის კავებს მარტოსული დაეკიდა,
ცის კიდემდე, წვიმის კიბე აიარა...
წუხელ ქარმა დარაბები შემოლეწა...
ღამისთევვით დაღლილ ფიქრებს დაერია...
სიყვარულის ნარჩენები მიმოყარა-
ჩემთან მოსულს, მისამართი აერია!

ნეტავ...

მოლიპულ ცაზე ღრუბელს დაუსხლტა ფეხი
ჩამოედინა გამომშრალ მიწის ნამად,
სიცოცხლეს ჩემსას, ნეტავ დაუსხლტეს ფეხი,
ოღონდაც ჩემი, დაღლილი ქვეყნის წამლად!
ბუნებას თვისი დაჰყვება მკაცრი წესი…
ოთხივე დროში თავად განკარგავს მთა-ბარს!
გაზაფხულია თუ შემოდგომის თქეში,
მხოლოდ სამშობლოს მავედრებელი ვდგავარ!
მომავალს ვიმკით პაპის დარგული ნერგით,
შემორჩენილი ადათი გვიკვალავს სავალს.
უიმედობა თუკი თავს ისევ გვესხმის,
გამოდის, რწმენის გზა-გასაყართან ვდგავარ...
მოლიპულ ცაზე ღრუბელს დაუსხლტა ფეხი,
ჩამოედინა გამომშრალ მიწის ნამად,
გადამიჭერით თუნდაც მთავარი მყესი,
ოღონდაც ჩემი ბედკრული ქვეყნის ფარად.

შენ, ბედისწერავ?!

საბელ გამობმულ კაცის ცხოვრებას
სადღაც მიათრევ უმისამართოდ...
გულ ამოცლილო ჩემო დროებავ
და ვერ ავლილო ბედის აღმართო...
გონდაკარგული წუთისოფლიდან
წუთს ვერ ამოსდე ისევ, ლაგამი,
ტკივილს რომელსაც სახელს ვერ ვარქმევ,
ვერც მიეშველე და ვერც ა ღ გ ა ვ ი!

ისევ გაუჩნდა კედელს ბზარები,
ვერ აღქმულია სიტყვა უკვალო,
ვით დაგირისხო სულში ზარები
გზა ტაძრისაკენ ვით გაგიკვალო...
ვერ დაეტოლე უფლის ნაფეხურს
და თმენის ძალას წრუპავ ნიადაგ,
დღეს რელსებიდან ამოვარდნილი
საით გაჰყვები უცნობ ლიანდაგს?!

დილიდან...

გინდა თუ არ გინდა
სიჩუმის ოთახში,
სიჩუმეს ტოვებ და ლაჟვარდებს
ერთვები,
ფეხქვეშ კი გზა-შარა
სად მიდის არ იცი,
იდუმალ ხმის ძალას
უსმენ და ნებდები...
თვალს ხვდება სიშლეგე
მტვრის კორიანტელის,
სიცხადეც, გაშლილი
ბუნების ედემად,
ქუჩები გულ-სავსე
შარაც და გზა-წვრილიც
მორთულა
გიჟმაჟურ ფოთოლთა ფერებად...

თითქოს უნებლიე
თამაშში ებმები,
ქარში მოცეკვავე
ფოთლის ბედს განიცდი,
ბედისგან ნამცვრევი
დინებას ეხლები
დრო სწრაფად მიფრინავს,
დრო აღარ დაგიცდის....
გინდა თუ არ გინდა
საღამოს ბილიკით,
დაღლილი, სიჩუმის
ოთახში ბრუნდები...
იდუმალ თასმებით
პირს უკრავ ფიქრებს და
მარტოსულ ვარსკლავთან
ჩურჩულში მშვიდდები...

გერმანე საზანოელი

მუზას

დასაბამიდან დღემდე
ბევრი მგოსანი გმორჩავს,
შენ მარადმწვანე ხე ხარ,
მარადმწვანე და მორჩა.

არ ვერიდები შენში,
არც სიხარულს და არც ცრემლს,
ნუ მიმატოვებ მუზავ,
შენ ბობოქრობის მაცნევ.

ნუ ამიტირებ გრძნობას,
ნუ დამიობლებ განცდებს,
და თუგინდ ჩემი სევდაც,
გალაქტიკასაც გასცდეს.

გთხოვ, მომაფრქვიო ნიჭად,
უილიამის სონეტს,
ნუ დამისგავსებ ფიჭას
გაშექსპირებულ პოეტს.

სტრიქონს რომ ცხრილში გასცრი,
შემდეგ ანწუხზე აგებ,
ეს საჭიროა მესმის
და აქ ამ მწუხრზე, განგებ,

შენ ეტრფი წმინდა კალამს,
ბულბულივით რომ ჰგალობს,
სხვათა დინების ხარჯზე
რომ არ ლეწს კუთვნილ კალოს.

შენით მოგიჟობს ციდან
შეყვარებული ქარიც,
შენ თითქოს ერთი ციდა
შენ ხარ ღვინოც და ქალიც.

მუზავ მუზათა მუზავ,
სინათლის სხივის მაცნევ,
ხან თეთრ ჩოხაში მპრანჭავ
ხან უიმედოდ მაცმევ.

მეფეთა მეფევ, მუზავ,
დიდი ხარ ბრძენთა ბრძენზე,
ქარიშხალსაც არ ზღუდავ
აქ საპოეტო ველზე.

კალამს დაადნა რწმენა
და სიყვარული შენი
შენი ხატება წერას
ო, რა საყვარლად შვენის.

დასაბამიდან დღემდე
ბევრი მგოსანი გმორჩავს
შენ მარადმწვანე მზე ხარ,
მარადმწვანე და მორჩა!

20.10. 2019 წ.

მაფშალიური

მაფშალიაში ბევრი სუფრა გვქონდა პოეტებს,
არ ვადიდებდით არც ბაირონს და არც გოეთეს,
ზარმარში კი და ზაფხულშიაც ლექსით ვგუნდაობთ
და კიდევ მრავალს გადავიხდით ალბათ უდაოდ.
ერთხელ ახლობლის საღამოზე მივედით ორნი,
თან იუბილე მივულოცეთ, წესით და ფორმით,
დამ რესტორანში დაალაგა მრავალნი ძმურად
ობლად დაგვტოვა უნებურად, მან მე და ზურა.
პოეტები სულ გავურბივართ ლაფს ალიანსშიც,
წამო ძამიკო მაგრა დავთვრეთ მაფშალიაში.
წამოვედით და ცუდად არა, კარგად მგებელი,
იქვე შემოგვხვდა მეგობარი, ჯუბა ღებელი.
მან გვითხრა გულით რომ მპატიჟებთ, ვიცი და მჯერა,
თქვა სამწუხაროდ, თქვე ლოთებო, წამლებს ვსვავ ჯერაც.
როგორც მოძღვარი გულიანად შემოჰკრავს მხნე ზარს,
ჩვენც მუდამ ესე გველოდება ძვირფასი ელზა.
შამფურიც მოდის, ახვეული, როგორც სპირალი
და ჩვენც დავჯექით და დავლოცეთ იუბილარი.
კაცი ქართველი? საქეიფოდ უძერწავს ადამს,
დავლიეთ ერთი და ძმაკაცებს გაგვეხსნა მადა.
ამ ჭერქვეშ ხშირად უცქეროდნენ ჩვენს ღრმა ქეიფებს,
წაკითხულ ლექსებს სთვლიდნენ მაღლად, როგორც ეიფელს.
ჩვენ წავედით და თქვენ კი დარჩით თუნდაც დილამდე,
და თუ გაქაჩავთ გინდ დღეის სწორ შაბათ კვირამდე.
აქ უკვე სითბო შემოენთო ალბათ თვალს, კერის,
მე კი ვითხოვე, მომაწოდეთ ერთი მარკერი.
ჩვენ მთვრალები ვართ, სასმისები ჯიხვივით ჯახობს,
აგერ მარკერი და რატომ გსურს? ეს გვინდა ვნახოთ.
გვიანია და როცა მთვრალნი სიზმარს კოცნიან
ჩვენ ვიდექით და ხაზს ვუსვამდით მინის ოციანს.
ხომ ხედავთ ხალხნო, ღვინის როგორ, კარგად გვათბობს მზე,
არ შემოგვესვას და უფრო სჯობს იდგეს საზომზე.
სიცილ-ხარხარით ჩაგვაბარეს სივრცე რესტორნის,
და მთელი ღამე ვაღმერთებდით, ღვინის ტექსტს ორნი.
მთვრალ პლეხანოვზე მამლის ყივილს დავუგდეთ ყური,
გვიალერსებდა შავი ღვინო, ყველით და პურით.
თითქოს ვხვდებოდით, ყოვლადწმინდის" დალევის დროა,
გვენანებოდა სუფრა, როგორც, პრიამოსს ტროა!

გიგი თეთრაძე

ვედრება

ღმერთო ნუ გამაამაყებ,
სულში სინანული მათოვე,
ყველაფრის კეთებას დავიწყებ
კაცად მოსვლისას რაც მთხოვე.

მე ამ ცხოვრების ბილიკებს,
უფალო შენთვის შევკაზმავ,
ქირში მყოფს ლუკმას გავუწვდი,
არავის ღირსებას შევლახავ.

ქრისტეს შეგნებით ვიცხოვრებ,
საფიქრალს შენსკენ მოვმართავ,
სიკეთის მარცვლებს დავთესავ,
მერე, რომ ნაყოფი მოგართვა.

კაცი დღეს ცოცხლობს წუთობით,
ხვალინდელისა რა იცის,
ყველას სიკეთე მოჰმადლე,
ცოდვილ მიწაზე ვინც იწვის.

ღმერთო ნუ გამაამაყებ,
სულში სინანული მათოვე,
ყველაფრის კეთებას დავიწყებ,
კაცად მოსვლისას რაც მთხოვე.

28.08.2020

წვიმა მოვიდა

წვიმა მოვიდა და დაიწყო მელანქოლია
რა დააოკებს დამშეულ სულებს,
ღამენათევებს მთვარის შუქი რომ გაჰყოლია
და შეჰყოლია ოცნებას ულევს.
ფიქრის წუთებმა საკუთარი
მოქამეს ვადა,
წვიმა ასფალტზე ასკინკილა
ფეხებით დახტის,
და მის სხეულში იღვიძებენ
ოლეანდრები,
გამოიდარებს, ამბობს პეპელა,
თან თვალებს დახრის.
წვიმა მოვიდა, მთებმა გაშალეს
ქოლგების ჯარი,
შორიდან ისმის უიმედო
ძაღლების ყეფა,
არა აქვს აზრი ყვიროდე
და ბრაზობდე იმას
რაც იყო ადრე, რისიც გქონდა
დართული ნება..
დღევანდელ ავდარს
უეჭველად გადავურჩები,
მოგონებებით გადაივსო
ყველა უჯრედი,
მეკი თავნება ფიქრის ზვავებს
ვეჯიუტები
და ყველა მათგანს ინახავენ
გულის უჯრები.
მოსულმა წვიმამ აურია ყველა წესრიგი,
ქაოსში ცხოვრობს სველი ქალაქი,
ვნებამ თავისი გაიტანა დაკარგა რიდი
და მოიზომა გრძნობის ალაგი.
წვიმა მოვიდა და დაიწყო მელანქოლია.
რა დააოკებს დამშეულ სულებს,
ღამენათევებს მთვარის შუქი რომ გაჰყოლია
და შეჰყოლია ოცნებას ულევს.

2019

დავტოვებ სიცოცხლეს

დავტოვებ სიცოცოხლეს გაშილილი ხელებით
არ შემეშინდება სიკვდილის ფერების,
ჩემი დარგული ამოვლენ ხეები,
მერე კი დავტკბები მე მათი ფერებით.

გავცდები საწუთროს დარდებს და ტკივილებს,
ფარდა დაეშვება ბნელი და უკუნი,
ჩემს სატკივარს აქ ვინ გააყუჩებს
მიდი ცხოვრება გააბოლე ეგ მწარე თუთუნი.

ქარის ზუზუნში ფიქრი ამერია,
არ მინდა უმზეოდ წლები გავიდეს,
უფალო არ ვიცი დღეს რა მომერია,
ალბათ შევიშალე და უნდა გავფრინდე.

გონ არეული,ოდნავ ნამთვრალევი,
უხმოდ მივუყვები ოცნების ნაპირებს,
ღმერთო გამითენე დილა ბედნიერი,
თორემ ფიქრები მომკლავს და წამიღებს.

ღმერთს კი არ ესმოდა ჩემი გულის ძგერა,
ღმერთმა ვერ გამიგო უბრალო ცოდვილს,
იცი უფალო, ცრემლი მენატრება,
ჩემი თვალებიდან ის აღარ მოდის.

1.7.16

უნდა გავიმარჯვოთ ბოლოს

გავა დღეები, წარსულის ჩრდილში,
ფიქრებს ვალაგებ, ფიქრი მძიმეა,
მე ცოდვილი ვარ, ცოდვებით სავსე,
და ჩემს ცოდვებთან ლენგიც მცირეა.

რამდენი უთქმელი სევდაა ღიმილში,
ღიმილებს არიგებ და ელი განთიადს,
ღამე იწყება ეშმაკთა როკვები,
სულს უპატრონე, სხვებივით გარყვნიან,

გოლგოთა ცრემლებს დღემდე ვერ
იშრობს,
ღმერთი ვერ იცნეს, ღმერთის შვილებმა,
ჯვარზე გაკრული იესო გვიხმობს
გზას არ გვაცდინონ სულით შიშვლებმა.

სულებს შეხიზნულა სატანა,
გულიდან ღმერთი გარიყეს,
სამყარო ქცეულა იუდად, უფალო,
ვინ მოსთვლის რამდენჯერ გაგყიდეს.

სულის წამალი, სიკეთის სანთლებია,
სიყვარულმა უნდა სძლიოს ბოროტს,
გული გაამზეურე ადამიანო,
რომ, გავიმარჯვოთ ბოლოს.

19.2.21

ლეილა გაფრინდაშვილი

აბა რა იცი

სიმშვიდით მისდევ სიცოცხლის ბილიკს,
ხარ მეოცნებე, მიზანსახული,
აბა რა იცი, რას მოგიმზადებს
კვირტთაფეთქება ამ გაზაფხულის.

მინდვრის სურნელი, ყვავილთა ცვენა...
სიყვარულის ცეცხლს აგიბრიალებს,
იცი? გაზაფხულს მოჰყვება ვნება,
არც სიყვარული დააგვიანებს!

ჩაგიშრიალებს ლამაზი ქალი,
მიზიდულობის აგიტანს ურჟოლა,
თავბრუს დაგახვევს მზერა მაცდური...
შემოგენთება ჭიაკოკონა!

იქნებ შენია, იქნებ ის არის...
იქნებ აპრილის საჩუქარია,
არ დაიმორცხვო, თმებზე შეეხე
და სიყვარულის უძღვენ არია!

აბა რა იცი? სად ჩაგისაფრდა
ჯერ არ განცდილი გრძნობის ზმანება,
კვირტთაფეთქება ამ გაზაფხულის
და ტრფობის ცეცხლია აბრიალება!!!

ათვლის წერტილი

ამოუცნობი ეძიე შენში
თუ ჰპოვო განძი, რაც არც შენ იცი,
საგულდაგულოდ მოჰფინე ირგვლივ,
გაანაწილე უკლებლივ, მისხლივ...

როს დასასრულის ათვლის წერტილი
(არა იქმს ღმერთი უამისობას)
ჩაინიშნება, და ვალმოხდილი,
ოდეს, შეერწყმი მარადისობას.

არ დამიფანტოთ

ვიგაზაფხულოთ, ტყეს ვესტუმროთ,
ერთად ვიმარტოთ...
არ დამიკრიფოთ ენძელები,
არ დამიფანტოთ.

გადავირბინოთ მთის კალთები,
ვიცელქოთ ერთად,
გამოვიყოლოთ მთის სიმღერა,
ხალისი ფერთა.

ნუ მოსწყვეტთ იას,
ნაზია და ძალზე მორცხვია,
მწვანე ველ-მინდვრის
ლურჯთვალება ანგელოზია!

მივესათუთოთ ფურუსულებს,
რითმებით მოვრთოთ,
ოღონდ არ მითხრათ დავკრიფოთო,
ოღონდ ნუ მომთხოვთ.

მეც თეთრარშია კაბა მეცვას,
სხვა რა ვინატრო,
არ დამიკრიფოთ გვირილები,
არ დამიფანტოთ!

ხელი არ ახლოთ ტიტას,
გული არ გამიფატროთ,
არ დამიკრიფოთ ყვავილები,
არ დამიფანტოთ!

არ ვარ ნარცისი

არც ნარცისი ვარ, არც მაისი,
ვინ ვარ და რა ვარ?
გულის სითბოთი, მიკრძალებით
მსუბუქად დავალ.
მე ფიქრები ვარ,
ერთმანეთთან ჭიდილში მყოფი,
მინდა, რომ გავცე
სიყვარული თქვენი სამყოფი.
რაც გინდ მატკინო,
შემომწყრე და მადარდიანო,
ვერ შეგიძულებ,
ვერ გაგწირავ, ადამიანო.
საიდუმლო არ შემინახო, გამახმიანო?!
სალამს მაინც არ დაგაყვედრი, ადამიანო.

ციცინათელას მინდა ვგავდე,
გინათოთ ღამით,
გულს ბოროტებას არ შევახებ,
 არც ერთი წამით.

არ ვარ ნარცისი...

მოგზაური

მოგზაური უსასრულო სივრცის...
ალბათ მეტად, პოეტებზე ითქმის.

გაფრთხილებებს და აკრძალულ ნიშნებს
პოეტი ვერ უმორჩილებს ფიქრებს.

თავაწყვეტილ ოცნებების მარშით
პოეტები დაფრინავენ ცაში!

აგროვებენ განძს, სიტყვებით ნაფერს
და ფურცლებზე დაიტანენ სათქმელს.

პოეტში ვერ ჩაიხედავ ისე,
ერთი მაინც არ იპოვნო სიბრძნე!

ნუ გაიოცებ

ნუ შემიძღვები იმ საყდარში, სადაც სიყალბე
ატუზულია კუთხეში და მაცდურ იღიმის.
ფარისეველთა ამალაში გზა ამებნევა,
ცის მნათობელთა წრფელი მზერის მხიბლავს ღიმილი.

სხვა გზას ავირჩევ, არ მომყვები? გზა დამილოცე,
თუ არ შეგყვები მაგ საყდარში, ნუ გაიოცებ.

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

სიცოცხლე სანამ ფხიზლობს

თუკი გავცდები ჟამთა ნახანძრალს
და თავს დავაღწევ მტარვალ ურვიდან,
აღარ გამოვფენ ფერად ტილოზე
სისხლმდენ ნაკაწრებს დაღლილ სულიდან.

ახლა საწუთრომ კევრში ჩამაბა,-
ვნება-საწადელს ისევ იურვებს,
ღია ჭრილობებს გზადაგზა ვიხვევ
და შემორჩენილ ვალებს ვისტუმრებ.

სანამ ოცნებამ ტვინი დაღალა,
გული ძლეული კიდევ იომებს,
სიცოცხლე სანამ ფხიზლობს, დარაჯობს,
ათას სატკივარს გამოიგონებს...

სანთლით საძებნი გახდა ღიმილი

ცამ გადაიკრა შავი პირბადე,
მზის სხივში ჟონავს სისხლის წვეთები,
სინდისი გუშინ ჯვარზე გააკრეს,
სიბრძნე დამარხეს ეშმას ბნელეთში.

საწუთრო ბორგავს თავის ვნებებში,
ჩაკვდა იმედი, დაცხრა ყოველი,
იმედწამხდარი, როგორც ვერნერი,
გულქვაობისგან სიკვდილს მოველი.

ქარი ასკდება დახშულ დარაბებს,
გაანჩხლებული კივის უზნეოდ,
ხმა დაეკარგათ სამრეკლოს ზარებს,
სიკვდილი როკავს უხმოდ, უენოდ.

არავის ესმის ხმა და ღაღადი,
სანთლით საძებნი გახდა ღიმილი,
ნებადართული დიდი ღალატით,
კარიდან კარზე დაძრწის სიკვდილი.

ვიღაც აგროვებს გადამწვარ დღეებს,
დროს ვერ აფასებს რომ დაენანოს,
კოცონზე აყრის ნარჩენ ბულულებს,
რომ ცეცხლი კვლავაც ააელვაროს.

ვნახე სამყარო იმედჩამქრალი,
ვნებადაცლილი და დამაშვრალი,
სისხლგაყინული და ცრემლდამშრალი,
უფლის წინაშე მუხლზე დამდგარი.

ვგრძნობ, სივრცეები დაპატარავდა,
ახლა, ვაფხიზლებ ჩემს თავს თანდათან,
ო, ღმერთო ჩემო, ო, ღმერთო ჩემო,
იმედის ზეცა არ დამიბნელო...

თვალებს მჭრის სიცხადე

პირქუში დრო არღვევს დაბზარულ გალავნებს,
მზეს ვნატრობ, სამყარო რომ აღარ დამუქდეს,
გზადაგზა ვაწყდები დაცემულ ქალაქებს,
მტრობით და ღალატით ურცხვად რომ გაქურდეს.

ლურჯი ცა - მშვიდობის, მრავალჯერ დასეტყვეს
თანდათან მომწიფდა ფარული ღალატი,
თითქოსდა, ცდილობდნენ, მაგრამ ვერ განდევნეს,
შხამიან ისრებით მაცდური თამაში...

და... უკვე დაიწყო საშიში გამოცდა,
ლუციფერს იბერნიც დაუდგნენ მონებად,
ეს... „უმსგავსოება“ საზღვრებს რომ გამოსცდა,
ამაზე მუშაობს გახრწნილი გონება...

მავანნი დაშოკეს - ზომბებად აქციეს.
დღეს, როგორც არასდროს, მოვუხმობ სიმშვიდეს.
გუშინაც , უხილავს ვებრძოდი მაქციელს,
ცა ჩამოგვექცევა, ხმალს თუ არ ვიშიშვლებთ!..

ამ ლაბირინთებში გზას მიკვლევს სინათლე,
ხანდახან ვბრკოლდები - თვალებს მჭრის სიცხადე,
ჯიუტად მივიწევ დასახულ მიზნამდე,
გაცხადდეს, ოღონდაც, - გაცხადდეს სიმართლე!..

მზე ჩემში – უფალია

ცისმარე დილას ციცქნა მზეწვია
მზის შესახვედრად ცის თაღს შეასკდა,
ეს სიხარული მეც ხომ მეწვია,
ჩემს ყვავილნარში მზე რომ მეახლა.

მე სიყვარული მომყვა აკვნიდან,
მაშინ, პირველად დღე რომ გათენდა,
ჩქერალთა ხმიდან, ველთა ზღაპრიდან
მზის სხივი სითბოს როცა მაკმევდა.

იყო დრო, მზესთან შეხვედრა მსურდა,-
მისი დიდების ხოტბა რომ მეთქვა;
აღმოსავლეთით თეთრონა რაშებს
მივაქროლებდი ნება და ნება.

ცის კამარაზე მზე ისევ დადის,
ისევ და ისევ სამყაროს ხიბლავს;
ათასი ფერის გაშლილი ვარდი
მზის სამეფოში ტარიგად მიმაქვს.

შეგონება

ყოველ დილით მზის ამოსვლას გაუღიმე,
უფლის შექმნილს წუთისოფელს ნუ აძაგებ,
ნუ დააჭკნობ ლამაზ ყვავილს ტურფად
გაშლილს,
დიდ სიყვარულს დიდი გული შესთავაზე.

ეს ცხოვრება სახდელია, - მწარეც, ტკბილიც,
გადაშალე, წაიკითხე, დაისწავლე,
თუ განგებამ დიდი ნიჭი დაგაბერტყოს,
დააფასე, უფლის მადლით გაიხარე.

თუ სამყაროს ახლებურად ვეღარ შეცვლი,
ხელმოცარვას ტრადიციებს ნუ აბრალებ,
ცხოვრებაში ახალ სიტყვას თუ ვერ იტყვი,
ძირძველ სიბრძნეს ახალ სახელს ნუ
დაარქმევ.

ლამაზ დღეებს უმადურად ნუ გაფანტავ,
დღეის საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებ,
შენს კარავთან თუ რაში დგას დარახტული,
გააქროლე - ბედის რაში გააქანე.

შენი მადლი, შენი ხვედრი შეაფასე,
ფუტუროსგან ყალბ შენობას ნუ ააგებ,
სხვის ჯიბეში თავხედურად ფულს ნუ დათვლი,
შენი ქოხი სხვის სასახლეს ანაცვალე.

მძიმე ჟამი თუ დაგიდგა - მტერი გებრძვის, -
დროის ქურა განსაცდელებს ასამმაგებს,
შეასრულე შენი ვალი, - ვინ დაგძრახავს,
შიშველ ხანჯალს უდროო დროს ნუ ჩააგებ.

თუ ცხოვრება მძიმე უღერლს შეგთავაზებს,
შენი თავი თუ სიკვდილსაც არ ანაღვლებს,
ნუ მოუხმობ!.. მის განაწესს ნუ დაარღვევ,
მის მაგივრად საკუთარ ბედს ნუ გადაწყვეტ...

საწამლავი რაც გარგუნეს, გამოსცალე,
ცხოვრებაში რაც გადაგხდეს, დაითმინე,
მწარე ხვედრი სულგრძელობით გამოსცადე,
სანამ პირში სული გიდგას, გაიღიმე.

მეგობარი გულახდილი შეიყვარე,
გულს თუ გატკენს, ვაჟკაცურად გადახარშე,
ხასიათი სასიკეთოდ შეიცვალე,
ბევრი რამე ახლებურად გადააწყვე.

თუ დინებამ უცხო მხარეს გაგიტაცა,
შენი ფესვი - შენი ძირი არ დაკარგო,
რაგინდ ოქრო-ცურვილები შეგთავაზონ,
საკუთარ ცის სილურჯეში არ გაცვალო.

გაუფრთხილდი წინაპრების დიად საქმეს,
სამემკვიდრო დიდ სიმდიდრეს ნუ გაფანტავ,
რაც შენია, - რუდუნებით წილად გარგეს,
მტრულად მოსულ გადამთიელს ნუ გაატან.



გივი სიხარულიძე

შემომადნი

ვეღარ გამიგია, მძულხარ,
თუ მიყვარხარ, ისე მომრევია გესლი.
ხანა ხარ ნაყოფი ედემის ხისა
და - ხანაც სიძულვილის თესლი.
ისიც კი ვიფიქრე, სამოთხის ჩიტი ხარ,
მე კი ვარ დემონი ზეცის.
მე უკვე ნასროლი თოვლის გუნდა ვარ
და შენ ფიფქი შერჩენილი ხელში.
ერთხელ მოგიძღვენი მცხუნვარე კოცნა და
თითქოს ჩავიფერფლე ცეცხლში.
არც შენ იყავი ყინულის ნატეხი და
ლამის შემომადნი ხელში.

დროის ათვლა

დროის ათვლა, ჩემო, შენით დავიწყე,
ნაღდად ვიცი შენზევე დამთავრდება,
ვერ გავიგე წუთისოფლის ანბანი,
სად იწყება და ან სადღა მთავრდება.
შენ, ჩემსგულში შემოჭრილო გრიგალო,
ვეღა რვხვდები საით გაგაგრიალო,
დამიმსხვრიე გულის შუშაბანდები,
გიჟად ვიქეც გამიჩინე დარდები,
არც ია ხარ, და არც მისი დობილი,
ენძელა ხარ მინდვრის ღელვით შობილი,
მე სიო ვარ, ძლიერ ქართა ძმობილი,
შენს სიყვარულს ალალად მინდობილი.

პარიზული ჩანახატი

ვინ ბოდავს _ თბილისი მეორე პარიზია,
ალბათ გააფრინა მაგრად.
თბილისი პარიზს მიამგვანო? _
ვერ უნდა იყო კარგად.
პარიზი _ დიდი მუზეუმი,
ვნებების ქალაქი ბაღში,
ისტორია, წარსული, ახალი...
უცბად აგემღვრევა თავში.
ვეღარ გაგიგია, რა ხდება,
იქცევი როგორც ბავშვი,
ხან ტოროლასავით დაფრინავ
და, ხან გალობ, როგორც შაშვი.
შენთვის ყველაფერი გახსნილია,
თითქოს პრობლემების გზა ხსნილია,
პარიზის ქუჩებს გადახედავ და
ფრანგთა ისტორიის მზა ფირია.
თვითონ შენობებიც გეფერება:
ოპერა, ლუვრი, ეიფელი...
აღარაფერი დაგრჩენია,
ზეცისკენ აღმართო ხელი.
როცა ემიგრანტი ქართველები
ირჩევდნენ პარიზს თუ სტამბულს,
იესო უკვე ამაგრებდა
ძაფს საფრანგეთისკენ გაბმულს.
ალბათ გული ვერ გაუძლებდა
ჭირ-ვარამს, გოდებას, გზას რთულს,
მარტო პარიზმა უთანაგრძნო
ქართველს, სამშობლოს ნატრულს.
ალბათ თბილისსაც მოეფერა,
ობლად მიტოვებულს მათგან.
პარიზმაც იგემა მრავალჯერ დამარცხება,
მაგრამ პარიზულად აღსდგა.
ჩემო თბილისო, ყველასთვის სანატრელო,
იცოდე, არავის ჰგავხარ,
ობლად მიტოვებულ, დაჩაგრულ ქართველებს
მხოლოდ ერთადერთი გვყავხარ.
ტყუილად არ შეგარქვა მეფემან ქართველთა
თბილისი _ უთბილეს ქალაქს.
აქ ყველას ერთნაირად უყვარხარ,
პოეტს, დალაქს თუ მხატვარს.
ერთ ნაკლსაც ვერავინ გიპოვნის,
აბანოთუბნიდან ნანახს,
ეს ყველამ ბრწყინვალედ იცის და
არავის დავუწყებ კარნახს.



გერონტი მესხი

ნატურმორტი

სუფრა... ირგვლივ ყისმათს დანამდურები
„სამფეხები“, მარნის უხმო მდგმურები...
სინზე–გოჭი, დაცქვეტილი ყურებით...
გუდის ყველი... „დედას ცხელი პურები“...
ღვინო–ცივი... დაორთქლილი სურები...
მწვანილები, ცინცხლად ცვარნაპკურები...
მოხდილი და მოუხდელი ქურები.
ქურის ირგვლივ სველი ნაფეხურები...
სარზე თრთიან მწკრივად გაკიდულები
ჩურჩხელები, ნიგვზით სავსე გულებით...
ყურს ქრის ცხენის დინჯი თქარათქურები,
მწყემსს შარაზე რომ მოუდის ფურები,
მინდვრის ხვავით გატიკნილი ცურებით...
მარნის ფონზე კართან მოჩანს ურემი
უღლითა და სელის აპეურებით...
ქერს წვდენილი ყანწის თვრები ყურებით,
ზომით–სწორის მომლოდინე სტუმრების,
მათ ლოდინში ჩამოყრილი ყურებით.
...თვალს გიამებს მარნის ხვავი ულევი,
როგორც წყალი ტერმინალთან, ყულევის...

2018 წ.

ჩემი მამული

გაბრწყინებამდე დრო წლებსღა უთვლის,
ამ ქვეყნად მოსვლა კი ღირდა ამად...
ვით გობელენი, ნაქარგი უფლის,
იღვრება ფერთა ჯადოსნურ გამად.
მარადიული, უღრუბლო, წმინდა...
ღმერთის სავანე მწყაზარ მდელოში...
თუკი სამშობლოს შეცნობა გინდა,
ინატრე, გაჩნდე საქართველოში!..
იქ, უფლის გვერდით, მზედ ბრწყინავს ცაში...
აქ მოძმეს ფეხქვეშ ეგება ნოხად...
სამშობლოს უკეთ შეიცნობ მაშინ,
როცა ამ ქვეყნად ქართველად მოხვალ...
უკვდავებაა სამშობლო ერთხმად,
და უფრო მეტი, ვიდრე სიცოცხლე.
თუ ნაღდ ქართველად ჩამოგქნა ღმერთმა,
მათუსალაზე მეტხანს იცოცხლებ...
სამშობლო გზაა უგზოდ მავალთა,
გულს მჯიღად უცემს ბრძენს და გოლიათს...
სამშობლომ გული თუ ვერ წაგართვა,
იგი საგულეს აღარც გქონია.
... მეც ამ მიზეზით დავალ უგულოდ...
აყოლილი ვარ შენს ქარს... მტვერი ვარ...
მამულო, მე ვარ შენი გუგული
და ხმით ვგუგუნებ:
მე ქართველი ვარ!..

2016 წ.

ზეციური ანდამატი

იმ სადაგ დღესაც ზღვა იყო
ლურჯი,
მზე იყო მწველი და ერთადერთი.
მიქელანჯელოს ნაქონი ფუნჯით
მითიურ სურათს ხატავდა ღმერთი.
უსასრულო და უღრუბლო ზეცას
ეჯიბრებოდა ხასხასში მოლი.
ქედებს პალიტრის ქათიბი ეცვათ
და ის ცა ეპყრათ მელოტი ზოლით.
მზეზე კრთებოდა გამა ფერების...
გზებზე კვდებოდა ჟამი თარეშით...
ახლოვდებოდა დრო მოფერების
ღმერთის ნებართვით, თუ მის გარეშე.
ჩამოაძერწა მხატვარმა ტანი,
(იდგა დუმილი მზეჩაღვრილ დღეთა.)
ისე მოარგო ფერი და განი,
ვით ნინოს ჯვარი მოერგო მცხეთას.
მერე ხელ-ფეხი მოხატა დინჯად
და მკერდს შემორჩა ფუნჯი ორ ბორცვად.
ღმერთი იდგა და ქალწული იჯდა
ჯერ უსახურად, და, მაინც, მორცხვად.
მერე თვალ-წარბთა ვნება და სახე
გამოიკვეთა მდგარი ხვატიდან.
მერე შთაბერა სული და ვნახე,
როგორ გადმოხტი იმ ნახატიდან.
გარემოსილი იყავი მქრქალი
და მაინც უცხო ფერის სამოსით .
დროს, როცა ცხადგყო უფალმა ქალი,
ვერ აგვიწერდა ნოსტრადამუსიც.
ბიჯი ლივლივით გადადგი მოლზე
ისე ფაქიზად,ისე ნარნარად,
რომ მე გავთვალე სამყარო ორზე-
შენ დაფრინავდი,როგორც ფარვანა.
ირგვლივ იწვოდა მუხტი და მკრთალი
ალი სწვდებოდა ბარე ორს კიდევ...
შენ წამიერად წამართვი თვალი,
მერე ის თვალი ვეღარ მოგწყვიტე.
ვნებით გიწეწდა სიო დალალებს-
ო, მინდა, წუთით ის დრო დაბრუნდეს:
მე ვთრთოდი, შენ კი ხელი ჩამავლე
და შენს სავალზე შემომაბრუნე.
მზეობდა მზისებრ მზირალი მზერა,
გაკლდა გვირგვინი და ხელში-კვერთხი...
მე მაშინ მივხვდი და ახლაც მჯერა,
რომ შენს შექმნაში ერია ღმერთი.

2006წ.

როდის ქრება სილამაზე

კოხტა ქალს ვეტრფი... გრძნეულს...
გამა სდევს მნუსხავ ფერთა.
სახე უმშვენებს სხეულს,
სული-ორივეს ერთად.
მაგრამ თუ ასე მოხდა,-
სულს გაერია წყალი,
გაქრება შენი ,,კოხტა“,
შეგრჩება მხოლოდ ,,ქალი“...

2000წ.

სამაჩაბლოს მიწა

მიწა-ოქროქვეყნის სადღაც მეასედი,
წყალი-უკვდავების წყაროდ ნადინები.
ჰავა-არ მინახავს არსად მე ასეთი,-
ღმერთებს აქ უმართავთ, თურმე, ნადიმები.
კალთით დაბერტყილი ლამობს, თითქოს, მადლი
ფლორას, ედემს რომ ჰგავს, გამა შეაჯეროს.
დასაჩოქებელი მუხლზე თითო ადლი,
ალბათ, ამ გულს წამგვრის, რომ არ შევაჩერო.
მორწყულს ოფლის წვიმით ჩემი წინაპრების
ხშირად შერევია სისხლის ნაწვიმები.
დღემდე თოფით მოაქვთ, მოაქვთ ბასრი ხმლებით,
მუხლით რუხი მგლის და კლანჭით-არწივების.
გული კვნესის, როცა ბაღებს, ღობეწაშლილთ,
ხედავს იავარქმნილს, მტრის ხელს რაც გადარჩა.
მამის ნასახლარზე დგას სამოთხის ვაშლი,
დგას და ევას უცდის... ევა არსად არ ჩანს...
ეშმაკს დაულახვრავს ყველა დანარჩენი,
ფეხქვეშ ვისიც მიწა ჩემი გუგუნებდა.
...ვისაც ძმებად ვთვლიდით, ბედის განაჩენით
დღეს ჩვენს ბუდეებში სხედან გუგულებად...
დოღი სატანების ბურავს ტაფობს... ბნელა...
ვიცი, მისვლა მიწევს მათდა გასაყრელად.
მიხმობს ჩემი მიწა, მიხმობს საკოცნელად,
მიხმობს გზის დასასრულს გულზე დასაყრელად...

2016 წ.

სიცოცხლის გაელვება

ხორცი შემასხა მშობელმა მიწამ,
სისხლი ჟუჟუნა წვიმებმა მომცეს.
სული ნიავმა შთამბერა იმ წამს
და “დაბადება” ეწოდა პროცესს.
მოვედი, რათა მცირედი წვლილით
შევალამაზო ქართული სივრცე.
მტერს-მტრის მივუზღო, ძმას კი-ძმის წილი
და მიწის ქმნილი კვლავ მიწად ვიქცე.

1998წ.

რაა სიცოცხლე უსიყვარულოდ

მგონი მიმიხვდი, მშვენიერო, რარიგ მიყვარხარ!..
დიადმა გრძნობამ ტალღასავით მოვარდნა იცის...
მზე იფხორება ცამაღალზე, როცა იქ არ ხარ,
და როცა იქ ხარ, გიბღვერს, როგორც სახედნი კვიცი.
შენს კაშკაშებზე ლაჟვარდების ზემო თავანზე
მნათობთა გუნდი სხივთა შენთა მონა მგონია.
ჩემს გულში, როცა ყურმოჭრილ ყმად შემოგთავაზე,
გრძნობა ღვიოდა, რომეოსი მონაგონია.
სერენადები, სულში ვერ და რომ ვერ ჩავტიე,
ვულკანის ფორმით ამოიფრქვა, ლავისმაგვარად.
იადონის ხმით გიგალობდი სოლო პარტიებს,
ფანტელებად რომ ეფინება ახლაც მთა–ბარად.
რა ვქნა, თუ გრძნობა ბობოქარი, მართლაც მაწუხებს
ხიბლით, რომელმაც ეს უგულო გულიც წამგვარა.
ფიქრში ვემონვი მაგ შენს ნატიფ მკლავთა მარწუხებს
და მთვარესავით ავეკვრები შენს ცას ამგვარად.
ზღვა სიყვარულში იფერფლება როცა აპრილი,
მზის სხივთა თქეშში ნამქერები ფარ–ხმალს დაყრიან.
მარტიც გვიმოწმებს ზამთრის ჩინ–და–მედლებაყრილი:
უსიყვარულო სიცოცხლეში, აბა, რა ყრია!..

2019 წ.

***

ერთი ისე შემომცინე,
დამიმონე მთლად.
შენი ფიქრიც შემომწირე
დაგედები მტლად.
სიყვარული, ახლა მივხვდი,
ფრთებით დააქვს ქარს.
ამკიდებს და გადავიხდი
ებრაელის ვალს.
ციდან იდენს შარბათები,
გიძღვნი ძოწს და ლალს.

განა მარტო შაბათები,
უშენო დღე მკლავს.
ერთი წუთით გარეთ გამო,
შენთვის ვაწყობ ქნარს.
მოგაშორებ მე შენს გამო,
ვინც გადამყრის შარს.
ქარს თუ გირჩევ, ქარში წამო,
ნუ გაჰყვები დარს.
შენთვის, მნათო თვალ-წამწამო,
მთისგან შევქმნი ბარს.

მოგაშორებ ყველა მსურველს,
დონ-ჟუანს და ფანს,
შევუსრულებ ათას სურვილს
შენს ჩამოქნილ ტანს,
შურით გასკდეს არაერთი,
ეჭვი სწვავდეს თვალს,
ჩამახუტებს როცა ღმერთი
შენისთანა ქალს.

1972წ.



ცაგო აბაშიძე

* * *

წვიმის წვეთებს აერიათ გზა და
წამწამებზე ჩამომისხდნენ რიდით,
მეფერები...და თანდათან ქრები...
შენს ნაკვალევს ვუერთდები ფიქრით.
რად ტირიან ტირიფები ნეტავ,
ანდა ცრემლი რატომ წყდება სანთელს,
რას ჩურჩულებს, რაზე მოთქვამს გული,
ანდა ბნელი რატომ სჯობნის ნათელს.
ცხელ ქვიშაში დაბნეული ვდგავარ,
შლეგი ქარი მიაცილებს აფრას,
ვერ გელევი, ვერ გელევი რადგან,
შენ სულ სხვა ხარ, შენ არავის ჰგავხარ.
მარტოსული მივუყვები ბილიკს...
იაიებს ჩემი ცრემლით ვნამავ,
დამიბრუნეთ სიყვარული ჩემი,
დავასრულო სპექტაკლი და დრამა.

* * *

ფარდას არხევს შემოდგომის ცივი ქარი,
ნიავი კი გარს მეხვევა ისე ნაზად,
ისე ნაზად მეფერება, ისე ვნებით,
აშკარაა დამეგება ფიანდაზად.
მერე რაა..თუ ცივია ნოემბერი,
მერე რაა...წვიმასაც თუ გამოურევს,
ზოგჯერ ფიქრებს ისე მირევს ნიავქარი,
სტრიქონებად თავზე მაყრის გამოულევს.
მათრობელა ამბორი აქვს შემოდგომას,
ჭიქა ღვინით შეუძლია აღმაფრენა....
ვნებით სავსე შემციცინებს თვალებში და
ჯენტლმენურად მომილოცავს დაბადებას.
მესტუმრება მალე ჩემი ნოემბერი,
წელს მაჩუქებს იმედებით, რწმენით სავსეს,
მომეხვევა, მომილოცავს კიდევ ერთხელ,
და დამლოცავს ასჯერ არა,მეათასედ.

* * *

მე ჟამდალეულს მწვავდა სურვილი...
ვთენდებოდი და ვეღარც გავთენდი...
და შეშლილივით დავდევდი ლანდებს,
კალამი იყო სხვაგვარი დენთი.
და იწვებოდა ფურცლები ალში..
გულზე მეფინა ნაცართა გროვა,
ქარს კი მიჰქონდა ღია სარკმლიდან
შეშლილი ქალის დარდი და გლოვა.
მე გათენებას ველოდი მაინც,
ეს ბრძოლა იყო თუ ბედისწერა..
მე შემომაკვდა შეშლილი ღამე
დამნაშავემ კი შეწყვიტა წერა...

* * *

თენდებოდა სიყვარულის ნაზი ღამე...
წამწამებზე მადნებოდა ფიფქივით,
ხელს მიქნევდა სარკმელიდან
თეთრი მთვარე,
მტოვებდა და მიდიოდა ლანდივით..
სევდა ეცვა სურვილების აგონიას,
ფერმიხდილი ირხეოდა ნისლები,
მთვარის ტრფობა აგიჟებდა მაგნოლიას,
ეშლებოდა სატრფიალო მიზნები..
ბარბაც-ბარბაც გაიპარა ვარსკვლავები,
რად მიცქერდნენ ამრეზილად ვერ ვხვდები,
დილის ნამმა დამიცვარა წამწამები,
ჩემთან ერთად ქვითინებდა ვერხვები.....

* * *

გაკოცე და.... შეფრთხიალდი,
გამიფრინდი როგორც გნოლი,
თავხედიო, მომაძახე,
არა ვარო, შენი ტოლი.
მეღიმება.....შორს არ წახვალ,
მოეფარე, ვხედავ თხემლებს,
აი,ნახავ, დაგიჭერ და
კიდევ ერთხელ ვითავხედებ.

* * *

მადლობა, რომ არსებობდი დედი,
მადლობა, რომ გულში ახლაც მყავხარ,
სხვა სიკეთე რა ვინატრო მეტი,
უფალს ვმადლობ დედაჩემი რომ ხარ.
გული სევდა-ნაღველით მაქვს სავსე,
ჩემს სატკივარს ახლაც ისევ განდობ,
ფრთებდაჭრილი არწივის ვარ მართვე,
ცაში აჭრას უშედეგოდ ვნატრობ.
მენატრები,ჩახუტებას ვნატრობ,
შენს კალთაში რომ მოვითქვა სული,
ბავშვობაში გაბრაზებდი ვნანობ,
ეხ,რამდენჯერ მიტკენია გული.
გავიზარდე,ახლა მე ვარ დედა,
მეც შენსავით შეყვარებას ვცდილობ,
გთხოვ,მასწავლე როგორ ვძლიო სევდას,
უშენობას როგორ შევეჩვიო.

* * *

მიზოზინებენ ვით აქლემები,
ეს კუზიანი ავი ლანდები,
როგორც უდაბნოს ბედუინები,
მიმაქროლებენ ჩემი დარდები.

ფიქრის სადავე მოვქაჩე ულაყს,
დროც კი ვერ მშველის ამაოდ დამშვრალს,
გადავდე თავი,მივენდე უფალს,
სულს დამიმშვიდებს უაზროდ მავალს.

მეყო,რაც ვფანტე ბოდვა უაზრო,
ვეჯიბრებოდი მოგონილ ქარებს,
გთხოვ,გამინათე გზები უფალო,
ნუ შემახვედრებ ნისლიან დარებს.

ნუ ამაცილებ სწორი გზით სავალს,
შეცნობა მინდა ყოფიერების,
შენი შუქისკენ ჩოქვით მომავალს,
ლოცვა მასწავლე მადლიერების.

* * *

დგას გზისსაყართან ქუდით ხელში,წელში მოხრილი,
ბექებზე ადევს მძიმე წლები, სავსე ტკივილით,
ქვადქცეულ გულში ვერ იცოცხლა იმედის სხივმა,
გულის სიღრმეში ისმის ჩუმი, უხმო კივილი.
გული,დაღლილი ლოდინისგან ძაფზე ჰკიდია,
დღეს მერამდენედ გაიარა ეკლის ბილიკი,
 აშრეტილ თვალებს მხოლოდ ,,მისი" სახე შემორჩა,
ყურში ჩაესმის გამვლელების ურცხვი ქილიკი..
ნუ უწყალობებთ ხურდა ფულს და ნურც დაამადლით,
სითბო მიეცით ერთი სიტყვით,იქნებ გადარჩეს,
არავინ ვიცით,მომავალში ვის რა შეგვხვდება,
ყველას უფალი გამოუტანს მის წილ განაჩენს.

* * *

მე შენი სულის უნაზეს სიმებს,
შევუწყობ ჰანგებს და ავკვნესდები,
და ღამე წმინდა იქნება ისევ,
შენი ხატის წინ როცა დავდნები.

მერე უეცრად მოვარდნილ ვნებას,
შემეცოდოს და ვეღარ ვკრა ხელი,
გული ურჩია,თანაც თავნება,
მაგრამ ერთგული შენი და ჩემი.

გულში დანთებულ პატარა ხანძარს,
სულს თუ შთაბერავ აწრიალდება,
და ჩვენი ვნება წრეგადასული
გულის სიღრმეში აბრიალდება.

სარკმელს გააღებს სული ხმაურით,
მზე ალიონზე თავს დაგვადგება,
და განთიადი აურზაურით,
ულამაზესად დაგვათენდება.

* * *

ბაღში, მიტოვებულ სკამზე, ჩემი სიყმაწვილე დარჩა,
ფიქრში აკინძული ფოტო გულის ცხრაკლიტულში ჩარჩა.
მახსოვს, მოფერება ქარის, კრძალვით მეხვეოდა ყელზე,
თითქოს უტეხი და ლაღი, მეჩურჩულებოდა შენზე.
მახსოვს,მელოდია ნაზი,მკერდზე დაბნეული წვიმა,
ქარო,ამიტაცე ცაში,ჩემი გაზაფხული მინდა.
ახლა,შემოდგომის სუსხი,ფიქრებს დამალეწავს თავზე,
გული,თავხედი და ურჩი,მაინც მეოცნებე ცაზე.
მინდა სიყვარულით დავთვრე,სუსხი შემოდგომის შემშლის,
თმებში ვერცხლისფერი ჩქერით,სულის გაზაფხულებს ველი..

ბაღში, მიტოვებულ სკამზე, ჩვენი სიყვარული დამრჩა.....

* * *

ღამეს ტეხდა ოცნებები ძველ ბუხართან,
ფანჯარასთან კისკისებდნენ ფანტელები,
ძველ ჯორკოზე, ცეცხლთან ახლოს,ნაკვერჩხლებთან,
ქოთქოთებდნენ შემცივნული ვარსკვლავები.

მთვარეს შურდა ვარსკვლავების სითამამე,
ვერხვის ტოტზე ჩამომჯდარი თითქოს თვლემდა,
შერჩენოდა ძველებური სიამაყე,
და წარსულის ლანდებიდან ფურცლებს ხევდა.

ფარფატებდნენ ფანტელები ფთილა-ფთილა,
ბუხარში კი ტკვარცალებდა ნაკვერცხლები,
ღამე იყო. უთეთრესი,როგორც დილა,
ბუხართან კი ტრიალებდა ვარსკვლავები.

* * *

შენ ეხებოდი ჩემს სულს რითმებით
და ყოველ პწკარში თოვდა სინაზე,
იდგა წუთები არდავიწყების
ყველა ლამაზი ქალის ჯინაზე.
შენ მე გიყვარდი ყველაზე უფრო,
მამაკაცური ჟინით და ვნებით...
და ეძლეოდი თავდავიწყებას ....
სტროფებში გრძნობის აფეთქებებით.
მეც მწვავდა შენი ცეცხლის ალები,
გეტრფოდი ჩუმად...ქალური კდემით,
ორივე ერთი მუზის მსახურნი,
ვიწვოდით სიტყვის აბდაუბდებით.
ახლა...ვკითხულობ იმ ძველ ნაწერებს
და სტრიქონები ალდება ისევ,
იმ გაფრენილი წლების სიგიჟე
ისევ საოცარ შეგრძნებებს მისევს .

* * *

ვწერდი ოდესღაც ურითმო ლექსებს,
ვწერდი წვიმაზე, ქარზე, გრძნობებზე,
და ნაცოდვილარ მჭლე-მჭლე სტრიქონებს
ვფენდი ნაწვიმარ ცისფერ ღობეზე.
ქარი აშრობდა დამბალ სტრიქონებს
და მარცვალ-მარცვალ კრეფდა ბეღურა,
მე ვიგონებდი ახალ იმედებს,
რომ დარდი წელში გადამეღუნა.
ცაზე ვარსკვლავიც ბევრჯერ დავთვალე,
მზეს დავესესხე სხივების კონა,
მთვარეს მოვარგე შუშის სათვალე
და შევიქენი მუზების მონა.
მე ტყვე ვარ ახლა ჩემი ფიქრების
და ჩემი ტყვეა კალამი ლურჯი,
მე მარტოსული აღარ ვიქნები,
რადგან მეტყველებს პოეტის ფუნჯი.



მანანა სამყურაშვილი

იზრუნე მზეო! იზრუნე...

იზრუნე მზეო! გაათბე,გაყინულია გულები,
ბუნებამ უკვე გაავსო ყინულით ტოლჩა,სურები,
ზამთარი მანტიას იკერს,ფიფქის კაბებიც შეკერა,
ნისლში გახვეულ მთებისთვის მზადაა თოვლის საბნები.

სუსხი გარს შემოგვხვევია,გაფითრებულა ხელები,
შენც სიძლიერე აჩვენე ზამთარს ჩაუდნე პლედები.
ყინულის ტბაში ცურავენ უკვე ხნიერი გედები,
მათ უკანასკნელ სიმღერას მეც სევდიანი შევხვდები.

ხომ არ გგონია სამყაროს მე სამუდამოდ შევრჩები!
მიღიმის ანგელოზები,გამოწვდილი აქვთ ხელები.
გზა ავირჩიე უფლისა,მხოლოდ მის მცნებას მივყვები,
სიცოცხლე ფერებს იმცირებს, ცრემლით ივსება თვალები.

მზეო! გაგვათბე, გაგვათბე, ცის თაღზე ააგიზგიზე ბუხარი,
სიცივით გული მითრთისდა ვზივარ მარტოდენ მწუხარი.
სუსხი გარს შემომხვევია მიყებფს ვით ავი აფთარი,მე მას
რა შევაგნებინო,ბობოქრობს ყინულის ეტლით ნატარი.

იქნებ ვეცადო...

სადღაც დაბნელდა,
სხივი ჩამოწვა,
დარდის ღრუბელი
მზემ ვერ ამოწვა.
გულმა დარდები
ექოდ გამოსცა,
ეს იყო ალბათ
უფლის გამოცდა.

ვფიცავ, ყოველი
ნაღდი, მართალი
სიტყვა ამომხდა,
ვთქვი,მერე,
რატომ მემდური,
რა მოხდა?

გავინაპირე, მეც
განზე გავდექ,
მზესა და მთვარის
შუაში ჩავდექ.
მთვარე დადუმდა,
მზეს გაებუტა,
ღრუბლის საბანი
გადაიფარა, მას ჩაეხუტა.

სხივნარევ გულში
ცეცხლი აინთო,
იქნებ ვეცადო
ხელი გავითბო.
რომ შემდგომისთვის
კალმის წვეროთი
სხივი გავფინო.
ჩემდა გარშემო
სულ სატრფიალო
სიტყვა გავფინო.

თავისუფლებას მოწყურებულმა
მშვიდობის მტრედი ვაფრინო.
ო როგორ მინდა ყველგან
მოდარდე გულები ვალხინო.

პაპამ ქუდი მე გადმომცა...

გინდაც ტყვია დამახალე,
მე სამშობლოს ვიფიცებ.
მტრის ჯინაზე ქრისტიანად,
მე ქართველად ვიჯიშებ.
ისევ დაზრდის ლომი ბოკვრებს,
ხმლით გამოვა ჩემი დედა ქართლისა.
წინაპრების გული გმინავს,სისხლით ნაჩქეფ
წმინდა მიწას არ დაგითმობთ არვისა.
კრწანისის და დიდგორის ველს,
მტერზე როგორ გავყიდი,
პაპის გულზე ნაყარ მიწას
ჩემს თავზე არ გავცვლიდი!..
პაპამ ქუდი მე გადმომცა,
ნამუსის ვარ მძევალი,
მან იდარდოს ვინც ოდესღაც
ჭამა მჟავე ტყემალი.

დამავიწყდა...

ჩემი ხელით ვქარგე გუშინ,
ვარსკვლავები,მზე და მთვარე,
ცისარტყელებით მოვქარგე
ცის ტატნობზე მთელი არე.
შემოცურდა გულში სხივად,
ჩემთან დარჩა ღამით მთვარე,
გულის კარი გავუხსენ და
სამუდამოდ გადავმალე,
ახლა ვეძებ ცის კიდეზე,
მწარე ცრემლი ჩამოვყარე,
დამავიწყდა გუშინ ღამით
გულში ჩუმად რომ დავმალე.

გთხოვთ, შემისრულეთ...

გთხოვთ, დამმარხეთ ყვავილთა ნამში
რომ სურნელება სულს ეფრქვეოდეს,
ედემთა უცხო ყვავილთა ბაღში.
ლექსი მღეროდეს,მუზა კიოდეს,
სისხლი ადუღდეს მკლავებში,ძარღვში,
არ მასვენებდეს,თვალს ვერ ვხუჭავდე,
სიკვდილ სიცოცხლის ზღვარში.
ეს შემისრულეთ, გთხოვთ რომ დამმარხოთ
ჩემი ლექსების ზღვაში.

არაფერი მსურს უფალო შენგან,
მომახატინე ზეცის გუმბათი.
ვიხილო შორი მანძილი ახლოს,
სუფთა სულით და თვალთა ლუპათი.
ციდან მომესმა ხმა და ძახილი,
მივაყურადე,ხმაა მქუხარი,
სულის საკვები წყარო ვიხილე,
გახლდით ნანატრი მისი სტუმარი!..

მოვაჩუქურთმე,ლექსი შევმოსე,
მიმოვაბნიე მაღლა ღრუბლებში,
არაფერი მაქვს ესე ძვირფასი,
შემოვინახე ზოგიც უბეში.
ახლა მჭირდება თქვენი აზრები,
თქვენი ლოცვა და სულის ნუგეში,
სიხარულის ცრემლს შემოვინახავ
ღამენათევ თვალთა უპეში.

სიყვარულისთვის ანთია გული....

გული გაჩუქო? უკვე წამებულს
სულის არაკი არ შეუძლია.
გამოხრულია,დარდებით მავალს
ბევრი ქარ-ცეცხლი გამოუვლია.
წვიმაც ალერსით მომდევდა უწინ,
ცრემლებს მაყრიდა მადლიანს,
მე ვერ ვამჩნევდი მისსა სიყვარულს,
მივხვდი არ გავდა ცრემლი დარდიანს.
ქარსაც ვყვარებივარ მასზე ძალიერად,
კუდაწეული გარშემო ცეკვით მივლიდა,
ჩანისლულ წამწამზე ცრემლებს მაცლიდა
და ნიშნად სიყვარულისა ზეცას აწვდიდა.
მას მივყვები სანამ გული დადნება,
დრო ნაწამებთან სული ჩაქრება,
სანამ სიცოცხლის ბოლო სხივი
გამოილევა, თვალებში ჩაქრება.
ნათევ-ნათელი, ნაწამები,შრომით მოღლილი,
შვილთა ტრფობაა მისი ალერსი,გულს დაამებს,
მისი ნაყოფი ესოდენ ტკბილი შაქარია და
ფესვთა ძლიერი სამკობელია, ხილვა მაამებს.

დაიფარე დედაო!!!

საქართველო! ფრთებ დაჭრილილო არწივო!
ვერ მოშუშდა სისხლი ჟონავს ვარამის...
    გულში დარდი ჩაიყოლა ვაჟამაც,
    პირჯვალს გწერდა მისი ოქროს კალამი.
გული დარდით ვერ იშუშებს იარებს,
თვალი ცრემლით აივსო და ღვიარებს.
    ამ უგულო დედამიწას მტრის ხელი ატრიალებს,
    ალბათ მალე დაისვენებს სულ რომ გაატიალებს.
ჩემი გული ამ დარდებით დავატყე გაცვეთილა,
ძარღვში სისხლი არ მოძრაობს,ვენები დაწყვეტილა...
    ბაღში ია, ვარდი ვთესე, ეკალი მობიბინდა,
    ჩემი ვენახი გამხმარა,მტრისა გადაბიბინდა,
    მე ცრემლები ჩამომდისდა მტერი გადაფიჩინდა.
ვერ წალეკავს, ვერ დაანგრევს ყინული და ზვავები,
გინდაც მრავლად შეესიოს ყორანი და სვავები.
აღარ გიღირთ სასიცოცხლოდ ცოდვიანი თავები...
    საქართველო დაიფარე ხვთისმშობელო დედაო!
    მომიტევე, მაპატიე, შენთან თხოვნას ვბედავო,
    ვხედავ უჭირს,სულსა ღაფავს დაიფარე დედაო!!!

სიბერე...

სიბერე კართან ჩამოდგა,
მიყურებს ვითა მხდალსაო,
ვხედავ ფერხულში მომდევს,
ლაღად მისწორებს მხარსაო.
    მომდევს,მიყურებს ამაყი,
    აღარ მაცილებს თვალსაო,
    შევეკამათე, ვედავე,
    შევატყე მადებს ვალსაო...
ღამეებს თეთრად ვათენებ,
თან კარს ვადევნებ თვალსაო,
ეგების შემომეპაროს,გამიჩენს
დიდ სადარდებელს, ჭვალსაო.
    კარში უაზრო ყურებამ
    მე უკვე გამაწამაო,
    სიბერე თავს დამადგა და
    სიცოცხლე გამიწამაო.
სხეულს მოედო ხავსივით,
ვერაფრით მოვაცალეო,
მასთან უძლური გამოვდექ
ტანჯვა რომ დავაცალეო.

ოქროს აკვანს მირწებდა...

ცას დარდების ღრუბელი გულზე შემოეყარა,
მზეს დარაბა გაეხსნა, და სხივები უბიდან ჩემთვის ჩამოეყარა,
ეხ,ნეტავი უფალო, რად მინდოდა სხივები,
როცა ყელზე მაწყვიტეს მე სიცოცხლის მძივები...
    შენი ნაწამები შვილი ახლა დარდებს განვიცდი,
    მოშურნეებს გულში ჩუმად და ალალად დავითვლი,
    არ მსურს მათი შედავება ღმერთო! მე შენ დაგიცდი,
    რადგან ვიცი მამავ ჩემო, ჩემზე, მეტად განიცდი.
ოდეს როცა დავიბადე... მარიამი დედა ძუძუს, შენ მანანას მაჭმევდი,
უკვდავების სხივებს გულში, ტანთ მზის კაბას მაცმევდი.
ბავშობაში მახსოვს ბანზე ჩემს აკვანს რომ არწევდი,
შენი დიდი წყალობაა სურვილებს რომ ვახწევდი...
    მარიამი დედა ნანას ტკბილი ხმებით მიმღერდა,
    ირგვლივ ყველა მდუმარებდა,ხმას არავინ იღებდა,
    ან კი როგორ გაბედავდნენ თვით ქრისტე რომ ითმენდა,
    დედა, ტკბილი ნაზი ხმებით ოქროს აკვანს მირწებდა.

მეკი ვეტრფი მაგრამ...

ჩემო ქალბატონო,ქალავ!
შენთან ყოფნა მიხარია,
ჩემი გულის კარიბჭეში
შესასვლელი გიკავია.

გინდა გახსნი,გინდ დაკეტავ,
გინდ გამიშლი ფიანდაზებს,
გინდ გულიდან ამომიშლი,
ვარდებსა და იან-ნაზებს.

ხელს ჩამკიდებ ტრფობის ნიშნად,
მთელს სამყაროს მომატერებ,
მოინდომებ? გულს გამიპობ,
ბეწვის ხიდზე გამატარებ.

ჩემს საქციელს თუ გაშიფრავ,
ტალახიანს ჩამატარებ,
რადგან როგორც თოთო ბავშვი
შენს სურვილზე დამატარებ...

ჰოდა ჩემო, ამასა გთხოვ,
მეტად ნუღარ გამაწამებ,
სანთელივით ჩამოვდნი და
უფრო მეტად ნუ მაწამებ.

ერთსაცა გთხოვ,მიპასუხე!
შენი ამ საქციელებით
შენს თავს ნეტავ არ აწამებ?!
სიყვარულის ენას არ ფლობ,
სხვისი ტანჯვივით გულს აამებ.
.....
მეკი ვეტრფი მაგრამ
მის გულს ვერაფერი შევასმინე,
თავი ისე ასწია რომ
ხმაც კი ვეღარ შევაწვდინე.

ქალი, ქალი, ო, რა ქალიო...

ირწეოდა ქალი ტანად,
ვით ლერწამი ალვისაო,
ყურზე ება ნაზი ბროში,
ლამაზმანას ქარვისაო.
    თვალს წამწამი უმშვენებდა,
    ჩერო ვითა გედის ფრთისო,
    სხივი თვალზე უკრთებოდა,
    ამომავალ დილის მზისო.
ტანად ლერწამ,ალვისაო,
ბაგე ნაზი ვარდისაო,
ტუჩზე ხალი მოხატული,
ვითა უცხო კალმისაო.
    თვალნი ნაზი შავ-შავი და
    მსგავსი ვითა მაყვლისაო,
    ამონაჭრელ დეკოლტეზე,
    ყელი თეთრი ბროლისაო.
შუბლზე ორი გედის ფრთა,
მხარს ნაწნავი გიშრისაო,
ბაგეს შიგან კბილნი ვითა,
გაწყობილი მძივისაო.
    გულში სხივად შემოვიდა,
    ქალი, მეტად ლამაზიო,
    მას დავუთმე სრულად
    ჩემი გულის დარბაზიო.
ამოვიღე ცხვირსახოცი,
ოქროს ძაფით ნაქარგიო,
თვალზე ცრემლი მოვწმინდე,
თან დავლოცე, დაქალდიო.
    მითხრა, ასე არვის უთქვავს,
    მიტომ სახლში დავჟამდიო,
    ძველი ღვინის დედასავით
    მარტოდ ასე დავძმარდიო.
ქალი, ქალი, ო, რა ქალიო,
ანგელოზის სადარიო,
ვერვინ ვნახე მისი მსგავსი,
ტურფა თვალის შესადარიო

თემურ გოგსაძე

მოგზაური

მარადიული ვარ მოგზაური –
სხვა დროში ყოფნა, მრავალჯერ ვიგრძენ...
დადგენილია ღვთის საზღაური,
სიკვდილი, სულ სხვა დატვირთვას იძენს!..
ღვთისმორჩილება ძლივს დავიმკვიდრე,
სულმა და გონმა – ხიფათი იგრძნეს!...
ცოდვა და ჭმუნვა, არის სიმდიდრე,
სამყაროსეულს ვაგროვებ, სიბრძნეს!!!
სიყვარულია, რაც მაბადია,
ყვავილებივით, ვარიგებ სითბოს...
ყველა ღვთისაგან დანაბადია,
ბოროტისაგან გამოხსნას, ითხოვს!!!
დავალ და დღემდე – ნათქვამს და საქმეს,
თავისუფლების სასწორზე ვწონი!..
უსაზღვროების ხატი მაქვს, აქ, მე –
სვეტიცხოველი თუ პეტრიწონი*!!!
წუთისოფლის ხმა, როცა მიწყდება,
სამსჯავროს კართან, მცირედ ვისვენებთ?!
ბევრი რამ მართლაც დაგვავიწყდება,
თუმცა სიყვარულს, ყველგან ვიხსენებთ!!!
ღვთაებრივ არსში – გადაწყვეტილი,
მიიღო უცებ – მართლაც რთულია!..
თვითონვე არის ათვლის წერტილი,
რაც, ჩვენი აზრით, დასასრულია!!!
და ამიტომაც, რწმენით სულს ვივსებ,
აღარ ვსვამ, კითხვებს – ვინა ვარ? – რა ვარ?
მომიწევს რიგი და მოვალ ისევ –
მარადისობის ფერხულში ვდგავარ!!!

* პეტრიწონი – ქართული მართმადიდებლური ტაძარი ბულგარეთში.

არსებრიობა

ცა გადმომაყრის ვარდის თეთრ ფურცლებს...
მარადისობის ვძერწავ სტრიქონებს!..
თქვენ ამ წამს,
როცა ჩემს ფიქრებს უსმენთ,
სხვა დროში, ვიცი, ვიღაც მიგონებს!..
ვიღაც ისე ვთქვი, რაც მთავარია,
სიყვარულია მისი სახელი!..
დროები ყველგან ერთად არიან,
ხშირად ვარ ამის,
შემგრძნე, მნახველი!..
ეს კოსმიური გადაწვდომაა –
მიაქვს სუნთქვა თუ ჩემი სისხლია...
განა ბოდვა ან გადაცდომაა,
რაც არ ვიცით
და ვერ აგვიხსნია!!!
ყოველ ჩვენგანს ხომ იესო ქრისტე
ჯვარს გაგვიკრავს და ჩამოგვიხსნია(?!)
საუკუნოვან ცოდვის გვირისტებს,
სიყვარულისთვის თუ აგვიხსნიან!..
მცნებათა დაცვას – ცოდვათა კლიტეს,
შეგვაგონებენ, ასგზის გვიხსნიან...
ღმერთს და სატანას
ერთად რად ვიტევთ –
ვცდილობთ და მაინც ვერ აგვიხსნია?!
სამყაროს მკერდზე
ვჩნდებით-ვიცვლებით...
მონანიებულთ – სასჯელს გვიხსნიან..
თუ სიყვარულში გარდავიცვლებით
მარადისობის კარებს გვიხსნიან!!!

1998 წ.

სიყვარულის მარადისობა

და იქმნა არსი! –
მამა-უფლის ღვთაებრივ გონით!..
ჭეშმარიტება სამყაროში ასე იშობა!..
აწცა, ვერასდროს
გადაწონის ეშმა-დემონი,
რამეთუ ავსებს –
სიყვარულის მარადისობა!!!
და სული ჩვენი,
სულიწმინდის ხდება ზიარი,
ოდეს შიშს ბადებს, მხოლოდ, უფლის
უკმარისობა!..
ვისშიც და რაშიც,
ეს კრძალვა და ესე მზე არი,
კარიბჭეს უხსნის –
სიყვარულის მარადისობა!..
უნდა დავბრუნდეთ!
ერთმანეთში ვიპოვოთ სული,
თუ მართლა გვინდა კაცთა მოდგმას, ისევ
ღვთისობა!!!
რადგან ჩვენცა ვართ –
დასაწყისი და დასასრული...
და აღთქმული გვაქვს –
სიყვარულის მარადისობა!!!
აჰა, გიპოვე...
ეს სილურჯე სრულიად მავსებს...
და ჩვენშიც, ახლა,
პირველქმნილი გრძნობა იშობა!..
სრულყოფილებას დრო
ვერასდროს გადააფასებს
და შეგვიერთებს –
სიყვარულის მარადისობა.

კობა ადეიშვილი

* * *

ვუძღვნი შვილს ოთარს.

მთელი! სიცოცხლე მენატრება შენ გვერდით დგომა.
მსურს! ჟრიამული კვლავ ვიხილო ვისმინო ამინ!
მითხარი! ისევ, მომეხუტე მომანდვე ძმობა.
მკითხე როგორ ხარ? დამაბრუნე შენ გვერდით მამი.
მომეცი ხილვა ხელი დროში „დარბაზის სუნი“
მარჯვენა მკლავი გადამხვიე ჭიდაობ ბედო.
მორცხვი ცხოვრება გავაბრუნეთ ტატამი მგელი.
მოსიყვარულე ეს თვალები როგორ არ გენდო...
მკითხე სიცოცხლე მენატრება ვიგონებთ სიტყვას.
მამისოული კისკისი შენ არსებობ კაცთა.
მთის მწვერვალებზე შემოვძახოთ ფეხბედნიერი.
მზის სიყვარულში დარიავდარი ცნობილი აღთქმა.
მთელი ამბებით მენატრება, შენ გვერდით დგომა.
მონატრებული დროში. ვსაუბრობ გიწოდებ ისევ.
მამლის ყივილზე ალიონზე ვიძახოთ ოდა!
მამაშვილური სიყვარულის სიმღერას ვიწყებთ.
მთელი ცხოვრება მენატრება,,დარბაზის სუნი"

11.02.2020

* * *

ექსპრომტი

ცრემლი გაშრა, იფიტება სიცოცხლის ხე!
ცრემლი თითქოს მარტოობის მიზანი.
ღრმა წარსულში დარჩენილა მღელვარება,
ცის ეკრანზე ჩნდება ცოდვის ნიშანი.

ტირის ღელვა, აუკლია არე-მარე!
ტირის სევდა ასწლიანი მუდარა.
მსტოვარია შენებრ ფიქრის ორეული,
დღე სარკეში აგროვებდა მუქარას.

დარდი იწვის, ოკეანე ფიროსმანის!
ათამაშებს არკადეას, რკინის დრახმა,
ციხის კედლებს აფერადებს მოგონება,
ლექსად ვწერდი სამზეოზე რაც გადამხდა.

თვალის გუგა ამიჭრელდა! სტიქია ხარ;
ადრე მინდა გავიტანო მაშვალო,
სიყვარულის პატრიარქი გამოვდექი.
შენში ვხსნიდი ამოუცნობ სამყაროს!

ნაწილები სხეულიდან გამიცვალე!
ვსუნთქავ, ხანაც დარდიანი ვეწევი,
იქნება მალე გამეცალოს სატანჯველი,
დრო მოვა და,... გალავანში გეწვევი.

11:05:2021

ავტოპორტრეტი

ვუძღვნი უფროს ქალიშვილს „ლილეს“

ხატავდა მხატვარი აზიდულ იალქნებს,
არწევდა ტალღები შუქურას ნამიანს.
გათავდა მანძილი ჰორიზონტს მიაგნეს,
ტილოზე ხატავდა სველზე სველ მანტიას.
არკვევენ ერთმანეთს რომელი ერთია?
ქვიშის საათს წააგავს, მაგრამ სულ თეთრია.
ჩუმი ხმით ჩაესმის, მოჭიმულ ბაგირზე
ნათელში მხატვარი, ბნელში კი ღმერთია.
ფუნჯების ოსტატი ცას გაყოფს თანაბრად.
იწყება ფერების წესებად დაყოფა,
ტილოზე გროვდება ცრემლები ანაბრად
ხატავდა მხატვარი ცხოვრებას გამყოფად.
მზეა და ასველებს რაღაცა ფარულად
დაუტყდა ფუნჯები სანთელი ჩაუქრა.
გაუქრა სურვილი პორტრეტის ამოხსნის
უეცრად ტილოზე ფერები ჩამუქდა.
ანარეკლს დახატავს, ტალღები კიაფობს.
გაისმის საყვირი უეცრად შეაკრთობს,
უნდოდა ჩატევა ნახატში კიდობნის
გამოვა ისე რომ! თავის თავს შეამკობს.
ედრები! არ იცი? ვის ხატავ ბნედიანს
გაბედე? „დავინჩი“ შენ თავსაც მიანდო.
დასრულდა ოცნება, უცნობი გესიზმრა
ნახატმა ფიქრები ფუნჯებით გიამბო.
ისმოდა ზარების ეჟვნებზე გამომბა.
სველდება მხატვარი, ტილო კი დაობდა
არკვევენ ერთმანეთს, რომელი ერთია?
მხატვარი ნახატში უდაოდ ღმერთია.
გაუქრა სურვილი ამოხსნა გონია.
სხვა მხრიდან გახედა მონეტა ბონია.
აფასებს თავისთვის რა შექმნა უეცრად
ხარხარებს ფარულად მანძილი შორია.
გაცოცხლდა ნახატი სხვა ფერებს მოითხოვს.
მანტია გათეთრდა, უსისხლოდ დალია
პორტრეტში მხატვარი თავის თავს შეიცნობს,
ნატურმორტს ოდესღაც ხატავდა ბრალიანს.
ეწყინა! ვერ მიხვდა? უაზროდ დახედა
ტილოზე ღიმილი მორჩა და გახევდა.
გაბრაზდა! ადგა და დახევა მოუნდა
თვალმა კი თავისით ფუნჯებზე გახედა.
უყურებს. ერთმანეთს წააგავს ძალიან
არადა მხატვარი არსებით ქალია!
როგორ და რა რიგად ამოხსნა გონია,
იცოდა პორტრეტი სცენარის როლია.
იცოდა! იტირებს ტილოზე „გობელინს“
სამყაროს დასწყევლის, განაჩენს მოელის!
უდაოდ ბნელეთში ნათელში მკვეთრია
პეიზაჟს დახატავს ზღვასთან ის ერთია.
მოუსვა ფუნჯები ზეთები წაუცხო,
თავისი ნახატი გაუხდა მას უცხო.
ეცადა ნახატის თავიდან ამოხსნა,
არადა იცოდა! მიხვდა ვერ გაუგო
იკითხავს! ნახატი მე ხომ მგავს ძალიან?
არადა მხატვარი არსებით ქალია!
ენდობა ფუნჯის ხმას, რომლითაც დახატა.
იცოდა მხატვარმა რისთვისაც ხატავდა.
მოწყინდა უაზრო გარჩევა თავისა,
მოწყინდა იალქნის, ქარისთვის აზიდვა
ჩამოწვა სიჩუმე! ნახატი წაიღო
ანარეკლს ტილოში ალღო ვერ აუღო.
არკვევენ ამჟამად რომელი ერთია?
ნახატში შედევრი! ქალი თუ ღმერთია?
იცოდა ოსტატმა გენიას ხატავდა,
იცოდა მორიგი შედევრი დახატა.
ხატავდა მხატვარი ჩამქრალი ვულკანებს,
არწევდა ტალღები შუქურას ნამიანს.
დგანან და არკვევენ ერთურთში სიმართლეს!
არადა მხატვარი არსებით „ქალია“.
ტილოსაც ადარებს, პაპირუს, პერგამენტს.
გამვლელში შეხედა გიჟივით მთვრალია
არადა „მხატვარი“ ღიმილით შეაქეს
წკრიალებს მონეტა შექმნილი ვალია.
კიდობანს ალაგებს, გაჰყვება ნაპირებს.
გამვლელი აყოლებს სევდას თან დარდიანს.
მხატვარი იღიმის, იტირებს უაზროდ!
მასში ხომ არსება. ნაზი და ქალია!
გაუქრა სურვილი პორტრეტის ამოხსნის.
უეცრად ტილოზე ფერები ჩამუქდა .
ანარეკლს დახატავს, ფუნჯები კიაფებს
მასში ხომ უბრალოდ „ოცნების ქალია“

24.09.15

* * *

ზეცა ნატრობდა დილის სინაზეს,
ჩუმი ტაროსი შემოფეთებას,
შემომაღამდა ფიქრში სიცხადე,
შეიცან თავი! დღე გევედრება.
ზღვის მელოდრამა ქალი დავლური,
ღრუბელთა დარდი სიმშვიდე მერმის,
ვიღაც იღიმის, ამშვენებს ატლასს,
ვიღაც კი სულში! მაფურთხებს მერჩის.
ნატრობდა ზეცა ეიფორიას,
ღვინის დოქებით ვავსებთ ფიალებს,
ირმების გუნდი წყარო ანკარას,
მთებში მყინვარი ცივს და, მძვინვარებს!
მთვარემ მიამბო წუხელ ზღაპარი,
მითხრა ბოდვაა მაგრამ მიყვარხარ!
მზის საგალობელს, კამარას წვიმის,
თაფლის თვალები ცას შეედარა..

ვმღერი ვარსკვლავი, ვამეტებ დროში!
ცხოვრებამ ფრთხილად დამიგო მახე,
ეხლა ის დროა ავიღოთ ხელში,
რითმები ლექსის, დღე მოდი მნახე.
სიმღერა,გრძნობა, დარდი სიცილი!
არეულია ღამის სონატა,
ლოდინი ერთის, ღეღვაა ზეცის!
ბალზაკი „ხატავს“ რაც კი მებადა.
მწერს და მისტირის ყოველ ზმანებას!
წერილს გიგზავნი ღია ბარათებს
ზეცა ნატრობდა დილის არენას -
თბილისურ ფონზე დღის ბაითებს.

„ვდგევარ და ვფიქრობ სად შემეშალა“.

13: 08: 2021

* * *

მობნეული მთვარის
შუქზე ნეტარება!
ცივ მოსასხამს
მოიხურავს ღამე,
ცრემლში დნება
სიყვარულის ესტაფეტა,
გაიღვიძე გთხოვ
მითხარი რამე...

დილის შუქი ანგრევს
ჩემში „ამერიდო“
ამარიდე სატანჯველი განცდა,
თეთრ ზეწარში
გახვეულა ნატვრის თვალი,
შენ სხეულში
მოვინდომე დაცლა...

დაცდა წუთის!
დაცდა წამის მარგალიტის!
ათას რამეს,
ას უნაგირს ბედავს.
მარადია სამუდამო
ტიტრი, მკრთალი
თითქოს დიდსულოვნობს
სევდა.

მტანჯავს ღამის
ნიაღვარი, შეძახილი!
რა იქნება
შემაშველე დროში,
მირჩევნია ნატანჯი
დღე ნათენები,
მზე ზეცაში
გაქიმული მოლში...

მწვანე, ჩიტებს
ფერად თითებს
კოცნის ქალი!
მთა ნავარდობს,
სანავარდოს გზებზე
ცივ მოსასხამს
მოიხურავს გაშმაგებით
კაცი ბინდში
შემომყურებს ქედზე...

***

თბილი ბუნების ნება-სურვილი!
ცხოვრება ცაში საწინდარია,
„დრონი მეფობენ არა მეფენი“
სივრცე ნაშობი გასატანია ...
    გასათევია ღამის აჩრდილი,
    ტკივილს მწუხრის დროს
    ბადებს მანძილი!
    სიცხეში ვიწვით, ყინავს ლავიწებს,
    პატივცემულო ღამეში ვტირით...
დაღამდა, დილის მეტამორფოზა,
ჩვეულ ბილიკებს ავუვლით დროში!
დავამსხვრევთ ბორკილს კაპერმნაუმის,
ავკაფავთ ნარებს, სიცოცხლის დროშით.
    მაჯას დავიდე ხმაურით ელავს!
    საათი ისრის იყავ მესტვირე –
    შენი ალერსი გამახსენდება!
    გაგახსენდები! იყო ხელმწიფე...
ბოდავს დუმილი სიზმრების ხუნტა!
იძახის ვიღაც ცრემლები კვდება -
ეს თებერვალი მალე გათავდა,
მომავლის დღეზე თოვლივით დნება...
    ჩუმი სამოსი სასამართლოსი!
    ქვიშის ლავანდას აფრები ჩქარა -
    სადღაც ღამეში წავიბორძიკე
    ოთახში ბნელა ლამპარი ჩაქრა...
მეძებდა დარდი ამოუცნობი!
ვქურდავდი წყვდიადს ამორძალების -
შემომეძარცვა ცნობის ფურცელი,
ვხედავდი ხეზე შავი ძალები...
    აივნის ტყეში ციცინათელებს,
    ფარდა მოუხსნეს, კარიკატურა!
    ბაღში ვიჯექი ვტიროდი ჩემთვის,
    ძველი ცოდვები არსად წასულან...
მალულად წყალი მარილიანი –
ქუდზე თეთრია მაგნოლიები,
„ტალღა ტალღაში“ ტეხავდა წარსულს.
თავს დამტრიალებს ეს თოლიები.
    თვალები ეშხით აპარებს ცოდვას!
    თორკმელი მტკივა – რა დროს თეთრია,
    ჩვეულ ფორმაში იდგა ნიკალა!
    ვარდები ზღვაში ცაზე მეტია!
შენ ფიროსმანის ჩემო მადონა –
ერთი გვირილა გაქციე ასად...
გარნიტურები წვდომის აორტა,
კვიცების ხედნა კოლიას ფარჩა ...
    სადაც თქვენი თქვათ – ჩემიც დათესეთ!
    ასე ქართულად როგორც რჩეული,
    ღამეში იწვის წადილი ტუჩის
    მე! კი დავდივარ ჩემთვის ეული.
აპოლონივით ნავის ტორნადო!
თხილის ფოთოლი, ველური ვაშლი,
კერპების ღმერთი გამობრძანდება,
და ვარსკვლავები ღამეში მესვრით...
    ამადეოსი მოდელიანის,
    ვხატავ წასულებს ადიდეთ ღმერთო!
    ავაზაკი ვარ გამიყოფს საბანს,
    მე! შენ! მიყვარხარ სად გძინავს ერთო?
წამის მარადის წუთის-სოფელი,
ტაძრის ორნამეტს ჩუმი ნუგეშით
გუმბათი ჩემთვის ამოტვირფულა
ცვარი დაძრულა ნამიან მკერდში...
    ჩუმი სამოსი სასამართლოსი –
    გადამავადეს დარჩა ფანდია,
    კილომეტრაჟი აწუხებს მგონი –
    ყოველი დროის „ქალი მარტია“
    ვქურდავდი ღამეს ამორძალების....!

27 : 02 : 2021

ირინა ხურციძე

ნუ იფიქრებ რომ გადაგიყვარე

ვერ დაიტია გულმა გრძნობები
და მკერდზე ვნებად გადმოვიღვარე,
თუ მაინც შენგან წასვლა მომიწევს,
ნუ გეგონება_ გადაგიყვარე...
გაუსაძლისი ყოფა მეწვია,
ცხოვრება მომდევს განადგურებით,
გთხოვ, ნურაფერი გაგიკვირდება,
ცივი სამყაროს რომ ვართ მდგმურები...
ილევა ბინდი და ვერ ვთენდები,
რადგან აისმა ხიბლი დაკარგა,
ვივლი, მანამდე არ გავჩერდები,
ვიდრე ბურუსი სულმთლად დამფარავს,
როგორც დუმფარა, ცრემლების ტბაში,
ფესვებს დავეძებ, მიწა ვერ ვპოვე...
სიცოცხლე ჩემი, უჭირისუფლოდ,
დიდი ხანია გამოვიგლოვე,
იქნებდა სულაც არ არსებულხარ,
ეს სიყვარულიც გამოვიგონე...
სადღაც გამრიყა შლეგმა ტალღებმა
და დასასჯელად მსაჯულს მიმგვარეს,
რადგან ვერ მხედავ, ისე შორსა ვარ,
არ იფიქრო რომ გადაგიყვარე....

***

მაქვს არაფერი... თან ყველაფერი –
ამ ყველაფერში შენ ხარ მთავარი,
ერთ ფერში ვღებე დღეს ყველა ფერი,
ვერ ვპოვე დაჭრილ სულის წამალი...
მაქვს მოთმინება... თანაც არცა მაქვს, –
სურვილებს ჩემსას უბრად ვემონო,
თუ ყურადღება სხვაზე გადამაქვს,
არ მინდა მავანს მხდალი ვეგონო...
ვიცი რომ გამცემს ცრემლები ურჩი, –
ვინ დააოკოს სევდის მდინარე,
რა გითხრა ჩემო, დამჩემდი გულში,
რაც ვიყავ გუშინ, სხივმომფინარე,
დღეს დრომ გამძარცვა, არ გამიბრაზდე,
თუ ვერ მიცანი_ გამოვიცვალე,
მე ავადა ვარ შენი ნატვრისგან, –
მოდი, მიწამლე, შენ გენაცვალე...

*****

ასე მგონია ბოლოჯერ დავწერ
ორიოდ ფრაზას სულის სალბუნად,
მერე გაზაფხულს დაველოდები, –
ცოცხალი გული რამ მოადუნა...
ნაცნობი ფიქრის ვიჭერ სადავეს
და ვით ქურანას, დავღლი ჭენებით,
ამასობაში შენც გათენდები,
სულში რითმებად შემომეჭრები,
ვეღარ ვისვენებ, კვლავ ვიწყებ წერას,
გაფრენილ სიტყვებს ვიჭერ სივრცეში,
ვით გადავურჩე ამ ბედისწერას,
მკერდში გული როს აღარ მიცემდეს...
ავიღებ ჩემსას ნაცრისფერ აბგას,
შიგ ჩავალაგებ სულ ბოლო საგზალს,
ბოლოჯერ მოვალ შენს გულის კართან
და თუ მიმიღებ დაღლილს და ნამგზავრს...
მოვალ და გეტყვი, მიყვარხარ ჩემო,
თუნდაც ცოდვილად ჩამთვალონ, მგვემონ,...
გთხოვ გამატანე შორეულ გზაზე
შენი მზისფერი ტუჩების გემო....

****

ისევ ცრემლი მისველებს,
ღამენათევ ამ თვალებს,
ეჭვიც არ მეპარება
გულში მისხლისოდენა, –
ერთხელ სადმე შეგხვდები,
როგორც მთვარეს ნამთვრალევს
და ეს ღამეც ამ გრნობის
იდუმალი მოწმეა...
ქარი უბეს მიზვერავს –
სითამამეს ნაჩვევი...
უჩვეულო ფიქრებმა
ძალა გამომაცალეს,
ამოვხიე დღიურის
ბოლო გვერდის სარჩევი...

ვეღარაფერს ვუხერხებ
დამძიმებულ წამწამებს..
პულსს ვუსინჯავ მოთმენას,
მერამდენე ღამეა,
ვერ ვეხსნები შენზე ფიქრს –
ბედი მიწყობს გამოცდას,
ვარდს ცვარი დაეკიდა
ვით საყურე კამეა,
ამ ღამესაც ვიცი მე
ცრემლნარევი შევრჩები,
მივუყვები ბილიკებს,
მთვარის თანამგზავრიანს,
თვით სიცოცხლეს დავთმობ და
შენ ვერ გადაგეჩვევი....

***

მე დავრგე ნერგი – ამბობს უფალი,
არავინ მორწყო, მიკვირს ძალიან...
და თუ ნაყოფი ვეღარ მიიღოთ...
გთხოვთ მიპასუხეთ – ვისი ბრალია?!...
მოგეცით მიწა, – ზედ დაგასახლეთ,
სამოთხე დაგხვდათ – ედემ ბაღნარი,
თქვენ ჯოჯოხეთად გადააქციეთ, –
სხვას დააბრალეთ თქვენი ნაქნარი...
დღეს დედამიწას სისხლი უშრება,
გამოდგებით კი ვინმე დონორად?! –
ხელის განძრევა არავის გინდათ,
თუ არ მოელით რამე ჰონორარს....
აქამდე თქვენთან ერთად ვიყავი,
თქვენი ჯამიდან ვსვამდი ზედაშეს,
ამიერიდან გტოვებთ, მივდივარ,
არ გამოვდგებით ერთად მე და შენ..
და თუ ოდესმე ისევ მოხვალ გონს,
ჩემს ხატად ქმნილო ადამიანო,
მაშინ დამზრახეთ, თუ დაბრუნება,
ერთი წამითაც დავაგვიანო....

***

ჩემს ფიქრში ერთი სახლია,
სახლი კი არა სასახლე,
მინდა როგორმე ვიპოვო,
სამუდამოდ იქ დავსახლდე...
ჩემ გულში მყუდრო ადგილი,
მე შენთვის გადავინახე,
მარტო არ მენატრებოდე,
სულის შეძვრამდე მიყვარდე...
მოხვალ და გულს გამიხარებ,
წახვალ და ისევ ვიდარდებ,
ფრთხილად, – თვალს ნუ დაშორდები,
უცებ არ გადამიყვარდე...
ნეტავი ისე იზამდე,
ქკუიდან გადამიყვანდე,
საძებრად წამოვიდოდე,
მთას, ზღვას და ხმელეთს შევძრავდე,
გიპოვნიდე და გულიდან
არასდროს არ გაგიშვებდე,
ჩემად გიგულო ძვირფასო,
ვსუნთქავ, ვარსებობ ვიდრემდე.

***

მსურს ყვავილების ზღვაში ვცურავდე
და ამ ვარდების სავსეს კალათებს,
გჩუქნიდე, რადგან რაც თავი მახსოვს,
აქ ამ ჩემს გულში მოიკალათე..
სიცოცხლის ფერში ვხატავდეთ იმედს,
თავზე მადგამდე ვარდისფერ გვირვინს,
მკერდზე შენს კოცნებს ღიღილოდ ვიბნევ
და გზას ვაგრძელებ ისევ ღიღინით...
და თბილი ბაგე, ჩემი ტუჩების,
ისევ გელიან ნაამბორალი,
უკიდეგანო, ვარდების ზღვაში,
იქნებ ვიპოვო მყუდრო ბორანი, –
შენსკენ გამოვყვე ვარდისფერ ტალღებს,
ნიავის მკლავზე გაშლილი თმებით,
ეს დილა ახლა ისე მალაღებს,
შენთან შეხვედრის სურვილით ვთვრები.

***

მხოლოდ შენ იცი და სხვამ არავინ,
რა რუდუნებით გიძღვენ ეს გული,
არც არავისი გრძნობის მპარავი,
სიყვარულზე ვარ შეყვარებული,
და როცა ლექსად კალამს მოვმართავ,
ნუ წაიკითხავთ გაკვირვებული,
მე ამ დილასაც ვნებით მოვრთავ და
ვივლი მთელი დღე ჩაფიქრებული...
რატომ გგონიათ რომ ჩემს ასაკშიც
არ იწერება ლექსი ტრფიალით,
სულ სიყვარულით გვეტარებინოს,
წუთისოფელი ოხერტიალი...
და როცა გულზე დავიკრეფ ხელებს,
ცივ სამარეში ჩამასვენებენ,
მოვლენ მუზები ხელში ვარდებით
და თავს იქაც კი შემახსენებენ....

ახლა ისე შორია...

ახლა ისე შორია უნაპირო ცის კარი,
ვარსკვლავები მირაჟებს მოვერცხლისფროდ
მათოვენ,
ნეტავ მალე გათენდეს კვლავ აინთოს ცისკარი,
სადღაც გულის კუნჭულში მჯერა არ მიმატოვებ...
ავსებული საწყაო – გულის ზიარჭურჭელი,
უკურნებელ სენივით ლამის ფერფლმა დაფაროს,
ვერაფერი წამაქცევს, ამ ხვედრს თუ გავუძელი,
ხავსი მოჰკიდებია სახლის მყუდრო ლაფაროს...
გმინავს ბებერ მუხებში ქარი ნააავდრალი,
ილეწება სულ ბოლო ფიქრი – ხდება ღადარი,
ღამე ურჩი, თავნება, სიზმრით ნაავადარი,
მოდის როგორც ზმანება მეხდაცემულ ქადარის...
ახლა ისე შორია უნაპირო ცის კარი,
ნეტავ მალე გათენდეს, კვლავ აინთოს ცისკარი....

***

ხაფად ნათქვამი სიტყვა ზოგს,
იფანად მოეწონების
არც კაცი კაცადს გაჭორავს,
არც თავად წაეჭორვების,
ვიღაცას ბრალი ედება,
ჭორის ამაო გორებით,
ზოგი წელს იწყვეტს შრომითა,
ზოგს ფული მოსდის ზმორებით,
ბოლოს სულ ყველას მიწა ქამს,
რა მოგახსენოთ ცხოვნების...
არც თავად გაეგება რა,
არც სხვისი ესმის ცხოვრების,
ამ ქვეყნად მრუდად მავალნი
საფლავად ყველა სწორდების.

ირმა სარაული

გაზაფხულის მეჯლისი.

~~~~~~~~~~~~~~~

აცახცახებულ მხრებს შეარხევს თეთრი აპრილი
და ფერმკრთალ კაბას გადაიცმევს მეჯლისის ბოლოს,
გასუსულ დარბაზს თვალს შეავლებს, ფეხს აუჩქარებს,
ახლა სიმღერის დროაო და... დაიწყებს სოლოს.
კულისებიდან ფარდას ფრთხილად გახსნის მაისი,
აპრილის წასვლას ელოდება გვირგვინით ხელში,
სცენის კუთხეში სულს მოითქვამს იასამანი,
ცივი ზამთარი თავს მოიკლავს უდაბურ ტყეში.
ვარდები მშვიდად ირთვებიან ფერად ფურცლებით,
რიგში ჩამდგარან ტიტები და მღერის ბულბული,
სცენაზე ჩნდება ვარდისფერი კაბის ფრიალით
ვარდი, მაისზე უიმედოდ შეყვარებული.
ქარი დიდგულობს, მზე იღიმის, მთვარე მთვრალია,
ისმის გუგუნი, საქორწინო მუსიკის ხმაში,
ჯვარს დაიწერენ მაისი და ნაზი ბულბული,
მთვარე დარდისგან იფერფლება, აჟრჟოლებს ტანში.
დღეს ქორწილია, აპრილია ხელის მომკიდე,
უიღბლო ვარდს კი ასპარეზი დაულოცნია,
მაისი ბულბულს ეხუტება, იფარებს ფატას.
ჯერ მორცხვად უმზერს, ბულბულს მისთვის არ უკოცნია.
~~~~~~~~~~~~~~~

დამილოცე

~~~~~~~~~~~~

ღმერთო დამილოცე ყველა,
ვინც გულს მიხარებს და მათბობს.
მათზე მოფიქრალს და მლოცველს
მეტი არაფერი მახსოვს.
ჯვარი დაწერე და შეგთხოვ
ღმერთო, გამიმრავლე ყველა.
ნათელს ნუ მოაკლებ მზისას,
ჯანი უმრთელე და რწმენა.
გზები გაუნათე მუდამ,
ლოცვით აუხილე თვალი.
ნათლად მოიხადონ ღმერთთან
წმინდა და უპწკნელი ვალი.
მსუბუქად ატარონ მხრებით,
ტვირთი, კაცისა და ქალის.
ღმერთო, არ დაჭირდეთ შენს წინ,
სირცხვილით დახუჭვა თვალის.
არასდროს დახარონ თავი,
ნურასდროს შერცხვებათ უფლის,
მართალს, სიყვარულის მთესველს,
თავად ღვთისმშობელი უვლის.
ამაყად იარონ მუდამ
სიტყვით, საქციელით, სულით.
ღმერთო დამილოცე ყველა,
შეგთხოვ მადლიერი გულით.

არ ვიყავ მთვრალი

~~~~~~~~~~~~~~~

თითქოს არ ვიყავ მთვრალი წუხელის,
თითქოს არც ჭკუა დამიკარგია.
ქუჩის კუთხეში, ბოლოს ნუშების,
მე ქალის ლანდი დამილანდია.
ტოტების ქვემოთ, ფოლებს მოფარვით,
შავი გიშრები ურცხვად ელავდა,
და ნაავდრალში ღიმილმოპარვით,
მიწვევდა, გრძნობებს უხმოდ თელავდა.
ჩამოწვა ბინდი, გაავდა გრძნობა,
მთვრალ მამაკაცის სურვილს მივენდე,
ოჰ, როგორ მინდა მკლავებში მიწვე,
ჯერ გამოუთქმელ გრძნობებს მინებდე.

აჩქარდა მკერდი! -ხელმისაწვდომზე
ქალი ვიგულვე... კივის ადამი!
აღარ ჩერდება გული სადგომზე,
ჩემსკენ ვეწევი... ნდომის სადავით.
გაუხედნავი ცხენივით ურჩი,
წელწვრილი, როგორც შავი ავაზა,
თვალებს მანათებს, უსიტყვოდ, მუნჯი,
მე ვიფერფლები, ცეცხლში ანაზდად.
...წუხელის მთვრალი არ ვიყავ თითქოს,
ევა მიწვდიდა ვაშლებს, მაცდურებს,
სული ქალისკენ ლტოლვას ითხოვდა,
ევაა, ადამს დღესაც აცდუნებს.
და მივეახლე ტოტებს შეპარვით,
ავაზას წელზე მოვხვიე ხელი,
ყურში ჩურჩულით ვუთხარ შეპარვით!
ოჰ!...მოვისმინე პასუხი მწველი....
არა, არ ვიყავ მთვრალი წუხელის,
და მაინც დილით ვიქმენ ბახუსი,
არა,არ ვიყავთ ღამე მრუშები,
ვაშლმა გათელა წუხელ ნამუსი!...

ვინ იცის რას ვფიქრობ

~~~~~~~~~~~~~~~~~~~

გარედან ქალს ვგავარ, ამაყს და დიდებულს,
ვინ იცის რას ვფიქრობ, რა ტკივილს განვიცდი,
თვალეზე დავმალავ ცრემლების ნაკვალევს,
შიგნიდან რა დავრჩი, თვითონაც არ ვიცი.
არასდროს არ დავხრი ქედს მონა-მორჩილად,
მე მხოლოდ ღმერთის წინ ვიქნები მდაბალი,
გადავდგავ ნაბიჯებს ქალური სიმკაცრით,
მზერა ხომ შემომრჩა ურჩი და მაღალი.
ვერავინ ვერ იტყვის, დაეცა სულითო,
თუ ვითმენ, ვიღიმი – ეს ბრძოლის ჟინია,
ახალი ძალებით დავიწყებ განთიადს,
ცრემლები? მერე რაა, ცრემლებიც მჭირია.
მტრის თვალში ქალი ვარ ამაყი, თავნება,
ან იქნებ საკუთარ ძალებში ვერ ვხვდები.
ვინ იცის მახელებს მბრწყინავი მწვერვალი,
ვბრაზდები, ვცოფდები, როდესაც ვერ ვწვდები.
ქალი ვარ უბრალო, მომთმენი, დამთმობი,
ჩემს ღიმილს არ ენდოთ,არც ისე მშვიდია,
ნუ ცდილობთ ვულკანი აფეთქდეს უეცრად,
რადგანაც ფარული ძალები დიდია!
~~~~~~~~~~~~~~~~~~~

შვილო, არ იდარდო, არამიშავს!

~~~~~~~~~~~~~~~~~

ჯერ ისევ მყარად ვარ, შემიძლია,
ჯერ ისევ ამაყად დავდივარ,
კიბეზეც არა მღლის მუხლი და
აღმართზეც თამამად ავდივარ.
ჯერ ისევ შემიძლია გაღიმება,
ყველაზე ზრუნვა და გადაგება,
ჯერ ისევ შემიძლია ჩახუტება,
შენი სიყვარულის ქადაგება.
დროს არ ვემონები – მემონება,
ისევ შემიძლია ვიყო ფარი,
ვიყო დედა, თავის შვილებისთვის
ყველაფერგამეტებული გმირი ქალი.
დღეს მე შემიძლია თქვენი დაცვა,
ხვალე ამას შენგან ველოდები,
დღეს თუ მე გიფარებ კალათის უკან,
ხვალე შენ გადამეღობები.
ხვალე მე ვიქნები დასაცავი,
იქნებ, ჩვილ ბავშვივით მოსავლელი,
დღემდე ხომ გავკვალე ბილიკები
ხვალე, შენს ფეხებთან მოსასვლელი?!.
წუთით არ დავზოგე ჩემი თავი,
დღემდე ხომ ბოლომდე დავიხარჯე?
ჰოდა ხვალე, როცა მოვხუცდები.
ნება იბოძე და გაისარჯე
შენგან სხვა არც არა მდომებია,
– ჩემი მზრუნველობის გადევს ვალი,
ჰოდა, როცა უკვე მოვხუცდები,
როცა ფარფატით მატარებს სიოც, ქარიც,
მაშინ, მხოლოდ მაშინ გაიხსენე,
ხელი ჩამკიდე და არ გამიშვა,
მე კი სიყვარულით გიპასუხებ,
შვილო, არ იდარდო, არამიშავს!
~~~~~~~~~~~~~~~~~

ნონა ლაცაბიძე

შენ!

საკუთარ სინდისს ვერ ვღალატობ,
შენ გიღალატე...

მიღიმი,
ქცევას ჩემი სუსტი სქესით ამართლებ,
მერე ... ამარტებ ამ ოქტომბერს
ფოთოლცვენაში...
ვგიჟდები,
როს ვგრძნობ
მღვრიე სისხლის ხმაურს ვენაში...

წადი, გაიხარე!

შენ რომ გყვარებოდი
ასე უიმედო
აღარ იქნებოდა
ჩემი ნაბიჯები...
როცა არ მელოდი
მაშინ მოვედი და...
ვნებამ აგიტაცა
კვლავ ცრუ გაგიჟებით.
ამბობ არ გინდოდა
ჩემთან განშორება.
სხვას თუ მოატყუებ,
მე ვერ დამაჯერებ.
ძალა მომეცი და
თავად დაინახავ
მთვარის ორბიტაზე
ბრუნვას გავაჩერებ.
მუჭში შეგიგროვებ
ვარსკვლავს მოციმციმეს,'
შვიდფერ ცისარტყელას
რკალად გადაგიშლი,
თუკი წასვლა გინდა,
წადი, გაიხარე,
იცი? რომ შემეძლოს
მაინც არ დაგიშლი!
ახლა ალუბლების
სურნელს დავუთვრივარ,
თასი გამოვცალე,
ბოღმაგარეული.
გეზი ვერ ავიღე
ისე ვბორიალობ
მე შენს სიახლოვეს
თავგზაარეული.
შენ რომ გყვარებოდი
ასე აბდაუბდა
როდი იქნებოდა
ჩემი პასუხები.
წადი, გაიხარე...
რატომ დაგიშალო?
თუკი ჩემზე მეტად
მაინც სხვას უხდები!

„ქ ი მ ი – ა"

ვარსკვლავს ექვსი ქიმი აქვს,
დღეს მეექვსე ქიმიამ,
(თითქოს პარაფინია),
მომიღვენთა სახე.
ქერუბიმთა მწკრივია,
მარჯვნივ სერაფიმია,
წრეში ვდგავარ, მივლიან.
ცელიანი მაცნე
შავი ნიღბით მოსილა,
წასაყვანად მოსულა,
კოდობანიც მოცურავს
და ცოდვებით სავსე
მოაქვს ჩემთვის ზარდახშა,
ტაძრის კართან რაც დამრჩა,
(აღსარების ართქმასთან)
კათაკმეველ ეულს,
კვლავ მოძღვარი ჯვრიანი,
გ რ ძ ე ლ ა ნ ა ფ ო რ ი ა ნ ი,
ნ ა კ უ რ თ ხ შ ა ვ ჯ ი პ ი ა ნ ი,
ჯვარს არ მამთხვევს წყეულს!

ღვარძლს ხორბლიდან მარგლიდა,
ვერ ვიყავი ყალბი და
რაც სინანულს არ მგვრიდა
ვერ შევრაცხე ცოდვად.
სოდომის გზით მივლია,
აქ ცოდვილთა მწკრივია
დავარღვიეთ პირწმინდად
მცნება ათჯერ ათი.
სინაგოგის ჩრდილია,
თუ ვარსკვლავთა მწრივია...
მომლოცველი რაბინთა
მინორაა მნათი,
კრიალისანს ვმარცვლი და
ლოცვა მადლად მაწვიმდა
მინარეთზე იმამი
ნამგლის მთვარეს მაწვდიდა...
ან სიცოცხლე რად ღირდა,
ცოდვად თუ არ გაღვივდა...
სწორედ მაშინ გასრულდა....
ვერ გავიგე რა მსურდა!

ხვალ ვიქნები?

ხვალ ვიქნები?
არ მაქვს ამის გარანტია.
საკუთარი სხეულიც არ მაბადია,
მიწის არის,
სული ზეცის,
მ ა რ ა დ ი ა.
სიყვარული უდიდესი ტალანტია.
ბილწმა ღამემ ჩემთან ერთად გაათია,
უკუნია,
ცაზე მთვარეც არ ანთია,
ყოველი დღე,
დარდით სავსე კალათია,
შენზე ფიქრის ოცდაოთხი საათია.
ხვალ ვიქნები?
— მაქვს ურყევი გარანტია,
მაცხოვარმა ყველა ცოდვა მ ა პ ა ტ ი ა.

დე...

დე!
მომენატრე,.
არა ისე, როგორც სხვა შვილებს
მოენატრებათ საკუთარი დედის თვალები...
მოგონებები მოტივტივებს ფიქრში მაშინვე
ხმა მესმის ყურში გახურული, ცივი კარების.
ერთხელ მოგიხმე,
როს უგონომ თამაშში გართულს
წარბი სრულიად დავახიე ღობეზე მავთულს.
მაშინ გულიდან ამოგძახე : ,,მიშველე დედა”
იმ დღის შემდეგ კი გულზე მაწევს მტანჯველი სევდა...
და დამრჩა შრამი...
ყოველ დილით სარკის წინ მდგარი
ვახსენებ დედას, არ გაბედო, შენ არ ხარ მკვდარი,,,
და კიდევ ერთხელ რომ მოგიხმო დედა ნუგეშად
ნუთუ ამისთვის უნდა დავდგე სისხლის გუბესთან?
დე,
მენატრები...
შენს საფლავთან მოვედი გუშინ...
მარტო ვიყავი, ხომ მაპატიებ?
მიწას შენს გულზე რომ ვერ ვიტან,
სხვაგან დავყარე...
მერე, ამდენი წლების მერე..პირველად ვნახე
ჩემი საწყალი,
გათოშილი დედიკოს სახე...
ფრთხილად შეგეხე,
ამ შეხებას როგორ ვნატრობდი...
მთელი ცხოვრება უდედობას გულით ვდარდობდი...
დე, მაპატიე!
თუ ვაჟკაცმა ცრემლით ვიტირე.
მე ის ბავშვი ვარ,
აკვანშივე რომ დაგიტირე!
დე,
მე მაკლიხარ...
შენი ხელის მწყურია სითბო
სულ ჩაფერფლილხარ,
ჩაგიხუტებ მე გულში ვითომ?
დე არ გატკინოის ის მკლავები

რომელსაც მხვევდი...
და რა იცოდის
თუ გვერგუნა
ეს მძიმე ხვედრი...
დე, მაპატიე, რომ მომინდა მენახე ახლა,
სულ დამასველა სევდისაგან ამინდმა თალხმა...
დე მენატრები სიგიჟემდე, მითხარი რა ვქნა?

საყოველთაო წერილი მეუღლეს

ჩვენ თითქმის სულაც არ ვსაუბრობთ, რომ ბავშვს წამალი
აღარ აქვს... ყინავს ამ ზამთარში... პურიც არ არის
აღარ ვსაუბრობთ მომავალზე, რადგან აღარ გვაქვს
აღარც წარსული, ან ეს აწმყო რაღას წააგავს?
უკვე პირობაც მოგბეზრდა და არ ყვები ზღაპრებს,
რომ მიატოვებ კაზინოს და ალკოჰოლს, აბებს,
თეთრი ცხელების მონოლოგში რაინდობ, გმირობ
მე თავის დაცვას ისევ ჩუმი ცრემლებით ვცდილობ.
ჩვენ არ ვსაუბრობთ, საუბრობენ თანაც წკრიალით
ძველი თეფშები, სხვა ქურქელიც ბზრიალ-ბზრიალით
ნამსხვრევებიდან, ერთმანეთს რომ გადავალეწეთ...
ახლა კი არა, ოდითგანვე წამხდარ სარეცელს
სხვასთან იყოფდი... ან რა გქონდა გასაყოფელი,
სოდომი იყო ჩვენი ბუდე და სამყოფელი.
სამაგიეროდ, ისაუბრეს ურიცხვად სხვებმა
სილურჯეებზე, სიმსივნედ რომ მიქცია წლებმა.
ქკუა და სიბრძნე რომ არ მეყო. შენთან კი არა
უფალთან მაინც მესაუბრა, ჩემი იარა
და ქრილობები მისთვის მაინც მეჩვენებინა...
შენთან კი არა . მის კალთაში დამედო ბინა...
იქნება თავად მომისმინოს (გზას ვერ ავუვლი)
ქურქლის კი არა, გულისმსხვრევის ჩუმი ხმაური.

მალვინა ჭელიძე

* * *

დარდს, ჩაურაზა კარი,
ეურჩებოდა დიდხანს,
ავდარს არჩია დარი,
არც ვინმე განუკითხავს.
და შემოდგომის სუსხში,
მზეს გაუსწორა თვალი,
და დადიოდა დიდხანს,
დარდით,დაღლილი ქალი.
იარა, ღმერთის მადლით,
რწმენით მიენდო უფალს,
ორი ნაბიჯით წინ და...
ერთი ნაბიჯით უკან.
აღარ შეჩერდე იქ....
სადაც სიმართლით სდუმხარ,
სადაც აშარა ქარი ,
გზაზე მიმავალს გსუსხავს.
სადაც, სიმართლის თვალით
ვეღარ აღიქვამ მწუხარს,
სადაც, უგულო ქარი ,
შეერბრძოლება მუხას,
იარე ,დინჯად მშვიდად,
იცი რომ ღმერთი გიცავს,
დარდზე დახუქე თვალი,
ფეხი დაადგი მიწას,
აღარ შეჩერდე წამით,
აღარ შეჩერდე დიდხანს,
ორი ნაბიჯით წინ და...
ერთი ნაბიჯით უკან!!!

* * *

ძალა შენში დიდია,
რწმენა, შენში უფალო....
შენი ლოცვა კურთხევა
არ ჩაივლის უკვალოდ.
როცა რწმენამ, ტკივილებზე
და დარდებზე იმძლავრა,
თითქოს სევდაც გაყუჩდა,
დრომაც ფერი იცვალა.
როცა, ძალა შემოვიდა
ჩემში ,ძალზე ხვთიური...
რწმენა უფრო გამიმძაფრდა
არაამქვეყნიური....
როცა შენგან იმედების...
ტალღა მოედინება...
როცა წყვდიადს ცისარტყელად
სხივი მოეფინება.
სული ტკივილს გაუძლებს,
გული შვებას იპოვის,
ძალა შენში დიდია,
რწმენა შენში უფალო,
გულმა სათნომ, კეთილმა...
რატომ უნდა იტანჯოს,
ანდა დარდის სამოსელში,
რატომ გარდაიცვალოს.
შენი ლოცვა კურთხევა
არ ჩაივლის უკვალოდ,
ბედკრულსაც კი იმედით
სიყვარულით, უწამლოთ...
ძალამ შენმა...რწმენამ შენმა,
დაე დარდზე იმძლავროს...
კეთილისგან... ბოროტების
გარჩევა რომ ვისწავლოთ.
სულმა ტკივილს გაუძლოს,
შენში ,შვება ვიპოვო,
ეს დროება ... დანაცრული,
ჩემთვის მშვიდად ვიგლოვო.
იმედის და რწმენის გზაზე,
ერთგულების ვიწამო,
ქვეყნად ყველა ბოროტება,
იქნებ გარდაიცვალოს!!!

ფოტოთი მოვიხიბლე.....
ხომ შეიძლება
მგელიც შეგიყვარდეს!!!.

ღამე ნათევი ფიქრებით,
თითქოს სამყაროს მცველი ხარ,
შენთან შეხვედრა ვინატრე,
მაგრამ ვაი რომ მგელი ხარ.
არ მჯერა შენი სიავის,
რა უცნაური ფერის ხარ,
ისეთ სიმშვიდეს ასხივებ
არადა ვიცი, მგელი ხარ.
რაღაც მეფური იერით
მიუწვდომელი მზერის ხარ,
დინჯი, ამაყი... ძლიერი,
რა უცნაური გენის ხარ.
იდუმალი გაქვს თვალები
შენ ბოროტებას ვერ იზამ,
შეუცნობელი დუმილით
შენ, მგელზე უფრო მგელი ხარ.
თუკი შენამდე მოვედი
შენთან შეხვედრა მეღირსა,
სულის მეგზურად გაგიხდი
შენ ხომ სიცრუეს ვერ იტან....
არ მჯერა შენი ღალატის
შენ კანონების მცველი ხარ,
მინდა, რომ გულით მიგენდო,
არადა ვიცი, მგელი ხარ!!!.

3.05.2021.

სიზმარი...

გზაზე შემომეფეთა და
გზის ბოლომდე გამომყვა,
სულში ისე ჩამისახლდა,
ვერც გავიგე რა მოხდა.
უცებ გვერდი ავუქციე
და უეცრად წამომცდა,
უფლის საჩუქარია თქო
შემომხედა, გაოცდა...
შუაგზამდე მიმაცილა
და ბარათი გადმომცა,
მთხოვა, ჩემთვის
წამეკითხა
და ჩურჩულით აღმოხდა,
რომ ვუყვარდი ისე ძლიერ,
მოსვენება არ ჰქონდა,
სულით ზეცას შეენივთა,
გულს კი დარდი აპობდა.
თითქოს გზები აებნია
ჩემგან შველას ითხოვდა,
თითქოს ზეცად
ამაღლებულს
ჩემზე დარდი დაჰქონდა,
როცა თვალი გავაყოლე
ის ქარივით მიჰქროდა...
შორს ღრუბლებში
მონავარდე,
მთელ სამყაროს
მითბობდა.
როცა გზები გაიყარა
მისი, მაშინ ვიწამე,
ის, უფალთან მიიკვლევდა,
თავს მიხრიდა მიწამდე.
უსასრულო ღამეა იყო,
თითქოს დარდიც გაყუჩდა,
სევდა ისევ მომეძალა
ვერც გავიგე რა მოხდა.
როცა თვალი გავახილე,
მივხვდი, იყო სიზმარი,
და ტკივილი გამიახლდა,
მე .... ის ... ამოვიცანი.!!!

14.02.2021.

ზღვა და ქალი

ზღვა ბობოქრობდა,
ზღვა ღელავდა
ქალის ტრფიალით,
ქალი კი იდგა ამორძალი,
კაბის შრიალით.
ზღვამ უმასპინძლა,
ქალის გული სითბოს ეძებდა,
გულში ჩაიკრა,გადუქცია ბაღი
ედემად.
დღე იყო რაღაც უცნაური,
ქარიშხლიანი,
დღე მზიანი და
დღე ნათელი, იმედიანი.
დღე შემოდგომის, სუსხიანი
და სევდიანი,
მოგონებების, მონატრების...
ორომტრიალის,
მიმოფანტული ფოთლები და
დღე ნისლიანი, დღე წვიმიანი,
ღრუბლიანი და სევდიანი.
ფოთოლ ცვენაში მოყოლილი,
თვალ ცრემლიანი,
ერთგულებისათვის მებრძოლი და
სამართლიანი,
მარტოობაში გამოწვრთნილი,
და სევდიანი.
სიყვარულში კი უიმედო,
ღალატიანი,
ქალი ძლიერი, იდუმალი,
გულით მზიანი,
სულით მდიდარი,მეოცნებე,
და მომღიმარი,
ზღვის ტალღებივით მღელვარე და
გულისხმიერი,
ქარიშხალივით მძვინვარე და
მუდამ ძლიერი.
ზღვა ბობოქრობდა,
ზღვა ღელავდა, ქალის ტრფიალით...
ქალი კი იდგა, ამორძალი....
კაბის შრიალით.



26.09.2020.

* * *

სიკვდილმა.... ეს ოჯახი გაქურდა,
სახლში შეიპარა,დღისით და მზისით,
ბედნიერებაზე ბოროტად მონადირემ,
მძევლებად აიყვანა სიცოცხლე სხვისი.
სიკვდილმა, ბედნიერებაზე იმძლავრა,
რა ედარდებოდა სიცოცხლე სხვისი,
მოშალა,სიყვარულის ლამაზი კერა და...
მსხვერპლი მოითხოვა ,ამაყად მისთვის.
ამ ვაჟკაცს,წაართვა თუ რამე გააჩნდა,
მისთვის ფასეული,დღისით და მზისით,
ღმერთო ძლიერო ,შენ სად იყავი...
როგორ ვერ იხსენი სიცოცხლე მისი.
სკვდილმა, ცოლშვილი უწამა...
პატარა ანგელოზები,სიცოცხლე მისი,
აღარც ძმა
დაინდო,მძარცველმა,ბოროტმა,
ალბათ ღრიალებდა სიკვდილის შიშით.
სიკვდილმა, სიყვარულზე იძალადა,
ზეცა ჩამოექცათ ,დღისით და მზისით,
სიბნელემ მოიცვა, მთელი სამყარო,
უსულო გვამების გოდება ისმის.
ანგელოზებად გაფრინდნენ ზეცაში,
დატოვეს სევდა,ტკივილი დღისით,
მკერდზე მიკრული,დედა-შვილებთან,
ვერ დამარცხდება სიკვდილის შიშით.
რატომ და რისთვის,ვინ იცის ალბათ,
ღამე შეშლილი, სიკვილთან იბრძვის....
ბედის წერამდე, ერთი ნაბიჯი
გვაშორებს მხოლოდ,
და ჩვენ არ ვიცით.
სიკვდილმა, ბედნიერი ოჯახი გაძარცვა....
ბედნიერება მოიპარა,
დღისით და მზისით....

თეა გურგენიძე

მალე...

მალე ჭრელ ფოთლებად დასცვივა
შემოდგომას ოცნებები,
მალე ცაც შეიცვლის ფერს,
მალე ისე, ისე მაგრად მოგეხვევი,
ალი ავარდება მზეს.
ვიცი, ისევ ძველებურად დგახარ კართან და
ისევ ძველებურად გამოჰყურებ გზას,
მე კი ჩუმად მოვალ შენი ნატრული და
კალთაში ჩაგიდებ თავს.
მერე ჩაძინებულს, ასე ახლობელი,
მთრთოლავი ხელებით ნაზად ჩამიწნავ თმებს
და ისე ერთ ღამე ბევრად გადაწონის
ათას გათენებულ დღეს.

* * *

შენს ღიმილს გაჰყვა ჩემი ბავშვობა,
შენი ორღობის ბოლოს შეჩერდა
და დამელოდა, იქნებ მომესწრო
ამ ცხოვრებასთან ცოტა შეჩვევა.
შენს ღიმილს გაჰყვა ჩემი ბავშვობა,
იმ ჩამონგრეულ კედლებში გაქრა
და როგორც იქნა, მეც დავიჯერე,
რომ, რა ხანია, პატარა არ ვარ.
ო, რა ძნელია თავის დაღწევა
იმ ზღაპრებიდან, შენ რომ ჰყვებოდი.
მეც მოვუყვები პატარებს როცა,
ამბავს დავიწყებ ჩემი ბებოთი
და ნასახლარსაც მოვინახულებ,
ჩემი სიანცის ციცქნა საყუდელს.
მერე ამოვალ, და შენ კი არა,
ჩემს ტკბილ ბავშობას
სანთელს დავუნთებ.

* * *

...პაემანი ცის კართან...
ღრუბლებიდან ავკრიფე
ჩემი წილი სევდა და
გული ფიქრით ვალხინე,
ადრე რომ ვერ ბედავდა...
ღრუბელ-ღრუბელ ვიფრინე,
ოცნებები მღლიდა და
ვერ გავბედე, ვერ შევძელ,
მეთქვა, როგორ მიყვარხარ...
ღრუბელს და მზეს გავანდე
საიდუმლო, რაც მქონდა...
მზე კი არა, შენ იყავ,
ყინვაში რომ მათბობდა...
ღრუბლებიდან ავკრიფე
იმედების წვეთები...
ხვალ?.. ხვალ არა, უთუოდ,
ზეგ ცის კართან შეგხვდები...

* * *

პეპელასავით ნაზი მაქვს ფრთები,
დავიღუპები ხელს თუ შემახებ
და ჩემი სულის ნაგლოვი ლექსი
ვეღარ მიაღწევს მერე მწვერვალებს.

რა მიყვარს იცი?

რა მიყვარს იცი?.. შენ რომ პირზე დაიბნევ ღიმილს
და გაზაფხულის გარიჟრაჟი გიდგას თვალებში,
ბედნიერების წუთებს როცა შენს თვალში ვითვლი...
როცა ახლოს ხარ, შემოგცქერი და მენატრები...
რა მიყვარს იცი?.. დაჟინებულ მზერას რომ ისხლეტს
შენი თვალები და მზესავით სხივით თამაშობს,
მაშინ მე მუჭებს ბედნიერი წუთებით ვივსებ
და აღარ ვცდილობ სიყვარული გულში დავმალო...
რა მიყვარს იცი?.. შენს ღიმილში დამწვარი ზეცა,
როცა შენთან მყოფს შემომნატრის მთელი სამყარო...
ახლა... ამ გრძნობის თითო ფურცელს სათუთად ვკეცავ
და მოგონების სკივრში ვმალავ, რომ არ გამთვალონ...

* * *

დავდივარ... ბალახებს ეტკინათ სხეული,
დავდივარ... გზებია საოცრად ლამაზი...
და სანამ სიცოცხლე ასეთი კარგია
და სანამ სულ ბოლო ფურცელსაც ადავშლი,
მინდა, რომ გახელილ თვალებით შევხედო
სამყაროს, რომელიც ესოდენ ჭრელია
და მშვიდად წავიდე, იქ, სადაც ნათელი
ამ ქვეყნის ავბედით უკუნზე მეტია...
წასვლამდე ორიოდ ოცნებას ავიხდენ,
ოცნების გარეშე სიცოცხლე რა არის?!
მე თქვენგან ო, იმდენ სიყვარულს წავიღებ...
არ შემეშინდება იმქვეყნად არაფრის!
დავდივარ... ბალახებს ეტკინათ სხეული,
გაშლილა ყაყაჩო მინდვრებში ხალიჩად.
ისე ლამაზია სამყარო, წყეული,
დღეს უკვე წასვლასაც ადვილად ავიტან!

გზაში–

ოღონდ წვიმამ არ მოგისწროს გზაში,
არ ჩაშალოს თმებში ცრემლის მძივი
და სათქმელი ჩავატიო წამში,
შენს სულში რომ გაანათებს მზისწილ.
ოღონდ წვიმამ არ მოგისწროს გზაში,
შემოასწრო კარში პირველ წვეთებს,
გეფიცები, ხელებს ფართოდ გავშლი,
თვით ნიავი წამოგიყვანს ჩემსკენ.
ოღონდ წვიმამ არ მოგისწროს გზაში,
ოღონდ ვნახო შენს თვალებში მზე და
მოგონების ყველა ფურცელს წავშლი,
რაც აქამდე მაშორებდა შენთან.

* * *

რძისფერი კვამლი შავ ღრუბლებში გადაიხლართა, აწვიმს აივნებს...
ტირის ეს ზეცა გარდაუცვლელად დაკრძალულ სულებს... შენ რა გატირებს?..
იწვის ცისკარი, მოდებია ალი გარიჟრაჟს, ღამე კანკალებს...
ვითვლი სარკმელთან ქალის ცრემლივით სხივციმციმა, ციცქნა ვარსკვლავებს...
ხელზე მიწყვია ოცნებები შიშისაგან ათრთოლებული, ვდგევარ დაღლილი
და მახვევს სამოსს მონაცრისფროს ხელის კანკალით შენი აჩრდილი...

ედუარდ უგულავა

წესი წესია

მივწვდი წარსულის სახელურს,
ფიქრი ვიგემე უმი და
მთვარე გადმომყვა გაქცეულს
ამ გიჟურ საუკუნიდან.
ლოცვა არც სხვისი, არც ჩემი,
არ წამიღია იმედად,
ქალაქს ღამეში დარჩენილს
ნერვები უციმციმებდა.
სულ მალე მთებს ავუყევი,
ვიარე გზები საურმე.
ძაღლზე ერთგული ულაყი
ოცნებებს ვაბედაურე.
მერე სასმენელს მადლივით
მისწვდა არაგვის სიმღერა,
მიწვა დაღლილი ნადირი,
ცისკარმა ისინდისფერა.
მზე ჩაეშალა ზოლებად
ალიონს, სიზმარგაუცრელს.
წინ შეხვედრილმა ტოლებმა
მხრები მიკოცნეს და უცებ
დაღმართში ბიჭი გაიქცა,
მოდენა ხარი _ ნიკორა.
ხარს ხმალს უღერენ, წამიც და
თავი მიწაზე მიგორავს.
ივსება უცნობ იმედით
გული, ფსკერამდე დამშრალი,
როგორც ეს ქვაბი სპილენძის
სისხლიან მოსახარშავით.
და მითბობს რახის სისველე
ფიქრს და დარდისგან ვიცლები.
ქაფქაფა ლუდით მივსებენ
ხის კათხებს ძმადნაფიცები.
ცოტაც და ღრუბლებძნებიან
ზეცას დაისი დაისრავს.
ისინი მთისას ჰყვებიან,
მე ამბავს ვამბობ ბარისას.
ღალატში მუდამ უმეცარს,
კათხა მისხლტება ხელიდან,
ისეთ მზერას ვგრძნობ უეცრად,
თითქოს ტყვია მკრეს ცხელი და
ჯერ უძრავად ვარ, მიხედვას
არ ვცდილობ, მაგრამ ცდუნება
ნერვებს მიფატრავს, ისე ვარ,
ნელ-ნელა თავს ვაბრუნებ და
ღმერთმანი, ასე ვინ შემშლის,
სხვა ვინ ამირევს გონებას,
ეს შენ ხარ, ვისაც სიზმრებში
გიმზერდი მთელი ცხოვრება.
ცხელა, ნიავი არ იძვრის,
თუ ეჭვი მზარავს საზარი, _
ნეტა, ხომ არ ხარ მასპინძლის
ან და, ან _ ცოლი, ან _ რძალი.
ეს ფიქრი მიჭერს საცეცებს
და სინამდვილეს მიმუნჯებს,
ვწრიალებ, ვცდილობ გავექცე
შენი თვალების სილურჯეს,
მაგრამ შენ შენსას არ იშლი,
ცეცხლოვან მზერას მაფეთებ,

გველი დამიდის ძვალ-რბილში,
ვნება მიბზარავს საფეთქლებს.
ეჭვი იწევა ცერზე და
გაჭირდა ღამის თენება,
სიმთვრალეს ვიმიზეზებ და
მივდივარ მოსასვენებლად.
უცნობ სიმშვიდეს დავეძებ,
დაღლილს ძლივს მიჭერს მუხლები.
ჭრაქს ვაქრობ და მგლის ტყავებზე
ვემხობი ტანგაუხდელი.
დრო კი... რა ნელა გადის დრო,
ქცეული უცხო ბოდვებად,
ფხიზლობს სიჩუმე, მაინც ვგრძნობ,
რომ ვიღაც მიახლოვდება.
ლოდინს სიმშვიდით ვერ ვივსებ,
მყინავს ხორციან-ძვლიანად,
ბებუთს ვეხები, ეს ისე,
შეჩვეული ვარ იარაღს...
თავიდან, როგორც ნარ-ეკალს
ტანზე ისე ვგრძნობ შეხებას...
ეს შენ ხარ, შენი ბაგე მწვავს,
შენი ხელები მეხვევა.
სურნელი შენი სინორჩის
უკვე გონებას მიბრმავებს,
თავბრუ მეხვევა, გიკოცნი
გაველურებულ სინაზეს.
და მაინც, ღალატს უჩვევი,
ფიქრს ვერ ვიშორებ წყლულიანს,
არადა, შენი ტუჩები
წყაროს წყალივით მწყურია.
გული სხვას ფიქრობს ალალი,
ფარად ვერ ფარობს ღამესა,
ხრიალებს: წესი არ არის...
_ გადი, გამშორდი, გამეცა.
უეცრად ისე მკაცრდები,
ზარსა სცემ ღამის ბინადართ,
ფრთხებიან შავი ლანდები,
ხმაში გერევა რკინა და
ამბობ: _ მებნია, მეწადა
შენი კოცნები მძივებად,
ის, რაც მოხდება, ჩვენ გარდა,
სხვას არვის ეცოდინება.
და თუ ხელსა მკრავ, იცოდე,
ეჭვებში ღამენათევარს,
ვფიცავ, წაგართმევ სიცოცხლეს,
გაქცევ ძაღლების სათრევად.
ამბობ და უკვე მეც ვამჩნევ,
მოსისხლის მზერით მიმზერ და
თავს მშვიდად ვუყრი ჩემს სათქმელს,
ღიმი გადამდის პირზე და
უკვე წარბები შეჰყარა
მთვარემ, ოცნების სამელნემ,
_ სულ მალე მძინარ ქვეყანას
მზე გააღვიძებს და მერე
როგორც წესგამტეხს და ორგულს
ცილი დამწამე, თუ გინდა,
დილით ეზოში გამოსულს
წყალს ნუ დამისხამ თუნგიდან.
აჩვენო სახე ნაკაწრი,
ხალხს სასეიროდ შეკრებილს,
მომცვივდეს ქალი და კაცი,
ქვებით მიმტვრიონ ნეკნები.
შენ კი მიცქერდე ამაყად,
ბედს არასოდეს მორჩილი
და შენს ფეხებთან დამაკლან,
ხატს შესაწირავ ყოჩივით.
მე არ ვიგლოვებ სიცოცხლეს,
სიცრუის ნებით დატორილს,
ოღონდაც გულმა იცოდეს
სიმართლე თავის პატრონის.
თორემ მე მკვდარსაც მესვრიან,
ქვებს, თმახუჭუჭა ბალღები;
და მაინც, წესი წესია,
წესს საით ეღალატების?!

ლია შენგელიძე

ქვეყნად სიკეთე რომ მეგულება...

სიცოცხლისათვის ვუხმობთ სიკეთეს,
უკეთურობით გული მკვდარია.
ბევრი მყოლია სიტყვით მოკეთე
და დამივიწყეს კარგა ხანია.
ზოგს მე სიტყვითაც ვერ ვუმკურნალე,
ისე, უბრალოდ, მთვლიდა ალალად.
ჩემში შეიცნო გული მხურვალე,
თავად დამედო სულის წამალად.
სულ მისხალ-მისხალ ავწონე მადლი
ჩემი და შენი, ჩვენი და თქვენი,
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ, გავზომე ადლით,
რაც მიპოვია სანთლით და რწმენით.
მარტოდ დარჩენის არა მაქვს შიში.
სული სულს იცნობს, გულს კი-გონება.
არ ღირს ცხოვრება ვაით და ვიშით,
ქვეყნად სიკეთე რომ მეგულება.

მწვანე ფოთოლი

მწვანე ფოთოლი, სიცოცხლისფერი,
ბუნების ერთი ნაზი ფურცელი,
ვით საპატარძლო, კეკლუცი, მწველი,
მზეს მოკრძალებით ისე უცქერის.
დასთამაშებენ სხივები თავზე,
ნეფიონივით უმზერენ ურცხვად,
მწვანე ფოთოლი დაიჭერს მზერას,
მინაბავს თვალებს, თავს დახრის მორცხვად.
წამოუქროლებს ნიავი მხრებზე
და საცეკვაოდ გაიწვევს მერე,
აშრიალდება ფოთოლი ხეზე,
ცად ასაფრენად გაიწვდის ხელებს.

დაგმანული გვაქვს გონების კარი

გაბლანტებულა ქართული სისხლი,
ძარღვებში მდორედ მიედინება.
მთებს დასწოლია მორუხო ნისლი,
შენელებულა მტკვარის დინება.
გაყიდულები ოცდაათ ვერცხლად
გადამთიელებს ვუდგავართ მხარში,
ხნულში ვაგდივართ ერთ ცოდვილ ბელტად,
უნაყოფობა რომ მოსდევს კვალში.
აღარც ,,ჩაკრულო“, აღარც ,,ურმული“,
გაჯაზებულა ქვეყანა ძველი,
ხმამიღებულა კახელ-გურული,
მაღალ ნოტებზე გაჰკივის მტერი.
სხვის თვალში ბეწვის მოძებნა გვინდა,
ერთი ანდაზის თქმისა არ იყოს...
მოყვასს გავაძროთ ფეხიდან წინდა,
მოწილეობით მტერთან გავიყოთ.
ცოდვილს ცოდვები სხვისი ამძიმებს,
ადამს ემდურის, ევას ამცირებს,
საკუთარ დედას ურცხვად აგინებს,
ავი ქმედებით გულს სტკენს, ატირებს.
უნდობლობამ და ეჭვმა იმძლავრა,
მართალი კაცის გაქრა ხსენება,
ზოგმა ნიღაბი სახეს იფარა,
ზოგიც ,, გაკერპდა“, მოგეხსენებათ.
ტყვიას ტყვიაზე ვესვრით ილიას,
ღვარძლით, ბეზღობით, დრო გაილია.
ზედაზენს კერპებს დაუდგათ დარი,
სვეტიცხოველში მწუხარებს ზარი.
ბაზალეთს აკვანს ვეძებთ ამაოდ,
სიმდაწყვეტილა აკაკის ქნარი,
თერგში კალმახი აღარ ბანაობს,
ვაჟას ოდაში დაღმუის ქარი.
რუსთველის სიბრძნის აღარვის სჯერა,
გალაკტიონსაც გამოჰკრეს სარმა.
გავაცამტვერეთ ფუძე და კერა,
ვეღარ გაუძლო ფარმა და ხმალმა.
ლაზარეს ენას წაუხდა ნირი,
აღარსად ისმის წმინდა ქართული,
ღვთისმშობლის ხატი უმანკო ჩვილით,
უცხოეთშია გადაკარგული.
დაგმანული გვაქვს გონების კარი,
ვაგლახ, დაგვიდგა დრო შესაზარი.
ვერ ატრიალებს მლოცველი ენას,
გაუფასურდა ღვთის მიმართ რწმენა.

დ ე დ ი!

გულში რომ მიხუტებ,
მგონია, ბავშვი ვარ,
გულში რომ გიხუტებ,
ტკივილად ვიღვრები.
დედი, იცოდე , რომ
შენ ჩემი დარდი ხარ,
შენა ხარ ჩემი მზე
და ჩემი ფიქრები.
ერთად გვიკრეფია
ციდან ვარსკვლავები,
ერთად წაგვიკითხავს
ლექსი თუ ზღაპარი,
დაცემულს მშველოდა
შენი მხარ- მკლავები,
გადაგვიტანია რამდენი
ზამთარი...
შენ ხარ მეგობარი,
ამ სულის მოცალე,
შენით არ ვყოფილვარ
უბრალო ხიზანი.
ზნეობის, სინათლის,
სიმართლის მოფარე-
იყო და იქნება
ცხოვრების მიზანი.
რამდენი ავსული
გზად გადაგვდგომია,
ბევრჯერ გვითმენია
უგვანთ ახირება.
არასდროს გვინატრია,
არასდროს გვდომებია,
საბრალო სულების
მეტი გაჭირვება.
დედაშვილობაზე
აღარას მოვყვები...
სამყაროს მე შენით
ჩავწვდი და ვერგები.
გვიან, თუმცა, მივხვდი,
ჯანსაღი ფესვიდან,
როგორ იზრდებიან
მორალის ნერგები!..

გახსოვდეს!

თქმა იოლია, იცხოვრო
მავანთა ნება- სურვილით,
გშიოდეს- მოკვდე მშიერი,
გწყუროდეს- მოკვდე წყურვილით...
გზა, იოლია, გაიგნო
ეკალ- ბარდებთან ბრძოლაში,
ენით მოგაშთონ მოშურნეთ,
მუდმივ სამიზნედ სროლაში...
ცდა ამაოა, თუ სხვათა
ნაბიჯებს ითვლი ნიადაგ,
რჯულის კანონს თუ არ მისდევ,
სიზიფეს შრომას მიაგავს...
დრო დაკარგულად ითვლება,
თუ აწმყო შენში მცდარია,
რაც ქვეყნად ცოცხლად ითვლება,
შენს არსებაში მკვდარია...
სიხარულს ვერსად იპოვი,
თუ გულს გაწირავ დარდისთვის,
გზად ეკალს არ მოიშორებ
სურნელოვანი ვარდისთვის...
სიყვარულუზიარებელს
თუ სიძულვილმა წასძლია,
გახსოვდეს, მტრის სიყვარულიც
უფლისმიერი მადლია!

ამქვეყნიური ორომტრიალი

მისჩერებია ბრიყვი ამბიონს,
ზოგჯერ თვალს სტაცებს მოძღვრის ოლარი...
ბოთლი მოუდგამს გვერდით სარდიონს,
წამხდარა კაკალ კაცის მორალი.
ბებრის ეზოში ყივის მამალი
ხმის ჩახლეჩვამდე, შუადღის ფონზე...
სოფლის თავს, ხეწვრილს, ბუდობს ალალი,
დაგეშილია მეზობელ ქორზე...
შიმშილით კუჭი უხმებათ ძაღლებს,
აღარსად ისმის ყეფა და ღრენა,
დავიწყებიათ კნავილი კატებს,
აქა-იქ ისმის ბულბულის სტვენა.
მიხოს ჯავრი სჭირს უფრო გოგიას,
რატომ?.. თვითონაც ვერ გაუგია,
ერთად დადიან მარო და მართა,
ვიდრე ერთ-ერთი მოადენს ზღართანს...
დაქრის მანქანა აღმართ- დაღმართში...
ვერ ჩაერევი ვერსად კამათში...
კარგს გააკეთებს ვინმე, ბანძია,
ავს გააკეთებს, მისაბაძია.
გადის ცხოვრება დროთა ჭრიალში,
ხან სიჩუმეში, ხანაც- ღრიალში.,
სად ცოცხალ- მკვდართა არის წრიალი,
ამქვეყნიური ორომტრიალი.

ეკატერინე ნადირაშვილი

💙

ფიქრმა გამითენა ეს ღამეც,
გონმა გულს ახსენა ტკივილით,
დავიწყებული სიყვარული,
უცებ გადაშალა წიგნივით.
მეგონა ნიავს გავატანე,
მეგონა, წიგნი დავხურე.
მაგრამ, ვაი რომ ვერ წავშალე,
წარსულში ვერ გადავაგორე.
ვერ მოგწყვიტე გულიდან ვარდი,
ამ გულს დასობიხარ ეკლებად.
თავს სულ მახსენებ, ვერ გითხარი,
მძივივით ფიქრები მებნევა.
გეტყვი რომ ჩემი სამყარო ხარ,
ვერა გთმობ, ჩემიდან ვერა გშლი
შემომიღე გულის კარი და
სულში ჩამისახლდი მარადის ...

2021.08.02

ჩემო სურამო

💙

გაზაფხული შემოგვიღებს გულის დარაბს,
თებერვალმა მოგვახარა ხეში წყალით.
ვხედავ, აგერ ენძელებსაც გაეღვიძათ
და გვიმზერენ ულამაზეს ფერის თვალით.
სულს გაგვითბობს აგვენთება გული მართლა,
ააცეკვებს ალიონზე ფერად აისს.
პოეტს მუზა ესტუმრა და დაწერს ახლა,
მხატვარი კი თავის ფუნჯით ხატავს დაისს.
გაზაფხული მობრძანდაო გვამცნობს იაც.
ქორწილია! მახარობლად მოიჩქარის.
მზის სხივები, მკერდს საკინძეს შეუხსნის
და გულის ფიცარს დააკვდება ლამაზ ბაგით.
ცისფერ თვალით იმზირება ცა კი ახლა,
მგოსანი კი მზეს უტყდება სიყვარულში
გაზაფხული ჩემს გულის კარს აღებს ახლა
და მეღვრება შარბათივით თითქოს სულში..

2021.02.10.

ჩემო საქართველოვ

ჩემო საქართველოვ!
ნატანჯ, ნაწამებო,
მტერმა ვერ გაგთელა შენ მაინც,
რადგან, ოდითგანვე
ალგეთს ლეკვი გყავდა
ფარ-ხმლით, მუზარადით ნაზარდი.
ცხრა ძმა ხერხეულიძენი
როცა წარსულსა ჰყავს
ოჰ, იმ ქვეყანას რა წაშლის!?
ანდა ანწუხელიძის მსგავსად
ვინ იტყოდა სიცოცხლე
შენთვის შემიწირავს...
იყავ მშობლიუროვ მარადის.
ხოდა მატიანე ისევ იწერება,
გმირ დედის ამაგს რა წაშლის!?
დღეს ხომ საქართველო
მათით სულდგმულობს და
ამით ვიამაყოთ მარადის.

2021.02.11.

ექსპრომტად

შენ მზე ხარ ჩემთვის ხან და ხან ისე გამოანათებ,
ხან კი დაგჯაბნის ღრუბელი და გშთანთქავს მთლიანად,
ხან წერილს მომწერ, ფერად, ფერად, მაყრი ბარათებს,
ხან დადუმდები და ამ გულსაც ისე მიღარავ.
ხან არწივივით დამიფარავ ძლიერი ფრთებით,
ხან კი შეხვედრას გაურბიხარ მიზეზს მითარჯავ.
ოჰ, როგორ მინდა დღე გათენდეს ციებ ცხელების
და სიყვარულმა გადმოჩქეფოს ჩანჩქერის მსგავსად..
შენ მზე ხარ ჩემთვის, ხან და ხან ისე გამოანათებ,
ხან ვარსკვლავი ხარ, წყვდიად ცაზე მიმობნეული.
ხანც ვარდი ხარ ოჰ სურნელებას
რა რიგად აფრქვევ, ხან კი ამ გულის
„დარდი მანდი“ და უნდობელი.

2021. 01 28.

გინდა გამკიცხე

გინდა გამკიცხე, გინდა დამძრახე,
მე შენს კარებთან, ჰო, მაინც მოვალ,
გულანთებული, ლოყებ წითელი,
ხო, ცეცხლის ალი მეკიდოს თუნდაც,
მაგრამ ვაი, რომ შენ ვერ შეამჩნევ
მე ჩემს თავშივე ვივნები უცბად და
მაინც გეტყვი მე შენ მიყვარხარ
კარს მიღმა შეგთხოვ ნუ დამტოვ მწუხარს,
ნატრულს ნუ მიშვებ სამსალა დაცლილს
გულის კარები გამიღე უმალ.
გინდა გამკიცხე, გინდა დამძრახე,
მე შენს კარებთან იცი რომ მოვალ...

ექსპრომტი.

მოლოდინმა ოჰ ეს გული გადაღალა

მოლოდინმა ოჰ ეს გული გადაღალა,
იმედების ფიალაც კი გამოვცალე.
დარაბიდან გზას გავცქერი მომლოდინე,
ერთ ხანობას უცხო პირსაც მიგამგვანე.
სად გამქრალხარ იმედები დამელია,
ნუთუ ასე ქვად იქეცი აგვიანებ,
მე კი მხოლოდ ოცნებებით ვიკვებები
მხოლოდ მათი არსებობა მაფრთიანებს.
ლოდინს ისევ ვაგრძელებ და გელოდებ,
იმედს ვიტოვ რომ გულის კარს შემომიღებ.
იცი ახლა?! იმ გზით ისევ გელოდები,
იმ წითელი თაიგულით მოხვალ ისევ.
მოლოდინმა ოჰ ეს გული გადაღალა.

2021. 12. 01.

ლეილა ვადაჭკორია

მე მოვალ შენთან.

ადრე, თუ გვიან,
უსათუოდ მე მოვალ
შენთან,
იქნება მაშინ
მონატრების სიგიჟემ
შეგძრას,
და იქნებ მაშინ,
მაშინ მაინც, მითხრა
სიმართლე,
რომ შეცდი ჩემთან
რომ ინანე,
თავს არ იმართლებ.
მე კი იმდენად
ბედნიერი ვიქნები
მაშინ,
ვით, ჩინ დაკარგულს
დამიბრუნდეს სინათლე
თვალში.

სიჩუმეს ვირჩევ

მე ისევ ვირჩევ სიჩუმეს,
სხვის ჭორებს ხომ არ ავყვები,
ვიცი, რომ ყველა სიტყვაში
ჩადებულია ნაღმები.
ბუდეს რომ ქორი გადუფრენს
გაირინდება ბარტყები.

უდრეკი კაცი

ყინვით დამზრალი ქარბუქმა
აწამა გამორჩეულად,
მაინც ვერ ნახეს მწუხარი
ღიმილს არ გადაჩვეულა.
– არაფრით გატყდა ყინვაო
ჩვენს გაჩენას კი წყევლიან,
ხედავ? კვლავ ზენიტს ესწრაფვის
თითქოს არც არა სტკენია.
– ყინვამ თქვა ტყუილ ვეცადეთ
უდრეკი კაცის გენია,
მტერმა რომ ვერა გახედნა
იქეთ ადინა წვენია.

პაექრობა

შემბრალებიხარ სიკვდილო
დადიხარ ცელის ამარა,
დედამიწაზე ვერ მკვიდრობ
ვერც ცაში შეკრავ კამარას.
- ვიცი, რომ გძულვარ სიცოცხლევ,
ვითომ სულ არა გიცნობდე,
კაცად სიკვდილი ჯობია
ზოგ არაკაცის სიცოცხლეს.
ეჰ, მართალი ხარ სიკვდილო
სული მიფრინავს ზევითა,
ზოგი ვარსკვლავად იქცევა
მერე შენც ტკბები ცქერითა.
სიცოცხლეს ხსოვნა აცოცხლებს
ზოგს მოკლე, ზოგსა გრძელია,
ხსოვნაში გადაითვლება
კაცის სიცოცხლის დღენია.

* * *

რას იზამ,
ზოგჯერ ბრძენისაც
არ ესმით ისე,
დროულად,
სანამ თავად
არ გამოცდის,
აზრადაც რომ არ
მოუვა.

ფერისცვალება

გვენატრება დღეები
ნათელი და დიადი,
ახლა მთელ დედამიწას
მორევია წყვდიადი.
იქნებ ჩვენი ბოღმით და
შურით აღარ დავღალოთ,
როცა ფერისცვალებას
ელოდება სამყარო.
...მაინც ცოდვებს ვერა ვთმობთ
დამძიმებულ სულისას,
ნუთუ ვეღარ იმძლავრა
გრძნობამ სინანულისამ.

დედის ნატვრა

ერთ წამში დარდმა დამტოვა,
გნახე ჯანმრთელი, ლაღი,
მოდი და გადაბრიალდა
ჩვენი ეზო და ბაღი.
ჩინარმა ჩურჩულს უმატა,
განათდა ოდა-სახლი,
თუმცა დაკაცდი, შვილო,
ჩემთვის მაინც ხარ ბალღი.
ამ მოკლე წუთისოფელში
რა უნდა დავიჩივლო,
ოღონდაც ჩემი ნაგრამი
ხშირ-ხშირად გნახოთ, შვილო.

ბედი

შენამდე რომ მოვსულიყავ
შორი გზა გამოვიარე,
შენზე ოცნებით გავუძელ
რამდენ ქარიშხლის იარებს.
მერე მზე შემომეშველა,
მერე ვარსკვლავთა ციალი,
მინდვრად ყვავილთა სურნელი,
ლამაზმანების ცქრიალი;
იეშხეს, რა იკეკლუცეს,
მდელო დაღალეს თარეშით,
მზერა მაინც ვერ მომტაცეს
სულ შენა მყავდი თვალებში.
უფალს რა გულით შევთხოვე,
თავს ზევით ძალა არ არი,
სულ რომ არ ელი გიავდრებს
თურმე თუ ბედი არ არის.

* * *

ყველა განწირულს
შენ უკმევ იმედს,
არა გწამს, ვიცი
შვილთა გარჩევა,
შენ ერთს თუ შეგთხოვ
უფალო ისევ,
სულიერების
გადასარჩენად.

დედულეთი

იცი? როგორ მომენატრე
ჩემი სოფლის ეზო-ყურევ,
ბავშვობაში შენ მჩუქნიდი
სიხარულს და სითბოს ულევს.
ვიცი, შენც რომ გენატრები,
დედულეთო, ჩემო ტკბილო,
ვიცი, გულში ჩამიკრავ და
თან ალერსით მეტყვი, შვილო.

ახლა შორით გეფერები
ვხედავ ჩინარს, მაყვლის ბუჩქებს...
შენში იშვა ჩემი სული,
დღესაც შენს სამყაროს ვუსმენ.
შენც ხომ იცი რა ლაღი ვარ
დედულეთო, შენს უბეში,
ყველა ტკივილს დამიამებს
შენი სითბო და ნუგეში.

ნონა გაგნიძე

* * *

ბოლო წუთამდე ვბრძოლობ ჩემი
ნათესის მოსავლიანობაზე...
უამინდობას ქოლგას ვაშველებ,
ვმარგლავ რომ ბოღმამ არ გამითელოს,
სიბრაზეს ვდევნი, ღიმილს ვაშენებ,
დათმენით ისევ ვიპარავ წუთებს ,
გავწმინდო ნაგვით სავსე ჰაერი
  და თუ პასუხი შურს მადლში ურევს,
გავწყვიტავ ისე,გადავაშენებ.
ფერებას სულაც არ ვარ ჩვეული,
სხვის შეცდომებზე ვიტყავებ ხელებს,
არ მინდა ვიყო ვინმეს რჩეული,
აღარ ვაპირებ ვუცადო დღეებს.
დამთავრდეს უნდა! გაწყვეტილი გზის
გაშენება,
ბევრი რამ მსურდა,მაგრამ მომიწევს აქ
გაჩერება,
არავინ მძულდა,სიყვარული მქონდა
ძლიერი,
ბევრმა გამხადა უმართებულო
გადამთიელი.ნ.გ

* * *

შეუჩერებელ წლებში,
ჩამოიშალა გრძნობა,
მოთმინებებში შევსვი,
ფიქრი,სურვილთა ხროვა.
ალბათ აღარ ღირს გწამდეს,
სიცოცხლის მწვანე ფერის,
ნისლად დადებულ აწმყოს,
ვეღარც ვერავინ შველის.
კალაპოტებზე მხეთქავს,
გამხეცებული წლები,
ცრემლში მასველებს სევდა,
ნესტისგან ვეღარ ვშრები.

* * *

მატარებლის რელსებზე ვერ ვპოულობ
მისამართს,
სიარულით დაჩვეულს ,ნერვებს ფიქრი
მიწამლავს,
იმ პატარა მზეების გაჩერებას დავეძებ,
დასუსტებულ სიცოცხლეს,სიყვარულს
რომ ვამატებ.
კარებს გასაღები აქვს დაკარგული
სადღაცა,
დროს ვერ დაველოდები,უნამუსოდ
გამძარცვა.
არ ილევა დღეები,წლებად
გვირგვინდებიან,
კალენდარიც არ მინდა,არც ციფრების
დანახვა,
არეული თვეები ერთნაირად
მხვდებიან.
ხან მცივა და ხან მცხელა,
სხვას ვერაფერს ვგებულობ,
სული საჭირო საზრდოს კარგავს,
ვერა ღებულობს.ნ.გ.

* * *

მკვდარია სივრცე ...
უჩინარმა ქვათა ლოდებმა დაკეტა
გზები,
მოთმენა მიწევს...
მოწყვეტილი ყვავილივით ნაფოტზე
ვჭკნები.
სადაა სახლი,
სადაა ფუძე,
სად დავეკარგე გულღია ღიმილს,
საქმე ისაა ,რომ ვეღარ ვუძლებ,
ამ მკვდარ სამყაროს ,უცნაურ
ტკივილს.ნ.გ.

* * *

ტკბილ განცდებს ,თუკი დაგიტოვებს
დრო გულს შრამებად,
სულში გაჩენილ სიცარიელით რა
გეყვარება,
საშიშ ფრენებით გადაღლილი
ცხოვრებას ებრძვი,
ბევრჯერ მომდგარი გაგშრობია
სურვილზე ნერწყვი.
ვის მოუყვები რომ გაგიგოს ტკივილი
ძვლების,
გტკივა მაშინაც მოურჩენლად ,
როდესაც წვები,
დაწერილი გაქვს უთვალავი საცავად
ჯვრები,
გაწელილია მოსაწყენი ,ნაყვედრი
წლები.ნ.გ.

* * *

უხილავ წერტილს ვერა ვპოულობ ,რომ
დავამთავრო მე ჩემი გვერდი.
რაღაც შევცვალო,დრო გამოვნახო
გადასაფურცლად,
სიჟანგე ადევს ჩაშვებულ ღუზას,
ოცნება მქონდა,მაგრამ წლებმა
ირონიით გადამაფურთხა,
დღეებმა ისევ გადამცვალა აისის
ჩრდილთან,
ხელს უნამუსოდ ჩამომართმევს ,
გამრიყავს ბინდთან,
დავმძიმდი... ჩემს სულს
განსაცდელებით უკვე ვერ ვიცავ,
რაღას მიშველის დახეთქილი,
მოურწყავი ,გამშრალი მიწა!

* * *

ცდუნების ხარჯზე მოპარულ მზერით,
წუთებში გხატავს ბედნიერება.
პირქუშ სამყაროს ფარდების იქით,
ყვავის ისევე მშვენიერება.

მარტო ჟღერადი ტკივილის მიღმა,
იმედი სევდით დადის მწუხარე,
სითეთრეს სულში ფერები უნდა,
ჩრდილებს ოცნება დაასუფთავებს.

შუქი ჩადგება ნარეკლი მზისგან,
გაბედე გულო ,ნატვრის ახდენა,
დაე! გრძნობების დაგვრჩეს სიცოცხლე,
სევდა და დარდი მალე გაქრება.ნ.გ .

ედემს გადაშლილს, ჯოჯოხეთად
გიქცევს სიცოცხლე,
სულ ძიებაში დაგატარებს გზებზე
სევდიანს,
კურთხეული ხარ თუ სიმძიმეს,ჯვარს
გაუძელი,
მადლ გადასხმული ბედისწერაც,
ღმერთის ხელია.ნ.გ .

მარი ბიბილური

***

როგორ დავყარეთ ფარ-ხმალი,
მტერი მიუშვით ნებასა,
სამშობლო მთლად მივატოვეთ,
ვგმობთ დიდი უფლის მცნებასა.
დაჟანგებულა ქართული,
ხმალი წინაპართ ნაკურთხი,
ვერ გადავლახეთ გზა რთული,
ვერ გავუგზავნეთ საკურთხი.
მტერს უპასუხოდ დავნებდით,
როგოც ,ბრიყვი და აბდალი,
ერთმანეთს ვხოცავთ დანებით,
ვერ ვცანთთ,მტყუან და მართალი.
ქალს ჩავაბარეთ სამშობლო,
ენაც არ იცის ქართული,
თავისი მიზნები აქვს და
არის ფიქრებში გართული.
ეხლა, მეორეც გამოჩდა,
თამარ ქალობა სწადია,
სურს სამეგრელო დაიპყროს,
და იყოს მისი გადია.
ვაი თქვენს დედას ბეჩავნო,
ვაი შენ– ჩემო მამულო!
შვილებო,მგოსნად დაზრდილნო,
უდედოდ გადაკარგულნო.
ვაი,-ქართველო ვაჟკაცო!
და შელახულო ღირსებავ,
ნეტავი გამოღვიძება,
თუ ოდეს,კვლავ გეღირსებათ.

18.05.2019.

*****

დღესაც გაავდრდა, წვიმს და წვიმა მისველებს ფიქრებს,
დღესაც ტირიან მონატრებით ჩემი თვალები,
- ოჰ, გულოვ ჩემო, რამდენ რამეს იტევ და ითმენ,
რით ვერ გავლიეთ, ეს დღეები განაწამები?!
სულ დამისველდა ეს გრძნობები, ნაკოწიწევი...
სხეულს შეახმა სული, უკვე ღმრთისგან გამწყრალი,
მე ხომ ყველაფერს, სიკეთისგან ვაკოწიწებდი,
- მითხარით მაშინ, რად არ ყოფნის ამ სულს საგზალი?!
- მითხარით მაშინ, სად დამთავრდა ბილიკი უფლის?!
გზა მადლიანი, რომ მატარა რწმენით და რიდით...
- მითხარით ხალხო! - ვინ გამიბა აქ ცოდვის ყულფი,
ან სად დავკარგე, ამ ცხოვრების მეგზური-გიდი.

11.05.2021.

***

უნდა გადაგმალო საქართველო...
ვფიცავ, არ გავამხელ სად ხარ.
როგორ დამეღალე სადარდელო
როგორ აგირიეს თავგზა.

უნდა გადაგმალო საქართველო...
ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქეთ, სადღაც..
უნდა დაგასვენო ყველასაგან,
გეყო წვალება და დაშლა.

გულზე ჭრილობები დაგიკემსო,
ფეთქვა გაგიხშირო მაჯის.
მკერდზე გვირილები დაგაბნიო,
ჩემთან გადაგმალავ მთაში.

- უნდა გადაგმალო საქართველო!
მალე მოგაშორო ავ თვალს.
როგორ დამეღალე სადარდელო..
როგორ აგირიეს თავ-გზა.

უნდა გადაგმალო, დამიჯერე,
აღარ დაგვრჩენია სხვა გზა.
გულით ქართველებს მსურს ჩაგაბარო..
ვიცი, მოგივლიან კარგად..❤

2018.მილანი.

****

ყველას რაღაც ჩინი ერგო,
ზოგს ვარსკვლავი, ზოგს სიგელი,
ჩემს გულს მხოლოდ სევდა ერგო,
და ობლობა საძაგელი...
ყველა დიდებისთვის იბრძვის,
ლექსებს კაზმავს, როგოც რაში
ჩემი ლექსი ცეცხლში იწვის
მე კი ვრჩები, კვლავაც ბავშვი.
ყველას ტკივილები მტკივა
გულში საქართველო მეწვის,
მტკივა უსამშობლობა და....
ეს წუხილი არვის ესმის.
წლები გადის სხვის მიწიდან
ვსტირი, მოვთქვამ გულში ნადებს,
ყველა სტროფი ჩემს წიგნიდან
გულში იარებად მადევს.
მტრის ჯინაზე კვლავ ვიცინი...
მზეს ვუსწორებ მწუხარ თვალებს,
ბედისწერაც კვლავ დამცინის,
მომყვება და მითვალთვალებს.
ცოცხალს, არვინ არად მაგდებს,
ვის რად უნდა ჩემი ლექსი,
მხოლოდ სამშობლო მადარდებს,
ჩემი დარდიც იმას ესმის.
როცა წავალ იმა სოფლად,
დამაყრიან ცრემლებს ფუჭად,
რა აზრი აქვს ან აქ ყოფნას,
კეთილს პირი აღარ უჩანს.

2021. მილანი

***

თუ საქართველოს ბედი არ გტკივა
მისი ტკივილით, გული არ გეწვის,
მაშ, შენ ქართველი სულაც არ გქვია,
რატომ იბრალებ, რა ძალა გერჩის?!

თუ საქართველო გულში არ გტკივა,
თუ არ გადარდებს შენ ერის ბედი,
მაძღარი გორავ და მოძმეს შივა,
ქართველი ვარო-ნურავის ეტყვი!

ახლა თუ ქართველს საწოლში სძინავს,
თუ დარდმა მკვლელი ძილი შეჰყარა,
ნურავის ეტყვი რომ ქართველი ხარ,
რომ გიყვარს შენი ცა და ქვეყანა!

როცა შენს შვილებს ბოროტი იპყრობს,
როცა მათ სულებს სევდა ატყვია,
თუ არ ლოცულობ, მათი სულისთვის,
მაშ ,არც დედა ხარ და არც გადია!

თუ ერთხელ მაინც არ გიტირია,
თუ ცრემლის კვალი თვალს არ გატყია,
თუ შენი მიწა, ერი არ გტკივა,
მაშ შენ, ვინა ხარ, ანდა რა გქვია?!

ნუ დაიბრალებ, მაშ ქართველობას,
ფუჭი სიტყვები არად გარგია,
ქართველი ვარო, მხოლოდ მაშინ თქვი,
როცა სამშობლო გულში გატყია.

14.05.2018.
მილანი.

***

ცის საკიდზე ჩამოვკიდე,
ცრემლი წვიმის წვეთებად,
იწვიმებს და ჩემს მშობლიურ,
ველებს დაეწვეთება,
მონასტრების ლექსებს ვუწერ,
სხვის ზეცის ქვეშ შედევრად,
ჩემს მშობლიურ,
ღვთიურ მიწას,
ქვეყნად რა შეედრება?!

ბევრი მიწა მოვიარე,
ბევრი უცხო კერია,
ბევრი კაციც დავიმოყვრე,
გავიჩინე მტერიაც,
სხვისი მიწის გაზაფხული,
ჯერ ვერ ამიღწერია,
რადგან გულში სასაქართველოს
გაზაფხული მწვევია.

09.05.2020
მილანი.

მამუკა ოჩიაური

უშენობა – მძიმე განაჩენი

მოგვითოვა, თოვლი დადო მტკაველამდე,
გადაფარა მთის სიმწვანე დანაფენი
მსურს არასდროს
დაგავიწყდე,მუდამ გწამდე
დამიჯერე სხვა არ მინდა არაფერი.

სიყვარული უთქმელი და გაუნდობი,
არ მარგუნე, შუაზე არ გამიყავი
რად იყავი უგულო და დაუნდობი,
ჩემი გულის მომკვლელი და გამრიყავი.

ახლა სტრიქონს გავუმხილე ნაფიქრალი,
ფეთქავ, გულზე იარებად აჩენილო,
ქალი არა, შენ ყოფილხარ ქვა – ფიქალი,
ჩემს ყოფაში სამუდამოდ დარჩენილო.

მოგვითოვა, თოვლი დადო მტკაველამდე
უშენობა არის მძიმე განაჩენი,
მსურს არასდროს დამივიწყო, მუდამ გწამდე
რაღა გითხრა აღარ ვიცი დანარჩენი.

ჩოხში მარიამობას

ახლა ამ ბოლო ჟამობას,
ლოცვით ვიმშვიდებთ სულებს
ჩოხსა ვარ მარიამობას,
დღეს ვსტუმრობ ბექაურებს.
ზარს რეკავს დეკანოზი და
ხატსაც აქვს ძალა დიდი,
მოხუცმა ლოცვით მოზიდა
რწმენის უტეხი მშვილდი.
ჩოხელებს მიჰყავთ საკლავი,
უნდა შესწირონ ხატებს,
მლოცველი ბევრის ამტანი
ხატის კარს ღამეს ათევს.
ზარი რეკს ხმამადლიანი,
დროს შველის ბოლოჟამურს,
ქალი ლამაზი თმიანი
გრძნობით უმღერის მამულს.
შუბლზე ჯვარგამოსახული,
ბალღი აურვებს მერანს
ამით მთავრდება ზაფხული,
ჟინმოუკლავი ჯერაც.
გახურდა სულის მაყალი
ხატს ენდო რწმენის მომცემს,
ვერ იტევს გუდამაყარი,
ბარიდან მოსულ მლოცველს.
ძმობილი ბექაურების,
ლაღი არხოტის მკვიდრი,
მონუსხული ვარ სრულებით
ხარბად თბილ წუთებს ვითვლი.
ჩოხში ვარ მარიამობას,
პირიმზის ხატის კარზე,
სამზეოს ბოლო ჟამობას
ჩემსას ვუტოვებ ნამზერს.
და სული – მწველი მაყალი,
ხატის ძალას გრძნობს ზევსურს,
მმასპინძლობს გუდამაყარი
დღეს არხოტიონ ხევსურს.

ივლისის წვიმა მთაში

წვიმს და მთებს ფარავს ნისლები მუქი
ტოტებდახრილი, ეს არყის ხეა
მიდამოს დაჰკრავს ფერმკრთალი შუქი
ივლისის თვეა!

მდინარე გიჟობს, მღვრიე აქვს ტანი
და მოაგელვებს დაზაფრულ ლოდებს
უნდა მთებს მისცეს მდინარემ ბანი
ამისთვის გოდებს!

მოუწყენია გალუმპულ ფიჭვებს
დრო კი ტაატით მიდის და მიდის
ქარს ჭიუხები აკავებს, იჭერს
შორიდან ისმის ჭრიალი ხიდის.

ივლისის თვეა, არადა დარი
მთებიდან ბარად გზებს გაჰყოლია,
ნისლს ჩაურაზავს ცის ლურჯი კარი
მომძალებია მელანქოლია.

წვიმს, დასწოლია მთებს ნისლი მუქი
თმებჩამოშლილი ეს არყის ხეა,
მიდამოს დაჰკრავს ფერმკრთალი შუქი,
ივლისის თვეა!

* * *

როგორ მაკლდები, ნელა – ნელა
წვეთებად თურმე,
ვხედავ წარსულმა დღეს ჩემს აწმყოს
როგორ ათოვა,
მეგონა შენი მონატრება შორს გავისტუმრე
შევცდი, ჩემშია თურმე დარჩა, არ
მიმატოვა

ისევ მაკლდები, ნელა – ნელა წვეთებად
თურმე,
ჩემი ცხოვრება ბედის წიგნში ასე სწერია,
ვერ შეველიე და წარსულში ვერ
გავისტუმრე
ვხედავ,რომ შენი მონატრებაც ვერ
შემელია.

დაჩეხილო მამულო

ასე რომ გჩეხავთ, ნეტავ რა გველის
საით გაგვრიყავს დროის ტალღანი,
ხორცი ხალისობს, სული ნაგვემი
სწუხს და წყლულზე აქვს ისევ ბალღამი.

უღმერთოების ჩამოდგა ჟამი,
ღვთისმშობლის წილხვედრს ებრძვის დემონი,
სანთელი ჩაქრა, გვიქრება კვარი
ხატებსაც აღარ მოსდით მირონი.

გათითოკაცდა ერი თუ ბერი
გვიხმება ფესვი, ჯიშის და მოდგმის
უცხო ტომელთა სიმღერას ვმღერით,
როცა დრო გვიდგას გლოვის და მოთქმის.

რა ქართველობა, რის ქართველობა
ჩაგვძახის უცხო, – გონებას გვირევს
ღალატი გახდა ჩვენი ხელობა,
გულში ნაისრალს ვგევართ ხარირემს.

გამოღვიძება და ერთად დგომა,
დღეს გადარჩენის გზაა მცირედი,
სამშობლოს ვყიდით, არ გვინდა შრომა
ვხედავთ უფსკრულის პირას მივედით.

აღსდექი ერო შეუდრეკელო,
გმირო ვაჟკაცო სახე ნათელო,
ვერ აუღებო ზღუდე კედელო
გაუტეხელო მუდამ ქართველო.

ნეტავ სადამდე ანდა როდემდე,
უნდა ვიცხოვროთ ტანჯვა – გვემაში,
არის საშველი გზა გადარჩენის –
ერთობაში და უფლის რწმენაში

ბალღამიანი სული ნაგვემი,
ჩამონგრეულის იწყებს შენებას
ნუღარ იკითხავთ – ხვალე რა გველის?!
გეტყვით, – გაქრობა, გადაშენება.

თამრო სვანი-ნიჟარაძე

საქანალაზე ვზივარ

საათი საით მიმაქანებს,
საქანელაზე ვზივარ,
არ ავედევნები ქარებს,
ჩემი ქალობით ვბრწყინავ.
თუმცა ბედის ვარ მორჩილი,
ვნებდები, ის ძლიერია,
დედა ვარ, ქალი ვარ ნამდვილი,
აი, ამით ვარ ბედნიერი.
შვილებო, თქვენით ვძლიერდები,
სიცოცხლეს თქვენით აქვს მიზანი,
და თუ თქვენს თვალში დავბერდე,
დედობით გამომიცანით!

ემიგრატობა რთულია

ემიგრანტობა რთულია,
თვალზე არ შრება ცრემლი...
რაც აქეთ წამოსული ვარ,
მონატრებაა ძნელი.
უსაქართველო სიცოცხლე მტკივა,
ცრემლით გავლიე წლები,
ქარი საზარლად ჩემს თავზე კივა,
უსიყვარულოდ ვკვდები!

ნეტავ ვიცოდე

ნეტავ ვიცოდე, ვინ მომანიჭა,
ძლიერი ქალის როლი,
გზა სიყვარულის ვინ გადამიჭრა,
ცრემლები თვალზე მომდის,
სიტყვა მაცოცხლებს და სიტყვა მომკლავს,
შვილების ფიქრი მტანჯავს,
რა რთული არის მოხუცის მოვლა,
ეს, არის მართლა ჯვარცმა.

თქვენ რა იცით

თქვენ რა იცით რას განვიცდი,
გული როგორ კვნესის,
მე აქ ვარ და... მაინც შვილო,
თქვენი ხმები მესმის.
როგორ მინდა მოგეფეროთ,
შემოვძახო „მირანგულა“
დარდი როგორ შევიფერო,
როცა დარდით შევრაგულვარ!

ემიგრანტი

ზიზღით, შურით, სიძულვილის
კომენტარებს ვხედავ,
და მე ხალხო, სიყვარულით,
თქვენ სუყველას გკვებავთ.
ასე როგორ გადაგვარდით,
ასე, რატომ ხდება,
საშრომელად გადავბარგდი,
სისხლი მიდედდება.
ემიგრანტებს გულს რადა სტკენთ,
რას მოითხოვთ ჩვენგან,
მე თვალი მაქვს სამშობლოსკენ,
მოვიჩქარი თქვენთან.
დაიხრჩობით სიძულვილით,
გემი საით მიგყავთ,
ჩვენ გვკლავს ნახვის სურვილი და,
ჩვენ სამშობლო გვიყვარს!

საქართველოს გული

საქართველოს გულის კვნესას,
ვერ გაუძლებ ალბათ,
შველას ვითხოვ უფლისაგან,
სულ მწირ სითბოს აბად...
სატანებო, არ შეგრჩებათ,
სიცბიერე ჩვენში,
საქართველოს მიწას ტკივა,
ღალატობთ და კვნესის.
არ შეგრჩებათ, ღვთსშობელი
დაიფარავს ქართველს....
მე, ვიხილავ, ხო, ვიხილავ,
საქართველოს ჯამრთელს!

მაშინებს

ადამიანთა ცოდვა მაშინებს,
ვფიქრობ რად არის გაუმაძღარი,
აგებს აშენებს, ცამდე არშინებს,
იმიტომ მოდის ციდან ავდარი.
ანგელოზები მიდიან ცაში,
მიწაში რჩება სულ არაფერი,
ადამიანო, დაფიქრდი მაშინ,
სიკდილი მოდის ცაში აფრენით.

ლამაზია

ლამაზია უცხო მხარე,
ჩემი მაინც მირჩევნია,
მიყვარს ჩემი არემარე,
ყველაფერი იქ, ჩემია.
სხვანაირად ყვავის ხილი,
ია- ია და ენძელა,
ჩემი ხალხი არის თბილი.
აქ, ყოფნა კი გამიძნელდა.
დღეს იქ ყურძნის რთველი არის,
მე კი აქ ვარ, ტირის გული,
მიყვარს ჩემი მთა და ბარი,
უფრო მეტად, მთა უშგულის!

შევუკრიბოთ

წამოდით შევიკრიბოთ მეგობრებო,
ჩვენი მისვლით მთებს გაეხარდება.
სიხარულით ტოტის ხელებს
გაშლის და ცეკვას დაიწყებს.
მოვიგონოთ ტკბილი ბავშობა.
კლასობანაც ვითამაშოთ.
ვიკენჭაოთ, ქვებით ხელები
დავისისხლიანოთ,
ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში.
ტკივილი არ ვაღიაროთ.
უთქმელად, გაუგოთ ერთმანეთს.
მერე ქვებზე ჩამომჯდარი
დედაენის წიგნებით ხელში,
ის დრო გავიხსენოთ.
მაშინ ხომ სიყვარულით
გული გვქონდა ავსებული.
არ ვიცოდით რა იყო
ნტრობა და სიძულვილი.
ამ მოგონებებით ვცოცხლობ,
თქვენ? თქვენ როგორ ხართ?
გენატრებათ თქვენი თამრო?
მე ძალიან მენატეებით.
გავიხსენოთ მუავე წყალი,
ლეცირი და „აილამა“
ჩამოვჯდეთ ნაცნობ ქვებზე,
იქნებ ქვებსაც ვენატრებით.
ჩვენ არ გვქონია ინტერნეტი,
მაგრამ სიყვარული გქონდა.
ჰოდა, მეგობრებო,
შევუკრიბოთ სიყვარულით
და ნონატრების ცრემლები
ჩამოვცალოთ თვალებიდან.

ღმერთო

ტვირთს ვეღარ ვზიდავ ღმერთო,
ტკვილი ბევრჯერ შემხვდა.
წმინდა სანთელი მენთო,
ქარი სამოსელს მხევდა.
ქაჩნდა შვილები მერე,
ვიტვირთე დედის ბედი,
წლები ცრემლებით ვღებე,
დანით დამსერეს მკერდი.
არ უღალატე შვილებს,
ვიტირთე ტვირთი დიდი,
ხომ არ დავტოვდი მშივრებს,
მე არ ვიყავი ფლიდი.
სიცოცხლეს დავთმობ მათთვის,
ახლაც და ხვალეც, მერეც,
დროს მე სიცოცხლე წავართვი,
დუმილით წლები ვკერე.

ღმერთო ჩემო

ღმერთო ჩემო გული მეწვის,
როცა მოხუცს ტკივა,
შველას ითხოვს, რომ ვერ ვშველი,
ყინვაა და ცივა.
მის თვალებში სევდას ვხედავ,
უსაშველო ტკივილს,
მას შევყურებ როგორც დედას,
ვიწყებ ჩუმად ტირილს.
ვეფერები გულში ვიკრავ,
მიფათურებს ხელებს,
შემიყვარდა ყველას ვფიცავ.
შემიყვარდა! ვფიცავ!

ბავშვობის დრო

როგორ მახსოვს, მწვევალების დაპყრობა,
დავფრინავდი როგორც ჭრელი პეპელა.
ჩემთან ერთად მთის ნიავიც მაყრობდა,
ავდიოდით მაღლა - მაღლა ნელ-ნელა.
რომ ვინატრო ის დრო არ დაბრუნდება,
თუმცა მერცხლის ხმათა ჭიკჭიკს მოვისმენ,
ბავშობის დრო, თავისთავად ხუნდება,
მონატრება, მტკივა, ვეღარ მოვირჩენ.
თვალწინ მიდგას, ოქროს ხანა, ბავშობა...
სადაც დედამ იავნანა მიმღერა,
მთის ნისლებს რომ მზის სხივები აშრობდა,
მასპინძელი სტუმარს გულით იღებდა!

ჩემი სული

ჩემი ფიქრის გონება,
გორდში ჩასვენება.
მონატრება შვილების,
კარგად მოგეხსენებათ.
იმ, ლამაზ მთენს ეტრფიან,
ჩემი შვილიშვილები,
ჩემს მოკითხვას ეტყვიან,
იქის ფირისულები.
დადიანის სასახლე,
კანიონის ჩანჩქერი,
ღმერთო ფიქრით მაახლე,
ჩემი ხელით ნაწერი.
როცა ნახავთ მერწმუნეთ,
იტყვით არის წალკოტი,
სიყვარული ჩაწურეთ,
მეც გულს ნუღარ დამკორტნით!

მოდით

მოდით იმას გაუმარჯოს,
ვინაც ლუკმა გაყოს,
ღმერთმა ხელი მოუმართოს,
ვინც რომ ნახავს არხოტს.
ნახავს მთებს და იალაღებს,
საქართველოს ველებს,
გასაჭირში კლდეებს არღვევს,
ერს თავს ანაცვალებს!

პირტიტველა ბიჭები

ღმერთო, ჩემო რა ხდება,
იღუპება ბიჭები,
საქართველო გახდება,
ალბათ მარტო ქინკების.
დაიკარგა ნდობა და...
დაიკარგა ნამუსი,
დედა შვილს რომ შობავს და
არის სევდის ნასუსხი.
ძმას რომ ტყვია ესროლე,
ნუთუ არ შეგებრალა,
ასე რად შეიცვალე,
ასე რამ დაგაბრმავა.
ალბათ ეშმა ჩასახლდა,
ქართველების ძარღვებში.
სამუდამოდ დასახლდა,
დავრჩი ფიქრის ძაძებში!



თამარ მეტრეველი

სადღეგრძელო...

***

სანამ ქარი შეარხევდა, ლერწამს ცრემლით სავსეს,
აბლაბუდის ფიალიდან სადღეგრძელო მასვეს _
ბელტის სუნის, სანთლის მადლის, ვაზის მღვრიე ცრემლის,
წაკვერცხლილი ყლროტებიდან ჩამოდენილ ლექსის,
ფიალის და სიტყვის ძალის,
და - ძმობის და ნდობის,
დამტვერილი ფუძის აკვნის, მტირალ ანგელოზის,
პურის მადლის, თავთავისა, ვაჟკაცობის, ძმობის,
უღალატო კაცობისა, სიტყვის გამტანობის!
თავშიშველა ყაყაჩოსი, მიტოვებულ დედის....
გაუმაძღარ სიყვარულით დადენილი ცრემლის,
თოვლზე ჩიტი მოლაღური - მგალობელი უფლის,
ტბის სარკეში მომზირალი ფრთაგაშლილი ღრუბლის.
დაჩაგრული ობოლისთვის მიმწოდებლის პურის,
ჩემ ხორც მიწადმზაობისა, შიმშილს სიყვარულის...
მერე იქვე, უფლის ბაღთან თვალაკრული დამსვეს,
აბლაბუდის ფიალიდან სადღეგრძელო მასვეს...

* * *

რადგან სიცოცხლე ძალზე მცირეა,
მეც ფუტკრის მსგავსად მაქვს ჩემი ვალი,
გული ლექსისთვის შემიწირია
და უტასავით არ მომჭრათ მკლავი.
შენს ვაზს ვფიცავარ თუ გიღალატო,
მეგზურად მყავდეს მაცხოვრის ჯვარი,
ჩემით არ მოველ, არც ჩემით წავალ,
ვწიწკნი შენს ბალახს ცოდვილი კრავი.
ღმერთო, მამყოფე იმ იალქანად,
აქოჩრილ ტალღის რისხვას ვმალავდე,
სამშობლოსაკენ წამოსულ მერცხლებს,
დაღლილი მხრებით დავიფარავდე.
ანდა ზამთარში მშიერი ჩხიკვის
ხმელპურისმარცლად დავპატარავდე,
უფალო შეგთხოვ სიყვარულისა
ზღვა საიდუმლოს ძალა გამანდე.
ასე მცირეა, რადგან სიცოცხლე,
დედამიწიდან ზეცის კარამდე,
ფეხშიშველ ვივლი და გთხოვ ოღონდაც,
სამშობლოს ჩემსას დაიფარავდე!

დედას...

შენს სახლს, ჩირის სუნი ისე მორევია,
როგორც უძილობა სიზმრებს,
ღმერთო, დედის ჯვარი, თურმე რა მძიმეა,
ამას, რას გაუმხელ შვილებს...
იქნებ მშიერი ხარ, ანდა გტკივა რამე,
იქნებ, იქნება და იქნებ ....
შვილის მონატრება სულზე უტკბესია,
იქნებ მოერიო ფიქრებს.
ჯანი შეალიე, გული დაღალე და
სული დაუთბუნე შვილებს,
ახლა, არვინ მითხრას, დედას რომ უყვარხარ,
ქვეყნად სხვას უყვარდე ვინმეს!

* * *

მე შეიძლება, შელახული სანდალი მეცვას
და ქაღის ნაცვლად დამნათოდეს ცაზე ეს მთვარე,
მაგრამ ამ გულში, სიყვარული სარტყელად მერტყას,
მადლობა უფალს, რომ ოდესღაც გადამეყარე...!
ან იქნებ სულაც, დამიკაწროს ასკილმა ხელი,
მისი ნაყოფით, რომ საღამოს ჩაი დავლიო,
გავშალო მოლზე ღარიბული პატარა ტაბლა,
სიღარიბეში, ბედნიერმა წლები გავლიო...
რადგანაც სულში მერცხლები მყავს, უვლიან ზეცას
და არც ოქროს მთებს მივტირივარ
გრძნობაშეშლილი,
მე შეიძლება, შელახული სანდალი მეცვას
და სიყვარულის შემოგავლო გრძნობის ჯებირი...!

***

მე გავიმარჯვე
საკუთარ თავზე,
მაგრამ სიცოცხლე
დავთმე სანაცვლოდ,
ახლა ზეცაში
ნავარდობს სული,
ბედნიერია უმისამართოდ,

მიწაზე დავალ,
ხორცით მოსილი,
და უბით დამაქვს
ტბორი ცრემლისა,
ჩემს თავს წავართვი
ბედნიერება...
და უკვდავება შენით
მეღირსა...

როდის ვწერ ლექსებს?

***

როდის ვწერ ლექსებს? როცა ნისლი ეხვევა ქედებს
როცა რიჟრაზე ნამის წვეთი, მოსწყდება ენდროს,
ყვავილთა მტვერში ამოთხვრილი ფუტკარი ნექტრით,
ფრთებს ისწორებს და სიყვარულის გასინჯავს გემოს.
როცა ფუჩეჩზე ქორწილი აქვთ ჭიამაიებს,
ანდა ფიფქების ველურ როკვას ვუყურებ ცაში,
როცა ვარსკვლავებს შეერევა ღრუბელთა რემა
და ღამის ელჩი ჩემს სარკმელთან ჩერდება რაშით.
როცა კოცონზე ტკაცუნობენ ცეცხლის ენები,
დაღლილი მთვარე განიმოსავს ლაქიან ჩოხას,
როს ათინათი ჩაჰყობს თითებს ანკარა წყალში,
პაემანზე კი ორაგული, კაცივით ოხრავს.
ნაზამთრალ ბუდეს გადაუფრენს ქახქახით შაშვი,
განთიადისას ცას აჰყვება ყივილი მამლის,
ზამთარი მოდის და ნოემბერს ყვრიმალთან შერჩა,
თვალებგიშერა, დართვილული, კუნწულა მაყვლის.
როდის ვწერ ლექსებს?! როცა გული გაპობას ლამობს,
რომ არასოდეს ამერევა შენი ხმა სხვაში,
რომ ჩემს ჭრილობებს მოთმინების აბებით ვწამლობ,
ხან მდუმარეს და ხანაც შეშლილს ლექსებს ვწერ მაშინ...!

" მაშ, შენ სიცოცხლე,ქვაზე ნაკლებად გყვარებია, უტა"...
კონსტანტინე გამსახურდია

* * *

უკვე ღამეა, რად არ ჩანან ეს ვარსკვლავები,
თუ ნამტირალნი ჩაუცვივდნენ უბეში მთვარეს.
ცად, რა ხანია დაირეკა ცისკრის ზარები
და ცრემლი მოსწყდა კელიაში შორენას თვალებს...
სიმუხთლე ბედის,სვეტიცხოვლის დროჟამის მომსწრე,
აღმართულია ტაძრის ხედი,როგორც შედევრი,
იქ, სახურავზე მოღუღუნე მტრედები სხედან
და ნისლი წვება მოქანცული, როგორც ბებერი...
გავა წლები და საუკუნე შეხსნის დარაბებს,
დღესაც სიძულვილს სჯობნის გრძნობა სულ ერთი მუჭა,
თავთუხისფერი დალალები შენს გულს განაგებს,
ფლოქვს, მიწას რომ სცემს ეს ულაყი, შენია უტა...

ასეთია ჩემი ქვეყანა



ვიცოდე ნეტავ, როგორია შენი ქვეყანა,
არაქართველმა, უცხოეთში მკითხა პატარამ,
ცნობისმოყვარედ მომანათა დიდი თვალები,
სველსუროსფერად მოციმციმე, წმინდა, ანკარა.
იმ წამსვე გულმა ზღვა ფიქრების შემომატარა,
ჩემს კავკასიონს, ცისარტყელა ადგა ამაყად.
წამს გაქრა სევდა, მზემ გამიღო გული ცხრაკარა,
ჩემი სამშობლო? სამოთხეა, ჩემო პატარავ...
-საუნჯეთანგან პირველია კვართის საფლავით,
მაცხოვრისა და სიდონიას ძველი ამბავი,
საქართველოა, დედაღვთისას კვართშემფარავიც,
ღვთისმშობლის წილხვედრს,
ვერ შეირგებს მადლის მპარავი!
იყო, იქნება, საქართველო რწმენის აკვანი,
ჩვენთან გალობენ უწმინდესი ღმერთის ანბანით,
ია-იები ამოდიან ცრემლის ნაბანით
და ქორბუდებით თავს იწონებს ჩვენი მთა-ბარი!
ერთმანეთს უნდა ჩავეჭიდოთ, ჩემო ქართველნო,
რადგან ამ ქვეყნად მოვევლინეთ, როგორც სტუმარნი,
სადაც მივდივართ, გულით დაგვაქვს ჩვენ, საქართველო,
მარადიულად ვრჩებით მისი ჭირისუფალნი...

ირინა ფერაძე

*

გამოგიწოდე სიკეთის ხელი,
შენ კი, ჩამიდე, ურცხვად, ქვა მუქში,
ნუ მაიძულებ, ადამიანო,
გამოვიკეტო, მე, ჩემს ნაქუქში.
ერთად, ათასი, მუზა მესტუმრა
და ხელიც, უცებ, მომხვია, შიშმა.
მე თუ მოვკვდები, ისე მოვკვდები,
რომ ვინმეს მუზად, ხელახლა ვიშვა.

ია

ბუჩქის ძირას, გაიღვიძა იამ,
ლურჯ თვალებში, აკიაფდა შუქი...
ყოჩივარდას, გაუღიმა, მორცხვად
და საბანი გადაიძრო მუქი...
თვალმახარა, ულამაზეს, ყვავილს,
ფაქიზ მკერდზე, მზეც სხვაგვარად ჰკოცნის,
თითქოს, ჩვილ ბავშვს, ეფერება თბილად,
სიცივისგან, რომ დაიცვას, ნორჩი...
სხვა მისიაც დააკისრა, ერმა,
გაზაფხულის და სიცოცხლის მაცნეს...
რომ შეუძღვეს, ცოდნის საუფლოში
და ანბანი შეაყვაროს, ბავშვებს...

*

დაპატარავდა სამშობლო,
თითქმის აღარ ჩანს რუქაზე,
ნერწყვს ყლაპავს მთელი მსოფლიო,
ამ ერთ, პატარა ლუკმაზე.

დამიცოტავდა ქართული,
,,ღმერთების ენად" ცნობილი
და დედის ,,ნანა", უტკბესი,
პირმშოსთან ერთად შობილი.

არ უნდა გვავიწყდებოდეს
ფიცი, ოდითგან აღთქმული,
დიდგორის ველზე, ვაჟკაცთა,
გმირობა ჯერარნახული.

ვერ გაიშალა ძლიერად,
სიცოცხლის ნერგი, კეთილი,
,,ფაროსანათა" ,,ურდოსგან",
ტკივილით გადაზნექილი.

უცხო მხარეში გაისმის:
,,სხვა საქართველო სად არის?"
ამ ერის შვილმა ვერ ნახა,
თავისი ქვეყნის სადარი...

პაატას მოჭრილი თავივით,
ქართველს ასტკივდა ფესვები,
დღეს შიგნით გვჭამენ ყვავები,
ალესილი აქვთ ეშვები.

ქართულ მიწა-წყალს, დაკარგულს,
მირონი დასდის ცრემლებად,
ღვთისმშობლის კალთა ნაკურთხი,
მამულს ცად შემოევლება.

*

უფალო, მადლობას გწირავ,
რაც ვნახე, რაც კი, ვიხილე,
რამდენიც გამეღიმა და...
რამდენიც, ცრემლით ვიტირე.

მოვაგორებდი, ჩემს წილ ქვას,
წისქვილის დოლაბს, თავზეო,
რომელიც დარდებს მიფქვავდა,
თეთრ ფქვილს, მიცვლიდა შავზეო.

თითიდან გამოვიწურე,
,,ასაკდამჯდარი" ქალიო,
რომელსაც აღარ სწყურია,
უმიზნოდ ხეტიალიო.

სიმშვიდეს ეძებს, თუნდ ანცი,
გოგო უხტება ტყავშიო,
კისკისებს, უხმოდ ანიშნებს,
,,ვიცეკვებ, ხელებს გავშლიო" .

მეცოტავება, განვლილი,
დრო დამიკარგავს, ბევრიო,
არ გამიზომოთ, მანძილი,
ჯერ კიდევ, გასავლელიო.

ხევსურულ მოტივებზე...

ვაჟი:
შამამეფეთა ქალაი,
თოლები ამიბრიალა,
ძარღვს ჩაჰყვა ცხელებ-ცხელებით,
ჩემში, უცეცხლოდ იალა...

ქალი:
ჩამაირა ხევსურმა,
ბილიკზე ქენებ-ქენებით,
შამიპყრო გულის კანკალმა,
ფიქრებ მამსტაცა მწველები.

ვაჟი:
ვერ დამაჩოქა ვაჟკაცი,
ამ წუთისოფლის ტრიალმა,
მაგრამ, გამხადა ბეჩავი,
ამ გრძნობამ, ოხერ-ტიალმა.

ქალი:
დეკას ვაყარე ცრემლები,
სულ მდუღარ სისხლით ავივსე,
სიზმრადაც არ მამასვენა,
უმისოდ, ვერ ვიმაისე.

ვაჟი:
ქიუხებს გარდავეკიდე,
არ მშველის ჟიპიტაური,
მაჰკალით, ერთი მიჯნური,
სნეული, ,,არ აქაური"...

ქალი:
მამწყინდა უგუნებობით,
უაზროდ, გარეთ წანწალი,
ან დამფალთ, თოვლის ნამქერით,
ან მქმენით, მისი წაწალი.

ვაჟი:
მავსტაცებ ფშაველთ მზექალას,
მთაში, რომ დავდგათ კარავი,
მინდ, ქორწილ გადავიხადა,
მე, ის და... მეტი არავინ...

ლალი პერპერიდი

საჟამოს ავან ჩავანი

.....797.....

შემოქმედს ცოდვების შენდობას ვთხოვ
ცად ლოცვად მაქვს ხელი აწვდილი,
ძალზედ მენება ამხდენოდა გულის წადილი.

ვეძიე მაგრამ ეჰ ამ საწუთროდ ვერ ვჰპოვე
შველა, რადგან ამჟამად დედამიწად ვაი რომ ბნელა,
ბედს არ შევჩივი რადგან მით არ მეწვევა შველა.

უნდა შევეგუოთ სხვა გზა არ არის წარმავალია
წუთი სოფლად უკლებლივ ყველა,
რწნენით ავანთოთ ჩვენში ლამპარი
უსამართლოებისგან თუ გულში ბნელა.

საჟამოს

ავან ჩავანი შენ ხარ მხატვარი...
ჩემი სამყაროს,უფერულ ფერთა,
თავად ვერ გეტყვი,
ეს გულები რამ შეაერთა.

უკვდავ გრძნობებით
მწველი გრძნობა
გამიჩნდა გულში,
ასე მგონია ერთურთისთვის
ერთად,ვიქმენით,
გაერთიანდა, გამთლიანდა
ჩვენი სამყარო,
ერთი სულია ორ სხეულში,
ერთი მიზნებით.
ის ვიცი მხოლოდ,
უსასრულოდ მწადია შენთან,
ვირჩევ შენთან წამს,
სხვებთან ყოფნის თუნდაც
საათებს,
შენ დამიხატე
და მომეცი გრძნობის
ფერები,
და ეს სამყარო
უცნაურად გამილამაზე..

საპამოს ავან ჩავანი

.....105.....

როგორ გვინდა რომ დრო გავაჩეროთ
და სიკვდილმა რომ ცოტაც გვაცალოს,
როგორ არ გვინდა სიცოცხლის თასი
გაილიოს და გამოიცალოს.

მზე ჩაესვენოს,ჩამოდგეს ბინდი,
გაუფერულდეს,ფერი იცვალოს,
დასრულდეს, მორჩეს, შევწვიტოთ
სუნთქვა და ხორცი სულს რომ შემოეცალოს.

მაგრამ ასეა რაც ცოცხლობს კვდება,
ეს არის სოფლის,გენგების ნება,
ვერავინ შეცვალის, ასეა ოდეს,
რაც ცოცხლობს ხარობს და ბოლოს ჭკნება.

საჭამოს ავან ჩავანი

.....900.....

გულიდან ვარამს აღმოვფხრი და გავატან ქარებს,
და მჭმუნვარებას არ ავყვები სამარდჟამოს,
სულ არ მაშინებს რომ ოდესმე დავხუჭავ თვალებს,
და ბოლოს ჩემ წილს ამოვავსებ მყინვარ სამარეს.

მე კარგად ვიცი,
რომ მუდმივი არაფერია,
რაც იბადება ყველაფერი
ოდესღაც კვდება,
იმან იდარდობს ვინც ცოცხლობს და
არ იცის რისთვის,
და ვაი იმას, ვინც ცოცხლებში
წერია მკვდრებთან.

ისიც ვიფიქროთ,
ვალი არის აღსასრულის ჟამს,
უსამართლობას ჟამთა დენა
როდი გვახანებს,
ჩვენ თავად ვირჩევთ,
საბოლოო სად დავივანებთ,
ჯოჯოხეთში თუ,
ვესტუმრებით სამოთხის ბაღებს.

საჭამოს ავან ჩავანი

.....102.....

სიკეთე ვიქმნათ წუთისოფელში,
არ დავიღამოთ ცოდვით თვალები,
რომ არ გვქეჯნიდეს შემდგომ სინდისი,
თავაწეულნი ვიყოთ ლაღები.

მწადია რწმენით რომ მოვიარო,
ამ წუთისოფლის იალაღები,
შევკრა კამარა როგორც ფრთოსანმა,
ავიჭრა ზეცად სილაჟვარდეში.

მიწაზე მყოფმა ისე ვიაროთ,
არ მოვუმრავლოთ შვილებს ვალები,
ვუარყოთ წუთის ავლა დიდება,
გარდავიცვალოთ, დარჩეს სახელი.

საჭამოს ავან ჩავანი

.....103.....

ჩემი განსჯით, შეჩვენებით
ნეტავ ვინ რა მოიგო,
ვისგანაც არ მოველოდი
მავალს ფეხი დამიდო.
ხელიც კი მკრა „მეგობრულად“
მე ხუმრობა მეგონა
რადგან ჩემგან ეჭვი მოძმის
ვერ ვიახლე, მეშორა.
დრო გავიდა დაანგრია
ფლიდთა ცრუთა ნაშენი,
ბევრი ბოლოს მიხვდა მაგრამ
თითზე კბენა არ შველის..
ბევრს ნიღაბი შეეზარდა ისე
გაითავისა,
სხვათა სახეს ვერ ელევა
ვეღარ ჰპოვობს თავისას.
მაგრამ ყველა წარმოდგენა
ბოლოს მაინც მთავრდება..
მსახიობი ბოლოს რჩება
მარტო უკან ფარდებთან..

ნიკა ჭიკაიძე

ყველა ფერი

ვუამბობ მცხეთის ცას ბიბლიურ წერილზე
და სულში ამოვა დღეს ქრისტესფერი მზე.
დროს გადავეხვევი და ღვინოს დავისხამ,
შევმოსავ სამყაროს კვლავ ფიროსმანისფრად.
ვინც იგრძნობს ეპოქის ტკივილს და გულისთქმას,
აგინთებს ლექსებით ცას საუკუნისფრად.
მწყინს, ჯვარზე გაკრული დღეს რომ არ მიხსენი,
გწამს ათასწლეული შენც ხომალდისფერი...
შორს მიაქვთ ნაღველი ზღვებს ნოეს თილისმად,
მე ვხედავ სამყაროს დღეს პოეზიისფრად...
2021

ეპოქა და ადამიანი

ღმერთებმა ლექსის შექმნა შემთხოვეს,
მომავლის ჯილდოდ მხვდება წარსული.
არასდროს აკლდა სმენა ბეთჰოვენს -
სამყარო იყო სმენადახშული!
ქარმა მსოფლიოს სევდა მობეროს,
ცას პოეზიის რითმად ჩავბარდი.
ვიდრე ართმევდი ხედვას ჰომეროსს,
შენ, დედამიწავ, ვით არ დაბრმავდი?!
მზეს ამოვყვები აღმოსავლეთით,
რომ მარადმწვანე სხივად ჩამოვდგე.
თუკი ჯოჯოხეთს არ გრძნობ დანტეთი,
როგორ იხილავ თვალით სამოთხეს!
მოჩანს ღრუბელი - ზეცის ნარინჯი,
დღეს უკანონოდ იქნებ არ ვმსჯელობ -
და ბედნიერი იყო და ვინჩი,
ან ღვთაებრივი მიქელანჯელო!

ჭირს ხელოვანის ბედის განდობა,
თავი უღმერთოდ ვისთან ვიტყუოთ!
რისთვის მოიჭრა ყური ვან - გოგმა,
მაშინ, მსოფლიოვ, ნუღარ კითხულობ!
შენ რომანტიკულ ჰანგებს შემოთოვ,
ზეცა დიდებით დგას დახუნძლული,
მერე უფალი ბრძანებს: ლერმონტოვ,
სიკვდილი შენთან გახდა უძლური!
პეტროპოლისთან თეთრი ცა იდგა,
დრო ცვალებადი გახდა მარტივით,
ვერ დაიბრუნა ღმერთი ცვაიგმა,
ჯეკ ლონდონივით წახდა მარტინი.
როცა ეპოქის გვერდით არა ხარ,
დროება ჯერ არ გკადრებს არაფერს,
მაშინაც, თუკი - ბედის თანახმად,
"მერნით" ქართულ სულს ცამდე განაფენ!..
2018

პოეზიის ხომალდი

ცა ვარსკვლავებს გადაეგო,
დღე და ღამე სრულდება,
თეთრ ნისლებში სათარეშოდ
მთვარე აბრეშუმდება.
სიზმარივით ამოძრავდა
ვარსკვლავების გზავნილი:
მზე ალიონს ამოქარგავს
ცაზე ფიროსმანივით!
თვალს ცრემლები გადათრგუნავს
უკანასკნელ ბრძოლამდი,
გარდასახულ ზღვას გასცურავს
პოეზიის ხომალდი.
სულს მწვერვალი მეათასედ
ვარსკვლავივით მიაგნებს,
მთვარე ზეცას მოათავსებს,
თეთრად ააციაგებს.
საუკუნეს გადასცდება
ხელოვნების სიმკვეთრე,
საიდანაც აღტაცება
გრიგალივით იფეთქებს.
წამის წამით ვერ დამძრახავს
უხმო ცეცხლთა იერი,
ქვესკნელს ზეცად გარდასახავს
გრძნობის დასალიერი...
დე, სიკვდილმა გამიმეტოს,
ცეცხლის ენა გამანდოს,
რომ გრიგალმა საიმქვეყნოდ
სულ სხვა ძალით აღმანთოს,
რომ დიდებით საიქიოს გზა -
აღსავლის კარამდე,
გულმა გრძნობით გაიკვლიოს,
ბედს არ გაუთამამდეს...
უჩვეულო აღმაფრენა
მსურს სივრცეში ვეძიო,
ვგრძნობ, ცეცხლივით
ფერმკრთალდება გული უპოეზიოდ,
ვგრძნობ, ვერავინ გაანელებს
ამ გულს ათასწლობამდი,
ვგრძნობ, დაიტევს ზღვას
და ხმელეთს პოეზიის ხომალდი,
ვგრძნობ, გაარღვევს
შეუცნობელს ოკეანის დინება,
ვგრძნობ, მისწვდება მიუწვდომელს
ვნების სრულყოფილება.
თუ ამ რწმენით ცას განიბნევ,
აღასრულებ ღვთის ნებებს,
ოცნებასაც ვერ გაივლებ
გულში განსაცვიფრებელს...
ცა ვარსკვლავებს გადაეგო,
დღე და ღამე მთავრდება,
თეთრ ნისლებში სათარეშოდ
მთვარე ფიროსმანდება!

2015

გული

მაქვს გაყოფილი გული ნახევრად -
სევდით ღიმილის გარდამსახველი:
ერთს პოეზია ჰქვია სახელად,
მეორეს ჰქვია შენი სახელი.
დროც კი ოცნების მაღალ ღმერთივით
დგას სიყვარულის ფერად საზღვრამდი,
ხან ცრემლი მოსდის წვიმის წვეთივით,
ხან მზის სხივივით ადგას ლაჟვარდი.
ჩვენ სიყვარული გამოვიგონეთ,
რადგან ცხოვრება ჩანდა ერთფერი,
ჯერ სიტყვასავით ლექსად გიპოვნე,
მერე კი, სულის ხატად შეგქმენი.
და როცა წმინდა გრძნობას ვემთხვიეთ,
მაშინ ორივე კარგად ვხვდებოდით,
რადგან ოცნება გვხდიდა ბედნიერს,
ჩვენ ერთმანეთსაც აღარ ვწყდებოდით.
მაგრამ... იმ წყვილთა ნაწილს ვემგვანეთ,
ვინც მწუხარებით წარსულს იხსენებს,
და თუ შეგვყარა წლებმა ერთმანეთს,
დრომ დაგვაშორა მალე ისევე.
დღეს კი ეს გული კვლავ გამთლიანდა
და ხელმეორედ ვიდრე გაგიცნობ,
ახლა შენს ხსოვნას ლექსად მივმართავ,
რომ დარჩე ჩემში სამარადისოდ!..

2019

ნელი სანებლიძე

იცოცხლო ლექსში..

რა სიჩუმეა, ჩემო ლექსო,
რა ჰარმონია..
ვმეგობრობ შენთან, სითბო,
შენი, შემგებებია..

აღსარებაა, რაც მითქვამს
და გამიბედია..
ფერმკრთალი მთვარე გულზე,
სევდად გადმომფენია,

საიდუმლოთა ზიარებით,
სულს შეხებია..
სარკმელში, ცრემლი,
სხივმდინარე, დაუდენია..

ლოცვა,სულ-დაღლილს,
სინანულად აღმოხდენია..
ის აღარც მახსოვს, ცუდი
ვინმეს -- ჩაუდენია?

შეუნდოს ღმერთმა,
შემინდია თუ უტკენია..
რა კარგი არის სიყვარული,
რომ შემძლებია,

არავინ არ მძულს,
უფრო მეტიც – შემცოდებია..
დავბადებულვარ,
ანგელოსი შემგებებია,

ადამიანი გიყვარდესო,
მომფერებია..
ცოდვა-მადლი,კი ევას
მოდგმით, დამბედებია..

ამდევნებია, ფიქრთა
ტევრში, ჩამძინებია
და ხილვა-სიზმრით,
სხვა სიცოცხლე,

დამდევნებია,
რაც დღემდე მაკრთობს.
საპასუხოც, შემჩერებია
და ასე დავალ, ხან ღიმილით,
ზოგჯერ სევდითაც..

რა სიჩუმეა,
რა სინაზე რა ჰარმონია..
ღამის სტროფებში,
სავსე მთვარე-

შემფერებია..
ისუნთქო ბწკარში,
იცოცხლო ლექსში,
უსამანოო, უკვდავ
სულის – საჩუქარია..

15.01.21 წ.

ძველ ახალწელს მახსენებს...

ვერაფერს ვერ ვაწყობ, ფიქრებთან,
თავისით მესტუმრა, სიზმრებით..
ვერაფერს უბრძანებ, გულსა და
თავისთვის ფრთხიალებს, ჩიტივით..
ეს განცდაც მოასკდა ფანჯარას-
ბეღურას სევდიან, ჭიკჭიკით..
არაფერს მოვითხოვ, არაფერს..
შემცინოს ვარსკვლავმა, ახალ წლის..
ფიფქების სითეთრე მიბიძგებს –
გავფრინდე, იმ უცხო ადგილზე,
სადაც, რომ არ ფიქრობ, ტკივილზე..
სადაც რომ თავად ხარ – სიმშვიდე..
ეს განცდაც მოსულა, იქედან,
სადაც, რომ ეშვება, სილურჯედ,
ფიქრები, ფიფქები, ფიქრებად –
შენში ვარ- შენივე ვიქნები..
გიცნობდი, ვიცოდი, მახსოვდი –
ამადაც მეძახი ნისლებში,
სიზმრებად შემოსულ ხილვებში..
ზეცაში დაწერილ, სიტყვებში..
მდუმარებაში ხმაურობს,
ის რაც ვიცოდი წარსულში..
სამყაროს ხნისაა, ეს განცდა –
ვბრუნდები ისევე სიზმრებში..

მახსოვხარ.. სულში მაქვს,
სინათლით-განდობით, იმედი-შენდობის..

მწამს.. მჯერა..

ზღვა სინანულის სურვილი გიხმობს,
ფიქრით ნაღვენთი ხატის წინ იდგე,
ნატრობდე სულში გენთოს ნათელი,
სისუსტეს შენსას თავს არ უხრიდე..
ქარი ქრის მთებში, თოვს და
თეთრდება, მოგონებები დაიბარდნება..
უღონო ხდება სიცოცხლე თითქოს,
როცა ტკივილად მოიაზრება..
როს აღარ მოჩანს არსად, საშველი-სულს
მტრედისფერი ფრთები ესხმება,
და უთავბოლო მიწის ფიქრები,
ღრუბლისფერ ნისლში ჩაიკარგება..
დაიხატება სურათი მზისფერ
და ჩემი გული გაფერადდება,
ადამ და ევას შთამომავლები
ახალ სივრცეებს ეზიარება..
რაც დაკარგული გვგონია ზოგჯერ,
სულ ყველაფერი, გადაფასდება,
გადათელილი, სიყვარულის არსს,
ზეცის ღირსება, დაუბრუნდება..

ვიტოვებ იმედს, მწამს,
კვლავაც მჯერა, ყოველი სიტყვა,
სიბრძნე და ბგერა,
უფლის წიაღში, რომ დაიწერა..
19.12 2020 წ..

იმედად მინდა

თუ მოგენატრო ახედე ზეცას..
იქ, ნისლში არის, ჩემი ადგილი..
მიწაზე ყოფნა, ძნელზეა ძნელი..
მებრძვის,პასუხს მთხოვს, ირგვლივ-ყოველი..

რომ, თავგანწირვა, ყოველდღე კვდება..
მართალი ნებით, მართლად შობილი..

მინდა, იმედად, შემომნათოდეს,
მზის სხივი, მთვარით, კეთილშობილი..

ვფიცავ არ მინდა, ცრემლების დენა,
სახეს რომ სერავს, ფერდაკარგული..
სულგრძელობით ვარ, შეპყრობილი
და მიწის ცქერით, მელევა სული..

ნანა ჩარკვიანი

ქარი,წვიმა და მზე

გზააბნეული,
ჩემს ბაღში რად
დაბორიალობ.
ლაწანით
ხეებს ეხეთქები,
ვარდსაც არ ინდობ.
იქნებ,
წვიმაზე ეჭვიანობ,
უყვარსო ფიქრობ.
ჩემს სულში
ხელებს აფათურებ,
და შიში მიპყრობს.
რად დააყენე,
თავდაყირა,
ეზო და, ბაღი.
რაც თავი მახსოვს,
სულ იყავი,
გიჟი და შმაგი.
ყელსა და მხრებზე,
უნებართვოდ
მომეხვეოდი,
ჩამჩურჩულებდი,
სხვებზე მეტად,
რომ შენ გიყვარდი.
ქარო,დაოკდი,
ნუ ხარ ურჩი,
ნუ ხარ აშარი,
ქარის სიტყვები
რა სანდოა,
წაიღებს ქარი.
შენ რა ხელი გაქვს,
არ გეკუთვნის,
სხვისია ქალი.
მას წვიმა უყვარს,
წვიმას ეტრფის.
წვიმისფერია,
ქალი და წვიმა,
ცრემლებად,რომ
დაიღვრებიან,
ნუთუ ვერ ხვდები,
არ ხარ მისი
შესაფერია.
ქალი და წვიმა,
ერთ სონეტას,
ერთხმად მღერიან.
დუელში იწვევს
წვიმას,შლეგი,
ორპირი ქარი.
ორთაბრძოლას კი,
შეაჩერებს,
მანდილი ქალის.
მერე,იწვიმებს
ისე,როგორც
ქალის ცრემლები
ქალს ხომ არცერთი,
დასაკარგად
არ ემეტებით.
ქარი ჩადგება,
გზას იპოვის
ხელის ცეცებით.
ქალს კი,ეხლა მხრებს
უსველებენ
წვიმის წვეთები.
ლამაზ თვალ წამწამს
ეკიდება,
წრფელი ცრემლები.
ქარი იღიმის
იქედნურად,
კვლავაც შევხვდებით.
იკლო წვიმამ და,
გაანათა,მზემ
ცისა კარი.
ვიღას ახსოვდა,
ან წვიმა და,
ან,ავი ქარი.
ცისარტყელებმა
აიტაცა,ცაში
ნარნარით და,
მის ფერებში
გაეხვია პატარა ქალი.

ასწლოვანი ნაძვი.

აიწყვიტა ქარმა,
წამოვიდა თქეში.
შევაფარე თავი,
ტოტებგაშლილ ხეში.
სხვანაირად წვიმს
და ქარიც
ოხვრით კვნესის.
შეყუჟული ხის ქვეშ,
ნოსტალგიას ვებრძვი.
მობუზულ წიწილას,
უდედოთ,სივრცეში.
შევადარე თავი,
ამ ჩაკარგულ მთებში.
ხემ კი,მიმასპინძლა,
მოიხარა მხრებში.
ამარიდა წვიმა,
მომეფერა თმებში.
ალბათ ფიქრობს ისიც
უცხოს ხედავს ჩემში.
აქ საიდან მოვხვდი,
ამ ბუმბერაზ მთებში.
დავუყევი ფრთხილად,
მოსველებულ გზებში.
ტოტების სურნელი,
ჩამრჩენოდა თმებში.
თითქოს გამოვნახეთ
ნდობა ერთმანეთში.
გქონდეს იმედიო,
წვიმასა და მზეში.
მეც მადლობა ვუთხარ,
როგორც ვიცით ჩვენში.
ასწლოვანი ნაძვი
დგას ამაყად მთებში.

დარდი ხარ ჩემი

სულს დასჩენია,
ნაიარევი,
ისე,
ღიმილმაც
ვეღარ დაჰფარა.
ყველას ჰგონია,
რომ ვარ ძლიერი,
მაგრამ,ქალი ვარ
სუსტი,პატარა.
შენზე,დარდმა და
შენგან,
შორს ყოფნამ
შემომაჩვია,
თმაში ჭაღარა.
ჩემო მამულო!
დარდი ხარ ჩემი,
ნაოჭმაც შუბლი
ლამის დაჰფარა.
მონატრებამ და
შენმა სურვილმა,
ვერაფრით
თავი,
ვეღარ დამალა.
არ ვიცი,ასე,
თავდავიწყებით
ჩემი სამშობლო
რამ შემაყვარა.
დაუსრულებლად
შენზე ვლოცულობ,
შენი მშვენება,
კვლავ,რომ მანახა.
ეხლა მხრებს გაწევს
მძიმე,უღელი,
არ მინდა,შენი
ცრემლის დანახვა.
აყვავებული,
ჩემი სამშობლო,
დედაო ღვთისავ
რომ დამანახა.
ქართველი ერის
ლაღი ღიმილი,
იმედი,რწმენა
სითბო მანახა.
სულს დასჩენია
ნაიარევი და
მონატრების,
ბოლო არა სჩანს.
ყველა დარდი,
და, ყველა ტკივილი,
გულსა და თვალებს
მაინც დააჩნდა.
მიმოფანტული
ემიგრანტების,
შენს უბეს მინდა
ერთად დანახვა.
შენი ტაძრები,
სიწმინდეები
ფეხშუშველი,რომ
შემომატარა.

არ ვიმჩნევ, ასაკს

არ ვიმჩნევ ასაკს
მაგრამ,არ იცის
ადამიანის,
წლებმა დანდობა.
თოვლის ფიფქივით,
ჩამადნა ხელში,
და უცეფ,გაქრა
ახალგაზრდობა.
არ ვიმჩნევ ასაკს,
მაგრამ ჩემს თმაში,
ჭაღარა,ზოგჯერ
ისე მაოცებს.
გულდაწყვეტილი
ვუცქერ სარკეში,
თვალთან გაჩენილ
მცირე ნაოჭებს.
არ ვიმჩნევ ასაკს,
ბავშვური ჟინი,
ზოგჯერ სიგიჟის
ჩამომიქროლებს.
გადავარდები
მოგონებებში
და გავიხსენებ,
ბავშვებს
ჩემს ტოლებს.
წარსული წლები,
ასე ძვირფასი,
სულში ნაკვალევს
წარუშლელს ტოვებს.
არ ვიმჩნევ ასაკს,
წლების მატება,
გინდა,არ გინდა
სხეულს ატყვია.
სული კი, რჩება,
მაინც უცვლელი,
წლების მატება
არც გულს ამჩნია.
არ ვიმჩნევ ასაკს,
ვკეკლუცობ ისევ,
მინდა,ჩავუდგე
სიბერეს ჯიბრში.
ყველა ასაკში
ყვავილობს მაინც
ქალი,თუ არის
ქართული ჯიშის
და,მე ვამაყობ,
ჩემი ფესვებით,
საქართველოში,
ქართველად ვიშვი.

ვარდივით ქალი ასწლოვანი ნაძვი.

ქალო,ნარნარო,
ვარდის სადარო.
შენზე გიჟდება,
მთელი სამყარო.
ყელზე,შეიბი
შავი გიშერი,
შურიანებმა,
რომ არ
გაგთვალონ.
ვარდს თუ,
უგალობს,
მხოლოდ ბულბული,
შენ შემოგნატრის,
ყველა სულდგმული.
ვისთვის,ბაღი ხარ
გადაფურჩქნული,
ვისთვის კი,გიდევს
გულზე ურდული.
ვაჟები,შენზე

ჭკუას კარგავენ,
გარს გახვევია,
ვარდის სურნელი.
ზოგჯერ,ჭკვიანსაც
შეშლი ჭკუიდან,
დაჭკვიანდება,
ზოგჯერ სულელი.
ასე მაცდური,
ღიმილი გშვენის,
კლავთ,ბაგე მწველი
და სასურველი.
ვარდების ბაღში,
ფოთლებს არხევს,
თავხედობს ქარი.
კაცის გულში კი,
სიმებს არხევს,
ვარდივით ქალი.
ვარდებს,ლამაზად
მოუქარგავთ,
ეზო და ბაღი.
ქალი,მშვენება,
არის კაცის,
ფუძის და სახლის.

შეჩერდით...!

გიორგი მოკლეს,
მოკლეს დათო,
მოკლეს თამარი.
ლუკა,გაწირეს,
ვერ იპოვა
გამოსავალი.
შეუბრალებლად,
ჩაგვიცხრილეს,
მოკლეს
არჩილიც.
არ მოასვენებს,
მკვლელებს,
მაინც მათი
აჩრდილი.
შეჩერდით!!!
გეყოთ
ძმათა სისხლი
რით ვერ იკმარეთ.
ასეთი მძიმე
ცოდვით
ხომ,თქვენც ვერ
გაიხარებთ.
რა დაგემართათ
მოყვასი რად,
გადაიყვარეთ.

საიდან მოდის,
ეს სიავე,
ბოლოს ინანებთ.
და,თუ მოკალი
გეყოს მაშინ
გამბედაობა.
ვინმეს ჭირდება
მატყუარა,
მკვლელი
თაობა?!
ვინც ხელს
გაფარებთ
ისიც არის
არარაობა.
მათი სულები,
ვინც მოკალით,
დაგელოდებათ,
მათ,ხომ უფალმა
ფრთები მისცათ
ანგელოზებად.
როცა, შეხვდებით,
ვერ გიშველით,
ბიძა და მამა.
აქ მოაგვაროთ,
სასიკეთოთ,
იქნება დავა.
მკვლელი,
ზეცაში,უსათუოდ
ჯოჯოხეთს წავა.
კარგად,
დაფიქრდით
ვიდრე,ძმაზე
აღმართოთ ხელი,
მსაჯული არის,
ქრისტე,ღმერთი
უფალი,ჩვენი.
გეყოთ კაცობა
ტურებივით
ნუ იმალებით.
იქნებ,გეშველოთ
ლოცვითა და
მონანიებით.

მწველი ზაფხული

ამოანათებს
ივლისის დილა,
ამოიჭრება დილით
მზის სხივი.
აბრდღვიალდება,
ლამაზ ყელკისერს
შემოხვეული,
ალმასის მძივი.
რაღაც გაქვს ხიბლი,
შეუცნობელი,
კდემამოსილი,
ნაზი,ქალური.
აელვარებულ
დასიცხულ ბაგეს,
მზის ალერსისგან
ასდის ალმური.
თვალებში მაინც
ჩაბუდებული
დგას,მონატრება,
სევდა ფარული.
სიყვარული კი,
მხოლოდ იმ ერთის
გულის კუნჭულში
გადამალული.
ივლისის მზე კი,
გწვავს და გეხვევა,
სხივები,მხრებზე
გეფინებიან.
მოგონებები,
გარდასულ დღეთა,
ნაძვების ჩრდილში
გელოდებიან.
როდის დადგება
ისე ზაფხული,
შენი სითბო, რომ
გაათბობს სნეულს
და,როგორც წყაროს
სუფთას,,ანკარას
დაეწაფება,
სანატრელ სხეულს.

გულო ჩადექ საგულეს

დარდითა და ფიქრებით,
ვიცი გულო დაგღალე.
ოღონდ არ მიღალატო,
ცოტაც კიდევ მაცალე.
ზოგჯერ თავს, რომ მახსენებს,
ეკალივით ჩხვლეტები.
ტკივილისთვის,სევდისთვის,
მართლა არ მემეტები.
რა ვქნა,რომ მენატრება
სამშობლო და ფესვები.
გულში ვმალავ ყველაფერს,
გულში ჩავიკეტები.
სიყვარულის გარეშე,
წუთით არა მტოვებდი.
ორგულობას,სიავეს
ადგილს არ უტოვებდი.
რომ არ გამიბოროტდი,
მიხარია ძალიან,
ასე რომ გადაგღალე,
მართლა ჩემი ბრალია.
ალბათ გულსაც უხდება,
ზოგჯერ დარდის გადაყრა.
თორემ გულში ჩახვევამ,.
ბევრს,,ინფარქტი" დამართა.
არც სიკეთეს გიწუნებ,
უგულობას,ვერ გკადრებ.
ბევრჯერ გაჭირვებაშიც,
იმედებით ამავსე.
ამ ბოლო დროს მაშინებ,
ფორიაქობ,დაგტუქსე.
ჩვენი ქვეყნის მიწაზე,
ერთად უნდა დავბრუნდეთ.
მოდი გულო გავლაღდეთ,
გულის კარიც გავაღოთ.
დარდი,ჯავრი ნაღველი,
ცხრა მთას იქეთ გავფანტოთ.
გულო,ჩადექ საგულეს,
არ გაბედო ღალატი.
მგრძნობიარე,ყოფილხარ
ამას რად მიმალავდი.
ბევრჯერ დაგვითმენია
გასაჭირი დუმილით.
სიყვარული აგავსებს კვლავ,
სიცოცხლის სურვილით.

ნინო უძილაური

ცად ლოდინი

რა საჭიროა
ხმამაღლა ვთქვა გულის ძახილი,
ერთადერთი ხარ, უხილავო,
უსიტყვოდ მთქმელი,
შენზე ვლოცულობ...
ქვეყნად თვალი რაც გავახილე,
და წყალობასაც აწ შენგან ველი.
შემომციცინებს,
ძირს დაყრილი ფოთოლთა ჯარი,
რომელიც მალე იქცევა ბორცვად...
მათი სული კი,
სამოთხის კარით,
ცად ამაღლდება,
ღვთისადმი ლოცვად.

დამაბედე

დამაბედე ანთებული ჩირაღდანი,
ძველებურად მტკვარი, ტივი და არღანი,
ნათელი გზა, უღალატო სიყვარული
და მაჩუქე ტრფობით გული დადაგული.
დამაბედე ოცნებების ასრულება,
მზის ქალაქში სეირნობა სხივთა გემით,
რომ მოვქარგო სურვილები ათასფერი
და დავაწყო საჩუქრები ნაირფერი.
დამაბედე ბედნიერი სახეები,
ელვისფერი ღიმილი და სასოება,
სიყვარული დამაბედე გულისფერი,
სინატიფე, სიმშვიდე და სათნოება.
გამითენე დღე მზიანი, ვარდთა ფერი,
და წყალობა დამაბედე... ღმერთის ფერი.

02.01.2021

როგორც ამბორი

ჩემს ნატერფალზე თუ გაივლით...
სრულად მიხვდებით,
რომ სიყვარულში დავიფერფლე,
როგორც ამბორი...
რომ ვნებას ისე ვერ ჩააქრობს ციდან წვეთები,
როგორც სანთელი, მოღვენთილი ტრფობის ამბობით.
ისტორიაა დაწერილი სიყვარულისთვის,
თვით სიყვარულმა გამოძერწა ჩემი სახება...
გრძნობა დამშრალი,
დაფერფლილი სიცოცხლისათვის,
ამ ნატერფალზე
ნაკვალევად აისახება.

მოპარული კოცნა

ახლაც ვიხსენებ მოპარულ კოცნას,
ახლაც ვიხსენებ მთვარიან ღამეს,
ვეჭიდავები ჩემში შენს ყოფნას
და უშენობას, ასე რომ მანგრევს,
წლები მისდევენ ერთმანეთს როკვით,
თმა იცვლის ფერს და ქრება სინაზე,
შენამდე ბილიკს მოვყვები ჩოქვით,
გამანძილებულს ტრფობის ჯინაზე.
ისევ მოპარულ კოცნას მახსენებს,
ვარსკვლავთ ტრფიალი ბინდისფერ ღამის,
ჩემში შეცდომად რომ ვერ გიპოვე,
გნატრობ...უშენოდ ავტირდე ლამის.

მეკვლევ

შემოადგი მეკვლევ ფეხი,
დამილოცე საქართველო,
მერე ჩემი ოდა- სახლი,
ბაღ ვენახი, მთა და მდელო,
ბადიში და მონაგარი,
მოყვარე და მტერიც ერთდროს...
დღეს ზეიმობს სიყვარული,
სიყვარული ჩვენს გულს ვერ თმობს,
ბედნიერი წელიწადი
გვითენდება... ღმერთი ღმერთობს..

ვარდისფერი ტუჩები

კოცნა სწყურიათ ვარდისფერ ტუჩებს,
კოცნა სწყურიათ თაფლისფერ თვალთა,
დოგმა ვერ იტანს თამამთ და ურჩებს,
ტაბუდადებულ დროს როცა მართავს.
თავისუფლება არ კარგავს გემოს,
თავისუფლება აგრძელებს სუნთქვას,
ჩემს სამყაროში დაგმალე ჩემო,
გეჩურჩულები გულს რაც რომ სურს თქვას.
კოცნა სწყურიათ ვარდისფერ ტუჩებს
და გემოს ვნებით დაგემოვნება,
წრფელი გრძნობები იქ ვერ იურჩებს,
სადაც გონება გულს ემონება.

მეცოტავება სამყარო

მეცოტავება სამყარო,
ჟამთა უამურ ფიქრებით...
გულს ჯავრი როგორ გავყარო,
ვიდრე უფალთან ვიქნები.

ღრუბლებს ჩავკიდე ხელი და
მივყვები წვიმის ნაკვალევს...
ქარი ფოთლებსაც აშლიდა...
ღალატს ამ ქვეყნად რა დალევს.

ამიტომ დამიცოტავდა,
ერთ დროს უსაზღვრო სამყარო...
უნდა გავუძლო ცოტაც და
გულს ჯავრი უნდა ავყარო.

22.01.2021

ანამარია ლილუაშვილი

მოქარგული ცა

ასეთი ლურჯი ასეთი ნაზი ,
ჯერ არ მინახავს ცა.
გადაუხსნია გულის კარები
მასში სამყარო ჩანს.

გადაფრენილა სიყრმის ფიქრები
ზეცად ასულა თან
ქათქათა ძაფით ამოქარგულა
და ნახატებსა ჰგავს.

სიტყვა, საქმე

მაღლა- მაღლა, კიდე -კიდე
ქარის ძალას ავეკიდე.
ავუყევი- ჩავუყევი
აყალმაყალს გავერიდე

ფიქრებს ღობე შემოვავლე
ხელმოსაკიდს ჩავეჭიდე.
გავწიე და გამოვწიე
სიბრძნე კალმით გამოვიღე.

აურიე -დავურიე
გრძნობა გულში გამოვხარშე,
სიტყვა საქმეს შევურიე
და ფურცელზე გადმოვხატე.

ტკბილი მოგონება

გულმა აჩქარება რატომ
დაიჩემა?
თუ წლებმა დაასვეს დაღი.
სულის მოთმინებით აღარ
განიცდება
გონება ბრძენი და საღი.
აჩრდილს ჰგავს წარსულის
ტკბილი მოგონება,
ბავშვობა და ძველი სახლი.
აღმართს მივუყვები და უკან
არ ვიხევ,
დამყვება ღიმილი ლაღი..

* * *

ფიქრებს მივეძალე ,დარდი
გამიჩინა,
ძილი დამიკარგა ღამის.
მტკივა უსამართლო ხელის
ამაღლება
გული გამიხეთქოს ლამის.

სიყვარული

სიყვარული სათნოებას ასახავს
და არსების საფუძველი არის.
სიყვარული გულს იმედებს უსახავს,
აგამღერებს ძალას მოგცემს ქარის.

ფიქრებს აქცევს ფერად ფერად ოცნებად,
და გულების ალმებს აკრავს ცაზე.
ზღვის ნაპირზე გაპოვნინებს ბედის ჯინს
და ხალიჩით მოგიქროლებს კარზე.

შიში არ აქვს ,ქრება ცრემლი წაიღებს,
რაც კი დარჩა ძველ დარდიან ღამეს.
სიყვარული უამრავ მსხვერპლს გაიღებს,
ლხენად შეკრებს სიხარულის წამებს.

შეიყვარე როგორც დედამ შვილები,
როგორც უფალს უყვარს თავის საწყმსო
შეიყვარეთ დაულოცეთ ძირები
ბლომად გაეც სიყვარულის სარჩო.

სამოთხე დედამიწაზე

აბა სამოთხე თუ გინახავთ დედამიწაზე
თითქო ზღაპარში გიცხოვრია თავდავიწყების.
გელოდება და უხილავი გაბამს მიმავალს,
ნაზი ჰანგების უხვი წვიმა, რომ ქმნის ნიაღვარს.

სრული შერწყმაა, შეხამება და ჰარმონია.
მოჯადოებულის სიამისგან ბრწყინავს თვალები.
დროის ამთვლელი ჩართულია და წამზომია
ისე მიფრინავს დაუხაზავს უკვე რკალები.

ნიავი ფრთხილად გეპარება ლოყებს გიკოცნის
ალეწილ სახეს ეფერება მზისგან სხივები.
დარდი გაქრება სიყვარული გზასაც იპოვნის
გულის ფართხალს კი შეუხსნია მკერდზე ღილები.

აბა სამოთხე თუ გინახავს დედამიწაზე?
თითქო ზღაპარში გიცხოვრია თავდავიწყების.
გელოდება და უხილავი გაბამს მიმავალს,
ნაზი ჰანგების უხვი წვიმა, რომ ქმნის ნიაღვარს.

არა გმირები არ დალეულან

არა, გმირები არ დალეულან,
დღესაც ულევად ჩვენს გვერდით დგანან.
თუ სუსტი მათში გამორეულა,
ეს სულ არ ნიშნავს რომ აღარ გვყვანან.

ბილიკებს წყნარად მიუყვებიან
და თუ დასჭირდა წინ ხაზზე ჩანან.
საფრთხეს პირისპირ ეგებებიან
შეუპოვრობით ძუ ლომებს ჰგვანან.

არა გმირები არ დალეულან,
დღესაც უდრეკად ჩვენს გვერდით დგანან.
და თუ ჯერ საქმით არ გვაკვირვებენ
ეს სულ არ ნიშნავს რომ აღარ გვყვანან.

აზა კიკვაძეს

(გილოცავ იუბილეს)

ქართველი ქალის მანდილის
სპეტაკ სამოსით მოსილო,
დედობის ეტალონი ხარ,
უფლის წესების მორჩილო.

ქარიშხალს ბევრჯერ შეები
და არ ჩამორჩი ბრძოლაში,
თუმც ყველა ომი მოიგე
წინ გაუსწარი რბოლაში.

დრომ ვერაფერი დაგაკლო
თვალით კეთილი მზერა გაქვს.
და შენს ბაგეებს მუდმივად
ტკბილი სიტყვების კონა აქვს.

გილოცავ შენს დღეს ძვირფასო,
ყველა ოცნება აგიხდეს.
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს,
მტერიც მოყვარედ გაგიხდეს.

იხაროს შენმა მარჯვენმა,
იმრავლე, იდღეგრძელეო.
ხვავი ბარაქა თან გქონდეს,
მარადჟამს იმზეგრძელეო.

ღირს ?

ყველანი ვცოდავთ სულს, ღმერთს ვავედრებთ.
ერთმანეთს ვტანჯავთ, რას არ ვაყვედრებთ.
გაუსაძლისი გამხდარა ყოფა,
დედამიწაზე აღარ ღირს ყოფნა?

უმადურობა ცუდი სენია
გულს კი დაგწყვიტავს , მაგრამ არა ღირს.
ათას სიკეთეს წყალში ჩაგიყრის
ერთი უარით სიტყვაც აღარ სჭრის.

რატომ ვიცხოვროთ უერთმანეთოდ,
თუ სითბოს გავცემთ უკიდეგანოდ.
შევხედოთ კარგი ქმედების შედეგს,
ფესვი მოურწყათ სიკეთის ნერგებს.

გული გაუხსნათ გულწრფელ სიყვარულს ,
უხვად მივიღებთ ულევ სიხარულს.
ღმერთო მოგვეცი საღი ფიქრები
და მადლობელი შენი ვიქნებით.

ახალი დილა

სიყვარულით დაიწყე
ახალი დღის დილა .
უფალს გულის მოგებით
სამადლობელს სწირავ .

მოეფერე ყველაფერს
ნუ დააფრთხობ მძინარს.
ოცნებების საბანი
გადაიძვრე ფრთხილად.

აუყევი აღმართებს
მზეს გაუღე კარი.
გულის ტკივილს არ აჰყვე
დაახვედრე ფარი.

სიყვარულით დაიწყე
ახალი დღის დილა.
რწმენის მადლის ნაყოფად
სულში მუდამ თბილა.

სიცოცხლე

როცა სიცოცხლე ნებივრობს
მაშინ სიკვდილი მთვრალია
ბრუდახვეული ვერ დგება
ეს ისევ თავის ბრალია.

ხელგაშლილია ხალისი
მოლხენა მისი ვალია.
გული სიხარულს ეძლევა
დარდისთვის არა სცალია.

როცა სიცოცხლე გრძელდება
ყოველი წელი " წამია ".
დრო ისე სწრაფად მიფრინავს
ჭირს აითვალო ჟამია.

აბა სიცოცხლევ იხარე
და არ მოხუჭო თვალია,
საქმეს არ მოსცდე ივარგე,
კარგი დატოვე კვალია.

ტბაზე მზის ჩასვლა

ტბაზე მზის ჩასვლა, საოცარი ფერთა ნარევით,
მთებზე დაკრული დასერილი ღრუბელთ ნაკრებით.
წყალს ზედაპირი მოუხატავს უცხო ჩრდილებით,
გრძნობის ამშლილი სხივი ზეცას ქარგავს ხრიკებით.

სიმშვიდეს გაძლევს, თან აღაგზნებს უცხო საღერღელს,
ფიქრებს მოუხმობს, რომ უფრო ღრმად ჩაწვდე საწადელს.
ხელოვნებაში შეგიტყუებს სულს დაგიამებს,
ან კალამს იღებ და ან ფუნჯით კურნავ იარებს.

დროს ნუ კარგავ

ნუ ეცდები გადაიკრა ტყავი,
რომ დაიცვა თავდასხმისგან თავი,
არ გიშველის თუ მიზანში ყევეხარ
თუნდაც სულით სიმაღლეზე დგეხარ.

თავის დაცვას აღარა აქვს აზრი.
დროს ნუ კარგავ, ნუ გაქვს ამის დარდი.
წინ! და საქმით დაამტკიცე რაც ხარ.
სიყვარულით უფრო მაღლა ახვალ.

შერკინება უნდა ღირდეს ფასად,
ავყიასთან ვერ გაიტან მართალს.
მარგალიტებს ამოგისვრის ლაფში,
მოგიფანტავს მისთვის დაყრილ მარცვალს.

ის რაც დაფარულია

ის რაც დაფარულია
რაც არა სჩანს არსად
რომ გგონია იმ წარსულს
ჩააბარე გაქრა.

სადღაც სამყაროშია
ის ყველაფერს ხატავს.
ხმაც კი არ იკარგება
ეკვრის ბგერის ტალღას.

მოქმედს ფირზე აღბეჭდავს
წარსულს სხივად ატანს.
დრო კი დღეებს კი არა
ითვლის ბევრჯერ ათასს.

მზია ელიაძე

მთვარის იმედად დარჩენილა...

25.09.20

შემოდგომაა, მოკაზმულა მზე ცაზე კრძალვით
დალალგაშლილი გადმოჰყურებს მიწას მადლიანს.
ღრუბელთა ქულა დანისლულა ამღვრეულ ტანით
სევდნაფერ ხელით ო, იხოკავს თვალ-წარბს ნამიანს!..
ლაჟვარდ ბადახში ჩაქარგული მზე ოქროსფერი,
გრძნობას ვერ მალავს, ეტმასნება ვაზს მკერდმადლსვიანს.
რაა სიმდიდრე? არ გეგონოთ, რომ ოქრო-ვერცხლი
ვენახიაო, შველა უნდა მტევანს მზეთვლიანს!..
ქარმა ფოთოლთა ფერად გამით მოხატა მიწა
ფარდაგ-ხალიჩად დააფინა დედას სამოსი,
მზის ბრწყინვალება გალეულა, ვით ბროლი, მინა
მოდის, მოიწევს ზამთარ-ყინვა მყარი სადგომით!..
შემოდგომაა, სურნელებით, მადლით აღსავსე
მაქრით დამთვრალა უფერული მიმქრალი მთვარეც...
სურნელთ რითმაში ფერთა გამის ცეკვა აღგაგზნებს,
დაგავიწყდება დრო-ჟამ-ხანით კუთხე და მხარე!..
გაირინდება, დამუნჯდება ტყე, ქალა, მდელო
გაიცრიცება ირგვლივ მიდამო უტყვი, მდუმარე.
აღარ იგალობს შოშია და გაიტანს ლელოს
ცად მზე ჩამქრალა; აღარ არის მწველი, მცხუნვარე!..

სიზმრად ვიხილე

(ვაჟას)
01.09.19. (ვალენსია)

სიზმრად ვიხილე, ჩარგალს ვიყავი ვაჟას მამულში,
მის ნაფეხურებს ვეფერებოდი ცრემლმორეული...
გამოკეტილი იდგა სახლ-კარი მხრებჩამოყრილი,
კაცთმონატრული, სევდნაფერი,მიტოვებული...

თავს დამდგომია ლეგა ღრუბელი პირმოქუფრული
მეჩვენებოდა, რომ მეუბნება:
– ვარო ობოლი!
კაცთ ხილვა ვაი,გამხდომიაო მიუწვდომელი
თითქოსდა, ციცქნა ნიბლია ვარ, მდევნის ოლოლი!

მზე დასალიერს გადაიწვერა კარგა ხანია,
მთვარეც არ ჩქარობს,რომ გაანათოს ღამე შავბნელი.
ვდგავარ, სიბნელე მაშინ-მატყვევებს ვაჟას ფშავშია,
იმ ტკბილ ფშავშია,სადაც შანდალში ენთო სანთელი!..

მოგვიანებით ცას გამოესხა ვარსკვლავთა ხროვა,
ვალდებულებად უფრო აღვიქვი,ვიდრე მშვენებად!
ყელს მობჯენილი ცრემლის ნაკადი გროვა და გროვა
თავისით მოდის, არც მეკითხება,მიწვავს ორთავ თვალს!..

შემოდგომის ყვითელ ხეებს

(სურათი)

თითქოს მზე გულში ჩაუსვამთ მზე,ცხელგულა და მზიანი.
მშვენება წაურთმევიათ:სითბო,სინათლე,ღვთიანი...
უი,ფოთლები რა იქნა,სევდნაფერ,ცრემლებიანი?
მიწას ემცვრევა ხალიჩად;მიწაც გულს იკრავს ღვთიანი...
უგვანი ქარი გაგიჟდა,მზეს ბოჭავს ურხცვავზნიანი...
....სიცივე მეფობს,ტახტს იდგამს ღრუბლებში გულღრძოიანი.
რად გვიკვირს კაცთ მათი ქცევა?ვბაძავთ ურცხვთ,ვართ გულბოღმიანნი!..
– მზის ბოჭვა,კვდომა გინახავთ სითბოს,სინათლის ღვთიანის?...

ნელი გიუნაშვილი

ნეტავ რად ათოვს ჩემს გულს ფიფქები

თუ ნისლი ქრება და ცა კაშკაშებს,
ნეტავ, რად ათოვს ჩემს გულს ფიფქები,
თუ მზე ანათებს, რატომ არ მათბობს,
რათ ვისუსხები, რათ ვიყინები.
როდის მოსულა ზაფხულში თოვლი,
რათ იყინება ეს არე-მარე,
მზის გზას გავყვები იქნებ გავათბო
ჩემი ქვეყანა და ჩემი მხარე.
უფალო! ოღონდ ნუ გაჯავრდები,
შეუნდე ყველას ცოდვა და ბრალი,
დამილოცე და გაამზიანე,
ეს ჩვენი გზები ძნელად სავალი.
იფურჩქნებოდეს მინდა ქვეყანა,
მინდა ხარობდეს მინდვრად იანი,
წვიმით იბანდნენ პირს გვირილები,
და მიღიმოდეს ვარდი ცვრიანი.
მაპატიე, რომ შემოგწუწუნე,
უფალო! ესეც ბრალად მედება,
რა ვქნა, რომ ქვეყნის
ტანჯვას ვერ ვუძლებ,
და ჩემი გულიც უკვე ბერდება.

ნუ გავიწყდებათ

დიდმა ქარ-ცეცხლმა გადაიარა
ქართულ მიწაზე,
გადაუკაფავთ, დაუწვიათ ოსმალთ
სოფლები,
ბევრი ქართული მონასტერი დაუნგრევიათ,
წაუყვანიათ ქართველები, როგორც
მონები.
ნუ გავიწყდებათ ქართველებო!
რომ თქვენ ერთნი ხართ,
რომ თქვენს ძარღვებში, ქართული
სისხლი, სჩქეფს და დინდება,
თქვენი ვალია, ერთმანეთი არ შეიძულოთ,
რადგან მომავლის იმედები, თქვენში
ღვინდება.
რას უპასუხებთ, რას უამბობთ თქვენ!
თქვენს მომავალს,
როცა თაობა თქვენს ძმობაზე შეგეკითხებათ?
რა პასუხს გასცემთ შემოქმედს და
იმ დინასტიას,
ვინც თქვენ აქამდე, დღემდე დაგიცვათ
და მოგიყვანათ.
მუდმივი ჩხუბით, გულგრილობით
ნუ გააცინებთ,
ნუ გაახარებთ მტერს თქვენი მარცხით
და სიძულვილით,
მსურს დაიწეროს მატიანეს ოქროს
ფურცლებზე,
რომ საქართველო ძლიერია ძმის
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ.

ყვითელი ფოთლები

ყვითელი ფოთლები
უჩუმრად ცვივიან,
სათქმელს ვერ ამბობენ,
უთქმელად მიდიან.
ყვითელი ფოთლები
მზესავით ბრწყინავენ,
ჩვენ გვეთხოვებიან
და ჩუმად გმინავენ.
ბუნებას ოქროსფერ
ძაფებით ქარგავენ,
რა იდუმალები,
ნაზები არიან.
მე მათი ყურებით
ვტკბები და ვხალისობ,
და მათი ფერები,
მე მიყვარს ძალიან.

ნაღვლიანი თვალები

მომღიმარ სახეს დავეძებ ყველგან,
ყველგან სევდა და დარდია მხოლოდ,
მე ნაღვლიანი თვალების მზერა,
ოღონდ აღარ მსურს, აღარ მსურს ოღონდ.
მინდა ია და ვარდი ხარობდეს,
ხარობდეს ერთად პატარა, დიდი
და სიხარულით სავსე თვალები,
შემომეფეთოს არ ჰქონდეს რიდი.
ბედნიერებავ ! ზურგს ნუ შეაქცევ,
ჩემს მამულს, ჩემს ერს და ჩემს მომავალს,
ნაღვლიან თვალებს ნუ დამანახებ,
სჩუქნე სიმშვიდე ამ ჩემს მონაგარს.
ეკლიან გზებზე ნუღარ მატარებ,
ბედი ზვარაკად ნუ მაღიარებს,
ნაღვლიან თვალებს ნუ დამანახებ,
ნუ დამიკაწრავ, გულს ნაიარევს.
ნუ დამღლი დარდით, იღბალო ჩემო...
ცას მოაბნიე ლურჯი იები,
მიწას მოჰფინე ბედნიერება,
გულს დაგვაკემსე, როგორც ღილები.

12. 09. 2021

რა დიდი ღამე გამოვიარე

მე პარმაღიდან ვუცქერ მზის ჩასვლას,
ზღვის ტალღებს შორის ჩაცურდა თითქოს,
მე გათენებას დაველოდები,
არ დაიშურებს, მაჩუქებს სითბოს
ცას ბინდი როგორ გადაეფარა,
გადაეფარა მცველად, დარაჯად,
მოულოდნელად ცა აციმციმდა,
ვარსკვლავთა ჯარი დადგა დარაჯად.
ქარმა დაჰბერა, ცამ გაიელვა,
და იყო ღამე მწუხარე, გრილი,
წამოუშინა უეცრად სეტყვამ
და ყველაფერმა დაკარგა ხიბლი.
ველოდი დილას და გათენებას,
რომ ჩამცხრალიყო მირაჟი ღამის,
ველოდი მზიან დღის გაბრწყინებას,
რომ არ გამეგო ზუზუნი ქარის.
ვერ დავიძინე, ფიქრმა წამიღო,
ეს კუნაპეტი ღამე მაშინებს,
და საზარელი ქარის ხმაური,
არა ჩერდება, აღარ მაძინებს.
რა დიდი ღამე გამოვიარე,
ნეტავ, ვიცოდე თუ გათენდება,
ამომავალი მზე მსურს ვიხილო,
დილის რიჟრაჟი, ღამის თენება.
ღმერთო! ნუ მომკლავ ამ ქვეყნად ისე,
რომ არ ვიხილო ჩემი მამული,
ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა,
გახარებული, გაბრწყინებული.

ეთერი ზარიძე

ნუ ეკითხებით

ნუ ეკითხებით საქართველოს,
რამე თუ უჭირს,
აღარც სმენა აქვს, აღარც ენა,
არც თვალი უჭრის.

ნუ ეკითხებით,დაანებეთ თავი
სიყალბეს,
მის მტრებთან ერთად არ იქნებით,
ის რომ გიყვარდეთ.

მის სახელს ურცხვად ეფარებით,
ეშმას ადიდებთ,
თქვენი ნიჭი და ქართველობა
ფულზე გაყიდეთ.

ემეგობრებით ყველა თავხედს,
ყველა მაფიას...
მათი წყალობით წერთ
საკუთარ ბიოგრაფიას.

მატყუარებო,თვალთმაქცებო,
გხიბლავთ დიდება
თქვენ საქართველო არ გადარდებთ
და არც გჭირდებათ.

ხოდა იყუჩეთ!ვერაგებო!გამყიდველებო!
სიტყვით ერთგულნო, საქმით მტრებო,
ქცევით გველებო.

ემეგობრებით ყველა თავხედს,
ყველა მაფიას...
მათი წყალობით წერთ საკუთარ
ბიოგრაფიას.

* დრო *

დროა გონებას მოვუხმოთ,
გვეყოფა ყალბი თამაში,
მამულს რომ მივეპატრონოთ
ცუდი რა არის ამაში?

მტერთან ენას რად იჩლექავ
ახალი დროის ქართველო?
შენი მრწამსი და ღირსება
რად გინდა ფეხით გათელო?

სიტყვა სხვა გაქვს და აზრი სხვა,
ქცევა სხვა, გული დედალი,
სჯობს სულ არიყოს ამქვეყნად
კაცი, მხდალი და ცვედანი.

ვიცი, რომ არწივის ადგილს
ვერ დაიკავებს ქედანი,
მტერს თუ კუთვნილს არ მივუზღავთ,
მაშ რისთვის გვზრდიან დედანი?

დროა გონებას მოვუხმოთ
და ავისრულოთ მიზანი,
თორემ ჩვენს კუთვნილ მიწაზე
მალე გავხდებით ხიზანი.

თვალთმაქცი ყოფა

ეს რა ცხოვრება მოგვკერძა ზენამ,
გადაგვხდა ბევრი გადასახადი,
გვერგო ტკივილი და ჭირთა თმენა
ვიდრე წკვარამ გზას გადავლახავდით.

ვეომებოდით დარდსა და სევდას,
მომავლის იმედს ველოდით კრძალვით,
მაგრამ სატანა მუდამ თან გვდევდა,
გზას გვიღობავდა ბოროტი ძალით.

თვალთმაქც ყოფასთან ომი გვაქვს ისევ,
ვერ გავექეცით ქვეყნის ავსულებს,
ჩვენს ხარჯზე ვიღაცჯიბეებს ივსებს,
მტრების დაკვეთას ურცხვად ასრულებს.

გაქრა ქართული სინდის-ნამუსი,
ზნეობა ყველას ფეხზე ჰკიდია...
დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მამულში
ღირსებას უკვე ფულზე ჰყიდიან.

არ ველოდი

ამ შეხვედრას არ ველოდი
მონა გავხდი ორი დარდის
სიყვარულის ანგელოზი
ამამაღლებს მეცხრე ცამდის.
მაგრამ შიში ფრთებს მიკვეცავს
შიში ცეცხლზე უარესი,
გაანათებს ღამის ზეცას
მაგ გიშრისფერ თვალთა კვესი.

დავალ დარდით ანათრთოლი
და შენი ხმა შორით მესმის,
გახდა გულის თანატოლი
შენი ხვევნა და ალერსი.
ერთი ტრფობის ლაღი მითი,
ერთიც მკაცრი სინამდვილე
შენთან განშორების შიში
სამარამდის მიმაცილებს.

ვერ დაიბრუნებ

დღევანდელი დღე არ დატოვო უსიხარულოდ
თორემ არ იცი,ხვალინდელი როგორი მოვა,
თავს ნუ დაისჯი უმეგობროდ,უსიყვარულოდ,
თორემ მოგიწევს გარდასულზე დარდი და გლოვა.
სწრაფად გაირბენს ნაოცნებარ დღეთა მარულა,
ვერ დაიბრუნებ სიყმაწვილის ლამაზ აპრილებს,
ვეღარ გიშველის ტირილი და გვემა ფარულად,
სასოწარკვეთა დაგჯაბნის და გაგინაპირებს.
ჩემს შეგონებას ყური უგდე,იყავ კეთილი,
ავი ზრახვები არ გაივლო არასდროს გულში,
კარგად გახსოვდეს,ნუ იქნები კარჩაკეტილი,
იმას მოიმკი,რა მარცვალიც ჩააგდე ხნულში.
ქვეყნად ერთი დღეც არ დატოვო უსიხარულოდ,
კარგად გახსოვდეს,არაფერი არის უცვლელი,
თუ გაგიფრინდა ტკბილი წლები უსიყვარულოდ,
დარდით და გლოვით ვეღარაფერს ვეღარ უშველი.

ვით გავძლო

გულში მზე ჩაგსახლებია,
თვალში ვარსკვლავნი კრთებიან...
ვით გავძლო,ვით არ გაკოცო,
ასე მწველსა და ვნებიანს.
გიშრის თმის უსიერი ტყე
ლამაზ შუბლს დასჩრდილებია,
ნებით გავმხვდარვარ შენი ტყვე,
ხვეწნა არ დამჭირვებია.
შენი ტუჩების ბადაგი
გულს ცეცხლად შემომნთებია,
არის წუთები ნანატრი,
ხსოვნას რომ შემორჩებიან.

სად დამეკარგე

ის სევდიანი მზერა
და სანატრელი ხმა,
ფარული ტრფობის მზე და
შავი თვალების ზღვა.
რად არ მოდიხარ ჩემთან?
სად დამეკარგე,სად?
ისმის ჩურჩული ხეთა,
ფიქრი მიიწევს ცად.
ისევ მარტო ვარ ახლაც
და მენატრები კვლავ...
მაგ სიახლოვით ვცოცხლობ,
შენი სიშორე მკლავს.

ლალი ჩიმჩიური

* * *

მოდი გაზაფხულო მოდი,
ლაჟვარდოვანი ფერების გამით.
ურმულითა და რეროთი მოდი.
გულს გაათბობ და სულს გაანათებ.
მოდი გაზაფხულო მოდი.
ქართული მიწის სურნელით მოდი.
მთაში დეკა, ხომ მწვანე
მდელოზე გაშხვართულა
და კეკლუც ქალივით,
მზეს თავს აწონებს.
ბუნებამ თითქოს გამოიძინა
გაიღვიძა და ცაში აიჭრა.
ეს სილამაზე მხოლოდ, იქ არის.
შორეულ ჩემს სამშობლოში,
ცხრა მთისა და ცხრა ზღის, გადაღმა.
შენ გიგალობდნენ, მუდამ
მგოსნები ხოტბას გასხავდნენ,
ჩემო ქვეყანავ შენგან წასულნი შორს,
იმ ქანაანის უცხო მხარეში.
რა რიგ დიდია ეს მონატრება,
შენს უბეს ასე მოწყურებული.
მოდი გაზაფხულო მოდი.
მრავალჟამიერით ივერიონზე მოდი,
დიდებითა და შარავანდედით მოდი!

იტალია

* * *

ამ ლექსს ყველა ემიგრანტს ვუძღვნი,
ქალს, დედას, შვილს, რომელიც
გულით დიდ ტკივილს ზიდავს.

ემიგრანტის გზა ეკალ ბარდია,
მუდამ თან მდევი ვარამ დარდია.
თქვენ არ გივლიათ ეკლიან გზაზე,
როცა ღაწვებზე ცრემლი გასკდება.
როცა ბაგეზე ყალბი ღიმილი,
გაცრეცილ სახეს შეყინებია.
რადგან არავის არ სურს შენი ტირილი.
მონატრება კი გულში ჩაგიკლავს,
შენი დარდი და ჯვარი საზიდი.
უძილო ღამე დაგთენებია და რამდენი დღე,
ნაცრისფრად დაგღამებია.
მომაკვდავ დედას.
სარეცელს ტოვებ,
ამაგდარ დედას ვერ უჭირისუფლებ.
უნახავ საფლავს ვერ დაემხობი,
ვერ დაიტირებ, ცხარე ცრემლებით.
სანთელ საკმეველს ვერ აუნთებ და
ტაბლა კვერებით, სულს ვერ უხსენებ.
და იცით რატომ?
სხვის მიწაზე ხარ უცხო მხარეში,
სხვის სახლში ცხოვრობ.
თქვენ ემიგრანტის
მძიმე ჯვარით არ გაგივლიათ,
ვარდის მაგივრად ეკლიან გზაზე,
თან წაღებული მალული დარდით!

იტალია

* * *

ავდარის შემდეგ, დარი დადგება,
ცის კამარაზე, შვიდფეროვანი
ცისარტყელა გადაეკვრება.
და ცხრათვალა მზე გამოანათებს,
ეს სევდიანი ფიქრებიც წავლენ
და სიხარული დაისადგურებს.
გული გათბება, სული გალღვება,
ავდარის შემდეგ, დარი დადგება.
სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე დგება.

იტალია

* * *

ცას, დამჩნევია პირქუში სევდა.
მოღუშულა და შეუკრავს პირი.
ტახტი დაუდგავს, ზედ, დიადემა.
მომზადებულა ცივი ზამთრისთვის.
ისევ გაწვიმდა და მოდის წვიმა,
ამ წვიმასავით მოდის ეს მუზა.
ნაღველითა და კაეშანებით.
ეხეთქებუან წვიმის წვეთები,
ფანჯრის დარაბებს,
მდუმართ დარაზულს.
მარცვალ მარცვლებად,
გაბნეულა ჩემი სიტყვები,
ხეზე მეწამულ ბრონწეულივით.
ქრიზანთემები გაჟღენთილა,
წვიმის წვეთებით.
ნაზად უღიმის ეამბორება
შხაპუნა წვიმას!

იტალია

* * *

რა გააზამთრებს, როცა გაზაფხულს, ელი
იმედით.
ღიმილი უნდა სძლევდეს კაეშანს.
სიყვარული,კი ვერაგ სიძულვილს.
რა გააზამთრებს, ამ ცის ქვეშეთში,
როცა სიკვდილი როკავს და ხარობს.
რა გააზამთრებს, ამ ზამთარს ნეტა.
როცა სიცოცხლე, ასე ლაღია.
და შორს გაზაფხულს ისევ ვიხილავთ,
აღმოსავლეთით აისს, ამოსულს!

იტალია

* * *

ახლა ჩემს ღაწვებს ნაოჭი ფარავს.
ერთ დროს ბრწყინვალე თვალებს, ციმციმას.
ოხ,ეს უბედური დრო როგორ აქრობს.
ეს სიბერეც,ხომ ნელ ნელა მითრევს.
და გონებასაც ასე რომ მირევს.
როგორ მიყვარხართ ჩემო შვილებო.
ეს ცხოვრებაც,ხომ უკუღმა მიდის.
თქვენთან ყოფნას, რომ აღარ მაცლის.
ნეტავ გავუძლებ მე ამ წამებას?
გულში ჩავიკლავ ფიქრებს და.
დარდებს ასე სევდიანს.
ვიდრე იფეთქავს გული სხეულში.
და ჩემს ძარღვებში სისხლი მჩქეფარე.

იტალია

* * *

ახლა ჩემს ღაწვებს ნაოჭი ფარავს.
ერთ დროს ბრწყინვალე თვალებს,
ციმციმას. ოხ,ეს უბედური დრო როგორ
აქრობს.
ეს სიბერეც,ხომ ნელ ნელა მითრევს.
და გონებასაც ასე რომ მირევს.
როგორ მიყვარხართ ჩემო შვილებო.
ეს ცხოვრებაც,ხომ უკუღმა მიდის.
თქვენთან ყოფნას,რომ აღარ მაცლის.
ნეტავ გავუძლებ მე ამ წამებას?
გულში ჩავიკლავ ფიქრებს და.
დარდებს ასე სევდიანს.
ვიდრე იფეთქავს გული სხეულში.
და ჩემს ძარღვებში სისხლი მჩქეფარე.

იტალია

მარი კუბლაშვილი

ლოგიკური დასასრული

აღარ ეკარებათ ძილი აღარც ფიქრებს
და ალიონამდე სასიზმრებს შევრჩები,
ღამე ფანჯრებიდან სუნთქვას ისე მირევს,
თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩემში ამბავს რჩები.

ისე მეჩვენები ახლა სასაცილოდ,
რომ არც ძველებური არ მაქვს ამბიცია,
ყველა მოგონება ისე გავაცილო,
თითქოს კარგის მეტი არა განმიცდია.

პულსი შენელდა და ჩემკენ ნისლი იწევს,
უფრო ადვილია ახლა გადარჩენა,
ბოლოს დანებება მაინც ისე გვიწევს,
რომ აღარც კი გვიღირს წასვლა ან დარჩენა.

მოდის ჭირისუფლად წვიმა უცნაური,
აი, ლოგიკური მესმის დასასრული,
აღარც სიყვარული, არც გულის ხმაური,
აღარც სევდისფერი ფიქრის აღსასრული.

ზუსტად ისეთია ახლა დღეც და ღამეც,
როგორც გაურკვეველ მძიმე აზრთა წყობა,
მაშინ არ მინდოდა მეთქვა ბევრი რამე.
ახლა აღარც დროა და აღარც განწყობა.

არ ვიცი თუ ისევ დავდგები ფეხზე და
თუ ისევ ვიწამებ აპრილის ტკბილ ზღაპრებს,
როდიდან ვუკრძალავ გულს შენთან შეხებას,
ჩავიცვი სიცივე, დღეებს რომ მიმძაფრებს.

როდისმე, თუ მაინც შემხვდება გზასავალს
ნამდვილი გრძნობების მზისებრი ნათელი,
მეც ვიტყვი, რომ ჩემთვის ფეთქავდი და
სავალს
სიმშვიდის სულ მენთო ციმციმა სანთელი.

მე მხოლოდ ცხოვრების მცირედი გავიგე,
არ იყო დრო, არც გზა, არც ვინმე გამგები,
ბრმა თვალით სასტიკი მახე თუ დავიგე,
მტკიოდეს, ხომ იცი, ხმის არ ვარ გამღები.

შემოფლეთს იმედებს სისავსე მთვარის და
მოვივლი ღამიან ქუჩებს და მოგიხმობ,
დღეს ჩემთან აპრილის ზღაპრები არის და
არ მიკვირს, თუ ისევ ჩვენს თავზე
მომითხრობს.

ხომ ხდება, ხანდახან, მზე ისევ ამოდის,
ხომ არის უიღბლოს ბედი რომ ეწევა,
ხომ ხდება ხანდახან ის, რაც არ გამოგდის,
სწავლობ და გზა და გზა ღვთის მადლი გეწევა.

ვბრუნდები, იქ სადაც სიცოცხლე იწყება,
ვიგონებ, რა იყო იმ ზღაპრის არსი და
მე როგორც ყოველთვის მსურს არდავიწყება,
რაც დარჩა უაზრო, ორპირი ფარსიდან.

შემშალეს იქნება ამდენმა ფიქრებმა,
ვინ იცის, სიცივე დამტოვებს ფერმიხდილს,
გულიდან ყოველი ბრმა სიტყვა მიქრება,
რადგანაც ვერც ერთის აზრს დღემდე ვერ
მივხვდი.

არ ვიცი თუ ისევ დავდგები ფეხზე და
თუ ისევ ვიწამებ აპრილის ტკბილ ზღაპრებს,
როდიდან ვუკრძალავ ჩემს გულთან შეხებას,
სიყვარულს, დღეებს რომ უმზეოდ
მიმძაფრებს.

იქნებ ბოლო არის

იქნებ ბოლო არის ჩემთვის დღეს ეს ლექსი,
იქნებ ბოლო სიტყვა ჩემი მიზანს ასცდეს,
ვიცი, შორი არის თვით ნოემბრის ექვსი,
ჩემი დაბადება, სამყაროს რომ გასცდეს.
თითქოს კვალში უდგას ღამეს აჩრდილები,
ისევ უთვისტომო მტანჯავს აპათია,
ვცდილობ დავაძინო სულში ტკივილები,
დროს რომ მოგონებამ ვეღარ აპატია.
ცოტას მოვითმენ და ალბათ გაზაფხული
ისევ გააცოცხლებს იმ ცეცხლისფერ ვარდებს,
მე რომ მიყვარდა და ბედით დაზაფრული
მხოლოდ მათ ვანდობდი ჩემი გულის დარდებს.
ახლა თვალს ვხუჭავ და ისე ვაკვირდები,
იისფერი თოვლის და მზის ტანდემია...
და თუ ბოლო არის, მაშინ ავტირდები,
რომ ვერ დავამარცხე სულში პანდემია.
თითქოს კვალში უდგას ღამეს აჩრდილები,
ისევ უთვისტომო მტანჯავს აპათია,
ვცდილობ დავაძინო ძველი ტკივილები,
დროს რომ მოგონებამ ვეღარ აპატია.

არავინ იცის

არავინ იცის
სად იწყება ან სად მთავრდება,
ჩემი ფიქრები, შუაღამის
ჩვეული ბოდვა...
ვინ იცის გული
საგულედან რატომ ვარდება,
ვინ იცის, ჩემში რამდენია ,,კეთილი ცოდვა".
მაშ რატომ ანგრევს ქარი ღამეს,
ნერვებდაწყვეტილს,
იქნებ გავგიჟდი... ვაზვიადებ... ანდაც ვიგონებ...
რადგან არ ვიცი სად და როგორ
დავუსვამ წერტილს,
სჯობს აღსარება ჩავაბარო
ისევ სტრიქონებს!

მე ვარ ის ერთი

საით გეძებო სულო ჩემო, საით გეძებო,
ნუთუ ტყუილად მომიხმია უფალი ღმერთი?!
გზააბნეული, არეული... როგორც გენებოთ...
მე ვარ ის ერთი.
ქაოსი გარეთ, ქაოსი შიგნით, მუდამ ხმაური,
და მაღლა ცამდე აზიდული ოცნების კიბე,
თუ ვარ ეული, არვის მსგავსი და უცნაური,
ვტყუივარ კიდევ?
დავანთხევ მელანს, მასზე კარგად არავინ მიცნობს,
სავსეა ქუჩა, მე კი მაინც ვერავის ვამჩნევ,
ყველაზე უკეთ, როცა მტკივა კალამი მისნობს,
ყველაფერს მაჩვევს...
საით გეძებო სულო ჩემო, საით გეძებო,
ალბათ გიპოვი და შენამდე მომიყვანს ღმერთი,
გზააბნეული, არეული... როგორც გენებოთ...
მე ვარ ის ერთი.

ნუ გიკვირს

ნაბიჯებს არ ვითვლი და უცხო ქალაქში,
აჩრდილებს ქუჩაში უაზროდ დავყავარ,
არც ერთხელ, არასდროს შენ ჩემთან არ დარჩი
და ახლა არც შენს გულს მე ახლოს არ ვყავარ.
არ მინდა წვიმდეს და ოცნებებს ათოვდეს,
არ მინდა მეასედ ახლიდან დავეცე,
და სანამ ეს ღამე ფიქრებსაც დათმობდეს,
არ მომცე უფლება სიცოცხლეს გავექცე.
მე ახლა ვუყვები ღამეებს შენზე და
მოვუხმობ წარსულის ლანდებს და აჩრდილებს,
ისეა გრძნობები ქარივით აშლილი,
რომ არარსებობა შენიც კი დაჩრდილეს.
ნაბიჯებს არ ვითვლი და უცხო ქალაქში,
ქუჩაში აჩრდილებს უაზროდ დავყავარ,
რადგანაც არასდროს შენ ჩემთან არ დარჩი,
ნუ გიკვირს თუ ახლა შენს გვერდით არ გყავარ!

მარიკა კაპანაძე

ადამიანს

ვლოცულობ, ცაზე მზემ რომ იმზეოს
და შენ მიწაზე მშვიდად იარო,
რადგან, უშენოდ რომ ამ სამყაროს
ფასი არა აქვს, ადამიანო!

28.03.2020 წელი

არ მავიწყდება

იცით, რად მიყვარს შავი ზღვა?
მზე რომ იძინებს მასში,
სანაპიროზე ყოფნა, კი
თვით სამოთხეა მაშინ...
ქართული ცა რატომ მიყვარს?
აქაურს არა ჰგავს,
მთვარე რომ ამოგორდება,
ვარსკვლავებს უხრის თავს...
აქაურ ცაზე ვარსკვლავი
არასდროს არა ჩანს,
ერთი, ან ზოგჯერ ორი თუ
გამოაჭყიტებს თვალს...
ვინც ნახა, დამერწმუნება,
არ მოიტყუებს თავს,
მისი სამშობლო ამ ქვეყნად
რომ არავისას ჰგავს...
ახლა აქ რომ ვარ არ ნიშნავს,
აღარ მახსენებთ თავს,
ან მავიწყდება, რომ ყველა
მე სამშობლოში მყავს!

1.08.2020 ვალენსია

ცხოვრება საამურია

ცხოვრება ზოგჯერ მეტად ძნელია,
ზოგჯერ ადვილი დელი-დელია,
გაუსაძლისად როცა ძნელია,
ცხოვრება უფრო მშვენიერია!
ცხოვრება თბილი გაზაფხულია,
ზამთართან ჯაჭვით გადაბმულია,
თავის გატანა როცა რთულია,
ცხოვრება უფრო საამურია!

22.03.2020

შვილებს

თქვენს ჭაღარას ენაცვალოს დედა,
ცხოვრებაში განვლილ დროს და წამებს,
გიყურებთ და სხვანაირად გხდავთ,
გიყურებთ და ვერ ვუჯერებ თვალებს.
როგორ მალე გაფრენილა წლები,
გხედავთ ისევ, ჩვილებსა და ბავშვებს,
ღრმად მოხუცებს რომ დაგათოვთ თეთრად,
მოვეფერო მინდა იმ წუთს წამებს.
თქვენზე ფიქრში მითენდება დილა,
მაქვს ასობით ნათენები ღამე,
სარკმელიდან ზოგჯერ მიმზერს წვიმა,
ზოგჯერ ცაზე მოკაშკაშე მთვარე.
შვილის გაზრდა არ გეგონოთ ვალი,
დედობისთვის გაჩნდა ქვეყნად ქალი,
ერთმანეთში თუ გაგარჩევთ იმ დღეს,
დამეშანთოს მე ორივე თვალი.
თუ ეშმაკი ჩასახლდება თქვენში,
ცდილობს, ჩემი შეგაჯავროთ თავი,
ჩემი გული სულ ილოცებს თქვენთვის,
არ დაგტოვებთ მე არც ერთი წამი.
თუ ოდესმე დაივიწყებთ დედას,
გულზე ლოდად დამედება ნამი,
ვიამაყებ, თქვენი დედა რომ ვარ,
არ ვინანებ მე არც ერთი წამი.
შვილის გაზრდა არ გეგონოთ ვალი,
დედობისის გაჩნდა ქვეყნად ქალი,
ვიამაყებ, თქვენი დედა რომ ვარ,
არ ვინანებ მე არც ერთი წამი!

31.05.2021 8:35

აღარ გაჰყარო

ღმერთო მაღალო,
შენ დაიფარე ჩვენი სამყარო,
გვაკმარე ცრემლი, დედას შვილი
აღარასდროს აღარ გაჰყარო.
აღარ შემოსო ქართველი ქალი
ძაძით, ტკივილით,
ღმერთო, გვაკმარე,
ამდენი დარდი, ცრემლი, ტირილი.
დედაო ღვთისავ,
შენსკენ მოვაპყრობ ხელებს და ლოცვას,
გემუდარები ნუღა მომასწრებ
ახალგაზრდების ავ საქმეს, ხოცვას.
დედაშვილობის მადლი ჰფარავდეს
დედა სამყაროს,
ღმერთო მაღალო, გემუდარები,
დედას შვილი აღარასდროს აღარ გაჰყარო!

19.06.21

მინდა რომ

მინდა, რომ სადმე ვიმოგზაურო,
სადმე ძალიან შორს,
იქ, სადაც მხოლოდ, სიკეთეა
და ვერ გაიგონებ ჭორს.
იქ, სადაც მუდამ სიხარულია
და გვირილები თოვს,
ზამთარი ვერაფერს რომ დაგვაკლებს,
გული სიყვარულს გთხოვს...
იქ, სადაც გული მუდამ ხალისობს,
ისმენ სიმღერას, ლხინს,
ერთმანეთს სულ რომ ეფერებიან,
იადვილებენ ჭირს...
მინდა, რომ სადმე ვიმოგზაურო,
სადმე ძალიან შორს,
იქ, სადაც მუდამ გაზაფხულია,
და ყვავილები თოვს!

გემუდარებით

ღმერთო, დალოცე ის შვილი,
დედის რომ იცის ფასი,
ქვეყნად, დედა რომ ერთია,
არასდროს გასცვლის სხვაში.
გულს რომ არასდროს არ ატკენს,
თუნდაც ახრჩობდეს ზღვაში,
რამეთუ იცის, რომ დედის
ლოცვა ააფრენს ცაში.
ღმერთო, დალოცე ის შვილი,
რომ აერია გზა,
დედის ფასი რომ არ იცის,
ჰგონია, ვიღაც სხვა.
გამოიყვანე სამზეოს,
გამოახედე თვალს,
დედის არ დამფასებელი
ბეწვის ხიდზე რომ დგას.
შვილებო, გემუდარებით,
ნუ აწყენინებთ დედას,
აცრემლებული თვალებით
სამყაროს ვეღარ ხედავს.
თქვენზე მლოცველი დღე და ღამ,
მუდამ მუხლებზე დგას,
თუ დაგჭირდებათ, უსიტყვოდ
თქვენთვის გასწირავს თავს.
მუხლმოდრეკილი ვლოცულობ,
შვილების დამაქვს დარდი,
ღმერთო, მოჰფინე სამყაროს
დედაშვილობის მადლი!

და მაინც

უკიდეგანო სივრცეში
ვერ გპოვე მტყუან-მართალო,
შენი იმედი, რწმენა მაქვს
ამ ქვეყნად, ღმერთო მაღალო!
მინდა, რომ შენზე ლოცვაში
სამყარო შემოვიარო,
ძნელია და მაინც ვცდილობ,
ჩემი სიმართლით ვიარო!

გაორება

აქ ვარ და იქ მინდა,
იქ ვარ და აქ მინდა,
მეც არ ვიცი რა მინდა
და წლები კი გაფრინდა.
ვიცი, რომ ხვალ კარზე
მომადგება სიბერე,
თმაზე თეთრად დამათოვს,
დამჭირდება სიმხნევე.
გული რომ არ ბერდება,
მე ლექსებად ვიმღერე,
გაზაფხულს ველოდები,
ყელი რომ მოვიღერე.

12.08.2020 წელი

მაპატიე დედა

არ ვიცი ასე რატომ მიყვარს
და რად ვნატრობ ოდა სახლს,
ალბათ იმიტომ, რომ ამ სახლიდან
ჩემი ბავშვობა ჩანს.
ალბათ იმიტომ, რომ ყოველ დილას
დედა გაჰყურებს გზას,
ნეტავი დღეს თუ მაინც მოვაო
თუ შემოაღებს კარს.
ალბათ იმიტომ, რომ ამ სახლიდან
ჩემს ლამაზ წარსულს ვხედავ
და თუ როდესმე გატკინე გული
გთხოვ, მაპატიო, დედა!

დედულეთი

(სოფელი ქვედა საზანო)

ახლა ისე გამახსენდა,
თითქოს იყო გუშინ,
დედულეთში გაზაფხულზე
აყვავილდა ნუში.
ეზოში დაკრიახობდა
წიწილებით კრუხი,
ზოგჯერ კბილს ჩაავლებდა
ცუგრუმელა რუხი.
მზის ჩასვლას ელოდებოდა
ძროხა, ღორი, ცხვარი,
დაბინავებამდე უნდა
დაელიათ წყალი.
ვახშმად ბლომად გვქონდა
სოფლის რძე და ყველი,
ბებოს ხელით ამოკრული
თონის პური ცხელი.
დაღლილი და დაქანცული
მუდამ ადრე დგებოდა,
მე კი დილით გობის ქვეშ
ჭყინტი ყველი მხვდებოდა.
საღამოს და დილის ნაწველს
დაასხამდა მკვეთს,
დაკოჟრილი ხელებით
აკეთებდა ყველს.
ახლოს მივუცუცქდებოდი
დაუბნევდა რძეს,
ბებია თან მიყვებოდა
ისტორიებს ძველს.
დღე და ღამე შვილივით
ევლებოდა ვენახს,
გაფურჩქნიდა, ააკრავდა,
დალოცავდა მტევანს.
დიდი ხნის წინ წამოიქცა
სახლის დედაბოძი,
ფუძეს მუდამ მფარველობს
მთავარანგელოზი.
ახლა ისე გამახსენდა,
თითქოს იყო გუშინ,
გაზაფხულზე დედულში
აყვავილდა ნუში.

ქრისტეშობა

ვარსკვლავი მთვარეს ეჩურჩულება,
უფალი იშვა წუხელ ბეთლემში,
მე, სანთლის შუქზე მუხლმოდრეკილი,
ვლოცულობ, ღმერთო, შემოდი ჩემში

იესო

წყენა და ყველა ტკივილი
გულზე სულ ეკლად მიესო,
გემუდარები, ვლოცულობ,
ამაღლდი ჩემში, იესო!

თითო კუპლეტი

ჩემი სამკაულები
(ანნას, ელენეს, ნიტას)
მე სახვა სიმდიდრე არ გამაჩნია,
არ გამაჩნია სხვა სამკაული,
თქვენით მოირთო ჩემი ცხოვრება,
რწმენა ხართ ჩემი და სასწაული.

აღარ ვიქნები

გადაიკითხავთ როცა ჩემს ლექსებს,
იქნებით, როცა ჩემთან ფიქრებით,
მოვფერებოდით, სხვას რას გვთხოვდაო,
იფიქრებთ, მაგრამ აღარ ვიქნები!

ვფიქრობ

ვფიქრობ, ვერ ვხვდები, რად დამეწერა,
ეს მძიმე ხვედრი ემიგრანტობის,
ლანდად რად დამსდევს სულ მონატრება
უცნობების და მე ნაცნობების...
შორებელისა, მტრისა, მოყვრისა,
ახლობელისა და ჩემი მოდგმის,
ვინც არ გამოცდის, ის ვერ გაიგებს,
თვალებზე ცრემლი ხშირად რად მომდის...

არავინ იცის, რად მენატრება,
უტკბესი გემო პირველი კოცნის,
ეკლესიაში სანთლის დანთება
სიყვარულისთვის მხურვალე ლოცვის.
კი არ მივსტირი, გულს უხარია,
უკან მოხედვის რომ არ მრცხვენია,
ბედნიერი ვარ, რომ დღემდე სახეს
წარსულის ხიბლი შემომრჩენია...

მივალ მივუყვები

ვისთვის სიცოცხლე ვარ
და ვისთვის სიკვდილი,
ვისთვის სიხარული
და ვისთვის ტკივილი.
მივალ, მივუყვები
ცხოვრებას ნელა,
არ მიყვარს იქ ყოფნა,
სადაც ბნელა.
არ მიყვარს უმიზეზოდ
ვინმეს წყენა,
უმიზეზოდ ვინც მატკენს,
მიფრთხილდეს ყველა!
არ გამიბრაზდეთ,
თუ გთხოვეთ რჩევა,
მიყვარს ჭკვიანი კაცი,
მისი ზნე და ქცევა.
მძულს უგულო კაცის
ყველა ჩვევა,
მავნე ჩვევას რომ
ვერ გადაეჩვევა.

მძულს ყალბი სიყვარული,
კოცნა-ხვევნა,
სიკეთის მკეთებელ კაცს
არავინ სჯობს ქვეყნად...
სანამ აქა ვართ,
ვიღუღუნოთ ერთად,
მერე პირნათელი
წავიდეთ ღმერთთან!

17.03.2020 წელი

ისედაც მიხვდებით

მე პოეტი რომ არა ვარ,
თქვენ ისედაც მიხვდებით,
ეს გულია გადაღლილი
მონატრებით, ფიქრებით.
მომენატრა გაზაფხული
იებით და ვარდებით,
მზის ჩასვლა, მთვარის ამოსვლა,
ვარსკვლავების თანხლებით.
მომენატრა საქართველოს
მინდვრები და მთები,

მწვანედ აბიბინებული
ყანები და ზვრები.
ფიქრებში, მონატრებაში
გამიფრინდა წლები,
ალბათ, ასაკის ბრალია,
უღვინოდ რომ ვთვრები.
ღმერთო, ისე ნუ მომკლავ,
ვერ გავშალო ფრთები,
უკვალოდ არ დაიკარგონ
ჩემი ეს ლექსები.

მარინე შანიძე

სურვილი

მინდა გული ბუდეს მქონდეს,
ირგვლივ ყველა კარგად მყავდეს,
გუთნეული ბობოქრობდეს,
მკის დროს მკიდეს, ხვნის დროს ხნავდეს!
ბეღელში კი ხვავ-ბარაქა,
წლიდან წლამდე არ გათავდეს,
ქვევრთან სტუმარ-მასპინძელი,
ოქრო ვაზის ნაჟურს სვამდეს!
ცას სწვდებოდეს ლხინის ექო,
სუფრის ბოლო არც კი ჩანდეს,
მტერსაცა და მოყვარესაც,
მუდამ ერთგულება სწამდეს!
კვალში მედგეს შვილი ჩემი,
თავის ჯიშს და ჯილაგს ჰგავდეს,
სადაც შეხვდეს გაჭირვება,
იქვე გზა ნათელი ჩანდეს!...
გაძლიერდეს ფუძე, კერა,
მტერიც არსად არ მოჩანდეს,
სინანული შთააგონოს,
ღმერთმა, ყველა ცოდვის ჩამდენს!
მაგრამ, მაინც,უფრო მეტად,
მინდა დარდი გულს არ მწვავდეს,
ქართველების აღმაფრენა,
მათი სიძლიერე მწამდეს,
საქართველო, ერთადერთი,
მარად უძლეველი მყავდეს!

კ ა ხ ე თ ს ❤

ჩემი სამშობლოს ცისკრის ვარსკვლავო,
წარსულის დიდო გადმოსახედო,
სულში ჰანგებად ამღერებულო,
გულიდან ლექსად გადმონახეთქო,
მზე რომ გადმოგდის მთების უბიდან,
ეს სასწაული სხვაგან სად ვნახო?
შენა ხარ ჩემი წმინდა საძვალე,
ბაღი, ვენახი და სამოსახლო!
შენ ჩემი დილის გათენებაც ხარ
და მხრების გაშლას რომ დავაპირებ,
ერთი სურვილი მიჩნდება უმალ,
ფეხით დავუყვე ივრის ნაპირებს.
ვნახო ყანები თავთუხიანი,
მარად შრიალა ტყე და ტევრები,
მკერდგარუჯული ალაზნის ველი
და მზით დამწვარი ოქროს მტევნები...
ცად აღმართული საჯიხვეები,
ჭალები ლურჯი და მობიბინე,
ზვარში ჩამდგარი ჭაღარა მეზვრე,
შენზე მლოცველი და მოღიღინე.
კალთაზე ხვავის სურნელი აგდის,
წარსულში მტერთა რისხვით ჩაგრულო,
მომხდურზე ჯავრის ამოსაყრელი,
კვლავაც ზღაპრული ისმის ,,ჩაკრულო".
ისევ გეძახის მეხრედ, მეგუთნედ,
ნატერფალები მამა–პაპათა,
მადლობა უფალს, რომ შეგრჩა ძალა
და დღესაც ფხიზლობ შვილის აკვანთან...
...კვლავ ისმის ნანა, ხმა სიკეთისა,
ბოროტი ყველა განდევნილია!
...ისევ იზრდება მეფე ერეკლე,
ისევ იზრდება დიდი ილია!...
ავ თვალს მახვილი ეწიოს მუდამ,
მომავლის სხივად გაბრწყინებულო,
ბევრჯერ მტერთაგან დამარცხებულო,
მაინც ზეცამდე ამაღლებულო,
შენ ლხინო ჩემო,სიცოცხლევ ჩემო,
ლექსო გულიდან გადმონახეთქო,
სულში ჰანგებად ამღერებულო,
უბერებელო – ჩემო კ ა ხ ე თ ო !

შემოდგომა კახეთში

სულს რომ აგიწრიალებს და
შეგეყრება გოდებად,
სხვა რომ არაფერი გინდა
და არც მოგაგონდება...
გულში ლხინად ჩაგიძვრება,
სხვა ფერით და სხვა ხედით,
შემოდგომის დედოფალი -
მადლიანი კახეთი.
თუ სტუმრობა გადაწყვიტე,
არ ინდომო სხვა მხარე,
მოდი, უხვი მასპინძლობით
დატკბი და გაიხარე!
თვალსაც უჭირს დაჯერება,
გრძნობა გათანგულია,
შემოდგომით კახეთი ხომ
მთლად სამყაროს გულია!
გეძახიან, გატყვევებენ
პაპის ხელშენახები -
ოქროსფერად მოწეული
ოქრო ბაღ-ვენახები.
პატარძალს ჰგავს,
თვალმახარას,
ზვარი – სათნოდ მოვლილი
და ღიღინით გულს ახარებს
გლეხი – შრომით მოღლილი.
ირგვლივ მუდამ ფუსფუსია,
ლაღი და საამური,
გადახლეჩილ ბრონწეულებს
წითლად ასდით ალმური...

აივანზე კეკლუცობენ
ღიპიანი გოგრები,
ქვევრის პირას ჯერს ელიან
ყურძნით სავსე გოდრები.
ჰაერს მოტკბო სურნელი აქვს,
სასწაულის სადარად,
შუაცეცხლზე, სავსე ქვაბში,
კვლავ თუხთუხებს თათარა!
თავბრუსხვევას ვერ წაუხვალ,
თან ცდუნება დიდია,
როცა ორმხრივ ხარიხებზე
ჩურჩხელები ჰკიდია...
ასდის ცხელი ოხშივარი,
გულის მონაწყურები
და თონეში, მადლიანი,
ცხვება დედასპურები!
წინ ლხინია, არნახული,
კაკალს დიდი ჩერო აქვს,
რთველის სუფრას სხვა
ლაზათი,
სხვა მადლი და გემო აქვს!
ნაკვერჩხალზე იწვის მწვადი,
საგანგებოდ ასხმული,
სადღეგრძელოს ელოდება
ღვინო – ჯამში ჩასხმული.
სუფრის თავში ჩამოჯდება,
ბევრათეულმოყრილი
პაპა, ხელებდაკოჟრილი,
შრომით წელში მოხრილი.

ძლიერდება ლხინის სუფრა,
ერთმანეთით ხარობენ,
ჭიქა ჭიქას ენაცვლება,
სადღეგრძელოს ჩქარობენ!
პირველს, უფალს მიაგებენ,
შესწირავენ მადლობას,
მერე ვაზის სადიდებელს,
კიდევ ერთხელ ნათლობას!
პაპა გულით ილოცება:
ქვეყნად დასარჩენებო,
გამიმრავლდით, მრავალ ამ
დროს,
დაესწარით, ჩემებო!
ყველა უნდა კარგად მყავდეთ,
გულმა თქვენით იფეთქოს,
ღვთისმშობელმა
მფარველობის
კალთა ჩამოიბერტყოს!
ქვეყნად მუდამ ბევრი გვყავდეს
ვაზის ჭირისუფალი,
თქვენი შრომის გასამრჯელოდ
შეგწეოდეთ უფალი!
დაგელოცოთ საქართველო
ქარაფით და ჭიუხით,
ყოველი წლის შემოდგომა
მოსულიყოს სიუხვით!
სტუმრები კი, გაოცებით,
ბჭობდნენ: -ეს რა ვნახეთო?!
...მაინც რა დალოცვილი ხარ,
მადლიანო კ ა ხ ე თ ო !

ლაურა ასისტიშვილი-სარალიძე

მე რომ არა ვთქვა

მე რომ არა ვთქვა ...
შენ რომ არა თქვა...
მან რომ არა თქვას ერის ტკივილი,
სუყველამ ერთად ველოდოთ ხვალეს,
აღარ ვიდარდოთ მოძმის ტირილი...
რაღა იქნება, რაღა დაგვრჩება?
სხვის მომლოდინე, თვით მძინარენი,
მტერი ხომ სახლში შემოგვივიდა
და გამოგვტაცა მზე და მთვარენი.
შენ თუ არ დარდობ, მე თუ არ ვდარდობ,
ის თუ არ დარდობს რას იქმს თაობა?
რას დაუტოვებთ?
რაღა დარჩებათ?
როდისღა იყოს ქართველთ მზაობა?
სულ სხვას ველოდოთ, სულ სხვას ვუყუროთ,
ჩვენი საქმენი სხვას მივაბაროთ,
მაშ ჩვენი ვალი ვინ მოიხადოს?
ველოდოთ, მტერმა როგორ აგვყაროს.
გამოიღვიძეთ, მეც, შენც, იმანაც,
რა გვავალია, არ დავივიწყოთ,
მამულს ვიცავდეთ, ნუ მოვდუნდებით,
უღირს გროშებზე არ გავიყიდოთ.

შენ დალევ

შენ დალევ სასმელს და მოიკლავ ამ მონატრებას,
მე კი ცრემლებად დამადნება გულის იარა,
რამდენი ღამე მოინატრებ ჩემს თბილ შეხებას,
ვერც კი გაგაბთო, მზემაც ისე ჩამოგიარა.
შენ სიგარეტსაც გააბოლებ, უწმაწურს იტყვი,
თავისუფლება შეგინაცვლებს დიდ მონატრებას,
მე ხომ ქალი ვარ, შებოჭილი უფლება არ მაქვს,
მხოლოდ ღამეებს მოვუყვები სევდიან ამბავს.
ბევრჯერ დაგსერავს ჩემზე ფიქრი, რომ არ ეცადე
დარჩენას ჩემსას და არ გითქვამს: – დარჩი, ნუ წახვალ,
ჩარჩოებს დარჩა სიყვარული, ებრძვის გალიას,
როგორ გიჭირდა ამ სიტყვის თქმა: – მე შენ მიყვარხარ.

იტალია ნაპოლი

პოეზია

პოეზია მსტუმრობს,
არ მასვენებს რითმა,
ლექსსა ვწერ და სულის
ყველა ბწკარი მითქვამს.
ყველა წავალთ იქით,
დრო ყველაფერს თელავს,
ოღონდ ჩემი ლექსი
საუკუნოდ ღელავს.
ტკივილების თხრობა
გულს მიამებს ოდნავ,
რითმა რითმას მოსდევს,
მიწვევს ლექსის ოდა.
მინდა გითხრათ, სანამ
გული ღელავს მძიმედ,
ტკივილები ყველა
მე სათქმელად მიწვევს.
ჩემი სულის ნაშთი
მოგაწოდოთ ლექსად,
სანამ ფეთქავს გული
მუზის თასი შევსვა.
პოეზია მიწერს
ანარეკლებს სულის,
მოღალატე ჟამის,
უღალატო მუზის.

იტალია ნაპოლი

იბერს

შეიგრძენ სუნი ქართული თიხის,
ქვევრების ღვინოს დასდე ჭაშნიკი,
ვაზის ფერებას არ გპატიობენ,
მოფერებიხარ ვენახს ბავშვივით.
როს ალავერდის ეახლო ტაძარს
და სვეტიცხოველს უნთებდე სანთლებს,
ჯერ ქართველი ხარ და ქრისტიანი,
დავითის გელათს ვერვინ წაგვართმევს.
მოკლეს სამშობლო, იქ წიწამურზე,
აქეთ კრწანისზე ელავს ყაყაჩო,
სამას არაგველს წინ ვინ დაუდგა?
ხერხეულიძეთ ბრძოლამ დამათრო.
ქართული სისხლი ყივის ძარღვებში,
სამშობლოსათვის ვიფიქროთ უნდა,
თუ ერთი წამი სხვამ გაგიელვოს,
გზაარეული იქნები მუდამ.
გამოანათა სვეტიცხოველმა
და მცხეთის ჯვარი წერს ისტორიას,
ცეცხლისფერ აისს ვერ გავცვლი, ვერა,
და კრწანისამდეც ო, რა შორია.

იტალია ნაპოლი

ისე

ისე მომწოლია ქართლის ტკივილები,
ისე მომიზღვავდა გულში ქართველობა,
ხმალი ვიშიშვლო და
მეც მტერს შევებრძოლო,
ღმერთო, არ მოაკლო
მამულს მფარველობა.
რაში უსაბელო ყალყზე წამომდგარა,
გული ძლიერია ბრძოლას შემგუები,
მაგრამ ვის აღვუდგე
მოძმე მოძმესა კლავს,
ასეთ სკამთმოყვარე
მტერს ვერ ვეგუები.
სისხლი ამიდუღდა,
გული ამიჩქროლდა,
რაშებს უსაბელოს ვეღარ შევაჩერებ,
განთიადმა მოკლა მოძმე კიდევ ერთი,
ცოდვის ჩამდენი კი,
ღმერთო, შეაჩვენე.

იტალია ნაპოლი

სულებს როცა ძერწავდი

სულებს როცა ძერწავდი...
აკვნებს როცა არწევდი...
მათი სუნთქვის დარაჯი
უპირობოდ იყავი.
დაივიწყე შენი" მე".
მათ მომავალს ღელავდი...
გიჭირდა თუ გილხინდა,
მხოლოდ მათთვის ელავდი.
ქარიშხლებიც გიქროდნენ...
მწველი მზეც გაცხუნებდა
და დაღლილი მკლავები
ვერასდროს გადუნებდა...
ფოთლებივით გაგცვივდა
იმედები ცხოვრების..
მოლოდინი არ ცხრება,,
შედეგს ისევ მოელი
და ცხოვრებაც გასულა
სულის ტანჯვა- ვაებით.
ისევ წვალობ, იღლები
და ისევ იტანჯები..
ძველებურად გაცვია
მარტოობის მანტია,
უიმედო ქარი ქრის..
გულში ცივი ქარია..
სულებს როცა ძერწავდი...
აკვნებს როცა არწევდი...
ნაოჭებად მოჯარდა
დარდი დედის თვალებში..

იტალია ნაპოლი

წლები

წლები, წლები,
ო, ჩიტივით გაფრენილი,
თმები, თმები,
დალალები, თეთრად ფერავს,
მოვა, მოვა შემოდგომა სევდიანი
და სიბერის მე თეთრ
კაბას შემიკერავს.
წლები, წლები
ნაომარი, ნასეტყვარი,
ძალას მართმევს და ძარღვებში სისხლი ქრება,
როგორ მინდა,
როგორ მინდა,
ბედო ჩემო,
მე უდარდელ ბავშვობაში
დაბრუნება.
მოდის, მოდის
დასეტყვილი შემოდგომა,
გულს არ ძალუძს ძველებურად აფეთქება,
შენი ხელი,
შენი გული
დამაკლდება,
მიმსუბუქო შემოდგომა, რა იქნება?

იტალია ნაპოლი

ბავშვობა

ჩემი ბავშვობა – სახლი პატარა,
ეზო მწვანე და ხეები კაკლის,
მთები მდუმარნი, ძლიერ უთქმელნი,
მე მათი ცქერა ვერასდროს დამღლის.
ბუხართან ბებო წინდების ქსოვით
და მზრუნველობით, ოჯახზე ფიქრით,
გადაღლილი და მაინც მებრძოლი,
იმ მოგონებით მე თბილად ვივლი.
მომნატრებია სუფთა ბავშვობა,
საით წავიდნენ წლები გამთბარი,
არც ბავშვობაა, აღარც სილაღე,
შემოდგომა და ზამთარი მიცდის.
ზღაპრულ ფერებით თავს მომაგონებს,
ცრემლებს მომადენს ის მონატრება
და ახლა როცა ყველაფერს ვხვდები,
როს ჩამიქროლეს უკვე აფრებმა,
მინდა მოგიყვეთ, გული გაგითბოთ
და დავიცალო ჩუმი გრძნობებით,
მე წავალ, მაგრამ ფურცლებს დარჩება
გაშიშვლებული სულის ლოცვები.

იტალია ნაპოლი

თუკი

თუ მონატრება აღარ შეგშლის, თუკი გაცივდი,
ამ მოლოდინსაც აქვს საზღვარი, ამ სიყვარულსაც,
არვინ მოგიკრეფს ცის კიდიდან ვარდებს ელვარეს,
ანდა როგორმე გადავიტან ამ სინანულსაც.
ალბათ ზაფხულიც გადაივლის, დაიყვავილებს,
ვეღარ შეგაკრთობს სიყვარულით ჩუმი კოცნები,
რამდენი ღამე გათენდება მთვარით ელვარე,
მოგენატრები დაიწვები ჩუმი ოცნებით.
გადაიფრენენ თოლიები, ზღვაც დამშვიდდება,
ღრუბლის ფთილებზე გამომყვება ჩუმი ოცნება,
დაიყვავილებს ეს ზაფხულიც, თუ არ იჩქარებ
და მონატრებას ავაჟღერებ დამწველ ლოცვებად.

იტალია ნაპოლი.

აღარ მინდოდა

აღარ მინდოდა დამეწერა,
მაგრამ რას იზამ?
მუზის ჭიები მოსვენებას აღარ მაძლევენ,
რაც ირგვლივ ხდება
შენ განსაჯე, ღმერთო მაღალო,
მომეცი ძალა,
რომ მოვზომო ფიქრი ასევე.
აღარ მინდოდა დამეწერა,
მაგრამ რა ვუყო?
ფიქრებს წამოშლილს,
ნაიარევს ცხოვრების გზაზე,
მე დავწერ ისევ,
სულ სხვა გზები მე მეძახიან
და დამაფრენენ მე უსაზღვრო, უძირო ცაზე.
აღარ მინდოდა დამეწერა,
მაგრამ რა ვუყო?
ოცნების ფერებს,
ჩაგუბებულს გულში ხვიარად,
რა ვუყო სიტყვას, პირზე მომდგარს,
ცით ნაკარნახევს,
ანდა რაღათი დავიმშვიდო გულის იარა?
მე ისევ დავწერ, რადგან იმედს შენგანს მოველი,
ამ პოეზიამ, შენმა სითბომ იქნებ მიშველონ
და ღია ცის ქვეშ ბედს მინდობილს მომდის ცრემლები,
დამინდე ბედო, გედის სიმღერა იქნებ ვიმღერო.

ყველას

ყველას გვეყოფა ჰაერი
და ცაც ყველასთვის ერთია,
როდის მიგვიღებს უფალი
გამგები მხოლოდ ღმერთია.
ნუ იბოროტებ და ნუ გშურს,
სიკეთეს მუდამ ხედავდე,
ის დააფასე, რაცა გაქვს,
ოცნებებს ფრთხილად ბედავდე.
შეიგრძნე სილამაზენი,
ბედნიერება იწამე,
ხომ ყველაფერი გაჩუქა
ღმერთმა დალოცვილ მიწაზე.
გიყვარდეს მოძმე,
აკეთე სიკეთე ტკბილად შესარგი,
თუკი სხვასავით ვერა ხარ,
არ გინდა მწარე სარკაზმი.
მიეცი ღმერთსა ღმერთისა,
ვალი აღირსე მოვალეს,
მტერი იცოდე, უფრთხილდი,
გიყვარდეს შენი მოყვარე.
წუთისოფელი წამია,
ბოროტი შორს ვერ წასულა,
ხალისით შევხვდეთ დღეს ყოველს,
თორემ ცხოვრება გასულა.

წასულან

ყველა წასულა თანამგზავრები,
გული დაღლილა მოგონებებით,
ვინ რა იყო და როგორ უყვარდი,
წარსულს მივანდოთ,
დროვ, მე გნებდები.
შემომენახა ტკბილ მოგონებად
ვინც გამახარა, მტერი არ იყო,
მწარე იარა ვინც დამამჩნია,
ესეც იყო და არა იყო რა.
ტკბილ მოგონებებს გულში ვინახავ,
შემოდგომების დამდგარა ჯერი,
თუკი ხმაური მხიბლავდა უწინ,
სიმშვიდეს ვეტრფი მე გადაღლილი.

იტალია ნაპოლი

მაგდა გოშნიაშვილი

ჩემს სულში

ჩემს სულში ცხოვრობს ყველა ქალღმერთი,
კაცი და ღმერთი, არა სატანა...
მე შემიძლია სიყვარულიც და
ჭირის დროს სულის კბილით გატანაც.
ჩემს სულში ცხოვრობს მავრი ოტელო,
არა ვპატიობ ღალატს და ტყუილს.
როდესაც ჩემგან თავსხმას ელიან,
მე ვამჯობინებ სიჩუმეს, დუმილს.
ჩემს სულში ცხოვრობს მონაც და მეფეც,
საკარნავალო ოქროს დრაკონიც,
ხანდროს ვახერხებ მუზებთან ჭიდილს
ისეთს, რომ სიტყვებს ლექსად ავკონი.
ჩემს სულში ცხოვრობს ევა და ქალი,
ადამიანი – ღმერთის ქმნილება.
რომ შეუძლია გულით ყველასთვის
სიკეთის ქმნა და განაწილება.
ჩემს სულში ბევრი იარა ცხოვრობს,
ბევრ დარდს ვინახავ ჩუმად უბეში.
მე დარდიანიც ვახერხებ, ვცდილობ
თვალცრემლიან კაცს მივცე ნუგეში.
ჩემს სულში ცხოვრობს ყველა ქალღმერთი...
აფროდიტედან ზევსის ატემდე,
მსურს სიყვარული მქონდეს იმდენი
მთელს სამყაროზე ყველგან ვატევდე.

03.07.2019

მეფე ლირი

მე მეფე ლირის ბედი არა მშურს,
ბედი მეფისა, არა მშურს ტახტი.
სკიპტრა , გვირგვინი , ძალაუფლება,
კარიდან კარზე თავისით დახტის.
მე მეფე ლირის მამობაც არ მშურს,
მეფეც ცდება და უშვებს შეცდომებს..
ზენიტს ასული ძალაუფლება
ეცემა, ვერ იგერიებს ომებს.
*
ოხ , კორდელია...ოხ, კორდელია...
გულუბრყვილო და კეთილო გოგოვ,
როგორ გაგწირა სისხლმა და ხორცმა,
მამამ გულიდან მოგკვეთა როგორ?!
*
_მე,მიმყავს არაფრის მქონე ქალი,
მაგრამ სულით და სიტყვით მდიდარი,
ფრანგთა ხელმწიფეს, გთხოვთ , მიათხოვოთ..
პასუხი _კი ან არა მითხარით!
მე, საფრანგეთის ხელმწიფე ვირთავ ,
თქვენს კორდელიას, მესამე ასულს.
მაგრამ უფრთხილდით იმ ორ ქალიშვილს,
უმადურს, ხარბს და მეტად თავგასულს.
უმოწყალოა წუთისოფელი,
მარცხდება მეფეც, ღზევდება გლახაც.
თავს არ შეგაწყენთ, დიდო მეფეო,
დააკვირდით და თავადვე ნახავთ.
*
დამარცხდა ლირი, შვილებმა ნახეს
ბედნიერება ოქრო და ვერცხლში,
დამ გაიმეტა და_ სასიკვდილოდ
ეშმაკმა დაწვა ორივე ცეცხლში.
გისოსებს მიღმა აღმოჩნდა მეფე,
კორდელიას გვამს ბანდა ცრემლებით,
თან პატიებას შესთხოვდა ლირი,
ეფერებოდა დამჭკნარ ხელებით.
თუმც, კორდელიამ შეუნდო მამას
სანამ ბრძანებას გასცემდნენ დასჯის.
ბრძენო მკითხველო შეუნდე მეფეს
უფლება არ გაქვს ცოდვილის განსჯის.

უმოწყალოა წუთისოფელი,
ატირებს მეფეს, აცინებს მონას,
ისა სჯობია ტახტს არ ჰყოლოდა მემკვიდრე,
ტირან შვილების ყოლას.
მე მეფე ლირის მეფობა არ მშურს,
ძალაუფლებას მტერი უჩნდება....
სკიპტრა, გვირგვინი და მეფის ტახტი
რევანშს ვერასდროს გადაურჩება.

დაჰკარით ბუკებს, დაჰკარით ბუკებს!
ლირი აღარ ჰყავს ბრიტანეთს უკვე!

გაზაფხულის სიმფონია

აპრილია, გაზაფხულის შუა თვეა,
შეუტია ყვავილების მყვირალობას.
ვერ ითმენენ, სურს გამოსკდეს ტყემლებს კვირტი,
აფეთქდნენ და გადალახონ წინაღობა.
ხეზე ისე აუცეტდათ ატმებს ნასკვი,
უსირცხვილოდ გადაიხსნეს კაბის კალთა,
თითქოს მდგარა მაისის თვე ჩასაფრებით,
სიმწიფისგან თვალში შესულ წითელ ბალთან.
მერე ხე– ხილს აჰყვა კვირტი ყვავილების,
შეასრულა ყველამ ერთად სიმფონია
და ისეთი შექმნეს ნაზი ჰარმონია,
გაზაფხულმა ეს რა ძალა იქონია.
ორკესტრისთვის დაიწერა მელოდია
ვიოლინოს, როიალის , ერთად არფის,
კვირტის გაშლა შეეზავა საკრავთ ჰანგებს,
თითები კი თავისთავად სწრაფად დარბის.
საქსოფონი, ფლეიტა და კლავისინი
ჩაება და დირიჟორი პულტს არ წყდება,
მოდი ახლა გაგიკვირდეს, ფურ ირემი
თუ უცაბედ ხარ ირემთან გადაცდება.

02.03.2019

გიშრის ყელსაბამი

გრძნობებს ვეღარ ვებრძვი, თვალს მჭრის შენი გედის
თეთრი ბროლის ყელზე – ყელსაბამი გიშრის
და დეკოლტე მალვით სიშიშვლეს რომ ფარავს,
ნიავი ზედ მხრებზე ნაწნავს კვნესით გიშლის.
შავ თვალების ჟუჟუნს ვერ ვუსწორებ მზერას,
მინდა შევეფარო წამწამების ჩეროს.
მერე გაზაფხულზე შემოგეჭრე მარტში
შეყვარებულ ქალზე პოეზია ვწერო.
არ დამცინო თუკი წაგიკითხავ რიხით,
შენს ფეხებთან მკვდარი ფენიქსივით აღვსდგე,
ბროწეულის ბაგეს დაგიმარცვლი კოცნით
თუ არ წახვალ კარგო ამის წინააღმდეგ.
გიშრის მძივთან ყელზე შევაჩერებ ბაგეს,
გაზაფხულის კვირტნი რომ არ გამიხელდნენ,
გადავრაზავ ვნებას, რომ არ გამებუტნონ
და მეორედ მერე ვაი თუ არ მენდვნენ.
გამომწვევად ბზინავს და მატყვევებს ეშხით
თეთრი ბროლის ყელზე ყელსაბამი გიშრის,
დავტკბე თქვენი ცქერით და კვირტების მზერით,
რა გაკლდება ამით ანდაც შენ რას გიშლის.

10.03.2019

კ უ რ ო
(ზოდიაქო)

ხან ვარ მაისი, აპრილის ბოლო,
ქარის ქროლვა ვარ ზურგიდან ცივი,
მინდვრად დაშლილი თეთრი გვირილა,
როგორც ყელიდან შემწყდარი მძივი.
ხან თეთნულდი ვარ ზვავიან თქერით,
კლდეზე მარაოდ გაშლილი სურო,
სხვისი თვალებით უძლური ქალი
და ჰოროსკოპით ძლიერი კურო.
მთვარე ვარ ღამით გზას რომ ანათებს,
ზღვის ტალღა, როცა არწევს თოლიას.
ნერგზე გამსკდარი პირველი კვირტი,
მოცდა და რიგი რომ არ ჰქონია.
მზე ვარ აისზე მწველი – სხივებით
და კუბიდონის ტრფობის ისარი,
რომ არასოდეს არ ავაცილებ
და გულში დაჭრის დამყვა მიზანი.
გაზაფხული ვარ კვირტების ბუმი
ზოგჯერ ვედრები უძილო ოლოლს,
ზოდიაქოთი ვარ ქალი – კურო
დავბადებულვარ აპრილის ბოლოს.

08.03.2019

მარი ბერუაშვილი

* * *

გაიზრდებიან ეს შიმელებიც,
დაბერდებიან ვერხვებიც ხვალ-ზეგ,
ჩაივლის წყაროც ქვებს შიშ-ფეთებით,
ნაოჭს დაითვლის ყაყაჩოც, ხალზე.
ბაღი მებაღეს დაუწერს უსტარს,
გადმომხედეო ბოლოდან სოფლის...
ქაცვი აიყრის ღობეზე ცრუ ტანს,
წელს ვერ ივარგებს ნაყოფის მოსხმით.
ქება- დიდებით დამდგარი წელი
გაითუთქება, როგორც ტყემალი...
აუმღერდება გლეხს საწნახელი,
შემოდგომაზე, მაჭრით შემთვრალი.
კვლავ დაიწყებენ თევზივით ფართხალს
თვეები, დრო რომ მოაკლებს ჰაერს,
ფიფქის ღილები ასწყდება ზამთარს,
წამოედება ყინვა თმით სარებს.
გაქრება თოვლი, მე რომ მიყვარდა!
ვინანებ, ლექსი რად ვერ ვუთხარი?!
მარტი შეიწმენდს ცრემლებს ყვრიმალთან,
კარს შემომიღებს ია – სტუმარი.
ბოსტანში მწვანილს გამარგლავს დედა,
აუვა ჰაერს რეჰანის სუნი...
ხან გაგვიღიმებს, ხან კი შუბლს შეკრავს
წუთისოფელი, ლხინით თუ ურვით.
სტრესის ქურაში გამომწვარ დღეებს
უავადდებათ გულის სარქველი...
მიწა გამოზრდის ახალ შიმელებს,
ხეს ჩამოტყდება ტოტები ხმელი...

* * *

მე, ამოზრდილი დედამიწიდან,
ფერს დავატარებ ბალახი, ყვითელს.
სულის შუბლშეკრულ დარაბებიდან
გადმოდის მთვარე და ღამეს მითევს.
ყველა ცდუნება ჰგავს მონალიზას
ღიმილს უფერულს, ეშხით შენიღბულს,
მშვენიერებას, სინაზით მზირალს,
ბროლის ჭაღს ვუნთებ წკვარამში, მდიდრულს.
ვიდარდე, რომ ცხელ წარსულის ბუხარს
დრო ჩავარდნია ვნების კოცონში,
და სინანული გულის სარქველს ხრავს
გადავიხადე ნდობაში გროში.
ნაწვიმარ მიწის, დაცვარულ ბალახს,
კესანე მახლდა ხელისმომკიდედ...
ათასი წელი ეძებდნენ სამარხს
და ჰპოვეს ლექსი-- ჩემი მემკვიდრე!...

მამღერებს

\- - -

მიწა მამღერებს ნადიდგორალი,
ნაშამქორალი - მამღერებს სული.
გადავაფარე წმინდა ოლარი
ახალ ცოდვათა,უკვე მზა სურვილს.
მე ამამღერებს ეს აწმყოც ჩემი,
სინანულშია და ვედრის უფალს...
თეთრი დღეების მოდის ჩანჩქერი
თავისუფალი,თან მეტად სუფთა.
იავნანიდან მღერის საარი
და აკვნებიდან იზრდება რწმენა,
ეს გუთნის დედის ხნული გზა არის,
რომ აღმოცენდა- მარცვალი ჩვენ ვართ.
ქვისხანინდელი მამღერებს გული,
ფიქრში ვიხსენებ ტაოს და კოლხას.
მე იაზონის მკლავს სიყვარული
და მიხარია, მედეა რომ ვარ .....
მამღერებს ერი ნაჩონგურალი,
ილიას "მამულს"მუხლს ვუყრი ჩემსას...
მწამს ნიკორწმინდის სვეტ-ჩუქურთმანი,
და სიყვარული -- ნამღერი ლექსად.

სიყვარულის ბილიკზე

გადაღლილი მივდივარ სიყვარულის ბილიკზე,
წამწამების აპრეხვით, წინ მხვდებიან ტყემლები.
ცაო, ახლა არ გინდა, ცაო,გვიან იტირე,
მეც ცრემლები მახრჩობს და წამიერად ვჩერდები!
არსებობის აივნებს უხმებიან იები,
არ მეგონა, ვარდს უწყლოდ თუ შეეძლო ცხოვრება...
სიყვარულის მდინარევ, ძარღვში მიედინები
და მკვდრადმყოფი სხეული, უცებ გამოცოცხლდება.
არ მეგონა, ძაფებით მოვქარგავდი გვირილებს,
არ მეგონა, ბისერებს ჩავაწნავდი უშნო მკერდს!
ღვთაებრივი ძალა აქვს მაღალ მთების სიგრილეს,
გადაღლილი მივდივარ და მწვერვალზე ვისვენებ.
ხიდებს, დაბლა ,ჟანგი ჭამთ, სამეგობროდ ნაშენებს,
იღბალს ფეხი უცდება, ჩაინთქმება ლავაში,
მერე, იქ მზე მივა და გააბრწყინებს ნამსხვრევებს
და ბინდშეყრილ ცხოვრხბას, ცა ვაარსკვლავებს დააფშვნის.
ზაფრანების სუნი სცემს ღარიბ ორანჟერიას
და ბაგიდან უსიტყვო მდუმარებას გამოსცრის...
ხსნას, აქ, ჩემი შროშნები ისე ჩუმად ელიან,
სიჩუმეში იყიდე შროშანები ცალობით....
სიყვარულის ბილიკზე, ბალახების სუნი დგას,
ტუხტის ყნოსვით ბრუვდება ღაწვის ნორჩი ადგილი,
ამ ბილიკზე მავანნი იცვლებიან მუდმივად,
ამ ბილიკზე მართალი ყველა როდი გაივლის....

* * *

განა ვარდება უმიზეზოდ ხიდან ფოთოლი?
წყალი იღლება და ამიტომ სტოვებს კალაპოტს!
რადგან მარტოა, პირქვე წვება ფიქრების მოლი
და ცელქი წვიმა საფიქრეთის არჩენს ნაღრძობ ტოტს.
განა ცოტაა სასწაული-- მზით გარდატეხვა,
ნაეკლარ ღობეს თბილი სხივი უამებს ნატკენს.
საკუთარ თავში აღმოაჩენ, ყოფილა ის სხვა,
რომელიც შენთან დასარჩენად მიზეზებს ავლენს.
მარტის ამინდებს შერჩენიათ სხეულზე ბაო,
თავის გასავლელს გაივლის და წავა ეს ჩრდილიც...
ვიცი, მოვედი, წუთისოფელს რომ ჩავაბარო
წუთები-- სულის პოეზია და ყოფა ცვილის.
ნასახლარისაც აღარ რჩება ყვითელი ავლი,
სიცოცხლის ჭილოფს ადამის ძე ხვალ ისევ გაშლის.

ეთერ ლობჟანიძე

* * *

არ არსებულა სიტყვები,
სამშობლოვ, შენი სადარი,
უფლისგან მადლნასხურები
თეთრ ნისლებში ხარ ნაბანი...
ულრიალებს ჯაჭვის პერანგი,
ელვარებს აბჯარ-ხანჯალი.
მეამაყება მამულის დამცველი,
არა ჯაბანი!.. შემოგცქერიან
ტურები, ყმუიან სახემგლიანნი...
ტრაგიკულ ბედის პატრონი,
როდის გახდები მთლიანი?!..
როს დაუბნელდეს შენს მტარვალს
დღე, ახლა მისთვის მზიანი...
ბევრიც-ღა სცადონ ბრიყვებმა,
ვერ მოგაყენონ ზიანი!

* * *

დღე, ღრუბლებიანი არ მაკვირვებს –
ცრემლსაც შევეჩვიე ადრიდან,
ახლა დროს მივყვები, არიდება
აღარც ამ დროების არ მინდა...
რაც მოსავალია, მოვა მაინც-
თუნდაც არა გსურდეს, სად წავა?
ბავშვობა მიხარობდა, მერე ყრმობამ,
სულ ეკლიან გზებზე მატარა...
იქნებ – მიერთგულოს აწ, ბუნებამ –
იქნებ – დრო დამითმოს პატარა,
ზურგი შემაქციოს იქნებ სევდამ
ეყოს რაც მტანჯა და მაწამა...

რიონს

რიონი, ჩემი რიონი,
არც არასოდეს დაშრება და
ვერც მარწუხებს იგუებს,
როგორც ათთარი დახვდება.
გარს შემოიხვევს სალ კლდეებს,
ზვავებს ხევებში ჩახერგილთ,
ხელ-ფეხს ვერავინ შეუკრავს და
ვერც ვერავინ გახედნის.
ავია, მეტად ავია,
არ იცის ბევრი ხუმრობა,
უფრთხის ნისლიან ამინდებს,
არ უყვარს მათი სტუმრობა.
გასდევს ვერცხლისფერ სირმებად
ჭალას ქვა-ღორღით მოფენილს,
ახალ კოლხეთში ხმა მიაქვს
რაჭიდან ძველი კოლხების!

არ მასვენებდა, ბედი მდევარი

არ მასვენებდა, ბედი მდევარი –
სადაც წავედი ჩემთან დიოდა,
ჩამოსდიოდა თვალებზე ცრემლი,
ბეღურაც ხეზე იჯდა, სციოდა...
დაშრიალებნენ ჩუმად ვერხვები- შორს,
ტრამალებზე ქარი ჰკიოდა,
და მეც ვნატრობდი ჩუმად გაზაფხულს
მაგრამ ის ჩემთვის, არ მოდიოდა...
სევდას ვებრძოდი ჩემში დარჩენილს –
სხვის ბილიკებზე რომ მიდიოდა,
ახლა ქარი წერს ალბათ სიმღერას
ქალზე, რომელსაც ცრემლი სდიოდა!.

* * *

ვზივარ და ფიქრებს ვდარაჯობ,
ან კი, რას ვფიქრობ? რა ვიცი...
ჰოდა... ამ ფიქრში გავიდა
მარტი, აპრილი, მაისი...
ვდარაჯობ ღამეს მთვარიანს,
ვარსკვლავთა ცვენას განვიცდი,
გაყინულ იებს ვემსგავსე,
ალბათ ვემსგავსე რა ვიცი...
აწი თუ უნდა გათენდეს,
თუნდ ღამე იყოს რას მიშლის?
ვზივარ და ვფიქრობ ვერსაით,
გულიდან რომ ვერ გაგიშვი...
ვზივარ და ფიქრებს ვდარაჯობ,
ან, რას ვდარაჯობ რა ვიცი...

მამულისათვის თავდადებულ გმირებს

ჰეი.. გმირებო გაშალეთ მხრები,
დღეს თქვენი სული, ცაზე გაბრწყინდა,
თქვენს სამშობლოსთვის, დანთხეულ სისხლზე,
ვინ იცის ნეტავ, ან როგორ წვიმდა?!
ეცადა მაგრამ, ვერ გადარეცხა,
ვერ შეუცვალა დღემდე ფერები,
კვლავ ვეძებთ ცხუმს და კვლავ ვეძებთ გაგრას,
თქვენს სულებს ვეძებთ და ვეფერებით!
სულ არ ფიქრობდა, მის სიცოცხლეზე,
კაცი რომელიც, მტერმა აწამა,
მამულისათვის თავგანწირული
ასეთი იყო, გმირი შარტავა!...
თავზე დაგცქერით გვანდრა, ხარიხრა,
ძმა - ძმის საშველად მღერის "ვარადოს",
არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა
და ჩვენს მამულში არ ინავარდოს!
უსამართლობა, არც ვის შერჩება,
მჯერა დადგება, დღე კვლავ მზიანი,
დაგვიბრუნდება ის, რაც დავკარგეთ,
უფრო ამაყი და პირმზიანი!

* * *

ვწერე და ვწერე რითმები –
ფურცლებს მოვფინე ფიქრები,
გიგზანით როგორც უსტარი
და ჩემს სურვილებს გიყვებით...
ხან – ცრემლებში ვარ ნაბანი,
ხან-მზის სხივებით ვირთვები,
ირგვლივ სიყვარულს ვაბნევ
და ამ სიყვარულით ვითვრები!

მაია კახიძე

ისე რაღაცნაირად... ეპითალმა

საღამოსპირ
ჩქარობს გული,
ქარბორია ქარივით,
მკერდზე შემოგესეირნე,
შეყვარებულ ქალივით.
ფერებ - ფერებ,
ხუტებ - ხუტებ,
სიზმარ - სიზმარ,
ნანინად,
მომენატრე ამ საღამოს,
ისე რაღაცნაირად...
ღამღამობით,
დილდილობით,
სულში ჩახვალ, გაიარ,
ჩაგეკვრები, გულო, ისევ,
ცეცხლაქარისნაირად.
შეღამდა და
ღელვა - ღელვით,
ღამე მტკვარში ჩავიდა,
ნაპირ-ნაპირ ვხეტიალობ,
გულო, ჩემო, ბაიდა...
სხეულ - სხეულ,
სუნთქვა - სუნთქვა,
მკლავებ - მკლავებ,
ნანინად,
ჩქარა, თორემ
სიყვარული,
ხოხობივით აფრინდა...
მომენატრე ამ საღამოს,
ისე რაღაცნაირაად...

მე შენ მიყვარხარ

მე შენ მიყვარხარ,
როგორც შოთას მეფე თამარი,
მე შენ მიყვარხარ,
როგორც ლადოს მისი ანიკო,
ვერ გამოვლიე საფიქრალი,
სულ შენით სავსე,
ფეხდაფეხ მივდევ სიყვარულს
და შენკენ წამიღო...
მე შენ მიყვარხარ,
როგორც მირზას ხატულა ნინო,
მე შენ მიყვარხარ,
როგორც გალას მთვარე და მერი,
ვპოეტობ, ჩემო, მზედ რომ მყავხარ,
ხანაც ღრუბლებად,
დღეს შენთვის ვწერე სტრიქონები
ძალიან ბევრი...
მე შენ მიყვარხარ,
როგორც ტატოს „მერანი“ მისი,
მე შენ მიყვარხარ,
როგორც გოგლას მისი „ფეფიკო,“
მხოლოდ მე ვიცი,
ჩემს სიზმრებში რამდენს გეძახი,
მე ერთმა ვიცი, ის შენი მზე
ჩემთვის რა იყო...
მე შენ მიყვარხარ,
როგორც ანას ეზოში თუთა,
მე შენ მიყვარხარ,
იდუმალი პაოლოს „ელლი“,
მე შენ მიყვარხარ, –
ვაჟას ნუკრი, პაწაწა, სუფთა
და ტიციანის იასავით დღესაც
მოგელი...
მე შენ მიყვარხარ!..

ხან გაგიჟება

საოცარია სიყვარული,
ფრინველივით საოცარია,
მიფრინავ და, არ იცი, საით.
ხან ღრუბლებია,
ხან მონატრება,
ხან კიდევ ქარი...
შენი თვალების ბეღურებს
ჰგავდა დღეს ლურჯი ცაი!
ხან სიმშვიდეა,
ხან გაგიჟება,
დარდიც და დარიც...
საოცარია სიყვარული,
ფრინველივით საოცარია,
მიფრინავ და, არ იცი, საით..

უფალი ახლა ისე ახლოა

მაფორიაქებს ფიქრი, სევდა, სიზმრები ცხადი,
ფერგადასული ჩამოდგა ზეცა ზამთრის ბინდებად,
ბუხარი კვნესის, ვერ ისვენებს აპრილის კვამლი,
ანგელოზები დამეფინნენ მკერდზე ჩიტებად...
შორიახლო ვარ, თეთრ ტაძარში შევდივარ კრძალვით,
რა სურნელია საკმეველის, ტკბილი თაფლივით,
ნეტავ, შემეძლოს, ავიღებდი ღვთისმშობლის ლოცვას,
ცას დავკიდებდი, რა თქმა უნდა, გულზე ჭაღივით.
მინდა დავმშვიდდე, ფორიაქით არ შევიშალო,
თვალებს ვხუჭავ და უფალი ახლა ისე ახლოა...

ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი

წვიმდა და წვიმდა.
ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი,
იჯდა და იჯდა.
მეცოდებოდა ავდარში მარტო,
ის ერთი ციდა.
ან რას მეტყოდა უენო ბიჭი:
– ბიჭია ვითომ?
– იქნებ გოგოა?..
– ბიჭი თუ გოგო,
– გოგო თუ ბიჭი?!
ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს,
ჩამხედა თითქოს, ჩამყვა, ჩავიდა...
შემომაფეთა ის გამოხედვა,
მარტოსულ ქალის მზერას რომ ჰგავდა.
ჰო, გოგო იყო და არა ბიჭი,
ჰო, გოგო იყო ის ჩიტი მართლა
და იმიტომაც მიყურებდა,
საშველად, ალბათ...
რას ვუშველიდი?..
ქარი არხევდა ქუჩაში ხეებს,
სევდიან ცრემლებს დღეს წვიმა შლიდა,
ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი,
წვიმდა...

როცა ძალიან მომენატრები...

როცა
ძალიან მომენატრები,
მთებს ვუმზერ ხოლმე, იქით ხარ, როცა,
მეძალებიან შენი ნატვრები
და ნაწვიმარზე ქარს ვატან კოცნას.
როცა
შენთან ვარ, გულს ვერ გაშორებ,
მერე თავიდან იწყება ათვლა,
გრძნეული ღამე შენს თავს მაშორებს,
მკლავებიდან კი არ მინდა წასვლა.
როცა
ძალიან მოგენატრები,
გამოგექცევა ფიქრები ჩემთან,
ცა - ლაჟვარდებში მოვალ ნატვრებით
და დავბრუნდებით აპრილში ერთად.
ჩქარობს
მარტი და იხსნის საკინძეს,
მკერდი ღელავს და კვნესის შიშველი,
რა ვქნა, მარტოკამ ვერ დავიძინე,
ეს სტრიქონები თუკი მიშველის...
ფორიაქობენ
სულის მხატვრები,
გამოგცქერიან შორი თვალები,
მახსოვს იმ სახლის ცეცხლაქარები,
ვეღარ დათვალა გულმა ნატვრები.
როცა შენთან ვარ,
ახლოს ვარ, როცა,
როცა ძალიან მომენატრები...

მერაბ ლატარია

ლექსებით ნავში

სანაპიროსთან, შავ ზღვასთან ღამით,
შენ დამინახავ მე ზღვაში ნავით,
აფრად მყავს მთვარე, მეგობრად ქარი,
მედგრად მიაპობს ტალღებს ეს ნავი.

ჩიტები რკალად აფრინდნენ ცაში,
მაღლა ცის კარიც გაიხსნა წამში,
მალე ვარსკვლავებს მივწვდები ნავით,
მალე ზეცასაც გავხვრეტ მე ნავით.

შემდეგ იქიდან დაგიწერ ლექსებს,
ფურცელს ზევსს მოვთხოვ, კალამს კი
პერსევს,
ლექსებით ნავში, ნავით კი ცაში,
მთვარით და ქარით, ვარსკვლავით ღამის.

სანაპიროსთან,
შავ ზღვასთან ღამით,
შენ დამინახავ მე
ცაში ნავით.

საიქიოს ბილეთი

მე სიცოცხლეში ისევე მომკლეს,
მეფისტოფელიც სულ უკან მომდევს,
და საიქიოს ბილეთით ხელში,
ისევ მივყვები ბილიკს ტყე-ღრეში.

ისევ მივყვები
ამ შავ-თეთრ ნისლებს,
და გულიც ისევ
უპულსოდ მიცემს.

დღემდე ნასროლი სულ ყველა ტყვია
ერთად მესროლეს,
მაგრამ სიცოცხლე
მეტად მტკივნეულია.

დღეს მთვარეც ტირის,
და მე საფლავიდან,
მესაფლავემდე
ვერ ვაწვდი ყვირილს.

დღეს ჩემი გული
მის რექვიემს ესევე გალობს,
და ჩემი სული
ამ პლანეტიდან გაფრენას ლამობს.

ისევ ვიგრძენი
ტკივილი მკვდრების,
ისევ გავიგე
ყვირილი მკვდრების.

მე არ მომკვდარვარ,
მე ისევ ვცოცხლობ,
მე არ მომკვდარვარ,
და გზებს განვაგრძობ.

მაგრამ რატომღაც არ მიცემს გული,
აღარც იგრძნობა მაჯაში პულსი,
მაგრამ რატომღაც არა მაქვს სული,
მხოლოდ ბილეთი საიქიოსი.

თეატრი ჩემი სახლია

ჩემთვის სიწმინდე
სცენაა ხატი
თქვენ კი ამ წმინდას
ყოველწამს წიხლს კრავთ.

მე გულის არეებს
თეატრი მივსებს,
მე ფილტვებში
მის მტვერს რომ ვიშვებ.

ხან მიჩანს თავთან
შარავანდედი,
მეზრდება ფრთები,
ხანაც მაქვს რქები.

ხან დემონი ვარ,
ხან ანგელოზი,
ხან ეშმაკი ვარ
და ხანაც ღმერთი.

ხან კი კაცი ვარ,
ქუჩაში მდგომი,
ხელგაწვდენილი
და ხურდის მთხოვნი.

ხან მდიდარი ვარ,
ხან აფერისტი,
ხან სალდათი ვარ
და ხანაც ლოთი.

ხან პატიმარი,
ხან ციხის თავი,
ხან ნარკომანი,
ხან ბუნტის თავი.

ზოგჯერ პოეტი,
მუზით დაცლილი,
ზოგჯერ მხატვარი,
გრძნობა გაცლილი.

ზოგჯერ მებრძოლი
საქართველოსთვის,
ზოგჯერ მებრძოლი
მის დასაპყრობად.

ხან სიყვარულით
გადარეული,
ხან სიძულვილით
დაბრმავებული.

ხან სატანიზმით ვარ
შეპყრობილი,
ხან მამაოც ვარ
რწმენით მოსილი.

ხან კი უბრალოდ გიჟი ვარ
და თავში ქარიც კი მიქრის,
ხან გენიოსი ისე ვარ
თვითონ არ ვიცი რა მიქრის.

თეატრი ჩემი სახლია,
სცენის მტვერი კი ჟანგბადი,
ავტორიც განწირულია,
თუ არ ექნება ჟანგბადი.

მე ეს სიცოცხლე
ამ გულს სულ მიმსხვრევს.
და ამ ნამსხვრევებს,
თეატრი მივსებს.

ჩემთვის სიწმინდე
სცენაა-ხატი.
თქვენ კი ამ წმინდას,
რატომღაც წიხლს კრავთ.

შორენა ჩხიკვიშვილი

დრო

შემოდგომა რომ დადგება,
ხეს ფოთლები დასცვივდება
და ბულბული უკვე აღარ სტვენს.
როცა გარეთ აცივდება,
შენი სითბო მომინდება,
საქართველოვ, გეფერები შენ!
ზამთარი რომ მობრძანდება,
არემარე იბარდნება,
ტყეში სარჩო მოაკლდებათ მგლებს.
საქართველოვ, მენატრები!
საქართველოვ, მებრალები!
აბა, როგორ დაგივიწყო შენ?!
მზებზე ნისლის ჯარი დგება,
წვიმა მოდის ნება-ნება,
როცა გარეთ ცივი ქარი ქრის.
მტრისაგან აოხრებული,
ბედკრული და გატანჯული,
საქართველო – ებრალება ვის?!
ისევ მოვა გაზაფხული,
ათასფერად მოქარგული
და მერცხალი ლაჟვარდ ცაში ფრენს.
მდინარე რომ ადიდდება,
უფრო მეტად განრისხდება,
მოაგორებს ლოდებსა და ქვებს.
როცა ზაფხული დადგება,
არემარე ლამაზდება,
მზე აცოცხლებს ბალახსა და ხეს.
დაღლილო და ნაომარო,
რომ დაეცე, საქართველოვ,
ნეტავი, ვინ შეგაშველებს ხელს?!

26.05.2010

პაწაწინა ყვავილო

პატარა თაკოს

პაწაწინა ყვავილო,
სიხარულო ახალო,
მთელი ჩემი სიცოცხლე
მინდა შენ განაცვალო.
სული გქონდეს ფაქიზი,
გული კი უანგარო,
და დედის დარიგებას
გვერდი არ აუარო!
სულ სიკეთით იარე,
არ გქონოდეს სადარდო,
დედის ნანა გიყვარდეს,
მისმა ლოცვამ გაგზარდოს.
მტერმა არ შეგაშინოს
პაწაწინავ, მზისთვალო,
სამშობლოს სიყვარული
არავინ მოგიშალოს!
სხვისი ბედნიერება
არ შეგშურდეს არასდროს,
ვინმეს ხელს თუ გაუწვდი,
არ უნდა დაამადლო!
ეშხი გქონდეს ქალური,
სილამაზე ვარდისა,
მე ვიქნები მშველელი
შენი სევდა-დარდისა.
პაწაწინავ, საყვარელო,
შუქი გიდგას თვალებში,
თან ატარე სასოებით
ჩემი წმინდა ალერსი.
სიკეთით და სიმართლით
გაინათე გზა შენი,
ვინმემ თუ გიღალატოს
სულით ნუ დაეცემი!
სიმართლის გზით იარე,
შენ სამოთხის კარამდე,
თუკი მტრობა გაგწირავს,
სიყვარული გფარავდეს!

16,10,2002

შენ საქართველოს სიყვარული გასულდგმულებდა

ჩემს საყვარელ მწერალს, სიტყვის
დიდოსტატს, კონსტანტინე გამსახურდიას

ვფიქრობ და ვეღარ გამიგია, როგორ დავწერო
ლექსი, მე შენი სიდიადის გამომხატველი,
როგორ შევამკო შენი ღვაწლი დაუღალავი
და როგორ უნდა მოვიხსენო შენი სახელი.
    შენ მოიარე საქართველოს ყოველი კუთხე,
    იყავი მუდამ მებრძოლი და დაუცხრომელი.
    შენ ვერ იტანდი უსამართლო, დიქტატურ რეჟიმს
    და გაიარე გრიგალები დაუნდობელი.
შენ საქართველოს სიყვარული გასულდგმულებდა,
შორს გასცქეროდი შენი ქვეყნის ქედებს და სერებს.
შენ ამდიდრებდი შენებურად სიტყვებს მადლიანს
უკვდავ პროზაში ასახავდი უამრავ ფერებს.
    იბრძოდი მუდამ შეუპოვრად, დაუღალავად,
    მუზით და ბრძოლით შენ გაკვეთე შავი წყვდიადი,
    ემსგავსებოდნენ შენს ხასიათს შენი გმირები,
    შენი აზრები ელვარებდა, ვით განთიადი.
ქედს არ უხრიდი არასოდეს უსამართლობას
და შენი პროზით მიაპობდი ბობოქარ ქარებს.
შენ უმღეროდი სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს,
ენგურის მიერ მოტაცებულ სევდიან მთვარეს.
    არავინ იცის, სადაური იყო ურჯულო,
    შეცდომა იყო „ფარსმან სპარსის“ ქვეყნად გაჩენა,
    შურით და მტრობით, დაბეზღებით და ვერაგობით,
    მოჰკვეთეს ოსტატ არსაკიძეს მკლავი მარჯვენა.
მუხანათური წუთისოფლის ეკლიან ბილიკს,
შენ მიჰყვებოდი გაბედულად, აუჩქარებლივ,
იმედიანად შესცქეროდი ხვალინდელ დილას,
არ გაშინებდა არასოდეს მწუხრის ზარები.
    მრავალტანჯული საქართველოს თავისუფლება,
    აი, ეს იყო, რაც კი ქვეყნად შენ გინატრია,
    თავდაუზოგავად ებრძოდი უსამართლობას,
    სინდისისათვის არასოდეს გიღალატია.
მე ნათლად ვხედავ შენს გმირებში შეუპოვარ სულს,
შენი სახელი სულ იბრწყინებს სიცოცხლის დარად,
შენს უკვდავებას სულ დაიცავს შთამომავლობა,
შენს დიდებულ ნიჭს აღიარებს სამშობლო მარად!

16.03.2011

ლამზირა შეყილაძე

გავყევი ქარებს

ახლა ამ ქუჩას პატრონი არ ჰყავს,
ბნელში ბრმასავით დავეცეცები.
რა უხიაგი იღბალი დამყვა,
თითქოს უფსკრულში დავეხეტები.
მთებზე ნისლები მიდი-მოდიან,
და ახალ ჭორებს ელიან მთები.
გულში დარდები ისე დადიან,
რომ უსიცოცხლო სიცოცხლით ვკვდები.
მთელი ცხოვრება იმედს ვკემსავდი
და იმ იმედმაც დამაღალატა...
ჩემს გზა-სავალზე რამდენჯერ მოვკვდი,
დარდმა იმდენჯერ დამასამარა.
წამომეწია ქარები გზაში...
და ორჭოფულად გავყევი ქარებს.
ციებ-ცხელება დამიდის ტანში,
არ ვიცი ბედი სად მიმაქანებს...
ჩემს წინ დიდრონი, უტყვი მთებია,
ჟამთა სიავე კვლავ ძალას მართმევს.
სხეულში გულის ნამსხვრევებია,
სახრჩობელაზე ავყავარ დარდებს.
ვეცემი, ვდგები, ისევ ვეცემი,
ცრემლით სველია სულის თვალები...
ვიცი, როდესაც გარდავიცვლები
დამწუხრდებიან იასამნები.

სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე

როცა მიხვდები ბრბოთა სიბრმავეს,
თვალხილულს ნაცარს გაყრიან თვალში.
ფეხით თელავენ შენს წილ სიმართლეს...
შენ კი ტკივილი დაგიდის ტანში.
კარგის მშენებელს მარჯვენას გჭრიან,
ნაჭრილობებში გაყრიან მარილს.
როცა შენს თვალწინ იესოს სჯიან
და შენ კი, მისი შველა არ ძალგიძს.
როცა ცხოვრება გიმეტებს ეულს,
და ბარაბები გყიდიან ვერცხლში.
ყვავ-ყორნებივით გჯიჯგნიან სხეულს,
ქეთევანივით გდაგავენ ცეცხლში.
როცა სამშობლოს ხურდაში ცვლიან
ცრემლები ღვარად ჩამოგდის ღაწვზე...
შენს გამძლეობას სამსჭვალით ცდიან,
და შენ კი, მაინც, ლოცულობ მათზე.
როცა მიხვდები, ხარ მარტოდ-მარტო,
შენი ტკივილი არავის ესმის...
დარდი და სევდა გაწვიმს და გათოვს
და სხეულიდან ღრიალი გესმის.
შენი სიცოცხლე არ უღირთ ფასად,
შენი წამებით იხდენენ წადილს...
შენს ირგვლივ მაშინ, სიცოცხლის ნაცვლად,
გზააბნეული სიკვდილი დადის.
სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე,
ჩამოგიბნელეს დილა მზიანი...
თავის ცოდვები აგკიდეს მხარზე,
იუდას ლოცვა არის გვიანი...

ტერენტი გრანელს

ცაზე მნათობი ისევ ანათებს,
დარდში და ფიქრში წლები გავიდა.
ბნელი საკნიდან ვგზავნი ბარათებს,
გარეთ უბრალოდ მზე ამოვიდა.
შენ უკვე ზეცის წიაღში ცხოვრობ,
მე კი სარკმლიდან გავყურებ გუმბათს.
თუ სურვილი მაქვს, არ გეუცხოოს,
შენი შეცნობა ვიცი დამღუპავს.
მიჰვყვები უკვდავ ბილიკებს ფართოს,
ჟამი ნაკვალევს ვეღარ წაგიშლის.
ახლა ცაში ხარ, შენ, მზესთან ახლოს.
მზეში ხეტიალს ვინღა დაგიშლის?!
არც მე მიგრძვნია სიცოცხლის გემო,
ალბათ არ მქონდა ამის უფლება,
უსამართლობის და დარდის ტყვეო,
არ გღირსებია თავისუფლება.
ჩემს წინ დაღლილი წლები ქრებიან,
სიცივე მკლავს "და ღამეა დიდი".
რა მწარეა და გულსატკენია,
როს გასამართლებს ორგული, ფლიდი.
ვერ გამიგია მე ამ ნისლების,
ან რად მოდიან, ან სად მიდიან?!
რაღა ვიწამო ამ წუთისოფლის,
ჩემს სარკმლის იქით საფლავებია.
ჩაზნექილია სიცოცხლის ხიდი,
არ უწერია ჩემ ფიქრს ახდენა...
ახლა კი მინდა, რომ ვიყო ჩიტი,
და ხიდან ხეზე მსურს გადაფრენა...

არაგვივით არ იღლები

ბატონ გერმანე საბანოელს

გულზვიადი მხედარი ხარ,
დრო-ჟამი ვერ გაფერმკრთალებს.
ვაჟკაცურად იცავ წარსულს,
დიდ აკაკის ნატერფალებს.
კარგად იცი წინაპრების,
ბუნება და ადათ-წესი...
ისიც კარგად იცი, ქართველს
რა სიღრმეში უდგას ფესვი.
მომავალში იმზირები,
გულში აგებ ძმობის ხიდებს...
არაგვივით არ იღლები,
ცხოვრება ვერ გიმორჩილებს.
ხარ ღვთიური, მძლე ვაჟკაცი,
მამულისთვის თავს გასწირავ.
ღირსეული, ნაღდი კაცი,
იმერეთში მზისებრ ბრწყინავ.
ლექსის აკვნით ხვდები რიჟრაჟს,
ლექსით ითბობ; გულს და ხელებს...
ლექსებსა სწერ მწველს და გიჟმაჟს,
მუზა როცა გაგახელებს...
რარიგ გშვენის თამადობა,
ყანწებსა სცლი, არც კი ღელავ,
ჯერ "სულიკოს" დაეძებ და...
შემდეგ მღერი "საპოვნელას".
კაცხის სვეტთან პირჯვარს იწერ,
ღმერთს ავედრებ ამერ-იმერს...
რწმენამ ისე აგამაღლა,
ლამის ხელით მისწვდე ნისლებს.

ჯუბა ღებელი

***

კაცი კაცით,
ღვინო ყანწით,
ყანწი დაცლით,
ქალი ვარცლით,
ბევრს უჭირს და ცოტას ულხინს,
ამ ჩემს ლამაზ ქვეყანაში!..
აქ პურია ქრისტეს ხორცი,
ქრისტეს სისხლი არის ღვინო,
ძროხა ისევ ბალახს ცოხნის,
მიდის საუკუნე ოცი,
რიონივით მიღიღინობს!..
მე კი მენატრება ის დრო,
მენატრება ის დრო-ჟამი,
ქვაზე რომ სიკეთე იდო,
სიყვარული იყო ხალხში,
ქალი კაბით დადიოდა,
კაცი დადიოდა შარვლით!..
როგორც ოთარაანთ ქვრივი,
რკინის ქალამნებით დავალ,
ჩემს სახლ-კარში ვცხოვრობ ქირით,
ბეწვის ხიდზე მიწევს გავლა,
არც აქით ვარ, აღარც იქით,
ლუკმას არ ვღეჭ, ისე ვყლაპავ!..
დღემდე სულ სამართალს ვეძებ,
სად მივაგნო, მითხარ ერთი,
აღარავის უნდა მეფე,
არც მახვში და ხევისბერი,
ნეტავ კიდევ თუა ვინმე,
ჩვენნაირი ბედნიერი!..
ღვინო ყანწით,
ყანწი დაცლით,
გლეხი ყანით,
ყანა ხარით,
დღე ღამით და ღამე მთვარით,
მერე მთვარეც ნისლით მთვრალი,
მიყვარს რიკტაფელა მკაში,
მიყვარს გუთნისდედა ხვნაში,
თმების გაშლა მიყვარს ქარში,
სევდის ჩენა მიყვარს ქალში,
კაცი?..
კაცებს გაუმარჯოს,
ამ უკაცო ქვეყანაში!..

ესპანური დღიურიდან

სარაგოსა

სარაგოსა, სარაგოსა,
მიეგებე უცხო მგოსანს,
შენთვის გზა-გზა იებს ვკრეფდი,
მოველ ჩუმად, ფეხაკრეფით...

ჩარიგებულ ბზებს და ალვებს,
მოწიწებით მივესალმე,
მთვარე ვხატე ღამის ბინდში,
მოგონებებს ვწერდი, ვშლიდი...

ვშლიდი, რასაც სევდა ახლდა,
ვინც აქ მყავდა და მიყვარდა,
ვწერდი მასზე სასოებით,
აქაც მასთან ჩამოვედი...

გავუღიმე დილის რიჟრაჟს,
მიყვარს როცა წვიმს და ჟინჟლავს,
შენს ძველ სახლებს, შენს ძველ ქუჩებს,
შევეფარე, შევეყუჟე...

არაგონის დედაქალაქს,
შენც რამდენი სევდა დაგაქვს,
ათას რჯულის მტერთან მებრძოლს,
გიშუშებდეს წყლულებს ებრო...

სარაგოსა, სარაგოსა,
მიეგებე უცხო მგოსანს,
ვინც მიყვარდა, ვისზეც ვწერდი,
აქაც მასთან ჩამოვედი!..

*

ჩემს გრძნობებს, გულში გამოკეტილებს,
მე ავუკრძალე შენზე ოცნება,
თუმცა დროდადრო ვარღვევ ეტიკეტს
და ლექსებს სისხლად ვუდენ ცხოვრებას...
მე ხან ტივი ვარ, ხან ვარ მეტივე
და ლაყუჩები არ მიხორცდება!..
    უცნაურია ჩემი სამყარო,
    ათასნაირი მკაცრი ფერებით,
    მაინც უნდა, რომ ის შემაყვაროს,
    ვისაც ფიქრებშიც არ ვეფერები..
    ლამის მივუხტე უიარაღოდ,
    მიმოვანგრიო ეტიკეტები!..
და სიყვარულსაც ასე თავნებას,
ყოველგვარ რიდს და კრძალვას მიუჩვევს,
ვიდრე უღირსის ღირსი გახდება
და მტრად ექცევა თავის სიურჩე...
მე დავუდგები ისევ თავდებად,
მზის საპატიო ადგილს მივუჩენ!..
    ხოლო, თუ იგი ისევ იმ ძალით,
    ცეცხლს მოუკიდებს გულის ყალიონს,
    ვეტყვი, ის ჩემთვის ისევ ის არის,
    ვისაც დღეს ყველა ცოდვას ვპატიობ...
    ვეტყვი, შენზეც რომ ძლიერ მიყვარდი
    და რომ სიცოცხლე მიყვარს ამიტომ!..

წვიმს!..

წვიმს!..
გძინავს, გესმის წვიმის ხმაური,
თითქოს წვეთები სულში ცვივიან,
ფიქრებს შემოაქვთ აურზაური
და სარეცელიც ისე ცივია!..
    წვიმს!..
    იცი, წვიმა შენი ამ ბნელში,
    ეს ერთადერთი მეგობარია,
    ალბათ მაშინ არ უნდა გაგეშვი,
    როცა გიყვარდი მართლა ძალიან!..
წვიმს!..
გაიჟღენთა წვიმით ოთახი,
ხვალ ამოუშვებს მიწა ოხშივარს,
მეც წვიმასავით მოვალ ცოტა ხნით,
მზემ შენს ოთახში თუ შემომიშვა!..

ხათუნა ჩიტაძე

ეგონა

სამყარო! ეს დიდი თეატრი,
იქ, სადაც ოცნება ყანდდება!
ვარ ვუძლებ ვერაფრით მე ამ მიქსს!
და გული მცირე ხნით ქვავდება!
ხანდახან სულ ცოტაც მახარებს,
ხანდახან სულ მცირეც ხიქვია,
და ის ბუმერანგიც ახანებს...
მითია, ყოველი მითია!
მე მაინც ოცნების მჯეროდა,
ნეტავი რა გულით გიწამე!
ზაფხულის სილაღე გელოდა,
მერე გაწბილებაც ვისწავლე!

... აწი რეალობით ვიწამლებ!

სამყარო!
შეშლილი თეატრი!
ვინ – მარიონეტი, ეული,
ეგონა, – რომ იყო რჩეული,
ეგონა.....

შემოდგომა

ქარვის მძივები აისხა
ხის ტოტებმა,
არ ღირს შემოდგომის აისთან
გატოლება!
უძველესი მოაქვს სითბო
მზის სხივებით,
როგორ მინდა ჩუმად ვკითხო
და სირმებით
შემოვქარგო ტილო ჭრელი
ამ ხელებით,
ჩავაყოლო ჩემი მზერა
თბილ ფერებით.
მზისა ფერი არე-მარე მითბობს სხეულს,
მაინც, ვერსად დაგემალე რითმის გრძნეულს!
შემოდგომის ფრთაფრიალა ფენებია,
ეს ყოველი ჩემი სულის ფერებია...
ქარვის მძივი მამშვენებს,
შემოდგომის მზე ციალებს,
შვილი მომავალს აშენებს
და სიყვარული წკრიალებს...
2015წ.

* * *

ქარს ბილიკებად გამოედევნა,
ჩემი მდუმარე რითმების ექო,
ფოთოლთ შრიალში რითმებით დევნა,
დღესაც არ ვიცი, მე რატომ მერგო!
და დამაქვს გულით ძველი ციალი,
თბილი ფერების სპექტრი მახელებს,
კი! მტკივა უკვე ბევრი იარა,
თავს ვეღარ ვართმევ ორპირ სახელებს!
ეს სევდიანი შემოდგომის დღე,
ისე გაცვდება, _ როგორც წინარე,
სევდა გაივლის, მაცდურ სახეებს,
მალე ჩამორეცხს დროის მდინარე!
2015წ.

სამაჩაბლოს

ახლა, ამ გაღმა სულის საფლავებს,
ისე ამშვენებს სევდის ხავსები,
როგორც შვილმოკლულ, ეული დედის
ტანთგაუხდელი, შავი ძაძები!
ახლა ეს ქარი სევდის მთვარეს ქსოვს,
დაფლეთილ მიწას სისხლის სუნი სდის!
როგორ დავუთმეთ შვილები შავ ქორს!
არ შევდუღაბდით მათი სულისთვის!
და გვენატრებაჩვენი და-ძმობის
და ჩვენი ყრმობის წყვილი აკვანები!
რას წავაგებდით წყენის დათმობით,
ამერ-იმერის ერთობ-საკმევლით!
მე სამაჩაბლოს მიწას მივსტირი,
და აფხაზეთი...
მძიმე ტვირთია!
ფეხქვეშ ისევ ვგრძნობ მათ თბილ სავანეს,
სულ ჩვენს მხრებზეა,
და გვიტვირთვია!
უფალო!
მხოლოდ შენი წყალობით!
უფალო!
მხოლოდ შენი ნებაა!
მჯერა!
ამდენ ხანს მისთვის ვწვალობდით,
ხვალ ერთობისთვის კვლავ შენებაა!

ახლა კი...
გაღმა სულის საფლავებს,
ისე უხდება სევდის ხავსები,
ვით შვილმოკლულ და ეულ დედის
ცრემლს,
მონატრებული შვილის თვალები!

2015წ

* * *

ნუ იხმაურებ!
ჩუმად მომიხატე მიწა,
შენეული ფერადოვნებით...
ო, როგორ მსურს და
ო, როგორ მინდა, _
ისევ თავიდან განვმეორდები!
ფეხშიშველი და თვალცრემლნაბანი,
სიამოვნებით გადავივლიდი
ოქროს პანოებს!
ქარვის ხვეულებს!
ცივი ოცნებით,
როგორც ნოემბრის წვიმის ზრაპარი,
სააღმსარებლოდ ჩავიმუხლებდი...
სევდის ლოცვებით.....
ფეხქვეშ ხრამუნით,
ავუყვები ტანჯვის აღმართებს,
მერე ვიწამებ
შემოდგომის იდუმალებას!
ეს ნოემბერი
უგულობით რას არ დამმართებს,
...და ბოლოს სინანულად მოდის
ცის მდუმარება!
რა ნაცნობია ქარვისფერი პანოს
ხლართები!
ცივი ქარები
გულზე ტანჯვად მეხლართებიან!
და ვისთვის დამაქვს
შემოდგომის ოქროს ხალები?
ვერც სხვა მიხვდება...
ან რა იცის მე რა მრგებია....
შენ, შემოდგომავ,
ჩუმად მომიხატე მიწა....

2015წ.

თეა კანდელაკი

აქ შესდექ სულო!!!

რას მიეჯაჭვე ადამიანო ამაოებას?!
ან, რას დაეძებ უგულობის ჭაობთა ფსკერზე?!
დავდივარ... ვიქრობ –
როგორ შევძლო ვშთანთქა წყვდიადი,
ან, როგორ შევდგა კელაპტარი უსუსურ მხრებზე...
დავბორიალობ გზააბნეულ არსთა საუფლოს...
და გულისცემის მონოტონურ ბაგუნს მივყვები
ყველგან წყვდიადი... ყველგან ისევ სრული უდაბნო...
მკვდარი თევზივით ნაკარნახებ კანონს მივყვებით...
აქ შესდექ სულო!!! შენი ფიქრი უფრო მძიმეა,
ვიდრე – უდაბნოს ამოვარდნილ ქართა გნიასი!
შენი გონი – უფრო მეტად მიმზიდველია,
ვით ოაზისის უკვდავების წყაროს წკრიალი!
აქ შესდექ სულო!.. მოაბნიე ირგვლივ სიკეთე!
იქნებ, შეასხა ფრთა და იშვას კათაკმეველი?..
დათესილ თესლთა ნეშომპალად გადაიქეცი
და ჩაიფერფლე შავ ნახშირზე ვით საკმეველი...
აქ შესდექ სულო!... შენ ხომ ბრძოლის ანგელოზი ხარ!
შენ ხომ სიმართლის სხივით კაფავ ცადაწვდილ ტყე-ბარდს!
შენ ამ საწუთროს დიდებათა ბუტაფორიის
ბეწვის ხიდისკენ გარდამავალ კვარცხლბეგზე დგეხარ!
აქ შესდექ სულო! დაე მალე მოიმკას ყანა!
აქ შესდექ სულო! შენ სული ხარ და ძილი კმარა!
ისუნთქე ღრმად და მოაშორე ვუალი თვალებს!
გაწყვიტე ყველა თასმა ბმული!
გაუყევ შარას! იჩქარე სულო!!!...

08/27/2020 ნიუ-იორკი აშშ

ენავ ქართულო...

ყველა მიელტვის „ახალს“ და
უცხო სიტყვათა ლექსიკონს...
გაუსაძლისი რბოლა აქვთ
ზენიტს კი ბევრი ვერ იყოფს...
„ძველი“ – საღორეს მიაგდეს,
ღვთის მადლით ქმნილი – მხცოვანი...
ნეტავ, სად ნახეთ სადარი –
ნუსხა-ხუცურის-მრგვლოვანის?!
შენი – თუ არ დააფასე,
სხვის – ფიქრადაც კი არ ღირხარ!
სხვათა მიბაძვით იცოდე
კვლავ ბეწვის ხიდზე გადიხარ!
შენ, ის გმართებს რომ,
სხვა ერი – შენს სულში
შემოახედო და არნახული
საუნჯის – დიდება შემოაგებო.
როგორც – სამება უფალში,
ენაც ისევე იდიდა!
სამსახოვანი ანბანი – გზად,
რომელ ერმა იფინა?!
მხოლოდ ღვთისმშობელს ესმოდა
ჯვრიდან მაცხოვრის ძახილი!
ახლაც მოისმის სვანეთში –
ლალხორის გადმოძახილი.
„იავ ქალდი და ბებუცი“ –
ვარსკვლავთ სადარო – მთვარისავ!
სხვა ენამ რა გზით დაგჩრდილოს
არ გასაგონო ავისა...
მოვა დრო, შენით ემცნობა,
მკა – ცხვრებისა და კრავისა
ენავ, ქართულო, იდიდე!
ენავ! – ხელ – არ საკრავისა!!!

09/07/2020
ნიუ-იორკი, აშშ.

ფანტომის ხორუმი

ყოველ გზას ყოველ წამს
შენთან მოვყავარ
მე შენი დიდების უტყვი მონა ვარ
ვერა რამ ვერ შთქანთქა
შენზე ფიქრები სიზმარშიც
მზის დარი სირმით
ირთვები ფირუზით ნაქარგო
ჩემო თბილისო ვერ შევძელ
უშენოდ ცხოვრება ვიტვირთო
მეტეხთან ჩაივლის მტკვარი დუდუნით
და აბჯარს აისხaოს ზართა გუგუნით
იქით კი გორგასლის მზერა ამაყი
ევლება მთა-გორებს,
ველებს ალაზნის რიყეზე
მივყვები ბორანს ტაატით
ეს წუთის სოფელი ვის რას დააცლის
მეარღნევ უმღერე თბილისს ნაფიცარს
ამ ქვეყნის წალკოტს და
სულის საფიცარს დიდებულ მთაწმინდას
კრძალვით ვეახელ მარტო
არ დამტოვო ჩემო მეარღნევ
რიყესთან ელვარებს გრდემლი
ოპიზრის ფიესტა
მოზიდავს არბალეტს მოისრის
ვერ დავთმე ვარაფრით
მე შენზე ფიქრები
ფანტომით დაჭრილი
შენს სულად ვიქმნები
მაცხოვრის ტაძართან
სადღაც ერთ ნაბიჯში
მეჩეთს და მოსეს ღვთის ტაძრებს
რომ იხილავ რა გონმა იტიოს?...
რა გულმა ატაროს
ეს ღმერთი მაღალი,
თუ არა – თბილისმა??...
მინდა რომ ამ ქუჩებს ამ ტაძრებს,
ამ ზეცას ფარდაგად ვიფენდე
ჩემს სულის თილისმად
ისე ნუ მოვკვდები, ისე ნუ წავხდები,
რომ არ დამიტიროს
მე ჩემმა თბილისმა...

08/30/20 8:00

* * *

სინიდისს თუ ეძებ – ქუჩაში არ ჰყრია...
გულში ღრმად ეძებე ადამიანო!
ყველაფრის მკადრებელს მე რა გზა ვურჩიო,
ვერც ავხსნი გულით თუ რატომ ვდარდიანობ...
ღმერთი თუ დაკარგე, მე როგორ მიპოვნი
სინდისს თუ ხელი კარ, რა თვალით მიხილავ
და სულს თუ წარიწყმედ სკამისთვის,
წინსვლისთვის იცოდე ჩემს გულში ფიქრადაც არ ღირხარ...
საწუთროს დიდების ჭაობში ჩაფლულებს
კვლავ ვცდილიბ რომ ჩემი ხელი შევაშველო მაგრამ,...
ღირს კი ამად ?! – `სიკვეთე ბრმათათვის~
ვინც კი უმადური სიცოცხლით არსებობს?!
მე ჩემში პატარა სამყარო შევქმენი
და ჩემს ღმერთს სახელად დავარქვი – სინდისი.
ვინ იცის ეს ორი გზის პარალელია
თუ გზაჯვარედინზე შევხვდებით პირისპირ??
ღმერთი თუ დაკარგე, მე რაში გჭირდები
სინდისს თუ ხელი კარ, რა თვალით მიხილავ?!
მე ჩემი ნაშრომი ფსკვნილივით ავკინძე
და მხრებზე აკიდულს უფალთან მივიტან...

09/12/20 ნიუ-იორკი აშშ

ნანა მომცელიძე

უფალო ღმერთო!

უფალო ღმერთო, დამეხმარე მიყვარდე მუდამ
უფალო ღმერთო, შემიწყალე დიდი ცოდვილი,
უფალო ღმერთო, დამაფარე კვლავ შენი კალთა
უფალო ღმერთო, რომ არ ვიყო შენგან გმობილი.
ვდგავარ, ვლოცულობ, მეფარება სიწმინდის ფარდა
ვცდილობ სიმშვიდე და სიმდაბლე რომ არ დავკარგო,
უფალო ღმერთო, დამაფარე კვლავ შენი კალთა
ძლივს გიპოვე და აღარ მინდა ისევ დაგკარგო.

გულნაზ ხარაიშვილს

მინდა რომ გაჩუქო მინდვრის ყვავილები
მინდა დაგავიწყო ცუდი რაც გქონია,
მინდა ამოვშალო შენი ტკივილები
ისევ აგიმღერო თეთრი მაგნოლია.
ყველას ეფერები შენი ღიმილებით
ყველას ის აღირსე რაც კი არ ქონიათ,
ყველას დაავიწყე დარდი,ტკივილები
და ამას ვერ გრძნობდნენ იცი არ მგონია.
რკინის ქალი გქვია ჩემი თვალთახედვით
ბევრი სიყვარულიც,სითბოც გაგიცია,
ისე შემიყვარდი,ხედავ გავთავხედდი
ჩემი სიყვარული შენთვის მომიცია.
მინდა რომ გაჩუქო მინდვრის ყვავილები
მინდა დაგავიწყო ცუდი რაც გქონია,
მინდა ამოვშალო შენი ტკივილები
ისევ აგიმღერო თეთრი მაგნოლია.

მე ხომ კვლავ მე ვარ

ქვეცნობიერში გაბნეული ჩუმი ფიქრები
ჩუმი ზმანება აწ გარდასულ ცხოვრების წლებთან,
მე ხომ კვლავ მე ვარ და ყოველთვის ასე ვიქნები
სხვის ზეგავლენას რა ხელი აქვს,რა უნდა ჩემთან.
მე ხომ კვლავ მე ვარ,სიყვარულით სავსე ვგროვდები
უკიდეგანო მირაჟებში ვეძებ დასაყრდენს,
ფიქრებს დავლეწავ და სივრცეში დაგელოდები
აგიფერადებ გვირილების მდელოს ასაფრენს.
მე ხომ კვლავ მე ვარ,არავისთვის არ ვარ მარტივი
ჩემი ფიქრები მომავლისა უკვე ჭრელია,
როცა უყვარხარ მონატრებაც არის ხანგრძლივი
ამაზე დიდი საგანძური სხვა რომელია.
მე ხომ კვლავ მე ვარ, სიკვდილამდე ეს მე ვიქნები
შენში დავთესავ მონატრების უზომო მარცვალს,
შენით იწყება და მთავრდება ჩემი ფიქრები
სხვა მონატრების და ფიქრების არ ვიცი,არ მწამს.

ფასი დაკარგა

სიკეთის მარცვალს, სამწუხაროდ,აღარ აქვს ფესვი
სიკეთის მთესველს მოუცელეს ჯეჯილი მწვანე,
ირგვლივ ინთხევა ბოროტება, შუღლი და გესლი
და ითესება პურის ყანა მწკლარტე და მწარე.
მე ვერ გავიგე სხვათა ბოღმის და შურის არსი
მე ვერ გავიგე რატომ ებრძვით საკუთარ მოყვასს,
მე ვერ გავიგე რად არ იცით სიცოცხლის ფასი
თქვენი შემყურე ჩემი სული ოხრავს და ბორგავს.
ფასი დაკარგა სიყვარულმაც,სულმაც და გულმაც
სიტყვები გაცვდა,გაფერმკრთალდა გრძნობები ანცი,
ეს სიმარტოვე დამებედა, მუდმივი ურვაც
დავიდგამ ბალღამს და პირამდე გავსებულს დავცლი.
სიკეთის მარცვალს,სამწუხაროდ,აღარ აქვს ფესვი
სიკეთის მთესველს მოუცელეს ჯეჯილი მწვანე,
ირგვლივ ინთხევა ბოროტება, შუღლი და გესლი
და ითესება პურის ყანა მწკლარტე და მწარე.

უფალი მოგცემს ხელს

ცეცხლი გვიტოვებს ფერფლს
ტკივილი მხოლოდ ცრემლს,
სადღაც სიმშვიდე თვლემს
ნუ ელი სხვისგან ბევრს.
ყველა თავისას წერს
იკმაყოფილებს მეს,
თუ დაიჩაგრე დღეს
ხვალ სხვა ჩაგჭიდებს ხელს.
და უერთდები წრეს
რა გელოდება დღეს,
თუ გადაივლი მთებს
მაშინ მიწვდები მზეს.
არ უბოროტო სხვებს
არ ეპირფერო მტერს,
არ განეშორო ერს
პატივი ეცი ბერს.
გულით მიმართე ღმერთს
მიენდე მხოლოდ ერთს,
თუ არ ამწარებ სხვებს
უფალი მოგცემს ხელს.

გავაძლიეროთ სიყვარული

როგორც არასდროს,ისე მინდა სულის სიმშვიდე
როგორც არასდროს,ისე მინდა ვუყვარდეთ უფალს,
როგორც არასდროს,ისე მინდა წამებს ვითვლიდეთ
და სიყვარულით ვამარცხებდეთ ფლიდსა და უხამსს.
როგორც არასდროს,ისე მინდა აკვანს რომ ვთლიდეთ
რომ საქართველოს გაუმრავლდეს ისევ ქართველი,
ო,როგორ მინდა ღვინით სავსე ფიალას ვცლიდეთ
ეკლესიაში რომ დავანთოთ წმინდა სანთელი.
მე კი ეს მინდა, მაგრამ ჯერი დაუდგათ მავანთ
ქართული გენის წარყვნისათვის იღებენ ქრთამებს,
ქართველო ხალხო,ასეთ ქართველთ ნამუსი არ აქვთ
არ ედარდებათ მომავალი,ყიდიან თავებს.
დღეს საქართველოს თეთრის ნაცვლად თალხი აცვია
დღეს საქართველოს ცისფერების ერევა ფერი,
საქართველოში იმართება ბევრი აქცია
და იყიდება ყველაფერი,ხარხარებს მტერი.
მოდით ძლიერი ჯაჭვი შევკრათ ერთიანობის
გავაძლიეროთ სიყვარული,სითბო და რწმენა,
ერთად დავლიოთ სადღეგრძელო კვლავ მთლიანობის
მხოლოდ სიმართლე გადაგვარჩენს ქართველებს,მჯერა.

ცრუ

ცრუ დაპირება,ცრუ ცხოვრება,ცრუ სიყვარული
ცრუ ღიმილები მიმორბიან ზღაპრულ მდელოში,
სადღაც, შორს მოჩანს რეალობა მზეს მიმალული
ზღაპრის გმირივით ვარ გართხმული, ფიქრით ჩეროში.
სადღაც,კლდის ქიმზე ღამის ფიქრში თვლემს ბუკიოტი
არ კივის,რადგან მიიძინა ირგვლივ ყოველმა,
აღარ ჭაჭანებს არენაზე არც იდიოტი
ჭკვიანს რა უნდა,ვინ გაუძლოს,ანდა რომელმა.
ფიქრის ბურუსში გაეხვია მამალი მთვარეც
ცრუ ღიმილებით გადაღლილი იძინებს სახლში,
აღარ აფიქრებს უკუნეთი,სიშავე,ღამეც
და აღარც მოსდის რეალობა ამჯერად თავში.
მე კი მეგონა,ღამე მაინც მეტყოდა რამეს
მე კი მეგონა,მთვარის შუქი მომხვევდა დალალს,
ცრუ დაპირებას, ცრუ სიყვარულს ვეტყოდი მთვარეს
მაგრამ ვხვდები,რომ ისიც ცრუა და გული არ აქვს.
ცრუ დაპირება,ცრუ ცხოვრება,ცრუ სიყვარული
ცრუ ღიმილები მიმორბიან ზღაპრულ მდელოში,
სადღაც,შორს მოჩანს რეალობა მზეს მიმალული
ზღაპრის გმირივით ვარ გართხმული, ფიქრით ჩეროში.

მრავალწერტილი

მხოლოდ სიტყვა და იქვე წერტილი
დროსა და სივრცეს ვუპირებთ შთანთქმას,
მოდით,დავუსვათ მრავალწერტილი
ფიცად დათქვამი სიტყვების არ მწამს.

გზები ივსება დღევანდელობით
სიტყვა ტყდება და დრო იფურცლება,
ფიქრს შევაგებე თითქოს ერთობით
სიტყვა, მრწამსი და ღვთის ათი მცნება.

არ შემიძლია სიტყვების დაძვრა
და ვერც დუმილი შევძელი თითქოს,
ამდენ ტყუილში სიმართლე გაქრა
წერტილს ვუსვამ და ჩემს გულში ვფიქრობ.

მძიმე ყოფილა სიმართლის ხვედრი
წერტილის დასმაც ყოფილა მძიმე,
ტყუილს ვაღმერთებთ,სიმართლეს ვყვედრით
თვალწარმტაც წალკოტს ვარჩიეთ მღვიმე.

ჩემი დღე

49 შემოდგომა გავიარე
49 ფოთოლცვენას შევხვდი,
ნაირ-ნაირ, ჭრელა-ჭრულა ხალიჩაზე
ფეხი ისევ ბავშვობაში შევდგი.
ეს ცხოვრება სიყვარულით გავიარე
მე მიყვარდა ყველაფერი, ყველა,
ჩემს გულში ხომ გაზაფხული დავიტოვე
უზარმაზარ ოცნებების ხელა.
მე რომ მკითხოთ, თითქმის სულ არ შევიცვალე
ბავშვობაში ვმოგზაურობ ისევ,
შემოდგომით მე ხომ მხოლოდ დავიბადე
ჩემს გულში კი აპრილია ისე.
იასამანს თვალი ისევ ჩავუკარი
ია-იებს მოვეფერე ცისფერს,
ენძელები თმაში ისე ჩავიწანი
გაზაფხულად დავიბადე ისევ.
არ დამდგარა შემოდგომა ცხოვრებაში
არ მოსულა ფოთოლცვენის ჟამი,
წუთისოფელს ნიავივით ჩავუქროლე
და წავართვი კიდევ ერთი წამი.
49 შემოდგომა გავიარე
49 ფოთოლცვენას შევხვდი,
ნაირ-ნაირ,ჭრელა-ჭრულა ხალიჩაზე
ფეხი ისევ ბავშვობაში შევდგი.

სადაც უფალი ჩემი ღმერთია

ახალი აზრის დაბადებისას
კვლავ იბადება ჩემი მე ჩემში,
ყველაფერს ვეძებ, ყველაფერს ვშიფრავ
სული ბობოქრობს, სიბილწეს ერჩის.
ნიღაბს ვაცილებ ყველაფერს ერთად
ყველაფერს ერთად ვუშიშვლებ სახეს,
და როგორც ერთხელ ამოხსნილ იგავს
ყველაფერს ვარქმევ საკუთარ სახელს.
ვარქმევ სახელს და ვშორდები ყველას
სინამდვილესთან მიწევს ჭიდილი,
და ვგრძნობ, ნელ-ნელა,ჩემს თვალს და ბაგეს
როგორ შორდება ნაზი ღიმილი.
არარეალურ სამყაროს ვეძებ
სადაც ჩემია დასიც, სპექტაკლიც,
სადაც მოვყვები რეალურ ამბავს
სადაც თამაში ასე არ დამღლის.
სადაც სიწმინდე სულზე ზეიმობს
სადაც უფალი ჩემი ღმერთია,
სადაც სიმართლე და ერთგულება
საჭიროა და ერთადერთია.

ფიქრი

მე დავაგროვე წლიდან წლამდე ჩემი ფიქრები
როგორც ბავშვები ზღვის ნაპირას კენჭებს ითვლიან,
მე დავაგროვე ბევრი ფიქრი, ბევრი კითხვები
ბევრი ეჭვი და ბევრიც შიში რაც გამჩენია.
მე ვცოცხლობ, მაგრამ სულ დავეძებ სიცოცხლის საზრისს
ვეძებ დასაბამს, რომ ვიპოვო ჩემი სამყარო,
მე ვეძებ ამ დიდ სამყაროში ჩემს კუთვნილ ნაწილს
და აღარ მინდა ჩემი ფიქრი ფუჭად დავღალო.
ახლა მხოლოდ შენ,ჩემო ფიქრო, შენ შეგიძლია
მიმაგნებინო სინამდვილის დასაბამს ახლა,
არ შემაგუო ამ სამყაროს განაჩენს ფიქრო
არ დამაცადო სამყაროდან უდროოდ წასვლა.

მე უარს ვამბობ მიწიერ ხვედრზე

რა გაზაფხული,რისი სიცოცხლე
რა ამაღლება, რა ოცნებები,
სხვა სიყვარული მიზიდავს უკვე
სხვა ზარები და სხვა სიმღერები.
სულ სხვა საწყისი და სულ სხვა ბოლო
სულ სხვა განგება და სხვა ღმერთები,
დედამიწაზე ვერ ვივლი მხოლოდ
შემოსილი და ნახავერდები.
სული დაეძებს ფესვებს და სიღრმეს
სიმაღლეები აღარ მხიბლავენ,
უსაზღვროების გზებზე დავდივარ
ჩემი ღმერთები აქ მხარს მიბამენ.
გაორებულმა ყოფამ დამღალა
თეთრმა დღეებმა და შავმა ღამემ,
თითქოს საკუთარ სხეულს ვშორდები
და მარტოსული სულს სანთლით დავდევ.
გზაარეული ველი მაცხოვარს
რომ შევავედრო სული ცოდვილი,
აღარ მაქვს ძალა მუდამ ბრძოლისა
რეალობისაც არ ვარ დობილი.
სფინქსის ღიმილი მომყვება მხოლოდ
ლომის ტანი და მზერა მზისფერი,
მე მარტოსულს და ცოდვებით მოსილს
მქონდა უდაბნოს სახე და ფერი.
მინდა ვხედავდე მარადიულ ცეცხლს
როგორ ათბობს და როგორ გიზგიზებს,
მე უარს ვამბობ მიწიერ ხვედრზე
დიად ტახტზე და მეფის გვირგვინზე.

უფალს მინდობილმა

უფალს მინდობილმა გრდემლი მოვისროლე,
რაზეც ჩემს ცხოვრებას ვჭედავდი.
უფლის ბოძებულის შეცვლა მოვინდომე,
ხშირად ამასაც კი ვბედავდი.
უფალს მინდობილმა ცრემლიც მოვიშორე,
გულსაც მოვაშორე დარდები.
ხვალე რა იქნება, აღარ მოვიგონე,
აღარც მოვინდომე ვარდები.
დილის გათენებას მშვიდად ველოდები,
უფალს მადლს შევწირავ ამისთვის.
ალბათ გამოვჭედე კარის გასაღები,
მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

ვერ ვეგუები ასეთ მოდგმას

უწიგნურები მბრძანებლობენ, იწყებენ თარეშს,
ითხოვენ, თავის დაკრულზე რომ აცეკვონ ყველა.
ემსგავსებიან წითელ ტურებს ან კიდევ მაჩვებს,
ვერ ვეგუები ასეთ მოდგმას, ვერა და ვერა.
გაიღიმილეთ ეს ცხოვრება ისევ ბავშვურად,
არავინ არ ხართ არავიზე მეტი არაფრით.
თქვენი სკამებიც, თუ თავი გაქვთ,გქონდეთ კაცურად
თორემ უფალი მანდ ჯდომასაც აღარ დაგაცდით.
თქვენ, დიდკაცებო, ერთი რამე გახსოვდეთ მინდა,
სითბო დათესეთ უანგარო არ გამორჩენის.
მინდა ამბობდეთ, რომ ცხოვრება მართლაც რომ ღირდა
და არ გრცხვენოდეთ მეგობრებთან კვლავ გამოჩენის.
სადაც იქნებით გაზაფხულად ბრწყინავდეთ მინდა
და არა ისე, ვის როდის და რას გამორჩებით.

დავით ახლოური

ქსნის პირას

ამ ღამემ დილამდე რომ ვეღარ გასტანა,
ქსნის პირას გაექცა ლორწომს...
პატარა გოგო ხარ, ფიფქივით პატარა
და დიდი ბიჭები მოგწონს...
        რამდენმა სცადა და ვერ მოგინადირა
        მზისფერა, უმანკო კრავი.
        ვინც გხიბლავს, ვინც გიყვარს იმისთვის,
        ნამდვილად,
        უკვე დაქალდი და რა ვი...
იცელქე, იგიჟე... რა დიდი რამეა,
ეს წლები მოწყენად არ ღირს...
ქსნის პირას ისეთი მაცდური ღამეა,
დილამდე ალერსით დაგღლის.
        დილით კი რიჟრაჟი აგიწვავს ღაწვებს და...
        გახდები ბავშვივით მორცხვი.
        მერე კი, მზე როცა მთვარესთან დაწვება,
        სურვილი აგიტანს კოცნის.
და ღამემ დილამდე თუ ვეღარ გასტანა,
აისად ეწვიე ლორწომს...
პატარა გოგო ხარ, თუმც რაღა პატარა,
ქალობ და დიდობა მოგწონს...

* * *

მე კი არა და
ჩემი შვილი გამხდარა ოცის...
რა დრო გასულა,
დღეს ის მოსწონთ
უბნის გოგონებს...
მე კი ჯერ ისევ
შენს ცრემლიან
ბარათებს ვკოცნი...
გადავიტანო ეს შუადღე
იქნებ როგორმე,

რომელიც ასე
მწველია და
თავგზის ამრევი...
მეტყვი:
- ბავშვი ხარ!..
- რაღა ბავშვი,
ლამის მოვხუცდი...
ამ ლექსს რომ გიწერ,
მარტო ვარ და
სევდანარევი...
ასე მგონია,
რომ დამტოვა,
იმ დროს მოვუცდი,

მანამდე, ვიდრე
გამაცილებ
უფალთან ლოცვით...
გადაივლიან ეს დღეებიც,
წავლენ როგორმე...
მე კი არა და
ჩემი შვილი
გამხდარა ოცის...
თურმე ნუ იტყვი -
დღეს ის მოსწონთ
უბნის გოგონებს...

* * *

მთაში ვარ, ცხორ სერზე გავლალე,
არ ვჯავრობ, ვის სათიბ მოძოვენ...
გზად მხვდები, ქარ გიშლის დალალებს,
მე ვმზეობ, ჩემად ვთვლი ხოზოეთს...

მე ვმზეობ, შენ მაინც ღრუბელობ, -
მგლისფერო, არ გნახოს მამამო...
რად მინდა აქ ცხენი უბელო,
სად წავალ, ცრემლითაც დამნამო.

ამაღამ ნაბად აქ გავშალოთ,
ფშავი ვარ, წაწლობას გასწავლი,
ალაზნის ჩურჩულში ჩავშალოთ
მთის ქალო შენი ორ ნაწნავი

და მერე, თუ გინდა, ვეახლოთ
მას, ვისაც საქმე აქვს საშარო...
არასდროს მყოლია მზე ახლოს,
დღეს მყავს და არ დავთმობ, ქალშავო!

* * *

სულ სხვა რამ იყო
ჩვენი ბავშვობა,
პურის ნატეხზე
წასმული ჯემი...
ჩემი ბიჭობა,
„შენი ნაშობა",
წრეშიბურთი და
ქაღალდის გემი...

გახსოვს? - ზამთარი
თოვლივით თეთრი,
ფეხით მოვლილი
„მთელი ქვეყანა",
გახსოვს? - ერთხელაც
ჩვენ ერთმანეთი
სადღაც ცაცხვებთან
შემოგვეყვარა.

მერე გავიდა დრო და
დავშორდით...
სხვას ვაბარებდი
თითქოს გამოცდას...
ბევრჯერ დაბრუნდა
წლები ბავშვობის,
შენი სახელიც
ბევრჯერ წამომცდა,

მაგრამ მარტო შენ,
ანდაც მარტო მე
მესმოდა მაშინ
წლების ღაღადი,
ჩვენ ერთმანეთი
ქსანზე დავტოვეთ,
როგორც იმ ერთ დღეს -
გემი ქაღალდის...

* * *

სულ ამ წვიმების გამოა
დღეს რომ მოწყენილს მხედავ,
ჩემი მზე ისევ ამოვა
და ნამს შეუშრობს ხეთა.

ღამე მაგონებს დალალებს,
მაგრამ მაინც მზეს ვეტრფი,
მზე თუ მთებს იქით დამალეს,
მთვარის მისამართს გეტყვი...

ზღვა, მზე და ქალი

ზღვა გახელებით უმღვრევდა თვალებს
და ცახცახებდა, თითქოს ციოდა...
ვეღარ ითმენდა ქალღმერთი ალერსს,
სანაპიროსკენ ამოდიოდა,
რომ სიმხურვალე ეგრძნო ქვიშის და
მზისთვის დაეთმო სველი სხეული.
ზღვა კი თავისას აღარ იშლიდა
და ღრიალებდა გადარეული...

თინიკო ხაბურზანია

შენი კალამი

გულნაზ ხარაიშვილს

რას ითხოვს ჩვენგან ქართული მიწა?
მამულიშვილთა დიდ თავგანწირავს.
ზოგი მახვილით იხვეჭს სახელებს,
ზოგი კი კალამს ცრემლში ასველებს.
კაი ქართველთა ამ მარაქაში
აქ შენი სიტყვა შენც გაქვს ნათქვამი.
მკლავი შენი თუ ვე აგებს ტაძრებს,
შენ სულში გვინთებ ჩვენ ცოდნის ლამპრებს.
მადლობა შენს ამ ლამაზ ქალობას,
კაი დედობას, სულით მხნეობას.
გზა რომ, უნათო შთამომავლობას
მასშია შენი კალმის მძლეობა.
ხვალ საქართველოს გაბრწყინებისთვის
ხელთ გაგცვეთოდეს შენ ეგ კალამი.
ქვეყნად სიკეთის გამარჯვებისთვის
არ დაგლეოდეს სიტყვა მართალი.

ხსოვნის კედლებში

ქვაზე სიკეთედ დავდე ლექსები
ვახსენე ღმერთი და გავიარე
თუ შეაჟრჟოლებს ჩემი ცრემლები,
ლექსის თუნდ პწკარზე ვინც გაიარეს.
ვერც პოეზიის ცაში დავფრინავ
და მეცხრე ცასაც ვერასგზით მივწვდი.
ჩემი სოცოცხლე ისე გაფრინდა,
დღემდე წარსულის ღადარზე ვიწვი.
ფესვები ისე ღრმად მაქვს გადგმული,
ფრთებს ვშლი და მაინც მისკენ ვიხრები.
ხსოვნის კედლებში ვარ მე ჩარგული,
ვით ყრმა ზურაბი სურამ-ციხეში.
ქარიშხალივით თვალდათვალ მომდევს,
ხსოვნა ურიცხვი დიდი წინაპრის.
რომლებმაც ძვლებით ეს მიწა მოხნეს,
ქედებს იპყრობდნენ ლექსის წრიაპით.
სულ მირონად მდის ხსოვნა პაატას,
ეს - გადატეხილი ვადაში ხმალი.
ალგეთს მგლის ლეკვი ერთი პატარა,
მზე გუშინდელის, დღეის თუ ხვალის.
ვით პოეზიის ერთგული ძაღლი,
ისევ წარსულის კარებთან ვწვები.
ხვიჩას და გოჩას ცრემლების მადლი,
სულზე წამაცხეს თარეშმა წლების.
მე მოცელილი ბასრი ნიჩბებით,
ტიტებიც მახსოვს აპრილის დღეთა.
და დაღდასმული გლოვის ნიშნებით,
შავებჩაცმული რამდენი დედა.
აი, ამიტომ ვერ მივწვდი დღემდე,
მე პოეზიის მზეს და ლურჯ ზეცას.
მამულში ტყვიის წვიმების მერე,
მხოლოდ ცრემლიან ბილიკებს ვკეცავ.

ნუ წახვალ იქ

ეძღვნება აფხაზეთიდან ლტოლვილს ჯეირან ხაბურზანიას

ნუ წახვალ მეგობარო, ნუ წახვალ იქ,
მზე თავის სხივებს იქ მოწყენით ხრის.
შენს სახლ-კარს ცრემლები დაშრობია იქ,
დღეს კერა შენი ნადავლია მტრის.
ნუ წახვალ მეგობარო ნუ წახვალ იქ,
სად მიხვალ და ანდა იმედად რის.
წიხლნაკრავი საფლავნი ქართველთა იქ
ყრია უპატრონო ლოდებად ძირს.
ნუ წახვალ მეგობარო, ნუ წახვალ იქ,
ბრძოლებში ბრმად დაღვრილ ბიჭების სისხლს,
გაზაფხულის სურნელი სდის ჯერაც იქ,
ცაც ტკივილებს ისევ ცრემლებად ცრის.
ნუ წახვალ მეგობარო ნუ წახვალ იქ,
ზღვა ფსკერში ჩაცვენილ ოცნებებს თვლის
და ჩაუშვა იმედმაც ძირს ღუზა იქ
მზეც ღრუბლის ძაძებში ცრემლებსა ღვრის.
ნუ წახვალ მეგობარო ნუ წახვალ იქ,
აფხაზთა, ქართველთა სიყვარულს შიგ,
გულში მტრის მახვილი ჩასცემია იქ,
ღალატი, ღალატი გარეთ თუ შინ.
ნუ წახვალ მეგობარო ნუ წახვალ იქ
ჩვენ დავკარგეთ ნება სიმართლის თქმის,
როცა სწორ ისტორიას და რწმენას ღვთის
ძმამ ხელები უღვთოდ წააჭრა თვით.
მაგრამ თუ მაინც უნდა წახვიდე იქ
თან წაიღე მისხალი სიყვარული ძმის,
გაამხნევე შვილმკვდარი დედები იქ
უამბე არაკი ვეფხვის და ყმის.
და როცა მეგობარო წარსდგები იქ
ეძიე ქართველთა საფლავნი მყის,
ისტორია სიმრავლეა საფლავთა იქ
შიგ მარხია ნებაც სიმართლის თქმის.

ამბობენ

სადაა შენი საფლავის ლოდი?
სად ჩაქრა თამარ! შენი მშვენება?
ქვეყანა შენი ჯიშის და მოდგმის,
ვიცი არასდროს გადაშენდება.
ფეხშიშველი, მზის ნაფეხურებზე,
ღმერთს გამარჯვებას შეავედრებდი.
ამხედრდებოდი თეთრ ბედაურზე
და თავგასულ მტერს ეკვეთებოდი.
იქნებ ბრძოლის დროს,
ვით ქალს და დედას,
მოკლული მტერიც გებრალებოდი.
ბედკრული ქვეყნის იყავ მეფე და,
შებრალება არ შეიძლებოდა.
იმ გაზაფხულის გსურდა დადგომა,
ნატვრა ქართველის, რომ ახდებოდა.
ხელთ საქართველოს გეპყრა შენ დროშა
და მისთვის ყოველი გმირად კვდებოდა.
სძლიე უძლეველს და დაამკვიდრე,
ქვეყანა მართლაც ღირსსახსოვარი.
ხარ, ვინც ქვეყნის გზა მტერს დაავიწყე,
ხვადი ძუ ლომთა სწორუპოვარი.
სადაა შენი საფლავის ლოდი?
ნეტავ სად ჩაქრა შენი მშვენება?
ამბობენ ციდან ხან ნამად მოდის,
ხან გაზაფხულის ლამაზ ფერებად.

თამარ ჯაჭვაძე

"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ნუ ეძებთ

საქართველოში ყველა პოეტობს
ბავშვმაც აიღო ხელში კალამი...
ვის გულსაც გრძნობის ცეცხლი მოედო,
ვინც ლექსად იწვის, ყველას სალამი!
  სიყვარული რომ ლექსად აქციოს
იმ ერთი კაცის გენიას ნატრობს...
და დედამიწა სულისცეცებით
დაეძებს "ვეფხისტყაოსნის" ავტორს.
  სარკოფაგებში ასწლეულები
წვანან და დუმილს აფახულებენ,
"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ეძებენ
იერუსალიმის გაზაფხულები.
  ინდოეთიდან მოდის მერცხალი
ქართულ მიწაზე ბუდის მთხოვნელი...
"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ეძებენ
მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი.
  მადლი სცხებია ბერის მარჯვენას
ვინაც ჩააწნა სიტყვაში სული...
ვინც პირველ გუთანს კვალი აჩვენა
და გაატარა ეტრატზე ხნული.
  ვინც უკვდავების დაიწყო წერა,
მელანში გულის სისხლი ერია...
"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ნუ ეძებთ
მისი ავტორი მთელი ერია.

არ მომანატრო

აიშლებიან ღრუბლებივით ფიქრები სეტყვის,
ვინატრებ; ჯვარცმულს მხრებით ჯვარი გადავუფარო...
პური ხორცია, ღვინო ჩემი სისხლია მეტყვი...
იესოს ხორცი როგორ უნდა ვჭამო უფალო?!
ღვინოს ვერ დავლევ, თუკი მართლა შენი სისხლია
მე სისხლისმსმელი როდი შემქმნეს, მისხენ იესო...
უფლის სადიდებ ლექსში სული გადამისხია,
არ თქვათ, ლექსებმა პოეტს სული განუბნიესო.
ძალი მომეცი, რომ; შევუნდო მოყვასს ყოველი,
რისხვის ქარიშხლის შეჩერება შემაძლებინო...
არ მომანატრო სამშობლოში, მეტს არ მოველი,
წინაპრის სიხლით გაჟღენთილი პური და ღვინო.

სიზმრის ნაპრალები ამივსე

გაფრინდა ბავშვობის ზღაპარი
ღამდება სიცოცხლე უშენო...
სიბერის კარებთან ატუზულ
სიყვარულს ნეტა რა ვუშველო?!
  ფიქრების ლაშქარი ავყარო?!
მოგდევ და ფიქრებშიც მიქრები...
ისევ ცარიელი სამყარო,
ისევ ცარიელი სიზმრები.
  ქარია და ქარებს ვაბრალებ
იმედის ფოთლების გაქრობას.
გზას ვუთმობ მეტოქე გაზაფხულს,
ჩვენს შორის ვინ აღარ დაქროდა...
  რაღა ამ სიყვარულს მტაცებენ
ქარები ფოთლებისტაცია...
როდესაც ამქვეყნად ამდენი,
ლამაზი ქალი და კაცია!
  მე მღალავს უცნობი ცა ისევ,
ერთად რა ლამაზად ვივლიდით...
სიზმრის ნაპრალები ამივსე
შენი სევდიანი ღიმილით.

გარეჯის გზაზე

კლდეში ნათალი დავლოცე ქვები,
მაჩურჩულებდა ციხე წარსულთან...
აქ რამდენ ქართველს ჩაუვლია და
უსასრულობის გზაზე წასულა!
ცა იღლიაში ამოიჩარა,
ზამთარს მისტირის ქარი ხველებით...
დედის სხენივით მსუყეა ჭალა
და სწოვენ მიწას უცხო ხეები.
რომ ეპატრონოს გაქუცულ მთა-ბარს,
ვაზმა ჩაიცვა მწვანე ფარაჯა.
ოდესღაც დიდი კახეთის ამბარს
ივრის ჭალები ედგნენ დარაჯად.
აქ რამდენ მომხვდურს ედგა კარავი,
რამდენჯერ ლეწეს სისხლ-ხორცის კალო,
მესმის გოდების ხმა შემზარზვი,
პარტახის კვალი როგორ წავშალო?!
უდაბნოს ღრუბლის ჩრდილი დაეცა,
ხრიოკს და მწყურვალე მთაგორიანს,
დღესაც აჩნია ბერების სისხლი
მიწას... და უცხოს ჟანგი ჰგონია.
მოჯარებულან კლდეების ჭვრეტად,
და ჩემი ძვლების ხილვით ტკბებიან...
და მთის უბეში ასე წვეთ-წვეთად
ცრემლის ნაჟური – ვისთვის ტბებია!
კლდეში ნათალი დავკოცნე ქვები,
მაზიარებდა ციხე წარსულთან...
აქ შეჯავშნული რომ იდგნენ მთები,
თუ მთაკაცები... საით წასულან?!

ჩემო პატარა ნინო

შვილიშვილს

ჩემო ჯიშო და იმედო,
ჩემო სისხლო და გენო,
ჩემი სიცოცხლის აზრი ხარ
და სიყვარულის გემო.
შენი ტირილიც მახარებს,
შენი ღიმილის მადლიც...
მთელ დედამიწას იწონი
ეს ორიოდე ადლი.
სიბერის კართან მომისწარ,
სიცოცხლე გადმომისხი...
შენში დუღს მარადიული
ჩემი ქართული სისხლი.
რაც გულში გრძნობა ვადუღე,
მსურს ლექსად მაღვრევინო...
ჩამკიდე ტკბილი თითები,
ჩემო პატარა ნინო.
იცოცხლე ჩემო ყვავილო,
სულ გაზაფხული გენთოს...
შენ გამიხარე ეს გოგო,
შენ დამილოცე ღმერთო!

ვერ იძინებს დედა

დაბინავდა ჩვენი სოფლის თავში,
გზას აქედან უკეთესად ხედავს...
იგვიანებს შორს წასული ბავშვი...
საფლავშიაც ვერ იძინებს დედა.
გადაგეკრა თვალზე ფიქრის ნისლი...
ცრემლიანი წუთისოფლის გზაზე,
მე თმასავით გაგითეთრე სისხლი,
შენ მლოცავდი სიყვარულით სავსე.
ჩაგეძინა ჩემი აკვნის თავზე
და ძილშიაც იავნანას მღერი...
დედი, ხომ არ გაგიცივდა მხარი,
დედი, ხომ არ დაგეღალა ხელი?!
ერთგულება ყამირ მიწას ხევდა,
მადლის მარცვლით ივსებოდა ხნული...
დაღალულა სევდისფერი დედა,
საფლავშიაც ბორგავს დედის გული.
მოლოდინმა შორს წასული შვილის
მეც დამღალა, თმაჭაღარა ბავშვი...
დედი, შენთან დასვენება მინდა
ამოვირბენ ჩვენი სოფლის თავში.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

აფხაზეთში

აფხაზეთში ომის ცეცხლი ვნახე,
სისხლის ღვარი, ცრემლები და ჯვარცმა.
იქ, კვლვ ცივა, ქარი ქადრებს არხევს,
სევდის დღეებს ძველებურად ვმარცვლავ,
კვლავ სუსხს აფრქვევს, მარტო სული მთები,
ისევ მხანჯლავს ის ტკივილი გულთან...
ქართველების მოჭრილ თავებს მტრები
სტადიონზე აგორებდნენ ბურთად.
გადარეცხე, წვიმავ, სისხლის კვალი,
ვარსკვლავები განაგრძობენ ციმციმს,
აფხაზეთი?.... საქართველოს თვალი,
კვლავ ქართულად, ამღერდება ვიცი.

წიგნის სამყარო

ჩემი სულის სიმშვიდეა წიგნი,
რომ აბრწყინებს, სივრცეს უღიმღამოს...
ქარიშხალო, გულს ნუ გამომძიძგნი,
წიგნმა მინდა მშვიდად დამიღამოს.
შევებრძოლე, წიგნით ფოთოლცვენას,
თუმც ჭიდილი იყო ძალზე ძნელი,
უფლის მადლი, როლი, დიდი სცენა,
სიძულვილის დავადებას შველის!

გათენდი

უფლის თვალს ცაზე დავეძებ,
იშვიათად, რომ ანთია,
სად არის რომელ განედზე,
ღამემ იმისთვის ათია.
დრომ დაამწყვდია წყვდიადში,
საწუთრო დღეს წარმართია,
გათენდი, მზედ ადიადდი...
ქარს გზები დაუხლართია.

* * *

თვალით გთვლით,
მერე გულში გაგროვებთ,
გაკვირდებით და გაანალიზებთ,
ქვებს აგაცილებთ,
კლდიდან ნაგორებს,
არ ვეძებ შვილებს,
აზიზ-მაზიზებს.

ლამარია

მთებს გავცქერი ოპერიდან,
უშგულსა და ლამარიას.
იქ, ტირილიც მომერიდა,
რადგან გულში ზამთარია.
სვანურ კოშკებს ვუყურებდი,
ამაყსა და ცამდე მაღალს...
აღსარებას ვაბარებდი,
რომ ბუდობდა ჩემში დაღად.
თვალით მეფეს დავეძებდი,
ტახტრევანზე ფიქრით იჯდა,
უმღეროდნენ თან გედები,
გული წამში ჩამოდინჯდა.
თამარ მეფის ლანდი ჩანდა,
ლამარიას ლოცულობდა,
ქარიშხალი წამში ჩადგა,
მანამდე, რომ ორგულობდა.
ცაც დამშვიდდა, დედამიწაც,
ჩურჩულიც კი არ ისმოდა,
ყველაფერი დამავიწყდა,
გული ლაღად მაისობდა!

კოცონი

ქარი ბორგავს და მდინარემ,
გადმოტეხა კალაპოტი.
გაიღვიძა ტყემ მძინარემ,
ცაში ფრინავს კაპოეტი.

ვფიქრობ, რა ვთქვა, განა ღირს კი...
რა ფასი აქვს, ამ ჩემს სიტყვას,
ხან მგონია დიდი ცირკი,
რომ მსახიობს ეს, დრო მიყავს.

ხან ვდუმდები, ან როდემდე,
საზღვარი აქვს, სიჩუმესაც,
ის ჯობია შორს ომობდეთ
ან მამულის იყოთ მწყემსად.

მე გლეხი ვარ, ალალ ლუკმას,
ვერ დამიშლი ქარიშხალო...
ვთოხნი მიწას და მზე მხრუკავს,
გინდაც ტყვია დამახალო.

ცეკვის მერანს

⁂ =80 =⁂

მუხა იდგა დატოტილი,
ფესვ ჯამრთელი სალაღობოდ,
სული ვარსკვლავთ ატყორცნილი,
დარდი უნდა გადავღობო.
საზღაპრეთი მოვიარე,
ენგური და მთა უშგულის,
გული იმ მთებს ვაზიარე,
თავისთავად ავგუგუნდი.
იქ მერლანთა შთამომავალს,
ჩავეცეკვე, მეც მთის შვილი,
მზეს ვხედავდი ამომავალს,
ძმებს ჰყოფნიდა ერთი თხილი.
ყველა კუთხე ვნახე ერთად,
რაჭველები და გურია...
ჩემი სიტყვა უნდა მეთქვა,
გული გრძნობის სადგურია.
ოთხმოცი წლის ჯანსაღ მუხას,
დიდ ხელოვანს კანდიდ მერლანს,
მტერი ტოტებს ვერ გაუსხლავს,
რას მიწვდება ცეკვის მერანს!

შევეცდები

შევეცდები გავიზარდო,
მოგაწონოთ იქნებ თავი,
ტოტი ტოტთან შევაზარდო,
მოიხიბლოს, ჩემით მგზავრი.
თავდახრილი, ჩრდილში ვდგავარ,
ვკოპწიაობ ნაზი ტანით,
შროშანის და იის და ვარ,
მხოლოდ მე მაქვს, წვანე კანი.
ჯაფით დავრჩი ასე ციცქნა,
ფეხით გულზე არ იაროთ...
დრომ მეც გული გამომიფცქვნა,
გთხოვთ, ყვავილად მაღიაროთ!

წარმართები

თუ სატანა ბუდობს შენში,
მისტირიხარ წარსულ ვნებებს...
ის დარჩები, რაც გაქვს გენში,
ვერავინ ვერ, შეგაჩერებს.
თუ ბრმავდები და ვერ ხედავ,
ან ვინა ზის იმ წამს შენთან,
ამ სამყაროს მე ვარ დედა,
მოსაუბრე სულის ღმერთთან.
ცისკარელი, ცის აღმართზე...
თავს დააღწევს ღამის წყვდიადს...
არ ვსაუბრობ წარმათებზე,
ცოდვებისთვის ხრამში ყრიან!

გარდაცვალება

გარდაცვალება, არ ნიშნავს სიკვდილს,
მკვდარნი ცოცხლები უფრო არიან.
და რა კარგია, ვინც იცავს სინდისს,
სხვისი ოჯახი, რომ არ არია.

გარდაცვალება, გზა არის მხოლოდ,
ამ გზის სავალზე, რომ არ გაავდრდეს,
სიკეთე თესეთ ბოლოს და ბოლოს...
მრუდე, გზას უკვე აღარ დაადგეთ.

არავინ კვდება ფერი იცვალა,
და როგორც ვიშვით წავალთ შიშვლები,
თუ ჯვარი რწმენით გულზე შევიბით,
ცას ცისარტყელად გადავიშლებით.

მთავარი არის სიკეთის თესვა,
შენ თუ გაქვს, ბევრჯერ სხვაზეც იფიქრე,
მადლის გაცემა, სულ გქონდეს წესად,
ბოროტება კი გადაიფიქრე.

განდიდებისთვის სულს ნუ დატანჯავ,
იშრომე ცოტას დაკმაყოფილდი...
გლოცავთ, შრომაში დრო გახარჯეთ და
ბოლოს თავთავად ამოფოფინდით.

ცაშია ყველას სულის ბეღელი,
შენს შექმნილ დოვლათს არვინ იპარავს,
იქ, ღმერთი არის ყველას მშველელი,
აქ, სულ ბოლომდე ვინ გაიხარა?

და მე კი, მინდა ვიყო ასეთი,
მიმტევებელი, მადლის გამცემი...
მსურს შვილობილი მყავდეს ას ერთი
სული არ გამყვეს ბედით ნაცემი.

მე მოვალ შენთან

(მეუღლეს)

არ აიცრემლო თვალთა წამწამი,
აუცილებლად მე მოვალ შენთან,
მოთმინებას და ნდობას გასწავლი,
ერთად ვიცეკვებთ წარსულის მზესთან.
მე მოვალ შენთან, მაგრამ ჯერ არა,
შემომატოვე საქმე ულევი,
თუ ბედისწერა, მეც მომეპარა,
ცაში გავწიოთ ერთად უღელი.
მე მოვალ შენთან, აბა სად წავალ,
არ გამიბრაზდე, რომ ვიგვიანებ,
ჯერ მადლის მარცვლად მიწას ჩავალ და..
სულით კი შენთან გავიმზიანებ!

მომენატრულეთ

(მირზა გელოვანის
სახელობის ბიბლიოთეკა)

მოგენატრეთ ვიცი თქვენც და
მეც იგივეს ვგრძნონ ამ გულში,
გადაიმტრევს დრო იმ რქებს და...
აქარიშხლდა ის ზაფხული.
შეკრებები, ლექსი, სიტყვა,
შეძახილი რა კარგია...
დღეს სათქმელი ახლა ვინ თქვას,
სიტყვა ფიქრით ნაქარგია
მომენატრეთ, მოგენატრეთ,
რომც არ მითხრათ, ისეც ვხვდები,
მონატრების ფიქრებს ვამტრევ,
დროვ, გთხოვ, ნუღარ გამხეცდები!

ბილიკ-ბილიკ

მომილოცეთ, სხვა სიმდირე მე არა მაქვს,
არც მეუღლე, შვილიც ციდან იყურება...
დიდი ტვირთი, მარტოდ-მარტო მხრებით დამაქვს,
თუმცა გული, აღარც ამით ინკურნება.
ბილიკ-ბილიკ მივაღწიე მთათა მწერვალს,
ბებერ კუნძზე ჩამოვჯექი გადაღლილი,
თვალი მოვკარ, სწრაფ-მორბენალ, გაწვრთნილ მწევარს,
გამახსენდა დრო, წვალებით გამოვლილი.
გაშიშვლებულ ტოტებ ნაჩეხ, ხესთან ვდგავარ...
უპატრონოდ, უხმოდ მარტოდ დარჩენილი,
ალბათ, მართლაც გამძლეობით, სიპ ქვას ვგავარ,
სხვათა წამლად, საამებლად გაჩენილი!

შემოეჩვია

ჩემი ტკივილით გაცხოვრე მაგრამ,
გრძნობდი და სიტყვით არ გაწუხებდი,
შენ გიფრთხილდები, ახალს არ დავრგავ,
გულში შეგფუთე და არ ხუნდები.
ო, რა ნაზი ხარ, ფაფუკი-თოთო,
სურნელოვანო და მომხიბლელო,
წვიმამ ძვირფასო, არ აგაშფოთოს,
შემოეჩვია, ჩემ სამფლობელოს!

სევდის ქვაბში

დუღს სევდა ქვაბში, გადმოვა უკვე...
ამოქაფქაფდა დღეის ქაოსზე..
გავყევი თოვლის გზას, სულ მთლად უკვლევს,
მოვხვდი მდუმარე სასაფლაოზე.
ჩამოუარე სიჩუმის სივრცეს,
ამ ღამით მათთან განმავრტოვდები...
მე დედამიწას ვუზომავ სიცხეს,
არ დაამტვრიოს ქარმა ტოტოები!

არ გავიხსენებ

არ გავიხსენებ იმ დღეს საერთოდ,
სევდის ფერები თავს, რომ მეხვია,
აივნის ვარდთან გული გაერთო,
ტოტი ცაცხვზე, რომ გადაეხვია.
გამეხარდა და დუმილს ადგილს,
ვიდექი ჩუმად უტყვი ბავშვივით,
ვარდს სარეველას გავუმარგლი და...
ოცნებით ვიფრენ ფარშევანგივით!

დამიჯერეთ

ამბიციას ნუ აყვებით, დამიჯერეთ,
დამიჯერეთ, სიცოცხლეა მთავარი,
ერთმანეთს, რომ არ გაწირავთ დამაჯერეთ...
თანასწორი, თვით მთაბარი არ არის.
გადაშენდა, დაიხოცა, ქართველები,
სიძულვილის დავადება ბატონობს,
გულნაფატრი, დავრჩით, როგორც
ნართველები...
სიყვარულით, მამულს დავეპატრონოთ!

ეს, ჩემი სულის სამყაროა

ბუნება ხატავს ამ სამყაროს, ჩემს სულის საზრდოდ,
თვით ღმერთი არის შემოქმედი, სადაც ვივსები.
გულს ხან ვაამებ, ხანაც კიდევ ფიქრებსაც ვანდობ,
ხან მეცემიან, უნებურად, ციდან წინწკლები.

ყვავილო

ფოთოლცვენებით ყვავილო,
ძვირფასო. ნუ ნაღვლიანობ
სულ გინდა რომ იყვავილო,
იმიტომ თვალცრემლიანობ.

ნაფცქია, მოგეფერები...
სახლის ფანჯარას დაგითმობ,
შეინარჩუნე ფერები,
გულს ჩემი გულით გაგითბობ.

დღეს უკვე ნოემბერია,
სიცივე, ზამთარის მზითვია...
დროებით... არაფერია,
დარდი კი დიდი ტვირთია.

გული მიკვნესის, ბედისგან,
ჩემთვისაც გულში ყინვაა,
თებერვლის გამოხედვისას...
გულმკერდის ამოგმინვაა.

აპრილში დაბადებული,
ზეცაში შვილი გაფრინდა...
არ იყო, დავადებული,
არც დავადება არ ჭირდა.

ნუ დარდობ, ჩემო ყვავილო,
ჩემთან არ გაგიჭირდება...
უზმოზე ყავა დავლიოთ,
სულ ჩქარა გააპრილდება!

სიკეთის სახლი

შორს დიდი მთაა, ნაირ-ნაირ ტყის ბროწეულით
და ვისაც გინდათ აირბინეთ ცხოვრების კიბით...
მე სახლს ვაშენებ, იმ ლაჟვარდში ვარ მიწვეული,
იქ, ქარიშხალო, ვერ დაიწყებ, ფრთების შლას ჯიბრით.
ცხოვრების მიზნად დავისახე, მადლი დავთესო,
სადაც შემხვდება, ნარ-ეკალი იმასაც გავსხლი,
ვშრომობ, მარცვალი სამომავლიდ, რომ მივათესო,
ახალგაზრდებო, აგიშენეთ, სიკეთის სახლი!

ბეღურა

დიდ ქარბუქში ბეღურა,
იყო სახლთან ახლოში...
შევიკედლე გლეხურად,
სულის სამოსახოლოში.
დავუყარე საკენკი,
ბუდეც გავულამაზე,
არაფერს არ დვაკლებ,
თუკი არ გამაბრაზებს.
არც გალია ვაკადრე,
თუთის ხეზე შემოვსვი,
როცა გამოვაზამთრე,
სლუკუნის ხმა მომესმის.
რაო, ჩემო ჩიტუნი,
ცრემლი რატომ ჩამოგდის,
ბუდე მოგეც ტიტულით,
ტოტსაც კვირტი გამოდის.
ჩიტმა ფრთები გაშალა,
ცაში შეინავარდა.
ბუდე აშალ-დაშალა,
ჩხიკვს თავისით ჩაბარდა.
მომაჩერდა, თვალებში,
თითქოს რაცხას ნანობდა.
ფრენდა ლამაზმანებში,
ფრთის ფართხუნით დარბოდა.
ჩიტს სულ გადაავიწყდა,
სიცოცხლე, რომ ვაჩუქე...
გულში ძარღვი ჩამიწყდა,
ვზიდავ სახლში ნაქურჩებს.
გავჩნდი მე ამ ბედის და...
სღვაგან ფრინავს ბეღურა,
სინდის შემოვაბერდი,
გლეხი დავრჩი, გლეხურად!



არდავიწყება

მთასავით დიდო, სულის მფლობელო,
დღესაც ზეიმობს აქ, შენი ნიჭი,
არაკაცობის უარმყოფელო,
ობლად დატოვე, ხუთი წლის ბიჭი.
ლაშას ბეჟანი სამი შვილი ჰყავს,
ამოიზარდა შენი ფესვები...
შვილიშვილები თითქმის ყველა გგავს,
შენს ლექსს არ ჰგავს ჩემი ლექსები.
შენ, დედამიწა გეკავა ხელში,
გიხმობდა, ზეცა ლაღად გაშლილი,
გარდაიცვალე, იანვრის თვეში,
მე, რომ შემეძლოს, იმ დროს წავშლიდი.
მას შემდეგ ცრემლში ვცურავ ძამიკო,
დარდის საწუთრო არ დაილია.
არ დავიწყება, ჩამომდგარიყო,
არ დაგივიწყო, ჩემი ვალია!

მარადიული

არ შეიცვლება ადამიანი,
სულის ფერები არ იცვლებიან,
ეს ქადაგება არის გვიანი...
ცბიერნი კეთილს ედავებიან.
ზამთარი მოგავს წმინდა თეთრ ტაძარს,
გაზაფხული კი ფერებში ყვავის,
ზოგჯერ ზაფხული ყველა ფერს ბაძავს,
ფერიცვალებას დასჩხავის ყვავი.
ფოთოლცვენებში საკბილოც მოჩანს,
ადამიანმა ვიღაც გაწირა,
გარდაიცვალა, დამთავრდა, მორჩა...
უსულგულობით გაინაპირა.
ქარის ზმუილით ზეცა ძაგძაგებს...
შევავსე ჩემი ცრემლის დღიური.
მოკლეს და მაინც, მთლად ვერ გაძარცვეს,
რადგან სულია მარადიული!

მარტოდ გადავთოვლი

დედა საქართველო, ქარი არ ჩადგება.
გული ფიქრითაც კი დაიფატრა...
მკვდარიც საფლავიდან ალბათ წამოდგება,
შენი შვილები თუ დაიფანტა.
ამდენ ომის ცეცხლით, ვეღარ გაიხარე,
თუმცა დაჭრილი ვარ, მინდა, მოგეშველო,
დარდით გატეხილი, წელშიც მოვიხარე...
მაინც ცა და მიწა, იქნებ გავაშველო.
შენი ერთგული ვარ, ვფიცავ, დასაფიცარს,
ბევრი საყვარელო, მეც არ შემიძლია,
აღარც პატარა ვარ, უკვე ასაკითაც...
მაგრამ ბრძოლის ჟინმა ისევ გადამძლია.
თუკი დედამიწა, ისევ აირევა,
მზე არ ამოვა და დამათოვებს,
ნახოს ქარიშხალმა, ჩემი გადარევა...
მარტოდ გადავთოვლი, დანათოვლებს!

სულის სიმდიდრე

ჩემი წიგნები არ გეგონოთ სხვისიც ბევრია,
სულის სიმდიდრეს დავფოფინებ, თოთო ბავშვივით ...
დუმან თაროზე, ხანაც კიდევ, ტკბილად მღერიან,
ხან ღაღანებენ, კვასკვასებენ, წითელ ვაშლივით.
ვესაუბრები თითქოს, მართლაც ყვებიან ამბავს,
ყვებიან ლექსებს, ზღაპრებსა და ზოგჯერ ნოველებს...
როცა ყინვაა, უშურველად გაშლიან საბანს,
გამომითბობებ, გულს გაყინულს, ვიცი ნოემბერს.
ჩემთვის ზამთრის თვეს, ცივ დეკემბერს, სულ სხვა სუსხი აქვს,
სამართებელით დამესერა გული მთლიანად...
მე ვკვდებოდი და,.. ჯიბრით ჩემს მტრებს, საზღვარს უხსნიან,
თუნდაც დამსაჯონ, სიტყვას ვბედავ, სამართლიანად!

ნამგალა მთვარე

ჩამიჩურჩულა ნამგალა მთვარემ,
დაბადებულხარ, იმედის სანთელი,
სტუმარს ალალად რომ უღებ კარებს,
გული არ გაგიხდეს, მტრისგან ნათელი.
ისედაც ბევრი გაქვს, დარდის ნაფლეთები,
ზოგჯერ ყორანივით, მწარედ ჩაგკორტნიან,
მშვიდობის გულსთვის, მტერს წინ ეფეთები,
დარდის გასაფანტად, მიწაც კი გიპოტნია.
სიონის ტაძართან, ხეთა სიმწვანეში,
დგას ქართვლის დედა, ერისკენ მზირალი,
ჩაფლულა აკლდამა, ზღაპრულლ სავანეში,
ამბობს, ერს უნდა გმირი ამირანი,
რა მწარედ მადარდებს, ქართული მიწები,
უსულო ძეგლსაც კი, ცრემლი ედინება,
დავდივარ ბაღნარში, მკოცნიან ტიტები,
და მაინც ნაღველით, ვფიქრობ და მეტირება.
მოყვარეს დავლოცავ, თუ არის საქები,
უშიშრად უნდა ვთქვა, რაც არის სათქმელი,
მტერია სამხელი და ფეხით სათელი,
მთვარემ მიჩურჩულა, დადგება საშველი!

მომავალს მოკლავთ

ცრელიან წარსულს, ნატანჯს და ნაჯაბს,
დღევანდელობამ ცეცხლი მიუნთო,
ჩემი სიტყვების, ნაბოდვს და ნაჯღაბნს,
იქნებ ისევე, ყური მიუგდოთ.
სიყვარულს ამსხვრევთ, ვით ბროლის ვაზა,
იმედის ტოტს სჭრით, ალესილ ცულით,
მთვრალი კაცივით, ნაბიჯებს ხაზავთ,
ამოაცალეთ, მომავალს გული.
ნაგლოვარ დღეებს, ზურგი აქციეთ,
„წყალს არ მოიტანს“ ყოველთვის კოკა,
ნუღარ გამართავთ ხალხო აქციებს,
ოროვე მხარე, მომავალს მოკლავთ!

130 წლის იუბილე
(გალაქტიონი)

გადახტი? არა მგონია,
ტყუილია არის ხომ კაპოეტო,
იქნებ წარსულიც მონაგონია,
შენც მოგიშორეს დიდო პოეტო.
დღევანდელობას როცა შევცქერი,
თვითონ ხალხია დაუნდობელი,
იქნებ შეშურდათ ნაშრომ-ნაწერი,
და სხვას ეწადა, შენი ნობელი.
გადახტი? ეჭვი მიჩნდება,
სულს არ წირავენ, გოლიათები ...
ლექსების კითხვა არა მწყინდება,
შენს ლქსებთან ვარ ღამენათევი!

რად უწოდებენ

„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“
ტაბიძის ლექსებს ვკითხულობდი, როს ვიყავ ბავშვი,
ჩვენ ვიცით დარდი უსასრულოდ, გული მწუხარე,
ვჯავრობთ მამული ხშირად არის ორპირა ქარში.
იქნებ ომები გვაწერინებს, ან ტყის შრიალი,
ანდა გრძნობებით გათანგული რომ დავბარბაცებთ,
ყურში ჩამესმის დედამიწის ღერძის ტრიალი,
თუმცა არ მინდა, რომ აუგი ვინმეზე დამცდეს.
ბედის ბრალია? რომ შეეხენ, მგოსანთა კარავს,
როგორ შებედეს, ღმერთის რჩეულთ ბუდის ჩამოშლა,
სველი წამწამი, თვალში ცრემლებს ვეღარ აკავებს,
და სიხარულის თბომავალი უკან ჩამომრჩა.!

ნატვრის თვალი

ნატვრის თვალს ვეძებ, მთელი ცხოვრება,
რა არ ვაკეთე, სად არ ვიარე...
სიკეთის მთები დავდგი გორებად,
მტერო, კვლავ გულზე გადამიარე.
გული აღარ მაქვს, აქაც შენ შეცდი,
გული კლდედ, არის გადაქცეული,
პირისპირ ბევრჯერ უშიშრად შეგხვდი,
რომ დადიოდი გადარეული.
ქრისტიანი ვარ, შენ კი ურჯულო,
ამით გაჯობე, სისხლის მწოველო,
შენ დაიბადე, ცივი, უგულო,
უხსენებელი შვილის მშობელო.
ნატვრის თვალს ვეძებ, უბით მამული,
რომ ჩავიხუტო გულში მთლიანად,
რა ჯაჭვები გაქვს, ჩუმად გაბმული,
ვერ მოგაცილე, ქართვლის ნიადაგს.
სუყველაფერი შენი ბრალია,
რომ ეჯავრება ქართველს, ქართველი,
რომ გაღიარო, ჩემი ვალია,
რადგან სული მაქვს, შენზე ჯამრთელი.
ნატვრისთვალს ვეძებ, რომ მოგიშორო,
რომ გადაგხვეწო, სადღაც მთებს იქით,
ქართველი, ქართველს არ დამიშორო,
შენი მტრული და უაზრო ჯიბრით!

არავის ვგავარ

არავის ვგავარ, არავინ არ მგავს,
მე სულ სხვა ვარ და ისინი სხვები.
მე ყოველ დილით, საღ ნერგებს ვრგავ და...
დაღლილ-ნაჯაფი ღამესთან ვწვები.

ღამეც ჩემსავით, მარტო სულია,
რომ ესაუბროს, არავინ არ ყავს.
დედამიწაზე ჩამოსულია,
შავია როგორც, მყვირალა ყვანჩა.

გავესაუბრე, ღამეს დაღლილი,
მომისმუნა და ვერ მანუგეშა,
გრძნობით დამდევენ ფაფარაშლილი,
ქარიც შავ ღრუბლებს, სიავით გერშავს.

ზურგი ვაქციე ღამეს საერთოდ,
ტანგაუხდელი ჩამომეძინა.
ღამეც, ვიხილე ღრუბლის ნაერთი,
საუბარმაც კი, სევდა შემძინა.

დილის რიჟრაჟის სიმხნევის ბადემ,
მზის ათინათი, შემომახვია...
ქარის და ღამის ფიქრს, ძალით ვაგდებ,
რადგან ღამესთან სევდა მარხია.

სულის ჭურჭელო

იმედის სურავ, არ გაიბზარო,
სულის ჭურჭელო, გრეცხავ და გწმინდავ...
შენ, რომ დაიმსხვრე, ვინ შევიფარო,
მე, ხომ სიკეთის კეთება მინდა.
თუმც დავფიქრდები, გარკვეულ ვადით,
გულში სიწმინდის წყარო ჩუხჩუხებს,
ეკლესიაში ბევრჯერ ის დადის,
რომ მოერიოს, ცოდვის ურჩხულებს.
მე ვარ სანთელი, რომელიც იწვის...
საყდარი არის, ჩემი გულია,
ვითომ რჩეულთა სიტყვა ხორცს მწიწკნის,
მადლს ფეხით ზედ, რომ გადაუვლიან!

გზას ვეძებ

გზას ვეძებ, სადაც იოლად,
რომ მომავალი ვატარო.
ვეძებ და არ გაიოლდა,
არ მსურს ფარხმალი დავყარო.

გზას ვეძებ, სადაც კეთილნი,
შრომობენ, ნაშრომს იმკიან...
რომ არ ჭირდებათ ვექილნი,
საით წავიდნონ იციან.

ძებნა-ძებნაში მომრავლდა,
ეკლები აკაციების...
ერთი კი სულმთლად დაბრმავდა,
გაუჩნდა ამბიციები.

გავჩუმდი, გზა კვლავ განვაგრძე,
ისევ მოვშინჯე ძალები...
ვითმენ და არა ვძაგძაგებ,
არავის არ ვემალები.

იმ გზას ვიპოვნი, რომ სადაც,
ამაგის ფასი იციან.
ვახშმად ამ ჩემს გულს ჩავადგამ,
ძალით რას გამომცინცლიან.

სადა მცალია სავაჭროდ,
ლუკმას არ გავღეჭ ცოდვიანს...
უმადურობამ გამაშრო,
დიდ ამაგს ასე ცოდნია.

პოემა

უფლის განგება

***

ლია ძამუკაშვილი

ზამთრის დასასრულს თებერვლის ბოლოს,
როცა ყინული ლღვობას იწყებდა,
ბუხართან მჯდომი მოხუცი კაცი
საინტერესო ამბავს ყვებოდა.

შემოეკრიბა გვერდით ქალ-ვაჟნი
ახალგაზრდების ერთი ნაკრები,
ცნობისმოყვარედ უსმენდნენ მოხუცს,
რაღაც ამბავში ენადგაკრეფილს.

ყველანი აქ ხართ?-მაშ მომისმინეთ
მომიახლოვდით, ახლოს დასხედით,
ბაბუმ სიგარეტს მოუკიდა და
ნელ-ნელა იწყო თავის სათქმელი.

-1-
კვირა დღე არის გაზაფხულისა
ხიდან ყვავილებს წეწავდა ქარი,
ეკლესიაში ლოცვას იწყებდნენ,
სამრეკლომ უკვე ჩამოჰკრა ზარი.

დაცარიელდა ირგვლივ ქუჩები
ხალხი ლოცულობს, დაიწყო წირვა,
გარეთ კი ცივი მერყეობს ქარი
თბილისის ქუჩებს ძალიან სცივა.

ქუჩას მოაპობს მსუბუქ ლანდივით
პატარა ტანის უცნობი ქალი
სახე პირბადით შეფუთული აქვს
მხოლოდ მოუჩანს დიდრონი თვალნი.

ხელში ეჭირა დიდი ხელჩანთა
ძლივს მოათრევდა დასუსტებული,
შეშინებული იყურებოდა
და უცნაურად უცემდა გული.

მიუახლოვდა ნაგავსაყრელს და
მიმოიხედა არავინ ჩანდა,
წამწამიც კი რომ არ შერხევია,
ისე უეცრად დატოვა ჩანთა.

და იმ ჩანთაში რა იყო იცით?
ამ ალიონზე დაბადებული,
საღ-სალამათი პატარა ბიჭი
აწ სასიკვდილოდ გადადებული.

თითქოს შეიგრძნო პაწია სულმა,
სადღაც ბნელეთში იყო ჩაფლული,
აფართხალდა და აქნევდა ხელ-ფეხს
ჭუჭყიან ჩვრებში გამოხვეული.

ჩამოწვა ნისლი,ცა შეიბურა,
ქარს შეერია ბავშვის ტირილი,
აზანზარებდა ქალაქის ქუჩებს
ბავშვის კვნესა და ქარის კივილი.

ლამის ტირილი იწყო თბილისმა,
ქალაქის ქუჩებს მოაწვა სევდა,
ღმერთმა დასწყევლა სამარადისოდ
ეს ურჯულო და უღირსი დედა.

-2-
ეკლესიაში დამთავრდა წირვა,
ხალხი გამოჩნდა ისევ ქუჩებში,
ბავშვი კი უკვე მომაკვდავს გავდა
გალურჯებული ცივი ტუჩებით.

იქვე მახლობლად დაწანწალებდა
მშიერი ძაღლი ძვლებჩამოყრილი,
მიუახლოვდა,დაყნოსა ჩანთა
სუნი შეიგრძნო ახალშობილის.

წკმუტუნ-წკმუტუნით ურბენდა ირგვლივ,
სურდა გაეთბო პაწია გული,
მაგრამ ბავშვს უკვე არრა ესმოდა
სიცივეს ყავდა გარინდებული.

რა ექნა ცხოველს?-წკმუტუნს არ წყვეტდა
ყეფდა და ყეფდა მთელი ძალებით
სადა ხართ ხალხო?-მოდით იხილეთ
ბავშვებს სად ყრიან თქვენი ქალები.

თითქოს ისმინა ღმერთმა ვედრება
გზაზე გამოჩნდა კაცი და ქალი,
ეკლესიიდან მომავალ ცოლ-ქმარს
აქეთკენ ქონდა გზა გასავალი.

ძაღლმა ისკუპა,ქალს კაბაზე სწვდა,
მოქაჩა კაბის გრძელი კალთები,
და შეუყეფა,გამომყევიო,
მთელი თავისი ამორძალებით.

შეშინებულმა ქალმა შეჰკივლა
და ქმარს მიაპყრო შავი თვალები,
კაცმა კი იგრძნო რაღაც ხდებოდა
რომ ძაღლიც იყო განაწამები.

უთხრა,-თამრიკო ნუ გეშინია,
ერთად წავიდეთ აქ რაღაც ხდება,
და წკმუტუნ-წკმუტუნ მიმავალ ცუგას
ორივე ერთად უკან მიჰყვება.

მიუახლოვდა ძაღლი ჩანთას და
კუდის ქიცინით შეჩერდა იქვე,
და რა იხილეს ახალშობილი
შეშფოთებული დარჩა ორივე.

ატირდა ქალი,ოი უფალო
როგორ გთხოვდი და არ მომეც შვილი,
ამის დედას კი ეს რა უქნია
სად დაუგდია საბრალო ჩვილი.

და აიყვანა ხელში პატარა,
მყის ჩაიხუტა გულის უბეში,
პაწიამ ერთი ამოიკნავლა
თითქოს იმანაც იგრძნო ნუგეში.

ამოიოხრა მძიმედ მოხუცმა,
აქ შეჩერდა და შეწყვიტა თხრობა,
ამ ამბის მძიმე გახსენებაზე
თვალზე ცრემლიც კი ჩამოუგორდა.

კვლავ მოუკიდა ცეცხლი სიგარეტს
გადაეყარა დარდები რათა,
შვილიშვილებმა აღარ აცალეს
,,გვითხარი იმ ბავშვს რა დაემართა?..

იმ პაწაწინას, უძლურ არსებას
ახალმა დედამ დაბანა მყისვე,
წყალმა გაუთბო ცივი სხეული,
და მიაწვინა საწოლზე იქვე.

მერე თბილი რძეც დაალევინა,
და მაწოვარაც დაკიდა ყელზე,
პაწიას ტკბილად ჩამოეძინა
ახლადშეძენილ დედიკოს მკერდზე.

გათენდა, დილა არის მზიანი,
ქარმა შეწყვიტა წუხილ-გრიალი
და მზის სხივებმა ბავშვის საწოლთან
იწყეს ცეკვა და ბზრიალ-ტრიალი.

შემოეხვივნენ პატარას ირგვლივ
მიუალერსეს,უთბეს ხელ-ფეხი
ძილს მისცემოდა ახალშობილი,
გუშინდელი დღის განაწამები.

და თამარ-ქალსაც ბავშვის ცქერაში
წუხელის ძილი არ მისცემია,
ამ პაწაწინა არსების გვერდით
ჩვილის საწოლთან დასთენებია.

ამ დროს მოისმა ძაღლის წკმუტუნი,
წამოდგა წამსვე და გაიხედა,
ეზოს ჩასული მისი მეუღლე
იმ მამაც ცუგას საკვებს აძლევდა.

ქალს გაეღიმა კმაყოფილებით
ორს მიტოვებულს გაუხსნეს კარი,
მზე სიამაყით გადმოსცქეროდა
და უღიმოდა ოჯახს ცისკარი.

შემოტრიალდა,ბავშვს მიაცქერდა,
პატარას ძილში ეღიმებოდა,
ეხლა ამ ჩვილის ბედნიერ ღიმილს
არაფერი არ შეედრებოდა.

თითქოს ბუნებაც კი გახალისდა
გამოიცვალა ცივი ელფერი,
და ისე მშვიდად იცქირებოდა
ნამდვილ გაზაფხულს როგორც შეჰფერის.

-4-
ისეთი კარგი გამოდგა ძაღლი,
უკეთესი რომ არსად იქნება,
უთქმელად ესმის ყოველი სიტყვა
დაძახებაც კი რომ არ ჭირდება.

ლამაზიცაა,ბეწვიც უბრწყინავს,
დაბანის მერე სხვა ძაღლად იქცა,
ამ მოკლე დროში მოფერიანდა
რაც ამირანმა საკვები მისცა.

ყოველდღე შედის პაწია ჩვილთან,
მივა,დაყნოსავს და ეფერება,
ასეთი გმირი,მამაცი ძაღლი
ამ ოჯახს მართლაც შეეფერება.

გვითხარი ბაბუ?-ხომ არ წაართვეს
ხომ სამუდამოდ მათ დარჩა ბავშვი?
აღარ აცდიდნენ შვილიშვილები
ბაბუს ამ ამბის თხრობაში დაღლილს.

ბავშვი იშვილეს კანონიერად
და მას სახელად უწოდეს დაჩი,
ეხლა მოგეშვათ გულზე ნაღველი?
კმაყოფილები მითხარით დარჩით?

მერე კი მორცხვად თავი დახარა
კვლავ მოუკიდა ჩამქრალ სიგარეტს,
ეხლა გვიან არს,გთხოვთ დაიძინოთ
ხვალ კი გავნაგრძობ როგორც მიბრძანებთ.

ბავშვები ზლაზვნით წამოიშალნენ,
თუმც არ უნდოდათ ეხლა მათ ძილი,
ნატრობდნენ,,მალე გათენდებოდეს,
ხვალამდე შორი არის მანძილი...

-5-
მეორე დღეა და ყველა ბავშვი,
უკვე სკლიდან დაბრუნებული,
მისჩერებოდნენ საყვარელ ბაბუს
ამბის ლოდინში გარინდებულნი.

დაიწყო ბაბუმ,ხო სად გავჩერდი?
იშვილეს ბიჭი გადაგდებული,
მშობლების გვერდით თავს კარგად გრძნობდა,
ბავშვობა ქონდა გალაღებული.

მერე რა მოხდა?-გვითხარ ბაბუა,
ხომ არ გამოჩნდა მისი გამჩენი?
მალ-მალე კითხვებს უსვამდნენ მოხუცს
ვერ ისვენებდნენ სკამზე ბავშვები.

არა გამჩენი არვის უნახავს
მას მერე მისი კვალიც არ ჩანდა
დაჩიმაც ბევრი წელი გალია
სანამ გაიგო თავს რა გადახდა.

როგორ არ მომწონს დღე დაღვრემილი,
მოწყენილი და სევდით აღსავსე,
თითქოს იმისი მოწყენილობა,
ჩვენს გრძნობებზედაც ნაკვალევს ამჩნევს,

რა შეედრება მხიარულ დილას,
ფრინველთ ჭიკჭიკით გალაღებულ დღეს,
მზიან ქვეყანას,ედემად გაშლილს
სიო რომ ურხევს ნაზად ყვავილებს.

მაგრამ გათენდა დღე ნისლიანი,
სახლში მარტონი იყვნენ ცოლ-ქმარი,
ამირანს გული გაუხდა ცუდათ
და მიესვენა ვითარცა მკვდარი.

წამოხტა თამარ,მეზობლებს უხმო,
მიშველე ხალხო,ეს რა ხდებაო?
ჩქარა,ექიმი გამომიძახეთ
სანამ ამირან მომიკვდებაო.

უცებ სასწრაფო გამოიძახეს
ქალის კივილზე მოვიდა ხალხი
და წაიყვანეს ამირან მყისვე
დღევანდელმა დღემ ჩაიცვა თალხი.

საჭირო გახდა სისხლის გადასხმა
შესაბამისი სისხლი ვერ ნახეს,
მეგობრები და ნათესავები,
თურმე ვინ აღარ გამოიძახეს.

ამ დროს მოვიდა დაჩი სკოლიდან
ყმაწვილი ჩანდა შეშფოთებული,
ისე ძალიან გადაღლილიყო
გული უცემდა გამალებული.

აუღეს სისხლი დაჩის,იფიქრეს
შვილს მამის სისხლი ექნება ალბათ
საინტერესო იცით რა იყო?
რომ მართლაც სისხლი მამისას გავდა.

იქ ყველამ შვებით ამოისუნთქა,
წამსვე გადუსხეს ამირანს სისხლი,
მისი სიცოცხლის გადასარჩენად
გამოდგა მისი ნაპოვნი შვილი.

წამით ჩაფიქრდა მოხუცებული,
უკვე ასაკში შესული კაცი,
ბავშვები ისე შესციცინებენ
ამოსუნთქვასაც არავინ აცდის.

მერე რა მოხდა?-გვიამბე ბაბუ
გთხოვთ გააგრძელე,ნუ გაჩერდები,
აღარ აცდიან ერთურთს შეკითხვებს
ცნობისმოყვარე ახალგაზრდები.

აქ კი ჩაფიქრდა მოხუცი ბაბუ,
უჭირს ძალიან თხრობა ამ ამბის,
დამძიმებული,ფიქრებით სავსე
მოულოდნელად ქუჩაში გადის.

იფიქრა,ცოტას შევისვენებო,
აზრებს მოვიკრეფ და დავფიქრდები,
გარეთ კი ზამთრის უტევდა სუსხი,
თოვდა და თოვდა თავდავიწყებით.
-6-
რა შეედრება,წლებს ახალგაზრდულს
როცა ძარღვებში ჩხრიალებს სისხლი,
როცა ყველაფერს ხალისით უმზერ
და გეფერება სიცოცხლის სხივი.

რა შეედრება ნამდვილ სიყვარულს,
და ოცნებებში დალეულ ღამეს,
მერე კი გული გეპობა ორად
როდესაც იგებ რომ გიღალატეს.

აი ეს ფიქრი ტანჯავდა ბაბუს
და არ იცოდა როგორ დაეწყო
მაგრამ ეს უნდა სცოდნოდათ ბავშვებს
ეს ისტორია უნდა გაეგოთ.

და მეორე დღეს ამ გაზრდილ ბავშვებს
ახალგაზრდები რომ უკვე ერქვათ
ბაბუმ მოუთხრო ამბის ნაწილი,
გუშინდელ დღისით რაც უნდა ეთქვა.
-7-
რაღაც ორი დღე იყო გასული,
რაც რომ დაბრუნდა ამირან სახლში,
მის სანახავად ყველა,მოვიდა
დიდი,პატარა ქალი თუ ბავშვი.

და ამ დღეებში გარდაცვლილიყო
ძაღლი აწ უკვე დაბერებული,
ამირანს დარდი შემოემატა
ძალიან დასწყდა მურაზე გული.

ვინც კი გაიგო მისი ამბავი
ყველა ძალიან შეწუხდა მაშინ
რადგან ეს ძაღლი სიყვარულს თესდა,
თბილისის ერთ ერთ ლამაზ უბანში.

ამირანს კიდევ სხვა დარდიც ჰქონდა
რაღაც ეჭვები ძლიერ ტანჯავდა,
ყოველდღე დაჩის აკვირდებოდა
და გრძნობდა ბიჭი ძალიან გავდა.

ნეტავ რა ხდება სიზმარში ვარ თუ?
ამ მსგავსებიდან ყველაფერს ველი,
დაჩის სისხლიც რომ ჩემსას ემთხვევა
აი ეს არის აქ საკვირველი.

ფიქრობს ამირან და ეჭვები ღრღნის
თხუტმეტი წლის წინ მომხდარი ფაქტის
ნეტავ სადაა ის ქურდბაცაცა
უნამუსო და მაცდური ქალი.
-8-
ოცდაათი წლის წინათ მოხდა ეს
ამირანს მოყავს ცოლად თამარი,
ისეთი ტკბილი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ
გეგონებოდათ ვინმეს ზღაპარი.

უფლისგან იყვნენ დალოცვილები,
მათ მფარველობდა თვით მამა-ღმერთი
შვილი არ ყავდათ მრავალი წელი,
მხოლოდ ეს იყო პრობლემა ერთი.

მაგრამ მის გამო სიყვარულს მათსას
ერთი ნაოჭიც არ გასჩენია,
და ისე როგორც ცას მზის ლოდინში
სულ სიყვარულში დასთენებია.

,,მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვინმეს განა?,,
-ასე უთქვამს დიდ აკაკის
და რა მოხდა ამისთანა?,,

მოხდა ისე რომ ამირანს
აეკიდა უცხო ქალი,
შეუმჩნევლად სდევდა უკან
როს დაადგა ვაჟკაცს თვალი.

ქალი იყო შეუცნობი,
ყალთაბანდი, ბილწი თანაც
;თაფლს ურევდა მწარე ნაღველს
მტრისას მისი გამოცანა,,

არსად კაცი არ გაუშვა
ვის შეატყო ჰქონდა ფული,
ცბიერი და უნამუსო
ეშმას ყავდა მოსყიდული.

ერთხელ როცა ამირანი
ბრუნდებოდა შინ ნასვამი,
აეკიდა შორიახლოს
აღარ მისცა გასაქანი.

უთხრა ბატონო ცუდათ ვარ,
მიმაცილო იქნებ სახლში,
რაღაც თავბრუ მეხვევა და
მიბნელდება კიდეც თვალში.

ამირანი,შეწუხდა და
რა ხდებაო ქალბატონო,
ცუდადა ვარ,სუნთქვა მიჭირს
ნუ დამტოვებ აქ ბატონო.

რა თქმა უნდა არ დაგტოვებთ
ცოტახანს კი ჩამოჯექი,
დაისვენეთ, ღრმად ისუნთქეთ
იქნებ ცოტა გამოკეთდი.

მერე ტაქსი გააჩერა,
მიიყვანა კიდეც სახლში,
მაგრამ ქალი ემუდარა
,,ცოტა ხანი კიდევ დარჩი.,,

მერე უცებ წამოდგა და
კარგად ვარო შემოსძახა,
,,მაგრამ ისე ვერ გაგიშვებ
დავლიოთო თითო ყავა,,

ყავის სუნი დატრიალდა
ფინჯან ყავას ეხლა რა სჯობს,
მაცდურ ქალებს რა გამოლევს
მამაკაცთა სადარაჯოს.

დალია და ცოტა ხანში
გადაეკრა თვალზე ბინდი,
იმ საღამოს იქ რა მოხდა
მხოლოდ მან და ქალმა იცის.

მერე ცოტა ხანს ჩასთვლიმა,
ცოტა გულიც აუთრთოლდა,
და როდესაც გამოფხიზლდა
ჯიბეს ფულიც აღარ ჰქონდა.

წამოდგა და იწყო ძებნა
ის მაცდური არსად იყო,
ის გარყვნილი ქალბატონი
უცაბედად გამქრალიყო.
-9-
სახლში ცოლი ელოდება
მაგრამ არ ჩანს მისი ქმარი,
ვის შესჩივლოს?-არვინ იცის
სად წავიდა ამირანი.

გვიანია როცა უკვე
დაუბრუნდა სახლში ქმარი,
და მოუყვა რაც გადახდა,
ცხადი იყო თუ სიზმარი.

შეცბა თამარ,-ეს რა ქენი
მიღალატე ჩემო ქმარო?
ასე როგორ მომექეცი
ერთადერთო საფიცარო.

;თამარ!-როგორ გიღალატე
არც კი მახსოვს იქ რა მოხდა,
წამოსვლას რომ ვაპირებდი
ვნახე ფულიც აღარ მქონდა.

კიდევ კარგი,ამ საღამოს
არ ვმართავდი ავტომობილს,
თორემ მასაც მომპარავდა
ის ქურდობას აყოლილი.

და მოუყვა მისხალ-მისხალ
როგორ გახდა ცუდათ ქალი,
მერე ისე გაიპარა
არ დატოვა არსად კვალი.

რა ვქნა თამარ მე არ მახსოვს
ყავის მერე იქ რა მოხდა,
ვფიცავ,არაფერს გიმალავ
თუ არ გჯერა აქვე მომკალ.

,,არა ჩემო სიყვარულო,
შენ სიმართლე მუდამ გშვენის,
რას იზამ თუ ასე მოხდა
ხომ არ იყო ნება შენი.

და მეუღლემ დაამშვიდა
ტკბილი სიტყვით ამირანი,
მისი სიცოცხლის ნაწილი
მისი სულის საფიცარი.
-10-
უყურებდა ამირანი
დაჩის საოცარ მსგავსებას,
გადაწყვიტა დეენემზე
ანალიზის გაკეთება.

ერთ დღეს პასუხიც მოვიდა
შეფუცხუნდა ამირანი,
პასუხია დადებითი
ბავშვი მართლაც მისი არი.

გადაწყვიტა მოეძებნა
უვარგისი დედამისი,
და პასუხი მოეთხოვა
სად დატოვა შვილი თვისი.

გავიდა და გაყვა ქუჩებს
ძლივს მიაგნო იმ ძველ ბინას,
სადაც მოხვდა მოტყუებით
სადაც ყავამ მიაძინა.

ღილაკს თითი დააჭირა,
სულ სხვა ხალხი დახვდა სახლში,
,,წლების წინ რომ აქ ცხოვრობდა
სად მოვნახო მე ის ქალი,,?

დიდი ხნის წინ გვყვავდა მდგმური
მას სახელად ერქვა ნენა
მატყუარა,ყალთაბანდი,
ბევრი გვახსოვს მისგან წყენა.

მოიპარა თუ რამ გვქონდა,
გაიპარა მერე სხვაგან,
ვერ ვიპოვეთ რადგან თურმე,
გვარ-სახელი შეიცვალა.

მაგრამ შეგიძლია ნახო
ახლობელი თუ ხარ მისი,
აქვე ახლოს ცხოვრობს თურმე
უბედური დედამისი.

მისამართი გამოართვა
და გაუდგა გზას მანქანით,
მოხუც ქალბატონს მიადგა,
აღარ მისცა გასაქანი.

სთხოვა საქმე მაქვს პირადი,
უცილობლად უნდა ვნახო,
,,აბა შვილო,მეც არ ვიცი
რა გითხრა ან სად მოვნახო,,

და მოუყვა დედაბერი,
რომ არა თვლის თავის შვილად,
სათანადოდ ვერ აღზარდა,
უვარგისი ერგო წილად.

უთხრა,მხოლოდ ის ვიცი რომ,
ბოლოს ვნახე ორსულიო,
თურმე გაჩენისთანავე
ნაგავს დატოვა შვილიო.

საზღვარგარეთ გადასულა
ძლივს გავიგე სად წავიდა,
წლების მერე ხმისკანკალით
როგორც იქნა დამირეკა.

მომაკვდავი სენი სჭირს და
წამოსვლაც არ შეუძლია,
მაშინ მითხრა აღსარება,
ბავშვი ნაგავს მიუგდია.

შემაჟრჟოლა ამ ამბავმა
ვუთხარ განვედ სატანაო,
არ დაბრუნდე არასოდეს
არ მაქვს შენი ატანაო.

აქვითინდა დედაბერი.
დაიღვარა იქვე ცრემლად,
,,ოხ, შვილებო,გულს რად უკლავთ,
მოხუცებულ მშობელ დედას,,.

მოუსმინა ამირანმა
დააზუსტა ყველაფერი,
გამობრუნდა სახლისაკენ,
ვეღარ უთხრა ვერაფერი.

-10-
როცა ამირან სახლში შევიდა,
თამარს ვახშამი უკვე მზად ჰქონდა,
დაჩი რომ მამას გადაეხვია
მის შემხედვარე კაცი ათრთოლდა.

ცრემლი მოაწვა მის მწვანე თვალებს,
როგორ აუხსნას ბიჭ ეს წარსული,
ჯერ პატარაა ინერვიულებს,
დაეჩაგრება ეს ნორჩი გული.

გადაწყვიტა რომ არ ეთქვა მისთვის,
და საიდუმლო ცოდვაა განა?
ან რა მოხდება როცა გაიგებს
ნაგავზე როგორ იპოვა ძაღლმა.

გვერდით მოისვა მეუღლე თვისი,
უთხრა ის დღე თუ გახსოვს თამრიკო?
როცა უაზროდ დავბრუნდი სახლში
და ვერ ვხვდებოდი ჩემს თავს რა იყო.

,,ნუ ნერვიულობ ეხლა მაგაზე
ნუღარ იხსენებ იმას რაც მოხდა,
ნუთუ ის ღამე არ დაგავიწყდა?
ის კახპა ქალი შენში არ მოკვდა?

,,ეხ ჩემო თამარ შენ რომ იცოდე
ეს რომ გავიგე მეც სახტად დავრჩი,
თურმე ყმაწვილი,ვინც ჩვენ ვიპოვეთ
ჩემი ნამდვილი შვილია დაჩი.

თამარს თვალებზე ბინდი გადეკრა,
თითქოს ადრედაც გრძნობდა მსგავსებას,
ერთხელაც უთხრა ,,ამირან ხედავ?
ბავშვი თანდათან შენ გემსგავსება.

ეხლა ქმარმა რომ უთხრა სიმართლე
არ დაუმალა მას არაფერი,
თამარი სულმთლად გადაირია
მღელვარებისგან დაკარგა ფერი.

როცა დამშვიდდა უხრა,,ამირან
უკეთესია ასე რომ მოხდა,
ეხლა ხომ უფრო ბედნიერი ხარ
დაჩი რომ შენი შვილი აღმოჩნდა,,

ნურაფერს ვეტყვით ცოდოა ბავშვი
დე როგორც არის ასე გაგრძელეს,
იყოს ჩვენს ხელში გახარებული
და ამ ოჯახში ტკბილად დაბერდეს.

-11-
მას შემდეგ განვლო მრავალმა წელმა
და მზეც ახალი იყო ჩასული,
როცა უეცრად ვაჟკაცმა დაჩიმ
ცოლად შეირთო ტურფა ასული.

მერე დაიწყო შვილთა სიმრავლე,
ტყუპებს თან მოჰყვა მეორე წყვილი,
ღმერთმა აკურთხა მზია და დაჩი
და მათ აჩუქა მრავალი შვილი.

აქ უკვე მოხუცს ენა დაება,
ბავშვებმა ცქვიტეს უკვე ყურები,
ჩვნც ხომ ასე ვართ ჩემო ბაბუა,
ჩვენც ვიბადებით სულ ტყუპ-ტყუპები.

და აგერ ხედავ?ექვსნი ვართ უკვე
ჩვენში სხვაობა თითო წელია,
ჩვენი მშობლები დილა-საღამოს
უფალს ჩვენს გაზრდას ევედრებიან.

სად ხართ გიორგი?-მზად არს ვახშამი
კარებს მოადგა ბებო თამარი,
სიკეთით სავსე,მზრუნველი ცოლი
ქალი მზისა და მთვარის სადარი.

აქ მოდი თამარ ,მინდა რაღაც ვთქვა
ლუკა და მზია დაბრუნდნენ სახლში?
ეხლა ამ ამბის დასასრულს ვყვები,
უკვე მზადაა აქ ყველა ბავშვი.

გვერდით მოისვა თბილი მეუღლე,
ალერსითა და სითბოთი სავსე,
მისადმი ერთი შეხედვა ოჯახს
სიხარული და ხალისით ავსებს.

მერე შეხედა ექვსივ შვილიშვილს,
რომ შესქეროდნენ ცნობისმოყვარედ,
,,ვხედავ გამხდარხართ ჩემო შვილებო
ამ რეალური ამბის მოყვარე,,.

რეალურიო? იკიტხეს ერთხმად,
გადავიღალეთ უკვე ლოდინით,
გვითხარი ბაბუ,თორემ კითხვები
გულზე გვაწვება დიდი ლოდივით.

გიორგიმ ძალა მოიკრიფა და
არც აცხელა და აღარც აცია,
,,ამირანი რომ ერქვა სახელად
ჩემო შვილებო,მე ის კაცი ვარ,,.

მე მოგიყევით ჩვენი ამბავი,
მხოლოდ შევცვალე კაცთა სახელი,
დედათქვენი ხომ მართლაც მზიაა
ბებო თამარიც აგერ დგას ქალი.

ის ბიჭი დაჩი -ჩემი ლუკაა
მამაა თქვენი, ჩვენი კი შვილი
სწორედ ისაა ნაგავსაყრელზე
გადაგდებული, პატარა ჩვილი.

მამამ გაიგო?-კი,მოვუყევი
სულ რაღაც ხუთი ექვსი დღის წინათ,
და გადავწყვიტე თქვენც რომ გცოდნოდათ
როგორი ბედი ერგო მას წილად.

შვილებო,ეხლა თქვენ დიდები ხართ,
დღეს თუ ხვალ უკვე დაოჯახდებით,
თქვენც გეყოლებათ ბევრი შვილები,
ყველა დედა და მამა გახდებით.

მგონი რომ ჩაწვდით თხრობის შინაარს
რაც მოგიყევით სამაგალითოდ,
ქალებო,შვილებს ნუ მიატოვებთ
კაცებო ცოლებს არ უღალატოთ.

ესაა ჩემი თქვენდამი თქმული,
პატივი ეცით ღირსებას თქვენსას,
ამ მძიმე ამბის მოსმენის მერე
გამგები უნდა მსმენელსაც,მთქმელსაც.

წამოდგა ბაბუ,ტვირთჩამოხსნილი,
შემოსეოდა უკვე შიმშილი,
ადღაც წარსულში იხედებოდნენ
ბავშვები ჯერაც პირდაფჩენილი.

ეხლა ადექით სუფრას მივუსხდეთ
უკვე გითხარით რაც უნდა მეთქვა,
ასეთი იყო უფლის განგება
ასე ისურვა თვით მამა-ღმერთმა.

გიორგიმ შვებით ამოისუნთქა,
თავის თამარის მოხვია ხელი,
სავახშმო სუფრა უკვე მზადაა
და გემრიელი ვახშამი ელით.

27/2/2021

პატრიოტული პოეზია

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს

ხ ა ლ ხ უ რ ი

მუმლი მუხასაო

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი ჰქრეგოდაო,
მუმლი წყდეგოდაო,
ხე არ ხმეგოდაო.

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო.

წყალი შეგუბდაო,
ნაპირს გადვიდაო,
მუმლი შეწუხდაო,
მალე დაიხრჩვაო.

მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო.

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდაც ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია.
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის
მოძმე, ერი და ბერია.

კიდევაც დაიზრდებიან

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი.

მამული

მამულო, შენთვის მოვკვდები,
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შემოგევლები თავსაო.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ!

ქართველო, ხელი ხმარს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.
მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.
მამულის დამხსნელს ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც,
მტერთან გულდაგულ ომია.
თავისუფლების მშოვნელი
ამქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!
მაშ, მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
ქართველო, ხელი ხმარს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა

იოანე ზოსიმე
X ს.

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა
საწამებლად,
რაჲთა ყოველსა ენასა
ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე.

და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქჳიან!
და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაჲ.

და მეგობრობაჲ
ამისთჳს თქუა [მახარებელმან],
ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკვდარი
ამისთჳს თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან,
რამეთუ „წელი ათასი –
ვითარცა ერთი დღეჸ“.

და სახარებასა შინა ქართულსა
თავსა, ხოლო მათეჸსსა
წერილი ზის, რომელ ასოჲ არს,
და იტყჳს ყოვლად
ოთხ ათასსა მარაგსა, –

და ესე არს ოთხი დღეჸ,
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთჳს მისთანავე დაფლული
სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ (ქართული)
შემკული და კურთხეული სახელითა
უფლისაიჲთა,
მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა
უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს:
ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი
უმეტჸს სხუათა ენათა
ქრისტჸს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი,
რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ესე წილი ანბანისაჲ.

დავით აღმაშენებელი
1073 – 1125

გალობანი სინანულისანი
ადიდებთითსა (გალობაჲ IX)
ძლისპირი: მტვირთველმან გამოუთქმელმან

1. ჟამი რაჲ წვლილთა და ხმელთა
აღმოთშვინვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ
დაშრტეს,
შვებანი უქმ იქმნნენ,
ყვავილოვნებაჲ დაჭნეს,
სხვამან მიიღოს სკიპტრაჲ,
სხვასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

2. გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა
სასჯელისასა
და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე
განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

3. ვინაჲთგან აღსაარებით გრძნობად და
შეკრებად იწყო
ძვალი ძვალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განხმელთა მოჰბერა
სული კვალად-შობისაჲ,
მრწამს, ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ

4. მარტივო, სრულო, სამ მზეო, ერთ
ცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა,
სულით□ღმთისაჲთა ძებ
გამოგვიბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა.

5. არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ
თვინიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა ნათელი მისი,
გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო,
ვესავ, ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა.

არსენ იყალთოელი
XI – XII ს.ს.

დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწღა ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

შოთა რუსთაველი
XII-XIII ს.ს.

ვეფხისტყაოსანი

ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე

დაჯდა წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად:
ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისად!
ვერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად;
შემინდევ და წამატანე მოწყალება ღმრთეებრისად.

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განბრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
“სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა”.

რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
“სიყვარული აღგვამაღლებს”, ვით ეუვანნი, ამას ულერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.
მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების,
თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვენების;
მე ვით გავძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა;
აწ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა,
სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!

არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენვე გნახნე მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად;
მას რა ვარგო, ესე ჩემთვის დიდებად და კმარის დავლად.

მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუთუ წასლვამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

არ-დავიწყება მოყვრისა არ‌ოდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა?!

რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,

თუ ვერა გნახე ცოცხალმან, ყოფამცა მქონდა ჟამისად.
თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლმობელმან.

მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

რაცა თქვენთვის არ ვარგ იყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წარსაგებლად!
შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად.

ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გკადრებს, არ გეთნევის,
არას მარგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევის,
შემინდევ და შემივედრე, მკვდარსა რაღა გარდმეხდევის!

გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა,
ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა, –
ნუგეშინის-ეც წყალობით, ჩემგან წყალობა-ჩვეულსა,
ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა.

„გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა.
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა!
ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი მნელითა,
სუფევითმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალველითა!“

მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა,
შენ დაგამეტებს ვერავინ მსახურებითა ვერითა“.
მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერითა.

დავით გურამიშვილი
1705-1792

ქართლის ჭირი

(ამონარიდი კრებულიდან „დავითიანი“)

163 ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი.

164 თურქი, სპარსი,ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვერდრეს ხიშტი!

165 ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას ცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,-
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

170 მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

182 კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!

183 უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!
თარჯ-თომრიან ჯიღოანნი გაგვიხადა, ქმნა უჯიღო!
მხამს გიტყებდე მეფის ბიღით, ვარსამისა სავსე მჯიღო.

XIX საუკუნე

ალექსანდრე ჭავჭავაძე
1786 – 1846

ვისაც გსურთ

ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს;
მისმინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა
ურვისგან გულშეპყრობილს.

მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მეახლვის წყლული.
ვისაც გსურთ და სხვა.

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვყვან ნების წარმტაცველად;
ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცვლელად,
გველივე ჰშთება გველად.
ვისაც გსურთ და სხვა.

ლმობითა ვხედავ ყოვლთ წარმავალთა
მოხუცთა, ვაჟთა, ქალთა.
გრძნობა რაიმე აღმივსებს თვალთა
და მადენს ცრემლთა ცხართა.
ვისაც გსურთ და სხვა.

კაცთ უბედობა, თუმცა სატირე, –
გარნა რად განსაკვირე, –
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მზირე.
ვისაც გსურთ და სხვა.

გრიგოლ ორბელიანი
1804 – 1883

* * *

ჰე, ივერიავ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...
ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,
ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის,
ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის,
დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების.

ნიკოლოზ ბარათაშვილი
1817 – 1845

ფიქრნი მტკვრის პირას

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე – ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

რაფიელ ერისთავი
1824 – 1901

სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, – ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლის სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.

ილია ჭავჭავაძე
1837 – 1907

****

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!...
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია ...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?

აკაკი წერეთელი
1840 – 1915

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..

ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

გიორგი შარვაშიძე
1846 – 1918

მამულს

სალამსა გიძღვნი, ჰოი, მამულო!
ობლის სიცოცხლის ჩემის მიზეზო.
ძველის დროიდან უხვად ქებულო,
ძველის ხსოვნითა მარად ლამაზო.
იმ კარგის დროის, როს შენნი შვილნი
შენის შვილობით ამპარტავნებდნენ,
როს მათნი გმირულ მომართულ მშვილდნი
მტერს აწუხებდნენ, არ მოუშვებდნენ.
როს სულით წმინდით ამაღლებულნი,
სახითა წყნარით, ლომებრ გულითა,
ტურფა ვაჟნი ხმალ–გაშიშვლებულნი
თავს გევლებოდნენ სიყვარულითა.
როს ათინელთა მეცნიერების
ლამპარი მაინც გაანათებდა,
და საყვირთ ცემა ხშირის ლაშქრობის
გონების აზრსა არ აყრუებდა.
იმ დროის, როცა პატიოსნება,
ნდობა, ერთობა, სიტყვა უცვალი
ნამდვილ მეფობდნენ, არ ვით ოცნება,
რომელთ არ დარჩა არც სუსტი კვალი!
მაშინ მეცოცხლა, მაშინ მენახე,
სრულად ვიგრძნობდი ბედნიერებას
და ერთის ხმითა ზღვა, მიწა, ტყე, ხე
ჩემთან იმღერდნენ განგების ქებას.
ეხლა რას ვხედავთ? დიდება ჭკუის
წვრილმან ლტოლვებზედ დახურდულია,
აბჯარი მუხთლობს, გლახ ღონე ტყუის,
გზა იმედისაც ბნელით ხშულია.
ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი,
ჰოი, მამულო! სინათლეს გისპობს;
მხოლოდ ელბუზი, ლაღად აყრდნილი,
მოხუცის თავით წყვდიადსა აპობს.
იმ თეთრ ნაკვეთით ჩამოღელვიან
კვნესით, ღრიალით ცრემლნი გლოვისა
და ათას ღარად მკერდს უხეთქიან
ნიშნად ზარისა უბედობისა.

ვაჟა-ფშაველა
1861 – 1915

სიმღერა
(ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს)

არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა.
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა.
ჩემს გარდა ასეთს ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.

საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას – ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჟღი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია:
ია, უღრანს ტყეს მოსული,
თალხ-კაბა, ენა-მტკბარია,

კლდის თავს გაშლილი პირიმზე, –
მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელოზედ
ბრჭყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების ქუხილი,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.

ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რომ მესმის,
იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.

ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დავუზიანებ.

ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რომ მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ.

დუტუ მეგრელი
1867 – 1938

პატარა ქართველი

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო,
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი,
ძველი ტაო, იმერხევი,
საინგილო და ლაზეთი,
მთიულეთი – საარაკო,
და აჭარის ზღვა და მდელო,
ყველა ჩემი სამშობლოა
საყვარელი საქართველო.
ქვეყნის თვალი ეს ქვეყანა
ღვთისმშობლისა არის წილი;
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი;
ხან თუ მტერი აოხრებდა,
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის,
ბრწყინვალე დღეც დასდგომია,
დრო დავითის და თამარის!..
მე პატარა ქართველი ვარ,
სახელოვან ერის შვილი
და მსურს მერგოს სასახელო
მეც სიცოცხლე და სიკვდილი!

XX საუკუნე

იეთიმ გურჯი
1875 – 1940

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო!

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად მოვედი.

ჩვენო ციხევ, ძველო ნარიყალაო,
საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,
შენი შვილი პოლშის ციხემ მმალაო,
სისხლგამშრალი სალოცავად მოვედი.

დიდო ზარო, ჩვენი სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო,
ნაწამები საბანაოდ მოვედი.

ძმანო ჩემნო: ჰაოს, ქართლოსისაო,
გატანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო,
გაყიდული ორპირ მეგობრისაო,
გამარჯობათ! იეთიმ გურჯი მოვედი!

გიორგი ქუჩიშვილი
1886 – 1947

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.

ვინც მისწვდება ჩვენი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს!

საარაკო სილამაზე,
ხალხიც სასახელო,
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო!

სანდრო შანშიაშვილი
1888 – 1979

არ ეძებდი შენ გვირგვინს

გიორგი სააკაძისადმი

არ ეძებდი შენ გვირგვინს,
არც დიდებას, არც სახელს.
დასთმე შვილი, ოჯახი,
მიეც გული ზღვა ნაღველს.

მუდამ ერიდებოდი
პირად შურისძიებას,
გულით მიესწრაფოდი
ქვეყნის აღორძინებას!

მაგრამ შენი სურვილი
და სინათლე ახალი,
სხვის გულს ანადგურებდა,
როგორც ბასრი ლახვარი.

ირგვლივ შადიმანები
გველებრ დასისინებდნენ,
შხამს და ბოღმას ანთხევდნენ,
პირში გაგიცინებდნენ.

სიძულვილი დათესეს,
კერა გამოგაცალეს,
დიდი ზრახვის ხორცშესხმა
დიდ კაცს აღარ გაცალეს.

შენ დაეცი ვაჟკაცურ,
შენი მტერიც მკვდარია,
საქართველო რომ იხსენ,
მოწმე ნატახტარია.

ადრე მოხველ რჩეული,
წახველ დიდი წამები!
ზოგნი დღესაც გზომავენ
შადიმანის თვალებით.

იოსებ გრიშაშვილი
1889 – 1965

ტრიოლეტები შეითანბაზარში

შეითანბაზარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი,
ტრიოლეტივით დავყიალობ გაღმა-გამოღმა.
და ვით აშოღლანს ეტმასნება ქალი ავხორცი
(შეითანბაზარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი),
არც მე მასვენებს საქართველოს დარდი და ბოღმა:
სიტყვა – მზის ნაღმით ნარიყალის ნაშთზე ნატყორცი?
შეითანბაზარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი,
ტრიოლეტივით დავყიალობ გაღმა-გამოღმა!
ამ ქუჩაბინდში მე მინახავს ძველი ამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი,
უსტაბაშს ჰშვენის მოფარფარე მზის ყალამქარი
(ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი),
და ჰგალობს ზურნა დილის საარს ჰანგღვთაებრივი.
ღღეს კი ამოტყდა მეყსეულად გრიგალი – ქარი
და სადღა არი ყარაჩოღელთ ლხინი თუ კრივი?...
ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი.
ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი,
მაგრამ ქვრივ რითმას არ გავყვები არასდროს ქმარად!
არ მომწონს რითმა ბესიკისა: „გაზი“ თუ „რაზი“ –
(ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი).
რითმა ყოველთვის ხმალში იწვევს აზრს საომარად,
მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი
და შოთას სიტყვის ჰარამხანას ვდარაჯობ მარად!...
ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი,
მაგრამ ქვრივ რითმას არ გავყვები არასდროს ქმარად!
მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს,
ან მსურს მტკვრის ტალღამ ორთაჭალის ხრამს დამაგუბოს
(მიყვარს თბილისი!.. ირაკლივით მუდამ მშფოთარი!).
და მე არ მინდა სხვა ანდერძი არავითარი;
ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აუღერეთ თარი...
რომ საიქიოს საიათნოვა არ წამეჩხუბოს!
მიყვარს თბილისი!... ირაკლივით მუდამ მშფოთარი
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს.

გალაკტიონ ტაბიძე
1891 – 1959

მშობლიური ეფემერა

ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს –
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ – მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!...
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...
გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...
ფერები ჭევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი – ლილა და შვინდი...
ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით,
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა.
ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდენ,
დარიალიდან ზარავდა ზარა.
სულ ერთი წამით, განსაცდელ ჟამად,
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო.
მოგონებები, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!..
შეხავსებია კლდეები კლდეებს.
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – კვლავ ვკითხავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!...

პაოლო იაშვილი
1894 – 1937

მდუმარე ვედრება

ღმერთო! შენ დაამშვიდე ჩემი მამული,
ის არის სისხლით დანამული.
მან არ იცის – სიხარული როგორია!
უფალო! ჩემი ხვეწნა – ამბორია.
    წინათ მას სდარაჯობდა ქალწული ნინო,
    დღეს კი ქართველი სამშობლოში არი ულხინო!
    ღმერთო! სად არი ჩვენი ბედი, ჩვენი იღბალი!
    სუსტი ვარ, მაგრამ მენატრება გმირების ხმალი!
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი და – წმინდა.
როცა მხურვალეთ მომინდება მამულზე ლოცვა.
მაგრამ მე ვიცი, არ დაგვტოვებ, უფალო, ისთე –
რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს ახალი ქრისტე,
    რომ კიდევ ერთხელ არ ვიხილოთ მტრის მორჩილობა
    და სიხარულით შევიხვიოთ მკერდის ჭრილობა,

ღმერთო! გვისმინე! ნუ დაგვტოვებ ქართველებს მარტო,
მე აღარ ვიცი, როგორ გითხრა, როგორ მოგმართო!
ქვეყნიერების სიხარული როცა იწყება,
მე მეშინია საქართველოს გადავიწყება.
უფალო! შენ ხარ ქვეყნის მეფე, ქვეყნის მართველი,
დიდი ხანია შენს წინაშე იწვის ქართველი!
და ჩვენი ლოცვა დღეს სხვა ლოცვას აღარ ედრება,
უკანასკნელი გავიგონე, ღმერთო, ვედრება!

კოლაუ ნადირაძე
1895 – 1990

ოცნება საქართველოზე

სანდრო ცირეკიძეს

დავიწყებული ძველი ფონები
და ნანგრევები დიდ ციხეების:
ჩვენი დიდება მოსაგონები,
ფართო ჩრდილები ცაცხვის ხეების.
შედიხარ ჩუმად, გრილი ტაძარი...
მოთაფლისფერო სახე მამების;
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი
და შავი ხატი წმინდა სამების.
ნიშანი ბედის – კარზე ნალები,
სახურავები დახავსებული
და ღვთისმშობელის მოგრძო თვალები
უმანკო სევდით ამოვსებული.
ო, მაგ უნაზეს მკლავების სითბო
და მარგალიტისფერი სხეული
წარსულზე ფიქრით ოცნებას მიტკბობს –
გულში რომ არის ჩამონთხეული.
ოღონდაც ერთხელ მაინც მენახა
შენი მანდილის მაღლიდან რხევა,
გამევლო ღამით ჩუმი ვენახი
და კოშკის კარი გაეღო მხევალს...

დღეს, როცა მინებს წვიმა ასკდება
და ტვინს მიბურღავს მწუხარე ფიქრი, –
ჩემი ოცნებაც გედივით კვდება
და იფარება სათუთი ფიფქით.
კრწანისის ახლოს ყიოდა გედი,
ქარი მიწამდე აწვენდა ლერწამს...
სხვა რა მოხდება იმაზე მეტი,
რაც დღემდე გულის ფიცარს მილეწავს?!
დიდ გზასთან
პატარა ღრუბელს, დარჩენილს მარტოდ,
მისდევს სილაზე მსუბუქი ჩრდილი
და მთელი არე სუფთა და ფართო
სუნთქავს დამტკბარი მზითა და დილით.
და თითქოს წამით, წვეთად ქცეული,
ზეცა და სივრცე გულში მეღვრება!
სითბო, მაღლიდან გადმორხეული
მიწას და სხეულს ჩემსას ეკვრება.
თვლემს ყოველივე, ნიავი გრილი
სხივებს აუღერებს ოქროს სიმებად.
ვზივარ უძრავად, ვარ თავდახრილი,
დიდ გზას გავყურებ და მეღიმება.

ტიციან ტაბიძე
1895 – 1937

მაშ, გამარჯვება...

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
– მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა, რომ მზეთ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!

სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წავა, გაქრება, როგორც სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.

ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

– სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,
და საქართველოს მედგას უღელი:
– მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

ნიკოლო მიწიშვილი
1896 – 1937

რუსთაველი
პოემიდან „შავი ვარსკვლავი“

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები?
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის უღვთო თარეში?
დიდი დავითი, თამარი და კახთა ბატონი.
მოურავი და სოლომონის გამრისხანება.
გრემი. იყალთო. სიონი და წმინდა ათონი.
ქართლის ძუძუზე დაწრეტილი თათრის ხანები, –
მათ ხსენებაზე დავიწყება დაიბანაკებს.
ეგ ყველაფერი უმზეო და უსაბუთოა:
საქართველოს ბედს შოთა-ღმერთი მარტო
განაგებს.
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.
და როცა ქართლი სასიკვდილოდ დაისუდრება
და მის გონებას მოაწვება ცხელი ანთება,
როცა ივერი გასახმობად გაიფუთრება
და მისი ჯიში ქვეყნით-ქვეყნად გაიფანტება, –
მაშინ ქვეყანა მარტო შოთას გაახსენდება.
ანაფორაში ის დადგება უფლის წინაშე.
საქართველოდან მოწყვეტილი ის აინთება
და საქართველოს გაანათებს პალესტინაში.
რუსთველის ხატთან მე ვაგდივარ
ხელგაბაწრული
და უკვდავ სახეს გაბაწრული მე ვევედრები:
მიიღე გული, სიყვარულით გადაბასრული,
მფარველო ჩემო, შენს სიყვარულს რა შეედრება.
შემდეგ შევფიცავ პოეტების მაღალ სიაზე,
უფლის ბაღიდან რომ დასწურეს შხამის მტევნები.
ვილოცებ მათზე, ავტირდები პოეზიაზე
და ნატირალი კვლავ სიყვარულს დავედევნები.

რაჟდენ გვეტაძე
1897 – 1952

მარო მაყაშვილს

მე არ გიცნობდით, ამორძალო, სწორო თამარის, –
მაქვს სანანებლათ თქვენი სახის უნახველობა.
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ვარდი ფარავს სამარის.

ო, არ დაგცალდათ ნაზი ცქერა მზიან კამარის,
და როს იგრძენი გშორდებოდა უნაღველობა –
გტანჯავდა უხმოთ განწირული ბედის ქველობა
და სიყვარული საქორწილო თეთრი ქამარის.

მოსჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი.
და უჩვევ შიშით ვეფვარები ქვის მოაჯირებს:
მოულოდნელათ თქვენს სასთუმალს მოძვრება ჯვარი –

ვით ქაფის სვეტი წამოდგებით გაშლილ ქოჩორით.
და მოგონებით გულდაწყვეტილს დიდხანს გაჩერებს:
ქოროღლის ციხე, ტაბახმელა, რუხი კოჯორი.

ტერენტი გრანელი
1897 – 1934

სამშობლოს

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

როგორც ოხვრა შორეული გედის,
ანდა როგორც მარმარილო ცივი, –
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი,
შენ გაიგებ ჩემს ამნაირ ტირილს.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

გიორგი ლეონიძე
1900 – 1966

ნინოწმინდის ღამე

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში – ჯამი აქაფებული,
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ – ვეფხვი დაქალებული...
საზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა-ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...
ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!
როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...
წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!
ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

მიხა ხელაშვილი
1900 – 1925

იმედი

უკვდავი არის იმედი
თუმც ზამთარია ტიალი,
ეს თოვლი ადრე დადნება
წყლებმა გაიღოს ჩხრიალი,
თეთრმა მანდილმა მთებისამ
მწვანედ დაიწყოს ციალი,
და თბილისისკე ქართულმა
ჯარმა მოიღოს გრიალი;
ამ დროსთვის ვიყვე გმირულად
იდგეს ხმალ-ხანჯრის ტრიალი,
ვუჩვენოთ მტერთა – ორგულთა
ეროვნულ დროშის ფრიალი.

სიმონ ჩიქოვანი
1903 – 1966

ქართველი დედა

ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას,
მოკაზმული ხმლით და მუზარადით.
ქართლის დროშა დაულოცა მხედართ,
როს დაგვესხა მტერი მუხანათი.

შეჯირითდნენ გულადები ცეცხლში,
ჩაინერგეს მხოლოდ ვაჟკაცობა,
ამშვენებდათ საქართველოს ეშხი,
თვითეულმა ხმალი გააცოფა.

ერთი დასჭრეს და შეირხა დროშა...
დედა გაჩნდა, მკლავის ანაბარა,
მედროშე შვილს შეაშველა ლოცვა,
მომდევნო ძეს დროშა ჩააბარა.

დასძახოდა: არ შეირყეს ტარი,
საქართველოს ძუძუს გაწოვებდით.
მტერი ჩეხეთ, შეაჩერეთ ქარი! –
ვით სამრეკლო რეკდა სასოებით.

დასძახოდა, თმები განიძარცვა,
თავდადებით აქეზებდა მხედართ,
ცხრა მარჯვენა დროშამ გადინაცვლა,
დაუხრელად დაუბრუნდა დედას.

არ ცივდება დედის ხმა და სისხლი,
ქართლის ნისლით სახე დაებანა,
მწვერვალივით ამშვენებდა ნისლი,
მისი თმები წვიმას დაემგვანა.

ფეხშიშველი წინ უძღოდა ლაშქარს
ანთებული დედა ქეთევანი.
არკინებდა მამულისთვის მაშვრალს,
ბნელს აპობდა ქართლის სატევარი.

წამომდგარი ლეჩაქს გადმოისვრის.
გორის ციხით ახლაც უხმობს მხედარს:
– მამულისთვის, ბრძოლა მამულისთვის! –
ქარში რეკავს საქართველოს დედა.

ნიკო სამადაშვილი
1905 – 1963

***

აქ დანდობილა გლეხი სახრეზე,
აქ შესწრებია ორშაბათ დილას.
ახლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზე –
ჯალალედინის შემოკრულ სილას.

აქ გაუხსნია გული დედოფალს,
თმაში ჩაუწნავს ბაფთის შაირი,
აქ თავის თითით ითხრიდა საფლავს
მწყემსდაღუპული სოფლის ნახირი.

ჟამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს,
რომ გარეთ ჟონავს ჭრაქის ნათელი.
ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს
რჯულ დაწყვეტილი ექვსი ქართველი.

აქ შეგეწირე ნეტავი, დედავ,
თავი დამედო და დაგეკალი,
ალბათ ოდესმე წესს ამიგებდა
შავი ღრუბლების ცივი წინწკალი.

რომ ეთქვათ ქარებს – მადლი დედაშენს!..
თან ღმერთს შესჭროდა საყდრების გლახა,
რომ ჩემი სისხლი, როგორც ზედაშე,
ქვევრში ჩაგესხა, დაგეტალახა.

...დაუსუსხია გზის გუჩქი ჭინჭარს,
ქანდაკება დგას აღთქმული მგზავრის.
ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს
ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი.

მათხოვარი ზის, როგორც ობობა –
მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ.

ირაკლი აბაშიძე
1909 – 1992

ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ – ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენას დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოველის მთქმელო,
ყოველის არ მთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
გრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან – ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,

ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

გიორგი შატბერაშვილი
1910 – 1965

იბერის ლექსი

ოდეს მამაცი იბერი,
ცისა და ქვეყნის ასაკის,
ლაღი და თვალებცისფერი,
მცხეთის მახლობლად დავსახლდი;
წელს ხმალი მება ხალიბის,
ხელში გუთანი მეჭირა,
ქვის ტახტზე ვიწექ ყარიბი,
ვარსკვლავების ქვეშ მეძინა.
ნათელ თუ წყვდიად ღამეში
უღრანში ვჩეხდი ახოებს,
ხარი მყავდა და კამეჩი,
ვეძებდი საბალახოებს.

მივდექ, დასისხლულ თითებით
მცხეთას ავაგე ტაძარი,
გაღმამთას ჯვარი შევაბი,
არმაზს ვაფრქვიე ნაცარი...
ოდითგან თრობის მომგონი
და მოყვარული სინათლის,
ურჩი არაბის, მონგოლის,
პარტახში ვაზებს ვწინდავდი.
ვახარე შავფხა თავთუხი,
კაჟით მოვხატე კევრები,
რთვლობას ვაჟურად დავდუღდი,
ტკბილით დავავსე ქვევრები...

და აი, რასაც ვნატრობდი:
ღვინო და პური მახობლის,
მოდით, მსურველო დათრობის,
სიყვარულის და ლაღობის.
მოდით, ჰქუხს ქვევრი თავღია,
თაღარში ბორგავს მაჭარი,
ვაჰ, თუ მოვტყუვდი, ჭმახია
ნამცვრევი და ნაჭაჭარი!

მოგაწვდით, არ დაგაძალებთ,
გულს ნაპერწკალი აღინთეთ,
თუ გეწამებათ, აცალეთ –
დავაჟკაცდეს და დაღვინდეს!
თუ თქვენმა გულმა შეირგო
ნაჟური ჩემი ვაზების,
უმალ ალავერდს გადმოვალ
საალავერდო თასებით!

გრიგოლ აბაშიძე
1914 – 1994

სამშობლოს

სამშობლო არც მარტო ლამაზი მთებია,
არც მარტო წარმტაცი მინდვრები!..
შენს სახელს გმირები ამბობენ დიდებით
და შემდეგ სიმღერით კვდებიან.

ეს გულიც შენთვის ძგერს მსხვერპლად მოსატანი,
შენგან ვერ გამრიყავს მე დრო და მანძილი,
რადგან თვითონა ვარ მე შენი ნაწილი –
სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი.

და გიმღერ, ჩემს თავზე თუნდ მეხმა იგრგვინოს,
ჩემო სალოცავო და ღამის სათევო,
სამშობლოვ, ჩემი ძილის წამრთმევო
და ჩემი კაცობის გვირგვინო!

ალეკო შენგელია
1914 – 1975

ანდერძი

იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ,
იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს,
ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას,
რიჟრაჟს ვფიცავ, ნისლებში რომ
იფერმკრთალებს;

თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს ცადასროლილს
წაეპარა ყორნისფერი ღამე მძიმედ, –
ამოვწვადო ხმალი ელვით ანაჟრჟოლი,
ვარსკვლავებით მოხატული, მოციმციმე.

თუ დავეცე, – ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

გული დამაქვს სიყვარულით განახელი,
მყვარებია... ჰო, ცრემლებიც მყვარებია;
ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი
ხანჯალივით გულში გამიტარებია.

გაღიმებაც შემიძლია აპრილისა,
ხარირემის ვაჟკაცური დაძახილიც...
– შენი ლექსი ქედმაღლურად გაჰყვირისო, –
მეტყვის ვინმე, სტრიქონებზე თავდახრილი.

– თაობა ვარ ავთანდილის გაწაფული,
სიყვარული უბით დამიტარებია,
ჩემი თეთრი ცისარტყელა, გაზაფხული,
თებერვალში აპრილს დამიდარებია...

დავიღუპო!.. ნუ მიტირებთ დანანებით...
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი...
ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები.

ლადო ასათიანი
1917 – 1943

სალაღობო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა!”

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება,
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
– შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი”.

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა!

მირზა გელოვანი
1917 – 1944

ქართლის მიწავ, უტკბილესო...

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!
ამ მწვანე ხეს, ძვლებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაჟურს,
კავკასიონს, ცამდე აწვდილს,
შავნაბადას, გულდაჟანგულს,
ამ გუჩქებს და იმ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ,
დაცემულთა დაქცეულ სისხლს,
დაღუპულთა ხსოვნას ვფიცავ,
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს,
სანამ ნისლებს შემოახვევს,
სააკაძის ხმალის ნატეხს
უკვდავებით ნათილისმარს,
ნარიყალას წარსულ სახეს,
აწ დარჩენილ ლიბოს ვფიცავ!
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინევს!-
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგვეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ.
ჩემო მიწავ! ლაჟვარდებში
ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით,
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები,
ვინც შებორკა მტრების ზრახვა
ვინც ქმნის მუდამ, – იგი მე ვარ
მე ჩემს თბილისს მალე ვნახავ
მე ნაომარ არწივს ვგევარ
შორს სახელი გამივარდა
შორს წასულან ჩემი ხმები
მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მიმაქვს მხრებით.

გაბრიელ ჯაბუშანური
1917 – 1968

ვაჟკაცური ძახილი

მომეცით ხმალი დამახურეთ თავზე ჩაჩქანი,
მომგვარეთ ლურჯა უხედნელი, გიჟი, უბელო,
არც თანამგზავრი მინდა ვინმე მივალ საჩქაროდ,
მხოლოდ მეგზურად მეყოლება მრუმე ღრუბელი.

უთქვამთ ვიღაცებს თითქოს ვაწყობ სიტყვებს ცარიელს,
ვითომ საქმით კი არ შემეძლოს სხვებთან დადგომა,
ვითომ სუსტი ვარ, უღონო და ბედდაცარული
და გამიჭირდეს გავაცხადო ჩემი ნათქვამი.

მივალ საზღვარზე ავი სიტყვით შენარხევ სულით,
ვანანებ, ვინაც ჩემი ქვეყნის მზეს ერქინება,
მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ ხმარობს მახვილს ხევსური,
და როგორ მღერის, როცა მოსულ მტერს ერკინება.

მომეცით ხმალი – თავს ვანებებ ლექსთა მოყოლას,
მინდა საქმითაც დავამტკიცო მღერა ქველური,
მარტო ვიბრძოლებ, როგორც ძველად ქისტი ჯოყოლა,
რომ ყველა ყბედებს დავუმოკლო ენა გველური.

იოსებ ნონეშვილი
1920 – 1980

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის...
დიდგორში მაშინ დანთებულ სანთლებს
არ ჩაქრობიათ ჯერ კიდევ ალი...

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის.

...და წასალეკად ჩვენს ველს და ზეგანს
მოაწყდა მტერი მუქარით, დავით...
მაგრამ თურქ-სელჯუკ დუშმანთა ზედან
აღიღო ხმალი
მეფემან დავით.

და სცეს ნაღარას და ბარბითს რა წამს
წამოიგრაგნენ რაზმები ფიცხლად.
პირველ დავითმა ცხენ-კაცი გასჭრა
და წვერი ხმლისა უწვდინა მიწას.

გაიძგრიალა ცაში ჰოროლმა,
მოზიდეს შვილდიც,
ბოძალიც სტყორცნეს...
მეფის ნახმლევი თითო-ოროლა
ახლაც შრეებად ატყვიათ ბორცვებს.

დაზაფრეს მტერი,
თავზარი დასცეს,
დაცხრილეს ზეცა,
გატორეს ტევრი...
და თუმც სჭარბობდათ მომხდური ასჯერ,
დაცალეწეს და აოტეს მტერი...

რამეთუ დედასამშობლოს დაცვა,
რამეთუ დაცვა
მშობელი ერის,
რამეთუ დაცვა
რჯულის და ენის
ერთს აქცევს ასად...

დიდგორის ომმა მაშინ ჰყო ნათელ, –
როდია მთავარ
სიმრავლე ჯარის...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის.

დიდგორით მტერი შემდეგშიც ვმუსრეთ,
რეკდა დიდგორი „ჰკა მაგრად", „ვაშად"...
ცოტნე დადიანს ეხატა გულზე,
ხმალს უფხავებდა შამქორში ლაშქარს.

ხმა დიდგორისა
დედების ლოცვად,
ხმა დიდგორისა
მამების რისხვად
გვიხმობდა მებრძოლს,
გლეხკაცს თუ მგოსანს:
– სამშობლო ვიხსნათ!

დიდგორით მტერი შემდეგშიც ვძლიეთ,
გმირი აჩრდილი მრავალგზის ვიხმეთ...
იქნებ დიდგორიც
რუსთველის გმირებს
აღებინებდა ქაჯეთის ციხეს?!

რუხს და ბასიანს,
მარტყოფს, მარაბდას
გვედგა დავითის აჩრდილი დიდი.
ის გვამხნევებდა და გვიფარავდა
და დავითფერულს თამამად ვცდიდით.

...დრო გადის
...ჩვენს მთებს,
დიდგორის კალთებს
მთვარედ დაჰნათის დავითის ფარი...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის!

მურმან ლებანიძე
1922 – 2002

უფლისციხესთან ...

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, – დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

ალექსანდრე ბეგაშვილი
1923 – 1989

შენ გვასწავლიდი: საქართველო პირველ ყოვლისა!

ლევან გოთუას

გხედავდი,
შუბლი სიხარულით მესარკებოდა,
შენი ცხოვრება
მაგალითდ მესახებოდა!

გმირთა ვარამით გულჩამკვდარი,
ცრემლით ნაცვარი,
სამშობლოს დიდი სიყვარულის
ცეცხლით დამწვარი,
ერის ტრფიალი,
მტრის სიცოცხლის გამმწარებელი,
ხარ საქართველოს სიყვარულის
მასწავლებელი!

შენგან ვწავლობდი
აზვირთებას,
აბობოქრებას,
ჩვენი დიდების დასაცავად
ძალთა მოკრებას.

შენგან ვსწავლობდი
ჩვენი ენის ზრუნვით მოპყრობას,
ნამუსს,
კაცობას,
მტრის მტრობას და
მოყვრის მოყვრობას.

ცეცხლს გიკვესებდა ჩვენთა ძველთა
ბედი-ავბედი,
შენ სამშობლოსთვის იწვებოდი,
როგორც აბედი.

მონა ვიყავი
სამშობლოსთვის შენი თრთოლვისა,
შენ გვასწავლიდი:
საქართველო, პირველ ყოვლისა!

გმირთა ვარამით გულჩამკვდარი,
ცრემლით ნაცვარი.
სამშობლოს დიდი სიყვარულის
ცეცხლით დამწვარი,
ერის ტრფიალი,
მტრის სიცოცხლის გამმწარებელი –
ხარ საქართველოს სიყვარულის
მასწავლებელი!

ანა კალანდაძე
1924 – 2008

***

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლოს მპყრობელმან
ვისურვე დავით...

გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე“....
თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?

რაღა ქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
– ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი ყოველთა...

ოთარ მამფორია
1924 – 2000

საპაპაძის ძახილი

ქართლის მიწა ჩოხის კალთით დამქონდა,
მისთვის ღამე მითევია თეთრადა.
სხვა მიწაზე შავი მერნით დავქროდი
და ჩემს მკერდში საქართველო ფეთქავდა.

მარჯვენა და ხმალი ერთად მიჭრიდა,
წინ მიძღოდა ჩემი მიწის ხატება,
განსაცდელში ჩავარდნილს თუ მიჭირდა,
მასზე ფიქრი ძალას მომიმატებდა.

მაგრამ როცა დამილეწეს ბექთარი,
ჩემი ხელით გადავტეხე მახვილი.
ო, გული კი მანდ დავტოვე მფეთქავი,
დაჭრილი ვარ, გესმის ჩემი ძახილი?

ნოსტეს ციხევ! ნისლი მოგიხვევია,
სამშობლოში გშვენის მხარგაშლილობა.
ღრუბელი რომ ციდან მოგიხევია,
მაგ ღრუბელით დამიფარე ჭრილობა.

დაისრული ორჯერ ცრემლით გაგშორდი,
გამწირეს და მოღალატეს მადარეს.
ჩემი ხმალი, სისხლიანი, ნაბრძოლი,
სამშობლოში ორბებს გამოვატანე.

მხოლოდ ქარი არის სევდით მდაფნავი,
გვერდით ძმები სისხლით შენაფიცარი,
სხვა მიწაში მტანჯავს ჩემი საფლავი,
არ მეცემა საქართველოს ცის ნამი.

ამომიღეთ, მთები გადამატარეთ,
მკერდზე მწველი ამაცალეთ ისარი,
ქართლის მიწა გულზე გადამაყარეთ,
იქ წაიღეთ ჩემი კუბოს ფიცარი.

მიხეილ ქვლივიძე
1925 – 2005

პასუხი

„– რამ გადმოგაგდო, რამ გადმოგხვეწა?
– რამ? სიყვარულმა“.

ირ. აბაშიძე

მაშ, შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს,
არ გაჰქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია,
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია?!

იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მელექსე:
თეიმურაზი,
არჩილ მეფე,
ვახტანგ მეექვსე?
საბა-სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ გაბაშვილს,
მამულს მოსწყვიტა სამუდამოდ გურამიშვილი
და ბარათაშვილს ამოჰხადა სული შიმშილით?!

იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა ტყვია
ან სიყვარულმა ჰკრა მაჩაბელს ხელი სამიწე,
ან იქნებ იმას
სიყვარული
სახელად ჰქვია,
რამაც შეშალა მთის არწივი „მოჩხუბარიძე“?!

არა! ქართველთა გზა როდია ასე იოლი, –
თვითმკვლელობაა
დიდი საქმის ჩვენში დაწყება!..
სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი
და ქვაფენილებს
შურდულივით
დაენარცხება!

ოთარ ჭელიძე
1925 – 1998

ქიტესა

რად არ დამარქვა დედამ ქიტესა –
ძველი ქართველი გლეხის სახელი,
სად ჩაიკარგა, სად ჩაითესა
გავერანებულ ქვეყნის სახელი.
ბრძნული სახელი ბრძნულ სიმღერებში
ვერ იქნა, კარგად ვერ გაილექსა,
ვინ დაითვალოს გუთნისდედებში
სახელად რამდენს ერქვა ქიტესა.
ვინ დაითვალოს, მეცხოვნეთა
რაზმში ქიტესა იყო რამდენი, –
არ დამარხულან სვეტიცხოველთან,
თითოს ეღირსა თითო სანთელი.
გადავიწყებას ბევრი მიეცა,
თუმც მეფეებზე მაგრად იომეს,
სამ ჯარისკაცში თითო ქიტესა
ჰყავდათ გვაროვან ბაგრატიონებს.
ზოგს ქუხილივით გადაუვლია,
ზოგი ჩუქურთმის ჭრაში გათავდა,
ზოგი სპარსეთში დაკარგულია,
ზოგის სამარხი არის მარაბდა.
არ უნატრიათ გადიდკაცება
და გლეხკაცები – ქართლის ფესვები –
ჩაწვნენ მიწაში, ერის დამცველად,
რომ დაზრდილიყვნენ სხვა ქიტესები.
არც სახელისთვის, არც დიდებისთვის
არა სჩვეოდათ ხმის დაბოხება,
მათი აწმყო და მათი მერმისი
იყო მიზანში მტრის ამოღება.
ეჰე, მამულმა განა დაკარგა,
ვინც დაიტია ქვეყნის ნაღველი,
დედამ ქიტესა რად არ დამარქვა,
ძველი ქართველი გლეხის სახელი!

ფრიდონ ხალვაში
1925 – 2010

მითხარ, როგორაა მემლექეთი

1969 წელს ბურსაში ვნახე უნახავი მამიდა,
თვალცრემლიანი, ყოველ სულისმოთქმაზე
რომ მეხვეწებოდა:
– მითხარ, როგორაა მემლექეთი.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამთელო.
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
მე სულ მისი ფიქრით დავდიოდი,
ახლად დავიბადე, თბილისიდან
ხმა რომ დავიჭირე რადიოთი.
კაი მექართულე ვეღარა ვარ,
მაგრამ სული მიდუღს იმოდენა,
რომ შიგ სიტყვა, მარად მშობლიური,
როგორც გაზაფხული, იტოტება.
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
მცხეთა, ქობულეთი, კახაბერი,
იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,
მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს.

ლუკმა არ მაკლია, მართალია,
მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ,
აი, ამნაირად, უსიცოცხლოდ,
მთელმა სიცოცხლემა გაირბინა.
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
აქ ჩვენ არ გეგონოთ ჩამქრალები,
იზმითს ეგეოსის ნაპირებზეცვაგეთ
საქართველოს სახლკარები.
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამთელო.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე
1926 – 1993

მოლანდება თამარის ხიდთან

ო, რა სიჩუმეა,
ო, რა სიმშვიდეა,
დუმილი ქვათა და კირთა...
წარსულის კურცხლები
ცას ახლაც ჰკიდია
ბესლეთში,
თამარის ხიდთან...
ნისლებმა აფრები
აუშვეს უცებ და
გამოჩნდნენ ლანდები
მქრქალი...
დარახტულ რაინდებს
წინ მოუძღვება
ცხენზე ამხედრებული
ქალი...
მოგვიახლოვდა,
გაშალა ხელი
და ხიდთან
შველივით შედგა,
მირიადწლოვანი,
ოცნება მწველი
და საქართველოს დედა.
გადაიწერა სამჯერ პირჯვარი,
ის ქალღმერთს ჰგავდა
იმ წამს...
არ ჩამაყოლო, ღმერთო,
მტრის ჯავრი,
თქვა და
ემთხვია მიწას...
ხმალ-აბჯარასხმული,
სამშობლოს ჯავარი,
აღმძვრელი ათასთა
ფიქრთა,
დიდხანს ლოცულობდა
ღვთაება თამარი
ბესლეთში,
თამარის ხიდთან...
დაღამდა,
ცამ ფრთხილად დაუშვა
ფარდები, –
შემკული დაფნით და
მზითა,
კვლავ ზღაპრულ ცხენებზე
ამხედრდნენ ლანდები
ბესლეთში,
თამარის ხიდთან...
და მშვენიერი
დასრულდა სიზმარი,
შევხედე,
ცა ცრემლებს ღვრიდა...
ო, ღმერთო! –
ის ღამე,
ის წუთი,
ის წამი,
ათას წლის სიცოცხლედ ღირდა...
კეთილო მგზავრებო,
შეჩერდით,
შეჩერდით,
ბესლეთში,
თამარის ხიდთან...

ნოდარ გურეშიძე
1927 – 2004

ზურაბის ციხე

შენი გასატანი თუ არ გაიტანე,
თუ შენმა სახნისმა აღარ ისახნისა,
თუკი ზურაბივით შიგ არ ჩაეტანე, –
აღარ აშენდება ციხე სიმართლისა.

ფიქრი მამულისა
თუ არ შეგეთვისა,
ჯვარი გოლგოთაზე თუ არ აიტანე,
აღარ აშენდება ციხე სიკეთისა,
თუკი ზურაბივით შიგ არ ჩაეტანე.

არჩილ სულაკაური
1927 – 1997

მხოლოდ ერთხელ
(გიორგი ლეონიძის მონატრება)

მინდა,
ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!

მივდივარ და სად მივდივარ,
სადაური საითა?
ლელო ერთხელ გავიტანე,
განა კიდევ გავიტან?!

გუმბათს ერთხელ ჩამოვკიდე
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ
ჩამოვხსენი კარები.

მხოლოდ ერთხელ აღვაშენე
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დიდგორისკენ
მხოლოდ ერთხელ დავძარი.

მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა
სიყვარულის სიზმარი
და განმეხვნა ერთხელ მხოლოდ
კარნი სამოთხისანი.

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!

სადაური სად გაფრინდა,
ვის ცერზე ზის ტიალი,
ვის შეუდგა და ვის ასმევს
შარბათს ოქროს ფიალით?

ახლა გუმბათს მან დაჰკიდოს
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები!

ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დავძარი!

ახლა სხვასაც დაესიზმროს
სიყვარულის სიზმარი
და განეხვნეს ერთხელ სხვასაც
კარნი სამოთხისანი!

მინდა,
ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!

გიორგი გიგაური
1928 – 2011

აღსარება

გამაგულადე, როგორც კვირია,
და ჩემი ჩანგიც შენვე მომართე,
შენ ჭერქვეშ, რაღა გასაკვირია,
ვიმღერო სულის ამოხდომამდე.

მთებზე გამკიდე ცისარტყელებად
და ჩამაფინე ხევში ნისლებად,
გავუძლებ ქარის ამოხველებას,
იმედის წყარო არ დამიშრება.

გინდაც მისროლე თერგში ლოდივით
ვერ გამახელებ ერთგულს და მორჩილს,
არ მეშინია ამ მოლოდინის,
ვარ შენი სისხლი და შენი ხორცი.

ჩემი სხეული მაინც აღსდგება
შენი სითბოთი და შენი მადლით
და სიყვარულის გასანაღდებლად
კიდევ ვიპოვი დროსა და ადგილს.

მე გავაღვიძებ ქარაფებს მძინარს,
შენმა სიმაღლემ თუკი ინება
და არ დავრჩები გაწყვეტილ სიმად,
არც დაკვეხნებად, არც დაპირებად!..

მუხრან მაჭავარიანი
1929 – 2010

საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემ, –
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
–ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! – თქვა და თითქოს კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);
რაც შეიტანა, – ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.

– წვიმა არ არი! –
საბას კაბა დაუსველა რამ?!

– თოვლი არ არი! –
საგას თავი გაუთეთრა რამ?!
– ყინვა არ არი! –სულხან-საგას აკანკალებს რა?
– რამ დაასველა?!
– რამ გაათეთრა?!
– რა აკანკალებს?!

საქართველოა
მისთვის:
წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!...
...მზე ეთხოვება ალგათ ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა სულხან-საგავ თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და გალახებს აწვიმს, –
ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს, –
სტამგოლში შვილი დედას სტირის, – ჰყიდიან ყმაწვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, – მუხლზე დაცემულს).

– რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად
საგამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –
წარმოსთქვა გალღმა, ყური მოჰკრა რა საგას სპარსულს.

– არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
– უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?...
საგას ცრემლები მოეძალა, ატირდა კაცი,
თავის გალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი, საქართველოც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ჰყიდიან...
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, სასაცილოა! –
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან-საგა ხელჯოხიანი.
მხარდამხარ საგას ის პაწია გიჭი მოსდევდა...
– მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! –
გულს ნუ გაიტეხ! მუხა კვლავაც შეიმოსება!

შოთა ნიშნიანიძე
1929 – 1999

როცა მე გარდავიცვალე...

როცა მე გარდავიცვალე, იდგა აღდგომის სწორი,
ზღაპარში ხარი ატირდა, სახლში – შვილი და ცოლი,
შემიდგნენ არაგველები, თავის მგალობლის ცხედარს,
ფარეშზე გადამაწვინეს და წამასვენეს მცხეთას.
– საით, ბიჭებო, – გავძახე
მითხრეს: უფლისა ნებით,
იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ ვკვდებით
მე ჩავუარე ბავშვობას, – ბურთს თამაშობდა მინდვრად,
ადგა და გამომეკიდა, ღვარღვარა ცრემლებს ღვრიდა.
გადავუფრინე ციხეებს,
მთლად საქართველოს სერებს.
– ისე იყავით, კარგებო, როგორც გხატეთ და გწერეთ
რა კარგი იყავ, სიცოცხლევ, ვერ მოგიყირჭე ქებით,
მტრებიც კი მყავდნენ კარგები, არათუ მარტო ძმები.
მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, ვეღარ გიხილავ ხვალე,
ფალავნების და მგოსნების სტუმართმოყვარე მხარე.
სულმა დავლოცე ცოლ-შვილი და პატიებაც ვთხოვე
ჩემი ცხოვრების სიხარულთ,
ჩემს ჯვარს და სვეტიცხოველს.
როცა მე გარდავიცვალე, იქ დავიბადე მყისვე,
ჩემი გვარის და სახელის ვიღაც ატირდა ისევ.
იტირე, ჩემო პატარავ,
გამახარე და მტანჯე,
ტირილით უთხარ მადლობა ჩვენს მარადიულ გამჩენს.

ზურაბ კუხიანიძე
1930 – 2003

პოზნანში მცხოვრებ ქართველ ქალიშვილს

უცხო მიწაზე ამოსულო ნორცო ყვავილო,
ეს მე ვარ, კარგად შემომხედე, შენი „ძამიე“.
და გულში შენზე ავი ზრახვა ვინაც გაივლოს,
არ ღირსებოდეს საქართველოს ხილვა ამიერ.

ეჰ, მამაშენი ბედმა ქვეყნად სად არ ატარა,
თავის ცოდვებით,
თავის მადლით,
თავის ზრახვებით...
და ასე ლამაზს,
ასე კოხტას,
ასე პატარას
დაგარქვა ჩვენი დედოფლური წმინდა სახელი.
რა უცნაურად, ეშხიანად ჩაიღიმილებ,
გამოგვყოლია ჩვენი მიწის, ზეცის გერგილი.
უცხო მიწაზე გაფურჩქნულხარ, შენი ჭირიმე,
დიდ სანერგეედან მონაპარავ ვარდის ნერგივით.

დაო, მაგ თვალებ დარდიანად რად აფახულებ,
ან წამწამებზე რად გიბრწყინავს მწარე მძივები,
ჩამოდი ჩვენში, საოცნებო ცა ინახულე
და ჩვენს მაყვლებზე დაიკაწრე წვრილი წვივები...
რაც ვთქვი – გულით ვთქვი, ყალბად მე არ მიარაკნია,
ყველაფეს ამას
მკარნახობდა ჩვენი ქედები...
საქართველოში ლამაზები კი არ გვაკლია,
მაგრამ, დაიკო, სხვა მიწისთვის არ მემეტები.

მორის ფოცხიშვილი
1930 – 1993

რაც იყო და რაც არი

ფიქრთან ბევრჯერ დავრჩენილვარ მარტო,
გული გალობს, მაგრამ დარდობს გონება, –
მყინვარწვერის და ზედაზნის პატრონს
არ სჭირდება მთების გამოგონება.

ალგეთურ ცეცხლს ცხელ ცურებზე ვატყობ,
კვლავაც დაზრდის ბოკვრებს ფრთიან ლომებად,
ცოტნესა და ქეთევანის პატრონს
არ სჭირდება გმირთა გამოგონება.

ფქვილი ჩვენი არ იქცევა ქატოდ,
ვის რად უნდა ნასხვისარი დიდება, –
„ვეფხისა და მოყმის“ ზვიად პატრონს
სხვათა ენა სესხად არ დასჭირდება.

უნდა ვწეროთ, კიდეც უნდა ვხატოთ,
სული ჩვენი ტკივილს არ ემონება, –
მკლავმოჭრილი დიდოსტატის პატრონს
არ სჭირდება ცრემლის გამოგონება.

ვარსკვლავები ვარსკვლავებთან მივლენ,
ჩვენ გვეყუდვნის რაც იყო და რაც არი, –
ქართვლის დედის მკერდზე მიკრულ შვილებს
სულაც არ სურთ დედად დედინაცვალი.

ცა იხსნება. სხვას არაფერს ვნატრობ.
სიხარული კვლავ წვეთ-წვეთად გროვდება, –
ნაღდზე-ნაღდი მეგობრების პატრონს
არ სჭირდება მტრების გამოგონება.

საქართველოვ, შენს თბილ აკვნებს ვფიცავ,
სიკვდილს შევსვამ შენგან მოწვდილ ჯამიდან, –
დამეყაროს გულზე შენი მიწა
და სხვა ჯილდო შენს ერთგულ ყმას არ მინდა!

ჯანსუღ ჩარკვიანი
1931 – 2017

სამშობლოსათვის

მაგრად დაჰკარი,
მაგრად დაჰკარი,
დადგეს
ყიჟინის კორიანტელი,
როს საქართველოს
რწმენის აკვანი
კვლავ იდგეს
ტურფა და სანატრელი.
მაგრად დაჰკარი,
მაგრად დაჰკარი,
მტერს ავი თვალი დაენისლება,
ვინც ჩვენ ერთმანეთს
უცებ გაგვყარა,
სატრფოსთან შეყრას
არ ეღირსება.

თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი არ ვართ ლაჩრებად,
მამულისათვის,
მამულისათვის,
ძმებო, სიკვდილი ან გამარჯვება.
როგორ დაცხრება,
როგორ დაცხრება
დაუცხრომელი ხალხის ბუნება,
თავისუფლება და აღტაცება,
დაუცხრომლობით აღისრულება.
ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია.

თამაზ ჭილაძე
1931 – 2018

დავით გარეჯა

აქ ვინ დაგაგდო,
უდაბნოს მზეში
ვინ მიგატოვა დაუმწყემსავი?
მე დავიჩოქე, მთრთოლვარე პეშვით
ხავსი მოვხადე მიწას პრკესავით.

სად არის შენიგ რილი თალარი,
სად არის შენი წყნარი ქედანი?
დავით გარეჯის ჯაგებს მითელავს
აპოკალიფსის ოთხი მხედარი.

წვანან ხვლიკები ნანგრევის ქიმზე,
მზეა ფოლადის ბადედ გაბმული,
ღიად დარჩენილ თვალივით მიმზერს
გამოხანძრული გამოქვაბული.

ხავსი ჩურჩულებს, არაფერია,
სული ხომ დარჩა მზეში გაჭრილი,
დავით გარეჯის ქვებს აფენია
მახვილიანი ბერის აჩრდილი.

როგორ დაგტოვო, როგორ მოგეშვა,
შენი ცრემლებით მეწვის ხელები.
ყვითელ კლდეებში, სიმარტოვეში
მიფარფატებენ ნუშის ხეები.

ანზორ აბულაშვილი
1932 – 2013

მახარობელი

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით,
ისეთი ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე დავითი.
წუხელის ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ იმისთვის ცოტნე;
შენ – ორგულობავ, აბა, გაბედე
და გული ჩვენი ისევე კორტნე...
წუხელის შოთაც დაბადებულა,
დაბადებულა თურმე დემეტრე.
განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
რა სიხარული გამოიმეტე...
წუხელ ცის კარი ცხრავე გააღო
ყველა გმირმა და თავდადებულმა:
დაბადებულა თურმე ვახტანგი,
მღვდელი თევდორე დაბადებულა.
საქართველოს ცა ისეც მაღალი
უფრორე მეტად ამაღლებულა,
დაბადებულა მთვარე – გიორგი,
თურმე ილია დაბადებულა.
წუხელის მტერი – ერთპირად ჩვენი
მოსპობის მდომი – დადარდებულა:
დაბადებულა საბა-სულხანი,
გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა.
დაბადებულა ალგეთს მგლის ლეკვი,
ვინაც მზის ხვრიპა თურმე ცხელი რძე,
დაბადებულა დედა ცხრა ძმისა
და თავად ცხრა ძმა ხერხეულიძე.
დაბადებულა ბიჭი – პაატაც,
გათენებულა წუხელის თეთრად:
დაბადებულა სამასი გმირი,
ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად...

.....
წუხელის გოგოც დაბადებულა,
ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
ისეთი გოგო დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე თამარი.
დაბადებულა წუხელის ნინო
და ქეთევანი დაბადებულა,
ის ბნელი ღამე თურმე უეცრად
ღვთიურის ნათლით განათებულა.
ყველა ზღაპარი, ნაოცნებარი,
ახდენილა და გამართლებულა.
დაბადებულა თურმე ნესტანი
და თინათინი დაბადებულა...
და გიხაროდენ... ქართველთა შორის
ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა
და ერთიანი, ნანატრი დროის,
ქართლი ხელახლა დაბადებულა.

თამარ ერისთავი
1932 – 2014

ისევ გაცი და გაიმი

გაცი და გაიმი – ჩვენი წარმართობის დრონდელი კერპები – არმაზის მთაზე აღმართულნი დაჰყურებდნენ მამშინდელ საქართველოს დედაქალაქს, მცხეთას და მორწმუნეთაგან მსხვერპლად მოითხოვნენ პირველშობილ ჩვილთა სისხლს.

ჰე, შორეულო წინაპარო,
ვინც შეესწარი
არმაზის მთაზე, კერპების მსხვრევას –
იდექი მთასთან ფერმიხდილი,
გულში შიშით კერპებისადმი
და გაუწვრთნელი მარჯვენა ხელით
იწერდი პირჯვარს;

ჰე, შორეულო წინაპარო,
ვის ფერხთითც განიბნა გაცის
მუზარადიდან გადმოცვივნული
იაგუნდის მწველი ციმციმი,
და რომელსაც განერიდე
ზარდაცემული უეცარ ზაფრით,
როგორც ასპიტის გასრიალებას;

ჰე, შენ, რომელმაც ამის შემდეგ
მტკიცე რწმენით იტვირთე ჯვარი
და ქრისტეს მცნების
საოხად და გადასარჩენად
საუკუნეებს შეალეწე უშურველად
შენი მკერდი და ხერხემალი,
რომ სული შენი
კერპთა მონობის მძიმე ცოდვით შეგინებული
განგეწმინდა და გამოგეხსნა.

ვინ მეტყვის ახლა,
ჩემი გენის და
ტვინის შიგან აღბორგებულო,
შენს შთამომავალს –
მე – ვინც შენსავით შევესწარი
დიდი ხნის შემდეგ
თავზარდამცემი
„გაცისა და გაიმის“ მსხვრევას, –
რომელიც ვდგავარ ფერმიხდილი,
გულში შიშით კერპებისადმი
და გაუწვრთნელი მარჯვენა ხელით
ვისახავ პირჯვარს;

ვინ მეტყვის ახლა–
უსასრულოა ეს წრეებრუნვა
კერპთა აღმართვა – დამსხვრევის და
დათრგუნვილი სულის აღდგომის,
თუ დადგა ჟამი
სათნოების აღზევებისა?!

ჰე, შორეულო წინაპარო,
ჩემი ხორცის და სისხლის სათავევ,
დღეს ჩემს გენებში აღბორგებულო,
ახლა შენ მკითხავ:
-რას გიგრძნობს ფრთები,
ამ ახალ კერპთა მონობაში მოდუნებული,
გერჩის საფრენად
და მიელტვის იმედით ზეცას?

ზაურ ბოლქვაძე
1933 – 1997

ჩემო მიწავ!

დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!
და რაც დაგვრჩი, – დაგვრჩი მარად,
დაგვრჩი ხორცად, დაგვრჩი ძვლებად;
დაღუპვისგან დაგვიფარავს
მარტო შენი დასიზმრება!
საქართველოს გეტრფით მთლიანს,
საქართველოს გეტრფით ახალს;
იცოცხლე და, სულ ერთია,
დიდი ხარ თუ პატარა ხარ!
უფრო მეტი დაგებადოს
ერის მშვენი, ენის მშვენი...
არ ჰყოფნიდეს აკვნებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი!..
დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

გივი გეგეჭკორი
1933 – 2000

თქვენი მეკვლე ვარ

ხვალის ოცნებით ფრთაშესხმული მე მოვალ თქვენთან,
როცა თორმეტი დაირეკება,
ლექსის წკრიალა უზანგებზე შემდგარი გეტყვით:
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!

მე მომაქვს რწმენა ჩემი ხალხის უკვდავებისა,
რა ძლიერი ვარ, თქვენ იგულისხმეთ!
მე მომაქვს ჩემი სიყვარული გააზრებული
და ის მომიძღვის თქვენი სულისკენ!

თქვენი თვალების ღამეებში მოვაბიჯებდი
კაცი, ქცეული ლექსის სტრიქონად,
თანამზრახველთ ძიებაში თმაგათეთრებულს
თქვენსკენ მომავალ გზას ვერავინ ამომიქოლავს.

ვინც ქართულ სიტყვას ისე არწევს, ვით ბავშვის აკვანს,
ისე ჩავიკრავ, რომ ტკივილი იგრძნონ ნეკნებმა,
მოვალ და გეტყვით თქვენი მზერით გამხნევებული:
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!

ვინც სიყვარულის ხანძარს უკვე დაემორჩილა
და ჯერ ვის სულშიც მხოლოდ სძინავს ვნების ზათხულებს,
ბავშვობის ზღაპრულ სასახლიდან გამოძევებულს,
ვისაც ნაძვის ხე ბავშვობაში ისევ აბრუნებს;

ვინც გაიარა უმძიმეს გზა ცხოვრებისა
და მაინც, ისევ გულუბრყვილო არის ხბოსავით,
სიკეთისა და ბოროტების ჯვარედინ ცეცხლში
ვინც მოხვდა, მაგრამ მაინც არის პატიოსანი;

ვინც ჩრდილში იდგა და ვინც იდგა სინათლის წრესი,
ვინც წიგნს კითხულობს და ვინც ფარას მიერეკება,
თქვენსა და სიტყვას შუა მავალს კარი გამიღეთ:
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!..

მედეა კახიძე
1933 – 2015

ჩემი მიწის სადღეგრძელო

ვკეცე,
ვკეცე,
ვერ დავკეცე
საქართველოს საოცნებო გზები,
გრძელი,
როგორც ჩვენი მრავალჟამიერი,
ხვავრიელი,
როგორც პურის ძნები.
ვძებნე,
ვძებნე,
ვერ მოვძებნე
ოცნებაში დახატული მოყმე,
მინდა, ვიყო თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე.
მუმლი მუხას ეხვეოდა,
ყორანივით დაგვყიოდა მტერი,
კაფეს, კაფეს, ვერ გაკაფეს
ეჭვებივით ჩახლართული ტევრი.

ლეწეს,
ლეწეს,
ვერ დალეწეს,
განა მართლა თავზე ჩემოგვექცა, –
ვარკვლავების ჩიხტიკოპით დახურული,
საქართველოს მადლიანი ზეცა.
მინდა, ვიყო გმირი თინა წავკისელი,
შორი გზიდან მიყიოდეს მოყმე,
ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვდე.

ოთარ ჭილაძე
1933 – 2009

* * *

შენ ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც,
გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,
ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,
დაულეველო სამშობლოვ ჩემო.

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი,
და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი.

ჯანო ჯანელიძე
1933 – 2009

სიზმარ-ცხადი აფხაზეთზე

მწვანე ქარი თეთრი რაშით
მოუყვება ბზიფის ორხევს,
მგლოვიარე მწუხრის მარშით
და როს თვლემა ლურჯ ფრთებს მომხვევს

განთიადზე ღამენათევს, –
სიზმრად გხედავ მზისსახიანს,
ჩემი სულიც მანდ ფარფატებს,
ჩემი გულიც მანდ მარხია.

ო, შენ ძე ხარ ჩემი სულის
და ასული ოცნებათა,
თვალწინ მიდგას მტრობით, შურით
გასისხლული შენი კალთა.

ო, შენ ძე ხარ ჩემი სულის
და ასული ოცნებათა,
თვალწინ მიდგას მტრობით, შურით
გასისხლული შენი კალთა.

შენზე ფიქრით ღამეს ვცრიცავ,
შენზე ლოცვით ღამეს ვათევ,
ჩემში ცოცხლობ წმინდა ფიცად,
ვარ შეკრული ფიცად მაგ მთებს.

მაგ მთებს, მაგ ზღვას და მაგ ზეცას,
ვინ ვიწამო მე შენს გარდა?!
ჩოხად შენი ნისლი მეცვა,
ძაძად შენი მწუხრის ფარდა.

წავა ჟამი უჟამობის,
მოვა ჟამი შურისგების,
კვლავ ფრთებს გაშლის შენი ორბი,
უმძლავრესი ლურჯი ფრთებით.

შენზე ლოცვით სანთლებს ვანთებ,
სიზმრად გხედავ მზისსახიანს,
ჩემი სულიც მანდ ფარფატებს,
ჩემი გულიც მანდ მარხია.

მერი ბარნაბიშვილი
1934-2002

***

ოთხასი წელი ველოდეთ დავითს,
ის ოთხასი წლის ლოცვით მოვიდა.
მას მერე მოჩანს, მას მერე მოჩანს,
ბრძნობს, ბრწყინავს, მართლობს
ამ სიშორიდან.
ძეხორციელი და მარტოსული
გელათის კართან ღმერთის ძიებამ
უზენაესის ფიქრით და სჯულით
გადააფრქვია ტყე-ველს იებად.
ორჯერ ოთხასზე მეტი გავიდა,
უჩინმაჩინის ქუდს იხდის დიდგორს,
და რა გვანიშნა მან სათავიდან
სურს, რომ თვითეულს ცალკ-ცალკე გვკითხოს.

ზურაბ გორგილაძე
1938 – 2005

ჩაუმქრალი სანთლები

ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა, ხულო შუახევ ქედიდანა,
დედო დვრინით დამემღერა, დიდგოროზი მთები თანა,
მთები! – ვისთვის თვალსეირი, ვისთვის ჯავრი შიგნიდანა,
თეთრ პერანგებს ხრამში ყრიდნენ, ლურჯს იცვამდნენ თანდათანა,
კლდის კატარში მზე ყვაოდა, კლდის ბორჯღალზე ბენჩქვი ყანა,
გვანცას ლოცვებს ვაზის სული, გორით-გორზე გადეყვანა,
ვარჯანისთან, ნაჯვარისთან, დაჯვარული ქვები წვანან,
მთებში ჩუმად დაქვითინებს, ჩემი დიდი ნენეს ნანა,
დერდებს გულში ვიბექსნიდი, აჭარელი ვიყავ განა!

ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა, ხარიტყავის გუდა თანა,
შიგ ჭიკჭიკით მოჭუჭკული, ამ სირთების სევდა თანა,
მიმღერია ღვინიანზე, მიტირია კიდეც განა,
როცა ჩემი ზღველთი ზვარე ზვავის ნაძოვს დაემგვანა,
როს სხალთაში სხალთიხატებს, უსაპნავდნენ ყელში კანაფს,
ჯავარქედზე ჯამეს დგამდნენ, ვარდიქედზე ეკლის კარავს,
ეივახ! ამის შემხედვარე, ნამსხვანიდან გაველ განა,
მთებს ტყეები ბანალივით აბურძგლოდა უბიდანა,
ღელე-ღურდან დავეძებდი, კანკალებდა ხელში დანა,
გამჩენელო, სხვა რა მექნა, აჭარელი ვიყავ განა!

ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა, ქოჩახელას ქარჩხი განა,
უსულ-უსულ, ლოცვა-ლოცვით ქარმა ნისლებს გაატანა.
ფიჩხიფუტთან გამჭვარტლული ერთს ვცეკვობდი განდაგანა,
თვარა ისე დუშმნის თვალებს მიბჯგენილი ვიყავ მარად,
მიბჯგენილი, ვით ამ მთებზე ლოდიძირის ძვლების ძალა,
მიბჯგენილი, ვით ჯარგვალზე დირეები კოჭბორჯგალა,
მიბჯგენილი, ვით ჭალიქვით გაჯანდრული დედეს ნანა,
ჟამმა ბევრი მაბოჯირა, მომბეჟა და მავალალა,
მომთიკრა და მამუმნათა, დამინდო და დამავალა.
სისხლში სისხლი! მხოლოდ სისხლი! „აჭარელი ვიყავ განა“.

ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა, თეთრათები ვთიბე განა,
ხამიყელზე ხაოღერი, ბალახები შემრჩა თანა,
მთაპერანგა გადავმუხლე, გზაბაწარამ დამახანა,
ხინოს თავში თაფლი ვხილე, ჩოლოქის პირს ვმარგლე ყანა,
ჩოლოქს გაღმა გოგო იდგა, გულგუნდა და თვალმაყვალა,
ღმერთმა რაფერ გადმომხედა, ღმერთმა რაფერ გამახარა,
– გოვ! კისერში ჩეგეფუნჩხე, – ჩემებურა ვკადრე მარა,
გოგო რაცხამ დააფეთა, გოგო ვინცხამ გადამალა,
თოხი ტარზე დაყუდებულს ცამ სიცილი დამაყარა,
შიგნი-შიგნი ჩევიფუფქე, აჭარელი ვიყავ განა!

ჰოიდა ნანა, ნანოვ ნანა, ვერ წამიხვალ განდაგანა,
ეგ ლიზღობა, ეგ ლირწობა კმარა-მეთქი, უკვე კმარა!
ჩემი სისხლი სიყვარულით, ო, რა ხანი არ დამთვრალა,
მეყო! მტევნის წებო წვენში ჩემი სულის ორთქლი დგანა,
ყელზე შემომეფართქალა, ვაზის ლერწი ლოფორთქანა,
სიზმარ-სიზმარ მიბრუნდება, შატბერდი და შორი ბანა,
იქ სანთლები ჩემი სისხო, ჯერეთ კიდევ არ ჩამქრალან,
მეყო ჟამმა ჟანგნაფლეთმა, რაც დამფლა და რაც დამგმანა!

ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა, წარბგახსნილი დავალ განა,
საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
ჩემი ყველა მქუხარება, მწუხარებაც გენაცვალა,
შენი სიტყვის სიცოცხლისთვის ხიხაძირში კიდევ ვდგავარ,
შენი ჭერის სიმაღლისთვის, მარადიდში ვხლიჩავ ყავარს,
შენი რჯულის საჯილდაოდ, სხალთას ვრეკავ ზარებს მთავარს,
ერთ ძირ ვენახს სულ გირგავდი, კვლავ დაგირგავ დღეს და ხვალაც!
იდიდგულე, რომ ამფერი აჭარელი გყავდა განა!

დავით წერედიანი
1937 – 2019

ლაზარე

I

ცხრა განწირული ძახილი საბლად ჩავკიდე შავეთს,
ცხრა მზე ბრუნავდა, ცხრაბნელი, უკუნს მაფენდა ცხრავე.
რას ითვლი, მუხის მერქანო, რამდენისა ვართ ხანად,
ხვალ თექვსმეტისა ვიქნები, თუ გაზაფხულმა ბრძანა,
და ვიდრე ჟამი დაკრავდეს, კვლავ ჩამიხვევდეს ჩქერი,
გლეხის ბიჭი ვარ ლაზარე, ხნულში ვდგევარ და ვმღერი...

– სამი ასული მცილობდა, როკვად მიწვევდა ყარიბს,
ერთი მათგანი მზის იყო, ერთი მათგანი მთვარის,
ერთი სულ უცხო ერია, ჩემთვის უვლია ცხრამთა,
შავ ცხენზე იჯდა, საღარზე, შავი ეჯიბი ჰყავდა.

ცის ნათელს მღერის ლაზარე, მთებზე დაფენილ ციაგს,
აპრილის ფერად კალთაზე მღერის ქსანსა და ლიახვს,
თუ გაზაფხულმა ინება, წილი თავიდან ვყარო,
შენი ვარ, მწვანე მერეხო, ყვავილდასხმულო ღვარო,
ქართლის ნაზამთრალ გულისპირს ნელი წვიმებით ნამავს,
ვაჰმე, რა მშვიდად თამაშობს სიკვდილ-სიცოცხლის თამაშს...

II

მოზარე ქალთა კრებული რისთვის დამსხდარა მცხეთას?
რისთვის მოარწევს მდინარე წითლად შემოსილ ცხედარს?
რისთვის მოდიან მხედრები ანანურით თუ არშით?
– შენი ღიმილი მიყვარდა, წყვილი პეპელა ქარში.
– შენი გულმკერდი მიყვარდა, მწიფე თავთუხის ხვავი.
– შენი ფერდები მიყვარდა, მუავე სურნელი ჭვავის.

მუხლებზე ხელებდაყრილი ვზივარ ეკვდერის კარად.
აღმდგარა ყველა ლაზარე, ჩემი ლაზარე – არა.

როგორ მოარხევს ბინდისფერს ქარში ალვების წყება,
მზის გულზე მოვის პერანგი როგორ თოვლივით დნება.
სხივთალხით განათებულა სალაზარობო ნათლით,
ქართლი, გვირგვინი ეკლისა, მწირის არგანი, ქართლი.
ამოდის მწუხრის ვარსკვლავი. ვზივარ გზისპირას მარტო.
– არ ჩაქრე, მწარე სახმილო, მაცოცხლებელო დარდო...

იზა ორჯონიკიძე
1938 – 2010

ერთაწმინდის ღამე – უკანასკნელი

ფიქრი სააკაძისა

განა შურის,
განა მტრობის,
სარბიელად ჩანდი...
გულში განა ბკე და ობი –
მხოლოდ შენი დარდი!
განა გველთა
გესლიანთა
საპარპაშოდ მსურდი...
ხელზე განა ოქროს ბალთა –
მხოლოდ შენი ხუნდი!
დენა უნდო მდინარეთა,
დენა დღეთა ჩქარი...
თვალწინ თუმცა მინარეთი –
ჯვარი, მხოლოდ ჯვარი!
ახეწილი გზები ჩემი–
უასაკო მთვარე...
მოძახილი, ველად მსხემი,
მწარე, სულზე მწარე.
არა, ღმერთო,
შეჩვენებულს, არა,
ასჯერ არა,
ღამე ესე – ჩემთვის ენთო –
ერთადერთი ჩარა!
ღამე ესე,
აკრძალული,
ფიქრი ფიქრზე – შანთი.
ღამე ესე – ერთი წყლული
შენი,
ჩემი,
მათი.
. . .
ო, კამკამა ნაკადულში
ჩახატულო ნოსტევ...

თეიმურაზ აბულაძე
1938 – 1998

სანამ ჩვენს ენაზე ვლაპარაკობთ...

მართლაც გმირობაა საარაკო,
გმირობა დედა-ენის, –
მე რომ ჩემს ენაზე ვლაპარაკობ,
მე რომ ჩემს ენაზე ვმღერი.
მართლაც ახდენილი სიზმარია,
მართლა ცისკარია დილის, –
მე რომ ჩემს ენაზე ვტირი.
მანამ უნეტარეს წუთს
სული ლაჟვარდებში მიჰყავს, –
სანამ ჩემს ენაზე მძულს,
სანამ ჩემს ენაზე მიყვარს.
ჩემი ხომალდების ქიმს
ბრძოლის ქარტეხილი ახლავს, –
სანამ ჩემს ენაზე ვქმნი,
სანამ ჩემს ენაზე ვმარხავ...
იმ ერის სიცოცხლე ხამს,
იმ ერის სიცოცხლე ღირს, –
რომელსაც რუსთაველი ჰყავს,
რომელიც გალაკტონს ზრდის.
და მანამ იქნება საარაკო
გმირობა დედაენის, –
სანამ ჩვენს ენაზე ვლაპარაკობთ,
სანამ ჩვენს ენაზე ვმღერით.

ზვიად გამსახურდია
1939 – 1993

მესხეთისადმი

შენ გეზმანება ვაჰანი და ძველი ვარძია,
სამსარი, კლდეში შეხიზნული, გედივით წუნდა,
შოთას აკვანი მადლიანი ვინაც არწია,
ვინაც ჯვარცმული იყო მარად და არ შეძრწუნდა.

შენ გეზმანება გარუჯული სამცხის სერები,
მუნჯი მოწამე წარსულისა – მდუმარე მტკვარი,
ცის კაბადონზე სპილენძის და ტყვიის ფერები,
კუმურდოს თაღი დაღარული და ზარზმის ზარი.

შენ გეზმანება ოლთისი და მდუმარე ბანა,
იშხანი, ოშკი, პარხალი და წმინდა ხახული,
ვინაც ხილვები წარსულისა ცრემლებით ბანა,
ჟამთა სიავით დასეტყვილი და ჭირნახული.

ხანძთის უდაბნო, მუნ მლოცველი წმინდა მამები,
ცისკარზე წმინდა გარდამოხსნის გამოსვენება,
მონასტრის ვაზი, მზით ძალუმად ნათამამები,
და აღაპებში გარდასულთა ძმათა ხსენება.

აქ თითქოს ქვებიც ჩაკირულან ცრემლის დუღაბით,
დანისლულ ქედებს დასტყობია სევდის ხაზები,
მოსჩანს ხერთვისი, სალ კლდეებთან შენადუღები
და საფლავებზე გახლართულად უსურვაზები.

თმოგვს მკერდდალეწილს დაფრქვევია სხივთ ათინათი,
სეფე-გოდოლზე გადმომდგარა სარგის თმოგველი,
გასცქერის ზეცას, მარადიულ მზისა თინათინს,
ნათელმხილველი მზერა მისი მზეობს მოგვური.

ვარძიის ცაზე შარავანდნი ბევრად ასობენ,
დიდი თამარი დაჩოქილა ღვთისმშობლის ხატთან,
დღეს მხედრობანი ზეციურნი მასთან დასობენ,
ღვთივკურთხეული ლიტანია ცისკრამდე გასტანს.

ევლოგ სალოსი, შავთელი და დიდი რუსთველი,
თანამლოცველნი დედოფლისა სთხოვენ განგებას,
ქართველთა ლაშქრის გამარჯვებას, მტერთა მმუსვრელის
ქართული მოდგმის საუკუნო არგადაგებას.

ისმის ყიჟინა სამცხის სპათა თავგანწირული,
დღეს შეიმუსრა საქართველოს დუშმანი, მტერი,
ისმის გალობა, ისმის ჟამნი, ჰანგი გმირული,
და საქართველოს აღზევებას ზეიმობს ერი.

გარდასულ ჟამის ამ ხილვებით მარად ნეტარი,
მტკიცე ნაბიჯით მომავლისკენ მიიკვლევ შარას,
წმინდა გიორგი, საქართველოს ნათლის მხედარი,
ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს.

მერაბ კოსტავა
1939 – 1989

ქართული საგალობელი

არ ამოვიკრავთ პირს, ვინაიდან
წილად გვარგუნე ღმერთების ენა,
გიგალობთ რადგან დასაბამიდან
ყოველი არსი გიგალობს შენა.

სიმღერის მადლი მოგვდგამს მას იქით,
როგორც გულის ხმა დაუძლეველი,
ყველა ქართველში შენი მუსიკის
ანთია წმინდა საკურთხეველი.

შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართულო საგალობელი.

უნდა ევნოო მისი გულისთვის,
უნდა იწვოდე მისი სახმილით,
აჰა, მამულო, შენი გულისთქმა,
შენი სიმღერა და მოძახილი.

ავთანდილ გურგენიძე
1940 – 1993

მამული

ეს ფერადი მინდვრები,
ეს ნახატი ჭალები,
მკერდზე ყაყაჩოები
ცეცხლად რომ გასჩენიათ,
მარადმწვანე ქედები,
მთები დათოვლილები,
ბორცვია თუ ტაფობი,
ხევია თუ ფშანია,
ამერი და იმერი
აღმართით და დაღმართით,
მიწა – ასიათასჯერ
სისხლით გადანამული, –
კარგად დაიმახსოვრე,
კარგად დაიმახსოვრე.
კარგად დაიმახსოვრე –
არის შენი მამული.

დიდი წიგნი რუსთველის,
დედაენა ქართული,
განძი, რაც შეუქმნია
ჩვენი ხალხის გენიას –
ტაძრები და კოშკები,
ქალაქები, სოფლები,
არის ახლად ნაგები
თუ ძალიან ძველია,
ჩაიძვრინე გულშიაც,
ჩაიძვრინე სულშიაც,
მერე ვაივაგლახად
გვერდს ნურაფერს აუვლი,
გაუფრთხილდი, ძვირფასო,
მართლაც თვალისჩინივით,
რადგან ეს ყველაფერი
არის შენი მამული.

გენო კალანდია
1940 – 2017

ლექსი სამეგრელოზე

სისხლივით ამიჯანყდები, სამეგრელოზე ფიქრო,
მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო.
ვაზივით გულდასეტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით,
ხვალ მშობლით შეგეხიდები, ზეგ – საკუთარი ძვლებით.
დილიდან დაღამებამდე დაკიდებულო ნაპრალს,
მე ამოვავსებ უშენოდ იმ სავერანე საფლავს.
მერე სხვა შეგეზიაროს, მან გაგიმაგროს ლიბო,
ოღონდაც ასე მართალი, ასე ერთგული იყო.
არ გამიჯავრდე, გეთაყვა, არ მომიხურო კარი,
მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს უსინათლოს და ყარიბს.
არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის,
უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის.

ჯემალ აჯიაშვილი
1944 – 2013

*

წუხელის თურმე კრწანისის კართან
ცრემლი მოადგა მწუხარე დერვიშს,
ფერი იცვალა ბისონის კალთამ
წუხელის თურმე კრწანისის კართან.

გლოვდე, მარიამ, სტიროდე, მართავ,
ჟამი მობრუნდა გვამების თელვის, –
წუხელის თურმე კრწანისის კართან
გმინვა აღმოხდა მწუხარე დერვიშს...

არჩილ ფირცხალავა
1944 – 1986

„ქართლის ცხოვრების“ წაკითხვის შემდეგ

ცრემლად კი არა, სისხლად უნდა ამოსკდე,
ძმაო,
თან ხანჯალივით გამართულმა უნდა იარო,
რომ არ შენიშნონ, რა გიძიძგნის გალეულ სხეულს.
ახლა შენ უნდა აეფარო
მარაბდას,
კრწანისს,
ახლა შენ უნდა აეფარო გაყიდულ სირცხვილს.
გამაგრდე უნდა!
ეს დიდგორი,
ეს ბასიანი, –
როგორც დროშები
შენ, შენ უნდა ჩამოატარო
ჯირგვლა ხესავით დაგვაჯული ბიჭების
თვალწინ.
ეს შენ, შენ უნდა მოიფშვნა მიწა,
მოიფშვნა მიწა სიმწრისაგან დახაშმულ მუჭში
და შენი ერი, ერთ ღონიერ მუშტად შეკრული,
დავიწყების მტვერს
დღენიადაგ წინ უტრიალო.

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
1946 – 2015

* * *

გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
გადააფინეს ბაღებს ჩრდილები...
სად ხარ, ნანატრო თავისუფლებავ,
მზესავით რად არ გვეღიმილები?!
ვინ არის, ვისაც არ ენატრები,
ვისი სიცოცხლეც ძონძში ფლასია,
შენს გულის-გულში აკელაპტრდები,
სიცოცხლეს მხოლოდ შენი ფასი აქვს...
გადააფრინეს ბაღებს ჩრდილები –
გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
მზესავით რად არ გვეღიმილები,
სად ხარ, ნანატრო თავისუფლებავ!...

ვასილ ცერცვაძე
1946 – 1999

არაფერი თავდება და არაფერი ქრება

არაფერია აქ ახალი – ამ ცის ქვეშეთში...
„ახალი ჰქვია– ძველს რომ კარგად გადაივიწყებ“...
აღმართის შემდეგ – ისევ ისე თავქვე ვეშვებით...
ისევ იქ ჩქარობთ – სადაც უფრო გვმართებს სიდინჯე.
კვლავ თავის დრო აქვს ყოველივეს –
-მწუხრს და განთიადს...
ირმის ყვირილს და ლომის ბუხუნს
დრო აქვს თავისი...
შუქს არ გამოსცემს არაფერი – რაც არ ანთია...
რაც არ ანთია – განწირული არის ღამისთვის...
არაფერი თავდება და არაფერი ქრება...
თუ ცუდად არ შეხედავ – ყვავილიც არ ჭკნება...
გაგიღიმებს ზოგი და – აყვავდება ნუში...
ზოგიერთის ღიმილს კი –
ტყვია გიჯობს შუბლში.
კაცი მოგესალმება და ინატრებ საძმოდ...
ზოგიც ნაცნობს არ ცნობს და
ზოგი ღმერთსაც არ ცნობს...
ცხოვრობს... ბობოქრობს... როგორც წინათ...
ადამის მოდგმა...
ეკლესიაშიც შედიან და მირონს იცხებენ...
არ ავიწყდებათ შობის ღამეს ნაძვის ხის მორთვა...
ზოგნიც ცხოვრებას ამთავრებენ... ზოგნი იწყებენ..
კანდელაბრებში დანთებული ქრება სანთლები,
თუ არ მივაგეთ მისაგები ბიჭებს... რა ბიჭებს...
თუ არ ავედით გელათში და დიდი ქართველის
გულზე დადებულ სფლავის ქვას არ დავაბიჯეთ.
არაფერი მთავრდება და არაფერი ქრება...
ხე რომ ხეა, ისიც კი შეძახილით ხმება...
ისა სჯობს, რომ არ თესო – თუ არ თესავ კეთილს...
თუ მცხეთას არ აშენებ – მოუარე ხერთვისს!..
ის, რაც ერთხელ მომხდარა –
ისევ ისე ხდება –
-სული ცაში ნავარდობს...
სხეული კი კვდება...
არაფერი თავდება და არაფერი ქრება.

ლაშა გახარია
1947 – 2004

დიდგორობაზე...

კვლავ ქუდზე კაცი – დიდგორის ველზე!
სპა მისი ჯავრად მოსდგეს ჯარადა!..
აქედან უკეთ მოჩანს კრწანისი,
ზედ ხელისგულზე ბორგავს მარაბდა!..
    აქ ინადიმა... და აქ დანაყრდა
    ქართველი – ომით გაუმაძღარი:
    ნიში კი არა, თითო დიდგორელს
    ზედ თითო უნდა ენთოს... ტაძარი.
აქ უკუჰყარა მტერმა ქოშები
და უირაოდ დაძღნენ ძერანი;
აქ ქარს თიბავდნენ სეფე-დროშები –
ამ თრიალეთის მთეგისფერანი!
    აქა ბრდღვინავდა ის ლომთალომი,
    ვინც „გალობანი“ წარსთქვა – აბჯრიან...
    ვინც გაიხადა დიდგორის ომი
    ჯაჭვის პერანგად და შეგვანჯღრია!
აქ სხვა რაინდია აწ და მარადის...
აქ დაუჩოქა პირჯვარს ნამაზმა!
და მზეც რიდით და მადლით გადადის,
ვით თავზე გამდლის ხელისგადასმა.
    აქ მოყმის დედას არ უტირია,
    აქ საქართველოს სული გადარჩა;
    აქ ღალატის გზა ჩახერგილია
    და გასაძვრომი ჭვრიტეც არა ჩანს!
მაშ... კვლავ დიდგორულ
მოსდგეს სპა მისი!
ჟამია ჯეჯილ მტერთა მკათათვის!
    აქედან მწარედ მოჩანს კრწანისი
    და შიშველ ხმლებზე
    მთვარე გადადის!..

დავით მჭედლური
1947 – 2005

სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები“

დაქცეულა ეს ქვეყანა,
დამხობილა ჯაყოს წინ,
მოდის ჯაყო ავაზაკი,
ავთვალი და ავხორცი.
სიმწრით ვყვირი – ჯაყო მოდის,
მარგო, კარი დაკეტე!
მაგრამ მარგო კარს არ კეტავს,
იცის რასაც აკეთებს.
უკვე ვეღარ დაივიწყებს,
რაკი ერთხელ დაყნოსა,
ჯაყოს პურს და ჯაყოს მათრახს
და სარეცელს ჯაყოსას.
ვა, ქართულო კეკლუცობავ,
ვაი, კუდაბზიკობავ!
ოთხივე მხრის ოთხივე გზას
ჯაყოს ხელი გვიღობავს.
თავს დამამხეს სახლი ჩემი,
სიმხნე ჩემი დალეწეს,
ჩემი სატრფოც შეეზილა
ჯაყოს ბინძურ სარეცელს.
ვერც იარაღს ხელი მივყავ,
ვერც ყვირილი გავბედე,
მოდის ჯაყო ავაზაკი,
იცის, რასაც აკეთებს.
მე მათხოვრად დამიხრია
თავი საამაყო:
– ოღონდ პური, ლუკმა პური,
ლუკმა პური ჯაყო!

გოდერძი ჩოხელი
1954 – 2007

კრწანისი

– ერეკლე გაჰყავთ ბრძოლიდან! –
ტირის წითელი ყაყაჩო.

– ერეკლე გაჰყავთ ბრძოლიდან!
ტირის კრწანისის ველი.

და ბრძოლის ველზე სისხლსა ღვრის
სამასი საკვირველი.

– შემიშვით! – ტირის ბებერი,
ქართლის ბებერი მგელი.

– ერეკლე გაჰყავთ ბრძოლიდან! –
ჭიხვინებს თათრის ცხენი...

და ბრძოლის ველზე აგდია
სამასი საკვირველი.

ბეჟან ხარაიშვილი
1954 – 1983

საქართველოს გამოხრულ გულში

მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში –
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან,
და თითქოს ურო დამარტყეს თავში,
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი, –
ჯარისკაცებმა მომთხოვეს საშვი...
ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას
და სირცხვილისგან იწითლა ცამან,
რად არ მოსთხოვა ხანძთელს საგზური
უკაცრიელმან ადგილმან ამან...
და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი მთაო!

ნოდარ გრიგალაშვილი
1955 – 2014

საქართველოზე ბედნიერს

უკვე ამ წვიმის არიას
საკუთარ ჭერქვეშ ვხვდები,
მოწყენილები არიან
ჩემი მოყვარე მტრები.
ოცდამეათე ზაფხული
საკუთარ კართან ფეთქავს,
თუმცა რითმით ვარ გართული...
სხვა რამ მინდოდა მეთქვა...
შენ ხომ ორასი წელია
წამოხდილი გააქვს ჭერხო.
საქართველოზე ბედნიერს
ქართველს ნუ გახდი, ღმერთო...

გიორგი მახარობლიძე
1960 – 2017

დავითის საფლავი

„ფეხი დამადგით გულზე ყოველმან“ –
დავითმა როცა ბრძანა,
რას ფიქრობდა და რას გულისხმობდა
ბევრმა გაიგო განა?

სახელმწიფოსთვის იყო საჭირო,
არვის რჩებოდა ხინჯად,
იცოდნენ, მეფემ რისთვის მოუხმო
ორმოციათას ყივჩაღს.

ახლა რა მოგვდის, რა გვემართება,
რით მოვიწონოთ თავი?
დაპატარავდა ჩვენი მამული,
როგორც შაგრენის ტყავი.

ტყე გაიჩეხა, გაწყდა ფრინველი,
ცაში დავეძებთ ფრინველს,
ვეპატიჟებით ამ ჩვენს მიწაზე
ყაზახს, ინდოელს, ჩინელს.

აღრეულია ერი და რჯული
ან იმედი გვაქვს რისი,
დავითს რომ გულზე ფეხი დაადგას,
ყველა როდია ღირსი.

ცარიელია იმ ყრმის აკვანი,
ქართლის დედა რომ ელის,
გულწრფელია და დასანანია
მისი მდუღარე ცრემლი.

ეს საუკუნე ოცდამეერთე,
დიდ კატაკლიზმებს ავლენს,
შენისთანები, ჩემისთანები
კვლავაც მოვლენ და წავლენ.

კავკასიონზე კრძალვით გადადის
ამოუცნობი ნისლი,
დავითს რომ გულზე ფეხი დაადგა,
შენც უნდა იყო ღირსი.

ზურაბ ჯაფარიძე
1965 – 1995

იკორთის ყაყაჩო

1986 წლის ივლისში ვიმყოფებოდი იკორთაში, სადაც განისვენებენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. საფლავის ნანგრევებზე ერთადერთი ყაყაჩო ამოსულიყო.

საფლავებთან მოკრძალებულს ჟრუანტელი დამიარს,
ამ ყაყაჩოს, ერთმა სულმა, სამი გმირი დალია,
ლიბოს ისე ჩაჰკონია, როგორც ქრისტე მარიამს,
ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, ჩუმად... ეგ ჩემი ხმა ვის ესმის?
საქართველოს ისტორია გოლგოთაა ქრისტესი.

დიდგორის ბრძოლა

ლელა კობერიძე ჭიაურელი

ცხრაასი წლისთავი მოდის
დიდგორის ბრძოლიდან დღემდე,
ისტორია არ ივიწყებს
და თაობებს გვამცნობს შემდეგს:
ათას ას ოცდაერთი წლის
ათ აგვისტოს მოხდა ისე,
თურქ-სელჩუკმან გადაწყვიტეს
თბილისი დაიპყრონ მყისვე.

მათ შეკრიბეს უთვალავი
მაჰმადიანთა კრებულნი,
ურიცხვი ჯარით დაიძრნენ
დიდგორის ველისკენ კრულნი.
იმ დროს ტახტზე იჯდა მეფე –
გმირი დავით, სანაქებო,
გარეგნობით ახოვანი,
შვენიერი სანახველო*.
ძლევამოსილი სარდალი,
ვაჟკაცობით სანაქებო,
თავისი გონიერებით
კარგად მართა საქართველო.

დავითმა დაიახლოვა
პირნი განათლებულნი,
მათ დახმარებით შუდგა
საქმეს განახლებულით.
პირველ რიგში, შეაჩერა
თურქნი გამტერებულნი,
სულთან ალფ-ასლანის შვილი,
სულ მთლად გამხეცებული.
ყოველ წელში ხარკს უხდიდა
ძღვენით დამშვენებულით,
ხან ოქრო-ვერცხლსაც აწვდიდა
მწყრალი, აღელვებული.
სოფლად ხალხიც მოიზიდა
მთებში გახიზნებული,



* შვენიერი სანახველო – მშვენიერი შესახედავი, სანახავი.

დაასახლა ძველ ფუძეზე
შიშით გაფითრებულნი.
აღაშენა ყველაფერი
რაც ქონდა ჩაფიქრებული,
მოკლე დროში დაინახა
თავის აშენებული,
სოფლები და ქალაქები
მწკრივში გაშენებული.

ამ ზრუნვაში იყო მეფე
როცა მოკვდა სულთანი,
მისმა მემკვიდრეებმა
გაიგიჟეს სულ თავი,
დაერივნენ ერთმანეთს
ვერ გაიყვეს უსტარი,
დანაწილდა სახელმწიფო
დაუსუსტდათ თურქთ ჯარი.
დავით მეფემ ისარგებლა
შესანიშნავ დროით,
შეუწყვიტა ხარკის ძლევა
თავს დაესხა ღონით,

მტკვრის ხეობას, თურქთა ლაშქარს
აუდინა ბოლი,

მტერი ჩუმად გზად შემუსრა
დაატყვევა ზოგნი.
ბევრჯერ მწარედ დაამარცხა
მიყოლებით ზედიზედ,
თურქებისგან სულთანი
მოითხოვდა მეტისმეტს.
ქართველების ვაჟკაცობა
თავსზარს სცემდა მოქიშპეთ,

მათი დავლათ-ქონება
ქართველებმა მოირგეს.
მეფე მტერთა რისხვა იყო
კარზე ყავდა ქართული სპა*,
გლეხებისგან შერჩეულნი
უძლეველნი, ერთგული ყმა.
დიდ ომებში გამოცდილნი
გამოწვრთნილი ყავდა ჯარი,
ცალკე დაქირავებულნი
სხვადასხვა ტომიდან მდგარნი.
იმ დროს ისტორიკოსის თქმით
დაძრულა ლაშქარი მტრისა,



ქართველების წინააღმდეგ
სიმრავლით ვით ქვიშაი ზღვისა.

* სპა – მეომარნი.

დავითს ცალკე ჯარიც ჰყავდა
ოს-ყივჩაღთა, ალან-ფრანგთა,
საჭირო დროს მათ შეკრებდა
ამატებდა ჯვაროსანთა.
დიდძალ თანხასაც უხდიდა
ბრძოლით თავგანწირვისა და...
ევროპული რაზმი იდგა
დავით მეფის მხარეს მზადა.
თურქ-სელჩუკნი ქართლს მოადგნენ,
მანგლისს-თრიალეთს-დიდგორსა,
დაბანაკდნენ სამ ნაწილად
ასე აპირებდნნ ომსა.
დიღმის ხეობა გაივსო
დიდგორით შემოსულ მტრითა,
სურდათ თბილისიც აეღოთ, –
სატახტო ქალაქი მცხეთაც.
ურიცხვი ჯარი გადმოსხა
განრისხებულ მამედმა,
თრიალეთში დაბანაკდნენ
ეს შეიტყვეს „მამებმა“.
აღმაშენებელს აცნობეს
ამ დროს მტრისთვის რა ექნათ,
დავითის პასუხი იყო,
ღვთისთვის ლოცვა აღეთქვათ.
იცოდა რა, დავით მეფემ
მტრის ასეთი განლაგება,
ჯარი სამ ნაწილად გაყო,
არ აცადა დალაგება.

ღამით მეფე მტრის ბანაკში
ელვასავით გაეჭრა,
ათასხუთასი ვაჟკაცით
თურქებს თავზე დაეცა.
გამწარებული სულთანი
ტახტზე მჯდარი დაებათ,
კარვებში შეფარებულნი
სულდგმულნი არ გაეშვათ.
გარეთ დაბანაკებულებს,
მტრებს სულ თავ-გზა აებნათ,
აურაცხელი სიმდიდრე
ქართველებთან დაებნათ.
გზააბნეული ლაშქარი
დიდ ხაფანგში გაება,
ვინც გაქცევა ვერ მოასწრო,
ტყვეობასაც დანებდა.
მეფემ გამჭრიახობითა
უკან გზები ჩახერგა,
გაქცევას ვინც გაბედავდა
სიკვდილს თვალში ჩახედავდა.
შემდეგ მეომრებს მიმართა:
ხმლები ცისკენ ასწიეთ,
ღვთის სახელი ახსენეთ და
ლოცვა წამომაწიეთ.
„ჰე“, ქართველნო, მეომარნო!
როცა უფალს ავამაღლებთ,
ღვთისგან კურთხევა გარდმოვა,
ეშმაკსაც კი დავამარცხებთ!

ამ შეძახილით დავითმა
ქართული "სპა" გაამხნევა,
უერთგულესი ლომკაცნი
მტრის შუაგულ გაამწესა.
უთანასწორო ბრძოლაში
ბევრისა სისხლი დაიქცა,
ერთ ქართველზე ათი თურქი
მოსულა და ხმალს აეცვა.
ბევრი ჩუმად გაიპარა
უკანმოუხედავადა,
უმრავლესნი გაიჟლიტა
ფარ-ხმალ შეუხედავადა.
ამის შემდეგ დავით მეფემ
გადაანაწილა ჯარი,
შეერია თურქ-სელჩუკებს,
ამოიღო წინა ჯავრიც.
დაატყვევა სარდლებიც და
ტყვეებით გაჭედა გზანი,
გადაწმინდა ბრძოლის ველი
თურქებით გაავსო მტკვარი.
დიდძალი სიმდიდრე ჰქონდათ
თურქ-სელჩუკთა და არაბთა,
უზღვავი ოქრო და ვერცხლი
გადმოტვირთეს ქალაქთან.

ისინი დღეში ჩაცვივდნენ,
არ ენახათ ბევრსა,
დაჩოქილნი დავითთან,
ცრემლებს ღვრიდნენ მწველსა.
გაქცეულთ მცირე ამალით
დაედევნა მტერსა,
 დაეწია, დაამარცხა,
დაუბნელა მზეცა.
დავით აღმაშენებელის
შიში ჰქონდა მტრსა,
საარაკო გმირობებით
თავზარს სცემდა სხვებსაც.
გადასწია საზღვრები და
მიამაგრა კლდესა,
ლაშქარსაც ჯაჭვი ჩააცვა,
ვერვინ გახლებთ ხელსა.
დიახ,ეს ბრძოლა აღმოჩნდა
ძლევაი "საკვირველია",
ბრწყინვალე გამარჯვებაი
ზუსტად "დიდგორის"ველია!
მერე ბრძოლა გაუმართა
მოღალატე ქართველებს,
ვინც მტერი შემოიყვანა
იმ თავგასულ მმართველებს.

ცხვირიდან სისხლი ადინა
მოუმზადა დილეგი,
სხვისთვის გაკვეთილი იყო
ვისიც ჰქონდათ იმედი.
მეფის ისტორიკოსის თქმით:
ქართული "სპა" დავითს გაჰყვა,
ვინც ბრძოლაში დასახიჩრდა
მათი სისხლით მიწა დალბა.
მან სრულიად ხელთ ჩაიგდო
ყველა დიდი ქალაქი
და ქვეყანა გაადიდა
ნიკოფსით-დარუბანდამდის.
გელათს მონასტერი დადგა
დააყენა ყველგან მცველნი,
მოჭრა უამრავი ფული
ქართველთ გაუბრწყინა დღენი.
საქართველოს არ ჰყოლია
დავით მეფისთანა კაცი,
სახელმწიფოდან გაწმინდა
ზნედაცემულ ქცევის ხალხი.
უმთავრესი თემა იყო
ქართულ ენის ცოდნის ფასი.
ბევრი სკოლა დააარსა,
აკადემიაც გახსნა მაშინ.
დასაბამი ჩაუყარა
ოქროს ხანის დროსა
და სამშობლო აარიდა
დამპყრობლებთა ომსა.
საქართველომ მოიზიდა
ქვეყნებიდან მნახველნი,
საბოლოოდ დაიმკვიდრა
სახელმწიფოს სახელი.
ამ დიდ ზრუნვამ ქვეყანაზე
გადაქანცა დავით მფე,
მანვე იგრძნო სიკვდილის დრო
და აკურთხა შვილი მეფედ.
თავისი უფროსი ვაჟი --
დიმიტრი და იმის მერე,
ისე მშვიდად მიიცვალა
ათას ას ოცდახუთ წელსვე.
საქართველო, მთელი ერი
დარჩა ძალზ მწუხარე,
დავით მეფე დაიტირეს
გულდამწვარმან, მხურვალედ.
დაიკრძალა გელათში და
ლოცულობდნენ მუდამდღე,
წმინდათა შორის შერაცხა
ეკლესიამ იმავ დღეს.
გლოვის ზარები რეკავდა,
გელათიდან იმ ათ დღეს.
ეს ისტორია მოგვითხრობს
დღეს "დიდგორის" ბრძოლის ამბავს,
დიდი მონაპოვარის და
იმ გმირების სისხლით ნაღვაწს,
ცხრაასი წლის წინანდელი
წინაპართა ყოფით იმედს,
დიდება იმ წინაპრებს და
"დიდგორის" ბრძოლის გმირებს.

20.06.2021წ. ათენი.

ხაბავშვო განყოფილება

ნათია დაშნიანი

ციყვი და ბაჭია

ცას სიხარულით ეწია –
ციყვმა იპოვა კაკალი,
ერთი სული აქვს შესანსლოს,
მიაქვს თათების კანკალით.
სოროდან უცქერს ბაჭია,

ამბობს ყურების ცანცარით:
ვაი თუ დღესაც ტყუილად
ქექა მიწა და ნაცარი.
სტაფილოს ვაჭმევ, შიმშილით
არსად წაიქცეს საწყალი,
მან რომ კაკალი იპოვა,
იქნება საღი არც არი.

დათუნიები

სეტი

ძაღლს ვუთხარი: ჩემო სეტი
დამიდექი მარდად გვერდით,
ბურთიც გვაქვს და მოედანიც,
სხვა რა გვინდა ამის მეტი?!

აბა ჩქარა! აბა მალე!
სად დავარდეს უთვალთვალე,
დამიჯერე და ძვალს შენთვის
დავაბარებ მამას ხვალე.
კუდის ქნევით შემეხვეწა:
დღეს სირბილით ნუღარ დამღლი,
ვისროლე და... ბურთთან ერთად
დაიკარგა ჩემი ძაღლი.

მელა ფენეკი

დედა ტუქსავს დათუნიებს,
თაფლის ჭამით გართულებს,
ხან ბურდღუნით უჯავრდება,
ხან თათს წაუთათუნებს.

როდის უნდა გაიზარდოთ,
დამიფასოთ ამაგი?!
რა გიქნიათ?! – შეგისანსლავთ
თაფლის მთელი მარაგი!

ვერ გავბედეთ, ვერ გითხარით,
დედი, რომ არ გეჯავრა,
ერთი ქილა გავსინჯეთ და
ყველა შემოგვეჭამა.

პატარა და დიდყურა
ტირის მელა ფენეკი,
უალერსებს დედიკო,
ეკითხება ფერებით:
– რა გატირებს პატარავ,
ჩემო ყურებპარტყუნა?
– ამოდენა ყურები
მელაკუდას რად უნდა?
– საჰარის მზეს სხვაგვარად
როგორ გადავურჩებით?
რადგან ჩვენთან არ ხარობს
ხეები და ბუჩქები,
უდაბნოში ვბინადრობთ,
საკვებს გარეთ დავეძებთ,
ამ ყურებით, ძვირფასო,
სიცხეს უნდა გავექცეთ.

პეპელა

მიყვარს, როდესაც ფრთებს გაშლი,
დღესაც რამდენი გდიე,
შემოჩვევიხარ ჩემს ბაღში
ენძელებსა და იებს.
ვინ მოგიტანა ამბავი –
მე რომ გელოდი დიდხანს?
ეს კაბა, კოპლებიანი
ვინ შეგიკერა, მითხარ!
ბადით არ დაგედევნები,
არც სხვას დაგიგებ მახეს,
ერთსა გთხოვ, ნუ დამზარდები,
ხვალაც მოდი და მნახე.

ტყის თავგადასავალი

– დილით ადრე ალიონზე
გავეშურე ტყესა,
ბევრი სოკო შევაგროვე
ჩავიყარე მკერდსა.
უცებ წვიმა წამოვიდა
შევეფარე ხესა,
წამით თვალში დამიბნელდა
გადავურჩი მეხსა.
ისე ძლიერ დაიჭექა
შეეეედრე ღმერთსა,
სახლში მშვიდობით მივიდე
აღარ ვჩივი მეტსა.
რადგან იქვე ჩემთან ახლოს
მუხა იდგა დიდი,
მეხის ჩამოვარდნის შემდეგ
ხე გააპო სიგრძივ.
მადლობა ღმერთს არ ვიყავი
მუხის ძირას მდგარი
თორემ უკვე ვიქნებოდი
მეხისაგან მკვდარი.
გაითვალისწინეთ ყველამ
ამ შემთხვევის მსგავსი,
ცუდ ამინდში ტყეში წასვლას
აარიდეთ თავი.

08.08.2021 წ.
ათენი.

ლელა კობერიძე-ჭიაურელი



* * *

ვერხვის ფოთოლს აშრიალებს ქარი
წყაროს წყალთან ჩამომდგარა ქალი,
თიხის დოქით მოიყუდა წყალი
დაისველა გულმკერდი თუ მხარი.
ფეხშიშველი ჩამოუყვა მდინარეს
მიშრიალებს თხელი კაბით მცინარე,
ვნების თვალი გააყოლეს ხელად
ბრგე ვაჯკაცი გამოუჩნდა მცველად.

მიყვებიან წყვილი წმინდა მდინარეს
ქვა-ქვიშაზე ცეკვავს ქალი ბრწყინვალედ,
ხავსიანზე აუცურდათ ფეხი და
ერთად შესვეს ცივი წყალი პეშვითა.
ვერხვის პოთოლს აშრიალებს ქარი
ბრგე ვაჟკაცმა წაიყვანა ქალი,
სიყვარულში ვერ მოღალეს ქნარი
სიბერეში დაუხუჭავთ თვალი.
ვერხვის ფოთოლს აშრიალებს ქარი.

<< ს ი ო >>

ნელა-ნელა დაჰქრის სიო
შემოსულა მაისიო,
გაზაფხულმა მოიტანა
სიცოცხლე და ხალისიო.
რა საამოდ დაჰქრის სიო
ადრე დგება ცელქი გიო,
ისეთია მზესაც ასწრებს
რომ დახატოს აისიო.
ნელა-ნელა დაჰქრის სიო
დავლურს უვლის ჩვენი შიო,
ცაში ტოროლები სტვევენ
ზღვაზე ჩნდება დაისიო.
რა საამოდ დაჰქრის სიო
სიცოცხლეს აქვს ხალისიო,
წელიწადის ყველა დროს
აქვს სილამაზე თავისიო.
ნელა-ნელა დაფქრის სიო
შემოსულა მაისიო,
გაზაფხულმა მოიტანა
სიმწვანე და ხალისიო.

მართვე

იგავ-არაკი

მზე ამოვიდა, გაბრწყინდა
კავკასიონის თავზე,
ღრუბლები ციდან გაფანტა
სხივი გაშალა ფართედ.
არწივმაც ჩამოიქროლა
ბუდეს მოსწყვიტა მართვე,
სამყაროს გადაახედა მთებს,
ტყეებსა თუ ბარდებს.
დიდრონი ფრთები გაშალა
ფრენაც ასწავლა მალე,
ბუნება შეაცნობინა ცას
შეუერთდნენ მარჯვედ.
ფრენა ასწავლა და მერე
დროებას როგორ გაჰყვეს,
ნადირობა და თვითრჩენა
ბუდისგან შორს და გარეთ.
ტრადიციული ჩვევები თვის
კანონს რომ არ ასცდეს,
არ შეითვისოს უცხო რამ
რაც მის ჯიშს დაამარცხებს.
ესაა ბუნების წესი და
ვერ წაუხვალ სადმე,
არწივი მაგალითია,
ადამიანთა კვალზე.

10.01.2021 წ. ათენი.

დარიგება

შენ ჩემო სულის ვარსკვლავო
შვილო ნანატრო ბედითა,
ეს დარიგება მიიღე შენი
მშობელი დედისგან.
– რომ გაიღვიძებ დილითა
კმაყოფილი ხარ ძილითა,
უფალს მადლობა შესწირე
პირს რომ დაიბან დილითა.
– პირჯვარი გადაისახე
წაივარჯიშე ტვინითა,
მერე იმ საქმეს შეუდექ
რაც დაისახე შიგნითა.
– არ მოჰყვე ცხოვრების წუწუნს
ნურც მოექცევი ჯიბრითა,
სწავლის დროს რასაც შეიძენ
ის მოგეცემა სინითა.
– ყველა ნეგატივს ერიდე
გაბერილს ბოღმის ტიკითა,
საპირისპირო აკეთე
სიმღერითა და ლხინითა.
ღმერთი შეისმენს შენს
ლოცვას საქმეს,
რომელსაც იმკი და
უფალი წყალობას მოგცემს
წარმატების და წინსვლისას.

კალათი

ერთხელ პაპამ წნელი მოჭრა
დააგროვა მარაგი,
მერე ტყავიც გააცალა
რომ დაეწნა კალათი.
წნელი ბევრგან დაამაგრა
გადაგრიხა კანაფი,
ერთმანეთში გადახლართა,
გააკეთა კალათი.
შვილიშვილმა პაპას უთხრა
ეს რა საქმე გიქნია!
შინდის წნელი თუ თხილისა
რატომ გადმოგიწყვია?
პაპას ტკბილად ჩაეცინა
მიაწოდა კალათი,
ყვავილებით გაავსე და
მოატარე ქალაქი.
პაპი ! პაპი! ამიხსენი
ეს კალათი ვისია?
ვისია და მისია
შენ და შენი ძმისია.

23.01.2021წ.
ათენი

ს ა ქ ა ნ ე ლ ა

დიდ ეზოში კაკლის ხეზე
ჩამობმულა საქანელა,
იქვე მყოფმა ფრინველებმა
მოინდომეს გაქანება.
უცებ ხის ტოტზე შემოსხდნენ
ვარიები, მტრედები,
იქვე ტბიდან გადმოფრინდნენ
გრძელკისერა გედები.
ამ ყიჟინას ტყის მცხოვრებმა
თვალი მოჰკრა მელიამ,
ვარიების დანახვაზე
გული გადაელია.

ჩუმა-ჩუმად მიეპარა
ნუგბარს არჩევს გემრიელს,
ზოგს რომ ჩუმად მოიტაცებს
შინ წაუღებს მელიებს.
დარჩენილებს გადასანსლავს
შემოჯდება ხის ტოტზე,
საქანელასგააქანებს
მიზეზს გამოიგონებს.
გრძელი კუდით გადახვეტავს
ძირს დაფენილ ბუმბულებს,
ვითომიქაც არაფერი
გაკვირვებით უყურებს.

20.01.2021წ. ათენი

წიწილა და ყვინჩილა

წია-წია, წიწილო
პაწაწინა გვრიტინო,
კრუხს გვერდიდან არ მოშორდე
საფრთხე რომ აიცილო.
წია-წია, წიწილო
გულყვითელა ყვინჩილო,
ყოყლოჩინობას ერიდე
მურასთან არ გიჩივლონ.
წიწილამ და ყვინჩილამ
ნაგავზე ჩაირბინა,
ერთი დიდი ჭიაყელა
ორივემ დაიჭირა.
გასწიეს და გამოსწიეს
საცოდავი ჭიაყელა,
იქ ყვინჩილამ გაიმარჯვა
სუსტს ზიანი მიაყენა.
ასე არის ბუნებაში
ძლიერსა აქვს მეტიო,
სუსტი დამარცხებულია
ასეთია ბედიო.

25.01.2021წ.
ათენი

მდინარე

ეს მდინარე რაკ-რაკა
მოჩუხჩუხებს ჩქარ-ჩქარა,
გზად ქვიშაში გაიფილტრა
წყარი გახდა ანკარა.
სანამ გარემოს მოედო
ფლორამ თავი დახარა,
მათ წყურვილი მოუკლა
და კვირტად გამოაყარა.
ფესვებს სიგრილე შესძინა
ნერგმაც ტანი აჰყარა,
წყალი სიცოცხლის დედაა
ყინვაა თუ თაკარა.
მერე ძვრებში გადაეშვა
ჯეჯილსა თუ ყანასა,
ირგვლივ სიცოცხლე მოჰფინა
ნერგებსა თუ ბალახსა.

კმაყოფილი წანარ-ნარდა
მთიდან ჩამოდენილი,
გზაში ბევრი რამ გადახდა
საქმედ გამოვლენილი.
ისევ გრძელი გზა განაგრძო,
ტყე-ღრე, მდელო იარა,
ხან აორთქლდა, ხან გამოჩნდა
ნაპრალებშიც იარა.
სიკეთის მდინარე ჰქვია
სიმარტოვის კი არა,
იარა და იარა,
წვიმად ჩამოიარა,
ბოლოს ზღვაში ჩაესვენა
ის მდინარე მთლიანად.

20.01.2021წ. ათენი

ნანული ყურშუბაძე

არწივი

ქარივით ჩამოიქროლა
არწივმა თვალებ-ბრიალამ,
ყველა ფრინველი დააფრთხო,
ქათმებიც ააწრიალა,
ინდაურს კლანჭი დაავლო
და ცისკენ წააფრიალა.

ბურთი

ბექამ ცაზე დაინახა,
მრგვალი, სავსე მთვარე,
მოეწონა, გაიხარა,
ვერ აშორებს თვალებს.

ბურთი, ბურთი, ბურთი მინდა,
ტირის ბექა, ციდა,
მე ყვითელი ბურთი მინდა,
ჩამოხსენით ციდან!

იაკობ გოგებაშვილი

თუკი გიყვარს მშობლიური, თბილი კერა
და ძარღვებში ქართველური სისხლი გიჩქეფს,,
შეიყვარე იაკობის ,,დედა-ენა,''
დიდ შემოქმედს ნურასოდეს დაივიწყებ.

ყველა მარცვალს დედასავით მოეფერე,
ეალერსე ჭირ-ვარამში გამოვლილებს,
შენს ენაზე იმღერე და ლექსი წერე,
დედის ენას ქართველობა აგრძნობინე.

სიყვარულით ჩაიკითხე ,,აი-ია''
ნახე, როგორ მოჩუხჩუხებს ცოდნის წყარო,
ნათლად ვხედავ, უცხოურში აირია,-
- უფლის სიტყვა, სათუთი და სათაყვანო.

დაუბრუნეთ ,,დედა-ენას'' პატარები,
თუ გსურთ, ნამდვილ ქართველებად გაგეზარდოთ,
გელით წიგნი, თბილი უბით სატარები,
იით იცნობთ, აქ ფურცლებზე ვარდნიც ვარდობს.

გოგებაშვილს ვინც შეჰბედა პაექრობა,
ვით ცოდვილი,ცოდვის ალზე დაიწვება...
ჩვენში ყველა იაკობი მოძღვარია
და არასდროს უწერია დავიწყება.

ჰე, ქართველნო, თუკი უნდა ვიქართველოთ,
ნუ ჩავუქრობთ შოთას ქართულს ციურ ფერებს...
დავუბრუნდეთ იაკობის ,,დედა ენას''
ქართულ სიტყვას დედასავით მოეფერეთ!.

ბატები

ბატებმა ყაყან-ყაყანით,
აიკლეს მთელი უბანი,
გაბრაზდა დრუნჩა ღრუტუნა,
ამოარჩია მსუქანი.

დაიღრუტუნა, დასჭყივლა,
მაინც ვერ გაჰკრა მას კბილი,
ვერ გაიმეტა, წუმპეში
თავის გოჭებთან გაზრდილი.

ბუ

მონადირემ ცოცხალი ბუ,
მომიყვანა გუშინ,
ეგონა, რომ თვალბრიალას
ჩავიკრავდი გულში.

ახლოსაც არ გავიკარე,
რადგან მქონდა შიში....
საცერივით თვალები აქვს,
მოფერებას მიშლის!..

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

დედამიწა იღვიძებს,
იხდის ზამთრის საბანს,
მერე იცვამს ათასფერ
ყვავილების კაბას.

ცხრათვალა მზე ცხრა მთიდან,
ოქროს სიმებს აბამს,
თავდახრილი ენძელა,
ჰყვება მარტის ზღაპარს.

ფრთამალ მერცხლებს ჭიკჭიკით
გააქვთ რია-რია,
დაკოკრილი ვარდები,
ეფერება ნიავს,
ყვავილების სურნელი,
ქარებს სადღაც მიაქვს.
ამას თურმე გაზაფხულის
მობრძანება ჰქვია.



გემი

ნიკამ ზღვაში დიდი გემი
დღეს პირველად ნახა,
ლურჯ ტალღებში მოცურავე,
ჰგავდა ცაზე ნახატს.

გემი თავის გუ-გუ, გუთი,
შორდებოდა ხმელეთს,
გააჩერეთ!-ქუხდა ნიკა
და იქნევდა ხელებს.

დათვი

დათვი ხეზე ადიოდა,
თაფლის მოსაპარავად,
რა იცოდა ნაქურდალი,
ერგებოდა არამად.

ზეცამ მძლავრად დაიქუხა,
ქურდს კი კუდი აეწვა-
სკა ხეს მოწყდა, ქურდბაცაცას
ზედ კეფაზე დაეცა.

თავგატეხილს რაღა ექნა,
ცოდვა მოინანია...
ნუ ხმაურობთ, ბუნაგში წევს,
ძინავს კარგა ხანია!



დედა-ენა

მე პატარა ბიჭი ვარ,
ახლა ვიდგამ ენას,
ჯერ სიმღერებს ვისწავლი,
შემდეგ დედა-ენას.

ვარდი

ვარდმა ტანი აიყარა,
გაიფურჩქნა, გალაღდა,
თავმომწონე ვარდი ეკლებს,
ფოთოლ- ფოთოლ მალავდა.

შემოდგომის ქარაშოტმა
ბევრი ვეღარ ითმინა,
ვარდის ირგვლივ იფარფატა,
იცეკვა და იფრინა..

ფოთლები სულ გააცალა,
დაუმტვრია ნეკნები,
ვარდს სიტურფე გაეცალა,
დარჩა მხოლოდ ეკლები.

ყვავილების ქორწილი

ყვავილების ქორწილია,
დედოფლად დგას ია,
ლურჯთვალებას სიმორცხვით,
თავი დაუხრია.

გვერდით უდგას ენძელა,
ლამაზი და ყელგრძელა.
გვირილები ცეკვავენ,
ნიავი ვერ ეწევა.

შროშანები მღერიან,,
ენძელებს ეხვევიან...
ვარდი - სუფრის თამადა,
სიხარულს ვერ მალავდა.

შავხალება ყაყაჩო
ველზე წამწამს მალავდა...
მზის სხივებით გამოთვრა,
არ უსმენდა თამადას...
ყველა ერთად მღეროდა:
,,ვორუდილა-ვარადა''...

პირველი თოვლი

უკვე ერთი წლისა გახდა,
თოვლმაც გააოცა,
უნდა ფიფქი დაიჭიროს,
ბებოს ქარაოცამ.

ცას შეცქერის და იძახის...
თოლი, თოლი, თოლი.....
თითს აყოლებს ცაში ფანტელს...
და თვლის - ,,ეთი, ოლი..''

საბრალო ზღარბი

ზღარბი შეძვრა სხვის ბაღში და
მოიპარა ვაშლი.
მერე ზურგზე მოიკიდა-
და წაიღო სახლში.

დაიღალა საბრალოა,
ძლივს მიბობღავს გზაში,
ზედ გუბესთან დაუგორდა
მოპარული ვაშლი.

მისდევს ზღარბი და ტყაპანი
მოადინა წყალში.

თაგვი

ერთხელ პატარა ლიზიმ,
ხელში აიღო ცოცხი,
ოთახს გვის და თან ითვლის:
ერთი, ორი და ოცი..

თვალი შეავლო თაგუნას,
ელვაზე წრაფად მიჰქროდა,
ნეტავ იყო თუ არ იყო?
ლიზი ამაზე ფიქრობდა.

ერთი უყურე ამასა?!
იპარავს , ამტვრევს კაკალსა,
თვითონ ძღება და მიტოვებს
ის ქურდი ნაქურჩალასა.

თოჯინა

ჩემს პატარა თოჯინას,
როცა ვუწნი თმას,
ის ჩემსავით როდი ტირის,
სულ არ იღებს ხმას.

მასთან ერთად ვკითხულობ,
ხშირად ჟურნალ-გაზეთს...
მე მგონია, არც კი, მისმენს,
ვერ გებულობს აზრებს..

.....
ეს თოჯინა ჯიუტია,
არ მისმენს და მაწამებს..
ვერაფრით ვერ დავაძინე,
ვერც საქმელი ვაჭამე.

წერა-კითხვას ვასწავლი და
მეუბნება, მაცალეთ...
გევედრებით, მომაშორეთ!
უკეთესში გაცვალეთ.

.....
ნანა, ჩემო თოჯინა,
გეყო ხტუნვა-თამაში,
თვალი კარგად დახუჭე,
გაეხვიე საბანში,

რაკი შენსას არ იშლი,
აგერ შენ და ბალიში.
რადგან ძილი არ გიყვარს,
მოვა, ბუა წაგიყვანს.

.....
ეს თოჯინა ჩემია,
რატომ მართმევ ნეტავ?
დაბადების დღეზე
მისახსოვრა დედამ.

უთხრა ნინომ მეგობარს,
– თავის ტოლა დალის,
არ დაგითმობ – ბუზღუნებს
პაწაწინა ქალი.

გაიმართა დუელი
მოიწყინა ნინომ,
– ეს თოჯინა ჩემია
უნდა დავაძინო....

დაექაჩნენ თოჯინას,
ხან ეს ქაჩავს, ხან-ის...
დალის თავი შერჩა,
ნინოს დარჩა ტანი.

ხელოვნება

ალექსანდრე ციხელაშვილის შემოქმედება

ავტოპორტრეტი.

ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი.

ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტი.



გულნაზი ხარაიშვილი
ჩვიდმეტი წლის.

გულნაზი ხარაიშვილი.

აწ გარდაცვლილი გულნაზ ხარაიშვილის ვაჟიშვილი გელა სხირტლაძე.

გურამ ფუტკარაძე
ბათუმის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე



თარგმანები

სოსო სიგუა

თორმეტნი

ნაწყვეტი პოემიდან

ალექსანდრე ბლოკი

1
ღამე –კუპრი.
ქარი –ქუფრი,
მხოლოდ თეთრი თოვლი ელავს.
დაქრის ქარი,
შესაზარი,
ქარი, კაცს რომ გადაცელავს.

ქარი ბურდავს
თოვლის გუნდას
და გუნდაში, ყინულია,
ქუჩა სრულად
მოლიპულა,
საწყალ კაცს ვერ გაუვლია.

შენობიდან შენობამდე
ბაგირი გაბმულია,
პლაკატი გაკრულია:
„მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ
კრებას!“

დედაბერი თავს იკლავს –
ტირის, ვერ გაუგია,
ეს ამხელა ნაჭერი
თოკზე რად გაუკრიათ?
ფეხსახვევი რამდენი
შეხვდებოდათ პატარებს –
გაძარცული, ტიტველი
ამდენი დატანტალებს...

როგორც ქათამს, დედაბერს
ნამქერი და ქარი იხვევს გათოშილს,
– ო, დედაო, მფარველო,
ბოლშევიკებს უნდათ ჩაგვდონ კუბოში!

რა მსუსხავი ქარია!
აღარც ყინვა ჩაცხრება!
გაყინული ბურჟუა
საყელოში ჩაძვრება!

ეს ვინ არის? – გრძელთმება
მოსთქვამს ჩუმი სლუკუნით:
– დაიღუპა რუსეთი!
– დაგვდგომია უკუნი!
ალბათ მწიგნობარია,
დარდმა ხელი დარია...

იქეთ გრძელკალთიანიც
ნამქერში მიქანაობს...
ახლა არ მხიარულობ,
ამხანაგო მამაო?

გახსოვს, ის როგორ იყო,
ღიპი რომ გეწეოდა,
ხალხში ჯვარი ციალით
მუცელზე გერწეოდა?

დახეთ აგერ ქალბატონს,
ცრემლით კრაველს რომ ალტობს:
– ჩვენ ვტიროდით, ვტიროდით,
თქვა და – ამოტრიალდა,
ყინულზე გასრიალდა!

ვაი,რაღას იძიებ,
ადე, წამოიწიე!

ქარი ნება-ნება,
ავი და თავნება,
კალთებს აფრიალებს
და გამვლელებს ცელავს,
ხევს და ატრიალებს
ახალ ნახატს
წითელ პლაკატს:
„მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ
კრებას“!
მოაქვს გამეტებით
სიტყვის ნაწყვეტებიც:

...აქ, ამ შენობაში...
...ჩვენც გავმართეთ კრება...
...განვიხილეთ –
დავადგინეთ:
დროით – ათი, ღამით – ოცდახუთი...
...როგორ დააკლდება...
...დადგა ძილის წუთი...

გვიანი საღამოა,
გარეთ ვიღა გამოვა.
ეს ერთი მაწანწალაც
ქარმა წააცანცარა...

ოი, შე უბედურო,
მოდი, რაღას დიდგულობ...

პური!
წინ რა რიალებს?
მიდი და გაიარე!

ზეცა შავად შრიალებს.

ნაღვლიანი ბოღმით
გული არის მთვრალი...
ხან წმინდაა იგი,
ხანაც – დაუმცხრალი...

ამხანაგო, ფხიზლად!
გქონდეს ასი თვალი!

2.
დაგელაობს ქარი, ფიფქებს ატრიალებს
და თორმეტი კაცი ქუჩას აზრიალებს.

მხრებზე შაშხანები და თასმები შავი
და გარშემო ცეცხლი, ცეცხლი შემზარავი.

კბილებში – ციგარკა,თავზე – კარტუზები,
ზურგზე უნდა ჰქონდეთ აგურის ტუზები.

სულის შვება მაშინ ვპოვეთ,
როცა ჯვარი მივატოვეთ!

ტრა-ტა-ტა!

ძმებო, ყინავს,
ქარი გმინავს!

–კატკა ვანკას დუქანში წაჰყოლია...
– ქალს წინდაში კერენკები ჰქონია!

– ვანიუშკა თავად არის მდიდარი...
– ჩვენი იყო, ახლა სალდათი არი!

– აბა, ვანკა, ძაღლისშვილო, ბურჟუა,
გაბედე და ჩემს გულისწორს აკოცე!

გვინდა თავისუფლება,
მაგრამ ჯვარი არ გვინდა!
ვანკა კატკას, მითხარით,
ასე რად ჩააფრინდა?..
ტრა-ტა-ტა!

ირგვლივ – ცეცხლის მობრიალე სვეტები,
სამხრეებზე – შაშხანების ღვედები...

რევოლუციურ ნაბიჯით იარ!
მტერი არა თვლემს და გესვრის ტყვიას!

დაიკავე თოფი გულგაციებით,
დავუშინოთ წმინდა რუსეთს ტყვიები –

მრუმე ტყიანს,
ბნელ ქოხიანს,
სქელგავიანს!

ჯვარის გადავიწყებით!

3.
წითელ ჯარში მაშინ
იჩქაროდნენ ბიჭები,
წითელ გვარდიაში
თავის არდარიდებით!

ჩემო მწარე ვარამო,
სიცოცხლეო ტკბილო!
ავსტრიულო თოფო და
პალტოვ დაფლეთილო!

ბურჟუების მსოფლიო
ხანძარში გაეხვევა,
ცეცხლში, სისხლში, უფალო,
მოგვეც შენი კურთხევა!

4.
თოვლი ბარდნის და მეეტლე არ
დარდობს,
ჩვენი ვანკა კატკასთან დანავარდობს –
ელექტრული ფარანი
ხელნაზე ათინათობს...

გახვეულა ჯარისკაცის შინელში,
დასდებია სახეს ბრიყვის იერი,
იგრეხს, იგრეხს შავ ულვაშს
ლაღი და თვინიერი...

ასეთია ვანკა მხარბეჭიანი!
ასეთია ვანკა ენაწყლიანი!
კატკას, სულელს, ეხვევა
თვალებღიმილიანი...

კატკას თავი უკან გადავარდნია
და კბილები მარგალიტად მზიანობს...
ეხ, კატია, კატია,
ჩემო სქელდრუნჩიანო...

5.
ყელზე, ჩემო კატია,
დაგტყობია იარა,
მკერდზეც – ხაზი პაწია
დაგრჩა, არ გაგიარა!

მინდა როკვით იარო,
ოქროს ფეხებიანო!

მაქმანებით დახტოდი,
ახლაც ასე იარე,
ოფიცრებთან კახპობდი,
ახლაც იხეტიალე!

ახლაც იხეტიალე,
გული ღელავს ტიალი!

გახსოვს ის ოფიცერი,
დანას რომ ვერ გაექცა,
თუ ყველაფერს, ოხერო,
შავი ბინდი დაეცა?

აბა ეს გაიხსენე,
ჩემთან რომ მოისვენებ!

რუხი გეტრით დარბოდი,
შოკოლადებს დახარბდი,
იუნკრებთან ლაღობდი,
ახლა სალდათს ჩაბარდი?
მიდი, მიდი, შეცოდე,
სულს უხდება,იცოდე!

6.
...კვლავ შესახვედრად მიჰქრის ქენებით
ფიცხი მეეტლე სწრაფი ცხენებით...

შესდეგ! შეჩერდი! მიშველე, ანდრი!
პეტრო, ეტლს უკან შემოუვარდი!

ტრახ, ტრახ – ტარარახ!
ცაში აიჭრა თოვლის სვეტები!

ვანკასთან ერთად გარბის მეეტლე,
ჩახმახს გამოჰკარ თავგამეტებით!

ტრახ, ტრახ – ტარარახ!
უნდა გაიგო უცხო ქალს როგორ
ემუსაიფო!

თუმცა, დამპალო, გარბი, მშორდები,
იცოდე, ხვალვე გაგისწორდები!

კატკა სად არის? – კატკა მკვდარია,
მის თავს გახვრეტილს ცა აფარია!

რა ვქნა, კატია, რით განუგეშო,
ეგდე თოვლსა და ნამქერში, ლეშო!

გქონდეთ ნაბიჯი მტკიცე, მედგარი!
მტერი არა თვლემს დაუდეგარი!

7.
ისევ თორმეტნი მიდიან
მხარზე გადებულ შაშხანით,
მხოლოდ მკვლელს გაფითრებია
სახე, ჯავრისგან ნაშალი...

ჩქარდება ნაბიჯების ხმა,
წყნარდება გულის წადილი.
შემოხვევია უბედურს
ყელზე კატიას მანდილი...

– რად მოწყენილხარ, ძმობილო?
– რადა ხარ გაოგნებული!
– თუ შეგებრალა, პეტრუხა,
კატია თოვლში გდებული!

– ძმებო და ამხანაგებო,
მე ხომ ამ გოგოს ვრჩეობდი
და მათრობელა, ბნელ ღამით
მხოლოდ მას მოვეხვეოდი...

გამბედავი და თამამი,
ცეცხლოვან თვალთა მკვესავი,
მარჯვენა მხართან რომ აჩნდა
ხალი მეწამულ ფერსავით,
დავღუპე, შტერმა, ცხელგულზე...
მიტომ ვარ ასე მკვნესავი!

– ნუ დედაკაცობ, პეტრუხა,
არღანს ნუ ქოქავ შტერულად!
– ამდენი დავიდარაბით
სული რომ სწორედ ვნებულა!
– მიდი,შენს სიფათს მიხედე!
– ეს როგორ გაბრიყვებულა!

– ახლა ისეთი დრო არის,
არავინ აგეფარება!
დაგვიმძიმდება, ძმობილო,
ჩვენ-ჩვენი ტვირთის ტარება!

პეტრუხამაც დადინჯებით
შეანელა ნაბიჯები...

თავი წამით ჩაქინდრული
კვლავ ასწია სიხარულით...

ეხ, ეხ თუ რამ ცოდვა იყო
ეხლა უნდა დაივიწყო!

გადარაზეთ სართულები –
მოვლენ ძარცვით გართულები!

გამოაღეთ სარდაფები –
ქეიფობენ ღატაკები!

8.
ჩემო მწარე ნაღველო,
სევდავ, გულის მდაღველო!

ნახე, მეც გავატარო
დღეები სანეტარო...

აი, ასე უხანოდ
კეფა რომ მოვიფხანო...

მზესუმზირის კნატუნით,
წყრომითა და კატუნით,

მტერი დანით დავსერო
სისხლით მიმოხატული!..

თავს უშველე, ბურჟუა,
გაქრი, როგორც ბეღურა,
თორემ შენს სისხლს შემასმევს,
რომ დაგეცე მეხურად,
ჩემი გულის ტრფიალი
გოგო შავწარბიანი...

განუსვენე მონას შენსას, უფალო,
განმიქარვე სული კაეშნიანი!

9.
სიჩუმე სუფევს კოშკზე, ნევასთან,
აღარც ქალაქის ისმის ხმაური,
აღარ შეგხვდებათ პოლიციელი,
თუნდაც ასტეხოთ აურზაური!

გზაჯვარედინზე მდგარი ბურჟუა
მალავს გაყინულ ცხვირს საყელოში
და ეტმასნება ხეშეშ ბალანით
ქეცმოდებული ძაღლი გათოშილს.

გაოგნებული ბურჟუა ჩუმად
დგას და მშიერ ძაღლს დამსგავსებია
და, ვით ქოფაკი მიუსაფარი,
ძველი ქვეყანა ასდევნებია.

10.
თავს აიწყვეტს ქარბუქი,
სტვენა და გუგუნია!
ცხვირწინ კაცსაც ვერ ნახავ,
ისეთი უკუნია!

თოვლი ძაბრად ტრიალებს,
სვეტად გაიციალებს...

– ღმერთო, რა ქარბუქია!
– პეტკა, ნუღარ კანკალებ!
შენ როგორ დაგიფარავს
ოქროსფერი კანკელი?
მართლაც უგუნური ხარ,
ვერც განსაჯო ეგება,
ეგ ხელები კატიას
სისხლმა როგორ შეღება!

– რევოლუციურ ნაბიჯით იარ!
მტერი მომდგარა და გესვრის ტყვიას!

წინ, წინ გასწი, მშრომელო
ხალხო დაუდგრომელო!

11.
იჩქარიან უღმერთოდ
თორმეტნივე – შორს,
მზად არიან, არ სწუხან,
ქარია თუ თოვს...

შაშხანები ფოლადის
დასაცხრილად მტრის...
მიყრუებულ ჩიხებში,
სად ქარბუქი ქრის...

ბუმბულების ნამქერში
ვერ ჰყოფ ჩექმის ცხვირს...

წითელფრთება
დროშა კრთება

ნაბიჯების
მწყობრი ხმებით.

მტერი ელით
ულმობელი,

როს ნამქერის
თეთრი მტვერი

უვსებს თვალებს
უძინარებს.

წინ, წინ გასწი, მშრომელო
ხალხო დაუდგრომელო!

12.
...შორს იჩქარიან მძლე ნაბიჯებით...
– კიდევ ვინა ხარ მათთან? გამოდი!
ეს ხომ ქარია, წითელი დროშით
წინ რომ მძვინვარებს ბნელ საღამოთი...

წინ ნამქერია სულის მყინველი,
– კიდევ ნამქერში ვინ ხარ – გამოდი!..
მხოლოდ საწყალი, ფეხმოტეხილი
ძაღლი ძაგძაგებს ცივ საღამოთი...

– მომწყდი თავიდან, შე ქეციანო,
თორემ აგაგო ხიშტზე იქნება!
და როგორც ძაღლი მუნმორეული,
ქვეყანა წვება და იზნიქება.

...მშიერ მგელივით კბილს აკრაჭუნებს
და მიძუნძულებს კუდმოკეცილი
ძაღლი დამზრალი და უთვისტომო...
– ეი, ვინ მოჩანს მანდ, ვით წერტილი?

– გახედე ერთი, იქ წითელ დროშას
ვინ აფრიალებს, ვინ არის იგი?

– იქ ვიღა დადის ჩქარი ნაბიჯით,
ვის მალავს ბნელი სახლების რიგი?

– ეს სულერთია, მაინც მოგნახავ,
ცოცხლად ჩამბარდე უკეთესია!
– ეჲ, ამხანაგო, დროზე გამოდი,
თორემ ტყვიები წამოგესია!

ტრახ-ტრახ-ტრახ! მხოლოდ შორეულ ექოს
იმეორებენ სახლის კედლები...
მხოლოდ ქარბუქი ხარხარებს გაბმით
და თოვლს ასკდება გაორკეცებით.

ტრახ-ტრახ-ტრახ!
ტრახ-ტრახ-ტრახ...

...ასე მიდიან ქარში გრიალით,
უკან ქოფაკი რჩება მშიერი,
წინ კი – დასისხლულ დროშის ფრიალით,
ქარიშხალსა და ქარში შთენილი,
ტყვიების დელგმას გადარჩენილი,
ქარის თარეშში რბილ ნაბიჯებით,
მარგალიტური თოვლის სანთლებად,
თოვლის ვარდების თეთრ საყელოთი
წინ – ქრისტე ღმერთი მიემართება.

იანვარი, 1918

ალექსანდრე პოტიომკინი



შლეზვიგ გოლშმეინი, გერმანია
თარგმნილია გერმანულიდან

გონების შეურაცხმყოფელი ლეგენდები

მიმართვა პარლამენტარებს, ჟურნალისტებს, სახალხო დიპლომატებს, საზოგადოებას, საქართველოს სამართალდამცავებს, „აფსუას“ ეთნოსს

„აფხაზი“ – ეს ნაციონალური კუთვნილება კი არ არის, არამედ ქართული ეთნონიმია, ტოპონიმიც კი. ეს ტოლმნიშვნელოვანია ისეთი ტოპონიმების, როგორიცაა „თბილისელი“, „ბერლინელი“, „სტამბულელი“, „ვარშაველი“, „როსტოველი“.

სიტყვა „აფხა“ – ვინც არ იცის, ვისაც დაავიწყდა – მეგრულად და ლაზურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულად აღნიშნავს – „მხარს იქით“ და „განაპირა“. ამ სიტყვიდან წარმოსდგა დასახელება „აფხაზეთი“ (რუსულად – „აფხაზია“ – მხარის დასახელების პირველი თარგმანი გამოყენებულ იქნა XIII საუკუნეში)

VIII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ცნობილი ქართული სამეფო „აფხაზეთი“ (რუსულად „აფხაზია“), დედაქალაქი – ქართული ქალაქი ქუთაისი. სახელმწიფო ენა და დამწერლობა – ქართული, რელიგია – ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა, საეკლესიო მსახურება ქართულად მიმდინარეობდა. მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთი – ეს სამეგრელოა, გურიაა, სვანეთია, იმერეთია, ეგრისია, ლაზიკაა – მის შემადგენლობაში შედიოდნენ. ისე როგორც აფხაზეთი (სიტყვა „აფხაზები“ – ეს დასავლელი ქართველებია). „აფხაზეთის“ აფხაზია) სამეფოს დამაარსებელი 746 წელს იყო ერისთავი (რაც ქართულიდან გადმოთარგმნილი ნიშნავს „მმართველი თავადი“, სიტყვასიტყვით, ერი – „ნაცია“, თავი – „თავი“, ესე იგი ერის თავი) – ლეონ I, ნაციონალობა – ქართველი, მშობლიური ენა – ქართული, რელიგია – ქრისტიანობა. სახელის „ლეონ“ თარგმანი ლათინურიდან და ბერძნულიდან „ლომი“. შემდეგ აფხაზეთის (აფხაზიის) პირველი მეფე იყო ლეონ II, ლეონ I-ის ნათესავი, ერისთავების შთამომავალი. შემდეგ: ფეოდოსია II (ლეონ II-ის შვილი), დემეტრე ((ლეონ II-ის შვილი), გიორგი I – ერისთავი. 861 წელს იოანე მეფდება, მის შემდეგ ადარნასე, შემდეგ – ბაგრატ I (სახელი ბაგრატი ბერძნულიდან თარგმნილი ნიშნავს „ღმერთის რჩეულს“). შემდეგ: კონსტანტინე (ბაგრატ I-ის შვილი), გიორგი (კონსტანტინეს შვილი), ლეონი (გიორგის შვილი) და ასე შემდეგ.

აფხაზეთის (აფხაზიის) მეფეები ყოველთვის იყვნენ ქართველები, დედაქალაქი იყო ქუთაისი, სახელმწიფოს სიტყვიერი და წერილობითი ენა – მხოლოდ ქართული, რელიგია – მხოლოდ ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა. იმ დროს მეფეებს ჰქონდათ განთქმული, დიადი და დიდებული სახელები: ლეონი-„ლომი-ცხოველთა მეფე“, გურგენი – მეგრულიდან და ლაზურიდან ნიშნავს „ქექა-ქუხილი“, ტიგრანი – ბერძნულიდან – „ვეფხვი“, ბაგრატი...

„აფხაზეთის“ (აფხაზიის) ყველა მეფე ქართველი იყო.

„აფხაზეთის“ (აფხაზიის) მიწა ისტორიულად ქართული იყო, ქართველების გარდა იქ სხვა მცირერაოდენობის ეთნოსებიც ცხოვრობდნენ – ბიზანტიელები, პონტიელი ბერძნები, თურქები, სპარსელები, აზერები (აზერბაიჯანელები) და სხვა წვრილი კავკასიელი ტომები. ისეთი ეთნოსი, როგორიც „აფსუაა“ არავინ იცოდა. სიტყვა „აფსუა“პონტიურ ბერძნულზე ნიშნავს „უსულოს“. ასო „ა“ ბერძნულად აღნიშნავს „უარყოფას“, ხოლო „ფსია“ – „ფსუა“ – სული, ცნობიერება, ამ სიტყვიდან მიიღეს დასახელება მეცნიერებებმა – „ფსიქოლოგია“, „ფსიქიატრია“. ქალაქ სოხუმის უძველესი დასახელებაა მეგრულიდან „აკუდჟიხა“. „აკუ“ მეგრულად ნიშნავს – „ზღვა“, „დჟიხა“ – „ციხესიმაგრე“. სიტყვა „სოხუმს“ აქვს მეგრული წარმომავლობა: „თევზი“ მეგრულად – „ცხუმი“.

დასახელება ქალაქ „სოხუმის“ ან „სოხუმს“ პირველად აღმოცენდა VIII საუკუნის ბოლოს. პირველად ბერძნების მას ეძახდნენ დიოსკურიას“, თურქები – „სუხუმ-კალეს“, სპარსელები – „ბაგრატ-კალეს“, ქართველები – „ცხუმს“.

მაგრამ ქალაქს არასოდეს ჰქონდა დასახელება „აფსუას“ ენაზე. მათ ენაზე ეს შესანიშნავი ადგილი XIII საუკუნიდან დღევანდლამდე იწოდება – „აკუა“ – სიტყვის პირველი ნაწილი მეგრული დასახელებისა „აკუდჟიხა).

არსებობს ათასობით ისტორიული საბუთი“: სიტყვა „აფხაზეთი“ („აფხაზია“) – ეს ძირძველი ქართული სიტყვაა და ის ასახავს ქართველი ხალხის ეთნოსის ცხოვრებას დასავლეთ საქართველოს და შავიზღვისპირეთის ფართო (ვრცელ) ტერიტორიაზე და არა „აფსუას“ ტომების. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში დასავლეთ კავკასიაში სჭარბობდა ქართული (ქართველური) ეთნოსი. ეს მყარდება ბერძნული მითოლოგიის მონაცემებით არგონავტების ჩამოსვლაზე კოლხიდაში და ბერძნული ისტორიული წყაროებით (ჰეროდოტე, გეკატეი მილეტსკი, სკილაკს კარიანდსკი, სტრაბონი), რომლებიც მიგვითითებენ, რომ კოლხეთის სამეფო იკავებდა მთელი დასავლეთ საქართველოს ბარის ნაწილს, სადაც ძირითადი ეთნოსი იყო ქართული.

მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეში ბერძნულ ისტორიულ დამწერლობაში ერთადერთი ხაზით არის მოხსენიებული წვრილი ტომები, მცხოვრებნი ლაზიკის („აფხაზეთი“) ჩრდილოეთით – აფსინები და აბაზგები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსული და ევროპული შუასაუკუნეების მატიანეები აღნიშნავენ, რომ იბერიელები (ქართველები) და აფხაზები (ქართველები) – ერთი ხალხია ერთი დამწერლობითი ენით და კულტურით. ეს მოსაზრება მყარდება პლინიის, ფლავია არიანას, ჟანა შარდენას, არკანდჟელო ლამბერტის, ევლია ჩელების ისტორიული გამოკვლევებით.

ცხუმელი მქადაგებელი პიეტრო გერალდი 1330 წელს დაწერილ წერილში თანაქალაქელებისადმი ჩამოთვლის ქალაქის მაცხოვრებლებს: ქართველებს, ბერძნებს, მუსლიმანებს, ებრაელებს.

XV საუკუნის ბატიკანის რუკაზე მდინარე კელასურის შესართავის რაიონში (ცხუმის გარეუბანი) მითითებულია „პორტო მიგრელოს“ პუნქტი, ხოლო ქალაქ გუდაუთის რაიონში პორტი „კავო დე ბუკსო“.

ცნობილი თურქი გეოგრაფი და ისტორიკოსი ე. ჩელები წერდა, რომ „აფსუას“ ტომი „არ იცნობს ყურანს და მათ არანაირი რელიგია არ აქვთ“ და არც დამწერლობა.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში ჩვენს წელთაღრიცხვამდეც და ჩვენს წელთაღრიცხვაშიც იბერიის (საქართველოს) ფართო ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომები გადმოსახლდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ისინი იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ მათ ქვეყნის ისტორიაში კულტურული კვალი არ დატოვეს.

XVIII საუკუნიდან აფსუათა ტომები (მცხოვრებნი XVII-XVIII საუკუნეებში მთიან რაიონებში მდინარე ყუბანის მიმდებარედ), აბაზგები (ჩერქეზ-ადიღეელთა ტომები), სხვა ჩრდილოკავკასიელი მთიელები იწყებენ პატარა ჯგუფებით ამ რაიონების დასახლებას – როგორც ექო სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებებისა საქართველოსა და რუსეთის მეფეებს შორის საქართველოს სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ.

XVI საუკუნის დასაწყისში სპარსელები და ოსმალები კავკასიელ ტომებს „აბაზებს“, ეძახდნენ „სპილენძის მონეტას“. სპარსელი ისტორიკოსების კომენტარებში ეს სიტყვა ასევე გამოიყენებოდა „იაფი მუშა ხელის“ დასახელებით.

1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი – საქართველოს საზღვარი გადის კავკასიონის ქედზე. საქართველოს შემოერთების შემდეგ, რათა ძირფესვიანად აღმოფხვრას, დააკნინოს სახელმწიფო „საქართველოს“ დასახელება, რუსეთი ყოფს მის ტერიტორიებს ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიებად. შიდა ქართლის პროვინცია (ქართლი – აღმოსავლეთ საქართველო, აფხაზეთი – დასავლეთ საქართველო) შევიდა ტიფლისის, ხოლო აფხაზეთი (აფხაზია) – ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქში. ქუთაისი – ისტორიულად აფხაზი (აფხაზეთის) მეფეების სატახტო ქალაქი იყო.

კითხვა: თქვენ ქართველები რატომ ეძახით პატარა უცხო ეთნოსს „აფსუას“ აფხაზებს? ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენს ეროვნულ წინაპრებს, ბილწავთ საკუთარ ისტორიას, ამცირებთ და დიდებას უმცირებთ თქვენს მრავალრიცხოვან ეთნოსს. აფხაზები – ეს თქვენ ხართ, ქართველები – მეგრელები, ლაზნი, იმერლები, გურულები კოლხები, ივერნი და სხვები, ხოლო „აფსუა“ – ეს მოსული მცირერიცხოვანი ტომია, კავკასიის მთებიდან ჩამოსული და დამკვიდრებული ამ მიწებზე XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-კავკასიის ომის პირობებში, რომელიც რუსმა გენერალმა ერმოლოვმა დაასრულა. იმ დროს ათასობით კავკასიელი მთიელი გადასახლდა თურქეთში (ისლამის მიღებით), ხოლო ისინი, ვინც ეს ვერ შეძლო – ადიღეელები, აბაზგები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარელები და სხვა ჩრდილო კავკასიელი ტომები – დასახლდნენ შავი ზღვის სანაპიროებზე – ოჩამჩირიდან ანაპამდე. 1917 წლის რევოლუციამდე მათი საცხოვრებელი ადგილი ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქად იწოდებოდა. ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ამ რეგიონს სახელი შეუცვალეს – საფუძვლად დაუდეს მისი ისტორიული დასახელება – აფხაზეთი (რუსულ ვარიანტში აფხაზია). ამ დროიდან ქართული ტოპონიმი „აფხაზეთი“ („აფხაზია) როგორც კუთვნილებითი სახელი, რეგიონის სახელწოდების აღმნიშვნელი, დღევანდლამდე დამკვიდრდა. ხოლო ყველა ჩამოსახლებულებმა მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლებმა, ამ ტერიტორიაზე დასახლებულებმა, ეთნონიმი „აფხაზები“ აიღეს. ახალი დასახელების ხალხთა შემადგენლობის რიცხოვნობა არასო-

დეს აჭარბებდა 30-35 ათას ადამიანს. ხოლო „აფხაზეთის“ საერთო მაცხოვრებელთა რაოდენობა დაახლოებით ხუთასი ათასი იყო. ბევრმა დაიწყო საკუთარი თავის მიკუთვნება ახალ ერთობასთან, რათა საკუთარი მოქალაქეობრივი სტატუსის ლეგალიზება მოეხდინა, ჩათვლილიყო ელიტურ ერში და მიეღო სოციალური პრეფერენციები.

კიდევ ერთხელ, „აფხაზი“ – ეს არაა ნაციონალობა, ეს ეთნონიმია.

„აფსუების“ ენაზე (სხვა ეროვნების, მიკუთვნებულნი ეთნონიმით „აფხაზი“) არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს წყლის ძუძუმწოვრებს და თევზის სახეობებს – დელფინს, კეფალს, სტავრიდას, კამბალას, ბარაბულას, სხვა დასახელებებს. მათ ერთი სიტყვა აქვთ – „არიბა“. და საერთოდ, „აფსუას“ ენა თავისი მოცულობით ძალიან მოკრძალებული და უმნიშვნელოა, მასში ბევრია მეგრულიდან და რუსულიდან ნასესხები სიტყვები. ხოლო ქართული ენა, – ეს უძველესი და მდიდარი ენაა თავისი სილამაზით, მეცნიერების ენა, კულტურის, პოეზიის და ლიტერატურის. ქართული ენა ამ მიწაზე უძველესი დროიდან არის ღვთისმსახურებისა. ჯერ კიდევ IX საუკუნეში გამოეყო ბიზანტიის ეპარქიას – გახდა სრულიად საქართველოსი და არა აფხაზეთის.

ქართული კულტურის უძველესი ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო ქართული ქალაქი ქუთაისი. „აფსუები“ არასოდეს აღიარებდნენ ქრისტიანობას და არ დაუტოვებიათ კულტურის, არქიტექტურის, დამწერლობის არანაირი ძეგლი.

უახლესი მაგალითი: ბერძნები ბოლო 20-30 წელი აღშფოთდნენ, აწარმოებდნენ ევროპულ სასამართლოებში სადავო საკითხებს, ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანა მაკედონიას არ აქვს უფლება ატარებდეს ამ სახელს. მაკედონელები – ეს ისტორიულად ბერძნული ეთნოსია და არანაირად სლავიანური. და ნაწილობრივ მიაღწიეს – მაკედონიამ მიიღო დასახელება ჩრდილოეთ მაკედონია.

თანამედროვე „დამოუკიდებელ აფხაზეთს“ არა აქვს უფლება არც ისტორიულად, არც იურიდიულად ატაროს უცხო ისტორიული სახელწოდება. აფხაზები – ეს ქართული ეთნოსია, ხოლო ეს მიწა უნდა იწოდებოდეს დროებითი სახელით „დროებითი აფსუა“. ამ ეთნოსის წარმომადგენლები ისტორიულად თავის თავს ეძახიან „აფსუას“, თავის მხარეს – „აპსნის“, და არა „აფხაზიას. გთავაზობთ გადაიხედოს და დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტარების მიერ ამ დროებითი ტერიტორიის ოფიციალურ დასახელებად „დროებით აფსუად“, და არა აბხაზიად (აფხაზეთად).

„აფხაზი“ ხალხი – ეს გამოგონილი ხალხია, მეფის რუსეთის ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის ბოლშევიკების მიერ დამკვიდრებული.

თქვენ ქართველები რატომ გამოხატავთ საკუთარი ისტორიის და წინაპრების ხსოვნის ასეთ მძიმე გულგრილობას? თქვენ ნებას აძლევთ და აგრძელებთ უცხო ხალხის „აფსუების“ – აფხაზებად დასახელებას. ხოლო ომით წართმეული თქვენი ისტორიული ტერიტორიები, საიდანაც იარაღის ძალით იყვნენ გამოდევნებულნი ასობით ათასი ქართველი, ხოლო ათეულობით ათასი მოკლული და დახვრეტილი იყვნენ, – აფხაზებისგან!

თქვენ რატომ აღშფოთდებით, რატომ არ ითხოვთ, არ განსჯით „აფსუების“ მიერ ახალი დამწერლობის მითვისებას ქართული გვარის მქონე ადამიანის, გულიას მიერ (ქართულად „გული“ – „სერდცე“) მხო-

ლოდ 1954 წელს? 1954 წელს გაჩნდა პირველი „აფსუა“ სკოლა და მაშინ დაარქვეს მას „აფხაზური“. ბოლშევიკებმაც ბევრი შეგნებული შეცდომა დაუშვეს საქართველოს ხალხთა ეთნიკურ კუთვნილებათა ისტორიაში. ახალგაჩენილი დამწერლობა უნდა ატარებდეს დასახელებას „აფსუას“, მაგრამ არანაირად „აფხაზურს“. ეს ფაქტი ხომ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული კულტურული დრამა და ფსიქოლოგიური დივერსიაა. აფხაზები, ესე იგი ქართველები, საკუტარ დამწერლობას იყენებენ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, ხოლო მეორე ვერსიით ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნიდან.

თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ და სამართლებრივ დიალოგებში საქართველო არ ამჟღავნებს სათანადო თანამიმდევრობას, არ იცავს მკაცრად თავის საკუთარ ისტორიულ ტოპონიმიურ, ეთნოტოპონიმიკურ დასახელებებს!

კოლხიდა, ადრეულ წლებში კოლონიზირებული და დაპყრობილი მისი დასავლეთ საქართველოს მთელი დაბლობი ბერძნების მიერ, ასევე ყოველთვის იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან და არა „აფსუასთან“. არ არსებობს იმ ეპოქის არც ერთი დამწერლობითი საბუთი, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა.

ბერძნებმა დიდი გავლენა იქონიეს ქართული ნაციის – მეგრელების, სვანების, გურულების, იმერლების, აჭარელების, ლაზების და სხვების ცივილიზაციის განვითარებაში. კოლხეთის პორტს – ჩვენს წელთ აღრიცხვამდე VII საუკუნეში დაერქვა ფაზისი (ფასისი), რაც ბერძნულად „მუდამ ცოცხალს“ ნიშნავს, V საუკუნეში სახელი შეეცვალა და დაერქვა ფოთი, რაც ბერძნულად ნიშნავს პონტო – შავ ზღვას. XI საუკუნემდე ღვთისმსახურების წიგნები ბერძნული და ქართული იყო, შემდეგ კი მხოლოდ ქართული. მსახურება ძველქართულზე მიმდინარეობს დღევანდლამდე. ყველა ქრისტიანის წმინდა წერილები – ახალი აღთქმის 27 წიგნი დაწერილია, როგორც ბერძნულ ასევე ქართულ ენაზე.

ინფორმაცია აფხაზეთზე (აფხაზიაზე) ვიკიპედიაში ხშირად წარმოადგენს ფეიკს, გამოგონილს. ერთ-ერთი ცნობილი ფეიკური შემდგენელი არის რუსი კონსტანტინე ზატულინი და სხვა „ისტორიკოსები და განმანათლებლები“: ასლან ავიძბა, ერმოლაი ადჟინდჟალი, შალვა ინალიპა, გივი სმირი, ომარ მაანი, ცრუ ფაქტების გამავრცელებლები სამეცნიერო და ისტორიულ წიგნებში, ჟურნალებში, ინტერვიუებში. მათი განცხადება ეს ბოდვაა, ეშმაკეული და თავხედური გულწრფელი ტყუილი. ხოლო ე. ადიდჟალას ციტატა „...აფხაზეთში სახელმწიფოებრიობა შეიძლება ჩასახულიყო ქრისტეს დაბადების პირველ საუკუნეში...“ – ისტორიული მსჯელობა კი არაა, სიყალბეა, ფეიკია. ეს მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში შეიძლება და არა აფსნისთან (აფსუა, აბხაზია), მისივე აზრში – ეს აფსუაა.

რატომ არ სდევნით თქვენს ნაციონალურ და საერთაშორისო იურიდიულ ინსტანციებით ამ გაუკუღმართებულ, უზნეო მთხზველებს, რომლებიც თავისი ცრუ ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხის და მისი კუთვნილი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ ჩაატარეთ დამოუკიდებელი სამართლიანი განხილვა და მათ წინააღმდეგ რატომ არ აღძარით გამოძიება, ფაქტების დამახინჯების, წინასწარგანზრახული ცილისწამებისა და ქართველი ხალხის გენოციდის ბრალდებით?

ბევრ აფხაზს (ჭეშმარიტ ქართველს)

მხოლოდ ერთი მიზეზით კლავდნენ: „ოხ, შე ქართველო! – მიიღე ტყვია თავში!“ ათეულობით ათასი ადამიანი იყო მოკლული – მკვლელთა შეგნებას აყალიბებდა სეპარატისტთათვის სასარგებლო ყალბი კომენტარები.

ქართველთა (აფხაზთა) გენოციდის შემზარავი (საზარელი) ფაქტი 1992-1994 წლებში მსოფლიო საზოგადოებისათვის საკმარისად ცნობილი არაა და ნაკლებად არის მისი დეტალები გავრცელებული. ეს თქვენი დანაშაულია, საქართველოს საზოგადო მოღვაწეებო! თქვენს ნაციონალურ ისტორიაში თქვენს უძველეს მეზობელ ქვეყნებს – რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, სპარსელებს, თურქებს და სხვებს – არაერთხელ დაუპყრიათ თქვენი მიწები, ქართველი ხალხის დამონების სურვილით, მაგრამ თქვენ ახერხებდით საკუთარი ტერიტორიების და კულტურის აღორძინებას. ამიტომ სპარსელებმა რამდენიმე ათასი წლის წინ თქვენ „გურჯები“ დაგარქვეს, ხოლო თქვენს ქვეყანას – „გურჯისტანი“, რაც მათ ენაზე „მგლების ქვეყანას“ ნიშნავს. ან ძალას. ახალი ერის დასაწყისიდან თქვენი ხალხი მსოფლიოში ცნობილია თავისი ენერგიული ცივილიზაციური სვლით (საწყისით), საქართველო მუდამ იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მდიდარი კულტურის არეალი.

ვიმედოვნებ, რომ უახლოეს პერიოდში თქვენ ააშენებთ და დაუბრუნებთ საქართველოს ხალხს თავის ოდინდელ ტერიტორიებს.

1992-1993 წლების საომარ მოქმედებებში „დროებითი აფსუას“ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საზღვრებს გარედან მოსული 3000 მოხალისე მონაწილეობდა. უცნობი თვითმფრინავები ბომბავდნენ, „გრადები“ ტყვიებს უშენდნენ, ტანკები ანადგურებდნენ ქალაქ სოხუმს და აფხაზეთის სხვა დასახლებულ პუნქტებს, ქართველთა გამოდევნებით. 300 ათასზე მეტი მოქალაქე სიკვდილის შიშით იძულებული იყო დაეტოვებინა საკუთარი მშობლიური კერა, ხოლო 40 ათასზე მეტი დახვრეტილი და მოკლული იყო.

ამასთან 247 სამხედრო პირი დაჯილდოებული იყო ლეონის ორდენით (განსაკუთრებული წარმატებული საბრძოლო მოქმედებების, გმირობის, სიმამაცის აღსანიშნავად დაწესებული იქნა 1992 წელს). რამდენად უნდა ყოფილიყო გაუკუღმართებული და შელახული ამ ფეიკების იდეის ავტორთა გონება, რომ ქართველი ხალხის მოკვლისათვის დაეჯილდოვებინათ ქართველი მეფის ლეონის სახელობის ორდენით.

„აფსუას“ ტომის ისტორიაში არაფერია: არც კულტურა, არც ენა, არც ძეგლები, ერთადერთი გამოგონილი(შეთხზული) ამბიციებია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „აფსუები“ არ ქადაგებდნენ ქრისტიანობას და შორს იყვნენ წმინდა წიგნებიდან, რაც მართლმადიდებელთათვის კანონიკურია და ასევე სხვა რწმენის მქადაგებელი წყაროებიდან. ადრე, საუკუნეებით „დროებითი აფსუას“ ტერიტორიაზე 140-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი მოქმედებდა ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სტილით, დეკორაციებით და ფასადის პლასტიკით, ფორმირებული აფხაზეთის სამეფოს დროს. დღეს მოქმედი მხოლოდ 15 ტაძარი და 2 მონასტერია. საქართველოს ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას აქვს ნაციონალური ანაბეჭდი. ტაძართა და ეკლესიათა ყველა შენობა შესრულებულია ქართველი ხელოსნების მიერ და ქვეყნის სხვა რაიონებშია დუბლირებული.

მე და ბევრი სხვა საქართველოს გულშემატკივარი გთხოვთ დაიცვათ ევრო-

პის უძველესი სახელმწიფო. VI-X საუკუნეებში ევროპაში მხოლოდ 4 სახელმწიფო არსებობდა: გერმანული ნაციის წმინდა რომის იმპერია (დედაქალაქი ახენი), ინგლისის სამეფო (დედაქალაქი ვინჩესტერი), რუსეთი (დედაქალაქი კიევი) და აფხაზეთი (დედაქალაქი ქუთაისი, მხოლოდ ქართული ეთნოსი, სახელმწიფო დამწერლობა და ენა – ქართული, რელიგია – ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა).

ჩვენ ყველა, სიყვარულით განწყობილნი საქართველოს, მისი ხალხის და კულტურის მიმართ, თქვენს აქტიურ ქმედებებს ველით!

თქვენი, „აფსუას“ ხალხთა შეუპოვარი და გულწრფელი სწრაფვა მიიწეროთ საქართველოს მაღალი ცივილიზაციის კულტურა გამოხატულია სხვადასხვა ფრაგმენტებში.

ეთნოსი „აფსუა“ სარგებლობს სხვისი მემკვიდრეობითა და მიღწევებით, მიისაკუთრა გვარებიც კი. თქვენი თქვენ არ გქონდათ. თქვენ ტომს არ ჰქონდა საკუთარი სახელები. ისტორიული ფესვების რეალობას ეტიმოლოგია ამტკიცებს.

80%-ზე მეტმა თანამედროვე „დროებითი აფსუას“ მოქალაქემ – ისტორიული ქართული „აფხაზეთის“ – მიისაკუთრა (მიითვისა) ნაცნობების, მეზობლების და გარშემო ყველა ქართული სახელები და გვარები, რადგან მთიელთა უმრავლესობას საკუთარი სახელები არ ჰქონდათ. ეს აქცია მათ ეხმარებოდა საკუთარი პიროვნების კომფორტულად ლეგალიზაციაში, საკუთარი ხალხის ინტეგრაციით ახალი წარმონაქმნის – ბოლშევიკური აფხაზეთის სოციალურ ლანდშაფტში. ყოველგვარი უხერხულობის გარეშე აიღეთ თქვენ ქართული გვარები, მაგრამ აგრძელებთ საკუთარ თავს უწოდოთ „აფსუა“.

მოვიყვან ასეთი გვარების რამდენიმე მაგალითს: კაკალია (ქართულიდან „კაკალი“), ლომია (ქართულიდან „ლომი“), მიმინოშვილი (ქართულიდან მიმინო) თოფურია (მეგრულიდან თოფური – თაფლი), ბედია (ქართულიდან ბედი), ჯიქია (ქართულიდან ჯიქი), ქობალია (მეგრულიდან ქობალი – პური), ძიძარია (ქართულიდან ძიძა), ცაავა (ქართულიდან ცა ავა), მელია (ქართულად მელია), ღვინჯილია (მეგრულად უღრანი ტყე), ზარანდია (მეგრულად ზარა – ზარი, დია – დიასახლისი), ჩემია (ქართულად ჩემი), ჭკადუა (მეგრულიდან – ჭკადი, დაჭედვა).

ასეთი გვარები ათასობითაა 630 ათასი „აფსუა“ გვარებიდან, ხოლო საკუთარი – 100-ზე ნაკლები. ამათგან 500-ზე მეტს ქართული ძირი აქვს,

არაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებიც კი ატარებენ ქართულ გვარებს. ამასთან თქვენ ქართველებს მტრებს უწოდებთ! თქვენ უცხომიწელების და ომის დახმარებით ისტორიული მიწებიდან, მშობლიური კერიებიდან განდევნეთ მკვიდრი მოსახლეობა, ნაწილი კი დახვრიტეთ. მაგრამ ამ მიწის, აფხაზეთის მრავალათასწლიანმა ისტორიამ, როგორც ადრე, ახლაც შეინარჩუნა ქართული ტოპონიმები – გიდრონიმები, ორონიმები, ოიკონიმები.

„აფსნის“ ხელისუფლების რამდენიმე გვარი: ანქვაბი (ქართულად ქვაბი), ბჟანია (მეგრულად ბჟა – მზე), კვიცინია (ქართულად კვიცი), ქაჯაია (ქართულად ქაჯი), ჯინჯოლია (მეგრულად ჯინჯი – ფესვი), ბებია (ქართულად ბებია), გაბლია (მეგრულად გაბლა – გავლენა), გუნია (მეგრულად გუნია – მსგავსი).

აკადემიურ მეცნიერებაში მსოფლიო

მნიშვნელობის განმარტება:

ტომი – ეთნოსის ყველაზე ადრეული ფორმა. მის გაჩენას წინ უსწრებდა ადამიანთა გაერთიანება ოჯახებში, გვარებში და კლანებში.

ხალხურობა – ეს ეთნოსის ბევრად უფრო განვითარებული ფორმაა, ტომის შესაცვლელად მოსული. განხვავება ტომისგან: თავის თავში აერთიანებს უფრო მეტი რაოდენობის ადამიანს; მისი გაჩენა დაკავშირებულია სახელმწიფოს აღმოცენებით, რომელიც აერთიანებს მეტ ტერიტორიას ერთ მთლიანობაში; ხალხთა გაერთიანების საფუძველში არის არა მხოლოდ სისხლით ნათესაობა, არამედ ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიური და კულტურული ნიშან-თვისებები.

ერი – ეთნოსის ტიპი, ადამიანთა უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი, გაერთიანებული საერთო ინსტიტუტებით და ღირებულებებით. ერის ნიშან-თვისებები: ერთიანი ტერიტორია; ერთი ენა; ეკონომიური სისტემის ერთიანობა; ერთი ნაციონალური ხასიათი, სოლიდარობის გრძნობა.

P.S. ამ მიმართვაში ჩემი მოსაზრებების გამოთქმისას ყველაზე მეტად ვეყრდნობოდი ქართულ წყაროებს და არგუმენტირებისათვის და დასკვნებისათვის ვიყენებდი რომაულ, ბერძნულ, ევროპულ, თურქულ და სპარსულ მასალებს.

წყაროები:

- Barthold, W.; Minorsky, V. (2012-04-24). "Abkhāz". *Encyclopaedia of Islam, 2nd Edition* [англ.].
- *Toumanoff, Cyril.* Studies in Christian Caucasian history .— Washington: Georgetown University Press, 1963.
- S. H. Rapp, *Studies In Medieval Georgian Historiography: Early Texts And Eurasian Contexts*, Peeters Bvba (September 25, 2003) ISBN 90-429-1318-5 pages 144, 230-237, 481-484 **(ინგლისური)**
- Toumanoff C., *Chronology of the Kings of Abasgia and other Problems* // Le Muséon, 69 (1956), S. 73-90. **(ინგლისური)**
- *(2013) The Abkhazians: A Handbook. Routledge.* ISBN 978-1136802058.
- Georgiy I Mirsky, G I Mirskii, *On Ruins of Empire: Ethnicity and Nationalism in the Former Soviet Union (Contributions in Political Science)*, Greenwood Press (January 30, 1997) ISBN 0-313-30044-5
- Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984, с. 907-909.
- Табагуа И. Грузия в архивах и книгохранилищах Европы, III

პროზა

მერაბ შათირი

შესავალი

2020 წლის ადრეული გაზაფხული იდგა.

დედამიწის მოსახლეობამ მოულოდნელად მომაკვდინებელი სენის – COVID-19-ის შესახებ მეხის გავარდნასავით შეიტყო.

ადამიანთა პირველი მსხვერპლი და სნეულების რეციდივები ჩინეთში დაფიქსირდა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

მომაკვდინებელი ინფექცია თითქმის ყველა ქვეყანას ისეთივე სისწრაფით მოედო, როგორც თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების მიერ გახმოვანებული სკანდალური ამბავი...

ქვეყნებს შორის საჰაერო ფრენისა თუ სხვა ტრანსპორტის მიმოსვლის არეალი საგრძნობლად შეიზღუდა და დედამიწის მკვიდრნი მასობრივმა პანიკამ მოიცვა.

ანატორი

გადამდები სენისგან ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იხოცებოდა, უხილავი ვირუსი დაუნდობლად მძვინვარებდა და ადამიანთა სიცოცხლეს მუსრს ავლებდა – უმოწყალოდ იწირავდა. მისგან თავის დაღწევის არანაირი გზა არ ჩანდა.

ქვეყნებმა საზღვრები ჩაკეტეს და ყველანაირი მიმოსვლა აიკრძალა. შეწყდა ტურიზმი, ინვესტიციები გაიყინა და ცივილიზაციის წინსვლა ხელშესახებად შეფერხდა – კაცობრიობის განვითარებას საფრთხე დაემუქრა, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პოლიტიკური ცხოვრების წესები კარდინალურად შეიცვალა.

ხვალინდელი დღის იმედს არავინ იძლეოდა და თავს დატეხილი საშიშროების სამანს ვერავინ საზღვრავდა, ირგვლივ პანდემიად წოდებული უხილავი სიკვდილის აჩრდილი დაძრწოდა და, ხვალ რა ელოდა კაცობრიობას, დარწმუნებით არავინ იცოდა.

მხოლოდ ღმერთის იმედზე ვიყავით.

გლდანის მე-3 მკ. რნ-ის ოთახნახევრიან ბინაში შეუჟული მე, ჩემი მეუღლე, ჩვენი ექვსი წლის ბარბარე, ორი მოხუცი – მამაჩემი და ჩემი მეუღლის დედა, კატა და წყვილი თუთიყუში, საკომენდატო საათისა და საგანგებო რეჟიმის პირობებში მომაკვდინებელ ვირუსს აქ „ვემალებოდით“ და იმავდროულად ვცდილობდით, ჩვენგან

რამდენიმე კილომეტრში, ჩვენი პატარა ბარბარეს სახელობის ხანდაზმულთა პანსიონატისთვის მზრუნველობა არ მოგვეკლო, საკვებითა და საჭირო ნივთებით ვამარაგებდით; ადრე დაწყებული საქმიანობაც არ შევაჩერეთ – პანდემიის ასეთ კრიტიკულ დროს ქერჩის ქუჩაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების სათემო ორგანიზაციაც გავხსენით...

ასე რომ, უხილავ სიკვდილს სხვათა სიცოცხლის გაფრთხილებისა და მათზე ზრუნვის სასიკეთო ძალით ვებრძოდით, მომავლის იმედს უფლის შეწევნით ვებღაუჭებოდით...

ერთ დღეს სარფიდან, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო პუნქტიდან ჩემს მესენჯერში მირანდა ლიქოკელისგან შეტყობინება მივიღე: „საზღვარზე ძლივს გადმოვასწარი, აქ კი ორკვირიან კარანტინში მიპირებენ გაჩერებას, ჩემს ქმარს, გურამიკოს ვურეკავ და არ მპასუხობს. უფრო სწორად, ტელეფონი გამორთული აქვს. არც ჩემი და, ლოლა მეხმიანება – სამარესავით დუმს. რამდენი მივწერე, პასუხი არ მაღირსა... ნეტავი, ხომ ცოცხლები არიან?..“

მირანდა ლიქოკელი აწ განსვენებული დედაჩემის დეიდაშვილის ქალიშვილია. ათი წელი საბერძნეთში გაატარა – დავრდომილ მოხუცებს უვლიდა, როცა გურამიკოზე გათხოვდა (გურამიკოს თვითონ ეძახდა, თორემ მე დიდად გურამის ხსენებაც არ მსიამოვნებდა), ოცი წლისაც არ იყო. ქმარი სიგიჟემდე უყვარდა, მაგრამ, უსახსრობისა და გაუსაძლისი პირობების გამო, ქვეყანა დატოვა და სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად უცხო მხარეში გადაიხვეწა...

მირანდას „რჩეულ“ გურამიკოს აზარტული თამაშები უყვარდა. დღედაღამ კაზინოს კართან ატუზულმა ჩემს ნათესავებს, მირანდასა და ლოლა ლიქოკელებს დედ-მამისგან თუ რამ დარჩათ, სულ გააინიავა, ცოლს და ცოლისდას მთელი ქონება კაპიკებში გააყიდინა, ბოლოს საცხოვრებელი ბინაც ბანკში ჩაადებინა და ხელიდან გამოაცალა, დები ლიქოკელები ხახამშრალი დატოვა...

მირანდას საბერძნეთში წასვლის მიზეზი სწორედ უბინაობა და უსახსრობა გახლდათ.

ლოლა სამუშაოდ რომელიღაც კომპანიაში მოეწყო, ხოლო გურამიკო თითქოს გონს მოეგო, გამოსწორდა, აზარტულ თამაშებზე ხელი აიღო, ისე ჩანდა, საყვარელ ცოლთან დაშორებას მტკივნეულად განიცდიდა...

არადა, თავს იკატუნებდა.

მირანდას ქმრისა არაფერი მჯეროდა. ვგრძნობდი, ეს კაცი ყველაფერზე ხელის მომწერი გაიძვერა იყო.

მაინც რა გულუბრყვილოები არიან ქალები – ასე რამ შეაყვარა მირანდას ეს უღირსი ადამიანი?!

მოთამაშეებისა და ნარკომანების არასოდეს მწამდა. არც გურამიკოს ამბით დავინტერესებულვარ ოდესმე. ხანდახან ლოლა თუ შემეხმიანებოდა ხოლმე, მირანდას გაუსაძლის ყოფაზე წუხილს მიზიარებდა.

მოკლედ, მირანდა ლიქოკელმა ამ ათი წლის განმავლობაში იმდენი მოახერხა, საბერძნეთში მონური მსახურების სანაცვლოდ მიღებული თანხის დანაზოგით, გურამიკოს სახელზე თბილისის ერთ-ერთ არცთუ ხელწამოსაკრავ უბანში ოროთახიანი ბინა შეიძინა, ჩამოვალ, შვილს გავაჩენთ და ბედნიერად ვიცხოვრებთო...

მირანდა უმუშევრად დარჩენილ ლოლასაც ხშირად ეხმარებოდა, ფულს უგზავ-

ნიდა, ბინის ქირის გადახდაში ეხმარებოდა...

მესენჯერში პასუხის გაგზავნა კარგა ხანს დავაყოვნე – ტყუილი ქირის დღესავით მეზარება და უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ბოლოს მაინც მივწერე: „სავარაუდოდ, ცოცხლები არიან... ჩამოხვალ და ყველაფერს თავად გაარკვევ!..“

მირანდას ჩემი ორჭოფული პასუხი აშკარად არ ეჭაშნიკა, თუმცა ჩემს ხასიათს კარგად იცნობდა და, ცხადია, რაღაც არასასიამოვნო ენიშნა, ჩემზე არ განაწყენებულა, „კი, მანდამდე თუ ჩამოვაღწიე... თურქეთით ჩამოვედი და, ვინ იცის, კორონავირუსს გადავურჩები თუ არა!..“ მომწერა პასუხად.

„პანდემიის დამახასიათებელ სიმპტომებს თუ არ გრძნობ, საშიში არაფერია!..“ მირანდას დამშვიდებას ქართველი ეპიდემიოლოგებისა და ჟურნალისტებისგან ტელეეთერებით უკვე მრავალგზის „გაჟღერებული“ ტერმინოლოგიით შევეცადე.

„ვიცი, ჩემი ქმარი გულზე არ გეხატება... შენი კარგად მესმის და არც მწყინს, მაგრამ ლოლაზე მაინც მითხარი რამე!..“ არ ისვენებდა მირანდა და ჩემგან დამამშვიდებელ პასუხს ელოდა, „ხომ იცი, შენ გარდა კეთილმსურველი და ქკუის დამრიგებელი ამქვეყნად არავინ დამრჩა!..“ – უსიამო წინათგრძნობით შეპყრობილი ხავსს ეჭიდებოდა და ჩემგან სიმართლის გარკვევას ჯიუტად ცდილობდა.

„არც შენ დას ვენდობი და გულზე არც ის მეხატება!..“ – გადაჭრით მივწერე და მივხვდი, გული ვატკინე, უფრო სწორად, მწარე სიმართლე შეფარვით მივახალე, ყოველგვარი იმედი გადავუწურე – ლოლას საქციელი დავგმე და ასეთი სისასტიკით მასზე საუბრის გაგრძელება აღარ ვისურვე.

მირანდას რამდენიმე დღე არაფერი მოუწერია.

მეცოდებოდა. მისი უიღბლობა და საყვარელი ადამიანებისგან დაუნდობლობა მზარავდა. კარანტინის შემდეგ თბილისში დაბრუნებული მირანდა სიმართლეს რომ შეიტყობდა, გული მოუკვდებოდა, მარტო ხვალინდელი დღის კი არა, ადამიანების მიმართ ყოველგვარ იმედს დაკარგავდა, სულიერად განადგურდებოდა, შესაძლოა, გურამიკოსა და ლოლას უზნეობა ვერც გადაეტანა და განსაცდელში ჩავარდნილს სიცოცხლეზე ხელი აეღო: როგორი შესაგუებელია, „საყვარელმა“ ქმარმა შეკოწიწებული და ნაწვალები თანხით დედაქალაქში შეძენილი ბინა გაუყიდა და მის დასთან ერთად საცხოვრებლად ბორჯომში გადავიდა!..

მაინც რა დაუნდობელი მდედრი აღმოჩნდა ლოლა – ათი წელი თითქმის მირანდას ხარჯზე იცხოვრა და ბოლოს ქმარიც წაართვა, ცხოვრება დაუნგრია... ყურში ჩამცდა, გურამიკოსგან ფეხმძიმედ იყო და მალე პირმშო შეეძინებოდათ.

საწყალი მირანდა!..

გულწრფელად რომ გითხრათ, არანაირი სურვილი არ მქონდა, მირანდას კიდევ მოეწერა, რადგან სიმართლეს ბოლომდე ვერ ვეტყოდი, ისედაც დამძიმებულ ვითარებას ვერ დავუმძიმებდი და ვერც მე გამოვდგებოდი წახდენილი საქმის ქირისუფლად.

ორი-სამი დღის შემდეგ მესენჯერში ისევ მომწერა. თუმცა გურამიკოსა და ლოლას აღარ ახსენებდა, ფშავ-ხევსურეთის ერთ-ერთი სოფლით, ანატორის წარსულით იყო დაინტერესებული.

ყურმოკვრით ვიცოდი, რაც კარგა ხნის წინათ XIX თუ XVIII საუკუნეში მუცოსა და შატილს შორის მდებარე სოფელ ანა-

ტორში მოხდა: მოსახლეობაში შავი ქირი გაჩნდა, ჟამიანობა დაიწყო და მთელი სოფლიდან სიკვდილს მხოლოდ ერთი ყრმა, დედულეთს გაგზავნილი ანატორელი გადაურჩა.

მირანდა ჟამიანობისგან გადარჩენილი ყრმის შესახებ სიამაყით მწერდა: „ბიქი მთის წინარედ, გაშლილ ადგილას დასახლდა, რასაც ლიქოკს ეძახიან, და ჩვენი გვარის წარმომავლობა სწორედ ადგილმდებარეობიდან მოდის. ასე რომ, გვარი ლიქოკელი ჯერ ანატორს უკავშირდება და მერე იმ გაშლილ ადგილს, სადაც სნეულებას გადარჩენილმა ყრმამ პირველი საძირკველი გათხარა და გვარ-თემი შექმნა!..“

ანატორის წარსულით ნება-უნებლიეთ დავინტერესდი და „ჟამიანობასთან დაკავშირებული მასალების“ მოძიება დავიწყე...

მირანდა არ ცხრებოდა, ანატორის შესახებ წინაპართაგან უამრავ მონათხრობსა და ზეპირსიტყვიერებით შემორჩენილ ამბებს მესენჯერში დღედაღამ მწერდა – საგანგებოდ აგებული აკლდამებისა და ანატორელი მოსახლეობის საკარანტინო ცხოვრებისა და თვითიზოლაციის ფაქტებს დაუცხრომლად მაწვდიდა, წარსულის გმირებს აცოცხლებდა და მათთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანს ნაანდერძევივით გადმომცემდა...

ანატორზე მირანდას ნაამბობმა და მოძიებულმა მასალებმა იმდენად დამაინტერესა, რომანის წერას შევუდექი...

ჩემი და მირანდას სულიერი განწყობა თითქოს გაუსაძლისი დროის ერთ სივრცეში აღმოჩნდა და ეს თანხვედრა იმდენად შეგრძნებადი იყო, სხვა რამეზე საერთოდ ვდუმდით: ის საკუთარ ბედისწერას, ღალატით გამოწვეულ განსაცდელს ებრძოდა და ანატორელების გახსენებით, თითქოსდა, შურისძიებისთვის ემზადებოდა, მე კი კორონავირუსის დამთრგუნველ განცდას ვუმკლავდებოდი და ნაწარმოებს გამალებით ვქმნიდი.

სატელეფონო საუბრისა და ერთმანეთის ხმის გაგონების სურვილი არც ერთს არ გაგვჩენია. ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მესენჯერში მიმოწერით ამოიწურებოდა – ვგრძნობდით, სატელეფონო საუბრის შემთხვევაში, ანატორელთა ზეადამიანური და ზნეობრივი ღირებულებების შეგრძნებებიდან, რაც ჩვენს სულებს მომავლის იმედს უღვივებდა და კორონავირუსით გამოწვეული შიშისა და ყოფის გადატანას გვიადვილებდა, შესაძლო იყო, გურამიკოსა და ლოლას უზნეობამდე დავსულიყავით...

მირანდასთან ერთად ანატორელთა ქირთათმენასა და გულუშიშრობას წარმოსახვით ვაცნობიერებდი, მთელი არსებით ვითავისებდი, სიკვდილსა და განსაცდელს აღარ ვუფრთხოდი – ძნელბედობის ჟამს ანატორელების მიბაძვით ვუმკლავდებოდი.

ანატორელთა გმირობის შესახებ, ხელისუფლებისგან გამოცხადებული საგანგებო ვითარების პირობებში, გამუდმებით ვწერდი და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს მირანდას სახით ციდან უჩუმრად წარმოგზავნილი ანგელოზი გამომეცხადა და საოცარ ამბებს მამცნობდა. მჯეროდა, ანატორელთა გაუგონარი და აქამდე შეუფასებელი თავგანწირვის შესახებ სათქმელს ბოლომდე ვიტყოდი, ხოლო მირანდას რა ეშველებოდა, ამაზე აღარ ვფიქრობდი...

მე და მირანდა ანატორელების განვლილი ცხოვრების ანალიზითა და შეფასებით თითქოს საკუთარ ბედზე ვზრუნავდით და სრულიად ახალ მომავალს ვქმნიდით...

კორონავირუსი დედამიწაზე კვლავ მძვინვარებდა...

მაისის ბოლოს მოულოდნელად ერთი თუთიყუში მოგვიკვდა...

„მაინც მომაგნო, ჩემი ძაღლი სარკმელთან ყმუის...“

(ერთი სოფლის სევდიანი ამბავი)

თავი I

ადრიან დილით ხეობის თავზე ქორი გამოჩნდა. სივრცობრივ წრეთა ინტერვალები რადიაციული გასხივოსნების წრეწირებივით შეკვეცა და თავბრუდამხვევი მონოტონურობით დაბლა-დაბლა დაფრენა იწყო, ციცაბო და კლდოვან ფერდობზე ტერასულად შეფენილი სოფლის კოშკურებისკენ დაეშვა. პიტალო კლდეთა თვალუწვდენელი მწვერვალებიდან კი ამ დროს არწივი გამოჩნდა, ჰაერში კამარა შეკრა და დათოვლილ მთებს შორის მომწყვდეული ლაჟვარდი მეფური ქედმაღლობით უმალ დაიპყრო, გაბედულ ფრინველს საფრთხისშემცველი სიშორით თავს ზემოთ დაუტრიალდა, იქედან რაღაც გაკვირვებითა და გამაფრთხილებელი მუქარით დახედა – ცის საბრძანებელს როგორ მეცილებაო და ირაოს ნაცვლად პირდაპირი დაშვების მშვილდივით გატყორცნილ ფრთამალობაზე გადავიდა. ქორმა საშიშროების მოახლოება სივრცის ტალღობრივი შერხევით იგრძნო, მტაცებლურ განზრახვაზე ხელი მსწრაფლ აიღო და უსიერი ტყისკენ გაუტია; არწივი აღარ დასდევნებია. თითქოს დამშვიდდა – რაკი ვერაგ ფრთოსანს საკუთარი ღირსების შესაფერი ადგილი მიუჩინა, ხეთა ბურვილები ცის ზედამხედველის ვალდებულებით გადასერა, მერე კვლავ კამარა შეკრა, სივრცეში აიჭრა და კლდოვანი მწვერვალებისკენ ლაღად გაფრინდა.

კავკასიონის მთაგრეხილებიდან ადრეული გაზაფხულის მზე ღამის იდუმალი მზვერავივით ამოტორტმანდა, თოვლისა და მთების კალთებზე დაფენილი ნამქერების თეთრი საბნები ოქროსსხივფერად მოციაგე არშიებით მოავარაყა და ხეობაში თვალისმომჭრელი სხივები გადაფინა.

სულია სისაურმა მზის ამოსვლას საკუთარი ყისმათის რწმენით დაასწრო და საწოლიდან ჩაუქად წამოდგა, ბანზე გავიდა და კოკის ტუჩიდან ცივი წყლით პეშვი აივსო, სახეზე ისხურა, მერე მთის მწვერვალებიდან ხეობაში დაშვებულ მზის სხივს ფიქრიანად გახედა და ალპური სიგრილის ნიავი ღმად ჩაისუნთქა. უკან შებრუნდა, შარვალი ამოიცვა, მარჯვენა მხარეს ჯარისკაცური წყობით დამწკრივებული ღილები მოხერხებულად შეიკრა და ფერადი აბრეშუმის ძაფით მოქარგულ, თავგრაგნილი ჯვრებით მორთულ მაისურში მკვრივი მაჯები მკვირცხლად შერგო, ზედ ლურჯი, სირმის გრეხილით შემკული და ასევე ფერადი ჯვრებით გაწყობილი, წელში გამოყვანილი ჩოხა გადაიცვა, ფეხები პაჭიჭებში წარგო, წვივის თავები საწვივეთი შეიკრა, თავზე ნაბდის ქუდი მოირგო და შიდა კიბით გომურში დაეშვა. საჯინიბოს მიადგა, კედლიდან ტყავის უნაგირი და მათრახ-ლაგამი ერთდროულად ჩამოხსნა, ბაგაზე მიბმული წაბლისფერი და თეთრკანჭებმოზოლილი ბედაური ახსნა, „დრრრ, შავრია!..“ გამომაფხიზლებლად შეუძახა და ქაფიან ლაშებში ლაგამი ამოსდო, მათრახი ცხვირწინ შემწყნარებლურად შეუთამაშა.

ულაყმა მომაბეზრებელი ცოხნა უმალვე შეწყვიტა, პატრონის ერთგულებისად დაიფრუტუნა, ლაგამის რკინის სალტე

კბილებით გაღეჭა, მსხვილი ძარღვები აატოკა, ტანი ცივწყალნასხურებივით იმპულსურად გააძაგძაგა და შესაკაზმავად გაინაბა.

ქაბუკს მოქნილი ტანი, სახის სწორხაზოვანი ნაკვთები, სიპისფერი იერსახე და დაკუნთული მკლავ-წვივი ჰქონდა. წელის სივიწროვესა და ბეჭების სიმკვრივეზე ეტყობოდა, მთისა და კლდოვანი ადგილების მკვიდრი რომ იყო. გამჭოლ გამოხედვაში – სილურჯეში გარდამავალ მოლისფერ თვალებს რომ მოგაპყრობდა – გულუშიშრობა გამოსჭვიოდა, ახალგაზრდა კაცისთვის გასაკვირი სიდინჯით გამოირჩეოდა, თუმცა, ჩანდა, მტრის მიმართ გულფიცხობასა და სისასტიკეს ყოველთვის იჩენდა – სახის მარჯვენა ყვრიმალზე გამუდმებული კეჭნაობისა და ხმალთაკვეთების მაუწყებლად მთიელ ლამაზმანთა ყურადღების მისაქცევი და მიმზიდველი ნაიარევის წარუშლელი კვალი დატყობოდა.

ქაბუკმა შეკაზმული ცხენი გომურის მოღიავებული კარით გარეთ გაიყვანა, უზანგში ფეხი მოხერხებულად წარგო და სამგზავრო უნაგირს მარდად გადაევლო: – „ჰაა, შავრია!..“ – მხედრის მბრძანებლური ტონით ამოთქვა და ბანზე გამოსულ დედას ირიბი უხერხულობით გახედა, დარცხვენით გაუღიმა, თითქოს ტუჩებზე მომდგარი მოსაფერებელი სიტყვები დააოკა და დაძაბულობის დასაფარავად ცხენს დეზი ჰკრა, რომელიც ჯერ ნახევრად ყალზე შედგა, მერე ადგილიდან მოსხლტა და სოფელზე გამავალ ბილიკს ჩორთით დაადგა.

კოშკურის ბანზე კარგა ხანს იდგა შალის გრძელ კაბაში გამოწყობილი დედაკაცი, დედისერთა ვაჟს სიამაყით გაბრწყინებული თვალებით გასცქეროდა, გულში წამისწამ იდუმალი შიში გაჰკრავდა.

მისი კენტად გამოზრდილი სულია მთელ ხევსურეთში გამორჩეულ ვაჟკაცად ითვლებოდა, ხმლისა და დამბაჩის ხმარებაში კაცი ვერ ჯობნიდა, ვერც ცხენოსნობაში უდებდნენ ტოლს და უბადლო მონადირესა და მებრძოლს მოყვასთან ერთად მტერიც მომრავლებოდა, „კარგ ყმას მოშურნე არ დაელევა...“ ფიქრობდა მშობელი და გულს იმშვიდებდა: სულია აუგს აროდეს ჩაიდენდა და უსამართლოდ არავის დაჩაგრავდა...

დედა გზად მიმავალ ვაჟს გამგზავრების მიზეზს ვერ ჰკითხავდა და ვერც ხმამაღლა დაუყვავებდა, ვერ დაარცხვენდა, ვერ გააქაჩლებდა, დიაცს ამის უფლება არ ჰქონდა, თუმცა იცოდა და გულიც ამას უგრძნობდა, ვაჟი ბოლო დროს მუცოს ეშურებოდა, იქ გულისსწორთან მიიჩქაროდა.

ქვრივმა დედაკაცმა სევდიანი წლების ნაცადობით დადინჯებულ პირსახეზე თითები დაისვა, თვალები ხელისგულით მოიჩრდილა და მზის ათინათში გახვეულ მხედარსა და ბედაურს ლოცვა გააყოლა:

„ღმერთო, ყოვლის შემძლეო, დაიცავი და მშვიდობით ატარე ჩემი დედისერთა, გუდანის და ხახმატის ჯვართა ყოვლისშემძლეობა არ მოკლებოდეს ჩემს სულიას, გვარისა და მშობლის თვალისჩინს!..“

ქალმა ერთხანს გორაკზე აღმართული ქვიტკირის სალოცავის სილუეტს მიაპყრო თვალი, ვიდრე ბანს გაეცლებოდა, ქაბუკსა და ცხენს ისევ გახედა და პირჯვარი გადასახა.

სულია ჩქარობდა.

დაცდილი ჰქონდა: სოფლიდან მზის მეორედ ამოსვლამდე უნდა გაეღწია, თორემ ხიფათს ვერ აცდებოდა.

მზის მეორედ ამოსვლა ანატორელებს ბუნების მიერ მათთან დაკავშირებულ უჩვეულო ჯილდოდ მიაჩდათ – დილით ამობრწყინებული მზე სამხრობამდე, ფერდობზე შეფენილი კოშკურების სამხრეთით აღმართულ კლდოვან მთას ეფარებოდა, მერე გარს შემოუვლიდა და შუადღემდე ხეობასა და ორი მდინარის შესაყარს მეორედ დააცხუნებდა. ასეთი რამ მთელ ხევსურეთში, მხოლოდ ანატორში ხდებოდა და აქაურები მზის ამოსვლის ორგზის ხილვას სიამაყითა და მათი თემსამანის გამორჩეულობითაც ხსნიდნენ.

მხედარმა აღვირი მოქაჩა, პირველ მოსახვევში შედგა, ქვემოდან ამომავალ რამდენიმე სულ საქონელსა და ცხვრის მცირე ფარას გზა დაუთმო.

შავრიამ ნაცნობი ქაბუკისა და ძაღლის დანახვაზე თავი ფრუტუნით დააქნია, მოკლედ დაწნული კუდი უნებლიეთ მაღლა აპრიხა და კუნთად ქცეული მკერდი გვერდზე მიაბრუნა.

ხეობიდან ნისლი დგებოდა – ცის ტატნობისკენ ზლაზვნით მიიწევდა, ფერდობებსა და კლდოვან ადგილებს ნაცრისფრად ლოკავდა და სილაუვარდეში ნელნელა ქრებოდა, ქედჩაუანგული მთების კალთები მომაჯადოებელი შთამბეჭდაობით იკვეთებოდა.

– სანდროს გაუმარჯოს!.. – სულია შემხვედრს ხალისიანად შეეხმიანა.

– ღმერთმა გამარჯვებით გატაროს, ძმისგულო!.. – შეაგება თანატოლმა და მუხის კომბალს მუხლჩახრით დაეყრდნო, კავკასიური ჯიშის ნაგაზი საქონელს აედევნა. – გურგულა, პირუტყვს იალაღისკენ გაჰყევ და მალე წამოგეწევი!.. – ახალგაზრდა პატრონმა ქოფაკს დავალება ისე საქმიანად დაადევნა, როგორც ერთი მწყემსი მეწყვილე მწყემსს დაადევნებდა.

სულიას სიამოვნებით ჩაეღიმა, ცხვარ-ძროხის კვალდაკვალ ადევნებულ ძაღლს მოწონებით გახედა.

ვაჟები თანშეზრდილები იყვნენ – ძუძუმტეები.

სანდროს ჭრელი მატყლის წინდები და მაღალყელიანი ქალამნები ეცვა. პირხმელსა და ნიკაპგაპობილს წაბლისფერი თმა და თვალები ჰქონდა. მუხლმარდი და მკლავმაგარი ჩანდა. შავჩოხიანის კეთილ მზერაში მთიელი ვაჟის დარბაისლობა და კეთილმოსურნეობა გამოსჭვიოდა.

საერთოდ, აქაურები, განსხვავებული სქესის მიხედვით, თითქმის ერთნაირად იმოსებოდნენ.

– საით გაგიწევია, სულია? – დაინტერესდა ძუძუმტე.

– ჯერ შატილს მივეშურები, ხევისბერს უნდა ვეახლო, მერე მუცოში ასვლას ვაპირებ!.. – მიუგო სულიამ და გორაკისკენ გადახრილ მზეს მწველად გახედა.

– უხმლოდ და უფაროდ, უიარაღოდ?! – სანდრო გულწრფელად შეწუხდა და კომბალი განზე გასწია, თითქოს წარმოდგენით უხილავ მტერს მოუღერა.

– ქისტებთან შეტაკებისას ჩემი ფრანგული ცოტა დაბლაგვდა, ფარიც შეილახა. პავლე მჭედელს დავუტოვე, გააწრთობს და პირს განუახლებს. შატილამდე ორი ნაბიჯია და, არა მგონია, ხირიმი დამჭირდეს!.. – იმედიანად გაეპასუხა სულია. – მერე მუცოში ავალ და მეას ჯალაბობას შევუვლი, ნიშნობის დღეს დავთქვამთ და ერთდროულად ქორწილსაც გავმართავთ. ქალი ასეთ პირობაზე თანახმაა. შენ რას მეტყვი, სანდრო?.. – საქმიანად დასძინა.

– მე რა უნდა გითხრა, სულიავ, სიცოცხლეს განაცვალებ, შენი ბედნიერებისთვის თავს არ დავზოგავ!.. – სანდრომ ალალმართლობის დასტურად ყელგამ-

შრალივით ჩაახველა.

შავრიამ მიწა დატორა, უადგილოდ დაიფრუტუნა.

სანდრო ცხენს დააკვირდა, წინა ფეხის მოხრილობა არ მოეწონა, თავი გააქნია.

– მჭედელმა პავლემ ნალბანდობაც ხომ იცის?.. წინა ნალი გამოაცვლევინე, გაცვეთილია, გზაზე არ გიმუხთლოს!.. – გამაფრთხილებლად ჩაილაპარაკა და ძუძუმტეს მშვიდად ახედა.

– ჰო, ვიცი, იმ დღეს, ქისტებთან შეტაკების დროს ლოდზე გადაიქელა! – სინანულით თქვა სულიამ და ბედაურს ფაფარზე მათრახის ტარი თბილად დაუსვა.

შავრიამ თავი მადლიერებით დააქნია, ლაგამმა გაიჟღარუნა.

– წავედი, სანდრო, წავედი!.. – მხედარმა გონს მოსულივით თქვა და ცხენი ადგილიდან დაძრა.

– მშვიდობით გევლოს, გუდანის ჯვარი გწყალობდეს!.. – დაადევნა ვაჟმა და ფერდობს საქონლის კვალდაკვალ შეუდგა: „გურგულა, მოვდივარ!.. დამელოდე, გურგულა!..“ – ერთგულ ქოფაკს მარქაფად გასძახა და სოფლის სანახები უკან მოიტოვა.

ანატორი ფერდობზე შეფენილი, ბრტყელბანიანი კოშკურების ტერასულად განლაგებული, ძველქალაქური არქიტექტურის მსგავსი დასახლება იყო. კოშკურების უმეტესობას ხის მაკავშირებელი ხიდები ამშვენებდა და ასეთი გადაჯაჭვულობა დასახლებასა და თავად მოსახლეობას ერთმანეთისგან გაუმიჯნაობისა და ერთსულოვნების – ერთიანი ჭირისა და ლხინის გაზიარების უპრეცედენტო მაგალითად აქცევდა.

ანატორი პატარა, მჭიდროდ დასახლებული მთიანი ქალაქის გარეუბანს უფრო ჰგავდა, ვიდრე არწივის ბუდესავით საამოდ საცქერ კლდოვან ფერდობზე შეფენილ სოფელს, თანაც თანამედროვე ქალაქებისა თუ დასახლებებისგან ბევრი რამით განსხვავდებოდა: აქაურები მთის წესითა და ადათით ცხოვრობდნენ. აქ ქრისტიანული და ქრისტიანობამდე არსებული რელიგიური წესები თემთა საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრებისთვის დამკვიდრებულ რჯულსა და კანონებს სინთეზურად შერწყმოდა – მთიელთა ბუნებად და ხასიათად ჩამოყალიბებულიყო; ანატორში რწმენა და რელიგიური ცხოვრების წესი მხოლოდ ერთ პრინციპს ემსახურებოდა და ეს პრინციპი ადამიანის უპირობო ღირსება გახლდათ; აქაურები რელიგიურობის ერთობასაც თავად განასახიერებდნენ, რწმენისადმი თავდადებასაც, სოციალური ერთიანობის დემოკრატიულობასაც და სწორედ ეს ნიშან-თვისებები მათი ბუნების სილაღეზე მეტყველებდა – ისინი თავისუფლების ტრფიალებით, ადათ-წესების უპირობო დაცვითა და რელიგიური მრწამსისადმი ერთგულებით – ღვთის შვილებს, მამაზეციერის უღალატო მსახურებს ჰგავდნენ.

გაზაფხულის მზე ანატორის გამყოფ კლდოვან გორაკს უახლოვდებოდა. ხეობას მწველად ასხივოსნებდა და ლოდებზე მედუზებივით გადაფოფრილი მდინარის ტალღებს ოქროცურვილით აციგლიგებდა.

ტყეში ჩიტების გალობა და ჭიკჭიკი ბუნების იდუმალების სამოთხისებურ ჟრიამულს ჰგავდა.

ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფდა, სოფელი ხმაურობდა: გზავიწროებზე ცხვარ-საქონელი მიილალვოდა, ვიღაც ხევსური კაცი ჩაუქი ნაბიჯით სათიბში მიიჩქაროდა, გაღმა ფერდობზე ცელმომარჯვებული მუშაკი ჩანდა, რამდენიმე კოშკურის საკვა-

მურიდან ბოლი ამოდიოდა, შიგადაშიგ ძაღლების ყეფა ისმოდა და კლდეთა მწვერვალებიდან არწივის შორეული წრიაპი აღწევდა.

შავრია წინა ფეხის გადადგმისას აშკარად ფრთხილობდა. განსაკუთრებით, ოღროჩოღრო გზაზე უჭირდა, მიწამდე მანძილს ფლოქვით ისე ზომავდა, თითქოს მდინარის ჩქერალში გადიოდა და წყლის სიღრმეს სინჯავდა.

სულია სამჭედლომდე არმისული ჩამოქვეითდა და ცხენთან ერთად ფეხით გაუყვა. მზეს მოუთმენლად გახედავდა ხოლმე, არ დამიგვიანდესო.

ბედაურს კოჭლობა თანდათან უფრო მეტად დაეტყო და რაკი პატრონის ვალდებულებისგან გათავისუფლდა, ტკივილსა და საწუხარს მეტი გასაქანი მისცა.

მხედარს და ბედაურს პავლე სამჭედლოს შესასვლელთან დაუხვდათ.

– სად ხარ, სულია, შენი ფარ-ხმალი გამოკვერილია და საომრად უკვე მზად არის!.. – მისალმებისთანავე შეაგება მჭედელმა ქაბუკს და საბერველისკენ შებრუნდა, კედლიდან ფარი და ხმალი ჩამოხსნა, ფრანგულს შუა თითით ფხა გაუსინჯა და ოსტატის სიამაყით ჩაეღიმა: – ფარიც გასწორდა და ფორმაში ჩადგა... – დასძინა და ვაჟისკენ შებრუნდა.

პავლე ასაკოვანი კაცი ჩანდა, თუმცა ქარმაგად გამოიყურებოდა: განიერი მხარ-ბეჭი და რკინასავით ნაწრთობი გამომეტყველება ჰქონდა. ხევსურულ პერანგს ტყავის წინსაფარი უფარავდა, შუბლზე მჭედლისთვის დამახასიათებელი ნაიარევი შავ ლაქასავით აჩნდა, ღაჟღაჟა ღაწვზე ბრძოლაში მიღებული ნაჭრილობევი გასდევდა, ახალგაზრდობაში ხშირად უკეჭნავია, ნამდვილი შუღლი მსუბუქი შურისძიებით დაუძლევია და მოშურნეს ხმლის მარჯვობაში მთაში ნებადართულ ზღვრამდე გასჯიბრებია, ანატორის სამანებიდან მომხვდურიც ბევრჯერ გაუდევნია და მეფე ერეკლეს ლაშქრის მხარი-მხარაც გმირულად უბრძოლია – მტერი მოუსრავს.

ახლა მთელ დროს თითქმის სამჭედლოში ატარებდა: ვის ხმალს აწრთობდა, ვისას – შუბ-ისარს, სამეურნეო ხელსაწყოებს აკეთებდა და მუდმივად შემართულ უროს რკინის გრდემლს სცემდა – ნაპერწკლებს აყრევინება.

– შავრიას წინა ტორზე ნალი აქვს დასაჭედი!.. – საქმიანად თქვა სულიამ და გორაკისკენ გადახრილ მზეს შეშფოთებით გახედა. – მეჩქარება, შატილში მივისწრაფვი, ხევის უხუცესს უნდა ვეახლო და მერე მუცოშიც ასვლა მოვასწრო! – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და ცხენს გაერიდა, განზე გადგა, შეკეთებული ფარი და ხმალი ღიმილით შეათვალიერა, სხარტად აისხა.

ამ დროს სამჭედლოსთან მისმა ძმადნაფიცმა და მასთან თანშეზრდილმა ქუჯიმ ჩამოიარა. ეტყობოდა, სადღაც მიიჩქაროდა, მაგრამ სულიას დანახვაზე ნაბიჯი შეანელა და მისალმებისას ახლობელ ადამიანს ნაბდის ქუდი მოუხადა.

– ძმადნაფიცს გაუმარჯოს!.. – სახეგაბადრულმა მხიარულად წამოიძახა და ქუდიანი ხელი მაღლა აწია.

სულიამ გაიხარა, სიყრმის მეგობრისა და ფიცვერცხლნაჭამი ვაჟის დანახვა გულწრფელად ესიამოვნა.

– საით გაგიწევია, ქუჯი!.. – თბილად ჰკითხა და სახეზე სევდანარევმა ფიქრმა გადაურბინა. სინამდვილეში იცოდა საითაც მიუწევდა ძმადნაფიცს გული.

– ჩემს სწორფერთან, ნაბისთან მივდივარ, ჩემთვის ლამაზი პერანგი მოუქ-

სოვია!.. – თითქოს საკუთარ თავს გაუღიმა ვაჟმა და უხერხულობის დასაფარავად აღმოსავლეთ გორაკის თავზე წამოკოსებულ სალოცავსა და მუხის ხეს გახედა.

უპირქუშო ღრუბლების გასწვრივ სიმაღლეს ნაჩვევი მტაცებელი ფრინველი დანანაობდა, ხოლო უახლოეს ფერდობს შეფენილი გვირილები და იები ფერადი წერტილებივით ჩანდა.

ქუჯის ჯვრებითა და რვაქიმიანი ვარსკვლავებით მოსირმული პერანგი ეცვა, ათლეტური აღნაგობის ჭაბუკს ლამაზ პირისახეზე სიხუჭუჭეში გადასული წვერი ხავსივით სქლად ეფარა, მგრძნობიარე თვალებიდან კეთილგანწყობის სხივებს აფრქვევდა, თითქოს ბედნიერებას მალავდა და სულის სიღრმეში არ გახედებდა; უბადლო მოფარიკავე და ცხენოსანი გახლდათ, ხმალსაც და ხირიმსაც ერთნაირი ოსტატობით ხმარობდა და ქისტებთან და სხვა მომხვდურ მტერთან არაერთი შეტაკების გამოცდილება ჰქონდა. შიში არ იცოდა და ბევრჯერ მარტო დასდევნებია ვერაგული მიზნით შემოპარულ მძარცველებს და ანატორელთა ცხენ-საქონელი დაუყრევინებია, მოტაცებული ლამაზმანები გამოუხსნია; პატარაობიდანვე სულიასთან ერთად იზრდებოდა და კეჭნაობაში იწაფებოდა – ვაჟები ხშირად ხის ხმლითა და ფარით ფარიკაობდნენ, ვარჯიშობდნენ და ნამდვილი ბრძოლისთვის ოსტატდებოდნენ.

– ნაბი მომიკითხე, ჩემი დისსწორი... – სულიამ თანშეზრდილ ქალიშვილთან გულთბილი მოკითხვა დააბარა და თვალებში ამოუცნობი შფოთი ჩაუდგა. – მალე ქორწილს ვჭამთ, ცოლს ვირთავ, მეა დაიაური ანატორის რძალი გახდება!.. – ძმადნაფიცს მხიარულად დაადევნა და მის რეაქციას აღარ დაელოდა, რადგან ქუჯიმ მისი სიყვარულის ამბავი ისედაც იცოდა.

– კარატის ჯვრის მადლმა, შენს ქორწილში გაზაფხულის სავსე მთვარეს ანატორის კლდოვანი გორაკის მწვერვალზე დავკიდებ!.. – ქუჯი კაიხელა მანძილის გავლის შემდეგ უეცრად შემოტრიალდა: – ბედნიერებას გისურვებ, სულია!.. – გონს მოსულივით წამოიძახა და ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო.

სულიამ თავი ფიქრიანად გააქნია და შავრიას ფეხებთან ჩაცუცქულ მჭედელს საქმიანად მიუახლოვდა, ბედაურს ფაფარში ხელი ჩაავლო, სუნთქვაგახშირებულ ცხოველს დამშვიდება აიძულა.

პავლემ გაბედულ მხედარს ღიმილით ამოხედა და ცხენს წვივზე ხელით ფრთხილად შეეხო, ფეხის მოსახართან ცერი გამოსდო და წინა ტორი წამოაწევინა, ჩლიქზე დახედა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია:

– ნალი გაბზარულა და ნატკეციც ატყვია!.. – ექიმივით დაასკვნა. – ამ ცხენით არსად წაისვლება, დაგამტვრევს!.. – დიაგნოზიც დასვა და შავრიას ფეხი გაუთავისუფლა.

– პავლე, ნალი მოიტა და ჩლიქზე დავსვათ, დავჭედოთ!.. – ვაჟმა მჭედელს ჯიქურ მიუგო და სამხრეთისკენ გადახრილ მზეს გულმწყრალად გახედა.

– ნალი მეორე ნალის მეწყვილე ვარგა... ახალს გამოვაწრთობ, ნაჭედის ტყუპისცალს!.. – მჭედელი მხრებში გასწორდა და საბერველისკენ შებრუნდა.

– რას ამბობ, პავლე?.. საქმე წამიხდება!.. – დაიჩივლა სულიამ.

– მართლა თავზეხელაღებული ხარ... – მჭედელმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა. – მზის მეორედ ამოსვლამდე საქმეს მოვრჩები და შატილიც აქვეა, არ დაგი-

გვიანდება!.. – პავლემ დამამშვიდებლად მიუგო.

– საქმე წამიხდება... – განაწყენებულ ბავშვივით ჩაილაპარაკა სულიამ და ისევ მზეს გახედა.

– წამხდარი საქმე არც მე მეპიტნავება, მაგრამ სამჭედლოში გაბზარული ნალის მსგავსი არ მაბადია!.. – პავლემ საყვედურნარევი დამარწმუნებულობით მიუგო.

– არა, ანატორიდან მზის მეორედ ამოსვლამდე თუ არ გავედი, ცუდად მაქვს დაცდილი, ამას წინათაც ქისტებს გადავეკიდე... – ვაჟმა თითქოს შეიცხადა, ქისტებთან მომხდარი შეტაკების ამბავი ემოციურად გაიხსენა და მზეს კვლავაც მწყრალად გახედა, თითქოს მომხდარში გავარვარებული მნათობი დაადანაშაულა.

– ჰო, შენი ვაჟკაცობისა და ქისტთა დაწიოკების ამბავი მთელმა ხევსურეთმა გაიგო, მაგრამ, შავრია რომ დასაქედია და ნალი გამოსაყვანია, ამას ვერსად გავექცევით!.. – შემრიგებლური ნიშნისგებით მიუგო პავლემ და სამჭედლოს კედელი უიმედოდ მოათვალიერა.

– შავრიას არც სანალეში ჩაყენება და არც გათოკვა არ სჭირდება. როცა გვერდით ვეგულები, თვინიერდება. იქნებ, მსგავსი ნალი გამოვძებნოთ, თუნდაც ნახმარი, მაგრამ ვარგისი!.. – მუდარასავით თქვა ვაჟმა და პავლეს კედლისკენ მიმართულ მზერას თვალი გაადევნა.

ბედაურმა დაიფრუტუნა, თითქოს პატრონს დაეთანხმა და თანადგომა გამოუხატა.

ბრტყელი ქვით ნაგებ კედელზე რკინის უამრავ სხვა ნივთთან ერთად საბრძოლო აღჭურვილობის სახეობებიც ეკიდა. სადაც შუბის გაცვეთილ ტარსა და ჯაჭვის პერანგს წააწყდებოდით, იქვე წამახული სათიბი ცელი და დაღვარჭნილი ფრანგულიც სამუზეუმო ექსპონატივით იწონებდა თავს. თითქოს კედელზე „ჩამომხრჩვალი“ იარაღები იმ მიზნით გამოეფინათ, მათი წარსული ნაღვაწი დავიწყებას არ მისცემოდა, მათი დიდების კვალი არ წაშლილიყო, ქვის მაგიდაზე კი მომცრო თუ დიდი რკინის ყალიბები მოუწესრიგებელად ეწყო.

სულია კედელზე გამოფენილ, ხმარებისგან გაცვეთილ რკინის საგნებს ისეთი დაკვირვებით მისჩერებოდა, თითქოს ნაცნობ სასაფლაოზე მყოფი ახლობელი ადამიანის სამარის ქვაზე ამოტვიფრულ ნიშანს ეძებდა და... უცებ გარღვეული ჯაჭვის პერანგის გვერდით, მჭედლისთვის აშკარად საპატიო კუთხეში კენტად გამომზეურებული ვერცხლისფერი ნალი შენიშნა.

– პავლე, კაცო, მგონი, გვეშველა, უსათუოდ ჩემი შავრიას ნალის წყვილია!.. – ისე წამოიძახა, თითქოსდა მართლა ახლობლის საფლავის ქვა აღმოაჩინაო და ნალისკენ მათრახის ტარი გაიშვირა.

მჭედელმა თავი გააქნია, თითქოს დანაშაულში ამხილეს, სახტად დარჩა და ღრმა ფიქრებში ჩაიძირა, მერე გონს მოსულივით შეირხა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– მაგ ნალს ცუდი ბედისწერა ახლავს და... თანაც ახლა შენ მოგხვდა თვალში, თორემ ამდენი წელია აქ ჰკიდია და არავის შეუმჩნევია, არადა... – კაცი წამით დადუმდა, თითქოს სათქმელი აწონ-დაწონა და მოუსვენრად აწრიალებულ ქაბუკს გულამაყად ამცნო: – ეს ვერცხლისფერი ნალი მეფე ერეკლემ ლეკების ბელადის ცეცხლოვან ბედაურს დააგდებინა, რომელიც მოწინააღმდეგე მხედართან შერკინებისას ფლოქვებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა, ჩვენი ქვეყნის მეფისა და მხე-

დართმთავრის მებრძოლები გიგანტური შერკინების მომსწრენი გავხდით – მანამდე მსგავსი ორთაბრძოლა არასოდეს გვენახა: ერეკლეს ბედაურიცა და ხმალიც ქარიშხალივით ტრიალებდა და მტრის ბედაურსა და მახვილს თავგზას უბნევდა, ბოლოს ლეკების ბელადი ძირს დაენარცხა, ხოლო მის ბედაურს ოთხივე ნალი ჩლიქებიდან უზალთუნებივით გასცვივდა და სისხლით მორწყულ ველზე მიმოიფანტა. ერთი ნალი ძლივს მოვიხელთე და, როგორც საგმირო ბრძოლის დაუვიწყარი ნადავლი, ჯაქვის პერანგში ჩავიჩურთე... – თვალზე ცრემლმომდგარი მჭედელი კედელზე კენტად ჩამოკიდებულ ნალს მოწიწებით მისწვდა და ჩამოხსნა, რვალთან მივიდა და ზედაპირზე დააკრა, ურო დასცა – რკინის ნალმა ზარივით დაიწკრიალა. – დაღესტანში ნაწრთობია, გადაღმიელ კავკასიელებს უბადლო მწრთობლები და მჭედლები ჰყავთ. აბა, ლეკთა ბელადი ბრძოლის წინ საკუთარ ბედაურს სად დაჭედავდა თუ არა დაღესტანში?! – მრავალნაცადი კაცის ხმით დასძინა პავლემ და ვერცხლისფერი ნალის ძველ ადგილზე დაკიდება განიზრახა.

– პავლე, მოიცა, ამ ნალში გამოზამთრებულ და ნაპატიებ ცხვარს ჩამოვდივარ. შატილიდან მუცოს ავალ, დავბრუნდები, ხინკალი, მწვადი, არაყი და ლუდი ჩემზეა. მოკვდეს სულია, თუ სიტყვა გააცუდოს!.. – ვაჟმა აზარტში შესულივით წამოიძახა და მჭედლის მკრივ მკლავს მსუბუქად წაეტანა.

– რას ამბობ, სულია, მტრის ნალია და უსათუოდ გიმუხთლებს. პატრონთან ნამუხთლევია, ამ ნალის ბედისწერა ღალატია და როცა იქნება, შენც გიღალატებს... რა ცხვარი, რის ლუდი და არაყი?.. არა, არა, კარატის ჯვრისა და ანატორის ხატის მადლს ვფიცავ, ე, მაგ ნალით შავრიას არ დავჭედ. მზის მეორედ ამოსვლამდე მოგიწევს დაცდა!..

– პავლე, შატილში მივდივარ, ომში ხო არა?.. ამ კვირის ბოლოს ქალი უნდა შევირთო, ქორწილი გავმართო, ანატორს რძალი და ძალა შევმატო!.. – ჭაბუკს ხმაში მუდარასთან ერთად საყვედურიც გაერია და მჭედელს ისეთი გამომცდელი თვალით მიაჩერდა, თითქოს მისი ბედნიერების მოშურნეობაში ამხილა.

მჭედელმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია, თითქოს გატყდა, შავრიას მორჩილად მიუახლოვდა, მის წინა ფეხთან ჩაიმუხლა, სახსარში ცერი გამოსდო, ტორი წამოაწევინა და ვერცხლისფერი ნალი ჩლიქზე გულდაგულ დააჭედა, „მზის მეორედ ამოსვლამდე დაგეცადა, შე კაცო, ცინცხალ ნალს გამოვაწრთობდი, ამან შესაძლოა გიმუხთლოს, მტრის ნამუხთლევი ნალია!..“ რამდენჯერმე გაიმეორა და სამჭედლოში ძალაგამოცლილი შებრუნდა.

ბედაურმა კისერი დაძგიბა, ფაფარი შეარხია და ტანი აზიდა, პატრონს ღირსეული დგომით დაელოდა, ხოლო, როცა ჰაერში მათრახის სასტარტო გაშხუილება ჩაესმა, ადგილს მოსწყდა და ანატორის საფეხვნოსკენ გაქუსლა.

***

სოფლის შესასვლელში ქვითა და სიპის ფიქალით ნაგები, კრამიტისებური სტილით დახურული დარბაზი იდგა. წინა მხარე მოღიავებული ჰქონდა და იქ მხოლოდ მამაკაცები იკრიბებოდნენ, დედაკაცს საფეხვნოში შესვლის უფლება არ ჰქონდა; ეს იყო ანატორის ერთგვარი საკრებულო – სათათბირო და ყველა საჭირბოროტო საკითხი ამ შენობაში ხატის უფროსის, სოფლის უხუცესების, განსწავლუ-

ლებისა და ცხოვრებანაცადი ადამიანების შეკრებითა და მსჯელობით წყდებოდა. ზოგჯერ ცხარე კამათიც იმართებოდა, მაგრამ ზღვარს არავინ გადადიოდა, უფროსუმცროსობისა და ერთმანეთის მოსმენის რიგს არავინ დაარღვევდა – მთვრალი და უავტორიტეტო კაცი საფეხვნოში ვერ გამოჩნდებოდა.

ხეობაში ერთპიროვნულად არანაირი საქმე არ გარიგდებოდა.

სულია ცხენიდან ჩამოქვეითდა, იქვე ბოძთან მიაჩაირა და საფეხვნოში გულდაგულ შეაბიჯა.

დარბაზში ანატორელი მამაკაცები ირეოდნენ, ზოგი ცხვარში აპირებდა წასვლას, ზოგი – სათიბში, ზოგსაც რჯულის საქმის გარკვევა სურდა: აინტერესებდათ, ამ ხეობაში დამკვიდრებული რელიგიური დღესასწაულები სხვა ხეობათა და თემთა დღესასწაულებისგან რითი განსხვავდებოდა.

ქაბუკის დანახვაზე ქვის სკამებზე ჩამომსხდარი კაცები ფეხზე წამოიშალნენ, ხოლო ზეზეულად მდგომებმა გზა გაათავისუფლეს და ანატორელებისთვის საამაყო ქაბუკს პატივისცემით მიესალმნენ.

წინარე ქვის სავარძლიდან თემის თავკაცი წამოიმართა, ხეობაში გამორჩეულ მებრძოლს მამაშვილურად გაუღიმა, მასპინძელივით მიიწვია:

– რისთვის შეწუხებულხარ?.. – მისთვის ჩვეული სიმშვიდით ჰკითხა.

ანატორელი უხუცესი ჩვეულებრივი მოკვდავის გრძნობებს არასოდეს ავლენდა. მისი თითოეული სიტყვა, მოძრაობა და საქციელი თავის თავში იმ თემის ადათ-წესების ერთგულებას განასახიერებდა, რომლისთვისაც საკუთარ სიცოცხლესა და მისწრაფებას უპირობოდ დათმობდა – დააოკებდა. მისთვის წუთისოფლის ცდუნებებსა და მოთხოვნილებებს კაპიკის ფასი ჰქონდა, მუდამ ხალხის ინტერესების უყოყმანო გამომხატველს განასახიერებდა, ხევის ნებისა და თემის სასწაულმოქმედი ხატის კარნახით საერთო საქმეს განაგებდა და, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლად შეეწირებოდა – საკუთარ თავს ადამიანური სისუსტეების რაიმე ფორმით გამომჟღავნებას არასოდეს აპატიებდა და არც შინაურს დაინდობდა – თუნდაც საკუთარი ოჯახის წევრს, თუკი მისი საქცილი თემისა და ხეობის ნებას შეეწინააღმდეგებოდა.

ხვთისოს გარეშე ანატორისთვის საჭირბოროტო საკითხი არ გადაწყდებოდა; ჭარმაგი კაცი ჭაღარად შეფერილ წვერს ატარებდა, თეთრად დამეჩხრებული თმა უკან გადაევარცხნა. საშუალოზე მაღალი კაცის დაძარღვული მაჯები და ჩამოქნილი, შესამჩნევად გრძელი თითები უთუოდ მიიქცევდა მნახველის ყურადღებას – ხშირი წარბები და ცისფერი თვალები რკინისებურ ნებისყოფასა და ხასიათს ავლენდა. შეხედავდით და როგორღაც გადამდებ სიმშვიდეს იგრძნობდით, ხევსურულ სამოსსა და ნაბადში მოხდენილად გახვეულ მთიელს განგებისგან მოსმენის შესაშური კულტურაც მომადლებოდა.

– შატილს მივდივარ, ხევისბერი მიხმობს, ხვთისო ბატონო!.. – მორიდებით დაიწყო ვაჟმა და უფროსი კაცის სიტყვას განაჩენივით დაელოდა.

– ფრთხილად იარე, ხორგაი მომიკითხე... მოუსმინე და მის ნებას დაჰყევ, დაუჯერე!.. – კაცმა ქისტებთან ამასწინანდელი შეტაკება იგულისხმა და იქ მყოფთ მისახვედრად გადახედა: – ჩვენი იმედი ყოველთვის გქონდეს. ფხიზლად იყავი... ანატორის სასწაულმოქმედი ხატი გფარავდეს და გუდანის ჯვარი გიცავდეს!.. –

ლოცვით დასძინა, თვალებით ვაჟის აღკაზმულობა შეათვალიერა და მისი სიყრმის მეგობრის, ბერდია სისაურის ვაჟს, რომლის მამასთან ერთადაც წარსულში ბევრი ჭირი და ლხინი გამოევლო, გამამხნევებლად გაუღიმა, რაც იმას ნიშნავდა, ჩვენი შეხვედრა ამოწურულიაო.

მხედარი და ბედაური ანატორის სამანებს მალე გასცდნენ და ორი ხეობის გზაგასაყარი, ჩეჩენ-ინგუშეთიდან და დაღესტნიდან, თუშეთიდან და ქართლ-კახეთიდან მომავალ გზათა ჯვარედინი, მდინარე არღუნისა და მუცოს შესართავთან აგებული, მეფე თამარის დროინდელი მუცლად აზნექილი ხიდი უკან მოიტოვა.

მზე ანატორის მთას ჩუმ-ჩუმად ეპარებოდა და მის ზურგს უკან მიმალული მეორედ ამოსვლას ეპირებოდა.

შავრია გაღმითა ფერდობზე თავდაუზოგავად მიჭენაობდა, მიწას ტორებს სცემდა და დაჭედილი ფლოქვებით ნაპერწკლებს ყრიდა – სამი ანატორში გამოწრთობილი და ერთი დაღესტნური ნამუხთლევი ნალით ხეობაში მყოფთ აფხიზლებდა, ანატორელებს იდუმალი სიამაყით განაწყობდა...

ყინულოვანი მწვერვალებისა და კლდეების სიღრმეში არსებული ხეობის გორაკ-ფერდობებსა და მის წიაღში მცხოვრებ მთიელებს, სხვებთან შედარებით, ბუნებისგან მფარველობის უპირატესობა ბოძებოდათ – აქ მტერი ცხენზე ამხედრებული და გალაღებული უჩუმრად ვერ შემოაღწევდა, მაშინ მხედრული სიამაყე უნდა დაეთმო და ბედაურისთვის ფეხებზე ნაბდის ქეჩები დაეხვია, მოპარვითა და ღამის სიბნელით უნდა ესარგებლა, რაც დამხვდურის აშკარა უპირატესობაზე მეტყველებდა, რადგან ქურდულად მოსვლა სიმხდალის მაუწყებელად მიიჩნეოდა და მტერი ფსიქოლოგიურად თავშივე მარცხდებოდა.

აქაური ბუნება და რელიეფური განლაგება მთიელებს ყურთასმენას ორმაგად უმახვილებდა და მოსალოდნელი საფრთხისგან იცავდა: ხის ტოტის გადახლეჩა, ხმელი ჯოხის ფეხქვეშ გატკაცუნება, ქვაღორღის ნაპრალისკენ დახრიალება და მდინარის უჩვეულოდ გადამეტებული ხმაურიც კი – თუნდაც მოულოდნელი ჩქამი – ანატორელების ყურთასმენას სასწაულებრივად აფხიზლებდა და საომრად აღჭურვის ნიშანს აძლევდა; აქაური ბუნება მთიელი ხალხისთვის იდუმალი მზვერავისა და გუშაგის ფუნქციას ასრულებდა.

პირიქითა და პირაქეთა ხევსურები ბარელებისგან ან მთის უცხოტომელთაგან სწორედ ბუნებასთან სმენა-სიახლოვითა და თვალყურსიმახვილით განსხვადებოდნენ – აქაურებს გარემოსთან სხვათათვის შეუცნობელი იდუმალი კავშირები ჰქონდათ, ისინი მიყურადებისა და რეალური გადამოწმების აუცილებლობით არსებობდნენ, ნადირის შორეული ყნოსვითი შეგრძნებებითა და სმენადობით გამოირჩეოდნენ.

ცხენი და მხედარი მალე შატილის სამანებს მიადგებოდნენ...

თავი II

გაზაფხულის მზე ანატორის გორაკს ნელი-ნელ ეფარებოდა.

ხეობის მწვერვალებისკენ აყოლებულ ფერდობებზე გაზლაზნილი ჩრდილი თანდათან იწელებოდა და გასხივოსნებულ ბუნებას სამზეოს უგრილებდა, ცხენსა და მხედარს კვალდაკვალ მისდევდა – როგორც წარსულის მოუნანიებელი ცოდვა, ადათ-წესისა და მთიულთა რჯულის კა-

ნონის გარდაუვალი ბედისწერა, მისდევდა სისხლის ყივილისა და ღირსების მაცნედ, წარსულის ტვირთის მუდმივ შემხსენებლად და მიმდევნებლად – სააქაოს ჯოჯოხეთური ქარცეცხლის სამანებიდან ნათლით შემოსილი სამოთხის კარიბჭეემდე...

...საუკუნე-ნახევრის წინათ სულიას წინაპარმა, ბაღათერ სისაურმა, ჭინჭარაულთა ერთ-ერთი მამიშვილობის წარმომადგენელი, გვარნაცვალი თედია ჯალაბაური, სათიბის მითვისების გამო ხმლით განგმირა და ანატორიდან გაიხიზნა; ბაღათერის ბიძებმა და ახლო ნათესავებმა ჯალაბაურების ოჯახს მოკლულის სულის საცხონებლად საგვარეულო შესაწირი მიართვეს:

„შუაკაცები გეახელით, რაც რჯულის კანონით ვალი არის განწესებული, ინებეთ!“ უთხრეს – წესით დადგენილი საყოლი და ძღვენი უბოძეს – გვარებს შორის მშვიდობა გაარიგეს.

მოშუღარნი ამის შემდეგ მხოლოდ ბაღათერ სისაურზე ნადირობდნენ და, მანამ არ დაცხრებოდნენ, ვიდრე შურს არ იძიებდნენ და საკუთარი გარდაცვლილის სულს საიქიოში არ მოასვენებდნენ.

ბაღათერი და მისი ოჯახის მომავალი მემკვიდრეები, ექვსი-შვიდი თაობის წარმომადგენლები, შუაკაცების ხელით ყოველ წელიწადს, ჯალაბაურთა ახალი თაობის ახალ ჭირისუფალს მოკლულის სულის საცხონებლად მიწად შესვლის საკლავს უგზავნიდნენ, მაგრამ „ხევსურული რჯულის“ მიხედვით, მტრობა და სისხლის აღების წყურვილი მსგავსი მსხვერპლშეწირვით არ მთავრდებოდა.

ხევსურეთში სახარებისგან დაგმობილი ყველა ქმედება ცოდვად მიაჩნდათ და მკაცრად ისჯებოდა: მოპარვა, კაცის კვლა, მრუშობა, დასმენა, მოშურნეობა და ღვარძლიანობა, ყოველგვარი გულბოროტობა იდევნებოდა და თემის რისხვას იმსახურებდა, ცოდვის ჩამდენი ადამიანთაგან იკვეთებოდა, თუმცა იქაურთათვის ძველი აღთქმის კანონიკური მცნება: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ...“ მეტად მძლავრობდა და ერთ ლოყაში გარტყმას არავინ გაპატიებდა, მით უფრო, მეორე ლოყას არ მოგიშვერდა.

საუკუნე-ნახევარმა ისე გასტანა, ბაღათერ სისაურის მემკვიდრეებსა და მათ დედმამიშვილებს სიმშვიდე და მოსვენება არ ჰქონიათ, შურისძიების გაუთავებელი მოლოდინი არ განელებიათ, ჩადენილი ცოდვის უმძიმესი ტვირთისა და მოკლულის სულის მოსახსენიებლად მიწად შესავლის ყოველწლიური გადასახადისგან გათავისუფლება არ ღირსებიათ.

ბაღათერის ოჯახის მეშვიდე თაობის შთამომავალმა ბერდია სისაურმა, რომელიც ერეკლე მეფეს ლეკების წინაღმდეგ ბრძოლაში არაერთხელ ახლდა და უბადლო მებრძოლის სახელი დაიგდო, ანატორში დაბრუნება და მამაპაპეული კერიის გაღვივება გადაწყვიტა.

ამ ხნის მანძილზე ჯალაბაურთა გვარი თითქმის გადაილია, გამეჩხერდა და გათითოკაცდა. ხეობაში ამბობდნენ: ჯალაბაურები გაყოყოჩდნენ და აზეზეურდნენ, რჯულის კანონსა და ხატს არაფრად დაგიდევდნენ და სხვათა სახნავ-სათესსაც ეუფლებოდნენ, კარატის ყოვლისშემძლე ჯვარმა ჯერ გააფრთხილა, მერე შერისხა და სასტიკად დასაჯაო.

„ჯალაბაურებმა რა უნდა დამაკლონ, გვარში საჭირისუფლო აღარავინ დარჩათ!..“ ხმამაღლა აცხადებდა გულუშიში ბერდია და ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა, მემკვიდრე უნდა გავაჩინო და გვარი გავაძლიეროო.

გარეგნობით წარმოსადეგს სიტყვა-პასუხი და მოლექსეობა არ ეშლებოდა, უამრავი საგმირო თქმულება ზეპირად იცოდა და, ისეთი ტკბილმოუბარი იყო, ჩიტს მონუსხავდა და ლაჟვარდში მოფრთხიალეს ხის კენწეროზე დაასკუპებდა.

ერთხელ სოფელ მუცოში მეფე ერეკლეს ჯარისკაცებმა, ბერდიასთან მხარდამხარ ომგამოვლილებმა, ხადო და ბოცო შეთეკაურებმა, ანატორელი მეგობარი ხატობაში მიიწვიეს, ლუდით და არაყით გაუმასპინძლდნენ – ილაღობეს და ომში ერთად ყოფნის დროს თავს გადამხდარი ეპიზოდები გაიხსენეს, სტუმარს მარჯვენა შეუქეს და, ამქვეყნად კენტად რად დაიარებიო, მეგობრულად უსაყვედურეს.

ბერდიამ ხატობაში თანამებრძოლების ბიძაშვილს, ხევსურ ლამაზმანს, მარია შეთეკაურს შეასწრო თვალი და მას შემდეგ მოუსვენრობა დასჩემდა, მოსალოდნელი შურისძიების სიფრთხილის გრძნობა საერთოდ დაკარგა, ანატორსა და მუცოს შორის მაკავშირებელ ვიწრო და კლდოვან ბილიკებზე ათენ-აღამებდა; ბოლოს გულის ნადები ვეღარ დამალა, ხადო და ბოცო შეთეკაურებს კაცურად გაენდო და ქალიშვილის ხელი ითხოვა, მუცოში წესისა და ადათისამებრ, შუამავლები და ნიშნის მიმტანნი წარგზავნა და ქორწილი გაარიგა.

მარია შეთეკაური ანატორელი ვაჟკაცით იმდენად მოხიბლულიყო, მიუხედავად იმისა, საკუთარი ყურით გაგონილი ჰქონდა ჯალაბაურთა მხრიდან მოშუღრობისა და გარდაუვალი შურისძიების შესახებ, უკან არ დაიხია და მომავალი ქმრის ბედისწერა გაიზიარა, თითქოს მოსალოდნელ საშიშროებას წინდაწინ შეეგუა და სისაურთა საგვარეულო უღელი კისერზე ნებაყოფლობით დაიდგა. მალე დაფეხმძიმდა და ოჯახში საყოლიც მოამრავლა; ანატორელები მისი დანახვისას ამბობდნენ: ბერდიამ მოყვრის თვალისა და გულის გასახარი, ხოლო მტრის შესაშური და თვალის დასაფსები დიაცი შეირთოო!..

ბერდია სათიბს თიბავდა, კალოს ლეწდა, საყოლს მეთვალყურეობდა, მთებში ნადირობდა, ზოგჯერ გადამთიელ მომხდურსაც იარაღით აღჭურვილი გამოუვარდებოდა ხოლმე, ხეობის მიჯნა-სამანიდან კუდამოძუებულებს ბოლომდე დევნიდა. თუ მტერს შიშს ვერ დაატყობდა, არ ინდობდა და ხევსურეთის საზღვრამდე კვალდაკვალ მისდევდა, წამოეწეოდა და მზეს უბნელებდა. ცალკერძ ანატორის სასწაულმოქმედ ხატს ვაჟის გაჩენას, ამქვეყნად გვარის გამგრძელებლის მოვლინებას ევედრებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ცოლისიანებმა ორსულ ქალთან ერთად მუცოში გადაიპატიჟეს – თითქმის ცხრა თვე იწურება და ქალიშვილი თვალით არ გვინახავსო.

ბერდიას დაეხათრა, ბედაური შეკაზმა, ცოლი უნაგირზე ნამარდულად შესვა, იარაღი აისხა და მუცოში მოკლე გზით ავიდა.

მასპინძლებმა გაიხარეს, სიძეს ცხვარი დაუკლეს, მწვადით და ხინკლით, არაყით და ლუდით გაუმასპინძლდნენ.

ქეიფს რომ მორჩნენ, სიძემ შინ დაბრუნება მოიწადინა.

ჩამობნელდა, ხეობაში უკუნი ნელნელა ჩამოწვა და ამინდმაც პირი იცვალა, მოქუფრული ცა კოკისპირული წვიმის დაშვებას ეპირებოდა.

ბერდიას თავპატიჟი და ხვეწნა-მუდარა არ უყვარდა, იცოდნენ, თავნათქვამა იყო და მაინც არაფერი გასჭრიდა, ამაღამ ვერაფრით დავრჩებიო: „საყოლს ღია ცის ქვეშ ვერ დავტოვებ, უნდა დავაბი-

ნავო. ფეხმარდი ვარ და მოკლე ბილიკებით ანატორამდე ცხენზე სწრაფად ჩავაღწევ!..“ – თქვა და ბედაური მარიას ჩააბარა, გულში ჩაიკრა, მუცელზე ხელი ფრთხილად შეახო, მოეფერა, აკოცა, ცისკარი როგორც გამოანათებს, აქ გავჩნდები და შინ წაგიყვანო, ნაბადი მოისხა და კლდოვან ბილიკებს გაბედულად დაუყვა.

იმ ღამით ხეობაში მეორედ მოსვლა დატრიალდა. თითქოს ცა ფეხად ჩამოიქცა. კოკისპირული წვიმა და თქეში დაუშვა, ელვა-ქექა მთიდან მთას ეხეთქებოდა, ფერდობები აქაფებული ნიაღვრებით დაისერა და მდინარე არღუნში ულევი ქვაღორღი ჩაიტანა, წყალი ააზვირთა და აახმაურა.

ბუნება ისე მძვინვარებდა, თითქოს მთის და კლდის მიწასთან გასწორება და პირთამდე წალეკვა სურდა.

ბერდიამ ანატორამდე ძლივს ჩააღწია. გზადაგზა პირჯვარს იწერდა და გუდანის სასწაულმოქმედ ხატს სტიქიის დაცხრობას ევედრებოდა – ჩვენზე ხომ არ გაწყერიო, მომნანიებელივით ჩურჩულებდა და ჩადენილი ცოდვებისთვის შევრდომებას სთხოვდა.

სამი დღე-ღამე გადაუღებლად წვიმდა, ულმობელმა თავსხმამ ხეობის მიდამოებში წარღვნის საშინელი კვალი დატოვა: ფერდობები ნიაღვრებით დაიღარა, სათიბები გადაილეკა, ბევრგან მეწყერი ჩამოწვა და სავალი ბილიკები გადაიქელა. მოვარდნილმა ღვარცოფმა უთვალავი საქონელი და ცხვარი წარიტაცა – პირიქითა ხევსურებს აუნაზღაურებელი ზარალი დაატეხა.

ასე იყო, ხევსური კაცი ხეობის გადარჩენისა და ხსნისთვის გუდანისა და ხახმატის ყოვლისშემძლე ჯვართა წინაშე გულმხურვალედ კი ლოცულობდა – თავსაც ავედრებდა, მაგრამ, ბუნება თავნება და დაუმორჩილებელი გახლდათ, მოსახლეობას ზოგჯერ სიკეთეს მოუტანდა და ზოგჯერაც სიავეს აწვნევდა...

ბერდია მუცოში დატოვებულ ცოლზე დარდობდა, თუმცა თავისიანებთან ეგულებოდა და იცოდა, მზრუნველობას არ მოაკლებდნენ და არაფერი ევნებოდა.

მარია თავის მხრივ სიმშვიდეს ვერ პოულობდა, ქმარზე დარდობდა, ამ ყიამეთში ანატორამდე უვნებლად როგორ ჩააღწევდაო, და თანაც გულს შიშის ქია უღრღნიდა, სადმე მოშუღარი და მოსისხლე მტერი არ ჩასაფრებოდა – უამინდობით ესარგებლა და ბერდიაზე შური ეძია; როცა ცისკარმა გამოანათა და ცამ ოდნავ გადაიკარა, საწოლიდან ჩუმად წამოდგა, საჯინიბომდე ფეხაკრეფით მივიდა, ბაგიდან ბედაური გამოხსნა და გარეთ გამოიყვანა, დედის ნახელავი ქადებით სავსე ხურჯინი უნაგირზე გადაკიდა, უზანგში ფეხი წარგო და რბილ საზურგეზე ნამარდულად წამოსკუპდა, მიძინებული მუცო და მისიანების ადგილსამყოფელი ისე შეუმჩნევლად დატოვა, ძაღლსაც არ დაუღრენია.

ქვაღორღიან გზაწვრილზე ცხენის მონოტონური ფლოქვების ხმა და უნაგირის მსუბუქი ჭრიალი ისმოდა. ნისლში გახვეული ხეობა თავსდატეხილი ღვარცოფის შემდეგ თითქოს სულს ითქვამდა და ციდან ახალი შემოტევის დასახვედრად ემზადებოდა.

რამდენიმე ნაბიჯში ადამიანის თვალი ვერაფერს გაარჩევდა.

შინდისფერ ცხენზე შემომჯდარი, ხევსურული სილამაზით შემკული ორსული ქალი კეთილგანწყობით აელვარებულ ცისფერ თვალებს ირგვლივ ზღაპრის უწყინარი, გზააბნეული დედოფალივით აცე-

ცებდა. ერთგული ცხოველის ინსტინქტსა და ყნოსვას მინდობილი ბურუსში გახვეულ, დევებივით გაელვებულ ლოდებსა და კლდის ქიმებს სიმშვიდეშენარჩუნებული მზერით გახედავდა ხოლმე და გულში ბერდიას გამოჩენას ნატრობდა. ზოგჯერ კაბაში გამოზნექილ მუცელზე ხელისგულს დაისვამდა, საკუთარ შიგნითა არსს დედური გამძაფრებით აყურადებდა, თითქოს ამოწმებდა, გულის ძირთან განაბული არსება არ შეშფოთებულიყო.

ბედაური დაძაბულად ფშვინავდა და ტოკავდა, კუნთებს ქიმავდა, კანი ციებიანივით უცახცახებდა. ერთი-ორჯერ ბილიკი წინა ფლოქვით მოსინჯა, ადგილზე შედგა, საშიშროება იგრძნო, გზას ნაპირი ვერ უპოვა და სხვა მხარეს გადაინაცვლა, კარგა ხანს იხეტიალა და იფრუტუნა, ნაცნობი და უხიფათო სავალი ვერსად დაყნოსა, ვერც ძველ ბილიკს წააწყდა და ბოლოს კლდოვანი მხარე შეარჩია, ნაპი-ნაპირ დაუყვა. გზადაგზა ფრუტუნებდა და საცრისხელა თვალებს დაძაბულად აბრიალებდა, წინა ფეხებს ძალუმად ეყრდნობოდა, მუხლებში იხრებოდა, ბუქნითა და მონოტონური ბიძგებით უსაფრთხო სავალზე გადადიოდა, ნისლის ნაბდებში გახვეულ სახლისხელა ქვებს გვერდს უვლიდა და უგზოუკვლოდ წინ მიიწევდა.

მალე მთის მწვერვალებისკენ მიდევნებული ნისლის ფარდები მსხვილი წვიმის წვეთებმა დაცხრილა და ავის მომასწავებელი ელვა-ჭექა გაისმა. ელვის უზარმაზარი სალტე გამყინვარებულ მთაგრეხილებზე გველეშაპის ენასავით გადაიკლაკნა და ხეობაში ზარდამცემი გრუხუნით ჩაიქცა, კოკისპირული წვიმა ზათქით დაეშვა, კლდის ნაპრალებსა და ქვიანი ფერდობების ხვეულებს ხრიალი აუტყდა.

ამ დროს დიაცმა მსუბუქად შეჰკივლა და ხელი მუცელზე იტაცა; ცხენი უძლური გახდა, ნაბიჯი შეანელა და ადგილზე გახევდა, თითქოს საპატიო პატრონის განაჩენს დაელოდა; მარიას მუცლის არეში გაუსაძლისმა ტკივილმა დაუარა, დაიკრუნჩხა, მერე იძალა და უზანგის სარტყელს ფეხით დაეყრდნო, ცხოველის მსხვილ კისერს მოეჭიდა და დაბლა ჩამოცურდა. აღვირი მოუშვა და ჩანასკვა, უმწეოდ მიიხედ-მოიხედა. მხედველობის არეში კლდის განაპირას მდებარე გამოქვაბულის შავი ხახა მოხვდა. ცხენს შეწუხებული სახით მიხედა და დაყვავებით უთხრა:

„ანატორში წადი, ბერდია ნახე... წადი, გაქუსლე!..“ და თავი გამოქვაბულს შეაფარა.

ბედაურმა ერთხანს ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა, თითქოს მშობიარობისთვის განკუთვნილი ბუნებრივი თავშესაფრი კარგად დაიმახსოვრაო, ბოლოს თავი დაკისრებული პასუხისმგებლობის ნიშნად დააკანტურა და თავსხმის ბურუსში ფლოქვების მოზომილი თქარუნით გაუჩინარდა.

მარია გამოქვაბულის კლდოვან იატაკზე მოუხერხებლად დაწვა, ნოტიო ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მშობიარობისთვის მოემზადა – კარგა ხანს წვალობდა და იწმახნებოდა, ქვაბულის კამარიდან უცაბედად გამოდარებულ სივრცესა და წკრიალა ლაჟვარდში აჭრილი კლდეების სილუეტებს იმედიანი თვალმიშტერებით გასცქეროდა, დროდადრო მთელი ძალით იჭინთებოდა.

რამდენიმე მცდელობის შემდეგ დაგეშილივით დადუმდა, მერე არაბუნებრივი კვნესა აღმოხდა და მისი სხეულიდან გამომსხლტარ არსებას ყური მიუგდო. წამი საუკუნედ გაიწელა, უცებ ხეობის დასიპული ფლატიდან ექოდ დაბრუნებული

ბავშვის ქყავილი მოესმა, რომელსაც შორეული ბექობიდან ზანზალაკის კისკასივით სიცოცხლის მაუწყებელი სიხარულის გააზრება მოჰყვა და ქალმა შვებით ამოისუნთქა, მის გადაღლილ სახეზე დედური და ბედნიერების მაუწყებელი ღიმილი გაკრთა. პაწია არსება ოდნავ წამოსწია, ფრთხილად დახედა, გული სიამით აუძგერდა.

„ბერდიას ოცნება ავუხდინე!..“ – ჩურჩულით ამოთქვა და ესწუთია დედამიწას მოვლენილი ყრმა მკერდისკენ წამოზიდა. დაბრკოლებას წააწყდა და მიხვდა, ცხრა თვის ნასაზრდოებ შვილს ქიპლარი იჭერდა. უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, საიმედო ვერაფერი დალანდა, მერე შუქგამკრთალი კლდის კედელი ფრჩხილებით დაბღორტნა და სიპს მომცრო ფიქალი მოატკიცა. თითებით ბასრი ნაპირი მოუსინჯა და საარსებო მილი ძალუმად გადაჭრა. გადარჩენილივით ამოისუნთქა, სახიდან წურწურით დადენილი ოფლი იდაყვით მოიწმინდა.

მალე ცამ გადაიკარა, ზღვისფერ ლაჟვარდში არწივი გამოჩნდა, თვალუწვდენელ მწვერვალებს შორის მოქცეული ხეობის ტატნობი თავბრუდამხვევი ნავარდით დაიპყრო, ჩიტები აჟღურტულდნენ და საიდანღაც შაშვის გალობა გაისმა – თითქოს ბუნების წიაღში ყრმის დაბადებას თავად ბუნება გამოეხმაურა და დედამიწას კვლავ საზეიმო განწყობა დაუბრუნდა.

ანატორში მზის სხივები დაგვიანებით ამოცისკროვნდა.

ბერდია მუცოში წასასვლელად ემზადებოდა. საქონელი დააპურა და ფრანგულის ფხას პირი გაუსინჯა. ბანზე გავიდა, ხირიმი ცისკენ აღმართა და ცალი თვალით ლულა განჭვრიტა, შეამოწმა, მიბრუნდა და საფეხმარდოდ შეიმოსა, იარაღი აისხა და ანატორის კლდოვან გორაკს ნაჩქარევად გახედა – მზემ მოფარება არ დამასწროსო.

ანატორელებისთვის დღისით მზის ორჯერ გამოჩენა სიცოცხლის ორგზის გამოვლინებას ნიშნავდა, ხოლო სისაურთა ერთი შტოსთვის თარს მოვლენად ქცეულიყო და ცუდ დაცდად მიიჩნეოდა – რაკი ბაღათერ სისაურმა თედია ჯალაბაური მზის პირველი ჩასვლიდან მეორე ამოსვლამდე განგმირა, მისი მომავალი თაობისთვის სწორედ დროის ეს ინტერვალი გახდა საბედისწეროდ ნიშანდობლივი და მას შემდეგ მოშუღარის აჩრდილი ყველაზე მეტად სწორედ ამ ინტერვალში არ ასვენებდათ.

ბერდია ანატორიდან დროულად გავიდა, მთიან ფერდობებს სწრაფად შეუყვა. მოკლე-მოკლე გზებით იარა, ბილიკიდან ბილიკზე მარდად ხტებოდა და კლდის ნაპრალებს გვერდს ფრთხილად უვლიდა. ყველა ნაღვარევში ნაავდრალი ნიაღვარი მოქუხდა და თავდაღმართში ქვა-ღორღს მიიხვეტდა; უწინდელი სავალი გზა თითქმის წალეკილიყო, ბილიკები ზოგან მიწის ზვავს გადაექელა, ზოგან – ნიაღვარს. კაცს ახალი ფეხმოსაჭიდის მოკვლევა უწევდა. დაბრკოლებებს არ ეპუებოდა, საყვარელ ქალთან მიიჩქაროდა. ზოგჯერ შედგებოდა და არემარეს ფიქრიანად ათვალიერებდა, უკან დასაბრუნებელ გზას წინდაწინ შეიგულებდა.

ხეობიდან ამდგარი ნისლი მზის ათინათში იბლანდებოდა.

როცა ბერდიამ მუცოში ააღწია, სამხრობა უკვე გადასულიყო.

აქა-იქ ძაღლები აყეფდნენ და თავიანთ პატრონებს უცხო კაცის გამოჩენა აუწყეს. რაკი იყნოსეს, სამტროდ არავინ მოსულა, მალევე მიყუჩდნენ.

შეთეკაურების კოშკის ბანიდან მარიას დედა გადმოდგა.

მამაკაცები საფეხვნოში წასულიყვნენ, თემის კაცებთან ერთად სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალს ითვლიდნენ და გამოსავალზე მსჯელობდნენ.

– ხომ მშვიდობა გაქვს, ბერდია?.. – დედაშვილურად ჰკითხა დიაცმა და შეშფოთებულმა მანდილი ნიკაპთან მოიმყუდროვა.

– ქალს მოვაკითხე!.. – ბერდია დაიბნა. ნაბდის ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

– უი, მოგიკვდეს დედა, დილაცისმარზე ამდგარა და შინ წამოსულა!.. – დედაკაცს შეშფოთება ახლა ხმაში დაეტყო. დილის შემდეგ გასული დრო გონებით გაზომა და დარწმუნდა, მარიას, წესით, ქმრისთვის ანატორში უნდა ჩაესწრო.

– შენ საიდან მოდიხარ?.. – ქალი ხავსს ჩაეჭიდა და საკომურისკენ შებრუნდა, მოძრავი კიბით ქვედა სართულზე ჩამოსვლა დააპირა.

– არ გინდა, დედილო, ალბათ, გზად ამცდა... ჩვენი ცხენი ისეთი გონიერია, არაფერს ავნებს!.. – ქაბუკმა თავიც დაიმშვიდა და დედაქალიც შეაყოვნა. – არ შეწუხდეთ, წავალ, ცოლს მივხედავ, ჩვენზე არ იდარდო!.. – ჩაილაპარაკა და უკან გაბრუნდა.

ბერდია ამჯერად სულ სხვა ბილიკებს დაადგა, მხარი იცვალა. ძველი გზის დაუზიანებელი მანძილი გაიარა, ცხენის ნაკვალევს ვერსად წააწყდა, თანდათან სიმშვიდე დაკარგა. ხრამებსა და გადამეწყრილ უფსკრულებში გაფაციცებით იხედებოდა, საიმედო ნიშანი ვერაფერი დალანდა და თავში ზარდამცემმა, გიჟურმა აზრმა გაუელვა: „ვაჰმე, მარიას გზად მოშუღარი თუ ჩაუსაფრდა და ჩემს ოჯახზე შური იძია!..“ და წარმოიდგინა: როგორ მოუკლა კენტ მეკომურად დარჩენილმა გლახუნა ჯალაბაურმა უმწეო ცოლი და ჯერაც სამზეოს მოსავლენი პირმშო, მერე რომელიღაც უფსკრულში გადაჩეხა და წყურვილმოკლულივით ახარხარდა...

კაცი უსიამო წარმოსახვამ თოფნაკრავივით გამოაფხიზლა, ნადირივით დაიღრიალა, წელზე ფარ-ხანჯალი მოისინჯა, ხირიმი მოიმარჯვა და მოსისხარის ესესაა წარმოსახულ აჩრდილს არაადამიანური ხმით მოუხმო: „მოდი, გლახუნა, ხომ ჩემი სისხლი გწყურია, მოდი, აგერ ვარ, გამისწორდი!..“ უაზროდ ყვიროდა და უხილავ მტერს ემუქრებოდა: „ოღონდაც არა ცოლ-ბალღი, ოღონდაც!..“ სასოწარკვეთით ბუტბუტებდა და ანატორისკენ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

გზადაგზა ქვებს ეხეთქებოდა, სველ ფერდობებზე ცურდებოდა, თვალებს მხეცივით აბრიალებდა, მუხლს მართავდა და წინ-წინ გარბოდა; ანატორამდე დაფეთებული გამომეტყველებით მიაღწია, მეზობლების გაკვირვებული შეძახილები უპასუხოდ დატოვა, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან შედგა და იქვე, ქვიტკირის კედელთან გატალახებული ცხენი დალანდა. განასკვულ აღვირს დააკვირდა:

– მარია სად არის?.. – ხმამაღლა იკითხა და ბედაურს ისე მიაჩერდა, თითქოს პასუხს მისგან ითხოვდა.

ცხენმა დაიფრუტუნა, კისერი მიწისკენ დარცხვენილივით წაიგრძელა, მერე თავი აიქნია და პატრონს მიაჩერდა.

ბერდიამ კოშკურში აირბინა. გრძნობდა, ცოლი შინ არ დაუხვდებოდა, რადგან, სახლში დაბრუნების შემთხვევაში, ხევსური ქალი შეკაზმულ ცხენს ღია ცისქვეშ არ დატოვებდა...

კაცი მალე მობრუნდა, ბედაურს ზურ-

გზე სხარტად მოახტა და მუცოსკენ გაქუსლა.

ფერდობიან გორაკებზე ცხენმა და კაცმა კარგა ხანს იხეტიალეს, მერე მხედარი ჩამოქვეითდა და ყნოსვაზე მიშვებულ ბედაურს პატარა ბავშვივით შეემუდარა:

– ჰე, ჩემო ერთგულო მეგობარო, გაიხსენე, რომელი გზით წამოხვედით!..

ცხენიც თითქოს მეხსიერებას ძაბავდა და აღვირის ჟღარუნით თითოეულ ბორცვს ყნოსავდა. ბოლოს კლდოვან ადგილს მიადგა და უზარმაზარ ლოდებს შორის დაკლაკნილი ვიწრო გზა ნაბიჯ-ნაბიჯ გაიკვლია.

კაცი ცხოველს ქეშელით მისდევდა და თითოეულ კუთხე-კუნჭულს აკვირდებოდა.

მალე ცხენი პიტალო კლდის მისადგომთან შედგა, მიწას დახედა და იქვე დაგდებულ ჭრელ ხურჯინს, რომელშიც წვიმისგან დამბალი ქადები ელაგა და რომელიც ქალის აქ ნამყოფობის უტყუარი ნიშანი იყო, ყნოსვა დაუწყო, ბერდიასკენ კისერი წაიგრძელა და კლდის საპირისპიროდ შეტრიალდა – ღრმად სუნთქავდა, ლაშებიდან დუჟი სდიოდა.

ბერდიამ გამოქვაბულის შავი ღრმული შენიშნა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

– მარია!.. – ისეთი სიფრთხილით დაიძახა, თითქოს შეეშინდა, იქვე კლდის ქიმზე შემომჯდარი, უამინდობისგან აბუზული ჩიტი არ დავაფრთხოო და, გაიტრუნა.

– ჰო, ბერდია, მოხვედი?.. – კლდის ღრმულიდან ქალის შემკრთალი ხმა გაისმა, რასაც ისეთი სიმშვიდე მოჰყვა, კაცისთვის ცხადი გახდა, ქალის მკერდზე სანუკვარი არსება სუნთქავდა.

– მარია, ჩემო მარია!.. – ბუტბუტებდა ბერდია და გამოქვაბულის ღია ყელიდან თავწარგული შიგნით დავანებულ სიბნელეს თვალს თანდათან აჩვევდა.

– აქ ვარ, ბერდია, შენს ყრმასთან ერთად!.. – ქალი ბედნიერების ცრემლებს ყლაპავდა და ახალშობილს მკერდში იკრავდა, სიცივემ არ დაცადოსო.

– თქვენ გენაცვალოთ ბერდიას სიცოცხლე, ჩემო სულის ნაწილებო! – კაცი აღტაცებით ჩურჩულებდა და ცოლ-შვილს ხელების ფათურით ეძებდა. – ვაჟი მაჩუქე, სული მაჩუქე, ჯიში გამიჯანსაღე!.. – არ ცხრებოდა და ბავშვის ხელში აყვანას ლამობდა. – ჩემი ვაჟი მზის სინათლეზე მინდა ვიხილო!.. – უჩვეულო თავშეკავებით ამბობდა და ქალს წამოდგომაში ეხმარებოდა.

– მოდი, ბერდია, ჩვენს ყრმას სულია დავარქვათ, ის ხომ ჩვენი სულია?! – თქვა ცოლმა და მკერდზე მიხუტებულ პატარასთან ერთად ქმრის მკვრივ მხარს ამოეფარა.

– ჰო, ჩემო ნეტარებავ, ჩემო ქალღმერთო, სულია დავარქვათ, ოღონდაც ჩემი ყრმა მზის სინათლეზე ვიხილო და მერე თუნდაც მოვკვდე!..

კაცი გამოქვაბულის ზღუდეს გადმოსცდა და ჩამავალი მზის ხეობის სიღრმეში ჩაწურულ სხივებს ლაღად გახედა.

– მოდით, ჩემო სადარდებლებო!.. – თქვა და ცოლ-შვილი სამზეოზე გამოიყვანა, ბავშვის ხელში აყვანა და შეთვალიერება დააპირა.

ამ დროს სიჩუმე ჩახმახის გამოკვრის ავის მომასწავებელმა ჩქამმა დაარღვია და თოფმაც დაიგრიალა.

გაგრძელება იქნება.

რეზო ადამია



მზე-ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი“

იდუმალ-სიღრმისეულ-პიროვნული შეგნებით რაც კი ისწავლება ლიტერატურის იდეურ თემატიკაში და ხელოვნების ზოგიერთ სფეროში, ჩვენგან მრავალთ შეუძლიათ; მხოლოდ სხვადასხვა წარმატებების მიღწევით, მაგრამ მძაფრად აღტყინებულ-განცდილი, თან მეცნიერული წმიდად მართალი ინტუიცია თუ ახლავს და თემის, ანუ იდუმალ ფაბულის – მაგიურ აზრთგამჭოლიანი ხედვა, ჯანსაღი ფანტაზიითი შეგრძნებით, უთუოდ კოსმოსური სიბრძნის გონმიმზიდველი სიმართლის დაბადებაა: რომელიც ღვთიური ბოძებაა მრავალსახოვანი და არაჩვეულებრივი. მაშინ ნებისმიერ ნაწარმოებთა მკვლევარ-შემსწავლელ მეცნიერს შესწევს უნარი, ფასდაუდებელ ქმნილებაში გულმწვავე გრძნობით საღად ჩაიხედოს თვალუწვდენლობაში და სულთ-ფორიაქით სიღრმისეულად შეიგრძნოს. ხოლო მათგან ვინმე იშვიათი და გამორჩეული ზეციური განსაკუთრებული ვარსკვლავეთური ნიჭით თუა დაჯილდოებული, მაგ ბედნიერ შემთხვევაში მეცნიერ ავტორისაგან სრულიად მიახლოებით და შედარებით სიახლე საღ თემათა კვლევით-აღმომჩენ დამაჯერებელ, მეცნიერულ-კოსმიურად მართალ მსჯელობას მივიღებთ, სადაც ურთულესი ნაწარმოების ქვედინების სურათ-ხატები გამჟღავნდება.

არ გვინდა დავიჯეროთ, მრავალთათვის გონაზროვნებით-მიუწვდომლობით კოსმოსური უკიდეგანოდ თავისუფალი შემოქმედებითი მუსიკალურ-იდუმალი ქროლვა, გაბედული ხედვა და მართალი სიახლე აზროვნების სრული გაპოეტიზირება, ვერა და ვერ მიიღო წარსულის რელიგიურმა იდეოლოგიამ და მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ყოველ ქართველთა თუ კეთილ უცხოელთა სამწუხაროდ, ანტონ კათალიკოსმა უკეთილშობილესი და ტანჯული ვახტანგ მეფისეული უნიკალური გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“, ეკლესიური პროტესტის ნიშნად, ადიდებულ მტკვარში გადაყარა და ეს პატიოსანი, კეთილმავალი, ძველი თბილისის და მგოსანთა მუზის უხსოვარდროინდელი მეგობარი – მდინარე, უხერხულობაშიც ჩააგდო. მიწიერი მოთხოვნილება, რელიგიურმა არასწორმა აზროვნებითმა განსჯამ, მზიური განუმეორებელი საქვეყნო სულიერი სიმდიდრე გულმწარედ უარყო.

უკეთურება ხანგრძლივი დროის შემდგომ სიკეთეს შობს, მაგრამ ამდაგვარი შენაძენი ძალიან ხშირად მერყევია.

სრულყოფილი კეთილშობილება უფლისმიერი კოსმოსური აკადემიაა, რომელიც როგორც უხილაობაში, ასევე ხილულში აღმშენებლობითია და ბუნებრივ-განშტოებითი...

მდუმარედ თუ ღიად გახსნილად მრავალ გენიოსთ უაზროვნიათ მაგრე; ხოლო ვარსკვლავეთური ჭეშმარიტებით უფრო თამამად ვინც იაქტიურა მეცნიერულად თუ რელიგიურად, სამშობლო-ქვეყნიდან გააძევეს, დასავლეთ ევროპაში კი ინკვიზიცია კოცონზე წვავდა პლანეტა მიწის და ფანატიკური მორწმუნეთა გაღმელ ზეენარულ მოაზროვნეებს. აი, რა შეუძლია, მეგობრებო, კოსმოსიდან, გალაქტიკიდან ან მზის სისტემიდან გონებრივ-ზნეობრივ თუ სულიერ უაზრო განდგომას...

გარემოსგან ზეწოლით და მდუმარებით შექმნილი შედევრი წამებით არსებობას განაგრძობდა.

ადამის მოდგმამ ერთ დროს მზეს და მთვარესაც უდიდესი ცოდვით სავსე შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც მსხვერპლად ახალ-

შობილ ბავშვებს სწირავდა. მილიონობით წლის შემდგომაც უფრო სამარცხვინოდ მოიხსენიებენ ეშმაკეულ წინაპართა ნებისმიერ ველურობაზე უარეს ქმედებებს (აქ ხსენებაც კი არ გვინდა სატანისტური ომების მომწყობთა).

დიდება უკიდეგანობას კოსმოსისა და უფლის სამართალ-უძლეველობას, უკვე ხალხში თავისუფლად აზროვნებს „ვეფხისტყაოსანი“.

ადამიანის თვითმყოფადი ნიჭის უმაღლესი საფეხური, გენიაა, რომელიც პლანეტათა დაუდგრომელი სხივთ ენერგიაა მოუსვენარი, ურთულესი მოქმედებით, უზარმაზარი შემოქმედია და პირისპირ შინაგანად ანგრევს ნებისმიერ ავტორ-პიროვნებას, რის შედეგად უჩნდება სულიერი ავადმყოფობები ანუ მთავრდება გაუთვალისწინე-ბელი ტრაგიკული მოვლენებით.

„ვეფხისტყაოსანში“ უფრო ვარსკვლავური კვეთაა, რომელიც მკითხველზე კეთილთვისებრივი დამატყვევებლობით მოქმედებს, რადგან წარმოუდგენელი გაერთიანებაა მაგიურამდე დასული მისტიკის, სამყაროს სიშორის ძალებით. ადამიანზე ამაზე უფრო დიდი და მძაფრი ქმედება ალბათ მხოლოდ სიკვდილს თუ გააჩნია, რომლის მთლიანობის გაშიფვრა თავად გენიოსებსაც გაუჭირდათ და უჭირთ, იდუმალებამატარებელმა მოგვებმაც ვერ შეძლეს ათასწლეულებში და ოდითგანვე ღმერთებსაც აფიქრებდათ და აღელვებთ მისი უკეთური ტანჯვის მომგვრელი უმძლავრესი გონმიუწვდომლობა.

არსებობს თურმე უსასრულობის წარმოუდგენელი სიკვდილის რაობათა სხვადასხვაობანი, მაშინ განუზომელი სიშორით მოქმედებს უთუოდ კოსმოსურ შესაძლებლობათა დაუძლევლობის სიკვდილიც. რისი საპირისპირო ზეძალითი მოქმედებები ირგვლივ სიახლოვესაც არ არსებობს. აზრობრივი გულისყურით, თვალგონებით სიღრმეებით თუ ჩავიხედავთ, შოთა რუსთველის ქმნილების ფილოსოფიურ ურთულეს ჩანაფიქრამდე, მართლაც, პოემის ქვედა გამდინარების უხილავ შრეებში, აზრთა გამაოგნებელ მოულოდნელობებს ამოვიკითხავთ. წარმოიდგინეთ საშინელებათაგან, დაუსაბამობის სიკვდილსაც. ამდაგვარი ვარსკვლავეთური თვითმყოფადი დასკვნის წინაშე გრძნეული შემოქმედი თავისი გენიის წინაშეც გაკვირვებულია.

ჭეშმარიტება-სიმართლესაც კლავსო, სიკვდილი.

მერმე გულდათუთქულთ, ქვეყნიური ყოველთა სიკვდილაღდგენითობა და უმძიმეს მოვლენათა გარდამავლობა როგორც გაგვახსენდება შედარებით მშვიდდებით, რადგან დიდ მგოსანს ხომ ღმერთის და სიკვდილის სიღრმეებით ეაზრებ-ნათლად განეხილებოდა ყოველივე მთავარი. ბოლოს ისევ უმთავრესი: ნაწარმოების ბაჯაღლო ოქროს ზედაპირის ქვედა დინების სიღრმეებიდან მნათედ ამოიკრიფება ოკეანისეულ მარგალიტებად ზეადმიანურ-ღვთიური სიბრძნე: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ყველაფერი და ყოველივე თუ არა, უმეტესობა შემთხვევა მოვლენებისა, ურთიერთთან მიახლოებით შედარებითია ამქვეყნიურ ირგვლივობაში და ჩვენც თვითნებურად კეთილვგონიერდებით...

სიკეთე, უფლისმიერი მხოლოდ ქმნადობა კი არაა, არამედ უდიდესი ბრძოლაა წმიდანური დაუმორჩილებლობის მშვენიერებით...

მუდამჟამს ჰყავდა საქვეყნოდ გამორჩეულ უპირველეს ქმნილებას ერთგული პატრონ-შემსწავლელი მეცნიერები, დამსახურებული ილუსტრატორ-მხატვრები, უნიჭიერესი კომპოზიტორები, მაგრამ ბოლომდე ვერავინ ჩასწვდომია და ვერც განსჯიან ვერასოდეს მის უხილავ გალერეათა მარად უკვდავ სახეებს, რადგან ზეციური მიუწვდომელ-განუხილველი მხატვრულ-გემოვნებითი სიმდიდრე, თითქოსდა ვარსკვლავთა კოსმოსური კეთილხმოვანი სიმების მელოდიურ რხევათა და ზეადამიანურ აზრთა მოსვლა სასწაულებრივადაა ასახული, სრული კოსმოსურ სხეულთა ჰარმონიულ-რიტმული, რომელიც სულში ჩამყოლი მუსიკალური სრულყოფილებაა. „ვეფხისტყაოსანს“ აღფრთოვანებითა და გატაცებით რომ კითხუ-

ლობ, გაოგნებულს წარმოგიდგენია, რომ მრავალფერადი ვარსკვლავებით შემკულ მოზაიკურ უმშვენიერეს ცას შეჰყურებ, ივსები პლანეტათა შეუდარებელი ენერგია-მადლით და მიუწვდომელი, ბნელ-ნათელი ქვეყნიერება გულღიად გვმოძღვრავს. უფლისმიერი პოეზიის ენით მოაზროვნე პიროვნება შენდა უნებურად იძირები მოულოდნელ შემოქმედებით უმდიდრეს უსასრულობაში.

უსათუოდ კოსმოსმცოდნე, სამუდამოდ მიძინებულ ატლანტიდელებსაც აღაფრთოვანებდა მზენათელი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მართლაც რომ ღვთიურ-კოსმოსური დაუდგრომელი ლექს-სიშმაგეა პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ზოგჯერ ღრმად აღტყინებულ მეოცნებეს მიფიქრია, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩს და რაფაელსაც ხომ არ გაუჭირდებოდათ მხატვრული სრულყოფილებითი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება? ან მხოლოდ ხელოვნების ტიტანნი თუ დაასრულებდნენ ჩვენს უზომო სურვილ-წადილს?

მხატვრულ-შემსრულებლობით სრულყოფილ იტალიურ რენესანსთან მიახლოებულმა დიდმა მხატვარმა სერგო ქობულაძემ საამოდ დაგვატყვევა, რადგან თითქმის ნათლად შეგვახედა რუსთველის შედევრ პოემაში, სრული ბატალური ფართო მოქმედებების, კლასიკური პასაჟების, უმშვენიერესი სახეების, გმირების ხასიათების, ათასწლოვანი ქართული ხავერდოვანი მზით გამთბარი სულის, ეპოქისთვის დამახასიათებელ პეიზაჟებსა და მრავალფერადოვან ექსპონატთა მიუწვდომელ გალერეაში სულისმიერი მოგზაურობით და სხვა მხატვრებთან შედარებით უკმარისობის გრძნობისგან შეგვასვენა, მერმე გონებრივად მდუმარედ ისევ შევყოვნდით, ღვთიური ქმნილების უსაზღვროდ წვდომის და სულიერი სწრაფვის წყურვილისაგან და უმდიდრეს ფონდებს მორიდებით განვერიდენით, რადგანაც კოსმოსთან ჰარმონიულ-რიტმული შემოქმედებითი განუყრელობა და უზარმაზარი ზემიწიერი მიუწვდომლობაა „ვეფხისტყაოსანი“. და ესაა, თანამოაზრევ, ნაწარმოების უკიდეგანო გარემოსეული სიცოცხლის განუყრელი უმთავრესი მრავალ ფორმა-განწყობილებიანი სახე. სრულიად მიუკვლეველი უნატიფესი ნიუანსებით ყოველთ სულიერ მფარველი და მიწად ჩამობრძანებული სიბრძნისეულ-მხატვრულ-რიტმული ენერგიის კოსმოსი: დიდება შენდა, მრავალღმერთიანო სამყაროვ და მარადიულო საშოვ...

„ვეფხისტყაოსნით“, ამაღლებულ თავადდებულთ გვწამს მხოლოდ მისი ბრწყინვალე უდიდებულესობა ქმნილება მრავალმხრივ გადაგვარჩენს. მეცნიერებო, მხატვრებო და კომპოზიტორებო, დიახ, კაცობრიობის მოვლენა შედევრში ვეძიოთ ნაღდი განუყოფელი მარადიული, კაცობრიული ჩვენეული და მარადიული საქართველო: უძველესი კოლხეთ-იბერიით რომელიც წარმოადგენს მიწიერ ფიქრებში მყოფ პლანეტარიუმის ენერგიათა წარუშლელ მეხსიერებას, როგორც ისტორიულს, ასევე ზეციურს. ამ შემთხვევაში, მკითხველნი ჩემ ვინაობასაც გამოიკითხავენ: თავადვე, მეგობრებო, თქვენსავით „ვეფხისტყაოსანში“ ჩაძირული და ზეციურად მონათლული ტყვე მსახური ვარ, რომლისგანაც საშველი და სრულყოფილი სულიერი განკურნებაა ყოველთათვის. უმორჩილესი თხოვნაა ნებისმიერი ერის წარმომადგენელთან, რომ მზიური ჯვარდასმული ნაწარმოები სიყვარულით და გატაცებით ავითვისოთ და მერმე თამამად გავიხედოთ უსასრულობა ვარსკვლავეთისკენ.. დიდება თქვენდა, „ვეფხისტყაოსანო“, ჩვენგან ჭეშმარიტად აღქმულ გრანიტისსაფუძვლიან ხალხთა საერთაშორისო შედევრს.

როგორი წმიდანური ერთგულება, სიყვარული და ნიჭთ დენაა, „ვეფხისტყაოსანში“ ფარდაჩამოხსნილ უძველესი მინიატურებით, მიხაი ზიჩით, ირაკლი თოიძეში და სერგო ქობულაძესთან, ლევან ცუცქირიძე, ნათელა იანქოშვილში, რუსუდან ფეტვიაშვილთან, მაგრამ წარმოიდგინეთ მათ ნაწარმოებში, ნათელმხილველნო, მეცნიერნო, მხატვრებო, კომპო-

ზიტორებო, მოქანდაკევ, მწერლებო, პოეტებო, დრამატურგებო, კინოს და თეატრის მსახიობებო, ოპერისა და ესტრადის მომღერლებო, კინორეჟისორო, არქიტექტორო და მკითხველ-ინტელექტ-მოყვარულო, მეოცნებენო, მომიტევეთ და მხოლოდღა შემოქმედებითი უერთგულესი გაელვებაა ყოველივეთგან, ბრდღვიალა და სხივთმჭექარე უზარმაზარი მზის გვერდით, რათა პოემის მთავარი მიწიერი სურათ-კადრები, სრულყოფილებითი და გაკოსმიურებული მიუღწევლობაა. ისევ შემოგბედავთ, მხოლოდ შოთა რუსთველის გენიის დონის და ნიჭის მხატვარი თუ კომპოზიტორი შეძლებდა ყოვლად საოცრება პოემის მხატვრულ-მუსიკალურ დასურათებას, თუ მიწყენთ უფრო მეტად ამღიარებელნო, მაშინ მიმართეთ უფალს და კოსმოსს – მათთან უფრო იპოვით სიმართლეს.

ზეცის გზავნილმა გაჯერებულმა წარმოსახვამ ამ შემთხვევაში ჩემს გონებას უშუალოდ ჩაუქროლა და ჩაეხმიანა, მეტს ვერაფერს ვერ გიშველიო და უმალ შევჩერდი.

ეროვნებით უნგრელი, ევროპაშიც გამოჩენილი და აღიარებული მხატვრის, მიხაი ზიჩის სურათები გახლავთ თავისუფალი ჰაეროვანი ხაზ-ფორმა დამამშვიდებელი ფერთა დინება, გამოკვეთილი ხასიათებისა და რბილი განწყობილების, თემის სულიერების უმაღლესი გამჟღავნებით. სერგო ქობულაძე კი აღორძინების ხანის შეუდარებელი ფორმათ ქანდაკებური მკვრივ-სიმტკიცეა, ანტიკურობისაკენ მავალი მხატვრულ ხაზთა განლაგება. თითქოსდა რუსთველისეული პოემის გმირების სიცოცხლეს შესცქერი, მაგრამ სინანულად უფრო მეტს ხედავ და გრძნობ-დიადური პოეზიის ლეგენდარულ წიგნში. ორიგინალთან მიახლოება, ნებისმიერ, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადად თუ ღრმად მცოდნეს, ძლიერ უჭირს როგორც მეცნიერებაში, ასევე მხატვრობა-მუსიკაში, რის შესახებაც ზევით უკვე მოგახსენეთ. ის ურთულესი სამყაროსეული სიმდიდრე, ცხოვრება-სიცოცხლეზე, ადამიანურ წმიდა სიყვარულზე აღმატებული და, ვინ იცის, კიდევ როგორი სიდიადისაა, რომელიც მარადიულ იდუმალებას წარმოადგენს. წმიდად კოსმიური უწყვეტი სიყვარულია გულმხურვალებამდე ცეცხლოვანი, მაგრამ სინანულად ეს უმაღლესი მშვენიერება ბევრი ჩვენგანისთვის წარმოუდგენლად შორეულია, რადგან უშუალოდ უფლის შინაგანი დიდებაა, ხატფრესკებად ქცეული...

ყოველგვარ ფიქრებს გარეშეც ფენომენალურ წარმოსახვათა მარადიული და უმდიდრესი ვარსკვლავეთური ნიჭის განძია „ვეფხისტყაოსანი“, კოსმოსური თავისუფალი და უმაღლესი მისტიკური აზროვნებაა რუსთველისეული, ღვთივ ნააზრევ ლექსად თქმული. რადგანაც მეცნიერნი გვეუბნებიან და მართლაც თუ რამე ქართული ხალხური თქმულებიდან სტიქიური გავლენით შემოუვიდა პოეტს, მაგ შემთხვევაში აუცილებელი საჭირო მაგალითი უნდა წარვადგინო: „მცხეთის ჯვრის“ მონასტრის ასაგებად ღვთივგონიერმა გენიალურმა ქართველმა ხუროთმოძღვარ-არქიტექტორმა, ქვა-კირი და სხვადასხვა მასალა იხმარა და აღმართა ზემავალი საოცრება გეომეტრიულ ფორმათა კოსმიური გაანგარიშება სიბრტყობრივი და ხვეულ ორნამენტთა ბარელიეფ-გორელიეფთა ზეცას შერწყმული ჰარმონია, რითაც უნიკალურ არქიტექტურული ძეგლ-ქანდაკებად დადგა, რომელსაც სამარადისო საძირკვლად ამაგრებს ქართული კოლორიტის კეთილშობილურად მარად მდუმარე კლდოვანი მთის კვარცხლბეკი. ამდაგვარად ხდება სრულყოფილი შედევრთა დამკვიდრება ჩვენს გულღია კეთილ და გაწონასწორებულ მზენაფერებ პლანეტაზე, რომელთა ყველა მათგანი ვარსკვლავეთის ნიჭთუანგარობაა...

შემოგთავაზებთ კიდევ ელვარე შედარებით მსგავსებას, მსოფლიოს სიამაყე მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა, ჩვეულებრივი საღებავებით ინგლისურ შავ მუშამბაზე შექმნა შეუდარებელი და განუმეორებელი ფერწერული შედევრები, ბუნების ხილულ-უხილაობის ფერადოვან-ქართული კოლორიტის სახე და მხატვრულ მარადიულობად აქცია (განა ეს სათქმე-

ლია? ან ნაწარმოების განხილვის ნორმალური თემაა!).

საოცრება-ოკეანისეულ სულჩაღვენთილ პოემაში თანმიმდევრობით რომ შეხვალთ, თითქოსდა ქართული უძველესი ხალხური, ზოგი მათგანიდან წარმართული და მნათობთა თაყვანისმცემლობის-დროინდელი უნიკალური მელოდიები იღვრება, უსათუოდ უძველესი კოსმიურ-სივრცობრივი მუსიკით ნაზიარებნი, რუსთველის პოემაშიც ხომ მზე რითმულ-ჰარმონიით სამას ჩვიდმეტჯერაა ნახსენები, შედევრთან ურთიერთობისას ორმოცდაშვიდჯერ მთვარე სულიერად შეგვასვენებს ხოლმე. მზისა და მთვარის აზრგაელვებითაც არ გრძნობ განმეორებებს, იმდენად დიდ-ღვთივ-ოსტატურადაა პოემის უჯანსაღეს სხეულში ჩაორგანოებული...

მესხური მთის შიშველ მწვანე ფერდობზე ლაღად დაჩოქილი, ზეცას შემყურე, ჭაღარა კეთილი მწყემსის უძველესი საკრავ სალამურის უწყვეტი სიღრმისეული ღუღუნი ისმის, მაცხოვარივით მართალხმიანი, ზღვა ბატალური მზე-ტალღოვანი სიკეთე-სიყვარულის პოემიდან, ამდაგვარი ქართული გენის სულიერი სინამდვილის გამაოგნებელი ამღერება, საერთაშორისო პოეზიის ზომა-ნორმებით იშვიათობა და განუმეორებლობაა...

შოთა რუსთველი კაცობრიულიდან წმიდა ეროვნულს ეახლა და ღმერთივით გადიადებული ხმა სამყაროს ვარსკვლავეთურ უსასრულობაშივე გააჟღერ-გაასივრცობრივა, რითაც თავისი ერის, პლანეტის ხალხთან სულიერი ნათესაობის უნატიფესი ელემენტები გახსნა...

როგორც მოცარტმა, ბეთჰოვენმა, ბახმა, ჩაიკოვსკიმ, შოპენმა და რამდენიმე გენიალურმა კომპოზიტორმა კოსმოსის ფანტასტიური სიღრმეებიდან მოიზიდეს მიუწვდომელი მუსიკალური ბგერები თუ მელოდიები. ასევეა დიდი მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მხატვრები და მეცნიერები. შეაღწევენ და ეახლებიან ხოლმე, გაციურებულნი. უკვე მათეულ ფერებს, მუსიკის ხმას, მარგალიტებად ასხმულ სიტყვათა კონას, აზრებს, სიბრძნეს, მიწიერი ცივილიზაციის სიახლეებს, და შემდგომ წარმოუდგენელი ხელოვნების მეცნიერული თუ ფილოსოფიური ნაწარმოებები იქმნება...

„ვეფხისტყაოსანი“ ზეამაღლებული ფორმის, სტილისა და მხატვრული სიმაღლის ურთულესი ფილოსოფიური ინდივიდუალური პოეზიის უნიკალური ნიმუშია, რომ ნაწარმოების უცხო ენაზე სრულყოფილად თარგმნა შეუძლებელია. ამიტომ, საერთო კეთილი აზრით, არამიწიერი შედევრ-საოცრებებით დაინტერესებულმა კაცთმოყვარე და ინტელექტუალურად შეგნებულმა უცხოელმა საგანგებოდ უნდა შეისწავლოს ქართული გრამატიკული ენა, რათა ორიგინალში სივრცისმიერად ღვთიურ უკვდავებას უნაკლოდ ეზიაროს.

სიბრძნისა და სიკეთე-მშვენიერების მაძიებელო მეგობარო, „ვეფხისტყაოსნის“ შენში უახლოეს მეობად გასულიერება სულიერ-ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობის მომცემი უხსოვარდროინდელი გრძნეული კოლხი მედეას უებარი და ჯადოსნური მკურნალი წამალივითაა (რომელიც ათასწლეულთა დაუდგრომელმა ბოროტებამ არ შემოგვინახა).

ბოროტება ტანჯვის პროცესია, ფსიქიური უარყოფითი დაავადებაა და ძალაუნებურად სიკეთეს აძლიერებს. ასე რომ, უკეთურობა ვარსკვლავეთიდან ავთვისებიან სხივთა მეოხებით ადამიანზე გამანადგურებელი გადმონერგვაა და უმძიმესი სულიერ-ფსიქო-გონებრივი შენაძენია.

სხივნათელი პოემა-ნაღვაწი ყოველი ჩვენგანისთვის მხოლოდ მზე-ენერგიისმიერი ზნეობრივი აღმზრდელობითობა კი არ გახლავთ, არამედ კეთილსხივოსანი ვარსკვლავთ-მცოცავ-ფონითი, უცხო იდუმალებითი შინაგანი მეცნიერულ-კოსმიური განსწავლულობაა და უახლოეს თუ უშორეს ციურ მნათობთა მიერ სულიერ-გონიერებითი ყოველთა ნეტარ-კვებაა შეუდარებელი; ქართული ძველზე უძველესი გენის განახლება-გაგრძელებაა სასწაული...

შენი აღმზრდელი დედა გამუდმებით კეთილშობილური უწმინდესი რძით გვკვებავდეს მზისდარი და ფორმის მხურვალე ძუძუებიდან, შენ კი მადლობას ცის გაყინულ სიმაღლეებზე აკრულ მითაჟამინდელ ქორს მადლს სწირავდე – მაგდაგვარია ზოგიერთი მეცნიერის დაუჯერებელი სამართლიანი კვლევა-განსჯანი. თუმცა, უხსოვარდროინდელი მიმტევებლობაა ჩვენში.

ნებისმიერ თემაზე კერძოდ ლიტერატურის საკითხზე ანალიტიკური მეცნიერულად შემაჯამებელი აზროვნება გონ-სულიერად შინაგანად მართალ-წარმოსახვები ნერვიული მოუსვენრობით უნდა გწვავდეს და მერმე უნდა დააფიქსირო, თუ გინდა მრავალთა ურჩი თუ მორჩილი აზროვნება დადებითად შეძრა...

„რადგან წერა მარადიულობასთანაა წილნაყარი“. მოვლენა მგოსნის, უაღრესად მდიდარი იდუმალი მასალა იყო, მრავალათასწლიანი ქართული, კოლხურ-იბერიული შორეული გენნათესაური სივრცე; საიდანაც მზისფერ წვეთებად ჟონავდა; შუმერების, ხეთების, პელაზგების, ეტრუსკების და ქალდეველებისა – რომელთა რვა მეფე წარმომადგენელი განაგებდა სხვადასხვა დროს ბაბილონს.

საინტერესო გამბედაობით კარგად და მისტიკურად თუ წერ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ბუნების უთვალავ სურათზე ან მიუწვდომელ ზეციურ იდუმალებებს, აუცილებლად ავტორს დაუდგენელი ფსიქიურ დაავადებათა გადახრები ახლავს. მაგრე რომ არა, არ იქმნებოდა წარმოსახვათა სიღრმისეული უიშვიათესი სცენები და გონების გაღიზიანება მოვლენების სიმწვავეთა განვითარებითი არსება. ამდაგვარი შემთხვევისას თქმულა, ავტორის ძარღვებში სისხლი და სული ერთდროულ მიმოქცევაშიაო.

ქვეყნად როგორც ადამიანთა, სხვადასხვა მიმართულების და დონის გონიერებითი აზროვნება და თანმდევი განსხვავებული სამშვინველ-სულიერებაა. ეჭვგარეშეა, მაგ სახისა და ფორმის მრავალფეროვნებაა ჩვენი მზის სისტემის ენერგია-გონიერება, უთვალავ გალაქტიკებსა და ასევე უსასრულო სამყაროებში. ამ უზარმაზარი სისტემის მცირედი ორგანული მოაზროვნე ატომგულია ნებისმიერი ერისა და რასის წარმომადგენლის გენიალური უიშვიათესი პიროვნების გონება და შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც სამყაროს მთლიანობის განცდებია, მწამს, ნებისმიერ გარემოში არსებულ, წარმოუდგენელ ტვირთზე უფრო მძიმეა.

ღვთივ-ადამიანური გენია, ზესამყაროს სივრცე გარემოდან და ასევე მშობლიური მიწა-პლანეტის ნაღებ უმცირეს ელემენტებსაც ფლობს. როგორადაც თავდადებით და მოწადინებით, კოსმოსისკენ სიახლოვით ურთიერთობდნენ, საკვირველ მოვლენილთა უმთავრესის ჯანსაღი მაცოცხლებელი ფესვები, უთუოდ დედამიწის სხეულშია განფენილი და მიწიერი უნოყიერესი სისტემისეული მადლით იკვებება, რომელიც ისევ მტკიცებულებების გარეშე დედამიწა, ვარსკვლავეთის განუყრელი კავშირღვიძლია, წევრ-პლანეტაა, ხოლო კოსმოსური საოცრება გონება ზედმიწევნით, საგანგებოდ ამწიფებს და შემდგომ ამშობიარებს მათ, შედევრ მანათობლებს, როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში.

ასე რომ, მეგობრებო, გენიალურ პიროვნებებს უშუალო ურთიერთობა გააჩნიათ ზეციურ-უმაღლესთან და მათგან ივსებ-მარაგდებიან. დანარჩენი ფართო ფენა საზოგადოებისა, თავადვე უზომო მუყაითობით შეიმეცნებს სამყაროს, ღმერთებს და დღედაღამ ევედრებიან, ლოცულობენ, ზოგჯერ დაჩოქილები სანთელს უნთებენ. დროთა ჟამში შემოქმედი ადამიანებიც კი შეუერთდებიან, მაგრამ მათი ლოცვა და უფლის რწმენა სრულიად სხვა მიზეზ-სიმაღლე, უხილავ სიახლესთანაა დაკავშირებული, რომელთა გონებრივი ჩაწვდომა მდაბიოთათვის ძალიან რთულია, სულიერი სიახლოვე კი, ისევ ღვთიური განგებაა... მათგან ნებისმიერთ; ახალი ათასწლეულიდან მოყოლებული დღემდე არ ეგზავნებოდათ და არც აწმყო-მომავალშიც მიუვათ იმდენი ზეციური სიმდიდრე

– გონი, მადლი და ნიჭი, რამდენიც გენიად შობილთ. მზედყოფილი უმცირესნი სამყაროს განუყოფელი ნაწილია და თავადვე წმიდანები გახლავთ, უთუოდ უფრო მეტი, როგორც გავბედე ზემოთ საუბრისას სრულყოფილი მოღვაწე ღმერთია ყოველ მათგანში. ფერები, ბგერები და სიბრძნისეული სასწაულები ილუზირებით დაეხეტებიან სამყაროს სივრცეში, მათ გენიები უთუოდ აღმოაჩენენ, ხშირად ზეციდან წარმოსახვებით მოეწოდებათ რეალიებით-შედევრებად.

პლანეტის ცივილიზაციების საწყის-სათავეებიდან ერთეულებია ზენაართ რჩეულნი და მათ შორისაა მოკიაფე ვარსკვლავად „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი...

აიეტ და ფარნავაზ ლეგენდარული მეფეების მოუშინაურებელი არწივები კი დღემდე, გაშმაგებით და დაუსრულებლად ყივიან შორეული ისტორიიდან.

გულღიად წმიდანივით შეხედეთ საქართველოს სასწაულებრივ მრავალფეროვან ბუნებას: ზღვას, კავკასიის მთებს, ტბებს, მდინარეებს, ცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. ზღაპრულ ღამეებს როგორც მთისა, ასევე ბარისა. ერს ულამაზესს, მართლაც რომ წმიდა ნინოსა და გიორგისეული სულიერი დახვეწილობისაა. ამდაგვარ საღვთო გარემოს, რა გასაკვირია, რომ მოევლინენ საერთაშორისო გენიები: რუსთველი, ფიროსმანი, ზაქარია ფალიაშვილი, ოშკის, მცხეთის ჯვრის, ხახულის, გელათის, სვეტიცხოვლის, ბედიის მონასტრის და მრავალ არქიტექტურულ საოცრებათა ავტორები, ბექა და ბეშქენ ოპიზრების თუ ხახულის ხატის შემქმნელები. ანდა უძველესი კოლხური ოქროს შედევრ-ნაკეთობანი და ცივილიზაცია... ველურთა ეშმაკეული მრავალი საუკუნით სხვადასხვა ათასწლეულში გულისამრევი ბატონობა რომ არა, მათ შორის კვლავ უდიდესი პოეზია, პროზა, მუსიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, შედევრ-ფრესკები, ჭედურობა და მინანქარიც შეიქმნებოდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, შხამიანი მორიელების და გველების მტრულ გარემოცვაში ვიყავით მუდამჟამს.

ჩემი მართალი და ჩვეულებრივი გული როგორ უძლებს, მიკვირს, როცა ვკითხულობ ზოგიერთი მეცნიერის ნაწერებს და ვხედავ სულიერ ჩვენს დიდებას სხვას რომ მიაკუთვნებენ, ან გადაზიარება ხდება. ზევით უკვე შემოგჩივლეთ, მხოლოდ მწიგნობრობა, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები თუ აკადემიები არ წყვეტენ ხელოვნებისა და მეცნიერების, ჭეშმარიტების უმთავრეს საკითხს, როდესაც განიხილავთ ლიტერატურულ შედევრს, უნდა იყოთ ღმერთივით, გონგამჭრიახნი და მართალნი, რათა ჩაწვდეთ შედევრისეულ ვინაობას, სრულყოფილებას და მერმე ზეცასავით სუფთა ანალიტიკური აზრები უნდა დააფიქსიროთ, თუ არადა დიდ ზიანს აყენებთ ხელუხლებელ სიმართლეს და ღვთიურ ქმნილებას. დიახ, მდიდარი ბუნება და ღვთიური სილამაზის გარემო ხომ ჯანსაღი საშოა გენიისა. ანუ ქართული ხალხური მუსიკა-სიმღერები, წარმართობიდან მოყოლებული, განა კახური ჰანგ-ჰარმონიები, გურულ-იმერული, სვანური, რაჭული, ქართლურ-მესხურ-მთიულურ-ფშავური, აჭარული, აფხაზური და ლაზურ-მეგრული ზღვის სივრცისმიერი მელოდიები არ ზრდიდა დროთა ჟამში ქართულ გენიას და ხვეწდა პლანეტის კეთილშობილსა და უვნებელ რასას...

ბრმად ორგულ-შურიანთა გასაგონად: მარადიულობიდან ჩვენი მზის სისტემის ფენომენალურმა უწყვეტმა სხივმა და უახლოესი გალაქტიკის, ირმის ნახტომის, გენმა ააშენებინა და შეაქმნევინა შოთა რუსთველს უნიკალური და მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურა-პოეზიის მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით ციურ საძირკველზე ნაგები სასახლე, რომელშიც უძველესი პელაზგებისეული ცისფერი სიმართლის მიუკარება ფუნდამენტია ჩაკირული. ისტორიული სიმართლეა პელაზგების ფესვებმა გამოკვებეს და აღზარდეს საოცრება ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიის უზარმაზარი ხელოვნებისა თუ ფილოსოფიის მუხის უკვდავი ღვთიური, ცამდე მწვდომი ხეებიც.

თუკი ეროვნულ მეცნიერულ ნიადაგზე ისტორიულად სიმართლეს გრძნობთ და ძლიერ განიცდით, ასევე ბუნებრივი მტკიცე შეგონებითი ალღო გაქვთ, რომელიც ზეენარი ინსტინქტის ძალებიდან ჩაგედინება, მაგ შემთხვევაში პროფესია, ხარისხი ანუ ხელისუფალთა პრემიები რა სახსენებელია. წმიდანური ველური შემოქმედებითი სივრცე მხოლოდ ხელოვნებას კი არ გააჩნია, არანაკლებ მოუშინაურებელ საუფლოებშია ისტორიასა და უთუოდ ნებისმიერ მეცნიერებაში. ხშირ შემთხვევაში მთავარი არაა გადაყოლილი ენციკლოპედიური ცოდნა, არამედ უმთავრესია, როგორც ვთქვი, ინტუიცია: მასალათა მართალი გაანალიზება, თემათა ჰაეროვანი ჩამოგზავნა კოსმოსური უმდიდრესი სივრცეებიდან; ზესამყაროს მეხსიერებათა უშეცდომო ჩამოწოდება ხომ წარმოსახვების უმტკიცესი ქარბორბალა არხებით მომდინარეობს, რომელიც კოსმიურ მნათობ აკადემიას წარმოადგენს... შლიმანმა ალბათ ზოგადად თუ იცოდა ძველი კოლხეთის ისტორია, მაგრამ საიდან? ზუსტად ვიციო ქალაქ აიას ადგილმდებარეობაო, რომ განაცხადა. აი, სადაა მარადიულობის მეხსიერების სამარხები, რომელთაც მხოლოდ გენიები ფლობენ, აღიქვამენ და ხედავენ... დედამიწის სხვადასხვა კონტინენტებზე რად უნდა ვეძიოთ ქართული უძველესი ცივილიზაციის ფესვები, როცა ისტორიის შორეულ მოვლენებში გამშუქებელ სხივებად გარკვევით ჩვენშივე ისახება. ასე რომ, მეცნიერებო, ნუღარ ჩაერევით უღვთოდ და მოურიდებლად ნუ შეანჯღრევთ ბაჯაღლო ოქროსძარიან უმშვენიერესი პოეზიის მანქანას, რომელიც ზღაპრულ შემოქმედებით შარაზე ყველგანმავალია, როგორც შიშველ მგრძნობიარე მიწაზე, ასევე კოსმიურ ზესამეფოებში, რადგან ის ურყევი დიდება, სამყაროსეული მშვენიერების ჰარმონიული პოეტური უხილავი მეცნიერება და ქართული მხატვრული სულიერებითაა ნაქარგი...

ცოცხალთათვის მიუწვდომლობაა საფლავთ დუმილ-ფიქრი; მაგ უკუნეთ ცრემლშემშრალ სევდაში ყველაფრისა და ყოველივეს ჩაკარგვაა; უთუოდ ირგვლივ მჩქეფარე სიცოცხლეშივე უმძაფრესი ჩასაფრება ტკივილ-სიკვდილია, ჩაკირული უცხო მეხსიერებითა და გაურკვეველი უჯიუტესი ძრაობით. დაუსრულებელი გასაიდუმლოება მათ რომ გააჩნიათ მარადიულად ჩასვენებული უკვდავი მზეა ჩამქრალი. ამდაგვარი აზრ-ფიქრები მიტრიალებს შოთა რუსთველის დაკარგულ და გამქრალ საფლავს ფერწერულად ჩემი პლანეტარიუმის მიდგომით რომ ვხატავ და ვიხილავ ხოლმე ვარსკვლავეთის მიუვალ პანთეონში, ანუ ვარსკვლავოპანთეონი... პანთეოკოსმეონი (ჩემეული აღმოჩენაა), რომელიც ზეცაზე წარმოიშვა მეთორმეტე საუკუნეში და ანგელოზებმა პირველად შოთა რუსთველი დაასვენეს...

ყოველივე ამას მათთვის ვწერ, ვისაც ეამებათ ჩემი სუფთა ქართულგანწყობილებიანი ნააზრევ-ნაამბობი; თუ არა – ის ნამდვილად კეთილი გულით მეცოდება, რადგან განუკურნებელიაო მართალთა მიმართ განდგომის გონებრივ უკეთური სენი.

გაგრძელება იქნება.

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელ ება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №№28-37-ში)

იმავე საღამოს ჩემთან კაბინეტში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, გამხდარი, მზისაგან გარუჯულს თვალები ჩასცვენოდა, გაცვეთილი, მოკლესახელოიანი ხალათი ეცვა, საიდანაც ზომაზე მეტად დაკუნთული მკლავები მოუჩანდა, რომელიც მდიდრონი ხელის მტევნებით ბოლოვდებოდა, რაც იმის ზომაზე მეტად ფიზიკური შრომის მომასწავლებელი იყო. ათლეტიკური ტანის აგებულება ჰქონდა, მაგრამ ძალზედ დაღლილად გამოიყურებოდა და იმის გამოხედვა მეუბნებოდა, რომ რაღაც სულიერი ტანჯვა აწუხებდა. კაბინეტში შემოსვლისთანავე ვიცანი – ცოტნე აბაშიძე – და მდივანს ქოქოლა დავაყარე, რატომ შემოუშვა—მეთქი, მართალია, იმის შემოსვლისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და ქაღალდებში თავი ჩავრგე, მაგრამ არც ის დამლოდებია დიდხანს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჩემს პირდაპირ სავარძელში ისე ჩაეშვა, თითქოს ვინმეს წაექციოს.

– მე თქვენთვის დაჯდომის უფლება არ მომიცია! – ვიღრიალე მე.

მას დამცინავად გაეღიმა და წყნარად მიპასუხა:

– არც მე გამომითხოვია თქვენთვის დაჯდომის ნებართვა, რადგან ეს სავარძელი ხალხს ეკუთვნის და ცოტაოდენი წვლილი ჩემიც გახლავთ შიგ ჩაქსოვილი.

– დღეს მე განვაგებ მაგ სავარძელის ბედს – ისევ ხმამაღლა ვუთხარი მე.

– ეს ყველაფერი დროებითია, ბატონო ირო-დი, მე მინახავს ეგ სავარძელი, სადაც თქვენ მეფურად განისვენებთ, ამ ორიოდე წლის წინათ შიგ სულ სხვა კაცი იჯდა, ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ ადვილი შესაძლებელია ხვალ სხვა კაცი აღმოჩნდეს შიგ ჩაბრძანებული.

– ჩემთან ასე ვერ ლაპარაკობენ! – ისევ ხმამაღლა ვუთხარი მე და დავაპირე კაბინეტიდან გამეძევებინა, მაგრამ სანამ რაიმეს ვიტყოდი მან დამასწრო!

– „ვერ ლაპარაკობენ”, იმიტომ რომ ეშინიათ!

თანდათან მდგომარეობიდან გამოვყავდი იმის მოურიდებელ საუბარს, ახლა კაბინეტიდან გაძევება გადავიფიქრე და მტკიცედ გადავწყვიტე რაიმე მიზეზი მეპოვა ამ ხამი ადამიანისათვის და მიმებრძანებინა იქ, „სადაც ჯერ არს”. მიზეზის პოვნა კი უამრავი შეიძლებოდა, თუ გინდ ის, რომ საცემად შემომიხტა კაბინეტში, ან ყაჩაღობაში თანამონაწილეობა შემომთავაზა, ან ანაშით გატენილი პაპიროსი შემომაბოლა და უამრავი სხვა. და მე გავიყუჩე, რადგან ხელსაყრელი მომენტი შემერჩია, ის კი განაგრძობდა.

– არა, შენი კი არ ეშინიათ, მაგ სავარძლის ეშინიათ, რომელშიდაც ღრმად ჩაბრძანებულხართ, თქვენ მე ქუჩაში მრავალჯერ შემხვედრიხართ, სრულებითაც არ შემშინებია თქვენი, არც გავდით შესაშინებელ კაცს, არც სხვებს ეშინოდათ, არც არავის უყვიროდით და არც არავინ გიყვიროდათ, აქ კი ამ ჯადოსნურ სავარძელში სრულებით გარდაქმნილი ბრძანდებით, რაც ჩემი აზრით, ადამიანის ორ ბუნებადობაზედ მიგვითითებს.

– რას ბედავთ ყმაწვილო, ან აქ როგორ მოგდით ასეთი აზრები სალაპარაკოდ? ან საიდან შეგიძენიათ ასეთი სიბრძნე ჯერ კიდევ ახალგაზრდას, რომ მართლმსაჯულებას ჭკუას ასწავლით? – კიდევ მეტი სიმკაცრით ვუთხარი მე და ერთი სული მქონდა ხელი გამეპარებინა ფარული ზარის ღილაკისაკენ, რათა დაბორკილებული გაეყვანათ აქედან ეს „არამკითხე მოამბე", მაგრამ მის გამოხედვაში სრულებით უდარდელობა ამოვიკითხე, რომელიც თითქოს მეუბნებოდა – „ჩემთვის სულ ერთია, რას მოიმოქმედებ, მე დავამთავრეო ჩემი ცხოვრება" – ამიტომ შევჩერდი რადგან ინტერესიც გამიღვივდა შემეტყო ამ ახალგაზრდა კაცის ჩემთან მოსვლის მიზეზი. ის ისევ ისე უდარდელი კაცის თვალებით შემომცქეროდა და არც ჩემს კითხვაზე დაუყოვნებია პასუხი:

– არა ბატონო ეროდი, ჭკუას როდი ვასწავლი მართლმსაჯულების უდიდებულესობას, მაგრამ ეს სიბრძნე თუ დაცინვით არ ამბობთ და ჩემს საუბარს სიბრძნეს უწოდებთ, ცხოვრებამ შემასწავლა პრაქტიკულად მაშინ, როდესაც თქვენ თეორიულად სწავლობდით. წლოვანებით კი ჩვენ ერთი ვართ, როდესაც მე საშულაო სკოლა დავამთავრე, მაშინ თქვენ დამამთავრებელ ჯგუფში ბრძანდებოდით.

კი, მე ვიცანი როგორ არა ვინც იყო, ისიც ვიცოდი, რომ ჩემზედ ერთი წლით უფროსი თუ იქნებოდა და მეც მის მიერ გამთბარ მერხზე რომ დავამთავრე საშუალო სკოლა, მაგრამ დღეს ვიღას უნდოდა დაგლახავებული ადამიანის ხილვა და დაახლოვება? ამიტომ მკაცრად ვუთხარი:

– როგორც გატყობ, შენ ჩემი ჭკუის დასარიგებლად და წარსულის მოსაგონებლად არ ხარ მოსული, მოკლედ მოყევი რისთვის მოსულხარ!

– მოკლედ არ ითქმის, – მომიგო მან – თქვენ თუ შეგიძლიათ ერთი საათი მაინც გამომიყოთ და როგორც ერთ მერხზე და ერთი სულისკვეთების აღზრდილთ, გულთან მიიტანო ის მწუხარება რომელიც გამაჩნია, გთხოვთ გულისყურით მომისმინოთ, მაგრამ თუ ამის საშუალება არ გამოიძებნება, ვეცდები საჩქაროდ ჩემი დარდი ზემდგომ ორგანოებში ვაღიარო.

– მოკლედ არ ითქმის?

– არა!

– მაშინ ხვალ მოდი და ვისაუბროთ! – ვუთხარი მე, მითუმეტეს დატვირთული არაფრით ვყოფილვარ და მეორე დღეს არ ვიქნებოდი, დაჩის მშენებლობისთვის უნდა მიმექცია ყურადღება.

– არა ხვალ გვიანი იქნება, მაშინ მე წავალ! – თქვა და წამოდგა, მაგრამ შეურაცხყოფა ჯერ კიდევ არ გამომნელებოდა და ასე ამის გაშვებას სწორედ არ ვაპირებდი, ამიტომ „მოჩვენებითი" ფურცლები ავკრიფე, სეიფში შევინახე და ვუთხარი:

– კარგი, რაც არის, არის. მოვცდები ძველი მეგობრისათვის, დაიწყე!

– თქვენ დამემოწმებით – დაიწყო მან, რომ ჩვენი სკოლა ერთ—ერთი თვალსაჩინო და სინდის—პატიოსნების განსახიერება იყო მთელს რესპუბლიკაში, ასეთივე იყო ჩემი ოჯახიც და ამავე სულისკვეთებით აღვიზარდე. საშუალო სასწავლებელი რომ დავამთავრე ოჯახური, ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება აღარ მიცდია, ან ვეღარ ვცადე და მუშაობა დავიწყე ავტო—პარკში ზეინკლის დამხმარედ. იმავე წელიწადს, გემახსოვრებათ, ნელი კოკოუჩავა ცოლად შევირთე და მეგონა ცხოვრება ამიყვავდა, მაგრამ მალე სამხედრო სავალდებულო სამსახურმა მომწია და საბჭოთა არმიაში გამამწესეს. სამი წელიწადი ქვეყნის დასასრულში, ვლადივოსტოკში ვიხდიდი ჩემს მოვალეობას, როდესაც დემობილიზებული გამომიშვეს, ვლადივოსტოკ—მოსკოვის მატარებელზე ბილეთი შევიძინე, შევედი ჩემი ვაგონის რბილ კუპეში, თავქვეშ ჩემოდანი ამოვიდევი და მეორე იარუსზე წამოვწექი. ვაგონში ხალმრავლობა არ იყო, ჩემს კუპეში კი ერთადერთი ორბავშვიანი ქალი იმყოფებოდა და ისიც ქ. ჩიტაში ჩავიდა, მაგრამ იმისი ჩასვლა იყო და კუპეში სამი მთვრალი მამაკაცი შემოვიდა, ერთი ძალზედ მთვრალი იყო, ფეხზე ვერ იდგა და

ის ორი ხელში აყვანილს მოაპორწიალებდა. იმ ორმა ეს ძალზე მთვრალი ჩემს ძირს პირველ იარუსზედ წამოაწვინეს, ცოტახანს საპირისპიროდ ჩამოსხდნენ, შემდეგ ერთ—ერთმა რომელსაც გადმოკარკულული თვალები ჰქონდა და მწიფე პამიდორივით ცხვირი, მე მითხრა:

– ე, ჯარისკაცო, ამ მთვრალს ყურადღება მიმიქციე, თუ ადგეს,უ თხარი ვაგონ—რესტორანში ვიქნებით.

– კარგი რა, – შევაწყვეტინე ცოტნეს საუბარი – რაში მაინტერესებს შენი მგზავრობის სიტორია, – ვლადივოსტოკიდან—მოსკოვამდის და შემდეგ მოსკოვიდან—თბილისამდი, ვგაონში რამდენი მთვრალი, მწყურვალი გამაძღარი თუ მშიერი შემოვიდა, ვთქვათ მოკლედ, ჩამოხვედი თბილისში, შემდეგ?

– მოთიმინება იქონიეთ ირონდი ბატონო, სწორედ ეს არის სავალალო, რომ თბილისადმის ვერ ჩამოვედი და ჩემი მგზარვობა ჩერემხოვოში დამთავრდა.

– როგორც, ვაგონიდან ჩამოგაგდეს? შემდეგ, შემდეგ გააგრძელე, საინტერესოა!

– არა, კი არ ჩამომაგდეს, გადმოვაგდე – მიპასუხა მან და განაგრძო: – როდესაც ისინი კუპედან გავიდნენ, ჩვენმა ჩქარმა მატარებელმა ისე აიწყვიტა აღვირი, რომ გაფრენის მოლოდინში გავიტრუნე, მაგრამ რომელიღაც გაჩერებაზე ისე უხეიროდ დაამუხრუჭა, პირველ იარუსზედ მწოლიარე მთვრალი მამაკაცი საწოლიდან გადმოვარდა და სახით იატაკზე დაემხო, მე ხმაურზე გადმოვიხარე, რომ დამენახა რა მოხდა, ამ დროს ჩემი ჩემოდანიც გადმოცურდა და საბრალო მთვრალს ზედ კეფაზედ დაეცა. გადმოვხტი გამწარებული, ჩემოდანი ისევ მეორე იარუსზედ მოვისროლე და მთვრალს ვეცი, ავწიე და თავის ადგილზე დავაწვინე, მაგრამ ეს კაცი ცივი მეჩვენა, პულსი გავუსინჯე არ მუშაობს, მკერდზე ყური დავადევი – მხოლოდ მატარებლის დაგადუგი ისმის და მკერდიდან სიცივე უბერავს.

„ჩემმა ჩემოდანმა მოკლა, კაცი მოვკალი“ – გამიელვა თავში და კინაღამ წნევამ დამარტყა. კარები ჩავკეტე და დავფიქრდი როგორ მოვქცეულიყავი. ერთი აზრი მიკარნახებდა – „იყოს დაწოლილით ავის ადგილზე, ამხანაგები რომ მოვლენ, იფიქრებენ ალკოჰოლმა მოგუდაო“ – მეორე აზრი კი საწინააღმდეგოს ამბობდა – „ამხანაგები რომ მოვლენ და ნახავენ მიცვალებულს თავში აქვს დაკრული, ვის დააბრალებენ შენს მეტს მაგის მკვლელობას? უმჯობესია თავიდან მოიშორო და ამხანაგებს უთხრა რომ თქვენთან წამოვიდა—თქო. რა ვიცოდი, რომ ჩემი პირველი მრჩეველი ანგელოზი იყო და მეორე ეშმაკი, ბევრი აღარ მიფიქრია, ფანჯარა გამოვაღე და მიცვალებული მუთაქასავით მოვისროლე ფანჯრიდან. კარები გავაღე, კორდიდორში არავინ არ არის, უკვე გვიანია, მთელ ვაგონს ძინავს, ნეტავი ჩვენი მემანქანეც დაიძინებდეს და მატარებლის მთელი შემადგენლობა ბაიკალის ტბაში მოადენდეს ზღართანს, გავიფიქრე მე ძალზედ შეშინებულმა, შემდეგ ოფლი შევიწმინდე, ჩემს ადგილზე წამოვწექი და ძილი მოვიგონე.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ამ ერთი მთვრალის, ის ორი მთვრალი ამხანაგიც მოვიდა, მოიკითხეს თავიანთი მთვრალი მეგობარი და ადგილზე რომ ვერ დაინახეს, მე შემეკითხნენ: თუ სად წავიდაო, – მე არც მაცივა და მაცხელა ვუპასუხე: – თქვენთან წამოვიდა რესტორანში—მეთქი. – მათ ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. შემდეგ როგორც იქნა თავი შეიკავეს სიცილისაგან და იმ პამიდორა ცხვირიანმა მითხრა:

– ჯარისკაცო სწორი თქვი, რა უყავი ჩენი მეგობარი?

– ხომ გეუბნები ადგა, გაიზმორა, თქვენ მოგიკითხათ და მე ისევ მოვიქეცი როგორ დამარიგეთ, ვუთხარი ვაგონ—რესტორანში წავიდნენ—მეთქი.

– და ისიც წამოვიდა?

– რასაკვირველია!

– ჯარისკაცო, როგორ წამოვიდოდა, ის ხომ მკვდარი იყო?

– ააა? – თვალები გამიფართოვდა მე მოუ-

ლოდნელობისაგან და რისი ქართველი ვიქნებოდი ეს ამხელა „მკვლელობა" უჩხუბრად ჩამეტარებინა? – ვეცი და შეიქმნა ერთი—ორთან ჩხუბი, ჩაიმსხვრა ფანჯარა და მიჰყვა კარებში ჩასმული სარკე: სად არ არიან და ჯერ კიდევ შუა ჩხუბშიდაც არ ვიყავით, რომ მილიცია გაჩნდა, მათ მალე დაგვაშოშმინეს და სადგურ თუ პატარა ქალაქ ჩერემხოვოში ჩამოგვსვეს მატარებლიდან.

გამოირკვა, რომ ქალაქ ჩიტაში, ერთ—ერთ საავადმყოფოში გარდაცვლილმა ჩერემხოვოში მაცხოვრებელი ვინმე უპატრონო ივანე კოზლოვი, რომელსაც მხოლოდ ერთი მოხუცი მეუღლე გააჩნდა მარიამი, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ იმ დღესვე შეატყობინა მარიამს მეუღლის გარდაცვალება და აუწყა მიცვალებული წაეღოთ თორემ დაასაფლავებდნენ. ამ უკანასკნელმა დიდი გულისწუხილით მოიმწუხრა მეუღლე და ოჯახში ჩამოსასვენებლად წავიდა ჩერემხოვოდან ჩიტაში,ს ადაც სამედიცინო სასწრაოფ დახმარების ავტომანქანის მძღოლს მოელაპარკა მიცვალებულის გადმოსვენებაზე და გასამრჯელოდ ათმანეთიანი აჩუქა. მძღოლმა თავის მეგობარ, ვინმე მიშენკოვთან ერთად ამ ათი მანეთით არყები იყიდა, კარგად გამოთვრნენ და მიცვალებულის წასვენება მატარებლით გადაწყვიტეს. სამი ბილეთი იყიდეს ჩიტაიდან – ჩერემოხოვომდის, ასხურეს არაყი მიცვალებულს და თითქოს ძალზედ მთვრალი იყო ხელში აყვანილი შემოიტანეს ვაგონში. დანარჩენი კი უკვე მოისმინეთ როგორ მოხდა. მაგრამ საქმე ისე არ დამთავრებულა, როგორც მოველოდით. ქალაქ ჩიტას სასხალხო სასამართლომ მე ოთხი წლით მომისაჯა თავისუფლების აღკვეთა, მიშენკოვსა და მეგობარს ორ—ორი წლით, ხოლო ვაგონის გამცილებელს ერთი წლით პირობითი სასჯელი აკმარეს.

სასჯელი ჩიტაში მოვიხადე ჰიდრო—ელექტრო—სადგურის მშენებლობაზე და არ მოვყვები იქაურ ცხოვრების ტანჯვა—ვაებას, რაც გადავიტანე. სასჯელი მოვიხადე და ოჯახში შვიდი წლის შემდეგ დავბრუნდი. ოჯახში ნელი მელოდებოდა, რომლის წერილებითაც სამი წელიწადი წითელ არმიაში ვსულდგმულობდი და ოთხი კილონიაში.

ჩვენ წარმოშობით გუდამაყრელები ვართ და დასაბამიდან ჩვენი გვარი მესაქონლეობის მივდევთ, გუდამაყარში მშობლები მყავს და ერთი უმცროსი ძმა, დუშეთში კი მამაჩემი ნაქონი ერთოთახიანი ბინა. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, პირველად, რა თქმა უნდა ნელის მივაკითხე, რომელიც სოფელში არ წასულიყო ჩემს მშობლებთან და ჩვენსავე ბინაში ცხოვრობდა დუშეთში, მუშაობით კი ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში მუშაობდა. მეორე დღეს სოფელში წავედით, მოვინახულეთ მშობლები, მეზობლები და კეთილი ნათესავები, გულით გავიხარეთ ერთმანეთის ნახვა—შეხვედრით. გადავწყვიტე სოფლეში დავრჩენილიყავი და როგორც სხვა მრავალი ცხოვრებს, მეჯოგეობისათვის მომეკიდებია ხელი და ასე მეცხოვრა, მაგრამ ნელიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა... – შენ დაგთმობ და დუშეთს ვერ დავთმობ" – განმიცხადა, მეც იძულებული გავხდი დუშეთს დავბრუნებოდი და სამუშაო მეძებნა, მაგრამ საქმეში ხარ? სადაც მივედი ყველგან კარები დაკეტილი დამიხვდა, ჩვენი რაიონი პატარაა და აქ მაცხოვრებელმა ყველამ იცოდა საიდანაც დავბრუნდი. ამიტომ სამუშაოს ვერ ვშოულობდი. არ ვიცი ეს განკარგულება ზემდგომი ორგანოდან მოდის, თუ ადგილობრივი მმართველობა იყენებს კანონს ბოროტად და ახალ დანაშაულზე უბიძგებს ადამიანს. ფაქტი კი ერთს მეტყველებს – სამუშაოზე არავინ მიმიღო, რომ ნაპატიმრები ვიყავი. – ნელისთან კი ერთი კვირის შემდეგ უკმაყოფილება შემექმნა – ის ხომ ყოველ წუთში ერთსა და იგივე ჩამჩიჩინებდა: – „მარჩენს და ვეღარ მიძლებს". – ასეთი ცხოვრების აუტანელ პირობებში, როდესაც ნერვიული სისტემა გადაწყვეტამდის არის დაჭიმული, თუთუნის წევას თავი დავანებე, რომ მართლა კისერზე არ დავწოლოდი მეუღლეს. თუმცა კისერზე როგორ ვაწექი, მე ხომ სოფლიდან მომქონდა კვირიდან—კვირამდის

სამყოფი სარჩო, რომელიც გვყოფნიდა კი არა, გვრჩებოდა კიდეც. შემდეგ გადამეკიდა რუსეთში წავსულიყავი სამუშაოდ, რუსეთში რაც ვიყავი გადაკარგული მეყო, მიძნელდებოდა ისევ მიმეტოვებია მშობლიური კერა, მაგრამ ყოველდღიურ ჩიჩინს ვეღარ გავუძელი და წავედი. სამშობლო მოძულებული ადამიანი ვის რად უნდიხარ? ჰოდა ორიოდე თვის შემდეგ მეც ხელმოცარული დავბრუნდი ოჯახში. შევატყვე ნელის არ ესიამოვნა ჩემი დაბრუნება, მაგრამ მეგონა ეს მატერიალური სისუსტის ბრალი იყო და ყურადღება არ მიმიქცევია.

შემოდგომა იყო მოახლოვებული, მე ერთოთახიან ბინაში უქმად ვიყავი გამოკეტილი, როცა სოფელში აუარებელი საქმე იყო გასაკეთებელი, ამიტომ ერთ საღამოს ნელის ვუთხარი: – „სოფელში უნდა წავიდე, ბალახს მაინც მოვცელავ ზამთრისათვის პირუტყვის საკვებად. ცოტას წავეხმარები მშობლებს და დაზამთრებამდის ჩამოვალ—მეთქი“ – ნელის თვალებში სიხარულის ნაპერწკალი შევნიშნე და უყოყმანოდ დამთანხმდა ხვალვე წავსულიყავი.

მეორე დღეს დილით ადრიანად ავდექი, ჩავიცვი დაწასასვლელად გავემზდე, მაგრამ ნელიმ გამასწრო, მას სამსახურში აგვიანდებოდა, წასვლის წინ გამიღიმა კიდე, რაც აქამდის არასოდეს არ უქნია და მითხრა:

– „გასაღები კარებთან ტილოს ქვეშ დამეტოვებია“ – მეც გავუღიმე, თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და კარებამდის მივაცილე.

რაღაც გაუთენებელი დღეა, დილიდანვე ბურუსი ჩამოწვა და წვრილად ცრის კიდეც წვიმის წვეთებს, გული წასვლას მიზარის, მაგრამ რაღაი გამზადებული ვარ წასასვლელად და ნელისაგანაც თანმხობა მივიღე, აღარ გადავიფიქრე წასვლა და კარები ჩავკეტე, ეზოში ჩამოვედი და ახლა გამახსენდა გასაღები კარებთან ტილოს ქვეშ უნდა დამეტოვებია, მე კი ისევ ხელში მეჭირა და უაზროდ ვატრიალებდი. უკან დაბრუნება კარგად არ მქონდა დაცდილი და გადავწყვიტე გასაღები ნელისათვის სამსახურში დამეტოვებია, მითუმეტეს გზაც იქით მქონდა.

ხალიჩების საქსოვს ფაბრიკაში ყველა მიცნობდა როგორც ნელის მეუღლეს და დარაჯს უარი არ უთქვამს ფაბრიკაში შესვლაზედ. ნელი აქ წუნმდებლად მუშაობდა და ერთი პატარა კაბინეტის მაგვარი ოთახი ჰქონდა მიჩნეული. ოთახის კარები დაუკითხავად შევაღე, მაგრამ აქ ნელი არ დამხვედრია, მაგაიდაზე კი ნელის ხელით დაწერილი ბარათი შევნიშნე, ხელი არ მიხლია, ერთი თვალის გადავლებით წავიკითხე: – „დევი! დღეს ის სოფელში მიეთრევა მოუსვლელად, იქნებ არ ჩამოვიდეს ცოცხალი, საღამოს სამსახურის დამთავრების შემდეგ შენს ბინაში დაგელოდები, არც შენ დაიგვიანო!...

შენი ნელი”.

თვალებზე ბინდი გადამეკრა, მაგრამ ვიაზრე, რომ აქ ჩემი გაჩერება აღარ შეიძლებოდა და საჩქაროდ საამქროში გამოვედი, ავუყევი სხვადასხვა დანადგარებით ჩამწკრივებულ საამქროს გზას და ნელიც დავინახე. ის ხალიჩის მქსოველებს ადგა თავზე და მათთან ერთად რაღაცას კამათობდა დამინახა თუ არა წყრომით შემომიყვირა:

– „რაო, ფანარი ჩაგიქრა და ვეღარ წახვედი?

– „არა, მივდივარ, გასაღები გამოგირონიე, – ვუპასუხე და სახლის გასაღები გავუწოდე, მან გასაღები უკმეხად გამომგლიჯა ხელიდან და თავის შეცდომა რომ გამოეწსორებინა, თქვა: – „პირდაპირ მოგშლიან ნერვებზე ეს ქალები”.

– შენც ნუ მოიშლები! – ვუპასუხე ღიმილით, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს და დავუმატე: – „ჰე, აბა კარგად, მე წავედი!

ვგრძნობ რაღაც იაზრა და თვალი გამომაყოლა, მე კი უკან აღარ მომიხედავს, პირდაპირ გუდამაყრის გზას დავადექი, ვგრძნობ ვიღაცის თვალი მიყურებს, მითვალთვალებს და ჩემს გზას ჩაჰკირკიტებს, მაგრამ მე უკან არ ვიხედები, არც მინდა დავინახო ვინ არის ეს „ვიღაც”. ასე გამოვიარე რამოდენიმე კილომეტრი გუდამაყრის მიმართულებით და გზისპირის წყაროსთან ჩამოვჯექი ქვაზე.

ფიქრებმა გამიტაცა:

ვინ არის ეს დევი? ნუთუ მე რუსეთში იმიტომ გამაგზავნა სამუშაოდ, ხელს ვუშლიდი დევის სიყვარულში? ნუთუ სოფელშიც იმიტომ არ გამომყვა, რომ დევის ხშირად ველარ მოინახულებდა? ნერვიულობით პირღებინება დამეწყო და ოთხ საათამდე ცივ ქვაზე ვიჯექი, ვერ ვგრძნობდი შემოდგომის ცივ წვიმას, რომელიც ძვალსა და რბილში მატანდა. ათასნაირი აზრები მოდიოდა თავში, მომეკლა ნელი თუ მიმეტოვებინა მთლიანად საქართველო და გადავკარგულიყავი? ამ აზრს უარვყოფდი: მიმეტოვებინა ჩემი დამღუპველი, გადავკარგულიყავი და ის ცოცხალი დამეტოვებინა კუროების სანადიროდ? – „საქმის ვითარება მაჩვენებს—მეთქი ყოველივეს“ – გავიფიქრე და ისევ დუშეთისაკენ მიმავალ გზას დავადექი. ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის შორიახლოს დავიმალე ისე, რომ გამოსასვლელი ჭიშკრისთვის თვალი არ მომიცილებია და სამუშაო დღის დამთავრებას დაველოდე. დიდხანს ლოდინ არ დამჭირვებია, ჯერ ნელ—ნელა იწყო ხალხის ნაკადმა ჭიშკარში გამოსვლა, შემდეგ კი ჯგუფ—ჯგუფად და აი ბოლოს ნაცრისფერ ლაბადაში გამოწყობილი ნელიც გამოვიდა, თითქოს რაღაცას მოელოდა, არამარე შეათვალიერა და მხეცივით დაყნოსა ჰაერს, შეჩერდა, კიდევ ერთჯერ მომავლო თვალი მიდამოს და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. სამალავიდან გამოვედი და კატის სიფრთხილით გავყევი უკან, ის ხშირად ჩერდებოდა და უკან იცქირებოდა, თითქოს გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას, მაგრამ როდესაც საეჭვოს ვერაფერს შეამჩნევდა ისევ გულდაჯერებით წინ მიდიოდა. ბოლოს ოთხსართულიანი სახლის პირველ სადარბაზოში გაუჩინარდა და კვალიც დავკარგე, მე ცოტახნის შემდეგ მაინც შევედი სადარბაზოში და კიბეებს ავუყევი ბოლომდის ავედი და ისევ ძირს ჩამოვედი, მეორე სართულზე ერთ—ერთი ოთახის კარები ოდნავ ღიად მეჩვენა, ფრთხილად მივაწექი და ოთახში შევედი. ნელა სამზარეულოში ტრიალებდა და ათასნაირი ხორაგით სუფრას აწყობდა, მე არ შევუმჩნევივარ და ეს კუკუმალობანა რომ არ გაგრძელებულიყო, ჩავახველე.

– მოხვედი!? – წყნარად ჩაილაპარაკა ნელიმ და მომღიმარე სახით შემობრუნდა, მაგრამ ღიმილი სახეზე შეეყინა – „უიო” – შეჰკივლა და ჩაიკეცა. არ ვიცი მოიგონა თუ გული მართლა შეუწუხდა, მე დავიხარე, ბუმბულვივი ავიტაცე ხელში და ლოგინში ჩავაწვინე. ციხეში ნასწავლი ხერხი გამოვიყენე,თ ვალებზე სული შევუბერე და წამწამები აახამხამა, ესე იგი იგონებს, გავიფიქრე მე და სამზარელუოში გამოვედი, სუფრას გადავხედე და ბოღმა ყელში მომებჯინა, გავიფიქრე მე და სამზარელუოში გამოვედი, სუფრას გადავხედე და ბოღმა ყელში მომებჯინა. მე კანონიერ ქმარს ლუკმა—პურს მამადლიდა და საყვარლის მაგიდას ჩიტის რძეც კი არ აკლდა. დაუფიქრებლად წამოვავლე სამზარეულო დანას ხელი და მკერდში ჩავსცხე. ის ერთი კი შეხტა საწოლზე და შემდეგ აღარ განძრეულა, დანა მკერდიდან არ ამომიღია, კარები წყნარად გამოვიხურე და წამოვედი. არავის არ დაუნახივარ, თითქოს მხრებიდან ტვირთი მომეხსნა, ისე მშვიდად ვიგრძენი თავი. ჩემს ლაბადაში გამოვეხვიე და გაუდექი გუდამაყრის გზას, მალე სატვირთო ავტომანქანა წამომეწია და ჯერ კიდევ არ იყო დაღამებული სახლში რომ მივედი.

დანარჩენი თქვენც კარგდ მოგეხსენებათ რაც მოხდა!

– ბედს გაუღიმია შენთვის და ახლა რიღასთვის მოხვედი? – შევეკითხე გაკვირვებით მე.

– არა, ეს ბედის გაღიმება არ არის, მე ბედმა სატანჯველი გამომიგზავნა – მიპასუხა მან.

– როგორ? – შევეკითხე ისევ გაკვირვებით.

– დღეს ჩემი დანაშაულისათვის უდანაშაულო კაცს დახვრეტა მიუსაჯა სასამართლომ, მე არ შემიძლია გულგრილად ვუცქირო ამ ამბავს.

– აქამდის სად იყავით? როდესაც მე დაგკითხეთ, რატომ არ აღიარეთ სიმართლე?

– არ მეგონა კიკინაძეს თუ დახვრეტას გამოუტანდით, ციხის ღირსი კი იყო და ამიტომ გა-

ჩუმება ვარჩიე.

– საცინედ რისთვის გამიმეტეთ?

– იმიტომ, რომ დევიკო კიკნაძე მე კარგად მიცნობდა, სანამ წითელარმიაში წამიყვანდნენ ის ჩვენთან მუშაობდა ავტოპარკში ხარატად. ჯერ ერთი პატივი უნდა ეცა ჩემთვის, როგორც ამხანაგისათვის და ჩემი ცოლისათვის დევნა არ უნდა დაეწყო, მეორეც: პატიმრის ცოლს რომ არ გამოდევნებოდა, სხვა ცოტა იყო სუსტი ნებისყოფის ქალები? მესამე და მთავარი: თუ ჩემი პატიმრობის პერიოდში მას ნელისთან სქესობრივი კავშირი აკავშირებდა, ჩემი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ეს კავშირი უნდა შეეწყვიტა, რადგან ჩემი თუ არა მამაკაცის ხათრი უნდა ჰქონოდა ცოტათი მაინც, მეოთხე ის, რომ ახლა თვითონ ეწვნია ცოლის გაბოზება, რომელთანაც მე დავიჭერდი საქმეს.

– ჰო და ღმერთს შენთვის მოწყალების თვალით გადმოუხედავს, დახვრეტის შემდეგ იმისი ცოლი ღალატისათვის მალე გამოიგლოვებს დევიკოს და შენც ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

– მერე ამ ამბავს ის საიქიოში გაიგებს? მე კი მინდოდა მას ეს ამბავი ცოდნოდა, გაეგო და გამწარებულიყო.

– მე მაინც ვერ გავიგე, ახლა რა გნებავს რომ მოიმოქმედო?

– თქვენი დახმარებით უნდა უშველოთ დევი კიკნაძეს.

– როგორ?

– ვაღიაროთ სიმართლე უმაღლეს ისტანციაში!

– ეს ახლა შეუძლებელია, ამ საქმის გახმაურებისათვის მე სამსახურიდან დამითხოვენ და უმაღლესი სახალხო სასამართლოს სხდომაც „ვირთხის დღეში ჩავარდება".

– იროდი, იყავი მოწყალე ბიჭო, ადამიანი იღუპება არაფრის გულისათვის და შენ სამსახურის დაკარგვას ნაღვლობ? – მითხრა ცოტნემ და თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, ამას კი აღარ ველოდი, რომ ნაპატიმრალს ასეთი ჩვილი გული ექნებოდა მივუგე:

თუ კაცი ხარ ქალივით ნუ იქლერცები, სულ ერთია მართლმსაჯულების მსახურთ ცრემლით გულს ვერ მოულბობ, ჩვენ მასეთ ამბავის შეჩვეულები ვართ. მაინტერესებს აბა შენ როგორ გინდა ახლა მოიქცე, დანაშაული აღიარო და შენ წახვიდე დევის მაგივრად „ვიშკაზედ"?

– არა იროდი ბატონო – მითხრა მან, მე დახვრეტას არ მომცემენ, ჯერ ერთი, ცოტა თუ ბევრად სულიერ აღელვებას მიიღებს მხედველობაში სასამართლო და მეორეც, თქვენი დახმარებით შეღავათი მომეცემა საკუთარი ფეხით თქვენთან გამოცხადებისა და დანაშაულის აღიარებისათვის.

– არავინ არ იძლევა შეღავათს დანაშაულის აღიარებისათვის, ეს ჩვენი მოგონილია შე საცოდავო, რომ ბოროტმოქმედის დაკითხვის დროს ბევრ წინააღმდეგობას არ წავაწყდეთ.

– ესე იგი დამხვრეტენ?

– უსთათუოდ!

– ჩემი სისხლი და ცოდვაც ნელის ჰქონდეს სამარეში. მე კი დამხვრიტონ. ერთ კეთილ საქმეს მაინც გავაკეთებ ცხოვრებაში, უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლეს შევუნარჩუნებ და თუ მართლა საიქიო არსებობს,ღ მერთიც შემინდობს დანარჩენ ცოდვებს.

– მოდი იმქვეყნიურ სიკეთეს ნურავის დაეესესხები, ეგ სიცრუე მღვდლების მოგონილია, ისე როგორც „გულახდილი ნაღიარები ბოროტმოქმედება თითქოსდა ამსუბუქებს სასჯელს" – ჩვენი მოგონილია. ახლა მე შენ ძმურად გირჩევ, როგორც ჩემს ძველ მეგობარს, წადი სახლშიდა მეჯოგეობას მოკიდე ხელი, გული გადააყოლე ნახირში და ეს არასასიამოვნო სიზმარი დაივიწყე.

– არა ბატონო იროდი, ასეთ მზაკვრობას მე ვერ ჩავიდენ, რადგან თქვენ ვერ გამიწევთ დახმარებას, გენერალურ პროკურორთან შევალ როგორმე დღესვა, რომ ადამიანის დახვრეტა არ მოასწრონ. თქვა და ზეზე წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

– დაიცა, დაიცა, – ვუთხარი მე, ჩვენს გარდა

ამ ამბის შესახებ იცის ვინმემ რაიმე?

– არა არავინ, – მიპასუხა მან – პირველია დამიანი ბრძანდებით, ვისთანაც ასე გულახდილად ვილაპარაკე და ცოტა ტვირთიც კი მომეხსნა გულიდან.

– ესე იგი ეს ამბავი მხოლოდ მარტო მე და შენ ვიცით და მეტმა არავინ?

– ვფიცავ ლაშარის ძალას და ძლიერებას, სიტყვაც არავისთან დამცდენია დღემდე.

– ძალიან კარგი! – ვთქვი და ჩავფიქრდი – საკმარისია ღილაკს თითი დავაჭირო და დავაპატიმრო ეს უგნური, მაგრამ ციხეში ამის მოკვლას ვეღარ მოვახერხებ, ჩემს ნაავკაცარს კი ქვეყანა გაიგებს და ვინ მაპატიებს ადამიანის სიცოცხლის შეწირვას? მოვლაქუცებოდი და სხალში გამეშვა დარიგებით, სიტყვა არავისთან დაცდენოდა, ჯერ ერთი არ მიდიოდა და მეორე, რა გარანტია მქონდა საიდუმლოს შეინახავდა? ამიტომ გადავწყვიტე სხვაგვარად მოვლაპარაკებოდი:

– ყველაფერი გასაგებია ჩემო ცოტნე – ვუთხარი მე – დიდი სიამოვნებით გაგიწევთ დახმარებას, მაგრამ ეს ჩემს ძალას აღემატება. მე საქმე გამოვიძიე, დავხურე და სასამართლოს გადავეცი, ამის შემდეგ კი მე უფლება ჩამორთმეული ვარ გამოძიებულ საქმეს დავუბრუნდე და მით უმეტეს სასამართლოსაგან მსჯავრდადებულს. ამიტომ თქვენ მართლაც სწორად მოგიფიქრებიათ, წადი გენერალურ პროკურორთან, პირისპირ ისაუბრე ასე თავისუფლად, როგორც ჩემთან და ვინ იცის იქნებ საწადელსაც ეწიო.

– მერე შენ რომ სამსახურიდან დაგითხოვონ?

– შე კაცო შენ დახვრეტას არ გარუბიხარ და მე სამსახურის დაკარგვის შემეშინდეს?

– ეროდი, ერთად გაზრდილები ვართ ბიჭო და ცუდი არაფერი გაივლო გულში! – მითხრა, ზედა წამოიმართა, გამომემშვიდობა და წავიდა. ჩემი კაბინეტის ფანჯარა ქუჩას გადაყურებდა, სწორედ ამ ქუჩაზე უნდა გაევლო ცოტნეს, სხვა გზა არ ჰქონდა, ამიტომ ფანჯარა გამოვაღე, სეიფიდან შაშხანა გამოვიღე, ხმის მაყუჩი მოვარგე და დაველოდე. ქუჩაში ხალხმრავლობაა, მაგრამ ამას არ შევუშინდი. ჯერ შორს წასვლა ვადროვე, რადგან უფრო ძლიერად ემოქმედა შაშხანას და ტყვია სხეულში არ დარჩენილიყო, შემდეგ სამიზნეზე დავსვი იმის თავის ქალა და სასხლეტს გამოვწიე. დავინახე თუ როგორ აფრინდა ჰაერში ნახევარი თავი და ამის შემდეგ ტყვიამ კიდევ ჩამოკენწლა ნაძვის ხის ტოტები და ალბათ უსასრულობაში გადაიკარგა.

შაშხანა დავშალე და შევინახე, ქუჩაში კი ყვირილი ძლირდებოდა „კაცი მოლკეს", „კაცი მოკლეს" და ხან სასწრაფო დახმარებას უხმობდნენ, ხან კიდევ მილიციას.

კაბინეტის კარები დავკეტე და მეც გავედი შემთხვევის ადგილზე. სხვა თანამშრომლებთან ერთად დავიწყე მკვლელობის ადგილის შესწავლა და ამ საქმის გამოძიებაც მე მხვდა წილად პროკურორისაგან. მალე დავადგინე, რომ ცოტნე აბაშიძეს მტერი არავინ ჰყოლია და არც არავის შეეძლო განზრახ მოეკლა იგი, მკვლელობა მოხდა დაუდგენელი ადგილიდან შემთხვევითი გასროლილი „ბერდენის" ტყვიით. საქაღალდე დავხურე და საქაღალდესთან ერთად დაიხურა ამ მკვლელობის საიდუმლოებაც, თქვა ყოფილმა გამომძიებელმა და გაჩუმდა.

– საოცარია! – წამოიძახა აქამდის წყნარად გაჩუმებულმა, მაგრამ სავარძელში მბორგავმა ზვიად ზვიადაურმა – შენ მართლაც ისტორიაში ხარ შესატანი შენი ბოროტმოქმედებით. დავუშვათ, ცოტნე აბაშიძე გაიმეტეთ საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ტყვია ცოტნეს აცდენოდა და სხვა მოგეკლა?

– მერე რა, მეორეს ვესროდი! – დაუფიქრებლად უპასუხა წიკლაურმა. ზვიადაურს კი გაეღიმა ასეთ პასუხზე და ისევ შეეკითხა:

– ნუთუ არ შეგეცოდა მოსაკლავად ისეთი პატიოსანი ადამიანი, როგორც ცოტნე ყოფილა?

– როდესაც ადამიანს უბედურება მოელის, ის სხვის კეთილდღეობაზე აღარ ფიქრობს!

– ახლა რამ გაიძულათ, რომ ჩემთან ცოდვების მონანიება გადაგიწყვეტია?

– დათვლილმა დღეებმა!

– ხომ არავის ადანაშაულებთ თქვენ ავადმყოფობაში?

– საკუთარ თავს, მეტად ფრთიხილი უნდა ვყოფილიყავი, მგონია ეკა თურქაძემ მომწამლა, მასთან ვივახშმე ერთ საღამოს და დილით უკვე სისხლი ამოვახველე.

– ეკას რაღა უნდოდა შენთან?

– წასული საქმეა, სტუდენტობის დროინდელი, გავაბოროტე, დავინდე არ მოვკალი და აი სამაგიერო გადამიხადა, გამაბოროტა კიდეც.

– რაღაზე აკითხავდი, ვეღარ დაივიწყე?

– უსაქმურობის გამო, როდესაც დედაქალაქში მოვხვდებოდი გაუვლიდი ხოლმე. ტემპერამენტიანიც იყო და კარგი სადილის მომზადებაც იცოდა.

– კიდევ ხომ არაფერი გაქვს სათქმელი?

– ბევრი, მაგრამ ყველას უმნიშვნელოდ ვთვლი, ასე რომ სათქმელი აღარაფერი მაქვს, სათხოვარს კი გაგიმეორებ: ჩემს ძმას, მანუჩარს მიაქციეთ ყურადღება და ცოლთან შეარიგეთ, მენანება ბავშვები, უკეთური გზა ცხოვრებაში არ ამართლებს და მინდა ისინი კეთილ ადამიანებად აღიზარდონ.

– მეეჭვება თქვენს მოდგმაზედ კეთილი აღიზარდოს ვინმე!

– მასე რად ამბობ, მე რომ შვილი მყოლებოდა ნამდვილად კეთილ ადამიანად აღვზრდიდი!

– ალბათ მაშინ, როდესაც სიკვდილის მოახლოვებას იგრძნობდით!

– სავალალოა ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ამჟამად რომ ვიმყოფები, ძველი ძლევამოსილება რომ მქონოდა...

– ალბათ არც მე დამტოვებდით ცოცხალს, ამისი თქმა გინდათ არა?

– დიახ, მიმიხვდით!

– კიდევ ხომ არაფერს ისურვებდით?

– დაუძახე, რომ გამიყვანონ!

ზვიადაურმა ამჟამად ფარულად აღარ გააპარა ხელი ზარის ღილაკისაკენ და შემოსულ ორ თანამშრომელს უთხრა: პატიმარი გაეყვანათ და იზოლატორის ლაზარეთში მოეთავსებიათ.

წიკლაური ძლივს წამოდგა, სუნთქვა გახშირებოდა და ქოშინით მივიდა კარებამდის, შემობრუნდა და ავადმყოფური, მაგრამ ომახიანი ხმით წარმოთქვა:

– როგორც მაცილებთ, მეც ასე გავაცილე ცოტნე აბაშიძე. იმ ღამეს გემრიელად ვივახშმე, ალბათ თქვენც ასე მოიქცევით. სხვისი სიკვდილი ჯანმრთელ ადამიანზედ არ მოქმედებს. იმ ქვეყნად შეხვედრამდის კოლეგავ!

კაბინეტის კარები პატიმრის გამცილებელმა გაიხურა, ზვიადაური კი გაუნძრევლად იდგა ბიუსტივით ერთ ადგილზე და სავარძლის კიდეს დაყრდნობოდა.

– აი ასეთებიც ყოფილან ჩვენს შორის! – თქვა ბოლოს და სავარძელში დაღლილი კაცის იერით ჩაეშვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვახტანგ გოგრაჭაძე

ორი აჭარელი
(COVID-19)

საბურავდაშვებული, მინაჩამტვრეული, სავარძლებდაგლეჯილი და დაჟანგებული, შიგნეულგამოცლილი და გაძარცვული, კაცს გაუჭირდება ამოიცნოს მისი თავდაპირველი ფერი. ეს ავტობუსია, სოფლის ღობესთან მიტოვებული და დავიწყებული. შეხედავ და გაგახსენდება, ერთ დროს მის დასაჯდომ სავარძლებზე როგორ ირეოდა ხალხი. ათასობით მგზავრს ემსახურა წლების განმავლობაში. გაივლი ცოტას და ორძელი ისევ იმ ადგილზეა, წლების წინ თავ-ბოლოში ქვები რომ შემოუწყვეს და ზედ სოფლის მოსახლეობა ისვენებდა. მას ახლა ხავსი მოსდებია, ბალახი ამოსულა და სადაცაა მიწას შეეკორძება.

აღარ ისმის წისქვილის რაკუნის ხმა, წყალგამშრალი ხის ღარი უწყლობას განიცდის, დახეთქილა და ეგეც დალპობისთვისაა განწირული. ფიცრული სახლები გულდასაწყვეტად გამოიყურებიან, აქა-იქ ამძვრალი ყავარი, საკვამურზე წამოცმული სათლი, ფანჯრებზე მიჭედებული ხის ფიცრები, მოშლილი აივნები და მოაჯირები. ეზოში, ვარდების ნაცვლად, ეკალია ამოსული და ხელის შემშლელი რომ არაფერი აქვს, საგულდაგულოდ ეხვევა ღობე-ყორეს.

იქვე ახლოს, სახლის გვერდზე ნალია გადაბრეცილა. ალბათ, ამ ზამთარს ვეღარ გაუძლებს მისი დაფუტუროებული საყრდენი დირეები, რომელშიც თაგვიც კი აღარ ძვრება. ან ცარიელ ნალიაში თაგვს რა ესაქმება. ყველგან ბალახი და ეკალ-ბარდია გახარებულ-გალაღებული. ავტომობილის სავალ გზაზე ბალახს აუხდა დიდი ხნის ოცნება და მოკრძალებულად ამოუყვია თავი გზის ზედაპირზე, კვირაში ერთხელ თუ მოუწევს ავტომანქანის საბურავებით მიღებული იარების მოშუშება. ყველაზე საცოდავად სოფლის წყარო გამოიყურება. ანდა როგორ უნდა გამოიყურებოდეს – არც კი ჩანს, ისე დამალულა გვიმრასა და ეკალ-ბარდში, თითქოს სიმარტოვით შეშინებული გამოჩენას ვერ ბედავსო.

ყოველთვის გულდასაწყვეტი სანახავია მიტოვებული სოფელი. ერთ დროს ხალისიანი, მოკოხტავებული, სიცოცხლით სავსე, ძველ სამოსს დამსგავსებია ხავსჩამოკიდებული ხეხილის ბაღებით, მინგრეულ-მონგრეული ბოსტნის ღობეებით. მას დიდი ხანია აღარ ელოლიავება გლეხკაცის მარჯვენა.

დგას სოფელი ცაზე გულმკერდმიშვერილი, სიმარტოვისგან დალაჩრებული და ჩაფიქრებული. სრულ მდუმარებას დაუსადგურებია, აღარსად ისმის ძაღლების ყეფა, მამლის ყივილი, ძროხის ბღავილი, ცხენის ჭიხვინი, ბავშვების ჟრიამული, ჩვილის ტირილი. მხოლოდ ღამღამობით ტურის გაბმული და შემზარავი კივილის ხმა აღწევს. ღამის სიჩუმეს ხანდახან დათვის ფეხის ხმაც არღვევს.

ვის წარმოედგინა, დათვი აივანზე ავიდოდა, ფანჯარაში შეიხედავდა და ისევ დინჯად უკან გაბრუნდებოდა. ალბათ, ისიც გრძნობდა, რომ იქ სახეირო აღარაფერი იყო. სოფელი საღათას ძილს შეუპყრია, ეღირსება კი ოდესმე გამოღვიძება? თუმცა სოფელს უცნაური თვისება აქვს – ეპოქის რაღაც მონაკვეთში დაიცლება, განმარტოვდება, თითქოს ძალებს იკრებს ახალი სიცოცხლისთვის. მერე ისევ აივსება, გაბევრდება, გახალისდება და ახალდაბადებულივით, ხალასი სიცოცხლით იწყებს არსებობას.

დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი. არავინ არ იცის, მოხდება თუ არა, ან როდის მოხდება უკუმიგრაცია და მოსახლეობა როდის შებრუნდება სოფლებისკენ. არადა, სოფელი ხომ ქალაქის მშვენებაა და მარჩენალიც.

ღამის ბინადრები მიყუჩდნენ, ღამემ უკან დაიხია და გზა დღის სინათლეს დაუთმო. სოფელს მზის სხივები და მოწმენდილი ცა მომავლის იმედს აძლევდა, სოფელი დილის მადლს ეზიარებოდა... თუმცა, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“... მხოლოდ და მხოლოდ ორი საკვამურიდან შეიმჩნეოდა კვამლი, რომელიც ცის მიმართულებით მიემართებოდა, ეს კი, როგორც სოფელში ამბობდნენ, კარგი ამინდის ნიშანი იყო.

– ამ დილაუთენია აქ რამ მოგიყვანა შე კაი კაცო, წუხელი ხეზე გეძინა? – ჰკითხა შაღბან ბაბუმ სოფლის სალაყბოზე მისულ სასელა ბაბუს, რომელიც ძველ ორ-
ძელზე ჩამომჯდარიყო, ყავარჯენი გვერდით დაედო, ცალი ხელი მუხლზე ესვენა, მეორეთი კი ყალიონს აბოლებდა და თამბაქოს კვამლს აყოლებდა თავის წარსულს, აწმყოსა თუ მომავალს.

სახეს თოვლივით თეთრი და ფაფუკი წვერი უმშვენებდა, მომცრო და ჩაცვენილი თვალები მრავლისმთქმელი და მრავლისმჭვრეტელი იყო. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ზურგს უკანაც ყველაფერს ხედავსო. ტუჩებთან წვერი თამბაქოს ნიკოტინით ჰქონდა გაყვითლებული, ძვლამდე დასული თითებიც ნიკოტინისგან გაყვითლებოდა.

იჯდა მიტოვებულ სოფლის სალაყბოზე სასელა ბაბუ. მის შუბლზე ოთხმოც წელზე მეტი იკითხებოდა და არსებობას დროდადრო მობილური ტელეფონით ატყობინებდა ქალაქად მცხოვრებ შვილიშვილებს.

– მოდი შაღბან, დაჯექი, ცოტას გეხებრები, ბელქი გული გადავაყოლო თვარა... ამ სიბერეში რომ გავბეჩდე, იტყვიან, დაბერდა და უურიაო. არადა, მე ხომ სულ სხვა მერაყი მაქ ჭო.

შაღბან ბაბუც მიუჯდა გვერდით და დიდი მონდომებით, ნაღველშერეული ხალისით დაიწყეს სჯა-ბაასი ქვეყნის საქმეებზე.

მთელ სოფელში ორად ორი მოხუცი იყო დარჩენილი, ერთმანეთს ამხნევებდნენ, ახალისებდნენ, ერთმანეთთან ჩიოდნენ, ნაღვლობდნენ, იცინოდნენ და ერთიმეორისთვის უკანასკნელი მოჰიკანები იყვნენ.

მოდით, აქვე გეტყვით, თუ რატომ ეძახდნენ ოსმან ბაბუს ზედმეტ სახელს – „სასელა“.

წარსულში თურმე ყოფილა ტრადიცია, რომელსაც „ნიშალობა“ ერქვა და რომლის თანახმად, სასიძო პარასკევ ღამით (პარასკევი იგივე ჯუმა დღეა, რომელიც რელიგიური დანიშნულებისაა), უნდა შეპარულიყო ფანჯრიდან საცოლესთან და მასთან სარეცელი გაეყო. თუ ამ ამბავს საცოლის ძმა შეიტყობდა და ფაქტზე დააკავებდა სასიძოს, უფლება ეძლეოდა ფიზიკურად გასწორებოდა.

სასიძოს არ ჰქონდა შეწინააღმდეგების უფლება, მას მხოლოდ თავდაცვა შეეძლო. ასეთი სარეცლის გაყოფით, ქორწილამდე დაორსულებულ და ნაადრევად დაბადებულ ბავშვს ზედმეტ სახელს – სასელას ეძახდნენ.

მოგეხსენებათ „სასელა“ მსხლის ერთ-ერთი ჯიშია, რომელიც გაზაფხულზე ყველაზე ნაადრევად მწიფდება. ოსმანიც ნაადრევად გახლდათ დაბადებული და ეს სახელი მას მთელი ცხოვრება თან გაჰყვა. ბევრმა დღესაც კი არ იცის მისი ნამდვილი სახელი.

თითქმის ყოველდღიურად ნახულობდა ეს ორი მოხუცი ერთმანეთს, საუბრობდნენ და სასაუბრო არ ელეოდათ, ორივენი ენამახვილი და მოჩუქურთმებული სიტყვის დიდოსტატები იყვნენ. მათ აღმოსავლელი მოლა ნასრედინის იუმორი და ხათიბის სიბრძნე დაენათლათ. წარსულში ორივე დამსახურებული მუშაკები იყვნენ სხვადასხვა სამსახურებში, ორივე არაჩვეულებრივი და ცნობილი თამადები და ქართული სიტყვის მოამაგეები გახლდათ. მათი ცხოვრება ერთი სქელტანიანი წიგნია, ტრაგიზმითა და იუმორით შედგენილი.

ახლა, მარტო დარჩენილები, სოფლის უკანასკნელი დარაჯები, ბოლომდე აპირებ-დნენ, რომ არ შეგუებოდნენ სხვა გარემოს. ბოლომდე სურთ აქ დაცვდნენ, დაილიონ და საბოლოოდ აქ უნდა დაიდონ სამარადჟამო სამყოფელი.

ორთავე მოხუცი საუბარში შეზარხოშდებოდნენ და მერე ისე ხმამაღლა საუბ-რობდნენ, თითქოს სალაყბოზე ხალხს მოეყარა თავი, თითქოს სამყაროს აცნობებდნენ, რომ ჩვენ ისევ აქ ვართო.

– ეჰ, ჩემო შაღბან, ბაღანა რომ ვიყავი, რა შორს ჩანდა ეს სიბერე, ეეე... იგერ, ცისკრის ვარსკვლავი რომ ჟინჟვალებს და როისმე ვერ მიხვალ კაცი იქ, ისე მეგონა ზუსტად, მარა რათ გინდა, ისე უცპაი გაშპა და გეიპარა ზუსტად ა, იმ ვარსკვლავივით და აღარ ჩანს.

– ჰო, მაქფრათაა სასელ, გამჩენელი ღმერთის სახელის ჭირიმე, რაფერც გაგაჩენს, ისვენ იმფრათ წიგიყვანს. არც მოსლას გვეკითხება და არც წასლას. გვითხრა, რომ აგერ იწყება თქვენი ომრი და აგერ გაჩერდებაო.

– შენ გინდა თუ არ გინდა, უნდა გეიაროო და ჩვენც გევიარეთ, მარა აწი რამდონი დაგვრჩა გასავლელი, კაცმა არ იცის.

– ამბობენ, დედომიწაზე შვიდ მილიარდზე მეტი ინსანი ცხოვრობსო. – განაგრძო სასელამ. – იმ დუნიას წასული რამდონია, მაგას ვინ მოთლის. ეიდა, ყველას მისი გზა დუუწესა გამჩენმა და კიდვენ რამდენს დუუწესებს, ეგეც ვინ იცის.

– ჰო, სასელ! მარა, რაცხას გაჩუქვებს გამჩენი, ის კაცურად უნდა გეიარო.

– რას ნიშნავს კაცურად გავლა?

– რას ნიშნავს და... კაცურად გავლას.

– ჰოდა, ამ კაცურ გავლაში რა შედის, რანდა გააკეთოს კაცმა, რომ მემრე თქვან, კაცურად გეიარაო. – არ მოეშვა სასელ ბაბუ.

– ჭო, ვითომ შენ არ იცი, მე რომ მეკითხები? მთელი ცხოვრება ერთ სუფრაში გევიარეთ და ერთმანეთზე რას ვფიშმანობთ მაგიც ვიცით.

– მე კი ვიცი მარა, ბაღნებმა რომ შეგვეკითხონ, პასუხი ხომდა გვქონდეს გახაზირებული და დაკალიბებული.

– ჰოდა, ჩამოგითლი სასელ, მარა, მაგდეხან აქ რაფერ მომიცდი, დაბნელდება და საკუთარ სახლს ვეღარ მიაგნებ.

– ვერ მივაგნებ? ვერ მივაგნებ და მთელი სოფელი ჩემი და შენი სახლი არ არის? ამდენი სახლი გქონია როისმე? უკან-უკან რომ ვიარო, რომელცხა სახლს ილლა დევესტორები.

ორივემ გულიანად გაიცინა და რაღაც მომენტში ბედნიერად იგრძნეს თავი.

შაღბანმა გააგრძელა საუბარი.

– ჰოდა, ჩემო სასელ, კაცმა არდა იჩათლაღო, არდა მეიპარო, არდა მეიტყვილო, არდა მოკლა, არდა აწყინო ვინმეს ტყვილაი, სიმართლედა ილაპარიკო და სამართლიანი კაციდა გერქვას, რავიცი მე მეტი, იმდონი რამე წერია კაცობის დიპლომში, ყველაი კი არ მახსოვს ქო. – საუბარი დაამთავრა და ჩიბუხში ჩაყრილი თუთუნი ლამის ერთი მოქაჩვით ნახევარზე დაიყვანა შაღბან ბაბუმ.

– ახლა მე ერთი რამე დევჭირე შენს ლაპარიკში, რომ ამბობ – მართალიდა იყოო, კი მარა რაში გამარკვიე იცი, ამ დუნიაზე ყველას თავისი თავი მართალი გონია. ყველას რომ თავი კაი გონია, ბოლო-ბოლო ვინ არის მართალი და კაი კაცი?

– ვინ არის და... ხალხის დიდი უმრავლესობა რომ იტყვის, ის კაი კაციაო, – ზუსტად ეგ არის კაი კაცი! ხალხი ბრძენია და ყველაზე უფრო სქელ ნამსხვანიანი სამართლის წიგნია! აბა, ასეა ჩემო სასელ!

– ნეტაი ჩვენზე რას ამბობს ეგ შენი ხალხი? – კითხვა ისევ სასელამ დასვა.

– რაფერდა თქვან ქო? ჩვენი იეშები ყველაი გაწყდენ და ბაღნებმა რა იციან – ვინ ვართ, რა გევიარეთ, რაფერ ვიცხოვრეთ, აინტერესებს ვინმეს? კი, გვკითხულობენ, გვირეკავენ, მარა ამ ჩემ ბადიშებს რომ ყურს ვუგდებ უჩუმარაი, ინსნები კი არა, რობოტები მგონია. სულ მანქნებზე, ტილიფონებზე, ტექნიკაზე და ფარაზე ლაპარიკობენ. ხანდეხან იმფერ რაცხაებს ამბობენ, რომ ვერც კი ვხდები.

ბუნებრიობა დაკარგეს ახალგაზრდებმა სასელ, ბუნებრიობა! ერთმანეთთან არიან და ტილიფონებით წერენ ერთმანეთს, ისე არიან გამწარებით ჩაკირკიტებულები იმ დასაწვავ ტილიფონში, რომ ელაპარიკები, საერთოდ არ ესმიან შენი ხმა, გეგონება, შიან ოქროს ეძებენო. არხატაშობა და სითბო აღარ იციან. თუ გეემახსრება ვინმე, ბზიკი ნაკბენივით შუუხტებიან და ძირში აღარ დეეცემიან. ატან-გატანა აღარ არის. უფროსები ერიდებიან უმცროსებს, თუ არა, მათ სულ დაკარგეს რიდი და სირცხვილი.

– არ მგონია, მთლად მასე წამხდარი იყოს საქმე შაღბან, ბაღნები დაბადებიდან ჭკვიანები არიან. ახალგაზრდები ეშმაკები და გაქექილებია, თვალიდან ბეწვს გამოგიძრობენ.

მაგათ ასაკში ჩვენ გეჯეგებში ძროხებს ვაძვებდით და ესენი ქვეყნის ყურში არიან, რამე არ გამეეპარებიან. ახლანდელი ბლაყვი მაშინდელ ჭკვიანს უდრის.

– ჰო! ღირსებადაკარგული ჭკვიანები, – დასძინა შაღბანამ.

მოხუცები ერთმანეთს არ უთმობდნენ პოზიციებს. ერთი ახალგაზრდებს აკრიტიკებდა, მეორე – აქებდა. მიტოვებული სოფლის სალაყბოზე ორი აჭარელის გაცხოველებული დისკუსია იყო გამართული.

– ეგ შენი ახალგაზრდები არისტოტელეს ჩიტებივით არიან, ადვილად ებმევიან

ბადეში. უმფოს რომ არ დუუჯერებ, ილლა ბელას ნახავ და ან მგელი შეგჭამს, ან დათვი. – შაღბანი ბრაზმორეული ხმით აგრძელებდა საუბარს. უმფოს მეტი გამოცდილება აქ, ესე იგი, გებნევა, რომ მე გამოვცადე, – მწარე იყო და შენც ნუღარ გასინჯავო.

ქალელმა მუზეფერამ ასე იცოდა თქმა: „ყველაფერი რომ თავის თავზე გამოცადო, ტყავი გაგძრებაო“. ქითაბში წერია, რომ იმფერი ცხოვრება მუა, წვიტები ილაპარიკებენ და უმფოსები მუუსმენენო, ჰოდა, აგერ არის ეს დროც, ეს ახალგაზრდებიც და შენი იყოს ყველაი. – შაღბანმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია და თავი სასელას საწინააღმდეგოდ მიატრიალა.

– ნუ ბრაზობ შაღბან, ეს ყოლიმფერი გამჩენმა დაწერა და სწორეც არიან ბაღნები, რა ქნან აბა? ძველგაზრდები დროს ჩამორჩენ, არ იციან ახლანდელი ცხოვრების წესი, უცპაი შეიცვალა ყოლიმფერი, ფეხი ვეღარ უუწყეს ამ ცხოვრებას.

მათი დრომოჭმული ტვინი ვეღარ ეგუება ახლანდელ ცხოვრებას, ახალგაზრდებმა მათი ახალი ტვინით უცპაი შეეგუენ, ისწავლეს და იმათმა რომ იციან და ჩვენ არა, აბა მეტი რაღა გზაა, თუ არ მუუსმინე.

ჩვენ სხვანაირი სიბრძნე მივცეთდა ბაღნებს, ახლა მეტი კაის ვერ ვიზამთ რამეს.

– მაგის წინააღმდეგი კი არ ვარ კაცო, მარა ახალგაზრდა ხარ, ბერგაზრდა თუ შუაგაზრდა, ყველაი, ვინც ჩვენ ქვეყანაში ცხოვრობს, ვალდებულია, პირველ რიგში მისი უყვარდეს, მისას ეცეს პატივი და მერე სხვა შეიყვაროს. თუ კაცს შენი ვათან-ბუჯერი არ გიყვარს, იმის იქით რა ჯანდაბა შიგიყვარდება, კაია თუ ყრალია, – შენი შენია. არ გიგიგონია:

„თუნდა იყოს ბლაყვი,
თუნდა ბრუციანი,
მაინცდა გიყვარდეს
შენი კუზიანი“.

– ჰოდა ესენი, შენ რომ ასე აქებ, რაც კაი გვაქ ქართველებს, ესეც აღარ უყვართ და კუზიანს რავა შეიყვარებენ.

შაღბანმა ისევ ჩაიქნია უიმედოდ ხელი.

– ყველაფერი კარგად იქნება ჩემო შაღბან, ამდონი საუკუნეა თუ ვარსებობთ, აწიც ვიარსებებთ. ჩვენი მფარველი გამჩენელი ღმერთია.

– ხო, მართალი ხარ! მხოლოდ ვიარსებებთ. – შაღბანმა ორაზროვნად შეხედა სასელას და მზერა ჰაერს მიაპყრო.

– ადე ახლა სასელ და ჩემთან წამოი. ამეღამ ფეხები რომ გავფშიკო, ერთი დამტირებელი მეყოლები მაინც. პანტის კაი ოტკა მაქ და ჩავცეცხლოთ, ბარსახანია კუქს არ უვარჯიშია.

მოსაღამოვდა. მოხუცებმა – შაღბანამ და სასელამ სოფლის სალაყბოზე მთელი დღე სჯა-ბაასში გაატარეს. ერთმანეთით გული მაინც ვერ იჯერეს და შაღბან ბაბუს ფიცრულში მოგიზგიზე ღუმელის ძირას მოიკალათეს.

შაღბანმა ისეთი სუფრა გააწყო, დიასახლისი რომ ვერ შეძლებდა. მრგვალი ხის სუფრაზე ცხელი მჭადი, მაწონი, ღრმა ბორანო, პანტა მსხლის არაყი, კაიმაღი და კიდევ

სხვა. მადის აღმძვრელი სოფლის ნობათი გულგაშლილი ელოდა ორი მოხუცის დაუფლებას. სასელამ პატარა ჭიქა არყით შეავსო, ფეხზე წამოდგა და ჩააბულბულა:

„აქ თუ კაცი ლექსს არ დაწერ,
სირცხვილი და ლაფია,
ჩვენზე თითო ასი წელი
მუსტაღი და ახია.

ჰოდა, აწი მაბულბულებს
შაღბან შენი არაყი,
ხის სუფრაზე გაწყობილი
გიშერასი მარაგი.

რამაც დღემდე მომიყვანა
ღრმა ბორანოს ქაფია,
სიტყვამ სიტყვა დაასავსა
შობა შაირ-კაფია“.

იჯდა ორი დახავსებული მთიელი და ერთმანეთს ცაიტნოტივით ჩართულ სიცოცხლეს ულამაზებდნენ. ერთმანეთი ისევ ჯეელნი ეგონათ და გაბედულად „ურტყამდნენ ყბაში“ პანტა მსხლის ოთხმოც გრადუსიან არაყს.

– ამ ჭიქით ჩემო სასელ, ჭკვას, ყურებს, თვალებს, ცხვირს, შუბლს და პირს გაუმარჯოს. ხომ გიგიგია ორი თვალი, ორი ყური და ერთი პირი იმიტომ აქ ადამიანს, რომ რასაც დეინახავს და გეიგონებს, იმის ნახევარი ილაპარიკოსო. ყური, რომ მოსმენილს შუუშვებს თავში და მერე ჭკვა რომ გადაარჩევს, უსარგებლოს ისევ გარეთ გუუშვებს და სასარგებლოს დეიტევს მისთვინ. ე, ამიტომ გუუმარჯოს ჭკვიან ჭკვას. ცხვირს იმიტომ, რომ უნდო თვალებს შუაში სინორივით ამეიხლიბა. შუბლს იმიტომ, რომ ყველას ატყობიებს ჩვენი სიბერის ამბავს.

– უუჰ, რა გემრიელად თქვი ჭო! გუუმარჯოს! – მოხუცმა ბიჭებმა ისევ შეავსეს ეგრეთ წოდებული „რომკა“.

– ამ ჭიქით ჩემო შაღბან, კრუჟინას (ზამბარას) გუუმარჯოს.

– მაი რაღაა ჭო?

– რაღაა და თუ დუუკვირდები, ყველამფერი ყველამფერს გავს. ადრე რომ ხდებოდა, ის ახლაც ხდება, მარა სხვანაირად. ცხოვრებაც ასეა, ადრე მიხტენა არ იყო და ტიტვლები იარებოდნენ ფოთლებმიფარებულები, მარა ახლა ხტებიან და მაინც ტიტველი დეიწყენ სიარული. ადრე პირველყოფილები ტანზე ათას უბედურებას იხატავდენ, ახლა ისევ დეიწყეს მაქფერები. ადრე ნიშალობა იყო, ახლა თანამედროვეობაო და ქორწილამდე უნდა გასინჯო ერთმანეთი თუ მიერგებიო. ჰოდა, ჩემო შაღბან, კრუჟინის ქვედა და ზედა რგოლი ერთმანეთს გავს, ერთ კრუგს გააკეთებს და იგივე მეორდება და თანდათან მიდის ზეით და ზეით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ირმა კეკელიძე

ჯახირა

ზაფხულია. საშინლად ცხელა. თბილისის ქუჩებში ადამიანები კანტი-კუნტად დადიოდნენ. ქალაქის მობინადრეთა უმრავლესობას დატოვებული ჰქონდა ზაფხულის თბილისური ცხელი ოხშივარი და ქვეყნის სხვადასხვა კუთხისთვის, ზღვისა თუ მთისთვის შეეფარებინათ თავი...

მთაწმინდაზე, პატარა თბილისურ ეზოში, ძველი ერთსართულიანი სახლის, რკინის ყავისფრად შეღებილი კარი გაიღო და ახალგაზრდა, ორმოც წლამდე მიღწეული, გემოვნებით, თეთრ, სიფრიფანა კაბაში გამოწყობილი, მაღალი, ლამაზი სახის სიმპათიური, ქერათმიანი ქალბატონი გამობრძანდა, რომელსაც ხელში ესპანური მარაო ეჭირა და მთელი ძალით სახეს ინიავებდა. ქალი უსიამოვნო სახით თავისთვის ლაპარაკობდა:

– რა საშინელებაა, ყარს აქაურობა! რა საშინელი სუნი დგას, პირდაპირ სუნთქვა აღარ შეიძლება, თანაც ამ პაპანაქება სიცხეში, – ქალს ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ყავისფერი კარების გვერდით, თეთრად შეღებილი, ძველი ხის კარები გაიღო და მაღალი, თმაგაბურძგნული, წვერებგაუპარსავი, ძველ, დახეულ ჯინსის შარვალში და ჭუჭყიან, გულზე ლაქებიან, თეთრ ზაფხულის პერანგში გამოწყობილი, ორმოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცი გამობლაყუნდა. კარები მიაჯახუნა, რიხიანად ჩაახველა და იქვე შუაგულ ეზოში მოურიდებლად გადააფურთხა. ამის შემხედვარე ქალმა ცხვირ-პირზე თეთრი ცხვირსახოცი აიფარა და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით დაიწყო ლაპარაკი:

– რა ხდება, რა საშინელებაა, სად გაიზარდე, სად დაიბადე, ვინ ხარ ასეთი ბინძური, საიდან მოხვედი, სად გიპოვნა ელენემ ან როგორ მოგაქირავა ბინა, როგორ შეგიშვა სახლში?! სახელიც როგორი შესაფერისი გაქვს, ამართლებ ნამდვილად!

ქალის ყვირილზე, ყავისფერი რკინის კარებიდან ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა, მისი მეუღლე გახლდათ, რომელმაც ქალბატონს დაწყნარება დაუწყო:

– დაწყნარდი, გულსუნდა, ნერვებს ნუღარ აიშლი, ხომ ხედავ, რომ არაფერი არ ესმის... ადამიანია თუ ცხოველი, ვერ გაიგებ!

– როგორ დავწყნარდე, კინაღამ თავზე დამაფურთხა, ისედაც ყარს აქაურობა და ნახეთ, ნაგავი სად დაუდია, პირდაპირ ჭიშკართან, თანაც ნახევარი ძირს დაუყრია. ეზოში ფეხის შემოდგმა მეზიზღება, – ყვირილით აგრძელებდა ლაპარაკს გულსუნდა.

– რა ჩვენდა ჭირად გააქირავა ელენემ ეს ბინა. რამდენჯერ ვთხოვე, მომყიდე, დამითმე შენი ბინა-მეთქი და არ დამთანხმდა. გოდერძისგან და ცისანასგან იმიტომ ვიყიდე ეს ოხერი ბინა, რომ ამ ერთ ოთახსაც ადვილად შევისყიდიდი და მთელი ეზო

მხოლოდ ჩვენი იქნებოდა. ამ ძველ სახლს დავანგრევდით და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შევიქმნიდით, – ლაპარაკი ნერვიულად განაგრძო ქმარმა.

თმაგაბურძგნული, მეზობლის ქუქყიანი მდგმური კი იდგა გარინდული და უტიფარი ღიმილით მიშტერებოდა გაცოფებულ და გაავებულ ცოლ-ქმარს.

– ან ეს სახელი ვინ დაარქვა. პირველად მესმის ადამიანს ჯახირა ერქვას, – აგრძელებდა გულსუნდა.

ამის გაგონებაზე ქუქყიანმა მეზობელმა თავი ვერ შეიკავა და შეეპასუხა:

– ვიცი, რომ არ მოგწონვართ და ვერ მიტანთ, მაგრამ ჩემმა სახელმა რა დაგიშავათ, რას უწუნებთ?

– ნეტავ კი მოსაწონი რა გაქვთ, ან შენ და ან შენს სახელს?! ჯახირა, ჯახირა!... ნამდვილად სიცოცხლე გაგვიჯახირე, შენც მოისპე და შენი სახელიც!... ფუი, შენს კაცობას, არც კი გრცხვენია, ზეზეულად ყარხარ!... არც თავმოყვარეობა გაქვს და არც სინდისი გაწუხებს, რომ გარშემო მყოფნი არ შეაწუხო, – ქაქანებდა გულსუნდა.

– თავი დაანებე, ნერვებს ნუღარ იშლი, ჩემო კარგო! ხომ ხედავ, რომ შუბლის კანი აქვს გასქელებული. პატრულიც მოვიყვანეთ, სანიტარული სამსახურიც, მაგრამ მასზე არაფერი არ ქრის! ცხოველია ნამდვილი! შეხედე, რა უტიფრად იღიმება, თითქოს მას არ ეხებოდეს, რაზედაც ვლაპარაკობთ, – ამშვიდებდა ცოლს ქმარი და ხელით ანიშნებდა, რომ ეზო დაეტოვებინათ და უსიამოვნო გარემოს გასცლოდნენ.

– წავიდეთ, ნუგზარ, წავიდეთ, დილის ულუფა მიღებული გაქვს, – უპასუხა გულსუნდამ და სწრაფი ნაბიჯებით დატოვეს ზაფხულის პაპანაქება სიცხეში მყრალი ოხშივარით გაჯერებული პატარა თბილისური ეზო... ჯახირა კი იდგა და ეშმაკური, მომღიმარი სახით უყურებდა ეზოს ძველი ქიშკრიდან ქუჩაში გასულ თეთრ, ლამაზ ზაფხულის სამოსში გამოწყობილ, მოქაქანე ცოლ-ქმარს, რომლებიც ქუჩაში მდგარ თეთრ „მერსედესში“ ჩასხდნენ და ავტომანქანით თავდაღმართს დაუყვნენ... „როგორც ჩანს თეთრი ფერი უყვართ“ – გაიფიქრა პირზე ღიმილშემშრალმა ჯახირამ და ნელი ნაბიჯებით თვითონაც დატოვა მთაწმინდაზე თბილისური პატარა ეზო...

***

ოცდასამი წლის წინათ, ოთხმოცდაათიან წლებში დატოვა სამშობლო. მძიმე ცხოვრება ჰქონდა ემიგრაციაშიც. წვალება, წამება, ჯახირი, შიმშილი, სიცივე, გაუსაძლისი შრომა... და მაინც უფლის წყალობა თან სდევდა. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, თვე თვეს, წელი წელს და ასე თუ ისე ცხოვრება უცხო ქვეყანაშიც მოიწყო... ახალდაქორწინებული იყო, როდესაც დატოვა მისი მშობლიური სახლი მთაწმინდაზე და თბილისიდან შორს, შოტლანდიაში გააგრძელა ცხოვრება. ისე გაიზარდა მშობლები არ ახსოვდა, მამის ბიძაშვილმა ელენემ გაზარდა, მამიდად ეკუთვნოდა, მაგრამ ბავშვობიდან დედა ელოს ეძახდა. ელენესაც მის გარდა არავინ ჰყავდა, არც ქმარი, არც შვილი. თითქოსდა ერთმანეთი საგანგებოდ იპოვესო... უნივერსიტეტიც დაამთავრა, კარგი განათლებაც მიიღო, ეკონომისტობა თვითონვე მოინდომა, მაგრამ რა?! ოთხმოცდაათიანი წლები, ქვეყანაში არეულ-დარეულობა... ოჯახი ახლად შექმნილი ჰქონდა, მისი კურსელი, მეზობელ ქუჩაზე მცხოვრები ლოლიტა შეირთო ცოლად. ელენეც კმაყოფილი იყო მისი არჩევანით... მაგრამ რა?! ყველაფერი

ხელსა და თვალს შუა აირია... აღარც სამსახური, აღარც არანაირი იმედი... ელენემ არც აცია და არც აცხელა, ერთ საღამოს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი საგულდაგულოდ გვერდით მოისვა და მისი აზრი მოახსენა:

– შვილებო, რატი, ლოლიტა!... გადაწყვეტილება მივიღე. გვერდით მეზობლებს, ცისანას და მის ქმარს, გოდერძის ჩვენი ბინის ორი ოთახის შეერთება უნდათ. დღეს დილით მესაუბრნენ... ორი ოთახის ყიდვა უნდათ.

– რას ამბობ, დედა ელო, სამოთახიანი ბინიდან ორი რომ მივყიდოთ, ჩვენ რაღა უნდა დაგვრჩეს? – განერვიულდა რატი.

– ჩვენ არა, შვილო, მე დამრჩება ერთი ოთახი თავისი პატარა ჰოლით, სამზარეულოთი და აბაზანით... მეყოფა, შვილო, მეტი რად მინდა?

– ჩვენ სახლიდან გვიშვებთ, ელო დედა? ჩვენ სად უნდა ვიცხოვროთ? – გაოცება ვერ დამალა ლოლიტამ.

– რას ამბობთ, შვილო, პირიქით, ყველაფერს თქვენი მომავლისთვის ვაკეთებ. ვერ ხედავთ, ქვეყანაში რა ხდება?!... როგორმე უცხოეთში უნდა წახვიდეთ, მუშაობა დაიწყოთ, ცხოვრება მოიწყოთ და მეც მომხედოთ და არ დამივიწყოთ, – ხმის კანკალით უპასუხა ელენემ.

– რა უცხოეთში, სად უნდა წავიდეთ, ვისთან უნდა წავიდეთ, ელო დედა, ეს რა გადაწყვეტილება მიგიღია, ჩვენ არაფერს გვეკითხები? ან შენ აქ როგორ უნდა დაგტოვოთ? – არ ჩერდებოდა რატი.

– მომისმინე, შვილო, მე შენი დედა ვარ, შენი ელო დედა! მე თქვენს გარდა არავინ მყავს... არ შემიძლია თქვენს წამებას და ჯახირს ვუყურო. თქვენ რომ რამე დაგემართოთ, ვერ გადავიტან. თუ გინდათ, რომ კარგად ვიყო და დიდხანს ვიცოცხლო, მე უნდა დამიჯეროთ. ამ ორი ოთახის გაყიდვით იქ იმუშავებთ, დანაზოგიც გექნებათ და მერე ისევ უკან დაბრუნდებით. ბინასაც იყიდით და ცხოვრებასაც მოიწყობთ... ერთადერთი იმედი მყავხარ, მამაჩემის და ბაბუაჩემის ოჯახიდან შენღა დაგვრჩი გვარის გამგრძელებელი, ნიკოლაძეების ჩვენი შტო შენ უნდა გააგრძელო. უნდა გამრავლდე და შვილებიც ისე უნდა გაზარდო, რომ ბაბუაჩემის, მამაჩემის და ჩემი ბიძაშვილის, მამაშენის სულებმა შვება იგრძნონ.

– ეს რა გეგმები დაგიწყვიათ, ელო დედა, – გაოცებულმა წამოიძახა ლოლიტამ.

– კი მაგრამ, სად უნდა წავიდეთ, ვისთან უნდა ვიცხოვროთ ან რა უნდა ვაკეთოთ? – ჩაეკითხა რატი.

– ყველაფერი მოგვარებული მაქვს. ჩემი მეგობრის, თამარის ვაჟი ორი წელია შოტლანდიაშია ოჯახთან ერთად. თანახმაა თავიდან მასთან იცხოვროთ. თავდაპირველად მოგეხმარებათ, შემდეგ კი თავადაც გაიკვლევთ გზას. ორივე საკმაოდ გონიერი ხართ. ინგლისურიც გეხერხებათ, – თავისას აგრძელებდა ელენე.

– რა ისეთი ინგლისური ვიცით, ისე საყველპურად თუ რაღაცას მოვახერხებთ, – ნირწამხდარმა უპასუხა რატიმ.

– ჰოდა, მით უმეტეს, ინგლისურსაც დახვეწთ, უკეთესად ისწავლით!... შოტლანდიაში ძალიან კარგი ბუნებაა, იქაურ სოფლებში ძალიან ლამაზი ცხენები ჰყავთ. შენ ხომ ცხენები ძალიან გიყვარს? – ღიმილით დაუყვავა ელომ რატის.

– მიყვარს, მაგრამ სანამ მე იქ ცხენებთან ურთიერთობა მექნება, მანამდე ბევრი

წყალი ჩაივლის, – მოკლედ უპასუხა რატიმ.

– ნუ წუწუნებ, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია არ შეშინდეთ. ახალგაზრდები ხართ, თქვენ თუ მოინდომებთ, მთას გადადგამთ! ჩემზე არ იდარდოთ. პირველ სართულზე ვცხოვრობ. აქ, თბილისურ ეზოში, რამე რომ გამიჭირდება, მეზობლები უყურადღებოდ არ დამტოვებენ, – თავისას აგრძელებდა ელენე.

– იქნებ მართალიც არის, ხომ ხედავ ქვეყანაში რა ხდება? რა გველის, არ ვიცით. არც სამსახური, არც იმედი, რა უნდა ვქნათ, როგორ უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება? – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლოლიტამ.

– შვილებო, მე თქვენთვის ვამბობ!... გარეთ რომ გადიხართ, სულ შიში მაქვს და გული მელევა, სანამ შინ დაბრუნდებით, სულ იმას ვფიქრობ, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროთ!... თუ გინდათ, რომ უდროოდ არ გამისკდეს გული, რასაც გეუბნებით, დამიჯერეთ! – თითქმის მუდარით წარმოსთქვა ელენემ, ფეხზე წამოდგა და სამზარეულოსკენ ჩქარი ნაბიჯებით და თავის ქნევით გავიდა...

***

უცხოეთში, ემიგრაციაში, სამშობლოს მონატრებაში თითქმის 14 წელი გავიდა... შოტლანდია, საოცრად ლამაზი მინდვრები, მთები, მწვანე ხასხასა ბალახით დაფარული ველები, საოცრად ფერადი და სხვადასხვა ჯიშის მინდვრის ყვავილებით მოხატულ-მოქარგული. მინდვრად გაშვებული ორი თეთრი, სამი წაბლისფერი და ერთი ულამაზესი შავი ფერის ცხენები ერთმანეთს დასდევდნენ ხან წინ და უკან და ხანაც უმისამართოდ, უთავბოლოდ დაჯირითობდნენ ლამაზი ბალახის ხალიჩაზე... მინდორზე შვილობილის გვერდით ბედნიერი სახით მდგარი, სტუმრად ჩამოსული ელენე აღტაცებას ვერ მალავდა:

– რა ლამაზია, რატი, აქაურობა. ვერ წარმომედგინა თუ საქართველოს გარდა ასეთი სილამაზის ნახვა სადმე შემეძლო... ასეთი სილამაზე სვანეთში მინახავს!... ჩემს ახალგაზრდობაში ხშირად მივდიოდი მეგობრებთან ერთად სვანეთში!...

– მართალი ხარ, ელო დედა, ხშირად მიფიქრია ამაზე, მართლაც ძალიან ჰგავს აქაური ბუნება სვანეთის ბუნებას, უბრალოდ აქ სვანური კოშკები არა გვაქვს, თორემ დანარჩენი: ბუნება, ყვავილები თავისი სურნელით და, რაც მთავარია, ამ ულამაზესი ცხენებით ძალიან ჰგავს ჩვენს ლამაზ ქვეყანას, განსაკუთრებით კი სვანეთს, – დაუდასტურა რატიმ.

– შვილო, შემოდგომაზე მაინც ჩამოდით, უკვე ორი წელია, რაც არ ჩამოსულხართ, რაც იქაურობა არ გინახავთ... კარგია კომპიუტერი, სკაიპი და ა. შ. ყველაფერი, მაგრამ მაინც უნდა ჩამოხვიდეთ ხოლმე, – გაღიმებული ეუბნებოდა ელენე რატის.

– აუცილებლად ჩამოვალთ, ხოლო როდესაც უკვე საშუალება გაგვიჩნდება, რომ ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებელი სახლი შევიძინოთ და პირობებიც მოვიწყოთ, საბოლოოდ დავბრუნდებით და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ... აბა, იმ ერთ ოთახში როგორ დავეტევით მე, ლოლიტა და ორი ბიჭი, შენთან ერთად, დედა ელო? ცოტაც მოითმინე და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ, – რატის საუბარი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მუქი წაბლისფერი ცხენი მიუახლოვდა და წინ დაუდგა. რატიმ თავზე ხელი გადაუსვა და საუბარი განაგრძო:

– ისე მივეჩვიე, რომ ვერ წარმომიდგენია ცხენების გარეშე ცხოვრება.

ელენე გაღიმებული სახით უყურებდა ცხენს და აღტაცებას ვერ მალავდა.

– რა ლამაზია, ბეწვიც როგორ უბრწყინავს, რა საოცარი ქმნილებაა.

რატი ღიმილით ეფერებოდა ცხენს და თან საუბრობდა:

– ვისაც ცხენი ჰყოლია, ყველამ იცის, რომ ის სამყაროში ღმერთის მიერ შექმნილი ყველაზე ლამაზი, ძლიერი, ჭკვიანი და სრულყოფილი არსებაა. დიდი, ფართოდ გადაშლილი გულ-მკერდით, ულამაზესი ბეწვით... მოსიყვარულე, მომთმენი და კეთილი გულის მქონეა... დაუზარელი, დაუღლელი, ენერგიული, ცეცხლოვანი, ძლიერი, შეკრული და მკვრივი სხეულით.

ელენე თავის ქნევით ეთანხმებოდა რატის:

– მართალი ხარ, ძალიან ლამაზები არიან!

– საოცარი ქმნილებაა, საოცრად კეთილი და ძლიერი, – ამაღლებული და ბედნიერი სახით იმეორებდა რატი ერთსა და იმავეს და ისე აგრძელებდა საუბარს...

საღამოს, როდესაც შოტლანდიის პატარა, პროვინციულ ქალაქში, ქართველი ემიგრანტების ოჯახი, საქართველოდან სტუმრად ჩამოსულ ოჯახის წევრთან ერთად პატარა, გემოვნებით მოწყობილ ვილაში სავახშმოდ გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ ელენემ საუბარი დაიწყო:

– რატი, ლოლიტა, შვილებო, კარგია, რომ თბილისშიც გინდათ სამომავლოდ სახლის ყიდვა, მაგრამ მე ჩემს პატარა ოთახს ვერანაირად ვერ შეველევი. იმდენად მიყვარს ჩემი პატარა თბილისური ეზო, რომ ვერანაირად სხვაგან ვერ ვიცხოვრებ!

– მაგაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, ელო დედა, თბილისში დაბრუნებამდე და სახლის ყიდვამდე ბევრი გვაკლია... ეს პატარა ვილაც, აქაურმა მთავრობამ მოგვცა საცხოვრებლად, როგორც ემიგრანტებს, – განაგრძო საუბარი ლოლიტამ.

რატის გაეღიმა და ელენეს ხელზე მოეფერა:

– ელო დედა, შენ ნურაფერზე ნუ იდარდებ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ მოისურვებ!... ხვალ კი ედინბურგში უნდა წაგიყვანო, წინ დიდი სიამოვნება და საინტერესო სანახაობა გელის...

ჩაფიქრებული ელენე ჩაის სვამდა და უხმოდ, გაღიმებული შესცქეროდა შვილობილს, თავის ბედნიერ ოჯახთან ერთად...

***

შუადღე იდგა. საოცრად ცხელოდა. თბილისთან ახლოს, სოფელ კრწანისში პაპანაქება სიცხე იყო. ჭუჭყიანმა ჯახირამ ლამაზი მწვანე ჭიშკარი გააღო და ეზოში ჩუმად შეაბიჯა. ლამაზი თეთრი სახლიდან ლოლიტამ გამოიხედა და ხმამაღლა გასძახა:

– მოხვედი, რატი?

– მოვედი, მოვედი, აბაზანა დაკავებული ხომ არ არის? – უპასუხა რატიმ.

– არა, არ არის, შედი, სასწრაფოდ დაიბანე! – მიაძახა ლოლიტამ...

საღამოს, სოფელ კრწანისში, ლამაზი თეთრი სახლის წინ, დიდი ნუშის ხის ჩრდილში, დაბალ მაგიდაზე სუფრა გაეშალათ და ოჯახის წევრები: ლოლიტა, რატი თავის ორ ვაჟთან და დედა ელოსთან ერთად ვახშამს შეექცეოდნენ.

– დღეს რომ არ მოვსულიყავი და არ დამებანა, ჭკუიდან შევიშლებოდი, მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, – ალაპარაკდა რატი.

– შვილო, ეს რა მოიგონე, თითქმის ერთი წელია ასეთ ტანჯვა-წამებაში ხარ!... გული მიკვდება, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი, როდემდე უნდა იწვალო და იჯახირო? – შეწუხებულმა წარმოსთქვა ელენემ.

– მანამ ვიჯახირებ, დედა ელო, სანამ შენს ბინას არ გამოვისყიდი და იმ აბეზარა, უსინდისო ცოლ-ქმარს თავის გზას არ გავუყენებ!... დიახაც, მანამ მერქმევა ჯახირა, სანამ ჩემსას არ ვიზამ და იმ გაჯახირებულ ნუგზარს და გულსუნდას თავის უზნეო ოცნებებს არ დავუნგრევ და ნაწილ-ნაწილ არ დავუმსხვრევ, – არ ჩერდებოდა რატი.

– ძალიან ძნელია, რატი, ძალიან ვნერვიულობ! შენც ხომ ცოდვა ხარ ასეთ პირობებში და ასეთ სუნსა და ჭუჭყში?!... სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი? – თავისთვის, უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ლოლიტამ...

– არა მგონია დიდხანს გასტანოს, ვატყობ, რომ მეტის ატანა აღარ შეუძლიათ! რამოდენიმე დღეში ჩემს ბავშვობის მეგობარს მივუგზავნი, როგორც ბინის მყიდველს, ისე, რომ ვერც მიხვდებიან, სინამდვილეში, რომ მე ვიქნები დაინტერესებული მათი საცხოვრებლის შესყიდვით.

– ასე ადვილად დათანხმდებიან? – ჩაეკითხა ლოლიტა.

– დათანხმდებიან!... ჭკუაზე აღარ არიან! ეზიზღებათ იქაურობა!... არადა, რა გეგმები ჰქონდათ? მთელი ეზო მუქთად ჩაიგდეს ხელში. ოცნებობდნენ კარგი „ბაითის“ აშენებაზე... რა დღეში ჩააგდეს დედა ელო. როგორ შეავიწროვეს. საწყალ ქალს სიცოცხლე გაუმწარეს. თავის სახლში ცხოვრების უფლებას აღარ აძლევდნენ, – არ ჩერდებოდა რატი.

– მაგას ნუღარ გამახსენებთ. ეზოში ფეხის გადადგმის უფლებას აღარ მაძლევდნენ. ჩვენი ფანჯრების წინ არ გაიაროო... რამოდენიმეჯერ ღამით ჩემი შეშინებაც სცადეს, კარებზე ბრახუნს ამიტეხავდნენ და შემდეგ იმალებოდნენ. სახლი რომ გამიტეხეს და გამიქურდეს, პოლიცია ჩამაცივდა, გინდა თუ არა გვითხარი, ეჭვი ვისზე გაქვსო, მაგრამ ვერ ვუთხარი, მომერიდა ტყუილად ცოდვა არ ავიკიდო-მეთქი, არადა ნუგზარის გარდა მაგის გამკეთებელი არავინ იყო!... ვის რაში აინტერესებდა ჩემი ძველმანები? ესეც ჩემს შესაშინებლად გააკეთეს, – აღელვებული ჰყვებოდა ელენე.

– ალბათ, ეჭვიც არ მეპარება, – დაეთანხმა რატი.

– ჩვენს გვერდით ეზოში რომ ნატო ცხოვრობდა, იმან მითხრა, რომ ნუგზარი ვიცანი, ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდაო, რამოდენიმე წლის წინ ყაჩაღობისთვის იხდიდა სასჯელსო, – საუბარი განაგრძო ელენემ.

– მეზობლები ვერ ხვდებიან, რომ შენ ხარ? ვერ გცნობენ? – სიცილით შეეკითხა ლოლიტა რატის.

– ოცდასამი წლის წინ ვინც ცხოვრობდა უბანში, თითქმის აღარავინ აღარ ცხოვრობს და რომც ცხოვრობდეს, ასეთი იმიჯით მე თვითონ ვერ ვცნობ ჩემს თავს და ისინი რას მიცნობენ?! კარგით, დაწყნარდით!... მთავარია, იძულებული გავხადოთ, რომ ბინის გაყიდვა გადაწყვიტონ და დედა ელოს თავის ოთახები უკან დაუბრუნდეს... თვითონ ბინის წართმევას უპირებდნენ საწყალ ქალს, მის ერთ ოთახში ცხოვრების უფლებასაც არ აძლევდნენ... ისეთი გამწარებულები არიან, რომ დედა ელოს ოთახებს

კი არა, მთელს ბინასაც სიამოვნებით გაყიდიან... ამ საღამოს აქ დავრჩები, ცოტას დავისვენებ, ხვალ დილიდან კი ისევ ჯახირას როლის შესრულებას გავაგრძელებ, – საუბრობდა ჯახირა და თან ვახშამს მადიანად მიირთმევდა...

***

ზაფხული გავიდა. ლამაზი შემოდგომა დადგა. თბილისთან ახლოს, სოფელ კრწანისში მინდვრები მწვანედ ბიბინებდა. იალღუჯას მოშიშვლებული, მთელს ჰორიზონტზე გადაჭიმული მთა მედიდურად გადმოჰყურებდა სოფელს. უცნაური თვისება აქვთ კრწანისის ველებს, შემოდგომაც და ზამთარიც მწვანედ ბიბინებს, სულ მწვანეა იქაურობა...

დიდ მინდორზე ორ თეთრ, რამოდენიმე ნაცრისფერ და წაბლისფერ ცხენებზე შემომჯდარი სოფლის ბიჭები თავის რაშებს ამაყად დააჭენებდნენ. იქვე მდგარი რატი სიამოვნებით უყურებდა მათ და მის გვერდით მდგომ დედობილს ესაუბრებოდა:

– ხომ მოგწონს, დედა ელო, აქაურობა? მე ძალიან მომწონს! ამ ცხენებიდან ორი ჩემია, იაფად ვიყიდე... მეტის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ფული არ მეყო...

– რა ფული გეყოფოდა, შვილო, ამდენი წლების დანაზოგი სულ იმ ოხერ გულსუნდას და ნუგზარს მიეცი, ჩემი ბინის გამოსყიდვისთვის, – უპასუხა ელენემ.

– ჰოდა, გამოვისყიდე კიდეც, მთელი მათი საცხოვრებელი დამითმეს, მათი ბოროტი ოცნებებიც ფუჭად გაიფანტა ჰაერში... მე კი აქ სიამოვნებით ვიცხოვრებ!... – ბედნიერი სახით საუბრობდა რატი.

– აქაურობაც და ჩემი სახლიც მთაწმინდაზე შენი და შენი შვილებისაა, შვილო, ხომ ხედავ, უკვე მოვხუცდი, თან ხომ არ წავიყოლებ იმქვეყნად, თქვენს მეტი ვინ გამაჩნია?! ჩვენი გვარი, შენმა შვილებმა უნდა გააგრძელონ, – ღიმილით მიმართა ელენემ რატის.

– შენ ჩვენთან ერთად დიდხანს უნდა იყო, დედა ელო, მთაწმინდაზეც და ამ სოფელშიც, კრწანისშიც, – უთხრა რატიმ დედობილს და მინდორზე მოჯირითე ცხენებს გააყოლა თვალი... შემდეგ თავისთვის განაგრძო ლაპარაკი:

– ვისაც ცხენი ჰყოლია, დამეთანხმება, რომ ის ღმერთის მიერ შექმნილი ლამაზი, ძლიერი და ჭკვიანი არსებაა!... დიდი, გადაშლილი გულ-მკერდით, მბზინავი ბეწვით და შეკრული, მკვრივი სხეულით... მოსიყვარულე, დაუღლელი, დაუზარელი, მომთმენი, ერთგული და ცეცხლოვანი ქმნილება...

კრწანისის ველზე შემოდგომის თბილი მზიანი ამინდი იდგა. ცხენებზე შემომჯდარი სოფლის ახალგაზრდები თავის ლამაზ და ძლიერ ქმნილებებს დიდ გადაჭიმულ მწვანე ველზე წინ და უკან უმისამართოდ დააჭენებდნენ...

ნანა მომცელიძე

შენ გადარჩები!

ნისლი ჩამოწვა. თვალზე ლიბრი გადამეკრა. არსად ჩანდა მზის პაწაწინა სხივიც კი. მხოლოდ ცას ვხედავდი ხანდახან. აქეთ-იქეთ მიმოვიხედე. არაფერი ჩანდა. სითეთრე გამეფებულიყო ყველგან.

– ღმერთო, სად ვარ? – ჩემდაუნებურად აღმომხდა. ტკივილი ვიგრძენი. გული მტკიოდა ისე,თითქოს მკერდიდან მაგლეჯდნენ. გაუგონარ ტკივილს ვგრძნობდი. მხოლოდ სადღაც შორიდან იდუმალი ხმა ჩამესმოდა: – ნუ გეშინია, შენ გადარჩები!

მე და სოფოს სკოლის მერხიდან გვიყვარდა ერთმანეთი.თხელი, კაფანდარა გოგო იყო. ცქრიალა და მოუსვენარი. ლამაზი თმა ქონდა, სქელი, დავარდნილი წაბლისფერი თმა.მიყვარდა მისი თმის მოფერება.დავჯდებოდი ხოლმე მის უკან მერხზე და თმაში ხელებს ვუფათურებდი. მერე თავში წიგნი მომხვდებოდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ არ მივხვდი, რომ სოფო მიყვარდა. მიყვარდა მთელი არსებით. მის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო. სიზმარშიც კი მის სახეს ვხედავდი. მხოლოდ მისი სურნელი დამყვებოდა.

სკოლა დავამთავრეთ. ერთად ჩავაბარეთ უნივერსიტეტში. არქიტექტორობა გვინდოდა ორივეს. ბოლოსდაბოლოს დადგა ის დღეც, როცა გადავწყვიტე, რომ სოფო ცოლად უნდა მომეყვანა.მივხვდი, მის გარეშე ვეღარ გავძლებდი.ლექციების მერე ნარიყალაზე ავედით.იქედან გადმოვხედეთ თბილისს.პირველად იქ ვაკოცე სოფოს მთელი გრძნობით. მაშინ მივხვდი,რომ ჩემს მკლავებში მგრძნობიარე და ვნებიანი ქალი მყავდა.ის ზღვის ტალღასავით შემოვარდა ჩემში, ამაღელვა, გამაგიჟა და უცებ უკან დაიხია.ისევ მოემზადა და მოასკდა ჩემს გულს, რომელიც უკვე ამოვარდნაზე მქონდა.უფრო გაგიჟებით შემიყვარდა ჩემი სოფო.ერთ კვირაში ქორწილი გადავიხადეთ. ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა. ორი ლამაზი შვილი მაჩუქა სოფომ.ცხოვრება ჩვეული გზით მიდიოდა. ვცდილობდი არაფერი მომეკლო მათთვის. სოფოც მუშაობდა. გვქონდა ბედნიერი ოჯახი. მხოლოდ ერთი რამ გვიშლიდა ხელს და ამ ერთმა რამემ გადაწყვიტა ბევრი რამ. ვერ ვიტყვი სოფო ჩემს მიმართ სითბოს და სიყვარულს არ იჩენდა მეთქი, მაგრამ ყოველთვის ქონდა რაღაც პრობლემა: ხან ბავშვებიო,ხან სამსახურიო და ნელ-ნელა ცოტავდებოდა ყურადღების და სიყვარულის წუთები. ნელ-ნელა იცრიცებოდა ვნება.ბევრჯერ ჩამძინებია სოფოს ლოდინში, რომელიც ხან რეცხავდა, ხან სადილს ამზადებდა, ხან ბავშვებს აძინებდა.

- დავიღალე გესმის? – მოულოდნელად ვიყვირე. გაოცებულმა შემომხედა სოფომ. გაურკვეველი თვალებით მიყურებდა და მისი გამოხედვა მეკითხებოდა – რა დავაშავე?

არ მახსოვს როგორ ჩავაწყვე ჩემი ნივთები და როგორ წამოვედი სახლიდან.მახსოვს, როგორ შევირბინე სუპერმარკეტში, როგორ დავავლე ხელი ლიტრიან არყის ბოთლს, როგორ ხელის კანკალით გადავიხადე თანხა და სულმოუთქმელად როგორ გამოვცალე.

რომ გამოვფხიზლდი ლიკას გვერდით ვიწექი. ვეფერებოდი შიშველ სხეულზე და ვერ ვძღებოდი. ვერ ვძღებოდი სიყვარულით და ვნებით. ბედნიერებისგან თავბრუ მეხვეოდა. იმ წუთას ლიკას გარდა არავინ მიყვარდა.მე ყველაზე თავისუფალი ვიყავი იმ დროს.

ჩვენს კურსზე ლიკასნაირი ლამაზი გოგო არ იყო.თითქმის შვიდი წელი არ გვენახა ერთმანეთი, მაგრამ საერთოდ არ იყო შეცვლილი. თვალწინ დამიდგა ჩემი და ლიკას პირველი ღამე. როგორ ვუყვარდი. სოფო რომ მოვიყვანე ცოლად თავი მოიწამლა.არადა მე მას არაფერს შევპირებივარ. მას თავად უნდოდა, რომ მე ვყოფილიყავი მისთვის პირველი მამაკაცი.მე კი..... მე ხომ სოფო მიყვარდა, ჩემი სოფო, ჩემი სოფოოოო!

არა, მე აღარ დავბრუნდები სახლში.გადაწყვეტილება მიღებული მქონდა.ლიკა ჩემი ქალი იყო და მიყვარდა.ვეღარ მივიღებდი სოფოს.ვეღარ აღმაგზნებდა მისი ვერაფერი.ჩავქრი და გავუფერულდი თითქოს მის მიმართ.მივხვდი- მე ლიკა მჭირდებოდა.

სიგიჟემდე შემიყვარდა ლიკა.დავდიოდით ხელიხელჩაკიდებულები ხან სად და ხან სად.ყოველი წუთი ჩემთვის უნდოდა დღეც და ღამეც. ქვეყანა ჩემი მეგონა.აღარც მუშაობა მინდოდა, აღარც ჭამა.მხოლოდ ლიკას მოფერება მჭირდებოდა. მისი ნაზი ტუჩების შეხება. მისი მარმარილოსავით ტანი. მისი ციმციმა თვალები..... თვალები, რომელიც სულ მალე სამუდამოდ დაიხუჭა.

ღამის სიჩუმეში ტირილის ხმამ გამაღვიძა. ლიკა ტიროდა.გავგიჟდი..... რა გჭირს ჩემო სიყვარულო? – ვუკოცნიდი თვალებს, სახეს, მთელ სხეულს.კანკალებდა. მერე მოეშვა მისი სხეული. მხოლოდ თვალებით გადმომხედა ერთხელ. მკლავები ჩამოუვარდა და მოწყვეტით დაეშვა საწოლზე. თავი ვერ შევიკავე და მეც ზედ გადავემხე მის უსულო სხეულს.

გიჟივით წამოვვარდი ლოგინიდან. შუქი ავანთე და..... ლიკას პირი ოდნავ ღია დარჩენოდა. თითქოს იღიმებოდა. თვალებიც ღია ქონდა. მე მიყურებდა მისი თვალები, წყენით მიყურებდა. მეუბნებოდა, რატომ არ მიშველეო.

სისხლის გათეთრება ქონია ლიკას.არავინ იცოდა მის გარდა. წარმოგიდგენიათ, იცოდა რაც ელოდა და მაინც არავინ შეუწუხებია. ამხელა ტკივილს დაატარებდა და ღიმილი არ მოშორებია სახეზე. მომიკვდა ჩემი ლიკა და გაიყოლა ჩემი სიყვარული. ჩემი სიყვარული მოკვდა.

სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. არყის ბოთლი გვერდით მედგა და პირდაპირ ბოთლიდან ვსვამდი გულის გაჩერებამდე, სულმოუთქმელად. კალენდარს არ ვუყურებდი. არაფერს ვუსმენდი.არც ვიცი რამდენი დღე გავიდა ლიკას გარდაცვალებიდან.ღამით ვყიდულობდი სიგარეტს და არაყს. კიდევ მოვიყუდე არყის ბოთლი.თვალები მიბნელდებოდა.გული ლოდივით მქონდა. კაკუნის ხმა გავიგე.არ მინდოდა გაღება მაგრამ არ ჩერდებოდა ხმა.ძლივს მივედი კარამდე. მახსოვს, როგორ გავაღე კარი. გავაღე და..... სოფო დავინახე, თვალცრემლიანი სოფო. თუ ლიკა..... სახეები ერთმანეთში ამერია. მეტი არაფერი მახსოვს.

ნელ-ნელა ბურუსიდან გამოვედი.არც ნისლი ჩანდა. აღარც ცას ვხედავდი. აღარც სითეთრეს. ჩემს თავთან სოფო იდგა, მეფერებოდა და ჩურჩულებდა: – ნუ გეშინია ჩემო სიყვარულო, შენ გადარჩები!

შინდისფერი წერტილი

თვალი გავახილე, სითეთრემ შემომანათა. ჩრდილსაც ვერსად ვხედავდი.სხეული დამძიმებული მქონდა.სხეულთან ერთად სულიც. თითქოს ყინულის ლოდი ვიყავი.რამ გამომფიტა ნეტავ?ან ამ სითეთრეში რა მინდა? გამახსენდა – შინდისფერი ანუ ბორდოსფერი მიყვარდა: ფარდებიც, გადასაფარებლებიც, თეთრეულიც. კი, კი, მახსოვს, ნამდვილად ასე იყო.სითეთრეს ვერ ვიტანდი, საავადმყოფოს ფერს მაგონებდა და იმიტომ. ზემოთ ავიხედე. სარკმელი დავინახე გისოსებით. კარი ვერ ვიპოვე ვერსად. ღმერთო მიშველე!-ნუთუ რამე დამემართა? სად ვარ? საწოლზე წამოვჯექი.თვალი მოვავლე ოთახს. ერთადერთი საწოლი იდგა, სადაც მე ვიჯექი. ყველაფერი თეთრი იყო. ჯერ ვიფიქრე, თვალზე ლიბრი გადამეკრა მეთქი. გონება დავძაბე, სული ამიფორიაქდა, თითქოს სხეულის გაგლეჯას ლამობდა. თითქოს თავი დავკარგე და ჩემს "მეს" ვეძებდი. გონებაში სიტყვების კორიანტელი ქარიშხალივით დაქროდა. მინდოდა მეყვირა:

"არ მინდა ბორკილი, ჩაკეტვა არ მინდა.
მინდა, რომ ჩემი "მე" არ იყოს ნაჭუჭში.
ცხოვრება ისედაც უაზროდ გავიდა,
გამიშვით,ამ ჩემს სულს არ უნდა მარწუხში.
ცხოვრება ისედაც უაზროდ გავიდა,
არ მინდა ვიქექო უაზრო წარსულში.
არ მინდა ბორკილი, ჩაკეტვა არ მინდა
მინდა, რომ ჩემი "მე" არ იყოს ნაჭუჭში".

ასე მეგონა ბოლო ხმაზე ვყვიროდი. კარის გაღების ხმა გავიგე.თეთრი ადამიანები შემოვდნენ, არა თეთრხალათიანები. ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ ვპასუხობდი:"ეს უბედური ისევ უაზრო თვალებით იყურება, გაუკეთე ნემსი, დაიძინოს იქნებ დამშვიდდეს"- არა, მე მშვიდად ვარ!- მეგონა ვლაპარაკობდი. მე არაფერი მჭირს! – რატომ ვარ უბედური? – რა მოხდა? ისევ წამოვწექი. თვალი გისოსებიან სარკმელს გავაყოლე და გამიშტერდა.შინდისფერი წერტილი დავინახე, რომელიც ნელ-ნელა გაიზარდა და ჩემს სახლში აღმოვჩნდი.

ვარაზისხევით მივუყვებოდი უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას. ლიმნისფერი კაბა მეცვა. ძალიან მიხდებოდა. ლამაზი მეთქმოდა. გრძელი, ტალღოვანი თმა, წვრილი წელი. სახეზეც არა მიშავდა. სულ რაღაც 18 წლის ვიყავი. თავში მიქროდა. ნელი ნაბიჯების ხმა ვიგრძენი. ვიღაც მიახლოვდებოდა. ხელი შემეხო წელზე და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. – ოხ, შენ ხარ? – გამიკვირდა მისი დანახვა. – კი მე ვარ, რატომ გაგიკ ვირდა, ხომ იცი, შენი აჩრდილი ვარ. ხომ იცი, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია? – კარგი რა! – ხელი გავაშვებინე.-ვერ შეგიყვარებ.ხომ გითხარი, რომ შენთან ვერ ვიცხოვრებ. დამანებე თავი, რას დამდევ? – არ შემიძლია, – გესმის? – სადაც წავალ შენი სურნელი თან დამდევს.შენი სახე მელანდება.ჩვენი პირველი ღამე მოსვენებას არ მაძლევს. შენ ჩემი სულის ნაწილად იქეცი. ნუთუ ვერ გრძნობ ამას? იქვე სკამზე ჩამოვსხედით, ამაღლებულ ადგილას. მდუმარედ გადავყურებდით ზოოპარკს.დუმილი მან დაარღვია:-გახსოვს, როგორ გეხვეწებოდი ცოლად გამომყოლოდი? – უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი დღეს. იმ ღამეს არც კი გამომაცილე.ღამის 2 საათზე სახლიდან დამითხოვე და მას შემდეგ აღარ მიკარებ. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რატომ? გაჩუმდა. დუმილი მე დავარღვიე, – უნდა წავიდე, მეჩქარება.

ხელი ჩამოვართვი ცივად და უკანმოუხედავად გავიქეცი. გავრბოდი და ვგრძნობდი, როგორ მწვავდამისი ორი თვალი. იმ დღის მერე აღარ მინახავს. აფხაზეთის ომში წავიდა. როცა მითხრეს რამოდენიმე დღეში გაგრასთან დაიღუპაო,იმ დღეს შევიტყვე, რომ მისგან შვილი მეყოლებოდა.

როგორც იქნა უნივერსიტეტი დვამთავრე.ჩემი პატარა გოგო ნელ -ნელა იზრდებოდა.. ძალიან გავდა მამას.ეშხიანი და ლამაზი იყო მასავით. მე სკოლაში ვმუშაობდი და ასე გადიოდა დრო.ცოტა დანაზოგი მოვაგროვე. მინდოდა სალონი გამეხსნა

და ჩემი ერთადერთი შვილისთვის უზრუნველი ცხოვრება შემექმნა. ფართი ვიქირავე, ნელ-ნელა ისეთი სილამაზის სალონი გავაკეთე, რომ სულ მოკლე დროში დიდი პოპულარობით ვსარგებლობდი. სკოლიდან წამოვედი. ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. თითქოს რაღაც გარდატეხა მოხდა ჩემში. როგორც ჩემი შვილი იპრანჭებოდა, ისე მინდოდა გაპრანჭვა მეც. მივხვდი, რომ სიყვარული მჭირდებოდა. მამაკაცის ხელი, რომელიც, მთელი ცხოვრება მაკლდა. ჩემთან სალონში ერთი სიმპათიური მამაკაცი შემოდიოდა ხოლმე. პირველივე დღეს ჩემიყურადღება მიიპყრო მისმა ათლეტურმა აღნაგობამ და ხალასმა იუმორმა. ვგრძნობდი, რომ არც ის იყო გულგრილი ჩემს მიმართ. რესტორანში დამპატიჟა. გული პატარა გოგოსავით მიცემდა. მივხვდი, ის მე მჭირდებოდა. მიუხედვად იმისა, რომ 7 წლით პატარა იყო ჩემზე, მაინც გადავწყვიტე მასთან ურთიერთობა. არ მაინტერესებდა ვინ იყო. არ მაინტერესებდა რა ქონდა. შემიყვარდა და მორჩა. ერთ კვირაში ხელი მოვაწერეთ. ჩემი შვილიც ნორმალურად შეხვდა ამ ამბვს. შევქმენი ბედნიერი ოჯახი. მართალია მხოლოდ მე ვმუშაობდი, მაგრამ ჩემს13 წლის ქალიშვილს და ქმარს არაფერს ვაკლებდი. ასე გავიდა 8 თვე. შემდეგ სიცივე ვიგრძენი, ხმამაღალი ტონიც შეეპარა მის ხმას. სახლში რომ ავდიოდი, რამდენჯერ მისი დბნეული თვალები შემომფეთებია. მიკვირდა,ბოლოს საძინებლიდანაც აღარ გამოდიოდა. იწვა ჩემს შინდისფერფარდებიან, შინდისფერგადასაფარებლიან და შინდისფერთეთრეულიან ოთახში. იწვა და მოვალეობის მოხდის მიზნით მეფერებოდა. ჯერ კვირაში ერთხელ, მერე თვეში ერთხელ და ერთხელ..... სალონში ვიყავი წასული. ჩემი ამხანაგი მოვარდა, მიშველე, ჩემს ბიჭს უბედურება შეემთხვა და სასწრაფოდ 2000 დოლარი მჭირდებაო. ფული არ მქონდა ამდენი. ვუთხარი, სახლში გავიქცევი, მანქანის საბუთებს ავიღებ, დავალომბარდებ და მოგცემ მეთქი. სასწრაფოდ სახლში გავიქეცი და..... მახსოვს როგორ გავაღე კარი. როგორ წავედი საძინებლისკენ. კარი შევაღე, ფეხქვეშ ყველაფერი გმომეცალა. ცა გაიხსნა და მეხი დამეცა. ჩემს შინდისფერ თეთრეულში ჩემი გოგო და ქმარი ერთად იწვნენ. გაოგნებული შევყურებდი ორივეს. ვითომც არაფერი, – გამომიცხადეს ერთმანეთი გვიყვარს, ბავშვსაც ველოდებითო.. მეტი აღარაფერი მახსოვს.... ნელ-ნელა გავახილე თვალი. ისევ დავინახე გისოსებიანი სარკმელი, მაგრამ შინდისფერი წერტილი გამქრალიყო.

სიყვარულის ყულაბა

მზის სხივი ელამუნებოდა ზღვას. ლიცლიცებდა წყლის ზედაპირზე. ქვიშა ელავდა ოქროსფრად. იდუმალი იყო ნაპირი. უზარმაზარი ქვა იდო ნაპირზე, ქვა, რომელსაც ადამიანი სიცოცხლეში ზემოდან ექცევა, გარდაცვალების შემდეგ კი მის ქვეშ. იდუმალი იყო ქვაც. წყვილი იჯდა ქვაზე. ქალს მამაკაცის მხარზე თავი ჩამოედო. მამაკაცს კი ისე ახლოს ყავდა გულთან, ისე

ახლოს, რომ ერთი მთლიანობა გეგონებოდათ. ზღვა ლიცლიცებდა, მზე ჩადიოდა, მაგრამ სიცოცხლე დუღდა. გული ცოცხლობდა, ორი გული. – გიყვარვარ? – დიდი თაფლისფერი თვალებით ახედა ქალმა კაცს, თვალებით კითხა, გულით უხმოდ. იმ დროს ორი გულის საუბარი ისმოდა. – მიყვარხარ, ძალიან

მიყვარხარ! – იყო გულის პასუხი. – იცი? ჩემი გული ნელ-ნელა ივსებოდა სიყვარულით, სითბოთი, მონატრებით. ივსებოდა, როგორც ყულაბა და როცა გადმოსვლა დაიწყო, როცა ვერსად დაეტია, შენ ჩემი გახდი, ჩემი, მხოლოდ ჩემი. თაფლისფერი თვალებით ისევ ახედა ქალმა. – რამდენჯერ ავსილა შენი ყულაბა? – ცოტა ნაღვლიანი იყო თვალები ამ დროს. – ბევრჯერ, ბევრჯერ ავსილა და იცი რატომ? – მე ცხოვრება მიყვარს, სილამაზეს ვხედავ,სითბო მიზიდავს და მივყვები მზის სხივს, რომელიც ცაში ამაფრენს, ფრთებს შემასხამს, ღრუბლებში მანარნარებს და შარბათს შემასმევს,ტკბილს, თაფლივით ტკბილს. – მთელი ცხოვრება მასე ხარ? – დაღონდა გული. – ახლა აღარ და იცი რატომ? – ადამიანის ცხოვრება ოთხი ფაზაა. დაბადება, ახალგაზრდობა, შუა ასაკი და შემოდგომა.ყველაზე სავსე შემოდგომითაა სიყვარულის ყულაბა.მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას აგროვებს, ოღონდ უკვე საცერში გატარებულს, სუფთას, მარგალიტებივით ნარჩევს. ასე ავსებს გულის ყულაბას და ცხოვრების შემოდგომამდე ელოდება აპრილის ერთ ამოფეთქვას, იასამნის სურნელს, ატმის ყვავილობას, სითბოს, სიყვარულს და ერთგულებას. – გესმის ჩემი? – ერთგულებას. – მესმის! – ჩურჩულებს ქალი, მაგრამ ჩუმად, უხმოდ. ერთი მთლიანობა ხდება ორი სხეული. ორი გული საუბრობს მხოლოდ. – იცი? – ამბობს ქალი. – მე არასოდეს ამვსებია გულის ყულაბა. არასოდეს მიგრძვნია ის, რაც შენ თქვი. მხოლოდ ახლა, ახლა ვგრძნობ ამას. მინდა უსასრულო იყოს ეს ყველაფერი. მზის ჩასვლა არ მინდა. ამოსვლა მინდა მზის. განათება მინდა, გათბობა, ნათელი.თურმე ისედაც ბნელში მიცხოვრია, უკუნეთში. ბოლო სიტყვები ვეღარ თქვა ქალმა, მამაკაცის ტუჩებმა ჩაახშო მისი ხმა. სუნთქვა შეეკრა ქალს, ტანში უდიდესი სითბო ჩაეღვარა, უკიდეგანო და უსაზღვრო სითბო. კიდევ უფრო ერთი მთლიანობა გახდა მათი სხეულები.მზე კი ჩადიოდა. ჩადიოდა, მაგრამ იმედს იტოვებდა, რომ ისევ გაათბობდა დედამიწას,ისევ გაათბობდა ორ გულს. წამით ამოისუნთქა ქალმა. ქვემოდან შესცინა კაცს: – როგორი უძირო და მრავლისმთქმელი თვალები გაქვს! – ჩემი გულის ყულაბაც აავსე – აღმოხდა ბაგეს და მიეცა თავდავიწყებას." სიყვარულს გონება თავისკენ მიყავს" ჩასჩურჩულა კაცმა ქალს, ჩაეკრა მის აკანკალებულ სხეულს და მზეც ჩავიდა. გათენდა. მზის სხივმა გაანათა ზღვის სანაპირო. აღარსად ჩანდა ორი გული, ორი ადამიანი, რადგან ისინი ერთ მთლიანობად ქცეულიყო და ტალღებში ლივლივებდა, ბობოქარ ტალღებში.

გიორგი კეკელიძე

სხვა-გურული-დღიურები

ორიათასიანების დასაწყისია. სტუდენტობის პროლოგი. თვეში ერთხელ ვაგზლის მოედანზე ავტობუსს ვხვდები და მძღოლს „გამოტანებულს“ ვართმევ: ჭადი, მოხარშული ქათამი და 30 ლარი. ჭადი, შებოლილი ყველი და 40 ლარი. კიდევ – დედაჩემის გრძელი წერილები, სადაც დიდწილად ჩემი ლანძღვაა, რომ უვარგისი გამოვდექი – აბა, ამდენი ხანი ტელევიზორში რაფერ არ ვჩანავარ ამფერი ნიჭიერი ბაღანა. ან ვხალტურობ, ანდა აფერი ნიჭიერი თურმე მე არ ვყოფილვარ – ეს უკანასკნელი, ეტყობა, „აგდების“ თავისებური ხერხი იყო.

ჰოდა, ეს დროა მეთქი, ცუდი დრო, და თან შეყვარებული დამშორდა. დეპრესიების და ვალების ნაკლებობას მანამდეც არ ვუჩიოდი, მაგრამ ორივე გაორმაგდა. პირველი „მე“ მაიძულებს, დავწვე, საბანი წავიფარო და ვიფიქრო, რომ ყველაზე ბანძი ვარ. პირველი „მე“ დეპრესიების პარტიას უჭერს მხარს. მეორე მეუბნება, რომ რასაც დავპირდი, ის აუცილებლად, აუცილებლად უნდა ავასრულო. მეორე ვალების პარტიის გულშემატკივარია. და ვისესხე ასი ლარი. და დინამოზე ვიყიდე მობილური ტელეფონი, სონი-ერიკსონ რაღაცა. და გავუგზავნე. მოვიდა ვალის გადახდის დრო. ვისთან არ მივედი, არავის ჰქონდა. არც სამსახურის კონტურები ჩანდა და არაფერი. ჩემებს იმ ოცდაათი ლარის გამოგზავნაც უჭირთ და ახლა შევუთვალო, რომ ასი მინდა, არ გამოდის. უნდა ჩავიდე და ავუხსნა. ეგებ იქ ვისესხოთ სადმე ან რამე. დავიმატე ვალად კიდევ 11 ლარი, გზის ფული, და წავედი.

ცხოვრებაში ბევრი დრამატული სცენა ყოფილა. უამრავი. მაგრამ ეს მთავართაგანია. დედაჩემმა ტირილი დაიწყო. მამაჩემმა უხმოდ შემოდო კაჭკაზე უკანასკნელი თხილი და ჩასაბარებლად წაიღო. ღამით ქვევით დავრჩი. ოდნავ ციოდა. გარეთ – გაფითრებული მთვარე და რაღაც მეჩხერი ქარი, ხან რომ დაიწუვლებს და ხან დუმს. ზევით დედაჩემი ამბობდა, რომ დაიქცა ოჯახი. მამაჩემი არაფერს ამბობდა. მეგონა, გული გამისკდებოდა. უცებ შუქი მოვიდა. ვერ ვიძინებდი. რაღაც ხომ უნდა მექნა და ძველი მაგნიტოფონი ჩავრთე. კასეტაც ინერციით ჩავდე. სულ ოდნავ, თუ მოინდომებდი – შეუმჩნევლადაც, წელავდა. □□□□. I □ავე □ □რეამ. არ ვიტყუები და არც ვაპოეტურებ ამბავს – მართლა ეს ჩაირთო, ყველაფერს გეფიცებით. სიტყვები ნორმალურად არც მესმოდა, უბრალოდ ვიჯექი და ვტიროდი. ვტიროდი და თან საიდანღაც ვგრძნობდი ახალ ძალას, რომლითაც ეს სამყარო უნდა გადამელახა – უფულო, უშეყვარებულო, უიმედო მშობლებით და გაზეთში გახვეული ჭადით.

იმ დღის შემდეგ მე სახლიდან არაფერი მომითხოვია. იმ სიმღერის შემდეგ, რომელიც თავისთავად და ცალკე შეიძლება არც არაფერია, მაგრამ ფრთხილ მთავრესთან, ქართან, ოდნავ სიცივესთან და ხმებთან, მშობლების და კაჭკის ბორბლების ხმებთან ერთად ყურებში

ახლაც ჩამესმის. ცხოვრება შემთხვევითობების ჯაჭვია. ასეთი შემთხვევითი და სხვისთვის გაუგებარი ბიძგებით.

საგანგებოდ არასდროს, მაგრამ როცა წავაწყდები ან თვითმფრინავის მენიუში, ან მანქანაში, ვრთავ და ვუსმენ. ვუსმენ და იქ ვბრუნდები, იმ ოთახში. და ვგრძნობ – ყველაფერი, რასაც მივაღწიე, საკუთარ თავზე შურისძიებით მოხდა და აწიც ასე იქნება. იმ უცნაური საუნდტრეკით.

///

ჩვეულ გზას ვადექი. იტალიაში წიგნები ჩავიტანე იქ მცხოვრები ქართველებისთვის. მილანიდან ფლორენციისკენ მატარებლით მომიხდა წასვლა. მანამდე ფრენა და ამბავი. შუაღამის. მოკლედ დაღლილი. დაღლა ისეთი, რომ თავს გაძალებს და გაძილებს. იტალიელები სხედან ჩემ უკან. ორი ქალი და ერთი კაცი. ეს ნიშნავს ლაპარაკს. გაძლებამდე სწრაფს. დაუსრულებელს. ხან ხმამაღალს. ხან წესებიდან გაქცეული ჯადოსნური მუსიკისმაგვარს. ეს მესმის და თან მეძინება, თან ვერ. ისინი ლაპარაკობენ, შეიძლება მოდაზე ან პიცაზე, ან უფრო – უცებ გაფუჭებულ ამინდზე და სახლში დარჩენილ საწვიმარზე. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ გვანან მამებს და წუხან, რომ არ გვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ფანჯრიდან ყრის ნაგავს. შეიძლება ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. სულერთია რაზე, მაგრამ შემართებით და შეუსვენებლად. და უცებ, ძილსა და ცხადს შორს გაჩხერილს, მეჩვენება, რომ ნატანებში, ,,კაჩალკაზე'' ვწევარ და ოდნავ ვირწევი და ეს ხალხი კი არა, ბებიაჩემი და ,,კოფეს'' დასალევად გადმოსული ორი მეზობელი ლაპარაკობს. ლაპარაკობენ ბათუმის ბაზარში ნაყიდ ტანსაცმელზე ან მანდარინზე, ან უფრო – გაფუჭებულ ამინდზე და სახლში დარჩენილ ,,ბუშლატაზე''. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ გვანან მამებს და წუხან, რომ არ გვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ჭიშკართან ყრის ნაგავს. შეიძლება ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. რატომაც არა – ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. და მესმის ეს ლაპარაკი და ის ლაპარაკიც და ორივე ლაპარაკი ერთია ჩემთვის, თან მატარებელში ვზივარ და თან ,,კაჩალკაზე'' ვირწევი და ეს რწევა და ლაპარაკი იტალიას და საქართველოს, ტოსკანას და გურიას ვეღარ არჩევს და აღარც არჩევს. და ვხვდები იმას, რაც სიტყვებად პათეტიკურს მიაგავს, მაგრამ არაფერია ამაზე ნამდვილი – რომ ადამიანები საშინლად ვგავართ ერთმანეთს. და სულ, სულ ვემსგავებით. რაც უნდა შორს წავიდეს მატარებლით ერთი და მეორე სულ ,,კაჩალკაზე'' დარჩეს, იქნება რაღაც გარდაუვალი და აუცილებელი წერტილი, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

///

ზაფხულის ღამეები სხვა ფიქრებს გულისხმობდნენ. მათსავით მოკლეს და არეულს. სიზმრებიც ეგეთი შეკვეცილია და უცაბედი. ამიტომაც, აგვისტოს ღამეს, სჯობდა აივანზე ვმსხდარიყავით, თხილი გვერჩია და ხმა არ ამოგვეღო. თხილის რჩევა დაკვირვებას არ მოითხოვს – ჩვენი მზერა ჰორიზონტზე დაღვრილ სილურჯეს მიშტერებია. მზერა ჯიუტია. ლურჯი – ბაცი და ცხელი, ტლანქი და ნოტიო. უსიტყვოდ და უფიქროდ ვარჩევთ. მე, ბებია და მამა. ეს წუთები სხვა ამოვარდნაა ცხოვრებიდან, მეხსიერების და ყოველდღიურობის ჯადოსნური

განდევნა – უნებლიე მაგიური აქტი. თითქოს ერთად ვართ და ვეღარ ვამჩნევთ ერთმანეთს. და ვერც საკუთარ თავს ვამჩნევთ. ამ დროს მხოლოდ აგვისტო დგას და ყველა სხვა თვე იმაზე შორსაა, ვიდრე ჩვეულებრივ.

– უფ, მევითავეთ, კაი ვქენით!

ამბობს უცებ მამაჩემი და ჩვენ ვბრუნდებით. ეს მამაჩემის უმთავრესი სიტყვები იყო. ყველაფერზე ასე ამბობდა. ,,მოსათავებლი იყო და მევითავე'' – ბარვაზე, თოხნაზე, ჭამაზე და ძილზეც კი. იფიქრებდი, რაღაცის მოსწრებას ლამობსო. რომ შეეძლოს, ზუსტად ვიცი, მოვიდოდა და მეტყოდა: ,,უფ, მერე რაია, რომ მოვკტი კაცო, მოსათავებელი იყო მაი და მევითავე'' და მეც და შენც ხომ ვიცით, რომ ეს მართლა ასეა? რომ სიკვდილი მოსათავებელი ამბავია – ადრე თუ გვიან. ,,ხოდა, რას ტირით კაცო, აფერი არ მომხდარა იმფერი, მაინც ხომ მოხდებოდა და ცოტა ადრე მევითავე''.

///

ზაფხულის არდადეგებისას, თუ შენ პატარა ქალაქში ცხოვრობ და იმ პატარა ქალაქიდან, იქვე, მახლობელ სოფელში მიდიხარ დასასვენებლად, სადაც ბებია ცხოვრობს და თბილისიდან ნათესავები ჩამოდიან, აუცილებლად დგება დრო, როცა ეს ნათესავები აბარგდებიან და მარტო გტოვებენ. შენ და ბებიას.

ნათესავები მიდიან არდადეგების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, მათი გზა უფრო გრძელია და მათი ქალაქი დიდი. ამიტომაც აქ ისევ ზაფხული რჩება, ზუსტად ისეთივე მზით და ნიავით, ოღონდ უხმაურო, უადამიანო. ს აშინელებაა ზაფხულის ეს ნაწყვეტი სოფლად – უპასუხო, უექოო. იმ ნათესავების ნაფეხურები – კოკა–კოლას ბოთლები, ჩაფუშული წყლის რგოლი, ერთი–ორი შარვალი, ჩემოდანში რომ არ ჩაეტიათ და ყვითელი ჟურნალები —კიდევ უფრო ამძაფრებენ იმ დროს გაუგებარ სევდას. და მეზობლები და ბებია – ნელ–ნელა და დაზარებით რომ უახლოვდებიან შემოდგომას, ყანების ტეხა–კრეფას, ბრაზილიურ სერიალებს, კოფეების სმას.

მე ვდგები და წიგნების ოთახში შევდივარ. იქ გერმანული კატალოგია, მოდების, ტექნოლოგიების. მგონი 1993 წლის. ლამაზი ქალები. სათამაშო კომპიუტერები. ტანსაცმელი. კიდევ ბევრი რამ. უჩვეულოდ ფერადი. 1997 წელია, ამიტომაც უკვე მეათასედ ვათვალიერებ. ყველა გვერდის სურათი ვიცი და მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა.

საღამოვდება. ფარდებიდან, სისხლიანი ღამის პროლოგივით ისმის კოღოს სუსტი წუილი. მომაკვდავის პულსივით ფრთხილია ნიავი. ცხელა. ავეჟის მწერი მღერის. და მე ვგრძნობ, რომ ძალიან, ძალიან მარტო ვარ. და რომ ჩემი მეზობელი ლენაც მარტოა, სარეცხს რომ ფენს და ვაჟაც მარტოა, საქათმის კარს რომ აჭედებს და გივიც მარტოა, ჭიშკართან რომ ზის ომისმედლებიანი კიტელით და ნანაც მარტოა, წყლის მოსატანად რომ წავიდა ერთადერთ ჭაზე ნახევარ კილომეტრში. და რომ გვეშინია ამ მარტოობის, მაგრამ ვგრძნობთ, რომ არის რაღაც აუცილებელი ამ მარტოობაში და გარდაუვალი და საჭიროც. მე მენატრება ეს მარტოობა, გერმანული კატალოგით, წიგნების მოწყენილ ოთახში, ზაფხულის მომაკვდავი დღით.

მე იმ მარტოობაში დავიბადე.

///

ეს ადრეც მოვყევი: საავადმყოფოში, გარდაცვალებამდე ასე ერთი კვირით ადრე მამაჩემმა მითხრა, ევროპის ჩემპიონატს ახალ, დიდ ტელევიზორში ვნახავთო. თქვენ იცით რა არის ახალი, დიდი ტელევიზორი? გაგიმხელთ: მე და მამაჩემმა ერთ მსოფლიოს და ერთ ევროპის თამაშებს ვუყურეთ ერთად. პირველად ისეთ ტელევიზორში, თავში რომ უნდა ჩაგერტყა და ციმციმი ათი წუთით ჩერდებოდა. სახელად ,,ჰორიზონტი'' ერქვა. სიმბოლური კი იყო ეს სახელი. კარგად აჩვენებდა იმდროინდელი ჰორიზონტის ახლო საზღვარს, თუმცა მაშინ ასეთი დასაზღვრულობაც მიხაროდა. ბავშვობა უმიზეზო სიხარულების დროა და იქ მთავრდება, სადაც სიხარულის მიზეზებს ეძებ. სადაც ხვდები, რომ საზღვარი არ არსებობს, ყველა სიხარული გეცოტავება და ახალს ითხოვ. ამიტომაც ყველა სხვა ასაკში უბედურების განცდა ჭარბობს. ეს იქით იყოს და მეორე ტელევიზორი უკვე ფერადი გახლდათ, ოღონდ ხშირად დასაბომბი ეკრანით. ფერები ადვილად ბაცდებოდა და ამ საკითხის ოზურგეთელი ოსტატი, რაღაც ხელსაწყოს ადებდა და გეფიცებით, ამუქებდა. დაბომბვა ერქვა ამ ალქიმიას. მგონი ,,ტაურასი'' ერქვა. მგონი არა, ნაღდად. შუა ჩემპიონატისას, ერთ-ერთ ასეთ დაბომბვას ემსხვერპლა. მერე ჩემი ბაფხულები ოზურგეთს ასცდა. იმ წელს კიდევ ახალ, დიდი ტელევიზორში უნდა გვეყურებინა. მაგრამ უკვე ხომ გითხარით – ბავშვობა დამთავრდა. ბავშვობის მერე ძნელია ასეთი ამბების მოხერხება.

ახლა რომ ამბავს გიყვებით, ეს არ მომიყოლია. მაშინ სტუდენტი ვარ და სხვადასხვაგან ვათევ ღამეს. მეგობართან, ნათესავთან და ხან სასულიერო აკადემიის საერთო საცხოვრებელშიც კი. ამ საცხოვრებელში ჩემი მამიდაშვილი, გელა ცხოვრობს. გელა იმიტომ ცხოვრობს, რომ აკადემიის სტუდენტია. მე იმიტომ, რომ გელას ბიძაშვილი ვარ. უკვე ბაფხულია და სწავლა მორჩა. სტუდენტები და ლოგინები ერთდროულად გათავისუფლდნენ და მეც წამოვწექი ერთ–ერთ მათგანზე. ხის ლოგინი ჭრელი და ცხელი ,,ადიალათი''. თავთან ხატები მეკიდა და პატარა რადიო. ხელის რადიო. ასე ეძახდნენ. უკვე ბაფხულია და წესით გურიაში უნდა წავიდე. მეც ხომ არდადეგები მაქვს და თან მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. მამაჩემს დავპირდი, ერთად ვუყურეთ-მეთქი. ბამთარში რომ ვიყავი, მაშინ. გაუხარდა. ძალიან, ძალიან გაუხარდა. ისე, რომ შეტრიალდა და რადგან შეტრიალდა, ესე იგი თვალებში ცრემლი იგრძნო. მორცხვი კაცების ამბავია. ნაცნობი. კი, კი უეჭველი ჩამოვალ-მეთქი. უკვე ბაფხულია და შარდენზე გოგოები დასეირნობენ. თან ცალი თვალით გოგოებს დავსდევ, ცალით განცხადებებს ვკითხულობ სამსახურზე, ცალი ყურით გელასგან დოგმატიკის ამბებს ვისმენ, ცალით ცნობებს ფეხბურთელების ჯანმრთლობის შესახებ. ვფიქრობ, იმ საშინელ ტელევიზორში ყურებას, იმ კიდევ უფრო საშინელ მოწყენილობაში ალბათ სჯობს, რომ აქ დავრჩე. თან რამე სამსახურსაც მოვძებნი, თან ვინმე გოგოსაც გავიცნობ, თან ფეხბურთსაც ვუყურებ. უფრო კარგ ტელევიზორში. ამ ტელევიზორის საქმეც უცნაურად იყო, ისე როგორც ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. აჩვენებდა და ხმა არ ჰქონდა. ამ ხელის რადიოს ვრთავდით და რადიოში ვუსმენდით და ტელევიზორში ვუყურებდით. მაგრამ ხარისხი იყო უკეთესი და თან სასულიეროს ბიჭებიც გადასარევი ხალხი, ყველა სხვადასხვანაირი და ახლაც განსხვავებული გზის გამყოლი, მაგრამ მართლა ყველა გადასარევი. ვინც იმ ოთახში ცხოვრობდა. ჰოდა, ალბათ ასე ღიად ვერ ვფიქრობდი,

მრცხვენოდა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც მათთან ერთად ყურება მერჩივნა და მხიარულება. ჰოდა, დავრჩი.

ჩავედი აგვისტოში. ვერც სამსახური ვიშოვე და ვერაფერი. გოგოების ამბავი კარგად არ მახსოვს და რადგან არ მახსოვს, ალბათ მანდაც ვერაფერი. მამაჩემი ბოსტანში მუშაობდა. რაფერ ხარ და ამბავი. ჩვეულებრივი კითხვები. ველოდები, როდის მკითხავს, რატომ არ ჩავედი. ველოდები. მინდა, რომ მკითხოს. არაფერს ამბობს. ვერც მე. აგრძელებს პამიდვრების აკონვას. დახრილი. ძალიან, ძალიან მინდა რომ მკითხოს, ისე რომ გული გამისკდება სადაცაა. არ არსებობს ასეთ დუმილზე უფრო საშინელი, გირჩევნია გლანძღოს და გაძაგოს დაუსრულებლად. მამაჩემი კი დახრილია და მუშაობს. მუშაობს. მუშაობს. მამაჩემი, მამაშენი და მამამისი. ისინი ოდესღაც ოცნებოდნენ რაღაც სხვაზე და უფრო მეტზე. ვიდრე პამიდვრის აკონვაა. ვიდრე გაფუჭებული ტელევიზორია. ვიდრე ფეხბურთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩამოსული შვილია. მაგრამ უცებ რაღაც მოვარდა – დრო, უიღბლობა და კიდევ რაღაც და წალეკა ეს ხალხი. მას მერე თავდახრილები მუშაობდნენ. და არაფერს გვეკითხებოდნენ და ამით ყველაფერს გვეუბნებოდნენ და ვერაფერს ვპასუხობდით.

///

ოდესმე გინახავთ წვიმაში, მიცვალებულის მომლოდინე სასაფლაო? შორიდან ამოთხრილი მიწა მოჩანს. თქვენ გგონიათ ცარიელია და ამ დროს გამზადებულ სამარეში ოთხი მესაფლავე ზის – გოგილო, ომარიე, ზურიე და ბუგატა. მაღალი რეზინის ფეხსაცმელებით. გაქექილი ბუშლატებით. დახეთქილი ხელებით. აქვთ პომიდვრის მუავე. ყველი. პური. არაყი. თავზე დიდი ცისფერი ცელოფანი ახურავს ამოთხრილ საფლავს, დაბრეცილ ჯოხებზე გაფენილი.

– ე, გამოჩდენ აღმრათზე, ამეიყვანენ საწყალს უკვე – ამბობს, ომარა, წვერიანი, გაბურძგნული კაცი, მუდამ გაფუჭებული თევზის სუნი რომ ამოსდის პირიდან.

– მუვასწრებთ ვორ-ვორს – პასუხობს გოგილო. ცოტა ენა ებმება და მეზღვაურის მაისური აცვია. ჭუჭყიანი და სველი.

– აბა, გუუმარჯოს საცხა წავა და იქნება!

– გუუმარჯოს, გუუმარჯოს – იმეორებს ყველა.

– უფ, რაფერი ენამოსწრებული კაცი იყო საწყალი – ამომარცვლავს დალევის შემდეგ ომარა, არაყის სიმუავისგან დაჭყანული და აგრძელებს. – აბა, უცბათ ვახსენოთ ყოვლადწმინდა და მივასუფთაოთ აქოურობა, თვარა ამეიყვანეს მკტარი. აქანე თუ დავხდით, აღარ მოგვცემს ნათელიე არც საროჩკას და აღარც ნასკებს და ჩაატანს ჟორაიას.

ნათელიე გარდაცვლილის ცოლია. საროჩკა და ნასკები – სავარაუდო საჩუქარი მესაფლავეებისთვის. და ალაგებენ. და სანამ მიცვალებულს მოასვენებენ, სადღაც ქრებიან. ასე იოლად და მსუბუქად უთმობს ადგილს სიცოცხლე სიკვდილს და მერე პირიქით. ოდესმე ბუგატასაც დამარხავენ და ომარიასაც. მათ საფლავშიც იჯდება ვინმე. და რატომღაც ასე მგონია, რომ სანამ ვინმე იჯდება საფლავში, სადღაც, რომელიმე სოფელში მაინც, მანამდე დაამარცხებს სიცოცხლე სიკვდილს. რატომ მგონია, არ ვიცი. მაგრამ მგონია.

ნინო რეხვიაშვილი

ბედის ვარსკვლავი

27 დეკემბერია. თოვს, ხვავრიელად თოვს. ჭრეგალო ზღაპრულ ქურქში გახვეულა, სძინავს მთებს, გორაკებს, ცა მრავლისმთქმელ რძისფერ ნისლს დაუფარავს. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. ბეღურების გუნდს ერთ-ერთი სახლის სახურავზე სათათბირო გაუმართავთ. მათი ჟღურტული მთელ სოფელს ესმის. გარშემო თითქმის ფიფქებიც გახალისდნენ, მბრწყინავი, ფარფატა თოვლის ქულაჯები ცეკვა-ცეკვით ჰყვებოდნენ ბეღურების ამუსიკებულ ჟღურტულს. რაღაც კარგი უნდა მოხდეს, ფიქრობენ მეზობლები, – ხედავთ, ფიფქებსა და ბეღურებს კარნავალი გაუმართავთ. სოფელში ჩოჩქოლი ატყდა, რაჭველი ქალები თავიანთი შორსმჭვრეტელობის წყალობით, მიხვდნენ, რომ ქალბატონი ჯულიეტა მშობიარობდა, ცოტა ხანში სახლის ფანჯრებიდან გამოსული სინათლე გარე სამყაროს ზეიმს შეუერთდა და თეთრი, ფანტელივით ციცქნა, ლამაზი თოვლის დედოფალა მოევლინა ქვეყანას. გოგოა, გოგო! – ისმოდა გადაძახილები. კიდევ ერთი რაჭველი ქალი... ეს ოჯახის პირველი შვილია. ბედნიერია მამა, გერონტი ამბროლიანი, უფალმა საახალწლო საჩუქარი გაუკეთა. იმ დღეს მზია ამბროლიანის ბედის ვარსკვლავი აკიაფდა. გოგონა დღითიდღე იზრდებოდა. ბატონი გერონტი და ქალბატონი ჯულიეტა შვილის ბედნიერებით ხარობდნენ. პატარა მზია ყოველთვის თოჯინებით თამაშობდა. ექიმობა მოსწონდა. სოფლის მოხუცებს მზრუნველობას არ აკლებდა. სხვების დახმარება სიამოვნებას ჰგვრიდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწორედ ექიმობა იყო მისი მიზანი. საწადელს დიდი მცდელობის შემდეგ მიაღწია. პირველი წელი აბიტურიენტისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა მიზნის მისაღწევად არც ძალა დაიშურვა და არც ენერგია. დღეს ქალბატონი მზია წარმატებული და დამსახურებული ექიმია. “მახსოვს, პატარა ვიყავი, ბაბუას ნაწლავების გადახლართვა დაემართა, ძალიან ცუდად იყო. მე იმდენად მიყვარდა და მეცოდებოდა იგი, სულ ვნატრობდი, ნეტა შემეძლოს რომ დავეხმარო-მეთქი. ამ და კიდევ ბევრი სხვა ცხოვრებისეული ფაქტების გამო ექიმობა მოვინდომე, სხვების შველა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა”, – ამბობს ქალბატონი მზია. სწორედ ამგვარმა სულისკვეთებამ განაპირობა რაჭველების მისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრეგალოდან რედაქციაში არაერთი ზარი შემოვიდა, გთხოვთ ქალბატონ მზიასთან ინტერვიუ ჩაწეროთ და ჩვენი სახელით მადლობა გადაუხადოთო. ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია, მადლიერი პაციენტი და მადლიერი თანასოფლელები, ადამიანების გულის მოგება იოლი საქმე როდია. ეს მოახერხა ქალბატონმა მზიამ, მოახერხა და თანაც როგორ? – მთელი სოფელი ეთაყვანება, ლოცავს, აქებს, აღმერთებს. ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი და

ჭირისუფალია, ყველას გულისა და სულის მესაიდუმლე და მკურნალია, ყველას გვერდით მდგომი და მეგობარია. ამ თვისებების გამო ქალბატონი მზია სოფელმა არნახულად შეიყვარა, "არ ვიცი რით დავიმსახურე ყოველივე ეს, ნეტა რამეში გამოვადგე ჩემ ხალხს," – ბრძანებს ქალბატონი მზია და თავისებურად ეფერება ჭრებალოელებს. განუზომელია მადლიერება მის მიმართ. რაჭიდან დაწყებული დედაქალაქამდე დამთავრებული მზია ექიმი ყველასთვის სანუკვარი ადამიანია. ცხოვრებამ დიდი დაღი დაასვა, ნანატრი შვილი წაართვა და მარადისობის სამკვიდროსკენ გაუყენა გზას. შაოსანი დედა, მისი ზნემაღალი და სულგრძელი ხასიათიდან გამომდინარე პატარებს თავის ტკივილს არ აგრძნობინებს და ერთიორად უფრო ტკბილი და თბილია პაციენტებთან. ჰყავს ვაჟი, შვილიშვილები, ბრწყინვალე მეუღლე, ოჯახი, რომლებმაც 27 დეკემბერს ოჯახის დიასახლისის, ქალბატონი მზიას იუბილე იზეიმა. ქალბატონის, რომლის შესახებაც ლეგენდები დადის. წინ მრავალი წელი გელოდებათ ყველასთვის საყვარელო ქალბატონო. წელთა სიმრავლეს და ოჯახის კეთილდღეობას გისურვებთ, მშვენიერო მზია ექიმო.

მადლიანი ქალის ოქროსფერი შემოდგომა

ცის კარის სარკმელი გაიხსნა. მზე ფანჯრის მინას ეამბორა. ცის ქალწული ცეცხლის ნავში მოკალათდა და კაბადონისკენ მიემართება. ამასობაში მიწამ ზურმუხტის ფრთები აიშალა, ღრუბლები ააფრინა, სარკმელს მიელაციცა და დედამიწას გარიჟრაჟმა სიცოცხლის ლიბრეტო უმღერა. ქალბატონი ჟუჟუნა კი აგერ უკვე 9 ათეულ წელზე მეტია ამ მუსიკას უსმენს და მზის ქორწილის მუდმივი მაყარია; – ლამაზი, დახვეწილი, კოხტა, ელეგანტური, ინტელექტით აღსავსე 90 წლის ქალი 14 ივნისის ცხელ დღეს, მზესთან ერთად დაიბადა, ვინ იფიქრებდა, რომ მისი ამომავალი ვარსკვლავი საუკუნის გვირგვინით იქნებოდა მოსილი. წელს ამ მშვენიერი ქალბატონის ოთხმოცდამეათე გაზაფხული დგება, ალიონს დღესაც ფეხზე ამდგარი ეგებება, ისე, როგორც გასულ წლებში. ოჯახში ყველაზე ადრე დგება, ფეხაკრეფით დადის, ჯერ თავი უნდა მოიწესრიგოს, მაკიაჟი და ფრჩხილის ლაქი არასდროს ავიწყდება, შემდეგ საუზმის მომზადებას იწყებს, მზრუნველ სიდედრს საყვარელი სიძე სამსახურში გასასტუმრებელი ჰყავს. სადილსაც უმზადებს, თან უნდა გაატანოს, მოუცლელი კაცია ბატონი ბათა (შოთა ჯაფარიძე), როგორც თავად მიმართავს, პროფესორი, აკადემიკოსი. მისგან ყოველდღიურად უამრავი პაციენტი შვებას ელის. – ბათა! მოდი შვილო, საუზმე მზად არის. დედობრივი გრძნობით აღსავსე იხმობს შვილივით ნაზარდ სიძეს სასადილო ოთახისკენ და თავადაც გვერდით მიუჯდება. 19 წლის იყო ბატონი შოთა, როდესაც ქ. ჟუჟუნას სიძე გახდა. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. 50 წელი შვილივით უვლის და ეფერება. ბატონ შოთას დედა კარგა ხანია გარდაეცვალა, მაგრამ ასეთი სიდედრის გამო, დედაშვილური სითბო დღემდე არ მოკლებია. უვლის და ეფერება ისე, როგორც ღვიძლ შვილს და ამბობს, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებს. საუზმის შემდეგ პირჯვარს გარდასახავს და ღიმილით სამსახურში აცილებს. ქალბატონმა ჟუჟუნამ მთელი ცხოვრება სამედიცინო სფეროში განვლო, თეთრი ხალათი, ქალურობა და დახვეწილი მანერა, მისი თანამდევი პირობა გახლდათ. დღესაც 90 წელს მიღწეულ ქალს ახალგაზრდული შარმი და ენერგია ამშვენებს. სტუმრებს ღიმილით ეგებება და თავის ნამზადით უმასპინძლდება. ქალბატონი ჟუჟუნა ლეგენდად ქცეული ადამიანია. უყვარს მუსიკა, მღერის, მოხდენილად ცეკვავს. უყვარს ყველას,

საზოგადოებაში მიღებული და საპატივცემულო ადამიანია. მადლიანი ქალიაო, ამბობენ. მთელი ისტორიაა მისი დედამთილთან ურთიერთობა. ქალბატონ სოფიოს თურმე არაერთხელ უთქვამს შვილებისთვის, მკვდარი დედათქვენი მირჩევნია ჩემ ცოცხალ შვილსო. 90 წლის გარდაცვლილა ქ. სოფიო და რძალი საკუთარი დედასავით უვლიდა მას. თუმცა, ეს რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ვიგებთ, რომ სიძის, ბატ. შოთას ავადმყოფ მშობლებს რაოდენ დიდი სიყვარულით და თავდადებით უვლიდა. აი, სწორედ ამ სიკეთისა და ერთგულებისათვის დააჯილდოვა ღმერთმა ქალბატონი ჟუჟუნა, დააჯილდოვა კარგი შვილებით, შვილიშვილებით და საუკუნოვანი სიცოცხლით. გასულ წელს, როდესაც ქ. ჟუჟუნას ცოტა ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, შვილიშვილმა ნინიკომ, სტაციონარში მოთავსებიდან მეორე დღესვე, დილით ადრე ბებოს 100 წითელი ვარდი გაუგზავნა, ბებო, შენ 100 წელი უნდა იცოცხლოო. ხარობს მისი გული. ასეთი შვილები, შვილიშვილები, საამაყო ნინიკო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ცნობილი ქალბატონია, უსაყვარლესი ირმა, რომელსაც პატრიარქმა სახლის ანგელოზი უწოდა და რომლისთვისაც ბებო მთელ ცხოვრების ტოლფასია. ეს ის ორკესტია, რომელის ულერადობამ ქალბატონი ჟუჟუნას ცხოვრება საუკუნედ აქცია. კვლავ მრავალი ბედნიერი გაზაფხული გაუშლის თავის ფარდაგს მშვენიერ ქალბატონს. აფერუმ მას და მის მფარველ ანგელოზს. მრავალჟამიერ!

ჩემი თვალით დანახული რაჭა

რაჭა – ჩემი სულის აკვანი, რაჭა – ჩემი ფესვთა სავანე... თვალი თვალთაი, გული ალალი, სიტყვა – ხალასი, გრძნობა ცხელი და სული მშფოთვარე... ჩემი კავკასიონი, ჩვენი ქართველობის სიმაღლე, ჩემი რიონი – ფასის მთიდან იმერეთამდე მონათხრობი ტკბილი ზღაპარი, ჩემი "სანახშო" – ორღობეში მიმოფანტული სიბრძნისა და იუმორის ღაღადისი, რაჭული ლობიანი – რაჭველი ქალის დაკოჟრილი ხელით და სავსე გულით გამომცხვარი ლობიანი პური, განატეხი – სანთლით დამშვენებული ოჯახისგან სალოცავს შეწირული, კოლორიტები – რაჭის უკვდავების რეცეპტი, რაჭველი ებრაელები – ტოლერანტობის ორიგინალური ლიბრეტო; ცა – ფირუზისფერია, ვარსკვლავების ქორწინების ბაირაღი, გარსაგისი – რაჭული სუფრის უმთა-ვრესი სადღეგრძელო; წყალი-ცისა და მიწის ნაჟური, სიწმინდითა და სიდიადით გაუღენ-თილი რაკრაკით რომ შეისმის და მილიონი პეშვი არ გვყოფნის დასანაყრებლად; ჰაერი – კავკასიონის ცადაზიდული მწვერვალებიდან მოდენილი სიწმინდის წყარო; მზე, მზე, რომელიც სულ სხვა ფარჩა მოსხმული სათნოებით დასცქე-რის მედიდურ მყინვარწვერს და თავის კეთილმოსავი სხივებით მისი მრისხანების დათბობას ლამობს. ნამგალა მთვარეზე ხან ვედრო ჩამოეკიდება, ხან ფეხისწვერებზე მდგარი მოჭუტული თვალებით გადმოჰყურებს რაჭველი კაცის გარიჟრაჟს, დაკოჟრილი ხელებით რომ თვალებს მოიფშვნეტს, პირჯვარს გარდისახავს, ღმერთო, მონაგარი მიცოცხლეო.

ეს რაჭაა, ჩემი და თქვენი რაჭა, აკაკი წერეთლისა და გალაკტიონის ხოტბის მარგალიტი, ნიკორწმინდისა და ბარაკონის, ქოლოსის და მრავალძალის მადლით ჯვარგარდასახული, ფუნ-ჯით ნახატი კუთხე-კუნჭული, ფერთა პალიტრის ფუძე და ჭერი, ადგილი, სადაც ლექსი იწერება, ფრაზა იმღერება და ერთი ფიალა ხვანჭკარით მადლიანი რაჭველი მხოლოდ ღვთისმშობლის სადღეგრძელოთი აცილებს სტუმარს.

ჩემი მონოლოგის დასასრულს, დაგლოცავთ ისე, როგორც ბებია მლოცავდა: – ტკბილ სიბერეს გისურვებთ, ჭერის სიმაღლე, ფუძის სიმტკიცე, შვილთა სიმრავლე, სულის ზეობა და მზეობა არ მოგიშალოთ მაღალმა ღმერთმა. დაგლოცოთ ნიკორწმინდის, მრავალძალისა და რაჭის ყველა სალოცავმა.

მადლიანი ქალის ოქროსფერი შემოდგომა

ცის კარის სარკმელი გაიხსნა. მზე ფანჯრის მინას ეამბორა. ცის ქალწული ცეცხლის ნავში მოკალათდა და კაბადონისკენ მიემართება. ამასობაში მიწამ ზურმუხტის ფრთები აიშალა, ღრუბლები ააფრინა, სარკმელს მიელაციცა და დედამიწას გარიჟრაჟმა სიცოცხლის ლიბრეტო უმღერა. ქალბატონი ჟუჟუნა კი აგერ უკვე 9 ათეულ წელზე მეტია ამ მუსიკას უსმენს და მზის ქორწილის მუდმივი მაყარია; – ლამაზი, დახვეწილი, კოხტა, ელეგანტური, ინტელექტით აღსავსე 90 წლის ქალი 14 ივნისის ცხელ დღეს, მზესთან ერთად დაიბადა, ვინ იფიქრებდა, რომ მისი ამომავალი ვარსკვლავი საუკუნის გვირგვინით იქნებოდა მოსილი. წელს ამ მშვენიერი ქალბატონის ოთხმოცდამეათე გაზაფხული დგება, ალიონს დღესაც ფეხზე ამდგარი ეგებება, ისე, როგორც გასულ წლებში. ოჯახში ყველაზე ადრე დგება, ფეხაკრეფით დადის, ჯერ თავი უნდა მოიწესრიგოს, მაკიაჟი და ფრჩხილის ლაქი არასდროს ავიწყდება, შემდეგ საუზმის მომზადებას იწყებს, მზრუნველ სიდედრს საყვარელი სიძე სამსახურში გასასტუმრებელი ჰყავს. სადილსაც უმზადებს, თან უნდა გაატანოს, მოუცლელი კაცია ბატონი ბათა (შოთა ჯაფარიძე), როგორც თავად მიმართავს, პროფესორი, აკადემიკოსი. მისგან ყოველდღიურად უამრავი პაციენტი შვებას ელის. – ბათა! მოდი შვილო, საუზმე მზად არის. დედობრივი გრძნობით აღსავსე იხმობს შვილივით ნაზარდ სიძეს სასადილო ოთახისკენ და თავადაც გვერდით მიუჯდება. 19 წლის იყო ბატონი შოთა, როდესაც ქ. ჟუჟუნას სიძე გახდა. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. 50 წელი შვილივით უვლის და ეფერება. ბატონ შოთას დედა კარგა ხანია გარდაეცვალა, მაგრამ ასეთი სიდედრის გამო, დედაშვილური სითბო დღემდე არ მოკლებია. უვლის და ეფერება ისე, როგორც ღვიძლ შვილს და ამბობს, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებს. საუზმის შემდეგ პირჯვარს გარდასახავს და ღიმილით სამსახურში აცილებს. ქალბატონმა ჟუჟუნამ მთელი ცხოვრება სამედიცინო სფეროში განვლო, თეთრი ხალათი, ქალურობა და დახვეწილი მანერა, მისი თანამდევი პირობა გახლდათ. დღესაც 90 წელს მიღწეულ ქალს ახალგაზრდული შარმი და ენერგია ამშვენებს. სტუმრებს ღიმილით ეგებება და თავის ნამზადით უმასპინძლდება. ქალბატონი ჟუჟუნა ლეგენდად ქცეული ადამიანია. უყვარს მუსიკა, მღერის, მოხდენილად ცეკვავს. უყვარს ყველას, საზოგადოებაში მიღებული და საპატივცემულო ადამიანია. მადლიანი ქალიაო, ამბობენ. მთელი ისტორიაა მისი დედამთილთან ურთიერთობა. ქალბატონ სოფიოს თურმე არაერთხელ უთქვამს შვილებისთვის, მკვდარი დედათქვენი მირჩევნია ჩემ ცოცხალ შვილსო. 90 წლის გარდაცვლილა ქ. სოფიო და რძალი საკუთარი დედასავით უვლიდა მას. თუმცა, ეს რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ვიგებთ, რომ სიძის, ბატ. შოთას ავადმყოფ მშობლებს რაოდენ დიდი სიყვარულით და თავდადებით უვლიდა. აი, სწორედ ამ სიკეთისა და ერთგულებისათვის დააჯილდოვა ღმერთმა ქალბატონი ჟუჟუნა, დააჯილდოვა კარგი შვილებით, შვილიშვილებით და საუკუნოვანი სიცოცხლით. გასულ წელს, როდესაც ქ. ჟუჟუნას ცოტა ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, შვილიშვილმა ნინიკომ, სტაციონარში მოთავსებიდან მეორე დღესვე, დილით ადრე ბებოს 100

წითელი ვარდი გაუგზავნა, ბებო, შენ 100 წელი უნდა იცოცხლოო. ხარობს მისი გული. ასეთი შვილები, შვილიშვილები, საამაყო ნინიკო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ცნობილი ქალბატონია, უსაყვარლესი ირმა, რომელსაც პატრიარქმა სახლის ანგელოზი უწოდა და რომლისთვისაც ბებო მთელ ცხოვრების ტოლფასია. ეს ის ორკესტია, რომელის ულერადობამ ქალბატონი ჟუჟუნას ცხოვრება საუკუნედ აქცია. კვლავ მრავალი ბედნიერი გაზაფხული გაუშლის თავის ფარდაგს მშვენიერ ქალბატონს. აფერუმ მას და მის მფარველ ანგელოზს. მრავალჟამიერ!

მადლიერი ბორიკა მშობლიურ კერას დაუბრუნდა

მოდი ნიკა, ბორიკას მე წავიყვან, შენ აბაზანა მოუმზადე, ეზოდან რომ ამოვალთ, ვაბანაოთ, შემდეგ ვიტამინიც მივცეთ, უფრო ჯანმრთელი ბიჭი გაგვეზრდება, თქვა პატარა ვაჟამ და თავის უსაყვარლეს ოჯახის წევრს, ორი თვის ბორიკას (ძაღლს) მოეფერა. ბიჭუნამ ძაღლს ყელზე საყელო გაუკეთა და მეგობართან ერთად სტადიონისკენ გაეშურა, ბორიკა პატრონის წინ ხტუნვა-ხტუნვით მირბოდა, მეზობლები ეფრეზოდნენ, რა ლამაზი გახდა ეს ცუღლუტი, რა ჭკვიანი თვალები აქვსო. ვაჟამ ბორიკა სტადიონზე გაიყვანა, სადაც მისი თანატოლები ფეხბურთს თამაშობდნენ, ბიჭს ბავშვურმა სიცელქემ სძლია და ძაღლი ბოძზე მიაბა, – ბორიკა, შენ აქედან მიყურე, ბურთი რომ შენსკენ გამოიქცევა, იცოდე უკან ჩამაწოდე. აბა შენ იცი, როგორი მეკარე იქნებიო უთხრა, თავზე ხელი გადაუსვა, შუბლზე აკოცა და ბავშვებთან გაიქცა, თუმცა ძაღლისთვის თვალი არ მოუშორებია. უცბათ ვაჟამ გვერდზე გაიხედა და ხედავს, რომ ბორიკა ადგილზე აღარ არის, იფიქრა საყელო გაწყვიტა და აქვე სადმე იქნებაო, მთელი ეზოს ბავშვები ძაღლს ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, ბორიკა დაიკარგა! ვაჟა სიმწრისგან ხმამაღლა ღრიალებდა, ტიროდა და ენაგადმოგდებული უბან-უბან დარბოდა, თავს მოვიკლავ, ბორიკა რომ დამეკარგოსო.

ბორიკა ნადვილად დაიკარგა, მაგრამ ვაჟამ თავი ვერ მოიკლა. ოჯახში მძიმე სიტუაცია შეიქმნა. ნიკა თავის ძმას, ვაჟას ეჩხუბებოდა, ვერ მიხედე, საიდანაც გინდა მოიყვანე, ბორიკას გარეშე სახლში მოსული არ გნახოო! მშობლები, თავადაც გულდათუთქულნი შვილების გაშველებას და დაწყნარებას ლამობდნენ.

გავიდა დრო, მაგრამ ბორიკა ოჯახს უფრო და უფრო ენატრებოდა, ბორიკას გარეშე ოჯახს გაუჭირდა. მისგან დაღრღნილი ოთახის ჩუსტები და სხვადასხვა ნივთები ბავშვებს საგულდაგულოდ ჰქონდათ შენახული.

მას შემდეგ 7 თვე გავიდა. ოჯახის უფროსი ბატონი ნოდარი საკუთარი მანქანით ერთ-ერთ სუპერმარკეტს მიადგა, მანქანა ავტოსადგომზე დააყენა და თავად მაღაზიაში შევიდა. უკან დაბრუნებულ ნოდარს მოულოდნელად შავი, ულამაზესი აღნაგობის ძაღლი შეახტა, მუხლებზე შემოეხვია და აცრემლებული თვალებით თავიდან ბოლომდე ლოკავდა. ნოდარი მოულოდნელობისგან დაიბნა, სურსათით დატვირთული პოლიეთილენის პარკები ხელიდან გაუცვივდა და ღრიალი დაიწყო... ბორიკა, ჩემი ბორიკა, სიხარულის გამო ტირის ნოდარი და ტირის ბორიკა, უცბად ირგვლივ უამრავ ადამიანს მოუყრია თავი, ყველას სახეზე სინანულსა და სითბოს ამოიკითხავსით, მხოლოდ ერთი კაცი იყო შეშფოთებული და დაძაბული, – ძაღლის გამზრდელი.

მათ ერთმანეთს ყველაფერი უამბეს, აღელვებულმა ნოდარმა მოუყვა, თუ როგორ მოპარეს ბორიკა ეზოდან, მაგრამ მისმა გამზრდელმა თავის მართლება დაიწყო, მე ეს ძაღლი 200 დოლარად ვიყიდე, პატარა ბიჭებმა მომიყვანეს, 7 თვეა ჩემთან იზრდება, საკუთარი თავივით მიყვარს, მე რა დავაშავე, ამის დაკარგვას ვერ გადავიტანო, ყვება ახალი პატრონი და ათრთოლებული ხელებით ძაღლს ეფერება. ბორიკა დგას ორ პატრონს შორის, მისთვის ორივე მშობლიური და ახლობელია, ხან ერთს ეფერება, ხან მეორეს, მათი მაყურებელი ხალხი ცრემლად იღვრება, ვერ გადაეწყვიტათ, რა ექნათ ბორიკასთვის, ორივე თავისკენ ექაჩებოდა. მაშინ ნოდარმა უთხრა გამზრდელს, – მართალია, შენ რა შუაში ხარ, მოდი არჩევანი ბორიკას მივანდოთ, დავაყენოთ ჩვენს შორის, რომლისკენაც წავა, იმასთან დარჩეს. ძაღლმა თავად გააკეთოს არჩევანიო. გამზრდელი დათანხმდა, ბორიკა ჯერ გამზრდელთან მივიდა, დაყნოსა, ალოკა, ფერხთქვეშ გაუწვა, თითქოს ყველაფრისთვის მადლობას უხდისო და შემდეგ თავდაპირველ პატრონს, ნოდარს ჩაეხუტა, ისე, რომ მათ ვეღარავინ დააშორებდა.

ასე დაუბრუნდა ბორიკა მშობლიურ კერას.

ნუკრია
(ჩანახატი)

დეკემბრის ბოლო რიცხვებია. რაჭაში დიდი თოვლი მოვიდა. თუმცა სახელოვანი მონადირისა და გულოვანი ვაჟკაცის გიგა გუტაშვილისათვის, ეს რა თქმა უნდა, წინაღობა არ ყოფილა, იგი საახალწლოდ, სოფელ გლოლაში დედის მოსანახულებლად მიდიოდა, "ნივის" მარკის ავტომობილი თითქოს პატრონის გულის ცემას მიყურადებული, გიგასავით ბობოქარი ძალით მიაკვლევდა სოფლისაკენ მიმავალ გზას. საგლოლოზე, სად იყო და სად არა, პატარა, ახალგაზრდა არჩვი შეამჩნია, რომელსაც ძაღლები მოსდევდნენ, მან კი საშველად პირდაპირ გიგასთან მიაშურა, გიგამ იგი მანქანაში ჩასვა, მოეფერა და სოფელში მიიყვანა. ბუნებაზე უზომოდ შეყვარებული ოჯახისათვის უკეთესი საახალწლო საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო, ზამთრის არდადეგებზე გიგას შვილები გოჩა და გელა იმ დროს გლოლაში იყვნენ. მათ უცხო არსების დანახვამ უსაზღვრო სიხარული მოჰგვარათ. უვლიდნენ, ეფერებოდნენ, ბებოსთან ერთად რძეს საწოვარათი ასმევდნენ, სითბო–სიყვარულით განებივრებული არჩვი ოჯახს შეეჩვია, შეეჩვია ასევე ეზოს ბინადარს, მეძებარ ძაღლს, ცუგრიას. ისინი ისე დამეგობრდნენ, რომ ცუგრია ოჯახის წევრების გარდა არჩვს არავის აკარებდა, იცავდა და მეგობრობას აგრძნობინებდა. ბავშვებმა ნუკრია დაარქვეს. ნუკრია ისე შეეჩვია ოჯახურ გარემოს და ოჯახის წევრებს, რომ მიუხედავად იმისა, ყოველთვის შეეძლო ღობეზე გადამხტარიყო და ტყისთვის შეეფარებინა თავი, ეს არასდროს გაუკეთებია, მისი ჭკვიანი თვალები სულ მადლიერების გრძნობით იყო სავსე. უამრავი მნახველი ჰყავდა, მოგეხსენებათ, ალბათ გლოლა კურორტ შოვთან მიმდებარე სოფელია, რის გამოც ზაფხულში ბევრი დამსვენებელი მოდის, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დამეგობრებულ ძაღლს და არჩვს ხედავდნენ, მათთან სურათებს იღებდნენ და ეფერებოდნენ. ნუკრია, თითქოს ამ რეჟიმს შეეჩვიაო, ფოტოაპარატის წინ პოზირებდა კიდეც, თუმცა, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი წლის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ გაიგო, რომ გუტაშვილების ოჯახში არჩვი ბინადრობდა, ვინაიდან მაშინდელი კანონმდებლობის

თანახმად გარეული ცხოველის სახლში ყოფნა აკრძალული იყო, ერთ მშვენიერ დღესაც ორი უცხო პირი მივიდა და აუწყათ, რომ ნუკრია ზოოპარკში უნდა გადაეყვანათ. ეს ოჯახისთვის, ნუკრიასა და ცუგრიასთვის ერთნაირად დიდი ტრაგედია იყო, იგი ოჯახის წევრად ითვლებოდა, "ვბანდით, ვვარცხნიდით, ვეფერებოდით, თვალებით გველაპარაკებოდა, სულ ხალისიანი და ბედნიერი იყო, მასთან გატარებული 1 წელი არასდროს დაგვავიწყდება, ეს სრულიად განსხვავებული პერიოდი იყო ჩვენს ცხოვრებაში" – იხსენებენ გოჩა და გელა. ნუკრია ზოოპარკში წაიყვანეს. გავიდა ექვსი თვე. ანეტა ბებო მონატრების გრძნობამ შეიპყრო და შვილს, გიგას სთხოვა ჩვენი ნუკრია შვილივით მომენატრა, თბილისში წამიყვანე და მანახეო, მართლაც, გიგამ დედას თხოვნა შეუსრულა, ნუკრია მასაც ხომ სიგიჟემდე ენატრებოდა. მივიდნენ ზოოპარკში და არჩვების ადგილსამყოფელს მიაშურეს. რას ხედავენ, ყველა არჩვი ერთნაირია. როგორ გინდა გაარკვიო რომელია შენი ნუკრია. ანეტა ბებო ჩვეული წესით, პურით და მარილით ხელში მოაჯირთან მივიდა და არჩვებს შესძახა, ნუკრია, ნუკრიაო, ცოტა ხანში ხედავენ რომ არჩვებს ერთი მათგანი გამოეყო და გახარებული, აწყლიანებული თვალებით მნახველებისაკენ გადახტა, იგი ისტერიულად ეჯახებოდა მოაჯირს, გარეთ გამოსვლას ლამობდა, გმინავდა, საზარელ ხმას გამოსცემდა და თვალებიდან ცრემლი ღაპა–ღუპით სდიოდა, ასევე ტიროდნენ დედა–შვილიც. ამ სურათის მნახველი ბებია ისე ცუდად გამხდარა, ძლივს მოუბრუნებიათ. გული დაწყდათ, სახლში შვილივით ნაფერები და მოვლილი ნუკრია გაველურებულიყო. ტანზე ალაგ–ალაგ გადატყავებული კანი მოუჩანდა, ჩლიქები დახეთქილი ჰქონდა, გიგა გაბრაზებულა და საყვედურით ზოოპარკის დირექტორისთვის მიუმართავს.

სახლში დაბრუნებულ ანეტა ბებოს კიდევ ერთი სასწაული დახვდა, ჭიშკართან ცუგრია ელოდებოდა, ენაგადმოგდებული და მეტყველი თვალებით პატრონს შეჰყურებდა და ნუკრიას ამბის გაგებას ლამობდა, ბებომ ცუგრია გულზე მიიხუტა და ყელში ცრემლმობჯენილმა უთხრა, ცუგრი, ნუ ნერვიულობ, შენი მეგობარი ნუკრია კარგად არისო. ცუგრია წკმუტუნითა და კუდის ქნევით ეზოს ბოლოსკენ გაიქცა.

მიუხედავად ოჯახის დიდი მონატრებისა, ნუკრიას სანახავად აღარავინ წასულა, რადგან ცხოველისთვის ეს დიდ ტრაგედიას ქმნიდა, ოჯახის წევრები მხოლოდ მასთან გადაღებული სურათებით იხსენებდნენ წარსულს, ანეტა ბებოს საფლავის ქვაზე სწორედ ნუკრიასთან გადაღებული სურათია ამოტვიფრული.

ლეიტენანტი რაჭიდან
(ჩანახატი)

- მოდი ბაბუ, მოდი გენაცვალე, შენ ჩემი იმედი ხარ! ამ ცრუ და აღრეულ წუთისოფელში შენღა შემომრჩი იმედად. ხედავ, ბაბუ, რამდენი იმედგაცრუებაა ირგვლივ? ვის უნდა ენდო? ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილებს" რომ ისწავლი, იქ ერთი ლელთღუნია შეგხვდება, რომელიც ქვეყნის ბედით გულშეწუხებული რუსეთიდან მომავალ ილიას შესჩივის: "ადრიდა ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო... ადრიდა ქალაი ქალაბდის, ვაჟაი ვაჟაბდის, მით იყვის უკეთ...", გესმის ბაბუ, რა სასოწარკვეთაა? ხარი გვყავდა, ბაბუ, ნიშა ერქვა, ისეთი ერთგული იყო, ერთ უღელში შებმულნი მუხლჩაუხრელად, უღალატოდ ვშრომობდით, მამალი რომ

მამალია, ისიც კი მედგრად ყიოდა ეზოში, ზამთარ-ზაფხულ ბუხრიდან ამოსული კვამლი დაუღალავად მიისწრაფოდა ზეცისაკენ. ქვევრიც სავსე გვქონდა და ბეღელიც, სტუმარიც გვიხაროდა და მასპინძელიც... მოიშალა ყველაფერი, უიმედობამ შემიპყრო, აღარ ვიცი რას ველოდო, რისი იმედი მქონდეს, ქალაქში ვცხოვრობ და ბალახნარევ პურს ვჭამ!

ჩვენი ძაღლუკაც მენატრება, სულ ჭიშკართან რომ იწვა, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა... გაქრა, წავიდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები, შენ შემომრჩი იმედად, ბაბუ! მე ვიცი, რომ გვარს არავის შეაგინებინებ! ვიცი, რომ ჩვენს ფუძე-კარზე ამოზრდილი ბიჭუნა ოჯახის სახელს ლაფში არასდროს ამოსვრი, აბა შენ იცი, როგორი ვაჟკაცი გაიზრდები, გახსოვდეს, სამშობლოს სიყვარული ქართველობისთვის აუცილებელი პირობაა.

რეზო ბაბუამ მუხლის თავზე დასკუპებული ბიჭუნა გულში ჩაიხუტა და თვალები ცრემლით აევსო, – აბა, შენ იცი ბაბუ, როგორ გამოადგები ქვეყანას. მე წარმავალი ვარ, შენ მომავალი, რაც მე ვერ შევძელი, ჯერი შენზეა, გენაცვალოს ბაბუ!

- ბექა გულში ჩაეკრა აცრემლებულ ბაბუას: – მე მინდა ჩემი ქვეყნის მცველი გამოვიდე! წამოიძახა ბიჭმა.

- ეგ როგორ, შენ გენაცვალოს ბაბუა?

- როგორ და ისე, ჭრელად! თოფს მხარზე გადავიკიდებ და აბა გაბედოს ვინმემ ჩვენს ქვეყანას რამე დაუშავოს! ვესვრი, პირდაპირ ვესვრი, აი, ასე ბაბუ! – ბუჰ! ბუჰ! ტიკტიკებს ბექა და ცერა თითებს თოფის ლულასავით მაღლა იშვერს. რეზო ბაბუა ბავშვის საქციელმა გულიანად გააცინა, – აბა, შენ იცი, როგორი სასახელო ქართველი იქნები!

გავიდა დრო. რეზო ბერაძე აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას, მომავალ თაობებს ქართული ცეკვის მადლს აზიარებს, ქმნის უკვდავ სტრიქონთა ჯარს, ამღერებს სტვირს და ეფერება სამყაროს. ბექა კი ამასობაში დიდი ვაჟკაცი გახდა. ბაბუის დარიგება ერთი-ორად ყურად იღო და ოცნება, რომ ქვეყნის ღირსეული დამცველი გამხდარიყო, აისრულა. დღეს 33 წლის ბექა ბერაძე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, რწმენას და ღირსებას იცავს, რისთვისაც არაერთი მადლობა აქვს მიღებული.

ბექამ სკოლა ამბროლაურის რაიონში დაამთავრა, სწავლა ქ. თბილისის გორგასლის სახელობის უნივერსიტეტში გააგრძელა. 2009 წლიდან საზღვრის დაცვის დეპარტამენტში მუშაობდა.

ბექას ჰყავს მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ინგა ჭიკაიძე, პროფესიით ექიმი და 4 წლის შვილი, სანდრო.

როდესაც საქართველოს მე-4 პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ავიდა და დავით გარეჯის საკითხზე ისტორიული განცხადებები გააკეთა, სამახსოვრო ფოტოს გადაღება ბექასთან ისურვა. ამ დროს, რა იცოდა ქალბატონმა სალომემ, რომ ეს იმ ბატონის შვილიშვილი იყო, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს მას გამამხნევებელ სტრიქონებს უძღვნიდა.

ბექა ბერაძე დღეს საამაყო ქართველია, შინ და გარეთ ეროვნულ მისიას ასრულებს. ბაბუა, რეზო ბერაძე (რაჭველი) ამაყია, რომ მისი სისხლი და ხორცი ქვეყნის ღირსებას იცავს!

ინგა გოგიბერიძე

ეპიტაფიები

ეპიტაფია

მთელი სამყარო უნდა შეაჩვენო, სიკვდილი მოატყუო.
ადამიანებს უნდა განერიდო, სიკვდილი უნდა დასაჯო.
უნდა შეაშინო.
უნდა დაამცირო.
მთელი სამყარო უნდა შეაჩვენო და სიკვდილი მოატყუო.

სიკვდილის ეპიტაფია

ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ.
აქ ვეღარ უძლებ, იქ გინდა იყო, რომ გაიგო ის საიდუმლო,
საიდანაც შენ ამოთვრინდი.
ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ.
უნდა დაგლიჯო ყველა თოკი, გაანადგურო ის საზვერე
საიდანაც მოთვრინავს ორბი- ანგელოზი.
გასასვლელს ეძებ.
ვეღარ უძლებ იმ სატანჯველს. რომელიც სულში ჩაგისახლდა
გხრავს, გკორტნის და თვალებს გითხრის,
 რომ არ იხილო შენი სულის ხორკლიანი წამონაზარდი.
ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ.
ან გამოსავლელს,
რომ ჯოჯოხეთის ცეცხლში მყოფი,
მუდმივად მწველი ცეცხლის ენებს
განშორდებოდე.
ის წვავს, ფიტავს და გეენის ცეცხლში სულს
ვეღარ ითქვამ.
აქ სიმშვიდეში ცოდვის ალში ხარ გახვეული.
ეძებ და ეძებ.
ვერ პოულობ.
ან კი რას ეძებ.
ყველა კარი დაკეტილია.
შესასვლელი და გასასვლელიც.

ტაქსიოტივით მყრალ სხეულში შესასვლელს ეძებ
რომ დამთავრდეს აქ ყველაფერი.

შეყვარებული ქალის ეპიტაფია

მითხარი, რომ შემეხებოდი.
ჩემს გრძელ ნაწნავებს შენს მოქნილ თითებში მოიმწყდევდი და არ განმშორდებოდი დიდხანს.
მითხარი, რომ გიყვარდი და ჯერ თვალებს მიკოცნიდი,
მერე კი ფრთხილად შემეხებოდი ყვრიმალებზე.
მითხარი, რომ არსად წახვიდოდი და თუ წახვიდოდი- ჩემს ლამაზ სიტყვას თან წაიღებდი და მოეფერებოდი თითოეულ ბწკარს და ბგერას.
მითხარი, რომ ცხოვრება ტანჯვა იყო უჩემოდ და
სულ ჩემთან იქნებოდი, დიდხანს.
ბევრი რამ მითხარი და მომიყევი, მე კი არაფერი მესმოდა
სიყვარულის მუსიკის გარდა.
მითხარი, რომ შემეხებოდი, ჩემს გრძელ ნაწნავებს შენს მოქნილ თითებში მოიმწყდევდი და არ განმშორდებოდი დიდხანს, დიდხანს.
იმ ხანსა და დროში ვარ მუდამ, შენი სიყვარულით სავსე.
მიკვირს იმ ადამიანების, მრავალჯერ რომ შეუძლიათ გამოსცადონ ეს მომაკვდინებელი გრძნობა, რომელსაც სიყვარულს ეძახიან, არადა სიყვარული არაფერია სიყვარულის გარეშე.
მიკვირს, როგორ არ ინგრევა სამყარო, არ ნადგურდება ხე, არ ჭკნება ყვავილი, არ იბზარება მინა და მუდმივად არ ელავს ყველგან, სადაც შენ არა ხარ.
მიკვირს, რამდენი რამ მიკვრის.
უშენობაც მიკვირს და შენთან ყოფნაც მიკვირდა მუდამ.
მითხარი, რომ შემეხებოდი, ჩემს გრძელ ნაწნავებს შენს მოქნილ თითებში მოიმწყდევდი
და არ განმშორდებოდი დიდხანს, დიდხანს.
შენ კი დღეს, ჩემს გრძელ ნაწნავებს, შენი მოქნილი თითებით ვეღარ ეხები.

ღმერთთან მისასვლელი ეპიტაფია

ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ მთელი ცხოვრება მელოდება.
ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ მთელი ცხოვრება თან დამყვება.
ვერ მოვატყუებ.
ვერ ვალოდინებ.
ვერ გავბედავ მომლოდინე თვალებით უმზიროს გზას.
ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ მთელი ცხოვრება მეკითხება
ვგრძნობ თუ არა მე კარგად თავს.
ვერ მოვატყუებ.
ვერ ვალოდინებ.
ვერც გავბედავ ვუთხრა ის, რაც ხდება აქ.
ღმერთთან დაგვიანებით ვერ მივალ, ის ხომ მთელი ცხოვრება თან დამყვება.
რომც მოვატყუო
ყველაფერი იცის მან!

მოძულე ცოლის ეპიტაფია

სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი ვანესა, გადაიფაროთ თავზე შალი,
გულზე მაქმანი და გაიხსენოთ ის წუთები თქვენ რომ გათბობდათ.
სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი ვანესა, არ გადაეკრას მის საფლავს ხავსი
და თქვენს სულს მუქი ნაცრისფერი ტანჯვის იარა.

დიახ, ასეა, სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი ვანესა,
საფლავის ქვაზე დააკვირდეთ ნაღვლიან თვალებს
და შვილის სიყვარულით მოილბოთ გული.
სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი ვანესა,
დღეს ღამე მოსდევს, მზეს სიბნელე და ჯოჯოხეთის ცეცხლში დამწვარს ,
სულს დანაცრებულს ვერ დაინახავთ,
ვერ მოუვლით მის პირმშოს ალბათ
თუ მამის საფლავს ლაფს დაასხამთ,
ვერ იგლოვებთ!
სჯობს, რომ იგლოვოთ საკუთარი ქმარი ვანესა!

ჩემი სულის ეპიტაფია

აქვე, ამ წყალთან,თევზის სახლთან, ქვის მდინარესთან,
კლდის ჩანჩქერთან, მზის სიმაღლესთან,
ცარიელი სულის კართან,
გულის ცრემლთან,
ვტოვებ სიყვარულს, ანაც თან მიმაქვს.
აქვე ამ სახლთან, ამ ეზოსთან,
ამ გზასთან,
ეკალბარდთან და ბზასთან,
უბრალო ხალხთან,
ვტოვებ სიყვარულს.
აქვე ამ ზღვასთან, ზღვის ვარსკვლავთან,
ჩაძირული ხომალდის ქიმთან,
ოცნების კოშკთან,
შენთან და სხვასთან
შორს სიძულვილთან
ვტოვებ სიყვარულს!
აქვე, ამ მთასთან ბუმბერაზი
სულის პატრონთან,
ქუჩთან,
იასთან,
კესანესთან და გვიმასთან,
გვამის ყვავილთან, უცნაურის სუნის პატრონთან
ქართან, წვიმასთან,
მზესთან და შენთან,
ვტოვებ სიყვარულს!
მხოლოდ სიყვარულს,
სხვას ვერ დავტოვებ ,
მე თან მიმაქვს
ჩემი სხეული, ჩემს სულთან ერთად.

მიტოვებულ საფლავთან

ღამეა.აქ სულ ღამეა.
თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობ,
სინამდვილეში კი წევხარ და მთვარეს შესცქერი.
გახსენდება მთვარესავით ბრმა, ცივი და უცხო სხეული, რომელიც შენში შემოიჭრა.
ამ სხეულიდან შემოვიდა შენში გაუცხოება, უკეთურება, სიბილწე, სიყალბე და შენი უცნობი ჩრდილი უკან დაგყვება ისე, როგორც მოუშორებელი ჭირი.
ღამეა.აქ სულ ღამეა.
თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობ,
სინამდვილეში კი წევხარ და მთვარეს შესცქერი.
ის ერთადერთია, რომელიც გითვალთვალებს დღისითაც და ღამით.
შენ კი მას მხოლოდ ღამით ხედავ, როცა სიბნელეა, როცა ლუსკუმი თვალთახედვას გიფარავს.
ღამეა.აქ სულ ღამეა.
ელოდები მზეს, მზის სხივს, მზისგან არეკლილ სინათლეს, რომ იქნებ გაანათოს და როგორც მთვარემ, ისე დაიწყოს შენი სხეულის ირგვლივ როკვა ზებუნებრივმა ძალებმა.
ელოდები დღის სინათლეს, რომელსაც მთავრის ანარეკლი მოჰყვება.
ელოდები იმ ანარეკლს, რომელიც ერთიანად დაიპყრობს შენს გულს, სულსა და სხეულს და რაღაც ზებუნებრივისათვის მოგამზადებს.

ღამეა.
თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობ, სინამდვილეში კი წევხარ და მთვარეს შესცქერი.
.....ეს მთვარე კი ულამაზესია- აციმციმებული, სინათლით გაჩახჩახებული, ვარსკვლავებთან " მოელვარე" და მოცეკვავე, შენი გულის მესაიდუმლე!ამას ხომ მხოლოდ შენ ხედავ!

ჭირისუფალი!

ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
ჭირისუფალი ვარ, უნდა დაგეხმარო გზაში,
ჭირისუფალი ვარ, ხე უნდა დავრგო საფლავის ქვასთან
და მაინც- ჭირისუფლობის მაქვს შიში!
ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
ჭირისუფალი ვარ, შენს სახელს უნდა დაცვა,
ჭირისუფალი ვარ, ფოთოლსაც კი არ მივცემ არას,
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს დარდი!
ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
შენი გარდაცვალება ან დაბადება ვამცნო მას,
ჭირისუფალი ვარ, შენი სნეულების დამღა
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს სენი!
ჭირისუფალი ვარ, უნდა ჩაგინაცვლო სისხლი,
არ შეგაშინოს გველმა, არ მოგილოკოს ხალი,
ჭირისუფალი ვარ, შენი კერიის არსი
და მაინც- ჭირისუფლობის მაქვს შიში!
ჭირისუფალი ვარ, შენი კოცონი იწვის,
ჭირისუფალი ვარ, მინდა მაგ კიბის ავლა,
ჭირისუფალი ვარ, შენი სნეულების დამღა
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს სენი!
და მაინც-ჭირისუფლობის მაქვს დარდი!
და მაინც- ჭირისუფლობის მაქვს შიში!

ყასაბის ეპიტაფია

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე.
დანა, რომლიც სულ თან დამქონდა, ერთნაირად კლავდა პატარა გოჭუნას, ხბოს, ძროხას, ცხვარს და ადამიანის გულს.
დანა, რომლითაც ძვალსა და ხორცს ვაცლიდი ერთმანეთს, ვაშორებდი და ვაცალკევებდი, ისეთივე მწარე იყო, როგორიც ადამიანის ტკივილი. ეს დანა არასოდეს ბლაგვდებოდა, იმიტომ რომ მე ყოველდღე ვლესავდი, ვლესავდი და ვლესავდი მას, რათა კვლავ მომეკლა, გამეტყავებინა, დამეჭრა და დამენაკუწებინა სინამდვილე არსაიდან მოსული. დანა, რომლითაც მე ვმუშაობდი, თან ჩამატანეს, რათა არ დამვიწყებოდა,
რომ დაბადებას გარდაცვალება მოსდევს, სიხარულს ტკივილი, ბედნიერებას უბედურება, დღეს ღამე და მზეს მთვარე. დანა? დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე. .....მაგრამ დანა ეს, საჭრეთელი იყო ჩემი, ჩემი სიყვარულის ჩუქურთმა, ჩემი სიხარულის ნაქარგი, ჩემი ხეხილის დამყნობი, ჩემი ვაზის ყლორტის წამალი და ჩემი ბედნიერების საძირკველი.

ჯარისკაცის ეპიტაფია

რომ მოხვედით ვგრძნობ, გული ძალუმად გიძგერთ. რომ მოხვედით ვიცი, ჩემზე

ცრემლებიც ღვარეთ. რომ მოხვედით, ესეც ვიცი. მომისმინეთ და თან წაიღეთ ის ნამდვილი სიყვარული, რომელიც მე, ყოველდღე ,ამ გმირობამდე მქონდა: უჩვეულო ღიმილიანი დილა, მიუხედავად სამშობლოდან გადაკარგვისა. იარაღთან და ტყვიამფრქვევებთან დიდი მოთმინებით და ძალისხმევით მოპოვებული ფრთები, შიმშილთან და დაღლილობასთან თანაზიარი მეგობრობის ტკივილი და სიხარული. სამშობლოს სიყვარული ჩემთან ერთად დაბადებული. რომ მოხვედით ვგრძნობ, გული ძალუმად გიძგერთ. რომ მოხვედით ვიცი, ჩემზე ცრემლებიც ღვარეთ. რომ მოხვედით, ესეც ვიცი. სიმართლე კი ის არის, რომ წახვალთ უჩემოდ.... და გმირის მანტიას მორგებული ერთი უბრალო ადამიანის სიცოცხლე
უნდა მწამდეს კვლავ იცოცხლებს.

მკვლელის ეპიტაფია

არავინ მოვა ჩემს საფლავზე. არავინ ჩამხედავს თვალებში.
არავის ვეტყვირომ გულში სატანამ გაიდგა ფესვები.
როგორც კინოფილმში ისე მიდის კადრები:
პატარა გოგონა ცისფერი კაბით.
მოზრდილი ბიჭუნა სპორტული ჩანთით.
ლამაზი, თავხედი და ანცი ქალი
სიყვარულს ნატრული მზისფერი კაბით.
გამოგონილი ოჯახი, გამოგონილი მეგობრობა.
გამოგონილი მზე.
ჩემთან კი როგორც კინოფილმში ისევ გრძელდება კადრები:
მარტოობა. უზნეობა. უიმედობა.
დაცემულ ანგელოზთა ვედრება.
ფერები შავი და ნაცრისფერი.
ფილმი მხოლოდ შავი.
არავინ მოვა ჩემს საფლავზე.
არავინ ჩამხედავს თვალებში.
არავის ვეტყვი, რომ გულში სატანამ გაიდგა ფესვები.

უდედო შვილის ეპიტაფია

სად წაიღეთ ჩემი ეტლი?
ჩემი ცხოვრების თანამგზავრი?
განა მის გარეშე მე აქ ყოფნას შევძლებ?
ეტლი ჩემი დაგორავდა უსწორმასწორო გზებზე,
აგროვებდა ზიზღიანი თვალების ელვარებას, სინანულის გამოკრთომას,
სიძულვილს, შიშს და ცოტაოდენ სიყვარულს,
სულ მცირე მარგალიტებს სიყვარულისას. ეს მარგალიტები კი მხოლოდ დედის თვალებიდან მოდიოდა
და როცა დედა წავიდა დაპატარავდა ეტლი ჩემი,
დაჩიავდა საბურავები, გაიღუნა რკინის ღერძები ...
სად წაიღეთ ჩემი ეტლი?
ჩემი ცხოვრების თანამგზავრი?
განა მის გარეშე მე აქ ყოფნას შევძლებ?!

დედის ართქმული მონოლოგი

ის ეძებდა შვილს, ან შვილის ცხედარს,

რადგან სული დიდი ხანია მის სხეულში შეუშვა
და უკან არ დაუბრუნებია.

ის ეძებდა ადგილს, მდინარის პირას და
წელიწადში ერთხელ მიდიოდა იქ
და ატანდა მაისურს, მისი ძველმანებიდან.

ის ეძებდა ადგილს, არა ტაძარში,
 არამედ ადამიანებში მისი სულის
დავანებისა,

მაგრამ ამაოდ არც ცოცხლები და არც
მკვდრები არავის მოუკითხავს დიდი ხანია.

ძებნით დაღლილი, უდაბნოს ცხელ ქვიშაში,
სულის სიამოვნებით
 და სხეულის უძლურებით დაჩაჩანაკებდა და
ეძებდა მზის სხივს, რომელიც თავზე
დაჰყურებდა,
ძებნით დაღლილი, ზღვის ტალღებში
ლივლივებდა თითქოს,
მაგრამ ვერ პოულობდა ერთ წვეთს წყალს,
რომ ცრემლი განებანა უდაბნოში გამშრალი.
წელიწადში ერთხელ დაუბრუნებდა მდინარე
უკან ძველი მაისურის ნაგლეჯს , როგორც
დაფლეთილი გულის ანაწერს.
შეინახავდა ამ ნაფლეთს სხვა ნაფლეთებთან
ერთად, საღამოს შეკერავდა და
 დილით ისევ დაუბრუნებდა მდინარეს
ახალი სიცოცხლესავით.
ის ეძებდა შვილს, ან შვილის ცხედარს,

რადგან სული დიდი ხანია მის სხეულში
შეუშვა და უკან არ დაუბრუნებია.

მინაწერილი მწერალ თამაზ ექვთიმისვილის
საფლავზე

კედლიდან გადმოდი.
 საათის ისრებივით ვიმოძრაოთ
უსასრულობაში.
წამოდი. სახლიდან წამოდი.
ბზარებივით ვიბრუნოთ წრეზე
მარადისობაში.
 ჩამოდი.
ზეციდან ჩამოდი, რათა ისევ ვისაუბროთ დარზე,
რომელსაც მოჰყვება ავდარი.
 გადმოდი.
უბრალოდ გადმოდი.
დამაკლდი. დამაკლდი.
წვიმა, ქარი, პოეტური რომანტიზმი არ გიყვარს
ვიცი. მთავარი ხაზი, რომელიც კედელზე მოხაზე
ვიცი, მეტია ამაზე, მიწით.
გადმოდი.
კედლიდან გადმოდი.
უბრალოდ გადმოდი.
ჩამოდი. დამაკლდი.
 სამშობლოს აგური ნამცეცად ქცეული შენია
ვიცი.
გიყვარს და გიჭირს. წამოდი.
ჩამოდი. გადმოდი.
აქ გინდა ვიცი....
რა გითხრა მეტი არ ვიცი.
 ვიცი, უბრალოდ დამაკლდი.
გიცდი.

ამ დილით თვალი გავახილე, გმადლობთ
ამისათვის უფალო.
ამ დილით გეგმები არ დამისახავს, გმადლობთ
ამისთვისაც უფალო.
ამ დილით თვალი ისევ დავხუჭე და გავიფიქრე-
რა მშვენიერია ცხოვრება, რომ შემიძლია
გავაგრძელო ძილი ჩემი საყვარელი ადამიანების
გვერდით.
გარეთ ულამაზესი დილაა.
ეს დღე იქნება მზით და სიყვარულით სავსე.
აკი სულ მეუბნებოდი, მხოლოდ ერთი დღით
იცხოვრეო, ჰოდა ასეა, ერთი დღით ვცხოვრობ.
იცი, რომ ყოველთვის ასე ვცხოვრობდი, თუმცა
შენთან ტაძარში მოსასვლელად დღეს, ფეხები
უკან მრჩება უფალო, მაინც მეშინია ხვალინდელი
დღის.

ასე ხმამაღლა რომ გიყვები ჩემს ფიქრებს, მგონია უფრო ახლოს ვარ შენთან და ამ შიშს შენი სიახლოვე სძლევს.
მუდმივ სისწრაფეში, ამა თუ იმ საქმის მოსწრებაში, ქაოსში და ზედმეტად მოწესრიგებულ-ორგანიზებულობაში, სწრაფად მირბიან წუთები, საათები და წლები.
ამ ბოლო დროს თვლაც ამერია ისე მალე მოდიოდა კვირა და გადიოდა დღეები.
შენთან მოსასვლელი გულის კარი ყოველთვის მქონდა ღია, არასოდეს ჩამიკეტავს, უფალო.
ამ დილით თვალი გავახილე, გმადლობთ ამისათვის უფალო.
სევდის ნასახიც კი არა მაქვს.
ვიცი შენ ჩვენთან ხარ და ყველა განსაცდელი გაივლის.
ამ დილით გეგმები არ დამისახავს, გმადლობთ ამისთვისაც უფალო.
არც წერილი დამიწერია.
არც არსად მეჩქარება შენი გულის გარდა.
მადლობელი ვარ უფალო იმ დიდი სიყვარულისათვის, რასაც მუდმივად მანიჭებ.
ამ დილით თვალი გავახილე, გმადლობთ ამისათვის უფალო.

ფიქრი ისევ ახმაურდა, სიჩუმეს გამოექცა და თვალებში ჩამდგარ ტკივილს გვერდით მიუსკუპდა:
-გამარჯობა, უთხრა უდიერად და გაუღიმა.
-რად ხარ ასე ტკივილიანი? გარეთ მზეა და შესანიშნავი დილაა, წამოდი ერთად ვიაროთ, ქვეყანა შემოვიაროთ.
-არ ვერ წამოვალ, მე მტკივა.
-ვიცი, მე ხომ შენი ფიქრი ვარ, სწორედ მაგიტომ მოგაკითხე,წამოდი რა.
-როგორ წამოვიდე როცა ზეცა ნაცრისფერია, ირგვლივ უსაშველო სიჩუმეა, ზღვის ხმაური მხოლოდ ზღვის ბინადართ ესმით, კაკუნის ხმაც არ ისმის.
-არ ვიცი, კოდალა კიდევ ცოცხალია?
-ადამიანო, კოდალას რაღას კითხულობ, ადამიანები მოიკითხე როგორ არიან, ადამიანები?
-ხო , მათ ყოველ დღე ვკითხულობ ხოლმე- ფიქრობენ! ჩემგან განთავისუფლება უნდათ, მაგრამ მგონი არ გამოსდით, არ სურთ ტკივილთან ერთად ცხივრება!
-ჰოდა წამოდი, სიჩუმეში ერთად ვიაროთ- მე ჩემს გულის ნადებს გაგანდობ, შენ კი ტკივილზე მომიყვები, დაანებე თავი ადამიანებს.
მიატოვე ისინი.
შენს გარეშე, უფრო კარგად იქნებიან...

****
.....შინ და გარეთ .....შინ და გარეთ.
.....აი, მოვედით პანდემიამდე- გულის გულის ჩასახედი სულის კარიბჭის კარი ჩავკეტეთ.
.....მდინარეები ჩავხერგეთ, ნაგვით ავავსეთ სუფთა წყალი და მივიმალეთ.
.....ხეებს ფოთლები ჩამოვაცალეთ, ტყის იარუსი გავკაფეთ, ისე შევცვალეთ გარემო, თავიდან გავაჩინეთ ღრმულები და ორმოები ჩვენი ტკივილების ჩასაყრელად და ჩასაფლობად,გადასაკარგად.
.....ზეცას ღრუბლები მოვტაცეთ, მზეს სხივები, ჩიტებს ფრთებიდან ბუმბულები ამოვაკელით, რომ არ ეფრინათ დიდი ხმაურით და მათ ჭიკჭიკს შეუჩვევლები არ დამფრთხალიყავით, ძალიან ბევრნი კი წითელი ბუმბულის გარეშეც დავტოვეთ.
.....მივატოვეთ ჩიტები და მაინც გვაჯობეს- მოძრაობა შეასუსტეს, ფრთები აიფიუეს, ერთ გუნდად შეკრენ, ჩაეხუტნენ ერთმანეთს, რათა მეტი სითბო და სიყვარული გადაეცათ ერთმანეთისათვის ზეცაში.

.....აი მოვედით პანდემიამდე, დავივიწყეთ ძველი, ის რაც სულს აქამდე ათბობდა და ანანავებდა- ჩასახუტებლად, მოძრაობის შესასუსტებლად, ფრთების ასაფუებლად, ერთ გუნდად შესაკრებად.
.....ზღვებს და ოკეანეებსაც შევეჭიდეთ- ზვიგენი მოვკალით და მისი ქონი სახეზე წავისვით, რომ უფრო ლამაზები ვყოფილიყავით იმ დროისათვის, როცა პანდემია გვესტუმრებოდა.
.....ქარიშხალი და ქარი მოვათვინიერეთ.
.....მხოლოდ სიომ დაჰბერა უხილავი მტერისამ ისე, რომ დაანგრია და გაანადგურა მსოფლიო, რომელიც ჩვენვე ვანგრიეთ ისე, რომ მოვედით პანდემიამდე- გულის გულის ჩასახედი სულის კარიბჭის კარის ჩაკეტვით.
.....შინ და გარეთ ტკივილით.
.....შინ და გარეთ სიძულვილით.
.....შინ და გარეთ არა ქართულით.
.....აი, მოვედით პანდემიამდე- გულის გულის ჩასახედი სულის კარიბჭის კარის ჩაკეტვით!.
.....შინ და გარეთ სიყვარულით!

ბევრი ვიარე და ვერ მივედი.
ბევრი ვილაპარაკე და ვერ გავჩუმდი.
გადავიფრინე მსოფლიო და ისევ აქ ვარ.
არა-შინ.
ბევრი ვიცინე ტირილისათვის.
ბევრი ვიომე მშვიდობისათვის.
შინ ყოფნა.
შინ მისვლა.
შინიდან წასვლა. შინ.
ბევრი ვიფიქრე არყოფნისათვის.
ბევრი ვიტირე ყოფნისათვის.
ბევრი ვიარე დ ვერ მივედი. შინ.
ისევ აქ ვარ.არა-შინ.
შინ ყოფნა.
შინ მისვლა.
შინიდან წასვლა. შინ.
მიწა ვაფხვიერე,ზეცა ვაცისკროვნე.
ადამიანები დავღალე ღიმილით.
ვარსკვლავები დავჩრდილე,
ხელები უკვდავების წყალში ვაბანავე.
ბევრი ვიარე და ვერ მივედი.
ბევრი ვილაპარაკე და ვერ გავჩუმდი.
გადავიფრინე მსოფლიო და ისევ აქ ვარ. არა-შინ.
სარკეში საკუთარი სხეული დავინახე
უხელო, უფეხო, უთავო და უმზეო.
შემეშინდა. გავიქეცი.
ისევ გადავიფრინე მსოფლიო და მაინც აქ ვარ.
არა-შინ.
შიშს ვერ გაექცევი.
სიღარიბეს დაგანახებს.
სიკვდილს გაგაცნობს.
სხეულიდან გაგდევნის და
სულის სულის ნეტრებით ჯოჯოხეთში დაგტოვებს.
ბევრი ვიცინე ტირილისათვის.
ბევრი ვიომე მშვიდობისათვის.
ვიომე შენთვის და არარსებული
სიყვარულისთვის.
შინ ყოფნა.
შინ მისვლა.
შინიდან წასვლა.
აქ მინდა შინ!

გივი სიხარულიძე

სიცოცხლის ანარეკლი

მძიმე ავადმყოფი, უიმედობა და დიდი იმედი, აი, მისი ამოუცნობი მდგომარეობა. სასთუმალს მიჯაჭვული ულამაზესი ქალი, რომელსაც სათუთად შეუნახავს ლეიბის ქვეშ ახალგაზრდობის სურათი. დროდადრო ამოიღებს და დააკვირდება. სურათს ხელს ნაზად გადაუსვამს, ლოყასთან მიიდებს, ცრემლებით დანამულს ცოტა ხანს კიდევ დაა-კვირდება, შემდეგ ლეიბის ქვეშ დამალავს. ასე გრძელდება ყოველდღე. სურათიც გრძნობს, თუ რისთვის არის იგი ასე გულმოდგინედ შენახული, ის გახდა ქალის რჩეული, მეორე მხრივ კი ვერ ეგუება თავის როლს, რადგანაც დღეს იგი ცოცხლობს, ხოლო იმ სახეობაში, რასაც გადიდებული სურათი ჰქვია, იგი გარდაიცვლება, სული დასცილდება მას და სიცოცხლის ანარეკლიდან უსასრულობაში გადავა. იგი გადაიქცევა შავ–თეთრი ქაღალდის ნაგლეჯად, რომელსაც ჯერ კედლის პატარა ლურსმანზე დიდი მოწიწებით ჩამოკიდებენ. წლისთავის შემდეგ ჩამოხსნიან და კარადის თავზე მიუჩენენ ბინას, სადაც რამდენიმე ხანში იგი მტვრის ბუდეში მოექცევა და აბლაბუდების ქსელში გასაბმელ ნივთად იქცევა. გავა წლები. ოჯახის რომელიმე წევრის გადაწყვეტილებით ამ მტვრის ბუდეს სარდაფში ჩაუძახებენ და ეს იქნება დასასრული. საშინელებაა გადიდებული სურათი, რადგანაც სული რჩება ორიგინალში. ორივე იღუპება, სული უხორცოდ, ხოლო ხორცი უსულოდ. ამიტომ იწყებს ბრძოლას ორიგინალი, რათა არ დაუშვას ქალის გარდაცვალება, რამეთუ ამ შემთხვევაში იგი მის ხვედრს გაიზიარებს.

გარიჟრაჟი. საშინელი ტკივილისაგან იღვიძებს ქალი. კვნესის, ბორგავს, შველას ითხოვს. ყველა ცდილობს მისი ტკივილების განელებას, მაგრამ ამაოდ. განწირული მდგომარეობა. ისევ კვნესა, ისევ უიმედობა. ყველას გასაოცრად უცებ ტკივილი იწყებს გაყუჩებას. ქალი წყნარდება, გადის დრო და ტკივილი საერთოდ ქრება. ოჯახის წევრების დაბნეული მდგომარეობა. არავინ იცის, რა მოხდა.

მხოლოდ ერთმა იცის, რაც მოხდა, რადგანაც ტკივილისაგან იტანჯება და იჭმუჭნება. ეს ახალგაზრდობის სურათია, რომელმაც ტკივილი თავის თავზე გადაიტანა. მას ურჩევნია გაიტანჯოს, ვიდრე მიიცვალოს. ახლობლები უყურებენ ქალს და გაოცებას არიან, ასფურცელასავით გაიშალა. სახეზე თითქოს ნათელი დაადგა. საჭმელი მოითხოვა, შემდეგ მუსიკა ჩართო და რითმებს თავისი მოძრაობა ააყოლა. უცებ ხელი ლეიბის ქვეშ შეაცურა. სურათი ამოიღო და ჯიუტად დააცქერდა. მერე პატარა მაგიდიდან სარკე აიღო და კეკლუცად ჩაიხედა. თმები გვერდზე გადაიგდო. თითებით შეეხო ვარდის ფურცელივით ნაზ ტუჩებს, მერე გედივით ულამაზეს ყელზე ჩამოაცურა, თითქოს არფას სიმებს ეალერსებოდა. უცებ სარკეს თვალი მოსწყვიტა და სურათს მიაშტერდა. სურათი დაბერებული და გატანჯული ეჩვენა. თითქოს ნაოჭები

გასჩენოდა ყელზე. მკერდი ჩამოვარდნოდა და ტუჩები სიფრიფანასავით მილეოდა. ქალმა სურათების ალ-ბომი მოითხოვა. როცა მოუტანეს, სურათი ზიზღით ალბომში ჩაუძახა, დახურა და სასწრაფოდ უკან გაატანა, ალბომში მოხვედრილმა სურათმა შვებით ამოისუნთქა. მიხვდა, რომ სიკვდილს გადაურჩა და ქალიც გადაარჩინა. არავინ იცოდა, რა მოხდა, სურათისა და დამარცხებული სიკვდილის გარდა.

რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა

აბანოთუბანში, ერთი სათავადო აბანოა. ისე, კაცმა რომ თქვას, სახელი ზუსტად შეურჩევიათ. რაც იქ შესვლაში ფული უნდა გადაიხადო, სათავადოს კი არა, ერთ პატარა სამეფოს იყიდი. ვის არ შეხვდები იქ - თავის თავზე უზომოდ შეყვარებული მინისტრებიდან დაწყებული თუ განებივრებული პარლამენტარებითა და აღზევებული ბიზნესმენებით დამთავრებული. აბანოსთან ჩამწკრივებული უახლესი მოდის მანქანებში კი მათი მძღოლები ყვინთავენ მამა - მარჩენალთა მოლოდინში. გაიძვერა ბარმენი დათაფლული ენით ამკობს კლიენტებს. ე.წ. „ნომერ ლუქსის“ მოსასვენებელ ოთახებში კი გაქათქათებულ ზეწრებში გახვეულ ცოცხალ გვამებს ოხშივარი ასდით. ზოგი ლამაზად გაწყობილ თურქულ მაგიდასთან მიმჯდარა და ჩაით „კაიფობს“. ვინ გერმანულ სოსისს მიირთმევს ყინულივით ცივ ლუდთან ერთად... არის ერთი სჯა - ბაასი სამშობლოზე, მის ავ - კარგზე. ყველა ვიღაცას აბრალებს ამ ქვეყნის ასეთ ყოფას. ბიუჯეტში ფული არ შედის, ვიქცევით და პატრონი არ ჩანსო... ის იქ არ უნდა დაენიშნათ, ეს აქაო... და ასე შემდეგ. ვუსმენდი ამ ბეღელის ვირთხების საუბარს, რომელთაც პირწმინდად გამოეღრღნათ სახელმწიფო ბიუჯეტი და, უცებ, სახეზე წამოვწითლდი, ვიფიქრე, მე ხომ არ მდებდნენ ბრალს...ეს კიდევ არაფერი. ერთი მომცრო ტანის მილიონერი ბიზნესმენი დადის ამ „სათავადოში“. კომუნისტების ეპოქაშივე აქვს დაწყებული ბიზნესი და დღევანდელ დღეს ხომ ზღაპრულად მოერგო. ჩემი და რამდენიმე კაცის გამოკლებით, აქ მომსვლელი, თითქმის ყველა კაცი მდიდარია, მაგრამ ჯიბეში ხელის ჩამყოფი არავინ მეგულება. თითქოს შხამიანი მორიელი უჯდეთ ჯიბეში. თუ უფრო ადრე იბანავეს, ვიდრე მომცრო ტანის ფულის გადამხდელმა მათმა მეგობარმა, სავარძლებში ჩასვენებულები, შიმშილით რომ კვდებოდნენ, მის გამოჩენამდე, ნახევარ ულუფა სოსისსაც არავინ შეუკვეთავს. ჩემს თავს ვეკითხები, ეს მაყუთა ვირთხები რომ ცხოვრობენ, ამ წესით მეც ხომ ვცხოვრობ, ერთი უფულო ბაღლინჯო; ის კი არა, ამათზე ათჯერ ბედნიერი ვარ. შეიძლება მათხოვარი მიწოდონ , მაგრამ ძუნწს მაინც ვერ დამიძახებენ. ვატყობდი, რომ მომცრო ტანის მილიონერი ფულის გადახდას ყველას იმიტომ ასწრებდა, რომ ამ ახმახებს დაუმტკიცოს, ტანად პატარა ვარ, მაგრამ ხარჯვაში მაინც ვერ შემედრებითო.

ჩვენს „სათავადოში“ ერთი ნამინისტრალიც დადის. თანამდებობიდან სულ ოთხი თვის მოხსნილია. ძალიან მიკვირს, რისთვის მოხსნეს. სინდის - ნამუსი არც ამათ აქვთ და არც იმას. სამშობლო ამათაც ერთ ადგილას ჰკიდიათ, და იმასაც... ის კი, საქმით და ჭკუით, ასჯერ მაღლა დგას ამათზე. წესით, ესენი უნდა მოეხსნათ. მერე კი მივხვდი, რომ სწორედ ჭკუა და საქმის ცოდნა არ აპატიეს. კარგად მახსოვს, ოთხი თვის წინ, ნაძირალა მექისე ბატონი მინისტრის მასაჟს საათზე

მეტ დროს რომ ანდომებდა და თან მის საამებლად თათრულ ბაიათს ღიღინებდა. დღეს კი, რა ვნახე: ზუსტად ხუთ წუთში განბანა ცოდვებისაგან, ისე რომ, არც კი წაუღიღინებია და ფეხზე წამოაგდო. ირონიულადაც ჩაიბუტბუტა, თავისუფალი ხარ, შალვოვიჩჯანო. ნამინისტრალი, ისე რომ წყენაც არ გამოუხატავს, შხაპის ქვეშ დადგა. ეჰ, - გავიფიქრე, როგორ გაფვარჩაკებულა-მეთქი. ცოტა არ იყოს, შემეცოდა კიდეც. მერე ჩემთვის ჩავილაპარაკე, ეს ის კაცი არ არის, რომ მხოლოდ ერთჯერადი მინისტრობით დაამთავროს თავისი კარიერა, მეორე წრეზე კიდევ წავა და მაშინვე ნაძირალა მექისე წარმომიდგა თვალწინ, მინისტრის სტატუსში აღდგენილ მის სხეულს რომ ელაციცებოდა. ამათ შემხედვარეს კაცობრიობა შემეზიზღა, მაგრამ მერე ჩემს თავს ჩავუფიქრდი და ხმამაღლა წამომცდა, შენ არა ხარ, ამათთან სუფრის თავში რომ წამოჯდები და დითირამბებს უმღერი თითოეულს? რითი განსხვავდები თათარი მექისესაგან, ის სხვის მიწაზე ცხოვრობს, თანაც ისეთი ხელობა აურჩევია, სხვა გზა არა აქვს, სწორედ ისე უნდა მოიქცეს. შენ კი, შენივე მიწაზე, იმისათვის რომ კუჭი გქონდეს სავსე, ისეთი სიტყვებით ამკობ თითოეულს, ალბათ კეისარზე ნაკლები არავის ჰგონია თავი. რატომ არ ფიქრობ იმაზე, რომ შენი სიტყვების მსმენელს, მეზობელი სუფრიდან, ისევე ეზიზღები, როგორც შენ გეზიზღება მექისე. ახლა მეტყვი, სიმართლე რომ ვილაპარაკო, რა ვუყო მაშინ ოჯახსა და წვრილშვილსო... ჰოდა, თუ ასეა, შენი ფიქრები, სადღაც ჩაიგდე, შე მართლა „რა ვქნა, რა ვუყოს“ ქვეყნის შვილო.

ის იყო ფიქრებიდან გამოვერკვიე, რომ ჩვენი მომცრო ტანის „ახალი ქართველი“ გიორგი სააკაძესავით წამოგორდა მექისეს სასთუმალზე. ის კი, თავისი ჩვეული გაიძვერობით, შეუდგა საქმიანობას. მე, უკვე განბანილმა, ისევ გოგირდის სავსე აუზს მივაშურე და იქედან მექისეს ვუთვალთვალებდი. ორ მეტრიანი ნამინისტრალის შემდეგ საათნახევარი ელოლიავა მომცრო მილიონერს. ბოლოს, იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მომცრო ეხვეწებოდა, აღარ მინდა, მადლობელი ვარ, მეყოთვაო. მერე სათუთად წამოაყენა და საშხაპემდე მიჰყვა, - ფეხი არ დაგიცდეს, ნიკალაევიჩო...

ამ ამბის მაცქერალი, გამწარებული, მექისესაკენ გავქანდი, მინდოდა სილა გამეწნა ამ ნაძირალასათვის... სწორედ მაშინ ამისხლტა ფეხი და ზურგზე ზღართანი მოვადინე. საშველად პირველი მექისე მომვარდა: ოქროჯან, ჯიგარო, ხომ არაფერი იტკინეო... მე კი გიჟივით მეცინებოდა იმაზე, რომ ერთი ნაძირალა, მასზე განრისხებულ მეორე ნაძირალას ეშველებოდა.

გივი სიხარულიძე
მწერალი და მსახიობი

მგელკაცი

ციმბირის თვალუწვდენელი მკაცრი ტრამალები... ბანაკიდან გაქცეული, წელამდე თოვლში ჩაფლული პატიმრები მიიკვლევენ გზას! წინ კობა ჯუღაშვილი მიუძღვით, რომელიც შიგადაშიგ შეძახილებით ამხნევებთ. დამქანცველი გზის შემდეგ, ტყეში შეისვენეს, ცოტა წაიხემსეს და რადგან მდევრის დაწევის საშიშროება იყო, გზას გაუდგნენ. ამასობაში დაღამდა. პატიმრებმა მგლის ხროვას მოჰკრეს თვალი, რომლის წინამძღოლიც დაკვირვებით ადევნებდათ თვალს, ნელ-ნელა

უახლოვდებოდათ კიდეც. პატიმრებმა ბანაკიდან წამოღებული ხმლებივით ალესილი რკინები მოიმარჯვეს, სახეზე დაძაბულობა დაეტყოთ. კობამ ერთი შესძახათ, გამაგრდითო და გამხმარი ტოტების შეგროვება უბრძანათ! უცბათ კოცონი დაანთეს. მგლები მთელი ღამე დარაჯობდნენ მათ, მაგრამ კოცონთან სიახლოვეს მისვლა ვერ გაბედეს. საქმე იმაში იყო, რომ პატიმრებს ადგილი სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ, რადგან შეიძლება მდევარი წამოსწეოდათ. ამასობაში გარიჟრაჟდა. კობამ უბრძანათ, დამატებით ფიჩხი მოეგროვებინათ და ცეცხლის კედელი აღემართათ, რათა მგლებს მათი წასვლა ვერ გაეგოთ. მართლაც ასე მოიქცნენ, ცათამწვდომი ცეცხლის ენებით გადაჯაჭვული კედელი დატოვეს და გზას გაუდგნენ. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გარბოდნენ, რათა საფრთხეს მცირედით მაინც დაშორებოდნენ. არც მგლები აღმოჩნდნენ ადვილად მოსატყუებლები, მიხვდნენ, რომ ადამიანებმა ცეცხლი დატოვეს და უკან დაედევნენ. კობამ იცოდა, რომ მგლებთან შერკინება გარდაუვალი იყო. ერთ-ერთმა მათგანმა წამოიძახა, ხეზე ავიდეთო! - ხეზე როდემდე ვისხდებით, გარს შემოგვეხვევიან და სანამ არ ჩავალთ, ფეხს არ მოიცვლიან. ამასობაში მდევარიც დაგვეწევა, უპასუხა კობამ, მაგრამ ამის მიუხედავად, პატიმარი ხეზე მაინც აცოცდა. კობამ დანარჩენებს საბრძოლო მზადყოფნისათვის მოუწოდა, ალესილი რკინები მოიმარჯვეს, წრე შეკრეს, ეს იყო ბრძოლა სიკვდილ - სიცოცხლის ზღვარზე, სადაც გადარჩენის იმედი მხოლოდ 10% თუ იქნებოდა!

როგორც ხეზე მყოფი პატიმრის ნაამბობიდან ვიგებთ, - ხროვას წინამძღოლი გამოეყო, მან საშინელი ღრენა ატეხა, იგი შეტევისთვის მოემზადა. ამ დროს კობა დაწინაურდა, მგლების აგრესიას ყურისთვის საშინლად მოსასმენი, შემზარავი, არაადამიანური ხმა შეაგება! წინამძღოლი შედგა! ეს ხმა მგელკაცისას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას! გააფთრებული კობას შემდეგ მზერა ისევ მგლების წინამძღოლზე შეეაჩერე, რომელიც არაბუნებრივი ხმით ყმუოდა. ნათლად დავინახე, რომ მგელმა რაღაცის შიშით ჩაიფსა, შემდეგ ხროვისკენ მივბრუნდი, დავინახე, რომ წინამძღოლი წელში გაიმართა, გვერდზე გადახტა და მთელი სისწრაფით მოკურცხლა. ხროვა, თითქოს მის ქმედებას ელოდაო, სირბილით დაედევნა უკან.

როცა სიტუაცია დაწყნარდა და სამშვიდობოს გავედით, სოსოს მოკრძალებით ვკითხე, თუ რაზე ფიქრობდა მგლებთან შერკინებისას? - მხოლოდ სიცოცხლეზეო, მიპასუხა! რამე თუ ღრმად მწამდა, რომ მგლების წინამძღოლს ცოცხლად შევჭამდიო. მისი პასუხის ჭეშმარიტებაში ეჭვი არასდროს შემპარვია, რადგან კობას განრისხებული სახე მისივე სიტყვებზე მეტყველებდა. ხოლო, როცა ჩავეკითხე - ის შემზარავი ხმა საიდან ამოგდიოდა - მეთქი, - არ ვიცი, მითხრა!

ამ ამბის შემდეგ კობას უამრავი რამ გადახდა თავს, მაგრამ მისი ხმა არსად არავის გაუგია. როდესაც მოსკოვის მისადგომებთან მიახლოებული მტრის გამო, პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, სტალინს პოლიტბიუროს წევრებთან ერთად მოსკოვი უნდა დაეტოვებინა, ამბის მთხრობელი პატიმარი სადგურში მას თან ახლდა. უყურებდა, თუ როგორ სცემდა ბოლთას პლატფორმაზე და ყველა მისი გადაწყვეტილების მოლოდინში იყო. უეცრად სტალინს სახე გაუნათდა და თავის გასაგონად რაღაც ჩაილაპარაკა, შემდეგ შეტრიალდა, ნელი ნაბიჯით მანქანისკენ წავიდა. მძღოლს უბრძანა, გეზი კრემლისკენ აეღო. სწორედ იმ დღეს, იმ პლატფორმაზე გადაწყდა არა მარტო სსრ კავშირის, არამედ, მსოფლიო ხალხების ბედი!

ვფიქრობ, ფრაზა - ни шагу назад! - არცერთი ნაბიჯი უკან, რომლითაც სსრკ ქალაქებისა და სოფლების კედლები იყო აჭრელებული, არაადამიანური სიძლიერის მქონე, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მგლის ხროვასთან შერკინებისას შეიქმნა. სტალინს მტრების, მათ შორის, თანაპარტიელებისა და თანამებრძოლების სიკვდილით დასჯას ედავებიან!

როდესაც ბურჟუაზიული რევოლუციის მამა, რობესპიერი გელიუტინაზე თავის მოსაკვეთად აიყვანეს, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა დანტონიდან დაწყებული თანამებრძოლების ტრაგიკული აღსასრული, რომელიც მისივე ბრძანებით შესრულდა.

მან სიკვდილის წინ წარმოსთქვა: რევოლუცია ჰგავს მითიურ ღმერთს - სატურნის, რომელიც შვილებს შობისთანავე ყლაპავს!

ერთ-ერთი რუსი მწერალი, ანტისტალინელი წერდა, რომ თავადი გალიცინი, რუსეთის იმპერიის პრემიერ - მინისტრი, რევოლუციის შემდეგ „საპოჟნიკად“ მუშაობდა, მაგრამ რევოლუციამ ესეც არ აკმარა და დახვრიტეს!

ბუნებაში სასწაულები ხდება. მისი დახვრეტის შემდეგ, “საპოჟნიკ” ბესარიონ ჯუღაშვილის ოჯახში დაბადებულმა იოსებ სტალინმა და „საპოჟნიკმა“ კაგანოვიჩმა სახელმწიფო მმართველობა გადაიბარეს.

ჩემი ყურადღება ჟურნალისტ პოზნერის ერთ-ერთმა გადაცემამ მიიპყრო. იგი სტუმრის სტატუსით მიწვეულ მწერალს ეკითხება:

- ვიცი, რომ თქვენ ანტისტალინელი ბრძანდებით, მაგრამ მინდა გკითხოთ,

რა აზრის ხართ მის პიროვნებაზე?

- როცა მე მის სულიერ სიძლიერეს ვგრძნობ, რამდენიმე ნაბიჯით უკან ვიხევ.

- ნუთუ ასეთი ძლიერი იყო?

- კაცმა, რომელმაც შეძლო უპირველეს ყოვლისა ტროცკის მიწასთან გასწორება და დამხობა, მე არ შემიძლია სხვაგვარად შევაფასო იგი!

- დიდ ლენინზე რას მეტყვით?

- გეტყვით იმას, რომ ბედნიერი იყო, რადგან ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ლენინი სტალინის ხელში, ტროცკის ბედს გაიზიარებდა.

ვინაიდან თემა მრავალმხრივ შეიძლება განვიხილოთ, დასკვნა მკითხველისათვის მიმინდვია.

გელა (გიორგი) ლარიაშვილი

მთვარეული ჩანახატი

„ხვედრი პოეტთა". ამაღლებული შთაბეჭდილებებით ჩავამთავრე კითხვა. წავედი ფიქრებში – ამ საინტერესო ადამიანის განვლილ ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე, მის სულიერ სამყაროზე. კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი მის ლექსებს და ფოტოებს, გული დამწყდა, რომ ბეჟან ხარაიშვილის, ამ განუმეორებელი, მგრძნობიარე, ფაქიზი სულის შემოქმედის, ასე მცირე სურათების ალბომი შემოგვრჩა. უკვე საკმაოდ გვიანია...

გვიანი გაზაფხულის მზიანი, ნათელი დილაა. დილის სიგრილე სასიამოვნოდ იკბინება. უნივერსიტეტის ჭადრებს ტიტანებივით შეუდგავს ლაჟვარდი ცარგვალი, ჩიტებს – ჩიტთა ქორწილი გაუმართავთ. ჰაერი, ჰაერი გრილი, გამჭვირვალე, ყვავილის სუნით გაჟღენთილი, სუფთა (ალპურ ზონაში რომ იცის მხოლოდ).

რა ბედნიერი დილაა! თამაზი, ჩემი ძმა, ბავშვობის ძმაკაცი შემხვდა უნივერსიტეტის ბაღში, 34 წლის უნახავი. გადავკოცნეთ ერთმანეთი. რამდენი რამ გვაქვს სათქმელი. ვჩქარობთ, არ ვაცდით ერთმანეთს, სათქმელს რა გამოლევს.

მოულოდნელი სიხარულის რაღაც ენით აუწერელი ნეტარება მეუფლება. რა ხანია ველოდით ამ დღეს. რამდენი რამ მოხდა ჩვენი განშორების შემდეგ. ვიხსენებთ წარსულს; ვესაუბრები ხელოვნებაზე, ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, სიახლეებზე, მომავალ გეგმებზე. ხუმრობაა, ცხოვრების ნახევარი გასულა თითქმის თვალსა და ხელს შუა.

ვაგრძელებთ გზას ლაპარაკში, ამ დროს ჩემი ყურადღება უცხო ახალგაზრდამ მიიქცია. ლურჯ, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი, მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილი კაცი, ლურჯი ჩანთით, ჩაფიქრებული, მუხლებზე გადაშლილი რვეულით. ერთ წერტილს მისჩერებოდა, მეოცნებე, სევდიანი სახით, თვალებში მზის სხივი უბრწყინავდა. ვუახლოვდები, თითქმის გავუსწორდით ერთმანეთს. პროფილში შევცქერი კაცს, რომელსაც არ ვიცნობ. საიდან მეცნობა ეს პიროვნება?

რა ახლობელი და ნაცნობია? ამ დროს როგორ უცხო. ვინ არის იგი? როგორ ახლოსაა იგი ჩემს სულთან. რა დიდ საერთოს ვხედავ ჩვენს შორის. თვალს არ ვაცილებ, როგორ გავს იგი თამაზს. თამაზი გამახსენდა, მოვიხედე და... სად გაქრა ეს ბიჭი? რა ხდება ჩემს თავს? ვაგრძელებ გზას ეჭვებში წასული და რაღაც განათდა უცებ – ეს ხომ ბეჟანია! ჰო, ჰო ბეჟანი, მაგრამ სადღაა ბეჟანი?

გამეღვიძა... დაორთქლილ ფანჯრიდან მთვარე დამყურებდა, მთელი თავისი სისავსით. სწრაფად დავხუჭე თვალები, მინდოდა ისევ იქ, იმ ზღაპრულ სამყაროში, იმ ლეგენდად ქცეულ ბიჭებთან. რამდენი გვაქვს საერთო, რამდენი... მაგრამ ამაოდ. ღამის 3 საა-

თი და 32 წუთია. თვალწინ ისევ ბეჟანის პროფილი მიდგას. არ მინდა ავანთო სინათლე, არ მინდა დავკარგო გონებაში ჩარჩენილი სახე. ბეჟანის წიგნზე ფურცელი მოვამარჯვე და მთვარის შუქზე მისი ჩანახატი გავაკეთე. 3 საათი და 38 წუთია, ღმერთს მადლობა შევწირე.

თამაზმა 1981 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. შემდეგ სწავლა განაგრძო კიევში, წარმატებით ჩააბარა ასპირანტურაში. კეთილშობილი, უნიჭიერესი, საოცარი გულის ბიჭი იყო. 1982 წელს იგი თავის მეგობართან ერთად გაურკვეველ ვითარებაში ტრაგიკულად დაიღუპა. ისინი მდინარე დნეპრში იპოვეს. მათ დაკარგეს ნაშრომები, პირადი ნივთები და რაც მთავარია სიცოცხლე.

იგი 22 წლის ნათელი ბიჭი წავიდა ამქვეყნიდან, როგორც ბეჟანი და... შეუხორცებელი ჭრილობა დაგვიტოვეს გულში. ვინ იცის იქნებ ბეჟანი და თამაზი იცნობდნენ ერთმანეთს – ვინ იცის? არადა თავისი ხანმოკლე, შინაარსიანი ცხოვრებით, როგორ გვანან ისინი ერთმანეთს.

ისინი თითქმის ერთ დროს გავიდნენ ამ ქვეყნიდან. რამდენი სიკეთე, სითბო და მადლი დაგვაკლდა მათგან, მათი უდროოდ წასვლით.

თუმცა რა, უფლის განგებით ჩვენ ადამიანები, ხომ მხოლოდ ცოტა ხნით, დროებით ვშორდებით ერთმანეთს...

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის იარაღი

მიყვარს, ცა, მთები, ყვავილები, ზღვა და დედამიწა...

სიძულვილი არ ვიცი რაა, სიყვარულით ვტკბები. ბედმა სასიკვდილო წკეპლა ბევრჯერ გადამაწნა. შეცდა ბედი, ეგონა მომკლავდა. თვალთ უხილავი ძალა იმ წუთშივე წამომეშველა და ძალა მომცა. არასოდეს მიგვრძვნია სულის შიმშილი. ან რატომ უნდა მეგრძნო? მე ხომ მდიდარი ვარ. სიმდირე სიყვარულია. ჰოდა, ისე უხვად მაქვს ეს სიმდირე ღვთისგან ბოძებული, არ მენანება. თუ მოისურვებენ სხვებსაც ვუნაწილებ. თუმცა, წლობით გაცემული ამაგის მიუხედავად, სიძულვილის ქვები დაუშენიათ. გამოგიტყდებით და გეტყვით: გამკვირვებია, თუ რატომ ან რისთვის? ხმა არ ამომიღია. არასოდეს არ გამომიყენებია სიძულვლის იარაღი. სიკეთის იარაღის ხმარებას არაფერი ჯობია. დუმილით დავდივარ და სიყვარულის ჯავშანი მაცვია. ვიცი არასოდეს მოვკვდები, რადგან ღვინით სავსე ქვევრივით, გულის სარქველი სიკეთისა და მადლის თესვით მაქვს ავსილი.

ძმებს შეჩვეული

იქ, სადაც მთები თავისი სიდიდით ცას წვდებიან, მინდორზე სხვადასხვა ფერის ყვავილები ხალიჩებივითაა დაგებული, სადაც თითოეულ მთას, თავისი სამფლობელო აქვს, სადაც ყვავიან მარადმწვანე სხვადასხვა სეზონის ჯიშის ყვავილები, იმ ბუნების ოაზისში დაბადებული და გაზრდილი ვარ. ყველა მთის ძირში ხეთა ფესვებს ანკარა წყარო ასაზრდოებს. ორი სახელმწიფოს გამყოფივით ზოლად მდინარე ძირულა ყოფს ბუმბერაზ მთებს და თვითონ „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“, მოდის არხეინად მდინარე ძირულა. ძირულის არსებობა რამდენიმე საუკუნეს უნდა ითვლიდეს, არ დავასახლებ ციფრს, რომ არ ჩავიჭრე ჩემ მკითხვულებთან. ჩემი სახლის სულ რაღაც ათ მეტრში, მდინარის ნაპირზე იდგა მსხალი. მამაჩემის გადმოცემით, მსხალი საუკუნის იყო. სასწაული ის იყო, რომ გაზაფხულზე, აყვავებულ პანტა მსხალს, ყინვიანი ამინდებიც რომ დადგომოდა, მაინც ისხამდა. თხილის სისხო მსხალს, ძალიან ტკბილი გემო ჰქობდა. საბანაოდ მოგროვილი ბავშვების დამპურებელი იყო ჩვენი მსხალი. არასოდეს არ მახსოვს, ჩემ მშობლებს, დაეშალათ მსხლის ჭამა. ასე გავიდა თითქმის ოცდაათი წელი და მსხალს ერთი ტოტიც არ მოტეხია ქარისგან. ქარიშხალსა და ყინვას შეგუებულ ბუნებრივ სიმდიდრეს ამაყად ჰქონდა დიდი ტოტები გადაშლილი და სასიამოვნო შესახედი იყო. ჩემს წარმოსახვაში ეს, ბუნებრივი სიმდიდრე, უკვდავების სიმბოლოდ იქცა.

ოცდაათი წლის შემდეგ ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, ყველა წელიწადზე დიდი. გაზაფხულზე როცა თოვლმა დნობა დაიწყო, მშვიდი კამკამა წყალი, თოვლის და ღელეების შენაკადებმა გაავა, გაამხეცა, ადიდებული მდინარე არაფერს ზოგავდა წინ რაც შეხვდებოდა. ქარიშხალმა არც ჩვენი მსხალი დაინდო და ძირფესვიანად მოთხარა. როცა წყლის დონემ დაიწია, წაქცეული მსხლის ხე, გარდაცვლილი ადამიანივით იყო უსულოდ ძირს დაგდებული. იმ, წელიწადს ბეჟანი გარდაიცვალა, მერე ლევანი, თამაზი და ბოლოს ამირანი. უკვდავების სიმბოლოს ხმელი ტოტები, ბოლოს თონის გასახურებლად გამოიყენეს. ასე იქცა ერთ დროს ბუმბერაზი მსხლის ხე ნაცარტუტად.

ჩემი ძმების სახლსაც ოჯახის ფუძის კედელი გამოეცალათ და ძმებს შეჩვეული ყველა ჩემს კუთხის ძმების თანატოლებში ძმებს ვხედავ და ერთ-ერთი ძმა ქიათურელი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, გურამ ცერცვაძეა. გურამი, ჩემს უფროს ძმას ჰგავს შეუპოვრობით, გამტანობით. ლევანი ისეთი ავტორიტეტი იყო, ბევრჯერ მახსოვს, შეჯგუფებული ბიჭების ბირჟა გაყოფილა ქიათურაში, – ლევანის დაა და გავატაროთო. ასე, ამაყად წავედი ბათუმში, კარგი სახელის ავტორიტეტ პიროვნებებთან, პოეტ ეთერი ქელიძესთან და მხატვარ გურამ ცერცვაძესთან ერთად ღონისძიებაზე. ეს სურათი ლამაზი ბათუმის ლამაზი ღონისძიების ლამაზი ისტორიაა, პოეტ ეთერ ქელიძის გადაღებული.

არ დაიჯერებთ, მაგრამ ფაქტია, ეს ასე მოხდა. როცა უმცროსი ძმა ამირან ხარაიშვილი კოვიდით გარდამეცველა, მამა ამირან ამირანაშვილმა ჩემი დაბადების დღეს დამირეკა და მითხრა. შენ ძმა ამირანი გარდაგეცვალა, მე ამირანი მქვია, ამოდი ამაღლების ეკლესიში დად უნდა გაკურთხოვო.

ამაღლების ეკლესიაში, არის დაბრძანებული, ხარაიშვილების საგვარეულოს ხატი ლომისის წმინდა გიორგი. ხატთან მამაომ აანთო სანთელი და დად მაკურთხა. აი, ასე სასწაულების მომსწრე სიცოცხლეშივე ვხდები. სასწაული და საოცრება იყო ისიც, რომ ჩვენ მოვხვდით არაჩვეულებრივ ოჯახში, სადაც ქართული სიწმინდის ჟანგბადი ზომაზე მეტად შეიგრძნობოდა.

ციალა კაკალაძე, ქობულეთის სახელოვნებო სკოლის დირექტორი (კეთილი მასპინძელი)

სიზმარეთი

მესიზმრა: ბუმბერაზ მთებში დავდიოდი, დასალევ წყალს ვეძებდი. ისე მწყუროდა წყალი, ტყის შრიალიც კი წყლის ხმად მეჩვენებოდა. ერთ ადგილს მივუახლოვდი, მეჩვენება? – არა... წყლის ხმა იყო ნამდვილად. გავიფიქრე, მივალ ცოტას ჩამოვასვენებ დაღლილ გულს და წყლის წყურვილსაც მოვიკლავ და მერე ისევ დარდის დაუსრულებელ გზას გავაგრძელებ, რადგან შვილი მენატრება. აუცილებლად უნდა ვნახო. თუნდაც ერთი წუთიც საკმარისი იქნება, რომ მონატრების წყურვილი დავიოკო. მეათე წელია, არ მინახავს. მიკვირს აქამდეც როგორ გავძელი უიმისოდ. კლდეს მივუახლოვდი, ჩემს ფიქრთან ვსაუბრობდი, არც კი გამიგია ისე მივედი. პატარა წყლის მორაკრაკე წყაროს თავს წავადექი. ეს ხომ ქაქიჩოს წყალია, ჭალვანის გზაა? – კი, ის არის. იქვე ლამაზი თავჩაღუნული ახალგაზრდა იდგა, დადარდიანებულს ფერი სულ დაკარგვოდა. შემომხედა ლამაზი ბრიალა თვალებით. დავაკვირდი, ეს თვალები სადღაც მინახავს, მაგრამ სად? – კი, კი, უცებ აღვიდგინე მეხსიერებაში, ჩემს საყვარელ გოგონას, თამუნა მიქელაძეს ჰქონდა ფეისბუქში გაზიარებული. თამუნა წერდა, როგორ გავძლოთ უშენოდო? ასევე წერდნენ დებიც, არ დაგვტოვო შმაგიო! აქ, რატომ

დამხვდა? ესე იგი ცოცხალია, ნეტავი მის დედას, ნეტავ, ტყუილი იყოს და ოჯახის ყველა წევრს დაუბრუნდეს კვლავ სიხარულის დღეები. ახალგაზრდა, ძალიან წესიერი და მოწესრიგებული ჩანდა. გავესაუბრე, თავჩაღუნულმა მიპასუხა: – ახალგაზრდა მეუღლე დავტოვე ორ შვილთან ერთად და მარტომ როგორ უნდა აღზარდოს ბავშვები. მეცოდება დედა, მამა და ჩემი დები. იცით, იმიტომ მეცოდებიან, რომ ისინი ვერ მხედავენ, მე კი მათ ვხედავ, ორმოცი დღე დავტკბები მათი ხილვით, მერე კი წავალ უფალთან, სადაც უკვე მელოდებიან.

ტყეში ხმელი ფიჩხის ტკაცუნის ხმა მომესმა, თითქოს ჩვენკენ ვიღაც მოდიოდა. შმაგიმ გაიხედა და დათაო დაუძახა. გაოგნებული ვუყურებ, ხან ერთს და ხან მეორეს. ვდუმდი... დათამ შმაგის გაუღიმა: – მე აქ ვარ! ხმას არ ვიღებდი. რას ნიშნავს, დათას ეს სიტყვა: „შმაგი მე, აქ, ვარ“.

დათა გატრიალდა, შმაგის მოაძახა: გაიცანი პოეტი ქალბატონია. შენ, რომ ლექსები მოგიძღვნა, გელას დედაა, ჩემი გელა ძიასი. შენ არ იცნობ, ორმოცი დღის შემდეგ, შეგხვდებით. არაფერი იჯავრო ძმაო, ჩვენ იქ, ვართ. მაგ ქალბატონს კი შვილი ენატრება, ყველა გარდაცვლილს საკუთარი შვილივით მისტირის, ლექსებს უძღვნის. შინაგანად დარდის ცეცხლში იწვის. ისე, ძლიერი ქალბატონია, არაფერს იმჩნევს და ცდილობს თავისი კალმით უკვდავების ძეგლი დაუდგას გარდაცვლილთ. შენ რომ ლექსები მოგიძღვნა, მე უკვე ვისწავლე. როცა სამუდამოდ დამკვიდრდები იმ ლექსებს მე წაგიკითხავ. ძალიან მიყვარს ლექსების კითხვა, აი, იმ ბეჟან ხარაიშვილის დაა, ქალვანის საშუალო სკოლა რომ ატარებს მის სახელს. – დათა ისე სწრაფად საუბრობდა, სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი. გზადაგზა შმაგიზე მიძღვნილ ლექსებს იმეორებდა.

სხვა ადგილზე გადავიდა

(შმაგი ლომსაძეს)

ცრემლის წვეთი, შეერია სევდის ტალღებს,
სიმწრისაგან, მამა ღმუის, დედა ტირის...
ყინულები, ქალვანის ტყეს როგორ დალღვეს,
ობოლ ბავშვებს, ჩამოსტირის სახე პირი.
დები, ძმის მკერდს ჩაკონილან,
ცრემლგამშრალი,
მთები გლოვობს, ძირულა კი მიდის ზლაზვნით...
აღარ ომობს ავდრისათვის ქარიშხალი,
ემზადება წასასვლელად, ზეცის მგზავრი.
ცათა ვარსკვლავს, მიემატა სიკაშკაშე...
მნათობები კითხულობენ ვინ მოვიდა?
ღმერთი შვილობს, „შმაგისნაირ“ ღვთის ვაჟკაცებს,
რად დარდობენ, სხვა ადგილზე გადავიდა!

სულის დედები

(პირადად შმაგი ლომსაძის მშობლების გასამხნევებლად)

უსასრულობა სულის სახლია,
უკიდეგანო, მიღმის სამყარო,
აქ, ტირიან და თავს ქვას ახლიან,
ამ დროს სატანა ჩუმად ხარხარობს.
მე შვილ გარდაცვლს მხოლოდ ესა მწამს,
რომ შვილის სული არ დავამძიმო,
გარდაცვალებულს, მხსნელად ღმერთი ჰყავს,
ცაში წასულნი ყველა არწივობს.
ხან ვარსკვლავებად იკაშკაშებენ,
ხან ღუღუნობენ, როგორც მტრედენი,
ცას მზის სასახლეს აშენებენ და...
მათ უპატრონებს სულის დედები!

ხვანში და ჭალვანში

შეხედეთ ფიგურებს, რომ არ თვლით არაფრად...
ქაფქაფა თეთრებს და მზესაც რომ ჯობნიან.
შავ ღრუბლებს იცოცხლე, უხვად აქვს ბარაქა,
ხვანში და ჭალვანში წვიმად რომ მოდიან.
ცას რატომ მომრავლდა, სულ ახალგაზრდები,
ხოხობი, არწივი, გნოლი და კაკბები,
ნუ გიკვირს ბედო, რომ ძალიან ვბრაზდები,
შენით ვარ, ნაჯიჯგნი, ძაღლივით ნაკბენი.
არ გწყევლი, რადგანაც თავს შენ არ გიტოლებ,
ცოდვა ხარ, რომ სძულხარ, ალბათ მთელ მსოფლიოს,

ჩემს გულში ვინც არის, არავის მიტოვებ,
მოიწი, მოგწმინდო ბოროტი, ოფლიო.
ვიცი რომ მიხედავს, სუყველას უფალი,
ივიკოს, ჩემს გელას, შმაგის და დათიას,
მომშორდი, მე შეგან ვარ თავისუფალი...
ცის სახლში ქაბუკნი, ვარსკვლავად ანთიან!

შმაგის კი თავისი ცოლ-შვილის და ოჯახის წევრების სურათები გაეშალა და დაღონებული დასჩერებოდა. კარგა ხანი ვიყავი გაოგნებულ მდგომარეობაში, ბოლოს ამოიოხრა, მადლობა გადამიხადა და დამპირდა, რომ ჩემს შვილს ნახავდა და ჩემგან მონატრებულ მოკითხვასაც გადასცემდა.

მამლებმა იყივლეს, ნუთუ გათენდა, ღამე იყო კი? სიზმარში ვარ? კი სზმარში ვყოფილვარ, რადგან მამლები ყივის, გათენებულა.

დილით როცა გავიღვიძე, თვალწინ დამიდგა, ის მწარე დღეები, რაც თავს გადამხდა მამა ილარიონ მიქელაძე რომ მოვიდა თავის დაიკო თამუნასთან ერთად და ჩემი შვილის ცხედართან ფიცი დადო.

აი, მამა ილარიონის სიტყვები: გელა, ჩვენ ერთად გავიზარდეთ, სანამ მე ცოცხალი ვიქნები, ჩემგან ლოცვა არ მოგაკლდებაო. თამუნას კი ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები.

აი, რატომ ვნახე სიზმარი. სული არ კვდება. გარდაცვალება კი სიკვდილს არ ნიშნავს. მთავარია რწმენა – სიცოცხლე ორთავ ქვეყანაში გაგრძელდება.

პატარა გენიოსი



სვანეთის ბუმბერაზ მთებში, სადაც სულის სიმტკიცეა, სადაც იციან, მოყვასის დახვედრაც და მტრის გამასპინძლებაც, იბადებიან უფლის რჩეულნი. მთა მთას გასძახებს: – დილა მშვიდობისაო. კაცი ოჯახის დიასახლისს შესძახებს, ბალღებს მიმიხედეო და დილიდან საღამომდე, შრომაში აღამებს. არ არის იოლი მთაში ცხოვრება. დიდთოვლობის დროს გზები იკეტება და იმ მთაში მცხოვრებნი, ხშირად შიშსაც შეუპყრიათ. სვანები ასეთ დროს ყოველთვის უფროს თავკაცთან ერთად, ღმერთის სადიდებელ ლოცვას აღავლენენ. ერთ ლამაზ და მზიან დღეს სვანეთში, ერთ ჩვეულებრივ ქელიძეების ოჯახში, არაჩვეულებრივი ბიჭი გაჩნდა. მას ვაჩე დაარქვეს. ვაჩე ძალიან განსხვავებული ნიჭისაა, ჯერ სკოლაში არ არის მისული და კითხულობს, წერს და ქადრაკს იმ დონეზე თამაშობს, ბევრი ნიჭიერი მოქადრაკეც დამარცხებული ჰყავს. მან „ვეფხვისტყაოსანი“ ზეპირად იცის, როგორც ქართულად, ასევე სვანურად. თავისი ნიჭით და სიდინჯით, ყველას ყურადღებას იპყრობს პატარა გენიოსი. სურათზე ვაჩე ისე ჩახუტებია ადგილის დედას, თითქოსდა ამხნევებს უსულო საგანს: – არ შეშინდეთ, თქვენ თავს, არავის დავუთმობო. მერე კლდეს შორდება და თვალით ზომავს, ზეცის ტოლ მინდვრებს, რომლებიც ისე ახლოს არიან ცასთან, თითქოსდა ერთად სძინავთ მთას და ზეცას გვერდიგვერდ. ბოლოს თავდაჯერებული თავის პაპიდასთან, ქალბატონ ნათია ქელიძესთან მივა და უთქმელად აგრძნობინებს: – მე საქართველოს მხსნელად მომავლინა უფალმა. გავიზრდები და დაკარგულ ტერიტორიებს, დავიბრუნებო! თვითონ ნათია ქელიძე, თავისი სიდინჯითა და სილამაზით ბევრი პოეტისთვის არის მუზა. ჰოდა, აი, ჩემგან ეს ლექსი ქალბატონ ნათიას.

სხვა სამყარო ხარ, რაღაც უცხო, უკიდეგანო,
ვარსკვლავთ ქვეყნიდან ჩამოსული, ქალი ღვთაება...
მე ვისურვებდი, მომავალი შენ დაგემგვანოს,
იყოს მშრომელი, ლამაზი და არა თავნება.
დედოფალი ხარ, უგვირგვინო, ვარდის სამოსით,

გაზაფხული ხარ, სურნელოვან, ფერთა გამებით...
ბევრ ვაჟკაცს თამილ, ალბათ, გრძნობით, ცრემლი ჩამოდის
და ზოგიც არის სიყვარულით განაწამები.
ეტალონი ხარ, სიწმინდის და გახლავს ღირსება,
სილამაზე კი, ვიმეორებ, მზის სადარია...
ლოცვით, სასმისი სადაც არ ხარ, იქაც ივსება,
შენი სიდინჯე, გენიოსთა თანაბარია!

ობოლი ნაკვეჩხალი

ლამაზ ბუმბერაზ მთებში გაზრდილი, ყველაფერი სუფთაა და გემრიელი. ტყის მარწყვი, ზღმარტლი, სოკო და სხვადასხვანაირი ხილი და იქ გაზრდილი ბავშვების სულიც კი სუფთაა. სუფთა და უმანკოა მათი სიცელქეც კი. ამბავი, რომელსაც ახლა ვწერ მე მეხება, როცა პატარა ვიყავი, სკოლაში არ დავდიოდი. დედმამიშვილებიდან მე მესამე შვილი ვიყავი. ლევანი, თამაზი და მესამე კი მე. ვერცხლის წყალივით მოსრიალე და მოუსვენარი, ძალიან ცელქი დედის დავალებებს ფაცხაფუცხით შევასრულებდი და დილიდან საღამომდე მდინარე ძირულის პირზე წავიღებდი წიგნებს და ვკითხულობდი. კითხვა და წერა სკოლაში მისვლამდე მასწავლა ჩემმა უფროსმა ძმამ ლევანმა. მთელი დღე ვაცხობდი ქვიშის ხაჭაპურებს. ყველის მაგივრად ქვიშის ცომს ქვებს ჩავულაგებდი და მზის ცეცხლზე ვაფიცხებდი. ძირულის პირზე ბრტყელ ქვებს თეფშებად ვხმარობდი, ჩემთან მოსულ ფიქრის სტუმრებს (ჩემნაირ ცელქ ბავშვებს) მასპინძლობას ვუწევდი. როცა დავიღლებოდი, გავძახებდი იქვე ახლო მცხოვრებ ლენას და კლასობანას ვთამაშობდით. ფეხის თითები, ქვებით მქონდა დასისხლიანებული. ერთ დღეს, შეჯიბრი მოვაწყვეთ ვინ უფრო მაღლიდან გადმოხტებოდა ძირულის მორევში. ჯერ ხიდიდან დავიწითლეთ გვერდები, წყალში ტყლაშატყლუშით და მერე, სახელურზე გადავინაცვლეთ, აქაც გავიმარჯვე. ჰაერში ავტრიალდი და ღომა თევზივით წყალში გავუჩინარდი. არც შიმშილი მახსოვდა და არც სახლი, წიგნები იქ მქონდა და გართობის ყველანაირ ხერხს ჩვენ ვიგონებდით. მამამ დამიძახა, ცოტახნით ამოდი შვილო სახლშიო. კარგი მოსაქმე ქალბატონივით მამის გვერდში წამებში გავჩნდი. მამამ გენაცვალოს,

დედაშენი სახლში არ დამხვდა, მეგობარი მოვიყვანე, აბა, დატრიალდი და სუფრა გაგვიშალეო. ჩქარა-ჩქარაში თეფშებს, სულ რახარუხი ავუყენე, ვცდილობდი მამის დავალება მალე შემესრულებინა და წყალში გავქცეულიყავი. ასეც მოვიქეცი, რაც კი ოჯახში გაგვაჩნდა ხუთ წუთში მაგიდაზე აღმოჩნდა. მამის მეგობარი თურმე გაკვირვებით მადევნებდა თვალს და ეს რა კარგი დიასახლისი დადგებაო, ხმამაღლა წარმოთქვა. გამესაუბრა, მეც სხაპასხუპით ვუპასუხე, რადგან გზისკენ მქონდა თვალები, უნდა გავქცეულიყავი. ის იყო, კარებიდან ფეხი გადავდგი გასაქცევად, სტუმარმა მთხოვა: – ბიძამც გჭირიმოს, ბუხრიდან, ერთი ობოლი ნაკვერჩხალი მომიტანეო. სწრაფად შემოვტრიალდი, ხის გამოჩორკნილი საკეცეთი ერთ დიდ მუგუზალს ხელი დავავლე და სტუმარს მივაწოდე. სტუმარმაც ნელა-ნელა მოუკიდა თუთუნის სიგარეტს და შემომხედა. შენ, ისე მარჯვე და ლამაზი გოგონა ხარ, ვიფიქრე როცა გაიზრდებოდი რძლად უნდა წამეყვანე. ახლა გადავიფიქრე, რატომ? ინსტიქტურად წამოვიყვირე ექვსი წლის ბავშვმა. რატომ და მამამთილს ცეცხლის მუგუზალი ეგრე უნდა მისცე პირში? გავიდა წლები, ეს ჩემი სიცელქის ისტორია გონებას შემორჩა და უკვე დიდ ასაკში მოვუყევი ეს ამბავი ჩემს რძალ თინას. მაინც მაინტერესებდა, რატომ მივიღე საყვედური, მამას მოყვანილი მეგობრისგან. დედაჩემმა ყური მოკრა ჩემსა და ჩემი ბიძაშვილის ცოლის (თინას) საუბარს და ამიხსნა: – შვილო, ობოლი ნაკვერჩხალი ნიშნავს, სულ ცალკე რომ დევს თავისთვის ცალკე ობლადო. გულში ტკივილი ვიგრძენი, მას შემდეგ, უსულო საგანიც კი ობლად დარჩენილი მეცოდება. მე კი დავრჩი მამაჩემის მოყვანილი მეგობრის დაწუნებულ სარძლოდ!

ჭიჭიკოს მორევი

სახლი, სადაც ვცხოვრობდი, ოც მეტრზეც არ იყო დაცილებული მდინარე ძირულის ნაპირებიდან. იქ ჩარგულ კაკლებს, ერქვათ და ახლაც ჰქვიათ კოლიას კაკალი. კოლია ბიძა იყო ჩემი. პედაგოგ ბიძაჩემ კოლიას ანუ (ნიკოლოზის) ხელში გავიზარდე. მათემატიკოსი ჰყავდა მეუღლე. ბიცოლა თამარა ძალიან ნიჭიერი და კეთილი ქალბა-

ტონი იყო. მდინარის გასწვრივ ახლაც არის ლევის, ამირანის, ბეჟანის და თამაზის კაკლები. მათი პატრონები ზეციდან დაჰყურებნ თავის ხელით დარგულ ხეებს. თვითონ კაკლები კი მდუმარედ დგანან და ხან ყინვისგან ცვივათ მოჟარული ფოთლები და ხანაც კიდევ ნაყოფს ისხავენ. მაინც რანაირია ადამიანის ბუნება. შემოდგომით, როგორი გამეტებით ურტყავენ საგანგებოდ ხელით გამოჩორკნილ ხალას, საცოდავ კაკლებს. კაკლებსაც ვერ გაუგიათ როგორ მოიქცნონ. თუ მოისხამენ, ცემენ. თუ ერთი ორი წელი გავიდა და არ მოისხეს, დიდ ბირდაბირი ხერხი მიაქვთ და ძირში ჭრიან. ადამინები უმადურები არიანო, გულში ფიქრობენ.

კაკლების გასწვრივ, ერთ ადგილზე, საკმაოდ ღრმა მორევია, რომელსაც ჭიჭიკოს მორევს უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა. ფერდობზე შეფენილია აქა-იქ, სერზე მიმოფანტული სახლები. მათ სერელებს უწოდებენ. ზევიდან დედა შვილს რომ გამოძახებს, სად ხარ? დაბლიდან ბავშვი პასუხობს. ჭიჭიკოს მორევში ვბანაობ. ნებისმიერი დედა, ნახევრად დამშვიდებული მიბრუნებულა სახლში, რადგან მთის ძირში, ძირულის პირში ჩვენ ვცხოვრობდით და უნდოდა თუ არ უნდოდა დედაჩემს, მაინც უხდებოდა ყველასთვის თვალყური ედევნებინა. მერე როცა დაუძლურდა, აივანზე

იწვა, შუბითიძის ქალბატინი, შვიდი შვილის დედა და გაჰყურებდა, გზის დასალიერს. ერთ დღეს, ზედა უბნიდან, მანანა მაჭარაშვილი ჩამოვიდა საბანაოდ, მანანა ძალიან ლამაზი, ტანადი და მომხიბლელი ბავშვი იყო. გაცილებით პატარა იყო ჩემზე. ტანით და სიძლიერით კი ჩემზე ყველანაირად კარგი. მე, ერთი ფურცელივით სიფრიფანა, კარჭიოტა თევზივით წელწვრილი, ბავშვი ვიყავი. ერთად ჩავედით წყალში, თან ტანსაცმლით. მაშინ ვინ გაშიშვლდებოდა, ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო იმ დროში. მანანამ ცურვა არ იცოდა, მე ოცდაოთხი საათი წყალში ვიყავი და ისე მიშვილა ძირულამ, არც ფეხს ვხმარობდი და არც ხელს, ისე ნაფოტივით დამაფარფატებდა ტალღები. ერთი საცურაო ადგილიდან მეორე ნაპირამდე.

ჭიჭიკოს მორევი (ანუ მამაჩემის) სახელწოდების ადგილი ავირჩიეთ. წყალში ამოზრდილი დიდი ქვა ახლაც არის, ბანაობით დაღლილი ბავშვები, ჩიტის ბეღურებივით შემოვსკუპდებოდით ხოლმე საუკუნეებით მობინადრე ქვაზე. ქვის შიგნით იყო კიდევ თვალთ უხილავი ქვა, რომელზეც დაღლილ მუხლებს ვასვენებდით და მაინც წყალი წელზევით გვფარავდა. ვიბანავე, ავყევი და დავყევი მდინარის მოლივლივე ტალღებს. მანანა კი იჯდა ნაპირზე ბროლივით ფეხებს ამღვრეული წყალი უფარავდა. შემეცოდა ამღვრეული წყლისთვის მისი ქათქათა სხეული და გულით ვთხოვე, რომ წყლის შუა გულში მომყოლოდა და იმ ქვაზე დამდგარიყო, რომელიც წელს მაინც დაუფარავდა. არაო, მითხრა, მე კიდევ არ მოვეშვი და ჩემი ახირებული თხოვნით, კინაღამ ორივე ბავშვის სიცოცხლე, ჩემი და მანანასი, საბედისწერო აღმოჩნდა. მანანა ცოტა ხნით მშვიდად იდგა ქვაზე. მერე ვუთხარი, ახლა მე იქით გავცურავ და შენ აქ, ამ წყლის შუა გულში გაჩერდი. კიო, თანხმობა მომცა, ოდნავ რომ გადავიწიე გასაცურად, კაბაში მომწვდა. აი, რატომ არ უნდა გეცვას ბანაიობის დროს ფართხუნა კაბა. ფიზიკურად ძლიერი მანანა მომერია და მორევის ფსკერზე აღმოვჩნდით. გონება არ დამიკარგავს, არც შემშინებია, რადგან ნაპირი არ იყო შორს, ინტუიციით გავიყვანდი ნაპირამდე და ისევე შემატრიალებდა სიღრმისაკენ, რადგან მას ნაპირი იქით ეგონა. სანამ ჰაერი მეყო ასე ვიბრძოლე, მდინარის ფსკერზე. ასეთი სვლა, ალბათ, ოთხჯერ მაინც მქონდა გაკეთებული და ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. გავიფიქრე, ვიხრჩობით და მოვახერხე მდინარის მაღლა თავის ამოყოფა. მთელი ძალით დავიყვირე, გვიშველეთ. ყოველთვის სავსე იყო ძირულის პირი ბავშვებით, იმ დღეს კაციშვილი არსად ჩანდა. ერთხელ კიდევ გავიბრძოლე და ვიღაცა მამაკაცის მკლავებში აღმოვჩნდი. მანანას მამა, გრიშა მაჭარაშვილი. ის მამაჩემის მეგობარი იყო, ერთ-ერთი უბნის ბრიგადირი ანუ მამაჩემის კოლეგა და მეგობარი. გრიშა ბიძიას წამებში ორი ბავშვი ვეჭირეთ ხელში, თავისი შვილი მანანა მაჭარაშვილი და მეტიჩარა გულნაზი, რომელმაც კინაღამ ჩემი ახირების მსხვერპლი გავხადე მისი შვილი და ჩემი მოუსვენარი თავიც.

ბედისწერა

მამაჩემი სოფლის ბრიგადირი იყო. დაუჯრებელია, მაგრამ რეალურად ასე მომხდარა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ბიძაჩემი. ნიკიფორე ხარაიშვილი, ომში წაუყვანიათ. ერთ თვეში ცნობა მოსულა, ერთ-ერთი საომარი ოპერაციის დროს დაღუპულა. ბებიაჩემს ნერვიულობაზე მუცელი ატკივებია და მამაჩემი ნაადრევი მშობიარობით დაბადებულა. ბებიაჩემი მართა მახათაძე გარდაცვლილა. გაბოროტებულ ბაბუას ჯერ პირადობა ჭიჭიკოზე გაუკეთებია და მერე უფიქრია ცოლი მომიკვდა და ახლა ნიკიფორეს გავაცოცხლებო და მამაჩემისთვის პირადობა შეუცვლია. ასე გახდა მამაჩემი ნიკიფორე ხარაიშვილი. ომიანობის პერიოდში მამაკაცები თითქმის სოფელში აღარ ყოფილა. თვითონ ბაბუა ორჯერ ყოფილა სამამულო ომში. მერე მდინარე ძირულაზე საკუთარი წისქვილი გაუკეთებია და იქ იყრიდნენ თურმე თავს ახალგაზრდები. კოლმეურნეობა რომ შემოვიდა, გაუკულაკებიათ ბაბუა. მდიდარი ხარო. მაშინდელი კერძო წისქვილი სიმდიდრედ ჩაუთვლიათ. მამაჩემი თექვსმეტი წლის ყოფილა და ბრიგადირად დაუყენებიათ სოფელში. ძლიერი ყოფილა, ჭიდაობდა

და ვერავინ აქცევდა და თავის ტოლებში საკმაოდ ავტორიტეტულს სოფლის ბრიგადირობა არც გაჭირვებია. სოფელში კრამიტიც იჭრებოდა. სწორედ კრამიტის ქარხანაში იყო წასული, როცა მე და ლენა ხარაიშვილი, დედამ მამაჩემის დასაძახებლად გაგვგზავნა. იქ ხიდი იყო გასავლელი, მაგრამ დედამ მითხრა, დაუძახე შვილოო და მამა გამოგხედავსო. რაღაც აუცილებელ საქმეზე მამა სახლში უნდა მისულიყო. ახალი გაზაფხული იყო, ბუმბერაზ მთებიდან, თოვლი ლღვებოდა და მდინარე ძირულას უერთებოდა. ადიდებული წყალი თითქმის ხიდს წვდებოდა. მამაა! გავძახე, ჩემი ხმა ძირულამ წაიღო. სხვა გზა არ იყო, ხიდი უნდა გაგვევლო მე და ლენას,

მამაჩემამდე რომ მივსულიყავით. ხიდზე შევდექით თუ არა თავბრუ დამეხვა და უკან გამოვბრუნდი. ლენა კი პირიქით, ორჯერ გავიდა და გამოვიდა. ბოლოს ხელი მომკიდა და ძალათი შემაყენა ხიდზე. დავმორჩილდი, მეგონა ფეხს სწორად ვადგამდი, მდინარეში გადამიდგია ფეხი და ხელიხელხელჩაკიდებული გულწასულები წყალმა, აღმა დაღმა გვატარა და ნაპირზე გამოგვრიყა. ბოლოს ტალღების ცემამ მოგვაფხიზლა. ერთმანეთს ხელი გავუშვით და წამოვჯექით. ფეხსაცმელი არცერთს აღარ გვქონდა. სული რომ მოვითქვით, სველი ტანსაცმლით მამას ვეწვიეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ სიცოცხლე გიწერია ყველგან გადარჩები. წარმოიდგინეთ, აზვირთებულ მდინარის ტალღებში ხელიხელჩაკიდებული ორი პატარა გოგონა. სკოლაში არც ერთი არ დავდიოდით. მე დედაჩემისგან ის დავალება მქონდა რომ ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირთან აშენებულ კრამიტის ცეხში მომუშავე მამასთვის უნდა დამეძახა. როცა მამას გავკიოდი, ჩემი ხმა აზვირთებულ, გაავებულ ტალღებს მიჰქონდა. ჩემთან შედარებით ლენა უფრო გაბედული აღმოჩნდა და საცალფეხო ხიდზე, ორჯერ გავიდა. შიში ძალიან ცუდია, არასოდეს შიში გულს არ უნდა მიაკარო. შიშის ბრალი იყო, რომ მდინარის ტალღებში აღმოვჩნდით. არ გვეწერა დახრჩობა და გადავრჩით. ახლაც თვალებში მიდგას, მდინარისგან გამორიყული, თევზებივით მიწყობილი, პატარა გულნაზი და ლენა!

რატომ ვტოვებ ლუკმას?

ზაფხულის არდადეგებზე ყოველთვის თავს ვიყრიდით შუშანა ბებიასთან. ჩამოვიდოდნენ თუ არა კალვათიდან მისი შვილიშვილები ნათელა და ნაილი, შუშანა ბებია იმ წუთში სახაჭაპურე ცომს წაზილავდა. გიორგი ბაბუა ხმელ შეშას დაამატებდა ბუხარს და კეცებს ზედ გადაალაგებდა. სანამ თიხის კეცები გაცხელდებოდა, შუშანა ბებიას ცომის გუნდებიც ამოღებული ჰქონდა, ნახევრად მარილიან ყველით გაავსებდა

და გადააკრავდა შეშის ცეცხლზე გახურებულ კეცებს. ათ წუთში ხაჭაპური მზად იყო. დაგვიჭრიდა, დაგვაპურებდა და მერე გავიდოდით, ყვავილებით სავსე ეზოში. ეს ასე ხდებიდა, ზაფხულის არდადაგების პერიოდში. ერთხელ, შუშანა ბებიამ მე და ნაილი გელაშვილების უბანში მარუსა ბიცილასთან გაგვგზავნა. რაღაცა გაგვატანა, აღარ მახსოვს რა იყო. ისეთი პერიოდი იყო, თეთრ მსხვილ ბალს სიმწიფისაგან გადაპრიალებული ჰქონდათ მარცვლები. მარუსა ბიცოლამ არ გამოგვიშვა, ბალი ჩამოგვიკრიფა

და მოგვართვა. მე და ნაილის გარდა, სხვა პატარა ბავშვებიც გვახლდნენ, ჩემი ძმა ამირანი რომ იყო ეს კი ვიცი. ბალი წამებში თეფშიდან ასლაპეს ბავშვებმა. მაინც რა არის ბავშვის თვალი, ბალი ჩვენც ბევრი გვედგა ეზოში. მამაჩემი ტყეში სადაც მწარე ბალს ნახავდა, გაზაფხულზე ყოველთვის დანამყნიდა. ერთხელ შევეკითხე, მამა ასე რატომ აკეთებ, ტყეში ფრინველები, მწარე ბალს წუნობენ? მამამ მიპასუხა, შვილო, მგზავრი წააწყდება და პირს გაისველებსო. არა და მამას, თვითონ ბალი არ უყვარდა. არასოდეს არ შეუჭამია, რატომ არ ვიცი. ჩვენმა მასპინძელმა მარუსა ბიცოლამ ცარიელი თეფში რომ დაინახა, ამირანს უთხრა: მიდი გენაცვალე, ჩამოკრიფე კიდევო. ამირანი წამოხტა, ვედროს ხელი დაავლო და ბლის კენწეროში მოექცა. მიბდღვნა-მოლეწა ტოტები და სწრაფად ოთახში გაჩნდა. მარუსა ბიცოლამაც ისევ კულტურულად, წყალი გადაავლო ბალს და წინ დაგვიდგა. თეფში ისევ წამებში მოცარიელდა. მესამედ რომ თეფშს ხელი მოკიდა ჩვენმა კეთილმა დიასახლისმა, ნაილიმ წამჩურჩულა: გულ-ნაზ, გააფრთხილე ეგ დამშეული ბავშვები, თეფშზე რომ შეჭამენ, ცოტა ბალი დატოვონ, ვითომ აღარ უნდათ. მაგათ ხე რომ მოჭრან და წინ დაუდგან, მაინც არ ეყოფათ. მეც ბავშვებს გადავუჩურჩულე ნაილის შენიშვნა. იმათმაც დამიჯერეს და თეფშზე ბალი დატოვეს, ვითომდა აღარ უნდოდათ. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა და ნაილის ეს მითითება, ისე ჩამრჩა მეხსიერებაში, არ არსებობს, თეფშზე ლუკმა არ დავტოვო. ახლა აქეთ ვიღებ ახალგაზრდებისგან შენიშვნას, მოკლედ რა, ამან ხომ ყოველთვის რაღაცა უნდა დატოვოს. რა არის იმდენი გადმოიღე, რამდენიც გინდა, ერთხელ შვილიშვილისგანაც მივიღე შენიშვნა. ახლა ნაილი ცოცხალი აღარ არის, ნაილი ხარაიშვილი – ხეთერელი, ეს მოგონება შენ მოგიძღვენი დაიკო. თვალწინ მიდგას, ის დღე, როცა ეს მოხდა. ახლა უფალი ხედავს, როგორ მომწყდა თვალიდან ცრემლი, განა დაეცა? არა, დაო, ლუკმასავით შერჩა ჩემს სახეს. დილით კიდევ მტრედი მოფრინდა კარგა ხანს იფრთხიალა, ეს კი ნამდვილად შენ იყავი, მტრედის სახით გამომეცხადე. დავამთავრე თუ არა მოგონება, მტრედიც გაფრინდა!

ეს რომ არ მოხდეს

როცა ტკივილი შეგხვდება, სული თანდათანობით ძირს დალექვას დაიწყებს, ეს რომ არ მოხდეს, ხორცს არ უნდა მისცე ზეიმის საშუალება. უნდა იბრძოლო, რათა სული იხსნა ტანჯვისაგან. სწორედ ეს იყო მიზეზი, ამაყი სვანი ქალბატონის, რომ დაეტოვებინა შვილები და საზღვარგარეთ წასულიყო, რათა ობლებს ლუკმა ქონებოდათ. ოცდათორმეტი წლის ქალბატონმა, დარდის მდინარეში ვეღარ გაძლო და ეკლიან გზას დაადგა. მაინც რა არის დედაშვილობა, რას არ მოიფიქრებ, რომ შვილებს არაფერი მოაკლდეთ. წავიდა, დარდის მდინარეს გაცილდა და ნოსტალგიის ფიქრთან დასახლდა. გულმა ვერ გაუძლო ტკივილს და ლექსებად დინება დაიწყო სულის



არეალიდან. დაგროვდა ცრემლიანი სტრიქონები და ემიგრანტმა ქალბატონმა ჩათვალა საჭიროდ, რომ წიგნად გამოეცა, ტკივილიანი განცდები. ასე დაიბადა ქალბატონ თამარ ნიუარაძის პირველი პოეტური კრებული. მკითხველი კრიტიკულადაც, რომ მიუდგეს, საგანგაშოს ვერაფერს დაინახავს. ეს წიგნი „ემიგრანტი ქალი“ მისი პირველი თოთო ნაბიჯია, რაც იმას ნიშნავს, თანდათან გაიმართება და დაიხვეწება. მე ღრმად მჯერა, რომ დაიმკვიდრებს ქართულ პოეზიაში ადგილს. ამჯერად ეს მისი გულის ამოძახილია, რომელიც ფურცელზე გადმოიღვარა. ქალბატონ თამარს ვუსურვებ პოეზიის მწვერვალების დაპყრობას და სამშობლოში დაბრუნებას.

მამაოს დიდსულოვნება

გააჩნია იმას, ვინ გამოიჩენს შენ მიმართ ყურადღებას. როცა ყინვისგან გათოშილი შინაგანად ძაგძაგებ. როცა შენს ირგვლივ ღრუბლებია. დარდის ზღვაში ცურაობ და ნაპირს აღარ ეძებ, რადგან საითაც არ უნდა გაცურო, მნიშვნელობა არა აქვს, ყველგან ერთი და იგივე დაგხვდება. ცრემლი, ხავს მოჭიდებული საზოგადოების უმრავლესობა. ამ დროს, თვალდახუჭული

მიდევ მდინარის დინებას და რომც არ გააღწიო ნაპირს, მაინც სიკეთეზე ფიქრობ, ასეთია ჩემი შინაგანი მრწამსი. ხუთ მაისს, კვლავ ჩემ დაბადების დღეზე, ისევ ჩემ ირგვლივ მყოფთა საზოგადოებაზე ვფიქრობდი და უფალმა მამაოს სახით გამომიგზავნა ჩემი გარდაცვლილი ძმის (ამირანის) სული. მამა ამირანმა ამაღლების ეკლესიაში თავის დად მაკურთხა და აკადემიის რამდენიმე წევრსაც მოალოცნინა ჩემი დაბადების დღე. ხოლო ქალბატონი ეთერი ჭელიძის მოსვლამ და ბატონი ივერი ჭელიძის მობრძანებამ დიდი სიხარული გამოიწვია. მათი მოსვლით აღფრთოვანებულმა კულმინაციამ ზეცას მიაღწია და ჩემს წარმოსახვაში ციდან დედამიწაზე ჩამოვიდა ნელი გელაშვილის და ივიკო ჭელიძის სული, ჩემი პოემის პერსონაჟები. მადლობა უფალს, ამხელა სიხარულისთვის, რომ მამა ამირანის სახით სულიერი ძმა შევიძინე. დიდი მადლობა აკადემიის წევრებს: ქალბატონ ხათუნა ელიაშვილს და პოეტ ლამზირა შეყილაძეს. იმ დღეს, ერთ რამეში დავრწმუნდი, დარდიან გულს კვლავ შეძლებია სიხარულის შეგრძნება.

სხვისი სიხარულით ვცხოვრობ

მხატვარი ქეთი მაზიაშვილი, რუსთავისკენ მიმავალ მიკრო ავტობუსში გავიცანი.

სამი წლის წინ მომხდარი ამბავია, რასაც ახლა მოგითხრობთ:

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო. არანაირი კონდიციონერი არცერთ მძღოლს არ ჰქონდა ჩართული. თვითონაც იხრაკებოდონენ ცხელ გავარვალებულ რკინის სკამებზე და მგზავრებიც ამ დღეში ვიყავით. მათიც მესმოდა, რადგან დიდი გადასახადები ჰქონდათ შესატანი და რა ექნათ. ასე, რომ კონდიციონერი დიდ ფუფუნებად ითლვლებოდა. ამიტომ, მძღოლები მგზავრების გულის მოსაბრუნებლად კარებსა და ფანჯრებს ერთდროულად აღებდნენ. გარედან კი აუტანელი სიცხე შემოდიოდა. თუ ვინმე შენიშვნას გაბედავდა, თვითონაც გაბოროტებული მძღოლები შეტევაზე გადმო-

დიოდნენ: – გეგმას გვიმატებენ, ცოლ-შვილი რით ვარჩინოთო – და ისინიც მგზავრებთან ერთად ერთ ტაფაში იწვებოდნენ, (მიკროავტობუსების ტაფაში). იმ დღეს წინა სკამზე მომიწია დაჯდომა. მე ყოველ დღე მიწევდა სიარული, რადგან რუსთავში ვცხოვრობ და თბილისში ვმუშაობ. შეგუებული ვიყავი სიცხისაგან გამოწვეულ უსიამოვნებებს. წყლით გაყინული ბოთლით დავდიოდი. გაყინულ ბოთლს ერთი წლის უნახავი საყვარელი ნათესავივით ვიხუტებდი გულში. როცა ეს ამბავი მოხდა, მიკრო ავტობუსში წინა სკამი შემხვდა და გვერდით ახალგაზრდა, შვილის ტოლ, გოგონასთან მომიწია დაჯდომა. ჩემი წყლის იარაღით შეიარაღებული მიუჯექი გვერდში, იდუმალებით მოსილ ახალგაზრდას.

ორთაჭალას მივუახლოვდით, ჩვენ უკან ერთი ახალგაზრდა გახდა ცუდად. ხელჩანთიდან ნახევრად გამღვალი მეორე ბოთლი ამოვიღე და ახალგაზრდებს გადავაწოდე. ამჯერადაც ერთი ადამიანი ვიხსენი გულის წასვლისაგან. გზა განვაგრძეთ, ცხელი ქარის ბუღში და მტვრის კორიანტელში. ბოლოს ჩემ გვერდზე მჯდომ გოგონასაც შევაფეთე თვალი. შევატყვე, რომ არც ის იყო კარგ დღეში. იმდენად მოკრძალებული ჩანდა უჭირდა, მაგრამ თავშეკავებით იტანდა გაუსაძლისი სიცხის პარპაშსს. ლამაზ იდუმალებით მოსილ თვალებში კი შიში დასთამაშებდა, ცუდად გახდომის შიში. – შვილო, გამოვესაუბრე, – აიღე ჩემი გაყინული ბოთლი, ჩაიხუტე გულში მონატრევული ადამიანივით, აუცილებლად გამოხვალ მდგომარეობიდან-მეთქი. ბოთლი გამომართვა, სახეზე ნაზად დაიდო, გული დაიამა. ასე გადადიოდა ხელიდან ხელში გაყინული პლასმასის ბოთლი რუსთავამდე.

ჩასვლის დროს ბილეთი ამიღო, ტელეფონიც გამომართვა. გავიდა რამდენიმე თვე და შემეხმიანა: – მე ქეთი ვარ, ერთად რომ ვიმგზავრეთ და სიცხეში რომ მომასულიერეო. ქეთი თავის სახლში მთხოვდა მისვლას, მისამართი მომცა, რუსთავის მეცხრამეტე რაიონში უნდა მივსულიყავი.

ჩემს მეგობარს, აკადემიის წევრს გადავურეკე, პოეტ ლამზირა შეყილაძეს და წავედით. დათქმულ ადგილზე შევხვდით ერთმანეთს. გზა განვაგრძეთ მისი საცხოვრებელი ბინისაკენ, ირგვლივმყოფები ესალმებოდნენ. ქეთი არ იშურებდა მათი მისამართით თბილ სიტყვებს. სადარბაზოს შესასვლელთან მეუღლე შეგვხვდა, ახალგაზრდა ლამაზმა ვაჟკაცმა გზა დამითმო და ასე დედაშვილური ურთიერთობით მეორე სართულზე ავედით. კარები გაიღო და ჩემ წინ საოცრებები გადაიშალა. პატარა სამხატვრო გალერია, ქეთი მაზიაშვილის ხელით შესრულებული. რამდენიმე თვის შემდეგ, ქეთი აკადამიაში მივიღე, ცნობილმა მხატვრებმა, ჟურნალი „ათინათის“ საშუალებით, გაიცნეს ქეთის ნახატები. ქეთი ჩამოყალიბებულ მხატვრად აღიარეს. ამჟამად ქეთი იტალიაშია მეუღლესთან ერთად. იგი იტალიაში მოგონებებით იკლავს მონატრების ნოსტალგიას. მეც გამიხარდება, რომ წარმოვიდგენ მის გაბრწყინებულ სახეს, მიხარია, რადგან მე ხომ სხვისი სიხარულით ვცოცხლობ!

დახრჩობას გადარჩენილი

ურეკში დასასვენებლად წამიყვანა ჩემმა აკადემიის წევრმა, ქალბატონმა ყამარ ბლიაძემ. მის შვილს ზაზას და მის დას საკუთარი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აქვთ ურეკში. სასტუმროში თანამშრომლების სანათესაოთა წრე იყო და იქ ყოფნას არაფერი ჯობდა. მე და ყამარი როცა ჩავედით, ყამარის ვაჟი, ზაზაც ჩამოსული იყო თავისი ცოლ-შვილით. ზაზას თან ახლდა მსახიობი ტრისტან სარალიძე თავისი მეუღლით. მე და ყამარი მაინც ერთად დავდიოდით. წავიდოდით დილით ზღვაზე და როცა მივიდოდით, წყალს გადავივლებდით და საუზმე გამზადებული გვხვდებოდა. სასტუმროს დირექტორი ყამარის და იყო. ქალბატონი ლია, ულამაზესი, კულტურული და ძალიან ნიჭიერი ქალბატონი თავს გვევლებოდა. ის ამხელა სასტუმროს ისე მართავდა, ათ ადამიანს ერთად გაუჭირდებოდა. იქვე ახლოს ეკლესია ჰქონდათ, შაბათ-კვირას ეკლესიაშიც დავდიოდით. საღამოთი განსაკუთრებული სუფრაც არაერთხელ გაუწყვიათ. პირველად, როცა ადრიანად ავდექით და ზღვას ვესტუმრეთ, სიფრთხილის ნაბიჯებით ხელიხელჩაკიდებული ჩავედით ზღვის ნაპირზე. ყამარიმ ცურვა არ იცოდა. მე კი მოვსინჯე რომ გამეცურა, მაგრამ ზღვამ არ მიიღო ჩემი ძირულის წყლის მეთოდები. იძულებული გავხდი, მუხლებამდე წყალს დავჯერებულიყავი. მე და ყამარი ერთმანეთს ხელს არ ვუშვებდით. ერთმა ქალბატონმა შეგვამჩნია ხელი მოგვკიდა და ცოტა სიღრმით შეგვიყვანა. იქ გაცილებით იოლი აღმოჩნდა ცურვა. ცურვა რომ აღმედგინა ანუ მოვრგებოდი ზღვის წესებს, ბევრი წვალება არ დამჭირდა. პირველ დღეს მაინც კმაყოფილი დავბრუნდი, ყოველ შემთხვევაში, უშედეგო ის დღე არ იყო. საღამოთი ისევ ვესტუმრეთ ზღვას. უკვე გავიწაფე, კლავები გავშალე და პირველად ზურგზე ცურვით კარგა შორს გავედი. ყამარი მიშლიდა, არ შეხვიდე შორს, თვალს არ მოეფაროო. მერე ხუმრობა შერეული სიმკაცრით, კიდევაც მიწყრებოდა. ისე რა მშვიდი და წყნარი ხარ და ზღვაში ბავშვებზე ძალიან დახტიხარ აქეთ-იქითო. რა თქმა უნდა, ამას სიყვარულით ამბობდა. პატარა ბავშვებს შემოვიკრიფავდი და ზურგზე ცურვას ვასწავლიდი. ბავშვები საპატივსაცემოდ ნიჟარებს მიგროვებდნენ. საღამოთი ძალიან კარგ სუფრაზე მოგვიწია ისევ ყოფნა. შეკვეთილიდან, საპატივსაცემოდ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი და ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი, ქალბატონი მანანა დუმბაძე დაპატიჟეს და სასიამოვნო იყო ქალბატონებთან ერთი-ორი საათით ჩამოსვენება. ასე გრძელდებოდა ყოველი დღე. ერთხელ ყამარის ვთხოვე, ამხელა სასტუმროს მეპატეონე ხარ, ყოველ წელს ზღვაზე დადიხარ, მე როგორ უნდა გჯობნიდე, მოდი ზურგზე წოლას გასწავლი და ზღვის ტალღებში იცი რა კარგია დასვენება-მეთქი? დამშვდდები, სხვა სამყაროში იგრძნობ თავს. არ მოვეშვი და ჩემს მკლავებზე კარგა ხანს ჩამოვასვენე. ასე ვასვენებდი რამდენიმე დღე. მე, როგორც ყოველთვის, შორს გავდიოდი, თითქოს ზღვის სიღრმეში ვახრჩობდი ჩემს დარდს და ვბრუნდებოდი ყამარისთან. ერთ დღესაც, როცა გავედი შორს, შემოვტრიალდი ნაპირისკენ და სანამ ყამარისთან მოვედი, ყამარი იხრჩობოდა. მოვცურავ და ვეღარ ვაღწევ, ვხედავ უკვე გაიგუდება. ერთმა გოგონამ გამასწრო, სტაცა ხელი და მეც მივედი. ყამარ რა იყო, რა

მოგივიდა? შეშფოთებული ვეუბნები, თან შიშმაც ამიტანა, რა უნდა მეთქვა, მისი დედმამიშვილებისთვის ან ზაზასთვის? ნაპირზე ამოვედით ქვიშაში ამოვითხუპნეთ და ყამარი მეუბნება, იცი გულნაზ, შენ რომ ბექებზე დასვენება მასწავლე, მარტოდ მინდოდა მომესინჯა და ვერ მოვახრეხე, კინაღამ გავიგუდე. იმ უცხო ღვთისნიერმა გოგონამ გადამარჩინა. შენ, ალბათ, ვეღარ მომისწრებდი. ისე შენც კარგი მოუსვენარი იქნებოდი ბავშობაში. რა მუცელში იჯექი, საცოდავი დონიკა (დედაშენი) შენს ხელში დატანჯული იქნებოდაო. ერთი სიტყვით გამაფრთხილა, საღამოთი ეს ამბავი, ზაზას არ უთხრა, იჯავრებსო და დას გაუმხილა, ქალბატონ ლიას. ლიამაც უსაყვედურა, ნაპირში ყოველთვის საშიშია ტალღა ეხეთქება ნაპირს და გადარჩენილხარო. გავიდა ცხრა დღე, მეათე დღეს, დილით თბილისში უნდა წამოვსულიყავით. ყამარის ვუთხარი ცხრაჯერ უნდა გავიდე შორს, ჩემს გარდაცვლილებს უნდა მივუძღნა შვიდჯერ გაცურვა და ერთხელ ურეკს, მერე კი შენ და ამით დავემშვდობოთ ზღვის სეზონს-მეთქი. მეცხრე კრუგზე რომ წავედი, ნიჟარები დავინახე და თან ზღვაც იმდენად პატარა იყო, წყალში ფეხით დავიწყე სიარული. ვინც ურეკში ხართ ნამყოფი იქ ასეა, ზღვა ქვიშიანია და წყალი სიღრმით უფრო პატარაა. გავიხედე შორს მსახიობი ტრისტან სარალიძე და ყამარის ბიჭი ზაზა ზღვაში ისხდნენ და საუბრობდნენ. მე ნიჟარების კრეფა გავაგრძელე. შევხედე, ზღვის სიღრმეში წითელ კეპკიანმა კაცმა ამოყო თავი და დაიძახა, მიშველეთ. ხმა თითქოს ზღვამ ჩაყლაპა და გავჩერდი, მომეჩვენა? არა, ისევ დავინახე მამაკაცის სახე, მიშველეთ და ისევ ზღვაში ჩაიკარგა. მივიხედ-მოვიხედე, არავინ არ იყო ახლოს. ტრისტანის და ზაზას ხმას ვერ მივაწვდენდი. ისევ განმეორდა განწირული ხმა, მიშველეთ. უშველეთ, დავიძახე და ზღვის სიღრმით გადავეშვი. ხელში ხელი წავავლე და ნახევრად გულწასული მამაკავი სიღრმით შევაგუე. ვიმეორებ, ნახევ-რად გულწასული იყო, ამან მიშველა, აუცილებლად დამახრჩობდა. ფეხზე ვერ დგებოდა, უაზროდ საუბრობდა, ხან დედას მიძახდა, ხან დას. ხელს აღარ მიშვებდა, დავიღუპე, გავიფიქრე, არავინ არ ჩანს. კარგა ხანს ვიყავი ასე სასოწარკვეთილებაში. ბოლოს საუბარი შეძლო და ალაპარაკდა. ერთ მეგობარ გოგონასთან ვარ ჩამოსული. იმ ნაპირს გამოვყევი, ცურვა საერთოდ არ ვიცი. ამ გვერდზე გავაგრძელე სიარული, ნაპირზე უნდა გავსულიყავი. საუბარში შევიყოლიე, ვფიქრობდი, ეგებ როგორმე ხელი გამიშვას, თავს ვუშველო და ამასაც მაშველს გამოვუგზანი-მთექი. დავინახე ორი გოგონა მოცურადა ჩვენკენ, ვიფიქრე, რაღაცა უნდა მოვიფიქრო თუ არა და უკვე საშველს ვეღარ ვხედავდი. გამოვკითხე სახელი, აჩიკო მქვიაო მიპასუხა. გავიშინაურე ასაკი - ვკითხე, მიპასუხა, ორმოცი წლის ვარო. თმები ყალყზე დამიდგა, ჩემი გარდაცვლილი შვილის, გელას ტოლი აღმოჩნდა. გელას ორმოცი დღე უკლდა, ორმოცის უნდა გამხდარიყო, ოცდაშვიდ აპრილს დაბადებული, ცხრამეტ თებერვალს ჩემ თვალწინ დამტოვა და წავიდა უფალთან. სრულიად ჯამრთელი შვილი. ტრომბი მოწყდაო, თითონაც მხრებს იჩეჩავდნენ ექიმები. აჩიკოს არაფერი ვუთხარი, სხვისი შვილი გადავარჩინე და ჩემსას ვერ ვუშველე, აი, რა არის ბედისწდრა. აჩიკო, ნახე, ნახე, რა ლამაზი გოგოები მოცურავენ, უცებ ყურადღება იქით გადაიტანა აჩიკომ და მე კი, დრო ვიხელთე და აჩიკოს გამოვექეცი. ნაპირზე რომ გამოვედი ყამარიმ არ დამიჯერა. იმდენად შორს ვიყავი ნაპირიდან წასული, ყამარი ვერ მხედავდა. იმ წუთში მაშველთან წავედი.

აუხსენი მდგომარეობა. მაშველმა მითხრა: ქალბატონო, ამ ზოლს ხომ ხედავ, ეს მეკუთვნის მე. სხვას მიაკითხეო. რას ამბობ, ქალმა გადავარჩინე დახრჩობას ადამიანი და თქვენ რა ზოლებზე მესაუბრებით. დავემუქრე, მთელ ურეკს შევყრი, არ გაპატიებთ. იკადრა და ვიღაცას გადაურეკა, იმ ვიღაცამ სწრაფ მავალი მაშველი გაგზავნა და დაუწყეს ზღვაში ძებნა და ისევ ტრისტანის და ზაზას მიადგნენ თურმე. ცუდად რომელი ხართო. ტრისტანს ყველა იცნობთ, ის ძალიან მაღალია და ზეზე წამომდგარა, რა მეტყობა ცუდად რომ ვარო. მაშველმა მკვახედ მითხრა, რა ვქნა ქალბატონო, სხვას მიაკითხე, მე ჩემი ვეცადე, ხომ ხედავ, არავინ არის ზღვაშიო ისეთი რომ იხრჩობოდესო. იძულებული გავხდი თვალით მომეძებნა აჩიკო. დავინახე, ხელები გაეშალა და ისე იდგა. ვიცანი, მაშველს ვუთხარი, კაცი არ ხარ, პაკრიშკით შეცურე, პაკრიშკასაც ხაზი ჭირდება? მაგაშიც ჯარიმას დაგიწერენ? იკადრა და გაცურა იმ ადგილზე, სადაც აჩიკო შეშინებული თვალით ეძებდა მიმშველებელს. აჩიკო გამოიყვანა ნაძალადევად ნაპირზე მაშველთა ერთერთმა უპასუხისმგებლო თანამშრომელმა. აჩიკოს მივუბრუნდი და ვუთხარი: აბა, წამომყევი ახლა, აქაც ზღვა ხომ არ არის, ჩემს ხალხთან უნდა მიგიყვანო. აჩიკოც თავჩაღუნული გამომყვა. ყამარი, ტრისტანი და ზაზა გველოდებოდა. ჩემმა შვილის ტოლმა გადარჩენლმა სიზმრის მოყოლა დაიწყო. წუხელი სიზმარი ვნახე, მამა მყავს გარდაცვლილი და მას მივყავდი, დედაჩემმა არ გამატანაო. ის დედაჩემი, ალბათ, ეს ქალბატონია, რომელმაც გადამარჩინაო. იქ თავისებურად გაეხუმრნენ დამსვენებლები, რა კარგი მამა გყოლებიაო. სასტუმროში დიდი სუფრა გაიშალა. თამადად ბატონი ტრისტან სარალიძე იყო. ჩემი სადღეგრძელო განსაკუთრებულად შესვეს. ამჟამად ჩემი ყამარის შვილი ზაზა ცოცხალი არ არის, ის უკეთილშობილესი პიროვნება იყო, ძალიან კეთილი და ყველას მოამაგე. ამ ნამდვილ, რეალურად მომხდარ ამბავს მის კეთილ სულს ვუძღვნი. ყამარს კი გამძლეობას ვუსურვე, აუცილებლად მისცემს უფალი!

ძირულის პირი

ფეისბუქზე ლექსი იყო გამოქვეყნებული. ლექსი შეკაზმული იყო, იმერული ყვავილების საკაზმავებით. მერე ღომა თევზივით აშხმაკალდა და ძირულის ტალღებს აყვა ზესტაფონიდან ზევით. გაიარა ნადაბური, ლიჩი, ჭალვანი და ხვანის მორევში გაუჩინარდა. დამაინტერესა და ლექსს ავყევი და მეც მისი მიმართულებით ვიარე. ლექსმა (თევზის სახით) მაღლა-მაღლა, წყლის ზედაპირს მზის გამთბარ წყალშიც მოსინჯა არსებობა. ეტყობა მოწყინდა და ისევ პირი იბრუნა, საიდანაც მოვიდა იმ მიმართულებისაკენ. ეს ყველაფერი ლექსში ისე მხატრულად ჩანდა, წამიერად წყლის თევზად ვიქეცი და მეც მასთან ერთად დავცურავდი. გავიდა ერთი დღე, თევზის ადგილმდებარეობამ კვლავ თავისკენ მიმიხმო. ისევ ფეისბუქს მივაკითხე. აქ ხელთ-

ქმნილებები იყო დაკვანწული. ნეტავ რა ხელმა შექმნა? ავტორით დავინტერესდი. მარიკა კაპანაძე, აი, ვინ ვიპოვე, გულში „ნაპოვარა“ დავარქვი და დავუკავშირდი. არ გაგვჭირვებია საერთო ენის გამონახვა. პოეტს, ყოველთვის უხარია პოეტთან შეხვედრა. მარიკა კაპანაძე მარტო პოეტი არა, ძვირფასი ხელთქმნილების ავტორია. პოეზიას და მის ნამუშევრებს იხილავთ „ათინათის“ ორმოცდამეერთე ნომერში. ახლა კი აკადემიის წევრებს ვთხოვ, მიულოცოთ, აკადემიის წევრობა ქალბატონს. ქალბატონი მარიკა კაპანაძე ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს ოჯახით!

რა ტკბილი იყო სიკვდილი

დედაჩემს ცხრა დედმამიშვილი ჰყავდა. შუბითიძეები, ძალიან ძლიერები და ერთმანეთის მოსიყვარულეები იყვნენ. ბიძაჩემი ვახტანგი მეცხრე შვილი იყო. ვახტანგი ისე უყვარდათ დებს, როგორც დედმამიშვილი და ასევე, როგორც შვილი. როცა ბიძაჩემი ქალაქიდან ჩამოვიდოდა, დედაჩემი შეატყობინებდა დეიდაჩემს, ელენეს ვახტანგი ბიძიას ჩამოსვლას და დეიდაჩემიც იმ დღესვე ჩნდებოდა ჩვენთან შვილებით. დეიდა ელენესაც ხუთი შვილი ჰყავდა: ჯამბული, ოლია, მარინე, ანერი, დემური. ჩვენც იმ მომენტში ხუთი ვიყავით. ამირანი არ იყო დაბადებული. დები თავიანთი შვილებით მიდიოდნენ მშობლებთან, დიანოზ შუბითიძესთან და აღათი ტაბატაძესთან. ახლა ვფიქრობ, სად იყო ამდენი დოვლათი, რომ გვაპურებდნენ ამდენ ბავშვებს. თუმცა სად იყო და ტყეში. ყველანაირი სეზონის სოკო იყო: გაზაფხულის, ღვინიო, ქამა, მტრედიო, ვარყა.

ზაფხულში კიდევ ხის სოკო მოქონდათ. აგვისტოში ნიყვი მოდიოდა. შემოდგომით მანჭკვალა. რა ჯობდა ია-იასა და თიკნიყურას ფხალს, ხის გობში ჩაკეპილი და ტალხუნა-ჭლაკვით შეზავებული, მერე ნიგოზ არეული. ბუხარში გამომცხვარი მჭადით. ძროხები ბევრი ჰყავდათ, ფრინველი. ყველიც ჰქონდათ და კვერცხიც. პაპა სალამურს დაუკრავდა, პაპაჩემის ძმა გრიგოლ პაპა გარმონს. ყველა მღეროდა. პირველ, მეორე, მესამე ხმაში იყვნენ შეწყობილნი. ცეკვადნენ, იყო ლხინი, გართობაც და შრომაც სეზონის მიხედვით. თურმე გვიცხოვრია ზღაპრულ დროში. თურმე ვყოფილვართ ძალიან მდიდრები.

ერთი სიტყვით, ჩამოვიდა ბიძაჩემი და ეს ორი დის ათი შვილი შეეფინა ფერდობს. ათი იმიტომ, რომ ამირანზე დედა ფეხმძიმედ იყო და მახსოვს, საკმაოდ დიდი მუცელი ჰქონდა. გზაზე ჩამომწიფებული ბალი შეგვხვდა. უნდა ავიდე და სანამ დედა არას მეტყოდა მე უკვე კენწეროზე ვიყავი მისკუპებული. არ ჩამოვარდე დეიდა გენაცვალოს, შემომძახა ელენე დეიდამ. გოგო დაბლა ტოტები არ გყოფნის? შემომყვირა დედაჩემმა. მე კიდევ ტოტებს ვამტვრევდი და დაბლა ვმასპინძლობდი დეიდაშვილებს. მოკლედ, ძალიან მოუსვენარია, დედაჩემმა შესჩივლა თავის დას. ძალიანაც კარგი მყავს,

დეიდაჩემმა მოფერებითი სიტყვა დაბლიდან შემომაშველა. მე კიდევ ერთი ტოტიდან მეორე ტოტზე ჩიტივით ვხტოდი. გეგონებოდა, ჩემი საყოფი ბალი არ იშოვებოდა. ბოლოს ჩემმა სიცელქემ და ხტუნაობამ აღარ გამიმართლა, ძალიან მაღალი ტოტი მოტყდა, დედაჩემს რომ არ დავცემოდი, წამებში ტვინმა რეაგირება გააკეთა. დედა ფემძიმედ იყო და ჯამრთელობის საფრთხე შეექმნებოდა. ჰაერში ამოვტრიალდი, რომელი ტანი შემიშლიდა ხელს. მიწამ არ მაპატია და გულში ჩამიხუტა. ო, რა ტკბილი იყო სიკვდილი. მესმის დედის ხმა, შვილო, თვალები გაახილე. ვცდილობ დედა არ ვანერვიულო, გავახელ თვალს და ისე ტკბილი იყო ძილი ანუ (სიკვდილი) თან ვფიქრობდი, ნეტავ არ მაღვიძებდეს ახლა დედაჩემი-მეთქი. ბოლოს დეიდას კივილი გავიგონე, გულნაზი არ დამღუპო და თითქოს დეიდასი შემრცხვა. თვალი გავახილე, მაგრამ ისე ტკბილი იყო, ის საზიზღარი სიკვდილი არ მინდოდა დედას და დეიდასკენ შემობრუნება. შეშფოთებული დები საყვედურით მიკლებდნენ. დეიდა, თავს არ ვიცოცხლებდი, იძახდა დეიდა ელენე. შენმა სიცელქემ ჩაგვიხშამა ძმის ნახვა, მსაყვედურობდა დედაჩემი. მოკლედ, სულ მაღლა- მაღლა დადიხარ მკენწლავდა დედა. არადა ის სიტკბო რომ მახსენდება, სიკდილის შიში მიქრება. რა ტკბილი იყო საზიზღარი სიკვდილი!

სიცოცხლეს ქონია ფერები

მთებმა ნისლი იცის, ბარში იშვიათად წვიმს. საჩხერის რაიონის სოფელ ხვანის, ქალვანის, ლიჩის სოფლები ბუნების ოაზისშია ჩაფლული.

სოფლებს მდინარე ძირულა ჩამოუდის. მიდის მდინარე და მიაქვს წარსული ტალღებით. წარსულში გასახსენებელმა ძალიან ბევრმა ინტელიგენტმა, შემომაფინა თვალები. ალექსანდრე და ბიძიანა შუბითიძეებმა, ჯუმბერი და სერიოჟა ხარაიშვილმა, ჯამბული შუბითიძემ, ლიანა და ლენა ხარაიშვილმა, სკოლის დირექტორმა გრიგოლ შუბითიძემ და უჰ! ბევრი არიან. აქ გავჩერდები, რადგან ისევ ნისლებში ჩავიკარგები. მე კი ვცდილობ, რომ მზის სხივებს ავედევნო და როცა ჩასვლას დაიწყებს მზე, სხივებზე დავეკინწიალო და თან ჩავყვე. დილით ისევ ამოვიდე ლექსებად, ნოველებად, იმედად, რომ გავათბო თქვენი გული. ვიცი, რომ მიმიღებთ, ვიცი, რომ ვუყვარვარ უმრავლესობას. უმცირესობას კი... რას გაიგებ, ბედისწერისას, ვიღაცა დამენდურება, ვიღაცას ვაკე მრუდედ მოეჩვენება. ყველა ერთნაირად არ მსჯელობს, ყველა ერთნაირად ვერ აღიქვამს ჩემი სულის სიწრფელეს. 2021 წლის ხუთი მაისი მამა ამირან ამირანაშვილმა დად მაკურთხა და ხუთი გარდაცვლილი ძმის სანაცვლოდ დედმამიშვილური სითბო მაგრძნობინა. წინა წელს მეცნიერებათა აკადემიაში ბატონ

რეზო ადამიას წიგნის პრეზენტაციამ დამარწმუნა, მზის სიცოცხლის მნიშვნელობაზე. ხოლო, იმავე წელს ჩემმა ემიგრანტმა დედა-შვილმა, ანერი კილაძემ, ყველა ტკივილი წუთიერად მაინც დამავიწყა და ბავშობის სახლში მატარიალა. კარგია მოგონება და სიცოცხლის წყაროს ძებნა. დიახ, ვეძებ, ვშრომობ, ვქმნი და მერე კი მზის სხივს ჩავყვები, რომ კვლავ ამოვიდე.

მწამს სულის უკვდავების, მწამს ის, რომ გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს. მინდა იმედი მივცე ყველას და მადლის სამოსში გავახვიო. დავრწმუნდი, რომ სიცოცხლეს ფერები ქონია.

ხარაიშვილებო იქნებ არ იცით

26 მაისს, უწმინდესმა და უნეტარესმა დალოცა ხარაიშვილების გვარი. ახალგაზრდების ინიციატივით, კერძოდ, ლაგოდეხელი გვანცა ხარაიშვილის და გვარის რამდენიმე აქტივისტით შექმნილია ლომისის წმინდა გიორგის ხატი. რამდენიმე წლის წინ, გვანცა ხარაიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ხატს სად უნდა დაედო ბინა. ამის თაბაზე ვთხოვე, ამაღლების მოძღვარს, მამა ამირან ამირანაშვილს. მამა ამირანმა დიდი პატივი გვცა და ხარაიშვილების საგვარეულო ხატს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ამაღლების ეკლესიაში. ახლოვდება 26 მაისი, შეიძლება ყველამ არ იცის, თუ სად არის ლომისის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ხარაიშვილების მფარველია. ამიტომ ამ ინფორმაციის მიწოდება თითოეული ხარაიშვილისათვის საჭიროდ ჩავთვალე! ... და ბოლოს გფარავდეთ ლომისის წმინდა გიორგი და მამა ამირანს კი დიდი მადლობა თქვენი სახელით მინდა გადავუხადო.

ცხრამეტი მაისია შვილო გელა

ცხრამეტ მაისს, ყოველთვის ჩემს ოჯახში ქარელის რაიონის სოფელ კოდაში, ოჯახური იდილია, სანათესაოს თავყრილობა იმართებოდა. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო დიდი ოჯახის ფუძის თავკაცი (ჩემი მამამთილი) შალვა სხირტლაძე და დიდი ოჯახის დიდი დედა (დედამთილი) ვარა გოგატიშვილი. მათ სიტყვას ყოველთვის ფასი ჰქონდა. სამი ვაჟკაცი და ერთი გოგონა გაზარდეს. უფროსი ჩემი მეუღლე (ვახტანგ სხირტლაძე), ჩემი მაზლები: ჟორა (გიორგი), თამაზი და მული გულნაზ სხირტლაძე. სოფელში სამი სახლი იდგა, დიდი ფუძიდან ფუტკარივით განაყარი ორი სახლი, ჩვენი და ჩემი მაზლის.

ცხრა მაისს, პირველი ჩემს ოჯახში იყრიდნენ თავს სამი ოჯახის გამრავლებული ნათესაობა. 2021 წლის ცხრამეტი მაისი კი ჩემი შვილის გახსენების დღედ გადა-ვაქციე.აი, რა არის ბედის ირონია. ცნობილმა მხატვარმა დახატა ჩემი შვილის სურათი. მამა ამირან ამირანაშვილი უძღვებოდა საღამოს. წაიკითხეს ლექსები სევდის სამოსახლოდან. ხოლო ცნობილი პოეტი ნინო უძილაური კი, რომელიც ოცდაშვიდ აპრილს არის დაბადებული, ჩემი შვილის დაბადების დღეს. გარდაცვლილი ჩემი გელა ძმად მიიღო. ეს არის პოეტის სული, რადგან ქალბატონი ნინო დარწმუნებულია, რომ გელას სული უკვდავია და ზეციდან დალოცავს მას. როცა ასი წლის შემდეგ ნინო

უძილაური ცას ესტუმრება გელა მას გადაეხვევა და ეტყვის: მადლობა დაო, რომ ჩემი დედიკოს გულს მალამოდ ეცხებიო. ცხრამეტ მაისს ჩემი შვილის პორტრეტი გადმომცეს, სამხედრო სამოსით, მას დამთავრებული ჰქონდა ლესელიძის სახელობის სამხედრო სასწავლებელი. ცხრა აპრილს ამ სასწავლებლის მოსწავლეები გაიფიცნენ და იმ ტკივილიანი აქციის გვერდით იდგნენ. გელა იყო ძალიან ძლიერი და თბილიც. ყველას უყვარდა და ყველა უყვარდა მას. ცხრა წელია რაც დატოვა მიწიერი სამყარო და ზეცას შეუერთდა. ცხრამეტ თებერვალს გარდაიცვალა. დიდი თოვლი მოვიდა, გზები ჩაკეტილი იყო დიდი თოვლის გამო. სოფელ კოდის მოსახლეობა ფეხზე დადგა გზის გასაწმენდად, დიდი და პატარა. სოფელი ჰგავდა ტიანშანის მიუვალ მთებს. დღეს მომეცა საშუალება და საბაბი მადლობა გადავუხადო სოფელ კოდის მოსახლეობას. ხალხს, რომელსაც დიდი სიყვარული შეუძლიათ. ახლა ამ სიტყვების დაწერის დროს უკვე ოცი მაისია. სოფელში ზეიმია, საზეიმო დღეები არ გამოგილიოთ ღმერთმა. მე ჩემი დარდის სამოსახლოდან გლოცავთ. არცერთ დედას არ ენახოს ის ტკივილი, რაც ჩემს თავზე ტრიალებს. მიყვარხართ. ჩემი აკადემიის ყველა წევრი კი ჩემს გულში საკუთარი შვილებივით დააბიჯებენ, ჩემი დარდის არემარეში. ვქმნით, ვწერთ და არ არსებობს მათი კალამი სიკეთით არ მოგვწვდეთ. ეს დღე უსათუოდ დადგება. თქვენ იმსახურებთ, რომ თქვენი სახელი ისტორიის ნაწილი გახდეს. გაგიკვირდებათ ახლა რასაც ვიტყვი, გელას პორტრეტი შექმნა ცნობილმა მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა, იგი 93 წლისაა, მისი ნახატები დაცულია მსოფლიოს ყველა მუზეუმში. ამ დღის საპატივსაცემოდ, მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, ბატონ ალექსანდრეს გადასცა ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის, ბეჟან ხარაიშვილის პრემია.

ნაჩუქარი ჯვარი

გაზაფხულის ლამაზი დღე იყო. სითბო და ყვავილების სურნელება, ლამაზ განწყობილებას მიქმნიდა. აკადემიის ახალ გამოცემულ ანთოლოგიის წიგზე ვფიქრობდი. თბილმა და ლამაზმა დღემ თერჯოლაში წასვლის იდეის გზისკენ მიმანიშნა, დავუკავშირდი პოეტ ლამზირა შეყილაძეს და იდეა გავაცანი. ძალიან კარგი, მაგრამ იციან რომ უნდა ჩახვიდე? კითხვა შემიტრიალა პოეტმა. კი, იციან. კერძოდ, ქალბატომა თამარ გავაშელმა. თამარი ვინ არის? თამარი პიეტია, ინვალიდია, არაჩვეულებრივი პროზაული და პოეტური წიგნების ავტორია. თან გამგებელთანაც დარეკილი მაქვს. თერჯოლის გამგებელი ჩვენი ქიათურელია, ბატონი თემურ ჯაფარიძე. დამპირდა ოც

ეგზემპლიარს ავიღებ და თანხასაც ჩაგირიცხავ, აკადემიის ანგარიშზეო. თემური ჯაფარიძე? ეგ ხომ ჩემი კლასელია. აღტაცებით წამოიძახა ჩემმა მეგობარმა და ეტყობოდა ფიქრებში ჩაიძირა, რადგან ტელეფონში დუმილმა დაისადგურა. დუმილის შემდეგ, ისევ ალაპარაკდა, თემური კარგად სწავლობდა, ძალიან ვაჟკაცი და სამართლიანი მეგობარი იყო. ჰოდა, ძალიან კარგი, ჩვენი აკადემიის წევრის ბატონი ონერ ძაძუას მანქანით მივდივართ. ერთ საათში თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით მივდიოდით და მაინც ექვით ვუყურებდი ჩემს გადაწყვეტილებას, რომ არ დამიხვდეს? ამხელა გზაზე, ისე ჩავიდე. ხომ შეიძლება, გამგებელია და სასწრაფოდ გამოიძახოს ქუთაისის გუბერნატორმა. გზაში მხიარულ განწყობილებას ვინარჩუნებდი, მაგრამ შინაგანად ვღელავდი. ვღელავდი იმიტომ, რომ წიგნი კომპიუტერმა შეცვალა და ყველანაირ ინფომაციას, ინტერნეტ სივრციდან ღებულობენ. თან აკვიატებული ფიქრი, რომ არ დამიხვდეს? სამ საათში თერჯოლაში ვიყავით. ორსართულიანის შესასვლელ კარებთან, მოკრძალებულად ტირიფებს დაეხარათ თავი. სასწრაფოდ ავირბინე კიბეები, მეორე სართულზე კარებს თემურ ჯაფარიძის სახელი და გვარი ამოვიკითხე. კარი ოდნავ შევაღე და მდივნის ლამაზმა სახემ თვალები შემომაფეთა. გამგებელი არ არის. ეტყობა მდივანია, მაგრამ ეკითხა ვინ ვარ, რა მინდა, ასე სასწრაფო პასუხი რა არის. ქალბატონო, მე დაბარებული ვიყავი. მესმის, მაგრამ სასწრაფოდ გამოიძახეს. ჩემი აკვიატებული ინტუიცია, გულში გავიფიქრე, რომ არ დამხვდეს??? ცივად გამოვტრიალდი. დაბლა დაცვას ვთხოვე, წიგნები მოვიტანე, გამგებელი არ დამხვდა, დაბარებული ვიყავი, იცის რაც უნდა მომეტანა. წერილსაც დავტოვებ და შეგიძლია დახმარება რომ გამიწიო? მოწესრიგებულმა ახალგაზრდამ დახმარება გამიწია და გზა ინვალიდ პოეტისკენ განვაგრძე. დაფიქრებულ გულდამძიმებული ავიარე კიბეები, გვერდით მდუმარედ მომყვებოდა ლამზირა. თამარი მეორე სართულზე ცხოვრობდა, კარები ახოვანმა ახალგაზრდა მამაკაცმა გააღო. მობრძანდით, მობრძანდით, თავაზიანად შეგვიპატიჟა შინ და საწოლიდან ულამაზესმა სახემ გამოანათა. სახლში ტელევიზია დაგვიხვდა, არ შევიმჩნიე გაოცება და ჩამოვჯექი. თამარ, საყვარელო, ანთოლოგიის წიგნი მოგიტანე, შენი ლექსები დავბეჭდე. თამარმა გულში ჩამიკრა, თავისი ნაზი თითები წიგნს შეახო. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, თამარს ლამზირა წარვუდგინე. თამარმა კი იქ დამხვედრნი გამაცნო, იმედის ტელევიზიაა, ბატონმა თემურიმ გამოგზავნა, თქვენგან ინტერვიუ უნდა აიღონ, თუ ძალიან არ შეგაწუხებთ. რას ამბობ თამარ, საყვარელო, შენთვის ჩამოვედით. ვიცი გამგებელმა, ხილი, ტორტი და შამპანიურები გამოგზავნა საპატივსაცემოდ. რაღაცა ხდება, კვლავ ჩემს თავს ვეკითხები, მაგრამ რა? ჟურნალისტების დასმულ კითხვებზე სასწრაფოდ პასუხი გავეცი და წამოვდექი. რას ბრძანებთ, წასვლა არც იფიქროთ, მიირთვით, გზაგამოვლილები ხართ. არა, არა, ძალიან გვეჩქარება და კარებისკენ გავიწიე. თამარ, საყვარელო, იმედი არ დაკარგო, კარგად გახდები, დავემშვიდობე. დაბლა ჩავედი, ლამზირა თავისი ჩვეული სიმშვიდით გვერდით მომყვებოდა. ბატონი ონერის მანქანისკენ წავედი, წინ ახალგაზრდა გადამიდგა. რა გნებავს? თქვენ წასაყვანად გამომგზავნეს. ვინ გამოგაზავნათ, მე მანქანით ვარ. ვიცით ქალბატონო, თემურ ჯაფარიძემ გამოგვაგზავნა, აუცილებელი საქმე მაქვს და უნდა შევხვდეო. ლამზირას

შევხედე, რა ვქნათ? ლამზირამ მხრები აიჩეჩა, გადაწყვეტილ პასუხს არ მაძლევდა. მყუდროება ბატონმა ონერიმ დაარღვია. რა პრობლემაა, თქვენ წადით და უკან გამოგყვებით. მაქანაში ჩავჯექით, კვლავ რა ხდება? ეს ფიქრი არ მცილდება. რაიონი ხუთი კილომეტრით ჩამოვიშორეთ. ჩვენმა დამპატიჟებელმა პიროვნებამ რესტორნისკენ შეუხვია, ჩვენც იძულებული ვიყავით, უნდა მივყოლოდით. მობრძანდით, შემოგვეგება ბატონ თემურ ჯაფარიძე. გაოცებულმა სალამი ვუთხარი, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე ჩემი პირონება დაბნეული, რადგან დარბაზი, სადაც თვითონ შეგვიძღვა, სავსე იყო სასულიერო პირებით. ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი, საიდან არა და ვინ არ იყო. დასავლეთის რეგიონის საჯარო მომსახურეები, გამგებლები, არაფერს ვაჭარბებ, ამდენი რჩეული, სხვადასხვა ეპარქიის წარმომადგენლები, მეუფეები, მამაოების თავყრილობა, არსად მინახავს. ბატონმა ორი მეუფის გვერდით დაგვსვა, იმერეთის გუბერნატორთან ერთად. ჩვენი თავი წარუდგინა იქ დამხვედრებს. თვითონ არ დაჯდა. თავზე დაგვტრიალებდა. გამიკვირდა, დიახ! უკვე ყველაფერი იყო, ზომას გადაცილებული, რაღაც არაამქვეყნიური, ზეციური. ასეთი სიმშვიდე, მერე ქართული ანსამბლი, ვეღარ ვიხსენებ, რომელი ანსაბლი ჰყავდა მოწვეული. თავის ხელით გვილაგებდა სხვადასხვა კერძებს, ხილს, რას აღარა. ეს იყო სამოთხე. მერე ლექსების წაკითხვა

ჯუმბერ ხარაიშვილი

გვთხოვა, ჩვენც წავიკითხეთ. მეუფე გრიგოლმა მეც და ლამზირასაც ჯვარი გვაჩუქა და გვითხრა: ატარეთ, ჯერ-ჯერობით, მერე კიდევ გაჩუქებთო. წამოსვლა ნახევარი საათის შემდეგ დავაპირე, ბატონმა თემურიმ გაიღიმა და დარბაზს მიმართა. მაპატიეთ, ამ ქალბატონებს დავუთმე განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ქალბატონი გულნაზის ბიძაშვილმა, ჯუმბერ ხარაიშვილმა დამირეკა და მთხოვა, ჩემი ბიძაშვილი მოდის და აბა, შენ იციო. ახლა მიდის და ყველამ ერთად დალოცეთ. ასეთ რამეს ვიცი არ დაიჯერებთ, მაგრამ უნდა დამიჯეროთ, რადგან უკვე გარდაცვლილ თემურ ჯაფარიძეზე და გარდაცვლილ ჯუმბერ ხარაიშვილის სულის საპატივსაცემოდ ირწმუნეთ ეს, ჩემი მონოლოგი. ის დღე ზეციური, არამიწიერი იყო. თემურის ფოტო ფეისბუქში ვნახე და გარდაცვალებას რომ წერდნენ ავლაპარაკდი. გზა ნათელი გემრიელო და გულიანო იმერელო. ახლა ჯუმბერ ხარაიშვილიც ზეცაშია და იმოგზაურეთ უკვდავებაში.

სიყვარული

სიყვარული, უფაქიზესი გრძნობაა. სიყვარული ღმერთია, რომლის სიყვარული ყველა ნებისმიერი ადამიანის სიყვარულზე დიდია. სიყვარული გულია, რომლითაც ვცოცხლობთ. სიყვარული შვილია. შვილი ჩვენი სხეულია, არასოდეს არ უნდა შორდებოდეს მშობელს. სიყვარული დედმამიშვილია. სიყვარული შვილიშვილებია, სიყვარული გულის გარსში ჩაფლული ნათესავობაა. სიყვარული შენი საქმეა, რომელიც გიყვარს და სიყვარულით აკეთებ. სიყვარული თითოეული შენ გარშემო ადამიანთა გარემოცვაა, როლის დანახვა თვალებს გიბრწყინებს. სიყვარული გარდაცვლილთა სულებია, რომლებიც არსადაც არ არიან წასულნი, გულის კედლებზე სამუდამოდ არიან დარჩენილი თუ კი გიყვარდნენ ან და იწამებ. აი, მაგალითად, ჩემი მეუღლე, შვილი, დედმამიშვილები. მთელი საახლობლო, ისე ბევრი არიან, გულში სათითაოდ რომ შემენახა, ადგილი აღარ დამრჩებოდა. მათ, გულის ფსკერზე, ერთიანად, ყველაზე თბილი ადგილი მივუჩინე და სანამ მე მიწაზე ფეხის დადგმა შემიძლია არ მოვიცილებ. სიყვარული ფიქრია, რომელსაც, ტრანსპორტი არ ჭირდება, მთავარია დაუძახე. მოვა ალალად, დაუყვედრებლად, არც ფულს მოგთხოვს, არც საწვავს. არც იწუწუნებს, არ შემოგაფათებს „არ მცალიას“ თვალებს. გატარებს საზღვარგარეთ, რაიონებში, სოფლებში. გატარებს წარსულში, აწყმოშიც შეგაჭყიტებს. ფიქრს უტყუარი პროგნოზი აქვს, იშვიათად ცდება. სიყვარული, ერთი ლექსია. ლექსი, რომელიც აგატირებს, სულაც არა აქვს მნიშვნელობა, სხვას მოეწონება თუ არა, შენი ნაფიქრია. შენ აგატირა, მორჩა და გათავდა. მონატრების ცრემლი, ხომ წამალია სულისა. აქედან გამომდინარე, სიყვარული ცრემლიცაა. მტერს ყავდეს უტირალი ჭირისუფალი. დარდს ცრემლი ამშვიდებს, ჰოდა ცრემლი სიყვარულია. სიყვარული ყვავილია, აბა რაა, მისი დანახვა თვალს რომ გაგიბრწყინებს. სიყვარული ჩემთვის სამშობლოა, საქართველოა, თითოეული ადამიანია, ვინც ოდნავ მაინც მაგრძნობინებს, რომ მეც იმისი ვარ, თუნდაც ცუდი, მაგრამ, რადგან მისი ვარ, ზურგს არ შემაქცევს. სიყვარული მონატრებაა, მოინატრებ და წუთში გაგიცილებს დარდის სამოსახლოს. ჩემთვის სიყვარული ღმერთია, რომელიც გულში მყავს, კიდევ და თქვენ ხართ, უფლის შვილებო!!!

= =მ=ი=ყ=ვ=ა=რ=ხ=ა=რ=თ=!!!.

ღირსეული სტუმრები

2021 წლის 20 იანვარს, მსოფიოს პანდემიის მდგომარეობის გამო, ათკაციანი საღამო შედგა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში.

საერთოდ, ღონისძიების ჩატარების დროს, არავითარი შინაგანი ღელვით არ ვითრგუნები, დიდი აუდიტორიის წინაშეც. ეს მაშინ, როდესაც მოწვეულ სტუმრების ხასიათს კარგად ვიცნობ. და, საერთოდ, ყოველთვის გაცილებით ძნელია, ერთ სამუშაო ოთახში ჩატარებული ღონისძიება.

ოცდაათ იანვარს, დაგეგმილ ღონისძიებას ესწრებოდა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. ქალი მართლაც ლეგენდა, თავისი ხასიათით, უბრალოებით. პიროვნებით კი მართლაც დიდი და ავტორიტეტული. ამიტომ იყო, რომ მისდამი მოსაფერებელი სიტყვა ლექსით დაიწერა, რომელიც იმ მეტად მნიშვნელოვან დღეს წავიკითხე:

სინაზე გშვენის, უფლის მადლით მირონცხებულო,
იის სურნელით გაგილეწავს, ქალური კალო...
ყურძნის მტევანო, ფუტკრის თაფლში ამოწებულო,
ვინ შეგედრება, სილამაზით პოეტო ქალო.
აისის ნამო, სიკეთით სავსე, ვარდო, ბაღნარო,
რიოშო არა, მარგალიტო და ფირუზ ლალო,
უმხურვალესი ცხელ ზაფხულის, შენ ნიავქარო,
ლომისის მადლმა გიმფარველოს პოეტო ქალო.
იასამანო, გაზაფხულის ასურნელებავ,
სამშობლოსათვის ერთგულო და დილისა ცვარო,
დედო სულისავ, ნატურმორტო, მშვენიერებავ,
ეფაქიზები ერის შვილებს, პოეტო ქალო.
დედა ხარ დედა, ეგ, ქალობა მისაბაძია,
ოლიანდრები გიღიმიან, შენ ცისკრის კარო.
ფული? სხვას მისცემ თუ კი უჭირთ რაც გაბადია,
ამიტომ გლოცავ, საყვარელო პოეტო ქალო.
ლელიანს კაფავ, საქმისთვის კი, ყოველთვის ჩქარობ,
ომში ნაჭედო, ნატყვიარო ფოლადის ნალო,
ლექსის მჭედელო, ბრძოლების დროს, სამშობლოს ფარო,
მეამაყები, დედოფალო, პოეტო ქალო.

ქალბატონ მაყვალას უნდა დაეჯილდოვებინა, ჩვენივე აკადემიის წევრები: ქალბატონი ეთერ ჭელიძე, პოეტი, რამდენიმე წიგნის ავტორი. ქალბატონი ეთერი როგორც პოეტი და როგორც პიროვნება, მართლაც და საამაყოა საზოგადოებისათვის. რატომღაც, ასეთი ქალბატონები უფრო მრჩება, უყურადღებოდ. მაგრამ მთლად ასეც არაა, მისი მოფერება რადგანაც დამაგვიანდა, იმიტომ იყო, რომ მიუძღვენი ლექსი.

„დამაგვიანდა“

დამაგვიანდა, მაგრამ შენზე ვლოცულობ ეთერ,
შენახარ სულის სამრეკლო და გულის ედემი,
ეთერ, ჯობიხარ თავნება და აფოფრილ ვერძებს,
უნდა გჯეროდეთ, ასეთია ქალი ეთერი.
საქართველოსთვის, რეალური ამორძალია,
შეუპოვარი, ნიჭიერი, სანდო კედელი...
სვანეთის მთებში გამოზრდილი ეს ის ქალია,
თავის შვილივით რომ ლოცავენ ბევრი დედები.
რა საბრალოა, ვისაც მისი ზოგჯერ არ სჯერა,
რადგანაც ვხედავ, ბევრი არის ურწმუნო თომა,
პოეტმა ქალმა, თუ ღილივით გულს დაგიკერათ,
მისი ჰობია, მეგობრისთვის ბოლომდე დგომა.
დამაგვიანდა, მოფერება უძვირფასესო,
შენ საამებლად სულით ბოროტს, მკლავი მოვკვეთე,
მე გადავიხდი ერთგულების ყველა ირაოს,
სიკვდილამდე ვარ, შემოგფიცავ, შენი მოკეთე.

გულნაზ ხარაიშვილი, ლია ოსიაშვილი, ივერი ქელიძე, მაყვალა გონაშვილი, ეთერ ქელიძე, ნანა მომცელიძე, ლამზირა შეყილაძე, ხათუნა ელიაშვილი, ალექსანდრე ციხელაშვილის რძალი და მეუღლე. ლეილა ქიუტაძე, ალექსანდრე ციხელაშვილი

მოწვეული სტუმრებიდან, მეტად საპატიო სტუმარი იყო, ბატონი ივერი ჭელიძე. მის მიერ გაწეული სიკეთე უსაზღვროა, კოდორისა და სვანეთის ახალგაზრდობის მიმართ, მისი ხელშეწყობით 700 ახალგაზრდა ეზიარა უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებას. მისვე ხელმძღვანელობით ჩატარდა 2003 წელს დიდი მთასვლელის „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანის საიუბილეო საღამო, ოპერისა და ბალეტის თეატრში. დაიწერა წიგნი, „კაცი ლეგენდა“, ბატონი ივერი ჭელიძის სავიზიტო ბარათი ქართული კაცურ-კაცის ღირსებაა. მას ჭირთათმენის დიდი მოთმინების უნარი გააჩნია. იგი კვლავ დგას ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში. ბატონი ივერი გახლავთ ტერი-ტორიული მთლიანობის ომის მონაწილე-ვეტერანი და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი. სიტყვა რომ არ გამგრძელებოდა, ამ უდიდესი პიროვ-ნების მიმართ, ლექსის ფორმულა გამოვიყენე.

ღმერთია შენში, როდესაც გახსოვს,
გარდაცვლილი და სიცოცხლე გიყვარს,
სხვის განსაცდელზე, არასდროს მასხრობ,
სხვისი ტკივილი გულთან რომ მიგყავს.
სიმდიდრე არის, იცხოვრო ისე,
მზისფერი იყოს შენი წარსული,
თუ ერს დაჭირდა, სიცოცხლე მისცე,
თუნდაც ნაბიჯი იყოს ჯვარცმული...
სიმდიდრე არის, იყო ძლიერი,
ქებას შენს თავზე რომ არ მოყვები...
ასაკით იყო თუნდაც ხნიერი,
მყიფე ტოტივით, რომ არ მოტყდები.

სიძლიერეა, როცა გესვრიან,
ტყვიებს და მაინც არ შეშინდები,
თუ გინდა გადგეს თავზე მესია,
მაინც რომ ყვავის შენთვის შინდები,
არ არს სიკვდილი გარდაცვალება,
ცაში მოხდება, მზეთა მზისობა,
ეს, უფლით ხდება ფერისცვალება,
სულს კი ეწვევა მარადისობა.
თქვენ საქართველოს, შვილო ივერი,
სიკეთისათვის ბევრჯერ შეგნისლეს,
მინდა რომ იყო სულ ბედნიერი
რწმენით სიცოცხლე გაიმერმისე.

სვანეთის მთებივით ბუმბერაზი პიროვნება უმშვენებდა გვერდს ბიძაშვილს, ქალბატონ ეთერ ჭელიძეს.

ქალბატონმა მაყვალამ ღვაწლმოსილის პრემია გადასცა მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილს. ბატონი ალექსანდრეს ნახატები დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში. იმ დღეს, აკადემიას საჩუქრად მოგვართვა დიდი მოგზაურის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი. მსგავსი სილამაზის პორტრეტი, ალბათ, ჯერ არ შექმნილა მოგზაურზე.

დღესასწაულებით შემოიფარგლა. აკადემია დაასაჩუქრა პოეტმა ქალბატონმა ნანა მომცელიძემ, ორი ხატი მოიტანა და ორივე თავის ხელით შესრულებული. მამა გაბრიელი და წმინდა გიორგი, ხოლო დედაღვთიშობელი წინა დღეებში გადმოგვცა. გაგრძელდა დაჯილდოვება, ქალბატონ ეთერ ჭელიძეს გადაეცა „თამარ დედოფლის ენდალმა“, ხოლო ემიგრაციაში მყოფ ჩვენი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს გადაეცა ბეჟან ხარაიშვილის პრემია. საბავშო პოეტს, ლელა კობერიძე-ჭიაურელს წილად ხვდა მარიკა ბარათაშვილის პრემია. უნდა აღნიშნო ქალბატონი ლია პეტრიაშვილის ღვაწლი, საბერძნეთში. მან ჩამოაყალიბა შესანიშნავი გუნდი აკადემიის და სულ მალე, მისი

რეკომენდაციით, აკადემიის წევრი გახდება ახალგაზრდა პოეტი, გიორგი კუბლაშვილი. მის გუნდში გაერთიანებულია არაჩვეულებრივი პოეტი ნონა გაგნიძე, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის აკადემიის ანთოლოგიისა და ჟურნალების გავრცელება ემიგრანტ პოეტებთან.მას გვერდს უმშვენებენ ქალბატონი მანანა რაზმაძე და ქალბატონი ნათელა ღაჭავა.

რაც შეეხება პოეტ ხათუნა ელიაშვილს, გადაეცა ბეჟან ხარაიშვილის პრემია. ღონისძიებაზე სიტყვა წარმოთქვა პოეტმა ლამზირა შეყილაძემ და თავისი თბილი სიტყვით დამოძღვრა მოწვეული სტუმრები. იმ დღეს განხილული იყო ქალბატონ ეთერ ჭელიძის ლექსები. მისი ლექსებით აღფრთოვანებული პოეტი ლია ოსიაშვილი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ქალბატონი ეთერ ჭელიძის პოეზიის სახოტბოდ.

კიდევ იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, სიხარულისა და ცრემლისმომგვრელი ეპიზოდი, რაზეც თავს შევიკავებ. ჩემს თავზე მე არ ვისაუბრებ.

მეწისქვილე ვარ

ყველანაირ მოსავალს ვფქვავ და ვაცხობ, მეწისქვილე ვარ სულიერი სამყაროსი. ვემსახურები უცნობს და ნაცნობს, ხანდახან თითს მიქნევს ტარტაროზი. მე ხომ მეწისქვილე ვარ, რა უნდა ჩემთან, არავის არაფერს ვართმევ, ვფუსფუსებ. ამდენი დარდით, სული ძლივს შემრჩა. საერთოდ, ცუდს არავის არ ვუსურვებ. ბოროტები ღიზიანდებიან, სიკეთეს მოეშვიო, მე ცუდი ქალი ვარ, არასოდეს მიცეკვია სხვის დაკრულზე... არ ვიბანავებ სიბოროტის მორევში, გლეხი ვარ, მიწასაც დავბარავ გაზაფხულზე.

უცნობი ქალბატონი

ფიქრების კორიანტელმა, სხვადასხვა ასაკში მატარა. გამახსენდა ბავშობა, ყველაზე ტკბილი და უდარდელი. მობილურის ზარმა გამომაფხიზლა, ალო? გისმენთ! ქალბატონო, დაიწყო უცნობმა, მე თქვენ არ მიცნობთ, თქვენი ტელეფონი ერთერთმა პოეტმა მომცა. მე გულნარა მქვია, გვარად შელია ვარ. რამდენიმე წელია, რაც შვილი გარდამეცვალა, მეუღლე კი უფრო ადრე. კარგი შვილიშვილები მყავს, ენაცვალოთ ბებო, მაგრამ ისინიც თავის გზაზე არიან წასული და დავრჩი ამხელა სახლში მარტო. დღე საქმით ვიღლები, საღამო არ მიყვარს, ხელსაქმით ვირთობ თავს, დაღლილს, როცა მიმეძინება, სიზმარში შვილს დავეძებ, ვერ ვნახულობ და ვიტანჯები. ვინც თქვენი ტელეფონი მომცა, ის ჩემი კლასელი იყო. ერთ მერხზე ვიჯექით, ორივე კარგად ვსწავლობდით. ერთხელ სკოლიდან სახლში როდესაც ვბრუნდებოდით, სიყვარული ამიხსნა. მე ტირილი დავიწყე, გავიქეცი, ის ხმამაღლა გაჰკიოდა ჩემს სახელს, გულნარა მიყვარხარ. მეორე დღეს, როცა სკოლაში მივედით. გავებუტე, ხმას არ ვცემდი, მერხიც შევიცვალე. გაკვეთილი როცა დაიწყებოდა, ვხედავდი თვალს მალიმალ ჩემკენ გამოაპარებდა, მე ვბრაზდებოდი, მაგრამ რა მექნა, გაკვეთილზე ვინ საით გაიხედავდა რა უფლება მქონდა რომ დამეშალა. რამდენიმე წელში სკოლაც დავამთავრეთ, ჩვენი გზები გაიყარა. მე უმაღლესი დავამთავრე, მერე სამსახურიც დავიწყე და ჩემმა აწ გარდაცვლილმა მეუღლემ მომიტაცა. რაღას ვიზამდი შევქმენი ოჯახი. თუმცა უსიყვარულოდ, მაგრამ ჩემი მეუღლის ღალატი გულშიც არასდროს გამივლია. ჩემმა ბავშვობის მეგობარმა იურისტობა აირჩია და თბილისელი გოგო სიყვარულით შეირთო, ბრწყინვალე ოჯახი აქვთ. ის ცნობილი პოეტია, იგი არის საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, ქართული პოეზიის რაინდი, ღირსების ორდერის კავალერი, ქართული კულტურის დესპანის მედლის „დიოსკურია“ 2005“-ის მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი აკადემიკოსი, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა, „ვარძიის“, „იყალთოს“ აკადემიების ნამდვილი წევრი, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქე. ორმოცდაათი ათასზე მეტი ლექსის ავტორი. ძალიან გთხოვ, არ შემეკითხო სახელი და გვარი. განა სიყვარული დანაშაულია? როცა ამ ორიოდე დღის წინ შემეხმიანა, გავიხსენეთ ბავშობა,

ერთმანეთს ვადანაშაულებდით. თუმცა ყველაფერი ბედის ბრალია, ვისაც რა უწერია ის გადახდება. გამოგიტყდები და მისი ხმა გამეხარდა, მე, უკვე საკმაოდ დიდი ასაკის ქალს, მისი ხმის გაგონება მიხარია. მისი საუბარი სულიერი საკვები გახდა ჩემთვის. ხშირად სიზმარში ვნახულობ, ისევ ბავშვები ვართ, ისევ ვცელქობთ. მე გრძელ თმებს ვატარებდი, ერთხელ ისე მომწია, სული გამიმწარა. ის სიმწარე ტკბილ მოგონებად გადაიქცა. შენ რედაქტორი ხარ, ძალიან გთხოვ, არაფერი დაწერო. უნდა გამიგო ქალბატონო, ხშირად დარდს გავურბივარ და ბავშვობაში ვიძირები, იმიტომ, რომ ჩემი შვილის საფლავზე კვერცხის დაგორება შევძლო და დარდმა ლოგინად არ ჩამაგდოს. და მაინც, გადავწყვიტე, რომ უცნობი ქალბატონის ნაამბობი ფურცელისთვის გამენდო. ეს ნამდვილი ამბავია, არაფერი არ შემითხზავს.

დაგვიფარე უფალო

თებერვალია, ბუნება განაგრძობს სიცოცხლეს. ყინვისგან შეშინებული შინდის კვირტმა ნელ-ნელა გაახილა თვალები, გვერდზე გადახედა თავის მეზობლებს: თხილს, წიფელას, მუხას, ტყის პანტას, ყველა სამეზობლო ჯერ მოიკითხა და მერე გააფრთხილა. ჩემს ფეხის ხმას არ აყვეთ, მე გავიშლები, ავყვავდები, თქვენ თანდათან წამოიშალეთ, შეიძლება სულელმა მარტმა არ დაგინდოთ, მარტი სანდო არ არის. ის ყინვასთან მეგობრობს, ერთ ღამეში შეიძლება სიცოცხლე ჩაგიქროთ, ჩაგიფერფლოთ. ბევრმა დაუჯერა შინდს და ბევრმაც არა. თოვს, ღამემ ყინვის საბანი დააფარა დედამიწას. ჯერ თებერვალის ოცდახუთია, ღმერთო, დაიფარე სამყარო, გამყინვარებისგან. აგვისტოში კი მეტისმეტი გავარვარებული მზისგანაც. ნუ გაახმობ შენივე შექმნილ ბუნების სილამაზეს, რადგან ბუნების გარეშე ადამიანთა სიცოცხლე ხომ წარმოუდგენელია. დაგვიფარე უფალო!

სული უკვდავია

ქალბატონი ნელი გელაშვილი და მისი საამაყო შვილიშვილი ზეცის ბინადრნი არიან. პატარა ივიკომ შეძლო დიდი სიყვარული დაეტოვებინა. იგი სახელგანთქმული სპორტსმენი იყო. მასზე (ბაბუა) ბატონი ივერი დიდ იმედებს ამყარებდა და ასეც იქნებოდა, თავის ბედისწერას რომ არ წაეყვანა. თუმცა რაც იცოცხლა ივიკომ, დატოვა ლამაზი კვალი ქართულ სპორტში. ივიკო ქელიძე ფეხბურთელი იყო. გარდაცვალების შემდეგ დაარსდა ივიკო ქელიძის სახელობის თასი. ყოველ წელს, როცა საზღვარგარეთიდან ჩამოსული ფეხბურთელები ეჯიბრებიან ქართველ ფეხბურთელებს, თამაშდება მისი სახელობის თასი და გამარჯვებულს ივიკო ქელიძის თასი გადაეცემა. აი, ესაა უკვდავება.

იგი იყო ფუძის დეკა, ათჯერ მეტი, ვიდრე ჩანდა,
იზრდებოდა მტერთა ეკლად, ანგელოზი იყო ნაღდი.

ივიკო ქელიძე ცაზე ვარსკვლავად ანთია. რაც შეეხება, ბებია ქალბატონი ნელის და პატარა ივიკოს ისტორიას როდესაც გავეცანი ასეთი რწმენა დამეუფლა. როცა ივიკო თავისმა ცუდმა ბედისწერამ ცაში წაიყვანა, მწამს საყვარელმა ბებომ სულეთის კარები გაუღო და ახლა თავის საყვარელ შვილიშვილს ამოგზურებს იმ ქვეყანაში, სადაც მართალნი განისვენებენ. ბებომ და შვილიშვილმა თავისი ლამაზი წარსულით უკვდავებაში გადაინაცვლეს. ქალბატონ ნელის, სიყვარულით შექმნილი ოჯახი ჰქონდა. თავისი დიდსულოვანი, სიყვარულის ცეცხლანთებული გული დაუკავშირა, ბატონ ივერი ქელიძეს, პიროვნებას, რომელსაც საქართველოს სიყვარულში მართლაც ბადალი არ ჰყავს. ქალბატონი ნელი გელაშვილი, მეცნიერი მუშაკი იყო. მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა და დაუტოვა სვანეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. მისასალმებელია, იცხოვრო ისე და გქონოდეს ორი სახელი. ერთი აქ დატოვო და ერთი თან გაგყვეს, ცათა სასუფეველში. ასეთი იყო ქალბატონი ნელი გელაშვილი და პატარა ივიკო ქელიძე.

ნელი გელაშვილი

ივიკო ქელიძე

შენ ისე გვიყვარდი

თინა ხარაიშვილი შუმილოვაა.

თინა, საყვარელო, შენ ისე გვიყვარდი, საკუთარი დედმამიშვილივით, ყველა ძირითადი ოჯახის დიდი საქმე შენთან ერთად წყდებოდა. ჩვენი ტკივილი შენი ტკივილი იყო და სიხარული კი ისე გახარებდა, როგორც დას, მეგობარს და საყვარელ ნათესავს. იყავი ყველასთვის დინჯი და მოწესრიგებული, ყველას გზას უკვალავდი. ისე წახვედი ერთი უბრალო წყენა არავის მოაგონდება შენგან. გიყვარდა ყველა და უყვარდი ყველას. გაზარდე თეონა, ასწავლე სიყვარული. ასწავლე ის, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე მდიდარი ის არის, ვისაც სიყვარული შეუძლია. სხვისი დახმარება და მიმტევებლობა შეუძლია. ვიცი და მწამს, შენ და ჩემი ბიძაშვილი ავთანდილ ხარაიშვილი ლოცავთ თქვენს დანატოვართ. შენი თეონა უაღრესად თბილი დედაა, ზრდის ორ არაჩვეულებრივ შვილს. თქვენს შვილიშვილებს ავთო და თინა.

გზა ნათელი გქონებოდეთ გარდაცვლილებს,
მფარველობა არ მოაკლოთ დანატოვრებს,
მოეფერეთ, უმფარველეთ შვილიშვილებს,
სიყვარული მათ ხომ ბლომად დაუტოვეთ.

მული კი არა და იყავი

**********'

თამრო, შენ ჩემ ქმარ-მაზლზე უფროსი იყავი. ჩემი მეუღლე (ვახტანგ სხირტლაძე) და მაზლი (ჟორა სხირტლაძე) თითქმის შენი გაზრდილები იყვნენ. რამდენჯერ მიყვებოდი მათ ბავშობაზე. მე პირადად შენი მოწონებული რძალი ვიყავი. სიყვარულის მეტს ვერაფერს გავიხსენებ შენზე. დედისერთას, დედაშენი (კლავდია ბიცოლა) ჩიტის რძეს არ გაკლებდა. სუფთა კიწკიწა ბიცოლასგან მეც ბევრი რამე მისწავლია. შვილების აღზრდაშიც დამხმარებია და ბევრი სიკეთე მახსოვს. შენ, ჩემო ლამაზო მულო, მეუღლის ბიძაშვილი კი არა, საკუთარი და იყავი ბიძაშვილების. სიტყვა ბიძაშვილი ამოღებული იყო, ჩვენი საუბრის ლექსიკონიდან.

პირველი ტკივილი სიძიდან მიიღე, (ტრისტანიმ) შენი გული დასერა. მერე ჟორა, ვახო, რამაზი, გელა, ამათმა წაგართვეს სიხარული. თამრო, ჩემო სიამაყე ღმერთმა იცის როგორ მიყვარს შენი შვილები და შვილიშვილები. გზა ნათელში იყავი ჩემო სიცოცხლის ბოლომდე მოსაგონარო, მოეფერე ჩემს მაგივრად ჩემს ქმარ-შვილს, ჩემი დათა გულში ჩაიკარი. აკი მომისამძიმრე და მითხარი, რა ყველაფერი შენ შეგხვდაო, „ყველას უყვარხარ და ალბათ სიკვდილსაც უყვარხარო“, ეს შენი სიტყვებია და ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი. შემხვდა თამრო და თან რამდენი. არ გამახარა ბედისწერამ.

რძალი ასე სცემს პატივს
გარდაცვლილ დედამთილს.

* * *

შენ კვალს, ნატერფალს,
მზის სხივი ფარავს,
სახლს ამჩნევია შენი თითები,
გარდაცვალება, შეჩერდეს კმარა,
მიდის და მიდის გოგო-ბიჭები.
წახვედი? წადი, მთლად ვალმოხდილი,
შენს ქალობაზე ისაუბრებენ...

საფლაზე მოვალთ, დარდით მოხრილი,
ძმების სულები ახლოს იფრენენ.
შენი სინაზე, შერჩება ირგვლივ,
ყველაფერს თამარ, რაც კი შენია,
ფიქრით სულებთან,
ხშირ-ხშირად ვივლი...
ეს ჩემი ბედის განაჩენია!

გულის ხმაური

საღამო რესტორან ბაღნარში ჩატარდა. ეს იყო თბილი და ისტორიული. კლასიკური და უბრალოებით შემკობილი. თითოეულის გულში იმედის სხივი თამაშობდა. იმ იმედისა, რაც დღეს საქართველოში იშვიათია და სანატრელია. გარდაცვალება ქარბობს ისედაც დაფანტულ საქართველოში. ჯერ დაკარგული ტერიტორიები, მერე ემიგრანტები. დაობლებული ბავშვები, შიში, უიმედობა... და მაინც, სიცოცხლის გაგრძელება. ახალი წიგნის გამოცემა მწერალთა კავშირის ეგიდით. შენი ერთი ლექსიც რომ მოხვდეს ამდენ კლასიკოსებთან, თითოეული პოეტის გამარჯვებაა. უმრავი პოეტის გული ამზიანდა იმ დღეს. ბევრმა მიიღო სულიერების საგანძური. ამ ყველაფრის გვირგოსანი გახლდათ, ყველასათვის საყვარელი მწერალთა კავშირის თავჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. იმ დღის სიხარულის სხივით გამთბარი იყო არაჩვეულებრივი პოეტი ქალბატონი ნაირა უგულავა, რომელსაც გადაეცა წიგნთან ერთად „საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია ქალდეა „საქართველოს“ აკადემიკოსის ოქროს დიპლომი. ამ ისტორიულ ღონისძიებას ესწრებოდა, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი გურამ ცერცვაძე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის წევრები: ბატონი თემურ გოგსაძე, ქალბატონი ეთერ ქელიძე, თეა გურგენიძე, მამა ამირან ამირანაშვილი, ლია ოსიაშვილი, ბატონი გოჩა ქელიძე, ქალბატონი მაია ქელიძე, ნათია ქელიძე, ეკა ბრეგვაძე და შორენა მამალაშვილი. ბატონმა გოჩა ქელიძემ, ნაწილობრივ გააშუქა თავისი მეცნიერული შრომები, რომელიც იყო სიახლე ისტორიაში. ამ ნაშრომს ბატონი გოჩა, ალბათ, ანდობს „ათინათის“ ფურცლებს. ეს დღე იყო სიყვარულის და აზრთა გაცვლის დღე. წარმატებებს ვულოცავ თითოეულ გამარჯვებულს. ყველაზე მეტად გამეხარდა ჩემი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის ლექსის დაბეჭდვა „მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში“.

ზღვისფერი თვალები

კიდევ კარგი, რომ გარდაცვალებულების სიახლოვეს ვგრძნობ. ხანდახან სუნთქვაც კი მესმის. უბრალოდ ვერ ვხედავ, ყველა ჩემიანი ჩემთვის ცოცხალია. იტალიიდან ჩამოსული, ჩემი საყვარელი დეიდაშვილი ანერი შუკაკიძე და მე ჩვენი საყვარელი დაიკოს, ოლიას საფლავზე წავედით. ოლია დეიდაშვილებში განსხვავებული სილამაზით გამოირჩეოდა. ზაფხულის არდადაგები იმისთვის მიხაროდა, დედა ყოველთვის თავის საყვარელ დაიკოსთან ვიცოდი გამაგზავნიდა, მეც დეიდასთან ჩავდიოდი ყოველთვის არდადაგებზე. დეიდაჩემის მეუღლე ოლეგი ბიძია და მამაჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. ქვისლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ბიძაჩემი ოლეგი, ძალიან დიდი ავტორიტეტი იყო სოფელში. მას თავისი კაცური წონა გააჩნდა. ბავშობიდანვე მიყვარდა მოწესრიგებული ოჯახები. ბიძაჩემმა და დეიდაჩემმა ერთმანეთის სიყვარულით გალიეს წლები სიბერის ხანამდე. მე, როცა ჩავიდოდი დეიდა მანებივრებდა ქრელ-ქრელი ლამაზი კაბებით. დეიდაშვილებს ისე გვიყვარდა ერთმანეთი, ლუკმასაც კი შუაზე ვყოფდით. იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, რაც თითოეულ ჩვენგანში იყო. ასეთი სიყვარულით დაზრდილები დავრჩით ცრემლიანები, რადგან მე და ჩემი ანერი თითო დედმამიშვილით შემოვრჩით ამ დარდიან წუთისოფელს. ანერის დემური და მე კი ეთერი. მოსიყვარულე დეიდაშვილებმა ტკივილიც გავაზიარეთ და იმ დღეს ისეთი სიხარულით მივდიოდით საფლავზე თითქოს ოლია იქ ხელგაშლილი შემოგვეგებებოდა. საფლავის მიახლოვებისას ცრემლები უჩუმრად ჩამოგვდიოდა, ვეფერებოდით სურათს და ვებუტბუტებოდით. ოლიას ზღვისფერი თვალები, ქვის უმეტყველო აკლდამაზე იყო გაკრული. ზეცას შევხედე და სულის სიახლოვე ვიგრძენი. მერე მტრედმა თავზე გადაგვიფრინა და გაუჩინარდა. მტრედს თვალი გავაყოლე, ანერის არ შეუმჩნევია, მეც არაფერი ვუთხარი. დეიდაჩემის საფლავზე გადავინაცვლეთ. ჩემო ლამაზო დედაო, ცივ ქვას დაფოფინებდა ანერი. მტრედმა ისევ მიიქცია ყურადღება, რადგან ერთი საფლავიდან მეორე საფლავზე გადაფრინდა. ვიგრძენი, რომ დედისა და შვილის სული იმ მტრედით იყო დაკავშირებელი!

სიმდიდრე სიყვარულია

მთელი ზაფხული ჟურნალ ათინათზე მუშაობამ ისე შემიყოლია, შემოდგომის თვეში შევსულვარ, გადამინაცვლია, იქით-აქეთ როცა მივიხედ-მოვიხედე, ხეებს ბუნებრივად ცვიოდა უკვე ფოთლები. გულში სინანული ვიგრძენი, საქმეს უნდა გავეცალო და სოფელში წავიდე, მკაცრად შემოვუძახე ჩემს თავს და ასეც მოვიქეცი. დილაადრიანად ფიქრში გადაწყვეტილი გეგმა რეალურად ვაქციე. საიდან დამეწყო ეს გეგმაც გულში გადავანაწილე, რადგან მისასვლელ-მოსასვლელი ბევრგან ვიყავი. პირველად, იტალიიდან ჩამოსული ანერისკენ გამექცა გული. კარები გავაღე თუ არა, გიორგიმ, ჩემი დეიდაშვილის ბიჭმა წამოიძახა, დედა, გულნაზი დეიდა მოვიდაო. პატარა მასპინძელი, გიორგის ბიჭი, თავისი აციმციმებული თვალებით კარებში შემეგება. გუჯიკოს შეხვედრამ მართლაც გამაოცა, პირველად ვხვდებოდი და დიდი კაცივით გამიძღვა წინ. წამებში სიყვარულით შექმნილ ოჯახში გულის სითბო ტრიალებდა. გიორგის მეუღლემ, ლამაზმა ანამ, სწრაფად გაშალა სუფრა, ეს გადაიღე ის გადაიღეში ანაცვლებდნენ სხვადასხვა კერძებს ხელში ჩემი მონატრებული ხალხი. მერე შორენასთან გადავინაცვლეთ. შორენა, ანერის გოგოა, მან თბილისი და სამსახური დროებით დათმო (ისტორიკოსია), სუფთა ჰაერი აირჩია თავისი შვილის (გვანცას) გულისთვის, რადგან დედისთვის შვილის ჯანმრთელობაზე კარგი არაფერი არ არსებობს. მივდიო-დით შორენასთან და წინ ანერი მიმიძღოდა. გასაოცარი ის იყო, რომ შორენას გვერდით მისი დის, ხათუნას, სახლი მანახეს დიდი ეზოთი და ფართო აივნებით. ხათუნას გვერდით ესმას სახლი იყო. ესმა, დედაჩემის ულამაზესი ძმიშვილის, ლილის ქალიშვილია, რომელმაც აფხაზეთის მოუშუშებელი ტკივილი თავის მშობლებთან ზეცაში წაიღო. უდროოდ, თავისი მწარე ბედისწერით. გამახსენდა ლილის ხაშხაშა ხასიათი და დარდმა იმ წუთში მოიკალათა, თუმცა მაინც ვცდილობდი, პოზიტიური ხასიათი შემენარჩუნებინა, რადგან თვალით ვხედავდი იქვე მოხტუნავე ესმას შვილიშვილებს. სიცოცხლე გრძელდებოდა, კვლავ ტრადიციული სიყვარულით. ვატყობდი, რომ გენეტიკური კოდი (ერთიანობის) გრძელდებოდა. ქართული ტრადიციულობით, იქაც სუფრა გაიშალა. გული სიამით ამევსო, რადგან სიყვარულის, ნათესავობის ჯაჭვით, გადამბული ოჯახები დამხვდა. ჩემი დედის ფესვების, (შუბითიძეებით) გამრავლებული, კილაძეები, გელაშვილები, შუკაკიძეები, ერთ დიდ, ერთიან სიყვარულის ჯაჭვს ქსოვდნენ. მეორე დღეს, საციხურში ჩემ დას გამოვუარეთ, ეთერის სიხარულს საზღვარი, არ ჰქონდა, როცა ამდენი ხნის მონატრებული ანერი დაინახა. ეთერიც კოდაში წავიყვანეთ და ასე სიყვარულის ნამატით მივაღწიეთ ჩემს სახლამდე. ზოგი სუფრას შლიდა, ზოგი სურათებს იღებდა, პატარა ანგელოზი, გუჯიკო, აქაც გვმასპინძლობდა. ციყვივით დახტოდა, ხან დედა უნდოდა და ხან კი დიდი კაცივით დააბიჯებდა სახლის დიდ და გრძელ აივანზე. ეს სურათები ჩემს სახლის კიბეებზე, აივანზე გადავიღეთ. სურათი ის განძია, რომელიც განვლილი ცხოვრების კადრებს ინახავს. ეს პატარა სიხარულით შექმნილი ნოველა გადავა ჩემს მეთორმეტე წიგნში. „სულის ტაძარში“, რომელიც მალე იხილავს დღის სინათლეს.

ბედის ირონია

ლამზირა შეყილაძეს „ქვა აღმართში წამოეწია“, ისეთ ასაკში გარდაეცვალა შვილი, როცა უკვე წლების აღმართს ნელი პოეტური ნაბიჯებით შეუხვია. მისთვის ერთადერთი სიმშვიდის წამალი გახდა ეკლესია. როცა გამწარებულ დედას, ღვთიშობლის ხატთან ღვარღვარით ჩამოსდიოდა ცრემლი, მის მოპიდაპირე მხარეს, მეორე პოეტი ილოცებოდა. ის საქართველოს ბედს ავედრებდა წმინდა გიორგის და თან მის ფაქიზ სახეზეც ცრემლები დაუპატიჟებლად სრიალებდნენ. როცა ლოცვით გული იჯერეს, ქალბატონები ერთმანეთს გაესაუბრნენ. არ გაჭირვებიათ ერთმანეთის სულის ამოცნობა, რადგან პოეტები იყვნენ. მათ სხვანაირათ სტკიოდათ, ის, რაც უნდა ტკენოდათ. ერთს შვილი და მეორეს სამშობლოს ბედი აწუხებდა. უფალმა გააერთიანა მათი დარდი ერთად და ასე ჩამოყალიბდნენ სულიერ მეგობრებად. ლამზირამ ქალბატონი ეთერი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში მოიყვანა. ჩვენი საუბარი დარდისკენ გადაიზარდა, რადგან აკადემიაში გარდა წმინდა ხატების კუთხისა, მაქვს ქართველი კლასიკოს პოეტთა კუთხე და აწ გარდაცვლილთა კუთხე, ცივი კედლებიდან მომჩერებიან: მეუღლე, შვილი და ძმები. ეთერის ყურადღება სურათებმა მიიპყრო. ერთი ისეთი, ისეთი ამოიკვნესა, გული ამოაყოლა და ამბის მოყოლა დაიწყო. ვიცი, ეს ტკივილი საკუთრად განვიცადე, რა არის საყვარელი ადამიანის განშორება სამუდამოდ. ჩემს ბიძაშვილს, ივერი ქელიძეს, ძალიან თბილი და სიყვარულით შექმნილი ოჯახი ჰქონდა. მას ისეთი მეუღლე ჰყავდა, მთელი სვანების საამაყო რძალი იყო. ნელი გელაშვილის სიკეთეზე მთელი საათობით შემიძლია საუბარი. ნელი ძალიან ახალგაზრდა, ისეთ ასაკში წავიდა, როცა

უკვე უნდა გაეხარა, თავისი ლამაზად დაზრდილი შვილებით. როცა ის გარდაიცვალა, ჩემი ბიძაშვილი, ივერი, ხუთი წელიწადი საფლავს არ მოშორებია. ნელის საფლავზე სანთელი არ ჩამქრალა, რადგან იქ ივერი სანთლის ალზე ჩურჩულობდა ნელისთან გატარებულ სიყვარულის წლებზე. ხუთი წელიწადი ყოველდღე ახალი ვარდები მისდიოდა ნელის მეუღლისგან. ეთერი წამიერად ჩაფიქრდა და ცრემლები გადმოყარა. მერე რა მოხდა? ინსტიქტურად წამოვიყვირე. მერე უფრო დიდი უბედურება მოხდა, ტრაგიკულად გარდაიცვალა, ყველანაირი დადებითი თვისებებით შემკობილი ფეხბურთელი, ივიკო ქელიძე. ივერი ქელიძე, ივიკოზე ამყარებდა დიდ იმედებს და ეს იმედიც ზეცაში გაუფრინდა. პოეტმა ახლა ბეჟანის სურათთან გადაიტანა ყურადღება. ეს ვინ არის? რა ლამაზი ნახატია, ეს ჩემი აწ გარდაცვლილი პოეტ ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტია, ოცდაათი წლის გარდაიცვალა. რაც ბეჟანი დავკარგე, მას შემდეგ დარდი ჩასახლდა ჩემში და მასთან ერთად ვცხოვრობ. უფლის სიყვარული და რწმენა მაძლიერებს. მადლობა უფალს, რომ არ გამაბოროტა. მიუხედავად იმისა, შვილგარდაცვლილი დედა ვარ, სხვისი შვილები უფრო შევიყვარე. ყოველთვის მახარებს ბედნიერი დედების ჟღურტული, ერთად რომ მიდიან. ვგრძნობ, მათ წინ სამყარო, რომ ცარიელდება, რადგან დედა და შვილი გაერთიანებული სამყაროა. ეროვნული სულის პოეტის თემა ისევ ივერის დაუბრუნდა. საუბარი გააგრძელა. ივერი ქელიძემ არაერთი აფხაზეთიდან დევნილი გადაარჩინა კოდორის ხეობაში. შვიდასი მოსწავლე ეზიარა სტუდენტობას ჩემი ბიძაშვილის, ივერი ქელიძის წყალობით. დიდმა ტკივილმა მას რწმენის ხიდი ამოაშენებინა ცასა და დედამიწას შორის. ირწმუნა სულის უკვდავების და გააგრძელა ცხოვრება, ისევ საქართველოს საკეთილდღეოდ. ივერი ქელიძე მისაბაძი პიროვნებაა. მე პირადად, მის გარეშე სიცოცხლე ერთ წუთსაც არ მინდა, რადგან ოჯახი არ შემიქმნია, ეს იმას არ ნიშნავს არავინ მიყვარდა. დიახ! მიყვარდა, არა ისე ახლა რომ იციან, არამედ წმინდად და უღალატოდ. აქაც ბედის ირონია იყო და სხვა არაფერი ჩარეული, ოჯახი არ შემიქმნია. ჩემი სიყვარული ახლა უფალი და საქართველოა. ვცხოვრობ სამშობლოს სიყვარულით ვხარობ სხვისი ბედნიერებით. ამჟამად ვმოღვაწეობ საჯარო სამსახურში ერთგულებით. თუ ვიტყვი, ვასრულებ. ჩაჭრა და ღალატი სვანებმა არ იციან. არავის ვღალატობ, ასეთია ჩემი ძმა ივერიც. მას ისეთი შვილები ჰყავს, მაიკო ჩემი გულის მალამოა, გოჩა ჩემი სიამაყეა. ეთერიმ საუბარი დაასრულა. მე ისღა დამრჩენოდა აკადემიაში გაწევრიანება შემეთავაზებინა, ასეთი ღირსეული ქალბატონისთვის. ჩემი შეთავაზება მიიღო და იმ დღესვე მოგვარდა, აკადემიაში გაწევრიანების საკითხი. წელს, როცა მწერალთა კავშირმა დიდგორთა გამარჯვების ცხრაასი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოაცხადა კონკურსი. პატრიოტული ლექსები უნდა წარგვედგინა მწერალთა კავშირში. ჩვენს აკადემიაში გაწევრიანებულმა პოეტებმაც დიდი სიხარულით მიიღეს მონაწულეობა, სადაც ერთ-ერთი გამარჯვებული ეთერ ქელიძე იყო. ამ საზეიმო დღესთან დაკავშირებით, პატარა მინი საღამო ჩავატარე ღია სივრცეში, რესტორან ბაღნარის ეზოში. იმ დღეს ქალბატონი ეთერის დაბადების დღეც დაემთხვა და იქ, გავიცანით ბატონი ივერი ქელიძის შვილები, მაია და გოჩა ქელიძეები. პატარა ღონისძიებას დიდი პიროვნებები ესწრებიდნენ. დიდები იყვნენ თავიანთი უბრალოებით. მხატვართა კავშირის

თავჯდიმარე, ბატონი გურამ ცერცვაძე. მწერალთა კავშირის თავჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. ბატონი თემურ გოგსაძე, დიდი საზოგადო მოღვაწე და პოეტი. ქალბატონი, ნაირა უგულავა ექიმი და პოეტი. პოეტები: შორენა მამალაშვილი, ლია ოსიაშვილი, ეთერის და ულამაზესი ნათია ქელიძე. ივერი ქელიძის შვილები გოჩა და მაიკო ქელიძეები. ამ ცოტა ხალხში დიდი სიკეთის სივრცე გადაიშალა. ნებისმიერი წამოჭრილი საკითხი სიმშვიდით წყდებოდა. იყო ერთ გუნდად შეკრული საზოგადოება. ეს სიმშვიდე უფლისგან მოდიოდა, რადგან ღონისძიება აკურთხა მამა ამირანმა, ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა. მაიკო ქელიძის დატოვილი სითბო სამარის კარამდე მიმყვება. გოჩა ქელიძის ნიჭისგან შექმნილი ნაშრომები ახალ სიტყვას იტყვის მეცნიერებაში. ყველა სულით მდიდარი შვილი დიდ სიკეთედ იქცევა. ამიტომაა, ივრი ქელიძის და ნელი გელაშვილის აღზრდილი შვილები, ყოველგვარ სიკეთის ნორმებს ცდება და მათ ოჯახებზე დაიწერება პოემები, რაც ქართული ოჯახის ტრადიციად შემორჩება ისტორიას. მისაბაძია ასეთი ოჯახი, როგორი ოჯახიც ბატონ ივერი ქელიძეს აქვს!

ბატონი ივერის დები

შეიძლება გაგიკვირდეთ, ვინც მათ იცნობთ, რატომ დავწერე, ბატონი ივერის დები. აგიხსნით, ვისაც გაინტერესებთ. ძალიან ბევრჯერ შევსწრებივარ და მომისმენია ასეთი სიტყვები დები ქელიძეებისგან (ეთერი, მალვინა, ნათია) – ივერის გარეშე ერთი დღეც არ გვაცოცხლო ღმერთოვო. – არადა სამივე გამოირჩევიან, სულის სიძლიერით, გამტანობით, სიყვარულით, ერუდიციით, ქცევის კულტურით, მაინც არ უნდათ სიცოცხლე ბიძაშვილის გარეშე. ასეთი რამ ნამდვილი დებისგანაც არ მომიამენია. თქვენ?

ვინ ვარ?

არავინ შეგიყვანოთ შეცდომაში, როცა ძალიან მაქებენ. არაფრით არ განვსხვავდები არავისგან. განსხვავება შეიძლება დაინახოთ უბრალოებით. როცა მაძაგებენ, არც ის დაიჯეროთ, რადგან მე ბედი მაქვს ასეთი, ვისაც თან გადავყვები, ის მიხდება მტერი. მტერი აბა კარგს როგორ იტყვის, ის ხომ მტერია. ერთი უბრალო ადამიანი ვარ, რომელსაც ჭიანჭველაზე დიდი ტვირთი წამოუკიდებია და მიაქვს. უსასრულობის საზღვარზე სურს მიიტანოს, იქ ელოდებიან განმკითხველები. ვინ ვარ მე?

ვისაც საქართველო, სიცოცხლეზე მეტად უყვარს! ვისაც არავისი არაფერი შურს. ვისაც შეუძლია სიცოცხლე სხვის საამებლად გააგრძელოს, სხვისი ეტკინოს, სხვისთვის იტიროს. სხვა არასოდეს განიკითხოს.

თუ „მაზოლზე“ ფეხს დაადგამენ, მაშინ კონტროლს კარგავს და ვეფხვს ემგვანება შეუპოვარს.

ვინ ვარ მე? უმართავი საქართველო რომ მტკივა. სიძულვილი რომ მძულს. ამისიანი, იმისიანი რომ გულს მიღრღნის. თვითონ ტკივილებით გულდამძიმებულს, სხვისი ტკივილი რომ მაშფოთებს, არ მაძინებს, განვიცდი. ვცდილობ, სიტყვით მაინც ვაამო, დავამშვიდო, მოვეფერო.

====

==

ვინ ვარ მე? === არ ვიცი! ან ვარ კი?

საჩუქარი აჭარიდან

დღეს აჭარიდან ველოდებოდი აკადემიის ღირსეულ წევრებს: აჭარის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტს ქალბატონ ნანა მომცემლიძეს და ბატონ ოთარ ბოლქვაძეს. სანამ ძირითად საკითხზე გადავიდოდე, მინდა საჯაროდ მადლობა გადაუხადო მათ აკადემიის საქმაინობისათვის. აჭარაში ატარებენ საღამოებს. ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო იცნობდა, მაგრამ არ დაივიწყო მისი ღვაწლი და თაობებს გადასცე დიდ მოგზაურზე ინფორმაცია, ეს ნამდვილად დასაფასებელია. გმადლობთ ქალბატონო ნანა და ბატონო ოთარ. მადლობა თითოეულ აკადემიის წევრს. ნამდვილად იმსახურებთ სამადლობელო სიტყვებს. ახლა მთავარი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ჩემში. ეს გახლდათ ბატონი ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტის შექმნა. ბატონმა გურამ ფუტკარაძემ, აჭარის რეგიონის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, შექმნა ორი სურათი, ბატონი ჯუმბერის და ერთი აჭარას

გადასცა და მეორე კი თბილისში გამოგზავნა. დიდი მადლობა, ბატონო გურამ, ღმერთისგან იყავით დალოცვილი. არა ერთხელ გამიგონია, თბილისში, ბატონი გურამ ცერცვაძისაგან, თქვენი მისამართით ქება. ბატონი გურამი დაუმსახურებლად არავის შეაქებს, მაგრამ დღეს, პორტრეტის ნახვამ ყოველგვარ მოწონების ზღვარს გამაცილა. ბატონი ჯუმბერის პორტრეტი შექმნილი აქვს ბატონ ალექსანდრე ციხელაშვილს და თექაზე ქალბატონ ჟანა ხვიჩიას. სამივე სურათს საპატიო ადგილი აქვს დათმობილი აკადემიაში.



გახმაურებული „დუმილი“

„დუმილი“ ზღვასავით ადიდდა, ჩუმად აბობოქრდა, გულის ჯებირები გადმოხეღქა. წამწამებმაც ცრემლელები ვერ შეიკავა და კოკისპირულ წვიმად იქცა. მეგონა, ის წვიმის ცრემლი მარტო მე მეკუთვნოდა, მე უნდა დავესველებინე. მივიხედ-მოვიხედე და იქ მყოფთა თვალების უმრავლესობა ტიროდა. ატირებული თვალები რომ დავინახე, დავსუსტდი, დავპატარავდი და პატარა ბავშვივით უხმოდ კარგა ხანს, ვიზლუქუნე. ბოლოს თავი მაღლა ავწიე და ჩემი დუმილის წამკითხველი, გიტა ლემსაძის გოგონა, ანა ნაკაშიძე, გულში ჩავიკარი და მოვეფერე.

დუმილი

დუმილი – დიდი ამოუთქმელი სევდაა, რომელსაც ვერავინ ახსნის, რატომ დუმს, მდუმარე ადამიანი.

დუმილი – დიდი ტკივილია.

დუმილი – წლობით ნალოლიავები ამაგია.

დუმილი – დედაშვილური სიყვარულია.

დუმილი – გაოცებაა.

დუმილი – კითხვებია: რატომ? რისთვის?

ჰოდა, მე ვარ მდუმარე ქალბატონი. დუმილით ვაგრძელებ ცხოვრებას და ისე მოძლიერებული ვარ, როგორც აალებული ცეცხლი ძლიერი ქარის დროს. მხოლოდ ეს ქარი სევდის ქარია. ისეთი ძლიერი ვარ, როგორც არასოდეს ვყოფილვარ. არ ვბოროტდები, უბრალოდ იმიტომ გავრბივარ, ჩემი სევდის ცეცხლი სხვას არ მოეკიდოს. ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს, სევდის ქვაბში გადმოხარშული გულის არსის სიცოცხლის მნიშვნელობა. არ იცის და რა ქნას.

შევეცდები ავხსნა. აქ უფლის ძალაა ჩარეული. როცა ნებისმიერი ადამიანი, მე ვიქნები თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს ამას მკითხველისათვის. იწვალა, იომა, იჯახირა, იკოწიაწა, იძაგძაგა, ააშენა სიყვარულის კოშკები. აქ, არ ვგულისხმობ, მამრისა და მდედრის ურთიერთობებს. აქ ცხოვრების აღმართზე წამოწეული სეტყვაა, რომელიც, გაგლუმპავს, დაგასველებს, აგაძაგძაგებს. აქ ადამიანთა სიყვარულია, რომლებსაც ყველაფერი გაუკეთე, რაც შეგეძლო და მაინც ისე მოისროლეს შენი ამაგი, როგორც მოძველებული ნივთი სანაგვე ყუთში. ამ დროს გული მაინც ცოცხალია, რომელიც ხალხის სიყვარულისთვის გაუჩენია უფალს. ცხელი გული აშრობს თავისივე სხეულს, სხვის დაუხმარებლად. იცით რატომ აშრობს? განა ვინმეს ჯობია? არა და არა. ასეთი უფალმა შექმნა, ეს მისი ხვედრია. რამდენჯერ მოკლეს ვინ იცის და ვინ მოთვლის. მისი ამაგი სევდის კალოდაა ნაქცევი. კალოზე დახტუნაობენ ბრმა ციყვები. ციყვები შეიძლება კეთილები არიან, მაგრამ თავიანთი სიბრმავის გამო იქცევიან ასე. ჰოდა, გარბი-გამორბიან, თან მღერიან. ისინი ვერც იმას ხვდებიან, რომ ამ თავიანთი ხტუნვა-ხტუნვით სევდის კალო ილეწება. გინდა, თუ არ გინდა დღეში ამინდი შეიძლება ათასნაირად შეიცვალოს. ხან იწვიმოს ანდა ქარი ამოვარდეს. ორივე შემთხვევაში, სევდის კალო ქრება. წვიმის დროს წყლის ნიაღვარს მიაქვს სევდა. ქარის დროს კი ქარი გაფანტავს უსასრულობის სივრცეში. დგას შინაგანი მე და ფიქრობს. რა კარგი ყოფილა დუმილი. გული განთავისუფლდა. არ დაჭირდა ახსნა განმარტება. რატომ? რისთვის? სიცოცხლე გააგრძელა დუმილმა, მარტო, სულ მარტო, თავის კეთილ გულთან ერთად. მიდის დუმილიანი გული და ფიქრობს, კიდევ რა მოასწროს, რა შექმნას. ცდილობს ამოწუროს თავისი შესაძლებლები, რათა წარსდგეს უფალთან!

გარდაცვლილი მეუღლე

ცუდი ადამიანი არ იბადება. მთავარი ის არის როგორ გაზრდი. ადრეც მიიღო ჩემგან ეს ინფორმაცია ჩემმა მკითხველმა. როცა მამა დაბადებულა, დედამისი მართა მახათაძე გარდაცვლილა. იმ დროს, სოფელ ხვანში არავინ არ ყოფილა მეძუძური დედა. ტირის უმწეო ბავშვი, დედის სითბო უნდა. დედის ცივი გაყინული სხეული ვეღარაფერს გრძნობს. სული ხედავს, მისი მუცლიდან დაბადებული პატარა ბიჭი როგორ ეძებს ტუჩების ცმაცუნით დედის ძუძუს, მაგრამ დედის გაყინული მკერდი ვეღარ იხუტებს შვილს. ამიტომ იყო, რომ ჩემს პაპას მამაჩემი გუდაში ჩაუსვამს და გასდგომია გზას, მეძუძური დედის საპოვნელად. ძალიან დიდი თოვლი ყოფილა, ვინც იცის ეს მხარე უდაბნოს ჰგავს. ერთი მთა მეორე მთაზეა გადამბული, მეორე მთა მესამეზეა და რომ გახედავ, გაშლილ ზღვის ტალღებს ჰგავს. წარმოიდგინეთ, ამ დროს, თოვლი და ქარბუქი. გაუკვალავ თოვლში მიდის პაპა, გუდაში ჩასმული ბავშვით ან რა ნერვები შერჩა, ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. მკითხველო, გადაჭარბებული მითებიდან მოყოლილი ზღაპარი არ გეგონოთ. რეალურად მომხდარ ამბავს გიყვებით. ეს ადრე ლექსითაც გადმოვეცი, მაგრამ ლექსი ვერ იტანს სიზუსტის ფრაგმეტებს. ლექსი მეტაფორაა, ახალი სახის შექმნაა, რითმია, რიტმია. ლექსი მუსიკალური ჟღერადობით უნდა იყოს მორთულ-მოკაზმული. გადავწყვიტე, პატარა ნოველის სახით მოგაწოდოთ ეს დაუჯერებელი ამბავი. თან იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ დამეწერა, თუ ადამიანს სიცოცხლე უწერია, გადარჩება. თქვენთვის ვწერ, რომ იმედი მოგცეთ, ამ შიშის დროში, სიძულვილის და გაუტანლობის დროში, მწირი იმედი შემოგაწოდოთ. გავაგრძელოთ ამბავის მოყოლა, პაპას გადაუვლია ერთი მთა, მეორე მთა. ანუ ხვანიდან გორაძირი და ჩასულა სოფელ ნიგვზარაში. სადაც ხარაიშვილები, ხარშილაძეები და ციხისელები ცხოვრობენ. შეიძლება სხვა გვარებიც არიან, მაგრამ მე არ ვიცი და როცა არ ვიცი, აჯობებს არ დავწერო ის, რაც არ ვიცი. იმ დროს სოფელ ნიგვზარაში ერთ-ერთ ქალბატონს მერვე შვილი დაბადებია. როცა მისი მერვე შვილი ატირებულა, ეს ქალბატონი ძუძუს მოსაწოვებლად ზეზე ამდგარა. კარში მეზობლის ძაღლებს, უცხოს ფეხის ხმა შეუგვრძნია და აყეფებულან. ქალბატონს გარეთ გაუხედია და დაუნახავს ვიღაც მგზავრი, თოვლის კაცი, მოდის გუდით. სახლში შესულა და მეუღლესთვის უთქვამს ვიღაცა თოვლში მოდის, ძაღლები უყეფენ, ეტყობა რაღაცა უჭირს და სახლში შემოიყვანეო. მეუღლეც გასულა, მაპატიეთ მკითხველო, სახელები აღარ მახსოვს, რომ მახსოვდეს დიდი სიამოვნებით დავწერდი. ისინი ყველა გარდაცვლილებია და მათმა სულმაც მაპატიოს. ამ დროს სანამ ამ ქალბატონის მეუღლე გარეთ გასულა, ძაღლებს წრეში ჰყავთ პაპა და გარშემო, ძინძგილაობენ. ბედად მიუსწრო ამ ღვთის კაცმა და ეს ნატანჯი თოვლში ამოგანგლული პაპა, უცებ აალებული ბუხრის გვერდით მოხვდა. გუდაში, მამაჩემს, უკვე ტირილის თავიც აღარ აქვს და ოდნავ ღნავის. სასწრაფოდ ქალბატონს გუდაში შეფუთული პატარა ამოუყვანია და ჯერ თავისი გულმკერდის სითბოთი გაუთბია, მერე ძუძუ მიუცია და უცებ პატარა ობოლს მშვიდად დაუძინია. ქალბატონს წყალი გაუთბია, მამაჩემი დაუბანია, თავისი შვილი აკვნიდან ამოუყვანია,

მამაჩემი ჩაუწვენია და ასე გაუთენებიათ ღამე. პაპა კი იმ ღამით წამოსულა, რადგან სახლში გარდაცვლილი მეუღლე ჰყავდა მიტოვებული.

პაპამ, რადგან დაინახა რომ გუდიდან ამოყვანილმა პატარა უსუსურმა არსებამ ძუძუ მოწოვა და აკვანში მშვიდად განაგრძო ძილი, წასვლა გადაწყვიტა. ეს ამბავი იანვრის სუსხიან ღამეს ხდებოდა. მამაჩემი საღამოს შვიდ საათზე დაბადებულა და ამ დროს ზამთრის ღამე საკმაოდ დაბნელებულია. ღამე გავიდა სახლიდან და ისევ ღამით გადაუწყვეტია უკან დაბრუნება. კეთილი მასპინძლები თხოვდნენ დარჩენას. პაპას უთქვამს, ოღონდ ჩემი შვილი გამიზარდეთ და არაფერს მოგაკლებთო. მე საკუთარი წისქვილი მაქვს და ჩათვალეთ, რომ რაც კი სარჩო მექნება არაფერს დავინანებ, თუკი ჩემი შვილი გაიზრდებაო. ერთი დღის შვილი დაუტოვებია ბედის ანაბარა და ისევ ზამთრის ქარბუქში, უკვალავ თოვლში, ნიგვზარიდან ხვანში გაუდგა გზას. რა თქმა უნდა, სველი და ტანზე შემოყინული ტანსაცმლით. თოვლიანი ღამე ყოველთვის შუქიანია, გზა ჩანს. ქარი ალაგ-ალაგ ღრმად აგროვებდა თივის ზვინივით ნამქერს. ნამქერში ჩავარდნილი პაპა დიდხანს უნდებოდა თოვლიდან ამოსვლას. ალაგ-ალაგ კი ისე გასარკული გზა იყო, გეგონებოდა ასფალტი დაუგიათო. ამ სიტყვებს ახლობლების ნაამბობიდან ვიმეორებ. ასე წვალებ-წვალებით მოატანა თოვლის კაცმა სახლს, სანამ სახლამდე მივიდოდა, სანთელის მთებიდან მდინარე ძირულამდე, გორიალ-გორიალით მოდიოდა, ხან ღელეში ჩავარდებოდა, ხან ეკლებში. როგორც იქნა მდინარემდე მივიდა. მდინარე გაყინული იყო, ფეხით მოსინჯა თურმე. ჩემს წონას გაუძლებსო უთქვია და ზედ შემდგარა. შუა მდინარემდე, რომ მისულა გამტყდარა ყინული და შიგ ჩავარდნილა. მისი სხეული უკვე ვეღარეფერს გრძნობდა, ძალა მოუკრეფია და ნაპირსკენ ყინულებს აქეთ-იქით ხელით ყრიდა და ნაპირზე მიუღწევია. თავისივე გათოშილი ხელებით ტანსაცმელი ტანზევე შემოუწურავს და ახლა უკვე სახლისკენ აღმართს შეუდგა. აღმართზე მსვლელობისას, სიხლმა მოძრაობა დაიწყო და უფრო გაუადვილდა სიარული. ახლა ცოტახნით დავუბრუნდეთ ჭირისუფლებს, რომლებიც ცხედარს დასტიროდნენ. ბუხარში დიდი ცეცხლი აუნთიათ და შეშფოთებულები ელოდებიან გათენებას. გარდაცვლის არა, ახლა უკვე ცოცხალ პაპაჩემს დარდობდნენ. ერთი ამბობს, მგლები შეჭამდაო, მეორე ამბობს, ბავშვი გაიყინებოდა და თვითონ თავის თავს არაფერი აუტეხოსო. ჩემო მკითხველო, თქვენ მე არ დაგამძიმეთ. წინასწარ გავაშუქე ის ნამდვილი სიუჟეტი, რომ თოვლთან და ბუნებასთან ჭიდილის დროს, პაპაჩემი გადარჩა. ამიტომ თუ ვინმეს განსაცდელი შეხვდება, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა იბრძოლოს. თუ სიცოცხლე უწერია, აუცილებლად გადარჩება. მამლებმა იყივლეს, ერთ-ერთ ჭირისუფალს გარეთ გამოუხედია, ამ დროს პაპაჩემს დაბლა აღმართიდან ამოუძახია: მშვიდად წადი ჩემო მართა, შვილი გადაგირჩინეო. რა თქმა უნდა, ეს არც ერთმა ჭირისუფალმა არ დაიჯერა და პაპას თურმე დუმილით შეხვდნენ.

სიხარულის დილა გათენდა, საჩხერის რაიონ სოფელ ნიგვზარაში, ციხისელების ოჯახში. კიდევ ვიმეორებ, სახელები რომ ვიცოდე დიდი სიამოვნებით დავწერდი. ვიცი ბევრი წაიკითხავს ამ თოვლის კაცის ამბავს. აუცილებლად მივა ეს ინფორმაცია მათთან. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამომეხმაურებიან. რვა შვილის მამამ დილაადრიანად მეზობლები შემოიარა. ერთ-ერთი ოჯახის სახლის კარები შეაღო. რაზე

შეწუხებულხარო, მეზობელმა სახლიდანვე გამოძახა, რადგან თოვდა და გარეთ გამოსვლა დაეზარა. აკვანი მჭირდება ჩემი ახლად დაბადებულ ბიჭისთვის და მათხოვე. თქვენ ერთი თვეა შვილი შეგეძინათ და ამდენი ხანს თუ აკვანში ბავშვი არ ჩაგიწვენიათ, ახლა ვეღარ მიაჩვევთ აკვანს, ოთახიდან შეეხმიანა მამაკაცის მეუღლე. ძალიან ეწყინა მამაჩემის გადამრჩენელს, ეწყინა რვა შვილის მამას და მიაძახა: თუ გენანებათ მითხარით, ამ თოვლში რომ მაჩერებთ, მეუღლე მელოდება. ორი ბავშვი უაკვნოდ როგორ უნდა გაზარდოს, სხვაგან წავალ და სხვას ვთხოვ. მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს, თავი გადააქნიეს, იფიქრეს ამ საცოდავს რაღაცა სხვა აწუხებს, ალბათ, კარგად ვერ არისო. აკვანი გამოიტანა მეზობლის ქალბატონმა და თან ჩაფიქრებულმა უთხრა: მეც გამოგყვებიო. ასე სიჩუმით შეაღეს სახლის კარები. მამაჩემი აკვნიდან ამოეყვანა კეთილ ქალბატონს და ძუძუს აჭმევდა. თავის საკუთარი შვილი კი ტირილით არღვევდა მშვიდი ოჯახის მყუდროებას. პატარა და-ძმები ხის საწოლს აჯაყჯაყებდნენ, მაშინ სად იყო სეტკიანი საწოლები და კარგი ცხოვრება. შეშფოთებული მეზობელი კარებში გაჩერდა. ხალხო, არ მეტყვით რა ხდება? ეს მეცხრე ბავშვი საიდან, ეს ნედლი სიმიდის ტაროსავით ჭყინტლი ბავშვი ვინ მოგცათ? რა თქმა უნდა, ის ამბავი რაც უკვე იცით, მეზობელს სიტყვა-სიტყვით უამბეს კეთილმა ცოლ-ქმარმა და მამაჩემი აღმოჩნდა მეორე დედის (გამზრდელის) ხელში.

ძალიან ბევრ რამეს გამოვტოვებ. გამოვტოვებ ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებას, გავასწრებ წლებს. ამ ამბის მოყოლის მიზანია უფალთან მიახლოვება. დღევანდელი მდგომარეობის უიმედობა, არიქა დამთავრდა ყველა და ყველაფერი. არაფერი არ მთავრდება და არაფერი არ იწყება. ყველაფერი იქნება კარგად. თუკი დავფიქრდებით, თუკი ვიწამებთ, გადაგვარებულები გადმოვგვარდებით და ასე შემდეგ. დღე ღამეს არ ჰგავს. ღამე კიდევ დღეს. ჩვენც, ადამიანები, ერთმანეთს არ ვგავართ. ყველას გვაქვს რაღაცა დადებითი და რაღაცა უარყოფითი. უნაკლო ადამიანი არ არსებობს. უნაკლო მხოლოდ ღმერთია. მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი და ერთმანეთს ბედისწერით ნაისრალ გულს უნდა უშუშებდეთ. უნდა ვცდილობდეთ, ისეთი შეცდომები არ დაუშვათ თაობებს, რომ გაყვება. აი, მაგალითად, ჩემმა პაპამ სად დაუშვა შეცდომა და აქ ძველ ანდაზას მოვიშველიებ, „პაპის ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვის მოჭრა კბილია“. ერთი სიტყვით, რა მოხდა ექვსი წლის შემდეგ. მამაჩემის გამზრდელმა, რვა შვილი გაზარდა და მეცხრე შვილი კი მამაჩემი. პაპა ყოველ წელს დატვირთავდა ურმებს და წლის მოსავალი ჩაქონდა ნიგვზარაში. რა თქმა უნდა, რაც შეეძლო, ალბათ, იმას მიაწოდებდა. თვითონ ფიზიკურად ძლიერი ყოფილა. ომებ გამოვლილი, რუსული კარგად ცოდნია. ეს კი ნოე ხარაიშვილმა მიამბო. პაპაშენის საკუთარ წისქვილში ძალიან ბევრი ხალხი ვიყრიდით თავსო და იქ იმაზე ვსაუბრობდით, ვინ ობოლი იყო, ვის უფრო უჭირდა ფიზიკურად, რომ ზოგს თოხნაში მივხმარებოდით, ზოგს მოსავლის აღებაში. წისქვილი ერთი დიდი აკადემია იყოვო, სადაც მხოლოდ სიკეთეზე ვსაუბრობდითო. ეს ნაილი და ნათელა ხარაიშვილების მამამ აწ გარდაცვლილმა ნოე ხარაიშვილმა მიამბო. რომელიც ახლახან გარდაიცვალა და ას წელს თითქმის აღარაფერი აკლდა, როცა მისი სული ზეცას შეუერთდა. ეს ის ნაილია, ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი, რომელიც გერმანისტი იყო (პოეტი), ბოლოს საპატრიარქოში

მუშაობდა და მალამოებს ამზადებდა. ბევრმა იცის ან ახსოვს ნაილი ხეთერელი. ზოგს ისევ ცოცხალიც ჰგონია. მან ისე ატარა მძიმე დაავადება (სიმსივნე), ფეისბუქზეც აქტიურად მონაწილეობდა, არავის ამძიმებდა, თავისი ტკივილით. იქით მოგიკითხავდა, როგორ ხარო. პანდემიის გამო ერთმანეთს ვეღარ ვნახულობდით, მონაზვნად აღკვეცილა, ამ სამოსშიც ფეისბუქზე ვნახე. მისმა დამ, ქალბატობმა ნათელამ, მითხრა, დედათა მონასტერში დავკრძალეთო. ღმერთი შემაძლებინებს მის საფლავზე მისივე პოეზიის საღამოს ჩატარებას. დავუბრუნდები პაპას დაშვებულ შეცდომას. მამაჩემი თავის გამზრდელს, თავის შვილებზე მეტად შეყვარებია. თუ რამე კარგი ოჯახში მოიპოვებოდა, ის მამაჩემის იყო. რვა დედმამიშვილი სიმართლის დასამტკიცებლად მამაჩემს იფიცებდა. ექვსი წელიწადი ასე ჰქონდა პაპას გატკეპნილი გზა, ნიგვზარასა და სოფელ ხვანს შორის. პაპას გაჭირვებია შვილების მოვლა და ერთ წელში დაქორწილებულა, რუსი ქალი შეურთავს, (ოლა). სახლში სამი შვილი ჰყოლებია, ნიკიფორე, შუშანა და ორი წლის ლუბა.

გარდაცვლილი მეუღლე, მართა ბაბო, მეორე ცოლი იყო პაპაჩემის. პირველი ცოლი რითი გარდაეცვალა არ ვიცი, ერთი ქალიშვილი (შუშანიკა) და ერთი ვაჟი (ნიკიფორე) დარჩენია პაპას. მართა ბაბოს მოყოლია, (ლუბა). ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი შვილების მოსიყვარულე პაპაჩემს, რომელმაც მკვდარი ცოლი დატოვა და ახლად დაბადებული შვილი გაიტაცა, მეძუძური დედის საძებნად. მარტოდ, თოვლში, უღრან მთებში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, სადაც არც გზა იყო და არც ადამიანის კვალი, რომ ვინმეს იმედი მიცემოდა. მიდიოდა გუდაში ჩასმული ბავშვით, რომელიც მერე მამა გახდა ჩემი. პაპას ოჯახში იზრდებოდნენ ორი ნამდვილი დაძმანი და მეორე ლუბა, რომელიც ამ დაძმანის არაფერი არ იყო. ბებიაჩემს საზიარო პაპაჩემის სახლში, არაფერი დარჩებოდა, მამაჩემი რომ არ გაზრდილიყო. მას დარჩებოდა მარტო ხვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალული უიღბლო ძვლები. როგორც აღვნიშნე, პაპაჩემს საკუთარი წისქვილი ჰქონდა და ეკონომიკურად არ უჭირდა. სულიერად კი მასთან უიღბლობა დაფათურობდა. ისეთი ძლიერი და უშიშარი ყოფილა, უბრალოდ სიავკაცით მასთან ვერავინ დაილაპარაკებდა. ნოე ხარაიშვილის, ნათელას და ნაილის მამას სიტყვებს მოვიშველიებ, წისქვილში სოფლის საკეთილდღეო საკითხები წყდებოდაო.

ერთხელ პაპაჩემთან უშვილო ცოლ-ქმარი მისულა და ლუბაზე დალაპარაკებიან, მოგვაშვილეო. ლუბა დედას ძალიან ჯავრობდა. ბავშვებსაც უმიზეზოდ ებუტებოდა, ჭირვეულობდა, დედა მინდაო ტიროდა. პაპაც სულ გარეთ ტრიალებდა. ამიტომ, ამ საკითხზე დაფიქრებულა და უთქვამს. იმ პირობით გაგატან, თუ ჩემს ბიჭს უკან რომ მოვიყვან ლუბას დამიბრუნებთო.

კაცო, თუ უნდა გააშვილო, უკან რატომ უნდა დაგიბრუნოთო მკვახედ უპასუხიათ ლუბას წასაყვანად მოსულ ცოლ-ქმარს. მაშინ არ გაგატანთო, მკაცრად უთქვამს პაპას. ეს საუბარი ესმოდა თურმე ლუბას და მისულა და ამ ქალბატონს კალთაში ჩაუჯდა. მე შენი გოგო ვიქნები ხომ? წამიყვანე და ყოველთვის ყვავილებს დაგიკრეფ და მოგიტან. ყვავილების დაკრეფა ეგონა ლუბას პატივისცემა. რა ექნა, მეტი არაფერი ახსოვდა, ერთ წელიწადში დედა გარდაეცვალა. ხვანში ყვავილების და სოკოს მეტს პატარა ლუბა

ვერაფერს ხედავდა. ბებია მართა და პატარა ლუბა (მამიდა), ახლა მამიდას ვიტყვი, მკითხველი რომ არ დავაბნიო. პაპას ძალიან ყვარებია მართა ბაბოს (ლუბას), ძალიან თბილი და მგრძნობიარე გული ჰქონია. უფიქრია, თუ ვერ გაძლებს, ისევ უკან წამოვიყვან, ჩემი მართას შვილსო. ერთი სიტყვით, ლუბა წაიყვანეს, უშვილო ცოლ-ქმარმა. გოგონა ანუ (მამიდაჩემი) ისეთ ფეხზე მისულა იმ უშვილო ცოლ-ქმარს, ათი წლის უშვილოებს, შვილი გაჩენიათ. ჯერ ერთი, მეორე, მესამე და ასე გაფუფუნდნენ შვილებით. მამიდაჩემი ლუბა, საკუთარ შვილებზე მეტად შეყვარებიათ. მამიდაჩემი მათი ფუძის ანგელოზი გამხდარა. უშვილო ცოლ-ქმარი ბავშვების ნამატით თავს ბედნიერად გრძნობდნენ. თუ რა ხდებიდა ნიგვზარაში ნაწილობრივ გითხარით.

პაპაჩემი ყოველ დღე მოსვენებას კარგავდა, როგორ დაებრუნებინა თავისი შვილი. სინდისი აწუხებდა, რამდენჯერმე ჩამოუგდო საუბარი თავისი შვილის გამზრდელს, ბავშვის წაყვანაზე. თან იმის შიში ჰქონდა, პატარა ჭიჭიკო საკუთარი დედასავით იყო მიკრული გამზრდელის მკერდს და ბავშმა არ იჯავროსო. ამის ფიქრსაც გულში აანალუზიბდა და თავისთავად დარდობდა. მოსვენება დაკარგა, შვილი თავისთან უნდოდა. თან ცოლის სულის წინაშე სინდისი ქეჯნიდა, ცოლის შვილი გააშვილა. თუ ვაჟკაცი იყო, თავისი გაეშვილებინა. არა, თავისას როგორ გაიმეტებდა. ჰოდა, კაცი ვარ ახლა მე? ძალიან ხშირად საკუთარ თავს ესაუბრებოდა. არა ვარ კაცი. ეს კარგი ვაჟკაცის საქციელი არაა. თვითონაც როგორ გაიწია ლუბამ და კალთაში ჩაუხტა უცხო ქალს. ნუთუ ჩემი შვილები არჩევდნენ ლუბას და არ ეფერებოდნენ? ან დედინაცვალი ხომ არ ავიწროებდა? მერე ისევ დაფიქრდებოდა, არა ახლა ამაზე ფიქრს აზრი არ აქვს. ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. მაგრამ ჭიჭიკო? მაინც რა ლამაზია. დედას ჰგავს, შავი ხუჭუჭა თმებით. გამზრდელმა მამამ ერთმანეთს დააჭიდა. ჩემმა პატარამ ბეჭებით ძირს დასცა. ენაცვალოს მამა, ჩემი გუდის კაცი. ყველაზე ცუდი ის არის, მე რომ ბიძას მიძახის. ვეტყვი აუცილებლად ვეტყვი, მე რომ მამა ვარ. გული რომ ეტკინოს? რომ იდარდოს? არა, ჯერ ისევ მოვითმენ, მაგრამ ვაი ამ მოთმენას. ასე ფიქრებდამძიმებული ბრუნდებოდა სახლში. ჯერ წისქვილში შეივლიდა, მერე ოჯახს მიხედავდა, იკითხავდა რა უჭირდათ, რა უნდოდათ. ისე ხშირად ბავშვებს ესაუბრებოდა ლუბაზე, აინტერესებდა რა რეაქცია ექნებოდათ ბავშვებს. მაინც და მაინც არ გამოხატავდნენ დიდ სიმპატიას. ბავშვების ეგოისტობას ვერ იტანდა, მაგრამ ამის დროც არ ჰქონდა. თავის რუს ცოლს გადაულაპარაკებდა რუსულად, ალბათ მოსაფერებელ სიტყვებს. მისი ქალ-ვაჟი ამას ვერ ხვდებოდა. ნიკიფორე უკვე წამოიზარდა და რუსულ ჯარში გაიწვიეს. ომმაც მოუსწრო და ერთ- ერთი ბრძოლის დროს დაღუპვის შეტყობინება მოსვლიათ. პაპას გული რკინის გრდემლში გამოუჭედია და კვლავ სიცოცხლეზე და შვილებზე ფიქრობდა. დარჩა ერთი შუშანიკა მამიდა. ძილშიც თავისი გუდის კაცზე ფიქრი არ ასვენებდა. წელი წელს მისდევდა. ნიგვზარაში სიყვარული იზრდებოდა, ხვანში კი იმისი ფიქრი, თუ როგორ დაებრუნებინა შვილი.

ექვსი წელი იარა, პაპამ ნიგვზარასა და ხვანს შორის ფეხით. ექვსი წელი აანალიზებდა იმას, თუ როგორ დაებრუნებინა შვილი თავის სახლში. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. ტყუილი უნდა თქვას, უნდა მოატყუოს თავისი შვილის გადამრჩენელს. უნდა მოატყუოს იმ ქალს, რომელმაც რვა შვილს, არჩია სხვისი შვილი.

შვილი, რომელიც ღმერთმა მისცა. მეც არ ვიცი, რატომ მომინდა ამ ამბის დაწერა. მე ხომ პოეტი ვარ. რატომ ავირჩიე დამეწერა ეს პროზის სახით, თან პირდაპირ ტელეფონში, ესეც უფლის ნებაა და ამიტომ. იმედი უნდა მიმეცა ხალხისთვის. უნდა გადმომეცა ნამდვილი ამბავი, რომ ხალხისთვის რწმენით შიშის სინდრომი გამექრო. დედამ შვილი გააჩინა, თვითონ კი გარდაიცვალა. გუდაში ჩასმული ჩვილი ბავშვი, თოვლი, ქარბუქი, ღამის წყვდიადში სიარული, მთა-მთა, ღელე-ღელე, მიდიხარ და გგონია სწორი გზა, თოვლით ისეა გადაფარული, ჩავარდები და მომწივარი პატარა ბეჭებიდან დაგჩხავის. მერე სოფელში შეღწევა, აყეფებული ძაღლები, ჰა, დაგძიძგნონ თუ არა ძაღლების წრეში მოქცეული ყინულისლოლოებდაკიდებული ადამიანი, მერე სახლში მისვლა. რვა შვილის მეძუძური დედა, აკვანი, გუდიდან ამოყვანული ბავშვი. მერე უკვე გადარჩენილი და გაზრდილი. ესე იგი, თუ არ გიწერია არაფერი არ მოგივა. დარწმუნებული ვარ, როგორ შეუყვარდებოდა მამაჩემი თავის გამზრდელს. ბუნებრივიცაა, აღარ დაუბრუნებდა ოჯახს. აქ არის დედაშვილობაზე კიდევ უფრო მაღალი რაღაც, ისეთი უცხო ძალა, სიყვარულის გრძნობა, რომელსაც მე ვერ ავხსნი. მეორე მხრივ, პაპას, რომელსაც ამდენი ტკივილი შეხვედრია, ყოფილა თვითონ ძალიან ძლიერი, მშრომელი, იმ დროში ყველაზე განათლებული, სხვისი დამპურებელი. ერთი მეუღლის გარდაცვალება, მეორე მეუღლის გარდაცვალება. კვლავ მადლისა და სიკეთის კეთება და მერე კი გამოუსწორებელი შეცდომის დაშვება. შეცდომა ტყუილით დაიწყო. გადაწყვიტა, რომ რადგან შვილს არ აძლევს, თავისი შვილის გამზრდელი მოატყუოს. ხშირ-ხშირად დაიწყო სიარული, სოფელ ნიგვზარაში. ჩაქონდა თუკი რამე ჰქონდა. არ ზოგავდა არაფერს. ეფერებოდა თავის შვილს. მამაჩემიც თურმე კისერზე შეაჯდებოდა და ასე კოტრიალებდნენ მამა-შვილი. ამ ხერხმა რომ არ გაჭრა, ბოლოს უთქვამს, წამოდი შენც და აჩვენე, რომ მას სახლში და ჰყავს, მე ისედაც დაჩაგრული მამა ვარ. ცოლი რომ გარდამეცვალა დიდხანს ვიგლოვე, ჯარგამოვლილი და ომგამოვლილი კაცი ვარ. საძეოც აღარ შემანარჩუნა ჩემმა ბედისწერამ, დედმამიშვილები ერთმანეთს ხომ უნდა ცნობდნენ? მეუღლესაც ნება დაურთია წადი, ოჯახს მე მივხედავ ჩაიყვანე ბავში თავის კუთვნილ სახლში. როცა გაიზრდება ოჯახს შექმნის და სულ ასე გულჩახუტებული ხომ არ გეყოლებაო. პაპაჩემსაც მეტი რა უნდოდა და გაუდგნენ ხვანის გზას, მამაჩემი თავის გამზრდელი დედა და პაპაჩემი. ასე ეწვია თავის სახლს მამაჩემი. უკვე წამოზრდილ მამიდაჩემ შუშანიკას და ჩემი ბებიის ნაცვალ რუსის ქალბატონ ოლას, ექვსი წლის მამაჩემი თბილად მიუღიათ. წინასწარ დაგეგმილ სუფრას შემოუსხდნენ. მამაჩემი კი საგანგებოდ გაფრთხილებული დიდი ბავშვებისთვის ჩაუბარებია პაპას. ფული უჩუქებია, რომ შორს წაეყვანათ, გაერთოთ და დაემალათ. მამაჩემი აღარ უნდა გაეტანებინა, გამზრდელისთვის. ბოლოს ყველაფერს მიხვდა თურმე ეს ქალბატონი, ჯერ თხოვნით, მერე ყვირილით, ბოლოს ეს დედაღვთისმშობელივით კეთილი ქალბატონი წყევლაზეც გადასულა, დამუქრებია კიდეც. ვერანაირმა ხერხმა ვერ გატეხა თურმე პაპაჩემი. მამაჩემის გამზრდელის ტირილი და კივილი ხვანის მთების ექოში იკარგებოდა. შებინდებისას იძულებული გახდა ქალი წასულიყო, თავის ნამდვილ რვა შვილთან და ექვსი წლის ამაგი დაეტოვებინა. ის გზა, რომელიც პაპამ გაიარა, ზამთარში, თოვლიან ქარში. როცა

ბუნებაც ტიროდა პაპაჩემის ცოდვით, იმ დღეს მზიან ამინდში, მამაჩემის გამზრდელი ტირილით და წყევლით ტოვებდა ხვანს და მას შემდეგ, მამაჩემი იმ ქალბატონს თვალით აღარ უნახია. თუმცა მერე კიდევ საინტერესო თავგადასავლები მოხდა, მაგრამ აქ, ვაპირებ უკვე გაჩერებას.

რა მოხდა ათი წლის შემდეგ, გავაგრძელებ თხრობას. ათ წლამდე მამაჩემი ძალიან დარდობდა, როცა გამზრდელზე საუბარს დაიწყებდა თურმე, ცხენზე შეაჯენდა პაპა და ხვანის მთებში დააჯირითებდა. სადილობის დროს, ძალიან კეთილი პელო და ქრისტინა ბიცოლა კალთაში ჩაიჯენდნენ და ეფერებოდნენ. მერე თავის შვილებთან ათამაშებდნენ. კოლიასთან, ანიჩკასთან, დაშასთან, მაროსა და გალინესთან. გალინა ახლაც ცოცხალია და თბილისში ცხოვრობს. კოლია ბიძია და მისი მეუღლე თამარა ბიცოლა მასწავლებლები იყვნენ (ეს წლების შემდეგ). ჩვენ მათი დაზრდილები ვართ. ისინი ჩვენი მასწავლებლები გახდნენ წლების შემდეგ.

მამაჩემი უკომფლიქტო ბავშვი ყოფილა, ძალიან ძლიერი. ადრე ახალგაზრდები თვითონ ირჩევდნენ რჩეულებს, მინდორზე ნახერხს დაყრიდნენ და ქიდაობის დღეს დანიშნავდნენ. იქ ქიდაობაში ყოველთვის მამა პირველობდა თურმე, მაგრამ არასოდეს დიდგულობდა. ყოფილა ძლიერი და კეთილი. ერთი სიტყვით მამას გამზრდელის მონატრების საშუალებას ბიცოლები არ აძლევდნენ. ბიძაშვილებს დედმამიშვილებზე ძალიან მამაჩემი უყვარდათ. თავის დას შუშანიკას ხომ სულ ზურგით დაყავდა და უყვებოდა ზღაპრებს. თექვსმეტი წლის მამაჩემი სოფელს ბრიგადირად აურჩევიათ. ძალიან დიდი ორგანიზატორი და ხალხთან ურთიერთობის ნიჭი ჰქონია. სიყვარულით შეურთავს დედაჩემი დონიკა შუბითიძე, ცხრა დედმამის შვილი. დიანოზ შუბითიძის და აღათი ტაბატაძის ქალიშვილი. მკითხველს, მაინც გამზრდელის ამბავი აინტერესებს. მასზეც გიამბობთ. ახლა რა მოხდა ერთ-ერთ ქორწილში, სანამ მამა დაქორწილდებოდა. ეს ამბავი ხაშურის რაიონ სოფელ კლდისწყაროში მოხდა. მამაჩემის მამიდაშვილს, რომელსაც შაქრო შუკაკიძეს ანუ პაპას დიშვილს შეურთავს ხვანელი მაჭარაშვილის გოგო. მამაჩემი მაყრად წაუყვანიათ. ადრე ქორწილში მეფისა და დედოფლის მაყრებს ერთმანეთთან აჭიდავებდნენ. ქორწილში თამადა მამაჩემი ყოფილა, ფიზიკურად ლამაზი და სიტყვით მჭერმეტყველ მამაჩემს დიდი მოწონება ახალგაზრდა გოგონებში დაუმსახურებია. აქ ყოფილა ის გაშვილებული ლუბა მისი და, მაგრამ დაძმანი ერთმანეთს ვერ ცნობდნენ. დილით ქიდაობა გამართულა, საქიდაოდაც მამაჩემი გამოიყვანეს თურმე. უკვე ნიკიფორე ხარაიშვილი და არა (ჭიჭიკო) პაპამ ომში დაღუპული შვილი ამით აღადგინა. ის თურმე თავისებურად ასე აცნობიერებდა. ნიკიფორე ომს შეეწირა და ისევ მომცა უფალმა შვილი ჭიჭიკოს სახითო და მამაჩემში ორ შვილს ხედავდა. თავის გაგებით ნიკიფორე, ჭიჭიკოთი გააცოცხლა. ამიტომ მამაჩემს ხან ჭიჭიკოს უძახოდნენ და ხან ნიკიფორეს. დაუბრუნდეთ ქორწილის მეორე დღეს. დაიწყო ქიდაობა, ვინც გადმოვიდა მამაჩემს ვერავინ გაუძალიანდა. ყველა რჩეული გოგო თავისად ნათლავდა მამაჩემს და მამიდაჩემი ლუბას წინათგრძნობა კი რაღაცა სხვა იდუმალებაში იძირებოდა. ვინც ჩემს ნოველას კითხულობთ, მიგანიშნებთ, რომ რუსთავში მამა ანდრია აბაშიძის მეუღლეა დედა ანა. ანა, მამიდა ლუბას შვილიშვილია. სისხლი-სისხლს გრძნობდა, ალბათ.

ნამდვილმა და-ძმანმა თითი გაიჭრეს და ერთმანეთს დაძმობა შეფიცეს. დანარჩენ გოგოებს გაეხარდათ, ლამაზი ლუბა მათი მეტოქე აღარ იქნებოდა.

პაპა სულ ცდილობდა თურმე მამა დაეტვირთა. როგორც ადრე აღვნიშნე, საკუთარი წისქვილი ჰქონდა. მაშინდელი მეწისქვილე მდიდრად ითვლებოდა. ყველას ეხმარებოდა და როგორც იქნა დამშვიდდა ოჯახი. რუსის ცოლი, ოლა, ძალიან კეთილი იყო, ოლა ბებიას ხელში დავიზარდეთ ბავშვები. მამაჩემმა დედაჩემი სიყვარულით შეირთო. შუბითიძეებს დიდი შტო ჰქონდათ. ბევრი დედმამიშვილებს ბევრი შვილები ჰყავდათ. ხელოვნების მოყვარულნი იყვნენ. ზოგი დოლს უკრავდა, ზოგი სალამურს, ზოგი ფანდურს. მღეროდნენ ხმებში. მათთან ყოფნას არაფერი ჯობდა. გამზრდელ დედასთან იქნებ კიდევაც ჰქონდა მამას ურთიერთობა, მაგრამ რაც არ ვიცი ვერ დავწერ. ამასაც იმიტომ ვაქვეყნებ, იქნებ გამომეხმაურონ. ამ პატარა ეპიზოდების ძირითად დანიშნულებადაც ის ავიღე, რომ ამ ეტაპზე ხალხი დათრგუნულია, შიშმა შეიპყრო კაცობრიობა, ცხოვრებამ სიხალისე დაკარგა. ერთი მირეკავს, მორჩა დამთავრდა ყველაფერი. შე დალოცვილო, თუ დამთავრდა, მე რას მირეკავ, ჩემი სიცოცხლის დანიშნულება მე კარგად ვიცი. სანამ ვიცოცხლებ სიკეთე უნდა დავთესო, ხალხს იმედი უნდა მივცე. ყველას ტკივილის მალამოდ მინდა გადავიქცე. სულიერად განვკურნო უიმედონი. ახლა კი მართლაც, ძალიან შევცურდი პაპიდან მამის ცხოვრებაში. სიცოხლის ბოლომდე მამა ბრიგადირი იყო, ბოლოს სამ ადგილზე მუშაობდა. კაცური კაცი იყო. სტუმარიც უყვარდა და მასპინძლობაც. თავისი შრომით ჭიათურაში ბინები აიღო. სოფელიც გვქონდა და ქალაქიც. გაჭირვებაც გვინახია და დალხინებაც. ყოველი დღე სიყარულით იწყებოდა ჩვენს ოჯახში და სიყვარულით მთავრდებოდა. მამა იყო ჩვენი მესაიდუმლე. მე როცა გავთხოვდი და უკვე ორი შვილი მყავდა, გამაგებინეს დედის ავადმყოფობა. ჩემი მეუღლე მუშაობდა ქალაქ რუთავის აბანოს დოლომიტების ქარხანაში. შუა კვირა იყო. სამსახურიდან საბუთი გააკეთა, ქარხნისთვის საჩხერის ქვიშა უნდა ჩამოეტანათ ვითომ. სინამდვილეში ეს საჩხერის ქვიშა, ჩემმა მეუღლემ ვახტანგი სხირტლაძემ მამაჩემის საპატივსაცემოდ გამოიწერა, რაც კანონს ეწინააღმდეგებოდა. ჩემი ბიჭები დათო და გელა პატარები იყვნენ. მივდიოდი, დედასთან უნდა დავრჩენილიყავი და თან სახლისათვის ქვიშა ჭირდებოდათ. ჩვენი გათვლით ორი საქმე უნდა გაგვეკეთებინა. დედაც მენახა და მამასთვის სახლის გასალესი ქვიშა მიმეტანა. მეტიჩარა მზრუნველმა შვილმა კინაღამ გავაბოროტე მეუღლე. გზაში კოკისპირული წვიმა დაიწყო. ბავშვებს კალთაში ჩაეძინათ. არ დაგავიწყდეთ, ბავშვები დიდი მანქანით მიმყავს. საჩხერის დასპეცებულ ინსპექტორებს არ გამოპარვიათ, ახალგაზრდა ქალისა და ორი ბავშვის დანახვა და მანქანა გააჩერეს. მეუღლემ საბუთები ამოიღო და მანქანიდან ჩავიდა. ეს მოხდა ხვანის გადასახვევამდე. თუ გააჩერებდნენ ჩემი ბიძაშვილის ჯამბულ შუბითიძის იმედი მქონდა. ჩემი მეუღლე სახეშეცვლი მოვიდა და მეუბნება, გადასახვევზე ჩამოდი, თქვენზე ასე ვუთხარი მგზავრი შემხვდა პატარა ბავშვებით და წამოვიყვანე. მერე რომ წვიმს? აქედან ორ კილომეტრზეა კიდევ სავალი, როგორ ჩავიყვანო სახლამდე ბავშვები ამ წვიმაში? მათ ასე უთხარი, წარმოებისთვის საჩხერის ქვიშა დაგვჭირდა და მივდივარ საჩხერეში. რომ არ წავიდე, საბუთები წამართვეს და სხვანაირად ვერაფერს გავახერხებ.

გადასახვევამდე მიმიყვანა, ბავშვები ჩამოვსვი, მანქანა უკან მოგვდევდა. ისინიც გაჩერდნენ, პირდაპირ მანქანისკენ წავედი ბავშვებით. რა თქმა უნდა, ამის ნებას ჩემი მეუღლე არავითარ შემთხვევაში არ მომცემდა. ეს წამებში მოხდა, მათთან აღმოვჩნდი. მისვლისთანავე ზრდილობით, თავმდაბლად ვთხოვე, ხედავთ წვიმს, თქვენი რაიონის მკვიდრი ვარ, დედა მყავს ავად, მივდივარ სანახავად. მძღოლი მეუღლეა, თქვენ მან მოგატყუათ, მას საჩხერეში არანაირი საქმე არ აქვს. თქვენ რომ საბუთები არ მიცეთ, მე და... ცრემლები მომერია. მთავარმა თავი გამოყო მანქანიდან, მამაშენს რა ქვია ვისი გოგო ხარ? მეც ვუთხარი ორი სახელი. ჭიჭიკო და ნიკიფორეც, ვინ როგორ ცნობს აბა რა გითხრათ და ცრემლი სახეზე თავისდაუნებურად ჩამომდიოდა. ნუ ტირი, გულში ჩამიკრა. ახლა ამაზე შევშინდი, ამ მეტიჩრობისთვის მეუღლე საყვედურს მეტყოდა და გულში გავიფიქრე, მეტიჩარა ქალი ყველაფრის ღირსია-მეთქი. მეუღლეს დაუძახეს, რომელმაც გულში ჩამიკრა, ხუმრობით სილა გააწნა და მიაძახა სიძე ყოფილხარ. ვერ თქვი თუ ჭიჭიკოსთან მიდიოდი? ის ჩემი ძმააო!

გაოგნებული ვიდექი მამაკაცების გვერდით, რაც ჩემს ხასიათს არნაირად არ შეეფერებოდა. ჩემი მეუღლე ვატყობდი, უარეს დღეში აღმოჩნდა. რადგან ეს გაუგებრობა ჩემით დაიწყო, კვლავ მე ავიღე ინიციატივა. სანამ ვეტყოდი წუთში ათასნაირად გადავხარშე, იქნებ შევეცოდე და ტყუილი თქვა. უნდა რომ საბუთი დააბრუნოს. მაინც გავბედე და ვუთხარი, მამაჩემს ძმა არ ყავს. ისევ ხელი მომხვია და მეუღლეს ხუმრობა შერეული კილოთი მიმართა, სიძევ ბატონო, ჩემს ძმიშვილთან არაფერში ჩაიჭრაო. ვეღარ მოვითმინე და ისევ შევბედე, რაღაცა გაუგებრობაში ვარ, მაგრამ ვხედავ რომ ჩემი დახმარება გინდათ, როგორც თქვენი კუთხის შვილს ხომ? მადლობელი ვარ, ჩემი ბიჭებიც არ დამისველდებიან. საბუთებს მოგვცემთ, ალბათ! ჩემმა მომფერებელმა ბრძანება გასცა, დღეს ისეთ ხასიათზე ვარ, თუ დიდი დანაშაული არსად მოხდეს, ყველას ყველაფერი აპატიეთ, მე ჩემს ძმიშვილს გავყვები, კარები გააღო და ბავშვების ჩასმა დააპირა. მე არ დავნებდი, მაინც ეჭვის თვალით ვუყურებდი, არა მე მეუღლის მანქანაში დავჯდები ჩემი ბიჭებიანად, თქვენ თქვენს მეგობრებთან წამობრძანდით, რადგან მამაჩემი თქვენი ნაცნობია-მეთქი. წყენით შემომხედა, უნდობლობის სინდრომი შემნიშნა და აშკარად უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე. წინ გაგვიძღვა და ჩვენ უკან მივყევით. ეზოში არავინ დაგვიხვდა, მამას სახლში ვინ ნახავდა, მისი დასვენება, არც დღე იყო და არც ღამე. სახლის კარები გავაღე, დედა იწვა, ჩვენი მისვლა ძალიან გაეხარდა. დედა მე უცხო სტუმარიც მოვიყვანე და სახლში შევიპატიჟე, ჩემი ბიძად გაცნობილი პიროვნება. ანდროვო და სიხარულით წამოიწია დედამ. აბა, როგორ ხარ რძალო, წამლები მიიღე რაც მოგიტანე? ჩემმა ძმიშვილმა კი არ მიკადრა, მანქანაშიც არ ჩაჯდა. კვლავ აფორიაქებული მივჩერებოდი, კითხვები მიტრიალებდა ვინ იყო და რანაირი ძმა იყო მამაჩემის. სუფრა გავშალე, თვითონ დატრიალობდა, იმან უფრო იცოდა, საიდან რა უნდა გამოეღო. ცოტა რომ დანაყრდნენ, სტუმარმა, ანდრომ, ამბის მოყოლა დაიწყო. მე რომ ინსპექტორად დავიწყე მუშაობა, დედაჩემმა მითხრა. ხვანში ჩემი გაზრდილი შვილი ცხოვრობს, ჩემთან ჭიჭიკო ხარაიშვილი იყო, ბავშვს სახელიც მამამისმა დაარქვა და გვარიც. მე გავზარდე, დაიბადა თუ არა იმ დღიდან. არ გეწყინოთ შვილო, ახლაც თქვენზე ძალიან მიყვარს.

ვინც მომიყვანს და მაჩვენებს, ამაზე უკეთესი საჩუქარი ჩემთვის არაფერი იქნებაო. ჰოდა, ჩემო ძმიშვილო, ჩამოვედი და დედაჩემის გაზრდილი შვილი, დედაჩემს მივგვარე. მათი შეხვედრა იყო სასწაული, ენით აღუწერელი. ახლა ხომ გაიგე, მე ვინ ვარ, როცა ქიათურაში ჩამოხვიდე, აუცილებლად ჩემთან მომიყვანე ჩემი ძმიშვილი, სიძე ბატონო. ჩემი მეუღლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმდენი ღვინო დალია, მეორე დღესაც აღარ უნდოდა წასვლა.

როცა ანდრო ციხისელი დიდ თანამდებობაზე გასულა და ჩაუბარებიათ საჩხერე-ქიათურის ხაზი, მამაჩემის გამზრდელს უთქვამს შვილისთვის, გავიგე ჩემი ქიქიკოს ბიჭები თამაზი და ამირან ხარაიშვილები ხაზის მიკროავტობუსზე ზიან და შეეცადე გაიცნო და როგორც ძმიშვილი ისე ეცი პატივიო. შვილო, უთქვამს არავინ არ დაადანაშაულო იმაში, რომ ჩვენი ურთიერთობა დღემდე შეწყვეტელია. აქ ისევ მე ვიდანაშაულებ თავს. მეც გამეგო, ჩემი ქიქიკოს მამისთვის, კაცმა მიცვალებული ცოლი დატოვა ქირისუფლების ანაბარა, აწივლებული ბავშვები, პატარა ლუბა, შუშანიკა, ნიკიფორე და ახლად დაბადებული ბავშვი გუდაში ჩასვა და ღამით თოვლიან ქარბუქში მარტომ გადმოიარა მთები, ტყეები და ჩვენამდე მოვიდა. იმდენად აზრიანი ყოფილა, რაღაცა სანთებელა ჰქონია, რუსულ ჯარში ნამსახურებს, ალბათ, თავისებური გამოცდილება და გამბედაობაც ჰქონდა. სადაც მგლების საშიშროებას დავინახავდი, მაშინ ავანთებდი ხოლმეო. როცა მოვიდა მაშინ თქვა, ისიც მანამ საუბრობდა სანამ ბავშვი არ დავბანე, არ დავაწვინე. სულ საუბრობდა და საუბრობდა, ასწრებდა ყველაფერს, იმიტომ რომ უნდა გაბრუნებულიყო. როცა ჩემმა ნაპოვარა ღვთის საჩუქარმა მიიძინა, სველი ტანსაცმელით უკან გაბრუნდა. გათენების ხანს მისულა თავის გარდაცვლილ მართასთან. თავისებურად ის მართალი იყო, ალბათ. მე ის დავწყევლე, გულით დავწყევლე. ახლა კი ვნანობ, მაპატიოს უფალმა, ჩემი გამბოროტებელი გზა მართალს არის. ჩემი ქიქიკო, მოიკითხე შვილო, აუცილებლად მოიკითხე, ისეთი გამწარებული ვიყავი აღარც მისი დანახვა მინდოდა. ვადანაშაულებდი, ეყვირა, ეტირა, ცუდად გამხდარიყო, ეგებ იმ მგელკაცა თოვლის კაცს, ჩემთვის დაებრუნებინა. როცა იავნანას ვუმღეროდი, თან ასეთ სიტყვებს ვაყოლებდი: იყო და არა იყო რა, იყო პატარა ანგელოზი, რომელიც გუდიანმა კაცმა მომიყვანა. ჩამაბარა და მითხრა:არ მოშივდეს, არ შეცივდეს, მე წავალ ვიშრომებ და საკვებს არ მოგაკლებთო.

ამ პატარა ნოველის მიზანი იყო ხალხში შიშის სინდრომის გაქარწყლება, გაქრობა. რადგან ცხოვრების შუა მდინარეში დავცურაობ წინ და უკან, ერთ საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით. თქვენ იცით ლუბამ და მამაჩემმა ქორწილში თითი გაიჭრეს, საკუთარმა დედის შვილებმა, ერთი დედის ნაშობმა და არა გვარის შვილებმა. ლუბას და მამაჩემს ერთი დედა ჰყავდათ. დამთავრდა ქორწილი და წლები ისე მიდიოდა, თითგაჭრილი დობილ-ძმობილები კი არა, საკუთარი დედმამიშვილები ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს. იმ დროს ხალხის გადაადგილების ტრანსპორტი ცხენი და ხარები იყო. ჩვენ ბევრი წვრილფეხ-სხვილფეხი გვყავდა. ოჯახიც ამით იყო მდიდარი, ზამთრის პირი ახლოვდებოდა. საქონელი ბაგურ კვებაზე უნდა გადაეყვანათ. მამამ დედას უთხრა, შევამციროთ საქონელი, ზოგი გავყიდოთ. ვინ იცის, რამხელა ზამთარი

მოვიდეს და გაგვიჭირდება შენახვაო. ცოლ-ქმარმა ერთიანი გადაწყვეტილება მიიღეს. შეთანხმდნენ, რომ ორი ძროხა გაეყიდათ და ორიც დაეტოვათ. ხარებს არავითარ შემთხვევაში არ გაიმეტებდნენ, უხაროდ ცხოვრება, მათთვის წარმოუდგენელი იყო. აქედან, ორი კიდევ სახარე, ორიც საფურე, იქ თხები, ცხვრები და დანარჩენი კი ფრინველები იყო გამოსაზამთრებელი. დილაადრიანად მამაჩემმა ძროხები კორბოულის ბაზარზე გასაყიდად წაიყვანა. კლიენტები ბევრი ყოფილან, ამ ბევრიდან ერთი მშვიდი სახის, მოწესრიგებული მამაკაცი მამაჩემისკენ წამოსულა. ახედ-დახედა ძროხებს და ერთი მართლაც ძალიან მოწონებია. დასახელებული ფასიც მისთვის ხელსაყრელი გამოდგა და სასწრაფოდ მორიგდნენ. ჩამოხსნა თოკი მყიდველმა, ფული გადაიხადა და გზას აჩქარებით დაადგა, რადგან იმასაც ფეხით უნდა ევლო სახლამდე. მამაჩემს შეუჩერებია, გამოუკითხავს, ვინ ხარ, საიდან ხარო, მყიდველსაც სასწრაფოდ უთქვია, ხაშურის რაიონი სოფელ ფლევიდანო. მამაჩემა ნახევრად ტყუილ-მართალით იცოდა, რომ და ყავდა და ბოლოს ისიც გაიგო, რომ მისი და ფლევში გათხოვდა და მისი მეუღლე ნოზაძეაო. შენ მეუღლეს რა ჰქვია? ლუბა. ლუბა? ჩემი და? ძროხის მყიდველ კაცს ცივი ოფლი დაასხა, გაუფიქრებია, ეს რა ხდება ჩემს თავსო. თქვენ რა გქვიათ? კითხვა შეუბრუნებია კლიენტს. მე ჭიჭიკო მქვია, ისე ორ სახელს ვატარებ. ნიკიფორეს და ჭიჭიკოს, რაშია საქმე რათ გაჩუმდით, რატომ დუმხართ? ძლივს-ძლივობით წარმოსთქვა, გაოგნებული ვარო და იქვე ქვაზე ჩამომჯდარა. ჩემი მეუღლე, სულ საუბრობს მე ძმა მყავს ვინ იცის წინაც მხვდება და არ ვიცნობო. მამაჩემმა გაჭრილ თითზე დაიხედა და ამოიღმუვლა. თურმე, მე ქორწილში ხელი გავიჭერი და დის სისხლი დამილევიაო. სიძეს ფული უკან დაუბრუნა და დააბარა, ეს ჩემს დაიკოს ჩემგან მზითებშიო.

დედაჩემს ძალიან გაეხარდა მამიდა ლუბას გამოჩენა. რა წყაროებით შეუთვალა არ ვიცი, ერთ დღეს უცნობი მამიდა გვესტურა, თავისი ლამაზი ცირა ქალიშვილით. შეხვედრის სცენა ძალიან ამაღელვებელი იყო, ცრემლები, სიხარული თავგადასავლების მოყოლა და ასე შემდეგ. მამიდამ ცირა ერთი კვირა დატოვა ჩვენთან. ეს ის ცირაა, ადრეც დავწერე, რუსთავში მამა ანდრია აბაშიძის მეუღლის, დედა ანას დედა. ერთი კვირა მდინარე ძირულაში ბანაობა, თევზის ჭერა, ტყის სოკოს მოგროვება და ასე შემდეგ. ასეთი ლამაზი დღეები ჰქონდა ჩემს ცირას. ასე თენდებოდა და ასე მთავრდებოდა დღე. ცირას არ მოკლებია ტყეში სეირნობა და მდინარეში ბანაობა. მამიდამ ერთი კვირის შემდეგ ჩამოაკითხა, აღარ დატოვა, ორ კვირაში სკოლაც დაიწყებაო, ამას ასახელებდა მიზეზად ლუბა მამიდა. მაშინ გულნაზის წავიყვანთო პრინციპულად განაცხადა ცირამ. დედაჩემმა უარი არ უთხრა და ახლა მე გავხდი მათი სტუმარი. მახსოვს, ბევრი ნუში ჰქონდათ ეზოში, გარდა ნუშისა ძალიან ბევრი ხილის სხვადასხვა ჯიში. მამიდას ხუთი შვილი ჰყავდა: ჯემალი, ბონდო, ჯიბო, ცირა და ციალა. საღამოთი ფლევში ახალგაზრდები ღამით იკრიბებოდნენ. ჩემს მამიდაშვილებს მეც დავყავდი სასეირნოდ. ამასობაში, სკოლის დროც მოვიდა და მამიდამ ხაშურში წამიყვანა. თუკი რამე მჭირდებოდა სასკოლოდ ყველაფერი მიყიდა, ბოლოს აფთიაქში შევიდა ხელჩანთა მე დამიტოვა. მეც გავჩერდი და ველოდებოდი მამიდას გამოსვლას. ერთი მოხუცებული ქალი მოვიდა, ძალიან მძიმე კალათა ჰქონდა

ბეჭზე შემოსკუპებული, მე რომ მომიახლოვდა ძირს ჩამოდგა. მთხოვა ბაზარში შემატანინეო. ვიქნებოდი ასე მეოთხე კლასში. აღარ მახსოვს ზუსტად. მოხუცს უარს როგორ ვეტყოდი, სახლში სულ ამაზე იყო საუბარი. უფროსს ყოველთვის პატივი ეცითო. შევედით ბაზარში მე და მოხუცი ბებო. მადლობა გადამიხადა და უკან გამოვტრიალდი, გზა ამებნა, ვეღარც მამიდასგან დატოვილი ტანსაცმლით სავსე ჩანთა ვნახე და მამიდა-ჩემიც არსად ჩანდა. ერთ ადგილზე გავჩერდი. აქეთ-იქით დავიწყე ყურება. არცერთი მხრიდან მამიდა არ ჩანდა. აი, რა მოხდა, მე რომ მოხუცებულს ვეხმარებოდი, მამიდა მოსულა. მე რომ არ დავხვედრივარ, ახლო-მახლო დაუწყია ძებნა. ბოლოს ყვირილით შეუძრია იქაურობა, ძმიშვილი დავკარგეო. ახლა მე დავიწყე ძებნა და ერთმანეთის ძებნაში დავტანჯეთ ერთმანეთი. მთელი ბაზარი ფეხზე დააყენა მამიდამ თურმე, ცალკე მე მეკითხებოდნენ, მამიდაშენს რა ეცვა, როგორი ქალია, მაღალია, დაბალია. ის დღე მამიდასთვის და ჩემთვის შიშით აფორიაქებული დღე იყო. ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვეთ ერთმანეთი. არ გამიწყრა, პირიქით, მეფერებოდა, გულში მიკრავდა. ძალიან ტკბილი იყო მამიდა. მეორე დღეს, ჩემს სახლში ჩამომიყვანა და ეს ამბავი საიდუმლოდ შევინახეთ მამიდამ და ძმიშვილმა.

მამაჩემის სიმამრი, დიანოზ შუბითიძე ანუ ჩემი მეორე პაპა, ტანით საშუალო სიმაღლის იყო. სამაგიეროდ ბებიაჩემი აღათი ტაბატაძე, რომელიც საჩხერის რაიონ სოფელ ვაკისიდან იყო, პაპაზე ორჯერ მაღალი. ეს სოფელი ლიჩთან და ღოდოროსთან არის ახლოს, ამ სოფლის ბავშვები ქალოვანის საშუალო სკოლაში სწავლობენ. ეს ის სკოლაა, ჩემი აწ გარდაცვლილ პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელს რომ ატარებს, რომ-ლის პრემია დაარსებულია მწერალთა კავშირში და რომელიც ოცდაათი წლის მოკლეს. ოცდაჩვიდმეტი წელი მისი გულის სუნთქვას ისევ ვგრძნობ. ეს მისი სიტყვებია: „ყველაზე დიდი სასაფლაო გული“, მართლაც, გული, რამდენ ტკივილს მარხავს. რამდენ წლების ნაშენებ ამაგის დაუნახაობას კრძალავს და ინახავს. თუმცა ტკივილით, მაგრამ ხომ ინახავს? არ ყვირის, არ წიოკობს, დუმს ისე, ვით მკვდარი დედამიწა. ეს ის სკოლაა, სადაც „დათას“ დედა, ჩემი ძმიშვილი რომ ასწავლის, ეს ის სკოლაა, სადაც „დათამ“ დაამთავრა და თავისი ლამაზი სულით ცაზე ვარსკვლავად ააკაშკაშა უფალმა. ისევ ბეჟანის სიტყვებს მოვიშველიებ, „ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი, ისე დათოვა შენი მწვერვალი“. ბაჟანი ამას წინასწარ უწინასწარმეტყველებდა თავის „მეს“. დათამაც დაამთავრა და ერთ გაზაფხულსაც, ვერ მოესწრო, ისე ჩამოთოვა, მის მწვერვალზე. სამაგიეროდ, დათამ დატოვა დიდი სიყვარული, სამარადისო და ჩაუფერფლავი. დაუბრუნდეთ, აღათი ბებიას. თუ სადმე ვინმეს უთქვამს ვინმეზე საქებარი სიტყვები, ალ-ბათ, კი არა და მართლაც ყველანაირი დადებითი საქებ სიტყვებს იმსახურებს, ცხრა შვილის გამზრდელი ბებია აღათი. თავისი ქალობით, შვილების აღზრდით, მაზლიშვი-ლების და მულიშვილების პატივისცემით. მისთვის, მაზლიშვილ-მულიშვილები არ არსებობდა, ისინი მათი შვილები იყვნენ. თუ ვაჭარბებ, ცოცხლები არიან მეტი წილი, ღმერთმა კარგად ამყოფოთ და შემეპასუხონ. პაპა დიანოზ შუბითიძე, ოოო, ეს ისეთი მკაცრი იყო, სულ თვალებში მიჩერებოდა ბებია, რა ესიამოვნებოდა, რა გაეხარდებოდა. ჰოდა ასეთი მკაცრი სიმამრის ხელში მოხვდა, ისედაც ობლობაში გაზრდილი მამაჩემი. ერთხელ ტყეში წასულან სიმამრი და სიძე ზამთრის შეშის

დასამზადებლად. იქ მამაჩემს უნდა ემუშავა, პაპა ცოტას კი მუშაობდა, მეტ წილად ბრძანებას იძლეოდა. აბა, ეს ხე მოჭერი, ეს არა, რადგან ჯერ ისევ ზრდაშია, ცოდვაა. ეს მოვჭრათ ისედაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ უჩანს და ჩემი კუნთძლიერი მამაც ასრულებდა მის ბრძანებებს. ამ სიტყვებს მამას ნაამბობიდან ვწერ, ჩემით არაფერს ვიგონებ, ჩემო ერთგულო მკითხველო. ბოლოს ძალიან მსხვილ და მაღალ ხეზე უთხრა ესეც მოჭერი, რადგან უკვე ჩანს თავისი მოუჭამია. ღმერთმა ფლორაც და ფაუნაც ერთმანეთის საარსებოდ შექმნაო. მამაჩემს ის, დიდი ხე, თვალით რომ ვერ შეწვდებოდი და ათ კაცს რომ დაღლიდა, იმერულად რომ ვთქვა (სიქას) რომ გააძრობდა, ის ხეც მამას ძლიერი მაჯით ძირს ზღართანით დაცემულა. ახლა ხარები შეაბი, ბრძანებას იძლევა დიანოზ პაპა, ჩაუბი ამ ხეს და გვერდზე გადაწიე თორემ გზა ჩაიკეტა და მეურმეებს გაუჭირდება აქ გავლაო. სანამ პაპამ სიტყვა დაამთავრა, მამა-ჩემმა ბუმბულივით აიტაცა ეს ხე და გვერდზე მოისროლა. პაპაჩემი მიაჩერდა გაოგნებული, გაბრაზებული, განრისხებული სახით, უსიტყოდ, უყურა, უყურა და ბოლოს უხმაუროდ თავი დაღუნა და სახლისკენ წავიდა. მისდევს ჩემი ძლიერი და ზრდილობიანი მამა და გულში ფიქრობს, რა დავაშავე, მთელი დღე ვიმუშავე, ხე, რომე-ლიც ხარებს უნდა გვერდზე გადაეწიათ ხელით გადავაგდე. მიდის პაპა და გვერდზე არ იხედება, მისდევს მამაჩემიც უსიტყვოდ. ასე მივიდნენ სახლის კარებამდე, მოიხედა პაპამ და მამაჩემს მკვახედ მიახალა: ხვალაც მჭირდები, მე ხვალაც. ეს მის ენაზე ასე ნიშნავდა, თავს გაუფრთხილდი, რომ არაფერი გეტკინოსო. აღათი, შესძახა ჩემს ბებიას, ამ ურჩი სიძისთვის სადილი მზად გაქვს? ბებიამ პაპის ხელით გათლილი მაგიდა კედლიდან ჩამოხსნა, რომელსაც კედელზე კიდებდა ხოლმე, რათა დიდი ადგილი ბავშვებისთვის დაეთმო. ბუხარს შეშა დაამატა, ზედ კეცები დააწყო ცხელი მჭადით და კეცებზე შემწვარი წიწილით გაუმასპინძლდა სიძეს ბებია. პაპას კი თვალებში შეჰყურებდნენ ცოლიც და მამაჩემიც, ჭამის დროსაც შენიშვნა არ მიეცა, მკაცრ და შეუპოვარ ერთ ციდა კაცს, რომლის სიტყვასაც დიდი ფასი ჰქონდა დედმამიშვილებშიც!

სულის კოლიზიუმი ბავშობაა

ამ პატარა ნოველას, ნაილი ხეთერელი ხარაიშვილის გახსენებით დავტვირთავ. იმასაც ვიტყვი, რომ არ არსებობს ცუდი ბავშვი. არსებობს ზედმეტ ნაკლები შესაძლებლობები, ვინ როგორ პირობებში იზრდება. ნაილი ხარაიშვილის საჩხერიდან გადმოსვლა ქალვანში განაპირობა ოქროს მედლის აღებამ. ეს იყო ძირითადი მიზეზი მისი ქალვანში სწავლისა. შუშანა ბებია და გიორგი ბაბუა ნაილის არაფერს აკლებდნენ. ნაილის დედა, ქალბატონი მარი (პედაგოგი იყო, მერაბ კოსტავას ბიძაშვილი), ნოე ბიძია კი, რომელიც იყო საჩხერის კოლორიტი და რომელმაც 98 წელი იცოცხლა ყველას უყვარდა. მისი მოგონებაც კი საამაყოა. ნაილი კარგად სწავლობდა. სკოლაში გამოირჩეოდა სიდინჯით და სწავლით. თუმცა არ ვიცი გენი იყო თუ ბუნების წმინდა ჰაერით განკურნება სულისა, თითქმის ყველა ხარაიშვილი კარგად სწავლობდა. ჩემს კლასში ლენა ხარაიშვილი, ჯემალი ხარაიშვილი. უნიჭიერესი იყო გრიშა ტაბატაძე და სხვებიც. კარგად სწავლობდა ციური გელაშვილიც, რომელიც ძალიან მიყვარდა. ციური, პატარა რომ იყო თურმე ერთმანეთს არ ვშორდებოდით. მამამისს გრიგოლი ერქვა, მე კი ცირომამას ვეძახდი სიყვარულით. ჩემი ნათლია, ქეთო გელაშვილი წამიყვანდა თავის სახლში, შემიკერავდა კაბებს და დავყავდი გაპრანჭული. მიყვარდა თამაში ციური გელაშვილთან. ჰოდა, მე და ციურის მეგობრობაც ძალიან პატარა ასაკიდან მოგაზაფხულობდა. დაუბრუნდეთ ნაილის. ნაილი ჩემზე დიდი იყო და ხშირად ქკუას მარიგებდა. გულნაზ, მეტყოდა ხოლმე ნაილი, შენ რასაც ცეკვაში და სიმღერაში დროს ხარჯავ, იმდენი დრო სწავლას რომ დაუთმო გენიოსი გამოხვალო. რა იცოდა ნაილიმ იქ მთავრდებიდა ჩემი სულის კოლიზიუმი. მას შემდეგ დარდის ტალახებს ჩემივე ხელით ვაგუნდავებ. ნაილი, შეუტრიალე პასუხი, ჩემი გენიოსება და სულიერი სამყარო ხელოვნებაა. მერე რომ შემატყო, რომ ჩემგან დინჯი და ქკვიანი ბავშვი არ ჩამოყალიბ-დებოდა დაანება ჩემს დარიგებას თავი. საღამოთი მაინც გამონახავდა ხოლმე დროს, და ნანული შუბითიძესთან შევიკრიბებოდით და ბურთით ვირთობდით თავს. ნაილი მიუხედავად იმისა, ბავშობიდან დიდი სიბრძნით გამოირჩეოდა, მაინც ყველაზე ახლოს ჩემთან იყო. მან ჩემზე ადრე დაამთავრა სკოლა, პირველ წელსვე ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. რაც შეეხება მის დას, ნათელას, რომელმაც წითელ დიპლომზე დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი და კათედრაზე დატოვეს, მასაც ახსოვს ჩვენი ცელქი გაზაფხულები. ნაილი ხეთერელი-ხარაიშვილი თბილი და პოეტური კრებულების ავტორი ახლა უფალთან არის. ის პირნათლად შეხვდებოდა თავის მეუღლეს, რომელიც ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. ოცდათორმეტი წლის ახალგაზრდა ქვრივმა წმინდა ქალური სულით იცხოვრა და ორი არაჩვეულებრივი შვილი გაზარდა. მისი ქალიშვილი მირანდა ხეთერელი ექიმია. ერთი კურიოზი უნდა გავიხსენო ნაილის მოგონებებიდან. ღონისძიებას ვატარებ „გეპეის“ კორპუსში. „მოდინახე“ ასე ქვია იმ დარბაზს. ბატონ ზურა გასიტაშვილს ვთხოვე და „ათინათში“ გართიანებული სხვადასხვა სკოლა მყავს მოწვეული და ღონისძიება მიმყავდა მე. ნაილი აკადემიის წევრი იყო და თავისთავად ისედაც უნდა მოსულიყო. ნაილი მოვიდა

დროზე ადრე და მთხოვა, რომ მისი შვილიშვილი უნდა გამომეყვანა. რა თქმა უნდა, ადრე რომ მცოდნოდა, ამ ანგელოზ (პატარაიას) უკვე თავისი სიმღერით საზღვარგარეთაც იცნობდნენ, პირიქით სიამაყით გამოვიყვანდი. იმ მომენტში რაიონიდან ჩამოსულ ბავშვებს, ვერაფრით ვერ ჩავანაცვლებდი. დაიწყო ღონისძიება, ნაილიმ იცის მის ანგელოზივით შვილიშვილს ვერ გამოვიყვან. დამთავრდა ერთი სკოლა, მეორე სკოლა და ლაგოდეხი რომ უნდა ამოსულიყო თავისი ნომრის შესასრულებლად, ნაილიმ ბავშვი ხელით შემომისვა სცენაზე. ისე ოსტატურად მიუჯდა მისი პედაგოგიც პიანინოს ეტყობა გაფრთხილებული ჰყავდა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ქალბატონი მანონი ყუბანეიშვილი და ბავშვმა სასწაული ხმა ააწკრიალა დარბაზში. სიმღერას ტაშიც მოჰყვა. სახტად დავრჩი. ღონისძიება რომ დამთავრდა ნაილი მეუბნება, გულნაზ, ბავშობაში შენ არ მიჯერებდი და ახლა, ბარიბარს ვართო. ესეც ისე მშვიდად თქვა, ვითომც არაფერი. ნათელში იყავი ჩემო კეთილო ნაილი, დინჯი რომ იყავი და მაინც ღიმილი და იუმორი რომ დაგთამაშებდა სახეზე.

ცოდნის მარაგი

მშრომელი მამისა და ოჯახური ურთიერთობის მოწესრიგების წყალობით, ექვსი დედმამიშვილი გავიზარდეთ, სიყვარულის მოფუსფუსე ოჯახში. მამაჩემი გარდაცვალებამდე სულ სოფლის ბრიგადირი იყო, ბევრჯერ მოსკოვის კრემლშიც იყო მიწვეული, როგორც მოწინავე ბრიგადირი. ჩვენ როცა წამოვიზარდეთ, ეტყობა შემოსავალი აღარ გვყოფნიდა და ქიათურის მაღაროშიც დაიწყო მუშაობა, საიდანაც მამაჩემის წყალობით ბინა მივიღეთ. ნაგუთში გოგობაშვილის თოთხმეტში. მამა არასოდეს არაფერს გვაკლებდა. უკვე დიდი ვიყავი, მახსოვს მამის სიტყვები, დედას მოფერებით ხშირად რომ ესაუბრებოდა. ამდენ შვილებს მიზრდი, შენგან მეტი რა უნდა მოვითხოვო. ამ სიტყვებს მაშინ ამბობდა, როცა დედა სიყვარულით ურჩევდა, რომ ბევრი არ ეწვალა. მე ხვანის სკოლა დავამთავრე, ოთხი კლასი.

ჩემი მასწავლებლები იყვნენ კოლია ხარაიშვილი (ბიძაჩემი), ავთანდილ და ნადია ლომიძეები. ნადია მასწავლებლის დამსახურებაა ის, რომ კარგი კალიგრაფია მაქვს. მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე კლასში ქიათურაში ვსწავლობდი. ახლა, როცა ხუთი ძმიდან, არც ერთი ცოცხალი აღარ მყავს, დარდს თავს წავართმევ და ბავშობის ფანჯარაში შევიხედავ. მერვე კლასიდან ქალვანის სკოლაში გადმომიყვანეს. ქიათურაში ძალიან კარგად ვსწავლობდი და არაფრით საბუთები არ გამომატანეს. თხოვდნენ ჩემს მშობლებს, რომ უკან დავბრუნებულიყავი. გარდა სწავლისა ქალაქში დაკავებული ვიყავი სპორტით. ფარიკაობას ჩემი ძმა ლევან ხარაიშვილი მასწავლიდა. ლევანი იმიტომ, რომ თვითონ მწვრთნელს ჰყავდა აყვანილი, რათა პატარა ასაკის მოსწავლეები ევარჯიშებინა. გუნდში ვმღეროდი, ვცეკვავდი. გარდა მაგისა, ვიყავი

ერთი მეტიჩარა (მაჭანკალა) ბავშვი. დიდ გოგონებთან ვმეგობრობდი, საიდულოდ გამანდობდნენ ვისაც ვინ უყვარდათ და მეც ამბავს ტაქტიანად მივუცუნცულებდი, ამა თუ იმ მათთვის სასურველ რჩეულს. სკოლის დირექტორი ჭიათურის და პედაგოგები, ალბათ, რაღაცას ისეთს ხედავდნენ, რომ სამი მეოთხედი ველოდი საბუთებს, რაც არ შეიძლებოდა. არ ვნანობ იმას, რომ ხვანიდან ჭალვანში, შვიდი კილომეტრი ფეხით დავდიოდი. სულ დღეში თოთხმეტი კილომეტრის გავლა მიწევდა, მთელი დღის განმავლობაში. სკოლიდან, სახლამდე ისე სიხარულით დავდიოდი გეგონებოდა, საზემო საღამოზე ვიყავი მიწვეული. ეს ისეთი ლამაზი სამყარო აღმოჩნდა ჩემთვის, სურვილიც აღარ მქონდა ქალაქში წასვლის. ამის მიზეზი იყო გზა, რომელზეც ბავშური უმანკო სიყვარული იფრქვეოდა. დილით ჩამოგვივლიდა ციური გელაშვილი, დაუძახებ-დით ლენა ხარაიშვილს, მერე ჯამბული შუბითიძეს, გზაზე შემოგვიერთდებოდა, ზინა შუბითიძე, ანდრო რიკაძე და სხვები. მე და ლენას, პირველი მეორე ხმა ისე გვქონდა შეწყობილი, როგორც ზღვაში წყნარად მოლივლივე ტალღები. ჩვენივე სიმღერით ჩვენ თვითონ ვიყავით კმაყოფილი. სიმღერით მივდიოდით სკოლაში და სიმღერით ვბრუნდებოდით სახლში, სკოლაშიც ერთ მერხზე ვიჯექით. მე და ლენას სიმღერა არაერთხელ მოუსმენიათ ჭალვანში სკოლის მიერ მომზადებულ საღამოებზე. ერთად რაღაცას ვახერხებდუმით, ჭიათურიდან გადმოყოლილ ხელოვნებისა და ცეკვის ილეთებს ბავშურად ვალამაზებდით. ძალიან მიყვარდა ლექსების მხატრულად კითხვა. ცელქი და მოუსვენარი ვიყავი, მაგრამ არავის გამღიზიანებელი. დასვენებაზე კიბეების საფეხურები ჩემთვის არ არსებობდა, სახელურზე გვერდით შემოვხტებოდი და ეს ჩემი ერთი სართულიდან მეორე სართულზე ჩასვლის მეთოდი იყო. მიუხედავად ამ საქციელისა, მერვე კლასი ხუთებზე დავამთავრე, ერთი ოთხი არ გამომყოლია. მათე-მატიკას მერვე კლასამდე იაშა მაჭარაშვილი მასწავლიდა, ძალიან თბილი და კეთილი მასწავლებელი იყო. ერთხელ სახლში ქიმიის გაკვეთილი ვერ მოვამზადე, ცეკვითა და სიმღერით გადაღლილს წიგნზე დამეძინა. მერე, როცა თვალები გავახილე, ლენა უკვე სკოლაში წასასვლელად მიძახდა. უღიმღამოდ ჩავდე ქიმიის წიგნი, გზაში წაკითხვა წარმოუდგენელი იყო. გზაში მხოლოდ სიმღერის რეპერტუარები დგებოდა. ვიფიქრე, რაღა ახლა გამიძახებს ლიდა მასწავლებელი და ასე უპასუხისმგებლოდ შევაღე ჭალოვანის საშუალო სკოლის კარები. გაკვეთილები დაიწყო, შემოდის კოპწია საშუალო ტანის პედაგოგი ლიდა მასწავლებელი და გაკვეთილზე ჩვეულებრივი სიდინჯით სია ამოიკითხა. მოსწავლეების უმრავლესობა ვესწრებოდით. აბა, ვინ მოყვება გაკვეთილს და თვალი ჩემკენ გამოაპარა. მე სახეზე რა ფერი მქონდა ეს არ ვიცი და ის კი მახსოვს, გაკვეთილის მოყოლა რომ მთხოვა. ახლა ლიდა მასწავლებელი ზეცაშია, როგორ ვიკადრებ ტყუილი დავწერო. დღესაც არ ვიცი რა ვთქვი და არც ის ვიცი ხუთი რატომ მივიღე. ერთს კი ვეტყვი მომავალ თაობას, როცა სისტემატიურად სწავლობ, ცოდნის მარაგი გროვდება და კითხვებზე გაცემული პასუხის გაცემა არავის არ გაუჭირდება.

მიღეთ ლოცვა ჩემგან

საშინელებაა, სულში აცივება. ო, არ შეგცივდეს საქართველოვ. სათითაოდ გამოკითხვა რომ ჩატარადეს, გიყვარს თუ არა შენი ხალხიო. დარწმუნებული ვარ ბევრი გაგლანძღავს, ეს რა საკითხავიაო. ბევრიც იტყვის ვერარიო. მე საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებაზე ვსაუბრობ, როცა აქ ცხოვრობ საქართველოს შვილი ხარ. ჰოდა, ამისიანებო და იმისიანებო, მოგმართავთ: გიყვარდეთ ერთმანეთი. გაუფრთხილ-დით, თითოეულის სულის ტკივილს. არავის არაფერი არ დარჩება ამ ქვეყანაზე გარდა ადამიანებისა. იცხოვრეთ ორი სახელით, ერთი აქ დატოვეთ, მეორე კი ცას წაიღეთ, ასი წლის შემდეგ, როცა მიგიხმობთ ღმერთი, მიწისა და ცის მეპატრონე. თითოეული ადამიანის გამჩენი და გადამრჩენი. ახლა იკითხავთ, ნეტავ რა ძალა აქვს, რომ ჭკუის დარიგებით გვმოძღვრავსო. ზოგიც დაინტერესდება, ნეტავ ვისიანიაო. აქვე აგიხსნით, უფლის გზავნილი ვარ. არავისიანი არ ვარ. დედა ვარ თქვენი, და ვარ, დედმამიშვილი ვარ. იქნებ ასაკით, ბევრისთვის ბებიაც. ჰოდა, დაგლოცავთ ყველას. არაფერი არ არის იმაზე კარგი, როცა სიყვარული შეგიძლია. როცა უფალს გულში ჩაისახლებ. თუ გაგიჭირდება მოუხმობ, აუცილებლად დაგეხმარება. სული არ გაყიდოთ, სული უფლისაა, როცა უნდა მაშინ წაიყვანს. სული სტუმარია, სტუმარს მოწიწება უნდა. არ შეაცივნოთ, არ გაყინოთ, არ გაყიდოთ. მიიღეთ ლოცვა ჩემი საგზლად, იქნებ წამოგეშველოთ.

მუხავ ნატყვიარო

...მზიანი დღე იყო, ოქროსფერი სხივები ეფერებოდნენ დედამიწას. ფუტკრებს თაფლიან სკასთან თავი მოეყარათ და თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. სატვირთო ავტომობილებისგან მოფარფატე მტვრის ნაწილაკები ჰაერს აბინძურებდნენ. მოწმენდილ ცაზე ღრუბლებმა დაიწყეს შემოჭრა და წყნარი სივრცე ჭუჭყით ააფუთფუთეს. ქარმაც მოუმატა ჩამოყრილი ფოთლების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა-გადმოტანას. მარჯვე პატარძალივით ტრიალებდა, ფოთ-ლებს ბუნებრივად ძირს ჩამოვარდნას არ აცლიდა. იმდენს სცემდა თვალთუხილავი ძალით, სიცოცხლის ნიშანწყალგამოლეული ფოთლები წყდებოდნენ. ქარსაც მეტი რა უნდოდა, ჰაერშივე აბურთავებდა ტანდასერილ ფოთლებს. ბოლოს, რომელიმე ადგილს მიაგდებდა, სულაც არ ანაღვლებდა, რა მოუვიდოდა. ის, თავის დანიშნულებას ასრულებდა, ქარი იყო და უნდა ეტრიალა. მზისგან აორთქლებული ცხელი ჰაერი ღრუბ-ლებმა აატირეს:

– შენ როგორ გაბედე, ჩვენ გვერდზე რომ დასეირნობო? – შეურაცყოფილმა ჰაერმა თავი ვეღარ შეიკავა და ატირებული კვლავ დედამიწას დაუბრუნდა წვიმებად.

ბოლოს ბოროტი ქარი მუხას მიწვდა. მუხა ძლიერი იყო, მისმა ქარქატმა ვერაფერი დააკლო. გაბოროტებული ქარი ქარიშხალად გადაიქცა, მთელი სიძლიერით დაუწყო ხათქახუთქი. ჯერ ერთი მძლავრი ტოტი მოტეხა. ამაყი მუხა დარდისაგან წელში მოიხარა. ქარიშხალმა არ დაინდო და ისეთი საღი ტოტი ჩამოაცალა, რომლის გაშლილ ტოტებქვეშ გამვლელ-გამომვლელი ისვენებდა. ტკივილი ტკივილს ემატებოდა.

ერთხელ მუხის ტოტზე მტრედი შემოჯდა, მუხა დაღონებული რომ დაინახა, შეეცოდა. მუხამაც ნაღვლიანად გადაღლილი ტოტები ააშრიალა. მტრედმა ყოველდღე დაიწყო მიფრენა მუხასთან. უხმოდ, ფრთა- ფრთას შემოჰკრავდა და აგრძნობინებდა, – შენ მარტო არ ხარო. ვუყურებდი ბუნების კანონის სიმკაცრეს, თანაგრძნობასაც და გულში ვნატრობდი, ნეტავ, ადამიანებმაც ისწავლონ გვერდში დგომა-მეთქი. განვიცდიდი დღევანდელ მდგომარეობას და ჩემს თავს ნაღვლიანად ვებუტბუტებოდი:

რა ეშველება საქართველოს, ნუთუ სიმშვიდით ცხოვრების ღირსი არ არიან ქართველები, უფალო?!

იტალიელო ქალბატონო

(მალვინა ქელიძეს)

ის, რაც ახლა ამ დილით უნდა გიამბოთ, ამას ლექსის ფორმატი, ვერ აიტანდა. გადავწყვიტე, აი, ასე ამ ფორმით გიამბოთ. გუშინ აკადემიაში, ჩემთვის ვითომ არაფერი მნიშვნელოვანი ღონისძიება გავაკეთე. ძალიან ბევრისთვის სასიხარულო გამოდგა. შეიძლება სიკვდილამდე დაუვიწყარიც კი. თოთხმეტი ოქტომბრის შემდეგ ამ ნაბიჯის გადადგმა, უფალს უკავშირდება და არა ამბიციას. ცოტა ხნით, გადავინაცვლოთ ჩემო მკითხველო, ისევ ქალბატონ ეთერ ქელიძის მწერალთა კავშირში ჩატარებულ ღონისძიების ამბიციებში. მოკლედ გეტყვით, იყო სიხარული იმ გაგებით, რომ ბედ-ნიერება მარტო ოჯახის შეექმნა არ არის და თუ შექმნი, აქაც ბედისწერაა ჩარეული. ის ასე გეწერა, ასეთი გზა უნდა გაგევლო ან, ასეთ გზაზე დადიხარ. ქელიძეების ეს სამი საამაყო ქალბატონი სამივე ცხოვრობს და მოღვაწეობს, ისე, რომ მათი საქციელი მომავალი თაობისთვის მისაბაძია. თავის თავთან ნაზიარებ „სამაიას“ სამ ქალბატონს, ეთერის, მალვინას, ნათიას ფიქრის გადაწყვეტილების დაგეგმილი ხვალინდელი დღე, მხოლოდ უფალმა იცის. გარეთა მაყურებელი, თვალი ასე აღიქვამს. შეეწირონ საქართველოს კეთილდღეობას და ერთმანეთის კარგად ყოფნით იცხოვრონ. სამომავ-ლოდ კი ძმიშვილებისათვის გაიხარჯონ. ეთერ ქელიძის საღამო, „ენა, მამული, სარწმუნოება“ იყო, პატრიოტული თემატიკით, დატვირთული, მისი ლექსების მოსმენით კმაყოფილი აუდიტორია ემოციას არ მალავდა. უნებურად მოწყვეტილ ტაშის

სიძლიერით გამოწვეული ექოს ხმა სადღაც შორს იფანტებოდა. ამ სიხარულის დიდი მიზეზი, ქათველი ქალის ეტალონი, მწერალთა კავშირის თავჯფომარე, მაყვალა გონაშვილი იყო. ეთერ ქელიძემ, დამსახურებულად მიიღო, ილია ქავჭავაძის ოქროს მედალი. ღონისძიების იდეის ავტორი და წამყვანი გახლდით მე. პროგრამით გათვალისწინებული იყო, რომ მის დას, რომელიც ცხრა წელიწადი იტალიაშია, ინტერნეტით უნდა დაგვკავშირებოდა და წაეკითხა დის ლექსი. ასეც მოხდა. ქალბატონი მალვინა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრია და მისი ლექსები იბეჭდება ჟურნალ „ათინათში“, მინდა გითხრათ, მალვინას ლექსები კიდეც მათბობს და კიდეც მაფიქრებს. მაფიქრებს იმაზე, რომ რითი გავახარო ემიგრანტი. ემიგრანტი, რომესაც ის წლები, რომელიც ოჯახის შექმნისთვის, უნდა დაეხარჯა, სხვა ქვეყნის ასაკს გადაცილებულ ქალბატონებს მიალია. ღონისძიების მსვლელობის დროს, იმ დროს როდესაც მალვინა ინტერნეტით დის ლექსს კითხულობდა, ლექსის ხარისხი ცრემლით იკარგებოდა. რაღაცა უნდა მემოქმედა. და აი, უცებ ხსნა უფლისგან. ქალბატონ მაყვალას ჩუმად ვთხოვე, ახლა თუ ამ მადლს გამაკეთებინებ, ეს სიკეთე თქვენ, რომ ახლა პაწაწუნა შვილიშვილის დაბადებას ელოდებით, მას უფალი ბედნიერ ვარსკვლავად მოავლენს. იქნებ თამარ მეფის თვისებებიც დაყვეს და ახლა, როცა, პატრიოტული ლექსებით ზეცას შეღაღადებს პოეტი, საქართველოს მხსნელად დაიბადოს შენი შვილიშვილი. ამის სანაცვლოდ ემიგრანტს სიხარული აჩუქეთ და მწერალთა კავშირში, ამ ისტორიულ კედლებში, რომელიც მწერლებს არ ეკუთვნის და მოწყალების თვალებით შევჩერებივართ უფალს, როდის დაგვიბრუნებენ, ვინ იცის ესეც მოწესრიგდესთქო. სიკეთის ქალბატონმა, უთბილესმა მაყვალა გონაშვილმა თანხმობა მითხრა. ამ ემოციების აღწერა სხვისთვის დამითმია. ახლა ჯობია მივყვეთ მოვლენებს, მეორე დღეს გაჩნდა პატარა კოლხი ქალბატონი, მას ისეთი გენეტიკა აქვს, მჯერა სიკეთის სასახლეს ააშენებს, სადაც მხოლოდ კეთილები იცხოვრებენ. სადაც, სიძულვულის სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ეცოდინებათ. აქ გავჩერდეთ, ჩემო საყვარელო, მკითხველო. ცხრამეტი ოქტომბერი დაუგეგმავი ღონისძიება და უფლის სიკეთე. ბუნებრივად მოსული სტუმრები, რომ არ იცოდნენ, აკადემიაში, რისთვის უნდა მოსულიყვნენ. უბრალოდ ვთხოვე, რომ მათვის გარდა იმისა, რომ მათი ლექსები ჟურნალ „ათინათში“ დაბეჭდილი იყო და საჩუქრად უნდა მიმეცა, სხვა სურპრიზიც მქონდა და ეს, მხოლოდ პოეტ ლამზირა შეყილაძემ იცოდა, რომელსაც ჩემი ამოსუნთქვაც კი, ეყურება. კიდეც, რომ არ უთხრა მაშინაც ხვდება და ესმის. მოწვეული სტუმრები, ცნობილი პოეტები, მაია კახიძე და ეთერ ზარიძე გახლდნენ. მათი სიხარულის ემოციის დაწერა ჩემგან უხერხული იქნება და თავს შევიკავებ. ცხრამეტ ოქტომბერს, უკვე ემიგრანტ ქალბატონის მოწმობა ხელში მიკავია და ტანში სიხარულის ჟრუანტელი მივლის სიხარულით. იმ დღეს, მალვინას ხალხი ჩემთან არავინ იყო. ან როგორ იქნებოდნენ, არავისთვის მითქვია. რომ სცოდნოდათ რა გააჩერებდათ მის დებს. რა გააჩერებდა, მარტო მალვინას საამაყო ბიძაშვილს კი არა მთელი საქართვვლოს საამაყო, რომ არის ბატონი ივერი ქელიძე, თავისი შვილებით. ყველა დედამ ინატროს ისეთი შვილები, როგორებიც არიან ივერი ქელიძის შვილები – გოჩა და „მზეგულა“ მაიკო. იმ დღეს უფალი იყო ჩემთან და ქალბატონი ნანა მომცელიძის

შექმნილი ხატები, რომლებიც აკადემიას ამშვენებს და იცავს ავი თვალისგან. იმ დღეს, ჩემი აკადემიის შვილები იყვნენ ჩემთან, დიდი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი პოეტი თემურ გოგსაძე, რომელსაც საქართველოს სიყვარული გულის გულში აქვს შემომწყვდეული. იმ, დღეს თავისი ხატოვანი სიტყვებით გამორჩეული მწერალი, ბატონ დავით არახამია იყო ჩემთან. იმ, დღეს ხევსურეთის ბუდეში გაზრდილი პოეტი მამუკა ოჩიაური იყო ჩემთან. იმ დღეს ეთერს ზარიძის შვილიშვილი იყო, რომელიც ბებოს ეფერებოდა, რა ბედნიერი ვარ, შენი შვილიშვილი, რომ ვარო. იმ დღეს ,,ტევე თორმეტის“ არხის გადამღები ჯგუფი იყო ჩემთან და სწორედ ამ დღეს აღმოვაჩინე ერთი უძლიერესი პოეტი, მერაბ ლატარია, რომელიც თეტრალურ ინსტიტუტში სწავლობს და რომელმაც თავისი ლექსის წაკითხვით, თვით მსახიობი ქალბატობი მაია კახიძეც კი გააოცა და ბატონი თემურ გოგსაძეც, რომელსაც შეუძლია ლექსის კითხვის დროს მაყურებელი დაატყვევოს.

გათენდა დილა, ღამემ გულში ჩამიხუტა, ღამესაც სცოდნია გადაღლილი პოეტის შეცოდება. დამაძინა და თავთით სიკეთს ბალიში ამიმიდო, მითხრა თვალი დაასვენე, რადგან ისევ შეძლო, სამომავლოდ ილიას გზით იაროო. იარო, იმ დევიზით, რომ საღამოთი შენს თავს კვლავ შეეკითხო, აბა, შენ დღეს ვინ გაახარე, ვის რა არგე. გახარებაზე რა მოგახსენოთ, მე თითონ სიკეთით ავსილი გულის მეტი არაფერი გამაჩნია და ამ გულის სითბოსაც ისე ვწონი რომ ამითაც არ გავაღიზიანო, ბოროტნი ამა ქვეყნისანნი. ჰოდა, ვითომ წინა დღით რაღაცა ვიხლაფორთე, დავხარჯე ენერგია, სიკეთის ფიქრით თუ საქმით ჩემი აზრით. დილით მხვდება, მესინჯერში მოწერილი წერილი. მზის სითბოსავით თბილი ემიგრანტი პოეტის, მალვინა ქელიძისგან. ქალბატონო გულნაზ, ჩვენ სამივე დები, მე ეთერი და ნათია, ერთმანეთის სიხარულით ვცხოვრობთ. ცხრა წელიწადია ემიგრანტი ვარ, აქ, იტალიელები ძალიან კარგი ხალხია, მაგრამ შენი, მაინც შენია და ჩემი ძმების, ძმიშვილების, დების, საქართველოში მცხოვრებ თითოეული ქართველის მონატრება მტკივა. ვამბობ, იტალიელები კარგი ხალხია, მაგრამ ჩვენი ცხოვრებაა რთული. ემიგრანტებმა, მათი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ და მათი ტკივილიც საკუთარი ტკივილივით უნდა გვტკიოდეს. უნდა ვიაროთ მათ ნებასურვილზე. მე სამი ოჯახი გამოვიცვალე, სამივე უკეთილშობილესი იყო. გამოვიცვალე, იმიტომ, რომ გარდაიცვალნენ და თავისთავად სამსახური უნდა შემეცვალა. სხვის ოჯახში რომელიმე, მოხუცისთვის უნდა მეპატრონა. ერთ-ერთ ოჯახში სადაც ვმუშაობდი ძაღლი ჰყავდათ, ძაღლს ძალიან ვუყვარდი. მის თვალებში, სიყვარულს ვხედავდი, ზოგჯერ ტკივილსაც. ტკივილი ის იყო, რომ უნდა დამეტოვებინა. აბა ძაღლიანა ვინ მიმიღებდა? ძაღლი წკმუტუნით მაგრძნობინებდა თუ დავტოვებდი მოკვდებოდა. ჩავვარდი გამოუვალ მდგომარეობაში. ვერსად ვერ ვიშოვე ისეთი სამსახური, რომ ძაღლიანად მივეღე ოჯახს. უკვე ფულის გამოგზავნა კი არა და საარსებო ლუკმაც საფიქრალი გამიხდა. ძალიან ბევრი მცდელობის შემდეგ, გამოჩნდა ქალბატონი ლილიანა, რომელმაც ჩემი ძაღლით მიმიღო და მას შემდეგ დღემდე მასთან ვმუშაობ. ლილიანას ჩემი დედ-მამიშვილები უყვარს, როცა დავრეკავ, სულ მეუბნება, წამიყვანე საქართველოშიო. საქართველოში წამოსვლა ქალბატონო გულნაზ, მეც ძალიან მინდა. ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოვალ, ავაშენებ ჩემს საკუთარ სახლს

სოფელში. ჩამოვიყვან ჩემს ლილიანას. ძაღლსაც აუცულებლად წამოვიყვან, მას როგორ დავტოვებ, ამას ფიქრშიც არ გავივლებ. ქალბატონო გულნაზ, თქვენ ყოველ წელიწადს ჩემთან უშგულში დაგასვენებთ, თქვენ ჩემი და ჩემი დების დედა ხართ. მე ახლა, მხოლოდ ამ ფიქრის ასრულების ოცნენებებით ვცოცხლობ. თქვენ ხართ, ჩემი სიცოცხლის წყარო. თქვენით პოეზის მწერვალებზე დავსეირნობ, ესაა ჩემი ბედნიერება. მადლობა ქალბატონ მაყვალა გონაშვის, რიმელმაც სიცოცხლის დანიშნულებაზე, მწერალთა კავშირის მოწმობით წამაქეზა. უნდა გაგიფრთხილდეთ, უნდა მოგეფეროთ. ცოტა-ცოტა უნდა დავლიოთ, არ გამოილიოთ, არ დაშრეთ. მაშინ ხომ უწყლოდ ვერ ვიარსებებთ. იცით ქალბატინო გულნაზ, წუხელ ვიდეო თვალით, ლილიანას თქვენი პიროვნება რომ წარვუდგინე და იტალიურად ავუხსენი თუ ვინ იყავით, არაო, მითხრა. ეგ, თქვენი ექიმი მეგობარი არის, ფირენცაში, რომ მუშაობსო. თქვენ, ხომ ხედავდით იტალიურად, რომ ვესაუბრებოდი, მაგას ვარწმუნებდი, რომ თქვენ გულნაზი ხართ და არა ის, ჩემი ექიმი მეგობარი. იცით ქალბატონო დედა გულნაზ, მართლაც გავხართ ჩემს მეგობარს, ერთი განსხვავებით თქვენ სულის მკურნალი ხართ, რიმელიც არ ისწავლება! (მალვინა ქელიძე) ჰოდა, იტალიელო ქალბატონო, თქვენ, როგორ ჰყვარებიხართ თქვენ წილ უფალს, რომ ასეთი თბილი ემიგრანტი გპატრონობთ. გპატრონობთ, ისეთი ერთგული, რომელმაც ქუჩაში, უპატრონოდ ძაღლი არ დატოვა და თქვენ როგორ დაგტოვებთ? მე კი მე... უნდა ჩავიძირო, ჩავიკარგო, მალვინა ქელიძის ნახვის უსასრულობაში.

ღმერთს ვთხოვ

იმედის სხივები თამაშობენ, აკადემიაში. ყოველ დილით ბრწყინავს მზის ათინათი. თუმცა, ხანდახან ამინდი ცვალებადია. ზოგჯერ ისეთი ქარიშხალი ამოვარდება, თვალის გახელა მიჭირს. არის ისეთი შემთხვევაც, ცა მოწმედილზე მეხიც გავარდნილა. გამკვირვებია, საიდან, წლობით ნაგროვები მზის სხივების ქვეშ სევდის წისქვილში ტკივილი როგორ ჩამოიქუფრა. არადა, რეალურია ბრუნავს წისქვილი და გროვდება ბეღელში უარყოფითი ემოციები. ცოტა ხანს გაოგნებული ვიდექი. სიზმარი მეგონა, არა ცხადი იყო. გამეღიმა, ღიმილი სიხარულით გამოწვეული არ იყო. დავფიქრდი, გავაანალიზე. ავწონ-დავწონე და კვლავ, სიკეთის გემში ჩავჯექი. იდუმალი ხმა ძალას მმატებდა, არ შეგეშინდეს, შენთან ღმერთია. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, ერთ მნიშვნელოვან, საქმის იდეა დაფიქსირდა გონის ჭურჭელში. შევჩერდი. საქმე უნდა გავაკეთო, აბა ცარიელ საჭეს, ყველა მიატრიალ-მოატრიალებს. სასწრაფოდ დაგეგმილი ღვთის კარნახით ახალ დიდ მწვერვალზე ერთი წმინდა სულის პიროვნება გავასეირნე. ეს, პოეტი ეთერ ქელიძე იყო. ისე მოეწონათ ვარსკვლავთმრიცხველებს, შემაქეს, კარგი არჩევანი გაგიკეთება, გაკვირვება სახეზე ემჩნეოდათ, თვალით, როგო-

რი ხედვა გქონებიაო, აღფრთოვანებულები აღიარებდნენ, ჩემს თვალთახედვას. ვარსკვლათმრიცხველებმა, ისიც გამაფრთხილეს, შენი რჩეული კარგია ძალიან, მაგრამ ახლა მოსალოდნელია ღრუბლებიც გამოჩნდეს და გულთან არ მიიტანო. შენი გულის ყველა წერტილოვან ძარღვს გაუფრთხილდი. დიდი სიკეთის მისია გაქვს შესასრულებელი. გეტკინება ის, რომ ვისაც აღმერთებ მასში, ჩვეულებრივ ადამიანს დაინახავ. არადა შენ, ღმერთკაცად მიგაჩნდა. ადამიანები კი ყოველ წუთში შეცდომებს უშვებენ. ნუ მოითხოვ იმას, რაც არ გააჩნიათ. გულთან არ მიიტანო, დიდი მისია გავალია. შეეგუე იმას, რომ ამაგს, იშვიათად, დაგიფასებენ. არ შეჩერდე, ხვალვე სასწრაფოდ კიდევ გააკეთე ერთი სიკეთე. იქ, დაინახავ, უფლის ძალას. დაუგეგმავი ღონისძიება, დაგეგმილს აჯობებს. ასეც მოხდა. ემიგრანტი მალვინა ქელიძე, რომელიც ზომაზე მეტად თბილი და კეთილია, მისი ლექსები წაიკითხეს, ცნობილმა პიროვნებებმა. მსახიობმა მაია კახიძემ, და მრავალმხრივ ნიჭიერმა, ბატონმა თემურ გოგსაძემ. ღონისძიება გადაიღო, „ტევე თორმეტი“-ს ტელევიზიამ. იმ დღეს, დავცალე გულის შესაძლებლობები სიკეთის კეთებაში.

დაღამდა, ფიქრმა გამიტაცა, ტელეფონის ზარმა ყველაფერი გამიფანტა და სიხარულის მზის სხივებშიც გამახვია. ბათუმიდან მირეკავდა „ტევე თორმეტი“-ს დირექტორი, ბატონი ჯემალ მეგრელიძე, რომელიც ჩვენი აკადემიის აკადემიკოსია. საუბარი დიდხანს გაგვიგრძელდა, დავსახეთ სამომავლო გეგმები. ბოლოს მოკრძალებით, მაგრამ სევდანარევი სიტყვებით, საუბრის თემა შეცვალა. ქალბატონო გულნაზ, დედა ადრე გარდამეცვალა და შენში დედის სითბოს ვგრძნობო. მეც მინდა, შენი შვილი რომ ვიყოო. მინდა, ისე თამამად და დედაშვილურად ვიყო შენთან, როგორც სხვები არიანო. სიხარულით შევეგებე ბატონ ჯემალ მეგრელიძის წინადადებას. უფალს ვთხოვ, მზის სხივები ღრუბლებად არასოდეს გადამიქციოს ბედისწერამ. უფალს ვთხოვ, ჯამრთელად მიმყოფოს, ვინც ეს, ნიჭიერი, წესიერი ბატონი ჯემალ მეგრელიძე გამაცნო, აჭარის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტი ქალბატონი ნანა მომცელიძე!!!

შვილის ტოლში

არეულია წუთისოფელი, დუმილი ავირჩიე. მერე როცა, დუმილით გულის ძარღვები რჩილში ნამყოფი ძაფივით ლამის დამიწყდა, ავლაპარაკდი – ....მიკრო ავტობუსით მივდივარ, რუსთავიდან, თბილისში, ცირკს მივუახლოცდით. ხიდთან, სულ პატარა გოგონა ძირს იჯდა. ფეხები იქით-აქეთ ჰქონდა გაშლილი. გულში ნაფიქრი ხმამაღლა წამოვიყვირე, ვაიმე ნეტავ ცუდად ხომ არ არის? ვთქვი და მძღოლს შევხედე. მძღოლს იქით არც მიუხედია, ის ამ მომრავლებულ მანქანების ჩიხში მიიკვლევდა გზას და ცდილობდა წესები არ დაერღვია. სამაგიეროდ ერთი ასაკოვანი მამაკაცი, მეორეს მიუტრიალდა, რომ მეცალოს ჩავიდოდი. მეორე იმაზე ხნიერი გამოელაპარაკა, კარგია.

ვარიკაა, წიწილასავით კი იქნება არა?! ხმა არ ამოვიღე, ასეთებს არც ჭკუა აქვთ და არც მორალი მოეკითხებათ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ-ერთ გამომცემლობაში მოვხვდი. გასათხოვრობის ასაკს გადაცილებულ ქალბატონს, ერთ-ერთი მხატვარი ეუბნება, რა გიყო ლამაზო, ცოლი, რომ არ მყავდეს, აუცილებლად შენზე გავაკეთებდი არჩევანსო. ვიფიქრე, ახლა ატყდება ჩხუბი და ეს, ულამაზესი გოგონა ეტყვის, რას კადრულობ, მამის ტოლა კაციო. არაფერი გეტკინოთ, იმანაც მიაფინა დიდრონი თვალები და „აჟიტირებულმა“ უპასუხა: – რა გიყო, იცხოვრე ოცნებებით. თუ განთავისუფლდი, ამდენი თუ ვიცადე, ახლაც მოვიცდიო. მე არ ვამბობ, რომ ეს, სერიოზული საუბარი იყო. ეს ნამდვილად ხუმრობა იყო, მაგრამ გადავხედოთ ახლა მოვლენებს რა ხდება, რას არ გაიგონებ შვილის ტოლების მისამართით, ბილწი სიტყვები, უწმაწურ სიტყვებს ისე ხმარობენ, როგორც გამარჯობას. ჩემი აზრით წინ კი არ მივდივართ, მორალურად, ვჩლუნგდებით. ძალიან ბევრი საუკუნით დაიწია ამხრივ გონებამ უკან. მე, რედაქტორი ვარ, შემომივიდა ასეთი მასალა. ერთი ძალიან კარგი პიროვნების, ამ წუთშიაც დიდ ადგილზე მუშაობს, არა-ჩვეულებრივი მამაა, ბაბუაა, ბრწყინვალე ქართველია. მისი აზრით ის ნოველა უნდა დაბეჭდილიყო ჩემს ჟურნალში. მე, არ დავბეჭდე. ახლა რა იყო არ დაბეჭდვის მიზეზი. ამ ნოველაში ერთმა მორფინისტმა ძმამ და (.....) არ შემიძლია იმ სიტყვის დაწერა. ავტორი მიხსნიდა, აუცილებლად, უნდა დაიბეჭდოს რადგან, ვინც წამალზეა, იმდენად ბრუვდებიან, ვერ აზროვნებენ, რას აკათებენ და პირიქით უნდა გამოვააშკარაოთ, რომ სხვაც დაფიქრდეს და შეშინდესო. არ დავბეჭდე. ვინც ახლანდელი არ გასაგონი ღვინით (ნარკოტიკიტით); ბრუვდება, ძალინ დიდ დანაშაულს სჩადიან, მერე მიდიან ეკლესიაში ცოდვების მოსანანიებლად, იმნაირ ადამიანს ეკლესია და სანთელი რას უშველის?.. დაავადებული, არც ჟურნალს წაიკითხავს. თუ შვილის ტოლში შვილს არ დაინახავ და შვილიშვილის ტოლში შვილიშვილს. არ აქვს მნიშვნელობა კაცი იქნება თუ ქალი, იმას ჟურნალში რა უნდა.

ერთ ამბავს გავიხსენებ. ქიათურიდან, მოსწავლეები წამოგვიყვანეს თბილისში მნიშვნელოვანი ადგილების დასათვალიერებლად. აღარ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი. მახსოვს, ცირკი დავათვალიერეთ. ისიც მახსოვს, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი უნდა დაგვეთვალიერებინა. ჩვენი საერთო დიდი ავტობუსი რკინიგზის სადგურზე გააჩერეს და ჩვენმა ექვსკუსიის ორგანიზატორებმა, სახელმწიფო ტრანსპორტით მიგვიყვანეს, ისტორიულ ადგილებზე. მაშინ ტრამვაი-ტროლეიბუსები დადიოდა. ერთ-ერთ გაჩებაზე, ჩემი მეგობრები, რომ ავიდნენ, ჯოხიანი მოხუცი გადამიდგა ყვირილით, სულ არ გაქვთ ზრდილობა, ამ ახალგაზრდებს, დაგიბრმავდეთ ეგ, თვალები. გამატარე გოგო და ხელით ისეთი მუჯლუგუნი წამკრა ასე მგონია, ახლაც იმ, ადგილზე, ვდგავარ გაქვავებული და შეურაცყოფილი. ტრამვაი დაიძრა. არ ვიცი გზა. არც ფული მაქვს. დავრჩი უპატრონოდ. მივდივარ და სად მივდივარ, მე თითონაც არ ვიცი. სადაც მამის ტოლს დავინახავდი, იმ წუთში ვაჩერებდი და დახმარებას ვთხოვდი.

მივდივარ, ჩითის ჭრელი კაბით და თეთრი ცარცით გათეთრებული ტილოს ჩუსტებით, თბილისის ქუჩებში. იმ იმედით, რომ ვიღაცა ქალი მიშველის, ან მამის ტოლი მამაკაცი. არავითარ, შემთხვევაში, ახალგაზრდა ბიჭებს არაფერი არ უნდა შევეკითხო.

რადგან წინა დღეებში, ახალგაზრდა ხულიგნებმა, მარტოდ მდგარი გოგონა დაინახეს თუ არა, ავტობუსის გაჩერებაზე, ისე შეაშინეს, გოგონამ ტირილი დაიწყო. მე, რომ შევნიშნე, მივირბინე, ხვევნა-კოცნა დავუწყე, ჩემთვის უცნობ ჩემ ტოლ გოგონას. თან, სხაპასხუპით ვეტიკტიკებოდი. გოგო, რატომ აღარ მცნობ, მე ის მეგობარი ვარ, პირველ საშუალო სკოლაში, შენთან ერთად, რომ ვიჯექი. გაიხსენე, ლევანის და ზედმეტ სახელად „სამართლიანს“ რომ უძახიან. იმ, ბიჭებმა ჩემი ძმის სახელის გაგონებაზე, ისე მოძუძგეს იქიდან, უკან არც ერთს არ მოუხედავს. ის, გოგონა, მგონი ახლაც იხსენებს ამ ამბავს და არა და ამ ჩემი სწრაფი, აზროვნებით ის ჩემი ტოლი გოგო გადავარჩინე. „სამართლიანი“ ეს სახელი, ბატონ ჯემალ ხარებავას ვაჟსაც ერქვა, ბათუს, ჩემი პოემის გმირს. აფხაზეთში დაიღუპა „მდუღარე ცრემლი“ პოემა დავწერე მამის აცრემლებულ გულის ტკივილზე. ჯემალ ხარებავას ოჯახის წევრებს, მეუღლეს, შვილებს ახლა ჩემი ტკივილიც სტკივათ და ესაა ადამიანობა და ესაა გარდაცვლილი სულის პატივისცემა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ღმერთმა ნუ ქნას ახლა ყველა ცუდი იყოს. დავუბრუნდები იმ შიშს რაც გადამხდა. მიდივარ, ფიქრით დამძიმებული, ხსნა არსაიდან არ ჩანს. თუმცა არანაირი შიში არ მაქვს, იმის, რომ მამის ტოლი მამაკაცი რამეს დამიშავებს. ასეთი რამ იმ დროში წარმოუდგენელი იყო. ახლანდელ დროში, მამისტოლმა ლეშმა, ბებერი კბილები დააღრჭიალა და ვნებით ყველაფერი წარმოიდგინა. ვარიკასავით გაიშლებაო, ბინძურმა ბებრუხანამ. ადრე კი, ნამდვილად იყო მყარი სანდო ასაკიანებისგან, ახალგაზრდობა დაცული. კარგი, მივყვეთ ჩემს ამბავს, ერთი სიტყვით, არც ფული მქონდა, არც გზა ვიცოდი, სად მივდიოდი არ ვიცოდი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ თქვენი თავი. მიდიხართ და არ იცით სად მიდიხართ. დავიღალე, სიარულით, კიდეც მომშივდა. მერე ერთი ქალბატონი გავაჩერე, იმ ქალბატონმა სხვებსაც სთხოვა დახმარება. ბოლოს გამახსენდა, რკინიგზის სადგური, იქ, უნდა მოვგროვილიყავით. ერთ-ერთმა ქალბატონმა მითხრა, მეც იქით მივდივარო, თან მსაყვედურობდა, ცოტა დაბნეულები ხართ შვილო, ეს ახალი თაობა. ხმას, როგორ ამოვიღებდი, მივდევდი მორჩილი ბატკანივით. როგორც იქნა, მივედით სადგურში. აი, ეს, არის რკინიგზის სადგური მიხსნის უცნობი. მე ვიძახი, ეს არ არის. აქ, ის ავტობუსი არ ჩანს, რითიც ჩამოვედი-მეთქი. ბოლოს მამის ტოლა მამაკაცი მოვიდა: – შვილო, ვის ეძებ? მას უკვე ცრემლებით ვესაუბრები. ნუ ტირიხარ, დაგეხმარები. ამ დროს ჩემი მეგობრები, შევნიშნე, ერთი ეუბნება მეორეს, ცუდი მაინც ყოფილიყო. მეორე ამბობს, რაღაცას დაუშავებდნენ. მესამე შფოთავს. რა ვუთხრათ დედამისს. ამ დროს მეც დამინახეს და... შიშისგან გამოწვული ცრემლები სიხარულში გადაიზარდა. თურმე, რა კარგ დროში გავზრდილვარ, თურმე ის დრო უკეთესი ყოფილა. არადა დროს ჩვენ ვქმნით. ამ დროში ეს, რომ ვინმეს დაემართოს, ხომ მონათლავდნენ, წინ რომ ვახსენე იმ სიტყვებით. აქვე გავიხსენებ, იმ ნოველის ავტორს, რომ არ დავბეჭდე. ის, ჩემი აკადემიის წევრია და ერთხელ საუბრისას, მეგობარ მამაკაცს ესაუბრებოდა. მოკლედ, ვაგზალზე ფეხით ჩამოვიარე, იქვე კუთხეში „მამაშების“ თავშესაფარი ყოფილა. მეორემ საუბარი არ დააცადა და მან გააგრძელა. ეტყობოდა ხშირად აკითხავდა, იმ „მამაშებს“ ეს, მათთვის კარგი ანაზღაურებადი სარფიანი სამსახურია. დამაცადე, სიტყვა ბოლომდე გითხრა. შეუბღვირა, მოწესრიგებულმა, ამბის მომყოლმა. ჰო, ჰო, გააგრძელე. რა ძმაო და შვი-

ლის კი, არა, შვილიშვილის ტოლი ამედევნა. ჩემთან დარჩიო. მე ამოვიღე და ფული ვაჩუქე, წადი ბაბუა, თავი დამანებე. წამოვედი და ცრემლები მახრჩობდა, იმ, ბავშვისთვის საარსებო საშუალება, სხეული მტკიოდა. მოგცლია რა შეუღრინა მეორემ და ბინძურ ტუჩებზე ალბათ ნერწყვიც მოადგა. ჩემი სიტყვა შეიძლება ჩირადაც არ ღირს მაგრამ, ეს, რომ დავწერე, დავისვენე, ჩემი მოვალეობა შევასრულე. გათხოვება და თხოვებაც შეიძლება ათასი ერთი ადრეც ხდებოდა, ასაკით დიდი სხვაობით, მაგრამ, საჯაროდ გამოდიან ქალბატონები და სიამაყით თავს იწონებენ, კაცებმა იკითხონ, თორემ ჩვენ არ ვბერდებითო.

P. S. უმრავლსობას მივმართავ: მამაკაცებსაც და ქალბატონებსაც, თუ შვილის ტოლში შვილი არ დაინახეთ, როგორ გგონიათ ეს დანაშაული არ არის ღვთის წინაშე?

ობობას ქსელი

ობობას ქსელში გაბმული დედა ფუტკარი საცოდავად წრიალებდა, აბლაბუდებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ფუტკარი იძულებული გახდა ბედს მინებებოდა, შრომას მიჩვეული მტრის ბანაკშიც არ ჩერდებოდა უქმად... დილიდან საღამომდე ყვავილების სურნელით გაქღენთილ თაფლს აგროვებდა, მიმსვლელს მასპინძლობდა და რაც გადარჩებოდა, სახლში ატანდა ობობას მეგობრებს...

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო, ყვავილებს თავი ჩაექინდრათ, ნიავი არ იძვროდა. ცას ლურჯი სამოსელი ეცვა, მცირე ღრუბელიც არსად ჩანდა, უეცრად გრიგალი ამოვარდა, ქარი ქვიშის გორგალს ბურთივით ათამაშებდა ჰაერში, ნაძვის გირჩები დაკოტრიალობდნენ მიწაზე, ხრამში გადაჩეხილი ვირის ლეშის სუნმა ჰაერი გააბინძურა, არასასიამოვნო ჰაერმა დედა ფუტკარს თავბრუ დაახვია, საცოდავ ფუტკარს ესღა აკლდა, ის ისედაც დამცირებული იყო ობობასაგან, ქსელში მოსული ქარიყლაპია თევზებისათვის უნდა მიერთმია სურსათ-სანოვაგე. ობობა რაინდობას მაშინ იჩენდა, როცა მდედრ ქარიყლაპია თევზებს მოუყრიდა თავს. ამ დროს ფუტკარს საშინელ დღეში აგდებდა: – შემომხედეთ, ეს მე ვარ, ობობა, ყველას მბრძანებელი! გაიძახოდა და ისინიც ქირქილებდნენ ფუტკარზე. ასეთი გართობები ხშირად ტარდებოდა, ამ დროს ფუტკარს გულისტკენის მეტი არაფერი ხვდებოდა.



ტყვეობაში ჩავარდნილ დედა ფუტკარს ცუდი ჰაერი სულს უხუთავდა, გზაზე მანეკენივით გათხუპ-

ნული ქალი გამოჩნდა, მკვდარი ვირი რომ დაინახა, სიხარულით ტაში შემოჰკრა, მშველებიაო, გაიფიქრა და სასწრაფოდ სახლში გაიქცა, პარკსა და დანას ხელი დასტაცა, ორ წუთში ვირის ლეშთან გაჩნდა, თავის ქალა დანით გაუხსნა, ვირს ტვინი ამოაცალა, სახლში წაიღო და მაცივარში შეინახა.

ლილიპუტა მანეკენი, რომელსაც სულში ბოროტების მეტი არაფერი ჰქონდა, ნადირობდა ისეთ მამრებზე, რომლებსაც თანამდებობები ეკავათ. შეეძლო ისე გაეტარებინა მათთან ღამე, ვითომდა მათ მეტი არავინ ენახა.

ერთ-ერთ წვეულებაზე ჩვენმა ნაცნობმა ლილიპუტამ ობობას ბუდესაც მიაგნო, თავი აიკეკლუცა, მიითხიპნ-მოითხიპნა სახე და ობობას ვირისტვინგადარეული კრემიანი ნამცხვარი მიართვა. ობობამ ნამცხვარი თვალისდახამხამებაში გადაყლაპა, ისედაც ქალების მსუნაგს ესღა აკლდა საცდუნებლად. იმ დღიდან ობობას მბრძანებელი გახდა ლილიპუტა, ამაყი ობობა კი ლილიპუტას ხელქვეითი. თავის ბოთე ქმარს კი ერთგულების ფიცით ასულელებდა. ლილიპუტამ დაიმეგობრა თავისი თანამოზიარენი: ხალიანი ელენე, ჯოხიანი ლილი, ბუშტივით გაბერილი კესარია, მაგრამ ლილიპუტას ვინ შეედრებოდა?! მას ამ საქმეში პროფესორის კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული და ზედმეტ სახელად “პროფესორას” ეძახდნენ.

ასე გადიოდა დრო, თვე თვეს მისდევდა. ლილიპუტა მიირთმევდა ფუტკრისაგან შექმნილ თაფლს. არა და ფუტკარს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა მისი შეგროვება. ახლო-მახლო ყვავილები არსად იყო, შორ მანძილზე უხდებოდა წასვლა. ერთხელ, როდესაც ნექტრით დატვირთული ბრუნდებოდა ობობას ბუდეში, წინ ხარირემი შემოხვდა.

– კეთილო ფუტკარო, საით გაგიწევია?

– ობობას ტყვეობაში მოვხვდი და იქ მივდივარ.

– ობობასთან რა უნდა შენნაირ ერთგულ და დოვლათიან ფუტკარს?

– აბა რა გითხრა, გრძელი ისტორიაა...

ხარირემმა ფუტკარი აათვალ-ჩაათვალიერა, შეეცოდა, მაგრამ უკვე ვეღარაფერს უშველიდა, ბედს უნდა მინდობოდა, სხვა გზა არა აქვს ეტყობა კეთილ მოყვარე ფუტკარს. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთი ღრმად ამოისუნთქა და ფუტკარს მიმართა:

– წაიღე ჩემი რქა, როცა გაგიჭირდეს მასში წყალი ჩაასხი, დალიე და მაშინვე შევიგრძნობ შენს გასაჭირს, იმ წამსვე შენთან გავჩნდები. ისე ობობას წარსული რომ იცოდე შენც შეგეცოდებოდა...

– რა წარსული ჰქონდა?... ჩაეძია ფუტკარი.

– ის, თავდაპირველად, თმახუჭუჭა ხვიჩა ბიჭად მოავლინა უფალმა, ახლა მას ეშმაკი აზის ბეჭებზე და აქეთ-იქით დაატარებს... ბოლოს იმასაც მიაღწია ეშმაკმა ობობად გადააქცია. დაიმახსოვრე: მე ბოროტების წინააღმდეგ ვიბრძვი, მაგრამ მარტო მიხდება ამხელა ტვირთის ტარება, ამიტომ დროის მიხედვით ვაგვარებ დაძაბულ ვითარებებს. შენ კეთილი ფუტკარი ხარ, შენ სიკეთისა და დოვლათის წყარო ხარ, ამიტომ უკანასკნელ მოთმინებამდე უნდა იბრძოლო, ეგებ სასწაული მოახდინო და ობობას თავისი სახე დაუბრუნო.

– არა, ამას ვეღარ შევძლებ, ლილიპუტამ სულ გადარია. კარგი წადი, დრო გვიჩვენებს ყველაფერს, მიგულე ერთგულ მეგობრად.

ფუტკარმა ამოიოხრა, გულდამძიმებული გაფრინდა ობობას ბუდისკენ.

აგვისტოს ცხელი ზაფხულის სიცხეში გაეხვია ირგვლივ მყოფნი, ობობას კარი გამოეღო და შესასვლელი საერთო კარები საგანგებოდ ჩაეკეტა. ოთახიდან ხმა გამოდიოდა, ფუტკარმა ლილიპუტას ბრძანების ხმა გაიგონა. მომაშორე თავიდან ეგ საზიზღარი ფუტკარი, ვეღარ ვიტან შენს ქსელებში რომ დაბორიალობს, თაფლი მე ვარ გენაცვალე, მაგის შექმნილი რაში გჭირდება?!

ობობას ოღონდაც ლილიპუტა გვერდით ჰყოლოდა, ფუტკარს კი არა მთელ ბუდეს დაშლიდა. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: ფუტკარი უნდა გამხდარიყო ლილიპუტას ხელქვეითი. ობობა ცეცხლის პარში ატარებდა ფუტკარს, მის თვალწინ სჯიდა, აბუჩად იგდებდა. აბა რა ექნა, ლილიპუტას ასე სურდა. დედა ფუტკარი გულში იკლავდა შეურაცყოფას და ცდილობდა როგორმე ტყვეობისათვის თავი დაეღწია. თუმცა იმასაც ფიქრობდა, ობობას ქსელში მომსახურეს სხვა ფუტკრები კარგი თვალით აღარ შეხედავდნენ. ყველაზე მეტად ის ადარდებდა, რომ ობობას ადრინდელი სახის დაბრუნება უკვე შეუძლებელი ხდებოდა, რადგან "პროფესორასთან" ჰქონდა საქმე, რომელიც ხუთს ერთად ისე ატყუებდა, რომ ყველასთან მართალი ის გამოდიოდა. სიმართლის დასადასტურებლად ცრემლების პირადობა ჰქონდა გამოყენებული. მაინც რა ოსტატურად იფრქვეოდა ლილიპუტას თვალებიდან ცბიერებით გაJღენთილი ცრემლები! ჰოდა კეთილი ფრინველი ლილიპუტასთან რას გახდებოდა? ის ხომ "პროფესორი" იყო, სიყალბის.

ობობას ქსელის რაფაზე შემომჯდარი ფუტკარი ითხოვდა კარების გაღებას, მაგრამ თხოვნას ლილიპუტა და ობობა არაფრად აგდებდნენ, სიბინძურის განცხრომაში იყვნენ. "მანიკინა" კვლავ ახალ ბრძანებებს იძლეოდა: ჩაკეტე კარები და ფუტკარი თავისი ბარაქით მოისროლე აქედან... ათას ცხოველთან ნამყოფ ლილიპუტას ისე ლოშნიდა ობობა, გეგონებოდათ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო მის გვერდით.

შეურაცხყოფილი ფუტკარი იდგა დაკეტილი კარების ახლოს, დამცირებული, გულნატკენი... ან რად ენანებოდა, რაღად ცდილობდა ქსელში შესვლას?! საბრალოს გაეშალა ფრთები და ეფრინა თავისუფლად! ვინ არ მიიღებდა, ერთგულსა და მშრომელს?! ნუ გაამტყუნებთ, მთელი წლის ნაამაგარი სკიდან, უკვე თაფლის უხვი მისავალი უნდა მიერთმია ობობასათვის.

ობობას ისე ასულელებდა ლილიპუტა, დაავიწყა: ხალიანი ელენე, ჯოხიანი ლილი და ყველა მდედრი ქარიყლაპიები. "პროფესორა" ჩამოჯდებოდა ფუტკრის მიერ შექმნილი დოვლათის ახლოს, ეგღა აკლდა ხელი გაენძრია და ეშრომა! შეითხიპნებოდა ათასნაირი საღებავებით, ამოითხლიშავდა თვალებს ტუშით, ობობა თავს დასტრიალებდა, შეღებილ თმებზე თავისი ხელით ასხამდა ლაკს, ითხიპნებოდა სარკე და ყველაფერი... ანდა რა ენაღვლებოდათ, ის სიბინძურე ხომ ფუტკარს უნდა გაეწმინდა! ძალიან ნუ გაამტყუნებთ ობობას ის ხომ სიყვარულის ცეცხლში იწვოდა, ამ საქმეში გამოცდილმა ლილიპუტამ კარგად იცოდა, როგორ უნდა დაენთო ობობას გულში გრძნობის ალი. მის საცდუნებლად თავისი შვილიც ჰყავდა ობობასთან მიყვანილი. მათ საუბრის ახალი ხერხი ჰქონდათ შემუშავებული, ობობა და "მანიკინას" ქალიშვილი თვალებით საუბრობდნენ ერთმანეთში. ლილიპუტა ობობას საცდუნებლად იმეტებდა ყველას და ყველაფერს, ოღონდაც ობობასათვის დაეტყუებინა ისეთი საბუთი, რისთვისაც წლები... შრომა და ნიჭი იყო საჭირო.

დაღონებული ფუტკარი გაფრინდა გაურკვეველი მიმართულებით. ბოლოს ძალიან დაიღალა და ერთი ხის ტოტზე ჩამოისვენა, საცოდავად ბზუოდა, გაახსენდა ხარირემის ნაჩუქარი რქა. იქვე ნაკადული მოჩუხჩუხებდა, აავსო ირმის რქა და დალია. ხარირემი იმწამსვე მასთან გაჩნდა:

– რა გაგჭირვებია, ჩემო კეთილო ფუტკარო?

– ვერაფერი ვუშველე ობობას, გული ისე მატკინეს თვითონ მჭირდება შველა...

– მიენდე ღმერთს, რწმენით ილოცე, მეც შენს გვერდით ვიქნები, არაფერი გაგიჭირდება. შენ როცა ობობასთან მეგულებოდი, არ ვჯავრობდი, ახლა მე უნდა მივხედო, ეშმაკმა როგორ უნდა გვაჯობოს ამდენ კეთილებს!

იმ ხესთან, სადაც ხარირემი და ფუტკარი საუბრობდნენ, მტრედი იჯდა და უსმენდა, გაიგონა საუბარი და მათთან მიფრინდა. ნუ დარდობთ, მეც დაგეხმარებით, ერთად ვიბრძოლოთ, იქნებ შედეგი გამოიღოს ჩვენმა შრომამ.

ხარირემმა დაამშვიდა ფუტკარი, ნუ დარდობ ყველაფერი გაირკვევა. ჩემი მიზანი ეს არის, რომ ყველაფერი მოვაწესრიგო, ახლა შევეცდები მივხედო ამ საქმეს. ობობა ლილიპუტას ახლა არ დათმობს, დრო დასჭირდება. მე კი ეშმაკებთან და უთავმოყვარეო არსებებთან მომიხდება შერკინება, მაგრამ ვიცი, რომ შევძლებ, მივაღწევ კეთილ მიზანს.

მტრედი სასწრაფოდ გაფრინდა ობობასთან. ობობა მხართეძოზე წამოწოლილი დახვდა, გვერდით არყის ბოთლი და გამხმარი პური, მაგიდას არასასიამოვნო ელფერს აძლევდა. სარკის მინები "მანიკინას" თმის ლაკით იყო შეთხუპნული, აქ სად მოვხვდიო – გაიფიქრა და უკან გამობრუნება არჩია. ობობამ თვალი მოჰკრა მტრედს და სასმელით გაბრუებულმა ამაყად შესძახა:

– რაზე შეწუხებულხარ, მითხარი ჩქარა, თორემ ჩემი მზეთუნახავი უნდა მოვიდეს და მოსაწესრიგებელი მაქვს ოთახები.

კარები გაიღო, ოთახში დაუკითხავად ლილიპუტა შემოძვრა მტრედმა იკითხა:

– ეს ვინ არის?

– ეს არის ჩემი მზეთუნახავი, რომელსაც ვანაცვალე ყველა და ყველაფერი.

მტრედმა საჭიროდ აღარ ჩათვალა იქ გაჩერებულიყო, უხმოდ დატოვა ობობა და მისი "მზეთუნახავი ლილიპუტა".

ამ ამბავმა ერთ-ერთ კეთილ ადამიანამდე მიაღწია, რომელსაც ფინანსური მდგომარეობა მოჭარბებული ჰქონდა, სასწრაფოდ გასცა ბრძანება:

– ისეთი თავგანწირვა სულიერი არსებისთვის, რასაც დედა ფუტკარი, მტრედი და ხარირემი აკეთებენ, პირველად დავინახე. გამოიყოს ჩემი ანგარიშიდან თანხა და გადაირიცხოს მათ ანგარიშზე, რათა დაარსდეს სკოლა, სადაც ასეთი კეთილშობილები აღზრდიან თაობებს.

ბრძანება ერთ თვეში შესრულდა, ხარირემი, დედა ფუტკარი და მტრედი სათავეში ჩაუდგნენ ამ წმინდა საქმეს და შედეგიც სულ მალე ამზიანდა მიწიერ სამყაროში.

ლილიპუტას მობეზრდა უთაფლოდ დარჩენილი ობობა, სასურველი საბუთი ხელში ჩაიგდო და ახლა სხვასთან მოსინჯა ნაცადი ხერხი.

გაძვალტყავებულმა ობობამ ბუდე შეიცვალა და სხვა ადგილზე გადაინაცვლა. მოაწესრიგა თავის ქსელი, ლილიპუტას ადგილზე სხვა უნდა მოეძებნა, ისე ვერ გაძლებდა.

ზამთრის სუსხიანი დღე იყო. დაბინდულ ფანჯრებს ყინვამ ათასნაირი ფიგურები დაახატა. ფრინველები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. ერთი ფრთამოტეხილი ჩიტი, რომელსაც ზედმეტსახელად "ჯღარკა" ერქვა, აქეთ-იქით დაფარფატებდა, ბოლოს, როცა სიმშილმა შეაწუხა, ერთ-ერთ შენობას მიაგნო და შიგ შეფრინდა. ეს სამფლობელო გახლდათ ობობას ბუდე.

ობობამ ჯღარკა ჩიტს უხვად დაუყარა სურსათ-სანოვაგე, რაც კი მოეპოვებოდა ქსელში მის პირში ნავლებ საჭმელს თვითონ ივლებდა პირში, ეს მისი ნაცადი ხერხი იყო. ამით უმტკიცებდა სიყვარულს ყველას, ვინც მის ბადეში მოხვდებოდა. სიტყვები დაზეპირებული ჰქონდა, ერთი და იგივეს იმეორებდა ყველასთან. უმართლებდა კიდეც და თავს ბედნიერად გრძნობდა. ჯღარკა ჩიტიც შეეჩვია ობობას.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ობობამ და ჯღარკამ დიდი რაოდენობით სასმელი დალიეს. ბოლოს სიყვარულის ქარცეცხლმა ისინი ერთ მასად აქცია. გამოფხიზლებულ ჩიტს უკვე სიკვდილი უნდოდა, რაღას იზამდა, ობობას ნაშიერს მის ორგანიზმში დაედო ბინა.

ლილიპუტას ისევ დასჭირდა ობობა. თავისი საქმეები რომ მოიკეთა, ახლა სხვებისთვის დაიწყო ზრუნვა. ლილიპუტამ თავისი ნაცადი ხერხით ობობას მოთვინიერება ისევ შეძლო და საცოდავი ჯღარკაც მოაშორებინა იქაურობას.

შეთხიპნულ-შეპუდრული ლილიპუტა კი დადის ერთი სუფრიდან მეორე სუფრაზე, შეზარხოშებული საღამოთი ბარბაცით მიათრევს მაკარონივით ფეხებს, სახლში მოსულ ქმარს ერთგულებას ეფიცება, თავს აცოდებს და დაღლის მიზეზად ოჯახურ საქმეებს ასახელებს. რა ქნას საცოდავმა, იმასაც შეხვდა ვირის ტვინის ნაწილი, სჯერა მაცდური მეუღლის. თუ რამე ცრემლი არსებობს ქვეყანაზე, ლილიპუტას თვალში ჩაგროვილა, ამ ცრემლებს ლილიპუტა "სიმართლის" დასამტკიცებლად იყენებს.

დედა ფუტკარი და მტრედი შორიდან ადევნებდნენ თვალს ობობას და ცდილობდნენ, რომ მისთვის ადამიანური თვისებები დაებრუნებინათ...

დედა ფუტკარი და მტრედი ცის ანგელოზთან გაფრინდნენ. ზეცაში დიდი რიგი დახვდათ. მცველს უამბეს თავისი ვინაობა, მცველმა კეთილი ფრინველები ურიგოდ შეუშვა ანგელოზთან.

ანგელოზმა დაინახა თუ არა დედა ფუტკარი და მტრედი, გაუღიმა და საპატიო ადგილზე მიიწვია. თქვენ მე თვალს გადევნებთ, იმაზე მეტ მადლს თესავთ სხვებისათვის, ვიდრე მე დამითესია ქვეყანაზე.

– კეთილო ანგელოზო, დაიწყო მტრედმა, შენ ხომ იცი ხვიჩა ბიჭი, დედამიწაზე რომ ცხოვრობს?

– ვიცი, ვიცი, სიბრძნის ტომები შექმნა. დიახ, მან მიწიერნი გააოცა, მასზე მონოგრაფიები შეიქმნა, სიცოცხლეშივე დაიდგა უკვდავების ძეგლი. ეშმაკმა ვერ აიტანა მისი წარმატებები, ამან მე როგორ უნდა მაჯობოსო და... ერთ-ერთ ლილიპუტა ქალს თავისი ხერხები ასწავლა. ის გამორჩეული არ იყო, არც ნიჭით, არც ფიზიკურობით, ეშმაკის სული არხეინად მოირგო. ლილიპუტამ ხვიჩა ბიჭს სულ აუბნია გზები. ის ისეთ შეცდომებს ჩაადენინებს, მიწაზევე დარჩება, დაიწვება ის წიგნები, რაც მასზე შექმნეს მეცნიერებმა. ცაშიც მის სულს აღარ მიიღებენ, უნდა უშველოთ რამე.

– ამიტომ მოვედით შენთან.

– კარგი, რადგან თქვენში ასეთი მეგობრობა დავინახე, აუცილებლად დაგეხმარებით, გაფრინდით დედამიწაზე, თქვენი თვალით დაინახავთ ყველაფერს.

დედა ფუტკარმა და მტრედმა ზღვას გადაუფრინეს, მათ დაინახეს, რომBწყალი სავსე იყო ვირებით, დამხრჩვალ ვირებს თვალები გადმოეკარკლათ... ლილიპუტას და მის ქალიშვილსაც ვირების ბედი სწვეოდათ. დამხრჩვალ სხეულებს ზღვის ტალღა ხან ერთ კლდეს ახეთქებდა, ხან მეორეს.

წვიმდა...

კოკისპირულმა წვიმამ ჩამორეცხა მთის ფერდობები. ბალახები მოცელილი თავთავებივით გაეკრნენ მიწის ზედაპირს. ქარბორბალა დატრიალდა და ნიაღვრით შეთხუპნული თოთო ღეროები კვლავ აფოფრილი ცხენის ფაფარივით წამოიშალა, ქვიშის მარცვლები აქეთ-იქით მიმოფანტა. ტყის ნედლი ნეშოს ფოთლები აწეწილი თმებივით ერთმანეთში აიხლართნენ...

ატალახებულ ბილიკზე მოხუცი მგზავრი ფეხებს ძლივს მიათრევდა, სული კბილით ეკავა, ბევრჯერ წაბარბაცდა კიდეც. ღმერთო მიშველე, არაადამიანური ხმით დაიღრიალა და ჩაიკეცა.

მზის სხივებმა გაკვეთეს ღრუბლების ფენა და მოალერსე სხივებით ააშრეს ნაწვიმი მინდვრები, აჭიკჭიკდნენ მერცხლები, ლამაზი პეპლებით გაივსო დედამიწა. ხარირემი, დედა ფუტკარი და მტრედი გონებაწართმეულ მგზავრს თავს დასტრიალებდნენ. მგზავრმა თვალები გაახილა, თითქმის აღარაფერი სტკიოდა... ეს ის ხვიჩა ბიჭი გახლდათ, ეშმაკს ობობად რომ ჰყავდა გადაქცეული.

სიკეთემ გაიმარჯვა, ამას დიდი დრო დასჭირდა, აქ ხარირმის დამსახურება მეტი გახლდათ, რადგან სუსტი ფრინველები აბა მარტო რას გახდებოდნენ!

ხალიანი ელენე და ჯოხიანი ლილი დედამიწაზე ხალხმა შეიძულა, მათთვის სიკვდილიBბედნიერება გახდა, მაგრამ ისინი სიკვდილმაც დაივიწყა.

ხვიჩა ბიჭმა კვლავ დაიწყო სიბრძნის ტომებზე მუშაობა. ის უკვე ასაკით დიდი იყო, მაგრამ ოცი წლის ახალგაზრდის ენერგია დაუბრუნდა, ის მადლიერებით წერდა, სიკეთეზე, ფილოსოფიაზე, რასაც ერთგული მეგობრობა ჰქვია. მეგობარი სწორედ მაშინ უნდა გინდოდეს, როდესაც ის სწორ გზას ასცდება... ლხინის სუფრაზე ყველა სიმშვიდით გრძნობს თავს.

უფალი ამ ამბით გახარებული იყო, რადგან დედამიწაზე კვლავ სიკეთე იმარჯვებდა.

რომ იტაცებ, გიყვარს?

* * *

ამბავს რეალურს და ნამდვილს გიყვებით. კახეთში გაიზარდა ერთი თვალებრიალა, ლამაზი გოგონა. აზროვნება რომ შეძლო, პატარა, ცელქმა და მოსვენარმა გოგომ, დედას შეეკითხა:

– ნაშვილები ვარ?

– არა. არა, დედა გენაცვალოს, ეგ, ვინ გითხრა, ჩემო ერთადერთო ვარსკვლავო, შენი ჩემი გაჩენილი მზე ხარ.

– დედი, იცი, შენ თუ მე გამაჩინე, მაშინ კიდევ რატომ არ გყავს ჩემნაირი ან გოგონა, ანდა კიდევ ვაჟი?

მოუსვენარი გოგონას დედა დაღონდა. არადა, ეს, ცნობისმოყვარე ბავში მისი იყო, მისი სხეულის ნაწილი. ცელქმა გოგომ, საღამოთი ახლა მამა გააბრუა ამ კითხვებით. მეტიჩარას, მამა მეუღლეს მიუბრუნდა, – ხომ გეუბნებოდი, ახია შენზე. გააჩინე კიდევ, ერთი შვილი, გინდა გოგო ყოფილიყო, გინდა ვაჟი რა, მნიშვნელობა ჰქონდა, შვილი-შვილია, ახია შენზე, უნდა ამოგწოვოს ახლა ტვინი ამ კითხვებით. ქალბატონი დაღონდა. იმდენად უყვარდა თავისი თვალებრიალა გოგო, რომ არ უნდოდა, ვინმეს მისი სიყვარული გადაეწონა. გოგონას ახირებულმა ეჭვებმა, ცოლქმარი დააფიქრა და გადაწყვიტეს, რომ თუკი უფალი ინებებდა და ღირსს გახდიდა, რომ კვლავ მათ ოჯახში აკვანი დარწეულიყო, შვილი გაეჩინათ. ასეც მოიქცნენ და წლისთავზე ვაჟიშვილი გაჩნდა. ეშმაკუნას თვალებში ჩაეცინა და გულში კი არ დაიწყო ღიღინი, ხმამაღლა შემოკრა ტაში და სახლში სიხარულით ასკინკილა ჩამოუარა. თავისი ნაჭრის თოჯინები მიყარ-მოყარა და ძამიკოს აკვანს მიუჯდა. ასე დღე-დღეს ემატებოდა და წელიწადი წელიწადს, მთვარესავით ბრდღვიალა დაიკომ თავის ხელით გაზარდა პატარა ძამიკო. გოგონას სიცელქის ოინები სოფელში ტრიალებდა. სკოლაში კარგად სწავლობდა, სახლში დედას ეხმარებოდა. კუდრაჭა გოგოს ძალიან უყვარდა სიმღერა, ცეკვა. სკოლის ორგანიზატორი, ხშირად სასკოლო, სპექტაკლებსაც სთავაზობდა, დახელოვნებული მსახიობივით ასრულებდა ყველანაირ როლს. ასე, ვერცხლისწყალივით მოსრიალე გოგონამ საშუალო დაამთავრა.

ერთ-ერთ მეზობელ სოფელში ერთი სილამაზით და ვაჟკაცობით ყველასგან, გამორჩეული ვაჟი ცხოვრობდა. ვაჟი მაღალი ტანადობის იყო. მის ზღვიფერ ლამაზ თვალებს, ძალიან ბევრი გოგონა ჰყავდა ატირებული. ვაჟის სიყვარული ამინდივით ცვალებადი იყო. მას არ ანაღვლებდა სხვისი ცრემლები. მისი ჟინი იყო ბევრს, ძალიან ბევრს ყვარებოდა. დადიოდა ამაყად, ირემა ხარივით ყელმოღერებული და გულსუსტ ქალებს სიცოცხლეს უმწარებდა. ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენ ლამაზ თვებრდღვიალას მოადგა.

* * *

ჩვენმა ეშმაკუნა გოგონამ ახედ-დახედა, შეათვალიერა და გულში გაიფიქრა. მაღალია, ლამაზი, მაგრამ ვინ იცის, თავში გრამი ტვინის პატრონიც არ იყოსო და გვერდზე არ გაიკარა. ბიჭი ჟინს ვერ, იოკებდა. გოგონები, ბუზებივით მესევიან და ეს როგორ არ უნდა დავიმორჩილოო. ასე იყანყალა ლურჯთვალება ვაჟმა წლობით. ის, თავისი სილამაზით თავდაჯერებული და თავის თავზე შეყვარებული ვაჟი იყო და ეგონა ეშმაკუნას მოხიბლავდა, მაგრამ არ გაუმართლა. გოგონებმა შურის თვალით დაუწყეს ყურება ჩვენ კეთილსა და ცელქ გოგონას. არადა, არაფერ შუაში არ იყო. საერთოდ არაფრად აგდებდა ვაჟს. ის, გატაცებული იყო და დაინტერესებული თუ, როგორ გაეზარდა ძამიკო, რომ მშობლებსაც მიხმარებოდა და ძლიერ პიროვნებადაც ჩამოეყალიბებინა. ის ხომ თხოვნით და მუდარით გააჩენინა მშობლებს.

ვაჟმა გადაწყვიტა მოეტაცა ჯიუტი გოგო. თავისი საიდუმლო გაანდო მეგობრებს. ქუჩაში მოთარაშე, მოსეირნე ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ და მოტაცების გეგმები სახელდახელოდ შეადგინეს. გოგონა ერთ-ერთ დაქალს დააპატიჟებინეს დაბადების დღეზე, სადაც, ჩვენი გოგონას ვარაუდით, მისი შემწუხებელი ვაჟი არ უნდა ყოფილიყო. დაიწყო ახალგაზრდების, სამხიარულო საღამო. თვალებრდღვიალა პიანინოსთან მივიდა და რატომღაც მოუნდა, „სულიკო“ ემღერა. ერთი სტროფიც არ ჰქონდა დამთავრებული, „საყვარლის საფლავს ვეძებდიო“ და დაუპატიჟებელი სტუმარიც გაჩნდა. დაიწყო მოტაცების და სახლიდან გამოყვანის შეხლა-შემოხლის სცენარი. გოგონას ტანსაცმელი ტანზე შემოაფხრიწეს, მაგრამ სახლიდან ვერაფრით გამოიყვანეს. ბოლოს იძულებული გახდა ვაჟი, რომ სხვა ისეთი ხერხი ეხმარა, რაც გოგონას გულს დაღს დაასვამდა და ასეც მოიქცა. ხელიდან, ბეჭედი წაიძრო, მაგიდაზე დააგდო და გაიქცა. ეს ამბავი სოფლის დედაკაცებს გაუხმაურებელი არ დარჩენიათ.

* * *

დილით ეს ამბავი უკვე, სოფელში იყო მოდებული. თვალებრდღვიალას, ბეჭედი მიართვეს. შურიანი გოგოები გაიძახოდენ, მოეცალეთ ქალბატონს ვითომც არც კი გაეხარდა. მეორე იძახდა, თვალის ასახვევად იქცევა, ვითომც ვის ჯობია. ჩვენმა ეშმაკუნამ ცრემლები ჩუმად გადაყლაპა და ბედს შეეგუა. ორ, დღეში ქორწილი დაინიშნა. ლამაზი ვაჟის მშობლებმა პატარძალი, გულში ჩაიკრეს და ააწყვეს ტკბილი ოჯახი. ლამაზ ვაჟს, არ მოშორდნენ ლამაზმანები და ისიც თაგვივით დაძვრებოდა. რა შეუშლიდა ხელს, ის ხომ ამ საქმეში ჩამოყალიბებულ-გაწვრთნილი იყო. ჩვენი ეშმაკუნა გოგონა, ოჯახში დადინჯდა, გახდა დედამთილისა და მამამთილის დამფასებელი და სანაქებო რძალი. ერთი წლის შემდეგ, შვილიც გაუჩნდა, მალე მეორეც წამოეწია და აფუსფუდა ფუტკარივით ოჯახი. სოცოცხლის მეტი არაფერი არ უნდოდათ. ერთხელაც, მოვიდა ქალებში ნაგრიალები ვაჟი და განაცხადა. მე, წავედი, სხვა მიყვარს და ოჯახი უნდა შევქმნა. გაოგნებულ მშობლებს თითქოს მეხი ჩამოუარდათ ოჯახში. შვილი გარეთ გააგდეს და კანონის ძალით აუკრძალეს, ოჯახთან მიახლოვება. რძალსა და შვილიშვილებს ჩიტის რძეს არ აკლებდნენ. სამაგიეროდ, ვაჟმა იგრიალა ერთი წელი ერთ ლამაზანთან. მეორე წელი კი, მეორესთან და ასე ტრიალებდა ერთი ქალიდან მეორე

ქალთან. ბოლოს რუსეთის გზას დაადგა. დარჩა, მოტაცებული ქალი დედამთილთან და მამათილთან. გავიდა ათი წელი და ერთ დღესაც, შვილმა დარეკა, მოვდივარ და დამხვდითო. დედამთილმა და მამათილმა რძალს უთხრეს, – რას იზამ, შვილო, შეეგუე ყველაფერს, უპატრონობას, პატრონი რომ გეყოლება, მაინც რაღაცას ნიშნავს. რძალიც დათანხმდა, უკვე, დიდი შვილები ჰყავდა. ჩააცვა, გაალამზა. გამოაცხო ნამცხვრები, მაგიდა გაავსო თონეში დამცხვარი კახური შოთებით. სამწვადე კი, მეზობლის ბიჭს დააბარა, თხოვა, საგანგებოდ აარჩიეო.

ბედოვლათმა შვილმა შემოთვალა, სამი მანქანა დამახვედრეთ აეროპორტში, ბევრი რამე მომაქვს და მომეშველეთო. რძალიც საგანგებოდ გაიბრანჭა და მთელი ოჯახი დათქმულ დროს აეროპორტში იყვნენ. ცოლს ერთი სული ჰქონდა, როდის შეხვდებოდა, თავის მოღალეტე ქმარს.

– რა ვქნა, შვილების მამაა, – გულში ფიქრობდა.

და აი, ისიც გამოჩნდა. ორი ლამაზი გოგონასთვის ხელი ჩაუკიდებია და გვერდით რუსის ახალგაზრდა ქალბატონი მოყვებოდა. მამა და დედა სახტად დარჩნენ, რუსეთიდან შვილმა სხვა ცოლშვილი ჩამოიყვანა. ეგონა, რომ მიიღებდა მშობლები, ბავშვებს, რომ დაინახავდა, მაგრამ მოტყუვდა. ჩატყდა სამუდამო ხიდი ურთიერთობის.

* * *

გამობრუნდნენ, გულდათუთქული მშობლები თავისი რძლით და წყვილი ბიჭებით. იმ ღამით, სახლში არავის არ ეძინა. დილით, მოღვნთილ-მოთენთილი, საქმეს მიუტ-რიალდნენ. მათმა მოღალატე შვილმა კი, დაზოგილი ფულით, ბინა იქირავა და უკვე მეოთხე პირი ცოლშვილი იქ შეიყვანა. ძალიან, ბევრჯერ ჰქონდა მცდელობა, რომ მშობლენთან საერთო ენა გამოენახა, მაგრამ ამის საშუალება, თვითონ მამამ აუკ-რძალა. დარდი მოერია გონიერ კაცს, დღე და ღამე შრომით გატყდა და გარდაიცვალა. თან გაჰყვა, რძლისა და შვილიშვილების დარდი. საქართველოში გაჭირდა ცხოვრება. რძალი იძულებული გახდა საზღვარეთ წასულიყო. კეთილმა ქალბატონმა არაფერი არ დააკლო მამამთილს. საზღვარგარეთ სხვისი მოხუცების მოვლის ხელფასით, შვილებს და დედამთილს არაფერს აკლებს. ბევრჯერ თავისი შვილების სისხლის მოზიარეებსაც ეხმარება. – ჩემი შვილების და-ძმანი არიანო, ბავშვებმა რა დამიშავესო. – ასეთია ის, ბავშობის დროს კუდრაჭა თვალებბრიალა გოგონა, რომელსაც არაფერი აკლდა გა-თხოვებამდე. მისი ნაგრიალები მეუღლე კი, იქით უთვლის პრეტენზიებს. მანდ რომ წახვედი, დედაჩემს ვინ მოხედავსო. ჯერ-ჯერობით მოვლენები ამ მდგომარეობაშია!

ორი მხატვარი

ძალიან ხშირად წვიმს ხელოვანთა შემოქმედებაში. ღვთის რჩეულთ თავს დატრიალებს ღრუბლები. მეჩვენება თუ რეალობაა, ვერ გეტყვით, მაგრამ მე ასე აღვიქვამ მათი სულის სიღრმეს. პოეტებთან შედარებით უფრო მდუმარენი არიან. დუმილში ხატავენ საოცრად იდუმალებით მოცულ შედევრებს. ეს, ორი მხატვარი, ბატონი გურამი ცერცვაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის თავჯდომარე და ბათუმის მხატვართა კავშირის თავჯდომარე, ბატონი გურამ ფუტკარაძე, ორი მეგობარი, ერთმანეთს, სტუმართ-მასპინძლობით და ერთგულებით გავრან. მათ სულის სიდიჯე თითქოს ერთნაირი ხმის შერწყმაა... და კიდევ, ადამიანობით და გამტანობით არიან ერთნაირები. სწორედ ჩემი (ქიათურელი) ბატონი გურამ ცერცვაძის დამსახურებაა, რომ წამოეშველა ჩემს რჩეულ კანდიდატურას, ქალბატონ ნანა მომცელიძეს, აჭარაში ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშოროსო აკადემიის გახსნას. ბატონი გურამმა შექმნა ჯუმბერ ლეჟავას ორი ფოტო და ერთი აჭარის ფილიალს გადაცა და მეორე, თბილისში გამოგზავნა. ჩემი პირველი ჩასვლა ბათუმში, ბატონი გურამ ფუტკარაძის გამოფენით დაიწყო. ორი დიდი მხატვარი, ორი დიდი მეგობარი ერთად ვიხილე. მადლობა ღმერთო, ამ ლამაზი დღისთვის, მხატრვრები ძალიან მგრძნობიარენი არიან, მათი სულის სიფაქიზე, ბრძოლის ქარცეცხლი თუ ყვავილთა ფერები ტილოზე გადადის. პოეტები ამბობენ, გამოთქვამენ, რიტმის რითმის, შინარსის ლექსის ჰარმონიულობაში დაქარიშხლობენ. ჰოდა პოეტი მოვხვდი, ორ დიდი მხატვრის გვერდში, ვიმოგზაურე საქართველოს ყველა კუთხეში და ბოლოს ტაოკლარჯეეთს ვეწვიე, ნახატი ბატონი გურამ ფუტკარაძის შესრულებულია.

სიტყვის რეცეპტი

ექიმი, რომელმაც სიტყვის რეცეპტი გამომიწერა, ჩემი უსაყვრლესი მეგობარია. ამ ექიმს, სული რომ ვთხოვო, ვიცი მომცემს, უფრო სწორედ გამინაწილებს, რათა თანაბარი რაოდენიბით გავიაროთ, დედამიწაზე არსებობის წლები და მერე კი ერთად მივიდეთ იქ, სადაც ყველა მიდის. „აი, სიტყვის რეცეპტი“ – გული (ასე მეძახის) მე, ხომ გულნაზი მქვია, მეგობარმა ექიმმა, ძალიან, რომ გამოხატოს სიყვარული, ,,გულის“ მიძახის. გული, შენ ცნობილი სახელის ქალბატონი ხარ, პრეზიდენტი, რედაქტორი, პოეტი, ყველაფერი ერთად გამიშალა კარგი სადილივით. აი, ამიტომ ფეისბუქზე, ხშირად ნუ წერ ლექსებს. მეც კი ვწერ(თითონაც პოეტია), მაგრამ არ ვაქვეყნებ. იცი, რატომ? თავი უნდა შეიკავო ყველა გიცნობს. „გული“ ასე იტყვიან, ნეტა ვის აწონებს ამ თავის ლექსებს. კომენტარებს ვეღარ აუდივართო. იცი გული, შეიძლება არც მოწონთ და ხათრით, რაღაცა ლაიქს დაგიდებენ, მე შენთვის კარგი რომ მინდა, იმიტომ გეუბნები, სხვა არ გეტყვის. მე მიყვარხარ, გული და ამიტომ გირჩევ. გავჩუმდი... დავდუმდი... ვუთხრა? არა, არ უნდა ვუთხრა. სიმართლე რომ ვუთხრა, იმდენად თბილი ექიმია, გული ეტკინება. განა ექიმებს არ ტკივათ? განა ექიმები არ განიცდიან? ჰაი, ჰაი, რომ განიცდიან. ამიტომ დავდუმდი. დავპირდი თუ დავწერ, არავითარ შემთხვევაში ფეისბუქზე აღარ დავდებ-მეთქი. გავტეხე ფიცი და პირიქით მოვუმატე წერას, მოვუმატე ფეისბუქზე, ცინცხალ-ცინცხალი ლექსების წერას და იცი რატომ? მეგობარო ექიმო? მე დასამშვიდებელ აბებს არ ვსვამ, სიგარეტი, ხომ ეს, გამორიცხულია, სხვა, რომ ეწევა (ქალბატონებს ვგულისხმობ), იმათზეც ბევრს ვფიქრობ ჩემო ექიმო, დარდს კლავენ. სიგარეტი მოდა არ არის, სიგარეტი ამ საუკუნის ვითომ-და ნერვების დასამშვიდებელი სენია. კარგია არ მოწიონ, იციან ვნებთ, ეს მათი გადასაწყვეტია. მე, კი ჩემო ექიმო, დარდის პირამიდები მილაგია ზურგზე. საყვარელი ოთხი ახალგაზრდა ძმა, პოეტი თუ არა პოეტი. ძმიშვილისშვილი დათა, საყვარელი მეუღლე, ვახო, საყვარელი შვილი გელა, საყვარელი მაზლი ჟორა, მისი შვილი რამაზი. ამას დამატებული, თითეული ახლობლის, გარდაცვალება, ცუდად ყოფნა, შენი განცდაც, როცა რაღაცას დარდიანს ჰყვები, საყვარელო. ჰოდა, გენაცვალე, მე წამალს არ ვხმარობ, ავიღებ, არც თუ ისე ძვირად ღირებულ ტელეფონს, არ დამენანება ძილბურანში ხელიდან რომ გამივარდეს და გამიტყდეს. თუ გატყდება, დაისვენებს საცოდავი ტელეფონი ჩემს ხელში. როცა ვინმეს, გახარება მინდა, როცა რაღაცა მწყინს როცა წარსულთა, გარდცვლილთა სევდა და მონატრება მომაწვება. ამ საცოდავ ტელეფონს, ვუზიარებ. ეს არის ჩემი ფიქრის გამზიარებელი. მერე მასთან ერთად მეძინება და დილით ლოგინში ვეძებ, თანაც ვჯავრობ, ნეტავ რა დავწერე. მერე ვკითხულობ, ზოგს ვასწორებ, ზოგიც ისე მიმემალება, ადრე „კუკუმალაობას“ რომ ვთამაშოდით და ვიმალებოდით ხოლმე.

სხვათა შორის, ერთი ძალიან სასაცილო ამბავი გამახსენდა, ექიმო, სულ პატარა ვიყავი, მასწავლეს ჩემზე დიდებმა „კუკუდამალობა“, მე თვალებს დავხუჭავდი და მეგონა, მე, რომ არ ვხედავდი, ისინიც ვერ მხედავდნენ და ვბრაზდებოდი ჩემი თვალის წამწამებზე. პატარას ასე მეგონა, თვალის წამწამები მიშლიან დამალვაში ხელს და

კიდევ კარგი არ წავიკვნიტე მაკრატელით. საყვარელო, ეს არის ჩემი აქტიურობის მიზეზი ფეიბუქზე და, მგონი, კარგი რეკლამაც იმათთვის, ვინც ძვირადღირებული დასამშვიდებელი წამლებით აავადებს სხეულის ყველა ორგანოს.

მადლობა უფალო, ამ მომადლებული ნიჭისათვის... წერა და აზრის გადმოცემა რომ არ შემძლებოდა, ხომ გავაღიზიანებდი ჩემს მეგობარ ექიმს. არადა, როგორი გულითაც მიყვარს ჩემი „გული“ შენ იცი უფალო.

ლოცვა ჩემი

მინდა დაგლოცოთ და ისე მოგეფეროთ, როგორც საკუთარი დედა თავის პირმშოს. ლოცვა ჩემი გაგაყოლოთ გზაში. სადაც მარტო იგრძნობთ, თავს მიიხედ-მოიხედავთ და შიშით აცახცახდებით, გაიხსენეთ რომ თქვენ დაგდევთ დედის თვალი, წამოგეწვათ და გაგამხნევებთ. არ დაიდარდოთ. დარდი, ანადგურებს გულს და დავადებული გულით ცხოვრების აღმართზე სიარული გაგიჭირდებათ. ყოველგვარ წინააღმდეგობას მშვიდად შეხვდით. წონასწორობას თუ დაკარგავთ, შეცდომებს დაუშვებთ. შეცდომების გამოსწორებას მთელი სიცოცხლე დასჭირდება, დაგტანჯავთ და სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდებთ. ამიტომ წინაღმდეგობებს ემოციებით არასოდეს შეხვდეთ. ეს, სიტყვები დარიგება არაა. ეს, ჩემებური ლოცვაა, რაღაცა განსხვავებული და თბილი. ვიცი არ დაიჯერებთ, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ უნდა ვთქვა: მე, ვლოცავ, საქართველოს მომავალს, საკუთარი შვილებვით. მე, მიყვარს ქართული სული სიცოცხლეზე მეტად, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შექმნილ ოჯახში შემოდგომა ნაადრევად ჩამოდგა. გლოცავთ თქვენ ყველას. იმრავალჟამიერეთ და იფუსფუსეთ, სავსე ოჯახებში. ნუ დაელოდებით, ვნებათა ღელვებს. ნუ მოძებნით შოთა რუსთაველებს და ტარიელებს. დაოჯახდით. გამრავლდით... შვილზე ტკბილი ამ ქვეყანაზე უფალს არაფერი გაუჩენია. ნუ დაელოდებით, კომფორტის მოწყობას, გამდიდრებას. სიმდიდრე შვილებია, შვილიშვილებია. იცხოვრეთ სულის სიმდიდრით. და თუ ხელოვანს, შემოესია ჯარად სულიერი შვილები: ლექსები, ნოველები და ასე შემდეგ, ისინიც იგივე შვილებია, როგორც ხორცის ზიარნი. ისიც ისე გიხარია და გტკივა, როგორც სხეულის ნაწილი. მე უნდა დაგლოცოთ ყველა. ყველა თავის მისიის შესასრულებლად მოდის ამა ქვეყნად. მე, ლოცვად მოვედი, მე სიკეთე მქვია. დაე, სიკეთის ფეხით მატარე უფალო, ყველგან სადაც წავიდე და წამოვიდე. დამილოცე, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი განურჩევლად ეროვნებისა. განდევნე სიძულვილი, გაამეფე, გაადედოფლე, გაახალგაზრდავე სიყვარული!

მზე ბათუმიდან ამოვა

* * *

ბათუმში ჩატარებულ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფულიანი საერთაშორისო აკადემიის ვიცე პრეზისენტის ქალბატონ ნანა მომცელიძის ღონისძიებას, პოეტი ქალბატონის ეთერ ჭელიძის სიტყვებით დავიწყებ. როდესაც, ქალბატონ ეთერ ჭელიძეს, სიტყვა მისცეს, ღონისძიებით კმაყოფილმა, ასეთი სიტყვა წარმოსთქვა:

– მე ვარ, სვანი ქალბატონი, არაერთი ღონისძიების მნახველი, ბათუმიდან წავალ და ეს შთაბეჭდილება გამყვება თან. საქართველო, აჭარიდან იწყებაო.

თუ, რატომ თქვა ჩატარებული ღონისძიებით კმაყოფილმა, პოეტმა ეს სიტყვები, ამას აუცილებლად, პატარ-პატარა ნოველების სახით მოგაწოდებთ, ჩემი კალმით დაინტერესებულო მკითხველო.

ჩემს გვერდზე, არანაირი ლექსი არ დაიდება, სანამ არ ამოვწურავ ჩატარებული ღონისძიების, პატარ-პატარა დეტალებს. ღონისძიება, ორი დღე მიმდინარეობდა, დილიდან საღამოს რვა საათამდე. ამ წუთში მესამე დილა გათენდება. ღამის ორი საათია, არ დამეძინა. არ დაძინების მიზეზი სიხარულის ცრემლები იყო. თქვენ ჩემო უტკბილესებო მკითხველო, ხომ ძლიერ ქალბატონად, მიცნობთ? ჰოდა, მე ვიტირე სავსე აუდიტორიის წინაშე. სასწაული იცით რა იყო? როცა ვტიროდი, ვერავის ვხედავდი. მარტოდ-მარტოდ ვხედავდი, იმ ანგელოზივით ლამაზ გოგონას, რომელმაც ჩემი პატარა ნოველა წაიკითხა. ეს იყო „დუმილი“. აჭარის სავსე აუდიტორიის, ინტელეგენციას, მეცნიერებს, მხატვრებს, პოეტებს, პედაგოგებს, ტელევიზიას, ვერ ვხედავდი. ჩემი დაწერილი „დუმილის“ შემდეგ, პატარა გოგონას წაკითხულმა ჯერ მატირა, შემდეგ საკუთარ „მე“-ში ჩამკარგა და... როდესაც ცრემლიანი თვალები გავახილე, ბუმბერაზი ინტელიგენციის ნაწილს ცრემლები უკიაფებდათ თვალებში. ამაყი სვანი პოეტი ქალბატონის სიტყვები კი, ყურებში ტრიალებდნენ. „საქართველო, აქედან იწყებაო“. ვიმეორებ, ღონისძიების შემდეგ, ხვალ თბილისში ვბრუნდებით, ორი დღეა, ერთ- ერთ ქართული ტრადიციებით შექმნილ გაწიკწიკებულ ოჯახში, რასაკვირველია ღონისძიების შემდეგ, ღამით ვისვენებდით, მე და ეთერი და მათი კულტურით აღფრთოვანებას ვერ ვმლავდით და ჩუმად ერთმანეთს დაძინებამდე ვესაუბრებოდით, – აი, ოჯახი, აი, ქართული კულტურა!..

ხვალ დილა გათენდება, იმდენი დასაწერი შთაბეჭდილება დამიგროვდა, რომ მომიწევს დაწერა. საიდან დავიწყო აღარ ვიცი. ან ისე ვიტყვი კი როგორც იმსახურებენ? გათენდება, ჰო, გათენდება აბა, რას იზამს. მზეც ამოვა. ამოვა და ზღვის ზედაპირს

მიუალერსებს. ჩვენ თბილისში გასამგზავრებლად მოვა ბატონი ოთარ ბოლქვაძის გამოგზავნილი ტრანსპორტი და თბილისისკენ გამოვემგზავრებით. ვიცი, ბატონი ოთარის ვინაობაც დაგაინტერესებთ. ერთ-ერთი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა და ბათუმში გახსნილი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ვიცე პრეზიდენტია, ქალბატონი ნანას მოადგილე. აკადემიის დიდი ერთგული და მძლავრი ღერძი. დაუბრუნდეთ ეთერ ქელიძის სიტყვებს, **„საქართველო აჭარიდან იწყებაო“** თუ რატომ თქვა პოეტმა ქალბატონმა ეს, სიტყვები, ამას აუცილებლად ავხსნი. ახლა კი, მეც დავესესხები მის სიტყვებს. ღონისძიებით კმაყოფილ შთაბეჭდილებას და ვიტყვი: – სადაც ვიძინებთ ღამით ერთ-ერთ ლამაზ ოჯახში, ქართული კულტურული ოჯახია. ამ ლამაზი ოჯახიდან იწყება ქართული ოჯახური „იდილია“. ამას აუცილებლად ისე ავხსნი, რომ ჩემო საყვარელო მკითხველო, აუცილებლად იტყვით, რომ არ ვაჭარბებ. ახლა კი ცოტას წავიძინებ, გათენდება, აუცილებლად გათენდება და მზე ბათუმიდან ამოვა.

* * *

ხუთი ნოემბერი, ხუთი რიცხვი ჩემში ლამაზად ასოცირდება. ხუთ მაისს დაბადებულს, მიყვარს ეს ციფრი. ზამთრის პირველი თვის ხუთი ნოემბერი, ძალიან მშვიდად გათენდა. ამ ლამაზ დღეს, თბილისიდან, ბათუმში მიწვეულები ვიყავით მხატვართა კავშირის თავჯდომარე, ბატონი გურამ ცერცვაძე, პოეტი ეთერ ქელიძე და მე. ამ ქალბატონს, ეთერ ქელიძეს, ეროვნული სულის დედოფლად ნათლავენ ისინი, ვინც მის პოეზიას იცნობს. იმიტომაც გადასცა ილია ჭავჭავაძის ოქროს მედალი მწერალთა კავშირმა. მეც თავისთავად ვეთანხმები მათ აზრს და გული სიხარულით მევსება, რადგან სულით ჯამრთელ ადამიანს, ყოველთვის ახარებს სხვისი წარმატება.

ყველაფერი რაც იქმნება, იხატება თუ იწერება, ბოლოს ერთიანდება და საქართველოს წარსულის საკუთრება ხდება. საქართველო კი, თითოეული ქართველისაა. ბატონი გურამ ცერცვაძე, რომელიც სამიათას მხატვარს ჰყავს არჩეული, მობრძანდებოდა ჩვენს გვერდით. ჩვენი მასპინძლები გზაშივე გამოირჩეოდნენ ყურადღებით. გვირიკავდნენ, გვეხმაურებოდნენ. ამ ღონისძიების მომწყობი კი, ქალბატონი, ნანა მომცელიძე იყო. ქალბატონმა ნანამ, ამ უაღრესად ნიჭიერმა ქალბატონმა, ბათუმში სიკეთის მზე შეიტანა. პოეტ ქალბატონს, არ გაჭირვებია, ბათუმის ინტელიგენციასთან ურთიერთობების ჩამოყალიბება. სხვადასხვა სფეროდან გააერთიანა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში ელიტარული საზოგადოება. გზაშივე ვგრძნობდით, რომ ბათუმი დაგვხვდებოდა სულიერებით ამაღლებული და გაცისკროვნებული საზოგადოებით. ინტუიციას არ უღალატია. ყველაფერი ისე, დაგვხვდა, რასაც ვფიქრობდით, რასაც განვიცდიდით. ღონისძიება დაიწყო, ბათუმის მხატვართა კავშირის თავჯდომარის, ბატონ გურამ ფუტკარაძის გამოფენის დათვალიერებით. იქ, იმ წუთში, უნიკალურ ნახატებს ათვალიერებდა ორი პოეტის თვალი და თვით მხატვართა კავშირის თავჯდომარე, ბატონი გურამ ცერცვაძე.

ბატონი გურამისთვის ისედაც ნაცნობი იყო, გურამ ფუტკარაძის შემოქმედება, ჩვენ კი, ხმამაღლა გამოვხატავდით, აღფრთოვანებას. ემოციების დამალვას ვერ ვახერხებდით და ვამკობდით, თითოეულ ნახატს ეპითეტებით. თვით ამ ნახატების

შემოქმედი კი, ყოველივე ამას, ვითომდა არაფერიაო, ისე ხვდებოდა. ჩვენს ემოციებს საზღვარი არ ჰქონდა. პოეტი ეთერი ქელიძე მხატვრის შედევრებმა ამოგზაურა სვანეთში. მხატვრის ხელში გაცოცხლებული უშგული ეფერებოდა პოეტ-ქალბატონს. მე ქალბატონის სული სწორედ ასეთი მქონდა წარმოსახვაში. იმ მომეტში კი, ჩემს თვალში ბრძოლაში მოქმედი ეთერ ქელიძე იდგა, ენგურივით, მძლავრი და მებრძოლი, მთე-ბივით ამაყი და ზვიადი, რომელიც აღმოვაჩინე ბატონი გურამ ფუტკარაძის შე-მოქმედებით. რაც შეეხება ჩვენს უძვირფასეს მასპინძელს, ბატონ ნიაზ ცივაძისა და ქალბატონ ნანა მომცელიძისათვის ეს, ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან არა ერთხელ ჰქონდათ დათვალიერებული და აღიარეს, რომ უფრო მაღალი შეფასებაც მოუსმენიათ მხატვრის შემოქმედებაზე.

* * *

ხუთ ნოემბერს, გურამ ფუტკარაძის გამოფენის დათვალიერების შემდეგ, გადმოვინაცვლეთ ტელევიზიაში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონმა გურამმა, შექმნა ჯუმბერ ლეჟევას ორი პორტრეტი, რაც თითქმის არც მინახია და არც გამიგონია, რომ ორი პორტრეტი ერთი და იგივე პიროვნებაზე ვინმეს ისე კლასიკურად შეექმნას, როგორც შექმნა ბატონმა გურამ ფუტკარაძემ. ერთი პორტრეტით დასაჩუქრდა ბათუმის ფილიალი. მეორე კი, ქალბატონი ნანა მომცელიძისა და მისი მოადგილის, ბატონი ოთარ ბოლქვაძის ხელით თბილისში ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას გადმოგვცეს. ასეთ დიდ ხელოვანთან გვქონდა შეხვედრა. თბილისიდან ბათუმში გამოფენაზე მისვლა, შემდეგ პირდაპირ ეთერში მიწვევა, წარმოსახვითაც დამღლელი უნდა ყოფილიყო და საპასუხისმგებლოც, ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის. ჩვენ კი არანაირ დაღლას არ ვგრძნობდით, პირიქით, ისეთი სითბოთი გვხვდებოდნენ დაღლის სინდრომი გვერდით მოლივლივე ზღვაში იფანტებოდა. თუმცა დიდი პასუხისმგებლიბით შევაღეთ ტელევიზიის კარები, რადგან გამოვდიოდით ერის წინაშე.

ამ ტელევიზიას, ძალიან ბევრი მაყურებელი ჰყავს. „ტევე-თორმეტი“-ს დირექტორი გახლავთ, ცნობილი ჟურნალისტი, ბატონი ჯემალ მეგრელიძე. ბატობმა ჯემალ მეგრელიძემ შემოდგომის ლამაზ, ოქტომბრის თვეში ლამაზი და დიდი ტიტული მიიღო, მწერალთა კავშირის თავჯდომარისგან. მაყვალა გონაშვილი ხომ, ქართველი ქალის სახეა საქართველოში. ჯემალ მეგრელიძეს გადაეცა რაინდის წოდება. ტელევიზიაში გადაცემა თუ როგორი გამოვიდა, ეს უკვე ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულმა საზოგადოებამ ხუთ ნოემბერს შეაფასა და გააანალიზა. ამაზე აღარ ვისაუბრებ. თუმცა, ერთს აუცილებლად ვიტყვი: ბატონი ჯემალის სახით ჩვენ დაგვხვდა ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც ხალხის აზრს, იზიარებს. მისთვის, არ არსებობს, მიკერძოება, „ტევე-თორმეტი“ ემსახურება, სიმართლეს. ასეთი შთაბეჭდილებით გამოვედი, პირდაპირი ეთერიდან. აქ, კითხვებს სვამენ, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე და ემსახურებიან ქართველი ხალხის ინტერესებს.

* * *

ექვსი ნოემბერი, მანქანით გვემსახურება, ბათუმში კაცური კაცის სახელით ცნობილი, აჭარის რეგიონის პრეზიდენტის, ქალბატონი ნანა მომცელიძის მეუღლე და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „საქართველო-ქალდეა“-ს აკადემიკოსი ბატონი ნიაზ ცივაძე. ბატონი ნიაზი, კაცური ავტორიტეტით სარგებლობს ბათუმში, ასე ახასიათებს, ბატონი თემურ გოგსაძე ბატონ ნიაზს. ღამე ბატონ ჯემალ არობელიძის ოჯახში მიგვიწვიეს, რომელსაც ტევე თორმეტში მიჰყავს სპორტული გადაცემა. ქალბატონ ნანას, შემოკრებული ჰყავს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები აკადემიაში. ბატონ ჯემალის ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, იმდენად კულტურულები იყვნენ, არ შეიძლებოდა თვალში არ მოგვხვედროდა მათი სისადავე და ზრდილობა. ექვსი ნოებერი ნაყოფირი შემოქმედებითი ინტერვიუებით დაიწყო. თერთმეტ საათზე უკვე მხატვართა კავშირის თავჯდონარე, ბატონი გურამ ცერცვაძე ინტერვიუს აძლევდა გიორგი მამალაძეს.

სტუმრად ჯემალ არობელიძის ლამაზ ოჯახში



ჯემალ მეგრელიძე –
„ტევე-12“-ის დირექტორი

მე წილად მხვდა ბედნურება შევხვედროდი საღი აზროვნების პატარა ჟურნალისტს, ქეთევან მახარაძეს. ქალბატონი ეთერ ჭელიძის ინტერვიუ კი ჩაწერა, მარიამ ბარამიძემ. ბათუმში დაარსებულია ქალბატონი მანანა წულუკიძის მიერ მწიგნობარი. მხატრული კითხვის ხელმძღვანელია გიტა ლემსაძე. იმდენად, კლასიკურად მიგვიღეს პატარა ჟურნალისტებმა, თვით ქალბატონი ეთერ ჭელიძე და ბატონი გურამ ცერცვაძეც კი გააოცეს. ღონისძიება გაგრძელდა. აკადემიაში გადავინაცვლეთ. ღონისძიება იმდენად დატვირთული, დარგობრივად სხვადასხვა შინაარსის, იყო, რისი დაწერაც, ფეისბუქზე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ამას კი ვიტყვი, რომ ჩემი დაწერილი „დუმილის“ დიდოს-ტატურად წაკითხვის მაღალი კლასიკურად დახვეწილი ხმის ტემბრი, ჰარმონიულობა, არასოდეს დამავიწყდება. არ დამავიწყდება, გულში ჩახუტებული მოსწავლეების დახვედრა შინაარსობრივად გააზრებული დასმული კითხვები. „მწიგნობარის“ წიგნისადმი დიდმა სიყვარულმა გამახსენა ჩემი ადრე დაწერილი ლექსი. „წიგნის საჩივარი“.

მკითხველო გავხდი,
ობობას სატრფო,
ნესტში ვარ გელი,
ვერაფრით გავშრი,
გულით დაგეძებ,
ყოველდღე გნატრობ,
მე ვტირი, როგორც
პატარა ბავშვი.
მომხედე, მტვერი შემომაცალე,

გადამშალე და დაიწყე კითხვა,
ჯადოსნურ ქსელში,
რატომ გამცვალე,
ან რა გირჩიო,
კიდევ რა გითხრა.
მე, არ მჭირდება,
ჩართვა, გამორთვა,
ტექნიკის ცოდნა არანაირი,
არც მაუსი და
არც ფერთა მორთვა,
არც საწვავები ნაირ-ნაირი.
წიგნი ვარ წიგნი
მტვერ დადებული,
დაწუნებული ამ საუკუნის,
შენი სულიდან გამოდენილი,
და მოჩურჩულე ღამის უკუნი.
მე ვარ ილია, მე ვარ აკაკი,
იაკობი და ვაჟა ფშაველა,
მე ვარ ზღაპარი,
მე, ვარ არაკი,
მე წიგნი მქვია,
ერთი მტკაველა.
ე, მაშინ ალბათ
აღარ მოვკვდები,
მკითხველო,
ჩემთვის თუ მოიცალე,
წამიკითხე და გამოვცოცხლდები,
თორემ საცაა გარდავიცვალე.

ჩემი ადრე, დაწერილი ლექსის დაწერა საჭიროდ ჩავთვალე, ჩემო საყვარელო ბავშვებო.

რითაც დავიწყე იმით დავამთავრებ. მზე ბათუმიდან ამოვა. ეს, მზის სხივები მწიგნობარში გაერთიანებული ბავშვები იქნებიან. მზე კი, მისი დამფუძნებელი, მანანა წულუკიძე. გიტა ლემსაძევ შენ ვინ იქნები იცი? მშვიდობის მტრედი, რომელიც იღუღუნებ პატარებთან.

მანანა გორგიშვილი

პირველი დატირება

პირველყოფილი მშვენიერებით ბრწყინავდა ზღვის სანაპიროზე მდებარე წალკოტი, სადაც ყველანაირი ხილი და მცენარე ხარობდა. ამ წალკოტის ბინადართაგან ერთი წყვილი იტაცებდა მნახველის თვალს. მათ განაპირა მხარეს ერთი მოზრდილი ხის ქვეშ დაედოთ ბინა. ქალს მზისფერი თმა წელამდე სწვდებოდა, მის ცისფერ თვალებში კი ზღვის უკიდეგანო სივრცის იდუმალება იმალებოდა. ვაჟი ბრინჯაოსფერ ქანდაკებას მოგაგონებდა.

უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობდნენ ამ წალკოტის ბინადარნი. კაცები სანადიროდ დადიოდნენ, ქალები ბავშვებს უვლიდნენ, სარჩო-საბადებელს აბინავებდნენ და საღამოს ნადირობიდან მათ დაბრუნებას ელოდებოდნენ. ყველას თავისი საქმე ჰქონდა და სიტყვის უთქმელადაც ხვდებოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ. მცხუნვარე მზე დაჰნათოდათ და წალკოტიც ხვავრიელად ასაჩუქრებდა მათ საკვებით. ნადირობიდანაც ხელხვავიანად ბრუნდებოდნენ კაცები.

ერთ რამედ ღირდა ნადირობიდან მობრუნებული, წალკოტის განაპირას დაბინავებული წყვილის შეხვედრის ცქერა. საღამო რომ მოახლოვდებოდა ზღვისფერთვალება პატარა ბექობზე ავიდოდა და იქიდან საათობით გასცქეროდა გზას. როგორც კი მონადირეები გამოჩნდებოდნენ, სიხარულით და შეხვედრის ნეტარებით აღვსილი მათკენ გარბოდა. ვაჟიც შორიდან, როგორც კი თვალს მოჰკრავდა, ფეხს აუჩქარებდა და ჩამორჩენილთა ყიჟინას ყურსაც არ ათხოვებდა ისე გარბოდა იმ ერთადერთისკენ, ვინც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო და იმ პატარა წალკოტივით მის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება.დრო გადიოდა. წალკოტი ჰყვაოდა და მასთან ერთად ამ წყვილის სიყვარულიც.

იმ დღეს კი თითქოს ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დღე იდგა. წალკოტის ბინადარნი ჩვეული საქმეებით იყვნენ დაკავებული. ბავშვები ყიჟინით დარბოდნენ და პეპლებს და მწერებს დასდევდნენ, ქალები ჩუმად, უსიტყვოდ ფუსფუსებდნენ და თადარიგს იჭერდნენ ნანადირევის დასაბინავებლად.

ბექობზე კი ზღვისფერთვალება იჯდა. მუხლებზე თავი ჩამოედო, მზისფერი თმები წელზე ჩამოშლოდა, შორს სივრცეს გაჰყურებდა და აგერ უკვე რახანია ასე გაუნძრევლად ელოდა... მისი თვალები სივრცეში გაჭრილ სიმწვანეს მისჩერებოდა და ცდილობდა გაერჩია სულ უმნიშვნელო მოძრაობაც კი, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ისინი ბრუნდებოდნენ და მათ შორის ისიც, ის ერთადერთი, ვის გარეშეც მას ვერ წარმოედგინა ცისქვეშეთი. მართლაც გამოჩნდნენ, მძიმედ მოდიოდნენ, თითქოს ფეხები უკან რჩებათო. ზღვისფერთვალება აწრიალდა, წამოხტა და მათკენ გაიქცა. გული არ უთმენდა, არანაირ წინააღმდეგობას არ ეპუებოდა, თავგანწირვით გარბოდა, ტოტები სახეს უკაწრავდა და შიშველი ფეხისგულები ეწვოდა. ეს ტკივილი უფრო ახელებდა, რადგან სულ მალე იქ, შორს ის მიეგებება, გულში ჩაიხუტებს, დაკაწრულ სახეს დაუკოცნის და ყველა ტკივილს დაუამებს. განა არ ღირს ამისთვის თავგანწირვა?

ჰოდა, ისიც თავგანწირული მირბოდა მის შესახვედრად. ანაზდეულად რაღაც ენიშნა. უკვე საკმაო მანძილზე მიუახლოვდა, მაგრამ ის ერთი, რომელიც მუდამ წინ გამორბოდა მის შესახვედრად, ვერ დალანდა. გაუკვირდა. ნუთუ ვერ შემამჩნია. ჰო, ალბათ ვერ დამინახაო - გაიფიქრა და უფრო მოუჩქარა. სახე ეკლიანმა ტოტმა გაუკაწრა, მაინც და მაინც წინ შემოეფეთა დახავსებული ლოდი, წაიბორძიკა, მაგრამ წამითაც არ შეჩერებულა. ხელები ჰაერში გაასავსავა, იქნებ ასე მაინც დამინახოსო. აგერ, უკვე მათი სახეებიც გამოჩნდა. რაღაც მოქუფრულები მოეჩვენა. ალბათ ვერ ინადირეს, დარცხვენილები ჩანან.

-ოჰ, დიდი საქმე, ხვალაც ხომ წავლენ. ჩავეხუტები და ყველაფერს დავავიწყებ, - ფიქრობდა და გარბოდა თავგანწირვით. აგერ უკვე სულ რამოდენიმე ნაბიჯიღა დარჩა.

-ნუთუ კიდევ ვერ მხედავს? - ეწყინა, წამით გაიბუტა. - ასე არასოდეს არ უქნიაო, - გაიფიქრა და ისე ახლოს მივიდა მათთან, რომ მათი სახეები გაარჩია. თვალებით მას ეძებდა. ვერ დაინახა. ისინი მდუმარედ უვლიდნენ გვერდს. თავები ჩაეღუნათ და ხელით იქით, ბოლოში ანიშნებდნენ. იქ კი სახელდახელოდ მოწყობილ საკაცეზე ორ მონადირეს ის მოჰყავდა. უმალ მიეჭრა. არაფერი არ უთქვამთ, ისე დაასვენეს მიწაზე და შორიახლოს გაეცალნენ.

ჩაიმუხლა, შუბლზე ხელი დაადო, სიცივემ მთელი სხეული გაუყინა. გულში ჩაეხუტა, სახე დაუკოცნა, თითქოს სურდა, თავისი სხეულის სითბო მისთვის გაენაწილებინა. ერთხანს ასე იჯდა. ელოდა, იქნებ ჩემმა გულისძგერამ მისი გულიც გააღვიძოსო. რომ მიხვდა, ვერაფერს გახდებოდა მწარედ აქვითინდა.

ზეცას ახედა და მისი სიბრალულით თავჩაქინდრულ მონადირეებს თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდათ.

დიდხანს იტირა. ცამდე ადიოდა მისი გოდების ხმა. ეფერა და დაუკოცნა სახე, ხელები... მერე აწეწილი თმები გაუსწორა, ხელები გულზე დაუკრიფა, ჩაეხუტა. კარგა ხანს იყო ასე.

უკვე ბინდდებოდა, როცა წამოდგა. ჩამავალი მზის სხივები ემშვიდობებოდნენ სანაპიროს. ის კი მიდიოდა. ვეღარაფერს ხედავდა ზღვის გარდა. როცა წყალი ფეხებს შეეხო, გააჟრჟოლა, სიცივე ესიამოვნა, მისი სიცივე მოაგონა. მთელს ტანზე ნელ-ნელა ელამუნებოდა ცივი წყალი. სიამოვნებდა, რადგან მისი სხეულის სიცივეს აგონებდა.

მიდიოდა ნელა და როცა მისი მზისფერი თმები წყალმა დაფარა, მზის უკანასკნელი სხივიც წყალმა ჩაძირა.

მერაბ ზაქარიაძე



ჩემი დედიკო მოვიდა?!

{ნამდვილი ამბავი}

ოზურგეთში, ჩემს ქუჩაზე, ერთი გამორჩეულად ლამაზი წყვილი ცხოვრობდა. ქმარი: საშუალოზე მაღალი, სახეზე სწორი ნაკვთებით, განიერი, გაშლილი მხარ-ბეჭით. ცოლი: სახითაც მშვენიერი და შესაშური სილამაზის ტან-ფეხით. ქმარი გურული იყო, ცოლი გორელი, ქართლელი. დედაქალაქში სწავლის დროს გაეცნოთ ერთმაეთი. 1945წელს, ..27წელს დაბადებულები, ანუ 18 წლისანი არამც თუ ომში, ჯარშიც აღარ გაიწვიეს. ჩვენი მოთხრობის გმირიც ..27 წ-ში იყო დაბადებული და იღბლად ომსა და უბედურებას გადაურჩა. სამაგიეროდ თავისი უფროსი ძმა იბრძოდა. ჯერ ევროპაში გერმანელების წინააღმდეგ, მერე აზიაში იაპონელებთან. 1939 წლის პირველ სექტემბერს დაწყებული მეორე მსოფლიო ომი, 6 წლის შემდეგ, ..45-ის 2 სექტემბერს დამთავრდა როგორც იქნა და ისტორიას ჩაბარდა! პოეტ-აკადემიკოსის - ირაკლი აბაშიძის სიტყვებით, რომ ვთქვათ: ,,დედამიწაზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა!“ 6 წელი ითარეშა კაენის იმ აღზევებულმა სულმა, და თან წაიყოლა ორმოცდა ათ მილიონზე მეტი ადამიანის [მათ შორის, ვინ იცის რამდენი ბავშვის] სიცოცხლე. თავის ნაჯირითევზე კი დატოვა: დანგრეული, ქალაქები და სოფლები, ამერიკული ატომური ბომბებით მიწასთან გასწორებული, ხიროსიმა და ნაგასაკი. ატირებული შვილდაღუპული დედები, ცოლები, მოხუცი მამები და რა ვიცი კიდევ რამდენი უბედურება შეიძლება ჩამოთვალო?!

დაბრუნდა ომგადახდილი უფროსი ძმა სოფელში, რომ იტყვიან, რამდენიმე უმნიშვნელო განაკაწრით, ორი ორდენით და მედლებით მკერდსავსე. სოფელში მამაკაცების ნაკლებობა იყო და გახარებულმა თავჯდომარემ ბრიგადირად დანიშნა. ძმას საქმე გამოუჩნდა. - რახან ჯარში არ გაგიწვიეს, წადი და ისწავლეო! - უთხრა უმცროსს. წავიდა! დედაქალაქში ახლო ნათესავი არ ჰყავდა, რომ შეჰკედლებოდა. უნივერსიტეტთან შორიახლოს ისე, რომ ფეხითაც შეეძლო გადასვლა, ერთოთახიანი ბინა იქირავა და სწავლას შეუდგა. აქამდე დედაქალაქში არც იყო ნამყოფი. აქეთ-იქით ხეტიალს ერიდებოდა, ე მანდ, არ დავიკარგოო! თავისუფალ დროს ეზოში ჩადიოდა და ჭადრაკის თამაშით გართული, თავის ახალი მეზობლების პაექრობას აკვირდებოდა, მორიდებით. ერთი კვირა მაყურებლის სტატუსით იყო და, ალბათ, კიდევ დიდხანს ასე გაგრძელდებოდა, რომ არა, ეზოში მოთამაშე ბავშვებს, დიდი, წითელი ბურთი, შემთხვევით არ გადმოვარდნოდათ უფროსებისკენ. ბურთი ახტა, და ზედ საჭადრაკო დაფაზე დახტა! დაფაც ააყირავა და ფიგურა-პაიკებიც მიმოაბნია. აღშფოთებულმა უფროსებმა, ჯერ ბავშვები თათხეს და კიცხეს, მერე არა მე ვიგებდი არა მეო! ვერ შეთანხმდენ. თეთრები იგებდნენო!- თქვა ჩვენმა გურულმა ბიჭმა.

ახედეს:- შენ რა იციო?

-თეთრებს პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ, თუ მხედრით ითამაშებდნენ, ორ სვლაში ხარისხსაც იგებდნენ და მერე მით უმეტეს მოგებული ჰქონდათო.

შავებმა:- ტყუილიაო!

-თუ გნებავთ, როგორც იყო დაგილაგებთო! - დაულაგა. აქ, მხედარი, ამ სვლით, ლაზიერს ემუქრება, ლაზიერი უნდა გაერიდოს, მაგრამ ისე ვერ მიდის ეს უჯრა დაიცვას. მხედარი ჯერ პაიკს იგებს და ჩანგალია: ორიდან ერთი ეტლი იკარგება და მერე უკვე გამარჯვება ადვილიაო!

-ვინა ხარ კაცო შენო?!- ჰკითხეს.

-თქვენი ახალი, ოღონდ დროებითი მეზობელი. სტუდენტი ვარ და 5 წელი აქ ვიცხოვრებო!

-აბა, დაჯექი, ერთიო!

დაჯდა და სათითაოდ პანტა-პუნტით წამოჰყარა ყველა ზედ. განაწყენდნენ მასპინძელი მეზობლები, ზემოთ დაუწყეს, ვიღაცას ძახილი. ახალგაზრდა ბიჭმა გადმოიხედა.

-სასწრაფოდ ჩამოდიო!

-არ მცალიაო!

-გადადე, ყველა, არ მცალია და ჩამოდიო! - ჩამოვიდა: - არც ხანძარია სადმე და გულწასულსაც ვერავის ვხედავ, რა მოხდა რა იყოო?

-რა ღა რა? ამ ჯეელმა სირცხვილი გვაჭამა, დაჯექი ეზოს ღირსება დაიცავიო!- დაჯდა ხელი გაუწოდა და გაეცნო. ასე, საჭადრაკო დაფასთან გაიცნეს ბიჭებმა ერთმანეთი. იპაექრეს და დაზავდნენ. კიდევ ორჯერ ითამაშეს და ისევ მშვიდობიანი ყაიმი. რაკი ამანაც არ წააგო მეზობლები მაინც კმაყოფილნი დარჩნენ.

ზემოთ ავიდნენ. კარის მეზობლები აღმოჩნდნენ.

- ვერ მოგიგე, მაგრამ არც წამიგია და ეზოს ჩემპიონად მაინც მე ვრჩებიო!

-რომ მომენდომებინა შენც მოგიგებდიო!

-რატომ არ მოინდომეო?

-ყველას შენი იმედი ჰქონდა და რა სინდისითო?!

თავისთან შეიპატიჟა, დედა გააცნო. ქალბატონი ჩაით და ტკბილეულით გაუმასპინძლდა. სანამ აცივდებოდა ეზოში თამაშობდნენ, მერე ბინაში აინაცვლეს. აღმოჩნდა, რომ ორივენი ლექსებს წერდნენ. ერთმანეთს წაუკითხეს. კიდევ უფრო დამეგობრდნენ. ომი ახალ დამთავრებული იყო და ცხოვრება არ ულხინდათ დედა-შვილს. ჩვენს ბიჭს, მაინც, რაც შეეძლოთ ყურადღებას არ აკლებდნენ. არც ეს რჩებოდა ვალში. სოფლიდან გაგზავნილ სურსათ-სანოვაგეს მათაც უზიარებდა. კი უხერხულობდნენ, მაგრამ ზედმეტი არაფერი იყო. ერთი წლის შემდეგ ჩავიდა გორიდან დეიდასთან და დეიდაშვილთან ჩვენი ბიჭის მომავალი მეუღლე. პედაგოგიურზე დაიწყო სწავლა. მართალია, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სწავლობდა, მაინც ექსპერტად ჩათვალეს ბიჭებმა და თავისი ლექსები წაუკითხეს. მკაცრი კრიტიკოსი გამოდგა გოგო. სასტიკად დაუწუნა ორთავეს შემოქმედება. გაბრაზდნენ ბიჭები და აღარაფერს აკითხებდნენ. მაინდა მაინც არც ის აძალებდა წამაკითხეთო! ბოლო დროს საჭადრაკო წარმატებებს აღწევდა ეზოს ჩემპიონი ჩვენს გურულ ბიჭთან. შემთხვევით მიხვდა რა იყო მისი წარმატების მიზეზი: თავისი დეიდაშვილის ოთახში შემოსვლა უფანტავდა გონებას მის მეტოქეს. გუნებაში გაეცინა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

გავიდა ის ოთხი წელიწადი. დაამთავრა ჩვენმა ბიჭმა, აიღო დიპლომი და უნდა წამოვიდეს სახლში. სასიყვარულო ლექსი დაწერა და მიუტანა გოგოს: - შეყვარებულს ლექსი დავუწერე და იქნებ ჯერ შენ ნახოო?

ნახა! მიხვდა ვინც იყო ადრესატი. არაფერი შეიმჩნია: - რა კარგი ჰქენი, ჯერ მე ,რომ წამაკითხე! არამც და არამც ეს შენს შეყვარებულს არ აჩვენო: შენც შესძულდები და ლექსიცო!

გაბრაზდა ჩვენი გურული ,,რომეო“ ნაკუწებად აქცია გოგოს თვალწინ ის ლექსი და თავის ბინაში შევარდა. დილამდე ბრაზმა გადაუარა. დაინახა ავტობუსის გაჩერებისკენ მიმავალი სატრფო და, მივიდა:- მიყვარხარ და ცოლად წამომყევიო! ვარგოდა თუ არა ის ლექსი შენ მოგიძღვენიო!

გაეღიმა გოგოს: მივხვდი, მაგას. კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სანამ სწავლას არ მოვრჩები ვერ გავთხოვდები! პატარა ბავშვიანი, ვეღარ ვისწავლი და არ მინდა ოთხი წლის ნაშრომი წყალში ჩამეყაროსო!- ავტობუსში ავიდა. იქიდან ხელი დაუქნია ბიჭს.

გაფიცხდა გურული. დაჰკრა ფეხი და წამოვიდა. ერთხანს სოფელში იყო ძმასთან და მშობლებთან. ქალაქში გადაწყვიტა გადმოსვლა. ჩვენს ქუჩაზე ნაკვეთი იყიდეს და სახლის მშენებლობას შეუდგნენ. ააშენეს, გადახურეს. მერე შიგნით ოთახების მოწყობას შეუდგნენ.

გავიდა ერთი წელი. ისევ ჩააკითხა დედაქალაქში გოგოს, თავის დეიდაშვილთან. გაუხარდა მის მეგობარს: - შე, თათარო! ეგ არის საქმე? ერთხელაც არ ჩამოხვედი და არ მნახეო!

-შენ ჩამოსულიყავიო!

-მე რა პირით ჩამოვსულიყავი? გავიგე, ჩემს დეიდაშვილს, შენთვის ცოლობაზე უარი უთქვამსო! უყვარხარ, ძმაო, იმ გოგოს: ,,აქედან გორი შორია...!“ სიმღერაში კი მღერიან, მაგრამ ეგ კახური სიმღერაა და თან მაშინ შექმნილი, ხალხი ურმით, რომ დაიარებოდა! ახლა, გინდა მატარებელი, გინდა ავტობუსი, ერთ საათში გორში ხარ! მისამართს მოგცემ! ჩააკითხე, მოკიდე ხელი და წაიყვანე! ჩემს დეიდაშვილს შენნაირი კარგი ბიჭი, თუ შეირთავს, მაგას რა სჯობს? დამიმოყვრდები და მთლად კარგიო!

ჩააკითხა! -კიდევ გაქვს პრობლემები, თუ წამომყვებიო?!

წამოჰყვა. ერთხანს სოფელში იყვნენ. ერთი ოთახი,რომ გააწყვეს, ქალაქში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, იმ წელს. სტალინი, რომ გარდაიცვალა [1953წ.]. ერთ ოთახს მეორე მიუმატეს. მეორეს მესამე. ორთავემ მუშაობა დაიწყო. მოკლედ ყველაფერი კარგად იყო გარდა ერთისა: ბავსვი არ უჩნდებოდათ! დაიწყო ქალმა ექიმებთან სიარული. აქაურმა ექიმებმა, ერთადერთი სასარგებლო რაც გაუკეთეს ის იყო: დედაქალაქში სარეაბილიტაციო ცენტრის მისამართი მისცეს. ქმარიც წაჰყვა: -შენი დეიდაშვილი გაბრაზებული იქნება და შემოვირიგებო!

რაკი ქმარიც იქ იყო ისიც გასინჯეს და დასკვნაც დადეს: ქმარი პროდუქტიულია, ცოლია უშვილოო! - დაღონდა ქალი: - ჩემებთან ჩავალო! ერთად ჩავიდნენ. ერთი კვირის შემდეგ: - შენ წადი, მე ცოტა ხნით კიდევ დავრჩებიო! დარჩა. ორი კვირის შემდეგ წერილი მისწერა: - ორივენი რატომ უნდა ვიყოთ უბედური? აღარ ჩამოვალ! ეგ ორსართულიანი სახლი რად გვინდა, თუ შიგ ბავშვმა არ ირბინაო? შენ მაინც იყავი ბედნიერი, ვინმე სხვას მოიყვან, შვილები გეყოლება და გაიხარებო!

ჩააკითხა: - გარიგებით არ მომიყვანიხარ! სიყვარულით შეგირთე! მე ვინ ვარ? ილია ჭავჭავაძესაც არ ჰყოლია შვილი, მაგრამ მაგისთვის ოლღა გურამიშვილი არ მიუტოვებიაო! - ქმრის სიტყვები ალბათ გულს კი მოხვდა სასიამოვნოდ, მაგრამ პრობლემას რას უშველიდა? ლამის ძალით წამოიყვანა. კიდევ უფრო დასევდიანდა ქალი, სხვა, რომ ვერაფერი მოიფიქრა: - წადი, ვინმესთან გააჩინე ბავშვი, მოიყვანე და რაკი მეცოდინება შენია, საკუთარივით გავზრდიო!

გაეცინა კაცს: - პატიოსანი ქალი ჩემთან ბავშვს რატომ გააჩენს? და თუ გააჩენს რატომ მომცემს? უპატიოსნოსთან გაჩენილი მე რაში მჭირდება? ამ ქვეყნად არაფერი იმალება და არ მინდა მერე ვინმემ წამოსძახოს, ჩემს შვილს: შე იმნაირის შვილოო!

ქმრის ერთგულებაც სასიამოვნოდ დაურჩა ქალს, შეიძლება, მაგრამ რაღაც უნდა ეღონათ. ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს, თან გოგონაზე შეთანხმდნენ: - ბიჭი, ლოთი და ნარკომანი, თუ გამოვიდა რას ვუშველით? გოგოს, რაღაცას უფრო მოვუხერხებთ, თან სიბერეში ის უკეთესად მოგვხედავსო!

ერთი პერიოდი აქვე ეძებეს, უშედეგოდ, მერე დედაჩემმა ურჩია: - ზოგი უღირსი დედა შვილს გააჩენს და სხვას მიუგდებს. მოხუცდება საპატრონო გახდება და მერე ახსენდება მიტოვებული! მივა და ეტყვის შენი დედა მე ვარ, უნდა მიპატრონოო! თბილისში რამდენიმე ბავშვთა სახლია. იქ ობოლი ბავშვებიც ჰყავთ და მაგისგან დაცული იქნებით, ასე შორს არავინ დაუწყებს ძებნასო! - თურმე ისედაც აპირებდნენ. საბუთები შეგროვილი ჰქონოდათ. დედაქალაქში წასვლის წინ დღეს, ქმარს სამსახურში გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ქალი მარტო წავიდა. ქმარმა: - თუ რაიმე ისეთი იყოს მიდეპეშე, ყველაფერს მივატოვებ და ჩამოვალო!

მივიდა ჩვენი მეზობელი ქალი ერთ-ერთ საბავშვო სახლში, {1957 წლის 14 სექტემბერი იყო} და თმაჭაღარა გამგე ქალბატონს თავისი საბუთებით წარუდგა. გადახედა ქალბატონმა საბუთებს, გაეღიმა: ქმარი ეკონომისტი, ცოლი მასწავლებელი, ორთავენი მომუშავენი. სამსახურებიდან დადებითი დახასიათებებით, ჯანმრთელობის ცნობებით, 29, 30 წლისანი. საკუთარი სახლით და ეზო კარ-მიდამოთი. -ასეთი სრულყოფილი საბუთებით აქ ჯერ, მგონი არავინ მოსულაო!

გაესაუბრა. მოეწონა მისი გარეგნობაც და დალაგებული საუბარიც.

-გვყავს ერთი ობოლი ბიჭი! საღი და ლამაზი, ძალზედ მოსიყვარულე ბავშვიაო!

-ბიჭი, არა, გოგონას აყვანაზე, ვართ მე და ჩემი მეუღლე შეთანხმებულიო!

-წაიყვანე, შვილო, ეგ ბავშვი, ენდე ჩემს გამოცდილებას, როგორსაც გაზრდი ისეთი გაიზრდება. შეიძლება ასეთი შანსი აღარც მოგეცეთო!

-ქმრის გარეშე ვერ გადავწყვეტო!

-ნახე რა კარგი ბიჭია, უსათუოდ მოგეწონება და თუ არა, ძალით ვინ გაგატანს? ამ სკამზე იმიტომ ვზივარ, ეს ბავშვები, რომ არიან აქ, მე თუ ეგენი, წამდაუწუმ აქეთ-იქით ვარიგე, მერე ვისი ან რის გამგე ვიყოო?- წყენა დაეტყო ხმაში გქმგე ქალბატონს.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა: -კარგი წამოვალ და ვნახავო!

კარებთან არ მისული გამგე შეჩერდა: -აქ იყავი, მოვიყვანო და კაბინეტიდან გავიდა. იქნებ ძალიანაც გარისკა ქალბატონმა გამგემ, მაგრამ ეტყობა მართლაც დარწმუნებული იყო თავის თავში და იცოდა რასაც აკეთებდა, ჰქონდა თავისი გამოცდილების იმედი. ხერხს მიმართა, მივიდა და უთხრა პატარას: -შენი დედიკო მოვიდა, სახლში უნდა წაგიყვანოსო!

- ჩემი დედიკო მოვიდაო?! - გაგიჟდა ბავშვი! ეცა კარებს. წლის და რვა თვის მოიყვანა აქ თავისმა ბებომ. ერთი თვის შემდეგ ის ბებოც გარდაიცვალა და მორჩა, აღარავის უკითხავს მისი ამბავი. სხვა ბავშვებს: ზოგს დედა აკითხავდა, ზოგს - მამა, ბებია, ბაბუა, მამიდა ან დეიდა. მხოლოდ მასთან არ მოდიოდა არავინ. ვინ იცის, როგორ სწყდებოდა პატარას გული. არ იცოდა რატომ არ მოდიოდა თავისი დედიკო. ჰკითხა აღმზრდელ-მასწავლებელს. იმანაც იფიქრა ასეთ კარგ ბავშვს აქ დიდხანს არ გააჩერებენ, ვიღაც იშვილებსო და: - შენი დედიკო შორსაა წასული, მალე ჩამოვა და აუცილებლად მოვაო! როგორ უსაშველოდ გაიწელა პატარა ბიჭისთვის ეს

,,მალე“ და აი, როგორც იქნა, მოვიდა მისი დედიკო! დედამიწის ზურგზე იმ წუთს, ალბათ არავინ იყო მასზე უფრო ამაყი! ხედავთ, არც ის არ ყოფილა ვინმეზე ნაკლები, მასთანაც მოვიდნენ! ჰო-და განა ყველას არ უნდა გაეგო ეს? გარბის და თან მთელი ხმით კიჟინებს: - დედიკო მოვიდა! ჩემი დედიკო მოვიდა! მისდევს აღმზრდელი და გამგე ქალბატონი. სხვა ჯგუფის აღმზრდელებმაც გამოიხედეს. ძვლივს დაეწივნენ: - მაქეთ არა, აქეთო! - თავის კაბინეტში შეიყვანა, აღმზრდელი მასწავლებელიც შეჰყვა.

არ ვიცი, პატარა ბავშვებს რამდენად აქვთ განვითარებული სილამაზის აღქმის

უნარი და შენიშნა, თუ არა, როგორი ლამაზი იყო ქალი, რომელიც კაბინეტში დახვდა. თუმცა ამისთვის ვის ეცალა? მთავარია ეს მისი დედა იყო, თავისი დედიკო!

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთმა პოეტმა ქალბატონმა მომწერა: -,,გურული კილო ქართული ენის ეშხი და ლაზათიაო!“ - სწორედაც! ჰო-და თუნდაც კუთხურობა დამაბრალონ მაინც გურულ სიტყვას ვიხმარ: მივარდა, ჩაეფჩხვნა კისერში! კაბინეტში სხვა მასწავლებლებიც შემოვიდნენ. გული გადაუქანდა ჩემს მეზობელ ქალს: ეგონა პატარა დაიმორცხვებდა და არ მივიდოდა. სულით-ხორცამდე შესძრა ბავშვის საქციელმა. მკერდში ჩაიკრა, ხეირიანად შეხედვაც ვერ მოასწრო, ხელები მაგრად მოხვია და თავადაც მთელი ძალით ჩაიხუტა! გული ამოუჯდა! სხვებიც ატირდნენ. ეს ამბავი ჩემს დაბადებამდე ერთი თვით ადრე მოხდა, ამიტომ რაც ჩემი თვალით არ მინახავს იმის უცილობლად მტკიცებას ვერ დავიწყებ, უბრალოდ ამბობენ, რაც იქ, იმ კაბინეტში ცრემლი დაიღვარა, რამდენიმე დღე მტკვარი ზღვასავით მლაშე მოედინებოდაო! თუ დაიჯერებთ ხომ კარგი? თუ არა და თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით. მხოლოდ თვალცრემლიანი თმაჭაღარა გამგე ქალბატონი იღიმებოდა კეთილად: გასჭრა მისმა ხერხმა. ერთი კი ამოილაპარაკა ქალმა: მომკლავს ჩემი ქმარიო! - მაგრამ ეს, რომ თანხმობას ნიშნავდა, ამას რა ლაპარაკი უნდოდა?

-წაიყვანე, შვილო, ეგ ბავშვი, ხომ ხედავ, რა ლამაზი და თბილია? მამა ავტოავარიაში დაეღუპა, დედას ნერვიულობაზე ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ვეღარ გადაარჩინეს ექიმებმა. ბებიამ მოგვიყვამა აქ, მალე ისიც გარდაიცვალა. შეიძლება შორეული ნათესავები კი ჰყავს, მაგრამ აქ მოსვლით თავი არცერთ მათგანს შეუწუხებია. მოდავე არავინ გეყოლება. 60 წლის ვარ, მალე პენსიაში გავალ და აქ ვეღარ მნახავ. ჩემი ბინის მისამართს მოგცემ. თუ რაიმე ისე არ იყოს, მოდი და პასუხი მაგებინეო!

ძალიან ჭკვიანიცაა!- ჩაერთო აღმზრდელი მასწავლებელი,- ჯგუფში ერთი სუსტი ბავშვი მყავს, მაგაზე 3 წლით უფროსი. რამდენიმე თვე ვუკითხე და ვაზუთხე ,,სოსელოს“ ,,დილა” {,,ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“} როგორც იქნა ჩემი დახმარებით ვათქმევინე და: -ტაში დაუკარით ჩვენს გოგონას-მეთქი, ვუთხარი ბავშვებს. ეტყობა ეს ტაშის დაკვრა მოეწონა, მოვიდა და მეუბნება: - მეც ,,იციო“! მაშინ ორი წლისაც არ იყო, ყველა ბგერას ვერც კი წარმოთქვამდა, მაგისთვის ჯერ ადრეა-მეთქი ვფიქრობდი და ერთ კუპლეტიანი ლექსიც არ მიასწავლებია. - შენ, რა იცი-მეთქი?! - ვკითხე გაკვირვებულმა. - ,,ლექციო“! არ დავუჯერე: - აბა, თქვი, ერთი, რა იცი-მეთქი. ისე სასაცილოდ მომიყვა, რ-ს და ს-ს ვერ ამბობდა, მაგრამ სამივე კუპლეტი ჩამირაკრაკა! უჭკვიანესი ბავშვია და უსათუოდ გაგიმართლებთო!

გაპირება ერთია და, ახლა, როცა თავის გულთან ბიჭუკელას პატარა გულის ფეთქვა იგრძნო, უკვე იცოდა: ეს მისი შვილი იყო! მშობელი დედა თუ ადგებოდა საფლავიდან და მოსთხოვდა:- დამიბრუნეო! - თორემ, სხვას? არავის ცოცხალი თავით აღარ დაუთმობდა!

წამოიყვანა. ჩამოვიდნენ. ქმარმა აივნიდან დაინახა ხელი-ხელს ჩაკიდებულნი და ზემოდან გადმოსძახა: - ქალო, გოგოს და ბიჭს სხვანაირად, თუ ვერ არჩევ, ჩაგეხადა შარვალი მაგ

ბავშვისთვის და გენახა პასპორტიო! - გაუხარდა ქალს, მიხვდა ამით ამოიწურა ქმრის საყვედურები. ქმარმა ჭიშკარი გაუღო. შევიდნენ. 14 სექტემბერი, ძველ საქართველოში ახალი წლის დღე იყო და საეკლესიო კალენდრით დღესაც ასეა. არ ვიცი, 15 სექტემბერი 15 იანვარივით ,,ფეხადობას," რომ ეძახიან გურიაში, ადრე ის დღეც ასეთად თუ ითვლებოდა, მაგრამ ,,ბედნიერი ფეხი" კი შედგა ბიჭმა მათ ოჯახში.

- იცის ვინ ვარო?!- იკითხა კაცმა.

- კი, ვუთხარიო!
- მოხვალ ჩემთან? -ჰკითხა.

მივიდა.

- ჩამეხუტებიო?! - ჩაეხუტა. ცოლს მიუბრუნდა:- მე ამ ბიჭს კაცად გავზრდიო!

წაიყვანეს მეორე დღესვე: რა ტანსაცმელი, რა ფეხსაცმელი?! სამთვლიანი ველოსიპედი, ჩასაჯდომი ავტომანქანა, ბურთი თავისთავად და კიდევ უამრავი სათამაშო. ზეიმი ჰქონდა ჩვენს ბიჭს. მერე სოფელშიაც წაიყვანეს: ბაბუა, ბებია, ბიძა, ბიცოლა, სამი ბიძაშვილი, ყველა ეფერებოდა და საჩუქრებს ჩუქნიდა. გაოცდა ბავშვი. ცოტა უფრო დიდი ყოფილიყო, ალბათ იკითხავდა: - დალოცვილებო, ყველანი თუ ცოცხალი და საღ-სალამათი იყავით, აქამდე სად იმალებოდითო? ჩვენს ბიჭს ეს არ უკითხავს.

რა არის სასწაული? ალბათ, ის რასაც ჩვეულებრივი დედამიწისეული კანონები არ ესადაგება და ადვილად ვერ ახსნი. სხვანაირად ის რა სასწაული იქნება? მოხდა ეს სასწაული, მათ ოჯახში! შეიძლება არც არანაირი სასწაული ყოფილა, ქალმა მკურნალობა გააგრძელა და რომელიღაცა ახალმა წამალმა უშველა. ორი წლის შემდეგ ცოლ-ქმარს თავისი, ნანატრი გოგონაც შეეძინათ, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას. იმ დღეს, ჩვენი ბიჭი 5 წლის გახდა. სვეტიცხოვლობას 1959წ. გურიაში კი არა, ალბათ, მცხეთაში, ტაძრის გარეთაც არ აღნიშნავდნენ, მაგრამ დღე კი სწორედ ეგ დღე იყო.

ბიჭმა თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს, არ იეჭვიანოსო! - ყურადღებას არ აკლებდნენ მშობლები არც უფროსს. ეტყობა უკვე გასული იყო იმ ასაკიდან, როცა უფროსი ბავშვები ეჭვიანობენ, თავიანთ უმცროს და- ძმებზე. ის კი არა და როცა დედა სადილს ამზადებდა აკვანთან თავად იჯდა და ურწევდა პატარა დას. და როცა ერთხელ 6 წლის ბიჭმა დედისგან მოსმენილი იავ-ნანა უმღერა თავისი წკრიალა ბავშვური ხმით, ერთი წლის დაიკოს, ამჯერად ჩვენი ქუჩის გასწვრივ, მისგან 50-იოდე მეტრში ჩამდინარე მდ. ნატანებში მოიმატა მარილიანობის დონემ. წამოიზარდნენ. ბიჭი უფრო დინჯი ბავშვი იყო, ეტყობა აღმოსავლური გავლენით, გოგო უფრო ახტაჯანა. ერთი სასაცილო ამბავი სჭირდა კუდრაჭას: როცა გამოტეხვა უნდოდათ, დააფიცებდნენ: - ჩემს ძამიკოს ვფიცავარო! თუ იტყოდა ცამდე მართალი იყო! აი, ტყუილზე, რომ მოგეკლა, ძმის სახელს ვერ ახსენებინებდი. ჰო-და ბაც! გამოჭერილი იყო ტყუილში ცუგრუმელა. მერე გაზრდილს თავად ეცინებოდა: - ვერაფრით ვხვდებოდი რა გულთმისანი მშობლები მყავდა, ასეთი, ტყუილში მუდამ უშეცდომოდ, რომ მიჭერდნენო!

აასრულა მამამ დაპირებული: კარგად გაზარდა ბიჭი. აკაკი წერეთელი, რომ ამბობს: მარტო წვრთნა, რას უზამს თუ ბუნებამც არ უშველაო! - იმ ბუნებამაც უშველა.

იმ დროს ქალაქის ცენტრში მდებარე სკოლა ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა. კომუნისტური ნომენკლატურისა თუ თანამდებობის პირთა შვილები, ყველანი იქ სწავლობდნენ. ჩვენი ბიჭიც {დედამისი იმ სკოლაში, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა} იქ სწავლობდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე. ჩამოვიდა. ანასეულში

სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. დაუსწრებლად ასპირანტურაც დაამთავრა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. მომავალი მეუღლე იქ, სამსახურში გაიცნო. დაქორწინდნენ. ქალ-ვაჟიც ეყოლათ. მერე დაც გათხოვდა.

იქნებ სადოქტორო ხარისხიც მოეპოვებინა, მაგრამ ქვეყანა აირია. ყველაფერი თავდაყირა დადგა და სამეცნიერო ხარისხის საძებნელად ვის ეცალა? ლუკმა პური გახდა საძებნი. ავი და კარგი დროც ერთნაირი სისწრაფით გადის. ერთი კარგი და სასიკეთო მაინც მოიტანა ახალმა დრომ: ეკლესიაში სიარულს აღარავინ უშლიდა ხალხს. 2005 წელს, სამოქალაქო ქორწინებაში მყოფ მშობლებს ეკლესიურადაც დააწერინა ჯვარი შვილმა. ტაძრის დეკანოზმა, მამა ბასილმა მეჯვარეები მოვიდნენო, - მოითხოვა. 55წლის წინ, საქორწილო მაგიდასთან, რომ ხელისმომკიდეები ჰყავდათ, არც ერთი აღარ იყო ცოცხალი. რა ვქნათო, მიმოიხედეს. შვილმა დამინახა და გაუხარდა: - ე , ბიჭო მერაბა, ტყუილად ხარ ჩემი ძმა და მეგობარი? მიშველე დაუდექი მამაჩემს გვერდითო!

გამეცინა: - მე კი დავუდგები, მარა თავად ისურვებს-თქვა?!- გამომხედა ნეფემ:

მეფე კი ვარ, მარა მონარქი, ხომ არა? დადექი აქ! ეგეთი რა გჭირსო?

-შენს მტერს მე, რომ მჭირს! ხომ იცი, სამნაცოლევი ვარ და ჩემი ბედი, რომ დაგებედოს, რას შვრები მერე?!- ვკითხე სიცილით.

მასაც გაეცინა: - 78 წლის ვარ. აი დედაბერი აგერ, ახლა რომ ჩამაკვდეს ხელში, მერე თუ კიდევ იმდენს ვიცოცხლებ, კიდევ ორ ქალს მოვინელებ კი ღირს გარისკვად! იდექი მანდო! პატარძალმაც შეიფერა: - მგონი დავიღუპე! ოღონდ ეგ არა და სხვა ვინც გინდა ისო!

-კაი, ბატონო! თუ არ გინდივართ, მარა ის მაინც მითხარით, რომელ სასაფლაოზე მარხია, თქვენი ხელისმომკიდე. წავალ, გავიქცევი, ჩავძახებ საფლავში: - ადექი, წამოდი, ჯვრისწერაზე გეძახიან- თქვა!

ან მე რომელი მიცვალებულის საფლავიდან წამომყენებელი ვიყავი?! და არც იმათ, ჰქონდათ, დიდი ასარჩევად საქმე, შევრჩი ჩემს ტკბილ მეზობელს მეჯვარედ. ახლა პატარძალს რა ვუყოთო? მამა ბასილმა იპოვა გამოსავალი: მესასანთლე ქალს დაუძახა: - შენ პატარძლის მეჯვარე იქნებიო! გაეღიმა ქალბატონ მაიას და ხალისით იკისრა პატარძლის მეჯვარეობა. ასე სიცილ-კისკისში, ოღონდ წესების სრული დაცვით დავწერეთ ჯვარი. მამა ბასილმა ჩვეულებას არ უღალატა: დალოცა და დაუმატა: აბა, თქვენ იცით, 12 ბიჭი და 12 გოგოო! კაი 25 კაციანი, ოქროს ქორწილის სუფრასთანაც მოვულხინეთ. ამერიკაში წასული ქალიშვილი შორიდან, კომპიუტერის მონიტორის საშუალებით, ესიყვარულებოდა მშობლებს. მისი გამოგზავნილი ფულების წყალობით იყო: ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას.

კიდევ 5 წელი იცოცხლა ჩემმა მეზობელმა და 2010 წელს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთი წლისა და ერთი თვის შემდეგ, იმავე ასაკში ცოლიც შეუერთდა იმ ქვეყნად წასულ ქმარს. საკმაოდ სოლიდურ ასაკში, ვალმოხდილნი, ბედნიერნი წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ისევ შორიდან დაიტირა მშობლები ქალიშვილმა. კვლავ მისი დახმარებით, გადაუხადა ორივე მშობელს ვაჟიშვილმა ქელეხი. მორწმუნე კაცი იყო და სადა, მაგრამ კოხტა სასაფლაო გაუკეთა დედ-მამას. რამდენიმე თვის წინ თავადაც, იქვე, მათ გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. მანამდე 2014 წელს ქალიშვილი გაათხოვა. 2015წ-ში ბაბუაც გახდა. მზახალმა: - ჩემს შვილიშვილს ჩემი გვარი, რომ ექნება, ჩემთვის ეგეც კმარა! საკუთარი სახელი ალისტრახო ჩემთვისაც არ მომწონს, ერთი უბრალო შოფერი კაცი ვარ, მეორე ბაბუას სახელი საქართველოში, ლამის ყველა მეორე კაცს ჰქვია, მეცნიერი კაცია, ბიჭს მისი სახელი დაარქვითო! დაარქვეს.

ბოლო ხანებში თავის ტკივილებს უჩიოდა. გვიან მივიდა ექიმთან. სასწრაფოდ თბილისში წადიო! წავიდა. თავის ტვინის სიმსივნე დაუდგინეს და ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს. რძალი მულს, რომ დაელაპარაკა და უთხრა შეიძლება ოპერაცია ვერ გადაიტანოსო! ამჯერად ვეღარ გაუძლო გულმა, ორ დღეში ჩამოფრინდა და ოპერაციისთვის საჭირო თანხაც ჩამოიტანა. საავადმყოფოში, როგორი იყო და-ძმის შეხვედრა? იქ არ ვყოფილვარ. შეგიძლიათ, თავად წარმოიდგინოთ. სანამ საოპერაციოდ გაიყვანდნენ, ვაჟმაც დიდი სიურპრიზი მოუწყო: პალატაში ლამაზი გოგო მიუყვანა და უთხრა: - კარგად, რომ გახდები, რძალი შეგიძლია დაუძახოო! თვალებში ცრემლები ჩაუდგა: - ცუდი წინათგრძნობა მაქვს, შეიძლება ვეღარ გამოვიღვიძო. კი მინდოდა ორი ჭიქა ღვინის დალევა შენს ქორწილში, მაგრამ, რახან შენს ბედნიერებასაც მოვესწარი აღარც მაგას დავეძებო!

ვერ გამოიღვიძა. 9 დღიანი კომის შემდეგ გარდაიცვალა, 65 წლისა. თავისი მშობლებივით, უფრო დიდხანს ეცოცხლა, ცხადია, არც ის იქნებოდა წინააღმდეგი, მაგრამ მე, მთელი ეს ამბავი თავის დასასრულიანად, მაინც კეთილად მიმაჩნია. ამ ქვეყნიდან, მარტო ღრმად მოხუცებულები მიდიოდნენ რა უჭირდა სააქაოს? გადით ნებისმიერ სასაფლაოზე, ჩვილი ასაკიდან დაწყებული, რამდენი ,,უდროოდ“ წასული ადამიანის საფლავს ნახავთ! ჩვენმა მეზობელმა 65წელი კაცურად იცხოვრა. იყო კარგი შვილი, ძმა, მეუღლე, მამა, ბაბუა, უღალატო და სანდო მეგობარი.სიკვდილის წინ, ყველა ახლობელი ადამიანი ვინც უყვარდა მასთან იყო და ასევე დარწმუნებული, იმაშიც, რომ მათაც ძალიან უყვარდათ! ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არასოდეს შეპარვია ეჭვი: თავისი დედ-მამა, მისი ბიოლოგიური მშობლები თუ არ იყვნენ. მხოლოდ ერთხელ, დედამისს უთქვამს თავისი რძლისთვის: – უკვე სკოლაში დადიოდა, ერთ საღამოს, თავისი დის სურათების ალბომს ათვალიერებდა და უცებ მკითხა: – მე რატომ არ მაქვს ასეთი ალბომი? ჩემი პატარაობის სურათები სად არისო?! 2 წლის და 11 თვის იყო თბილისიდან, რომ ჩამოვიყვანე და მერე, კი, მაგრამ მანადე სურათები სად გვქონდა? შავ დღეში ჩავვარდი, დავიბენი, ვერაფერი მოვიფიქრე, მეპასუხა. კიდევ კარგი შენი მამამთილიც ოთახში იყო. შემატყო ცუდ დღეში ვიყავი და მადლობა ღმერთს: – შენს თავს დააბრალე, პატარა იყავი და არ გახსოვს: შენი ეგეთი ალბომი წყლიან ვედროში ჩააგდე, გვიან ვნახეთ და სურათები გაფუჭებული იყოო! დაიჯერა.

P.S. ბევრმა ადამიანმა, ვინც ჩემი რომანი: ,,ნუ მიგვატოვებ!“ წაიკითხა, მთხოვა: რომანის დასასრულის შეცვლა და მისი ბედნიერად დამთავრება. მე როგორც საჭიროდ და სწორად ჩავთვალე ისე დავასრულე იგი და იქ აღარაფერს შევცვლი. ამერიკული HAPPY END-ის მოყვარულ ჩემს მკითხველებს კი ამას ვეტყვი: – თუ ეს მოთხრობაც წაიკითხეთ, შეგიძლიათ იგი ჩემი რომანის ბედნიერ დასასრულად ჩათვალოთ!

20. 02. 2020წ.

ელგუჯა სხირტლაძე

როდესაც შენს კალთას მოვსწყდები სანუკველს,
ბედის თამაში, შენს საზღვრებს გამაცელს,
მხოლოდ და მხოლოდ, ერთ რამეს ვშიშობ,
უცილო სიკვდილი, სხვაგან არ დამხვდეს,
არ ჩამიბაროს სხვა ქვეყნის მიწამ,
ამ ქვეყნად, სიკვდილიც ოცნებად არ გამხდეს.

საიდან უნდა დაიწყო კაცმა, თუ დაემშვიდობე შენს უწინდელ მყარ არსებობას. ზოგჯერ უცნაურ სიტუაციებში მოხვდები ან თავადაც მოახდენ უცნაურ რამეებს ნებსით თუ უნებლიეთ.

ხან, ვერ გაიგებ, საით მივყავართ წუთისოფლის ზვირთებს, ვერ გაუგებ ადამიანებს, რომელთაც, სოფოკლეს თქმით, სხვადასხვა დემონი უზით სულში, ხანდახან ზოგიერთი მათგანის ფეხქვეშ გათელვაც კი გინდება კაცს.

არის გრძნობები, რომელსაც ვერც გაიგებ და ვერც ახსნი, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ჩემში კიდევ არის რაღაც ბუნდოვანი, ჯუნგლების პატარა ნაგლეჯი და თითქოს დავიარები, ამ უნაპირო ქვეყანაზე დიოგენეს ფარნით ხელში.

ხანდახან, მარტო ყოფნა მინდა ხოლმე, თითქოს, რაც ოდესმე ადამიანებთან მაკავშირებდა, დარღვეულია და ვცვივდები, როგორც გაწყვეტილი ძაფიდან მძივები და აღარაფერია მყარი.

ხოლო, რადგან გამოსწორება არაფრის არ შეიძლება ან უკიდურეს შემთხვევაში ძალიან ძვირად გვიჯდება, ვცდილობ გავექცე სინანულის უსარგებლო გრძნობას, რადგან, სამწუხაროდ, წყეული დრო გარბის და კვდება, ადამიანები კი ვცოცხლობთ, ასობით გაგვიფრინდება ზამთარი და ზაფხული, დღეებს ვიგებთ და წლებს ვკარგავთ, წამის სიამეში ვპოულობთ მარადულობას, ხოლო ვარსკვლავთა მტვერი მოარღვევს უსასრულობას, მწარე ქარიშხალად ქცეულს.

ზოგჯერ ჩინებულიცაა სინანულის გარეშე ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, იცი, რაც ხდება ქვეყანაზე... როგორც წესი, ართმევენ უფრო მეტს, ვიდრე აძლევენ, მაგრამ, როგორც ყველაფერი დედამიწაზე, ჩვენი დუმილიც დროებითია და როგორც მიგელ დე უნამუნო ამბობს **„...შენს გარშემო ჩამოწოლილ დუმილს, თუ უჩივი, ეს უკვე საზეიმო დუმილია, მალე შენი სიტყვები უფრო მკაფიოდ ამაღლდება ამ დუმილზე.“** ხოლო დადუმებულნი და ჩაფიქრებულნი, ყველანი ვეძებთ ბედნერებისაკენ მიმავალ გზას და ვცდილობთ გავერკვეთ მის არსში. ბედნიერება, ხომ ადამიანის ყველანაირი სურვილის ასრულებაშია, ხოდა, თუ ასეა, დედამიწაზე ბედნიერების არსებობაც გამორიცხულია. მაგრამ, მეორე მხრივ, მადლობა უფალს, რომ სრულყოფილი ბედნიერება არ მოგვანიჭა. ადამიანის ცხოვრების მიზანი, ხომ გამუდმებით ბედნიერებისაკენ სწრაფვაშია. სწორედ ამ ბედნიერების ძებნაშია

იღბალიცა და უიღბლობაც,
დარდიცა და სიხარულიც,

ბედიცა და უბედობაც,
ბედი, უმოწყალო რამაა...

სხვისი უბედურების შემხედავს, თითქოს გრცხვენია საკუთარი ბედნიერებისა და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მისკენ მივისწრაფვით, წამის მარადიულობაში გადის მთელი სიცოცხლე და ამ დროის მანძილზე ბედნიერების ძიებაში, სად არ გატარებს კაცს ამ უკიდეგანო ქვეყანაზე ბედი. სადაც ყოველ მხრივ ათასნაირი საფრთხეებია ჩასაფრებული, მათ შორის სიკვდილიც, რომელიც ელის ადამიანს თავისი სიბნელით და არის კიდევ უფრო საშიში, საზარელი და მომაკვდინებელი, ვიდრე სიკვდილი, რომელიც ათასგზის სისასტიკით კლავს ადამიანს, სიკვდილის ორეული – სირცხვილი.

„...თავი ნუ მოგწონს სიკვდილო,
სირცხვილზე მეტი არცა შენ ხარ“...

ლამაზად უთქვამს ბესიკ ხარანაულს. სირცხვილის გამო კვდება ადამიანი. სწორედ ამ გრძნობის გარეშე შექმნა ღმერთმა ადამი და ევა, და უკვდავყო სამოთხის ბაღში, რომელთაც განარისხეს უფალი, როდესაც შეცოდებულები მის წინაშე და დარცხვენილები, ფოთოლაფარებულნი გამოეცხადნენ მამა ზეციერს, რომელმაც განდევნა სამუდამო საცხოვრებლიდან.

მას შემდეგ დაიწყო ყველაფერი მიწიერი, მათ შორის, სიკვდილი.

სიკვდილი ერთხელ მოდის, თუმცა ყოველ წამს ველით. სიბერის გვეშინია, თუმცა დაბერება გვწადია.

რადგან სიკვდილი ჩვენ უკითხავად დაბადებიდან თან გვდევს და ვერც ვერავინ აღუდგება წინ, თითქოს შეგუებული ხვდები მის მოულოდნელ გამოჩენას.

მაგრამ სულ სხვაა სირცხვილი – აფთარივით უსაფრდება და სულმოუთქმელად ელის ადამიანის მცირე შეცდომასაც კი, რომელსაც საზოგადოება მხოლოდ თავისი თვალით უყურებს და განსჯის.

„მგელს მგლობას დაარქმევენ და ტურა კი ქვეყანას აქცევს“-ო.

ტურებითაა სავსე ეს ქვეყანა და უნამუსოდ ჯიჯგნიან ადამიანის სულს. არ ფიქრობენ, რამდენად დასაშვებია, ადამიანზე შეიქმნან აზრი მისი ერთადერთი შეცდომის მიხედვით, რაც შეიძლება გამოიწვია უკიდურესმა გაჭირვებამ, უსაზღვრო გატაცებამ ან დაუფიქრებლობამ.

ამიტომ მინდება, ალბათ, მარტოობა და მგლური კანონით ცხოვრება, სადმე ადამიანებისაგან შორს, მთის ველურ ბუნებაში, რომელიც მგელივით მკაცრი, მაგრამ სამართლიანია და ადამიანზე უფრო გონიერი, სადაც გონსმოგებული ცხოვრებას იწყებ ახლებური გაგებითა და შეხედულებებით.

სადაც იბადება ბუნდოვანი ოცნებები...

სადაც ხანმოკლეა ბინდის სილამაზე და ისეთივე ცივია და გამჭირვალე, როგორც მთვა-

რიდან გამოდღვრილი სხივები სიბნელეში.

სადაც, არც დავიწყებისთვის და არც გახსენებისთვის იმეტებ დროს, და მხოლოდ ადამანებისადმი უნდობლობის შიშის ძაფები გადახლართული გრძნობებით, მკერდქვეშ ტკივილით გაჰყურებ სამყაროს და მიწაზე დაღვრილ სიჩუმეში ვერ ხვდები სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე...

რას მოელი ამ ქვეყნისაგან, ან რას სთავაზობ თავად.

გაჰყურებ მას და ხვდები, რა დაუნდობელია წუთისოფლის მარჯვენა, სადაც არცერთი ჩვენგანი ჩვენი ნებით არ მოვსულვართ და ბედისწერით განსაზღვრული კანონი, ნაცარივით შემოგვაყრის ფიქრსა და ტკივილს. რისგანაც ხანდახან უძლურების გამო, ბედთან შეგუების ზანტი გრძნობა დაგეუფლება და მხოლოდ განმარტოების მშვენიერება გივსებს სულის სიამეს. სადაც ამოვსებული წარსულის როგოდან, ამოტივტივდებიან ტკბილი და უსიამოვნო ფიქრი და გვიჭირს სიყვარული დიდი სიძულვილით მოწამლულებს და შენიღბულნი ვიტყუებთ თავებს და საკუთარ სიბეჩავეს სხვებს ვაბრალით. ხოლო, საკუთარ თავთან ყოფნა და სიმარტოვე აგვაფორიაქებს და აღგვიძრავს უმიზეზო შეშფოთებას.

მაგრამ, რადგანაც ეს ქვეყანა დროებითი სამოსახლოა და გვეჩვენება, ვუმზერთ უკანასკნელად, ვერ ვთმობთ ბედნერების წვეთსაც კი და გონსმოგებულნი გავცქერით ახალ, უცნობ გზებს, რომელზედაც მიდიოდნენ ჩვენამდე სხვები.

გზებს, სადაც იცი განმეორდება იგივე: ღალატი, სიცრუე, სიბილწე, ყოველდღიური ცდუნებები, ქედმაღლობა, მოჩვენებითი ერთგულება, უსამართლობა და უამრავი საფრთხე.

გზებს, სადაც გდევენ დღეები თავისი უძლეველი ჯარით.

დღეები, რომელთა შეკრება ჩვენს ცხოვრებად იქცევა და მასში, თავად თუ არ მოინდომე გამოჩენა და მოკრძალებით განზე გადექი, ბედის უკუღმართობით შეიძლება მთელი შენი მომავალი საფრთხს წინაშე დააყენო.

მართალია, ძნელია, გიყვარდეს და არ ამჟღავნებდე, ფარავდე გულის თრთოლვას, გებრალებოდეს და დუმდე, გასაჭირში შველას არ ითხოვდე, მაგრამ უძლურნი ვართ ცხოვრების უსამართლო კანონის წინ და ამიტომაც თავადაც მკაცრი შეხედულებებით გიწევს ცხოვრება ნებნით, თუ უნებლიეთ.

ათასნაირი ჯურის ადამიანებთან გიწევს „დაჯახება“ და თავის გატანა. ზოგიერთ მათგანს კი ღირსებაც არ გააჩნია, მხოლოდ არარაობაა და მეტი არაფერი, რომელთა ხელშიც ბედის უსამართლობით, შემთხვევით მოხვდა იმ ადამიანებზე გავლენა, რომლებზედაც წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ, საშუალება რომ მიეცათ. ძნელია ამ ცხოვრებაში კაცისთვის, რომელსაც წარმოსაჩენად საკუთარი ღირსების გარდა არა აბადია რა, სარბიელზე გამოვიდეს და ბედით განებივრებულ უგუნურს გაუტოლდეს. უგუნურებს, რომლებიც იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ სახელი იმ ადამიანებმა უნდა შეუქმნან, რომლებსაც ანგარიშს არ უწევენ, და ვერც იმას ხვდებიან, რაოდენ სასაცილოები და უბადრუკნი არიან, როცა გონება არ ჰყოფნით, რომ ლამაზად ილაპარაკონ და არც მოსაზრება, რომ გაჩუმდნენ.

ვერ ხვდებიან, რომ სხვისი ჭკუა-გონება მათ ვერაფერს არგებს, ისევე, როგორც ბრმას სხვისი მხედველობა.

და მაინც, ბედის უმოწყალობით, მათი გავლენით ვიცვლით ზნესა და ვხდებით პირქუშნი, ღვარძლიანი, სრულიად სხვა გვარი განწყობლების და ისე ვიცვლებით, ბოლოს თავადაც გვიკვირს როგორ და როდის აქეთ გავხდით აგრე გულცივები.

ჩვენგან დამოუკიდებლად, მრავალმა გარემოებამ დაგვიმახინჯა სული, შეგვიცვალა მორალური სახე და აღარც ისეთები ვართ, როგორებიც ჭეშმარიტად მოვევლინეთ ამ სამყაროს და აღარც ისეთები როგორიცა ვჩანვართ.

სამწუხაროდ, ხანდახან ცხოვრება გვაიძულებს, რომ მიამიტობა და გულწრფელობა დახვეწილ ეშმაკობად გამოვიყენოთ, რადგან ბედი უმოწყალო რამაა! და, თუ სხვისგან არ მოველით ფეხქვეშ გაგებას, თავადაც ვერ გავეგებით ფეხქვეშ!..

* * *

ამ ქვეყნად ყველას თავისი ზარი და ჯვარი აქვს, ვის დიდება და ვის – ტანჯვა და ხანმოკლე სიცოცხლე.

ზოგიერთს კი ამ ყველაფრის მონაცვლეობით უწევს წუთისოფლის გავლა.

არავინ იცის როდის და რითი შეიცვლება ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ ერთი კი ჭეშმარიტებაა. მთელი სიცოცხლის გავლა შეიძლება ტანჯულ საუკუნეშიც ვერ შეძლო და შესაძლებელია ბედნიერ ერთ წელშიც მოასწრო.

ამიტომ, არ უნდა დათმო, ამ ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში, შენი წილი ბედნიერების ერთი წვეთიც კი, რადგან არავინ უწყის, როდის წაშლის ჩვენს ბედნიერ ყოფას უმოწყალო ბედი, როგორც შემოდგომის წვიმა ნაკვალევს.

* * *

ზოგჯერ, ვფიქრობ, ჩემში ორი არსება ზის ერთდროულად. თითქოს თავად ვუცქერ, როგორ ძალაგამოცლილი დღე და ღამესავით გამუდმებით ებრძვიან ბოროტი და კეთილი ანგელოზი ერთმანეთს. მე კი უნდობლობის გამო, მკაცრად შევცქერი და ველი სულმოუთქმელად, გადაღლილი გულით ველი, ვის შერჩება საბოლოოდ ჩემი სული, რომელიც მხოლოდ მე ვიცი, რომ აღარც ისეთია, როგორიც მოევლინა ამ ქვეყანას და აღარც ისეთია, როგორიცა ჩანს. თითქოს გაორებულია: ერთი, რომელიც მკაცრი, ცივი და დაუნდობელია, და უნდობლობის თვალით უყურებს წუთისოფლის მკვიდრთ, ხოლო მეორე, ფაქიზი და მიმტევებელი, რომელსაც სიყვარულიც შეუძლია და ერთგულებაც, და თითქოს, მხოლოდ ამ ორთაბრძოლის შედეგად დარჩება ერთერთი...

ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. იღიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიბლური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატინიანეებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. – წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქელთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი,

რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაჟო, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართველები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯეელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოღმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა უღონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში, ხან სიფხიზლეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდება... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რაღათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა.

ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ ღამეს სადმე, ქოხში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაუ, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მივამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რია-რია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმელებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზედა ჩან-

და... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შურღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... გიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შურღლი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შურღლი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, დილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკ-

რებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერთიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლადა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცვალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე:

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, ადუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო

მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლისფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაუკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოვკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინ-

და. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაივლები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე გაწვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავდნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომეღვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უეცრად შემხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავისუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოცხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყრიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გადამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრალება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვსინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მიწა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოაღწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

ს ა ა ქ ა ო

მოვსულვარ. ალბათ ამათი საიქიო იქ არის, საიდანაც მოვიდნენ. ალაყაფის კუნჭულში პატარა კარია. ამ კარში შევდივარ. ათიოდე ნაბიჯს ვადგამ და წინ ჯუჯა კაცი მეღობება. სახემოსვრილი, წვერგაუპარასავი. დიდი, დატოტვილი თითები აქვს.

– საით? – მეკითხება.

– საიქიოში, – ვეუბნები.

– ჰიჰი, ჰი, ჰიჰი, – იცინის, – საიქიოდან მოხვედი. ახლა სააქაოში ხარ. მე ჩამოგათრიე მაღლიდან. მატლები გჭამდნენ. იქ, ზემოთ, შენისთანები ბევრი რჩებიან. აქ ჩამოყვანას ვერ ეღირსებიან. სადაც დამარხავენ, იქ დალპებიან. შენი ჩამოყვანა ჩვენმა უფალმა მიბრძანა.

– ბოდიში, უკაცრავად, – ენა ამერია, – ვინ არის თქვენი უფალი?

– ამიერიდან ჩვენი, – შემისწორა ჯუჯამ, – ამიერიდან ჩვენი უფალი სიკვდილია, ილოცე მისთვის.

ახლა მე გამეცინა.

ჯუჯას გაუკვირდა, ასე თავხედურად რომ გავიცინე. მე კი ვიფიქრე: სიცოცხლზე არასდროს მილოცია, სიკვდილზე როგორ ვილოცო – მეთქი.

– წამოდი! – მითხრა ჯუჯამ და წინ გამიძღვა.

წავყევი. ისევ ალაყაფთან მიმიყვანა. ჯუჯა კაცისთვის განკუთვნილ ოთახს რომ მივუახლოვდით, დავეცი. დავეცი და ვეღარ წამოვდექი. საშინელი კრუნჩხვები დამეწყო. ჯუჯა შეშლილივით ახარხარდა. მერე ფეხი

დამადგა, გადამიარ-გადმომიარა. მუშტები დამცხო, გამჩენი შემიგინა...

– ილოცე ჩვენს ღმერთზე. – მითხრა და და წიხლი შემინაცვლა. ახლა უფრო ღონივრად, შეუბრალებლად.

– მე ღმერთი არ მწამს.

– რწმენა გაქვს?

– მაქვს.

– მაშინ შენს რწმენაზე ილოცე, შენი რწმენა – შენი ღმერთია. მე სიკვდილი მწამს და სიკვდილი ჩემი ღმერთია, შენი ენით რომ ვთქვათ.

რაღას ვიზამდი.

უაზრო სიტყვები ჩავიბუტბუტე, სიკვდილზე მაინც არ მილოცია.

კრუნჩხვებმა გამიარა.

წამოვდექი. ჯუჯა თავის ოთახში შემიძღვა.

– შენი გვარი? – შემეკითხა.

დავიბენი.

ჩემი გვარი ისევ მახსოვდა, მაგრამ გამხელა არ მინდოდა.

– შენი გვარი? – გამიმეორა.

– არ მახსოვს, ბატონო.

– მე ბატონი არ ვარ.

– აბა, ვინ ბრძანდებით? – ვეკითხები შიშით.

– ამას მერე გაიგებ.

თვალი თვალში ისარივით გამიყარა. აღარ ხუმრობდა.

– გვარი მითხარი!

– არ მახსოვს-მეთქი.

– სტყუი, გახსოვს, ჩვენ ყველაფერი ვიცით. (ეს შესაშინებლად მითხრა) შენ, სულ ერთია, იქ მაინც ვერ მოხვდები... უმჯობესია თქვა. ან იტყვი, ან ეწამები...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლა არსებობს?

– არა!

– აბა სად მაწამებთ?

– აქვე, ჩემს ოთახში. შენ გინდა უსახელო მკვდრებში მოხვდე, მოისვენო, ფეხი ფეხზე შემოიდო, დამშვიდდე. შენ გინდა მოისვენო და თოხი აგცდეს...

დავინტერესდი.

– უსახელო მკვდრები ვინ არიან?

– გაიგებ, – ჩაილუღლუღა და გაიმეორა.

– შენი გვარი??

– ხარაიშვილი.

– სახელი?

– ბეჟანი.

მოზრდილი სია გადმოიღო. ჩამწერა. მერე წამოდგა, სიამოვნებით დაამთქნარა და ოთახიდან გამომიძღვა.

ცოტა ხნის მერე მთელი ქალაქი მომატარა. სახნავ სათესები მაჩვენა. არაფერი გამკვირვებია, ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ტყის ნაპირზე მივედით.

აქ მწვანე სიმინდის ყანა იყო. ჯუჯა კაცმა სადღაც თოხი მოძებნა. ყანის თავში დამაყენა. ქვემოდან, პაპანაქება სიცხეში ყანას ჩემი ტოლი ბიჭები თოხნიდნენ.

– დაიწყე! – მითხრა ჯუჯამ.

გამიკვირდა. ყანა ზემოდან ქვემოთ არასდროს მეთოხნა.

– დაიწყე! – გამიმეორა და თავში ხელი წამცხო.

დავიწყე, მეტი რა გზა მქონდა.

ჯუჯა არ მომშორებია. ფეხდაფეხ მომდევდა.

დავიღალე. არ შემასვენა. იქ, იმ ყანაში და იმ ქვეყანაში, დღე და ღამე არ არსებობდა, შეუსვენებლად ვთოხნიდი.

სიცხე თანდათან მატულობდა.

ბიჭები შემიერთდნენ. ყანა ზემოდან გათოხნილი მქონდა, მაგრამ ბიჭები მაინც არ შეჩერებულან

თოხნა გააგრძელეს.

მეც გავაგრძელე. ჯუჯა დამშორდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: კაცი ვერც მკვდარი მოისვენებდა, ვერც ცოცხალი. სახე ოფლმა დამისველა, ამეწვა.

სულ მალე ყანის ბუღში აღმოვჩნდი.

თოხი დავაგდე. წელში გავიმართე.

სული რომ მოვითქვი, თვალი ყანის თავისკენ გავაპარე. ბიჭებს აღმა თოხნა დაემთავრებინათ და ახლა დაღმა მოჰყვებოდნენ.

ჯუჯა დაბარებულივით მოვიდა. იქვე, ყანის ბოლოს, ბალახებში ჩაჯდა. მიმიხმო. მივედი.

– მიიხედ-მოიხედე! – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე. ჩვენგან მარჯვნივ, გამწვანებული პალმების ქვეშ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, ვიცანი.

ისვენებდნენ. გალაკტიონი თუთუნს აბოლებდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მგოსნები აუჩქარებლად საუბრობდნენ. ხანდახან თვალს ჩემკენ აპარებდნენ. ეს მე მეგონა ასე.

– მკითხე, რაც გინდა! – ჯუჯამ ნება დამრთო, – დასაწყისისთვის შენი მუშაობა კმარა, მალე იმ ბიჭებს შეუერთდები, ხელი ზემოთ გაიშვირა, პალმის ჩრდილისკენ გავიხედე.

– ყური მიგდე, – მითხრა ჯუჯამ, – შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი. წაგიყვანდი მეორე ადგილზე, სადაც სახლებს აშენებენ... აშენებენ და ანგრევენ... ცოტას ჭამენ და ბევრს მუშაობენ. ყველას სახლებს უშენებენ, თვითონ უსახლკარონი არიან. სახლის ეზოშიც ვერ შედიან თუ ჩემი ნებართვა არ ექნათ.

– სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – ამბობს და უშნოდ იღრიჯება, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა სიკვდილი თქვენს ღმერთსაც მოკლავს.

– როგორ? – მიკვირს მე და ისევ პალმებისკენ ვიყურები.

– სიკვდილს უფლება აქვს მთელი სამყარო არარაობად აქციოს, მას შუძლია კაცობრიობა მოსპოს... მოსპოს და არ დატოვოს ძეხორციელი... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქნელი და თაყვანისმცემელი აღარ ეყოლება. სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან...

– სცდებით, ბატონო! – ჯუჯას თვალს ვუსწორებ, – ღმერთი ადამიანის შექმნილი არ არის, პირიქით, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ჯუჯა ისევ დაიღრიჯა.

– ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ღმერთი, – მეუბნება და ისტერიულად ხარხარებს, – შენ რომ მაგდენი იცოდე, ახლა იქ, იმ ხალხთან იქნები. – ხელი პალმებისკენ გაიშვირა.

მივიხედე. პოეტები ისევ დინჯად საუბრობდნენ.

– ეგენი ვინ არიან? – ვკითხე ჯუჯას გამოსაცდელად, – რა ხელობის ხალხია?

– არ ვიცი.

– იცი და მალავ, ალბათ, ჯერ საკმარისი ნდობა ვერ დავიმსახურე თქვენთან.

– მე კი არა, მაგათი ვინაობა ჩვენმა ღმერთმა ანუ სიკვდილმაც ვერ დაადგინა. ეგენი უსახელო მკვდრები არიან.

– რატომ არიან უსახელო მკვდრები, მათი სახელები მე... – კინაღამ წამომცდა ვიცი მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ ენა დამიბა.

– გაიმეორე ეგ წინადადება!

გავიმეორე. „მეს“ შემდეგ ენა ისევ დამება.

– სწორი ხარ, – მეუბნება, – შენ გინდა თქვა: მაგათი ვინაობა ყველასი ვიციო, მაგრამ ენა სწორედ ვინაობაზე გებმება. შენ მაბეზღარა ხარ. სხვაც ბევრი ჩამოვიდა შენნაირი, როცა ეს ტბა გაჩნდა და ეს ხალხი აქ მოვიდა, სიკვდილმა ვერაფერი გაიგო. მის მერე აღარ აინტერესებს მაგათი ვინაობის გაგება.

მაგ ხალხს თავისი სახელები იქ დაუტოვებიათ. სადაც ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი სხეულის გარდა არაფერი ჩამოუტანიათ. ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაუტოვებიათ. მაგათი სხეულიც აღარაფრად ვარგა. ნატანჯი, ნაგვემი, ნაწამები სხეული და დაღლილი ტვინები აქვთ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს. ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებს. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ, ვერ მივა. შენ კი, ასე პატარა ბავშვს, პალმის ჩრდილში ჯდომა მოგიწევს.

– სამოთხე ყოფილა! – ვამბობ ჩემთვის.

ჯუჯამ წამოიწია, წასასვლელად მოემზადა.

– სამოთხე აქ არ არსებობს, არც ჯოჯოხეთი, – როგორც ხედავ ისინი, ვინც თავის სახელს ზემოთ, მიწაზე დატოვებენ, ამ ტბასთან დასხდებიან, ვისაც სახელი ჩამოჰყვება, ყველა შენ დღეში ვარდება.

– უკუღმა რატომ მათოხნინებ, კაცი არა ხარ? – ვეკითხები.

– არა ვარ. მე კაცზე დიდი ვარ და კაცზე პატარა... ასე უფრო ეფექტურია თოხნა, ჩვენმა უფალმა ასე გვიბრძანა.

ვის უნახავს ამნაირი თოხნის ეფექტიანობა?

აშკარად მატყუებდა... ზეზე შეშლილივით წამოვვარდი. მივწვდი, მუშტები დავუშინე.

ყელში ვეცი, ჯუჯას გახრჩობა მოვიწადინე.

სამაგიერო სილა მივიღე...

ეს ჯუჯა კი არა ანიელი იყო. კიდევ გამარტყა. როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მთელი ხმით ვიღრიალე, ანიელს გულში ჩავეკარი. ავტირდი, ცრემლი ნიაღვარივით ჩამომდიოდა.

ჩემი თავი ისევ საიქიოში მეგონა.

ანიელს სიზმარი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. არაფერი მითხრა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

ინათა. მთები გამოჩნდნენ. ნისლებში ჭიუხი აილანდა. არაგვის ჭალაზე სიცოცხლემ იფეთქა. დაბურული ტყიდან ცვრიან ბალახზე სიცოცხლით სავსე შვლის ნუკრი გამოკუნტრუშდა...

ანიელს დილის ძილით ჩასძინებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. თოფი მოვპარე... შველს გავხედე. ისევ კუნტრუშობდა. თოფიდან ვაზნები ამოვიღე, მერე თვალები დავხუჭე და ვაზნები გარეთ გავყარე. არასოდეს ისე არ შემშინებია, როგორც ახლა, ამ წუთში...

– მე თოფის გასროლის შემეშინდა...

ალეკო დოლბაია,

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის
საგამომცემლო-პოლიგრაფიული სამსახურის ხელმძღვანელი
თბილისი, 3 სექტემბერი, 2021 წელი.

ნუგზარ ნადარაია

ძალიან მტკივნეულია უახლოესი ადამიანის დაკარგვა, უფრო სწორად, განშორება მასთან. რთულია, როცა ფიქრობ, რომ ამა სოფლად ვერ შეხვდები მას, ვერ გაესაუბრები ცხადად.

ნუგზარ ნადარაია – მე-20 საუკუნეში უფლისგან მოვლენილი კაცი, რომელმაც დაჯაბნა ეპოქა, გადასცდა წლებს, გაასწრო დროის დინებას.

1 სექტემბერს 1 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან.

1 სექტემბერი – ნუგზარ ნადარაიას სხვა განზომილებაში გადასვლის დღეა, ზეციურ სამშობლოში მისი სამარადჟამოდ დამკვიდრების დღე.

1 სექტემბერს ის შეუერთდა იმ ქართველ მამულიშვილებს, დაწყებული უხსოვარი ეპოქიდან დღემდე, ვისაც მუდამ ქომაგობდა, ვისი სახელითაც იღწვოდა და ბობოქ-რობდა.

დიდ ფიზიკოსს ერნესტ რეზერფორდს უთქვამს: მე თვითონ ვიწვევ ფიზიკაში ზვირთებს და შემდეგ ამ ზვირთებს თავად ვექცევიო თავზე.

ასევე, ბატონი ნუგზარი საზოგადოებაში, ყველა საქმეში, თავად ქმნიდა იდეებს (ზვირთებს) და ამ იდეების განხორციელების თავკაციც თვითონ იყო.

გასული საუკუნის 70-90-იან წლებში და შემდგომ გარდაცვალებამდე:

ხობში – ნოჯიხევის მონასტრის აღდგენა-რესტავრაცია, მისი გადახურვა სპილენძის საფარით (კომუნისტურ ეპოქაში!!!);

ხობში – ცენტრალური მოედნის, პარკის, კულტურის სახლის, ბავშვთა გასართობი და ხობელების დასასვენებელი ადგილების მშენებლობა და კეთილმოწყობა;

ხობში – თეატრონის იდეა და მისი განხორციელება;

ხობში – სპორტული კომპლექსის მშენებლობა და ამოქმედება;

ხობში – უმაღლესი სტანდარტის საცურაო აუზის მშენებლობა-ამოქმედება, სადაც ვარჯიშობდნენ მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ სალნიკოვი და სხვა ცნობილი სპორტსმენები;

ხობში – ჯანდაცვის ობიექტების (საავადმყოფო, სამშობიარო...) რესტავრაცია, მშენებლობა და უახლესი ტექნიკით აღჭურვა, რითაც ეს დაწესებულებები დასავლეთ სა-

ქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილს იკავებდა პაციენტების მომსახურების ხარისხით;

ხობში – იმ პერიოდში ხობის რაიონი ყველა მიმართულებით ლიდერობდა თავისი შედეგებით;

აჭარაში – ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაცია;

აჭარაში – სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელება;

აჭარაში – კულტურისა და სპორტის ობიექტების აღდგენა-რესტავრაცია და უმაღლესი შედეგების მიღწევა თეატრის, ოპერის, ხელოვნების სხვადასხვა დარგებსა და სპორტში;

ფოთში – საქალაქო ტელევიზიის შენობის რესტავრაცია და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, დიდი ყურადღება საქალაქო გაზეთის საგამომცემლო საქმისადმი;

ფოთში – სამეგრელოს მოედნის აღდგენა-რესტავრაცია, საქართველოს ეროვნული გმირის, წმინდანის ცოტნე დადიანის ძეგლის იდეა და მისი განხორციელება (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია);

ფოთში – დიდი ყურადღება სპორტის, კულტურისა და ხელოვნების დარგებს (ფეხბურთი, კრივი, სანიჩბოსნო სპორტი, მხატვრობა, თეატრი, მუსიკა...);

ფოთში – დიდი დახმარება სკოლებს, მასწავლებლებს;

ფოთში – ქალაქის საერთაშორისო ავტორიტეტზე ზრუნვა, იდეა: ფოთი-ფაზისი თავისი ისტორიით უთუოდ მიიპყრობს მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას, როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქი (კოლხეთი, ფაზისი, არგონავტები...);

ფოთში – უდიდესი წვლილი ფოთისა და ხობის ეპარქიის ჩამოყალიბებაში და მუდმივ თანადგომაში;

ფოთში – უდიდესი წვლილი ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ფუნქციონირების აღდგენაში;

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ჯერ ვიცე-პრეზიდენტის, ხოლო შემდგომ (გარდაცვალებამდე) პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას უამრავ საერო-სამეცნიერო-საეკლესიო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და თავკაცობა;

უდიდესი წვლილი წმინდა გიორგი ჭყონდიდელის და წმინდა ცოტნე აღმსარებლის (ცოტნე დადიანი) წმინდანად შერაცხვის საქმეში;

მისი ინიციატივით საპატრიარქოს ხატმწერთა მიერ დაწერილია წმინდანების უამრავი ხატი, რომელთაც თავისი ხელით დააბრძანებდა საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერში;

უდიდესი წვლილი საქართველოს მხარეებს შორის გამართულ ერთობლივ ღონისძიებებში (მეგობრობის გადაძახილი);

დიდი დახმარება და თანადგომა ხელოვნების თითქმის ყველა დარგის გამოჩენილ მოღვაწეს...

ბატონი ნუგზარის თავკაცობით და მის მიერ გაკეთებულ ყველა საქმეს ვერ ჩამოთვლი, არც მეხსიერება გეყოფა კაცს და არც დრო...

ბატონო ნუგზარ, ბოდიში, რომ ცოტა მოგვიანებით ვწერ ამ წერილს, მაგრამ ამ დღეებში თქვენზე ფიქრს მოვანდომე დრო, სახელდახელო წერილი არ მინდოდა გამოსულიყო, გულს ველოდი, რათა გულიდან წამოსულიყო სიტყვები.

გალაკტიონის სიტყვებით ვამთავრებ წერილს:

„მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არის,
შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს -
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.“

მარინა ღონღაძე

ცა და მამაჩემის თვალები

– მამაა! – შევეხმიანე სახლს მიახლოვებულმა. ის, ჩვეულებისამებრ, ჯერ მოწესრიგდა, თეთრი, ქათქათა პერანგი შემოიცვა და კარებში ისე შემომეგება.

– სად დაიკარგეთ, შვილო, რომ აღარ გამოჩნდით.

შევფიქრიანდი…

მამას საყვედური არ სჩვეოდა. მორიდებულად თვალებში ჩავაცქერდი, შეწყლიანებულ, დიდრონ, ცისფერ თვალებს ნაღველი ჩასდგომოდა, დიდი ხნით მარტო ცხოვრებას თავისი დაღი დაემჩნია.

– მამა, ცოტა დრო მაქვს, მოდი, რამეს წაგეხმარები, დღესვე უკან ვბრუნდები და ისევ მალე ჩამოვალ, – ახლა ამ სიტყვებმა სულ ააფორიაქა მოხუცი.

– არაფერი არ მინდა, შვილო, ოღონც დაჯექი და დამელაპარაკე, ადამიანური საუბარი მენატრება მხოლოდ.

დატრიალდა, მაგიდის გაშლას შეუდგა, დიდი ხანია დედის როლის შეთავსებაც უწევს, მამაცაა, ჩემი ყველა აზრის გამზიარებელიც და საუკეთესო მეგობარიც… თევზი ნიგოზში და სუნელებში ჩაწყობილი, პური თავისი ხელით გამომცხვარი, მრგვალი, ფუმფულა,ზედ ჯვარის გამოსახულებით, ყველი, მწნილი, ღორის ხორცი თონეში საგანგებოდ შებოლილი… ორ წუთში მაგიდა გააწყო, თეთრი მინის ჭურჭლით ღვინო მოარბენინა და გვერდით მიმიჯინა.

– შვილო, არ იჩქარო, ძალიან მენატრებოდით – ორი პატარა სასმისი შეავსო, თავისი მაღლა ასწია სინათლეზე – გახედე! რა ლამაზი ფერია ეს დალოცვილი, ეს წამალია შვილო, დამიჯერე, დალიე, თუ რამე გაწუხებს წამლად შეგერგება, – მერე ფანჯარა გამოაღო, გამახედა, ფანჯრიდან ჯვარი მოჩანდა, ფეხზე წამომდგარმა პირჯვარი გადააისახა და უფალს მადლობა შესწირა შვილის ჩახუტების ბედნიერი დღისთვის.

პირველად ჩვენი ტკბილი მამა-შვილობის სადღეგრძელო შევსვით.

უცნაურად იქცეოდა მამაჩემი. მუდამ ძლიერი და გაუტეხელი კაცის ბავშვივით გულაჩუყებამ გული მომიწურა. მივხვდი, რომ უჭირდა. წასვლა გადავიფიქრე. გაუხარდა.

– დარჩი, შვილო, ყოველთვის აქ კი არ დაგხვდები, – მითხრა რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ. თვალზე ცრემლი შევნიშნე, ამან სულ გადამრია, არ შევიმჩნიე.

– სად მიდიხარ, მამა? – გახუმრება ვცადე, მიხვდა, რომ გულზე ისარივით მომხვდა მისი სიტყვები.
– მივდივარ, მამა. აბა, სულ აქ ხომ არ ვიქნები. მაგრამ იცი რატომ მივდივარ?– იმიტომ, რომ ვეცადო, იქ თქვენი ფეხი არ ვნახო მოდგმული ას წელიწადს.

გადავიხარხარეთ.

– ასე რა, შე კაცო, რა გულს მიხეთქავ?

შუაღამემდე ვსაუბრობდით, მამას დაძინებაც აღარ უნდოდა. ისეთი რწმენა მქონდა მშობლის სიტყვისა, მაშინვე მთელი გულით ვირწმუნე , რომ მამაჩემი თუ წავიდოდა იქ, იმქვეყნადაც, ყოვლისშემძლე იქნებოდა, როგორც აქ, ამქვეყნად.

„გონიერი ადამიანები სიცოცხლეში მეტწილად იმისთვის იღვწვიან, რათა იცოცხლონ სიკვდილის შემდეგ“– წერს ის თავის მეორე კრებულში „ანდაზები, აფორიზმები და აზრები“.

ასეც იცხოვრა.

სიცოცხლის მანძილზე მუდამ ფრონტის წინა ხაზზე მდგომი საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც ღირსეულ პიროვნებად დარჩა.

დამშვიდობებისას მამა უკვე მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდა, დანუგეშებული. ასეა – შვილის ერთ თბილ, დამაიმედებელ სიტყვას ბევრჯერ მშობლის სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლია.

წამოსვლის წინ მის კაბინეტს მოვავლე თვალი. როგორც ყოველთვის, იქ სრული წესრიგი სუფევდა – საკუთარი წიგნები, ვეფხისტყაოსანი, განსაკუთრებული მნიშვნელობის ლიტერატურა, მეორე მსოფლიო ომში მიღებული მედლები, სხვადასხვა დროს მიღებული ორდენები, კედლის თვალსაჩინო ადგილზე შოთა რუსთაველის ფოტო, ახლობლების ფოტოები, საგვარეულო რუქა თავისი ხელით შედგენილი... კედლის მეორე მხარეს საკიდებზე ფაქიზად ასხმული სხვადასხვა ფერის კოსტიუმები, ღია ფერის პერანგებით და შესაფერისი ჰალსტუხებით, ტყავის შავი ფერის ლაბადა..საზაფხულო ქუდები...

მაგიდაზე თეთრ ქაღალდს დავაცქერდი, ლექსი შევნიშნე, გამიკვირდა, იგი მხოლოდ მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს წერდა... ბრძნულ აზრებსა და გამონათქვამებს, საგაზეთო წერილებს.. მრავალსტროფიანი ლექსის ამ სტროფმა ისევ ისარივით გამიარა გულში:

„უსაზღვრო არის კაცის ოცნება,
უსაზღვრო არის გზა და ფიქრები,
გადმოიქროლებს შავი ღრუბლები...
და...
ხომ არ გგონია... სულ აქ ვიქნები?!“

***

ექიმის განმარტებით მამა ოპერაციას ვეღარ გადაიტანდა.

– რას იზამთ, შვილებო, ოდესღაც ყველაფერი მთავრდება,– ვაჟკაცურად შეხვდა განაჩენს. წინა საღამოს ჩემი ძმა თავისი ხელით აგებულ საზაფხულო ფანჩატურში იხმო და ოჯახი გადაულოცა.

2006 წელი, ხუთი აგვისტო.

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იდგა. საწოლი ეზოში, მსხლის ხის ჩრდილის ქვეშ, მოისურვა. ტკივილებისგან იტანჯებოდა, ხანდახან მაღლა ცას ახედავდა, იმ დღეს განსაკუთრებულად მეტყველს, ლაჟვარდოვანს. ხან უფალს, ხან დედის სულს უხმობდა დასახმარებლად. მრავალჭირგადატანილი ადამიანიდან პირველად მესმოდა – ,,ვაი დედა“. სიმბოლურია, ადამიანი დედისგან იშვება ამქვეყნად და იმქვეყნად წასასვლელიც დედას მოუხმობს.

ლამაზი ცისფერი თვალები ცისთვის მიებჯინა, ცის ფერი და მამას თვალების ფერი იმდენად ერწყმოდნენ ერთმანეთს, თითქოს ცა მთლიანად თვალებში ჩატეოდა. ბოლოს მთელი მონდომებით მიაშტერდა და ასე დარჩნენ ერთფერად შერწყმულ შეერთებულნი – ცა... და მამაჩემის თვალები.

ჩემს ძმას დიდხანს ედო მამას გულზე ხელი... არ უნდოდა მისი ფეთქვა შემწყდარიყო..

„მართლაც რომ სასწაულია ადამიანის სიცოცხლე. მოვა უცოდველი, გაივლის და წავა ცოდვილი.. უსასრულობაში ჩაიფერფლება. რჩება თვალით უნახავი სული და სიყვარული მოგონებებით სავსე ცარიელი ადგილის. ნეტარება მას, ვინც ბოლომდე მოასწრო ამქვეყნიური სიყვარული“, – წერდა თავის ჩანაწერებში და...

სიტყვა-სიტყვით, გრძნობის-გრძნობით გეთანხმები, მამა!

ამ ქვეყნად სიყვარულია.. სიყვარულია მხოლოდ მოსასწრები... ამქვეყნიური სიყვარული.

06 აგვისტო. 2021წ.

დავით არახამია

მოსარჩენი იარების ნაფეხურზე

ცისკრით დასერილ ცაზე შევცქერი ცრემლ დადენილ ღრუბელს. ქარის თეთრი ტოტი მირიად ცნობისმოყვარეს ტანზე მახვევს მწუხრის ყვავილით შემოღობილ სამყაროს მზერას, ძველი ტკივილებით. ეპოქის ბინდში სევდა ადნება ლაჟვარდებში მქროლ ოცნების კვირტებს, სახეზე ცრემლ გაფერმკრთალებულს.

დაღმავალ აჩრდილების გზაზე დამდგარი ვითვლი არეულ ნაბიჯებს. მწვავს სინანული და სათნოება, საით მიილტვის ეს ეტლი სულში ხსოვნის ბილიკებს ცრემლის ნიაღვრით რომ რეცხავს, რა ხმაა ნისლი შრიალებს თუ ნამად დნება ღრუბელი? პირზე მადევს დუმილის კლიტე, შეშლილივით ვუცქერ ღვთაებრივ სულის უდაბურ მხარეს. გარშემო ყვავის შიშის ტევრი, ზუზუნებს ბეჩავი წყვდიადის სარკე.

დროთა მინდვრებზე ზარი მიმწყდარა დღევანდელ ღმერთთა, შფოთის ამტეხი მსხვრევის ხმა ისმის, შერისხვა ელის სიავის მზრახველს. მათ გულის ბოღმას რა გაუქარვებთ მეხი რომ უგრგვინავთ თავზე და არ აკრთობთ ქექა-ქუხილი. სულ სხვა გზით მიდის ახლა სამყარო, ვერა რა შეცვლის შფოთიან ამ დღეთა სრბოლას, სახეზე ვარდისფერ დადებული ტკივილით რომ ყვირის.

ტკივილთან ვრჩები, ბობოქრობს ქარი, ჩინარის კენწეროდან მოფრინავს სევდის თეთრი ფიორი, ზეცაში კენტად გადასული სულის. მიწას ვეყრდნობი განსაკურნებელ ტკივილის გამო. ვწერ ბარათს, მოსარჩენი იარების ნაფეხურზე ტირის გუგაზე ფრთაგაშლილ ნამის ღილის გაღიმება.

გამოვდივარ ფიქრის საკნიდან მსჯავრ მოხდილი და ნაწამები. ნაცრისფერ ქუდ დაფარებული ცა გონის შამბნარიდან ფიქრის ქარით ეფერება ფეხშიშველ სევდის კონას. სულის ფუღუროს სინათლით ავსებს სამრეკლოს დათოვლილი სანთლის ნათელი. მუხის ჩრდილი კი თვალს არიდებს ბინდ დანაცრულ გრძნობის მიზანს.

ისმის მსხვრევის ხმა, დროთა მინდვრებზე ზარი შემწყდარა დღევანდელ ღმერთთა. სულ სხვა გზით მიდის ახლა სამყარო, ვერა რა შეცვლის შფოთიან დღეთა სრბოლას. მიწას უბრუნდება მიწის შობილი, ციური სული რჩება ზეცაში კენტად გადასული სახეზე ვარდისფერ დადებულ ტკივილით რომ ყვირის.

ბერწ წუთისოფლის კარს მიჯაქვული ყეფს მარტოობა, გულზე ვინაყავ მდუმარე სიტყვას. აღარ მივსტირი მგლოვიარე დღეების პროცესიებს, ვფიქრობ ცრემლებზე, მწვანე თვალებით უხმოდ მზირალი ღაწვზე რომ ბრწყინავს.

1

ინამე ღმერთი

შეჩერებული ჟამის მდინარე სევდის მზით მონისლული დაწრიტა გახელებულმა ბედისწერამ. მოირწევა გზაარეული დარდის ცრემლდადენილი ღრუბელი. ჩინარის ტახტზე მწუხრი ბიბინებს, შეკრული რისხვის მუშტად. საწუთროს ცეცხლზე განმარტოებით მდგარი სხვა დროის სტუმარი, უხ-

მოდ შევყურებ ჩემს დაღლილ სილუეტს ცრემლ მოკიაფეს თვალებზე. დუმილის ჟანგი ადევს ხსოვნის ჩრდილებში ცრემ-ლმოღვარღვარე ნატვრას, წუხს სულის მინაზე ნაღვენთი სევდა, ფიქრშენახები.

დარი უდგას ვარამს, ქარის ზუზუნში სევდად და ცრემლად იღვრება ცის ნათე-ლი. დარდს მოასვენებს სევდის ლურჯი ხავსი, ხსოვნაში მიმწვარი, სიბრალულის კენჭ შერხეული. გულის კარს ჩაუფრინა დროის წისქვილზე დაფქვილმა წლებმა. ყეფს სიმარტოვე ფრთებ ასხეპილი, ბედზე გამწყრალი. თვალცრემლიანი გავცქერი შარას, გრგვინავს ფიქრის უჩინარი მოდგმა.

ცამ ღამე მოისხა, დუმილით ვუმზერ ამაოებას, სულში ნაღველი წივის. საით მი-ფრინავს დვრიტა ნაგვალვი ჭვრეტის? ვკითხე წყვდიადიდან ცის უბეში ნაჩეკ ვარსკვლავს. ვედრება შერეულ ბრძანების ხმაში ყაყანებს ცხოვრება უკაცრიელი, სხივი არ უჩანს ცხად-სიზმარზე გამავალ გზას. მაჯას მისინჯავს დარდი რისხვით ნე-ტარი, მაცდურია ცაზე მზე ყოფნა არ ყოფ-ნის. ფიქრის ველზე სევდაა ჩემი ნადავლი, ქარს მოაქვს სევდის დაუჩრდილავი სიხა-რული. წვეთავს ნაღველი დამფრთხალი ბედის, ჯიუტად მიბღვერს ბოღმით ნაკვნე-ტი აღვირი. ბედისწერის სმენას აყრუებს საწვეთელი, გამოცრილ ქირქილის.

ნავარდობს ქარების სუსხი, არ მთავრ-დება ჯვარცმა ხორცის და წამება სულის. მივკვალავ ჰორიზონტს, ჩემი არსების დი-ლის ცვარად მადლ ნაპკურ ნაფეხურებს აშრობს ქარი, მე კი ჯიუტად ვთხზავ მაზან-და ნამატ მოტკარცალე სტრიქონებს. არ უფრთხის სული ყოფის ხრიოკებს. ცისკ-რის ციმციმს ვპარავ წუთებს. განრისხდა ღამე, დუმს უკუნი. ჯერ გაურკვეველ სურვი-ლის ჩრდილში განცდის ქარავანს ცისკენ მივყავარ, ლაჟვარდებში სამოგზაუროდ. ააკამკამა მთვარემ ლაჟვარდი, მღიმარი ფიქრი ლაჟვარდებს ფარავს, შორია მან-ძილი სანთლიდან უკვდავებამდე.

გაკვესა წყურვილმა სხვა ბედის, ვჭვრი-ტე ლაჟვარდი, მზეს გავაყოლე საამო მზერა. ფრთები მიიწევს მაღლა, სხივის ნათელით მივიკვლევ გზას, შორს... შორს... უხილავ და მუნჯ დარბაზებში. მომავლის ძებნაში ვრჩები უკაცრიელ ნაპირზე. ჭრე-ლია საწუთრო, აყვავებული ცაცხვების ჩრდილში ცეცხლს აჩაღებს სევდის კონა. გრძნობის ვაგონებს ადევნებული განცდის რელსებზე ვიშორებ ცოდვებს. მარტოხელა ქარის კივილში თავმიდებული მიწის სას-თუმალს, მომშტერებია ავთვალი. დამი-ფრთხა ბეჩავი განცდის ჟამი, სიცოცხლის ფარდულში შეფარებული. გარდაუვალ მოუსავლის ლიბრზე საუბარში გავერთე საკუთარ თავთან, მივსტირი სულის ფუღუ-როში დახავსებულ ჟამს.

გრგვინავს ქარი, სევდა შემოაქვს დაი-რით ქარებს, ჟამის კედლებს მიყურადე-ბულს ჩურჩული მესმის სამრეკლოების. გუ-ლის ფეთქვა სულის სარკმელზე მიკაკუ-ნებს, ფრთხილად და უხმოდ. ნანად ჩამეს-მის ხმაური, თეთრ უდაბნოდან ჩქერი იღვ-რება, გაკვესა წყურვილმა სხვა ბედის. ვჭვრიტე ლაჟვარდი, მზეს გავაყოლე საა-მო მზერა. უხმაურო წამის ყაყანში სტრი-ქონებს ვებრძვი. დიდი სიცოცხლის უჩი-ნარ მარადისობის უბეში, ჟამის ეტლით ჩემს ვარსკვლავს მივსდევ. ნუ დამაყოვნებ სხივო ციერო, სულს მწარე ეკლით ნუ დამიკაწრავ, იმ ცის სინაზეს ნისლით ნუ ამითრთოლებ, შენი ჭირიმე, შენი კვნე-სამე, იწამე ღმერთი.

2

მეცხოვნედ დგას მარადისობა

მწუხრით ჩავიდა მზე, დიდხანს ვუმზირე ღამით ვარსკვლავებს. ფიქრში გართული ისევ პირისპირ დავრჩი ნაცნობ სიმარტოვესთან. ღამის მდუმარების ყრუ უღრანებში არავინ არ ჩანს, ერთგვაროვანია ირგვლივ ყოველი. სიჩუმის იმპერიაში მოხეტიალეს საკუთარი თავი მენანება, უბედურს ვგავარ. შორს ვიხედები, ვერთვი ღამეს, ცა ამ სარკმელში ვერ ატანს. ცრემლის ბრჭყვიალა ღილით მაქვს შეკრული თვალები, ვნატრობ ცისკრის ციმციმს.

იმედის ძაფზე ჩამოკიდებულ ცრემლნაბან სურვილით ვემეგობრე ორპირ ქარს. მზვერავს ბედისწერა, ვერსად გავექეც დროის განაჩენს. აწმყომ შემომაწნა თავდაღმართის სილა, ცრემლებ მოსხმული გავეკიდე ცის ბილიკს. შორეთიდან მოქლიკავს ღრუბელი ცივი იდუმალებით, ცარიელ სივრცეში თალხ ზეწრის ქვეშ გათანგული. მკაცრი ჟამის პირისპირ მდგარი მიმზერს ტლანქად გაწოლილი სივრცე, მანგრევს და მანაფოტებს პროფილი ვნება გამქრალი ხსოვნის. ჩემი აჩრდილი წიოკის მანჭვა-გრეხვით დამძიმებული მიდის მოლოდინის ტყეებიდან, მიდის და მიემართება ჩავლილების მდუმარ ჯოგში. ყურს უსიამო ჩამესმის ხმა. მიწის კვამლის მრუმე კედლებთან ვუსმენ სუნთქვას, სუნთქვას ხმიერს... გარდასულ დროთა უჩინარ ცის თაღზე შავად მოფარფატე ჟამის აჩრდილი კვნესის და მოსთქვამს, ამოვსებულ სიცარიელით მოაქვთ ქარებს ლტოლვილი ოხვრა. არ უჩანს ბოლო მწუხრეულ მეუფებას, არ ჰგავს სიცხადეს ეს მოჩვენება, ირგვლივ ცოფიანი სიჩუმე დაძრწის.

წარბშეკრული ჩავაშტერდი სიცხადის მორევს. ვიგრძენ ქვეცნობიერს გამოკიდებული ჟამისგან წელში მოხრილი სილუეტი. ყრმობის მდინარეებთან უნუგეშოდ სულ მარტო დავრჩი... დუმილჩამდგარ, ცრემლგანათოში თვალებით მოვბაჯბაჯებ სიჭაბუკის დანაფოტებულ ქალებიდან აღსრულებული ტარიგ-ზვარაკად, მრწამსის მზის სხივ ქვეშ დაბინავებული.

ჯავრის ქარებს მოაქვს დარდის ღრუბელი, მოცოცავს ჭირხლი მწარე სურნელით. საძილედ მოქცეულ ჟამის სუსხიან ღამეს, უღრანის ჭუჭრუტანიდან დახავსებულ ფიქრის ძონძებით ოცდამეერთეს ბატონპატრონმა სადამდე ვსდიო ხმახრინწიანს, უიმთვალებოდ? დავფიქრდი ჩემთვის ქარების სევდა დატყვევებული. ფიქრის წვიმების დელგმაში ვსახლობ, სვეწერა ნაწამები ვუსმენ სიჩუმის ნაცნობ მონოლოგს. სამყაროს ყველა წვრილმანი მზერაში ჩატეული ფიქრში ვიხილე. ღამის როიალის ფრთების ყალბ შრიალში გრძელდება სასჯელი მოსაცრად მაცდურთა ავხარბი მზერის.

ვხედავ გრძელდება კოსმიურ უფსკრულების გლუვ ზედაპირზე ღრუბლის ტრაური. ჩინარის კენწეროზე საფრთხის სადავეს ვუმალავ თვალშეუდგამ დარდს, ვერ გამოსათქმელს ენით. სულს ვიდრე გავხიზნავ, ზღურბლი დასავლის ბინდს ეფარება. ვნებათა ღელვის აკრიახდა დუმილგამეტებული სევდის უჩინარი ფრინველი. ჩემს თავს რაც ხდება აღარ მადარდებს, სახვალიოდ გადამალულ სარჩოდ შერჩენილ ნატვრა მოლოდინს, ქარცოფის ნაძარცვი გზაგასავლელი რჩება ნაკლები... ცა-მყარს ნამზერი თმენის აღვირი, ვერ

გამოვგლიჯე კაცთა მიწის ნაგლეჯების დარდით და რიდით, მოურჩენელ ტკივილთა დასეტყვილ ლუკმას.

გაუფერულდა გარეშემოთა ქაოსიდან ამოწვერილი გზაარეულ ხვედრის ხვიარა, კვამლითა და ცეცხლით შეფერილ ტერასებს მოადგა მიმწუხრის დღე. პირველყოფილ სამოსელში ქარწვიმით დანაკუწებული ობოლი სხივი ბნელში განიბნა, ვერ გავდივარ ამ სიბნელიდან. ნამალევად დავიწროებულ თვალსაწიერის გუგაზე გროვდება ციმციმა ცვარი, ავცქერი ნისლგადაცლილ ცას. იდუმალ ბინდბუნდის ღვთიურ ალის კაშკაშით ანთებულ ცაზე ანათებს უზენაესი მშვენიერებით უცხო ნუგეში, ჯერაც ვერ შეხიზნული ჩემს მზიან ზეცას. ლიბრ გადაკრული თვალით მეგზურ პლანეტის ქერქზე ფრთა დავაძრე ფიქრის ფრთამალ ქარებს, ბაკუნით მომსდევს ბედისწერა საბელშებმული. შორს ვიხედები, ვერთვი ღამეს, ცა ამ სარკმელში ვერ ატანს, გაბნეულია მზერის ანაბეჭდები... ცნობიერში ცივლოდქვეშ მყუდროვდება სახედველ ახელილი ძვალხორცი, მეციხოვნედ დგას მარადისობა.

3
ცხელი ფიქრებით

დღეებ მოცელილი, გზას დავადექ. მთაბარის მკერდი ღამის ჩადრით იფარება. ყურს ვუგდებ ღვთიურ ბაყაყის უხმო ყიყინს, არ მაკრთობს ქარის მძაფრი ქროლვა. აქ ყველაფერი ნაცნობია, თან უცნაური. ნეტავ ფიქრები ყოველ წუთს სად მიმაქანებს? ავსებული ვარ ვარამით და მარტოობის პირუთვნელობად. გაკვესა თვალების ელვამ, თვალს ვუბრმავდები. თავმომწონედ ნიღაბახდილი ფიქრი მაღიმებს, აღტაცების მწუხარებას წავუღიღინე, დაუმდურვებლად. ასე რად ხდება ნეტავ? ვერ ვხვდები.

ფიქრს ფიქრი მოება, კოსმიურ კუნძულების ქარში ცის თაღ ნატკეპნი ბოლთას ცემს დარდი. სივრცის გალიაში ჰანგს აკვნესებს დროის ჟღარუნა. საკუთარ ციხის ნანგრევზე ხავსიან გზების მზირველს გაველურება მომინდა წამით, ვიხეტიალო ხევხევ და მთა მთა დიდების აჩრდილად ქცეულ არარაობის გლობუსიდან გაძევებულ სინამდვილის შურისძიებით. აწმყო წარსულის ნამათრახევი მომყვება სინანული, თავზე დამყურებს საწიერის ტყის სურნელში დაღლილობის ფეხზე მდგარი უღიმილო ღამის ღიმილი. სულზე გადავლილ წლების გადაღმა მონაბერი ქარის ქროლვას, წმინდანი ჟამი დაუნდობლად ახშობს. ბაგეებში დაგუბებული დედიშობილა სიტყვა ფერად ზმანების ჟანგისფერ დადებული ბორკილების უსახურობით, უცვლელ-შეუცვლელ სქესზე ქირქილ მანიშნებელი გაოცება მზაფრავს. სვედქმნილ სატკივარს ესალბუნა, ჭრილობის კოცონზე მზისფერი სიტყვის ფერფლად ქცევის მალამოს მადლის აღტაცება და მაინც რატომღაც მესამოთხება ირგვლივ ყოველი.

მოლანდებულ ცრუ სილამაზით, მოუსავლეთში წყება-წყება გადაშვებული, გულღორღიან ჯოგის კვალზე ვეყრდნობი ღვთიურ სივრცეს, ცრემლის ღვარით გადარეცხილ ჟამის აყალყულ კუნჭულში. სიძულვილის უღვთო აჩრდილთა გულწრფელობის წილ სხვის ცას, ზიზღით მაცქერალმა, ცრუ მზრუნველობის კოცონთან რა არ წამართვა, ამიჩეხ-გადამიბელა ვაზი და კაკალი, სადაც სიბრალულის კენჭიც არ შერხეულა. მიმწუხრის ვარსკვლავის მჭვრეტელმა დაკაწრულ სულის მალამოდ ნადები ვერ ვპოვე სიცოცხლის სამანი.

ფიქრის ცა თაღმოჟამულ მოლოდინით გრაგნავს ბებერ სიჩუმეში შუბლის ღარებს, ფიქრის საპატიმროში დარდის მზიდველის ჩამქრალი სევდა სტრიქონში გადარგულმა ცრემლმა ამწაპნა. სიცარიელის ყულაბაში თავგანწირვის სანაცვლოდ სურვილი დავნაცრე, სასოწარკვეთის ექოთი გაქვარტლულ სხეულიდან სულის გამოსვენება, არ ექვემდებარება ცხელი ფიქრებით ამომწვარ სიტყვების, ცრემლით რესტავრაციას.

ყოფიერების ნაფეხურზე ჩუმი სევდის საიდუმლოს აწონ-დაწონვამ, ხილულ-უხილავის დახარისხებით ურწმუნოების მზე შემიბღალა. ცივ უფსკრულებზე ჟამით გადახერხილ სივრცეში სხვა ზანზალაკის წკარუნმა ცისარტყელით გადამიმშვილდა უცხო ზარის მადლმოუშუშებელ ხმაურის განუმეორებლობა, პირველყოფილი. მოწყალედ შემიფარა ხმების ბოგინში უსაფიქრლოდ დარჩენილ ქმედების ყულაბამ, გამქრალ ღიმილის ოღრო-ჩოღროს წყვდიადში. რწმენის მღრღნელ ნაწრიალებ ღამის სტუმარი, გულწრფელ ღაღადთან შერკინების ბელტის სურნელის გამო ვდარაჯობ სიხარულს. გახრიოკებულ სულში ვერ დავმალე უსულგულოთა ფრთებაწურვილ აღტაცებით გამოხატული ბედნიერების მოსაწყენი მოვალეობა. გამოღვიძების გარიჟრაჟზე თვალთმაქცობით გაყლორტილ მზაკვრობის ნერგის ჩეროში ჰაიჰარად ანათებს ყოფის ლამპარი. მოლოდინის სურაში ჩამშრალი ნაპერწკლის სხივით ყურთასმენას ახშობს ხმაურის ცენზორი. პირში ჩალაგამოვლებულ მედროვეთა წიოკში, გულზე მახვილ დასობილის ახალ გაკვირტულ სისხლის საშოდან შობილ პლანეტის მგზავრს, ტკივილით სავსე ფიქრების საროშად დამცდა წუთები. წამით შევყოვნდი, გავყურებ არეს. აღმაფრენის ულურჯეს სურნელით ვყნოსავ მდუმარე მანძილს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. რომ შევძლო ფერთა ქაოსში წვდომა, მაღლით ვარსკვლავთა და დაბლა მიწის.

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა

ორიათას ათ წელს დაარსდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. მოგზაურის სიცოცხლეში. აკადემიაში გამოდის სამეცნიერო შემეცნებითი ჟურნალი ,,ათინათი" და წელიწადში ერთხელ ანთოლოგიის ტომი. მას შემდეგ თერთმრტი წელი გავიდა. გამოსულია ორმოცი ნომერი სამას გვერდიანი „ ჟურნალი "და ათი ექვსას გვერდიანი ანთოლოგის ტომი. ფიცი, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას საფლავზე დადებული, რომ არ უნდა მოვდუნებულიყავით, თაობები უნდა შეგვეკრიბა და სიკეთის, სიყვარულის, ერის კეთილდღეობაზე გვეზრუნა გრძელდება. გარდაიცვალა, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ოცდასამ ივლისს ოთხმოცდა ერთი წლის გახდებოდა. ჩვენთვის ბატონი ჯუმბერი ცოცხლად დარჩა. იგი განისვენებს დიდუბის პანთეონში. დიდი მადლობა ამ დიდი ეროვნული ინიციტივისათვის ბატონ დავით ნარმანიას. მისი მერობის დროს მოხდა ჯუმბერ ლწჟავას გარდაცვალება და მას ეროვნული წვლილი მიუძღვის, რომ იგი დამსახურებულად დაკრძალეს, დიდუბის პანთეონში. დიდი მადლიბა, გეპეის ადმინისტრაციას, მოგზაურის საფლავის გაკეთებისათვის. მე, როგორც მისი სახელობის აკადემიის ხელმძღვანელს, ისღა დამრჩენია, კვლავ ლექსით შევეხმიანო მის უკვდავ სულს:

ეს ლექსი მიუძღვენი, როდესაც ცხრა წლიანი მოგზაურიბის დროს რუთავში დაბრუნდა. იგი რუთავმა გააცილა და მოგზაურობაც რუსთავში დაასრულა. მოგზაურობა მიუძღვნა, აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისათვის შეწირულ გმირს, ჟიული შარტავას და გარდაცვლილ მეუღლეს, ქალბატონ ლიანა ალიბეგაშვილს: ლექსს რომელსაც ახლა გთავაზობთ, დაბეჭდილი იყო, ჟურნალ ,,მოგზაურში". ჟურნალი დააფინანსა, იმ დროუნდელი ნაყინი თოლიას დირექ-ტორმა, ბატონ დავით კიღურაძემ.

=========:·
მზე გაზაფხულს
შემოუძღვა დილით
და სიცოცხლე ააკვირტა ისევ,
თავის გამზრდელს
დაუბრუნდა შვილი,
მთებმა სული
შეუბერეს ნისლებს.
მან გაასწარო
ქარიშხლიან დრო ჟამს,
დედამიწას დაამჩნია კვალი,
გზად, მინდიად ჰქონდა
ქართვლის დროშა,
ვაჟკაცურად მოიხადა ვალი.
ო, ქვეყანავ,
ულეველო გმირთა,
ისე გტკივა,
ტკივლს არ ხმაურობ,
წარმატებას
კვლავ მოგძღვნი ტვირთად,
ცას წასულო, დიდო მოგზაურო.
თუ ბატონობს, აქ,
სატანის მოდგმა,
ვარსკვლავები,
განაგრძობენ ციმციმს,
ქარო, ისევ ჭორაობ და ბოდავ,
ცაში სული არა კვდება ვიცი!

ბათუმის ბოდიბილდერები
18 ივლისი, 23:03-ზე ·
1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების განგრენით.
1986-1987 წლეებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები.
1987-1990 წლეებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი.
1990-1992 წლეებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში.
1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით.
3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისადა აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას.
გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი.
შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური.
უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი - 9 წელიწადი და 3 თვე.
ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასმა მოეწყო:
1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.

3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა.
მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.
15 ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო 6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში.
1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ. გარდაიცვალა 2014 წელს.
დღეს გავიხსენებთ ამ ძლიერ პიროვნებას

ოცდასამი ივლისი ბატონი ჯუმბერის დაბადების დღეა.

ოცდასამ ივლისს დაიბადა, მსოფლიოში თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობით, გამორჩეული პიროვნება, დიდი მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლეჟავა. არ არსებობს ისეთი წელი, რაც ბატონი ჯუმბერი გარდაიცვალა, რომ მისი საფლავი ყვავილების გვურგვინით არ მოვრთოთ. ბატონი ჯუმბერის, სიცოცხლეში დავაარსე მისი სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადია. ამ აკადემიის დამფუძნებელი არის, თვითონ ბატონ ჯუმბერ ლეჟავა და პირადად მე. ახლა როცა მისი სული უფალთან არის, ეს, პასუხისმგებლობაცაა, რომ მის საფლავზე მივიდე და პატივი მივაგო, სიცოცხლეშივე უკვდავ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სულს. მინდა მადლობა გადაუხადო, ამაღლების ეკლესიის წინამძღოლს, საერო ცხოვრებაში დიდ მსახიობს, ოპერის მომღერალს, არაერთი წიგნების ავტორს, ახლა კი, მამაოს, მამა ამირანს, რომ მიუხედავად იმისა, ის, ძალზე დაკავებული იყო, მაინც მოვიდა და ბატონი ჯუმბერის საფლავი აკურთხა. მადლობა აკადემიის წევრებს: გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთავარ სპეციალისტს, პოეტ ქალბატონ ეთერი ჭელიძეს, პროფესორს, ქალბატონ სულიკო თავბერიძეს და მის მეუღლეს ბატონ იუზა რობაქიძეს. აკადემიის სწავლულ მდივანს, ბატონ მალხაზ ჩხიტუნიძეს, დიდუბის პანთეონის დირექტორს პოეტ ბადრი ქუთათელაძეს. აკდამიის წევრს, მეცნიერს, ქალბატონ ხათუნა ელიაშვილს. აი, ამ ჯგუფმა, მთელი დღე, ვიტრიალეთ მოგზაურის საფლავთან, მერე კი, ბატონი ბადრის სამუშაო ოთახში გადავნაცვლეთ და იქ, გავაგრძელეთ მოგონებები ბატონ ჯუმბერიზე. მაგიდაზე დაწყობილმა ჟურნალმა „ათინათმა“ და ანთოლოგიამ შემომანათა, რისთვისაც დიდი მადლობა პანთეონის დირექტორს, ბატონ ბადრის. მას საგანგებოდ ეწყო, აკადემიაში გამოშბებული ჟურნალები და ტომები. ბოლოს ვნახეთ ფილმი, რისთვისაც დიდი მადლობა, ყველა იმ ფილმის პროექტის ავტორს, უბრალოდ სახელებს ვერ ჩამოვთვლი ჩემთვის უცნობები იყვნენ და ეკრაზე უცებ გაელვებული, ჯგუფის, სახელბის დამახსოვრება, ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემთვის. ფილმის მსვლელობის დროს ტიროდა დარბაზი, რაც იმას ნუშნავს, რომ

დიდი შრომა იყო გაწეული. ჩემი აზრით ფილმი უნდა გაგრძელდეს, სერიალებით რადგან, ბატონი ჯუმბერი ამოუწირავი თემაა. გულნაზ ხარაიშვილი. აკადემიის პრეზიდენტი.

სულიკო თავბერიძე, მამა ამირან ამირანაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, ეთერ ჭელიძე, ბადრი ქუთათელაძე

რაც შეგვიძლია

თუ ფოთლებივით არ მოვწყდით,
თუ ტყვია არვინ გვესროლა...
გდიეთ და მაინც ვერ მოგწვდით,
გიძახდით შენ არ გესმოდა.
რაც შეგვიძლია ვაკეთებთ,
საფლავზეც ხშირად დავდივართ,
დრო კი ვერ გამოვაკეთეთ,
და ვერც მთვარეზე ავდივართ.
ვიცავთ შენს წმინდა ღირსებას,
რაც ყველა ქართველს ეკუთვნის,
თვალი ცრემლებით ივსება,
სახელს მზის სხივში შევფუთნით.

ო, მოგზაურო დიდი ხარ,
დიდია შენი სახელი,
მთავარეზე ხშირად მიდიხარ
სულ ერთხელ, თვალის გახელით.
აგერ მოვედით საფლავზე,
გიკურთხა, მიწა მამაომ,
არ მკითხო თბილის ქალაქზე,
ცხოვრება გახდა ამაო.
დღევანდელი დღე გიბოძეთ,
აგინთეთ წმინდა სანთლებიც,
სამშობლოსათვის ვიბრძოლებთ,
რომ, შენთან ვიყოთ მართლები!

გულნაზ ხარაიშვილი, იუზა რობაქიძე, მამა ამირან ამირანაშვილი, ეთერ ჭელიძე, სულიკო თავბერიძე და ბადრი ქუთათელაძე.

ჯუმბერ ლეჭავა გულის სიიდან არ ამოიშლება

ეკეკუნა ნიკარაძე-მაჭავარიანი

ეს ამბავი, ზოგს უკვე აღარც ახსოვს და შეიძლება არც გაუგია. არა და რა დაგიმალოთ, მართალია დიდი ხნის წინათ მოხდა, რასაც ეხლა მოგიყვებით, მაგრამ მზარავს, როცა ვიხსენებ. ზღვაზე წასვლა ყველას გვიყვარს, ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ზღვა ამშვენებს ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია, ბევრ ზღვის ნაპირზე, უფრო სწორედ ზღვის ნაპირას წყალში შევსულვარ.

ბედნიერება მქონდა მემოგზაურა წყნარი ოკეანის ზღვებში სამხრეთ ჩინეთის, იაპონიის, ხონგაის ყურეში ატლანტის ოკეანის ზღვებში: ხმელთა შუა ზღვაში, შავი ზღვის, მალტის, აზოვის. მარმარილოს ზღვა, ბოსფორის სრუტე

ინდოეთის ოკეანის ზღვებში: წითელი ზღვა, არაბეთის.

ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ზღვები: ნორვეგიის, გრელანდიის, აღმოსავლეთ ციმბირის.

მოგზაურობა გემით მდ. ვოლგაზე, მდინარე დუნაიზე.

ბაიკალის ტბით, ონეგის, ლადოგის ტბებზე, გუძინის ნაპირზე ნიაგარაზე და ა.შ.

ზღვაზე წასვლა ყველას გვიყვარს. ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ზღვა ალამაზებს. ზღვის ცისფერ წყალს, რომ ვუყურებდი სულ მიკვირდა, რატომ ჰქვია შავი ზღვა. და აი, ერთ დღესაც ცა გაშავდა წამოვიდა კოკისპირული წვიმა და უცებ ზღვის წყალი გაშავდა. რამდენიმე დღე შავ ზღვას ვუყურებდი და მაშინ მივხვდი ჩვენმა წინაპრებმა, რატომ დაარქვეს ეს სახელი.

პირადად მე ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია და ბევრ ზღვებსა თუ მდინარეებში, უფრო სწორედ ზღვის ნაპირს წყალში შევსულვარ, მაგრამ ამას დიდი ცურვა არ ჰქვია, მარტო ვჭყუმპალაობდი. ესეც იმიტომ, რომ 15 წლის, რომ ვიყავი მთელი ოჯახით ქობულეთში ვისვენებდით: დედა, დიდედაჩემი, ჩემი და დალი და დეიდაშვილი მედიკო. ვცხოვრობდით კარლო კალანდაძის ოჯახში. გვერდით სახლში კი ისვენებდნენ საკონცერტო გასტროლებზე ჩასული: სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი და გურამ საღარაძეები, ემანუელ აფხაიძე, ბიძაჩემი ლევანი, რომელიც მათ კონცერტებს მუსიკალურად აფორმებდა. ერთ დღესაც ნაპირიდან ცოტა ღრმად შევუცურე ზღვაში. მიხაროდა, რომ ასე გავთამამდი, უცებ ვიღაცამ დაიწყო ჩემი წყალში ჩათრევა შეშინებულს არ ვიცოდი რა მომემექმედა. ისე შემეშინდა, რომ გამომიყვანეს ზღვიდან. ბევრი წყალიც მქონდა ნაყლაპი. ძლივს მომასულიერეს არა და თურმე გურამ საღარაძემ „გაგეხუმრეო“. კარგი ხუმრობა კი იყო. დღეს როცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ეს შემთხვევა მე კარგად მახსოვს, იმიტომ, რომ

მის მერე ნაპირს ვეღარ ვცილდები აი, გურამს კი აღარც კი ახსოვდა, თუ მისი ხუმრობა „რა ძვირად“ დამიჯდა, ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევით, რომ უვერტიურასავითაა ის. რაც ეხლა უნდა მოგიყვეთ. ვინც კარგად იცოდა ცურვა და წყლისაც არ ეშინოდა ნაპირიდან 50 მეტრზე მეტის გაცურვის უფლება არ ჰქონდა, მას მესაზღვრეები აკონტროლებდნენ.

და აი, 1994 წელს ოქტომბრის თვე იდგა შავი ზღვა თავისი მშვიდი ტალღებით სიამოვნებას გვრიდა დამსვენებლებს. თუმცა დამსვენებლების რაოდენობამ ისე იკლო, რომ ზღვის პირას კანტა-კუნტად დაინახავდით. მათ დღის 1 საათი იქნებოდა სასტუმრო „მედეასთან“ თამრიკომ ჩემი მეგობრის ლალი კობახიძის ქალიშვილმა გადაწყვიტა ზღვაში წყლით გაეგრილებინა მზეზე გარუჯული ტანი, თამრიკოს ცურვით ბევრი იყო გაოცებული, რამდენჯერმე ზღვაში საზამთროც შეუტანია იქ გაუჭრია და ცურვის დროს კარგად მიურთმევია. საოცარია, ზღვა, საზამთრო და ასე ლაღი მოძრაობა წყალზე.

რამდენი საათი შეუძლია ზღვის წყლით სიამოვნება მიეღო. და აი, იმ დღესაც შეცურა ლამაზი ზღვის კოსტუმით. თევზივით მიცურავდა. კარგა მანძილი რომ გაიარა მიიხედ-მოიხედა და ზღვის ნაპირი არსად ჩანდა. არა და ზღვის წყალმა თითქოს შეიტყუა ღრმად იგი და თამრიკო მიხვდა,რომ მხარი ეცვალა. მას შეეძლო ზურგზე დაწოლილს თვაალი მიეხუჭა და ასე სვენებ, სვენებით კარგი მანძილი გაეცურა. ამჯერადაც ასე მოხდა საით გაეცურა აღარ იცოდა. დრო ძალიან სწრაფად გადიოდა, უკვე მოსაღამოვდა. თითქოს მზეს მისდევდა, მაგრამ ისე სწრაფად ჩაესვენა მზე, რომ ამ სიამოვნებით თითქოს თავბრუ დახვეული ჯადოქარივით, რაღაც ძალა არ ეშვებოდა. და თამრიკოც ლაღად სირინოზივით, თავისუფლად მოძრაობდა. წყნარ, მშიდ ძღვის ზედაპირზე. აი, პირველი ვარსკვლავიც გამოჩნდა და ცაზე მკრთალად გამოსახული მთვარე უკვე გაცოცხლდა. ცის თაღი თანდათან ივსებოდა ვარსკვლავებით, თამრიკო მიხვდა, რომ ზღვაზე ასე ლაღად მისი ცურვა შეიძლება რამე ხიფათში ჩააგდოს, არა და პირველ რიგში, რომ ზღვის ნაპირას დარჩენილი მისი მეგობრები შეწუხდებოდნენ მისი დაგვიანებით.. ასე მთელი ღამე წყლის ზედაპირზე მყოფს შეცივდებოდა თუ არა უფრო ღრმად ჩაყვინთავდა წყალში და თითქოს თბებოდა... თამრიკომ ის არ იცოდა რომ წყლის ზედაპირზე დღისით თუ სითბო 30 გრადუსამდე იყო ღამით 11 გრადუსით შემოიფარგლებოდა. ძალას კი მთვარე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს ენერგიას კოსმოსიდან სთავაზობდნენ. თამრიკო ხან წითლდებოდა, ხან თავის საყვარელ ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა. აი, გამოჩნდა უკვე რიჟრაჟზე დიდი იტალიური გემი თამრიკო მიუახლოვდა გემს გემიდან გამობოლვით შავი ფერით შეიმოსა. ეგონა გემი აიყვანდა, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მას არ გქონდა უფლება სასაზღვრო ზოლში გემის შეჩერების. უკვე დილით რიჟრაჟზე პირველი მზის სხივი მას შეესალმა და სიხარულის შეგრძნებით იმედი მიეცა. ამ დროს იქ დაინახა შორიდან ზღვაზე მოძრავი ბარჟა. თამრიკო უკვე თურქეთში იყო ეს

ბარჟა სოხუმიდან მიემართებოდა ტრაპიზონში. მისი მგზავრები დილაადრიან კარტოფილის ფრცქვნით იყვნენ დაკავებული. მათ შორიდან დაინახეს, შავი რაღაც ჯადოქარი მასა ატეხეს ყვირილი რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო მათი შთამბეჭდავი ამ მაზუთში ამოსვრილი მაშინ გაიფანტა, როცა ბარჟას მიუახლოვდა. ავიდა ბარჟაზე და ორი კაცი, ერთი ქალი და ბავშვი სიცილით იგუდებოდნენ თუ საიდან გაჩნდა ამ შუა ზღვაში... დიასახლისმა მისცა საპონი და თამრიკო ისევ გადახტა ზღვაში და საპონით სულ ჩამოერეცხა მისი სიშავე. ულამაზეს მართლა ანგელოზს გავდა, დააპურეს ,თავისი ტანსაცმელი შემოაცვეს და სთხოვეს მათთან ერთად ტრაპიზონში გაყოლოდა. ამ დროს მთელი ბათუმისა და თბილისის მთავრობა აფორიაქებული ეძებდნენ თამრიკოს. თბილისიდან არჩილ გოგოლია ვეჩეს საშუალებით დაუკავშირდა ბათუმის მთავრობას.

უკვე მოსაღამოვდა თამრიკომ დაინახა ზღვაზე, კატერები ცაში კი ორი ვერტალიოტი. ბარჟის მეპატრონეებმა თამრიკოს აუკრძალეს რაიმე ზედმეტი მოძრაობა, რომ მაშველებს არ დაენახათ. ერთი კატერი ძალიან ახლოს მიუახლოვდა ბარჟას, მესაზღვრეებმა ჰკითხეს „ხომ არ შეგიმჩნევიათო ახალგაზრდა გოგო და მათ უარზე თამრიკო მიხვდა, რომ ეს ძიება მის გამო იყო უცებ წამოხტა და პირდაპირ ზღვაში აღმოჩნდა მეზღვაურებმა თამრიკო წყლიდან ამოიყვავნეს თბილ პლედში გაახვიეს და ასე წამოიყვანეს. ეს ისე სწრაფად მოხდა რომ მადლობის თქმა ვერ მოახერხა. მთელი გზა კატერებს თან თოლიების დიდი რაზმი მიაცილებდა. თითქოს თამრიკოს პოვნა მათაც გაიგეს...

ბათუმში სასაზღვაო სამმართველოს უფროსი, ექიმები, სასწრაფოს მანქანა უამრავი ხალხი შეეგება თამრიკოს. იმ წუთას თბილი ტანსაცმელი ჩააცვეს, ექიმებმა გასინჯეს, ყველა ეფერებოდა თამრიკო ზღვაში გატარებულ ღამეს, სიზმარში მოსვენებას არ აძლევდა.

დღეს უკვე, როცა თამუნა ბებია გახდა თურმე მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი თავისი შვილებისათვის და არც შვილიშვილებისათვის არ მოუყოლია. ფიქრობს რომ ამ ამბავს ზღაპრად, მის ფანტაზიად ჩაუთვლიან.

ეს ნარკვევი კი, როცა მოუყევი ჩვენი ოჯახის უახლოეს პიროვნებას ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, იუნესკოს მსოფლიო დესპანს, მსოფლიო სპორცმენს, გაეროს ბუნების დაცვის ელჩს გინესის მრავალგზის რეკორცმენს, მსოფლიო ველოსიპედოსაურს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენის კავალერის მსოფლიო 2009 წლის ადამიანს, მსოფლიო მრავალი ქალაქის მოქალაქეს, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელს, 5 აკადემიის აკადემიკოსს ასეთმა პოპულარული პიროვნება ძალიან დაინტერესდა და მთხოვა ის რაცა მოუყევი დამეწერა ნარკვევად და დამებეჭდა ჟურნალ „ათინათში“.

დღეს, როცა აღარ არის ცოცხალი ბატონი ჯუმბერი ვასრულებ მის თხოვნას და ყოველთვის ვფიქრობ ქართველი ქალის ასეთ გმირულ შემართებაზე.

* * *

ნიკიდან სწრაფმავალ მატარებლით პარიზისკენ გამოვემგზავრეთ. ერთ-ერთ სადგურზე ერთი ზანგის ქალბატონი ამოვიდა რამდენიმე ხელჩანთით. ჩემი შვილი ერეკლე წამოხტა მიეხმარა, ჩანთები ვაგონის შემოსასვლელში თაროზე დააწყო და ამით მთელი ვაგონის მგზავრების ყურადღება მიიპყრო. ზანგმა ქალბატონმა დიდი მადლობა გადაუხადა, მგზავრობა ძალიან სასია-

მოვნო იყო. რამდენიმე საათში პარიზში ვიყავით. პარიზს ჩვენ ვამბობთ, ფრანგები კი პაღის უწოდებენ. ჩვენი ბარგი ერეკლემ ურიკაზე დააწყო და ტაქსების გაჩერებასთან შეაჩერა. აღმოჩნდა, რომ ის ჩემოდანი, რომელშიც მისი ტანსაცმელი ეწყო დაიკარგა დაიკარგა ყველასათვის ძალიან საწყენი იყო იმ ჩემოდნის დაკარგვა. ვურჩიე დაბრუნებულიყო და იქნებ ვაგონში მოიძებნებოდა. სულმოუთქმელად გაიქცა ერეკლე. ვაგონი აღარ იდგა, მაგრამ აი, საოცრებავ, ის ბანგის ქალბატონი იდგა თავის ბარგით და ყარაულობდა ერეკლეს ჩემოდანს. „დარწმუნებული ვიყავი, რომ მოძებნებოდითო. ერეკლემ მადლობა გადაუხადა და როცა ჩემოდნით ხელში დავინახეთ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „სიკეთე თავის გზას არ დაკარგავსო“, ასე ამბობენ ხალხში და ამჯერადაც ამ ნათქვამმა გაამართლა.

მარინა ყიფიანი

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას!

ჯ--ერაც არ მინდა დავიჯერო" მეხის გავარდნა",
უ--ლმობელ სიკვდილს თუ შეეძლო მისი დაჩაგვრა,
მ--რავალი ჯილდო-რეკორდებით უბადლო სპორტსმენს,
ბ--რმა ბედისწერა მუღალატა, როგორ დაჯაბნა.
ე--რის და ქვეყნის სასახელო მამულიშვილო,
რ--აგულმა უნდა აიტანოს შენი დაკარგვა,
ლ--აჟვარდ სივრცეში ზეცას ასწვდა სული ძლიერი,
ე--მახსოვრებიქართველობასდაარდაგკარგავს.
ჟ--ამთაცვლასახელსდანატოვარსვერასდააკლებს,
ა--ხალთაობასგაუნათებსგზასმომავლისას,
ვ--ამაყობ, მეციმსაქართველოსერთიშვილივარ,
ა--სეთვაჟკაცებსრომიგლოვებსჩვენგანწასვლისას.

წერილები

ლუარა სორდია

ჩაფიქრებული, როგორც მისანი

მატერიალისტები, რომლებიც მხოლოდ ხილულ სამყაროზე, საგნებზე იყვნენ ორიენტირებულნი და უხილავის ხილვის უნარი არ მომადლებოდათ, მისტიკოსს არათუ სალანძღავ სიტყვად მიიჩნევდნენ, პოლიტიკურ ბრალდებადაც აქცევდნენ. ეს ცნება ნეგატიურ ჭრილში მრავალგზის მოარგეს კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის შემოქმედებას.

ედუარდ შიურე განმარტავდა: „ჭეშმარიტი მისტიკოსი ჰქვია ისეთ კაცს, რომელიც სავსებით ეუფლება თავის შინაგან ცხოვრებას და ქვეცნობიერის გააზრებით, კონცენტრირებული მედიტაციისა და მკაცრი დისციპლინის შედეგად ჰპოულობს მანდ ახალ ცოდნას და განათლებას... სწვდება შინაგან ბუნებას თავისი სულისას მიმართებას იმ შეუმუსრავი სუბსტანციისადმი, რა საფუძვლად უდევს ყოველივეს – იმ უზენაესი და მარადიული რეალობისადმი, რომელსაც რელიგია უწოდებს ღმერთს, ხოლო პოეზია ღვთაებრიობას.

„მისტიკოსი არის ადამიანი, რომელიც დაეძებს ღვთიურ ჭეშმარიტებას უშუალოდ საკუთარ თავში თავისი უმაღლესი სულობის თანდაყოლილი გამოვლენისა და აღმოცენების გზით.

„მისტიკოსის იარაღია კონცენტრაცია და შინაგანი ხედვა, ოკულტისთვის ინტუიცია და სინთეზი. ერთი უკავშირდება მეორეს, ავსებს და ჰგულისხმობს მეორეს.

„ადამიანის ამ ორგვარ ტიპს შეიცავს ადეპტი, უმაღლესი ხელდასხმული. ხელდასხმული ნათელჭვრეტით მიღებულ უმაღლეს ცოდნას ზიარებული ადამიანია. ხშირად ორივე უნარი გვხვდება დიდი რელიგიებისა და ზემხედველი ფილოსოფიური სისტემის დამფუძნებელ ადამიანში. ასევე რეფორმატორებთან, მოაზროვნეებთან, დიდ პოეტებთან, ხელოვანებთან და სახელმწიფო კაცებთან“ (1,7).

მოაზროვნეები, პოეტები, გამომგონებლები, დიდოსტატები ხელოვნებასა და მეცნიერებაში, გენიოსები, ედუარდ შიურეს დაკვირვებით, „გამოირჩევიან ღრმა შინაგანი ხედვითა და დიდი ინტუიციით, ეს ორი წამყვანი ფაქტორი ჰქმნის მისტიციზმს და ოკულტიზმს“ (1,8).

მისტიკოსად და ოკულტისტად, ამ ორგვარი ბუნების ჰარმონიზებად მიიჩნევდა ედუარდ შიურე რუდოლფ შტაინერს, რადგან მას „გააჩნდა თანდაყოლილი ნიჭი სულთა ხილვის“ (1,9).

შტაინერის მისია იყო „მეცნიერებისა და რელიგიის შერიგება, ღმერთთან დაბრუნება“ (1,4).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი მატერიალისტურ შემეცნებას თანამედროვე მეცნიერების „კეცტყავიან დრაკონს“ უწოდებადა.

ბუნებისმეტყველ დარვინის საქმის გამგრძელებელ ე. ჰეკელის შესახებ შტაინერი ამბობდა: „ჰეკელი იყო თავად შეჭურვილი მატერიალიზმი, კეცტყავითანი, ჭანგშემართული და კბილბასრი დრაკონი“ (ედუარდ შიურე, რუდოლფ შტაინერის პიროვნება და მისი განვითარება (1,17).

როგორც თვითონ აღიარებდა, შტაინერი ეკუთვნოდა „დასავლეთის ეზოტერულ ქრისტიანობას, კერძოდ, როზენკროიცერულ ხელდასხმას“ (1,19).

შტაინერს აინტერესებდა ჩვენება იმისა, თუ როგორ გაცხადდება სულიერი სამყარო ადამიანში სულის ორგანოს საშუალებით (1, 176), მისი მიზანი იყო „შეხვედრა სამყაროს სულთან“ (1,168).

ის აკვირდებოდა მისტიკას კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, როგორიცაა აღმოსავლური სიბრძნე, ნეოპლატონიზმი, ქრისტიანული შუასაუკუნეები და კაბალისტური მისწრაფებები (1, 172).

სულისმეცნიერებაში მთავარია სულიერი სამყაროს კვლევა, სულიერ სფეროში ქვრეტა. სულიერი მკვლევარი სულისმეცნიერულ მეთოდზე დაყრდნობით ადამიანს ყოფს გარეგნულ–სხეულებრივ და სულიერ–მშვინვიერ ადამიანად.

მისი თვალთახედვა მთლიანად საბუნებისმეტყველო აზროვნებას ემყარება (2,9).

შტაინერის აზრით, „ქრისტიანულ კულტურებს ყველაგან ჰქონდათ მისტერიული ცენტრები, რომლებიც ამავდროულად რელიგიურ, ხელოვნურ და სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ისინი მისტერიათა ხელოვნების წყალობით ივითარებდნენ სხეულისგან თავისუფალ მშვინვიერ ცხოვრებას (2, 31).

„მისტერიის მოწაფეებს აძლევდნენ მითითებებს ჩადენილი ცოდვის, ანუ მატერიაში ჩაფლობის გადასალახად. მათ თანდათანობით საგრძნობლად განწმენდნენ ეთერულ და ასტრალურ სხეულებში ლუციფერისა და არიმანის გავლენისგან. სიკვდილის მდგომარეობამდე მიყვანილი სხეულიდან მისტერიის წარმმართველებს მოწაფის სამშვინველი გამოჰყავდათ და მათ სულიერი სამყაროსკენ წარმართავდნენ. უმაღლესი საფეხურის გავლის შემდეგ ნება ეძლეოდათ ხელდასმის, ინიციაციის, განწმენდის გზას შესდგომოდნენ. ექმნებოდათ შესაძლებლობა, განსაკუთრებით წმინდად მიჩნეულ ადგილებში ღვთაებრივ არსებებს შეხვედროდნენ, რჩევა–დარიგებები მიეღოთ. ხელდასხმულთა გამოცდილებიდან წარმოიშვა უძველესი დროის დიდებული მითები, წარმართული რელიგიები, ხელოვნება და მეცნიერება (3, 36).

მისტერიებში ბოლო და უმაღლესი საფეხური ამ ღვთაებრივი არსებების წვდომა იყო. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ენაზე ამ არსებებს „მირონცხებულს“ (მაშიახი, მესია) უწოდებდნენ, ბერძნულად ქრისტეს.

სახარების შემქმნელნი იყვნენ ხელდასხმულნი და წარმმართველნი ოთხი მისტერიალური ნაკადისა. ისინი ქრისტეს მოვლენას უმზერდნენ და აღწერდნენ, როგორც საკუთარ სულიერ გზათა დიად აღსრულებას, საკუთარ სულიერ მისწრაფებათა უმაღლეს განხორციელებას.

ხდებოდა ადამიანსა და ღვთაებას შორის ჩანგრეული ხიდის აღდგენა.

„ანთროპოსოფია არის სულის კრიზისიდან გამოსვლის გზა“ (4,42-43).

ხელდასხმა გულისხმობდა გრძნობებზე სულის ხელმწიფებას, მდარე შეგრძნებების დახვეწა–გარდაქმნას, სულიერი თვალის ახელას, ზეგრძნობადი სამყაროს ქვრეტისთვის ნეოფიტის განმზადებას (4,18).

სულიერი ხედვით მდარე სინამდვილის აღქმას უნდა შენაცვლებოდა ზენა სამყაროს ქვრეტა, მანამდე უხილავ ნათელთან ზიარება (4,20).

მისტები ესწრაფოდნენ მარადიულს. შტაინერი იმოწმებს სოფოკლეს აზრს: „რაოდენ მაღალუნეტარესად აღწევენ ლანდების საუფლოს ხელდასხმულები“ (4,23).

მისტი, ხელდასხმული ინიციაციის შემდეგ თავის თავში მარადიულს, ღვთაებრივს შეიგრძნობს, თავის თავში აღმოაჩენს უმაღლეს „მეს“, რომელიც გრძნობადი ქმნადობის საზღარს სცილდება“ (4,29).

„ტაძრებში მისტერიები იმართებოდა, სადაც ნეიფიტებში მთვლემარე ძალები იღვიძებდა, მისტები უმაღლეს შემოქმედებად და სულიერ ნატურებად გარდაიქმნებოდნენ, ისინი „მარადისობიდან ამოზიდულ კლდეს ემსგავსებოდნენ და უკვე ყველა ქარტეხილს უძლებდნენ“ (4, 30).

შტაინერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პლატონის „ფედონში“ განვითარებულ „იდუმალ მოძღვრებას“, რომელშიც ნათქვამია: „თუკი ვინმე ქვესკნელში, აიდში ინიციაციისა და განწმენდის გარეშე ჩავა–შლამში ჩაეფლობა. ხოლო მისტერიებში განწმენდილი და მის სიბრძნეს ნაზიარები ადამიანი საიქიოში ღმერთებთან ერთად იცხოვრებს... მისტერიებში ხელდასხმულნი, ჭეშმარიტად შთაგონებულნი... სიბრძნეს მართებული გზით სწავლობენ“ (4,36).

პლატონის აზრით, ადამიანთა სამშვინველები ლაფსა და ჭაობში ჩაფლულებს ჰგვანან, თუ წმინდა მისტერიებს არ არიან ნაზიარებნი, ისინი მოწყვეტილნი არიან თავის ჭეშმარიტ არსებას (2, 32).

შტაინერის აზრით, პლატონის მსოფლმხედველობა რელიგიას ემსგავსება. აქვე მისტერიების ერთ–ერთი საიდუმლოება (4, 67).

პლატონის „ნადიმში“ აღწერილია ხელდასხმა, აქ სიყვარული სიბრძნის მაცნედ გვევლინება. სიბრძნე, ბერძნული მითი და მისტერიათა სიბრძნე ერთ მთლიანში ირწყმება“ (4,71).

ქრისტიანობამდე აუცილებელი იყო მისტერიები და მოძღვართა მითითებანი. თვითხელდასხმა არ არსებობდა ძველ დროში. ეს შესა-

ძლებელი გახდა გოლგოთას მისტერიის წყალობით“ (2, 33).

„ჰერაკლიტემ, პლატონმა... მისტერიათა წყალობით სულიერ სამყაროში ჩაიხედეს“ (2,33).

შტაინერი საუბრობს პლუტარქეს, ციცერონის, პითაგორელების,ემპედოკლეს, პინდარეს შესახებ.

„მისტერიები ადამიანს სიკვდილის მიღმა, ე.ი. ქვესკნელში ამოგზაურებდა და ... ხელდასხმის წყალობით ადამიანის მარადიულ ნაწილს დაღუპვისგან იხსნიდა. ვითარცა მისტს, ადამიანს სიკვდილის დამარცხება შეეძლო. ჰერაკლე, როგორც მისტი, გადალახავს მიწისქვეშა სამყაროს საშინელებას“ (4, 84).

ამ დებულებას ეხმაურება ზვიად გამსახურდია: „ჰერაკლე არის ინიციაციის ახალი კულტურა, ნებელობითი ინიციაცია, ჰეროიკული ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრიტიანული ინიციაციისა... ძველი საბერძნეთის ცენტრალური მისტერიები „ელოიზისის“ მისტერიები იყო. სიტყვა „ელოიზის“ ძველბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებადს, წინასწარი განჭვრეტს მომავლისას... ჰერაკლე არის სიმბოლური გამოხატულება ახალი ინიციაციური კულტურისა. კერძოდ, ქრისტიანული კულტურისა... მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ“ (5,200-201).

შტაინერის ყურადღების ცენტრშია მოქცეული პრომეთეს მითები, ჰომეროსის „ოდისეა“, არგონავტების თქმულება.

„საწმისი ადამიანისთვს მინიჭებული უსასრულო ფასეულობაა. ოდესღაც იგი ადამიანს წაერთვა და მისი ხელახლა მოპოვება საზარელ ძალებზე გამარჯვებასთან არის დაკავშირებული. სწორედ ასეთი რამ ემართება ადამიანის სამშვინველში არსებულ მარადიულს... ადამიანი მისგან საკუთარმა ქვენა ძალამ განაცალკევა. მარადიულთან მიღწევა ქვენა ბუნების დათრგუნვაა. შემწე საკუთარი ცნობიერებაა (მედეა)“ (4,86).

ზვიად გამსახურდია დასძენს: „...არგონავტების ლაშქრობა არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. ფილოსოფიური ქვა და გრაალი არის აგრეთვე იდენტური ცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება არის... სულიერი ინიციაციის ძიება, რომელიც ანტიკურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო, როგორც ოქროს საწმისის ძიება, ხოლო ოქროს საწმისი იყო კოლხეთში... ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინაციურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმუამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში“ (5,202).

ზვიად გამსახურდია ხაზგასმით აცხადებს: „..გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია. კაპადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაპადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობის... კაბადოკიელები ესწრებოდნენ სულიწმინდის გადმოსვლას და გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული და სულიწმინდამიღებული ადამიანი. გრაალის მიმდინარეობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სწორედ იბერიელმა ხალხებმა.

ზვიად გამსახურდიას აზრით, შავთელის ოდებში მოხსენებელი „მადლთა ბარძიმი“ არის გრაალი, ქართული ფოლკლორის წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთში კოპალასთან და იახსართან ლაშქრობისას წამოღებული თასიც გრაალის თასია. გრაალი უკავშირდება ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას.

ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარსიფალში“ მინიშნექებულია მისტერიალურ სიბრძნეზე, მისტერიალურ კულტურაზე, რომელიც უკავშირდება მეფე ხუცეს–იოანეს, რომელიც არის დავით აღმაშენებელი და რომლის სამკვიდრებელი არის წყარო მისტერიალური კულტურისა“, ასკვნის ზვიად გამსახურდია (5, 213).

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს მერაბ კოსტავა.

ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსანს“ გრაალის პოემად მიიჩნევს, რადგან გრაალის სინონიმებია: საუნჯე, თვალ–მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან, ქვესკნელიდან იგივეა რაც გრაალის გამოხსნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებს ანიმას, სამშვინველს და ანიმას გა-

მოხსნა დრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი“ (5, 213).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი გვამცნობს: „ქვესკნელში ჩასვლა, ანუ აიდში მოგზაურობა წარმავალზე გამარჯვებას და სამშვინველში მარადიულის გამოღვიძებას ნიშნავდა“ (4, 90).

„ოდისეაში“ კირკე სულის ქვენა ძალაა, რომელიც წარმავალს არის ჩაჭიდებული.

ოდისევსის მიერ სკილასა და ქარიბდას შორის გამავალი საშინელი გზის გავლა იმას ნიშნავს, რომ პირველ ხანებში ჯერ კიდევ, სულსა და გრძნობას შორის მერყეობს მისტი. იგი სულის მნიშვნელობის მთელ სისავსეს ჯერ არ ჩაწვდომია, თუმცა გრძნობამ მისთვის უწინდელი ფასი უკვე დაკარგა“ (4, 91-92).

ელევსისის დღესასწაულები საფშვინველის უკვდავების საზეიმოდ გაცხადებული აღიარება იყო“ (4,95).

შტაინერი ეხება ეგვიპტის იდუმალ სიბრძნეს, ქურუმთა სიბრძნეს, ეგვიპტის მიცვალებულთა წიგნს, იზირისის მითს, ინდოელ ქურუმებს, მაიას, ნირვანას.

ბუდას სხეულის გასხივოსნება შედარებულია იესოს ფერისცვალებასთან.

საუბარია ტანჯვაზე, სიკვდილის კარიბჭეზე, მიწიერის ქრობაზე, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე, ბუდას ნირვანაზე, ხელდასხმულის ინიციაციაზე.

ბუდა ლოგოსს ანუ ნათელს უბრუნდება, იესოში თვით ლოგოსი გახდა პიროვნება. მასში სიტყვა ხორცად იქცა (4, 4107).

სახარებაში ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა მიჩნეულია, როგორც მისტერია. ლაზარეში „მარადიულმა სიტყვამ“ დაივანა. ლაზარე იმად იქცა, რასაც მისტერიების ენაზე ხელდასხმული ჰქვია“ (4,125).

„ლაზარე ხელდასხმული გახდა თვით ქრისტე იესოს მიერ. სწორედ იგი გახდა პირველი ქრისტიანი ხელდასხმული, თანაც ქრისტეს მიერ“ (4, 128).

„იოანეს სახარება სწორედ მისტერიას წარმოადგენს. მასში გადმოცემული ყველა მოვლენა სულიერად უნდა გავიგოთ.

„შემეცნების დრამა... მისტერიად წარმოდგება“ (4,129).

შტაინერი ყურადღებას ამახვილებს აპოკალიფსის მისტერიაზე, ორიგენის, კლიმენტი ალექსანდრიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, ნეტარი ავგუსტინეს და სხვათა მშვინვიერ ბრძოლებზე.

„ხელოვნება არის ბუნების იდუმალი კანონების გახსნა, რომელიც ამ გახსნის გარეშე, მუდმივად დაფარული დარჩებოდა. ადამიანს შეუძლია ისინი გამოხატოს, ამისთვის მხატვარმა საჭიროა სისხლი და სიცოცხლე გაიღოს“ (6, 162).

„სულეთის სფეროებიდან იღებენ იმპულსებს მხატვრები, მეცნიერებები, გამომგონებლები. აქ მაღლდება მათი გენია, რათა ახალ განსხეულებებში უფრო მძაფრი ზემოქმედება მოახდინონ ადამიანური კულტურის შემდგომ განვითარებაზე“ (7,119).

შტაინერის ყურადღებას იპყრობდა კოლხეთის მისტერიული სკოლაც. ამ პრობლემაზე დაწვრილებით საუბრობს ზვიად გამსახურდია „საქართველოს სულიერ მისიაში.

მისტერიების გზაზე შედგომის უპირველესი პირობაა ცოდვათაგან განწმენდა, სულიერი მხედველობის გახსნა, უხმო ბგერების, „მდუმარების ხმის“ მოსმენა (ელენე ბლავატსკაია) (8,118).

დანტე ალიგიერმა შეძლო „მისტიური ჭეშმარიტების“ ჩაწვდომა, ცათა საუფლოს ხილვა.

ყოველი დიდი შემოქმედი არა მხოლოდ ხილულს, ხელშესახებს ქვრეტს, არამედ ჩვეულებრივთათვის დაუნახავში ცდილობს შეღწევას და ეს ხელეწიფებათ მხოლოდ მორწმუნეთ.

„გამოცხადების უშრეტი ნათელი სულის თვალით იხილვება და დამაბრმავებელია.

„საგნების მიმართ გემოს ის კარგავს, ვინც იხილა უზენაესი“, წერდა ნეტარი ავგუსტინე, ვინც მოისმინა არამხოლოდ ანგელოზების, არამედ თვით „თავადის“ (ღმერთის) (ხმა (აღსარება) (9, 249-250).

იოან ვოლფგანგ გოეთე იყო „მაძიებელი იდუმალ გზების“ (ტრილოგია ვნებისა) (8, 232-234)., იზიდავდა „უნაზესი იდუმალება“ (რომაული ელეგიები (8,222), ევლინებოდა „სიამე იდუმალი“ (ელეგია) (8, 234- 240). ესმოდა „სხივის იდუმალი შრიალი“ (წყლებზე მქროლავი სულის სიმღერა) (10, 86-91).

გერმანელი პოეტისთვის „ბრძენი გრძნეული ენით მარადისობის დიდი მისანია“ (მედგრად და მტკიცედ) (8, 122- 123), „ჩემი ხვედრია იდუმალება“, წერდა ლექსში „მინ ꙋ“ (10, 147).

„მრავალი რამ შეუცნობი, ვით ხმა იდუმალი, მკერდის ლაბირინთში ბორიალობდა“ (მთვარისადმი) (10, 80-81).

„სერაფიმთა ფრთების შრიალი“, ციური ბგერები „იდუმალ ძალით“ მსჭვალავდნენ სულს:

„...მოისმის, ვით სერაფიმთ ფრთების შრიალი, უამრავ ჰანგთა მომხიბლველი ბგერა ციური, მწუხარე სული იმსჭვალება იდუმალ ძალით... და შეიცნობს სოველი თვალი ღვთაებრიობას ცრემლისა და სიმთა წკრიალის“, ნათქვამია ლექსში „შერიგება“ (8, 240). „იდუმალმეტყველებენ თვალები“ (საქმროს) (10, 244).

გოეთე იყო უმაღლეს ცოდნას ნაზიარები ადეპტი, რაც შესაძლებლობას აძლევდა, შეეცნო სამყაროს მრავალგვარი იდუმალება: „...რაც სხვებისათვის უცნობია და იდუმალი... მხოლოდ ეს ჩემთვის, ადეპტისთვის არ არს ფარული“ (შილერის თავის ქალის ქვრეტისას (10, 240-241).

დანტე საუბრობს „მისნურ სიყვარულზე“.

„რა დაადუმებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უწერია აღსრულება წინათქმას მისას“, აცხადებდა მერაბ კოსტავა „ბიბლიურ რემინისცენციებში“ (14,95).

კონსტანტინე გამსახურდია იზიარებს ვალდო ემერსონის აზრს, რომ გოეთე, იყო „ბრძენი მისანი“, განსაკუთრებით შემოქმედების მეორე პერიოდში გამოარჩევდა „მისტიური თვალთახედვა“ „ფაუსტის“ მეორე ნაწილი „მისნური ნათელხილვის ნიმუშია“ (გოეთე თუ მისტიკოსი? (11,23,24,40).

რაბინდრანა ტაგორის წინამძღვარი იყო თვით „იდუმალთა მესვეური“: „ის მიჩვენებდა გზებს იდუმალს. „მასთან ერთად დავდიოდი წამებისა და ნეტარების იდუმალ ქვეყნად.

„იდუმალებამ გადმოხეთქა გულის ბჭენი და სიმღერებად გადმომეღვარა“, წერდა თაგორი (12,99,120).

კონსტანტინე გამსახურდიამ თბილისში დააარსა მისტიკოსთა წრე, რაც არ არის შემთხვევითი.

პრიმიტიული პროლეტარული კრიტიკა მწერალს მისტიკოსად მიიჩნევდა და ამით ცდილობდა მის იდეურ განიარაღებას,უნიჭო მატერიალისტთა, გონებადახშულთა წრისკენ გადმობირებას, „დიდოსტატის“ ავტორს კი ეამაყებოდა მისტიკოსობა და განმარტავდა: „მისტიკა ბუნების იდუმალებით გაოცებაა და არა პოლიტიკური კლერიკალიზმი“.

მისი მიზანია იყო „საწუთროს საიდუმლოების წვდომა“ (15,49). ცისა და ვარსკვლავების იდუმალების შეცნობა (18,218). ბუნების იდუმალების საცნაურყოფა (15, 499).

„ყოველი წამი ორსულია იდუმალებით“ (16,416), სჯეროდა დიდოსტატს, ამავე დროს, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „არა არს ამ ქვეყნად იდუმალება ღვთის კიდეგან, რამეთუ თავად ღმერთია უდიდესი იდუმალება და მის გარეშე ნურავის ეძიებს შეიცნოს სხვაი“ (11,18).

ხაზს უსვამდა რა „იდუმალებითა ამოცნობის სიძნელეს“, მიიჩნევდა, რომ შეუძლებელი იყო გონების ძალით წვდომა „უიდუმალესი საიდუმლოსი“.

„სული ძლიერად უნდა სუფევდეს იდუმალებაში, მაგრამ ეშმაკი არ უნდა შემოუშვას თავის სარკმელში... ნურავინ ეძიებს გონების ძალით ჩასწვდეს საიდუმლოსა და საწუთროისას მიწისა, ცისა და ჯოჯოხეთისაც, ნურავინ გაიჩენს ასტროლოგსა და ბნელის მიმხრობსა, მესიზმრეთა, მეწამლეთა და მჩხიბავთა, რადგან ღმერთია თავათ საიდუმლო აუხსნელი და გაუხსნელი“ (15, 49-50).

„ბუნება წიგნსა ჰგავს მძიმედ წასაკითხს, თავად ბუნება იძლევა ნიშანს... იდუმალის საცნაურყოფად“ (16,156).

ცალთვალა მატერიალისტები, მწერლის აზრით, „ვერასოდეს შეძლებენ მის საიდუმლოებებში ჩაწვდომას“.

„ღვთაებრივს... ყველასთვის გასაგებს და მისაწვდომს ვერ გავხდით“, ფიქრობდნენ როგორც პლატონი, ისე შტაინერი (4, 63).

კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც ერთგვარი მისტიკური ცენტრი შექმნა ჩვენში,ასევე იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ „გონების ძალით“ შეუძლებელი იყო „უიდუმალესი საიდუმლოს“ წვდომა. მისთვის უცხო არ იყო სხეულისგან სულის გაყრა და სულის მოგზაურობა ასტრალურ სივრცეში (ტაბუ).

გრიგოლ რობაქიძის მიზანი იყო „სულის მისტიური ნაპერწკლის ანთება“, „მისტიური წიაღსვლა“ (მცველნი გრაალისა). მწერალი ოკულციზმით იყო გატაცებული და თავის შემოქმედებას უწოდებდა „მისტიკურ რეალიზმს“.

გალაკტიონი „იდუმალი ლოცვით“ „იდუმალი სერობის“ მონაწილე იყო, რომელიც ქრისტესავით უნდა ჯვარცმულიყო, რათა ცაზე პოეზიის ახალი ვარსკვლავივით გაბრწყინებულიყო (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა, ვარსკვლავია).

პოეტების მეფე ნაზიარები იყო საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, მისტერიებს (ჩემს გულში დაჰქრის 1950, უსიყვარულოდ), მას

ხელეწიფებოდა ცათა ცაში ნავარდი, ყველა პოლუსის მოხილვა (ეს იყო ოქტომბრის დამლევს), სულში მზის მოთავსება, დიონისეს აჩრდილთან შეხვედრა, „ვარდისფერი საფეხურებით“ სვლა (მარმარილო), აკაკი წერეთლის ლანდის გამოხმობა მიღმური სამყაროდან (აკაკის ლანდი), მას მიაცილებდნენ სერაფიმები, ანგელოზები (მგლოვიარე სერაფიმები, ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი).

„იდუმალ ლოცვას“ აღავლენდა, „არაქაური სუნთქვა“ ესმოდა, ბიბლიურ მოსესავით „იდუმალებით სავსე ნისლში“ შეღწევას ცდილობდა, ხედავდა ანგელოზის „ციური იდუმალებით სავსე თვალებს“ (მშვიდობის წიგნი), სისხლით წერდა (ხელოვნება), იყო „იდუმალი დომინო“, ქრისტეს მებაღე (დომინო) (17, 103). „მე დავინახე მცურავი სული“ (გრიგალი), გვამცნობდა პოეტი. მისტერი, ცაში გაფრენილი სული იყო გალაკტიონის იდეალი: „როგორც რონინი საოცარი და მისტერია, სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს, დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში დაჰქრის) (რჩეული, 1977, გვ. 801).

ტერენტი გრანელს იზიდავდა „ცა უმაღლესი“, გრძნობდა „ცისფერ უსაზღვროებას“, „მარადისობის ცისფერ შუქს“, ხელეწიფებოდა ცაში გაფრენა, მარსის წიაღში გაქანება, იპყრობდა „ბუნების იდუმალი ძალა“, „იდუმალ მხარეების გრიგალი“, ხედავდა „იქაურ ბრწყინვალე ცას“, ელტვოდა „ცისფერ ღამეს“, ესმოდა „იდუმალ ძალთა შრიალი“, პოეზია მისთვის იყო „იდუმალება, უსაზღვროება, მარადისობა“... პოეტისთვის ლექსი „მისტერია და სასიკვდილო განცდა“ იყო (მთა ცისფერია) (17, 34).

„მემენტო მორის“ ავტორს სულის ხილვა დაჰბედებოდა: „მე თითქოს ვუმზერ და თითქოს ვხედავ შენს სულს ტანჯვისგან გასპეტაკებულს“, მიმართავდა აკაკი ანდრიაშვილს.

ანა კალანდაძე ეძებდა „სულის ვანს“, „სულთ დასამკვიდრებ სადგურს“,,სოფლის საცდურს“, „მიწიერ ბედნიერებას“ განრიდებულს, ევლინებოდა ზეციური ნათელი, მაღლდებოდა „ზეცის კარამდე“, ენატრებოდა „საუფლო შეყრა“, ზეცის „რჩეულთან“ შეხვედრა, „დაუშრეტელ ცეცხლთან“ ზიარება, (ნუ მიახლოვდები) (18,41), ელტვოდა „უშორეს, შეუცნობელ, გრძნეულ და მისან ცას“ (როდესაც კვნესის ბუკიოტი) (8, 107).

ნიკო სამადაშვილის პოეზიის არსებითი ნიშანია უხილავის, სხვათაგან შეუმჩნეველის ხილვა და უხმო ხმების მოსმენა. მისთვის მთავარია „ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა (19,136).

„სამადაშვილის წარმოსახვებში გამონაგონი სახეების მძაფრ მისტერიებს უსიტყვოდ ახლავს ის სინამდვილე, რომელშიც პოეტმა თვითჩხრეკისა და ტანჯვის გზით ჩაიხედა“, წერს თემო ჯაფარიძე (ღამისთევის პოეზია) (19,534).

„სამყაროს უზარმაზარი სივრცეები... ქართული განწყობილების შესაბამისად ფშვინავენ და ამ სივრცეებიდან ვიღაც „მისანი“ რომ ჩამოირჩენს ხოლმე დედამიწისკენ, ქართული ღვთაებრივი მისტერიების ცენტრს ემსგავსება“ (19,541).

„აზრ–განცდის მისტერიები – ასე შეიძლება მისი მეტაფორების სახელდება“ (19, 554).

„ნიკო სამადაშვილი განუწყვეტლივ ფიქრობდა ქრისტიანული მისტერიით ინსპირირებულ მარადისობაზე“ (15,557).

ტაძრების წიაღში იშლება ხშირად პოეტის შინაგანი მეტაფორული მისტერიები“.

„ქრისტეს ცხოვრების მისტერია მის ლექსებში ჯერ კიდევ ხდება“.

„მძაფრი მისტერიების ფონზე ღვთისმშობლის ქოხში აკვნის გწევა ისმის და ისმის“, წერს თემო ჯაფარიძე (19,557).

ნიკო სამადავშილის „უკანასკნელი ქრისტიანების“ და „ბეთანიის“ მიხედვით პოეტის „მისტიურ ღამეზე“, „მისტიურ შუქში“ გახვეულ პეიზაჟებზე ამახვილებს ყურადღებას ზურაბ კიკნაძე (მუდამ სინათლისაკენ გამყივარი ძახილი) .

„ეზოტერულ საიდუმლოებად მიაჩნია მეცნიერს ნიკო სამადაშვილის სტრიქონები. „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, თანზე გამონაყარი“ (20,4). რევაზ სირაძის დაკვირვებით, ნიკო სამადაშვილის პოეზიაში „სიტყვები კარგავენ მეტაფორულობას და მისტიკურ სახელდებად იქცევიან“ (მოჰქონდა ჯვარი“) (21,11).

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, კერძოდ თბილისს, ნიკო სამადაშვილი ქურუმების სავანედ მიიჩნევდა: „ჩემ საქართველოს სიდიადეს რა შეედრება, ღვთისმშობლის დარად რომ უჭირავს ხელში თბილისი. აქ გაისმოდა ქურუმების მწველი ვედრება, ზარების ლხინი, ღმერთო ჩემო, რა სიხარულით“(ჩემი თბილისი) (22,248-249).

პოეტის იდეალი იყო ასევე „ასურეთელი მოგვის დარი ფარეში“ (ჩემი გულთამხილავი) (24,243).

ნიკო სამადაშვილს ზედმიწევნით გათავისებული ჰქონდა როგორც ქრისტიანობის, ისე ბუდიზმის მთავარი პოსტულატები. თუ ის ადრე „საუკუნის ბედმიხდილიკათაკმეველი“ იყო, საბოლოოდ უყოყმანოდ ეზიარა „საუკუნეების მეხრის“ – მაცხოვრის მარადიულ მოძღვრებას.

ქვეყნიერებას აღიქვამდა, როგორც „კაკანათს“, ილუზიას და მარადიული ფსეულობებისკენ ისწრაფვოდა.

განასხვავებდა მიწიერ კოშკებს და მარადისობის კოშკებს (ორი ხელადა) (2,155).

„ლოცვებით მთვრალი“ პოეტი მაცხოვრის ნაფეხურების კვალდაკვალ ვიდოდა: „გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლით ლოცვებით მთვრალი, ყრმა მაცხოვარის ნაფეხურებს რომ გაჰყოლოდა?“ – აცხადებდა ჯვარცმული ღმერთის შეგონებების გამთავისებელი (ისე ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (20, 140-141).

ნიკო სამადაშვილის სახელს უკავშირდება „ირეალური, იდუმალი სამყაროს გადარჩენა“ (როსტომ ჩხეიძე) (23,321).

პოეტმა „ქარაფ ქვესკნელში“ ჩაიხედა და ცდილობდა იქიდან „სინათლისკენ“ გაეკაფა გზა, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული (აღსარება) (20,18).

ათეისტური საუკუნე, რომელსაც „ნადირს, ტიალს მშიშარას, მაიმუნს“ უწოდებს პოეტი, კრძალავდა ბუდიზმს, საკია–მუნის სიბრძნით გატაცებას, ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შეცნობას: „...როგორ გტანჯეს, ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ, რათ გიყვარდაო, გაგინებდნენ საკია–მუნი! რა ნადირია ეს ტიალი წუთისოფელი, რა ნადირია, რა მშიშარა, რა მაიმუნი! შენი ცხოვრება ზარატუსტრას ფერხული იყო, მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება... კარზე გეწერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება, აქ დაიბადა, საიქიოში ძლივს დაბერდება“ (20, 142).

ლექსის ადერსატია გამორჩეული მოაზროვნე, ნიცშეს მთარგმნელი, ბუდას, კრიშნას მოძღვრებების საიდუმლოებებში გარკვეული ერეკლე ტატიშვილი, რომელმაც საშინელი დევნა, პატიმრობა განიცადა ეპოქის ტირან ხელისუფალთაგან.

მაგრამ „სევდით ნაკურთხი ბედი“ მარადისობაში უმკვიდრებდა ადგილს პოეტის მოძღვარსა და მეგობარს (ერეკლე ტატიშვილს) (20, 126).

„რეკავ იდუმალ ზარებს“, მიმართავდა პოეტი უძვირფასეს პიროვნებას (სიზმრების ნაღვერდალი. ერეკლე ტატიშვილს) (20, 102-103).

წამებით აღსრულებული ნიცშეს მთარგმნელის სამგლოვიარო პროცესს თითქოს ცრემლმორეული მიჰყვებოდა საკია–მუნი“: ...მიგასვენებდნენ შავბნელ გოდებით, ჩვენ წინ ცეკვავდა ჯანღი უკუნი, ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევდა ცრემლმორეული საკია–მუნი. გემდურებოდნენ დაღუპულ ნუგეშს, სანათლების ალზე გადამწვარ მეკვლეს, ღმერთს ჩუმად ვთხოვდი, ნუ შემიშინებთ, ნუ დამიტანჯავთ ბატონ ერეკლეს“ (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა (20,139).

ნიკო სამადაშვილი „ბუდას მეკვლეს“ უწოდებს თავის მეგობარს (ერეკლე ტატიშვილს) (20,126). ერთად ახსენებს ქრისტეს და ბუდა საკია მუნის ლოცვას: „ის კამკამებდა, ვით ქრისტეს ლოცვა, ბნელ გრიგალების კოშკების იქით, ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით, ცას გასცქეროდა საკია–მუნი. ხალხი ვიდოდა შავი დროშებით და ლაჟვარდების იდგა გუგუნი... ისმოდა ცეკვა, საკია–მუნი მღეროდა ლოცვებს. იქ ბუდას მეკვლეს მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან და უხაროდა ბატონ ერეკლეს“.

ლექსში „გასეირნება“ (20,261) ისევ ბუდა და ქრისტე არიან პერსონაჟების ნუგეში: „...მე ქრისტე მწამდა, შენ ბუდას რჯული. სალამს გვაძლევდნენ დიდი ხეები და მოგვყვებოდნენ უკან ჩურჩულით გაუთენარი ჩვენი დღეები“.

„ბაასი ბერთან“ (20,88-89) საბედისწერო უცნაურობის შემზარავ შედეგს გვაუწყებს: ბერს შეშის ნაცვლად ძვლები შეეკეთებინა ბუხარში და პროტესტის ნიშნად ქრისტეს და ბუდას გამოცხადებამ ელდა დასცა.

თითქოს „საკია–მუნის შეშლილი სტვენა ესმის პოეტს ლექსში „სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს“ (20, 69-70).

„დაუსაბამობის ხილვაში“ (15,184) წარმავლობის უარმყოფელ, ასტრალურ სივრცეში მოგზაურ პოეტს მოწონების ნიშნად უქნევენ ხელებს ბუდა და ქრისტე.

მუდმივად „მარადისობის მღვიმეებს“ ასდევდა ნიკო სამადაშვილის ლექსის გმირი (სამხარზე) (20,33).

პოეტი „მარადისობის ბოხ ზარებს“, „მარადისობის ზარების ტაშს“ აგებებდა მიწიერ იდეალებს განშორებულთ (მამადავითის მთაზე გაუხვ-

ევ) (20,237).

„მარადისობის ხშირ მარგილებთან“ ნათება დაჰბედებოდა მიწიერ ცხოვრებაში უპოვარს (20,260).

ქრისტეს, ბუდას ჰუმანური მორალის გათავისება ესახებოდა ნიკო სამადაშვილს სულიერი განწმენდის, ამაღლების მთავარ გზად: „წამოვიხუროთ ერთი ფარაჯა, ისიც შევინდოთ, ვისაც ვაგინეთ. შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად და მე კი ბუდას მოჯამაგირედ“ (გაქვავება. ლექსო ივანიშვილს) (20,59).

ლოცვა და მისტერიებით თრობა, სულის სიწმინდის გადარჩენა ბუდასთან არის დაკავშირებული ლექსში „შეხვედრა. თამაზ ჩხენკელს: „...ბუდას ლოცვებით ვინც გადარჩება, მისტერიებით ის დაითრობა“ (21, 122).

მისანს, მისტერიებთან ზიარებულს ხილულის, სამყაროს გაღმა არსებული საიდუმლოების წვდომის უნარი მომადლებოდა: „...სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც, ჩაფიქრებული, როგორც მისანი“ (დარდი ბუხართან) (22, 52).

სულის ცხოვრების გზად ისახებოდა „მთების ზვავივით ანთებული ლოცვები“ (22, 110-111).

არც გველით მისნობა, წარმართულ სიბრძნესთან ზიარება იყო პოეტისთვის უცხო: „მაღალ სიმშვიდეს ასე შეშლის გველით მისნობა“ (შეხვედრებიდან) (22,178).

თითქოს ასურეთელი მოგვი იყო გაბრძნობის ერთ–ერთი წყარო: „...ჩამოივლის ვიწრო დაღმართებს ჩრდილთა ასურეთელი მოგვის დარი ფარეში“, „კაცი მატიანე“ (ჩემი გულთამხილავი) (20, 129).

„რეკავ იდუმალ ზარებს... შენ რომ მრევლი გყავს, ისე ამოდის, როგორც შერისხულ მლოცველთა გროვა, იწყება ქმუნვა მორთხმული მოგვების და შორიახლო ავდრების გლოვა“, მიმართავს პოეტი ერეკლე ტატიშვილს და აშკარაა, რომ არც მლოცველებს, არც ბრძენ მოგვებს არ სწყალობს დრო, ისინი ქმუნავენ არსებულ ვითარებაზე, პოლიტიკურ ავდრებზე და მოგვების საშუალებით ეზიარებიან სხვათავის, გულით ბრმა და გონებადახშულთათვის, მიუწვდომელ–შეუცნობელს (ერეკლე ტატიშვილს) (27,102-103).

მღვიმეებში უზენაესთან ვედრებისთვის შეყრილან, რეკავენ „იდუმალ ზარებს“, „აღთქმულ ბილიკებს“ მიჰყვებიან ღაღადით, წმინდანების თანხლებით „გული და ჯანღების“ პერსონაჟები (20, 70-71).

„მარადისობის მღვიმეებია“ მარადიულ ქეშმარიტებებთან ნაზიარებთა სულის სადგური (სამხარზე) (20,33).

ღვთისმშობლის ხატთან მავედრებელი, მისნის მომლოდინე დედა არის პერსონაჟი ლექსისა „ნახული“ (22,121).

„ანთებულ სანთლების წინ... მისნობა, ... „ლექსი, ცა და მარადისობაა „პოეტის ხვედრი (ასეა მარად) (22,134).

„მისტერიები... ამორძალებად“ დაჰყვებიან პოეტს (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (22, 269).

არც სპირიტუალისტ ფლამარიონის ხსენებაა შემთხვევითი:“ „...ფლამარიონი როცა კვდებოდა, მიწაც გაქრება, ასე უთქვია“ (შეხვედრები დღის ბოლოს ვასო მურვანიძე) (22, 123).

პოეტი „ქვესკნელს“ თვალს არ არიდებდა, მღვიმეში დაოსებულიყო შემოქმედებით, თითქოს გამოქვაბულის, „მუნჯი მარადისობის“, „მარადისობის მღვიმეების“ მკვიდრი გამხდარიყო (საღამო და განწყობილება) (22,153).

მისტიური ქეშმარიტების სიყვარული ვლინდება ნიკო სამადაშვილის ლექსში „სიმღერები გამოქვაბულიდან“. „...გარეთ ირმები წყაროს სვამენ თეთრი ბარძიმით“ (22, 195).

წყარო საღვთო სახელია. ღმერთი არის „წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35,10).

ბარძიმი, „იგივე გრაალი, თასი, „კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, ღვთისმშობლის მეტაფორაა“ (5, 38).

„მარადისობის პაპანაქება“ უხმობდა მსოფლიო სიბრძნის გამთავისებელ ერეკლე ტატიშვილს (22,147).

ქაოსებში შუქი დაეძებდა პოეტს, გესრიმანიის ფრინველები დასტიროდნენ, ჯვარცმა ელოდებოდა, რაც აღდგომით უნდა დამთავრებულიყო (აღსარება) (22,67).

ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა, ათასი წლების ზუზუნი, ღამის მაჯისცემა, ქვესკნელთ გალობა, ტყეში ვერხვების გვემა, „გუბე-გუბე განგების ჩრდილს“ ახედავდა (თამარის მღვიმე) (22,68), „უჟამო სივრცეს“ შეჰყურებდა (სინათლის მიმოქცევა) (22,241-249).

მისტერიებით განწმენდილს, სულიერი ხედვა, ნათელსმენის უნარი გამოარჩევდა, ზეციური ნათელი ემოსა, სასუფეველში დამკვიდრების რწმენა მხნევებდა (სასუფეველში რეკდნენ დიდ ზარებს) (22,187), ძე ღმერთის მოვლინების

იმედი ასულდგმულებდა (ფიქრების იქით) (22,108).

ინდური ფილოსოფიის მიხედვით, „სიცოცხლეს მისტიკური ძალები გააჩნია. უფლის მისტიკური ძალის აღიარებამდე, სიცოცხლის წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. სასიცოცხლო ძალას მისტიკური ენერგია აქვს... ღმერთს დიდი მისტიკური პოტენცია აქვს... ცოცხალ არსებაში ბევრი მისტიკური ძალაა... მისტიკური ძალის რეზერვუარი ღმერთია (24,58,59,61,135).

დამოწმებანი

1. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა, თბ. 1994
2. რუდოლფ შტაინერი, ანთროპოსოფია და ქრისტიანობა, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბელქანიამ, „აწმყო“, თბ. 2002
3. ოტო ფრენკლ–ლუნდბერგი, რა არის ანთროპოსოფია, თბ. 1995
4. რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები, თარგმნა მიხეილ ნიშნიანიძემ, „პითაგორა“. თბ. 1994
5. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, წერილები, ესეები, „ხელოვნება“, თბ. 1991
6. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ლ. მესხია, „კოგიტო“, თბ. 2014
7. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. „პითაგორა“, თბ. 1996
8. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, წიგნი თარგმნა და გამოცემისთვის მოამზადა თ. თავაძემ, თბ. 2011
9. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი,თბ. 1991
10. იოჰან ვოლფანგ გოეთე ლექსები, თარგმნილი ხარიტონ ვარდაშვილის მიერ, „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1952
11. რაბინდრანატ თაგორი, გიტანჯალი, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2006
12. კონსტანტინე გამსახურდია, გოეთე თუ მისტიკოსი, ჟ. „ილიონი“, 1922წ. №1
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი,თბ. 1941
14. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
15. კონსტანტინე გამსახურდია, დავით აღმაშენებელი, „პალიტრა L“. თბ. 2011
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, თბ. 1989
17. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, „ქართული თეატრი“, თბ. 1991
18. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
19. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
20. ნიკო სამადაშვილი, წუთისოფლიდან უკვდავებამდე „ნაკადული“, თბ. 1989
21. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
22. ნიკო სამადაშვილი ქართული პოეზია, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2010
23. როსტომ ჩხეიძე, ესე იტყოდა ერეკლე ტატიშვილი, „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2018
24. სიცოცხლე მოდის სიცოცხლისაგან, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა. ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპადა, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი აჩარია, თბ. 1990

ხათუნა ელიაშვილ–ჩიმაკაძე

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!
რა ენა აღსდგეს, ერი ამაღლდეს!

სა–ქარ–თ–ველო! – ანუ ქარის ენერგიას მიუთითებს! და ეს ველიაო! რთველიაო!

სა–ქარ–თ–ველო – ქარის რთველიაო, დართული, მორთული, ამავე დროს რთულიაო, ანუ უამრავიმინიშნებაა ჩადებული აქ.

სიტყვა ქართული არის სამგანზომილებიანი და ამიტომ ქართულ საუბარს უფრო მეტი ძალა აქვს და სამებას შეიცავს. აქ იმ ძალთა ენერგიაა, რომელიც ღვთიურს უტოლდება, გამოდის და ეფინება სივრცეს.ეს ის ძალაა რაც სხვა ენებს აკლიათ.

დრო ფარდობითია ანუ გაფართოვებული, თან ფარ –საფარველია, ფა – ნოტია და დო –ც ნოტია, ფა–რ–დო–ბი–თი(ტი)ა.

და არასდროს არაა გვიანი!

საქართველო, ქართველი, – ანუ მართველიაო! – ქარიაო, ველიაო, ჟანგბადია, სულია, ანი, – ბანი, – ჟანი, ჟ – ან გ – ბადი, – თან ადიო, და დაბადეო, ანუ ამ ბგერების მეშვეობით ადიო!

რადგან თვითეული ბგერა, – ასოა, ქართულია, მნიშვნელოვანია და უდიდეს ენერგეტიკას ატარებს, ასომთავრულიაო!

ასო მთავარიაო!

ასო მთავარიაო, მთვარეც მთავარიაო და აქ დამალული სიბრძნეა ჩაბუდებულიო!

ჩა–ბუ–დებული ანუ ბუ სიბრძნეა და იქ დებულია, დადებული.

და რაც რთულია ძალიან მარტივი ყოფილა. ამ სი–რთულეში საოცარი სიმარტივეა.

რთული დართულია, მორთულია, სი–ნოტია, ანუ სიტყვებს აქვს სხვადასხვა განზომილება, ზოგი სი–ცოცხლესთანაა კავშირში, მაგ. ხე.

მც–ხე–თა. ხე–თა. ახ–ალ–ცი–ხე. და ასე შემდეგ.

ზოგი მუსიკალურ ბგერებს შეიცავს, ჰარმონიაშია შესული ნოტებთან.

ქ რ ი ს ტ ე ! ქრის–ტ–ეო!

ანუ მნიშვნელოვანი ბგერა „ტ“ რომელიც უსასრულობის შემცველია, მის სიღრმეში დაუსრულებელი ინფორმაცია დევს, ის განიზომება როგორც სივრცე, როგორც უსასრულობა, როგორც ტანჯვასთან ნაზიარები სიბრზნე. რუსული ბგერა ტ–ს კი ჯვრის ფორმა აქვს.

ქრის–ტ–ეშობა, ანუ შობეო, შენს შინაგანში აწარმოვე ეს ენერგიაო, ეს „ტ“ ღვთიური ენერგიაა და შეივსეო.

მარადიული მოძრაობაა საჭირო. მარადიული და სიტყვებისა და ბგერების ღვთიური გაგება, აღთქმა, სწორი მიმართულების მიცემა, რადგან სამყაროში უარყოფითი ენერგია არ არსებობს,ამას მხოლოდ ადამიანის არასწორი ხედვა ახდენს, ამდაბლებს და უარყოფით მიმართულებას აძლევს გონებიდან.

ცოდნა გამარჯვებაა!

გა–მა–რჯვება! – მარჯვნივ მოძრაობაა!

როგორც კი გა–და–ლა–ხავ ზეცის საზღვარს, ზე – სიმაღლეა და ცი ენერგია!

ერთარსი ხდები სრულიად სივრცის.

შემოქმედი ღმერთი! – ანუ შენ მოქმედი ღმ–ერთი!

ს–ხე–ული, ანუ სხეული „ხე“ ყოფილა. და მას უნდა მოვუაროთ! ს–ხე–ული. ს – ბგერაა, ასოა.

ტ–ანი! – „ტ“ – ანიაო! და მთავარიაო!

სა–ტ–ანა, ტანში მყოფი უარყოფითი ენერგიაა, მასზე მინიშნებაა მითითებული.

ხე–რ–ხე–მალი! – აქ ორი ხეა და სიცოცხლის უკვდავებას მიუთითებს, მალი კი მალაა და დამალულ სიცოცხლეს ინახავს.

დუ–მალა! დუმსოო მალა, და ეს დუმალა მდინარეა დასავლეთ საქართველოში.

განზომილება ღვთაებრივი, უნივერსალური და უმაღლესი, ქართული ენა! ენა მეტყველი.

უ–კვდ–ავი ! ანუ თუ უკან ივლი ავიაო!

სრულყოფილი, სრულ–ყოფნაზე, უსა–სრულ–ობაზე მიგვანიშნებს.

სამების, სამს – ები – ზეა საუბარი!

უსასრულობის სამყარო ელია!

ღვთის თანა–შემო–მქმედი ხარ შენ! ანუ შემო ქმედებაში, შენ შენივე სხეულში ქმნი ღმერთს. ბგერების გააზრებით.

ბრწყინვალე, ბრ–წყინ–ვალე, ანუ გაბრწყინება ვალი ყოფილა, თვითეული ჩვენთაგანის ვალი, სინათლეში შესვლა,ყველა ჩვენთაგანისათვის აუჩილებელი განძი.

ცნობიერების მარცვალი. ცნობი–ერების მა–რ–ც–ვალი. აქაც ვალზეა საუბარი. და ეს ერების ვალი ყოფილა.

გათვალისწინებული. გაი–თვალ–ის–წინეთო! ანუ თვალით ხედვას და წინ დაყენებას მიუთითებს.

სი–ტ–ყვა! ანუ სე–ტ–ყვაა! ტ–ყვიასავით მაგარია. ტ – ყვესავითაა ანუ ტ – სეტყვაა, ყვებაო, თქმაა, ლაპარაკი!

მთელი სამყარო ცნობიერებაზე დგას, არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც წინ აღუდგეს ცეცხლოვან ცნობიერებას,

ქ–ალი, რძ–ალი, ც–ალი, თვ–ალი. „ც“ ალი ყოფილა.

სამყაროს თანაშემწე ლოგოსია.

დიდება ქეშ–მარი–ტ–ებას ანუ დიდება – ტ–ს ებაო!

ზე–ცა შევაერთოდ დედამიწასთან, ანუ უფრო სრულყოფილი გავხადოთ! სინათლეში შევავსოთ.

ღვთაებრივი სიბრძნე.

ენითაუწერელი! ენით–აუ–წერ–ელი. ელოდე ამ აუ–მსო. ენა აუმს წერს.

ქრის–ტ–ი–ანი! ანუ – „ტ“–ანი ყოფილა და ქრის თურმე.

ქრის–„ტ“–ე–შობა და ის თურმე იშობა. უნდა შობო ეს „ტ“–ანში.

ჭკვი–ანი, და ეს ანი ჭკვიანიც ყოფილა! ჭკუასთან აქვს კავშირი და საწყისია ან–ბან–ის!

ქართული ენა არის შრე, წრე. შიდა წრე.

ი–წა–მე. ე–წა მე. ანუ ტ–ანჯვის გზას დაადექიო.

სიტყვას ააქვს ორი შრე.

კა–ცი ანუ კა ღმერთია, „ცი“ კი ენერგია. თესლთანაა დაკავშირებული.

ქ–ა ლი კი ქვე–ყანა, ცეცხლი, გო–ნი, ცნობიერება, სიბრძნე.

ც–არიელი, ანუ ცა არეალი ყოფილა, ცის სივრცე, თვალთახედვის არე, კლასიკური განზომილება.

ტ–არიელი. ისევ მნიშვნელოვანი „ტ“

რ–ელ–იგია! ე.ი. „რ“–ელ= სინათლეა .

ტ–ვინ–ი! ტ–ვინ–ში, ასო მთლიანად შედის ორგანიზმში

ორ–გან–ი–ზმ–ში, ცოდნის ძიებაში სიტყვა საშუალებას იძენს სულიერ განზომილებაში, სიტყვის ზემოქმედება აქ სხვა ძალას ი–ძენს, ე. ი „ი“ ძენია, ძენი კი მაღალი ცნობიერება. „ი“ – ასოა!

წინა–დადებაში გან–ვითარება დევს.

სი–ტ–ყვის დონე, ა–სო ანუ სობას ნიშნავს. ჩასობას. „ი“–ესო, ი – ესოვო.

ზე–ცა მე–ტ–ყ–ველებს ქართულად! „ ა“ – „ მე“ და „ტ“ – მეტყველი ყოფილა.

სა–ქარ–თველო, ქარ–თ–ველი, ი–ბერია. ცეცხლია, ი – არები.

სი–კეთე, ანუ სი–აკეთეო. სი კი ნოტია. ნო–„ ტ“–ია. სი – ზეცაა და ჰარმონია.

მი–სი–აა! მისიაა ჩადებული შიგ, ჩაიდო.

თბილ–ი–სი. სითბო ზეცაა და ღირსებაა.

ხე ნაყოფით ხარობს, ისე როგორც დედა შვილით.

წამ – ალი კი წამიერი ალი.

წამ–ი–ერი! წ – ამ – იერი, ცვლილება, ფერის შეცვლა.

გა–ო–ც–ება. ეს გა – ოცს – ებაო. გავოცდი ანუ ოცი გავხდიო. გავხდი.

გახდაზე, ახდაზე, ჭერის ახდაზეა საუბარი. სივრცეზე და ცასთან კავშირია.

გარ–და–ქმნა. შენ თვითონ უნდა ქნააო.

გა–სა–ოც–არი.

კა–პი–ლა–რი. კა – სიბრძნეა, ლა – ნოტი, პი – პირთანაა კავშირში.

გ–ორი, მისტიკური სიტყვაა ანუ გ – ორიაო.

გახსოვდეს ვისი გორისა ხაარო.

ა–ც–რა! გენეტიკური კოდი.

ა–ღმერთია, ც – ციური სხეულები, რა – მზეა.

და ეს სხეული ცი–ური ყოფილა.

„ტ“ ჯვარცმაა. არიელები კი სიცარიელის ამოვსებაა.

სო–ფია. სო – სიბრძნეა, ფია კი საქმელი. სოლომონის სიბრძნე. სოლ – ნოტია, სოლ–ომ–ო–ნ ი.

„ნი“ კიი უნივრსალური ბგერები!

საქართველოს ფე–ნო–მე–ნი, ფე–ნო–მენ–ები. ქალ–და–ველები!

ქ–ალისა და ველის ენერგიებიო!

საკუთარ ღვთაებრივ საწყისს ვცეთ პატივი!

ეთერი. ე თ – ერი, სივრცე და ერი ყოფილა!

წერა! წ – ერა. უნდა წერო, წ – ერო!

ერის საწერი და ბგერებით სათქმელი მეცნიერება!

ღირსება! – ღირსს რომ ება – ო! მასთან უნდა იყო შებმული,დაბმული ც–ო დ–ნა, დეენემია!

ღვთაება – ენა! უსხეულოდ მიიჩნევა,კეთილ სიტყვას განაგებს და მოქმედებაში მოდის სხეულთან მიმართებაში, აშენებს, ეს უხილავი და უსაზღვროა, მარტივი!

ღვთა – ებას უნდა ება და ის დაფრინავს როგორც წერო!

„ღ“ – და „მ“–ში ჩატეული ერთიანობა უსასრულობას განაგებს,მისი კაბალისტიკა აღწევს სრულყოფილებას, ავსებს სინათლით და ბრწყინდება მზესავით.

ს ი ნ ა თ ლ ე! გამოთალეო, აანთეოო, და ეს „სი“ ნოტი გამოიყენეო, ეს ზეცაა!

სხივი ნათელი, სხივი რომელიც ბადებს სინათლეს, სიბნელეს აქრობს, ანუ „სი „ ბგერა ბნელშიც ყოფილა, და ის ნათელში უნდა გადაიყვანო, ჩაკეტილობას ხსნის, და ცნობიერს ა–ღ–ვი–ძე–ბს. ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ს.

უფალი. უ–ფა–ლი. „ფა“– ნოტია. და ის ერთარსია, და ანის – თან ერთად კავშირშია.

ა ნ ი–ს ა და ჰ ო–ე ს და საბამი, დ–ა–ს–ა–ბ–ა–მ–ი, დააბიოო! და დასრულდება ანუ ასრულდებაო.

– მიეცემა მწყურვალს სიცოცხლის წყალი უსასყიდლოდ!

ე. ი. ნაგებობა, შენობა, რომელიც ააშენე – ა ა შენ ეეეე, – მიგითითებს სრულყოფილებაზე და უსასრულობაზე. შენივე აზრით, ეს შენივე სხეულია და დაცულია.

წიაღირსეული! წ –ია – ღირსეული, აქაც ჩვენი „ია“ და აქ ღირსეული ანუ ღირსებას ქონია ადგილი. ეს ჩვენი სხეულია და შიგ წიაღირსეულია დაცული.

წიაღირსეული ბუნებაში იქმნება, მიწის წიაღში, და აქაც ენერგიაა, „მი“ ნოტია! ოქროს ქმნის, ო–ქრ–ოს, აქაც ქროლვასთან გვაქვს საქმე.

ქვა–პატიოსანი! პ ა–ტ–ი ო ს–ანი! ჩვენი „ანი“

მ ა რ გ ა ლ ი ტ ი!

შენ უნდა – რგა – ეს „ტ“ ი. მა–რგა–ლი–ტი!

მე ვარ „ანი“ და „ ჰაე“ დასაბამი და დასასრული, პირველი და უკანასკნელი!

პირ–ველი! და უკ–ანა–სკ–ნელი! უ კ ა ნ ს კ ა ა ნ ე ლ ი ო.

სა–მო–თ–ხე. ხე განვრცობისა, ამ პროცესს სამსა და ოთხს შორის არსებული კავშირისა.

ხე – განვრცობისა, ის აღმატებული მაგალითია ბუნებაში. მიწისა და ცის შინაარსი, მათი ურთიერთკავშირი.

ანუ როგორ ანვითარებს და ათანხმებს ცისა და მიწის ერთობლივ კავშირს, აქ ვითარდება სამოთხის უნივერსალური შეგრძნება და სამყაროს შექმნის მაგალითი.

ირმის ნახტომი!

ვინაიდან ენასთან ბევრ რამეს ააქვს კავშირი, განსაკუთრებული გრძნობადობას და გემოვნებასაც ენა აყალიბებს!

კოსმიური საიდუმლოება ენის მეშვეობით ვლინდება, გემოვნება, ჰარმონია, სიწმინდე გულში ვლინდება, შედის და ამაღლებს ადამიანს.

აზრი ფსიქიკური ენერგიაა,გემოს იჭერს,მერე გრძნობით გაავსებს და ნებისყოფის შენარჩუნება ხდება, მაშინ იშლება და შენ იხსნები.

ე ნ ა – მარჯვ–ენა და მარცხ–ენა ყოფილა. ანუ ენას მიმართულება გააჩნია. ე. ი. მარჯვე, გამარჯვებული და მარც–ხე–ნა, მარცხთან ყოფილა კავშირში.

ი ბ ე რ ი ა! „ი“ – ბერიაო!

სექტემ–ბერი. ოქტომ–ბერი. ნოემ–ბერი. დეკემ–ბერი – ქრისტეშობა!

ანუ აქ საინტერესო მიგნებაა და ოთხ ბერთან კავშირს მიუთითებს, – ოთხი სახარება, ოთხი სიხარული და დიდი სიყვარული ვლინდება, როგორც ყრმის დაბადება!

ენის სადიდებელსა და ერის სიმტკიცეს ვახმოვანებთ! ამ შემთხვევაში იმას რასაც ქართული ენა გვაწვდის არის უნიკალური, ჩვენ უნდა გადავრჩეთ და ჩვენი ღვთიური არსი უნდა იყოს წინ და მაღლა წამოწეული.

აქ ცოდნაა! რომელზეც აგებულია მთელი სამყარო.

ეს სულიერი, „სული ერის“ განზომილებაა.

რადგან სიტყვა მეტყველია და მაინცა და მაინც ქართული ენა გვაძლევს ამის სრულყოფილ სახეს, მითითებულია, რომ ე ს ე რ ი ე რ ი ს ი ო ნ ი ა და ა ქ ი ბ ე რ ი ო ნ ი ა!

განუხორციელებელი ფანტასტიკა, საიდუმლოებაში ჩაძირული უსასრულობაა!

ეს ჩვენ ვაართ და ჩვენი ერის ზე – ზეციური ძალასთან ააქვს კავშირი, აქედან ეძლევა ძალა, ანუ შანსი ერის ქიმ–ერ–იონზე გასვლის.

სიტყვები რასაც გულისხმობს აღნიშნავს მისი აზრის შინაარსს, მეტყველებს და ღირებულია, მისი დანიშნულება კი უნივერსალური.

მუსიკალური ბგერები, ნოტები სასწაულია. ის ქმნის მაღალ ოქტავ ას საფეხურებით, ანუ ნოტებით. დო რე მი ფა სოლ ლა სი.

სიტყვებში შემავალი არის მაღალი განზომილების და ადის მაღლა!

ყველა სიტყვა რაც კი მეტყველებაშია შემოსულია ქართულ ენაში გალაქტიკაა მწარმოებელი.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, მასში ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს, ანუ ენის განვითარებას აფართოვებს, ენა სიწმინდეა და მისი დამკვიდრება აა აუცილებელი. სიტყვებს კი თავიაანთი ცხოვრება ააქვთ , ისინი იბადებიან და ადგილს იმკვიდრებენ!

ანუ მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ვიპოვოთ.

უ–ქიმ–ერ–იონი ციხესიმაგრეა! უმაღლესი ხედვა, ხე – დვა!

სიტყვას ძალა ააქვს!

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი.

მარადიული ნახტომი, – ირმის ნახტომი კი ზუსტად ამას გულისხმობს!

ანუ ამას სიტყვა ქმნის!

მოაზროვნე სული აღწევს ირმის ნახტომს სულიწმინდის ფონზე,

ადამიანი თავისი სულის გასაღებია!

ხე სიცოცხლის შეცნობის ფონზე მიმდინარეობს, სიტყვაში ახდენს საინფორმაციო პროგრამის განხორციელებას და სიცოცხლის გაგრძელებაა.

ხე შემომქმედი ხდება და სიცოცხლეს ანვითარებს ყველა ეტაპზე საკუთარ თავში, ისევე როგორც ღმერთი, სამყაროს უწყვეტი პროცესია ეს!

ყურ –ში ლაბირინთია, ყურ– ძენი აქ შედის. ანუ ძენი ამ ლაბირინთშია.

ძე –ნი – ეს მაღალი ცნობიერებაა და ის მამრი ენერგიაა, ის იძლევა ცოდნას.

ალ–ვიოლა. ალი იოლიაო!

მ–ტ–ევა–ნი – მთელი ადამიანია! მდედრი ევა და ანი, „ტ“–ე. „ნი“ – მაღალი ცნობიერება.

ჟან–გ–ბადი ანუ ჟანი დაბადეო.

ხვ–ავი– სიავეს მიანიშნებს, ასევე თ–ავი, მკლ–ავი, ნაწლ–ავი.

მი–ზა–ნი! სიბრძნესთან მიდის.

ტ–როა ანუ დროა! „ტ“–დროა! ცხენთან გვაქვს საქმე, და ეს არა–ბული ც–ხე–ნი! თვითონვეა დატვირთული მაღალი ცნობიერებით და ხუთი მაღალი გრძნობითაა სავსე, რაც მის სრულყოფილებას ასახავს სამყაროში.

ი–ღბ–ალი.

ვეფ–ხის–ტ–ყაოს–ანი!

ა–და–მი–ანი. ე. ი. ა და მი ანიაო. ი – ორი, აქ ორი „ი“ ყოფილა. ი–ესო! – „ი“ – ესოვო!

ვ–ერ–ძი. ერის ცნობიერებას მიანიშნებს.

ს–აწ–მი–სი. მისი ყოფილა და მუსიკალური განზომილება აქვს. აწყმოსა და ნოტებს მიუთითებს.

მუსიკალურობა, ნოტებში არსებული ენერგიაა.

სიტყვა ძალიან დიდი ენერგიაა, ჩათესვა ხდება.

კავკასიაში ბევრი ინფორმაციაა და–ვა–ნე–ბუ–ლი. კ–ავ–კ–ა–სიაში, სიაში წერია თურმე!

წ–ერ–ო.

მე–დე–ა! მე – სული, დე – დედა, ა – მამა. სულის მოგზაურობა ყველა რელიგიას ივლის, დაკარგული სულიერი მოძღვრება გაღვიძებასა და აღდგენას ემსახურება.

მ ე დ ე ა მითითებაა და ა – ე დ ე მ ს მიანიშნებს.

მზრუნველი. მზ–რუ–ნ–ველი, ველს მიუთითებს და რუ – დან მოედინება.

აღმაშენებელი. აღმა–შენებელი, მითითებაა, შენი ნებით მაშენებელი უნდა იყოვო ა ღ მ ა!

მარ ად–ისობა. საოცრება სიტყვაში. აქ სიტყვა მიანიშნებს რომ „ი“ ბგერა მარად ისობაო.

ცნობიერება იზრდება და გარდასახვა ხდება. ხე–ლოვ–ანი! ხეე, სიყვარული (ლოვ) და ანი!

ბა–გრა–ტ–იონი, ღვთიური ჭარმოშობის გვარია და ყველაფერი მასთან ასოცირდება.

აი–ე–ტი, აი ეს ტი ანუ შენ ხაარროოო! ია–ზო–ნი, – ზონაში ჩამჯდარი ცნობიერებაა. ია–ზო–ნი. ია–ში, ანუ (ია!) – მე–ში. ცნობიერება იების. ამიტომ შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის „აი ია“

აი–ე–ტ–ი ან აი–ე(ს)–ტი. – შენ ხაარროო! ეს ეტლია რომელსაც სრულყოფილებამდე მიჰყევხარ და ამ ეტლს ბორბლები წინ ააქვსო, ანუ წინსვლას გულისხმობს და დროის მარჯვნივ დაბრუნებას, გამარჯვებით სვლას.

მოვხსნათ ჭურჭელს ნებისმიერი სახურავი. ანუ გახსნას გულისხმობს, საათის ისრის საწინააღმდეგო სვლას.

და–კე–ტ–ვა! ჩა–კე–ტ–ვა! ყველაფერი ეს სულიერი კავშირისათვის არის მოგონილი.

კოლ–ხე–თი! ძალიან დიდი სახელია. სა–ხე–ლ–ია.

კოლ–ხე–თი, აქ კოშკებს აგებდნენ ზღვისპირას და იქ მისულ მ–ტ–რ–ებს უმკლავდებოდნენ. უ–მკლავ–დე–ბო–დნენ.

ზე–ვ–სი! ელექტროობაა, სინათლე, ენერგია, მართვა ენერგიის და ეს ენერგია აღწევს გამტარებში. გამ–ტ–არებში!

ზე – ვსი! ანუ ზევით ივსებიო.

ნების უმაღლესი ფორმა ელექტროობაა. აზრი და ელექტროობის მართველი ძალა ქმნის ერთობლიობას სხეულში და სიცოცხლე ნარჩუნდება აქ.

ზე–ვსი ძეობას ახდენს, ზეობას, მზეობა მოდის.

ზე–ვსი ფსიქიკური ენერგიაა. სიტყვის ძალა დიდდება და ივსება.

ქრის–ტ–ე ბგერითი ავსებაა!

ო–რგა–ნო. დარგეო, რგვასთანაა კავშირში, ო – ბგერაააა! და როცა რგვას ისწავლი მერე სიბრძნის გზას აღწევ, ეზიარები, ზ – ე მნიშვნელოვანი ბგერა უსასრულობას უტოლდება, საყურადღებო „ზ“ – ბოლო–ები დაკეტილია, გახსენითო! გახსნას ექვემდებარება.

„გა“–ხსნაააა!

როგორ ვწერთ ‘ზ“ ს ? ზე– ვსი – მ ა ღ ლ დ ე ბ ი.

ქ–რისტე–ტ–ანია.. ქრის–ტ ი–ანი კი შენ თვითონ ხარ. სა–ტ–ანა, ტ–ანის მდგომარეობაა და ა–ტ–ანას ექვემდებარება.

ჩვენი მისია ცოდნის გამოტანაა. გა–მო–ტ–ანა. შიდა განზომილებიდან გარე განზომილებაში. მისი გზიდან გადახვევა არ შეიძლება, თუ კი ცნობიერი გახსნილია ტ – ანჯვა აღარაა საჭირო.

ცოდნა მზარდია, მდიდრდება ის ვინც იღებს ცოდნას.

ენა. მა–ტ–რი–ცის ოკეანეა, სიყვარულს ატარებს, სამებაა!

მა–ტ–რი–ცა! ზეციური კავშირი, ჩავწვდეთ და მის წიაღში ჩავიძიროთ.

სიტყვები რომელსაც განვიხილავთ უმთავრესია! ეს სიტყვა მთ–ვარ–ეს უკავშირ-დება და ის მთა–ვარ–ია. მთავარი ვაარ მე ანუ ჩვენ.

ყვა–ვი–ლე–ბ–ი, ბგერების მუშაობა შიდა სხეულში მიმდინაღეობს, ყვ–ავი–ლები, უნდა ჩასწვდე ამ სიტყვას თორემ ავია. ყვ–ავი ყველაზე გო–ნი–ერი, მო–აზრო–ვნე და სიკეთის მომ–ტ–ანი ფრ–ინ–ველი–ა! ბგ–ერა „ინ“ მფრინავი ველი ყოფილა.

ეს ორი სიტყვა ყვავი და ყვავილები ურთიერთკავშირშია, თან ყვავი შავია და მის სიშავეში იმალება სილამაზე და ბზინვარება.

გახსნილი ანა–ტ–ომი–ა სამ–ყა–რო–სი ენის და სი–ტ–ყ–ვის

ატმო–სფერო. ატომი ფ–ერ–შია, შემო–ქმე–დე–ბა,

დე–და–მი–წა.

ი–ბერ–ი–ული ღმერთების ენაა, ვითარ–ცა გო–ნე–ბა და სიყვარული, ზე–ცა სა–წყ–ი–სი და ღვთიშობელი კი მისი გული.

აღმოჩენილი ფეს–ტ–ოს დის–კოც ქართველთა ენაა, სულია, გულია დაა ფესვია! ფესვიი – „ტ“– ს!

ნა–ც–არი, რაც – არი!

პირ–ველი ანუ პირი ველიაო!

სიტყვა მოგზაურია!

სიტყვის ძალა ადამიანის არსებობაში იმ დონეზეა რაც ადამიანი. მისი შინა – არსი – ყოვლისმცოდნეობაა, სიტყვის მადლით შინაგან სივრცეში ვხდებით წარმატებულები, ჩვენივე აზრით ხდება ცვლილება, ადამიანი არის სიტყვა და იდეა ,აზრი კი გრიგალია!

შეიცან თავი შენი!

როგორც ჩ ა ნა–სა ხი ! საინტერესო მიგნება, ჩანა პირის ღრუშია, ნაწილი სახის. აზრიც უცებ ჩნდება, აზრის შედეგი კი მიზანმიმართული აზროვნებაა, მიზანი კი ევოლუცია კაცობრიობის!

აზრი უმაღლესი თვისებაა და უნივერსალური ენა ჰარმონია.

მანანა კვატაია

ეროვნული იდენტობის მითოსური რეფლექსირებისათვის

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის მითოლოგია განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს. არქაული საზოგადოებისათვის მითი „ნამდვილი ამბავია“ (მირჩა ელიადე). მითი არის კომუნიკაციის სისტემა, შეტყობინება, ფორმა, აღნიშვნის საშუალება. მას, როგორც ორმაგ სისტემას, ყველგანმყოფობა ახასიათებს (რ. ბარტი). მითი „არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“, – სალუსტიუსს ციტირებს გრიგოლ რობაქიძე, რომლის დეფინიციით, მითი კოსმიური მოვლენაა, ხოლო მითოლოგიური რეალობა არის უთუოდ მეტი და აზროვანი, ვიდრე ისტორიული. მითოლოგემათა დისკურსის ანალიზი ამა თუ იმ ერის იდენტობის სიღრმისეულ ირაციონალურ საწყისებსაც გამოავლენს. ნიკოლაი ბერდიაევი ერს „მისტიკურ ორგანიზმს“ უწოდებს, რომელიც რაიმე რაციონალურ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. ამავე დროს, არ შეიძლება ეროვნულობის ამოგლეჯა კონკრეტული ისტორიიდან (ბერდიაევი. „ერი და კაცობრიობა“).

ერის ნაციონალური იდენტობის, მისი კულტურულ-ცივილიზაციური ინდივიდუალობის დამახასიათებელი ნიშნების სისტემური კვლევა კომპლექსურ მიდგომას ითხოვს. ზურაბ კიკნაძის განმარტებით, „იდენტობა რეფლექსიის საგანია“ და, თუ ეს საგანი მეტაფიზიკის სფეროს ეკუთვნის, გარკვეული პასუხი შეიძლება არც არსებობდეს. მაგრამ, თუ საგანს ემპირიულ სინამდვილეში გადავიტანთ, იგი დაექვემდებარება როგორც ისტორიულ, ანუ მისი ეთნოგენეზისის კვლევას, ისე ფილოსოფიურ-ეთიკურ, კულტუროლოგიურ შესწავლას. „ყოველი ერი უნიკალურია ისევე, როგორც უნიკალურია პიროვნება.. ამ უნიკალურობით ხდება გადასვლა „სხვაში“, სხვა უნიკალურობაში, „შენში““ (კიკნაძე 2018: 22). ყოველი ერის გამორჩეულობის რთული პარადიგმის აუცილებელ კომპონენტად შეიძლება განვიხილოთ მრავალსაუკუნოვანი მითოლოგიური არქეტიპები, რომელთა შესწავლა საშუალებას იძლევა, დადგინდეს ერის იდენტობის ფორმირებისა და საზოგადოების მენტალური ტრანსფორმაციის კონცეპტუალური მარკერები.

ქართულ იდენტობასთან დაკავშირებული უძველესი მითოლოგიური არქეტიპები თავის თხზულებებში შემოქმედებითად გადაამუშავა გრიგოლ რობაქიძემ, რომელიც უცხოეთში ემიგრირების შემდეგ იდუმალებით მოცული ატლანტიდის ლეგენდით დაინტერესდა და ქართულ სამყაროსთან მის სავარაუდო კავშირს რიგი თხზულებები უძღვნა. რუდოლფ კარმანის თქმით, ქართველი მწერალი ევროპაში თავს ატლანტების შთამომავალ „ძველთაძველ დასავლეთელად“ წარმოადგენდა, საკუთარი რეფლექსიები კი რობაქიძემ გადმოსცა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ თხზულებაში „ატლანტური ზმანება, ანუ ქართული მითოსი“. ამ ესეში გატარებული ყოფილა აზრი, რომ თავისი კულტურის სტილით საქართველო ატლანტურ-მედიტერანულ მაგისტრალს ეკუთვნის და მას ფესვები ამ უძველეს სამყაროში აქვს გადგმული.

ატლანტიდა – პლატონის დიალოგებიდან ცნობილი, ერთ ღამეში გაუჩინარებული მითიური კუნძული, არქიპელაგი თუ კონტინენტი დღემდე მრავალსაუკუნოვანი იდუმა-

ლების ბურუსითაა მოცული. ლეგენდის ერთ-ერთი ინტერპრეტაციის მიხედვით, ატლანტიდის კატასტროფა ძველი წელთაღრიცხვის მე-16 საუკუნეში კუნძულ სანტორინიზე მომხდარ ვულკანის ამოფრქვევას უკავშირდება. არსებობს ვარაუდი, რომ პლატონის ატლანტური რეფლექსიები სწორედ ამ მოვლენას უნდა გულისხმობდეს. ლეგენდის მსგავს რეცეფციას იზიარებს გრიგოლ რობაქიძე წიგნში „მუსოლინი“, სადაც ტირენეს ზღვის სანახების ნაირგვარ ფერთა შორის დალანდავს ატლანტური სივრცისათვის დამახასიათებელ, გამორჩეულ – “ოქროს და სპილენძის მადნის“ – ფერს.

„მუსოლინის“ იმ თავში, რომელსაც „ატლანტიდიდან მობერილი სიო“ ეწოდება, იტალიის თვალწარმტაცი სანახები მსუყე ფერებითაა აღწერილი. შემოქმედის განწყობაც მსუბუქი და ამაღლებულია: „ტირენეს ზღვის მარილით დამძიმებულ ტალღებზე თავს ისე გრძნობ, თითქოს ნაოჭებდაყრილ, მოშარიშურე აბრეშუმზე იწვე.. ტალღა ტალღაზე გადადის.. შეუმჩნევლად გიახლოვდება უსასრულობა“ (რობაქიძე 2010: 51). შემოქმედი ტირენეს ზღვის შემოგარენის ნაირგვარ პალიტრას აკვირდება და ზღაპრული ლანდშაფტით ტკბება. მის წინაშე თანდათან უცხო კოლორი გამოკრთება: „ნელ-ნელა, ფარფატით უჩინარდება საოცრად მშვენიერი, მოკიაფე ფერი, მზეს მიფიცხებული ხოჭოს მომწვანო-მოოქროსფრო ზურგს რომ მომაგონებს“ (რობაქიძე 2010: 53).“ოქროს და სპილენძის მადანი“, – უეცრად გაუელვებს რობაქიძეს, ეს რჩეული ფერი მისთვის ატლანტიდის ტაძრის სვეტის ფერია.

მწერალს ანაზდად „პლატონის საოცარი მონათხრობი“ ახსენდება: ატლანტიდის მეფეები, ლიბიის შიდა ზღვის ქვეყნებიდან მოყოლებული, ეგვიპტეზე, ევროპაზე და ტირენეზეც ბატონობდნენო. რობაქიძეს აოცებს განსაკუთრებული ნაერთი: რომელიღაც უცნობ ლითონთან შედუღებულ ოქრო, „რაც მას უჩვეულო სიმტკიცეს სძენს, უპირველეს ყოვლისა კი, მზის სიკაშკაშეს ანიჭებს“. ბრეტანის, ატლასიისა და სამარიის დოლმენურ სამარხებში აღმოჩენილი საგნების პატარ-პატარა ნამსხვრევებიც თურმე იმავე მზიური სიკაშკაშით გამოირჩევა.

ტირენეს ზღვის პირას, ათასწლეულების შორეული იდუმალების სუნთქვას მიყურადებული მწერალი მზის ჩასვლისას სინათლის მისტერიაში თითქმის უჩინარდება და უეცრად ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს თავადაც ვიღაც სხვა იყოს. „ნუთუ ჩვენ ჩვენივე თავის უკანასკნელ გამოცანას წარმოვადგენთ?“ – მედიტირებს იგი და ანაზდად ყურში ჩაესმის ხმა: „არარაისაგან მოვლინებულს, ხომ შეიძლებოდა, საერთოდ არ გეხილა მზის სინათლე“-ო; რობაქიძისათვის უმალ ნათელი ხდება: „მე რომ „ვგიებ“, განა ამაში არ იმალება საიდუმლო?.. დიახ, მე ღმერთის ხელით ჩემივე თავისთვის მიძღვნილი ძღვენი ვარ.. ღმერთი ქმნადობის პროცესში საკუთარ თავს უძღვნის სამყაროს“ (რობაქიძე 2010: 53).

„მუსოლინის“ ავტორის მეხსიერებაში წამოტივტივდება ატლანტის ოკეანის წიაღში ნაპოვნი, უცნობი ლითონისაგან ჩამოსხმული დაფა – „ატლანტიდის კანონთა სჯული“, რომელზეც რვაქიმიანი ჯვარი ყოფილა ამოტვიფრული. ვულკანური ლავითა და ძველისძველი ჟანგით დაფარულ არტეფაქტზე გამოსახული რომელიღაც ცხოველის ბუნდოვანი კონტურები მწერალს აფიქრებინებს, რომ „ეს მახვილით განგმირული საზორველი ცხოველი უნდა იყოს“. დაფის იდუმალი წარწერა კი ასე გაუშიფრავთ: „ძე

ღვთისა ადამიანებისთვის მოკვდაო“. გრიგოლ რობაქიძე აანალიზებს ამ ენიგმას და კითხულობს: „განა ეს ღმერთის თავგანწირულობაზე არ მიგვანიშნებს? დიახ, ღმერთი საკუთარ თავს სამყაროს უძღვნის. ადამიანში ზეპიროვნული პიროვნულ გამოხატულებას ჰპოვებს.. თითქოს ღმერთი გადიოდეს სამსხვერპლო გზას ადამიანისკენ“ (რობაქიძე 2012: 53).

„ატლანტიდიდან მობერილ სიოში“ მოთხრობილია ატლანტთა ათ მბრძანებელზე, რომლებიც ოქროთი და სპილენძით მოპირკეთებულ პოსეიდონის ტაძარში საქვეყნო საქმეებზე სამსჯელოდ 5-6 წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ, რათა გაერკვიათ, რომელიმე მათგანს რაიმე გადაცდომაში ხომ არ ედებოდა ბრალი. ავტორი დინამიურად აღწერს ცხოველის მსხვერპლად შეწირვის ცერემონიალს: ოდენ ჯოხებისა და ქამანდების მეშვეობით დაჭერილი ხარი მეფეებს ტაძრის სვეტზე აჰყავდათ და იქვე, წარწერის თავზე, კლავდნენ. მბრძანებლები შეწირული ცხოველის ყველა ნაკვთს ღმერთს სწირავდნენ და ფიცს სდებდნენ, არ დაერღვიათ კანონი, შემდეგ კი საზორველი ხარის სისხლს სვამდნენ. ღამე რომ ჩამოწვებოდა, ატლანტთა მეფეები ულამაზეს, ლურჯ სამოსს იცვამდნენ, საზორველი ცხოველის ახლოს სხდებოდნენ და მთელი ღამე ყველა გადაცდომილს ასე განსჯიდნენ. გამთენიის ჟამს გამოტანილ განაჩენი ოქროს დაფაზე ამოიტვიფრებოდა. ატლანტიდის მბრძანებელთა კანონებს შორის გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებით გამოყოფს კანონს, რომელიც მეფეებს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას უკრძალავდა და ერთმანეთის თანადგომას ავალებდა.

რობაქიძის შეფასებით, პლატონის „მონათხრობის ენა იერატიკული ენის შთაბეჭდილებას ახდენს და თაურდროების შორეთიდან მოღწეული ჩურჩულივით ჩაგესმის ყურში. წინადადებები ყოფით ენას გვაგონებს, სადაა და შეულამაზებელი; მაგრამ მათი მეანდრული ხვეულები ეთერულად მოფარფატე ქსოვილში იჭერენ საიდუმლოს“. ატლანტების მითიური სამყარო მწერალს ფილოსოფიური განზოგადებისაკენ უბიძგებს. ის ნათლად წარმოიდგენს, თუ რა გზას გადის ადამიანი ღმერთისკენ: „ეს იგივე გზაა, ოღონდ პირიქით: პიროვნულიდან ზეპიროვნულისკენ მიმავალი, განა ის წმინდა წარწერა: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდაო“, ატლანტიდის ტაძრის სვეტზე ამოტვიფრულ კანონთა სჯულის განმეორება არ არის? დიახ, ღმერთი ჯერ ეწირება ადამიანს, შემდეგ კი ადამიანს მოაქვს თავი ღმერთისთვის მსხვერპლად“ (რობაქიძე 2012: 51).

ქართველი მწერალი თხზულებაში ორიგინალურად აანალიზებს მითიურ ატლანტთა ბუნებაში ღვთიური და ადამიანური საწყისების მიმართებას: „დიახ, ატლანტიდელი ადამიანები, სახელდობრ კი, „ღვთიური ადამიანები, andres theoi, მაგრამ მაინც ხომ ადამიანები იყვნენ!“ – შენიშნავს იგი და საკუთარ დასკვნას ამგვარად განაზოგადებს: „პლატონს სურს, დაფარულად მიგვანიშნოს იმაზე, რომ ადამიანი ორი შესაქმეს მებოძირზე დგას: საკუთრივ ადამიანურისა და ღვთაებრივისა; ამ კვეთის არსებობა ადამიანს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს“ (რობაქიძე 2010: 53). რობაქიძის შეხედულებით, თვით ატლანტებმა ეს დაივიწყეს, „მათ დაკარგეს არსებულ მდგომარეობაში ყოფნის უნარი და გადაგვარდნენ“. მწერალი გლობალურად აფასებს პლატონისეულ ატლანტურ თეორიას და შენიშნავს, რომ საზოგადოდ ბერძენ ფილოსოფოსს ატლანტიდის სულიერი ფენომენი უფრო აინტერესებს, ვიდრე მითიური კუნძულის ნამდვილობის საკითხი.

ირკვევა, რომ ატლანტურ ენიგმას და ქართულ სამყაროსთან მის მიმართებას გრიგოლ რობაქიძემ სხვა თხზულებებიც უძღვნა. 1962 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან დაწერა ვრცელი ესე Pro domo sua, რომელიც პირველად 2011 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა. ამ ტექსტში ნახსენებია რობაქიძის ჯერჯერობით უცნობი, დაუმთავრებელი რომანი „ატლანტური ზმანება“ და მოტანილია მისი გმირის Mister Weston-ის სიტყვები: „ყოველი ცხოვრების წესი წამის განცდის მიხედვით უნდა გაიზომოს“. როგორც იმავე Pro domo sua-დან ჩანს, რომანის გმირი ერთმანეთს ადარებს წარმართებისა და ქრისტიანების მსოფლაღქმას: „წარმართი წამს ტოტალურად განიცდიდა, ეს ნიშნავს: ღვთაებრივად, მთლიანად. მაგრამ იგი გაბრაზებული ხედავდა, რომ წამი წარმავალია. ამიტომ ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, უფსკრულისებური მელანქოლია აწევს. ქრისტიანობა ადამიანს აღუთქვამს, რომ წამში მარადიულია დაუნჯებული. აღთქმა არ ახდება, თუნდაც წინმსწრებად“ (რობაქიძე 2012: 61-62). ირკვევა, რომ Mister Weston კიდევ ერთ მენტალურ სივრცეს გამოყოფს: „ახალი შემობრუნება... Homo americanus“, რომელიც „წამს ისევე ტოტალურად განიცდის, როგორც წარმართი, მაგრამ იგი ყოველგვარი ნაღველისაგან, მელანქოლიისაგან თავისუფალია“. Homo americanus – თანამედროვეობის ადამიანი“.

„მსოფლიო ლიტერატურის დოღის ცხენი“ უწოდა მარსელ ბრიონმა გრიგოლ რობაქიძის რომანს „მეგი – ქართველი გოგონა“, რომლის თავდაპირველი სათაური „მედეას ნაწნავები“ ყოფილა. რუსულ ენაზე დაწერილი თხზულება საქართველოდან უცხოეთში ემიგრირებისას გრიგოლ რობაქიძეს თან წაუღია. რომანი მედეას მითის რეინტერპრეტირებისა და თანამედროვე სივრცეში მისი ალეგორიული გააზრების ორიგინალური მცდელობაა.

ბერძნული მითოლოგიით, მედეა გახლდათ ძველი კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის უმცროსი შვილი, ჰეკატეს ქურუმი, მზის ღვთაების, ჰელიოსის შვილიშვილი, რომელიც კორინთოში თავადაც მზის ღვთაებად გვევლინება. მკვლევარი ქეთევან ნადარეიშვილი იმოწმებს პრელერის მოსაზრებას, რომლის მიხედვით, თავდაპირველად მედეა კოლხეთიდან საბერძნეთს ჩასული მთვარის ქალღმერთი უნდა ყოფილიყო, ან, საერთოდ, შუქის ქალღმერთი, ქალღმერთის რანგში აყვანილი. მკვლევარი მედეას მითის კოლხურ, იოლკოსურ, კორინთოსულ და ათენურ ნარატივს გამოყოფს და მათ არსებით მარკერებზე მსჯელობს.

გრიგოლ რობაქიძის რომანში „მეგი – ქართველი გოგონა“ მედეას არქეტიპული მითოსური ხატი მეგრელი მეგის სახეშია განსხეულებული. აფხაზი ეროვნების ასტამური ქალიშვილზე ძალადობს, გოგონა ფეხმძიმდება და შეეძინება ვაჟი, რომლის მიმართ დედას გაორებული დამოკიდებულება აქვს: ზოგჯერ მის მიმართ დედობრივი გრძნობა ეძალება, ხანაც ის სირცხვილი ახსენდება, ამ ბავშვის არსებაში რომ განსხეულდა. ამ დროს ქალი შვილს შემზარავი სახით უყურებს.

ამგვარი გაურკვეველი, ამბივალენტური მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება. ერთ დღესაც მეგი „არაადამიანურმა, ველურმა, პირველყოფილმა მძვინვარებამ შეიპყრო. მარჯვენა ხელი ნაწნავს ჩასჭიდა და ბავშვს ყელზე მიაჭირა“ (რობაქიძე 2013: 90). ბრაზისაგან გონდაკარგული ქალი დროზე გამოერკვია: ბავშვი ამჯერად სიკვდილს

გადარჩა, მაგრამ მეგის ამ არაცნობიერ ქმედებას ტრაგიკული შედეგი მოჰყვა – ბიჭი მძიმედ გახდა ავად და მეორე დღესვე აღესრულა. შვილის გარდაცვალებით შეძრულ მეგის სურს, თავი საკუთარი ნაწნავებით ჩამოიხრჩოს, მაგრამ მფარველი ანგელოზის შთაგონებით ის თვითმკვლელობას გადაიფიქრებს.

გრიგოლ რობაქიძე თავადვე განმარტავს: „ჩემი რომანი „მეგი“ ერთგვარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხეთის მითიური ქალის განცხოველებისა: მედეასი“. ვფიქრობთ, თხზულებაში ამორძალთა ლეგენდის არქეტიპიც აშკარად იკითხება, რასაც რომანის ის თავიც მოწმობს, რომელსაც „ამორძალის წალდი“ ეწოდება. აქ იმ მეომარ ქალებზეა მოთხრობილი, „ძალიან დიდი ხნის წინ რომ დასახლებულიყვნენ ამ (კოლხეთის – მ.კ.) მიწაზე“.

ძველი ბერძნული ეპოსი ამორძალებზე მოგვითხრობს, რომელთა გენეტიკურ კოდს გრიგოლ რობაქიძე მედეას ბუნებაშიც ხედავს. რომანის მიხედვით, იგივე კოდი ახალ დროშიც მეორდება. მითიური მეომერი ქალების მემკვიდრეობითობა იგრძნობა მეგის დედის, ციცინოს სახეში. მეომარი ქალების ამბის მოსმენისას ის კრთება და „ამ დროს პროფილი ამორძალის ნამგალა მთვარისებურ წალდს მიუგავს“. ამგვარი წალდი მეგიმ თავისი ოჯახის კედელზეც შენიშნა: „იგი, უძრავი ქვიდან ამომსკდარი, ცეცხლის ალს ჰგავდა“.

ძიძა მეგის უყვება ამორძალთა მიერ ბავშვების უსიყვარულოდ გაჩენის ამბავს, მათ უსულგულო დამოკიდებულებას საკუთარი ახალშობილი ვაჟებისადმი, რადგან ნამდვილ შვილებად მეომარი ქალები მხოლოდ გოგონებს მიიჩნევდნენ. გრიგოლ რობაქიძის „მეგი – ქართველი გოგონა“ დროთა პირობით საზღვრებს არღვევს და მარადიული ღრებულებების ანატომიას მხატვრულად იკვლევს. რა თქმა უნდა, ამორძალთა მითიურ ეპოქაშიც არსებობდა კანონები, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრს თავის კატეგორიულ იმპერატივს ახვევდა თავს. შესაბამისად, ლეგენდებით გადმოცემული სისასტიკე ალბათ ცხოვრების ნორმად იყო აღიარებული. არავის აინტერესებდა, რას გრძნობდა მეომარი ქალი, როდესაც ის წამიერად საკუთარი ახალშობილი ვაჟის ხვედრს უფიქრდებოდა. გრიგოლ რობაქიძის „მეგი – ქართველი გოგონა“ დედა-შვილობის ამ უკიდურესი ტრაგიზმის ურთულეს ენიგმასაც იკვლევს. რომანის დასასრულს მეგი ყველასაგან გარიყული, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე, მდუმარე, მიუსაფარი ქალია, რომელიც არავისაგან არაფერს ითხოვს. მას გაცნობიერებული აქვს იმ ტვირთის სიმძიმე, რომელიც მას ბედისწერამ არგუნა.

მედეას მხატვრულ სახეს წარმოუდგენელი ტრაგიზმი ევრიპიდემ შესძინა. მის ცნობილ პიესაში შეურაცხყოფილმა, სასოწარკვეთილმა ქალმა საკუთარი შვილების დახოცვა განიზრახა. აღსანიშნავია, რომ, ტრაგედიის მიხედვით, მედეა განუზომლად იტანჯება: „ახლავე ავასრულებ ჩემს საშინელ განზრახვას და აქედან გადავიხვეწები. მაშ, მტრის ხელში ხომ არ დავტოვებ ჩემს საკუთარ შვილებს? სულ ერთია, მაინც ვერ წაუვლენ სიკვდილს. მახვილი იპყარ, ბედკრულო, მერე კი დაადექ ტანჯვისა და წამების გზას!.. ო, უბედურო, გიყვარს და ხოცავ? ვინ არის ქვეყნად ჩემზე ბედკრული?“ (ევრიპიდე 2013: 59). როგორც ვხედავთ, სიყვარულისა და სიკვდილის კონცეპტების ურთიერთმიმართება პიესაში წარმოუდგენელ სიღრმეებს აღწევს.

მკვლევარი ლეილა თეთრუაშვილი ამორძალთა მითის რეინტერპრეტირებას ხედავს გრიგოლ რობაქიძის დაუმთავრებელ რომანში „ფალესტრა“ (1927) და მიუთითებს, რომ ქართველი მწერლის თხზულებაში პირდაპირ ძევს ჰაინრიხ ფონ კლაისტის გმირი ქალის, პენთეზილეას კოდი“ (თეთრუაშვილი 2003: 39). მართლაც, რომანში კინორეჟისორი ადოლფ უნგარ ამორძალთა დედოფლის, ფალესტრას როლის შემსრულებელს ეძებს და ულამაზეს კავალლას გაეცნობა.

შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში წმინდა გრაალის თქმულებას ძველი კელტური თასის ლეგენდის ქრისტიანული სულისკვეთებით გააზრებად განიხილავენ. ამ თემატიკაზე ცნობილი ტექსტები შეიქმნა (კრეტიენ დე ტრუა, რობერ დე ბორონი, ვოლფრამ ფომ ეშენბახი და სხვა ავტორები). წმინდა გრაალის თასის ლეგენდა ქართული კონტექსტით წარმოჩინა გრიგოლ რობაქიძემ მოდერნისტულ რომანში „მცველნი გრალისა“ (1937). მარიამ კარბელაშვილის ცნობით, 1930-იან წლებში წმინდა გრაალის თემაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი თხზულება შეიქმნა: ჟან კოკტოს „მრგვალი მაგიდის რაინდები“ და გრიგოლ რობაქიძის „მცველნი გრალისა“, სადაც გრაალი საქართველოს მარადიული სიმბოლოა და მას მისთვის თავგანწირული რაინდების ორდენი იცავს. რობაქიძის რწმენით, „საქართველოს გული სამსხვერპლო თასია“. მარიამ კარბელაშვილის ხაზგასმით, „თითქმის ყველა ის მოტივი, რაც გრაალის სიმბოლიკასთან დაკავშირებით კრეტიენთან და ვოლფრამთან გვხვდება, გრიგოლ რობაქიძის მიერ ზუსტ ისტორიულ ლოკალშია მოქცეული“ (კარბელაშვილი 2003: 52). ეს გახლავთ ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისა და ოკუპაციის პერიოდი, რასაც უსასტიკესი რეპრესიები მოჰყვა. ცნობილია, რომ რომანის ყველა პერსონაჟს კონკრეტული, ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ისტორიული პროტოტიპი ჰყავს.

გრიგოლ რობაქიძე „ქართული გრაალის“ მისტიკურ ისტორიას ქმნის, რომლის თანახმად, მაგიური თასი საუკუნეთა განმავლობაში არგვეთის ერისთავთა საგვარეულოს ებარა. იმ დროს, როდესაც რომანში მოქმედება მიმდინარეობს, მისი მფლობელია ერისთავთა ჩამომავალი, თავადი გიორგი. მარიამ კარბელაშვილი დაასკვნის, რომ „მცველნი გრალისას“ მთავარი გმირი ლევან ორბელი პერსევალისა და ვოლფრამის პარციფალის ქართული ორეულია.

„ჩაკლულ სულში“ (იენა, 1933) „თავისი გმირის წამებული გზის გადმოსაცემად გრიგოლ რობაქიძემ თამუზისა და ინანას შუამდინარული მითი აირჩია“, – წერს მკვლევარი მაკო ჯანჯიბუხაშვილი. რომანის მეორე თავში, რომლის სათაურია „მარადქალური“, მკითხველი ეცნობა თამაზის საყვარელ ქალს, რომელმაც შემდგომში სატრფო ქვესკნელიდან უნდა იხსნას. მ. ჯანჯიბუხაშვილის თქმით, „განწილული ღმერთის კვალად აღდგომის მისტერიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მარადქალურ არსებას, რომელიც ზოგჯერ სატრფოა, ზოგჯერ და, ზოგჯერ დედა, ხოლო ზოგჯერ – სულყველა ერთად“ (ჯანჯიბუხაშვილი 2003: 133).ზურაბ კიკნაძის ხაზგასმით, შუმერულ მითოსში ქალი წარმოდგენილი ჰყავდათ სახლად, სადაც ხორციელდებოდა უდიდესი საიდუმლოება.

გრიგოლ რობაქიძის რომანს „ქალღმერთის ძახილს“ (იენა, 1934) ამგვარი მინაწერი აქვს: „დიდი დედა“.“მაგნა მატერ“ ცნობილია ყველგან. „დედა“: იგულისხმება ქალური

თაური მსოფლიოსი. არა მგონია, რომელიმე ხალხს ეგზნოს ეს თაური ისეთი სიღრმით, როგორც ქართველებს“. რობაქიძის მოსაზრებით, ქართველებს სამი დედა ჰყავთ: წმინდა ნინო, მეფე თამარი, დედოფალი ქეთევან. „თითოეული მათგანი თავისებურ ასახიერებს ქალურ თაურს“.

გერმანულ ენაზე დაიწერა ესეების კრებული „დემონი და მითოსი“ (იენა, 1935), სადაც ორიგინალურადაა გააზრებული მწერლის თანამედროვე მსოფლიოს გლობალური თუ „ეტერნული“ (მარადიული) პრობლემატიკა. რობაქიძე შეშფოთებულია დედამიწის ეთერული სხეულის დაზიანების გამო. მისი აზრით, აქ ორი მიმართულება (თანამედროვეობის მაგისტრალები) შეინიშნება: ერთის მიხედვით, დედამიწა განხიბლულია და ღვთისაგან მიტოვებული, მარადიული უარყოფილია და ინდივიდუალური – პატივაყრილი. მეორე მიმართულებისათვის დედამიწაა Magna Mater, ყოველი მოვლენა კი სამყაროსთან კოსმიურ კავშირში განიხილება. ესე „თაურშიში და მითოსი“ მითიური და ისტორიული რეალობის მიმართების სიღრმისეული ანალიზით გამოირჩევა. კონცეპტუალურად განიხილავს რობაქიძე შიშის ცნებას. თაურშიში შიშთაგან უპირველესი – სიკვდილის შიშია, ხოლო თვით „შიში ყოფიერებაშია ფესვგადგმული: რაც უფრო გადაკვეთილია საზღვრები, მით უფრო მწვავედ უტევს იგი. მაგრამ სულმთლად შიშის კანკალი აგიტანს, თუ სიცოცხლის წარმომქმნელი ძალა ეხება თვით იდუმალებას – სისხლს“ (რობაქიძე 2012 ა: 25).

იმავე ესეში გრიგოლ რობაქიძე ორიგინალურად გაიაზრებს გველის მითოლოგემას. მისი რეფლექსით, გველი თაურშიშის ხორცშესხმაა. „მისი დანახვისას ადამიანი ბუნდოვნად თავის დაცემას შეიგრძნობს და „ღონემიხდილი, განქვრეტს, რომ ის, შესაძლოა, არარსებობაში (Nichts) გადავიდეს“ (რობაქიძე 2012 ა: 31). სძლევს კი ადამიანი შიშთაგან უმთავრესს – სიკვდილის შიშს? ამ კითხვის პასუხი რობაქიძის ესეს დასასრულს იკვეთება: „თაურშიშის დაძლევის ერთადერთ გზად მითიური რეალობის ცოცხალი წვდომა გვესახება“ (რობაქიძე 2012 ა; 38), – შენიშნავს მწერალი.

როგორც ცნობილია, გრიგოლ რობაქიძის კონცეპტუალურ თხზულებათა ერთი ნაწილი ჯერჯერობით მიუწვდომელია. მათი გამოვლენის შემთხვევაში მითოლოგიურ არქეტიპთა მწერლისეული პალიტრა ეფრო მრავალფეროვანი გახდება.

დამოწმებანი;

1. თეთრუაშვილი 2003: თეთრუაშვილი ლ. „ამორძალთა საიდუმლო“ გრიგოლ რობაქიძესთან (დაუმთავრებელი რომანი ფალესტრა“ და ჰაინრიხ ფონ კლაისტის „პენთეზილეა“). – კრებულში: „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენის დიდებით“. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტი, 2003.
2. კარბელაშვილი 2003: კარბელაშვილი მ. „წმინდა გრაალის მისტერია (გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“). – კრებულში: „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენის დიდებით“. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტი“, 2003.
3. კიკნაძე 2018: კიკნაძე ზ. ერი და კაცობრიობა. თბილისი: „კავკასიური სახლი“, 2018.

4. რობაქიძე 2013: რობაქიძე გრ. 3 რომანი. თბილისი: „არტანუჯი“, 2013.
5. რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. Pro domo sua (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ). თბილისი: „არტანუჯი“, 2012.
6. რობაქიძე 2012 ა: რობაქიძე გრ. დემონი და მითოსი (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ). თბილისი: „არტანუჯი“, 2012.
7. რობაქიძე 2010: რობაქიძე გრ. მუსოლინი (გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა). თბილისი: „არტანუჯი“, 2010.

319 – დრამის არსება არის მითი. მითი კი კოსმიური მოვლენაა და არა ისტორიული. უიმისოდ დრამა კვდება.

მინოსური კულტურა – ძვ. წ. მე-2 ათასწლეულსი მან განვითარების მწვერვალს მიაღწია. სწორედ ამ დროს ააგეს კნოსოსის სასახლე – იმდროინდელი საზოგადოების რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების ცენტრი.
აღმავლობა გაიცადა ფრესკულმა მხატვრობამ და კერამიკამ.
მინოსური ცივილიზაციის გაქრობას უკაბშირებენ კუნძულ სანტორინზე (თეროზე) აბობოქრებულ ვულკანს, რომენაც დამანგრეველი მიწისძვრები გამოიწვია.
ეგეოსის ზღვის კულტურა – ეგეოსის ზღვის აუზში ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული კულტურების ერთობლიობის ზოგადი სახელწოდება. ძირითადად მოიცავდა კონტინენურ საბერძნეთს, კ. კრეტას, კიკლადებსა და ეგეიდის სხვა კუნძულებს.
რ. გორდეზიანი: ევროპა კრეტიდან იწყება (ზევსი, ევროპე – მათი შვლი: მინოსი).
დნმ – უჯრედში არსებული ინფორმაცია.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

ფარდობითობის შედეგად წარმოქმნილ სისტემათა მწვერვალი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-42-ში

ჭეშმარიტი ღმერთის გარემოცვაში და მისი ჭეშმარიტი მსახურების მსურველებში კი უფლება-მოვალეობრივი დისბალანსი მაქსიმალურად მცირე მაჩვენებლებამდეა დაყვანილი და ე. წ. კერპები და კერპთაყვანისმცემლები ფაქტიურად არც არსებობენ და ვერც იარსებებენ. და აი, ვგონებ, მოვიდა იმისი დრო, რომ ამ თავში მოხსენიებული წინა თავთან მიმართებაში ერთგვარი უთანხმოების საკითხი ავხსნა და აღმოვფხვრა კიდეც, რამეთუ ვინც აქამდე წამომყვა და ხელი არ ჩაიქნია კითხვაზე ფრაზით „რა აბდაუბდაა“ ან „ძალიან ძნელი გასაგებია“ ან „დავიღალეო“, რაც, ადამიანურ ენაზე თუ გადავთარგმნით, ასე გამოიყურება: „რაც საჭიროა ჩემთვის ყველაფერი უკვე ვიცი და შესწავლილიც მაქვს, თუ გინდა იქით გასწავლიო“. მაშასადამე, ვინც კიდევ მოდის მათ მინდა ვაუწყო, რომ მათი მეორედ დაბადება, გაზრდა და სიმწიფის ასაკში შესვლა უკვე მოხდა და ახლა სიმწიფის შედეგების გამოვლინების უფლებაც შეუძლიათ მიიღონ. აი, ამისთვის კი ერთი ფარდობითობის სისტემიდან, სადაც აქამდე ვიმყოფებოდით, სხვა ფარდობითობის სისტემაში გადასვლაა საჭირო. რა თქმა უნდა, ესეც ფრიად დამაინტრიგებელი ინფორმაციაა. კერძოდ, მატერიალური ნაწილის თემატიკა სულ სხვა რაკურსში გადავა. ამ ფარდობითობის სისტემაში, რომელსაც ახლა გთავაზობთ, მთელი მატერიალიზირებული ხილული სამყარო მხოლოდ და მხოლოდ საბაბია და მეტი არაფერი. რისი? ინდივიდუალური სულის თვითრეალიზაციის გამოვლინებისა, რომელიც რეალურად ინსტინქტებზე, ჩვევებზე, მიჯაჭვულობებზე, უპირობო და მატერიალიზაციის შემდეგ პირობით რეფლექსებზე დამყარებული, დაფუძნებული და აწყობილი მთლიანად, სრულ თავის გამოვლინებულობაში. ე. ი. მთელი მატერიალური სამყაროს არსობრივი ფუნქციონალური მრწამსი ინდივიდუალურ ილუზიურობის ბაზისზე დგას. მოდით, განზოგადება მოვახდინოთ — რას ნიშნავს ეს ყოველივე. აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კი ხდება, ან მოხდა ან მოხდება ერთ პრინციპს, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის, მიცემა-აღების პრინციპს ემსახურება, რაც, დამეთანხმებით ალბათ, მატერიალურ სამყაროში მისაღებ პლატფორმად არ ითვლება. ანუ აბსოლუტურად ყველაფერი ინფორმაციის წვრილი ან მსხვილი ერთეულობრივი ფორმაა. თვითონ ამ ფაქტის არ მიმღები ამ კონკრეტულ ფარდობითობის სისტემაში ვერასგზით ვერ შევა. ჭამა-სმა, სუნთქვა, ხედვა, სმენა, მეტყველება, ფიქრი, შეხება, სქესობრივი სიამოვნება და ა. შ. ეს ყველაფერი ინფორმაციის გადასვლა-გადმოსვლის საშუალებებია

და მეტი არაფერი. წინასწარ ვიტყვი, ვინც ყველაფრის ამ ჭრილში ხედვას შეძლებს, ყოველთვის, ყველგან და ყველაფრისგან, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლდება, რამეთუ ყველა ის მოქმედება, რაც სიამოვნების მიღების საშუალებად აღიქმება, ინფორმაციის აღქმის საშუალებად გადაიქცევიან მისთვის. მიჯაჭვულობას სწორედ სიამოვნების მიღების სურვილი იწვევს. მე ახლა ვეცდები ადამიანური არსებობის პროცესში გარდაუვალი რეფლექსების ნუსხა ჩამოვწერო და რაღაც კანონზომიერებაში მოვიყვანო, რომელთა მსახურებასაც ახდენს ცოცხალი არსება ადამიანად ყოფნის პერიოდში.

რეფლექსების ემოციური სპექტრი

	ემოცია	გონება	ამბიცია	გრძნობა
გრძნობა	დანახვა	გაგონება	ფიქრი	თვითრეალიზაცია
ამბიცია	ხედვა	სმენა	ლაპარაკი	ქმედების უნარი
გონება	სმა	ჭამა	სუნთქვა	ორგანიზმის ნარჩენებისგან გათავისუფლება ორგანული გზით
ამბიცია	დანახულის შეხების ნდომის შეგრძნება	აღქმულის მოსმენის ნდომის სურვილი	ყნოსვა	სქესობრივი ლტოლვა

მაშასადამე, გამოდის, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი სჩადის ფიზიოლოგიური თუ არაფიზიოლოგიური თვალსაზრისით, მთლიანად რეფლექსებზეა დაყრდნობილი. ეს, რაც ჩამოვთვალე ძირითადად მაინც ემოციური სპექტრია. არადა რეალურად რეფლექსებისგან გათავისუფლება უნდა იყოს დედამიწაზე არსებობისას განმსაზღვრელი ფაქტორი. ვნახოთ, არის თუ არა ადამიანში ამის მცდელობა, ანუ გადავიდეთ გონებრივ სპექტრში, რომელმაც ფაქტიურად განაპირობა ამ მიჯაჭვულ-რეფლექსურ მდგომარეობაში ჩავარდნა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამის მცდელობა ხდება და თანაც ყოველდღე, უფრო სწორად კი, ყოველ ღამე. ვნახოთ როგორ. ის, რომ ძილის გარეშე ვერც ერთი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ვერ გაძლებს, ეს, ვფიქრობ, აქსიომაა (აღმოსავლეთში წამების ყველაზე სასტიკ მეთოდად ძილის საშუალების არ მიცემა ითვლებოდა). სწორედ ძილის დროს ხდება მატერიალიზირებულ ინდივიდში საკუთარ „მე“-ში არსებული მუტირებული, არაეთიკური ნაწილის არსისა და რაობის გახსენება და აღდგენა. მას ეძლევა საჭიროების, აუცილებლობის შეხსენების საშუალება და ნებით თუ უნებლიეთ საკუთარი მატერიალიზირების მიზეზს უბრუნდება ინფორმაციულ დონეზე. ეს შეიძლება იყოს სიზმრით, შეიძლება უსიზმროდ, მაგრამ ძილის ფენომენის უმთავრესი არსი და ფუნქციონალური დანიშნულება სწორედ ეს გახლავთ. გამოღვიძების, ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდგომ საკუთარ „მე“-ში მუტირებული ნაწილის შესაბამისი თვითრეალიზაციის სურვილით დამუხტული იღვიძებს, მაგრამ ამ დამუხტულობის განმუხტვას მშვენივრად ახერხებენ ცხოვრებაში დამყარებული აუცილებელი საჭირო ქმედებები, რომლებიც საზოგადოებაში ცხოვრების განუხრელი ატრიბუტია, ამის საშუალება მხოლოდ განდეგილს, განზე მდგომ ადამიანს თუ მიეცემა საზოგადოებიდან შორს ყოფნის პირობებში. ანუ უპირობო რეფლექსების ანალიზის უზარმაზარი სურვილითაც რომ იყოს დამუხტული ადამიანი, პირობითი რეფლექსები მას ამის საშუალებას უბრალოდ არ მისცემს. ვინც საკუთარ თავში ჩაღრმავებას მოინდომებს, ის საზოგადოებაში დამკვიდრე-

ბულ ადგილს უბრალოდ დაჰკარგავს. აი, რატომ არის განდეგილობა ღმერთთან და ჭეშმარიტებასთან დაახლოვების ერთ-ერთი უსერიოზულესი პირობა. შემდეგ, დღის განმავლობაში პირობით რეფლექსებზე დამყარებული საქმიანობით დაკავებული ადამიანი სრულიად ივიწყებს უპირობო რეფლექსების არსებობას და უკვე ჩვეული ან განწესებული დღის განრიგით ცხოვრობს მთელი ცხოვრება დღე-ღამის ამ კონკრეტულ პერიოდში. ამის შემდეგ, დღის ბოლოსკენ, ანუ საღამოსკენ ადამიანი ამ პირობითი რეფლექსების მიერ განწესებული საქმიანობიდან თავისუფლდება. თავისუფალი დროის ერთგვარი ვაკუუმის გაჩენასთან ერთად უპირობო რეფლექსების გამოღვიძება ხდება და უკვე არა პროგრამული, არამედ სპონტანური სახით ხდება მათი ჩახშობა. ადამიანი დღის მანძილზე ჩადენილი საქმიანობის შემდეგ უკვე, ამ საქმიანობათა შედეგებს მიეჯაჭვა და მასში ამოტივტივდა სიტყვა „დავიღალე“. მას ახალი, თან ამდენად სერიოზული საქმიანობით დაკავება სულაც არ ხიბლავს. რაც შეეხება იმას, თუ რითი ხდება ეს ე. წ. სპონტანური ჩახშობა არის ის, რასაც დღეს ასე ეტრფის მთელი პლანეტა. ეს გახლავთ „გართობა“ ანუ დროის კვლა, ცალსახად სიამოვნების მიღების მიზანდასახული მცდელობა. ვინაიდან ცოტა ფურცლები მაქვს დარჩენილი გართობის სახეობებზე არ დავკონკრეტდები. ეს, ვგონებ, ყველასთვის ხელმისაწვდომი თემაა მისი ნუსხის თვალსაზრისით. აი, ასე გრძელდება ეს 24 საათიანი მარათონი, დაძინებამე. შემდეგ კი, ახალი წრებრუნვა იწყება და ასე გრძელდება, ვიდრე ადამიანის უპირობო რეფლექსებზე კონცენტრირების შანსები ნულზე არ დაიყვანება, შემდეგ კი, მოდის ის, რაც ადამიანებს არ უყვართ — „სიკვდილი“.

მაშ ასე, თუ მატერიალური სამყარო უბრალოდ საბაბად გადაიქცევა ამ კონკრეტულ ფარდობითობის სისტემაში, მაშინ რა იქნება მიზეზი? ამ სისტემის გადასახედიდან მიზეზი ყოველივესი გახლავთ — აბსოლუტური ჭეშმარიტება. ამ ფარდობითობის სისტემას აქვს უფლება თქვას, რომ მასზე მაღალი ხარისხის სისტემა არ არსებობს. ის ზემოთ რაიმესთან ფარდობითობაში არ იმყოფება, ანუ ეს არის არსებული რეალობის ამსახველი სისტემა. აბსოლუტური ჭეშმარიტება კი გახლავთ ეთერი. ის ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში იყო, არის და იქნება. მისთვის არ არსებობს ორმაგოვნების ცნებები. ბოროტი ან კეთილი, ცუდი ან კარგი, ლამაზი ან მახინჯი. ის არის ის, რაზეც ეყრდნობა, ბაზირდება აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი სამყაროს უზენაესი პიროვნების, მამა ღმერთის ჩათვლით. ალბათ გაჩნდება კითხვა — მაშინ ვინ იქნება მამა ღმერთი? მამა ღმერთი ამ სისტემის გადასახედიდან არის აბსოლუტურად ყველა ცოცხალი არსებისათვის, ვისაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშან-წყალი გააჩნია, მიზანი. დიახ, ის უკლებლივ ყველასთვის უნდა იყოს უალტერნატივო, ვერავისთან ვერ შესადარი ავტორიტეტი და მასთან ვინმეს შედარებაც კი შინაგანი მკრეხელობის გრძნობას უნდა იწვევდეს ნებისმიერში, ვინც ამას მოიმოქმედებს. კიდევ მინდა ხაზგასმით გავიმეორო, რომ ჩემი შეხედულებით, ეს სისტემა, ახლა რითაც ხდება ხელმძღვანელობა, უმაღლესია და მასზე უფრო მაღალი სისტემა უბრალოდ არ არსებობს.

ამ საკითხის შემდეგ ჩნდება კითხვა: ვინ არიან ინდივიდუალური სულები, რომლებიც მამა ღმერთის კომპეტენციის, ძალაუფლების ქვეშ იმყოფებიან? აქ ერთგვაროვნად ძალიან ძნელია რაიმეს თქმა. ისინი მინიმუმ ორ ნაწილად უნდა გაიყვნენ: მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულებად და გათავისუფლებულ განმატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულებად ე. წ. ნახევარღმერთებად, მაგრამ, საერთო ჯამში, ამჯერად მე უფრო განზოგადებას ვეცდები. ამ კონკრეტული სისტემის გადასახედიდან, უკლებლივ ყველა ინდივიდუალურ სულს შეიძლება ერთი ზოგადი გრაფა მოვუძებნოთ, ისინი არიან საშუალებები, როგორც ჭკუის, კოსმიური ჭკუის განბნეული იმპროვიზაციული ვარიაცები, რომლებიც ათასგვარი სახის წინადადებებით, ნოვაციებით, რეფორმირებით იდეებით (და რა

ვიცი კიდევ რა შეიძლება ეწოდოს) არიან სავსენი. ისინი საშუალებები არიან ერთმანეთისთვისაც და ძალიან, ძალიან იშვიათად ალბათ, მაგრამ იქნებ თვით მამამ ღმერთისთვისაც კი შეიძლება გახდნენ საინტერესონი, როგორც რაღაც ახალის საშუალებები, აბსოლუტური ჭეშმარიტებისთვისაც საშუალებები არიან, მაგრამ ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას რაიმე სამსახური გაუწიონ. ინდივიდუალურ სულთა საშუალებად ყოფნის ყველაზე დიდი, უზარმაზარი სპექტრი მოდის იმ შედეგებზე, რასაც ისინი თავისი ქმედების შედეგად ტოვებენ.

სწორედ ეს საკითხია ინდივიდუალურ სულთა საკითხის შემდეგ. როგორ განიხილავს ეს კონკრეტული სისტემა აბსოლუტურად ყველაფერს, რაც კი არსებობს ჩვენი აღქმით გამოვლენილ და ჩვენი აღქმისთვის მიუწვდენელ გამოვლენილ მდგომარეობაში, ან თუნდაც, რაც იყო გამოვლენილი და განადგურდა და რაც ჯერ არ არის და გამოვლინდება. ეს სისტემა ამ კონკრეტულ კოსმიურ გამოვლინებებს აღიქვამს **შედეგად**.

აი, ამ სახით, შეიძლება ითქვას, შეიცვლება ე. წ. ფარდობითობის სისტემა, თუკი მატერიალიზირებულ სამყაროს, თუნდაც საკუთარი მატერიალური სხეულის მაგალითზე, გაცილებით უფრო რეალისტურად მოვინდომებთ ჩაღრმავებას.

ერთმა ადამიანმა მითხრა, რომ ამ ცნობიერების ჩამოყალიბებით მე თურმე, ყველანაირ მატერიალურ ხიბლს ვაკნინებ და ყველანაირ გემოს ვაცლი, რომ თუ ამ სიღრმეში ჩავალთ, მაშინ იმ არარაობას დავინახავთ, თურმე, რაზეც ჩვენი ყოფიერება ყოფილა აწყობილი და დაფუძნებული. თან, ეს ისე მითხრა, თითქოს მსაყვედურობდა — რატომ გინდა დამანახო, რომ რაც ვაშენე მთელი ცხოვრება, უაზრობა ყოფილა, მე ხომ ამას უკვე ვეღარ შეველევი და ახალს ვეღარ ავაშენებო. მე კი ვუპასუხე — ვისაც სურს ილუზიაში იყოს, ნება მისია, მე კი ილუზიაში ყოფნას რეალობა მირჩევნია.

თავი V

ადამიანად მოვლინების მიზეზი

Коль нужна воля, действие твое,
Чтобы добру какому-то свершиться
То сделай это и если правильно ты сделал,
В твоей душе весь мир в радужных цветах
изменится.

თუ გსურს მაქსიმალურ ბედნიერებას, ნეტარებას მიაღწიო, სიკეთე უნდა ჰქმნა. იმისათვის, რომ ჭეშმარიტი სიკეთე ჰქმნა (კეთილისმშობელი გახდე) საჭიროა ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინება შეძლო. ამისათვის კი, ჭეშმარიტი ცოდნა უნდა მიიღო. იმისათვის, რომ ეს ცოდნა მიიღო, უზენაესი ცოცხალი არსების, უფალი ღმერთის მიერ განჭვრეტილი მომავალი უნდა დაინახო. იმისათვის, რომ ეს მომავალი დაინახო, საჭიროა შენი საკუთარი წარსული დაინახო ჭეშმარიტების თვალით შეფასებული. იმისათვის, რომ ეს წარსული დაინახო, საჭიროა შეიგრძნო განხორციელებული ჭეშმარიტება. იმისათვის, რომ ეს შეძლო, საჭიროა მიიღო აწმყო, როგორც ობიექტური რეალობა.

ყოველივეს ურთიერთშეთავსების მცდელობისას რაღაც ნაწილით, მთლიანის ფრაგმენტით ხელმძღვანელობა ფუჭი და უაზრო ქმედება იქნებოდა.

დავიწყებ იქედან, რა სურვილით ხდება დღესდღეობით ინდივიდუალური სულის ადამიანად მატერიალიზება. ამისთვის, ალბათ, ცოტა ვრცელი შესავლის გაკეთება მომიხდება, რათა მთელის, სრულის მოკლე მონახაზი გავაკეთო. აუცილებლად მიმაჩნია ოთხი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ფასეულობის მოკლე განხილვა. ესენია: სიამოვნება, კმაყოფილება, წესრიგი და ჰარმონია.

სიამოვნება და კმაყოფილება ცოცხალი არსების სიცოცხლის ტაქტიკური ნაწილის განმსაზღვრელი ასპექტებია. ერთი შეხედვით, ისინი თითქოს ერთი და იგივე არსის ცნებებს ჩამოჰგავს, მაგრამ, უკეთ დაკვირვების შემთხვევაში, ადვილი აღმოსაჩენია ძალიან დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება. სიამოვნება, თავისი ბუნებით, მაინც ვნების ნაირსახეობას წარმოადგენს და სიტკბოებას, სიამეს

მოიაზრებს თავის არსობრივ რაობაში უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით, როგორც საუკეთესო ნაწილი ემოციისა, უნდა გაიცეს ე. ი. ბუნებრივ მოვალეობას წარმოადგენს. კმაყოფილება კი მაინც უფრო კონკრეტულის, შეცნობადობის შეგრძნებას წარმოადგენს თავისი ბუნებით. თუ ამბიციის თვალთახედვით შევხედავთ, ეს არის ყოფითკმარობა, ანუ ის მდგომარეობა, რაც ჰქონდა ცოცხალ არსებას საკუთარი ნების გამოვლინებამდე (ე. ი. ნარაიანაში, ნირვანაში), იქ საითაც არის მიმართული იოგების, ბუდიზმის მიზნები.

ყოფითკმარობა პირდაპირ მიუთითებს სურვილის შესრულების მდგომარეობას, უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით, როგორც საუკეთესო ნაწილი ამბიციის პროდუქციისა, უნდა მიენიჭოს ე. ი. ბუნებრივ უფლებას წარმოადგენს.

წესრიგი და ჰარმონია ცოცხალი არსების სიცოცხლის სტრატეგიული ნაწილის გამსაზღვრელი ასპექტებია.

წესრიგი არის სრულყოფილების გამოვლინების რეალიზაციის მცდელობა სტატიკაში, უმოქმედობაში გადასვლა საკუთარი ინდივიდუალიზმის გადასახედიდან. უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით წესრიგი (წესი და რიგი) გონების პრეროგატივაში შედის და ერთგვარი კონსტიტუციაა, რომელსაც ინდივიდუალური სული ამკვიდრებს. ჰარმონია არის სრულყოფილების გამოვლინების რეალიზაციის მცდელობა, კინემატიკაში ანუ მოქმედებაში გადასვლა საკუთარი ინდივიდუალიზმის გადასახედიდან. უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით, ჰარმონია გრძნობების პრეროგატივაა და ყველანაირ კონსტიტუციაზე მაღლა მდებარეობს და ყველას და ყველაფერს, ნებისმიერ სიტუაციას უდგება არა „სახაზავით“ და „შაბლონით“, არამედ ინდივიდუალურია აბსოლუტურად ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

სიამოვნება, ნებაყოფილობითობის პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის განმაპირობებელი საბაბი და მიზეზია.

კმაყოფილება, უშუალობის პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის დამთავრების საბაბი და მიზეზია.

ჰარმონია, გულწრფელობის პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის არსებობის საბაბი და მიზეზია.

წესრიგი, სრულყოფილების პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის ყოფიერების საბაბი და მიზეზია.

სწორედ წესრიგის პარამეტრი განაპირობებს, რაიმე სახით მოწესრიგების შემდეგ, ასეთად მისი დატოვების, „გაყინვის“, „გაუნძრევლობის“, შენარჩუნების სურვილს, რომელსაც საკუთარი ნების გამოვლინების რეალიზაციით, კმაყოფილების მიღებით მიაღწია, ხოლო ჰარმონიის პარამეტრი ახდენს ამ მოწესრიგებულის ხარისხის შეფასებას ფარდობითობის ფარდის მოხსნით, მისი რეალური სრულყოფილების ხარისხის შეფასებით „ქვადქცეულში“ ადვილად გამოჰყავს სტატიკიდან. თუ წესრიგი მართლა სრულყოფილია, მყუდროება არანაირი ძალისხმევით არ უნდა დაირღვეს.

ცოცხალ არსებას ეძლევა პროვოცირება, რაიმე სიამოვნების რაიმე სახეობის, რაიმენაირი სახით. თუ ცოცხალი არსება მოინდომებს ამ სიამოვნების მიღებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მის მიერ აღქმული საკუთარი სრულყოფილება ბუტაფორიულია და ისე მიისწრაფვის მისკენ, როგორც თევზი ანკესზე წამოცმული ჭიაყელასკენ. ვინაიდან საკუთარი წესრიგის არასრულყოფილად აღიარება, საკუთარი ნებით დაშლა და გადაწყობა ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება, იწყება სიამოვნების საგნის ძიება, რომელსაც შეუძლია მისცეს მას სიამოვნება, რომელიც თავად არ გააჩნია. შემდეგ ცდილობს ამ ობიექტის დაკმაყოფილებას, რათა მისგან მიიღოს ის, რაც სურს და ა. შ. როგორ ლამაზადაც არ უნდა იყოს შეფუთული ეს პროცესი, არსი ეს არის და ამას ვერავინ ვერ გაექცევა. უბრალოდ, სასურველი იქნებოდა ცოცხალი არსება მისულიყო იმის გაგებამდე, რომ მისი სრულყოფილების მაკეტი ყოველთვის არასრულყოფილი იქნება აბსოლუტურ ჭეშმარიტ სრულყოფილებასთან შედარებით.

რატომ არ გააჩნია ცოცხალ არსებას ეს კონკრეტული სიამოვნება? იმიტომ, რომ მასში ამ სიამოვნების შედეგის ჭეშმარიტი ფუნქციონალური რაობა აღქმული არ არის, იმიტომ, რომ ეს მისი წესრიგის მაკეტის, მისი „მე“-ს საზღვრებს იქით იმყოფება და მისთვის ეს უკვე „ეგო“-ს ე. ი. უცხო ტერიტორიაა. გამოდის რომ ცოცხალ არსებას მის საზღვრებს გარეთ არსებულის შეგრძნება უნდა, საკუთარი საზღვრების გახსნა კი (საკუთარი მსოფლმხედველობის შეცვლა) არ სურს. მაგრამ ეს სურვილი იმდენად ძლიერია, რომ საზღვარს გარეთთან კონტაქტზე უარის თქმა შეუძლებელი ხდება და ამისათვის ცოცხალი არსება ყველაფერზე მიდის. რა შედის ამ ყველაფერში: 1) საკუთარ საზღვრებში შეტყუების მცდელობა სიმართლით, თუ ტყუილით; 2) დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, ანუ ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ვაჭრობა-გარიგება — მე შენ ამას მოგცემ, რაც შენ გინდა, შენ კი იმას, რაც მე მსურს; 3) საკუთარი საზღვრების არეალში დადარაჯება და მოახლოებული სასურველი ობიექტის შეთრევა უკვე ძალისმიერი მეთოდების ჩარევითა და გამოყენებით; 4) საკუთარი საზღვრების გაფართოება იმ ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე, სადაც სიამოვნების ობიექტები იმყოფებიან.

ეს ყოველივე კი იმიტომ მიიღება ამ სახით, რომ ყველა ამ ქმედების სათავე საზღვრების ასეთად შენარჩუნების უზენაესობიდან გამომდინარეობს. ამისდა შესაბამისად, ყველა და ნებისმიერი, ვინც ამ საზღვრებს შიგნით არ მდებარეობს, პოტენციურ დაპირისპირებულ ძალად, ანუ მტრად, უცხოდ მოიაზრება და აი, მივიღეთ ე. წ. „ეგო“. ამ მტრად აღქმულ ნაწილს კი აღმოჩნდა, რომ აქვს ის, რაც საზღვრებს შიგნით არ არსებობს და ამის საშოვნელად და ასაღებად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით ხდება ხელმძღვანელობა, რამეთუ უცხოსთან ეს გამართლებულად არის ჩათვლილი და აღქმული.

მეორე მხარეს ამ ურთიერთობებისა, ანუ მათ, ვისგანაც, ან ვისი მეშვეობითაც, ცდილობენ სიამოვნება მიიღონ, ამ ოთხ ვარიაციულ შემთხვევაში ასეთი პოზიციები ექნებათ.

1) საკუთარ საზღვრებს გარეთ გასვლის მცდელობა, საკუთარ თავში არსებული უპირატესობის შეგრძნების რეალიზებისთვის;

2) საკუთარ საზღვრებში არსებული იმ ფასეულობების ჩალის ფასად „გაყიდვა“, რომელიც აღარ ფასდება, რამეთუ ისინი იმპროვიზაციულად, ინდივიდუალური აზროვნებით შექმნილი ფასეულობებით ჩანაცვლდა და ვგონებ, ისიც კი გასაკვირად აქვს ამ მხარეს, რაში სჭირდება მისთვის საოცნებო საზღვარს გარეთის წარმომადგენელს ეს „ძველი ნაგავი“, მაშინ, როცა ჭეშმარიტად ღირებული სწორედ ის არის. 3) საკუთარ საზღვრებში შექმნილი ურთიერთგაუგებრობის გამო საკუთარი თავის ვიღაცისთვის შეცოდების, უდანაშაულო მსხვერპლად თავის ჩვენების მცდელობა და საბოლოო ჯამში, მართლა მსხვერპლად გადაქცევა დაინტერესებული მხარისა. 4) საკუთარ საზღვრებში სრული ქაოსისა და დაპირისპირების დამკვიდრების შემდეგ, ფაქტიურად, თვითმკვლელობა, თვითლიკვიდაცია და საზღვარს გარეთის ნაწილად ქცევა, ანუ საზღვრების, საკუთარი „მე“-ს სრულიად დაკარგვა და „ეგო“-დ გადაქცევა.

საინტერესოა, ეს რაღატომღა მიიღება ამ სახით? აშკარად ჩანს, აქ საზღვრების შენარჩუნებაზე ლაპარაკი არ არის, პირიქით, „საზღვარს გარეთასთან“ გაერთიანების, უცხოს, მტრის, „ეგო“-ს ხატის „მე“-დ მონათვლის მცდელობაა. თითქოს რა შეიძლება იყოს ამაში არასწორი და ცუდი? ყველაფერი მშვენივრად იქნებოდა, ალბათ, რომ არა „ეგო“-სთან გათავისების მცდელობა „მე“-სთან გაუცხოვების, „მე“-ში „ეგო“-ს გაჩენის, შექმნის ფასად.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40 -ში NN

ბრალის სახეები და ფორმები

(სისტემატიზირებული)

ბიბლიური პერსონაჟების ბრალი

ა) იობის ბრალი

იობის წიგნი, რა კუთხითაც აქ განიხილება, ზუსტად ასახავს უსამართლოდ აღძრულ ბრალს და მის საწინააღმდეგოდ წარმოშობილ სამართლიან უკუბრალს. იობი – „მტრობის ობიექტს“ ნიშნავს და გასაკვირი არაა, მის მიმართ რომ არსებობს ბრალი (ოღონდ არ უნდა აგვერიოს, რომ იობს მტრობდა და სჯიდა სატანა და არა უფალი). თუ გავიხსენებთ ამ წიგნის შინაარსს, იობს ღმერთი თავის თაყვანისმცემლად აღიარებდა. იობის ცხოვრება და მოღვაწეობა მის ღვთისმოსაობას ადასტურებდა. ერთ დღესაც, სატანამ ბრალი დასდო იობს, რომ ის კეთილსინდისიერად არ ემსახურებოდა უფალს და თუ უფალი მას კეთილდღეობას აღუკვეცავდა, ის ერთგული აღარ იქნებოდა ღვთისა: „აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა“ (იობ.1:11). იეჰოვამ სატანას ნება დართო, წაერთმია იობისთვის ყველაფერი, მხოლოდ ის არ უნდა მოეკვდინებინა: „უთხრა უფალმა სატანას: აჰა, შენს ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი! ოღონდ თავად მას ნუ შეეხები. და გავიდა სატანა უფლისგან“ (იობ.1:12). სატანამ იობს უამრავი განსაცდელი მოუვლინა: იობი კარგავს შვილებს, ქონებას და კეთილდღეობას, მაგრამ ის კვლავაც უფალს განადიდებს: „თქვა: შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ, უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი“ (იობ.1:21). სატანამ უფალი დაარწმუნა, რომ თუ მას პირადად მოუვლენდა საშინელ სნეულებას, ის უსათუოდ გახდებოდა უფლის მგმობელი: „...ტყავი ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლის წილ ყველაფერს გაიღებს კაცი. აბა გაიწოდე ხელი და შეეხე მის ძვალსა და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა“ (იობ.1:45) მაგრამ სატანას განზრახვა არ გამართლდა. უდიდეს სატანჯველში მყოფ იობს სიტყვითაც კი არ შეუცოდავს უფლისთვის: „უთხრა ცოლმა: ახლაც ეჭიდები შენს

სიალალეს? ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი! მიუგო: ერთი უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა! არც ახლა სცოდა იობმა თავისი ბაგეებით“ (იობ.1:9,10). სატანამ „ვერაგულად“, ასევე გამოსაცდელად, იობს სამი მეგობარი მიუგზავნა. ისინი იობის ხილვით თავზარდაცემულები, იობთან ერთად შვიდი დღე მიწაზე ისხდნენ. როცა მათ ხმა ამოიღეს, ამის შემდეგ იწყება კამათი მათსა და იობს შორის, რომელიც რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება. მეგობრები ფიქრობდნენ, რომ იობის განსაცდელი იყო მისი ცოდვებიდან გამომდინარე და რომ ცოდვები უნდა მოეძია თავის თავში და თაობებში... იობი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და უფალს მიმართავს: „ოჰ, ნეტავ დამმალავდე, შემინახავდე, ვიდრე შენი რისხვა გადაივლიდეს! დროს დამინიშნავდე და მერე გამიხსენებდე! თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს? მთელი ჩემი მაშვრალობის დღეები დაველოდებოდი ჩემი ფერისცვალების დადგომამდე“ (იობ.14:13,14). იობმა „ვაიგულშემატკივრები“ დაადანაშაულა უსამართლო მსჯელობაში... ღვთივშთაგონებული ელიჰუ, რომელიც ბოლოს ჩაებმება საუბარში საყვედურს ეუბნება იობს სიტყვებისათვის – რას მარგებსო უმწიკვლობა, რომ, იობი ზოგჯერ დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. ბოლოს ანუგეშებს იობს, რომ უფალი დიდია და სულგრძელობას გამოიჩენს შენს მიმართო: „ვერ ვწვდებით ყოვლადძლიერს, ის აღმატებულია ძალით და სიმართლით; მრავალმოწყალეა, არავის ჩაგრავს. ამიტომაც მისი ეშინია ხალხს; ბრძენებს ის არად აგდებს“(იობ. 37:23,24). ელიჰუს სიტყვები გამართლდება; ბოლოსდაბოლოს, მართალი კაცი გაიმარჯვებს, რომელიც ბრალმდებელ სატანას მრავალგზის აჩვენებს, რომ ის შეუვალია ღვთის სიყვარულში. ამ ნაწარმოებში უპირველესად ნაჩვენებია, რომ ადამიანის ტანჯვის მიზეზი არ არის უფალი; ის ყოველთვის უბრალოა. ბოროტება ეშმაკის „შემოქმედებაა“, რომ ადამიანები „ბრალით“ ხელს არ უნდა იშვერდნენ უფლისაკენ, არამედ უნდა ვევედრებოდეთ მას, გვიხსნას სატანის მტანჯველი ზემოქმედებისაგან. აქ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მთავარი, — მორალური სახე ადამიანისა. როგორც აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ზნეკეთილ ადამიანს უნდა ახასიათებდეს სამართლიანობა, ბრძოლა ამ სამართლიანობისათვის, სიბრძნე და გაწონასწორებულობა, რომლითაც, მართლაც, აღჭურვილია იობი; ის თუ არ იკითხავდა თავისი განსაცდელის მიზეზს და არ აღძრავდა ბრალს უფლის მიმართ (ამ შემთხვევაში სატანის მიმართ. მან ხომ არ იცის რომ სატანამ დასაჯა), მაშინ ეჭვი შეგვეპარებოდა მის გულწრფელობაში და ის იქნებოდა პირმოთნე — ფარისეველი უფლის მიმართ. მან, სწორედაც, სამართლიანად მოითხოვა თავისი უბედურების მიზეზის გარკვევა. იგი თამამად სვამს სამართლიან კითხვას, როგორც უფლის წინაშე, ასევე ადამიანების (მეგობრების) წინაშე. იობი არა მარტო მართალ კაცს განასახიერებს, არამედ სამართლიან, პრინციპულ ადამიანს, რომელიც ბოლომდე მიჰყვება სიმართლის ძიებას და არკვევს კიდევაც მას. ამ ორთაბრძოლაში იკვეთება კიდევაც მისი სიბრძნე და გაწონასწორებულობა. ამგვარად, ის არის უმწიკვლობის, მოთმინების, ამტანობის, სამართლიანობის, უდიდესი რწმენისა და იმედის მატარებელი,

სიბრძნით და სამართლიანობით დაჯილდოვებული, რომელიც მისაბაძია ყველა დროის ადამიანებისათვის.

ბ) ეკლესიასტეს ბრალი

სრული, ჯანსაღი, ბრძნული განსჯით – ბრალი ადამიანური პოზიციიდან, უფლისა და ზოგად კანონზომიერებათა სრულად ვერ განცდის გამო.

„ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა. ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა? თაობა მიდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე... განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში; და აჰა ვცანი — ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა... ვუთხარი ჩემს თავს: აჰა, მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში, და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი — ამასაც არა აქვს აზრი, რადგან როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“ (ეკლ. 1:2,3,4, 14. 16,17,18).

ეს სიტყვები და ბრალი შეიძლება აღეძვრა არა მარტო ისეთ განათლებულს და ბრძენს, როგორიც ეკლესიასტე იყო თავისი დროისათვის, არამედ, ნაკლები განათლების ან სულაც გაუნათლებელ ადამიანსაც. ეს სიტყვები აღმოხდება ნებისმიერს, ვისაც ნაკლები რწმენა აქვს და სულის მარადიულობაზე წარმოდგენა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, არ განიცდის მას. „მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარისნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში“ (ეკლ.1:10,11). ყველაფრის მომპოვებელი ეკლესიასტე ამ „სარგებელს“ კვლავაც იპოვიდა, მრავალ სიცოცხლეს და ახალგაზრდობას ჩაეჭიდებოდა, გააჩენდა ყველაფერს, მაგრამ თავად სიამოვნების შეგრძნება დაეკარგა სიბერის ჟამს, ცხოვრება კი უკან არ ბრუნდება... მას ტკბობა და გემო მხოლოდ აქ ეგულება, ამის იქით კი, ხსნა და გზა არ არსებობს — ამაოა ყველაფერი... ეკლესიასტე ადამიანურ ყოფაცხოვრებაში უფლის ხელს ვერ ამჩნევს, ადამიანს უფლის სახე-ხატად არ განიხილავს, მარადიულ სასუფეველზე კი ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია... დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს არის ბრალი უფლის მიმართ, მაგრამ უსათუოდ არის ბრალი და ყვედრება ადამიანური ცხოვრების მიმართ.

ეკლესიასტემ თეორიულად იცის, რომ „სიკეთე უნდა ქმნას“, მაგრამ კეთილგანზრახულობით მის განმსჭვალულობაში შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რადგან მასში „ღვთაებრივი გონება“ არ არის ანთებული; ის სულის მარადიულობას ვერ გრძნობს; კავშირს ადამიანსა და უფალს შორის ვერ განიცდის. მართალია, ერთგან ის ამბობს: „მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლ.10:7), მაგრამ ეს სიტყვებიც, წინააღმდეგობებით შექმნილ მის ნაწარმოებში, ერ-

თგვარი ყვედრების და ბრალის სახითაა მოსროლილი. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა: სიკეთის გაკეთება არ ღირსო, თავის განსწავლულობას რომ არ ჰქონოდა გავლენა მის შეხედულებაზე... თავად „ამაოდ“ ჩავლილი წამიც რომ მარადიულია, ამის შესახებ მას არც შეუძლია იფიქროს. იგი „სხეულებრივი ტკბობის“ კაფსულიდან იმზირება და თუ ეს არ არის, მაშასადამე, არ არის არაფერი... მის ბრალში არსად სჩანს – სურს თუ არა ღმერთს ადამიანის სიკეთე და ზრუნავს თუ არა ღვთისნიერთა ბედზე. მის „სიბრძნეს“ გრძნობისმიერი ძაფები აკავშირებს ცხოვრებასთან, მაგრამ არა უფალთან. ღმრთის ხატს პირუტყვთან აიგივებს:

„და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია — ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა. რომელი იტყვის,რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისკენ?“ (ეკლ. 3: 18-21).

ეკლესიასტეს უკვდავების არ სჯერა... წარმოუდგენელია ღმერთმორწმუნე ადამიანს ჰქონდეს ასეთი პესიმიზმი... შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ მან ცხოვრების სიამოვნების ფიალა „ზედმეტად“ ავსებული გამოსცალა და ამან აწყინა...სიბერის ჟამს, მხიარულების ჰორმონებისაგან დაცლილი, საყვედურებით ავსებს წუთისოფელს; ამასთან, თავის სიბრძნეს კაცობრიობის და ღმერთის სიბრძნესთან აიგივებს და აქედან გამოჰყავს თავისი მსჯელობა. მას ნაკლებად აქვს რწმენა და იმედი ღვთისა: „არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რადგან ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით, ეს ყოველივე იყო ხვედრი, ჩემი შრომისა“ (ეკლ. 1: 10). რატომ არ უარყო მაშინ? – იმიტომ რომ, ჭარმაგი ახალგაზრდობა, ძალა და ენერგია თან ახლდა. ახლა დეპრესიულმა ჰორმონებმა უარყვეს ნდომა-სურვილი და ყოველივე ჩაუცხრეს... მარადიულ ღირებულებათა ნდომა და სურვილი კი არსად ჩანს... „მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი“(ეკლ. 1:11). – როდის? სიბერეში სიკვდილთან მიმდგარმა იგრძნო ეს? – მაშ, სად არის უფალთან შერთვის წადილი – მოლოდინი უფლის განზომილებაში გადასვლისა? ეკლესიასტეს ამ ბრალში არ ჩანს არც იმედი, არც იდეალი, არც მადლიერება ღმერთის მიმართ, რაც რწმენის ნაკლულობა-განუვითარებლობას უნდა მივაწეროთ...

სიგრძნის სკივრი

თვალთახილვა

(აზრები)

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

გონების ზღვარზე (აზრები)
ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

* * *

სინამდვილეს
თვალებში
გამუდმებულად
უნდა უცქირო, რათა
თვალი არ გაგექცეს
არარეალურისკენ...

* * *

ადამიანის საქმე და ნააზრევი კონკრეტულ დროში ცალმხრივი აზროვნების და შესაბამისი განზოგადებების ნაზავია, მაშინ, როდესაც ბუნების ნაირსახეობა, თავისი აზროვნებით და განზოგადებით, სრულმომცველობითი განზოგადებაა, რაც უფლის აზროვნებასთან უფრო ახლოა.

* * *

ადამიანი ყოველთვის თავისი სხეულის ირგვლივ ტრიალებს... ეს „სხეული“ შეიძლება გიგანტური ზომებისაც კი იყოს...

* * *

იცოდეთ, ამ სასტიკ რეალობაში სუსტი და ავადმყოფი არავის სჭირდება; ნაკლები ისაუბრეთ თქვენს ავადმყოფობაზე და ეცადეთ გამოიყურებოდეთ უფრო მხნედ, შეუვალად და ძლიერად, ვიდრე ხართ, - თუ გინდათ ვინმემ თქვენი არსებობა გაითვალისწინოს...

* * *

მომავალ გეგმებზე გამუდმებული საუბარი თქვენი პიროვნების სერიოზულობაზე ეჭვს ბადებს... ეცადეთ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დადოთ შედეგი, თუნდაც უმნიშვნელო!..

* * *

ადამიანებს, თავისდასასიკეთოდ, ესაჭიროებათ ერთიდაიგივეს ჩიჩინი და, ბევრჯერ, მაინც, არაფერი გამოდის აქედან.

* * *

ადამიანმა თამამად რომ გამოთქვას თავისი მოსაზრებები, ამისათვის საჭიროა ბევრ მოსაზრებას გაეცნოს, გონებაში შედარების მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რომლის გარეშე ძნელია, დაადგინო რა არის საჭირო და რა არა, რა არის გენიალური და რა არა...

* * *

ნიჭი „ენა-მწარმოებლობისა“ არ არის პირდაპირპროპორციული გონება - მწარმოებლობისა...

* * *

ჩვენი ცხოვრება - ჩვენი გეგმებია.

* * *

ჩვენი წარმოდგენები სხვადასხვა საკითხზე ერთმანეთს ავსებენ, სხვანაირად ყოფიერებაზე სრულ სურათს ვერ მივიღებთ.

* * *

რა გირჩევნია - უზნეო, ბოროტი ადამიანები არ არსებობდნენ; არსებობდნენ და გებრალებოდეს, თუ, მაინცდამაინც, არსებობდნენ - გძულდეს და მტრებად გეგულებოდეს ისინი?..

* * *

ადამიანს არ აქვს ხანგრძლივი ცხოვრება - იყოს მეამბოხე, გმირი, შემოთავაზებული წესრიგის დამშლელ-დამამხობელი, თავისი შეხედულებისამებრ მისი ხელახლა ამწყობ-გამრიგებელი, ამიტომ ის, უპირველესად, კონფორმისტია (შეგუება ხომ გადარჩენის საშუალება და კანონია)... თუმცა კონფორმიზმი მარტო ამ მიზეზით არ აიხსნება. ის უფრო ზოგადი კანონებით და სხვა ფენომენებით ახსნას საჭიროებს...

* * *

დღევანდელი ადამიანი ტექნოლოგიების პირმშოა, მთლიანად მიეჯაჭვა და გახდა „საშიშად“ დამოკიდებული მასზე... მისგან მოწყვეტა არარაობად ხდის მას...
დროა, ადამიანმა ეჭვი შეიტანოს ამ პირობით მოწესრიგებულობაში, სასწრაფო წესით დაადგინოს, რა ელოდება თაობებს ვირტუალური ცხოვრების წესისაგან, - არის ეს განვითარება- წინსვლა-პროგრესი თუ გარდაუვალი რეგრესია.

* * *

...როდესაც წყალი გადაასწორებს დედამიწას... ქარი ინავარდებს ტალღებს ზემოთ, წაიშლება კაცობრული აზროვნების კვალი, დაიკეცება ფრთები ანგელოზისა - უფალი შეისვენებს ჩვენს გამო... დარჩება „ის“ და დანარჩენი სამყარო ჩვენს გარეშე... წყალთა ზემოთ დაიძვრება მარადიული ჰანგები, - მელოდია ტრაგიკული დასასრულისა... ამ მელოდიაში, დროდადრო, სოლო ხმად აღიძვრება კითხვა ადამიანისა: შეგვწევდა თუ არა ძალა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი არსებობა, თუ, ჩვენი „მოღვაწეობა“ იყო კანონზომიერი სვლა დასასრულისაკენ...

* * *

იმის გარდა, რაც ისწავლა და გამოცდილება მიიღო ადამიანმა, კიდევ “რაღაც“ იცის, მაგრამ არ იცის როგორ თქვას და გამოხატოს ის...

* * *

მთავარი ის კი არ არის, რას იტყვი, არამედ, რას გააკეთებ ადამიანებისთვის.

* * *

როცა შენს სათქმელს სხვა ამბობს - შეგრცხვეს!..

* * *

როცა ახლობლები გულწრფელად გაღიარებენ, შენი სჯერათ და მეტს მოელიან - ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც მუდმივ ტონუსში ყოფნას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს შენგან.

* * *

დღე გითენდებოდეს, მზე დაგნათოდეს, ყანაში მარცვალი გიმწიფდებოდეს და ამ დროს კაცის მოსაკლავად ან მოსაპარად

მიდიოდე - ეს წყევლაა...

* * *

დროის უსასრულობაში მსრბოლმა ადამიანმა თავის თავში მოძებნა მიზანი - გაადამიანურებისა...

* * *

შენ ვინ ხარ - ვინც არსებულ სინამდვილეს ეწინააღმდეგები, ებრძვი, ეჭიდები, თუ ვინც შემოთავაზებულ წესრიგს ეგუები?..

* * *

როგორი ადამიანი მომწონს? - ლაღი, საღი, თავისუფალი...

* * *

მძიმე სოციალური და სულიერი კრიზისის ფონზე ამ სამყაროს მშვენიერი ფერები თანდათან უფერულდება....

* * *

ამ სამყაროს იმ სახით დანახვა და შეგრძნება, როგორიც უფალმა შექმნა, ადამიანისთვის, თითქმის, შეუძლებელია.

* * *

ამ ბოლო დროს, ადამიანის გონება წარიტაცა აზროვნებისა და არსებობისათვის არაარსებითმა საგნებმა და მოვლენებმა...

* * *

თუ წინათ, შესაძლოა, არსებობდა ადამიანის ბედნიერების დეკორატიული მოდელი, დღეს მასზე წარმოდგენა გამქრალია. ბუნებით, ადამიანს აქვს სწორი რეფლექსია, ის აღიქვამს შეზღუდულ სამყაროს, რომელიც მისთვის თანდათან ვიწროვდება... ჩაკეტილი სივრცე ხუთავს, ახრჩობს - გასაქანს არ აძლევს, - არ უტოვებს პერსპექტივას თავი დაიძვრინოს ამ მდგომარეობიდან...

* * *

ზოგჯერ, ბედისწერულად ვუკავშირდებით და გაუცნობიერებლად მივყვებით ავანტიურისტ ლიდერებს; გენიოსებად ვაღიარებთ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა აზროვნებას, იდეებს, საქმეს მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები - ნგრევა, მსხვერპლი, გადაგვარება, დეპრესია - რეგრესია; გასაკვირია, ამ პიროვნებების ჩრდილში ვაყენებთ უდიდესი ჰუმანური იდეების - მშვიდობისმყოფელ პიროვნებებს, მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს; ისინი, თითქოს არ დაბადებულან და არ უცხოვრიათ...

* * *

ქექა-ქუხილის შემდეგ გამოდარებას უნდა ველოდოთ, ხოლო უღრუბლო ცაზე მოულოდნელად ღრუბლების გამოჩენისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

* * *

ხარბი ადამიანი - ოღონდაც სხვამ არ გაიხაროს - მისთვის და „მტრისთვის“ საზიანო საქმეს ჩადის და საკუთარ თვალებს ითხრის...

* * *

ყველა ჩვენი მსჯელობა საგნისა და მოვლენის შესახებ, არის ცალმხრივი, სუბიექტური, პიროვნულ-მიკერძოებითი, არასრულმომცველობითი...

* * *

ადამიანი მხოლოდ ზომიერების კაფსულაში მყოფი შეასრულებს თავის ადამიანურ მისიას და დანიშნულებას..

* * *

დღევანდელმა ყოფამ, ხვალ, შეიძლება ახალი მიდგომები წარმოშვას... თანამედროვე ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ მისი შეხედულებები ბევრ საკითხზე შესაძლოა დაიმსხვრეს. დადგება დრო, ნაძალადევად არავინ მოახვევს სხვას იდეებს, შეხედულებებს. ადამიანი აზროვნებაში, გადაწყვეტილებაში, არჩევანში იქნება სრულიად თავისუფალი...

* * *

ფანტაზიები, რომელთაც „ბედნიერი ცხოვრება“ წარმოშობს, სასარგებლო არაა; ბევრჯერ, მაცდუნებელ-დამღუპველიცაა. მხოლოდ ტკივილიანი ცხოვრება გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ აზროვნების შედევრები, ხოლო, თუ ვის როგორ ტკივა - ეს ძალზედ ინდივიდუალურია.

* * *

მეგობრის ღალატი ჟანგის წვეთია, რომელიც გულს ისე ამოჭამს, მას ვერ ამრთელებს ვერც დრო და ვერც შერიგება...

* * *

ზოგიერთს!!! - იმდენი კი იცოცხლე, რომ რამე გესწავლა!..

* * *

ადამიანი მანამ ქმნის მითებს, აფართოებს წარმოდგენებს, სანამ მისთვის სიცოცხლე მისაღებია და მას ებღაუჭება, ხოლო იმ დროიდან, როცა მისი სასიცოცხლო ტენდენციების განმახორციელებელი სისტემები იმდენად დაბლოკილია, რომ ფანტაზიის ადგილი არ რჩება, მოქმედებას იწყებს თვითგანადგურების სისტემა-ინსტინქტები.

* * *

თუ შენი ყვავილი ლამაზად გაიშალა, სიბინძურეში ნუ ჩაკარგავ...

* * *

მახინჯ სარკეში, თვით კეთილშობილიც - მახინჯ გამოსახულებას შესცქერის...

* * *

დიდ თავს, დიდი პრობლემები აქვს.

* * *

ის დღეა ცუდი, როცა არ იცი, რას აკეთებ.

* * *

ყოველთვის ელი „ვიღაცას“ და გაინტერესებს „ვინ“ არის იგი...

* * *

ერთ დღეს მოიცალე და შეხვდი საკუთარ თავს, მაგრამ... ჯერ იპოვე იგი.

* * *

პიროვნების, მოვლენის, შეხედულებათა შეფასებისას; რომელიმე საკითხზე აზრის აღიარებისას, ადამიანი იძულებულია დაეთანხმოს სხვათა აზრს შემდეგი მიზეზით: 1. თავისი აზრის უქონლობის ან ჩამოუყალიბებლობისას 2. ხათრით - სხვათა აზრის თანამონაწილედ წარმოჩენისას (ავტორიტეტების ზეგავლენით) 3.გაუბედაობით - არ აღმოჩნდეს გამონაკლისი (თეთრი ყვავი) 4. შიშით - არ დასწამონ უცოდინრობა- არაკომპეტენტურობა.

ეს ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია იმისთვის, რათა ადამიანი სხვათა უგნური აზრის, სურვილების, გეგმების ან ავანტურის გაუცნობიერებელი მონაწილე-მსხვერპლი გახდეს...

* * *

ცხოვრებამ კი არ უნდა გაგიტანოს, ცხოვრება უნდა გაიტანო…

* * *

შეუძლებელია, ცხოვრობდე ეპოქაში და მისი სულისკვეთებით (პრობლემებით) არ იყო გამსჭვალული.

* * *

დღეს, დაისმის კითხვა: რას ვჭამთ, რა გარემოში ვიმყოფებით, რით გვასხივებენ, ზემოქმედებენ, გვაზომბირებენ, - რას გვაჩეჩებენ ხელში... ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა ირგვლივ მიმოიხედეს, გამოფხიზლება დაიწყეს - ეს კარგია... რაღაცას რომ მოიკითხავ, მისი მოძებნაც მოგიწევს, - დასმულ შეკითხვაზე, ადრე თუ გვიან, პასუხს მიიღებ...

* * *

ზოგი ადამიანი რომ მიუშვა, - ქვეყნიერებას გადაყლაპავს...

* * *

სიტყვიერმა რახარუხმა ადამიანის აზროვნებაში ვერაფერი შეცვალა...

* * *

ადამიანი მარადიულობის შეგრძნება-შეგნებით უნდა იზრდებოდეს, იფურჩქნებოდეს, ყვაოდეს, მოღვაწეობდეს, რათა თაობებში ტოვებდეს კვალს, რომ მან ნამდვილად ადამიანურად იცხოვრა, ხოლო ამ სამყაროდან თანდათანობით გადასვლა-გარდასახვებით გასვლისას, შთაბეჭდილებას - რომ ის ჭეშმარიტად აღესრულა.

* * *

ზოგჯერ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ფენომენებს და მოვლენებს ადამიანთა ჯგუფები, პოლიტიკოსები, ხელოვანები, ფილოსოფოსები, ლიტერატორთა წარმომადგენლები დიდი რიტუალებით, გაზვიადება-გაბუმბერაზებით (უტრირება-ამფლიფიკაციით) თავიანთ მიმდინარეობად გადააქცევენ და წარმოადგენენ. ამ მიმდინარეობას ინარჩუნებენ, იცავენ და ებღაუჭებიან მანამ, ვიდრე ახალი თაობა ზეაღტკინებული მდგომარეობიდან კარგი სილის გარტყმით ან სრულიად უცერემონიოდ არ ჩამოართმევს წლობით გამოზომილ საარსებო-საცოხნ მასალას...

* * *

თავისი ნამოქმედარის აწონ-დაწონისას და თავის თავთან ჭიდილში ყველა ადამიანში იღვიძებს სინდისი.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-33-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6,7 ტომებში)

ხსოვნა ძეთა წარმომავლობისათვის

სააკაძეთა გვარის წინა თაობების დამახასიათებელი ნიშან-თვისება მეფისთვის, ე.ი. ცენტრალური ხელისუფლებისთვის გაწეული ალალი, უღალატო სამსახური იყო, რაც თამარის მეფობის დროიდანაა ცნობილი.

სწორედ მნიშვნელოვანი ღვაწლისა და ერთგულებისთვის მიიღეს სააკაძეებმა მიწა-მამული ნოსტესა და მის შემოგარენში, სადაც ადრე მოსახლე ჯავახიშვილ-ციციშვილთა სამკვიდროა. არ არის გამორიცხული და ხშირადაც ხდებოდა იმ დროში, ერთს ჩამოართმევდნენ და მეორეს გადასცემდნენ მიწებს განსაკუთრებული დამსახურების აღნიშვნის მიზნით.

წარმოიშვებოდა რეაქცია, „ცოტა მივიწ-მოვიწიოთ, სხვაც უნდა მოთავსდეს“. ამ „ერთად მოთავსების“ წესში ერთის მხრიდან დათმობის ვალდებულებაც იგულისხმებოდა, რაც მეზობლად, მეგობრად, შეხმატკბილებულად თანაცხოვრებას ხშირად შეუძლებელს თუ არა, მოუხერხებელს ხდიდა.

დიდი მოურავის წინა თაობების დაწინაურების პროცესი შესამჩნევად სიმონ I დიდის მეფობის დროს დაიწყო. გიორგი სააკაძის პაპა, ისიც გიორგი სააკაძე, პატრონად იხსენიება 1547 წლის საბუთში. ი. ჯავახიშვილის აზრით, პატრონი მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭისა და გავლენის მქონე პიროვნებას ეწოდებოდა.

ისტორიულ წარსულში გამორჩეული პიროვნების აღმავლობის გზა მეფისადმი, იგივე ქვეყნისადმი უანგარო სამსახურის ხარჯზე ვითარდებოდა.

გიორგი სააკაძის მამა სიაუში, ბიძები ზეშთაელი, ზურაბი და ივანე სიმონ პირველის ნდობით აღჭურვილი, სამეფო კარზე ღირსეული სამსახურით ცნობილი ადამიანები იყვნენ.

მის ერთ ბიძას მეფის კარზე სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა. მამა სიაუში მეფე სიმონ I-ლის მრჩეველი, „მუსაჰაბი“ იყო (სპარსულ განმარტებებში მოლარედ იხსენიება). გივი ჯამბურიას მინიშნებით, სიაუშ სააკაძე შესაძლოა მეფის საჭურჭლის გამგებელიც ყოფილიყო. 1590 წლიდან მას უკვე მოურავის თანამდებობაც უჭირავს. მართალია, არ არის ნათქვამი, რისი მოურავია სიაუში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის სწორედ თბილისის მოურავი იყო და შემდეგ ეს თანამდებობა მისმა შვილმა გიორგიმ მიიღო მემკვიდრეობით, როგორც ეს მაშინ ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე.

როგორც ცნობილია, სააკაძის წინაპრები ტანას ხეობაში, სოფელ ფელში მკვიდრობდნენ; შემდგომში სიაუში სოფელ ნოსტეში გადავიდა საცხოვრებლად, როგორც უკვე „აღზევებული“. მათი საცხოვრებელი სახლისა და კოშკის საკითხს ცოტა მოგვიანებით შევეხებით.

ნათლად ჩანს, რომ სააკაძის მამა-ბიძანი და წინა თაობები დიდ სამსახურს უწევენ ცენტრალურ ხელისუფლებას, მეფეც პატივის მიგების ნიშნად, გარდა პასუხსაგები თანამდებობებისა, შესაფერისი ადგილ-მამულებით დასაჩუქრებითაც აღნიშნავდა მათს მოღვაწეობას. ხაზი უნდა გაესვას სააკაძეთა გამორჩეულ თვისებას – ქვეყნის ერთგულებას.

ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახური, სამეფო ხაზინის გამგებლობა, აკისრია სიაუშ სააკაძეს. შემდგომ მან არანაკლები სირთულისა და პასუხსაგები სახელო – თბილისის მოურავობა ჩაიბარა სიმონ მეფის თხოვნით.

სიაუშ სააკაძე და მისი ძმები გიორგისა და ლუარსაბ II-ის მეფობის დროსაც, სანამ გიორგი სააკაძე თბილისის მოურავი გახდებოდა, მეფის კარზე ისევ მნიშვნელოვანი საჭირო საქმით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი. იმავე ხანებში შადიმან ბარათაშვილი იყო მეფის სუფრაჯი, რაც მოლარეთუხუცესობასთან და მოურავობასთან შედარებით დაბალი რანგის სამოხელეო თანამდებობა გახლდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ შადიმანი ასაკით სიაუშის ტოლი და, შესაძლოა, უფროსიც ყოფილიყო. დაახლოებით მათი ხნისა უნდა ყოფილიყვნენ ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილიც, ბერუკა ჯავახიშვილი კი გიორგი სააკაძის თანატოლი ჩანს, რადგანაც ისტორიკოსები მათ მეგობრებად იხსენიებენ.

შემდეგ, როგორც ვიცით, 1612 წელს იგი სააკაძის წინააღმდეგ ჩაითრიეს. შეთქმულთა ოგანიზატორი, შადიმანი, მომსწრე და თვითმხილველი უნდა ყოფილიყო სიაუშისა და მისი ძმების წარმატება-აღმავლობისა, რაც არანაკლებად გამაღიზიანებელი შეიქმნებოდა ფარსადან ციციშვილისთვისაც, მაგრამ მათგან სააკაძეთა აღზევების საწინააღმდეგო აშკარა უარყოფითად გამოხატული პოზიცია ისტორიულად არ ჩანს. ე.ი. დიდებულები ვერ ბედავდნენ თავიანთი უკმაყოფილება ხმამაღლა გაემჟღავნებინათ. სიძულვილი კი დიდი იყო, დიდხანს იდღვიბებოდა ფარული ბოღმა. შესაძლოა, ზოგიერთ დიდებულთა მიმართ გადაჭარბებულია „ფარული ბოღმა“, მაგრამ, სამწუხაროდ, სიძულვილის ის გორგალი, რომელიც გ. სააკაძეს უფრო მჭიდროდ შემოეხვია, მისი მამა-ბიძების აღზევების დროიდან იხვეოდა. მათ, ოთხივე ძმას, სამეფოს საყრდენები ებარათ, გავლენის სფეროებით მძლავრობდნენ. შეუდრეკელი ხასიათის მქონენი ჩანან, თან ოთხნი არიან, თავიანთი სამეგობრო წრითა და მოყვრებით გარშემორტყმულნი; ერთმანეთშიც კარგი ძმობა აქვთ, ამითაც ძლიერები, მეფისა და ქვეყნისთვის საიმედონი არიან, საქმის მცოდნენი და პრინციპულები. მეფესაც შეუმჩნეველი არ დარჩა მათი ღირსებები და მხარში ამოიყენა ქვეყნის სამსახურად. ამდენად, არაგვის საერისთავოს ბატონ-პატრონის ნუგზარ ერისთავისთვის სიაუშ სააკაძე სასურველი მძახალიც იქნებოდა.

თავადებიც იგივე დამოყვრება-დანათესავების ტრადიციული წესით ცდილობდნენ თავადური ინსტიტუტის შენარჩუნებას, მაგრამ მცირე აზნაურთა წარმატება დიდგვაროვანთათვის მაინც მიუღებელი რჩებოდა, ვინაიდან დროით და ტრადიციით არ იყო განმტკიცებული.დიდი მეფეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ გონიერებითა და შორსმჭვრეტელობით, ნიჭიერ და ამაგის გამღებ კაცს არ უკარგავდნენ ქვეყანას. მეფემ იცოდა, რომ თუ დიდგვაროვანთა ინტერესები მოითხოვდა, მათ შეეძლოთ მეფისა და ქვეყნის წინააღმდეგ წასულიყვნენ. ბრძენი მეფე ეძებდა მოსალოდნელი საფრთხის აცილების გზას, რომელიც ყოველთვის არსებობდა და მხოლოდ გონიერნი პოულობდნენ – აწინაურებდნენ ღირსებებით გამორჩეულთ და ერთად აკეთებდნენ საქვეყნო საქმეს. გიორგი სააკაძის მამის და ბიძების აღზევებულობის წინააღმდეგ ზოგი დიდებულის მიერ წარმოქმნილი „მტვრიანი ქარი“ მოკლე გზას არ გასცდენია და ეს იმიტომ, რომ სიმონ მეფის მტკიცე მარჯვენა და სამართლიანი გონება ზღუდავდა მათ ამბიციებს. ე.ი. ქვეგამხედვარნი ასპარეზზე გამოსვლას ვერ ბედავენ მაშინ, როდესაც მტკიცე მეფის

თვალი მოხუჭული არ არის და ყური ქვეყნის ჯანმრთელი სუნთქვისთვის აქვს მიპყრობილი.

მეფე სიმონ დიდის გარდაცვალებიდან, 1603 წლის შემდეგ, ქვეყნის ძლიერად გასაწევ ჭაპანს თავ-ბოლო მორღვეოდა და გამთელების მოლოდინში გარინდებულიყო.

გიორგის თავისი მამა-ბიძებისაგან გადაეცა თბილისისა და ცხინვალის მოურავობა, აგრეთვე მათი აღზევებულობისაგან დიდებულებში წარმოქმნილი შური, იმ განსხვავებით, რომ ახლა დაგროვილი ბოღმის თავისუფალი გადმოფრქვევის ჟამი დასდგომოდათ.

გიორგის თანამედროვენი წააძახებდნენ ხოლმე, „აღზევებული სააკაძეო“. თუ ამას სარდლური ნიჭის გამოვლინების მიმართ ვიტყვით, ცხადია, დამსახურებულად იყო აღზევებული საკუთარი ენერგიის გაღების ხარჯზე, რომ „მეფისა შემდეგ იგი იყო.“ სწორედაც მას და არა სხვას ენდობოდა მეფე, თავადთა აზრით კი ეს ნდობა „აღზევებას“ უნდა ნიშნავდეს, რაც შემდგომ შურის მეტასტაზებით დიდ დაპირისპირებაში გადაიზარდა, – აბა რა იქნებოდა, ტაშისკარის ომის შემდეგ ირანში წასვლამდე ლუარსაბმა ქართლი სამეთვალყურეოდ სააკაძეს დაუტოვა. შეცბნენ თავადები ლუარსაბის საქციელზე, ამდენს არ ელოდნენ, გადაწყვიტეს, მეფე თავიანთ ჭკუაზე მოეყვანათ, რაც გააკეთეს კიდეც.

ადვილი მისახვედრია, რომ „აღზევებული“ სააკაძე მეფესთან სამართლიანად დაახლოებულ სააკაძეს ნიშნავს და სპარსულ-ოსმალური მტაცებლური ჟინიანობისაგან გადარჩენის იმედს განასახიერებს. ეს იყო მისი მთავარი სიკეთე, თორემ ნოსტეში ერთი კოშკისა და მომცრო სასახლის პატრონი სააკაძე რომ დიდი შეძლების პატრონი არ არის, ცხადია. ახლა შეადარეთ ნოსტეს კარ-მიდამო მუხრანბატონების მუხრანულ სამყოფს, ქსნის ერისთავების ახალგორისას, არაგველების ანანურს, ამილახვრების სხვილოს ციხეს... ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. დასაშვებია, სააკაძე გატოლებოდა დიდებულებს ნივთიერად? ერთი კოშკის პატრონი სააკაძე იქნებოდა მატერიალურად აღზევებული? ან სააკაძის საცხოვრებელი სახლის დარჩენილი საძირკველი, რომლის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი, შეედრება ჩამოთვლილი თავადებისას, ხომ არის დიდი სხვაობა (ნ.ხ.)?!

სააკაძემ ხალხის სიყვარული და მეფისგან დამსახურება ტაშისკარის ომის შემდეგ მიიღო, რაც თავადებისთვის შეუგუებელი და მტანჯველად აუტანელი გახდა.

„აღზევებული მდაბიო“ იმ ეპოქის მეტად სახასიათოდ მიწერილი სიტყვაა, თავის შიდა არსში მრავალ საიდუმლოსაც რომ მოიცავს. ადვილი მისახვედრია, ვისგან იყო ნათქვამი ვის მიმართ. თავადთა იერარქიაში ერთმანეთის მიმართ იშვიათად იხმარებოდა სიტყვა „აღზევდა“. მათი გარემოცვისთვის წინსვლა, გამდიდრება, მეტი მიწა-მამულები, განცხრომაში ყოფა, ხშირად წართმევა-მიტაცება გმირობადაც ეთვლებოდათ ერთმანეთს შორის; წოდებრივი ხარისხები, როგორც დიდ თავადთა ტიტულები, მხოლოდ მათთვის უნდა ყოფილიყო მეფისაგან კუთვნილი. როგორც შეუვალი პირობა, მეფეს მხოლოდ დიდ თავადთან შეეძლო დანათესავება.

საშუალო აზნაურის დამოყვრება მეფესთან დიდი თავადებისთვის პირდაპირ შეცხადება იყო და „მდაბიოს აღზევებას“ ნიშნავდა, – ამის თვალსაჩინო მაგალითი გიორგი სააკაძესთან მისი თანამედროვე ზოგიერთი თავადის დამოკიდებულებაც გახლავთ.

დიდებულთა წარმოსახვით, მათი დიდგვაროვნება უზენაესის ნებით იყო მოვლინებული, რასაც მარადიულობაც კი ვერაფერს დააკლებდა და არც უნდოდათ იმის გახსენება, საიდან დაიწყო იერარქიული საფეხურის ათვლა მათმა წინაპარმა.

მათ წრეში აღზევებული მდაბიოს მიღება წარმოუდგენელი იყო, რაც უნდა პირადი ღირსებებით შემკული პიროვნება ყოფილიყო. შეუპოვარი მებრძოლის სახელი, მოურავობა,

სარდლობის ნიჭი და ალღო, მეფის დიდი წყალობა არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ დიდგვაროვნებს თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა ვინმესთვის დაემორჩილებინათ, გარდა მეფისა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მათ ინტერესებს დაიცავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიკვრებოდა მათი გაუმტარობის წრედი და ოპოზიციად გარდაიქმნებოდა.

როდესაც მეფისაგან დიდი ან მცირე ფეოდალის, გინდაც აზნაურის შეწყალებას ან პატივის მიგებას აღნიშნავდნენ, მას გარკვეული მამულებითაც ასაჩუქრებდნენ. ამას მხოლოდ მეფის ანუ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის აკეთებდნენ.

გონიერი და გულისხმიერი მეფე იკრებდა უფრო დაბალი სოციალური ფენიდან აღზევებულ, ერთგულ და ნიჭიერ ხალხს სამეფო ხელისუფლების სიმტკიცის შესანარჩუნებლად.

ასეთი ჯგუფი საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა მეფისთვის, ხშირად განდგომილ დიდგვაროვან ოპოზიციასაც უპირისპირდებოდა. ამ კატეგორიის ხალხი მხოლოდ ტრადიციიდან გამომდინარე დიდგვაროვნებას იყო მოკლებული, სხვა მხრივ კი დიდად სარგო და გონებით სავსენი, მუხლმოუღლელად ემსახურებოდნენ ქვეყანას.

გ. სააკაძეც სწორედ ასეთი „მდაბიო აზნაური“ მემამულე გახლდათ, დიდ თავადთა ინტერესებიც უმეტეს შემთხვევაში ერთნაირი იყო, ცდილობდნენ, მეფისთვისაც მოეხვიათ თავიანთი ამბიციები და თანამოაზრედ გაეხადათ.

მათს გარეშე მეფეს არ უნდა ემღერა, თორემ ვაი მისი ბრალი!

ასეთმა „აზრიანობამ“ დიდხანს იარა საქართველოს გულზე, თავადთა და დიდაზნაურთა განსაკუთრებული ძალმოსილება მკვეთრად ჩასაძირკვლებას ნიშნავდა სამემკვიდრეო სათავადო მამულებში, მათი აზრით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამოხელეო ფორმით და თავიანთი ჯარით, რომელიც ყველა სათავადოს ჰყავდა, საქართველოში პატარა ავტონომიურ საქართველოებს ქმნიდნენ და თუ საჭიროება მოითხოვდა, ცენტრალურ ხელისუფლებასაც უპირისპირდებოდნენ.

საქართველოს ასეთი დანაწევრება სასურველი იყო მომხდური მტრისთვის, ადვილად ახერხებდნენ ცალკეულ დიდებულებთან საერთო ენის გამონახვას და მათ გვერდით დგომა ხშირად მტრის წისქვილზე წყლის დასხმასაც ნიშნავდა.

ეს მდაბიო კაცი გიორგი სააკაძე რომ თბილისის მოურავი იყო, ამას დიდებულნი შეგუებულნიც იყვნენ, მაგრამ აგერ ჯერ 1609 წელს ტაშისკარის ომში როგორი უნარიანობა გამოიჩინა, სახელოვანი სარდალი გახდა!.. ახლა მარტყოფი, თუნდაც მარაბდა, ლისი, ბოლოს ქსნის ბრძოლაც. აღარაფერს ვამბობთ ქართლის და სამხრეთ საქართველოს ციხეებიდან ყიზილბაშთა განდევნაზე.

დიდებულთათვის კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ის გამხდარა, რომ ეს „გადიდკაცებული მდაბიო“ ნასოფლარების აღდგენაზე, ციხე-სიმაგრეთა შეკეთებაზე და თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს გაერთიანებაზეც ზრუნავს! „ცხადია, ჩვენი მოდგმისა არ არის და ნიშნავს, არც ჩვენი აზრისა იქნება“...

გიორგი სააკაძის ფსიქოლოგიურ აღზრდაში, ქვეყნისთვის თავგანწირვისა და ერთგულების გამოვლენაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი როლი ითამაშა მეფე სიმონ I-ლმა, ვისი მეშვეობითაც გიორგი სააკაძეს ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა ქვეყნისთვის თავდაუზოგველობისა და თვითშეწირვის თვისებები.

სამშობლოს უნდა შეახარჯო ენერგია, თუნდაც სიცოცხლე, მაგრამ გიორგი სააკაძეს ჰქონდა ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე მიწიერი თვისებებიც, სიამოვნებდა დაფასება, აღნიშვნა; უნდა ითქვას, თვლემდა მის გულისგულში ასეთი ხასიათი.

ყველამ ჩვენს შინაგან ხმას მოვუსმინოთ;

თუ ვინმემ ფუნჯი არ შეგვიქო, კალამი არ შეგვიქო, სამშობლო არ შეგვიქო, კაცობა და ადამიანობა არ შეგვიქო და სხვა უამრავი კეთილი საქმის კეთებისთვის ჯეროვანი შეფასება არ მიგვიღია, მაშინ?.. ეს ხომ წმინდა ადამიანური, მიწიერი, პატივმოყვარული მოთხოვნილებაა და საზოგადოების 95%-ს ახასიათებს.

ნათქვამია, „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო."

თეიმურაზ მეფის დაუძინებელი მტერი მისი დედის, ქეთევან დედოფლისა და შვილების მწამებელი, მკვლელი შაჰ-აბას I იყო და მისი ზენიტში მყოფი დიდების დამანგრეველი გიორგი სააკაძე ვერ გაიხადა თეიმურაზმა მეგობრად...

დიდებულებს და უაღრესად თეიმურაზ მეფეს უნდა დაეფასებინათ სააკაძის ერთგულება, მაგრამ არ მოხდა ასე. მიუხედავად დამსახურებისა და ძალზე დიდი პოპულარობისა, დიდებულთა თვალში იგი მაინც დაბალ საფეხურზე მდგომ პიროვნებად დარჩა.

გიორგი სააკაძისა და მისი გეგმების მუდმივი მორჩილება დიდი თავადებისთვის სიკვდილის თანასწორი იყო. საქართველოს ერთიანობის, კეთილდღეობის, აღმშენებლობის გზაზე მდგომ გიორგი სააკაძეს მათი ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: როცა მარაბდის წაგებული ბრძოლის შემდეგ ყიზილბაშებს გიორგი სააკაძე თავისი მფრინავი რაზმებით ყველგან შიშის ზარს სცემდა და მოქმედების საშუალებას არ აძლევდა, დიდებულები დაზავების ხასიათზე იდგნენ. შეჩვეულები, მორჩილები შაჰისაგან წამოყენებული საზავო წინადადებისა, სეირის მაყურებლის როლში ჩანან, დაამთავრებს თუ არა სააკაძე საომარ მოქმედებებს. ამ დროს მოურავმა 1625 წლის გაზაფხულიდან 1626 წლის შემოდგომამდე მოსპო და განდევნა ირანული ჯარის ნაწილები ქართული მიწიდან.

ამის შემდეგ იწყება ზოგიერთ თავადთა ჩვეულ „საქმიანობა" – შური, ეგოიზმი, უჩვენოდ უმღერია მდაბიო გიორგი სააკაძესო – და ცდილობენ შუღლის ჩამოგდებას თეიმურაზსა და სააკაძეს შორის, რასაც მიაღწიეს კიდეც. „შესაძლოა ქართლის მეფედაც გამოაცხადოს ქაიხოსრო მუხრანბატონი ყოველ საქმეთა გამრიგე დიდმა მოურავმა, ვინ გადაეღობება წინ!" – სისინებდნენ ქვეყნის „გულშემატკივარი" თავადები.

ეშინოდათ საქართველოს გაერთიანებისა და იმიტომ, რომ პირადი განდიდება დაეჩრდილებოდათ.

ქართველ ისტორიკოსთა გამორკვევით, გიორგი სააკაძის მიერ საქართველოში წარმოებულ ომებში განადგურდა 70 ათასამდე ირანელი მეომარი, თანაც ბევრად უპირატესი შეიარაღებით, წვრთნითა და საბრძოლო დისციპლინით მომზადებულნი. ისქანდერ მუნშის ნათქვამს იმეორებს თურქი იტორიკოსი იბრაგიმ ფეჩეკიც: „ირანის შაჰს ორმოცი წლის მანძილზე ასეთი ზარალი არ მოსვლიაო".

ინფორმაცია საქართველოში შაჰის ჯარების აბსოლუტურად წარუმატებელი მოქმედების შესახებ დეტალურად აღწევდა ირანში და ქმნიდა მათთვის გამოუვალ მდგომარეობას. ერთი მხრივ, ქვეყნის რეპუტაცია ირყეოდა, მეორე მხრივ, ირანული ჯარების უძლეველობის მითი მაშინდელი აღმოსავლეთის ქვეყნებში დღითიდღე იმსხვრეოდა, რის გამოც შაჰის გაცოფებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს თავადთა ნაწილის მხრიდან ზავზე თანხმობა ჰაერივით სჭირდებოდა სულის მოსათქმელად და ახალი საომარი ძალების მოსაკრებად.

1614-1617 წლებში შაჰ-აბასი ოთხჯერ შემოესია კახეთს და ოთხივეჯერ დიდი ხალისით თავად მოუძღვებოდა ამაოხრებელ 15 ათას მეომარს. კახეთთან დაკავშირებით შაჰმა თითქმის აისრულა თავისი ბოროტი მიზნები, გარდა წიწამურის ბრძოლისა, სადაც თეიმურაზმა მტერი დაამარცხა. ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნე-

ლობა ჰქონდა ქართულ ცნობიერებაში გამარ-ჯვების რწმენის განსამტკიცებლად, მაგრამ გა-ალმასებულმა შაჰმა კახეთის მოსახლეობაზე იყარა ჯავრი და თავისი ფიქრით კახეთის და-მორჩილების საქმე მოაგვარა.

...ახლა 1625 წელია, მის არმიას ქარ-თლთან აქვს საქმე, უფრო სწორად, სააკაძეს-თან, რომელსაც სრული ნდობით და საუკეთესო სარდლებით 30 ათასი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარისკაცი გამოაყოლა იმ იმე-დით, რომ ბოლოს მოუღებდა ქართლს. თვით შაჰი ამ შემთხვევაში ირანში დარჩა, ე.ი. აღარ გამოჰყვა თავის ლაშქარს, როგორც ამას კა-ხეთში აკეთებდა. სულ მალე, ეს ირანული არმი-ები მარტყოფის ველზე დასამარდებიან!

იმავე 1625 წელს მარცხნაგემი შაჰისაგან თავმოყრილი 50 ათასი ყიზილბაში შემოვიდა ქვემო ქართლში რევანშის ასაღებად. მარაბდის შუა ბრძოლაში მათ შაჰბენდე-ხანის 10 ათასი მეომარიც მიემატა.

– ფაქტიურად ის 60 ათასი ყიზილბაში მეომარი აბასმა ერთიანი აღმოსავლეთ საქარ-თველოს, კერძოდ, ქართლის მფარველის გიორ-გი სააკაძის წინააღმდეგ და გასანადგურებლად დარაზმა.

ქართლში გაუჭირდათ ირანელებს, გაუ-ჭირდათ სააკაძესთან და მის გვერდში მდგომ დაუღალავ ქართველებთან.

შაჰმა ორჯერ ქართლში კარგად შეიარა-ღებული და გაწრთვნილი 90 ათასი მეომარი გა-მოაგზავნა.

სარდლებად მოჰყვებოდნენ ირანის მთე-ლი ჯარების მთავარსარდალი ყორჩიხა-ხანი, შირვანის ბეგლარბეგი, იუსუფ-ხანი და ყარაბა-ღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღ-ლი. ხოსრო-მირზას, როსტომ მეფის გადმოცე-მით, „თორმეტი ხანი“, ამირა და სულთანი და-მატებით, როგორც შემცვლელი მოადგილეები.

„მარაბდის ომში“ – ისა-ხან ყორჩიბაში, შირვანის მმართველი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევ-ნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი.

მათი საომარი წრთობა და შეიარაღებაც ქართველთა საომარ მზადყოფნას აღემატებო-და, მაგრამ ქართლის დაპყრობას ვერ ახერხებ-დნენ, ხალხის აყრა-გადასახლება კი არა, ცოც-ხლად დარჩენილნთ ოღონდ სააკაძის ხმა არ გა-ეგონათ და მისი ხმალი არ მისწვდენოდათ, სმე-ნადახშულნი და ალაჰდავიწყებულნი გარბოდ-ნენ!..

დავაკვირდეთ გ.სააკაძის მოუღლელ ენერგიას. მარტყოფის გამარჯვების შემდეგ მი-სი ხმალი განჯა-ყარაბაღში გაჩერებულ ყიზილ-ბაშებს მიწვდა, შემდეგ თბილისის ციხეში, მა-რაბდის ომში ვნახეთ მისი თავდაუზოგაობა. შემდეგ იყო ლისის ბრძოლა, ქსნის ომი, გორის ციხიდან ყიზილბაშების განდევნა ბირთვისის ციხიდან. შემდეგ ცნობილი მოვლენებიდან გ. სააკაძე გადადის სამცხეში, ყიზილბაშებისაგან თავისუფლდება აწყური, ახალციხე, ფარავანის ციხეები. ამის მერე იმერეთის სამეფო კარზე გადასვლა, მათთან თათბირი ურთიერთთანად-გომისათვის, ლევან დადიანის მხარეში ამოყენე-ბა, შემდეგ ისევ ქართლში დაბრუნება, მეორე-ჯერ განჯაში გადასვლა, ზ. ერისთავთან ერთად სიმონ II ხანის მომხრე ყიზილბაშების განადგუ-რება, მისგან ეს ყველა მცდელობები, მტრის განდევნას და ბოლოს, საქართველოს გაერთია-ნების იდეას და შინაარსს მოიცავდა.

განა მისი თანამედროვე, ზოგიერთ დი-დებულთაგან, ან მეფეთაგან ისტორიულად ჩანს გ. სააკაძის მსგავსი მზრუნველობა თავის ხალ-ხზე ან საომარი სათადარიგო მოძრაობა მოქმე-დებანი?

მაღალი ღმერთის უზენაესი ძალის შე-წევნით იმდენ ომსა და ათიათასობით მტრისა-გან მოსურნე სიკვდილს, იმდენჯერ გადაურჩა გ. სააკაძე, სანამ საქართველოში ყიზილბაშური ურდოები მისაგან არ დაიშრიტნენ.

გ. სააკაძისაგან შეზანზარებული, შაჰ-აბა-სის სამეფო ტახტი წონასწორობას ვეღარ ინარ-ჩუნებდა, მისგან ვითომ დაჩოქებული იბერია

დაუმორჩილებელი გამოდგა. უფრო მეტიც, მისი დამხობილი არმიები, მომავალში ველარ აუსრულებდნენ მეზობელი სახელმწიფოთა დაპყრობით გეგმებს. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას უმნიშვნელოვანეს მოვლენას, გ. სააკაძისა და მისი ქედმოუხრელი ქართველი მეომრებისაგან განადგურებული ათი ათასობით ირანული მხედრობის მოსპობამ, შაჰს მხარი მოსწყვიტა, ჩაინავლა საქართველოსადმი მისი ავი ვნება. ამდენად, ქართული სულის, გენეტიკური სიცოცხლის უნარიანობას და სპეტაკი სისხლის დაღვრის ხარჯზე, გადაურჩნენ შაჰის რისხვას და შვებითაც ამოისუნთქეს, იბერიის მეზობელმა ქვეყნებმა, სომხეთმა, ალბანელებმა, თავიანთი მიწა-წყლის კეთილ აღმშენებლობას შესდგომოდნენ.

დავით ახლოური



ქსნის ხეობის სოფლების ისტორიიდან
(სოფელი უფუეთი)

ქსნის ხეობის ზედა წელზე აზნაურ ჟურულების გვარი მკვიდრობდა, რომელთა სამკვიდროს, მეთვრამეტე საუკუნის ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობების მიხედვით ისტორიული სოფელი ლარგვისი იყო, სოფელი, რომელიც ოდითგანვე გახლდათ ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის დამაკავშირებელი. აქ ერთდებოდა ქურთის, ქარჩოხ-ჟამურისა და ცხრაზმის ხეობებიდან მომავალი გზები, რამაც ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ იგი იქცა ცხრაზმის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრად.

ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ ჟურულები ერთ-ერთი წარჩინებული გვარი იყო საქართველოში; შალვა ქვენიფნეველის ლარგვისის მონასტრისადმი 1470 წლის შეწირულების წიგნიდან ჩანს, რომ სულის სამლოცველოდ, სააღაპოდ და სახსენებლად ერისთავს ეკლესიისადმი სოფლები: ივრეთი, ჰერედა და ქურთა შეუწირავს და წინამძღვრად გიორგი ჟურული გაუმწესებია (საქართველოს სიძველენი, 1910: 561-563; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2014: № 70). ამას წინ უძღოდა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის (ქართლის მეფე 1446-1466 წლებში, კახეთის მეფე 1466-1476 წლებში) 1460 წლის სიგელი მიცემული იმავე გიორგი ჟურულისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ესე მტკიცე და უცვალებელი წყალობისა სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ, ერისთვისა შალვასა და

ლარგუელისა კითხვითა მათსა მკვიდრსა და თანა აღზრდილ-შეზრდილსა და პატივ-ცემულსა, [ჟურულის შვილსა] მღდელსა გიორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და რატის და თქუენსა შვილსა დემეტრეს, და ძმის წულსა შიოს, თქუენთა შვილთა და მომავალთა და აბირონს, აბრაამს და სია-ოშს და ყოველთავე გუარისა თქუენისასთა, მას ჟამსა ოდეს მოხვედით წინაშე ჩუენისა და გუიაჯეთ, რათამცა ჩუენცა სიგლითა ამით ჩუენცა პატივ გუეცა და შეგუეწყალენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ვქენით მოკითხული და ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი." (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2014: № 41). სიგელი მოგვიანებით განუახლებია ბაგრატ მეექვსეს (იმერეთის მეფე 1463-1466 წლებში, ქართლ-იმერეთის მეფე 1466-1478 წლებში). გაზეთი „ივერია" გიორგი მეფის სიგელს 1463 წლით ათარიღებს, ბაგრატ მეფისას – 1472 წლით („ივერია" № 124, 1886). თედო ჟორდანიამ გიორგის სიგელი 1460 წლით დაათარიღა, ბაგრატის – 1482 წლით (ქრონიკები, 1897: 278-280), პირთა ანოტირებული ლექსიკონი – 1460 და 1472 წლით (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, 1991: 233, 244)... სიგელის შინაარსიდან ჩანს, თუ როგორი პატივისცემით სარგებლობდა ჟურულების გვარი საქართველოს სამეფოს კარის წინაშე არა მხოლოდ გიორგი მეფის დროს, არამედ ადრეც: „ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელიო." გაზეთ „ივერიის" შენიშვნით: „ჟურულნი უნდა იყვნენ ქსნის ერისთავთ შალვასა და ლარგველის ერთ-ტომნი და ერთ-სისხლნი" („ივერია" № 124, 1886). ვეთანხმებით ვ. ქენქაძეს, რომელმაც არ გაიზიარა აკად. ი. ახუაშვილის ვერსია, ჟურულების რუსეთიდან მოსვლის შესახებ და მათ თავდაპირველ სამკვიდროდ ცხრაზმის ხეობა მიიჩნია (ქენქაძე, 2016: 97).

ლარგვისში მცხოვრებ ჟურულებს ყმები ჰყავდათ ქსნის ხეობის რამდენიმე სოფელში, მათ შორის უფუეთში, რომელიც დღეს უკვე ნასოფლარია...

უფუეთი ლარგვისიდან დორეთკარისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. გზად მდინარე ქურთულაზე ხიდი უნდა გაევლოთ, რომელსაც უფროსი თაობა ნაქურდავალის ხიდის სახელით იცნობდა, ახალგაზრდები კი შუა ხიდს ეძახდნენ. ხიდიდან 500-600 მეტრის გავლის შემდეგ იყოფოდა დორეთკარისა და უფუეთის გზები. მთავარი გზიდან მარცხნივ ტყეში სამარხილე გზა ადიოდა, რომელსაც მივყავართ ნასოფლარისკენ. სამოსახლოების წინ ყოფილა დაახლოებით ერთი კვირის სახნავი მიწა. უფუეთის სიახლოვეს საბჭოთა პერიოდში ცხვრის აბაზანები ჰქონდათ მოწყობილი, მათ გვერდით ჩამოედინებოდა უფეურას ხევი... როგორც სოფელ ლარგვისის მკვიდრმა (ამჯერად დევნილმა წეროვანში), 87 წლის ლადო მელთაურმა გვითხრა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში აზნაურ ჟურულების მიწაზე ჩერტკოევების ორი კომლი ცხოვრობდა, დღემდე შემორჩენილია მათი ნასახლარები. სოფელში დგას წმინდა გიორგის სალოცავი გალავნით, რომელიც სიპის ქვითაა ნაშენი და გადახურული. სალოცავი და სახნავი მიწები აქ მცხოვრებ იმ ქართველებს ეკუთვნოდათ, ვინც მოხსენიებულნი არიან ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ

აღწერილობაში; მართალია, 1774 წლის ქსნის საერისთავოს და პირველ რუსულ კამერალურ აღწერებში უფუეთის შესახებ ცნობებს ვერ ვხვდებით, მაგრამ 1783 წლის მონაცემებით ცნობილია, რომ სოფელში ოთხ კომლს უცხოვრია:

„უფუკეთიდამ

ქ. ლაზუტას შვილი კომლი ა თავი. ზ. ქიტესა ბეკო ბერი. ზაალ დავით ივანე და შიო

აქავ დავით ჟურულის ყმა ორჯონიკიძე კომლი ა თავი (ა) შეუძლებელი ფოცხვერა.

აქავ როსტომ ჟურულის ყმა ჯავახი კომლი ა თავი (ა) შეუძლებელი თევდორე.

აქავ ხიზანი არაგვის ხადელი კომლი ა თავი. ა ნაზღაიძე

იქნა ჯამი მემკვიდრისა. კომლი. გ. თავი. ზ.

იქნა ჯამი ხიზნისა კომლი ა თავი ა. ა" (თაყაიშვილი, 1951: 17).

ჯავახიშვილის ძეგლებში მოცემული აღწერები თითქმის იდენტურია თაყაიშვილისეული გამოცემისა, განსხვავება სახელწოდებაშია, ჯავახიშვილთან ერთგან უფუეეთი (ჯავახიშვილი, 1967: 214), მეორეგან – უფეკეთია მითითებული (ჯავახიშვილი, 1967: 236). ისე, რომ სამივე ვარიანტში ტოპონიმის სხვადასხვა ვერსიებს ვხვდებით, მართებული კი უფუეთი უნდა იყოს, ამ სახელით შემორჩა იგი მოსახლეობის ხსოვნას. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის მსგავსი – უფურეთის სახელწოდების ორი სოფელი იყო საქართველოში, მცხეთისა და დუშეთის რაიონებში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 101). დუშეთის უფურეთი ანანურის თემში მდებარეობდა და დღეს ნასოფლარია. მცხეთის უფურეთი კი აღდგომელაანთკარის თემის სოფელია, სადაც 2014 წლის აღწერით 18 ადამიანი ცხოვრობდა (მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014). ახალგორის უფუეთი ორთოგრაფიულ ლექსიკონში მოხსენიებული არაა, იქ მცხოვრებთა შესახებ მეზობელი სოფლების ასაკოვან ადამიანებსაც მწირი ინფორმაცია აქვთ.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში სოფლის ძირითადი მაცხოვრებლები იყვნენ ლაზუტას შვილები, კომლში 7 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. თითო კომლი ეკუთვნით დავით და როსტომ ჟურულებს. დავითს – ორჯონიკიძე შეუძლებელი ფოცხვერა, როსტომს – ჯავახი შეუძლებელი თევდორე. შეუძლებელი შეიძლება ვიგულისხმოთ ან სამხედრო თვალსაზრისით ან მემამულისთვის ბეგარის გადახდის კუთხით... ორჯონიკიძე იმერეთიდან უნდა იყოს გადმოსული. ერთი კომლია ხიზანი ხადელი ნაზღაიძე... მოგვიანებით უფუეთში ოსების დამკვიდრება კიდევ ერთი მაგალითია იმის, თუ როგორ იკავებდნენ ქართველი გლეხების ნამოსახლარ ადგილებს ოსი ეროვნების მოქალაქეები, რომელთაც თავის მხრივ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსვლის შემდეგ უწევდათ გარკვეული შუალედური რგოლის გავლა და ქართველთა კვალდაკვალ ბარისკენ ჩამოსახლება, ნაწილი კი ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებოდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

თაყაიშვილი, 1951 – თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951

„ივერია" № 124, 1886 – „ჟურულიანთ გვარის გუჯარი", გაზეთი „ივერია" № 124, 1886

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014 – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნოემბერი, 2014

ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987 – საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (სახელები), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბ., 1987

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991

საქართველოს სიძველენი, 1910 – საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ., III, ტფილისი, 1910

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2014 – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი III (XV საუკუნის მეორე ნახევარი), შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ., 2014

ქენქაძე, 2016 – ქენქაძე ვ., ქსნის ერისთავების საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2016

ქრონიკები, 1897 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, 1897

ჯავახიშვილი, 1967 – ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1967

მზიანი აჭარა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ორგანიზაცია

ნიაზ ბოლქვაძე

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრი, ბაშკირეთის რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ეროვნული კულტურის ცენტრის დამფუძნებელი, ბაშკირეთის ქართველთა სათვისტომოს დამფუძნებელი და პრეზიდენტი (ამჟამად საპატიო), საქველმოქმედო ფონდი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მწერალთა კავშირის რაინდის წოდების მფლობელი.

არის 15 წიგნის, 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის და 500-ზე მეტი პუბლიცისტური სტატიის ავტორი ქართულ და უცხოურ გამომცემლობებში.

უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნო
ძვ.წ. XIII–VIII საუკუნეები. რეკონსტრუქცია
იდეის ავტორი: ნიაზ ბოლქვაძე
მხატვარ–არქიტექტორი: ჯემალ მიქელაძე

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნიაზ ბოლქვაძის ნაშრომი ,,უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება. არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა“ ეძღვნება დედამიწაზე რკინის მეტალურგიის ჩასახვისა და მისი განვითარების ისტორიას. ნაშრომში სიღრმისეული ისტორიული ანალიზით საინტერესოდ არის წარმოდგენილი 3000 წლის წინათ, საქართველოში, უძველესი კოლხეთის ხეობების დაბურულ ტყეებში საიდუმლოდ რკინის წარმოების ამსახველი სურათი და ამ საიდუმლოების დაცვის ხერხები, რაც დღემდე გამოუცნობი იყო და სიახელს წარმოადგენს ამ მხრივ. აქვე წარმოდგენილი არის ახლებური მიდგომა უნიკალური, ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულ-ტურული მემკვიდრეობის ძეგლების, უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების გადარჩენის და პოპულარიზაციის მიზნით.

ნაშრომი საინტერესო იქნება ისტორიკოსთათვის, ლექტორ-მასწავლებელთათვის, ასევე ფართო წრის მკითხველისათვის.

უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა!

,,ლოდი, რომელიც მშენებლებმა
დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა...“
მათე, 21,42

ამიერკავკასიაში უძველესი მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის მხრივ თითქმის საუკუნის მანძილზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიღწევების შედეგად ძალიან მნიშვნელოვანი შრომები მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა კვლავ რჩება შესასწავლი არაერთი საინტერესო საკითხი, რომელიც დღემდე არ იყო შესწავლილი.

აქედან გამომდინარე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე, რომელიც სიამაყის გრძნობასთან ერთად დიდ ინტერესსა და გაოცებას იწვევს, კერძოდ: ძველი კოლხეთის მმართველები და კოლხი მეტალურგები საუკუნეების მანძილზე როგორ ახერხებდნენ რკინის წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოების დაცვას?

ვიდრე ამ საიდუმლოების ახსნას შევეცდებოდე, საერთო წარმოდგენისათვის კარგი იქნებოდა ამ საკითხის მოკლე ისტორიული შეფასება.

უძველეს კოლხთა ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სხვა დარგებთან ერთად მეტალურგია იყო.

მეტალურგია (ბერძნ. metallurgeo-მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ ლითონს) კაცობრიობის განვითარების უძველესი დროიდან ღებულობს სათავეს[1]

უძველესი წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ადამიანი უკვე ძვ.წ. VII-V ათასწლეულებიდან ადნობდა სპილენძს, იცნობდა თვითნაბად ოქროს, ვერცხლს, მეტეორიტულ რკინას.

რკინის ყველაზე უძველესი ნაკეთობები, რომელიც აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დათარიღებულია ძვ.წ. აღრიცხვით IV, III, II ათასწლეულის შუა ხანებით და მიეკუთვნება შუმერებისა და ეგვიპტის ცივილიზაციას. ისინი დამზადებულია ზეციური წარმოშობის მეტეორიტული რკინისაგან: სამკაულები და საბრძოლო იარაღები ეგვიპტური სამარხებიდან, შუმერული ქ. ურიდან და სხვა... მეტეორიტული რკინისაგან ნაწარმი ნივთები ფარაონთათვის ზეციურ, ღვთაებრივ ჯილდოდ ითვლებოდა...

როგორც ცნობილია ენეოლითის ხანის შემდეგ იწყება ბრინჯაოს ხანა-საზოგადოების განვითარების ისტორიულ-კულტურული პერიოდი. უძველესმა ადამიანებმა ისწავლეს ბრინჯაოს წარმოება. ბრინჯაოს ყველაზე უძველესი ნაწარმი და წარმოების კერები აღმოჩენილია ირანის, შუა მდინარეთის და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიებზე.

ძვ.წ. III ათასწლეულებში ბრინჯაო ფართო გავრცელებას პოულობს სხვა და სხვა ქვეყნებში. ამ დროისათვის ადამიანი არ ფლობდა მადნიდან გამოდნობის წესით. რკინის მიღების საიდუმლოს.

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.ტ.VI, 1986., გვ.606

ევრაზიის უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი ბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. III ათასწლეულიდან ხდება კავკასია. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ირკვევა რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, უძველესი კოლხეთის მკვიდრთ, ბრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ როგორც სამთამადნო, ასევე მეტალურგიულ ლითონდამამუშავებელ ინდუსტრიაში. კერძოდ, გვიან ბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში-კოლხეთში ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში მოხდა დიდი ცვლილებები. მეტალურგიის განვითარების უდიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება, რამაც რევოლოციური გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში მხოლოდ რკინამ შეძლო უძველესი ადამიანის ცხოვრებიდან ქვის, სპილენძისა და ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღების გამოდევნა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო თემური წყობილების რღვევის პროცესს და კლასობრივ საზოგადოებად ჩამოყალიბებას.

უძველესი და ანტიკური ხანის ეგვიპტური, ხეთური, ბერძნული, ურარტული და სხვა ისტორიული წერილობითი წყაროები ადასტურებენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ძველი კოლხური ტომები - ხალიბები რკინის პირველი მწარმოებლები იყვნენ. ანუ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და იწყო განვითარება შავიზღვისპირეთში, ძველ კოლხეთში.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ასევე ადასტურებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართველი ერის ეკონომიკურ დაწინაურებას უძველესი დროიდან ქრისტეშობამდე, რომ ამ დროისათვის ქართველებს უკვე სცოდნია მადნეულობის ამოღება დედამიწიდან და მისი დამუშავება.

,,გერმანელი ენათმეცნიერი ოტტო შარდერი ფიქრობს, რომ ევროპის ენებში შესული ზოგიერთ ლითონთა სახელები ქართულიაო... თუ ქართულ სამადნო კულტურას ზეგავლენა ჰქონია ევროპისაზე, სჩანს ქართველობა ათი საუკუნით წინ ქრისტეშობამდე დიდი განვითარებული ერი ყოფილა“[1] - აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

ბუნებრივია ამ აზრის აღიარებისათვის, რაც თავის მხრივ ჩვენი წინაპრების უდიდესი ღვაწლის დაფასებას ნიშნავს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში, მხოლოდ ძველი ისტორიული წერილობითი წყაროები და XX საუკუნის პირველნახევრისათვის არსებული არქეოლოგიური მონაპოვარი საკმარისი ვერ იქნებოდა. საჭირო იყო მეტი ნივთიერი მტკიცებულებები. ამიტომ, 1950-იანი წლებიდან ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენამ, რომლებიც ყველაზე ძველი კოლხური ძეგლებია და თარიღდებიან ძვ.წ. XIII-VII საუკ.[2] (მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზეულის, ხობი-ოჩხომურის აუზებში და სხ.) ნივთიერი მტკიცებულებებით დაადასტურეს ზემოაღნიშნული ისტორიული წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

---

[1] დავით გვრიტიშვილი. ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1960., გვ.28
[2] დავით ხახუტაიშვილი. სამტომეული, ტ.,II, ბათ., 2009, გვ.187

ძვ.წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია უკვე წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს.[1]

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასეთი დიდი გარდატეხა როგორც უკვე აღინიშნა არ იყო შემთხვევითი. მას წინ ბრინჯაოს მეტალურგიის მდიდარი გამოცდილება ედო საფუძვლად. საბადოებით მდიდარი ამიერკავკასია იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი მელითონეებიც ჩართული იყვნენ წინააზიური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში[2].

ამ საკითხთან დაკავშირებით, არქეოლოგიური ფაქტებისა და ისტორიული წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: ,,ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ შორეულ ქვეყნებშიც გაჰქონდად გასაყიდად... ქართველმა ხალხმა სახვნელი იარაღების მრავალი სახე შექმნა, განავითარა ეს სახეები, დაწინაურდა მეურნეობრივად. მეზობელმა ქვეყნებმა ქართულ სახვნელ იარაღთაგან მრავალი სახე ისესხეს და გამოიყენეს“...[3]

,,უეჭველია, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველ განათლებულ კაცობრიობის წინაშე... ქართველებმა პირველებმა ისწავლეს მადნის დამუშავება-ო“[4].

ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკეთებულ ასეთ საფუძვლიან დასკვნას, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა, ათეული წლების შემდეგ ფაქტობრივად დაადასტურებს აღმოჩენილი უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოები.

წინაპართა ამ უდიდესი ღვაწლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები,რომელთა აღმოჩენებსაც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა აღფრთოვანებით „დიდი საქმის დასაწყისი“ უწოდა, (1964წ.) განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მეცნიერულად შესწავლის შემდეგ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოებიდან შედარებით უმნიშვნელო სამუზეუმო ექსპონატების მუზეუმებში გადატანის შემდეგ მთავარი, თვით სახელოსნო-ღუმელები, ქვის მაგიდა „საჟეპელა“, ირგვლივ მოფენილი წიდებით კონსერვაციის გარეშე დარჩენილი ათწლეულების მანძილზე დავიწყებას მიეცა. შედეგად, ბევრი ასეთი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, ძეგლი რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ერი, განადგურდა. სოფლის მეურნეობისათვის გამოყენების მიზნით ეს ტერიტორიები ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოღობა, მოხნა და აითვისა...

მუზეუმებში დაცულ ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატების გვერდით რკინის წარმოების ნიმუშები ვერ ახდენენ იმ შთაბეჭდილებას მნახველზე, როგორიც შეიძლება მოახდინოს უძველესმა, დედამიწაზე პირველი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების ნახვამ. ამას მოწმობს არა ერთი ფაქტი:

---

[1] გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2001, გვ. 45

[2] ამირან კახიძე. უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში. საქართველო-უძველესი მეტალურგიის კერა. ბათ., 2019, გვ.14

[3] დავით გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ.107

[4] დავით გვრიტიშვილი.დასახ. ნაშრომი, გვ.75

გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა, მწერალმა და მოგზაურმა ტიმ სევერინმა საქართველოში მოგზაურობის დროს (1984 წლის ივლისი-აგვისტო) აღნიშნა, რომ 3300 წლის შემდეგ, უძველესი არგონავტების კვალდაკვალ მათი ასეთი შორეული და რთული მოგზაურობის მთავარი მიზანი არის მეცნიერული ხასიათის.

,,მიმაჩნია, რომ კოლხეთი ბერძნებს იზიდავდა განვითარებული მეტალურგიითა და მედიცინის დონით, რაც ასე კარგად აისახა ლეგენდაში...

იმედი მაქვს „არგონავტების“ გზის განმეორება დაგვეხმარება გავიგოთ როგორ გაჩნდა ამ ქვეყნად ლეგენდები, რომელშიც დაშიფრულია ისტორია“... * - აღნიშნა ტომ სევერინმა.

(გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა“. ნაოსნობის ისტორია, 11 ივლისი, 1984 წ.,

გაზეთი „საბ.აჭარა“, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ,,მზის შვილის ქვეყანაში“. 24 ივლისი, 1984წ)

უცხოელ სტუმრებს, „ახალ არგონავტებს“ მასპინძლებმა უჩვენეს საქართველოს სხვა და სხვა ქალაქების მუზეუმებში დაცული ექსპონატები, რომლებიც არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის პერიოდს ეკუთვნის (გაზეთი „კომუნისტი“.„არგო ოქროს საწმისის ქვეყანაში“. 24 ივლისი, 1984წ.,)

ტიმ სევერინის ხელმძღვანელობით „ახალი არგონავტების“ საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით მოცემული ინფორმაცია, რომელიც 1984 წლის ივლის-აგვისტოში გაშუქდა ცენტრალური და რეგიონალური პრესით, ასევე შემაჯამებელი პრესკომფერნციის მასალები მოწმობენ, რომ ,,ახალი არგონავტებისთვის“ მაშინ მასპინძლებს არ უჩვენებიათ ,არგონავტების“ მითის რეალობის მთავარი დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, არგონავტების და ტროას თანამედროვე ისტორიული ძეგლები-რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოები, რომლებიც მაშინ უკვე აღმოჩენილი იყო მდ. ჩოლოქის (სოფ. ლეღვა) და მდ. ჭოროხის აუზებში. აღნიშნული ძეგლები ფაქტობრივად ადასტურებენ, რომ მაშინდელ საქართველოში რკინის წარმოება საიდუმლოდ მიმდინარეობდა, რისთვისაც სინამდვილეში თავის დროზე არგონავტებმა გადაწყვიტეს შორეული და თავდაგასავლებით სავსე მოგზაურობა. მასპინძლებმა დაჯერდნენ მხოლოდ ისტორიული სახელოსნოებიდან მუზეუმებში გადატანილი შედარებით უმნიშვნელო ექსპონატების წარმოჩენას, რომლებმაც როგორც უკვე ამასთან დაკავშირებით აღინშინა, იქ დაცულ სხვა შინაარის მქონე ათასობით ექსპონატებთან ერთად ის ეფექტი ვერ მოახდინეს.

„ტიმ სევერინის მოგზაურობის შემდეგ“, ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდნენ უცხოელი მეცნიერები და მოითხოვეს პირადად ენახათ ეს სენსაციური აღმოჩენები, ლეგენდარული არგონავტებისა და ტროას თანამედროვე ძვ.წ. XIII-X საუკ. რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი პირველი კერები დედამიწაზე. ჩოლოქში, სუფსაში და სხვაგან ჩასულებს კი, სადაც არქეოლოგიური ძეგლები იყო აღმოჩენილი, არაფერი დახვდათ...უმეტესი ნაწილი განადგურებული აღმოჩნდა, ზოგი კი მივიწყებული და დაკარგული, მიუწვდომელი იყო მათთვის. უცხოელი მეცნიერები გაოცებასა და ბრაზს ვერ მალავდნენ და გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ თავის სამშობლოში“- გულისტკივილით მოგვითხრობენ ამ საკითხით დაინტერესებული სპეცისლისტები ამ ისტორიის შესახებ.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ გასული საუკუნიდან დღემდე ჯერ კიდევ არ იყო სწორი მიდგომა ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლების, ქურა-სახელოსნოების მიმართ, არ იყო ასევე შესწავლილი საკითხი წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოს დაცვის შესახებ და ა.შ. რაზედაც ძირითადად ამ სტატიაში გვექნება შემდგომ საუბარი.

შედეგად მას არ მოჰყოლია ის ფართო რეზონანსი, ქართველი ერის წინაპართა ღვაწლის საერთაშორისოდ აღიარება და დაფასება, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოსი, რაზედაც აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, მეცნიერთა საზოგადოება და შეიძლება ითქვას მთლიანად ქართველი ხალხი იმედს ამყარებდა.

ამ აზრს დამატებით მოწმობს ის ფაქტებიც, რომ საქართველო მსოფლიო ხალხთა ატლასზე, ტურისტულ ცნობარებში და სხვაგან წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ძველი ქრისტიანული ქვეყანა და ვაზის სამშობლო. არაფერია ნათქვამი ქრისტეშობამდე ქართველი ერის დიად წარსულზე, მადნიდან გამოდნობის წესით რკინის წარმოების ისტორიის საწყისებზე.

კაცობრიობის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ყოველ ერს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა გააჩნია. ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი წვლილი შეაქვს და ამდიდრებს ამ საგანძურს.

აქედან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ქართველთა სათანადო დამსახურებას კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში.

ამ ისტორიული სინამდვილის წარმოჩენა, ეჩვენებინა თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რითი გაამდიდრა მან ეს საგანძური ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ამ დროს, უძველეს ქართველთა დიადი წარსული, კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორია კი სამუდამო დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მივიწყებული ისტორიული სახელოსნოების განადგურებით ნადგურდება მთავარი ნივთიერი მტკიცებულებები იმისა, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა დედამიწაზე. ნივთიერი მტკიცებულებების გარეშე კი არავითარ წერილობით წყაროებს ცალკე აღებულს არავითარი ძალა არ გააჩნია.

ასეთ შემთხვევაში, უძველესი კოლხური რკინის მეტალურგიასა და არგონავტების ისტორიასთან დაკავშირებით იგივე მდგომარეობა იქმნება, მაგ. რომ ისაუბრო სემირამიდას ბაღებზე, ან სხვა ისტორიულ ძეგლებზე, რომლებიც აღარ არსებობენ და მხოლოდ წერილობით ლეგენდის სახით არის შემორჩენილი.

ამდენად ისტორიული ქურა-სახელოსნოების გადარჩენას და მის რეკონსტრუქციას გლობალური მნიშვნელობა აქვს. ყველას მიეცემა საშუალება ნახოს მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების აკვანი, თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი ბრინჯაოს ხანაში რკინის წარმოებას დედამიწაზე..., რომელმაც ადამიანის ცხოვრებიდან შეძლო გამოედევნა ქვისა და ბრინჯაოს სამუშაო და საბრძოლო იარაღები და შეცვალა კაცობრიობის ბედი...

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე თანამოაზრეებთან ერთად ჩემთვის შესაძლებელი გახდა კოლხეთის სხვადასხვა მხარეს, მდ. ჩაქვის წყლის, მდ. ჭოროხის და მდ. ჩოლოქის აუზებში უფლის ნებით, სასწაულებრივად ჯერ კიდევ უვნებლად შემორჩენილი, დაკარგული ისტორიული კოლხური მეტალურგიის კერების მოძიება, ტერიტორიების შემოღობვა, გადარჩენა და დაცვა. მათ შორის ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიულ რკინის სადნობ სახელოსნოს საქველმოქმედო ფონდის „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ ინიციატივით 2019 წლის ნოემბერში უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ძეგლებთან მიმართებაში. აღნიშნული ისტორიული ძეგლების დაცვისა და ფართო პოპულარი-

ზაციის მიზნით ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მოეწყობა მუზეუმი...

აღნიშნული მუზეუმი იქნება უძველეს კოხლთა რკინის სადნობი სახელოსნო აღდგენილი მისი პირველადი სახით:

-3000 წლის წინათ, ღია ცის ქვეშ, მუხით, ცაცხვით, წაბლით, წყავით და მურყანით დაბურულ ტყეში წარმოდგენილი იქნება თუ როგორ ხდებოდა დედამიწაზე ადამიანის მიერ პირველად მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ზღვისპირად მცხოვრები კოლხების მიერ მაგნეტიტური ქვიშისაგან მიწის ღუმელებში მაღალ ტემპერატურაზე (დაახ.1500-1600 ^{0}C) რკინის გამოდნობა.

აქვე გაცოცხლებული იქნება სურათი, თუ როგორ მზადდებოდა ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ მიღებული რკინისაგან საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ასევე თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით გაცოცხლებული იქნება გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის წინაპართა ცხოვრების ამსახველი სურათები...

თვით უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლი-ქურები და მაგიდა ,,საჟეპელა“ განთავსებული იქნება იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ჯარგვალული ტიპის ხის შენობაში. ეს მუზეუმი იქნება საბაზო, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება ექსპონატები ჭოროხის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზეულის, ხობის მდინარეების აუზებში უძველეს დროში მოქმედი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოებიდან. ასეთი მიდგომით, მნახველის წინაშე წარმოდგენილი იქნება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან - ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანაში უძველესი კოლხური მეტალურგიის ერთიანი სისტემა.

დღეს ჩვენს წინაშე მდ. ჭოროხის (ჭარნალი), მდ. ჩოლოქის (ლეღვა) და ჩაქვის წყლის (ჩაისუბანი) აუზებში დაცული უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების სახით, ისტორიულ წერილობით წყაროებთან ერთად საკმარისი ნივთიერი მტკიცებულებები გაგვაჩნია იმისათვის, რომ საქართველო ,,იუნესკოს“ წინაშე წარსდგეს როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლო. მსოფლიოს ხალხთა დიდ ატლასზე საქართველო ვაზის სამშობლოსთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას რკინის წარმოების ისტორიულ სამშობლოდ!

(იხ. წიგნი: ნიაზ ბოლქვაძე. ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი-უძველესი მეტალურგიის სათავეებთან“ თბ., 2020)

* * *

,,სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო
ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“
დემოკრიტე

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, ამ ნაშრომით შევეცდები იმ ისტორიული მოვლენების ახსნას, რომელიც ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, არასწორი წარმოდგენა დამკვიდრდა მასზე და დღემდე პასუხს მოელოდა.

საქმე ეხება მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: თუ როგორ იყო შესაძლებელი ძველი კოლხეთის მმართველებისთვის საუკუნეების მანძილზე რკინის წარმოების ტექნოლოგიის

საიდუმლოდ დაცვა, მაშინ, როცა საქართველოს უკვე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, ასევე იყო სხვა ათასი დაუპატიჟებელი მომხდური თუ მოგზაური. ამის ერთ-ერთი მაგალითია არგონავტების მოგზაურობა საქართველოში, რომელთა მთავარ მიზანს უპირველესად სწორედ, რომ რკინის წარმოების საიდუმლოების მოპოვება წარმოადგენდა. ამ აზრის ჭეშმარიტებას უნდა მოწმობდეს ჩვენს წინაშე არსებული ერთ-ერთი ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ ჩოლოქის (ლეღვას)რკინის სადნობი სახელოსნო არგონავტების საქართველოში მოგზაურობის დროს (დაახ. ძვ.წ. XIII საუკ.) მოქმედი ობიექტი იყო, სადაც რკინის წარმოება ვითარდებოდა. ამ დროისათვის როგორც ძვ. ხეთური და ბერძნული წყაროები მოწმობენ რკინა ოქროზე 10-ჯერ მეტად ფასობდა[1].

ოქროს საწმისი კი მატერიალურად მდიდარი კოლხეთის სიმბოლო იყო, რომელმაც მაშინდელი სამყაროს შემოქმედებით წრეებში პოეტურად ასახვა ჰპოვა...

დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ.წ. V-IV საუკ) აღნიშნავდა: ,,სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“.

აქედან ის მინდოდა მეთქვა, რომ უძველესი დროიდან ცივილიზაციის განვითარების გზაზე, ყოველი ახალი აღმოჩენა, რომელსაც სამხედრო და ეკონომიკის განვითარების მხრივ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მკაცრად საიდუმლოდ ინახებოდა.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ კოლხი მეტალურგების მიერ რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოება მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იყო დაცული.

როგორც უკვე შესავალში ავღნიშნეთ ძვ. წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს. მანამდე ქართველ მეტალურგებს, ბრინჯაოს ხანიდან სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უკვე საუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ, სადაც შემდგომ უკვე რკინის ნაწარმი და თვით რკინის მასალა გაჰქონდათ. ზემოაღნიშნულიდან ისმება მთავარი კითხვა: სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სხვა ათასგვარი შემოსევებისა და მომხდურების ფონზე, როგორ ხერხდებოდა საუკუნეების მანძილზე რკინის მეტალურგიის წარმოების საიდუმლოების დაცვა?

ისტორიის ამ დარგის სპეციალისტთა შორის გავრცელებული არის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები საიდუმლო წარმოება იყო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ არსად არ არის გაკეთებული განმარტება.

ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ იყო საიდუმლო წარმოება იქ, იმ ტერიტორიაზე, სადაც არის განთავსებული, მივიღე შემდეგი პასუხი:

„მეტალურგებს საწვავი მასალის ადგილზე მოპოვება და მაგნეტიტური ქვიშის ზღვის სანაპიროდან მოტანა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე პირიქით, საწვავი მასალის შორს გადატანა. აქვე იყო წყალი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო რკინის სადნობი სახელოსნოს მუშაობისათვის“.

ასეთი პასუხი, ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული სახელოსნოს და მისი შემოგარენი ტერიტორიის დათვალიერებისას თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მას სიმართელსთან არავითარი კაშვირი არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწვავი ხის

[1] ირინე ტატიშვილი. ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქ. უძველესი მეტალოგენური კერა, ბათ., 2019 ., გვ. 144

მასალა, რომელიც რკინის წარმოებისათვის ამ მხარეში გამოიყენებოდა: წყავის, შკერის, წაბლის, რომელიც მაღალ ტემპერატურას (დახ.1600 გრადუსზე მეტს) იძლევა, ზემოაღნიშნულ მთავარი მდინარეების ზღვის შესართავთანაც ახლოს, იქ სადაც მადანი-მაგნეტიტური ქვიშა მოიპოვებოდა საკმაოდ უხვად იქნებოდა. აღნიშნული ხის ჯიშების კვალი ამ ტერიტორიებზე დღესაც საკმაოდ კარგად შეიმჩნევა. რაც შეეხება წყალს, მთავარ მდინარეზე ბუნებრივია მეტია, ვიდრე მის შენაკადზე, რომლის მიმდებარედაც სახელოსნო იყო განთავსებული.

ამდენად ეს ვერსია, რომელიც დღემდე იყო დამკვიდრებული თავიდანვე გამოირიცხა, პასუხი სხვაგან უნდა მეძია.

ცნობილი მწერალი და გამომძიებელი კონან დოილი, იგივე ,,შერლოქ ჰომსი“ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას ამბობს: ,,ჩვენ ყველა ერთნაირად ვხედავთ, სხვადასხვანაირად კი ვამჩნევთ“. მთავარია შემჩნევა და წარმოსახვის უნარი.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩაქვის ჩაისუბნის შემდეგ ჩოლოქის და ჭოროხის აუზებში განთავსებული ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების, ამასთან ერთად რუკაზე სადაც ისტორიული სახელოსნოები არის განთავსებული ყურადღებით დაკვირვების შედეგად უძველეს კოლხთა რკინის წარმოების სახელოსნოების საიდუმლოდ შენახვის სქემა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სინამდვილით იშლება:

რკინის სადნობი სახელოსნოები კოლხეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ერთიდაიგივე, კარგად გააზრებული საერთო პრინციპით. მაგ. ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ითვლება ჩაქვის წყლის აუზის სახელოსნოდ, არ არის განთავსებული მთავარ მდინარეზე - ჩაქვის წყალზე. იგივე მდგომარეობაა მდ. ჩოლოქზე, მდ. ჭოროხზე, მდ. სუფსაზე, მდ. ხობზე და სხვაგან.. არამედ იგი განთავსებულია მთავარი მდინარისა და ზღვის შესართავიდან მთავარი მდინარის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრის (დაახ. 3-5 კმ.) გავლის შემდეგ ერთი რომელიმე პატარა შენაკადით ღრმა ხეობაში, შენაკადი მდინარის განაპირად,დაბურულ ტყეში. იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობებს შორის არსებულ პატარა ხეობაში.

ამ აზრის ჭეშმარიტებას არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს:

უძველეს დროში, კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მთავარი სახმელეთო გზა გადიოდა ზღვისპირად, ასევე გარკვეულ ადგილებზე იყო საზღვაო ტრანსპორტისათვის მისადგომები- ნავსაყუდელები. პარალელურად იყო მეორე გზა-სამთო ბილიკებით, რომელიც კოლხეთში შემავალ ჭოროხის, ჩაქვის და სხვა მდინარეთა ხეობებს აკავშირებდა ერთმანეთთან. სამივე გზებით: საზღვაო, ზღვისპირა და სამთო ბილიკებით მიმავალი მგზავრისათვის რკინის წარმოების სახელოსნოები იყო უხილავი, დაფარული. როგორც უკვე ვთქვით იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობების შიგნით არსებულ პატარა ხეობებში.

უცხო მგზავრი ვინც მოგზაურობისას გადაკვეთავდა მთავარ მდინარეს, ან კიდევ შეჩერდებოდა ამ მიდამოებში და შეუყვებოდა მთავარ მდინარეს ზღვის შესართავიდან მის სათავეებამდე, (ან პირიქით) ვერაფერს შენიშნავდა. მაგრამ თუ ის მდინარის შენაკადებით ხეობის სიღრმეებში, გაუვალ ტყეებში დაიწყებდა მოგზაურობის გაგრძელებას, რაც უკვე აშკარა ინტერესს ავლენდა რაღაცის მიმართ, მაშინ მისთვის ეს მოგზაურობა უდავოდ საბედისწერო აღმოჩნდებოდა. (შესაძლებელია მთავარ მდინარეზე, მაღალ მთებში სადმე ყოფილიყო განთავსებული რკინის

სადნობი სახელოსნეობი, მაგრამ იგი აუცილებლად იქნებოდა მოცილებული დასახლებული პუნქტებისაგან და უხილავი, დაფარული და მიუწვდომელი მგზავრებისათვის.)

სტრატეგიული დანიშნულების ამ უმნიშვნელოვანესს ობიექტებს სადაც დედამიწაზე ახალი, ბრინჯაოსაგან განსხვავებით მტკიცე რკინა-ფოლადი იქმნებოდა, ბუნებრივია ჰყავდა მებრძოლებისაგან შემდგარი უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდ გარემოში რკინის წარმოების პროცესს.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი.

ზემოაღნიშნულ საქალაქთაშორისო გზებიდან, ერთ-ერთს, სამთო ბილიკებს სავაჭრო-სატრანზიტო დანიშნულების გარდა, ასევე სამხედრო თავდაცვითი ფუნქცია ეკისრა. ჩვენს მიერ აღწერილი მდინარეების ხეობები, სადაც განთავსებული არის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები, უძველესი დროიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენდნენ. აქ, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ მთის ფერდობებზე (დახ. 400-700მ) განთავსებულ სათვალთვალო-სასიგნალო პუნქტებიდან შესაძლებელი ხდებოდა კოლხეთის ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლება. გუშაგები მათთვის დადგენილი სასიგნალო ნიშნებით (კოცონის დანთება; მალემსბოლელი..) მეზობელ ხეობებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ამცნობდნენ მოახლოებული საფრთხის შესახებ.

თავდაცვითი სისტემის ეს ფორმა, რომელსაც როგორც ჩანს ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი, XVIII საუკ. ბოლომდე მოქმედებდა[1]. ზემოგანხილულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ხეობები, სადაც განთავსებული იყო რკინის სადნობი სახელოსნოები, ეს იყო აკრძალული ზონები, დახურული ხეობები თავისი საგუშაგოებით, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი სისტემით, სადაც დაუპატიჟებელი „სტუმარი“ სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა საიდუმლო იმფორმაცია რკინის წარმოების ადგილმდებარეობის შესახებ. მსგავსი მაგალითები მოიპოვება სხვადასხვა ერის ცხოვრებიდან, მაგ. ტიბეტის ისტორიიდან. როგორც ცნობილია ტიბეტი საუკუნეების მანძილზე, XVIII საუკუნის ბოლომდე იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მითებითა და ლეგენდებით იყო ცნობილი. დაუპატიჟებელი მგზავრი, ვინც ტიბეტში აღმოჩნდებოდა მათი კანონის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა ამბავი ტიბეტის შესახებ.

როგორც ჩანს მხოლოდ ასე შეეძლოთ უძველეს ქართველ წინაპრებს ამ უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების, ახალი აღმოჩენის - მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების საიდუმლოების თითქმის 1000 წლის მანძილზე დაცვა.

როგორც ცნობილია რკინის ათვისების ადრეული ეტაპი საქართველოში აღინიშნება ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით.

რკინის წარმოების განვითარებული ეტაპი აღინიშნება ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში რკინის წარმოება მაღალი დონით აღინიშნება მთლიანად ამიერკავკასიაში.

[1] იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. 1958წ. წიგნი 1, გვ. 91

ძვ.წ. V-I საუკ. კი შეფასებულია, როგორც რკინის წარმოების საყოველთაოდ გავრცელების პერიოდი.[1]

იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ საქართველომ რკინის ათვისების ადრეული და მისი შემდგომი განვითარების ეტაპები, მის საყოველთაო გავრცელებამდე უწყვეტად განვლო ამ ფაქტს წერილობით წყაროებთან ერთად დღეს ნივთიერი მტკიცებულებებით მოწმობს გადარჩენილი და დაცული მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის და ხობი-ოჩხომურის აუზის (ძვ.წ. XIII-VII საუკუნის) ძეგლები.

აღნიშნული ეპოქებისათვის, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები დახურულ ზონებში მოქმედი რკინის წარმოების საიდუმლო ობიექტები იყო, საიდანაც უცხოთათვის შეუძ-ლებელი იყო რაიმე იმფორმაციის მოპოვება, ამაზე მაშინდელი ყველაზე ცივილიზებული ერების ცხოვრებისა და მათი საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე ანალიზიც ნათლად მეტყველებს:

საქართველოში ადრეული რკინის და მისი შემდგომი განვითარების პერიოდი ეს არის ეგვიპტის ფარაონების ძლიერების ხანა; ბიბლიური მოციქულების: მოსეს, დავითის, სოლომონ ბრძენის მოღვაწეობის პერიოდი, შორეულ აღმოსავლეთ აზიაში ჩინური დინასტიების აღზევების ხანა. მეზობელი ურარტუს ძლიერების ეპოქა. მათთვის ამ პერიოდისათვის როგორც წერილობითი ისტორიული წყაროები მოწმობენ რკინის წარმოება უცხო იყო.

ამიტომ, რკინა იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რკინის არა მწარმოებელი ქვეყნებისათვის საუველირო ნაკეთობებისათვის და ფუფუნების საგნებისათვის გამოიყენებოდა. რკინისაგან ამზადებდნენ სამეფო რეგალიებს, რკინის ნივთებით, რომელიც ოქ-როზე მეტად ფასობდა, აჯილდოვებდნენ გმირებს, ამკობდნენ საღვთო სახლების წმინდა საგანძურებს.

ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის და ეხნატონის არქივში მოპოვებული წერილობითი წყაროები (ძვ.წ. XV-XIV საუკ.) პირველია, რომელიც მოგვითხრობს საქართველოში რკინის წარმოების შესახებ, კერძოდ: კოლხეთის მართველს ეგვიპტის ფარაონისათვის მონა ქალებთან ერთად საჩუქრად რკინის ხანჯლები და ბეჭდები გაუგზავნია;

„რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდგმიდან... აჰა, მისი საწოლი, რკინის საწოლი“... მოგვითხრობს ბიბლია ამის შესახებ (ბიბლია, წიგნი მეხუთე, 3.11).

მოციქული მოსე განსაკუთრებით აღნიშნავს მეტალების დამუშავების ხელოვნების შესახებ, როგორც უფლისაგან ადამიანისათვის ბოძებულ უდიდეს მადლზე: „უთხრა მოსემ ისრაელიანებს: უყურეთ, უფალმა მოუხმო სახელდებით ბეცალიელს, ძესა ურისა, იუდას შტოდან.

აავსო იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, ცოდნით, რათა შეასრულოს ჩანაფიქრი, დაამუშაოს ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, გამოთალოს თვლები“... (ბიბლია, გამოსვლა, თ., 35-31).

როგორც ვხედავთ აქ რკინის დამუშავება ნახსენები არ არის. ამ დროისათვის რკინის წარმობა და დამუშავება უცხოა ისრაელიანებისთვის.

მოგვიანებით, მოციქულ მოსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიწურულს ისრაელიანების ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ შრომის იარაღებიდან რკინის ცულს, (ბილბია, მეორე რჯული, თ.19-5) ასევე რკინის ჭურჭელს რომელსაც ისინი სხვა ძვირფას ჭურჭელთან ერთად უფლის

[1] .გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე. ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო, უძველესი მეტალურგიის კერა. ბათ., 2019 . გვ. 93.

საგანძურისათვის იყენებენ, მაგრამ რკინის შრომის იარაღები და ჭურჭელი ისრაელიანებს უდაოდ სხვა ხალხებთან ვაჭრობის ან ბრძოლების შედეგად ნადავლის სახით აქვთ მოპოვებული. ამ აზრის ჭეშმარიტებას თვით ისრაელიანების ისტორიაზე ყურადღებით დაკვირვების შედეგად ვგებულობთ.

„ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო. მხოლოდ ოქრო-ვერცხლი, სპილენძისა და რკინის ჭურჭელი უფლის სახლის საგანძურისათვის გადადეს-ნათქვამია ბიბლიაში ამის შესახ. (ბიბლია, იესო ნავეს ძე, თ. 6-34).

ბიბლიაში აღწერილი ეს ისტორია, მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანა (ძვ.წ. XIII საუკ.), ნათლად მოწმობს, რომ ამ ეპოქისათვის, ებრაელი ხალხისთვის რკინის წარმოება უცხოა.

ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად იგივე ეპოქაში, ჰომეროსის „ილიადა“, აქ აღწერილი ტროას ომი ასევე ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძნებისთვისაც უცხოა რკინის წარმოება. ისინი მთლიანად აღჭურვილნი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღით. მათ აქვთ რკინის ნივთები, მაგალითად სპროტული ასპარეზობისათვის რკინის „ბადრო“, მაგრამ იგი გმირ აქილევს ბრძოლებში გამარჯვებით მოუპოვებია:

„პელიატმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა,
მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე,
როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა,
სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია“ - აღნიშნავს ჰომეროსი.[1]

ბერძენი პოეტი, პოეზიის პატრიარქი (ჰომეროსთან ერთად) ჰესიოდე (ძვ.წ. VIII-VII საუკ.) თავის პოემაში „სამუშოები და დღეები“ გადმოგვცემს ლეგენდარული ბერძენი სახალხო გმირის პრომეთეს დამსახურებებზე, კერძოდ: რომ მან მისცა ხალხს განათლება..., პირველმა ააგო გემი და აღჭურვა იგი იალქნებით, დაუმორჩილა ადამიანს ცხენი, მოიშინაურა ხარი და მისი ძალა მინდვრების სახნავად გამოიყენა... ადამიანებს გააცნო ლითონები, ასწავლა როგორ მოიპოვონ იგი მიწის წიაღში, დაამუშაონ და გამოწრთონ... მეტალების ცოდნაში აქ იგულისხმება ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბრინჯაო. ამ დროისათვის რკინა მათთვის უცხო იყო.

ამ აზრის ჭეშმარიტებას მოწმობს თვით ჰესიოდეს მიერ გაკეთებული დასკვნა, რომელსაც იგი ბერძენი ხალხის მიერ განვლილი განვითარების ხუთი (5) ეტაპის დახასიათებისას იძლევა:

- „პირველი დედამიწაზე იყო ოქროს ხანა, ყველაზე ბედნიერი დრო ადამიანთა ცხოვრებაში,...

- მეორე იყო ვერცხლის ხანა...

- მესამე მოდგმა ადამიანებისა იყო სპილენძის საუკუნე. ამ დროში მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ შავი-მუქი რკინის შესახებ...

ამავე დროს, სპილენძის ეპოქაში ღმერთმა შექმნა მეოთხე, უფრო კეთილშობილი, ღმერთების სადარი გმირების მოდგმა ადამიანებისა. ისინი ყველა დაიღუპნენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ომებში, ზოგი ტროას ომში, ზოგი კი სხვაგან...[2]

საბოლოოდ, მეხუთე საუკუნე და ადამიანთა მოდგმა – ეს არის რკინის ხანა. ის დღესაც გრძელდება[1] – აღნიშნავს ჰესიოდე.

---

[1] ჰომეროსი. ილიადა, ქება ოცდამესამე. თბ., 1979, გვ. 517

[2] ნ.ა. კუნი. ძველი ბერძნების ლეგენდები და მითები. არგონავტები. ტაშკენტი, უზბეკისტანის გამომცემლობა „ეშ გვარდია“, 1986., გვ.69

როგორც ვხედავთ ჩემს მიერ წარმოდგენილ ანალიზს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ძველი ბერძენი მოაზროვნე, ჰესიოდე სრული სიზუსტით ადასტურებს, რომ ტროას ეპოქაში ბერძენთათვის რკინის წარმოება უცხო იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბუნებრივია რკინის წაროება უცხო იყო ბერძენთათვის არგონავტების საქართველოში ლაშქრობის დროსაც, რომელიც დაახლოებით რამდენიმე ათული წლით ადრე იყო ტროას ომზე. ამ დროს კი როგორც ვიცით ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე უკვე მიმდინარეობს რკინის ათვისების ადრეული ეტაპი: ამას მოწმობს დღეს მაშინდელი ეპოქის თანამედროვე ქურა-სახელოსნოები, ამას მოწმობს უძველესი წერილობითი წყაროები:

„შენ უნდა მოხნა მინდორი ჩემი რკინის გუთნით...“[2] უბრძნებს თავის გადაწყვეტილებას კოლხთა მეფე აიეტი არგონავტების წინამძღოლს იასონს. როგორც ნაწარმოებიდან კარგად ჩანს მეფე აიეტი ხაზგასმით აღნიშნავს რკინის გუნთის შესახებ, როგორც განსაკუთრებულ ძლიერ შრომის იარაღზე, რომელიც უცხოა ბერძენი გმირისათვის.

ჩინეთისათვის, რომელიც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. Iათასწლეულის საწტყის ეტაპზე, რკინის წარმოება უცხოა. ჩინეთში, რკინის გამოყენება იწყება ძვ.წ. I ათასწლეულის დაახ.შუა ხანებიდან, მაშინ როცა რკინის საყოველთაო გავრცელების ეპოქა იწყება. იგი უთუოდ დაკავშირებული უნდა იყოს აბრეშუმის გზის ჩამოყალიბების საწყის პერიოდთან, როდესაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ფართო განვითარებას იწყებდა.[3]

არა მხოლოდ შორი ქვეყნებისათვის, არამედ საქართველოს უახლოესი მეზობელი ხალხისათვისაც კი უცხო იყო რკინის წარმოების საიდუმლოება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ინტერესს კოლხეთის მიმართ. ისტორია ამის შესახებ მოგვითრობს, რომ ძვ.წ. VIII საუკ. ურარტუს მეფე სარდურ II-ეს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აუღია მათი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად აქაური ხელოსნებისთვის უბრძანებია რკინის ბეჭდის დამზადება[4]...

ძვ. წ. VIII სუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც კოლხეთის ტერიტორიაზე მოდიოდა 100-ზე მეტი ბერძნული კოლონია-დასახლება იყო. მათ ჰქონდათ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოების მოპოვება მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ინტერესისა, რასაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არგონავტების ისტორია კარგად მოწმობს, შეუძლებელი ხდებოდა, კოლხების მიერ რკინის წარმოების კერების დახურულ ხეობებში, აკრძალულ ზონებში ზემოთ აღნიშნული პრინციპით განთავსების შედეგად.

როდესაც კოლხთა სამეფოში მოსულ უცხოთათვის მიუწვდომელი ხდებოდა არამარტო რკინის დამუშავების ტექნოლოგიების, არამედ რაიმე ინფორმაციის მოპოვებაც კი მისი წარმოების ადგილმდებარეობის შეახებ, მაშინ ხალხურ თქმულებებში ჩნდებოდა ცრუ წარმოდგენები იქ არსებულ განსაკუთრებულ ზებუნებრივ მისტიკურ ძალებზე, თუ როგორ იცავდნენ ზღაპრულად

---

[1] ნ.ა. კუნი. დასახელებული ნაშრომი, გვ.70
[2] ნ.ა. კუნი. დასახელებული ნაშრომი, გვ.220
[3] მსოფლიოს დიდი ატლასი. ფაქტები ახლო აღმოსავლეთ აზიის შესახებ. ჩინური დინასტიები. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ.129.
[4] დავით ხახუტაიშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ.179

მდიდარ კოლხური სამეფოს სიმდიდრეს ზღაპრული არსებები - ურჩხულები, დრაკონები, გველეშაპები და ა.შ. საუკუნეების მანძილზე უძველეს კოლხთა სამეფო, კიდევ უფრო მიუწვდომელი და საინტერესო ხდებოდა, რამაც შემდეგ სხვა და სხვა ხალხის ცხოვრებაში მითებისა და ლეგენდების სახით დამკვიდრა ადგილი და დღემდე თაობიდან თაობას გადაეცემა. ამას მოწმობს არგონავტების ისტორია, ლეგენდა ,,ოქროს საწმისზე".

ძვ.წ. VIII-VII საუკუნის შემდგომი პერიოდიდან სხვა და სხვა გარემოებათა გამო უკვე თანდათან იწყება რკინის ფართო გავრცელება.

რკინის საყოველთაო გავრცელების ხანაში (ძვ. წ. V-I საუკ.) ქართველები მსოფლიოში საუკეთესო მეტალურგების სახელს როგორც ჩანს კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ: ,,სტოელებისა და სოკრატელების ძლივს შეძენილი წიგნები გაგიყიდია, რათა შეგეძინა იბერიული ჯაჭვის პერანგი! მოგებული ხარ"-ეუბნება თავის მეგობარს კვინტუს ჰორაციოს ფლაკუსი[1]...

დასასრულს შეიძლება ავღნიშნოთ შემდეგი: კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, მეცნიერულ მიღწევებს ყოველთვის თან ახლდა და ახლავს ეკონომიკური თვალსაზრისით თუ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების მხრივ ახალი აღმოჩენების საიდუმლოდ დაცვა, მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. ამის არაერთი ისტორიული და თანამედროვე ფაქტი არსებობს.

განსაკუთრებით XX-XXI საუკუნეებში კარგადაა ცნობილი დახურული ქალაქები, ან რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, ტყის სიღრმეებში განთავსებული საიდუმლო სამხედრო ნაწილები, რომელთა საფოსტო მისამართი მხოლოდ სამხედრო ნაწილზე მინიჭებული ნომრით გამოიხატება.

დახურულ ზონებში როგორც ზოგადად ცნობილია განთავსებულია მთელი რიგი ლაბორატორიები, სადაც იქმნება მასობრივი განადგურების თუ მისგან თავდაცვის ახალი იარაღი, განთავსებულია საიდუმლო სარაკეტო ნაწილები და სხვა...

ამ ნაშრომით, ძველი კოლხი მეტალურგების მაგალითზე ვხედავთ, რომ დედამიწაზე სტრატეგიული დანიშნულების იარაღის წარმოებისათვის გასაიდუმლოებული, აკრძალული ზონების არსებობის ტრადიციას ერთ-ერთი უძველეს საქართველოშიც ჩაეყარა საფუძველი. აქ თავის დროზე, კოლხი მეტალურგები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, დახურულ ხეობებში განთავსებულ სახელოსნოებში დედამიწაზე სრულებით ახალ, რკინა-ფოლადის სამეურნეო და საბრძოლო იარაღს ქმნიდნენ, რამაც შემდგომ ცივილიზაციის განვითარების საქმეში გარდატეხა მოახდინა.

ეს ისტორიული ძეგლები (ძვ. წ. XIII-VII საუკ.) რომლებიც ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარია, დღეს ჩვენს წინაშეა, რომელსაც სათანადო გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა, აღიარება და დაფასება ჭირდება!

P.S.

ძვირფასო მეგობრებო!

მოგმართავთ ყველას, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, განურჩევლად ეროვნებისა, მოქალაქეობისა, ვისთვისაც ძვირფასია და საინტერესო საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორია, ვიცოდეთ ჩვენ და გადავცეთ მომავალ თაობებს წინაპართა მიერ განვლილი გზისა და ღვაწლის შესახებ, რომლებიც უძველესი დროიდან ცივილიზაციის საფუძვლებს ჰქმნიდნენ,

[1] აკაკი გელოვანი, სიბრძნის სიმფონია. თბ., 1989., გვ.753

შემდეგ ერთი ხალხიდან გადადიოდა მეორეში, იხვეწებოდა, ვითარდებოდა და დღეს უმაღლესი ტექნოლოგიების ერამდე მოგვიყვანა. სწორედ ასე, მსოფლიოს ყველა ერმა თავისი წვლილი შეიტანა საერთო საკაცობრიო კულტურის განვითარებაში.

მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული არიან ქართველები.

თანამედრვე საერთაშორისო საზოგადოება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დიდ ყურადღებას საჭიროებს არის წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის მძიმეა იმის განცდა, თუ როგორ, სახელმწიფოთა შორის კომფლიქტების გამო, შეიარაღებული დაპირისპირებების შედეგად გამოწვეულ ადამიანთა მსხვერპლს, ასევე თან ახლავს ამა თუ იმ ერის მატრიალური კულტურის ძეგლების განადგურება. ამის სამწუხარო მაგალითები ჩვენ გვაქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ერაყში, სირიაში და.ა.შ) ამით რასაკვრიველია ნადგურდება ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობა.

ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იმედის მომცემია „იუნესკოს“ აქტიურობა, მაგრამ არასაკმარისი. არსებული ვითარება მოწმობს, რომ მხოლოდ „იუნესკოს“ საქმიანობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს ამ მწვავე პრობლემის გადაჭრას, თუ არ იქნა ფართო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა ამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საქმეში, რომელსაც წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა ჰქვია.

ზემოაღნიდანულიდან გამომდინარე ჩვენთვის ძალიან მძიმეა იმ რეალობასთან შეგუება, რომ ჩვენს სამშობლოში, ჩვენს თვალწინ მშვიდობიან დროს თუ როგორ ნადგურდება უნიკალური ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მხოლოდ და მხოლოდ გაუგონარი გულგრილობისა და უყურადღებობის გამო. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში ნადგურდება ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნები, სადაც ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ ქვისა და ბრინჯაოს ხანაში, საიდუმლოდ მოწყობილ სახელოსნოებში, პირველად მსოფლიოში, მაგნეტიტური ქვიშისაგან ადნობდნენ რკინას.

ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მიერ საკუთარი ენთუზიაზმით გაწეული შრომის მიუხედავად სამწუხაროდ ვრწმუნდებით, რომ საზოგადოების თანადგომის გარეშე შეუძლებელი ხდება ამ ძეგლების გადარჩენა.

ჩვენთვის მძიმეა იმის აღიარება, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი გლობალური მნიშვნელობის ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელსაც მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი გააჩნია, არავითარი ყურადღება არ ექცევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქველმოქმედო ფონდის ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ მთავარი მიზანია ამ უნიკალური ძეგლების გადარჩენა, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიულ სახელოსნოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობას.

ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ მსურველს, ვინც კი დაინტერესდება ამ საკითხით, გავაცნოთ ეს ძეგლები. მათთვის უაღრესად საინტერესო იქნება იმ უძველესი რკინის მეტალურგიის კერების ნახვა, რომლისთვისაც 3300 წლის წინ ,,არგონავტებმა“ იასონის მეთაურობით თავგადასავლებით აღსავსე გზა განვლეს.

ეს ძეგლები, რომელშიც ასახულია წინაპართა ღვაწლი კაცობრიობის წინაშე, შთამომავლობისაგან გადარჩენასა და თვალსაჩინოდ წარმოჩენას იმსახურებს.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

ნიაზ ბოლქვაძე:
კონტატი:
E-mail: niazbolqvadze@gmail.com
მობ: 597 17-64-63
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღები: ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი-წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად
ანგ. # GE51BG0000000161499266

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.VI,1986.
2. დავით გვრიტიშვილი ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1960.
3. გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი .თბ., 2001.
4. ამირან კახიძე. საქართველო უზველესი მეტალოგენური კერა. (აჭარა). ბათ.,2019
5. ირინე ტატიშვილი. ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა, ბათ., 2019.
6. იური სიხარულიძე.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა.ბათ., 1958, წიგნი1.
7. გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე. ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო, უძველესი მეტალოგენური კერა. ბათ., 2019.
8. ჰომეროსი. ილიადა, ქება ოცდამესამე, თბ.,1979.
9. ნ.ა.კუნი. ძველი ბერძნების ლეგენდები და მითები. ტაშკენტი. უზბეკისტანის გამომცემლობა ,,ეშ გვარდია“, 1986.
10. მსოფლიოს დიდი ატლასი. გამომცემლობა პალიტრა L,თბ., 2011.
11. აკაკი გელოვანი. სიბრძნის სიმფონია თბ., 1989.

შორენა მამალაშვილი

ტაშისკრობა 2021

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ ტაშისკარში, 2021 წლის 27 ივნისს, ფესტივალი ,,ტაშისკრობა“ გაიმართა. ღონისძიება მიეძღვნა 1609 წელს ნაფეტვრებთან გიორგი სააკაძის სარდლობით მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში რიგი მიზეზების გამო ,,ტაშისკრობის“ საზეიმო ღონისძიება არ ჩატარებულა, მიმდინარე წელს კი, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, კვლავ აღდგა ტრადიციული, ეროვნული დღესასწაული „ტაშისკრობა“.

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ(ზაზა) დუგლაძისა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ასევე, კულტურის სამსახურისა და საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით ,,სააკაძის წაბლთან'' გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხაშურისა და ქვიშხეთის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, ფესტივალს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, მათ შორის გახლდნენ ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, გულნაზ ხარაიშვილი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მამა ამირან ამირანაშვილი და აკადემიის წევრი პოეტები: ეთერ ჭელიძე, შორენა მამალაშვილი, დავით ახლოური, სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე. აკადემიის პრეზიდენტმა, გულნაზ ხარაიშვილმა, სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ფესტივალის მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ აკადემიის მიერ გამოცემულ ჟურნალ ,,ათინათში“ უფასოდ დაიბეჭდება გიორგი სააკაძისა და მისი ვაჟის, პაატას შესახებ დაწერილი ლექსები. მეტად

საინტერესო და შთამბეჭდავი იყო პოეტ ეთერ ჭელიძის სიტყვით მიმართვა და ლექსი ,,სად გადაგმალო“, რომელიც მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა მსმენელმა.

სიტყვით გამომსვლელებს შორის იყვნენ ისტორიკოსები: ნიკო ხერკელაძე, ვაჟა ოთარაშვილი და სხვები, რომელთაც გიორგი სააკაძის, როგორც მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურის შესახებ ისაუბრეს და მისი ბიოგრაფიიდან საზოგადოებისათვის უცნობ ფაქტებზე გაამახვილეს ყურადღება.

სიტყვით გამომსვლელების შემდეგ ღონისძიება საკონცერტო სცენარით გაგრძელდა და ჩოხოსანთა ხმლებში გატარების ულამაზესი რიტუალით დასრულდა.

კლარა გელაშვილი
პოეტი; ფილოლოგიის დოქტორი;
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი

„ტაშისკრობა 2021“

ა. წ. 27 ივნისს, სოფელ ტაშისკარში, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის ინიციატივით, რომელსაც ზვიად სეხნიაშვილი ხელმძღვანელობს, გაიმართა ტრადიციული დღესასწაული ,,ტაშისკრობა''. ღონისძიება 1609 წელს, ქვიშხეთთან, ნახვეტარას ველზე გიორგი სააკაძის სარდლობით მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს მიეძღვნა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური დღესასწაული რაც დღემდე, ამ თარიღის აღსანიშნავად, გამართულა სოფელ ტაშისკარში.



უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დღესასწაულის დამკვიდრებაში ლომის წილი მიუძღვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ყორანაშვილს. 2009 წლიდან იგი მეგობარ პროფესორებთან ერთად, რომლებსაც ხაშურში ყოველთვის უერთდებოდნენ ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი ბ-ნი თამაზ ლაცაბიძე და მისი თანამშრომლები, მოეშურებოდნენ ტაშისკარში, რათა აღუნიშნავი არ დარჩენილიყო

საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი თარიღი. ამ ტრადიციის დამკვიდრებაში თავისი წვლილი შექონდათ ქვიშხეთელებსაც; გურამ ყორანაშვილის წამოწყებას ყოველთვის მხარს უჭერდნენ არაჩვეულებრივი წიგნის „ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთის“ ავტორები, კლიმენტი სუთიაშვილი და გივი გელაშვილი. ასევე – დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები. წელს კი ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ(ზაზა) დუგლაძის და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კულტურის სამსახურის და საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ორგანიზებით, ,,სააკაძის წაბლთან'' გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც

მონაწილეობა მიიღეს ხაშურისა და ქვიშხეთის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. ღონისძიების ერთ-ერთი ხელშემწყობი გახლდათ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბ-ლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი, არაერთი ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ქ-ნი მაკა დიდებულიძე.

27 ივნისს, დილით, ტაშისკრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა აღავლინა მეუფე სვიმეონმა. წირვის შემდეგ იქ მყოფმა საზოგადოებამ იმ წაბლის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, სადაც, ყირიმელ თათრებსა და ოსმალთა სამოციათასიან ურდოზე გამარჯვების შემდგომ, გიორგი სააკაძის ლაშქარმა ინადიმა.

საზეიმო კონცერტს ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე მოწვეული სტუმრები: საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება; ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი და მისი წევრები (კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე და ეთერ ჭელიძე); შიდა ქართლის მწერალთა რეგიონალური კავშირის თავჯდომარე დავით ახლოური. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან კურტანიძე; „სტუდია გუთნის“ დამაარსებელი, ისტორიკოსი ლექსო გელაშვილი. ასევე სტუმრები შიდა ქართლის დეპუტატის ბიუროს

აპარატიდან: ქ-ბი: ნინო ლიპარტელიანი და ეკატერინე დუგლაძე; ხაშურის ინტელიგენციის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროდან; თანამშრომლები ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და დიმიტრი ყიფიანის მუზეუმებიდან; ამავე სახელწოდების ქვიშხეთის საჯარო სკოლისა და ხაშურის სკოლა- პანსიონიდან. ღონისძიება გაიხსნა სურამ-ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის მისასალმებელი სიტყვით და ლოცვა-კურთხევით. საზეიმო კონცერტს უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთა გაერთიანების ხელმძღვანელი, ჩოხოსანი გია ბოლოკაძე. ერთმანეთს ენაცვლებოდა სიტყვა, სიმღერა, ცეკვა და ლექსი... სიტყვებით გამოვიდნენ ისტორიკოსები: ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი თამაზ ლაცაბიძე, თენგიზ ჩიტიაშვილი, ნიკო ხერკილაძე და პოეტი -ისტორიკოსი ვაჟა ოთარაშვილი. ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე. დამსწრე საზოგადოებისთვის სასიამოვნო სიახლე იყო ის, რომ მომღერალ დავით არჩვაძეს სისრულეში მოუყვანია გადაწყვეტილება ხაშურში საბავშვო მუსიკალური ანსამბლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. და აი, „ტაშისკრობის“ დღესასწაულზე ანსამბლ „მოძახილის“ დებიუტიც შედგა; განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურა ანსამბლის სოლისტმა ირაკლი კოჟორიძემ. ამ ნომრით, როგორც დავით არჩვაძემ აღნიშნა, პატივი მიაგო ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტის, ზურა ბაკურაძის ხსოვნას... გიორგი სააკაძის ბანერის

ფონზე ღირსეულად წარმოჩნდა ოპერის მომღერალი, ქვიშხეთელი და ქვიშხეთის კულტურის სახლის აღზრდილი ლევან ტაბატაძე. სიმბოლური იყო ის ფაქტიც, რომ მან „ტაშისკრობაზე“ შესრულებული სიმღერა თავისი პედაგოგის, მურად ღონღაძის ხსოვნას მიუძღვნა. ღონისძიება

გაალამაზა ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებულმა მოცეკვავეთა ანსამბლმა „მთაწმინდამ“ (ხელმძღვანელები: ალიკა ტაბატაძე და გიორგი ქალიაშვილი). ასევე- ხაშურში არსებულმა მოცეკვავეთა ანსამბლმა „ფრესკამ“(ხლმძღვანელი ელენე რატიანი). ქართული ხალხური სიმღერების სიდიადეს გვაზიარა გოგი შუბითიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა ხალხურ საკრავთა ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. ლამაზი ლექსისა და სიტყვის თქმის ოსტატებს რა დალევდა ქვიშხეთ-ტაშისკარში, მაგრამ ყველაფერს თავისი ფორმატი აქვს და ტრიბუნა მხოლოდ სტუმრებს დაეთმოთ... ღონისძიების დასასრულს, ცნობილი გახდა, რომ მეუფე სვიმეონის გადაწყვეტილებით სოფელ ტაშისკარში გაიხსნება ჩოხოსნების სადროშო, რომელსაც ტაშისკრის მკვიდრი ბ-ნი ბადრი ხაჩიძე უხელმძღვანელებს. ასევე – საქართველოს სა-პატრიარქოს ჩოხოსნები გახდებიან მოცეკვავეთა ანსამბლ „ფრესკისა“ და მომღერალთა ანსამბლ „მოძახილის“ წევრები... ღონისძიებამ ქართული დროშების ფრიალის ფონზე ჩაიარა. სრულიად ქართული სულით გაჟღენთილიყო ჰაერი; პანდემიისა თუ ყოფითი პრობლემების შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებას ერთმანეთთან გამოთხოვება ეძნელებოდა... ბოლოს, როცა ჩოხოსნების მიერ ჰაერში გაელვებულ ხმლებქვეშ, ტაშის გრიალში, საპატრიარქოს ჩოხოსნებში მიღების კანდიდატები, მოცეკვავეთა ანსამბლი „ფრესკა“ და მომღერალთა ანსამბლი „მოძახილი“ გაატარეს, თითქოს დიდებული წარსული გაცოცხლდაო, საოცარი ძალა ვიგრძენით!... უძლეველი ჯიშის, გენისა და სისხლის ყივილმა გამოგვაფხიზლა...

გუგუნებდა მრავალჟამიერი და შრიალებდა ბებერი წაბლის ხის ფოთლები...

ფეხზე იდგნენ თვალში სხივჩამდგარი ბავშვები; იქნებ ბრძოლის ჟინიც ეუფლებოდათ ალაპლაპებული ხანჯლების ტრიალზე...ვინ იცის, იქნებ... მაგრამ ერთი კი ნამდვილად ვიცი, – არასოდეს დაავიწყდებათ ნახვეტარას ველზე გაჩაღებული ბრძოლა, გიორგი სააკაძე და ტაშისკრის ნადიმი...

არც -ეს დღე...დიადი წარსულის წინაშე მუხლმოყრილი ერი და ბერი...

კიდევაც დაიზრდებიან!...

მრავალჟამიერ, მამულო, ჩემო!...



ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოდელები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

ფულისა და კრედიტის თეორია საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვითარდებოდა. ფულად-საკრედიტო სფეროს ანალიზის პირველი ოფიციალური თეორიული ვერსია ფულის კლასიკური თეორია გახდა, რომლის ძირითადი დებულებები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში სალამანკის სკოლის წარმომადგენლების შრომებშია შეტანილი და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დ.იუმას ნაშრომებში იქნა განვითარებული. ფულისა და კრედიტის შესწავლისას, ეკონომიკური აზრის განვითარების პროცესი თვით ფულად-საკრედიტო სისტემის ცვლილებას უკავშირდებოდა და იძულებული იყო უკვე შეცვლილი კვლევის ობიექტზე მოეხდინა რეაგირება. შეიძლება დავასახელოთ ფულად-საკრედიტო სფეროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ძვრა: ცენტრალური ბანკების შექმნა, როგორც მარეგულირებელი ორგანო, სასაქონლოდან დეკრეტირებულ ფულზე გადასვლა და სხვები. განვითარების მიუხედავად, ფულისა და კრედიტის თეორიის მთელი რიგი დებულებანი, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების XVII-XIX საუკუნეში მცხოვრებ კლასიკოსებს ეკუთვნის, ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფულად-საკრედიტო სისტემებისთვის.

ეკონომიკურ სისტემაში მომხდარი ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გახდა. ამ სახელმძღვანელოს დასაწყისში ჩვენ ვისაუბრეთ, განგვეხილა, თუ რა ცვლილებები შეაქვს გლობალიზაციას ეროვნული ფულად-საკრედიტო სფეროს ფუნქციონირებში, როგორ მოქმედებს ცენტრალური ბანკის საქმიანობაზე რეგულირებასთან დაკავშირებით და რამდენადაა ეს ცვლილებები ასახული ეკონომიკური აზრის სხვადასხვა სკოლისთვის დამახასიათებელ თეორიულ კვლევებში.

ფინანსური გლობალიზაციის მრავალი განმარტება არსებობს. იაპონელი მეცნიერები კ. ოკინა (K. Okina), მ. შირაკავა (M. Shirakawa) და შ შირასტუკა (S. Shiratsuka), განასხვავებენ ცნებებს „გლობალიზაციას“ და „ინტერნაციონალიზაციას“ და აღნიშნავენ, რომ ტერმინი „ინტერნაციონალიზაცია“ მათი აზრით, განსაზღვრავს სიტუაციას, როდესაც მსოფლიო მასშტაბით, საგარეო ეკონომიკური გარიგებების მოცულობები იზრდება, ხოლო „გლობალიზაცია“ ნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც თითოეული ეროვნული ეკონომიკა, (მის ფინანსური ბაზრის ჩართვით) ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნისაკენ მიისწრაფის.

მ. გუდმუნდსონი (M. Gudmundsson) საუბრობს არა ერთიანი, არამედ ინტეგრირებული ფინანსური ბაზრის შესახებ (ტერმინს „ფინანსური ინტეგრაცია“ იყენებს, როგორც ფინანსური გლობალიზაციის სინონიმს). მთლიანად ინტეგრირებული ბაზარი, მისი ინტერპრეტაციით, არის ისეთი ბაზარი, რომელზეც ეკონომიკური აგენტები წესების ერთიან ნაკრებს იყენებენ, ბაზრისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა გააჩნიათ და როგორც თანასწორნი, ისე განიხილებიან. გუდმუნდსონი ამბობს, რომ ფინანსური ინტეგრაციისას ერთიანი ფასის კანონი მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ განმარტებაში შეფარვით მოჩანს ინტეგრირებული ბაზრის ერთიანი რეგულირება (ერთიანი წესების შესახებსაუბრიდან გამომდინარე), რომელიც პრაქტიკაში შეიძლება მხოლოდ შორეულ მომავალში იქნას მიღწეული.რაც შეეხება ერთიანი ფასის კანონს, მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე აქტივების ფასების დაახლოვების მიუხედავად, მკვლევარები მასთან დაკავშირებულ რისკებს მაინც არც განიხილავენ, ვინაიდან, ფინანსური გლობალიზაცია ეროვნული პოლიტიკური სისტემებისა და ეკონომიკის ეროვნული რეგულირების გაუქმებას არ ითვალისწინებს.

ფინანსური გლობალიზაცია მსოფლიო ფინანსური ბაზრების მეშვეობით კაპიტალის გადინების მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. მაგალითად, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის საშუალო დღიური მოცულობა 1992 წელს არსებული 820 მლრდი დოლარიდან 2007 წელს 13210 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების საერთო მოცულობა კი 1994 წლის ბოლოს არსებული 2441 მლრდ დოლარიდან 2008 წლის ბოლოსათვის 22030 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა კაპიტალის ტრანსეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ლიბერალიზაცია. თეორიაში ამის შედეგი კაპიტალის სრული მობილობაა, რომელიც ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთების გათანაბრებას იწვევს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კაპიტალზე ტრანსეროვნულ ოპერაციებთან დაკავშირებული შეზღუდვების თანდათანობითი მოხსნა 1960-90-იან წლებში ხდებოდა. ეს, პერიოდულად წარმოქმნილი კრიზისების გამო, ზოგჯერ შექცევად ხასიათს ატარებდა. მათ შორის კი ყველაზე მნიშვენლოვანი ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის დაშლა გახდა 1970-იანი წლების დასაწყისში. მაგალითად, ევროპის ქვეყნებიდან გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირებული ყველაზე მეტი შეზღუდვა 1970-იანი წლების ბოლოსათვის მოხსნეს, ხოლო ევროპის რომანულმა ქვეყნებმა (საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია) კი – 1980იანი წლების განმავლობაში. ამასთან, კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების ლიბერალიზაციამ ევროპული ინტეგრაციის პროცესს, კერძოდ კი, 1990-იან წლებში საერთო ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებლობას შეუწყო ხელი, რომელიც, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრ-ქვეყნებს შორის კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას ითვალისწინებდა.

თუმცა, კაპიტალის ტრანსეროვნულ მოძრაობაზე ფორმალური შეზღუდვების მოხსნის მიუხედავად, შენარჩუნებულია ბარიერები, რომლებიც კაპიტალის ეროვნულ ბაზ-

რებს აღირებენ და კაპიტალის ერთიანი მსოფლიო ბაზრის საბოლოო ჩამოყალიბების შესახებ საუბრის შესაძლებლობას არ იძლევიან. ამას მოწმობს ორი, ე. წ, „გლობალიზაციის გამოცანა“: „საშინაო გადანაცვლების“ (home-bias) ეფექტისა და „ფელდსტაინ-ხორიოკის პარადოქსის“ არსებობა.

„საშინაო გადანაცვლების“ ეფექტი უკავშირდება განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ინვესტორების პორტფელებში კაპიტალის შიდა, აქტივების მხარეს გადანაცვლების ტენდენციას. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ ეფექტს ასე განმარტავენ: ესაა მკვეთრი ბარიერი საერთაშორისო ინვესტორებისათვის; დაზღვევა; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ქცევა. თუმცა „საშინაო გადანაცვლების“ „გამოცანა“ ლიტერატურაში საკმაოდ ადრეულ პერიოდშიც იყო აღწერილი და მისი მოქმედება დღესაც არის შენაჩუნებული. ბ. ქსო (B. Xo), რ. შტულცი (R. Stulz) და ფ. უორნოკი (F. Warnock) „საშინაო გადანაცვლების“ ეფექტის მდგრადობის მიზეზად კომპანიების მნიშვნელოვან წილის ინსაიდერების მიერ ფლობას ასახელებენ. მათი აზრით, „საშინაო გადანაცვლება“ უნდა იქნას შეფასებული არა პორტფელური ინვესტორების ოპტიმალური შერჩევის მოდელის მეშვეობით (აღნიშნული მოდელით შეფასება რეალურისგან შორსაა), არამედ ოპტიმალური ინსაიდერული საკუთრების თეორიის მეშვეობით (აღნიშნული საკუთრების ფაქტიური დონე „საშინაო გადანაცვლების“ ზღვრის დამდგენი იქნება).

„ფელდსტაინ-ხორიოკის პარადოქსი“ ითვალისწინებს, რომ მსოფლიო ფინანსური ბაზრების სრული ინტეგრაციისას, შეიძლება, დანაზოგები ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე იქნას განთავსებული აქტივების შეთავაზებული შემოსავლიანობიდან გამომდინარე. მაგრამ, ასეთ დროს, არ უნდა არსებობდეს ერთი ქვეყნის შიგნით ეროვნულ დანაზოგებსა და ეროვნულ ინვესტიციებს შორის კორელაციები. თუმცა, მ. ფელდსტაინისა და ჩ. ხორიოკის ნაშრომიდან „შიდა დანაზოგები და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები“ ვიგებთ (ნაშრომი გამოიცა 1980 წელს, ანუ პერიოდში, როდესაც ფინანსური ბაზრების მთლიანი ინტეგრაციის შესახებ საუბრის გამართვა რეალურად ნაადრევი იყო), რომ პრაქტიკაში მსგავსი კორელაცია შეიმჩნევა და თან საკმაოდ მაღალი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან განვითარებულ ქვეყნებს შორის კაპიტალის მობილობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შიდა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის კორელაცია მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა.

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე ა. გრინსპენი ფინანსური გლობალიზაციის პროცესის დამამთავრებელ სტადიას ასე ახასიათებს: ფინანსურ რისკებს მთლინად საკუთარ თავზე ისინი აიღებენ, ვისაც რიკის მადა შედარებით მაღალი აქვს; დანაზოგების შენახვა ეროვნული ბაზრებზე თანდათანობით მინიმუმადე იქნება დაყვანილი, ხოლო ეროვნულ ბაზრებს შორის არბიტრაჟის შესაძლებლობა გაქრება. მიუხედავად ამისა, იგი ადასტურებს ისეთი ფაქტორების არსებობას, რომლებიც ფინანსური გლობალიზაციის განვითარებას ამუხრუჭებენ, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

თუ ვივარაუდებთ, რომ ფინანსურ გლობალიზაციას კაპიტალის სრული მობილობისაკენ

მივყავართ, მაშინ, ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებული წარმოდგენის შესაბამისად (მანდელ-ფლემინგის მოდელის ზომიერი გათვალისწინებით), „ფულის ხელისუფალნი“ აღმოჩნდებიან არჩევანის წინაშე: ან უნდა განახორციელონ დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაგრამ მოუწევთ სავალუტო კურსის რეგულირებაზე თქვან უარი, ანდა ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმი გამოიყენონ, დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ამ დებულებას იცნობენ ე.წ. „შეუძლებელი სამების“ („impossible trinity“) სახელწოდებით: ეკონომიკაში შეუძლებელია ერთდროულად არსებობდეს – ფიქსირებული სავალუტო კურსი, კაპიტალის სრული მობილობა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც შიდა მიზნებზე იქნება ორიენტირებული. მაგრამ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისათვის ფინანსური გლობალიზაციის თანამდევი გამოწვევები მხოლოდ ამ სამი არჩევანით როდია შეზღუდული. შესაძლებლობები განხილულია მრავალი მეცნიერის ნაშრომში, განსაკუთრებით მასში, რომელიც ეკონომიკური აზრის ორთოდოქსულ მიმართულებას არ განეკუთვნება. წინამდებარე სახელმძღვანელო ითვალისწინებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ფინანსური გლობალიზაციით განპირობებული ახალი გამოწვევების თვალსაჩინო ზემოქმედების სხვადასხვა თეორიული მიდგომის მაქსიმალურად ფართო სპექტრის გაანალიზებას.

ღია ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისათვის უკვე ტრადიციული გახდა მანდელ-ფლემინგის მოდელის გამოყენება, რომელიც, თავისი არსით, ღია ეკონომიკისათვის ნეოკლასიკური სინთეზის LS-LM მოდელის გაფართოებულ ვერსიას წარმოადგენს და იგი პრაქტიკულად მაკროეკონომიკასთან მიმართებაში ყველა სახელმძღვანელოშია განხილული. აღნიშნულ მოდელში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა სავალუტო კურსის არჩეულ რეჟიმზეა დამოკიდებული.

მოდელის ერთ-ერთ საკვანძო მოცემულობას მცირე, ღია ეკონომიკის შესახებ წინაპირობა წარმოადგენს, რომლისათვის პროცენტის შიდა განაკვეთი ემთხვევა მსოფლიო განაკვეთს. ასევე, დაშვებულია, ქვეყნებს შორის კაპიტალის სრული მობილობის შესახებ კიდევ ერთი წინაპირობა: სწორედ კაპიტალის ნაკადები, რომლებიც პროცენტის შიდა განაკვეთის ცვლილების კვალდაკვალ ქვეყანაში შემოედინებიან, ან ქვეყნიდან გაედინებიან, ზემოხსნებული საპროცენტო განაკვეთების ტოლობის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული წინაპირობების დაშვებით მოდელი იძლევა ცნობილი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სავალუტო კურსის მცურავი რეჟიმის დროს ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეფექტურია (რეალურ ეროვნულ შემოსავალზე ზემოქმედების გათვალისწინებით), საბიუჯეტო-საგადასახადო ან საგარეო-სავაჭრო პოლიტიკისაგან განსხვავებით, მაშინ, როცა ფიქსირებული სავალუტო კურსის დროს ფულად-

საკრედიტო პოლიტიკა მთლიანად არაეფექტურია, ხოლო შემოსავლის დონეზე მხოლოდ საბიუჯეტო-საგადასახადო და საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა ახდენს გავლენას. და ვინაიდან, ეკონომიკაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების მექანიზმი, უმთავრესად, სავალუტო კურსზე ამ პოლიტიკის გავლენითაა განპირობებული, საპროცენტო განაკვეთზე ზემოქმედება შეუძლებელი ხდება, რადგან მას უკვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები განსაზღვრავენ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმის მოდელში ეფექტური მხოლოდ დევალვაციის ან რევალვაციის დროს შეიძლება გახდეს. მაგრამ აღნიშნული ეფექტი იქნება დროებითი, რადგან შემდგომში ქვეყნებს შორის ფასების დონეთა გათანაბრებას განაპირობებს, ხოლო ფიქსირებული კურსის ხშირი გადახედვა ფულის მართვის პოლიტიკისადმი ნდობის დასუსტებას გამოწვევს.

მანდელ-ფლემინგის თეორიის თვალსაჩინო გამონაკლისს დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის მოდელი წარმოადგენს, რომელმაც თავად შეიძლება მოახდინოს გავლენა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე. ასეთი ეკონომიკის კლასიკურ მაგალითს ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა გამოშვებაზე დახურულსა და მცირე ღია ეკონომიკის შემთხვევებს შორის შუალედური აღმოჩნდება.

მანდელ-ფლემინგის თეორია არ ითვალისწინებს, ასევე, თავისუფალ, მცურავ და ფიქსირებულ სავალუტო კურსებს შორის მოქცეული რეჟიმების ფართო სპექტრს. მაგალითად: მართვადი მცურავი სავალუტო კურსის სახეს, ე. წ. „რბილ ბმას“ (რომელსაც მიეკუთვნება „მცოცავი ბმა“, ჰორიზონტალური და დახრილი საზღვრების მქონე სავალუტო დერეფანი და სხვ). „რბილი ბმის“ გამოყენების შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ავტონომიურობა შეზღუდულია, ფიქსირებულ სავალუტო კურსთან შედარებით.

ცალკე საკითხია, თუ როგორ განისაზღვრება მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი. თეორიულად იგი შეიძლება ქვეყნების ჯგუფების, მათი ცენტრალური ბანკების, ან მსოფლიო სავალუტო სისტემის უმსხვილესი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე იქნას დადგენილი. ნათელია, რომ თანამედროვე რეალობა მეორე ვარიანტით არის განსაზღვრული.

სიღრმისეულად, ფულად-საკრედიტო რეგულირების გავლენა, ღია ეკონომიკის პირობებში, საგადახდო ბალანსის მონეტარულ ქრილში გაანალიზებით შეისწავლება. მისი განვითარება ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, დამოუკიდებელი მიმართულების მიხედვით მოხდა: რ. კანისა, ჯ. კეინსის (თუმცა, საგადახდო ბალანსის მულტიპლიკატორზე მონეტარული ფაქტორების გავლენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ჟ. პოლაკმა შეასრულა) და გ. ჯონსონის (ხაზგასმულია ანტიკეინსიანური და მონეტარული მიდგომა) მიერ აღნიშნული მიმართულებების გაგრძელებით. საინტერესოა, რომ კეინსიანური მოდელი ვითარდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევით დეპატამენტში, ხოლო გ. ჯონსონის კვლევები ჩიკაგოს უნივერსიტეტში ხორ-

ციელდებოდა. მასში, შედარებით მოგვიანებით, გამოქვეყნებული ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი რ. მანდელმაც შეიტანა (1960-იანი წლების შუა პერიოდიდან).

სავალუტო კურსის სხვადასხვა რეჟიმისას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაძლებლობების შესახებ განხილვისას, მ. დევერესი (M. Devereux) და ჩ. ენგელი (C. Engel) საკმაოდ მოულოდნელ დასკვნებამდე მივიდნენ. მ. ოსტფელდისა (M. Ostfeld) და კ. როგოფის (K. Rogoff) ნაშრომის საფუძველზე. მათ ორი ქვეყნისა და ხისტი ფასების საერთო წონასწორობის სტოხასტიკური, ოპტიმიზაციური მოდელი შეიმუშავეს. კრიტერიუმის სახით, მომხმარებლებლების კეთილდღეობა გამოიყენეს და ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრეს. მოდელის შედეგი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ვალუტაში დადგინდებოდა ფასები. ერთერთ ვარიანტში – ფასები დგინდებოდა მწარმოებლის ვალუტაში (producer-currency pricing, PCP). შედეგად, სავალუტო კურსის ცვლილებისას, იმპორტირებადი საქონლის ფასები იმავე სიდიდეზე იცვლებოდა. მაგრამ მათ შიემუშავეს მეორე ვარიანტიც (ავტორების მოსაზრებებით, იგი უფრო მეტად შეესაბამებოდა ემპირიულ მონაცემებს), სადაც: ფასები დგინდებოდა მომხმარებლების ვალუტაში (local-currency pricing, ICP). მ. დევერეს და ჩ. ენგელის ნაშრომის საბოლოო დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ფასების მომხმარებლის ვალუტაში დადგენის შემთხვევაში ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რეალურ შოკებზე საპასუხოდ, ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმთან სრულად თანხვედრია. აღნიშნული დასკვნა ერთობ საყურადღებოა, ვინაიდან ის, ფაქტიურად უარყოფს მანდელ-ფლემინგის მოდელის დასკვნებს.

მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ ცვალებად პირობებზე, რომლებიც ქვეყნებს შორის კაპიტალის მობილობის ზრდასთან არის დაკავშირებული, მონეტარიზმმაც მოახდინა გავლენა. ხოლო მასთან დაკავშირებულმა მიმართულებამ „გლობალური მონეტარიზმის“ სახელწოდება მიიღო. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ მოკლევადიან პერიოდში, მცურავი სავალუტო კურსის პირობებში, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამოუკიდებლობის დონე რეალურად იზრდება, მაგრამ, აქვე, ეკონომიკურ აქტივობაზე ცენტრალური ბანკის ზემოქმედების შესაძლებლობას ზღუდავს, მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების მობილობის სწრაფი ზრდა. როდესაც ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთს ამცირებს, აღნიშნული კაპიტალი, უფრო მაღალი შემოსავლიანობის ძიებაში, ტოვებს ქვეყანას და ამით ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. გრძელვადიან პერიოდში ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილებით არის გამოწვეული, შეიძლება სავალუტო კურსის ვარდნის მიზეზი გახდეს. შედეგად, ერთი მხრივ, მოხდება ექსპორტის სტიმულირება, ხოლო მეორე მხრივ – ინფლაციის დაჩქარება. მათ შორის, იმპორტირებად საქონელზე ფასების ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, რეალური და ნომინალური ცვლადების ურთიეთდამოუკიდებლობით, მოკლევადიან პერსპექტივაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტიანობის შესახებ კლასიკური დიხოტომიის თეზისთან დაბრუნება ხდება.

ბიბლიოგრაფია

1. მოსიასვილი ვ., ქელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020.
2. ცაავა გ. და სხვა. ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2018.
1. Carroll and Mark Krotoski 2014: “Using ‘Digital Fingerprints’ (or Hash Values) for Investigations andCases Involving Electronic Evidence,” 62 United States Attorneys’ Bulletin 44-82 (May 2014) https://www.morganlewis.com/
2. EBA 2014, Consumer Trends Report, 03/10/2014, http://www.eba.europa.eu/documents/10180/534414/EBA+Consumer+Trends+Report+2014.pdf
3. Yang S., “China Escalates Crackdown on Crypto currency Trading”, Bloomberg, 2018; https://www.bloomberg.com/news/articles/2018-01-15/china-is-said-to-escalate-crackdown-on-cryptocurrency-trading;
4. Neuman E., “Israel to Tax Bitcoin as an Asset, Not a Currency”, Haaretz, 2018; https://www.haaretz.com/israel-news/business/israel-to-tax-bitcoin-as-an-asset-not-a-currency-1.5829284;
5. www.coinmarketcap.com [გადამოწმებულია 17.10.2021].
6. https://www.cryptoz.ge/ [გადამოწმებულია 21.10.2021].
7. www.sabanko.com [გადამოწმებულია 10.10.2021].
8. www.winheller.com [გადამოწმებულია 15.10.2021].
9. www.binance.com [გადამოწმებულია 14.05.2020].

მათემატიკა

ლალი ქელბაქიანი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

ელასტიურობა და მისი გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში

ეკონომიკაში დიფერენციალური აღრიცხვის გამოყენების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ელასტიურობის ცნება. ელასტიურობის კოეფიციენტი ასახავს საკვლევი ეკონომიკური მაჩვენებლის ფარდობით ცვლილებას იმ ეკონომიკური ფაქტორის შესაბამისი ცვლილების დროს, რომელზეცაა დამოკიდებული (როცა სხვა ფაქტორები არ იცვლება).

განვიხილოთ $y = f(x)$ ფუნქცია. ვთქვათ, x ცვლადის Δx ცვლილება იწვევს y ცვლადის Δy ცვლილებას. ისმის კითხვა: როგორ გავზომოთ y-ის მგრძნობელობა x-ის ცვლილების მიმართ? ერთ-ერთი მახასიათებელი იმისა, როგორ რეაგირებს ერთი ცვლადი სხვა ცვლადის ცვლილებისას, არის მისი წარმოებული. იგი ახასიათებს ფუნქციის ცვლილების სიჩქარეს არგუმენტის ცვლილებისას. თუმცა ეს მაჩვენებელი ეკონომიკაში მოუხერხებელია, ვინაიდან მისი სიდიდე დამოკიდებულია ზომის ერთეულზე. ამიტომ ეკონომიკაში არგუმენტის ცვლილების მიმართ ფუნქციის ცვლილების მგრძნობელობის გასაზომად სწავლობენ არა ცვლადების აბსოლუტურ ცვლილებებს, არამედ მათ ფარდობით ან პროცენტულ ცვლილებას.

$y = f(x)$ ფუნქციის ელასტიურობა ეწოდება y და x ცვლადების ფარდობით ცვლილებათა შეფარდების ზღვარს:

$$E_x(y) = \lim_{\Delta x \to 0} \frac{\Delta y / y}{\Delta x / x} = \frac{x}{y} \lim_{\Delta x \to 0} \frac{\Delta y}{\Delta x} = \frac{x}{y} f'(x)$$

ასეთ ელასტიურობას უწოდებენ ასევე წერტილოვან ანუ ზღვრულ ელასტიურობას.

ელასტიურობას აქვს მარტივი გეომეტრიული ინტერპრეტაცია. განვიხილოთ კლებადი ჩაზნექილი ფუნქცია და ვიპოვოთ ამ ფუნქციის ელასტიურობა მის ნებისმიერ C(x,y) წერტილში.



საკმაოდ მარტივი მსჯელობით დავადგენთ, რომ ელასტიურობა ტოლია

$$E_x(y) = -\frac{CB}{CA}$$

ამრიგად, გეომეტრიულად კლებადი ფუნქციის ელასტიურობა ესაა CB და CA მონაკვეთების შეფარდება ,,-'' ნიშნით სადაც CB არის C წერტილში გავლებული მხების მონაკვეთი OY ღერძთან გადაკვეთის B წერტილამდე, ხოლო CA - მხების მონაკვეთი C წერტილიდან მხების OX ღერძთან გადაკვეთის A წერტილამდე.

ზრდადი ჩაზნექილი (ნახ.2) და ზრდადი ამოზნექილი (ნახ.3) ფუნქციების ელასტიურობების აბსოლუტური სიდიდე აგრეთვე CB/CA ფარდობის ტოლია, ელასტიურობის ნიშანი კი განისაზღვრება CB და CA მონაკვეთების მიმართულებით. კერძოდ, თუ A და B წერტილები მდებარეობენ მხებზე C წერტილის ერთიდაიგივე მხარეს, აირჩევა ,,+'' ნიშანი, თუ სხვადასხვა მხარეს, მაშინ ,,-'' ნიშანი.



ნახ.2



ნახ.3

შევნიშნოთ, რომ დისკრეტულ შემთხვევაში ელასტიურობის ზემოთ მოყვანილი განმარტება იცვლება და ამ დროს განიხილება პროცენტული ელასტიურობა:

$$E_x(y) = \frac{(y_2 - y_1)/y_1}{(x_2 - x_1)/x_1}$$

ეკონომიკურ ანალიზში განიხილავენ ელასტიურობის სხვადასხვა სახეს.

<u>მოთხოვნის ელასტიურობა ფასით:</u>

$$E_p(q) = \frac{dq}{q} : \frac{dp}{p} = \frac{dq}{dp} \cdot \frac{p}{q}$$

გვიჩვენებს რაიმე დოვლათზე მოთხოვნის ფარდობით ცვლილებას (გამოსახულს პროცენტებში) ამ დოვლათის ერთეულის ფასის 1%-ით ცვლილების დროს და ახასიათებს მომხმარებლის მგრძნობელობას პროდუქტზე ფასების ცვლილებისას. თუ $|E_p(q)|>1$, მაშინ მოთხოვნას ეწოდება ელასტიური (სავსებით ელასტიური, თუ მოთხოვნის ელასტიურობა უსასრულოდ დიდია), თუ

$|E_p(q)| < 1$, მაშინ მოთხოვნას ეწოდება არაელასტიური, ხოლო თუ $|E_p(q)| = 1$, ამბობენ ,რომ გვაქვს მოთხოვნა ერთეულოვანი ელასტიურობით.

მოთხოვნის ელასტიურობის ცნებას ფართო გამოყენება აქვს საფასო პოლიტიკის ანალიზსა და პროგნოზირებაში. თუ D=f(p) მოთხოვნის ფუნქციაა, მაშინ მოთხოვნის ელასტიურობა ეს არის საქონლის ფასის 1%-ით ცვლილებისას მასზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილება:

$$E(D) = \frac{\Delta D}{D} 100\% : \frac{\Delta p}{p} 100\%$$

როცა $\Delta p \to 0$, გვაქვს:

$$E(D) = p\frac{D'(p)}{D(p)}$$

ანალოგიურად შეიძლება შემოვიტანოთ მიწოდების S(p) ფუნქციის ელასტიურობის ცნება. გავითვალისწინოთ, რომ მოთხოვნის ფუნქცია კლებადია, ხოლო მიწოდების - ზრდადი.

<u>მოთხოვნის ელასტიურობა შემოსავლით:</u>

$$E_I(q) = \frac{dq}{q} : \frac{dI}{I} = \frac{dq}{dI} \cdot \frac{I}{q}$$

გვიჩვენებს რაიმე დოვლათზე მოთხოვნის ფარდობით ცვლილებას, გამოსახულს პროცენტებში, მომხმარებლის შემოსავლის 1%-ით ცვლილებისას. როცა ელასტიურობა დადებითია, მაშინ საქმე გვაქვს საქონელზე (ხარისხიან) მოთხოვნასთან, ხოლო უარყოფითი ელასტიურობა ახასიათებს დაბალხარისხიან საქონელს.

<u>მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობა ფასით:</u>

$$E_{p_j}(q_i) = \frac{dq_i}{dp_j} \cdot \frac{p_j}{q_i}$$

გვიჩვენებს ერთ რომელიმე დოვლათზე მოთხოვნის სიდიდის ფარდობით ცვლილებას, გამოსახულს პროცენტებში, როცა ფასები სხვა - შემცვლელ ან დამატებით დოვლათზე - იცვლება 1%-ით.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობის დადებითი ნიშანი მოწმობს დოვლათთა ურთიერთშენაცვლებადობაზე, ხოლო უარყოფითი - დოვლათთა ურთიერთდამატებითობაზე.

<u>რესურსების ელასტიურობა ფასით:</u>

$$E_{p_i}(R_i) = \frac{dR_i}{dp_i} \cdot \frac{p_i}{R_i}$$

ახასიათებს რაიმე რესურსზე (მაგალითად,შრომა) მოთხოვნის სიდიდის პროცენტულ ცვლილებას ამ რესურსზე ფასის (ხელფასის) 1%-ით ცვლილების დროს.

ერთი რესურსის სხვა რესურსით შენაცვლების ელასტიურობა ახასიათებს ერთი რესურსის (მაგალითად, კაპიტალის) სიდიდის აუცილებელ ცვლილებას (პროცენტებში), სხვა რესურსის (მაგალითად, შრომის) რაოდენობის 1%-ით ცვლილებისას, ისე, რომ გამოშვების მოცულობა არ შეიცვალოს.

განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნის ელასტიურობას: მოხმარებაში დოვლათის ურთიერთჩანაცვლებადობა, ხვედრითი წონა შემოსავალში, სუბიექტური აუცილებლობა, დროის ფაქტორი.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა მით მეტია, რაც უფრო მაღალია დოვლათების ურთიერთჩანაცვლებადობის მაჩვენებელი. დოვლათის ურთიერთჩანაცვლება ჩვეულებრივ, ხასიათდება შემცვლელების არსებობით, მათი რაოდენობით, აგრეთვე დოვლათის აგრეგირების ხარისხით. რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მომხმარებელს, შეცვალოს მოცემული დოვლათის მოხმარება სხვა დოვლათის მოხმარებით, მით მეტია ამ დოვლათზე მოთხოვნის ელასტიურობა. დოვლათის აგრეგირების ხარისხი განისაძღვრება ამ დოვლათის ცნების სიფართოვით, ანუ იმით, თუ რამდენ განსხვავებული სახის დოვლათს შეიცავს იგი. მაგალითად, დოვლათი „რძის პროდუქტი“ შეიცავს რძეს, მაწონს, არაჟანს, კეფირს და ა.შ. რაც მეტია დოვლათის აგრეგირების ხარისხი, მით ნაკლები შესაძლებლობა აქვს მომხმარებელს, მოცემული დოვლათის მოხმარება შეცვალოს სხვა დოვლათის მოხმარებით; ცხადია, მით უფრო მცირეა მოთხოვნის ელასტიურობა. მაგალითად, სარეცხ საშუალებაზე მოთხოვნის ელასტიურობა უფრო დაბალია, ვიდრე სარეცხ ფხვნილზე, ხოლო საპონზე მოთხოვნის ელასტიურობა უფრო დაბალია, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე მარკის საპონზე მოთხოვნის ელასტიურობა.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა $E_p(q)$ მით უფრო მეტია, რაც მეტია მოცემულ დოვლათზე დანახარჯების ხვედრითი წონა მომხმარებლის შემოსავალში. მაგალითად,

ასანთზე მოთხოვნა პრაქტიკულად არ შეიცვლება მაშინაც კი, როცა რამდენჯერმე გაიზრდება ფასი მასზე. ეს მიუთითებს მის დაბალ ელასტიურობაზე.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებად აუცილებელია მოცემული დოვლათი სუბიექტისთვის. ჩვეულებრივ, მიაჩნიათ, რომ ფუფუნებიას საგნებზე მოთხოვნა უფრო ელასტიურია, ვიდრე პირველადი მოხმარების საგნებზე. თუმცა არის გამონაკლისი: ამ დროს გადამწყვეტი ფაქტორია მომხმარებლის სუბიექტური დამოკიდებულება მოცემული საგნების მიმართ. მოთხოვნა ფუფუნების ცალკეულ საგნებზე ტრადიციების, მოდის ან რაღაც სხვა სუბიექტური მიზეზებით შეიძლება იყოს საკმაოდ მაღალი და ამან გამოიწვიოს მასზე მოთხოვნის დაბალი ელასტიურობა. მაგალითად, 3 მარტს ან 14 თებერვალს ყვავილებზე მაღალი მოთხოვნა ამცირებს მასზე მოთხოვნის ელასტიურობას.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა მით მეტია, რაც უფრო დიდია დროის მონაკვეთი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთხოვნის გრძელვადიანი ელასტიურობა უფრო მაღალია, ვიდრე მოკლევადიანი. ეს იმით აიხსნება, რომ დროის გრძელ მონაკვეთში მომხმარებელმა შეიძლება შეიცვალოს ჩვევები და მოძებნოს მოცემული პროდუქტის უფრო მეტი შემცვლელი. ამასთან, მარაგის შექმნა და პროდუქტის ცვეთის დრო არ არის მხედველობაში მიღებული, მაგრამ ისინი არსებით გავლენას ახდენენ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და ხშირად აქვეითებენ ელასტიურობას დროის განმავლობაში, როგორც ხანგრძლივი მოხმარების საქონლისათვის, ასევე პირველადი მოხმარების საგნებისთვისაც.

საინტერესოა კავშირი ელასტიურობასა და მთლიან ამონაგებს (მყოდველის დანახარჯებს)

შორის. ცხადია, რაიმე დოვლათის გაყიდვიდან ამონაგების ელასტიურობა მჭიდრო კავშირშია ამ დოვლათის მოხმარების ელასტიურობასთან. გავიხსენით, რომ R=PQ. მაშინ ნამრავლის წარმოებულის ფორმულიდან გამომდინარე გვექნება:

$$E_p(R) = E_p(Q) + E_p(P) = E_p(Q) + 1 = 1 \quad |E_p(Q)|$$

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა უარყოფითია, როგორც კლებადი ფუნქციის წარმოებული. აქედან ჩანს, რომ ფასის მიხედვით შემოსავლის ელასტიურობა უარყოფითია იმ საქონლისთვის, რომელზეც მოთხოვნა ელასტიურია და დადებითია იმ საქონლისთვის, რო-

მელზეც მოთხოვნა არაელასტიურია. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოთხოვნა არაელასტიურია, მაშინ ფასის ცვლილება იწვევს ამონაგების ცვლილებას იმავე მიმართულებით. ამიტომ ამ დროს გამყიდველისთვის მომგებიანი იქნება მოუმატოს ფასი საქონელზე, ელასტიური მოთხოვნისთვის კი პირიქით, უნდა შეამციროს ფასი, რათა გაზარდოს ამონაგები.

როცა მოთხოვნა ელასტიურია, მაშინ ამონაგები იზრდება რაოდენობის მომატებითა და ფასების შემცირებით. არაელასტიური მოთხოვნისას კი, პირიქით, ამონაგები იკლებს. მაგალითად, კარგი მოსავლის დროს ფერმერების შემოსავალი მცირდება, რადგან დაბალია მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ანალოგიურად, სარკინიგზო მგზავრობის ბილეთებზე ფასის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტში შენატანის შემცირება,თუ მოთხოვნა მომსახურეობაზე იქნება ელასტიური.

ძალზე საინტერესოა კავშირი ფასებსა და მონოპოლისტის ზღვრულ დანახარჯებს შორის. ცნობილია, რომ კონკურენტული ფირმა ფუნქციონირებს წმინდა კონკურენციის პირობებში , ე.ი. ის თვითონ ადგენს ფასს თავის პროდუქციაზე, რომელიც ზღვრული დანახარჯების ტოლია: $p_c = MC$, მონოპოლისტი კი ადებს ფასს, რომელიც ზღვრულ დანახარჯზე მეტია: $p_m = MC(1+s)$, სადაც s არის დანამატი დანახარჯებზე, რომელიც შეიძლება შეადგენდეს 10%, 20%, 30 % და ა.შ. ცხადია, ჩნდება კითხვა, როგორ შევარჩიოთ ამ დანამატის სიდიდე? აღმოჩნდა, რომ იგი მჭიდრო კავშირშია ელასტიურობასთან. მართლაც მოგების მაქსიმიზაციის პირობიდან გვაქვს:

$$\pi' = R' - C' = MR - MC = 0$$

გამოვთვალოთ ზღვრული ამონაგები:

$$MR = R'(q) = (p(q)p)' = p(q) + qp'(q) = p(1 + [qp'(q)]/p) = p(1 + 1/E) = p(1 - 1/|E|)$$

გავუტოლოთ ზღვრულ დანახარჯს. შედეგად მივიღებთ დამოკიდებულებას:

$$p = MC \Big/ \left(1 - \frac{1}{|E|}\right)$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ რაც უფრო მაღალია მოთხოვნის ელასტიურობა, მით უფრო მცირე უნდა იყოს დანამატი ზღვრულ დანახარჯზე.

ამ ფორმულიდან ნათელი ხდება, თუ როგორ მიმდინარეობს მონოპოლისტის მიერ ბაზრის სეგმენტაცია მომხმარებელთა დისკრიმინაციის გზით დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით. ჩვეულებრივ, განიხილება ერთგვაროვანი ბაზარი, სადაც ყველა იხდის ერთეულ საქონელზე ერთსა და იმავე ფასს. თუ მონოპოლისტი შეძლებს რაღაც ნიშნით დაყოს მომხმარებელი რამდენიმე ჯგუფად, მაგალითად, რკინიგზის ან ავიაბილეთების ყიდვისას ცალკე ჯგუფად გამოყოს სტუდენტები,მაშინ მისთვის ხელსაყრელი იქნება სხვადასხვა ჯგუფისთვის დააწესოს სხვადასხვა ფასი და ამით მოახდინოს ბაზრის სეგმენტაცია. ამასთან, ერთიდაიგივე საქონლის ან მომსახურეობის ორ ბაზარზე გაყიდვიდან ჯამური ამონაგები იქნება მაქსიმალური, თუ თითოეული ბაზრიდან ზღვრული შემოსავლები თანაბარი იქნება. ამრიგად,

$$MR_1 = p_1\left[1 - \frac{1}{|E_1|}\right] = p_2\left[1 - \frac{1}{|E_2|}\right] = MR_2$$

$$p_1/p_2 = \frac{1 - \frac{1}{|E_2|}}{1 - \frac{1}{|E_1|}}$$

აქედან

მაშასადამე, მყიდველები, რომელთა მოთხოვნა საქონელზე ნაკლებად ელასტიურია, მასში გადაიხდიან დიდ ფასს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნის ელასტიურობის საკითხის ცოდნა მნიშვნელოვანია მეწარმეებისთვის, ბიზნესმენებისთვის და სხვა ეკონომიკური სუბიექტებისთვის ფასების დადგენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ლიტერატურა:

1. დ.ნატროშვილი, ლ.გიორგაშვილი, გ.ჯაშიაშვილი, მათემატიკა ეკონომისტებისთვის. თბილისი, 2008.
2. Красс М.С., Чупрынов Б.П. Математика для экономистов. СПб, Питер. 2005.

ანოტაცია

ეკონომიკაში დიფერენციალური აღრიცხვის გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა ელასტიურობა. ელასტიურობა არის ცვლადის მგრძნობელობის საზომი სხვა ცვლადის ცვლილების მიმართ. ბიზნესსა და ეკონომიკაში ელასტიურობას იყენებენ იმის შესაფასებლად, როგორ იცვლება ინდივიდის, მომხმარებლის ან მეწარმის მოთხოვნა-მიწოდება ფასისა თუ შემოსავლის ცვლილების შედეგად.

სტატიაში განხილულია ელასტიურობის სხვადასხვა სახე, ასევე ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ელასტიურობას; კავშირი ელასტიურობასა და მთლიან ამონაგებს შორის; კავშირი ფასებსა და მონოპოლისტის ზღვრულ დანახარჯებს შორის.

გულნაზ ხარაიშვილი

ფესვები

სულ ცოტა-ცოტად დავიშალეთ და...
ახლა შეხვედრა, გათითოკაცდა,
როცა ვარდივით გადავიშალეთ,
შემოგვესია, შფოთი და განცდა.
ხალხის გაჭედილ დიდ დარბაზებში,
საღამოები, სულ ტარდებოდა,
ცაც ხარობდა და ხარობდა ზევსი,
მდინარე ცრემლით არ დიდდებოდა.
იმ, ფესს დავეძებ, კვირტს აფეთქებულს,
ღუღუნა მტრედებს, პატარა მართვეს,
ახლა ვუყურებ, ხალხს გაფითრებულს,
იმედს ვიღაცა, უჩუმრად მართმევს!

2022

ახალი წელი!
ნეტარ ყველანი
ბედნიერ

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი.
აკადემიის წევრების ფიცი.....3
ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი.**
ძლეთის წმინდა გიორგი 4
ხატმწერი **ანამარია ლილუაშვილი**
ღვთისმშობელი.....5
წმ. ნიკოლოზი.....6
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი.....7
მეუფე თადეოზი (მირიან ირორამაშვილი).....8
**** უწმინდესი მყავს, რაღად დავღონდე...* 9

პ ო ე ზ ი ა

ვაჟა ეგრისელი. *კოლხური ფსალმუნები. 100-ტომეული*.....10
პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“.....11

ვაჟა ეგრისელი 12
მაყვალა გონაშვილი.....16
ამირან ამირანაშვილი.....20
ვახტანგ გოგრაჭაძე.....24
ეთერი ჭელიძე 28
გერმანე საზანოელი..... 32
გიგი თეთრაძე 34
ლეილა გათრინდაშვილი 36
ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 38
გივი სიხარულიძე..... 41
გერონტი მესხი 42
ცაგო აბაშიძე 46
მანანა სამყურაშვილი..... 50
თემურ გოგსაძე..... 54
კობა ადეიშვილი 56
ირინა ხურციძე..... 60
ირმა სარაული..... 64
ნონა ლაცაბიძე..... 68
მალვინა ჭელიძე 72
თეა გურგენიძე..... 76
ედუარდ უგულავა..... 78
ლია შენგელიძე..... 80
ეკატერინე ნადირაშვილი..... 82
ლეილა ვადაჭკორია..... 84
ნონა გაგნიძე..... 86
მარი მიმილური 88
მამუკა ოჩიაური 90
თამრო სვანი-ნიუარაძე 92
თამარ მეტრეველი..... 96
ირინა ფეერაძე..... 100
ლალი პერპერიდი..... 102

ნიკა ჭიკაიძე 104
ნელი სანებლიძე 106
ნანა ჩარკვიანი 108
ნინო უძილაური.....112
ანამარია ლილუაშვილი 114
მზია ელიაძე 118
ნელი გიუნაშვილი 120
ეთერი ზარიძე 122
ლალი ჩიმჩიური.....124
მარი კუბლაშვილი 126
მარიკა კაპანაძე.....128
მარინე შანიძე 132
ლაურა ასისტიშვილი-სარალიძე 134
მაგდა გოშნიაშვილი.....138
მარი ბერუაშვილი 140
ეთერ ლობჟანიძე.....142
მაია კახიძე 144
მერაბ ლატარია 146
შორენა ჩხიკვიშვილი 148
ლამზირა შეყილაძე 150
ჯუბა ღებელი 152
ხათუნა ჩიტაძე 154
თეა კანდელაკი.....156
ნანა მომცელიძე 158
დავით ახლოური 162
თინიკო ხაბურზანია.....164
თამარ ჯაჭვაძე 166
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 168

პოემა

ლია ძამუკაშვილი. ***უფლის განგება*** .. 179

პატრიოტული პოეზია

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს
ხ ა ლ ხ უ რ ი 188
XIX საუკუნე 195
ლელა კობერიძე-ჭიაურელი. *დიდგორის ბრძოლა* 245

ხანგრძლივი განყოფილება

ნათია დაშნიანი..... 250
ლელა კობერიძე-ჭიაურელი..... 252
ნანული ყურშუბაძე..... 258

ხელოვნება

ალექსანდრე ციხელაშვილის შემოქმედება 262
გურამ ფუტკარაძე..... 264

თარგმანები

სოსო სიგუა. *თორმეტნი*..... 269
ალექსანდრე პოტიომკინი. *გონების შეურაცხმყოფელი ლეგენდები* 275

პ რ ო ზ ა

მერაბ შათირი. *ანატორი* 283
რეზო ადამია. *მზე-ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი“*..... 304
გარი ჩაფიძე. *სიყვარულის ლაბირინთი* . 312

ვახტანგ გოგრაჭაძე. *ორი აჭარელი (COVID-19)* 321
ირმა კეკელიძე. *ჯახირა* 327
ნანა მომცელიძე. *შენ გადარჩები!...* 334
გიორგი კეკელიძე. *სხვა-გურული-დღიურები* 339
ნინო რეხვიაშვილი. *ბედის ვარსკვლავი...* 344
ინგა გოგიბერიძე. *ეპიტაფიები* 352
გივი სიხარულიძე. *სიცოცხლის ანარეკლი...* 360
გელა (გიორგი) ლარიაშვილი. *მთვარეული ჩანახატი* 365
გულნაზ ხარაიშვილი. *სიკეთის იარაღი...* 367
მანანა გორგიშვილი. *პირველი დატირება* 458
მერაბ ზაქარიაძე. *ჩემი დედიკო მოვიდა?! {ნამდვილი ამბავი}* 460
ელგუჯა სხირტლაძე 468
ბეჟან ხარაიშვილი. *უსახელო მკვდრები* 472
ალეკო დოლბაია. *ნუგზარ ნადარაია* 186
მარინა ღონღაძე. *ცა და მამაჩემის თვალები* 490
დავით არახამია. *მოსარჩენი იარების ნაფეხურზე* 493

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა 498

ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი. *ჯუმბერ ლეჟავა გულის სიიდან არ ამოიშ-ლება* 503

ჩ ე ტ ი ლ ე ბ ი

ლუარა სორდია. *ჩაფიქრებული, როგორც მისანი* 507
ხათუნა ელიაშვილ–ჩიმაკაძე 516
მანანა კვატაია. *ეროვნული იდენტობის მითოსური რეფლექსირებისათვის* ... 524

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი. *სულიერ ფასეულობათა ანბანი* 532

შემეცნებითი საძყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). *ბრალის თეორია* 538

სიბრძნის საკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). *თვალთახილვა (აზრები)* 542

ისტორია

ნიკო ხერკელაძე.
ცრემლში ნალესი ხმალი 547
დავით ახლოური. *ქსნის ხეობის სოფლების ისტორიიდან (სოფელი უფუეთი)*..... 553

მზიანი ჭჟარა

ნიაზ ბოლქვაძე. *უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა!* 557
შორენა მამალაშვილი.
ტაშისკრობა 2021 574
კლარა გელაშვილი.
„ტაშისკრობა 2021“.....577

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი.
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოდელები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში.....581

მათემატიკა

ლალი ქელბაქიანი.
ელასტიურობა და მისი გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში 588
გულნაზ ხარაიშვილი 594

მთავარი რედაქტორი — **გულნაზ ხარაიშვილი**

რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე და დავით ყანდაშვილი**

გამომცემლობა „**სარი**“